

6-3901

Handwritten text in a cursive script, possibly a signature or name, written in gold ink on a dark background.



აგაპი ბაქრაძე, 1958 წ.

Հայրենիքի մասին խոսելու համար
հարկավոր է հիմնականում խոսել
հայրենիքի մասին, որը հայրենիքի
մասին խոսելու համար հարկավոր է
լինում:

Ինչպես ասում ենք, հայրենիքը
չէր լինում: Երբ որևէ մեկը
հայրենիքի մասին խոսում է, ապա
հայրենիքի մասին խոսելու համար
հարկավոր է լինում:

Հայրենիքի մասին խոսելու համար
հարկավոր է լինում: Երբ որևէ
մեկը հայրենիքի մասին խոսում է,
ապա հայրենիքի մասին խոսելու
համար հարկավոր է լինում:

Հայրենիքի մասին խոսելու համար
հարկավոր է լինում: Երբ որևէ
մեկը հայրենիքի մասին խոսում է,
ապա հայրենիքի մասին խոսելու
համար հարկավոր է լինում:

Հայրենիք



აკაკი
ბაქრაძე



წერილები



2000წ.

ამ წიგნის შედგენის მიზანი რომ განმარტო, აეაქი ბაქრამის სიტყვები, არზილ ჯორჯაძის შესახებ თქმული, მისივე მიზმართით უნდა გავიმოთრო:

აეაქი ბაქრამე ტრავიკული პიროვნება იყო. მას პრიაშოსის ქალიშვილის ბედი ჰქონდა. პრიაშოსის ქალიშვილი კასანდრა აპოლონმა დასწევლა – შეუძლოს წინასწარმეტყველება, მაგრამ არაფინ დაუჯეროსო. კასანდრამ იწინასწარმეტყველა ტროას დანგრევა, მაგრამ არ დაუჯერეს. ასევე იყო აეაქი ბაქრამეც. არც მას დაუჯერეს.

წინამდებარე კრებულში უმეტესად თავი მოვუარე სწორედ იმ ჰუბლიცისტურ და კრიტიკულ წერილებს, რომლებშიც გამოთქმული მისი მოსაზრებები ქართველ ხალხს რომ დაუჯერებინა, ალბათ, საქართველოს ცხოვრება სრულიად სხვა გზით წარიმართებოდა და ქვეყანაც უწყსურულის პირას აღარ აღმოჩნდებოდა.

გთხოვ, მკითხველო, დაკვირვებით წაიკითხე ისინი (წერილები) და დარწმუნდები – არც ერთი სიტყვა არ მითქვამს ლიტონი.

წიგნში გამოყენებულია გამოჩენილი ქართველი მსატვარ-გრაფიკოსის ლადო გრიგოლიას ორნამენტები.

მუდგენელ-რედაქტორი	- ნინო კუკულაძე
კომპიუტერული მომსახურება	- ალექსანდრე ჯაფარიშვილი
	- ნუნუ ქართველიშვილი
გამომცემელი	- ნათელა ბაქრამე

ქართველთა ნაციონალური ალტრადინამოს ილია
გაერმინანების ახალი საფუძველი უნა ბახლავს

როცა ეელსაბამის მაფი გაწყდება და მძივები ცალ-ცალკე დაცვივა, ეელ-საბამი წვეეტს არსებობას, თუძცა მძივებს არაფერი აკლდებათ. მძივებადვე რწე-ბიან. ასეა ეოველი ერი. როცა მას არაფერი აერთიანებს, ერი აღარ არსებობს, თუძცა ცალკეული წარმომადგენლები ამ ერისა შეიძლება შესანიშნავადც გრმობდეს თავს.

დღეს ქართველი ხალხი მაფგაწყვეტილ ეელსაბამს და ცალ-ცალკე დაცვივებულ მძივებს ჰგავს. დღეს აღარ არსებობს ქართველი ხალხის გამაერთიანებელი იდეა და ამდენად არც საქართველო არსებობს, როგორც ერთიანი ეროვნული და პოლიტიკური ცნება.

იეო დრო, როცა ქართველ ხალხს აერთიანებდა ქრისტიანობა, მაგრამ თანდათანობით ქრისტიანობამ ეს გამაერთიანებელი ფუნქცია დაკარგა. ჯერ იეო და, მაჰმადიანობის განუწვეტქელი შემოტევის გამო, ქართველი ხალხის ერთმა ნაწილმა ისლამი აღიარა. შემდეგ ქართველთა შორის კათოლიციზმმაც მოიკიდა ფეხი და ქართველი ერის ერთიანობას ახალი ბზარი გაუჩნდა. ამას მერე დაემატა კომუნისტური ათეიზმი და რელიგიამ საერთოდ, სულერთია ქრისტიანობა იქნებოდა იგი თუ მაჰმადიანობა, დაჰკარგა ერის გამაერთიანებლის ფუნქცია.

როცა რელიგია მოიშალა, თითქოს გამაერთიანებლის ფუნქცია სოციალიზმის იდეამ იკისრა. მაგრამ სოციალიზმმა იმთავითვე, თავისი კლასობრივი ბრძოლის მოძღვრებით, ჩვენი ხალხი ორად განლინა და ერთმანეთს დაუპირისპირა. ქართველი ერით მცირერიცხოვანი და დამონებული ხალხისათვის ეს კლასობრივი დაპირისპირება მომაკვდინებელი იეო და, მართლაც, კინალამ კატასტროფით დამთავრდა ჩვენთვის ეს ძმათა მკვლელი მტრობა. რაღაც სასწაულით ქართველი ხალხი გადაარჩა, მაგრამ დღეს გამაერთიანებლის ფუნქციას აღარც სოციალიზმის იდეა ასრულებს, რადგან მას ნილაბი აუხადა და მისი ნამდვილი არსი, ეეღ სსათვის გამჟღავნდა.

ქართველ ხალხს არ აერთიანებს არც ერთიანი სახელმწიფოებრიობა. ჯერ ეს სახელმწიფოებრიობა სულ დაკარგული ვკჳჩნდა. თითქოს საბჭოთა შირობებში ფორმალურად სახელმწიფოებრიობა აღსდგა, მაგრამ ეს რეალურად ფიქციაა, რადგან იგი (სახელმწიფოებრიობა) ქართველთა ეროვნულ ინტერესს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ რუსეთისას და შექმნილია იმ მითითებითა შენაბამისად, რაც მოსკოვისათვის არის ხელსაყრელი.

ასეთ შირობებში, ბუნებრივია, საჭიროა ეროვნული ერთიანობის იდეა, რაც ქართველი ხალხის დაშლილ სხეულს გააერთიანებს. გაერთიანების ასალი საფუძველი ქართველთა ნაციონალური აღორძინების იდეა უნდა გახდეს. უკვე წარმოდგენილი მაქვს, როცა ამ სტრუქტურებს წაიკითხავენ, რუსების დაქირავებული ქართველი აგენტები სამხელ განგაშს ასტევენ: ქართველთა ნაციონალიზმი სოციალისტური ინტერნაციონალიზმის კეთილშობილ იდეას ემუქრებაო. ასლავუ უნდა მოისწონ ეროვნული იდეის მქადაგებლებიო.

რბ თქმა უნდა, ეოველი სლად მოაზროვნე კაცი მაშინვე მიხვდება, რომ აბგვარი განგაში წმინდა წულის დემაგოგიაა.

ჯერ ერთი, არავითარი სოციალისტური ინტერნაციონალიზმი არ არსებობს და სოციალისტური ქვეყნები, ეროვნული თვალსაზრისით, ისევე მტრობენ ერთმანეთს, როგორც კაპიტალისტური. ეს ნათელყო რუსეთისა და ჩინეთის, ვიეტნამისა და კამბუჩიის დამოკიდებულებამ. ეველას თვალწინ ერთმა კომუნისტურმა ქვეყანამ (ვიეტნამმა) დაიპყრო მეორე კომუნისტური ქვეყნა (კამბუჩია). თუცა მაგალითისათვის რალა შორს წავიდეთ: განა ქართველთა და აფხაზთა ბრმა სიძულვილმა მკაფიოდ არ გვაჩვენა რბ ღირებულება აქვს სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს?

მეორეც, ქართველთა ეროვნული თავისუფლება არ ემუქრება არავითარ ინტერნაციონალიზმს. ინტერნაციონალიზმი მაშინ არის ნამდვილი ინტერნაციონალიზმი, როცა თავისუფალი ერები კავშირს ჰკრავენ ნებაყოფლობით და არა მაშინ, როცა რუსი ვადგას ატომური ბომბით თავსე და თუ გუნდრუკი არ უკბიე სამშირ ტეავს გაგამრობს. რბ ფასი აქვს ინტერნაციონალიზმს, რომელიც შიშს ემყარება?

მესამეც, ქართველი ხალხის ეროვნული იდეა ინტერნაციონალიზმს ვერ დაემუქრება იბიტომ, რომ ქართველმა ერმა კარგად იცის: ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების შენარჩუნება მხოლოდ ჰემმარიტი ინტერნაციონალიზმის შირობებშია შესაძლებელი. მისი მცირერიცხოვნობის გამო ქართველ ერს გაუჭირდება ბრძოლით თავისუფლების შენარჩუნება. ჰემმარიტი ინტერნაციონალიზმშია უპირველესი გარანტია ქართველი ხალხის ეროვნული დამოკიდებლობისა და ამიტომ ქართული ნაციონალიზმის მქადაგებლები უპირველესი ჰატივისმცემენი არიან ინტერნაციონალიზმის, ოღონდ ჰემმარიტის და არა შენაიბულებისა და ცრუსი, როგორსაც რუსი კომუნისტები კეთაჯა'ხო ბენ.

მეოთხეც, ისეთი ინტერნაციონალიზმის წინააღმდეგი, როგორც დღეს სსრკ-ში არსებობს, იყო ლენინიც. იგი აღნიშნავდა, თუ არ იქნება აღმოფხვრილი ძირფესვიანად რუსული შოვინიზმი და კომუნისტები არ დაეუბნებოდნენ ტექშიტი ინტერნაციონალიზმს, მაშინ „Свобода выхода из Союза, которой мы оправдываем себя, окажется пустою бумажкой, неспособной защитить российских инородцев от нашествия того истинно русского человека, великоросса-шовиниста, в сущности, подлека и насильника, каким является типичный русский бюрократ. Нет сомнения, что ничтожный процент советских и советизированных рабочих будут тонуть в этом море шовинистической великорусской швали, как муха в молоке.“^{*}

ლენინის წინასწარმეტყველება ასრულდა. ახლა საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის ზუსტად ის დამოკიდებულებაა, რაც აქ ციტირებული სიტყვებით არის დახატული. კიდევ უფრო უარესი პირობები შეიქმნება არარუსები-სათვის, თუ ეროვნული თავისუფლებების იდეა არ აღორძინდა და მის განსახორციელებლად არ ვიბრძოლეთ.

ნურავენ იფიქრებს, რომ ჩვენ წარმოდგენილი არ გვქონდეს ამ აზრის განხორციელების სირთულე და არ ვითვალისწინებდეთ რუსეთის უსაზღვრო სიძლიერეს. არა, ამას ვითვალისწინებთ და ვიცით, რომ მე-20 საუკუნე რუსეთის საუკუნეა. ეს რომ ასეა, ამას უველა ამხნევეს, თუნდაც ისტორიისათვის ზერულე თვალის გადავლებით.

მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში დიდი სოციალური რევოლუცია მოაწყო რუსეთმა და მსოფლიოს ისტორიული სვლა შეცვალა. შექმნა ახალი სოციალური და პოლიტიკური სისტემა, რომელიც ძირეულად განსხვავდება ძველისგან. ამ შეცვლით რუსეთმა ბიძგი მისცა სხვა ქვეყნებსაც შებრუნებულ იყვნენ სოციალიზმისაკენ და დაეკმით კაპიტალიზმი. უკვე ამ უზარმაზარმა ფაქტმა განადა რუსეთი მსოფლიოს პოლიტიკური მეთაური.

მე-20 საუკუნის მეორე მეოთხედში რუსეთმა გაიმარჯვა მეორე მსოფლიო ომში, რითაც დედაშიწის სამხედრო ბატონ-პატრონი განადა. დღეს უკვე რუსეთს, სამხედრო თვალსაზრისით, მეტოქე არ ჰყავს და მისი ნებართვის გარეშე ძირს ტანჯველა ვერ გაიტანეს და მალა – ფრინველი.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ თითქოს სამართა ორ ზესახელმწიფოს დაემორჩილა – სსრკ და აშშ. მაგრამ მე-20 საუკუნის მესამე მეოთხედმა დაგვარწმუნა, რომ აშშ რუსეთთან შედარებით ბევრად სუსტია როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთმა ხელში ჩაიგდო მთელი აღმოსავლეთ ევროპა (გერმანიის აღმოსავლეთი ნაწილი, პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია). კომუნისტური რეჟიმი დაამყარა იუგოსლავიასა და ალბანეთში. აზიაში დაეპატრონა ვიეტნამს, ჩრდილოეთ

* В.И.Ленин. Последние письма и статьи. М., 1976 г. стр.16.

კორეას, ბანგლადეშს, ავღანისტანს, კამპუჩიას, ლაოსს, სამხრეთ იემენს, რუსეთის მხარდაჭერით და დახმარებით გახდა ჩინეთი კომუნისტური სახელმწიფო. აფრიკაში კომუნისტურ სახელმწიფოებად აქცია ანგოლა, ეთიოპია. ამერიკის კონტინენტზე კი – კუბა. ამავე პერიოდში კაპიტალიზმმა ვერ მოახერხა რომელიმე ქვეყანაში შეეცვალა კომუნისტური რეჟიმი.

როცა რუსეთის ბატონობით შეწესებულმა უნგრეთმა (1956 წ.) და ჩეხოსლოვაკიამ (1968 წ.) ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყებანი მოაწვეეს, სსრკ ისინი სისხლში ჩაახრჩო. აშშ მათ ვერავითარი დახმარება ვერ გაუწია და გულზე ხელდაკრფილი გულგრილად უუურებდა, როგორ მოსრეს და მოთხარეს რუსებმა უნგრეთი და ჩეხოსლოვაკია. აშშ რომ რუსებზე ბევრად სუსტია, ეს დაამტკიცა ვიეტნამის ომმაც. სამხრეთ ვიეტნამიდან აშშ სულ განაღწეული და თავსლავდასხმული გააგდო სსრკ, კაპიტალიზმის ეს უძლიერესი სახელმწიფო. ჩინეთიც ასევე უძლური აღმოჩნდა რუსეთთან შედარებით. რუსული იარაღით და რუსი კონსულტანტების დახმარებით სულ ორი დღე დასჭირდა ვიეტნამს კამპუჩიის ოკუპაციისათვის. ჩინელმა კონსულტანტებმა ვერაფერი უშველეს ჰოლ ჰოტის მთავრობას. შერცხვენილმა ჩინელებმა თავქუდმოგლეჯილი მოჭკურცხლეს კამპუჩიიდან. რუსეთის ამ ტოტალურ გამარჯვებებს მხოლოდ ორჯერ მიაღწა ჩრდილი ამ ხნის მანძილზე. ერთხელ, როცა ჩილეში დაამხეს საღვადო რეჟიმს კომუნისტური მთავრობა და მეორედ, როცა ანვარ სადათმა გამოიკვია ეგვიპტიდან რუსები. ეს ორივე მარცხი წვეთია გამარჯვებებთან შედარებით, რაც რუსეთმა მოიპოვა.

ასეთ პოლიტიკურ წარმატებას დაემთხვა რუსეთის უზარმაზარი გამარჯვება მეცნიერებაში. რუსეთი გახდა არა მარტო უძლიერესი სახელმწიფო ატომური ენერჯის დარგში, არამედ კოსმოსშიც. რუსეთი კაცობრიობის მკვლევ კოსმოსში. პოლიტიკურ და სამხედრო სიძლიერესთან ერთად კოსმოსში გამარჯვება შეურუვეჯელს ხდის რუსეთის ავტორიტეტს კაცობრიობის თვალში.

რუსეთი დღეს სახელმწიფო ძლიერების მწვერვალზეა. სწორედ ეს არის მისი აქილევსის ქუსლი, რომელიც მომავალში მისი დაღუპვის საფუძველი გახდება. მწვერვალიდან უოველთვის დაღმართი იწვევა. უძლიერესი რუსეთი ახლა სწორედ ამ დაღმართის ზირად დადგა. შინაგანი რღვევის ნიშნები უკვე მკაფიოდ გამოჩნდა.

დღეს რუსეთის მმართველ კომუნისტურ პარტიას პროგრამა აღარ აქვს. ადრე კომუნისტებს ჰქონდათ მკაფიო იდეური პროგრამა: (1) სოციალური რევოლუციის მოხდენა, (2) კერძო საკუთრების შეცვლა საზოგადოებრივი საკუთრებით, (3) ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობის გამოცვლა პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობით. ეს პროგრამა მათ განახორციელეს. მუშდევ, რა? აქ უკვე კომუნისტები იძულებულნი გახდნენ იდეური პროგრამა შეეკვლიათ სამეურნეო პროგრამით. დღეს ისინი მხოლოდ სამეურნეო საკით-

სესიე ლაპარაკობენ და ზრუნავენ და არა იდეურზე. ეს კი იდეური გაკორტრების მკაფიო სურათია. კომუნისტები იდეური თვალსაზრისით ახალს ვეღარაფერს თავაზობენ კაცობრიობას. ამიტომაც არის, რომ კომუნიზმი კიდევ ინარჩუნებს მიმზიდველობას იქ, სადაც ჯერ კიდევ არ გაბატონებულა, მაგრამ არც ერთ მოაზროვნე ადამიანს აღარ სჯერა მისი იქ, სადაც უკვე ბატონობს. კომუნიზმის იდეური გადატანება თანდათანობით ნათელი ხდება მთელი კაცობრიობისათვის. ამის უტყუარი დასტურია ის, რომ კომუნიზმს დღეს არსად მსოფლიოში არ ჰყავს თეორეტიკოსი. თუ ადრე კომუნიზმის თეორია, ასე თუ ისე, ატყუებდა ხალხს, დღეს უველამ მკაფიოდ დაინახა, რომ ამ თეორიის პრაქტიკული განხორციელება იძლევა სულიერ მონობას და ეკონომიკურ სიღატაკეს. ამიტომ, არის, რომ კომუნისტების სამეურნეო პროგრამა მხოლოდ ქაღალდზე რჩება და პრაქტიკულად ვერ ხორციელდება. ამიტომ კომუნისტების სამეურნეო პროგრამა ხალხს ვერ მიიზიდავს. ვერ გაიყოლიებს ხალხს. ამის გამოა, რომ ბატონობის შესანარჩუნებლად კომუნისტები მიმართავენ ძალადობას და არა იდეურ ზემოთაგონებას.

კომუნიზმი, როგორც მოძღვრება იყო ინტერნაციონალური (ყოველ შემთხვევაში ამის პრეტენზია ჰქონდა. პროლეტარიატს არა აქვს სამშობლო. ასეთი იყო დევიზი). მაგრამ რუსებმა იგი შოვინისტურ მოძღვრებად აქციეს. სოციალიზმის იდეის წყალობით რუსეთი განსდა უძლიერესი შოვინისტური სახელმწიფო, რომელიც ვერავის იტანს, ვინც გაბუდავს არ გაიმეოროს სოციალიზმის რუსული მოდელი. ამის გამო წაყვიდა რუსეთი ალბანეთს, იუგოსლავიას, ჩინეთს, კამბუჯიას და დამახული ურთიერთობა აქვს რუმინეთთან.

ამან გამოიწვია ის, რომ შეიქმნა ევროკომუნიზმის იდეა. რუსეთი უკვე აღარ არის კომუნისტური სამეაროს მექა. გაჩნდა ნაირ-ნაირი კომუნიზმი. თავად მოძღვრება დაიშალა სხვადასხვა სექტად. ამან კი ძირი გამოუთხარა კომუნისტური მოძრაობის სიძლიერეს და სიმტკიცეს. ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება და გაძლიერდება.

უნდოდა თუ არ უნდოდა კომუნისტურმა მოძღვრებამ ხელი შეუწყო ეროვნული ღირსების აღორძინებას ისეთ ხალხებში, სადაც ეს გრძობა მიძინებული იყო. თავად რუსეთის იმპერიაში ბევრი ხალხი, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამდე ველურ მდგომარეობაში იყო, ეხიარა სახელმწიფო ცხოვრებას, დღევანდელ კულტურას და თვალში გამოიხედა. საერთოდ, ეროვნული იდეის აღორძინება მე-20 საუკუნის პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი ნიშანია მთელ მსოფლიოში. ეს პროცესი, ბუნებრივია, სსრკ-შიც მიმდინარეობს. ამ პროცესის გაჩენასა და განვითარებას მოჰყვა კოლონიალიზმის ნგრევა უველგან. ახალი ეროვნული სახელმწიფოების შექმნა.

საერთოდ, მსოფლიო ისტორიის დამახასიათებელი თვისებაა იმპერიების ნგრევა. ასე დაიწერა ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფო, რომის იმპერია, არაბთა ხალიფატი, მონღოლთა, ოსმალთა, ინგლისის, ავსტრია-უნ-

გრეთის მრავალეროვანი იმპერიები. ერთადერთი იმპერია, რომელიც დღეს-დღეობით კიდევ არსებობს, რუსეთის კომუნისტური იმპერიაა. მაგრამ მსოფლიო ისტორიის დამახასიათებელ პროცესს ვერც რუსეთი გაექცევა და მისი იმპერიაც დაინგრევა. ეს ისტორიის კანონზომიერებაა და გვერდს ვერვინ აუგლის.

მაშასადამე, რუსეთის უსაშველო გარეგნული სიძლიერის მიუხედავად, უკვე გაჩენილია შინაგანი ჭია, რომელიც სსრკ ღრღნის და დასანგრევად ამზადებს. ეს პროცესი ქართველმა ერმა უნდა დაინახოს და მომავლისათვის მოემზადოს. თუ ქართველი ხალხი ამ პროცესს, მისთვის ჩვეული უღარდებლობით შეხედავს, მაშინ გამორიცხული არ არის, პირველი მოჰყვეს სსრკ ნანგრევებში და სამუდამოდ იქ დაიმარხოს. ამიტომ ქართველი ხალხი მოვალეა დღევანდელი მდგომარეობა კარგად აწონ-დაწონოს, ღრმად ჩაუფიქრდეს, სწორად განჭვრიტოს მომავალი და იმათ მხარეს დადგეს, ვინც თავისუფალი ეროვნული სახელმწიფოს შექმნისაკენ მოუწოდებს. დროა ქართველმა ხალხმა შეიგნოს, რომ იგი არ არის მარადიული სიხანი, რომელიც ისტორიის ასპარეზზე იმიტომ გამოვიდა, რათა მუდამ უცხო მფარველი და პატრონი ექებოს. ქართველი ხალხი თავად უნდა იყოს თავის თავის პატრონი და ღარიბი ნათესავივით საუკუნეების მანძილზე არ იყოს ატუხული სხვის კარებთან მოწოდების მოლოდინში. თავის თავის პატრონობისათვის ქართველ ხალხს უნარიც შესწევს, ძალაც და ნიჭიც. მხოლოდ საუკუნეების მანძილზე ჩანერგილი მარტოობის შიშს უნდა მოერიოს და ძტერსა და მოუვარეს ამაყად შესედოს, როგორც თავისთავადმა და თავისუფალმა ერმა.

ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ ქართველ ხალხს ბრძოლისა და სისხლის ღვრისაკენ მოუწოდებთ. არა! ქართველმა ერმა მისი გრძელი და მძიმე ისტორიის მანძილზე ზღვა სისხლი დაღვარა და ეყოფა ეს მას. ჩვენ მოუწოდებთ:

ქართველმა ხალხმა შეაფიქროდ შეიგნოს მისი დღევანდელი მდგომარეობა, შეგნებთ დაუპირისპირდეს ანტიეროვნულ შემოტევას და რუსიფიკაციას, იბრძოდოს სსრკ კონსტიტუციით აღთქმული პირობის (მუხლი 72) განსახორციელებლად მშვიდობიანი და საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის ჩატარების გზით.

1978 წ.

თამბორპი საქართველოს კვ სკ-ში

1978 წლის 23 მარტს, ხუთშაბათ დღეს, საქართველოს კვ ცკ-ში პროზა-განდის განყოფილების გამგემ გიორგი ბედინეიშვილმა თათბირი ჩაატარა. თათბირს კულტურის განყოფილების გამგე ალექსანდრე ალექსიძემ ესწრებოდა. მიწვეულნი იყვნენ შემოქმედებითი კავშირების მდივნები, კულტურის სხვადასხვა დაწესებულებათა დირექტორები და პარტკომები. თათბირს პროზაგანდის გამგემ მოახსენა:

– ხვალ, 24 მარტს პრესაში გამოქვეყნდება საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუციის პროექტი. ჩვენ ძალიან სერიოზულად უნდა მოვკვიდროთ მის განხილვას. რაც შეიძლება მაღალ დონეზე უნდა ჩატარდეს იგი. ახალი კონსტიტუცია არსებითად ივითავა, რაც ძველი, მაგრამ არის ერთი ცვლილება: ამოღებულია მუხლი, სადაც ეწერა – საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენა არის ქართული – და მის მაგიერ შეტანილია 75-ე მუხლი, რომელიც ამგვარად განსვავთ ჩამოყალიბებული და გ.ბედინეიშვილმა წაიკითხა 75-ე მუხლი. „საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი უოველმზრივი განვითარებისათვის“.

„საქართველოს სს რესპუბლიკის ეველა ამ ორგანოსა და დაწესებულებებში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსულის, ავრეთეე სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარეგებლობს.

რამე პრივილეგიები ან შესვლდეები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“.

(საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი დაბეჭდილია 1978 წლის 24 მარტის ვახეთ „კომუნისტში“).

როცა ამ მუხლის კითხვა დამთავრდა, დარბაზში უკმაყოფილების ჩურჩული ვაისმა. ჟანსულ ჩარკვიანმა პროზაგანდის გამგეს კითხვა მისცა: – რამ, რა

აუცილებლობამ გამოიწვია მუხლის შეცვლა? გ. ბედინეიშვილმა მიუგო: – ძველ, 1936 წლის კონსტიტუციებში, მხოლოდ საქართველოსა და სომხეთს ჩაუწერეს, რომ ამ ქვეყნებში, შესაბამისად, ქართული და სომხური სახელმწიფო ენები. სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციებში არ უოფილა მუხლი სახელმწიფო ენის შესახებ. ამიტომ ეველა რესპუბლიკა ერთნაირ მდგომარეობაში რომ იოს, გადაწვეიტეს 76-ე მუხლი, სადაც სახელმწიფო ენაზეა ლაპარაკი, ამოეღოთ. ჩაწერეს 75-ე მუხლი. ისიც უნდა ვითხრათ, რომ, კარდა საქართველოსა და სომხეთისა, 75-ე მუხლი არ არის არც ერთი მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციაში. ამით სკკპ-ის ცე-მა ღრმა პატივისცემა გამოამჟღავნა ქართული და სომხური ენების მიმართ.

როცა პროპაგანდის განყოფილების გამგემ პასუხი დაამთავრა, სიტყვა ვითხოვე და ვთქვი: ამგვარ ცვლილებას ქართველი საზოგადოება დადებითად არ შეხვდება. ჩვენი ხალხი არ დაუშვებს ქართული ენის კონსტიტუციურ შეურაცხყოფას. ამან შეიძლება ძალიან ცუდი ნაყოფი გამოიღოს. ამიტომ უმჯობესია ადვოკატთა ის, რაც ეწერა ძველ კონსტიტუციაში, და ამოვიღოთ ეს საეჭვო 75-ე მუხლი.

ღარბაზში ვითარება დაიძაბა. მაშინ ვიორკვი ნატროშვილმა ითხოვა: აქ მოწვეულთაგან კონსტიტუციის პროექტი არავის წაუკითხავს. თქვენ მხოლოდ ერთი ცვლილება ვაკვაცხანთ, სხვა რა წერია და როგორ, არ ვიცით. ამიტომ გთხოვთ, ჯერ ნუ გამოაქვეყნებთ პროექტს. მოგვეცით საშუალება წავიკითხოთ, ღრმად ვაკვაცხოთ, მოკავსეხოთ ჩვენი აზრი. მოისმინეთ იგი. აწონ-დაწონეთ და ამის შემდეგ გამოაქვეყნეთ პროექტი.

– რუსულ ტექსტში არაფრის შეცვლა არ შეიძლება, – უპასუხა ვ. ნატროშვილს პროპაგანდის განყოფილების გამგემ. – ქართული თარგმანი კი, ბატონო, დახვეწეთ, დაამუშავეთ, გაამაღაშინეთ, არავის არაფერი აქვს საწინააღმდეგო, – და თათბირი დახურულად გამოაცხადა.

მეორე დღეს, 24 მარტს, გახუთ „კომუნისტში“ საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის პროექტი გამოქვეყნდა. იმავე დღეს საქართველოს კპ ცე-ის სხდომათა ღარბაზში დიდძალი საზოგადოება შეიკრიბა: რაიკომის მდივნები, მინისტრები, ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები, უმაღლესი სასწავლებელთა რექტორები, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები და ასე შემდეგ. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მხრიდან ესწრებოდნენ ედუარდ შვეარდნაძე, ვიქტორია სირამე, სოლიკო ხაბეიშვილი, ვიორკვი ბედი-ნეიშვილი, ვიული მარტავა. საერთო ინფორმაცია ედ. შვეარდნაძემ მიაწოდა შვეარდნაძეს საზოგადოებას. ს. ხაბეიშვილმა და ვ. ბედი-ნეიშვილმა კი ილაპარაკეს იმაზე, რომ აუცილებელია კონსტიტუციის პროექტის განხილვა ჩატარდეს ერთხელთაგანისა და სახეიმი ვითარებაში.

როცა ოფიციალურ პირთა გამოსვლები დაამთავრდა, ედ. შვეარდნაძემ დამსწრე საზოგადოებას მიმართა – რას იტყვიოთ. ღარბაზი დადუმდა. ეტუბოდა,

საკუთარი ინიციატივით ლაპარაკის დაწყებას არავენ აპირებდა. მაშინ საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი თავად მიუბრუნდა კრების მონაწილეებსა და კითხვები დაუსვა. პირველად განათლებების მინისტრს ჰკითხა: როგორ არისო საქმე განათლების სამინისტროში? მინისტრმა უპასუხა – განათლების სამინისტრო მზად არის კონსტიტუციის პროექტის განსახილველად. ვფიქრობ, მხარდაჭერაც ერთსულოვანი იქნებაო.

შემდეგ ედ.შევარდნაძე საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანს მიუბრუნდა. მასაც იგივე კითხვა დაუსვა, რაც განათლების მინისტრს. მდივანს ჰასუსიც დადებითი იყო. კრების შესამე მონაწილე, ვისაც ედ.შევარდნაძემ კითხვით მიმართა, გახლდათ თბილისის უნივერსიტეტის რექტორი.

უნივერსიტეტის რექტორი: ავად ვიუავი და უნივერსიტეტში დღეს მივედი. ამდენად სრულ ინფორმაციას ვერ მოგაწვდით. ეველაფერს გადაკეთებთ, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვამ კარვად ჩაიაროს. თუძმა გულანდილად უნდა გითხრათ, რომ უკვე შემატუობინეს, რომ როგორც პროფესორ-მასწავლებელთა, ისე სტუდენტთა შორის არის უკმაყოფილება.

ედ.შევარდნაძე: მანც რით?

უნივერსიტეტის რექტორი: განსაკუთრებით 75-ე მუხლით, სადაც ენახეა ლაპარაკი.

ედ.შევარდნაძე: რას ამბობენ, რატომ არ მოსწონთ?

უნივერსიტეტის რექტორი: კონკრეტულად ვერაფერს ვერტყვით. როგორც გითხარით, ავადმყოფობის შემდეგ, დღეს პირველად მივედი უნივერსიტეტში. ვითარებას ზუსტად ვავეცნობი და მოგასხენებთ.

ედ.შევარდნაძე: პირადად თქვენ რა აზრის ხართ, მოგწონთ თუ არა 75-ე მუხლი?

რექტორი განუძდა. არც ჰო უპასუხა და არც არა.

ედ.შევარდნაძემ საევედურით შენიშნა, – თუ თქვენ არ გაქვს შემუშავებული საკუთარი აზრი, მაშინ, ცხადია, ვერ უხელმძღვანელებთ უნივერსიტეტში კონსტიტუციის პროექტის განხილვას, – და ისევ შეკრებილთ მიმართა – კიდევ ვის სურს სიტყვა.

მე ვითხოვე სიტყვა.

– პირველად ახალი კონსტიტუციის შესახებ გუშინ მოვისმინე თათბირზე. დღეს დილით უკვე ვაზეთმიც წავიკითხე პროექტი. გუშინაც ვთქვი და დღესაც უნდა ვავიმეორრო – არ მომწონს და არ ვეთანხმები 75-ე მუხლს. ისიც უნდა გითხრათ: წელან აქ რომ ზოგიერთი შეუგნებელი ახსენეს, რომელსაც არ ესმის ამ კონსტიტუციის მნიშვნელობა, მე ვარ.

ედ.შევარდნაძე: მანც კონკრეტულად რა არ მოგწონს?

მე: ძიელი მუხლი. პირველი სტრიქონიდან ბოლო სტრიქონამდე. მე მიმანია, რომ ენის შესახებ კარვად არის ნათქვამი დღესდღეობით მოქმედ კონს-

ტიტუციაში – საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული. მას შეეცვლა არ სჭირდება. 75-ე მუხლი კი დამამცირებელი ქვეტექსტის მატარებელია.

გ. სინაძე: რატომ კითხულობთ კონსტიტუციას ქვეტექსტებით?

მე: უოველი ტექსტი, მათ შორის კონსტიტუციაც, ქვეტექსტის მატარებელია. უველა შეგნებული მკითხველი მოვალეა წაიკითხოს ეს ქვეტექსტი.

ედ. შევარდნაძე: კრიტიკოსის პოზიციიდან ნუ ვეკლავარაკებით.

მე: კრიტიკოსობა არაფერ შუაშია. უბრალოდ ვცდილობ მკაფიოდ გამოვთქვა აზრი. ხომ ცხადია: მნიშვნელობა რომ არ ჰქონდეს, არაფერ მოსკოვში არ ამოიღებდა ძველი კონსტიტუციიდან მუხლს, სადაც ქართული ენის სახელმწიფოებრიობაზეა ლაპარაკი და არ ჩაწერდა ახალ 75-ე მუხლს. მაშასადამე, არსებობს ჩანაფიქრი, რაც ქართული ენის წინააღმდეგ არის მიმართული.

ედ. შევარდნაძე: რატომ თვლით დამამცირებლად 75-ე მუხლს?

მე: არ მესმის რა დამსახურებისათვის გაიღეს ეს მოწველება ქართული და სომხური ენების მიმართ.

ჟ. შარტავა: ეს იმიტომ, რომ ქართული ენა კულტურული ენა არის.

მე: ასევე კულტურული ენაა ბალტიისპირეთისა და შუა აზიის ხალხების ენებიც, მაგრამ რატომღაც მათ მიმართ არ გამოუჩენიათ „ურარდლება“. ამიტომ მაუჭვებს 75-ე მუხლი. ალბათ ფიქრობენ, რომ ქართველები და სომხები ჭირვეული ხალხია, შეიძლება რაღაც მოეწეს კონსტიტუციიდან ენის სრულ ამოღებას და მოდით საკენკი ვადაუურროთ და დავამშვიდოთ. დედას რომ ბავშვი აუტირდება და რძე არა აქვს, „სოსკას“ ჩაჩრის პირში. მოტუეებული ბავშვი ჩუმიდება. ასე მოსატუეებული „სოსკას“ 75-ე მუხლი. მაგრამ არც ქართველები და არც სომხები არ არიან ისე პრიმიტიული ხალხი ამით მოტუევიდნენ და გაჩუმდნენ.

(როცა ეს საუბარი მიმდინარეობდა, კრების პრეზიდიუმიდან ისმოდა ხმები – ვინ უოფილა ეს, რა უკუდმართი აზროვნება ჰქონია).

ედ. შევარდნაძე: ჩამოაყალიბეთ ეს მუხლი თქვენ და, სიტუვას გამლევთ, ისე შევიტანთ კონსტიტუციაში.

მე: ვფიქრობ, არაფერია ჩამოსაყალიბებელი. უბრალოდ ძველი კონსტიტუციიდან, ახალ კონსტიტუციაში უნდა ვადმოვიტანოთ მუხლი, სადაც ნათქვამია: საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენა არის ქართული. აზრი ჩამოყალიბებულია სხარტად და მკაფიოდ. მას არც შეეცვლა სჭირდება და არც გასწორება.

ედ. შევარდნაძე: ეს შეუძლებელია.

მე: თუ ეს შეუძლებელია, მაშინ უველა ჩვენთავანისათვის გასაკება: ქართულს კონსტიტუციურად ართმევენ სახელმწიფო ენის ფუნქციას. ჩვენი ხალხიც მოიქევა მდგომარეობის შესაბამისად.

სიტუვა დაუბთავრე. დარბაზი გააქტიურდა. ზედიზედ გამოვიდნენ კულტურის სამინისტროს, მეცნიერებათა აკადემიის, მსატვართა, კომპოზიტორთა,

მწერალთა კავშირების, ინსტიტუტის წარმომადგენლები.

კულტურის მინისტრის მოადგილე: უპირველესი, რაც უნდა მოგახსენოთ, არის ის, რომ ბაქრამეაჟ არ ლაპარაკობდა კულტურის სამინისტროს სახელით. მის აზრს არ იზიარებს კულტურის სამინისტრო. სამინისტროს სახელით ჰირობას გაძღვეთ, რომ კულტურის სამინისტროს უწყებებში მაღალ დონეზე ჩაივლის კონსტიტუციის პროექტის განხილვა და იქნება ერთსულოვანი მხარდაჭერა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი: არც კი მოველოდი, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტი, რაიმე აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევდა, იმდენად ბრძნულად არის იგი შედგენილი. მე გამაკვირვა ბაქრამის გამოხვლამ. ჩვენ ევევლამ ვიცით, რომ ჩვენი სახელმწიფო ენა არის რუსული და უხერხულიც კი არის სახელმწიფო ენად ქართული მოვითხოვოთ. ჩვენი კონსტიტუციის თანახმად არავინ გვიკრძალავს ქართულად ლაპარაკს და ეს უდიდესი მიღწევაა. მე მასსოვს მეფის დროს, როგორ გამოუცხადეს მამაჩემს საუვედური იმის გამო, რომ სამსახურში ქართულად დაილაპარაკა. ახლა ეს არ მოხდება, რადგან ქართულად ლაპარაკის უფლება მონიჭებული გვაქვს. ჩვენში უკვე ევევლა განათლებულმა ადამიანმა იცის რუსული და სხვა სახელმწიფო ენა არ გვჭირდება. ჰირობას გაძღვეთ, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია უმჯველად დაუჭერს მხარს ახალი კონსტიტუციის პროექტს.

მხატვართა, კომპოზიტორთა და მწერალთა კავშირების მდივნებმა ერთხმად მოიწონეს კონსტიტუციის პროექტი. 75-ე მუხლი მიიჩნის კონსტიტუციური აზრის უდიდეს მიღწევად. ცა-ს აღუთქვეს ერთსულოვანი მხარდაჭერა.

განსაკუთრებით ღელავდა უცხო ენათა პედაგოგების რექტორი. იგი ევიროდა – რას ბედავენ, რას მოითხოვენ... ახალ კონსტიტუციაში ილიას ოცნება განხორციელებული. მეტი რაღა გინდათ? ილიას ოცნება ჩვენ განვანორციელებთ, ამაზე დიდი გამარჯვება რა შეიძლება იყოს?

იმდენად ნერვიულობდა, რომ განათლების მინისტრმა დაუმახა – რა მოგივიდათ, რატომ ღელავთ ასე? რექტორმა აკანკალებული ხმით უპასუხა – როგორ არ უნდა ვეღლავედ, როცა ვიღაც-ვიღაცები გვიწუნებენ პროექტს, იმ პროექტს, რომელიც ჩვენი ხალხის გამარჯვების გამომხატველია. მას აუცილებლად მთელი ერის ერთსულოვანი მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს.

ამის მერე კიდევ ერთი პოეტი და ერთი პროზაიკოსი გამოვიდა. მათაც მოიწონეს კონსტიტუციის პროექტი, ოღონდ სტილისტური დახვეწა ითხოვეს. ამაზე ედ.შეყარდნამემ უპასუხა, აგერ ხართ მწერლები დახვეწეთ და დაამუშავეთ. ამის წინააღმდეგი არავინ არის.

მეტი აღარავინ გამოსულა.

საბოლოო სიტყვა თქვა ედ.შეყარდნამემ. იგი ამტკიცებდა, რომ კონსტიტუცია დიდ ჰერსჰეტიკებს უშლის წინ ქართველ ხალხს და იგი დიდი მონაპოვარია. „სახელმწიფო ენის“ ჩაწერა არ შეიძლება, იმიტომ რომ ლენინი იყო

მისი წინააღმდეგი. მართალია, ამას რუსული ენის შესახებ ამბობდა, მაგრამ დებულება მაინც უველა ენას ეხებაო. თუმცა ესეც დასმინა – ერთადერთი რასაც მოსკოვში მივალწიეთ, ეს 75-ე მუხლია. იგი არ შეიცვლება. იმედიც გამოთქვა: ქართველი ხალხი ერთსულოვნად დაუჭერს მხარს ახალ კონსტიტუციას და მისი მიღება საზეიმო ვითარებაში ჩაივლისო.

შემდეგ კი დაამატა: რაც შეეხება ბაქრამეს, აქედან რომ გასვალთ ნუ ჩაქოლავთ. მან აქ გულწრფელად ილაპარაკა და მოწვევითაც იმიტომ მოგიწვიეთ, რომ აზრი გულახდილად გეთქვათ.

თათბირი დამთავრდა.

(როცა 1978 წლის 24 მარტის საქართველოს კპ ცკ-ში ჩატარებული კრების სტენოგრაფიული ჩანაწერი გამოქვეყნდება, მკითხველი მკაფიოდ დაინახავს, რომ, მართალია, მოკლედ, შეკუმშულად, მაგრამ სრულიად ობიექტურად გადმოგვიცა ის, რაც თათბირზე მოხდა).

მომავალი ამბებისათვის ამ კრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თბილისში თვალის დახამხამებაში გავრცელდა მისი ამბავი.

დაიწყო საზოგადოებრივი აზრისა და კომუნისტური პროპაგანდის ბრძოლა.

1978 წლის 26 მარტს გახუთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისაგან მოითხოვდა ერთსულოვნად დაუჭირათ მხარი კონსტიტუციის ახალი პროექტისათვის.

„საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა ერთხელ კიდევ დაადასტურებს საქართველოს მშრომელთა მონოლითურ შეკავშირებას კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის – პარტიისა და ხალხის გამორჩენილი შვილის ლ.ი.ბრეჟნევის გარშემო“.

აქტიურად ამოქმედდა პარტიულ-ადმინისტრაციული აპარატი. იგი უველა ღონეს ხმარობდა ზეგავლენა მოეხდინა ადამიანებზე, დაეხმიათ და დაეშინებიათ ისინი.

თანამდებობის მქონე პირებს ემუქრებოდნენ მოხსნით.

აწუბოდნენ ნაცუბათეუ და სახელდახელო კრებებს. მაკალითად, მწერალთა კავშირში ორჯერ ჩატარდა საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუციის განხილვა. 1978 წლის 31 მარტს „ლიტერატურული საქართველო“ იუწვებოდა, რომ მწერალთა კავშირმა მოაწუო კონსტიტუციის პროექტის განხილვა. „მწერლებმა აღნიშნეს ის საყოველთაო აღმავლობა, რაც კონსტიტუციის ახალი პროექტის გამოქვეყნებამ გამოიწვია. გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებანი და სურვილები“.

არ არის ეს ინფორმაცია სიმაღლის მაუწყებელი. ჯერ ერთი, ეს არ უოფი-
ლა მწერალთა კრება. ეს იყო კრება მწერალთა სახლის მომსახურე პერსონა-
ლისა. ამ კრებას დაესწრო მხოლოდ რამდენიმე მწერალი, რომელიც იმ დროს
შემთხვევით აღმოჩნდა მწერალთა სახლში. მეორეც, მწერლებს არ მოუწონებო-
დათ კონსტიტუციის პროექტი. პირიქით, მწერლების იონა ვაკელის, მურმან
ლუბანიძის, ნოდარ წულუაძისკირის მბაფრ-კრიტიკული გამოხვლის შედეგად,
კრება სასწრაფოდ შეწყვიტეს და არც რაიმე დადგენილება მიუღიათ.

ამის გამო იყო, რომ 12 აპრილს მწერალთა კავშირში ხელმოკრედ ჩატარ-
და კონსტიტუციის პროექტის განხილვა. ბევრი ხალხი ვერ შეგროვდა. სა-
განგებოდ ცრუ ხმა იყო გავრცელებული – მწერალთა კავშირში პარტიული
კრებააო. მოვიდნენ ისინი, ვინც მიხვდა, რა მიზნით კრებდნენ ხალხს. მანც
ცხარე სჯა-ბაასი გაიმართა. დარბაზში ემოციის სახმილი ვიზვიეზებდა.

ერთი იცავდნენ კონსტიტუციის პროექტს.

მეორენი კატეგორიულად იწყებდნენ მას. ზოგიერთმა მწერალთა კავ-
შირის წევრობაზეც თქვა უარი (მაგალითად, ჰოკტმა ნელი გაბრიჩიძემ). კავ-
შირის წიგნაკები კრების პრეზიდენტს დაუწვევეს წინ.

მესამენი მორიგების გზას ექებდნენ. არც მწვადი უნდოდათ დაეწათ და
არც მამფური.

ოცზე მეტი კაცი გამოვიდა მაშინ სიტყვით. მაგრამ გვარებს აღარ ჩამოვთვ-
ლი, რაკი აუცილებლად მიმაჩნია ამ კრების სტენოგრაფიული ჩანაწერის გამო-
ქვეყნება. საერთოდ, გადაუდებლად უნდა შეგროვდეს ეგვლა ის სიტყვა, რომე-
ლიც ითქვა ენათმეცნიერების, ისტორიის, ლიტერატურის ინსტიტუტებში,
საქართველოს ისტორიის მუზეუმში, უნივერსიტეტში და სხვა დაწესებულებ-
ებში და გამოიცეს ცალკე წიგნად. ეს სრულ წარმოდგენას მოგვცემს იმჟამინ-
დელ საზოგადოებრივ განწყობილებაზე.

მწერალთა კავშირის კრებაზე შექმნილი ატმოსფეროს წარმოსადგენად
მოვიტან ნაწვევებს ნოდარ წულუაძისკირის სიტყვიდან:

„კონსტიტუციურად გაფორმდა უკანონობა და უსამართლობა, რასაც
წლებების მანძილზე მისდევდა საქართველოს მთავრობა.

ამით კანონდება ორენოვანება. რატომ ივიწყებენ ლენინს: „რუსულის
ძალით დამკვიდრება განმწვევებს მტრობას“.

ქართველს დღევანდელ საქართველოში ისეთივე უფლება მიეცა, როგორც
ეპიგრანტებს საფრანგეთში.

ქართველებს საუბრარი არსად აქვთ, ან უნდა იბრძოლონ, ან საკუთარ მი-
წაში საფლავი გაითხრონ.

ეს ცვლილებები კონსტიტუციაში წინასწარ დასახული პროგრამაა. ესაა
ენების დაახლოვების შედეგად ფუძე ენის, რუსული ენის საფუძველზე ერთი
ენის შექმნა.

ერები და ჟნები კაცობრიობის სიმდიდრეა.
ქართველმა მწერალმა უნდა იბრძოლოს. ცალ ხელში სმალი ეჭიროს,
მეორე ხელში – კალამი. თუ ქართველ მწერალს ბრძოლა არ შეუძლია, ტაში
მანც არ უნდა დაუკრას.

ისეთ ვითარებას გვიქმნიან, რომ ვიცრუოთ. ერთი კაცის სიცრუე კიდევ
დასაძვებია. ტოტალური არა. მწერლობამ სიმართლე უნდა თქვას, გინდ ჯვარს
აცვან“.

მეც ვთქვი მწერალთა კავშირში სიტყვა.

1978 წ.



საპარტიველო ეკუთვნის პარტიველ ხალხს...!

დოკუმენტი, რომელსაც დღეს ჩვენ ვიხილავთ, უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტი განსლავთ. იგი მომავალში, მრავალი წლის მანძილზე, განაპირობებს კონსტიტუციურად ქართველი ხალხის ბედს. ამიტომ ვველა მოქალაქის ვალია მკაფიოდ, გულწრფელად და აშკარად გამოთქვას თავისი დამოკიდებულება საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტისადმი.

ველა განხილვაზე ძირითადად ლაპარაკი მიმდინარეობს 75-ე მუხლის შესახებ. ეს ბუნებრივია, რადგან ეს მუხლი ქართულ ენას ეხება და ამას ვველა მტკივნეულად განიცდის. მაგრამ ახალი კონსტიტუციის ამ პროექტში, მართო ეს ზუნქტი არ არის სავანგამო – არის სხვაც. კერძოდ, კონსტიტუციის პროექტის პრეამბულაში წერია – საქართველოს სსრ ხალხი აცხადებს ამ კონსტიტუციას... ერთი შესვდვით, აქ თითქოს არაფერია განსაკუთრებულად სამიში, მაგრამ ნამდვილად ასე არ არის. ეს სიტყვები სხვას არაფერს ნიშნავს თუ არა იმას, რომ ქართველი ერი გაუქმებულია და საქართველო არის არა ეროვნულპოლიტიკური ცნება, არამედ გეოგრაფიული ადგილი.

საქართველო ეკუთვნის ქართველ ხალხს და ქართველი ხალხი უნდა აცხადებდეს ამ კონსტიტუციას. ვველა იმ უფლებას კი, რომელიც აღნიშნულია კონსტიტუციის პროექტში, ქართველი ხალხი ანიჭებს სხვა ხალხებს, რომელნიც დღეს საქართველოში ცხოვრობენ. კონსტიტუცია უნდა გამოხატავდეს ქართველი ხალხის თანდაყოლილ ინტერნაციონალიზმს, ქართველი ხალხის ტოლფრანტულ დამოკიდებულებას სხვა ხალხების მიმართ.

როცა ვამბობთ – საქართველოს ხალხი – მაშინ ქართველი ხალხი ვათანაბრებულია ვველა იმ ხალხთან, რომელიც დღეს საქართველოში ცხოვრობს. მაგრამ ამ ხალხებს აქვთ თავიანთი სამშობლოც. იქ არიან ისინი ვველაფრის ბატონპატრონები. ქართველ ხალხს კი არა აქვს სხვა სამშობლო, გარდა საქართველოსი. მაშასადამე, იგი საკუთარ მამულში ვათანაბრებულია სხვასთან. ჩვენ ვუფროსილდებით სხვათა უფლებებს, მაგრამ ამით ვამცარებთ

¹ სიტყვა თქმული მწერალთა კავშირის კრებაზე 1978 წლის 12 აპრილს

ქართველი ხალხის უფლებებს. ყოველ ადამიანს აქვს ბინა. ამ ბინაში იგია სრულ უფლებებიანი ჰატრონი. მასზეა დამოკიდებული, როგორ მიიღებს სტუ-მარს. ასეთი ბინაა ყოველი ერისთვის თავისი ქვეყანა. ამ ქვეყნის ჰატრონი თავად უნდა იყოს და მასზე უნდა იყოს დამოკიდებული მიიღებს თუ არა ხელგამ-ლილი სხვა ხალხებს. ქართველ ხალხს არასოდეს უკრავს ხელი მოსული ხალხისათვის და ხშირად უპატიებელი ინტერნაციონალიზმი გამოუ-ქლავნებია. ამიტომ დღეს კონსტიტუციურად მტკიცედ და უცვლელბეულად უნდა იყოს განსაზღვრული – საქართველო ქართველი ხალხის ქვეყანაა და კონს-ტიტუციასაც ქართველი ხალხი აცხადებს.

თუ ჰრეამბულის ფორმულა – საქართველოს ხალხი – არ შეიცვლება ქართველი ხალხით, მაშინ ეს კონსტიტუცია არ იცავს ქართველი ხალხის ინ-ტერესს.

მეორე, ახალი კონსტიტუციის პროექტში წერია, რომ საქართველოს სსრ მთავრობას აქვს უფლება ახალი ავტონომიური რესპუბლიკების შექმნის. მაგ-რამ ამ მთავრობას არა აქვს უფლება ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმების. აბსურდი გამოდის. ელემენტარული კანონიერება მოითხოვს, რომ იმას, ვისაც შექმნის უფლება აქვს, უნდა ჰქონდეს გაუქმების უფლებაც. სხვანაირად შექმნის უფლება უუფლებობაა, თან საშიში უუფლებობა. საქართველოში ბევრი სომეხი, ბევრი აზერბაიჯანელი ცხოვრობს. ცხოვრობენ ისინი კომპაქტურად. ეს მთ სრულ ნებას აძლევს კონსტიტუციის თანახმად მოითხოვონ ავტონო-მია. საქართველოს მცირე ტერიტორიაზე ისედაც ბევრი ავტონომიაა. ამას ახა-ლი ავტონომიები დაემატება და ისედაც ერთი ციქქნა ტერიტორია მთლად დაქუცმაცდება. გარდა ამისა, ჩამოსულ, ჩამოსახლებულ ხალხს მისცე ავტო-ნომია ეს იმას ნიშნავს, რომ მას მისცე სხვისი მიწა-წყალი. არც სომეხები, არც აზერბაიჯანელები, არც ოსები საქართველოს ტერიტორიის აბორიგენი მო-სახლეობა არ არის. მათთვის ტერიტორიის გამოყოფა ნიშნავს ქართველ ხალხს ჩამოართვა ტერიტორია. ტერიტორიის ჩამორთმევა კი ეროვნული დისკრიმინაციაა. მაქასადამე, ქართველი ხალხის ეროვნული დისკრიმინაციის საფუძველზე ეძლევა სხვა ხალხებს უფლება ავტონომიები შექმნან საქართველოში. ზომ ნათელია, რომ კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, მიმართულია ქართველი ხალხის წინააღმდეგ!

მესამე, უკვე ებადლებული 75-ე მუსლი, რომელმაც ამდენი მღელვარება გამოიწვია.

კონსტიტუციის პროექტის პროპაგანდისტებმა ქართული ენისათვის „სახელმწიფო ენის“ სტატუსის ჩამორთმევა იმით გაამართლეს, რომ არც რუსული ენაა მოხსენიებული სახელმწიფო ენად რუსეთის კონსტიტუციაში. მაგრამ ამუვარი მსჯელობა კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან სრულიად სხვა-დასხვა მდგომარეობა აქვს რუსულსა და ქართულს. დღეს რუსული ენა მსოფ-ლიო მნიშვნელობის ენაა. მის წინააღმდეგ ბრძოლა აღარ შეუძლიათ ისეთ დიდ

ენებსაც კი როგორც ფრანგული და ინგლისურია. მით უმეტეს, საბჭოთა კავშირში რუსულს არ ჰყავს მეტოქე, არც პოლიტიკური და არც კულტურული თვალსაზრისით. ქართული კი მცირერიცხოვანი ერის ენაა. ქართულად სხვაგან არსად ლაპარაკობენ. ქართულს არ გააჩნია მონათესავე ენაც კი. იგი ობოლი ენაა და თუ საქართველოშიც არ მიეცა მას სახელმწიფო უფლებამოსილება, ქართული დასაღუპავად განწირული ენა იქნება.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით ენას ორი ფუნქცია აქვს: იგი ან არის სახელმწიფო ენა, ან არის ჰატუა (შინაური, შინ სახმარი) ენა. ახალი კონსტიტუციის პროექტი ქართულ ენას უტოვებს ჰატუა ენის ფუნქციას.

უოველივე ზემოთქმულიდან რა დასკვნის გაკეთება შეიძლება? მე ვაკეთებ ერთადერთ დასკვნას – საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი კონსტიტუციურ საფუძველს უერის ქართველი ხალხის გარუსების საქმეს.

აქ იყო ლაპარაკი, ბევრი ამბობდა, რომ ეს შემთხვევითია, აქ დაშვებულია შეცდომა, ეს გაუგებრობაა, სტილისტური შეცდომაა და ა.შ. ამდგვარი დიპლომატობას თამაში არავითარ შედეგს არ მოგვცემს. კონსტიტუციის პროექტს შემთხვევითი აღძვანები არ ადგენენ. ისინი ასე იოლად არ უშვებენ შეცდომებს, გაუგებრობებს, შემთხვევითობებს... მათ შესანიშნავად იციან, რას აკეთებენ, რატომ და რა მიზნით. ვერც ჩვენი „დიპლომატობით“ მოვატყუებთ მათ. ამიტომ სრულიად აშკარად და ჰირდაჰირ უნდა ვუთხრათ – ჩვენ წავკითხეთ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი და მივხვდით მის ნამდვილ აზრს და რაკი მივხვდით, მაშასადამე, პასუხიც უნდა მივაგოთ ახალი კონსტიტუციის პროექტის შემდგენლებს.

ამიტომ სრული ჰირდაჰირობით უნდა ითქვას – აქვს თუ არა რომელიმე ქართველს უფლება, რა მდგომარეობის, რა განათლების, რა შეხედულებისაც უნდა იყოს იგი, მხარი დაუჭიროს ამ კონსტიტუციის პროექტს? მე გეუბნებით, არა რომელიმე ჰუნქტს, არამედ მთლიანად კონსტიტუციას? ამ კონსტიტუციის სტილისტური გასწორება-დაზუსტება საქმეს არ უშველის. მისი არსი მანც ანტიქართული დარჩება, ამიტომ ქართველმა ხალხმა არ უნდა მიიღოს ეს კონსტიტუცია. არც ერთ ჩვენთაგანს არა აქვს მორალური უფლება ხმა მისცეს ახალ კონსტიტუციას.

დღეს ჩვენ არა გვაქვს უფლება ამ დოკუმენტს ზერელედ მოვკვიდოთ. აქ კარგად თქვა მურმან ლებანიძემ, რომ ხშირად ვიხილავთ ამა თუ იმ დოკუმენტს, ზერელედ ვკვიდებით მათ, ფეხებზე ვკვიდია რას ვიხილავთ და რატომ. ვველა შინ გაქცევაზე ფიქრობს და აი წინ დაგვხვდა ამ ზერელობის შედეგი. როცა გაუთავებელი ლაპარაკი იყო ხალხთა ურთიერთდაახლოებაზე, ერთიან საბჭოთა ხალხზე, საქმე აქეთკენ მიდიოდა. ჩვენ კი ამას ჰირდაღებული მიჭიჭიბოდით.

დღეს კი დოულაჰიობის უფლება არა გვაქვს. ჩვენ კატასტროფის წინაშე ვიმყოფებით. ეს დადასტურებს იმათაც, ვინც იცავდა კონსტიტუციის პროექტს.

როცა რაიმეს ასეთი დასაბუთება, ახსნა-განმარტება, ფერ-უძარილის წასმა სჭირდება, ეს იმის უტყუარი დასტურია, რომ საქმე ცუდად არის. ასე რომ არ იუოს, ამდენი ხვეწნა-მუდარა ეს პროექტი მიიღეთო, არ დასჭირდებოდათ.

მაშასადამე, მდგომარეობა ნათელია. არავინ ტყუუდება. მე ისიც კარგად ვიცი, რომ არც ამ ჩვენს ლაპარაკს და კრებსაც აქვს რაიმე მნიშვნელობა. ახალი კონსტიტუციის პროექტს მიიღებენ სულ ტაშის გრიადლით და ჩვენი კრებების ოქმებს ვატერკლოზეტის „არქივი“ ელით. მაგრამ ჩვენ მაინც მოვალენი ვართ, ვთქვათ ჩვენი სათქმელი. ზნეობრივად უნდა ვიუოთ ჩვენ მართაღნი შთამომავლობის წინაშე. ჩვენ არ გაგვანია სხვა ძალა, სხვა უფლება. ერთადერთი, რასაც შევძლებთ, ეს არის ჩვენი გულწრფელობა. დღეს ქართულმა მწერლობამ საქვეუნიოდ უნდა განაცხადოს – ვის მხარეზეა იგი, ქართველი ხალხისა თუ ქართველი ხალხის მტრების. უკან დასახევი გზა მას არა აქვს. ამიტომ წინადადება შემომაქვს კენჭი ეუაროს – აძლევენ თუ არა ხმას საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტს საქართველოს მწერაღთა კავშირის წევრები.

1978 წ.

აფხაზთა საკითხი

აფხაზთა ჭირვეულობას კარგა ხანგრძლივი ისტორია აქვს. რაც საბჭოთა ხელისუფლება არსებობს, მათ რამდენჯერმე მოაწვევს არეულობა, მაგრამ განსაკუთრებული მსხტაბი 1978 წლის აპრილ-მაისში მიიღო. უკვე მკაფიო გახდა, რომ აფხაზთა ჭირვეულობის დამოშინება-დაცხრომა იოლად არ მოხერხდება. მომავალში იგი უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს, თუ აფხაზთა მდგომარეობა ახლავე არ იქნა გაანალიზებული ობიექტურად და დაწვრილებით.

როცა აფხაზთა მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებში ვაკზავნილ წერილებს გაეცნობით, მათ საუბარს მოისმენთ, მიხვდებით, რომ აფხაზთა ჭირვეულობის საფუძველია გადაშენებისა და გადაკვარების შიში. თუმცა ეს უმრავლესობას განცობიერებული არა აქვს. ზანაბაძის წიგნში* მოტანილ სტატისტიკურ ცნობებს თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ აფხაზთა საერთო რაოდენობა, მართალია მატულობს, მაგრამ კლებულობს მათი ხვედრითი წონა. თუ 1926 წლის აღწერით, აფხაზები აფხაზეთის ასსრ მთელი მოსახლეობის 25% შეადგენდენ, 1970 წლის აღწერით 16% წარმოადგენენ. ჯერჯერობით ტენდენცია მიმართულია მათი გაქრობისაკენ. ბუნებრივია, ეს იწვევს მათ შიშსა და შემფოთებას. მაგრამ ამ ფაქტიდან უაღბი დასკვნა ვამოაქვთ და ნამდვილი მიზეზის მაგიერ ცრუ მიზეზებს ებრძვიან. ისინი აფხაზეთის ხვედრითი წონის შემცირებას აფხაზეთის ასსრ ქართული მოსახლეობის ზრდას აბრალეებენ და მოითხოვენ, შეწედეს ქართველთა ჩასახლება აფხაზეთში. უფრო აბსურდული მსჯელობა წარმოუდგენელია. დავაკვირდეთ კიდევ ერთ სტატისტიკურ ცნობას. 1916 წლის აღწერით, აფხაზეთის სოფლის მოსახლეობაში** ქართველები იუენენ 55,6%, სოლო აფხაზები – 33,3%, ორივე ერთად 88,9%. სხვა ერის წარმომადგენლები კი იყო 11,1%. 1970 წლის აღწერით კი მთელ აფხაზეთში ქართველი დაახლოებით 41%-ია, სოლო აფხაზი - 16%. ორივე ერთად - 57%.

* "Очерки этнической истории абхазского народа" 1976г.

** მაშინ აფხაზები ქალაქად თითქმის არ ცხოვრობდნენ. მაგალითად, 1926 წელს სოხუმი 25 ათასი ქართველი ცხოვრობდა, აფხაზი კი - მხოლოდ 400.

მაშასადამე, 1916-70 წლებში აფხაზთა და ქართველთა საერთო რაოდენობა აფხაზეთში 32%-ით შემცირებულია. ამრიგად, აფხაზთა ხვედრითი წონის შემცირება აფხაზეთში ქართველთა ჩასახლების ბრალი კი არ ეოფილა, არამედ არაქართული და არააფხაზური ეროვნული ელემენტის შეუნელებელი ზრდისა.

თუ ეს სწორი დასკვნა არ გაითვალისწინეს აფხაზეთში, მათი მომავალი კატასტროფით დამთავრდება.

ამიტომ ვისაც სურს აფხაზეთის საკითხის ნამდვილი მოგვარება, აფხაზეთის ისტორია ეტაპობრივად უნდა განიხილოს და მერე გამოიტანოს მართალი დასკვნა.

ერთი აფხაზეთის ისტორია და მდგომარეობა აფხაზეთის სამთავროს გაუქმებამდე, ე.ი. 1864 წლამდე, მეორეა იგი 1864 წლიდან 1921 წლამდე, ე.ი. აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, და მესამეა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

დღევანდელი ზოგიერთი აფხაზი ისტორიკოსი დაეინებით ცდილობს დამტკიცოს, რომ არსებობდა დამოუკიდებელი ფეოდალური აფხაზური სახელმწიფო და კულტურა. ვინც საერთოდ იცნობს ისტორიულ ჰროცესს, ის ამას ვერა და ვერ დაიჯერებს, იმიტომ რომ არ არსებობს არავითარი სახელმწიფო, არავითარი კულტურა არც მონათმფლობელური, არც ფეოდალური, არც კაპიტალისტური და არც სოციალისტური დამწერლობისა და მწიგნობრობის თვინიერ. ეველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ აფხაზური დამწერლობის შექმნის ჰირველი წარუმატებელი ცდა ეკუთვნის მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედს.

კულტურა ეველასაფერს მოიცავს – სახელმწიფო სტრუქტურას, ეკლესიას, განათლებას და ა.შ.

ქართულ მატრიანეში ცნობილი ე.წ. აფხაზთა სამეფო თავისი წეს-წყობილებით, ენით, ეკლესიით, განათლებით, სამეფო კარით ქართული ფეოდალური სახელმწიფოა. ამას ადასტურებს ეველა ისტორიული წყარო და დოკუმენტი. საწინააღმდეგო საბუთს ვერავინ წარმოადგენს.

გარდა ოფიციალური მატრიანის „ქართლის ცხოვრებისა“, აფხაზთა სამეფო რომ ქართული ფეოდალური სახელმწიფოა, ამას მოწმობს:

ა. დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ძეგლების ქართული წარწერები,

ბ. აფხაზი ფეოდალების ქართული ფორმით წარმოდგენილი გვარები (მარვაშიძე, ანჩაბაძე, ეშუსვარი, მარშანია),

გ. ბიჭვინთში კათალიკოსის რეზიდენციის არსებობა. უმრევლად ეკლესია არ არსებობს, უწიგნოდ და უდამწერლობოდ კი – ქრისტიანული რელიგია. დღევანდელი აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე მდებარე ტაძრების სა-

მუშაი ენა ქართულია. იქაური მოსახლეობა ქართულად ილოცავს. აფხაზურ ენაზე არ არსებობს არც ძველი და არც ახალი ალთქმის თარგმანი.

დ. ვეველა საეკლესიო და კულტურული ცენტრის ქართული სახელი - ბიჭვინთა, ცხუმი, მოქვი, ბედია, ილორი და ა.შ.

ე. აფხაზეთის მთავრების შარვაშიძეთა სახლის ტრადიციული ერთგულე-ბა ქართული ენის, ქართული ეკლესიის, ქართული სახელმწიფოებრიობისადმი მაშინაც კი, როცა რომელიმე შარვაშიძე იძულებული იყო მაჰმადიანობა მიეღო.

ვ. აფხაზები თავისთავს ეძახიან „აფსუსს“, აფხაზეთს – „აფსნის“. ამ სახელით მათ არავინ იცნობს. მთელი მსოფლიო სათვის ისინი ცნობილი არიან იმ სახელით, რაც მათ ქართველებმა დაარქვეს. მაშასადამე, ვარე სამეაროს აფხაზეთი უკავშირდებოდა, როგორც საქართველოს ნაწილი.

ზ. დღევანდელ გალის რაიონს ისტორიულად ერქვა სამურზაყანო. ეს ტოპონიმი მომდინარეობს მურზაყან შარვაშიძის სახელისაგან. როცა მე-18 საუკუნის დასაწყისში ზეგნაუ შარვაშიძის შვილებმა როსტომმა, ჯიქეშიამ და ვვაჰუმ აფხაზეთი გაიყვეს, ლალიძვასა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორია მიეცა ვვაჰუმ შარვაშიძეს. მერე იგი მემკვიდრეობით ერვო ვვაჰუს შვილს მურზაყანს. აი, ამ მურზაყანის სახელის მიხედვით, ამ ტერიტორიას სამურზაყანო ეწოდა. ქართულად გაფორმებული ტოპონიმი სა-მურზაყან-ო კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომელი ენა იყო აფხაზეთში სახელმწიფოს და კულტურის ენა.

ამრიგად, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ ე.წ. აფხაზთა სამეფო თავისი შინაარსით, ბუნებით, მოსახლეობით, ხასიათით ქართული ფეოდალური სახელმწიფოა. აფხაზი ისტორიულად, კულტურულ-ეროვნულად ქართველია. „საქართველოში „აფხაზი“ იმდენადვე (და არა უფრო მეტად) არსებობდა, რამდენადც, ქართი, ჰერი, კახი, მესხი, ჯავახი, კლარჯი, შავში, ეგრი, სვანი, ხანი და სხვა.“ * ეს კი იმას მეტყველებს, რომ ფეოდალიზმის ეპოქაში აფხაზთა ეროვნული თვითგამორკვევა არ მომხდარა.

ეროვნული თვითგამორკვევის აუცილებელი ელემენტებია მშობლიურ ენაზე დამწერლობისა და მიწიგნობრობის შექმნა, მშობლიური ენისათვის სახელმწიფო ფუნქციის მინიჭება, სახელმწიფოს ეროვნული სტრუქტურის ჩამოყალიბება. არაფერი ამდაგვარი ფეოდალურ აფხაზეთში არ ეოფილა. ამიტომ შოკიერთის მტკიცება, აფხაზეთის ფეოდალური კულტურა არსებობდა, ერთდროულად არის უმეცრეებაც და თავის მოტყუებაც.

აფხაზთა თვითგამორკვევა არ მომხდარა არც აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ, როცა თვით სახელი „აფხაზეთიც“ მოსწეს და უწოდეს Сухумский военный отдел Российской империи, მაგრამ აფხაზეთის ცხოვრებაში მაინც მოხდა ძირეული ცვლილება.

* ნ.ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. III, 1966 წ. გვ. 279.

რუსეთს, საერთოდ კავკასიაში, და კერძოდ საქართველოში, ერთი მიზანი ჰქონდა – მოსახლეობის მთლიანი გარუსება. ამ ამოცანის შესასრულებლად აუცილებელი იყო ქართული ეროვნული სახელმწიფოს დაქუცმაცება, ერთიანი ეროვნული შეგნების მოძლა. ბუნებრივია, ნაჭერ-ნაჭერ დაეთაფილი საქართველოს გარუსება უფრო იოლი იყო. ამ მიზნის განხორციელებას რუსეთი იქ შეუდგა, სადაც ეველასე სუსტი ადგილი იზოვა. წარსული ისტორიული ჰირობების გამო ეს სუსტი ადგილი სწორედ აფხაზეთი აღმოჩნდა. რუსეთზე ადრე თურქეთი ცდილობდა საქართველოს გამაჰმადიანებას და ამ გზით მის გათურქებას. საქართველოს სამეფო-სამთავროების სისუსტის გამო XVII-XVIII საუკუნეებში აფხაზეთში საკმაოდ მძლავრად მოიკიდა ფეხი მაჰმადიანობამ. აფხაზეთის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა აღიარა ისლამი. ისლამის წყალობით აფხაზეთსა და დედა-საქართველოს შორის უკვე გაჩნდა ბზარი. ეს ბზარი ოსტატურად გამოიყენა რუსეთმა, თანდათანობით გაზარდა და გააღრმავა იგი. ისლამის აღმსარებელ აფხაზეთა უდიდესი ნაწილი აფხაზეთიდან თურქეთში გააძევა. როგორც დღეს ისტორიულ მეცნიერებაში გარკვეულია*, მაჰმადიანობა იყო შედეგი რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის და თურქეთის პროვოკაციული აქციებისა, რომელსაც მხარს უჭერდა აფხაზეთი ფეოდალების ნაწილი. თურქეთში გადასახლებულ აფხაზეთა უმრავლესობა გათურქდა. დღეს იქ თითო-ოროლა თუ ებლაუჭება აფხაზეთას. ამ გადასახლების შედეგად დარჩა ცარიელი მიწა-წყალი. ამ ცარიელ ადგილებში დაიწყო რუსების, სომხების, ბერძნების და სხვათა მასობრივი დასახლება. ერთადერთი ხალხი, ვისაც მაშინ აფხაზეთში დასახლება ეკრძალებოდა, იყვნენ ქართველები. ქართველების დასახლებას ცარიზმი იმიტომ ეწინააღმდეგებოდა, რომ აფხაზეთა გადასახლება და აფხაზეთში რუსების დასახლება კავკასიის გარუსების გეგმის ნაწილი იყო. ამ გეგმის არსი და მექანიზმი მკაფიოდ არის მხილებული ქვემოთ ციტირებული სტრიქონებით.

„თუ ბარბაროსული ოსმალიეთის ვაჟლებით აფხაზეთში ქართული ქრისტიანული კულტურის ათასწლოვანი კერა – ბიჭვინთის საკათალიკოზო მოიძალა (ამას მოჰევა შემდეგ თანდათანობით ეველა ასეთი ცენტრის მოძლა), „კულტუროსანი“ ცარიზმი არანაკლები დაეინებით ცდილობდა ქართული კულტურის უოველივე გვალის ამოგდებას ამ მხარეში. საამისოდ ცარიზმს ჰეავდა ამოქმედებული ადმინისტრაცია, ევლესია, სკოლა, ჰრესა და ე.წ. „მეცნიერება“. უკანასკნელ მალ-ლონეს არ ზოგავდა, რათა დაერწმუნებინა, ვისი დარწმუნებაც, მისი აზრით, საჭირო იყო, რომ ამ კუთხეს საქართველოსთან საერთო არაფერი აქვს, რომ, მაშასადამე, საქართველოს მტკიცებანი აფხაზეთ-საქართველოს ერთობის შესახებ მხოლოდ მათი უნიადგო სურვილების ნაყოფია, რომ ეს მოწმებურები ნაკებობანი – ციხე-სასახლებები, მონასტერ-ეკლესიები,

* Г. Давидович. *Махалджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия*. 1975წ.

ხიდები, რომელნიც ვეველა მოწმობით საქართველოს ფეოდალური კულტურის დროისანია, – ვეველა ეს უცხოელ ბერძნებს, დამპყრობელ რომაელებს, მეკობრე-ვაჭარ ვენეციელებს და ... ბარბაროს თურქებსაც კი, რომელთა მფლობელობის დროს, გადაჭრით უნდა ითქვას, არც ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლი არ შექმნილა მთელს აფხაზეთში (ისევე, როგორც ოსმალთა ხელში მოყოლილ საქართველოს არც სხვა რომელიმე ნაწილში), ამ თურქებსაც კი მიეწერებოდა ცარიზმის აგენტ მეცნიერთა მიერ², ოღონდ ქართველები როგორმე გამოერიცხათ, ოღონდ მათი სახსენებელი გაეკრათ იქ.³

რუსეთის პოლიტიკის შესახებ ამასვე ამბობდა ნ. ლაკობა. „თუ ძველმა მეფის მთავრობამ საბოლოოდ არ აღგავა მიწის პირისაგან ეს ეთნოგრაფიული ეროვნება (აფხაზები), რომელსაც არ აქვს არც თავისი კულტურა, არც თავისი დამწერლობა, ეროვნება, რომელიც ცხოვრობს პრიმიტიული, წარღვანადელი საშუალებებით, ეს აიხსნება პოლიტიკური მოსაზრებით, რაც გამოიხატება სიტყვებით: „დათესე ეროვნული შუღლი“ და „თვითონ კი ნუ ედოვლანები, იბატონე მტკიცედ“. თვითმპყრობელობა უოველგვარ ღონეს ხმარობდა, იმისათვის, რომ ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის გაეთხარა ისეთივე უფსკრული, როგორც იყო თათრებსა და სომხებს შორის, მაგრამ ეს მას არ გამოუდიოდა.“⁴

საინტერესოა, რაც ცარიზმმა ვერ მოახერხა, მოახერხა საბჭოთა ხელისუფლებამ.

აფხაზეთა გარუსების მიზანს ცარიზმი არ მალავდა და ამჟამად, დაუფარავად წერდნენ ამაზე. როცა უსლარი აფხაზური დამწერლობის შექმნას ცდილობდა, გულანდილად აღნიშნავდა: „... აღგილობრივი დამწერლობა უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ იმას, რომ მათ (აფხაზებს - ა.ბ.) გაუადვილოს რუსული ენის შესწავლა.“⁵

ამის აუცილებლობას ის იწვევდა, რომ „... ამ პერიოდშიც (მე-19 საუკუნის 60-იან წლებში) ქართული ენა კულტურის მთავარი ენა სამთავროსათვის“

.. ახლა პოზიცია შეცვალეს და თავად აფხაზებს მიაწერეს მათი შექმნა.

... ნ.ბერმენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, 1966 წ. გვ. 348.

К истории революционного движения в Абхазии. 1922 г., стр.4 "Если старое царское правительство окончательно не стерло с лица земли эту этнографическую народность (абхазскую), не иленившую ни своей культуры, ни своей письменности, народность, живущую примитивным допотопным способом, то это объяснялось политическими соображениями, формулировавшимися в словах: "Сей национальную рознь", и "Сам не звай и властвуй крепко". Самодержавие прилагало всяческие усилия к тому, чтобы создать между грузинским и абхазским народами такую же пропасть, как между татарами и армянами, но это ему не удавалось".

....
"... туземная грамота должна служить только тому, чтобы ... облегчить для них изучение русского языка". (З.Анчабадзе. Очерки этнической истории абхазского народа. 1976 г., стр.96)

(ს. ჯანაშია). * ამიტომ როგორმე ქართული ენა უნდა შეცვლილიყო რუსულით. ამ ამოცანას კიდევ უფრო მკაფიოდ სახავეს ვეიდენბაუმი: „აფხაზური ენა, რომელსაც არა აქვს დამწერლობა და ლიტერატურა, რა თქმა უნდა, განწირულია ცოტად თუ ბევრად ახლო მომავალში. საკითხავია ის, რომელი ენა შეცვლის მას? ცხადია, რომ მოსახლეობაში კულტურული იდეების და ცნებების გამტარებლის როლი უნდა შეასრულოს არა ქართულმა ენამ, არამედ რუსულმა. ამიტომ მე მგონია, აფხაზური დამწერლობის შექმნა თავისთავად კი არ უნდა იყოს მიზანი, არამედ უნდა გახდეს ქართული ენის მოთხოვნილებების შესუსტების საშუალებად ეკლესიისა და სკოლის გზით. იგი (ქართული) თანდათანობით შეიცვალოს სახელმწიფო ენით (ე.ი. რუსულით - ა.ბ.). **

უმკვალითო გულწრფელად არის განმარტებული აფხაზური დამწერლობის შექმნის ამოცანა და მიზანი. რუსმა მოღვაწეებმა ეს ამოცანა სრულად გადაჭრეს და მიზანსაც სრულად მიაღწიეს. ის, რაც ორი საუკუნის მანძილზე ვერ მოახერხა უკულტურო თურქეთმა, სრულიად ადვილად შესძლო კულტურულმა რუსეთმა რაღაც 50 წლის მანძილზე.

ამრიგად, 1864-1921 წწ აფხაზი ხალხის ცხოვრებაში ძირეული ცვლილება მოხდა.

1. აფხაზთა ერთი ნახევარი თურქეთში გადასახლდა და არსებითად გათურქდა.

2. აფხაზთა მეორე ნახევარი, მართალია შინ დარჩა, მაგრამ ცარიზმის გამარჯვებული პოლიტიკის წყალობით, გარუსდა და ქართული ეროვნული სამყაროდან გადავიდა რუსულ ეროვნულ სამყაროში.

აფხაზები მოექცნენ უმძიმეს პირობებში. ტერიტორიით, ისტორიით, წარსულით, ზნე-ჩვეულებებით, ტრადიციით, სისხლით დარჩნენ ქართული გარემოთი გარემომორტეული, მათი სული კი გადასახლდა რუსულ გარემოში, რადგან აფხაზისთვის განათლების, კულტურის, მწიგნობრობის ენა გახდა რუსული. აფხაზის სულიერი სამყარო ორად გაიხლიჩა. ეველა გონიერმა აფხაზმა დაინახა, რომ აფხაზები კატასტროფულ სიტუაციაში მოექცნენ. თუ ამ მდგომარეობიდან თავს არ დაიხსნიდნენ, ისინი განწირულნი იყვნენ გადაშენებისათვის. ამიტომ აფხაზთა შეგნებულმა ნაწილმა დაიწყო ბრძოლა ისევ ქართულ ეროვნულ სამყაროში დასაბრუნებლად. ამის ერთ-ერთი მკაფიო საბუთია აფხაზთა დემუტაციის ჩამოსვლა თბილისში და მეფისნაცვალთან მისვლა

* „მარჯაშიძე, ილიკა, ეპიხი, დრამა. 1946 წ., სოხუმი, გვ.32.

** „Абхазский язык, не имеющий письменности и литературы, обречен, конечно, на исчезновение в более или менее близком будущем. Вопрос в том: какой язык заменит его? Конечно, что роль проводника в население культурных идей и понятий должен был бы играть не грузинский, а русский язык. Мне кажется поэтому, что учреждение абхазской письменности должно быть не целью само по себе, а только средством к ослаблению, путем школы и школы, потребности в грузинском языке и постепенной замене его языком (или двумя языками)“ ივ. ზ. ანზაბაძის დასახელებული წიგნი, გვ.96.

1916 წლის აპრილის ბოლოს. * დეპუტაციაში იყვნენ მ. შარვაშიძე, მ. ემუხვარი, მინალიფა, ჰანნაბაძე, ბ. უსუნბაია და აჩუკბარი. ისინი ეახლნენ კავკასიის მეფისნაცვალს საქართველოს ეგზარქოსს და სხვა თანამდებობის პირთა და მთელი აფხაზეთის სახელით წარუდგინეს თხოვნა. ამ თხოვნის მრავალ პუნქტთან მკითხველს გვახსენებთ დღეისათვის საინტერესოს:

1. სწავლა სკოლებში წარმოებდეს მშობლიურ ენაზე – ქართულად და აფხაზურად.

2. სოხუმის ოლქი გამოიყოს ცალკე გუბერნიად და არასვ ზით არ იქნეს შეერთებული შავი ზღვის გუბერნიასთან. **

3. თუ შეუძლებელია სოხუმის ოლქის ცალკე გუბერნიად გამოყოფა, მაშინ იგი შეუერთდეს ქუთაისის გუბერნიას.

4. სოხუმის ეპარქია, რომელიც მთელი წარსულით და აწმყოთი შესისხლ-ხორცებულია საქართველოს ეკლესიასთან, არავითარ შემთხვევაში არ გამოიყოს საქართველოს საეგზარქოსოდან.

ახლა შევადაროთ ეს აფხაზთა დღევანდელ მოთხოვნებს და დავინახათ:

თუ 1916 წლის აფხაზთა დეპუტაცია, აფხაზურთან ერთად, ქართულ ენას მშობლიურს უწოდებს და ამ ენაზე ითხოვს სწავლას, 1978 წლის აპრილში აფხაზები ქართული ენის აფხაზეთიდან გამეკობისათვის იბრძვიან და ცდილობენ ამოიღონ იგი აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციიდან.

თუ 1916 წლის აპრილში აფხაზები თავგამეტებული ეწინააღმდეგებიან აფხაზეთის (მაშინდელი სოხუმის ოლქის) შავი ზღვის გუბერნიასთან შეერთებას, 1978 წლის აპრილში თავგადადებული მოითხოვენ აფხაზეთი საქართველოს გამოეყოს და სტავროპოლის მხარეს შეუერთდესო. ***

რამა მოხდა 1916-1978 წლებში ისეთი, რომ ასე ძირფესვიანად შეიცვალა აფხაზთა გუნება-განწყობილება, შეგნება? რატომ ვახსნა ცარიზმის პოლიტიკა დღეს აფხაზთა ერთი ჯგუფისათვის მოქმედების პროგრამად?

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. რუსმა კომუნისტებმა, ქართველი აგენტების დახმარებით, აფხაზეთი საქართველოდან გამოეკვს და მას „დამოუკიდებელი“ მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი მიანიჭეს. თუ ცარიზმის დროს აფხაზთა გარუსების პროცესს ქართველი და აფხაზი ინტელიგენცია ასე თუ ისე წინააღმდეგობას უწევდა, საბჭოთა ხელისუ-

* იხ. კურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1916 წ., №23, გვ 4; ვაზ. „სამშობლო“, 1916 წ., 20 აპრილი; „საქართველო“, 1916 წ., 30 აპრილი.

** შავი ზღვის გუბერნიაში შედიოდა სოჭის, ტუაფსეს და ნოვოროსიისკის ოლქები. ვ. ი. უკრა დაახლოებით ის ტერიტორია, რასაც დღეს კრანსოღარისა და სტავროპოლის მხარეებს უწოდებდნენ.

*** აფხაზთა ახლანდელი მოთხოვნების შესახებ იხ. ვაზ. „კომუნისტი“ (1978 წ. 26 მაისი) სკპ ცკ მდივნის კაპიტონოვის სიტყვა.

ფლებიან ჰირობებში ველარაფერი მოახერხეს. რუსმა კომუნისტებმა დაასრულეს აფხაზთა გარუსების ჰროცესი და ამით სულერიად ისინი საქართველოს მოწვევით.

არსებობდა თუ არა საფუძველი აფხაზეთს მიელო მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი? რა თქმა უნდა, არა. მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსისათვის აფხაზეთს არც ტერიტორიის მოცულობა ჰყოფნიდა, არც მოსახლეობის როდენობა და არც მოცემულ ტერიტორიაზე წარმოდგენდნენ აფხაზები უმრავლესობას. მაგრამ ეს მოხდა მაშინ, როცა „ს.ორჯონიკიძე საქართველოს სადაო ტერიტორიებს, ქართველებით დასახლებულ ადგილებს უკამათოდ, უმტკივნეულოდ აძლევდა აზერბაიჯანელებს, სომხებს და ვეელა იმათ, ვინც მათზე რაიმე ჰრეტენზიას აცხადებდნენ.“[•]

სხვათა შორის, არც სოხუმის გამოცხადება შეიძლება აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქად. როგორც უკვე ითქვა, 1926 წლის აღწერით სოხუმში ცხოვრობდა 25 ათასი ქართველი, აფხაზი კი მხოლოდ 400. მაგრამ ეს ფაქტი სტალინს არ განსვენებია, სამაგიეროდ არ დავიწყებია თბილისის საქართველოს დედაქალაქად გამოცხადების წინააღმდეგ გამოსულიყო რკპ(ბ) XII ურილობაზე 1923 წ. აპრილში.^{••}

მოკვიანებით, როცა მოსკოვს რესპუბლიკების მოჩვენებითი დამოუკიდებლობის თამაში აღარ სჭირდებოდა, გააუქმეს აფხაზეთის მოკავშირეობა და 1931 წლის 19 თებერვალს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით შეცვალეს.^{•••}

ახლა ისიც ვიკითხოთ – შეიძლება აფხაზეთს ჰქონდეს თუნდაც ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი?

მართალია, საბჭოთა სახელმწიფოს სამართლის თეორეტიკოსებს საფუძვლიანად და ზედმიწევნით არა აქვთ დამუშავებული როდის, რა ჰირობებ-

[•] აკირეძაძე, „ბრძოლას ლეზინი წარმართავდა“, 1968 წ. გვ. 263.

^{••} Двенадцатый съезд РКП(Б) 17-25 апреля 1923г. Стенографический отчет., М., 1968 г. სტალინი თვლიდა, რომ თბილისში ქართველები 30% მეტი არ არიან, სხვა ერების წარმოდგენელები კი – რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები და ა.შ. – მოსახლეობის 70% შეადგენენ. ამიტომ არ შეიძლება, თბილისი საქართველოს დედაქალაქი იყოს. მაგრამ რატომღაც სტალინს ეს ჰროცენტები მხედველობაში არ მიუღია, როცა სოხუმს აცხადებდა აფხაზეთის დედაქალაქად.

საერთოდ, მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ვახუშტისა და სხვა ქართული წყაროების მიხედვით (აფხაზური წყაროები აფხაზეთის ტერიტორიის დასადგენად არ არსებობს), საკუთრივ აფხაზეთი იწყება ანაკოფიდან (ე.ი. დღევანდელი ახალი ათონიდან) და გრძელდება კანჭეტის წელამდე (ე.ი. დღევანდელ ბზიფამდე). კანჭეტის წელის (ბზიფის) იქით იწყება ჯიქეთი. ანაკოფიამდე კი ისტორიული კერისია. ფოდალურ ეპოქაში ფოდალთა შორის ქიშის დროს ტერიტორიის ამა თუ იმ მონაკვეთს ესა თუ ის ფოდალი ფლობს. ასე იყო ვეელგან, ასე იყო საქართველოშიც. კერისისა და აფხაზეთის ამა თუ იმ ნაწილს ხან მარაშთიძეები ფლობდნენ, ხან დადიანები. მარაშთიძეებსა და დადიანებს შორის არსებული ბრძოლა ისეთივე მტრობაა, როგორც არაგვისა და ქანის ერისთავების, წერეთლების და აბაშიძეების და სხვათა შუღლი. სხვა შინაარსი ფოდალურ საქართველოში მას არ ჰქონია. ამიტომ იყო უკანონო ფოდალური ქიშის შედეგად მითვისებული მიწ-წყლის მიკუთვნება აფხაზეთის ასსრ-სათვის.

ში და რის საფუძველზე შეიძლება მიენიჭოს ამა თუ იმ ხალხს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და აქ გამორიცხული არ არის თვითნებური გადაწყვეტილებანი, მაგრამ ერთი რამ კი საყოველთაოდ აღიარებულია. კერძოდ ის, რომ თითოეული ავტონომიური ერთეული იწოდება იმ ერის თუ ეთნოგრაფიული ჯგუფის მიხედვით, რომელიც შეადგენს მოსახლეობის ძირითად ნაწილს. მერედა აფხაზები შეადგენენ აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის ძირითად ნაწილს?

1965 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული წიგნი „ნასელენიე ზემნოგო შარა“ ასეთ ცნობებს გვაწვდის: აფხაზეთის ასსრ-ში ცხოვრობს

ქართველი – 158,2 ათასი,

რუსი – 86,7 ათასი,

სომეხი – 64,4 ათასი,

აფხაზი – 61,2 ათასი.

როგორც მკაფიოდ ხედავთ, აფხაზეთის ასსრ-ში აფხაზებს მოსახლეობის საერთო რაოდენობის მიხედვით მეოთხე ადგილი უჭირავთ.

როგორ არის საქმე აფხაზეთის ასსრ-ში შემავალ თითოეულ რაიონში? ამჟამად აფხაზეთის ასსრ-ში ხუთი რაიონია – გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის და სოხუმის. ჩავიხედოთ 1974 წელს გამოცემულ საქართველოს სსრ რესპუბლიკური დაქვემდებარებისა და ადმინისტრაციული რაიონების ცნობარში:

1. გალის რაიონში ცხოვრობს 73,2 ათასი კაცი. აქედან ქართველია 88,2%, რუსი – 7,0%, სომეხი – 1%. აფხაზები გალის რაიონში 1%-ზე ნაკლები არიან.

2. გულრიფშის რაიონში ცხოვრობს 51,7 ათასი კაცი. აქედან ქართველია 52%, აფხაზი 1,2% (დანარჩენია რუსი, სომეხი, ბერძენი და ა.შ.).

3. სოხუმის რაიონში ცხოვრობს 36,5 ათასი კაცი. აქედან ქართველია 43,4%, აფხაზია 2,5% (დანარჩენია რუსი, სომეხი, ბერძენი და ა.შ.)

მაშასადამე, ხუთიდან სამ რაიონში აფხაზთა რაოდენობა მინიმალურია.

4. ოჩამჩირის რაიონში ცხოვრობს 70,2 ათასი კაცი. აქედან ქართველია 42,9%, აფხაზი – 38,4%. მიუხედავად იმისა, რომ ამ რაიონში აფხაზთა რაოდენობა შედარებით დიდია, ქართველთა რაოდენობას მაინც არ აღემატება. ერთადერთი რაიონი, სადაც აფხაზთა რაოდენობა ქართველთა რაოდენობას ჭარბობს, გუდაუთის რაიონია.

5. გუდაუთის რაიონში ცხოვრობს 61,1 ათასი კაცი. აქედან აფხაზია 47,1%, ქართველი – 11,6% (დანარჩენი სხვა ეროვნებანია).

თავად სოხუმში, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქია, სულ 101,2 ათასი კაცი ცხოვრობს. აქედან ქართველია 34,8%, აფხაზი – 7,2%. დანარჩენი სხვა ეროვნებანია. სოხუმშიაც აფხაზობა სრული უმცირესობაა.

ამრიგად, ეროვნულობის (რაც საბჭოთა ავტონომიურობის ძირითადი პრინციპია) თვალსაზრისით, აფხაზეთს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი არ ეკუთვნის.

როგორც მოკავშირე რესპუბლიკის, ისე ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი თითქოს იმას მეტყველებს, რომ მოხდა აფხაზეთა ეროვნული თვითგამორკვევა. მართლაც ფორმალურად აფხაზეთმა ენამ შეიძინა სახელმწიფოს, განათლების, კულტურის ენის ფუნქცია, მაგრამ ეს ფუნქცია მხოლოდ ქალაქებს არსებობს.

არავითარი ფაქტური გამოყენება არა აქვს.

სინამდვილეში აფხაზეთი ენა არ არის განათლების ენა. იმ სკოლებშიც კი, რომელთაც ოფიციალურად ეწოდებათ აფხაზეთი საშუალო სკოლა, აფხაზეთი ენაზე სწავლა მხოლოდ პირველ სამ წელიწადს, ე.ი. პირველ, მეორე და მესამე კლასებში მიმდინარეობს. მეოთხე კლასიდან კი ევლას საგანს უკვე რუსულ ენაზე ასწავლიან. მაშასადამე, აფხაზეთი საშუალო სკოლა ფიქციაა და აფხაზეთს მხოლოდ სამკლასიანი სწავლაა.

აფხაზეთი უმაღლესი სასწავლებელი ხომ არ არსებობს და არ არსებობს. ვერც ვერსადღეს იარსებებს, რადგან აფხაზეთი ენა არსებითად განუვითარებელი ენაა, რომელზედაც შეუძლებელია თანამედროვე რთული, სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა. ენაზე, რომელზედაც მეოთხე კლასის სახელმძღვანელოც კი ვერ იწერება, როგორ და რანაირად დაიწერება უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვანელოები? ამას არ ვლანაპარაკობ აფხაზეთი ენის შეურაცხყოფის მიზნით. დამერწმუნეთ, არა! ვაღიარებ მხოლოდ მწარე სინამდვილეს. ჩვენ გვიუვარს თავის მოტუება და ამას არასოდეს მოაქვს სიკეთე. ამიტომ უნდა ვაღიაროთ აფხაზეთი ენის ნამდვილი შესაძლებლობა. ეს ერთი მხარეა საკითხისა. მეორე მხარეა ის, რომ აფხაზეთა მეტისმეტი მცირერიცხოვნობის გამო სად უნდა იპოვონ აფხაზეთი ენის ამდენი მცოდნე, რომ უმაღლესი სასწავლებელი დაკომპლექტდეს აფხაზეთს მოლაპარაკე მეცნიერი-მედაგოგებით?

განათლების ენა მარტო სასწავლებლის ენას არ ნიშნავს. განათლების ენა ნიშნავს იმასაც, რომ ამ ენაზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს კულტურული კაცობრიობის ევლას მონაპოვარი. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ აფხაზეთს მარტო თარგმნილი არ არის უცხოელი მეცნიერების, მოაზროვნეების, ფილოსოფოსების, მწერლების თხზულებანი, აფხაზეთს მშობლიური ენის საშუალებით არ შეუძლია მეცნიერებულ საუკუნის დიდი რუსი მწერლების თხზულებათა ერთი პროცენტის წაკითხვაც კი. უფრო მეტიც, აფხაზეთი ენაზე არ არის თარგმნილი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ძირითადი თხზულებანიც კი. ასე ღარიბია აფხაზეთი ენა ლიტერატურით, მხატვრული იქნება იგი თუ მეცნიერული.

რა გამოიწვია იმან, რომ აფხაზეთი ენა არ არის განათლების ენა? აფხაზეთის, კულტურული თვალსაზრისით, გარუსება. განათლებული, წიგნის მოყ-

ვარული აფხაზი დიდი-დიდი ერთ თვეში გადაიკითხავს ვეელაფერს, რაც აფხა-
ზურად დაწერილა და თარგმნილა. მერე რა უნდა ჰქნას მან? მას სურვილი აქვს
გამოდებულ კონტაქტი ჰქონდეს წიგნთან. ეს მისი სულიერი მოთხოვნილე-
ბაც არის და პრაქტიკული აუცილებლობაც. რაკი მას აფხაზური ენა ამ მიმა-
რთულებით ვერ დააკმაყოფილებს, იგი მიმართავს იმ სხვა ენას, რომელიც მან
იცის. დღეს ასეთია რუსული ენა. რუსულ ენაზე, მოგეხსენებათ, ზღვა ლიტერ-
ატურა არსებობს, რომლის ამოწურვას ადამიანის რამდენიმე სიცოცხლეც კი
არ ეყოფა. ამდენად, რუსული ენა აწვდის აფხაზს უმდიდრეს სულიერ საზრდოს.
ასეთ პირობებში აფხაზი თანდათანობით ივიწყებს მშობლიურ ენას და
ითვისებს რუსულს.

პროვოკატორი აფხაზები ჩივიან, მართალია აფხაზეთის ოლქკომის
მდივნები აფხაზები არიან, მაგრამ აფხაზური ენა არ იცინაო. ამას ვერაფერი
შეცვლის, ამდენად ეს ამოა ჩივილია. ვინც უნდა დაინიშნოს აქ მდივნად, სუ-
ლერთია, ცოტა ხნის შემდეგ აფხაზური აღარ ეცოდინება. პრაქტიკულ საქმი-
ანობაში მას აფხაზური არ სჭირდება, კომუნისტური პარტია რუსულად
მუშაობს. სულიერად კი მას აფხაზური მწერლობა არაფერს ამღევს. განა ვინმე
ჰუშკინს ან ბლოკს გვერდზე გადადებს და შინკუბას ან თარბას ლექსებს წაი-
კითხავს? დოსტოვესკის „დანაშაულსა და სასჯელზე“ უარს იტყვის და
დ.გულიას „კამაჭიჭის“ კითხვით ღამეებს გაათენებს? განა მხატვრული
ხარისხის თვალსაზრისით, აფხაზურ ლიტერატურას შეუძლია რაიმე, თუნდაც
იოტი სოდენა მეტოქეობა გაუწიოს რუსულ ლიტერატურას? რა თქმა უნდა,
არა.

ამრიგად, დღეს აფხაზი სულიერ საზრდოს რუსული ენის საშუალებით
იღებს და, კულტურული თვალსაზრისით, იგი უკვე რუსია.

ასეთ პირობებში რას ნიშნავს სოხუმში უნივერსიტეტის გახსნის მოთ-
ხოვნა? ცხადია, რუსულ უნივერსიტეტს. როგორც ითქვა, აფხაზური ენა მხო-
ლოდ სამკლასიან სასწავლებელში სწავლის საშუალებას იძლევა და აფხა-
ზური უნივერსიტეტი გამოირიცხულია. ასევე გამოირიცხულია ქართული უნი-
ვერსიტეტი, რადგან აფხაზები ვეელაფერ ქართულ ფანატიკური სიძულვილით
ებრძვიან და გაასაკეცებელი ძალით გაილაშქრებენ ქართული უნივერსიტეტის
წინააღმდეგ. მაშასადამე, დარჩა ერთადერთი ვარიანტი – რუსული უნივერსიტე-
ტი. სოხუმში რუსული უნივერსიტეტი კი შეიქმნება როგორც აფხაზთა, ისე
ქართველთა გარუსების მძლავრ კერად.

სოხუმის რუსულ უნივერსიტეტში მუშაობაზე უარს არ იტყვის თითქმის
არც ერთი გამოჩენილი რუსი მეცნიერი-პედაგოგი. ამას განაპირობებს თუნ-
დაც სოხუმის დიდებული ადგილმდებარეობა.

სოხუმის რუსულ უნივერსიტეტს მიაშურებს არა მარტო აფხაზეთის ასსრ-
ში მოსახლე ქართველობა, არამედ მთელი დასავლეთი საქართველო, თუნდაც
იმიტომ, რომ მათთვის სოხუმში ახლოს არის და მკვარობის საკითხი

გაიოლდება. ცხადია ისიც, რომ იმ აბიტურიენტებს, ვისაც ქართული საშუალო სკოლა ექნებათ დამთავრებული რუსულ უნივერსიტეტში შესვლაც გაუჭირდებათ და სწავლაც. დანიშნება უკვე რუსული საშუალო სკოლისაკენ ლტოლვა. ქართული საშუალო სკოლა თანდათანობით დასუსტდება. სოხუმის რუსულ უნივერსიტეტს დიდი რაოდენობით ეყოლება როგორც იმიერ, ისე ამიერკავკასიიდან არააფხაზი და არაქართველი სტუდენტობა, სწავლა რუსულად, ურთიერთობა რუსულად, რადგან ეროვნულად ჭრელი სტუდენტობის ურთიერთობის ენა რუსული იქნება.

ასე ვახდება სოხუმის რუსული უნივერსიტეტი რუსიფიკაციის ბურჯი საქართველოში. ასრულდება ცარიზმის მოხელეთა სურვილი, გაეხსნათ თბილისში რუსული უნივერსიტეტი საქართველოს რუსიფიკაციის მიზნით, რასაც ასე თავკამეტებით ებრძოდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია.

თუ აფხაზურს არ ძალუძს იუოს განათლების ენა, მით უმეტეს არ შეუძლია იუოს სახელმწიფო ენა.

აფხაზური ენის გავრცელების არე მეტად ჰატარა. ეველა აფხაზმაც კი არ იცის აფხაზური. არააფხაზზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. დღევანდელ აფხაზეთის ასსრ-ში კი მოსახლეობა ჭრელია: ქართველები, რუსები, სომხები, ბერძნები, ესტონელები და ა.შ. ეველაფერს რომ თავი დავანებოთ, აფხაზები აფხაზეთის ასსრ-ის მოსახლეობის მხოლოდ 16%-ს შეადგენენ და განა 16%-ს შეუძლია საკუთარი ენა თავს მოახვიოს არააფხაზი მოსახლეობის 84%-ს? რა უნდა გააწეოს აფხაზურმა ისეთი კულტურული ენების წინააღმდეგ, როგორიც არის რუსული, სომხური, ბერძნული? დღევანდელ აფხაზეთის ასსრ-ში ეველასათვის გასაკები ენა არის რუსული, ამიტომ ეოველგვარი სახელმწიფო-ადმინისტრაციული საქმიანობიდან რუსულმა ადვილად გამოდევნა ქართულიც და აფხაზურიც. ამიტომ ტარდება რუსულად ეოველგვარი თავფრილობა-კრება, სხდომა, ჰლენუმი, კონფერენცია და ა.შ. ეველა საბუთი იწერება რუსულად. ერთმანეთთან ჰრატკიკული ურთიერთობის ენაც რუსულია.

ამრიგად, მიუხედავად კონსტიტუციაში ჩაწერისა, აფხაზური აფხაზეთის ასსრ-ის სახელმწიფო ენააო, არსებითად და ნამდვილად აფხაზური ენა ისევე დარჩა ჰატუა-ენად (შინასახმარ ენად), როგორც ეოველთვის იუო.

აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში, რუსულის გვერდით, აფხაზურისა და ქართულის სახელმწიფო ენებად ჩაწერა წმინდა წელის ფორმალობა და გაკეთებულია აფხაზების და ქართველების ცრუ ჰატვიმოვეარეობის დასაკამუ-ოფილებლად.

ეოველივე ზემორე თქმულს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ აფხაზთა ეროვნული თვითგამორკვევა არც საბჭოთა ხელისუფლების დროს მოძხდარა. ერთადერთი, რაც აფხაზებმა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ მიიღეს, არის ნაწილობრივი კულტურული ავტონომია, რადგან აფხაზური ენის მოვეარულთ აქვთ საშუალება აფხაზურად წერონ წიგნები, ბეჭდონ

ისინი, გამართონ წარმოდგენები. ამას იქით აფხაზური ენის გამოყენება ვერ წავა. არ არსებობს ობიექტური საფუძველი და იმიტომ.

არანაკლებ მძიმე მდგომარეობაშია აფხაზი სამეურნეო თვალსაზრისითაც. დღეს მეურნეობრივად აფხაზეთის ასსრ ვითარდება იმავე ტემპით, როგორც მთელი სსრკ. ეს ტემპი დღევანდელი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით ნაკარნახევი ტემპია და მისი შეჩერება-შენელება შეუძლებელია. აფხაზეთის ასსრ-ში შეჩერება ფაბრიკა-ქარხნები, ახალი საბჭოთა მეურნეობანი, ახალი საკურორტო კომპლექსები. უველათფერ ამას სჭირდება მუშახელი, მომსახურე ჰერსონალი. შეუძლიათ კი აფხაზებს საკუთარი ძალებით, სხვათა მიუშველებლად მათი დაკმაყოფილება? გულახდილად თუ ვიტყვით, არ შეუძლიათ. აუცილებელი მუშახელის მოთხოვნილებას აფხაზეთის ასსრ აკმაყოფილებს ქართველი, რუსი, სომეხი... ე.ი. არააფხაზი. ამიტომ არააფხაზი ელემენტი აფხაზეთში სწრაფად იზრდება. ამის გამო კლებულობს აფხაზთა ხვედრითი წონა. მათემატიკოსების ენით რომ ვთქვათ, თუ სამეურნეო თვალსაზრისით აფხაზეთი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება, დემოგრაფიულად აფხაზთა რიცხვი არითმეტიკული პროგრესიით იმატებს. ამ პროცესის შეცვლა შეუძლებელია და ამიტომ აფხაზთა ხვედრითი წონა თანდათანობით კიდევ უფრო შემცირდება.

ეს იმდენად მკაფიო პროცესია, რომ შეუძლებელია იგი აფხაზებს არ დაენახათ. მაგრამ დასკვნა უკუღმა გააკეთეს, მოითხოვეს - შეწუდესო აფხაზეთის ასსრ-ში ქართველთა ჩამოსახლება. ერთი წუთით დავუშვათ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ურადილო ეს აბსურდული მოთხოვნა და აუკრძალა ქართველებს აფხაზეთის ასსრ-ში ჩასახლება. მაშინ, მართალია, ქართველების ჩასახლება შეჩერდება, მაგრამ სხვა ხალხების ჩამოსახლება ხომ არ შეწყდება? არააფხაზური ეროვნული ელემენტის ზრდა ხომ მაინც არ შენელებს? თუ მერე აფხაზები მოითხოვენ სხვა ხალხების ჩასახლებაც შეწუვიტეთო? თუ ამას აპირებენ, მაშინ ახლავე აღიარონ, აფხაზებს გვეშინია გადაშენების და ამიტომ გამოუავით აფხაზთა ნაკრძალი, აფხაზთა რეზერვაცია და როგორც გადაშენების გზაზე დამდგარ ცხოველებს უვლით, ისე მოგვიარეთო ჩვენც. ეს უკვე საკითხის სხვაგვარი დასმა და ამასთანავე ეროვნული სიკვდილის აღიარებაც. ალბათ ამის აღიარება არ სურთ აფხაზებს. ეს ეროვნულ შეურაცხყოფადაც მიანინათ. ისინი ცოცხალ, შემოქმედ ხალხად თვლიან თავის თავს და რა რეზერვაციაზე შეიძლება ლაპარაკი? რაკი ასეა, მოთხოვნა - შეწუდესო აფხაზეთის ასსრ-ში ქართველთა ჩასახლება - სულელური მოთხოვნა და ამასთანავე ამით (ჩასახლების აკრძალვით) აფხაზთა ეროვნული მდგომარეობა არ შეიცვლება.

საინტერესოა, როცა აფხაზები ითხოვენ ქართველთა ჩასახლების შეწყვეტას, რას ფიქრობენ და რას უპირებენ აფხაზეთის ასსრ-ში მოსახლე 200 000-მდე ქართველს? როგორც ჩანს, ამაზე არ უფიქრიათ, დაუშვათ ჩვენ რამდენიმე ვარიანტი.

1. ვთქვათ, ერთ მშვენიერ დღეს, მოსკოვის (სხვას ამის გაკეთება არ შეუძლია) განკარგულებით, აჭარეს ეს ორასი ათასი ქართველი და სხვაგან გადასახლეს – მერედა, 200 000 ქართველის ნასახლარს როგორ აითვისებს 80000 აფხაზი? მითუმეტეს, რომ ამ 80000 აფხაზს თავისი სამოსახლო ადგილი უკვე აქვს. თუ აფხაზებს ჰგონიათ, რომ საბჭოთა ხელისუფლება 200 000 ქართველის ნასახლარს გაუდაბურებულს დატოვებს და ცარიელ ადგილას არავის დაასახლებს, აფხაზები არ შევაწუხოთო? 200 000 ქართველის ადგილს დაიკავენ თუ სხვა ერების წარმომადგენლები და თავისუფალი ადგილებიდან აფხაზებს თხის კუდიც არ დარჩებათ.

რა თქმა უნდა, ქართველთა აურა-გადასახლების ვარიანტი მსჯელობისთვის არის დაშვებული, თორემ რეალურად ეს უოვლად გამოირიცხულია. ამგვარი რამ გენოციდია და იგი სასტიკად დაგმობილია კულტურული კაცობრიობის მიერ. რასაც სტალინის დროს აკეთებდა საბჭოთა ხელისუფლება,* იმას დღეს მოსკოვი ვერასვით ვერ გაბედავს. **

2. შეიძლება ზოგიერთი აფხაზი ითვალისწინებს ქართველი კაცის ავადმყოფურ მისწრაფებას მძღარი ცხოვრებისაკენ და ვარაუდობს: შევუქმნით აფხაზეთის ასსრ-ში მცხოვრებ ქართველებს ცხოვრების აუტანელ ჰირობებს და ისინი გააფხაზდებიანო. ცხადია, ასეთი რამ დასაშვებია. შეიძლება ზოგიერთმა სულმდაბალმა ქართველმა მართლა ჩაიწეროს ჰასპორტში ეროვნებით აფხაზი ვარო, თუნდაც იმიტომ, რომ ლიმიტი მიიღოს და შეღავათით შევიდეს სამედიცინო ინსტიტუტში, მაგრამ ასეთი უმსგავსი საქციელი შეიძლება ჩაიდინოს მხოლოდ თითო-ოროლა ნაძირალამ და არა 200 000 კაცმა. ამგვარ თითო-ოროლა რენეგატს კი არაფრის შეცვლა არ შეუძლია.

200 000 ქართველის გააფხაზების დაუჯერებელი ვარიანტიც რომ დავუშვათ, ეს ხომ ნილაბი იქნება და არა სინამდვილე. „გააფხაზებული“ ქართველი ქართველ ერს მოაკლდება, მაგრამ აფხაზებს არ მიემატება. დღეს აფხაზეთის ასსრ-ში შექმნილი მდგომარეობის გამო „გააფხაზებული“ ქართველი ენით, სულით, შეგნებით, კულტურით რუსი გახდება და არა აფხაზი. რაც მთავარია, ასეთი ქართველი იქნება აფხაზის დაუძინებელი მტერი, რადგან იგი აფხაზთა ჭირვეულობამ აიძულა დაეგმო თავისი ეროვნება და სხვად ქცეულიყო. ასე „გააფხაზებული“ ქართველის ევლასე მტად უნდა ეშინოდეს აფხაზს. საკუთარ ეროვნებას სულმდაბალი ადამიანები გმობენ და სულმდაბლისგან ეოველგვარი სისამაგლეა მოსალოდნელი.

* გაისწიერო ჩეჩენ-ინგუშების, ეირიძელი თათრების და სხვათა აურა-გადასახლება.

1993 წლის 31 ივლისის მინაწერი: მოვტუვდით ქართველთა გენოციდი რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთში ჩაატარა. გაეროს ზონაში ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილი ამოწვიტეს, მეორე კი აჭარეს და გააძევეს მშობლიური მიწა-წყლიდან. კულტურული კაცობრიობა თურმე რუსეთის ძელის ზრისსპირ მიმით ცახცახებს.

3. კიდევ ერთი კითხვა: როგორ აპირებენ აფხაზები აფხაზეთის ასსრ-ში ხოვრები 200 000 ქართველის ბუნებრივი გამრავლების შეჩერებას?

მაშასადამე, იმ მოთხოვნებს, რასაც აფხაზი პროვოკატორები აუენებენ, რთველთა და აფხაზთა ურთიერთობის მოგვარება არ შეუძლია. ზიანი კი შეიძლება მოიტანოს კატასტროფული, როგორც ერთი ხალხის, ისე მეორისთვის.

ვინც საკითხს დაკვირვებით შეისწავლის, მკაფიოდ დაინახავს, რომ კახათა ეროვნულ თვითარსებობას ქართველთა მხრიდან საფრთხე არ ელის. სას, ეველა ზემოთქმულის გარდა, ადასტურებს ისიც, რომ 1864 წლიდან მოალებული დღემდე აფხაზები კი არ გაქართველებულან, არამედ გარუსდნენ.) პროცესის არდანახვა ელემენტარული სიბრძავეა. მაშინ რამ აამხედრა ასე ასტიკად აფხაზები ქართველთა წინააღმდეგ? აფხაზი მოსახლეობის ფართო ენის პოლიტიკური მიამიტობის გამო, აფხაზები იოლად წამოეგნენ რუსი-კატორი პროვოკატორების ანკესს.

„აფხაზურ ჭირველობას“ რომ მოსკოვი წარმართავს, ამას ადასტურებს ემდევი:

1. როდის იწუებენ აფხაზები გამოსვლას? როგორც წესი, მაშინ, როცა ქართველოში ეროვნული ღირსება გაიღვიძებს. ასე იყო წინათ, ასე მოხდა .978 წლის აპრილშიც. ეველამ იცის, რომ 1978 წლის მარტ-აპრილში ქართველი ხალხი იცავდა თავის ეროვნულ ღირსებას. რუსიფიკატორების გადაწვეტილებით საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტიდან ამოიღეს ქართული, როგორც სახელმწიფო ფუნქციის მატარებელი ენა. ეროვნული ღირსების დასაცავად თბილისში დაიწყო დიდი სახალხო მღელვარება, რომელიც ქართველი ახალგაზრდობის მძლავრი დემონსტრაციით დამთავრდა, რის შედეგადაც ქართველი ხალხი გადაურჩა გაუგონარ დამცირებას. სწორედ აი ამ კრიტიკულ სიტუაციაში დაიწვეს აფხაზებმა გამოსვლები და წამოაუენეს თავიანთი მოთხოვნები. ამით უნდოდათ რუსიფიკატორებს ქართველი ხალხის ეურადლება გადაეტანათ აფხაზეთისაკენ და გაეპარებინათ ქართველი ხალხის დამამცირებელი კონსტიტუცია.

2. როცა „აფხაზური ჭირველობის“ გამო სოხუმში სიტყვა თქვა სკკპ ცკ მდივანმა კანიტონოვმა, აღნიშნა, რომ აფხაზთა მოთხოვნები „ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ჩვენი პარტიის ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას.“ *

მაცერი შეფასებაა, მაგრამ რატომღაც ამ ანტილენინური ეროვნული პოლიტიკის მოთავეთავან არავინ დაუსჯიათ. როდის აქეთ არის, რომ საბჭოთა ხელისუფლება ასე აღერსიანად ექცევა ანტილენინური პოლიტიკის თავკაცებს? რამ გამოიწვია აფხაზთა მიმართ ასეთი გულჩვილობა და ღმობიერება? თუ კანიტონოვის სიტყვები ნილაბი იყო მოვლენის ნამდვილი არსის დასამალავად? ასე იყო. სხვანაირი ახსნა მოსკოვის აღერსს აფხაზთა მიმართ არ ეძებ-

ნება.

სხვათა შორის, იმავე კანტონოვს, როცა იგი სოხუმში მიტინგებზე გამოდიოდა, აფხაზებმა რადიორეპროდუქტორის ზონარი გადაუჭრეს და მიტინგზე თავშეურილ ხალხს არ ესმოდა რას ლაპარაკობდა სკკპ ცკ მდივანი. არც ამკვარ ხულიგნურ საქციელს გაუბრაზებია „მოსკოველი ამხანაგები“. ესეც გულმშვიდად აიტანეს.

3. „აფხაზური ჭირვეულობის“ სამი მოთავე კომპარტიიდან გარიცხა და სამსახურიდან მოხსნა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მაშინდელმა მდივანმა ხინთბამ. თან თავის მოხსენებაში ხინთბამ აფხაზი პროვოკატორები ასე დაასახლიათა:

„არ დასჯერდნენ რა წერილის შედგენას, მისმა ავტორებმა გააჩაღეს „მჩქეფარე საქმიანობა“ ამ წერილზე ხელმოწერის შესავრთველად, იუენებდნენ რა ამისათვის მანკიერ მეთოდებს. გააჩაღეს დემაგოგიაც, „პატრიოტული მოწოდებებიც“ და უველანზე უბრალო მოტყუებაც. მე ვადასტურებ ამ უკანასკნელს, რადგან წერილის შინაარსის შესწავლის პროცესში და ამ წერილზე ხელმომწერ ადამიანებთან საუბრისას გამოირკვა, რომ მისი შემდგენლები იუენებდნენ მთელ რიგ ზირებისგან, მათ შორის შრომის და ომის ვეტერანებისგან ხელმოწერის ზირდაპირ გამოძალვას, აჩვენებდნენ რა, მათ წერილის სხვადასხვა ვარიანტებს. კიდევ მეტიც, დადგენილია, რომ ზოგიერთი ხელმოწერა უბრალოდ ფალსიფიცირებულია.“ *

როგორც ხედავთ, პროვოკატორები იმსახურებდნენ სისხლის სამართლის სასჯელს. მაგრამ სინამდვილეში რა მოხდა? საქართველოს კპ ცკ-მა პარტიიდან გარიცხული და სამსახურიდან მოხსნილი პროვოკატორები პარტიაშიც აღადგინა და სამსახურშიაც ჩააყენა, ხოლო ხინთბამ მოხსნა და მის მანკიერ სხვა დანიშნეს. რატომ? თუ ხინთბას სიტყვები სწორი არ იყო და ცილს სწამებდა პატროსან ადამიანებს, მაშინ ხინთბას გადმოუვანა საქართველოს კპ ცკ განყოფილების გამგედ შეუძლებელი იყო, რადგან ცილისმწამებელსა და მატყუარას რა უნდა საქართველოს კპ ცკ აპარატში? თუ ხინთბამ უველაფერი სინართლე თქვა, მაშინ რას ემართლებოდნენ მას და რატომ მოხსნეს იგი? ამ კითხვას ადვილად გაცემს პასუხს უველა, ვინც იცის სკკპ ცკ მუშაობის წესი. თუმცა, რომელმა დაკვირვებულმა საბჭოთა მოქალაქემ არ იცის ეს!

აი, რა მოხდა: როცა აფხაზმა პროვოკატორებმა მუშაობა გააჩაღეს, საქართველოს კპ ცკ გაბრაზდა და აჩქარებულმა ხინთბას უბრძანა – პარტიიდან გაერიცხა ისინი და სამსახურიდანაც მოეხსნათ. ხინთბამ თბილისიდან მიღებული ბრძანება მაშინვე შეასრულა. მაშინ პარტიიდან გარიცხული და სამსახურიდან მოხსნილი აფხაზი პროვოკატორები მოსკოვში გაიქცნენ და კრემლს შეიჩიველეს – თქვენს დავალებას ვასრულებთ, იქ კი პარტიიდან გვარიცხავენ,

* ვ. ს. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1978 წ., 21 მარტი, №55.

სამსახურიდან გვხსნიან და გვაუბედურებენ. გვიშველეთო რამე. მაშინ მოსკოვ-
მა სასწრაფოდ უბრძანა საქართველოს კპ ცკ-ს – ახლავე ვეელანი აღადგინეთ
პარტიაში, დააბრუნეთ სამსახურში და თქვენი აჩქარებით გამოწვეული შეცდო-
მა გამოასწოროთო. შიშით თავსარდაცემულმა საქართველოს კპ ცკ-მა აფხაზი
პროვოკატორები მაშინვე აღადგინა პარტიაში, სამსახურში დააბრუნა, ხოლო
შერცხვენილი და გაბითურებული ხინთბა თბილისში ვადმოიუვანა, რაკი მას
აფხაზეთში აღარ დაედგომებოდა.“ *

ესეც უშუალოდ შეტყველებს იმას, რომ აფხაზ პროვოკატორებს მოსკო-
ვის კალთა აფარია.

4. თბილისში პარტიულ კრებებზე წაიკითხეს საქართველოს კპ ცკ ბი-
უროს 1978 წლის 5 სექტემბრის დადგენილება, რომელიც კრძალავს უოველ-
გვარ შეკრებას, მიტინგებს, თავურილობებს, კოლექტიურ წერილებს. მიიჩ-
ნევს ამით ანტისაბჭოურ საქმიანობად.

ასეთ დადგენილებას თავისით, მოსკოვის უკითხავად თბილისი ვერ მი-
იღებს. როგორც ვეელასათვის ცნობილია, მოსკოვის ნებართვის გარეშე
საქართველოს კპ ცკ ვერ დაამთქნარებს. დადგენილებას როგორღა მიიღებს?
ამიტომ იბადება კითხვა – თუ მართლა თვითნებური კრებები და თავურილობე-
ბი არ მოსწონთ, რატომ აწრილ-მაისში არ მიიღეს ეს დადგენილება, როცა
უოველი ხის ძირში აფხაზებს მიტინგები ჰქონდათ გამართული და მიიღეს
მაინცდამაინც სექტემბერში, როცა ქართველებს მოთმინების ფიალა აევისოთ
და მათაც დაიწვეს გამოსვლა? ჰასუსნი ადვილია. აწრილ-მაისში აფხაზთა გა-
მოსვლები მოსკოვისთვის ხელსაყრელი იყო, რადგან ქართველთა წინააღმ-
დეგ იყო მიმართული, ხოლო სექტემბერში ქართველთა გამოსვლა უკვე აღარ
იყო მოსკოვისთვის სასურველი, რადგან ეს ქართველთა გამოფხიზლებას მოწ-
მობდა. ამასთანავე გამორიცხული არ იყო, რომ გამოსვლებს უფრო ფართო
ხასიათი მიეღო და სოხუმს გარდა საქართველოს სხვა ქალაქებშიც მომხ-
დარიყო. ამიტომ სასწრაფოდ მიიღეს დადგენილება, სადაც ცხელი ტყვიით
იმუქრებიან, თუ ქართველები გამოსვლას ვაბედავენ.

5. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად პროვოკაციული გამოხდომები
ხდება გუდაუთის რაიონში, გუდაუთის რაიკომის მდივანი არხენიანდ გრძნობს
თავს და ოდნავადაც არ გრძნობს ჰასუსნი სმკებლობას. არც არავინ თხოვს.
ფორმალურად საბჭოთა იდეოლოგია ხალხთა მეგობრობის ქადაგებაა. გუდაუ-
თის რაიონში სწორედ ხალხთა მეგობრობის საწინააღმდეგო გამოხდომები
ხდება. რაიონის ხელმძღვანელობა კი ამ ანტილენინური ეროვნული პოლი-

დააკვირდით, როგორ ჰგავს ეს ნაწილ-ნაწილ დაქუცმაცებულ ფეოდალურ საქართველოში
მომხდარ ამბებს. როცა ირანის შაჰის, ან თურქეთის სულთანის ხელქვეითი ქართველი მეფე
ღალატისთვის რომელიმე თავადს დასჯიდა, იგი ირანს ან თურქეთს ვარბოდა. იქიდან წააღობით
ავსებული ბრუნდებოდა და ქართველი მეფეც იძულებული იყო ეს მოღალატე თავადი უკან
პატივისცემითა და აღურსით მიეღო.

ტიკისათვის ჰასუნს არ აგებს. რატომ? იმიტომ, რომ მოსკოვის მითითებით აკეთებენ ამას.

ამრიგად, „აფხაზთა ჭირვეულობის“ მამომრავებელი ძალა ცნობილია. იგი მოსკოვია. ამ ჭირვეულობით მოსკოვი საქართველოში ქმნის დესტაბილურ მდგომარეობას. არსებითად სწობს ქართველთა ეროვნული მიზნით გაერთიანების შესაძლებლობას. აფხაზთა სახით მოსკოვს მომარჯვებელი აქვს დანა, რომელსაც მაშინვე ჩასცემს საქართველოს ზურგში, როგორც კი ქართველები დააპირებენ ეროვნულ გამოფხინვლებას.

ასეთი სამარცხვინო მისია დააკისრეს მოსკოვმა და აფხაზმა პროვოკატორებმა აფხაზ ხალხს. ამიტომ მოსკოვის პროვოცირებული „აფხაზური ჭირვეულობა“ ერთდროულად არის მიმართული როგორც აფხაზი, ისე ქართველი ხალხის წინააღმდეგ. ამიტომ როგორც ქართველებს, ისე აფხაზებს ღრმა დაფიქრება მართებთ, ფხიზელი და ცივი გონებით უნდა განჭვრიტონ რას აკეთებენ.

ქართველმა ხალხმა უნდა გაიგოს, რომ აფხაზეთის საკითხი არ არის მარტო ერთი კუთხის პრობლემა. აფხაზეთის საკითხი საქართველოს მდგომარეობის სასინჯი ქვაა. საემარისია საქართველომ აფხაზეთის საკითხი წააგოს, რომ ამას მაშინვე მოჰყვება საქართველოს ოსებით, აზერბაიჯანელებით, სომხებით დასახლებული კუთხეების პრობლემა. მაშინვე დაიწყება ოსთა, აზერბაიჯანელთა, სომეხთა გამოსვლები. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, თუ აფხაზეთის საკითხი წავაგეთ, წავაგებთ ოსების, აზერბაიჯანელების, სომხების საკითხსაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისედაც პატარა საქართველოსგან არაფერი დარჩეს; საქართველო დამარცხდეს ისე, როგორადაც არ დამარცხებულა იგი არასოდეს თავისი გრძელი ისტორიის მანძილზე – არსებითად გაქრეს. ამიტომაც აფხაზეთის საკითხი მთელი საქართველოს ფიქრის, ზრუნვის და მოქმედების საკითხი უნდა იყოს.

უოველი ერის ცხოვრებაში არის ჰეროდო, როცა ქვეყნის და ხალხის ბედი თავად მთელმა ერმა უნდა გადაწვიტოს. იგი არ უნდა ელოდოს რა გადაწვეტილებას გამოიტანს ოფიციალური მთავრობა, ოფიციალური ხელმძღვანელები. დღეს საქართველოს კვ ცკ-ს არ შეუძლია აფხაზეთის საკითხის მოსაგვარებლად რაიმე არსებითი და ქმედითი გადაწვეტილება გამოიტანოს. თბილისმა იცის, რომ „აფხაზური ჭირვეულობა“ პროვოცირებულია მოსკოვის მიერ და ამიტომ სკკპ ცკ-ის შიშით საქართველოს კვ ცკ ხელფეხსეკრულია. ამიტომ აქ სიტუვა ქართველმა ხალხმა უნდა თქვას.

უკვე ნათელია, რომ აფხაზთა საკითხი არ გადაწუდება საქართველოს სასარკებლოდ, რაკი „აფხაზთა ჭირვეულობას“ მოსკოვი წარმართავს. ამიტომ ქართველმა ხალხმა, რომლის ეროვნული და სახელმწიფო ღირსება შეურაცხყოფილი და დამცირებულია, უნდა ერთხმად, ერთსულოვნად მოითხო-

ას სსრკ-დან გასვლა. ამის უფლება ეველა მოკავშირე რესპუბლიკას, ცხადია, თ შორის საქართველოს, მიცემული აქვს სსრკ კონსტიტუციით.

სხვა გამოსავალი არა აქვს საქართველოს. აშკარად და მკაფიოდ ჩანს, რომ ასკოვი არ იცავს საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტს. ასეთი დამოკიდებულების ერთადერთი ჰასუსია სსრკ-დან გასვლა. მაშინ საქართველო თვითონ მოუვლის თავის თავს და თვითონვე გადაწყვეტს თავის სამინაო საკითხებს. არ დაელოდება სხვის მოწყალებას.

თუ საქართველო, ქართველი ხალხი არ დადგება ასეთ პრინციპულ პოზიციას, მას მოელის უდიდესი მარცხი, რომელიც იქნება დასაწყისი ქართული სახელმწიფოს გაქრობისა.

1978 წ.



რა ელის საქართველოს?

დამეხსენი ჩრდილოელო!...
რა მაქვს შენთან საზიარო?
თვით ოხერო, მოუვლელო,
როგორ უნდა მოძიარო?...

შენი ტუვე ვარ, მაგრამ ჩემ გულს
ანუგეძებს ის იმედი,
რომ ოდესმე შენს ცხრაკლიტულს
მთლად დაღეწავს ჩემი ბედი!

აკაკი წერეთელი

XX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი დგას. უკან თუ მივიხედავთ, დავინახავთ, რომ XX საუკუნე დაჩაგრულ, დამონებულ ერთა განთავისუფლების, დამოუკიდებლობის მოპოვების ასწლეული უოფილა. უველგან, მთელ მსოფლიოში კოლონიურმა ხალხებმა გამოიღვიძეს, განთავისუფლდნენ. საკუთარი, თავისუფალი, ეროვნული სახელმწიფოები შექმნეს. ხალხთა განთავისუფლების ეს პროცესი მსოფლიოს საერთო პრინციპად იქცა და გაეროს (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის) პროგრამა გახდა. ახლა მსოფლიოში არ არის სახელმწიფო, არ არის პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც ამ პროცესს ებრძოდეს, კოლონიალიზმს იცავდეს და ერთა თავისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდეს. არც შეიძლება იყოს. ეს პროცესი განუსრულად მიდის წინ და მისი უკუქცევა შეუძლებელია. ეს არის XX საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის უდიდესი მიღწევა და გამარჯვება.

ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც ჯერჯერობით ინარჩუნებს კოლონიებს, რუსეთია. რუსმა კომუნისტებმა ოსტატურად გამოძენეს ნიღაბი – სსრკ, – რომლის საშუალებით რუსეთი ჯერ კიდევ ახერხებს გულუბრუნელო, მიაპიტი ადამიანების მოტყუებას, თითქოს სსრკ მართლაც თავისუფალი ერების თანასწორუფლებიანი კავშირი იყოს. გონებაფხიზელება, საქმის მცოდნე

ადამიანებმა რუსეთშიაც და უცხოეთშიც კარგად იცინან, რომ სსრკ არის რუსეთის კომუნისტური იმპერია, სადაც არც ერთ ხალხს, გარდა რუსებისა, ეროვნული თავისუფლება არა აქვს.

თვითონ რუსმა კომუნისტებმა უწოდეს რუსეთს ხალხთა სახერობილე. მართალია ეს საშინელი სახელი მეფის რუსეთს დაარქვეს, მაგრამ მსახლწერილი „მეფის“ მოვლენის არსს არ ცვლის. მას აქვთ, რაც რუსეთმა მონღოლთა უღელი გადაადგო, იკი მხოლოდ და მხოლოდ სხვათა დამპყრობი და მხაგრელია. ამ ძველ გზას ადგას იგი დღესაც. შემთხვევითი არ ეოფილა, რომ მეფის რუსეთს ევროპის ქანდარმს ემახდნენ. როგორც ცერბერი იდგა იგი აღმოსავლეთ ევროპის კართან და თუ სადმე თავისუფლების გამოვლენას დაინახავდა, მაშინვე სისხლში ახრჩობდა. თავად ლენინი აღიარებდა - *Никто так не угнетал поляков, как русский народ. Русский народ служил в руках царей палачом польской свободы.* მართალია ლენინი ცარიზმს აბრალებდა რუსეთის ევროპის ქანდარმად გადაქცევას - *Проклятый царизм превращал великороссов в палачей украинского народа,*** მაგრამ ეს მარტო ცარიზმის ბრალი არ იყო. განა ცარიზმმა შელება სისხლით 1956 წელს უნგრეთი და 1968 წელს ჩეხოსლოვაკია? განა სსრკ-ის ტანკები არ სრესდნენ უდანაშაულო ბავშვებს, ქალებს და მოხუცებს ბუდაპეშტის და ჰრადის ქუჩებში? განა კომკავშირელმა და კომუნისტმა სალდათებმა და ოფიცრებმა არ გაელიტეს მიაშიტი ქართველი ბავშვები 1956 წლის 9 მარტს თბილისში? რა შუაშია აქ ცარიზმი? იგი დიდი ხანია უკვე აღარ არსებობდა. მაგრამ ცარიზმს არ გაჰყოლია თან დიდმპყრობელი შოვინიზმი. იგი დარჩა, უფრო გაიზარდა და გამდიერდა. დღეს რუსეთი ევროპის ქანდარმიდან მსოფლიოს ქანდარმად გადაიქცა. ეს მოხდა სწორედ ლენინის პარტიის წუალობით, სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რაკი ბოლშევიკური გადატრიალების ერთ-ერთი მიზანი რუსეთის იმპერიის გადარჩენა და შენარჩუნება იყო. მსოფლიო რევოლუციის იდეა, რასაც ბოლშევიკები ქადაგებდნენ, ქვეტექსტით გულისხმობდა რუსეთის მსოფლიო იმპერიის შექმნას. კაცმა რომ თქვას შექმნეს კიდევ. მთელი აღმოსავლეთ ევროპა, ვიეტნამი, კამბოჯა, ჩრდილოეთ კორეა, კუბა, რუსეთის ურმოჭრილი უმაა.

ვის არ წაუკითხავს საბჭოთა პრესაში წამდაწუმ ნახსენები ფორმულა - საბჭოთა მოქალაქეების ინტერნაციონალური და პატრიოტული ვალი. რას გულისხმობს ამ ფორმულის ნამდვილი შინაარსი? ინტერნაციონალური ვალი ნიშნავს დიდმპყრობელი რუსის უფლებას ჩაერიოს ყველა ქვეყნის საშინაო საქმეში და იქაური ამბები გადაწვიტოს რუსეთის სასარგებლოდ. ინტერნაციონალისტია ის არარუსი (სადაც უნდა ცხოვრობდეს იგი), ვინც კომუნისტური იმპერიის საკეთილდღეოდ იბრძვის. პატრიოტიც ის არარუსია, ვინც

* Ленин. Сочинения. т.24, 4-ое изд. стр.264

** Ленин. Сочинения. т.25, 4-ое изд. стр.74

სსრკ-ს ერთგულია და თავის სამშობლოს ინტერესებს სსრკ-ს ანაცვალებს. თორემ სხვა ეროვნული სურვილიც თუ გამოამჟღავნე, მაშინ ბოროტმოქმედი გახდები. აღარც ინტერნაციონალისტი იქნები და აღარც პატრიოტი, მაშინვე დაკარგავ უველა ადამიანურ თვისებას. იმრე ნადი გონებაზეხლდული შოვინისტი, ინტერნაციონალიზმის მტერი და ბოროტმოქმედი იყო, რაკი არ უნდოდა უნგრეთში საბჭოთა იმპერიის ბატონობა. იანომ კადარი ინტერნაციონალისტი და პატრიოტია, რადგან 1956 წელს სსრკ-ის ჯარს შეუძღვა უნგრეთში და უნგრელთა ამბოხი სისხლში ჩაახშო. დუბიკიც უტვინო ნაციონალისტი იყო, რაკი რუსეთისაგან თავისუფალ ჩეხოსლოვაკიაზე ოცნებობდა. ჰუსაკი კი პატრიოტი და ინტერნაციონალისტია, რადგან კომუნისტურ იმპერიას ერთგულებას უფიცება და ჰპირდება, ჩეხოსლოვაკია სამუდამოდ სსრკ-ის ემა იქნებაო (სხვათა შორის, სსრკ-ის შიში იმდენად ფანატიკურია, რომ ზოგჯერ ადამიანს აბსურდს ალაპარაკებს. მაგალითად, ჩეხოსლოვაკიის კპ ცკ მდივანი ფოტიკი ერთ თავის წერილში ჰყვება ვასული საუკუნის 70-იან წლებში ჩეხი მუშა-რევოლუციონერების მოღვაწეობაზე და ამბობს, ისინი ქადაგებდნენო მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს." ლენინი კი ამ დროს აკვანში კოტრიალობდა არხენად).

ინტერნაციონალისტობის და პატრიოტობის ამგვარ გაგებაში არაფერია მოულოდნელი და გასაკვირი. რუს კომუნისტებს არასოდეს უფიქრიათ რუსეთის იმპერიის დანგრევა. პირიქით, მისი გაძლიერებისათვის და განმტკიცებისათვის იბრძოდნენ მუდამ. რუს კომუნისტებს ორი ამოცანა ჰქონდათ დასახული – რუსეთში სოციალისტური სისტემის შეცვლა და რუსეთის იმპერიის განმტკიცება სოციალისტური სისტემის საშუალებით. მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ორივე ამოცანა ზედმიწევნით ზუსტად შეასრულეს. მარქსიზმსა და სოციალიზმს რუსეთში ივივე როლი უნდა შეესრულებინა, რაც ქრისტიანობას – რომის იმპერიაში. რომის იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ნაკარნახევი იყო იმპერიის მძიმე მდგომარეობით. ამით ფიქრობდა კონსტანტინე კეისარი დარღვეული იმპერიის იდეოლოგიურად შეკავშირებას, განმტკიცებას. ეს ამოცანა ქრისტიანობამ მთლიანად ვერ შეასრულა. რომის იმპერია მანც გაიყო და დაიშალა. დულაბი სჭირდებოდა რღვევის გზაზე დამდგარ რუსეთის იმპერიასაც. ეს დულაბი აღმოჩნდა სოციალიზმი და მარქსიზმი. რუსმა კომუნისტებმა ჭკვიანურად გამოიყენეს მარქსიზმიცა და სოციალიზმიც. რუსეთის იმპერია არა მარტო დაშლას გადაარჩინეს, არამედ გააძლიერეს კიდევ. დღეს სსრკ-ად მონათლული რუსეთი მსოფლიოს თავზარს სცემს. კომუნისტების ეს დამსახურება დადასტურა ცნობილმა მონარქისტმა და პროლეტარული რევოლუციის დაუძინებელმა მტერმა: მუღჯინმა. სრუშოვის მოწვევით იგი უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა და

რასეც ოცნებობდა, განხორციელებული ნახა. რუსეთის კომუნისტური იმპერი-
ის აღორძინებამ დაუძინებელი მტრები შეარჩია. ორივესთვის ნათელი გახდა,
რომ ერთი მიზნისაკენ მიდიოდნენ, ოდონდ სხვადასხვა გზით.

მკითხველმა უთუოდ იცის, რომ რუსებს ერთი თოჯინა აქვთ. „მატრიოშ-
კას“ ეძახიან. მისი თავისებურება ის არის, რომ ერთი დიდი თოჯინის მუცელ-
ში რამდენიმე პატარა ტიკინა ზის. ტიკინები ბევრია, მაგრამ, გარდა ზომისა,
ისინი ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდებიან. ეველაფერი ერთნაირი აქვთ
და ზედმიწევნით ჰგვანან ერთმანეთს. „მატრიოშკა“ ძალიან პოპულარულია
და უცხოელები რუსეთის სიმბოლოდაც კი აღიქვამენ. სწორედ ამ თოჯინის
პრინციპით არის მოწყობილი სსრკ. რუსეთი ეველაზე დიდი „მატრიოშკა“,
რომელსაც მუცელში უზის თოთხმეტი სხვადასხვა ზომის ტიკინა-რესპუბლი-
კა – უკრაინით დაწყებული სომხეთით დამთავრებული (არაფერს ვამბობთ
უფრო პატარა ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებსე).

სსრკ ეოველგვარად ცდილობს, ეველა ღონეს ხმარობს, რომ სხვადასხვა
ეთნიკური წარმომავლობის, სარწმუნოების, ენის, ისტორიის, კულტურის,
ზნე-ჩვეულების ერები რუსეთსა და რუსებს დაამსგავსოს. მოსპოს მათ შორის
განსხვავება. უნდა საქმე იქამდე მიიყვანოს, რომ თუ ვინმე სსრკ-ის მუცლიდან
რომელიმე ეწ. მოკავშირე რესპუბლიკას ამოიღებს, პაწია „მატრიოშკას“
მსგავსად ხელთ პატარა რუსეთი შერჩეს. სსრკ-ის ეს დაუოკებელი სურვილი
ეველგან და ეველაფრით ვლინდება. სსრკ შექმნის 50-ე წლისთავისადმი მიძღუ-
ნილ სხდომასე ბრეჟნევი ამბობდა:

„რაც უფრო ინტენსიურია თვითოეული რესპუბლიკის ეკონომიკური და
სოციალური განვითარება, მით უფრო მკაფიოდ ვლინდება იქ მთელი ჩვენნი
ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პროცესი. ავიღოთ, მაგალითად,
სწრაფად მზარდი საბჭოთა ეახახეთი. ახლა იქ ეახახებთან ერთად ცხოვრობს
მილიონობით რუსი, ასიათასობით უკრაინელი, უზბეკი, ბელორუსი და ა.შ.
ეახახეთის კულტურა ვითარდება და მდიდრდება, სულ უფრო და უფრო მეტად
ითვისებს რუსული, უკრაინული და სხვა კულტურებიდან ეოველივე საუკეთე-
სოს. ცუდია ეს თუ კარგი? ჩვენ, კომუნისტები, გულდაჯერებით ვახახუხობთ:
„კარგია, ძალიან კარგი!“ *

იქნებ გავბედოთ და ვიკითხოთ – ვისთვის არის კარგი? რა თქმა უნდა –
კომუნისტური იმპერიისათვის.

ეახახეთი თავისი ენითა და კულტურით ვერ მოერევა რუსულ ენასა და
კულტურას. სხვადასხვა ენისა და კულტურის მექანიკური შერწყმა არ ხდება და
რალაც მესამე არ მიიღება. ამის მაგალითი კაცობრიობამ არ იცის. ხდება მხო-
ლოდ ერთის გამარჯვება და მეორის დამარცხება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში
მოხდება ეახახურის, როგორც სუსტის, დამარცხება და რუსულის, როგორც

* გაზ. „კომუნისტი“, 1972 წ., 22 დეკემბერი, №298.

უფრო ღონიერი, გამარჯვება. ეს გამარჯვება კი უახსნეთის გარუსებას ნიშნავს, რაც რუსი ბრყენვისათვის, ცხადია „კარკია, ძალიან კარკი!“

თუ ეს „ძალიან კარკი“ მხოლოდ კომუნისტური იმპერიის სარგებელს არ გულისხმობს, მაშინ რატომ არ უშვებენ ციმბირის უხარმაჯარ დაუსახლებელ ტერიტორიაზე ჩინელებს? ჩინელებიც ხომ მოიტანენ თავიანთ უძველეს და უძაღლეს კულტურას? ვითომ ჩინურ კულტურასთან კონტაქტი რუსულს არ გაამდიდრებს? თუ რუსულ კულტურასთან ურთიერთობა უახსურისათვის მაცოცხლებელი წყაროა, ჩინურს რა ღმერთი გაუწერება, რუსულს ვერაფერი შესძინოს? თუ მილიონობით რუსის უახსნეთში ცხოვრება აუწერელი ბედნიერებაა, რატომ არის მილიონობით ჩინელის რუსეთში ცხოვრება გაუგონარი უბედურება? შეიძლება ხმაძაღლა თქმა არ უნდათ, მაგრამ გულში ხომ იცის რუსეთმა, რომ იგი ვერასოდეს აითვისებს, დაასახლებს ციმბირს. ამისათვის მოსახლეობის რაოდენობა არ ეუოფა. BAM-ის აშენება ამას ვერ უშველის. როცა საქმე ჩინეთს ეხება, მაშინ სად დაიკარგა და გაიპარა რუსი კომუნისტების აკვიტებული „პროლეტარული ინტერნაციონალიზმი“ ან „ხალხთა ურთიერთდაახლოება?“ ეს ცნებები ჩინეთის თანაგრძობას რატომ არ გულისხმობს? ვინ არ იცის, როგორ იხრჩობა ჩინეთის მოსახლეობა ტერიტორიის სივიწროვის გამო! თუ ეროვნულად აღრეული მოსახლეობა დიდი ბედნიერება და ინტერნაციონალიზმია, რატომ არ ეკებება რუსეთი ხელგამწილი ჩინელების ციმბირში მოსვლას და ცხელი ტყვიით უმასწინძღდება მათ? საქმე ის განხლავთ, რომ რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობის დროს „პროლეტარული ინტერნაციონალიზმი“ და „ხალხთა ურთიერთდაახლოება“ საკითხს ჩინეთის სასარგებლოდ გადაწვეტს.

ამჟამად რუსეთს სსრკ-ში დიდი უპირატესობა აქვს. იგი უფრო დიდი და მრავალრიცხოვანია, ვიდრე სხვა რესპუბლიკები. რუსული ენაც უფრო ძლიერია, ვიდრე სხვა ენები. ეველა ერი, რომელიც დღეს სსრკ-ში ცხოვრობს, რუსეთის დაპრობილია. ამის გამო რუსეთი მათ ბატონად გრძნობს თავს. როგორც კი რუსეთი გზას გაუხსნის ჩინეთს და მას ციმბირის ტერიტორიაზე შემოუშვებს, ერთბაშად დაკარგავს ეველა უპირატესობას. მოგესხენებათ, ჩინეთი ბევრად უფრო მრავალრიცხოვანია და ამდენად ბევრად უფრო ღონიერი, ვიდრე რუსეთი. ჩინური ენაც უფრო ძველია, კულტურისა და უხარმაჯარი ლიტერატურის მქონე, მრავალსაუკუნოვანი. ჩინური კულტურაც მაშინვე გადაუღაპავს რუსულ კულტურას. დადგება რუსების გაჩინელების პრობლემა. რუსეთს სხვების გარუსება ეოცნებებათ, თორემ რუსეთის გაჩინელების შავი ჭირივით ემინათ. აი, რატომ ივიწუებს რუსეთი ჩინეთთან დაკავშირებით პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა დაახლოების „მომხიბლავ იდეებს“.

მაშასადამე

ცნებებით - „პროლეტარული ინტერნაციონალიზმი“ და „ხალხთა

ურთიერთდაახლოება“ – შენიღბულია ველიკოდერჟავნიკური რუსული შო-
ვინიზმი.

ეს ცნებები რუსეთს არსად, არც ერთხელ არ გამოუყენებია სხვა ხალხის
სასარგებლოდ.

1945 წლის გამარჯვების შემდეგ რუსეთმა გერმანიას წაართვა აღმოსავ-
ლეთ ჰრუსია. კანტის მშობლიურ ქალაქს – კაონიგსბერგს კალინინგრადი
უწოდა და მიითვისა. თუ რუსები მართლა არიან ინტერნაციონალისტები, მა-
შინ რატომ არ უბრუნებენ სოციალისტური გერმანიის დემოკრატიულ რეს-
პუბლიკას აღმოსავლეთ ჰრუსიას კაონიგსბერგითურთ? აღმოსავლეთ ჰრუსია
ხომ უძველესი გერმანული ტერიტორიაა!

მაგრამ რუსი კომუნისტების ლოგიკით, თუ გერმანელები საკუთარ ტერი-
ტორიას დაუბრუნდნენ, ეს იქნება ნაციონალიზმის აღორძინება, ხოლო, თუ
აღმოსავლეთ ჰრუსიას რუსეთი ჩაიჯიბავს, ეს – პროლეტარული ინტერნაციო-
ნალიზმის გამოვლენა.

მოლდავეთი ეთნიკურად, ენით, კულტურით რუმინეთის ნაწილია. არც
სოციალისტურ რუმინეთს უბრუნებენ რუსები მოლდავეთს. თუმცა მოლდავე-
ლებს უნდათ ეს. რატომ? ისევ რუსი კომუნისტების ლოგიკით, თუ მოლდავე-
თი რუმინეთს შეუერთდება, ეს იქნება რუმინული ნაციონალიზმის გამაგრება,
ხოლო, თუ მოლდაველებს გაარუსებენ, ეს – პროლეტარული ინტერნაციო-
ნალიზმი და ხალხთა ურთიერთდაახლოება.

იაპონიის კომუნისტურ პარტიას ღია წერილით მიუძმართავს სკაპ-სთვის.
იაპონელი კომუნისტები ითხოვენ, დაუბრუნოს რუსეთმა იაპონიას ძალით
წართმეული კურილიის კუნძულები. ამის პასუხად რუსმა „ინტერნაციონა-
ლისტებმა“ დატუქსეს იაპონელი კლასობრივი ძმები და პარტიული თანამო-
აზრეები – როგორ ბედავთ და ითხოვთ, სოციალისტურ სახელმწიფოს ჩამო-
ერთვას ტერიტორია და კაპიტალისტურ სახელმწიფოს გადაეცესო. ეს ხომ
პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საშინელი დარღვევაა.*

ასე თვალთმაქცურად იეჩნებს რუსული კომუნისტური შოვინიზმი ცნებებს
– „პროლეტარული ინტერნაციონალიზმი“ და „ხალხთა ურთიერთდაახლოე-
ბა“.

საერთოდ, თვალთმაქცობა რუსი კომუნისტების ერთ-ერთი ქმედითი
იარაღია. მაგალითად, თუ რომელიმე აფრიკელი ზანგი ან აფრიკელი ინდიე-
ლი გაფრანგდება, ან გაინგლისელებს, რუსები ერთ ვაი-უძველებელს და
დავიდარბაზს ასტყენენ. დაარქმევენ ამას რასობრივ დისკრიმინაციას, ეროვნულ
ჩაგვრას, თავისუფლების დათრგუნვას და ა.შ. ხოლო ქართველი, სომეხი ან

* „Правда“, 1977 წ., 12 იანვარი, №163 იხ. წერილი „Вопреки интересам мира и добрососедства“.
იმ ქვეყანაში, სადაც ვითომ კონსტიტუციით გარანტირებული სიტუაციის თავისუფლება, სხვა ქვეყნის
კომუნისტების წერილი არ დაბეჭდეს. მხედრად რუსების პასუხით თუ ვაჯებ კაცია, რა სურთ
იაპონელ კომუნისტებს.

უზბეკი თუ გარუსდება, ეს კაცობრიობის ბედნიერი მომავალია და ეროვნული საკითხის ერთადერთი საუკეთესო გადაწყვეტა. სად არის აქ ლოგიკა? არსად. სამაგიეროდ უხვად არის თვალთმაქცობა და ორპირობა.

ეს ორპირობა მკაფიოდ გამოავლინეს სსრკ-ის კონსტიტუციასა და ჰიმნში.

კონსტიტუციაში ნათქვამია:

„უოველ მოკავშირე რესპუბლიკას დატოვებული აქვს სსრ კავშირიდან კასვლის უფლება“ (თავი III, მუხლი 72).

ჰიმნში მღერიან:

**Союз нерушимый республик свободных
сплотила навеки Великая Русь.**

თუ სსრკ **нерушимый**-ა და **навеки** შეკრული, მაშინ რაღა გასვლანზე შეიძლება ლაპარაკი? ცხადია, არაფითარზე. ვერც ვერავინ ფიქრობს ამ გასვლანზე. ქართული მარქსისტ-ლენინელი თუთიუუშივით იმეორებს – „დიდმა რუსმა ხალხმა სამუდამოდ შექმნა „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი მშური.“ * კონსტიტუციის ციტირებული მუხლი მორიგი სიცრუეა. უფრო გულანხდილ რუსებს უთქვამთ კიდევ, ეს ცრუ მუხლი გავაუქმთოთ. ამას ბრეჟნევა უპასუხა, ნაადრევიანო. „ურღვევია საბჭოთა ხალხების მეგობრობა. კომუნისტური მშენებლობის პროცესში განუხრელად მიმდინარეობს მათი დაახლოება, მათი სულიერი ცხოვრების ურთიერთგამდიდრება. მაგრამ ჩვენ საშიშ გზას დავადგებოდით, ხელოვნურად რომ დაგვეწყო ერების დაახლოების ამ ობიექტური პროცესის დაჩქარება. ამის თაობაზე ჩვენ დაქინებით ვაფრთხილებდა ვ.ი.ლენინი და მის ანდერძს ჩვენ არ გადავალთ.“ **

შესაშური გულანხდილობაა. ბრეჟნევს არ უთქვამს, ამ მუხლის გაუქმება უკანონობა და სხვა ერების ნაციონალური ინტერესის უგულვებელყოფააო. მან ნათლად თქვა, ერების დაახლოების (წაიკითხეთ – გარუსების) პროცესის დაჩქარება საშიშიაო. მოვიცადოთ, სულერთია, ვერსად გაგვექცევიან და მინც რუსების კერძი განდებიანო. თუ აფჩარდით, ხომ შეიძლება ეროვნულმა თავმოკვარობამ გაიღვიძოს და მაშინ საქმე გართულდება. ლენინიც ამას გვანწავლიდა – ნუ იჩქარებთ, რამდენადაც ფრთხილად ვიმოქმედებთ, იმდენად ზუსტად მივალწევთ საწადელს.

ეს აზრი უფრო ადრე გაცილებით მკვეთრად გამოთქვა ბრეჟნევა – „ეროვნული საკითხი გადაწყდა მთლიანად, გადაწყდა საბოლოოდ და შემოუბრუნებლად.“ *** ამით ეველა არარუსს გადაჭრით უთხრა – ნურაფრის იმედი გქნებათ, სამუდამოდ რუსების ემები ხართო.

* ვ.ი. მერკვილიძე, „ერთიანი, მძლავრი“, გაზ. „კომუნისტი“, 1977 წ., 1 სექტემბერი, №204.

** ვ.ს. „კომუნისტი“, 1977 წ., 5 ოქტომბერი, №233

*** ვ.ს. „კომუნისტი“, 1972 წ., 29 დეკემბერი, №298

ესეც შენი „პროლეტარული ინტერნაციონალიზმი“!
ყოველივე შემოთქმულიდან ერთადერთი დასკვნა გამოდინარეობს:
ართველოს კარდაუკვალი გარუსება ელის, თუ იგი არ იზრუნებს თავისთავზე
ბრმად მიენდობა ბედისწერას.

ნუთუ ქართველი ხალხი იმდენად გულუბრვეილოა, იმდენად უზრუნველი
უდარდელი, რომ გარუსებისათვის გასწირავს თავის სამიათასწლიან ის-
რიას, უძველეს ენას; და კულტურას, მისი საუკეთესო შვილების საუკუნეე-
ს მანძილზე დაღვრილ სისხლს?

ნუთუ ქართველი ხალხის ეროვნული შეგნება ზანგების და ჰაზუსების
ოჯნულ შეგნებაზე დაბალია? ნუთუ ეს შესაძლებელია? თუ შეუძლებელია,
ინ რად ვდუმვართ და მიცვალებულის მოთმინებით ველოდებით გაურკვე-
ულ მომავალს? „რა უნუგემო ეოფნაა წელთა სვლა მხოლოდ მზერაში“ (ვაჟა-
ფშაველა).

ნუთუ ქართველმა ხალხმა დღემდე ვერ გაიგო და ვერ ირწმუნა, რომ
სეთს საქართველოში, ქართველთა გარუსების გარდა, სხვა მიზანი და ამოცა-
არ ჰქონია? ნუთუ არ ახსოვს კლასიკური სიცხადით ჩამოყალიბებული
არმულია – „люблю Грузию, только под властью России“! *

მე-19 საუკუნის რუს მოღვაწეებს ვერ დავუძღვრებთ. მათ არასოდეს დაუ-
ღავეთ თავიანთი ნამდვილი მიზანი. ისინი ამას საქვეყნოდ წერდნენ, საკმარი-
ა გავიხსენოთ „ქართველთა მეგობრად“ ცნობილ ველიჩკოს ოცნება –
зумыное обрусение края, რადგან საქართველო რუსეთს присоединился
бровольно, безусловно и навсегда. **

ნუთუ კიდევ არის რაიმე საჭოჭმანო? თუ საქართველო რევაზ ინანიშვი-
ის მოთხრობის – „ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები“ – ჰერსონაჟს
ვეინარის ბიჭს დაემსგავსა?

კრწანისში დამარცხებულ ერეკლე მეორეს ანანურის ციხეში ერთი ჭაბუ-
ეასლდება. ამ ემაწვილს „მზევიანარის ბიჭს“ ემახნდა მთელი სოფელი. მზევი-
არის ბიჭს არ სჯერა, რომ სწარსელებს ქართველების დამარცხება შეუძლიათ
მეფეს ევედრება, ბრძოლად მოგვიხმეო. მეფე ბიჭს დაამშვიდებს, დაუევავებს
დაპირდება – დრო მოვა და ლაშქრად აუცილებლად დავიძახებო.

ეს მოთხრობა ასე მთავრდება:

„ოთხმოცი წლის შემდეგ კი ანანურზე გამავალი სამხედრო გზის ჰირას
იხრად იდგა ხოლმე ვეებათავიან კომბალზე დაურდნობილი, მთლად ვათეთ-
ქბული უსინათლო მოხუცი, რომელიც უოველ შემოთამველელს კეითხებო-
ა, დაძმახებელი ხომ არა ხარ ქალაქიდანო. ვინც მოხუცს არ იცნობდა, ვერ
დებოდა, ვინ დამძახებელი უნდა ეოფილიყო, მაგრამ ვინც იცნობდა, ეტეოდა

• ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, 1966 წ., კვ. 342.

დააკვირდით, როგორ ჰგავს მონარქისტ ველიჩკოს навсегда საბჭოთა ჰომის ნავიკი-ს.

– არა, დამძახებელი არა ვარ, მსევენარის ბიჭო, – და თავჩაღუნული სევ-
დაშემოწოლილი განაგრძობდა გზას.

მოხუცს ქინთა-ქინთად ქვეული ახალუხის ჯიბის ჰირზე სამი რუსული
ძველი მედალი ეკიდა – გამურულ ქვაბზე დაღვენთილი წმინდა სახთლის ფე-
რისა“.

ამ უსაშველოდ მიამიტ კაცს ოთხმოცი წელი ისე გაეპარა, რომ ვერ მიხე-
და, როგორ შეჭამა ცარისტულმა იმპერიამ მისი დამძახებელნიც და ის ქვეყანაც,
რომლის დასაცავად ასე მიისწრაფვის. შეჭამა იმ იმპერიამ, რომლის სამსახურ-
ში, როგორც ჩანს, სისხლი დაუღვრია და, მადლიერების თუ დაცინვის ნიშნად,
სამი ჟანგიანი ქეტონიც დაუმსახურებია.

მსევენარის ბიჭივით ნუთუ ქართველმა ხალხმა თითქმის ორი საუკუნის
მანძილზე ვერ გაიგო – სად არის მტერი და სად მოეგარე? ნუთუ იგი მსევენა-
რის ბიჭივით ნამდვილ მტერს ერთგულად ემსახურება და თან დამძახებელს
ელის არარსებული დუმანის წინააღმდეგ სალაშქროდ?

დაუჯერებელია, რომ რუსთაველის ერი ასე დაჩაღუნდა. მაშ რამ დაამუნ-
ჯა იგი? ტოტალურმა შიშმა, თორემ ჭკუათმოფეღ ქართველთა შორის არავინ
იქნება, ვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა არ უნდოდა, მისი თავისუფ-
ლება არ ენატრებოდა. მაგრამ ეს ფიქრი ამკარად ვერ უთქვამს, ვერ გაუბედავს.
ბევრი ეჭვობს კიდევ, სულ ერთია, რუსეთს მანც ვერ დავაღწევთ თავს და ამი-
ტომ უკეთესია ჩუმად ვიყოთ. თავი მოვიკატუნოთ, რუსეთის მამობრივ მზრუნ-
ველობაზე ვილაუბოთ. ამით მოფუქონოთ თავი და ეს წუთისოფელი როგორმე
გავათრიოთო. ასეთი აზრის პატრონებს ავიწელებათ, რომ მარადიული ნიღ-
ბის ტარება სპობს ქართველში ეროვნულ ღირსებას, სიამაყეს. უქმნის მონის
ფსიქოლოგიას. აკარგვინებს ადამიანის სახეს. და ბოლოს, ისიც საკითხავია,
რა სჯობს – ერთხელ შეჭმა თუ შეჭმის დაუსრულებელი მოლოდინი.

„ერთხელ ჰირუტევიც კი დაიბლავლებს, როცა ბოსელს მოაშორებენ და
გაუიდან. ჩვენ კი სამშობლო დაგვარგეთ... ადამიანობა თუ აღარ შეგწევთ, მაშინ
ჰირუტეობა მანც შეძელით და ერთხელ მანც დაიბლავლეთ“ (კ.ლორთ-
ქიფანიძე. ასე ეწერა „ძირის სიმინდის რესპუბლიკის“ ჰირველ ვარიანტში).

დაფიქრდით, ხალხო, რა დღეში ვართ და რას დავჰმსგავსეთ!

განუკითხავად და დაუზოგავად გავგვლიტეს 1924 წელს!

გაკვალატაკეს და გადაგვასახლეს კოლექტივიზაციის ჰერიოდში.

1936-38 წლებში ციხეებსა და ციმბირის კატორღაში ამოწვიტეს ქართვე-
ლი ხალხის დიდი ნაწილი.

1941-45 წლების ომის დროს კავკასიონის ხეობები ამოავსო ქართველთა
გვამებმა. ეირიძთან ზღვა შეადედა და აღმოსავლეთ ევროპის ველები დაფარა
ჩვენი ბიჭების ცხედრებმა.

ომის მერე დაჭერების და გადასახლების ახალმა ტალღამ წაგვლევს.

1953 წლის შემდგომ სრუშროვმა ციმბირში ქართველთა მთლიანი ვად-
აღების გეგმა შეადგინა. მაგრამ იმდენად გიჟური იყო ეს განზრახვა, რომ
აი განხორციელება ვეღარ გაბედეს. სამაგიეროდ შინ მოკვივზავნეს აკენტე-
რომელნიც დაუღალავად გვიქადაგებდნენ გარუსდითო.

სხვათა შორის, სრუშროვის ეს გეგმა პირდაპირი ვაკრმელება იყო მეფის
ქსეთის განზრახვის. მეფის რუსეთის და რუსი კომუნისტების სურვილები
აც დაემთხვა ერთმანეთს. ცნობილი სოციალ-დემოკრატი ჰ.კელეიშვილი
იამბობს ერთი ბარათის შესახებ, რომელიც გიორგი წერეთელს მიუწერია
ნატე ნინოშვილისათვის:

„თუ ჩვენ ჩვენს პოლიტიკურად დაჩაგრულ ვარემოებას არ მივაქციეთ
რადღება და ვიუვირეთ, საქართველოსა და რუსეთს შუა საზღვარი არ უნდა
ოსო, ქართველი და რუსი ერთიანო, ამით ძალმომრეობაზე დამდგარი რუსე-
ისარკებლებს და გვეტყვიან, როგორც ახლა კიდევ ვეუბნებიან: თქვენ ადე-
თ და ციმბირში გადასახლდით, იქ ბევრი ადგილებია და ფართოდ, გაშლი-
ად იცხოვრებთო. რას აკედებით მაგ საქართველოს სრიოკ ადგილებს, როცა
ქვენ სამ დესეტინაზე მეტი არ მოკდითო. სოციალური ჰრინციპი მოითხოვს,
ომ ვეელას თანასწორი ადგილ-მამული მიეცეს. მაშასადამე, თქვენ მანდებან
ურეთ და ციმბირში ვაფართოვდით, თქვენ მაგიერად ვადმოვივანთ და
ავასახლებთ მანდ ველიკორუსის ხალხს, ვაფართოებულად და მაშინ ვეელა-
ბედნიერად იცხოვრებთ, რადგანაც ვეელას თანაბარი საკმაო ადგილ-მამუ-
ლი გექნებათ განაწილებული; რას მიქვია ეროვნება, რა საჭიროა ქართველო-
ბა, თქვენც რუსები ხართ, ჩვენც რუსები, მხოლოდ თანასწორად ვადავინაწი-
ლოთ ადგილ-მამული, ასე რომ, იმ სოციალურ ჰრინციპს რომ ვავევეთ,
როგორც თქვენ მიბრძანეთ, რუსები ჩვენ ადგილ-მამულს დავატოვებინებენ
ათ თვითონ მოიკალათებენ ზედ.“

უკვე მე-19 საუკუნის ბოლოს მიმხვდარა ვ.წერეთელი, რომ ეროვნული
ოლიტიკის თვალსაზრისით, მეფის რუსეთსა და კომუნისტურ რუსეთს შორის
ანსხვავება არ იქნებოდა. ქართველთა გარუსებას რუსი კომუნისტები ისევე
ოისურვებდნენ, როგორც რუსი მონარქისტები.

ნუთუ დღეს ჩვენ იმდენად დაფილუნგდით, რომ იმის დანახვაც არ შეგვიძ-
ლია, რაც ასე ნათლად დანახა ვ.წერეთელმა რუსული კომუნისტური მოძრაო-
ბის დასაწყისში?

დღეს სიტყვა „ქართველიც“ კი იდევნება. დააკვირდით სულ უბრალო
ჩამეს, ქურნალების სახელს – „საქართველოს კომუნისტი“ (და არა „ქართვე-
ლი კომუნისტი“), „საქართველოს ქალი“ (და არა „ქართველი ქალი“) და
ა.შ. საქართველოს სსრ კონსტიტუციასაც საქართველოს ხალხი აცხადებს და
არა ქართველი ხალხი. თითქოს უბრალო გრამატიკული შეცდომაა. არ მო-

ტუფდეთ. აქ უფრო ღრმა აზრია ჩაფლული. ამით მტკიცედ გვეუბნებიან, რომ „საქართველო“ მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინია. ამ ტერმინით აღინიშნება ჭრელი ხალხი, რომელიც აქ მოსახლეობს, სულ ერთია, რუსი იქნება იგი, სომეხი, აზერბაიჯანელი თუ ქართველი. არავითარი ქართველი ვერ არ არსებობს. „საქართველოს“ სახელით არსებობს გეოგრაფიული სივრცე, სადაც ნაირ-ნაირი ხალხი სახლობს.

ფეხბურთის სტადიონიც კი არ კადრულობს დღეს ქართულად საუბარს. თბილისის „დინამოს“ სტადიონის ელექტროტაბლოზე ერთი სიტყვაც არ იწერება ქართულად. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ სტადიონის განსნის დღეს 75 ათასმა კაცმა ერთხმად უსტვინა ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენელს, როცა მან რუსულად დაიწყო ლაპარაკი, ხოლო ტაშის გრიალით შესვდა აკად. ვ.კუზნეცის, რაკი მან ქართულად წარმოთქვა სიტყვა. თუ ხედავთ, რა დღე დაკვდვოდა ჩვენს სამშობლოში, ჩვენს დედაენაზე მეტყველება ოფიციალურ კრებებსა და მიტინგებზე იმდენად სანატრელი გამხდარა, რომ ქართულად მოლაპარაკეს ტაშით ვეგებებით.

გადაათვალიერეთ ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურა, განსაკუთრებით ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკური დარგების, ძირითადად რუსულად იწერება. ასში ერთ წიგნს თუ შეხვდები ქართულად დაწერილს. როცა იკითხავ, რატომ ხდება ეს, ტერმინოლოგიის უქონლობას მოიძიებ. სასაცილო თავისმართლებაა. რა მეცნიერებაა ის მეცნიერება, რომელიც მშობლიურ ენაზე ტერმინოლოგიას ვერ შექმნის! ქართული მეცნიერება იმიტომ კი არ არის ქართული, რომ ამა თუ იმ მეცნიერს ქართული გვარი აქვს, არამედ იმიტომ, რომ ქართულ ენაზე იქმნება სამეცნიერო ლიტერატურა.

ქართველ კომუნისტთა ელიტა ხომ არ კადრულობს და არ კადრულობს ქართულად ლაპარაკს, თუძცა ვაი ამ უკადრისობას! თუ ქაღალდი არ უჭირავს ხელში, არ კითხულობს, ორ სიტყვასაც ვერ მიაბამს ერთმანეთს. საკმარისია თავი ასწიოს, ქაღალდს თვალი აარიდოს, რომ საცოდავად ალუღლუღდეს. იძულებულია ისევ დაწუნებულ ქართულს მიმართოს, რომ ვინმეს რაიმე გააკუბინოს.

რა ქნას? დიდძალობელმა რუსმა უბრძანა, ქართულად კრინტი არ დასძრაო და ქართველი კომუნისტიც ოფლში იწერება, რომ ბატონის განკარგულება ერთგულად შეასრულოს. თუ არ შეასრულებს, „ინტერნაციონალისტი“ რუსი მაშინვე ჭიტლაეს ამოჰკრავს და გააგდებს. ჰოსტი რომ შეინარჩუნოს (არადა ჰოსტი თავს ურჩევნია), იძულებულია სხვისი დაწერილი ტექსტი ხალხში გაიზუთხოს და მერე ტრიბუნაზე თავადაც ეწამოს და სხვაც დატანჯოს.

კვატუებენ, ქართული ენა სახელმწიფო ენააო. თუძცა ამ ფორმალური უფლების, რომელსაც პრაქტიკულად არავინ ახორციელებს, მოცემაც არ უნდათ. მხოლოდ ქართველი ახალგაზრდების უმაგალითო თავგანწირვამ შეგვინარჩუნა ეს ცრუ უფლება. აქაც მკაფიოდ გამოძვლანდა ქართველთა გარუსების

მკაფიო პოლიტიკა. ქართველი ახალგაზრდობის დემონსტრაციამ 1978 წლის 14 აპრილს ნათლად გასცა პასუხი რუსიფიკატორებს – ჩვენ ვიცით რუსეთის ნამდვილი მიზანი და ამიტომ არ ვაძლევთ საშუალებას ჩამოართვათ ქართულ ენას სახელმწიფო ენის ფუნქცია, თორემ ვინ არ იცის საბჭოთა კონსტიტუციის ლიტონი მუხლების ჭეშმარიტი აზრი, ვინდ უოფილა 75-ე მუხლი კონსტიტუციაში, ვინდ არა.

თორემ შეიძლება სახელმწიფო ენად ითვლებოდეს ენა, რომელზეც არც საქართველოს კვ ცე-ში, არც საქართველოს მინისტრთა საბჭოში არც ერთი დოკუმენტი არ იწერება? არც ერთი მოსხენება არ იკითხება?

განა შეიძლება სახელმწიფო ენად მიიჩნიო ენა, რომელზეც ბანკი ოპერაციებს არ აწარმოებს, ფოსტა-ტელეგრაფი არ მუშაობს, რომელსაც რკინიგზა, ფაბრიკა-ქარხნები არ იყენებს?

საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფს ქართული ასოები არა აქვს და ქართულად დაწერილ დეპეშებს რუსული ასოებით ბეჭდავს. ამის გამო გამოდის რაღაც ჩიქორთული ტექსტი, რომელსაც ვერც გამკ საზანი და ვერც მიძლები ვერ იკებს. განა ამაზე სასაცილო და სატირელი მდგომარეობა შეიძლება არსებობდეს? ნუთუ ნახევარი საუკუნის მანძილზე სატელეგრაფო აპარატურის ქართული ასოებით აღჭურვა ვერ მოხერხდა? მოხერხდებოდა, მაგრამ ეს ხომ ქართული ენის პატივისცემა იქნებოდა, მისი განმტკიცება გამოვიდოდა. ამას როგორ გააკეთებენ, როცა მიზანი ქართული ენის გაძევება და დაკნინებაა.

საქართველოს არ გააჩნია უბრალო, ელემენტარული საბეჭდი მანქანების მრეწველობა. აუცილებლად რუსული მანქანა უნდა იყიდო. მერე რუსული ასოები ქართულით შეცვალო და ასე ვაივაგლახით კუსტარულად გამართო მანქანა. ის, რაც დღეს მსოფლიოში უოველი ადამიანისათვის იოლად ხელმისაწვდომია, ქართველებისათვის ოცნების და წვალების საგანია.

უამრავი ქართველით სავსე უსარმაზარ აუდიტორიაში ერთი რუსიც რომ შემოვიდეს, ორატორი მაშინვე რუსულად უნდა აღაპარაკდეს, რათა უკმაყოფილო არაუინ დარჩეს. თვითონ იმ დიდმჭერობელ რუსს კი არც აღზრდა, არც შეგნება არ ეუოფა იმისა, რომ განაცხადოს – ერთი კაცის გულისათვის ნუ შეურაცხყოფთ საზოგადოებას, ნუ დაიმცირებთ თავს, ნუ დაკნინდებით, გაავრძელოთ ლაპარაკი ქართულად და მე მოვანხერხებ აქ ნათქვამის გაკებასო. გავიგონიათ! უდიდესი სიამოვნებით უუურებს ჩვენს დამცირებას და ირონიული დიმილით უგდებს უურს. როგორ ამტყრევს ქართველი რუსულს.

რა თავისუფლებაზე და რა სახელმწიფო ენაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ქართულ პრესას, რადიოს, ტელევიზიას არც ერთი კორექსიონდენტი არ ჰეავს საზღვარგარეთ! არც აქვს უფლება ჰეავდეს. მხოლოდ მოსკოვის გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობების გადმობეჭდვაა ნებადართული.

რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო, ამბობს ანდაზა. იმას რა სჯობს, როცა რამდენიმე ენას ფლობს კაცი, მაგრამ უდიდეს პროტესტს იწვევს, როცა

ჩვენს მიხედვით, რუსული მეორე მშობლიური ენააო. როგორც არ შეიძლება აღ-
მიანს ორი დედა ჰყავდეს, ასე არ შეიძლება ორი დედაენა ჰქონდეს. ეს ანბანური
კემპარიტებაა, მაგრამ ორი დედაენის გამო იმიტომ ლაუბობენ, რომ მოიარე-
ბით ვკუთხებიან – ქართული დაივიწყეთ და რუსული ისწავლეთო, დედას ხელი
ჰკარით და დედინაცვალი იწამეთო. 1977 წლის სექტემბერში, ახალი სასწავ-
ლო წლის დაწყების წინ, ქართულმა გაზეთებმა ჰლაკატები და სურათები გა-
მოაქვეყნეს. ჰწია გოგო და ბიჭი ენატა. ერთს „დედაენა“ ეპურა ხელში, მე-
ორეს – „Русское слово“. პროპაგანდისტებმა ასე გაათანაბრეს ქართული და
რუსული. ამ გათანაბრების მომავალი ამოცანა ის არის, რომ „დედაენა“
გააძვიროს და მარტო „Русское слово“ დატოვონ. მერე იტყვიან, საქართველოში
განათლებამ ისეთ ძალად დონეს მიღწია, რომ ქართული აღარ ვეჭირდება და
რუსულად ვისწავლოთო. არავის ეგონოს, რომ ეს ჩვენი ნაადრევი დასკვნაა.
ამის საფუძველს ზემოთ მოხსენიებულ ჰლაკატებს ვარდა, კვამლევს წიგნი –
„Проблемы двуязычия и многоязычия“, რომელიც 1972 წელს გამოსცა სსრკ
აკადემიამ (წიგნი მიძღვნილია სსრკ შექმნის 50-ე წლისთავისადმი). იქ ნათქ-
ვამია, რომ 3.245 ათასი ქართველიდან ქართული მშობლიურ ენად მიაჩნია
98,4%, ხოლო რუსულს თავისუფლად ფლობს 21,3%. 4,380 ათასი აზერ-
ბაიჯანელიდან მშობლიურ ენად აზერბაიჯანული მიაჩნია 98,2%, ხოლო
რუსულად თავისუფლად ლაპარაკობს 16,6%. 3.559 ათასი სომეხიდან სომხურს
მშობლიურ ენად თვლის 91,4%, ხოლო რუსული თავისუფლად იცის 30,1%.
ამ ცნობებით, ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკებში ჯერჯერობით მშობლიური ენის
მდგომარეობას თითქოს არა უშავს რა. მაგრამ გაცილებით ცუდად არის საქმე
ე.წ. ავტონომიურ რესპუბლიკებში. მაგალითად, 83 ათასი აფხაზიდან აფხაზურს
მშობლიურ ენად მიიჩნევს 95,9%, რუსულად თავისუფლად ლაპარაკობს 59,2%.
60 ათასი ბალეარელიდან ბალეარული მშობლიურ ენად მიაჩნია 97,2%, ხოლო
რუსული თავისუფლად იცის 71,5%. 158 ათასი ინგუშიდან ინგუშურს მშობ-
ლიურ ენად თვლის 97,4%, ხოლო რუსულს თავისუფლად ფლობს 71,2%. ასეა
სხვაგანაც.

როგორც ხედავთ, ავტონომიურ რესპუბლიკებში რუსულის ცოდნა თითქ-
მის გათანაბრებია მშობლიური ენის ცოდნას. ლიტერატურული ტრადიცია კი
ამ რესპუბლიკებში ძველი არ არის, ახალგაზრდაა და უღონო. აბა, ბავრატ
შინკუას ან ჟაისინ უელიევს როგორ შეუძლიათ ებრძოლონ ჰუმკინის, დოს-
ტოევსკის, ტოლსტოის ან სხვათა გავლენას. ძალები მეტისმეტად უთანაბროა.
თანამედროვე რთული სამეცნიერო ლიტერატურა ხომ არსებითად არ არსე-
ობს ამ მცირერიცხოვანი ხალხების ენაზე. ისინი იძულებული არიან მეც-
ნიერების აბა თუ იმ დარგს მხოლოდ რუსული ენის საშუალებით დაეუფლონ.
ამკვარად, კულტურული თვალსაზრისით, ავტონომიურ რესპუბლიკებში
გარუსება უკვე მომხდარა. ისინი ჯერჯერობით მხოლოდ ეთნიკურად ინარ-
ჩუნებენ ქრონიკულ სახეს. ახლა მოსკოვის ამოცანა ის არის, რომ ეს გარუსება

კულტურული თვალსაზრისით) მოხდეს მოკავშირე რესპუბლიკებშიც. ქორეა აქეთკენ მოწოდებაა ზღაპრები, რომლებზეც გათანაბრებულია ღედაენა“ და „Русское слово“, როგორც კი მშობლიურ ენას გაუთანაბრდება უსული, მოკავშირე რესპუბლიკებშიც დამთავრდება გარუსების ჰირველი ეტა-) – კულტურული თვალსაზრისით გარუსება და დაიწება მეორე ეტაპი – ეთ- აკური თვალსაზრისით გარუსება. აქეთკენ მოწოდებაა შერეული ქორწინებ- ს ქადაგებაც. საქმეს აადვილებს ის, რომ კულტურულად გარუსებული ერი თნიკური გარუსების ანკესზე უფრო იოლად წამოეკება.

ეს დასკვნა რომ სწორია, გაზეთმა „კომუნისტაც“ დაადასტურა.* იგი ერდა – „1936 წელს ჩვენს ქვეყანაში (სსრკ-ში) 22 ავტონომიური რესპუბლი- ა იყო, ახლა ოცია. ავტონომიური ოლქების რიცხვი 9-დან 8-მდე შემცირდა.“

როგორც ხედავთ, 40 წლის მანძილზე სრულიად გამქრალა ორი ავ- ყონომიური რესპუბლიკა და ერთი ავტონომიური ოლქი. კითხვის დაუსმელა- აც გასაკებია რატომ, გარუსებულან და იმიტომ. რაკი გარუსდნენ, ცხადია, ათი ავტონომიურობაც საჭირო აღარ იყო. ასევე გამქრალა რამდენიმე როფნული ოკრუგი, ოლონდ სტატიაში არ აღუნიშნავთ – რამდენი...

სხვათა შორის, ეს ტენდენცია და მიმართულება სომხის ფხიზელმა ჭკუამ სშინვე შეამჩნია და 1968 წელს ტოკიოში საერთაშორისო ეთნოგრაფიულ კონგრესზე წინადადება შეიტანა, საერთაშორისო ენად სომხური ენა გამო- კაცხადოთ.** მიაიმტ მკითხველს შეიძლება გაეცინოს, სომხებს ეს რა უქნი- ათო, მაგრამ ნუ შეხედავთ ამას ასე ზერელედ. ვინც ეს წინადადება შეიტანა, კარ- გად იცოდა, რომ ამას არავინ დაეთანხმებოდა, მაგრამ ამით ეველას გასაკონად თქვა – თუ სომხური ისეთი ენაა, რომ საერთაშორისოდაც კი გამოდგება, მაშინ რატომ უნდა მოსწოს იგი რუსულმა? თან სომეხ ხალხს მოუწოდა, ამ ძვირფას ენას მოუარეთო.

ქართული ენის დამცირების ფაქტია ისიც, რომ როცა ვინმეს რაიმე თანამ- დებობაზე უპირებენ დანიშნას, უპირველესად ეკითხებიან, რუსული იცი თუ არაო. თუ ქართველმა რუსული არ იცის, ის საქართველოში თანამდებობას ვერ მიიღებს. მაგრამ ჯერ არ უოფილა შემთხვევა, როცა საქართველოში რუსს ნიშნავენ რაიმე თანამდებობაზე, ეკითხოთ, ქართული იცი თუ არაო. უოველ- გვარ თანამდებობას მიიღებს რუსი, თუნდაც ქართულის ინჩიბინჩი არ ეურე- ბოდეს. როგორი ბრიევი უნდა იყოს კაცი, რომ ამის შერე დაიჯეროს, ქართუ- ლი სახელმწიფო ენააო.

ეს მდგომარეობა სხვა მხრითაც დიდი უბედურებაა. ვთქვათ, რაიმე თანამ- დებობაზე დასანიშნად ორი კაცის კანდიდატურაა. ერთი ჭკვიანი და გონიერია, მაგრამ აღზრდის ისეთი ჰირობები არ ჰქონდა, რომ რუსულიც კარვად ესწავ-

* „ზრდის სტატისტიკა“, ვახ. „კომუნისტი“, 1977 წ. 24 სექტემბერი, №244.

Проблемы двуязычия и многоязычия.1972г. стр. 23.

ლა. მეორე ბრიყვი და სუღელღია, მაგრამ ისეთ გარემოში მოხვდა, რომ რუსულად ლაპარაკი ეძარჯვება. ვის დანიშნავენ თანამდებობაზე? ამ კითხვას უველა ერთხმად უპასუხებს – რა თქმა უნდა, რუსულად მოლაპარაკე ბრიყვს. ვის სჭირდება ჭკუა და გონება, თუ ბატონის ენა არ იცი! ძალიან ხშირად ასე უღობავენ გზას კონიერ ადამიანებს თანამდებობისაკენ და ხელთ უკდებენ ღუტარებს.

რას შეუძლია დაუბრუნოს ქართულ ენას ღირსება და პატრივისცემა? როდის შეიძლება გახდეს იგი ჭეშმარიტად სახელმწიფო ენა? მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობა მიანიჭებს მას ნამდვილ ღირსებას, მხოლოდ დამოუკიდებელ საქართველოში იქნება იგი სახელმწიფო ენა.

ჩვენა და ვალალოდ მთლიანად დაკარგეთ ეროვნული თავმოყვარეობაც. უველა საკითხს ვუუწრებთ არა საქართველოს ნაციონალური ინტერესის თვალსაზრისით, არამედ რუსეთის. უველა ქართველ მოღვაწეს (წარსულში ცხოვრობდა ის თუ აწმეოში, სულ ერთია) მოლაღატეს ვეძახით, თუ რუსეთის მონობა არ უნდოდა. სოლომონ ლიონიძის სსენებისსაც გვეძინია, რადგან იგი არ იყო მომხრე რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისსა. სამაგიეროდ გუნდრუკს ვუკმევთ ვარსევენ ჭავჭავაძეს, რაკი რუსების ერთგული იყო. თუძცა ნიჭიერებითაც, საქმითაც, დამსახურებითაც სოლომონ ლიონიძე ასე ზის დიდია, ვიდრე ვარსევენ ჭავჭავაძე. სოლომონ მეორეს ლამის მივაფურთხოთ, რადგან რუსებს ებრძოდა, ხოლო ერეკლე მეორე მსად ვართ დავით აღმაშენებელს მივუსვათ ვერდით, რაკი რუსების მასწინძელი იყო.

ნაირ-ნაირი საპონი და ფერ-უმარილი კვიჭირავს ხელში და ყოველგვარად ვცდილობთ ვავბანოთ, ვავათეთროთ და ვავალამაზოთ იური ბოგოლუბსკი, თამარის პირველი ქმარი. აბა, რა ვქნათ, რუსი იყო და რუსს სხვანაირი დამოკიდებულება ვით ვკადრება. თუძცა დიდებულად ვიცით, რომ უსახლკარო ავანტიურისტის, საკუთარი ქვეყნიდან გამოძევებული ძამათძავალი, განრწინილი და ხნედაცმული პიროვნება იყო.

მაღვა დადიანი კინაღამ ჩამოვანხრევეთ, როგორ ვაბედე და „უბედური რუსი“ დაწერო. ამ რომანს ხან „ვიორკი რუსი“ დავარქვით, ხან „იური ბოგოლუბსკი“, რომ როგორმე სიტევა უბედური ვადაკვევდო.

იღია ჭავჭავაძეს თან ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ბელადად ვთვლით, თან ვამტკიცებთ, რუსეთთან სამუდამო კავშირის მომხრე იყოო. იმას კი აღარ ვფიქრობთ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ბელადი როგორღა შეიძლებოდა ეროვნული მონობის მომხრეც ყოფილიყო! ვანა „მეზავრის წერილების“ ავტორი რუსეთის მეტრფე იყო? წაიკითხეთ მაინც და დაინახავთ, როგორ არის იქ მთელი რუსეთი ვამასხარავებული! სწორედ ამ მოთხრობაში დასვა ილიამ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი.

აღექსანდრე ვაზბეგის „ელიოსს“ და „მამის მკვლელს“ სკოლებში არ

სწავლით, რადგან ამ მოთხრობებში მხილებულია რუსთა მხეცობა კავკასია-
ში.

ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერება ქართველ თავადაზნაუ-
რობას ამაგებდა, 1901 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთება რატომ იზე-
მაო. „ცარიზმის ზენსიონერად ქცეულმა ქართველმა თავადაზნაურობამ 1901
ელს საკუთარ ჰანაშვიდში ცხოველი მონაწილეობა მიიღო: საქართველოს
ატივადურილობის ასი წლისთავი „კეთილმოზილთა“ წოდებამ საქართვე-
ლოს მესაფლავე ცარიზმსა და მის მოხელეებთან ერთად იდღესასწაულა.“^{••}

დღეს კი კრემლის ზენსიონერი ქართველი კომუნისტები, სირცხვილის
ქრმობის გარეშე, დღესასწაულობენ საქართველოს პატივადურილობის 175-ე
წლისთავს. ამას „დიდ ისტორიულ მოვლენას“ უწოდებენ და რუსებს ევე-
ჯრებიან, „ჩვენს მეგობრობას, რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის
ისტორიას არ უხდება სიტყვა „ბოროტება.“^{••}

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველო რუსეთს ნებაყოფლობით არ შეერთე-
ხია. ეს ვერსია რუსეთის აგენტების მოგონილია. ჯერ ერთი, ერეკლე II მიერ
კეოგვიევისკში დადებული ტრაქტატი არ ითვალისწინებდა ქართლ-კახეთის
სამეფოს გაუქმებას. საშინაო საქმეებში ქართლ-კახეთის სამეფოს სრული ავ-
ტონომია უნდა ჰქონოდა. მაგრამ ამ ტრაქტატის პირობები ურცხვად დაარ-
ღვიეს ჰაველი I და ალექსანდრე I. მათ მუხანათურად გააუქმეს ქართლ-კახეთის
სამეფო და იგი რუსეთის გუბერნიად გამოაცხადეს. მეორეც, როცა ეს ვერაგო-
ბა შეიტყვეს, დასავლეთ საქართველო, იმერეთის მეფის სოლომონ II და სო-
ლომონ ლიონიდის მეთაურობით, მთელი ათი წელიწადი ებრძოდა რუსეთის
იმპერიას, მხოლოდ სისხლის ღვრით, იარაღით და დალატით შეძლო რუსეთ-
მა იმერეთის სამეფოს დაპყრობა. ასე რომ, საქართველოს რუსეთთან „ნებაყოფ-
ლობით შეერთება“ უტიფარი ტყუილია.

რატომ ვბუქნაობთ ასე სხვადასხვა ჰანგზე? იმიტომ, რომ ეველაფერი
დიდმჭვრობელი რუსის გუნება-განწყობილებაზეა დამოკიდებული. გვეტყვის,
ბოროტება იყო, ჩვენც ვიუვირებთ, ბოროტება იყო. გვეტყვის, მცირე
ბოროტებად ჩათვალეთო, ჩვენც ასე გავიძეოვრებთ. ახლა გვითხრა, საერთოდ
არავითარი ბოროტება არ იყო და ჩვენც შეისვე კვერი დაუუკარით – როგორ
გვეადრებათ, რას ბრძანებთ, რის ბოროტება, რა ბოროტება, ამაზე დიდი
სიკეთე, ამაზე დიდი ბედნიერება არც ნახულა და არც გავგონილაო. რა მნიშ-
ვნელობა აქვს ობიექტურ ფაქტს, მის მეცნიერულ შეფასებას! მთავარია, რა
გუნებაზეა დიდმჭვრობელი და რა ესამოფნება მას.

ასე გასწორდა მიწასთან და მტვრად იქცა ჩვენი ეროვნული თავმოუვარე-
ობა და სიამაჟე. იგი დაიმარხა და საფლავის ქვაზე წარწერილია – „...ჩვენც

•• ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, 1966 წ., გვ. 340.

გახ. „კომუნისტი“, 1976 წ., 4 დეკემბერი, № 285.

ჭეშმარიტი მზე აღმოსავლეთიდან კი არა ჩრდილოეთიდან, რუსეთიდან ამობ-
რწყინდა.“ *

ცოტნე დადიანის ერი ისე დაეცა და დაქინდა, რომ მოყვარის დასაცავად
ხმა ვერავის ამოუღია. შიშით, ჩვენც ციხეში არ ვკვირან თავიო, ეველა დამუნ-
ჯებულა და დადუმებულა. სადღაა კაცი, ვინც წამებულ მოყვასს გვერდით მიუ-
წვება და ანუკეშებს. სამაგიეროდ, თუ ფეხბურთის მატჩის დროს მსაჯმა თბილი-
სის „დინამოს“ სასარგებლოდ ჰენალტი არ დანიშნა, შეგვიძლია სტადიონზე
გადავცვივდეთ და უაზროდ და უკონოდ მკერდი ტყვიას შევუშვიროთ. კომუ-
ნისტები წამდაუწუმ იკვეხნიან – საბჭოთა ხელისუფლების ჰირობებში „ახა-
ლი ადამიანი“ ჩამოყალიბდაო. მართალს ამბობენ. ჩამოყალიბდა ლაჩრისა და
სულიერი მათხოვრის კლასიკური ტიპი!

სხვანაირად ვერც მოხდებოდა. ნახევარ საუკუნეზე მეტია ვართ ქალტაში
შერეკილი ჯოგოვით და გვესმის მხოლოდ ის, რასაც ბატონი ამბობს. ვაკეთებთ
იმას, რაც ბატონს სურს. საკუთარი ეველაფერი გადაგვავიწყდა. ასეთ ჰირობებ-
ში თავისუფალი ადამიანი ვერ გაიზრდებოდა და არც გაზრდილა.

ზოლონელი მწერალი ძეჩისლავე იასტრუნი წერდა: „უნდა ითქვას, ჰუმან-
ისტური ხნობის ღრმა დაცემას ადასტურებს ის ფაქტი, რომ იმ ქვეყნებში,
რომელიც ტოტალურად იმართება, მწერლები დგანან არა სუსტის და დაჩაგრუ-
ლის მხარეს, არამედ ძლიერისა და გამარჯვებულის. ეს დღესაც გრძელდება. ეს
აუტანელი სანახაობაა“.

სანამდე გვინდა გავუძლოთ ამ აუტანელ სანახაობას?

ხნობრივად დავეცით, მატერიალურად გავლატაკდით.

მართალია, ხალხს ეველაფერს უმაღლავენ და მას წარმოდგენა არ გააჩნია
საქართველოს ნამდვილ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მაგრამ ხანდახან აქა-
იქ მაინც გაიპარება ნამდვილი ცნობა და გასაგები ხდება, რა დღეშია ჩვენი ქვე-
ყანა. საქართველო გადატაკებულ საბჭოთა რესპუბლიკებს შორისაც კი ჩამორ-
ჩენილია და ბოლოში მიჩანხალვებს. აღმანახი „განთიადი“ იუწყებოდა: „ჩვე-
ნი რესპუბლიკა ამჟამად ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა საბჭოთა კავშირში
ელექტროენერჯეტიკის განვითარების მხრივ.“ **

კომუნისტებს ძალიან უყვართ თავიანთი „წარმატების“ შედარება 1913
წლის დონესთან. თავისთავად ზომ სასაცილოა ეს შედარება: დიდი საქმე, თუ
60 წლ ის მანძილზე 1913 წლის დონეს წააჭარბე! სად, რომელ ქვეყანაში ვერ
გადაამეტეს 1913 წლის დონეს? მაგრამ მთავარი ახლა სხვაა: კომუნისტების
ჟონგლიორობა ციფრებით. თუ ამ ჟონგლიორობას დავაკვირდებით, მაშინვე
აღმოვაჩინებ სიცრუეს. ამის საბუთად ისევ კომუნისტური ჰრესა მოვიშველი-
ოთ.

* „კ. ხ. „კომუნისტი“, 1976 წ., 27 თებერვალი, №48

1976 წ., №2, გვ.167.

1971 წლის 25 თებერვლის „კომუნისტები“ ეწერა, რომ 1913 წელს საქართველოში ვენახს ეჭირა 52,000 ჰა.

1939 წლის 21 მარტის „კომუნისტები“ კი ნათქვამია – საქართველოში 1937 წელს ვენახი 43.000 ჰა მოიცავდაო.

ე.ი. კომუნისტების ბატონობის 24 წლის მანძილზე ჩვენში ვენახების ფართობი 9.000 ჰა შემცირებულა.

წიგნში „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ (ტ. VII) იკვეხნიან – 1940 წლისათვის ვენახის საერთო ფართობმა მიაღწია 48,381 ჰა (გვ. 782).

მაშასადამე, ვენახების ფართობი საქართველოში 1940 წელსაც ნაკლები უოფილა, ვიდრე 1913 წელს.

რა გარანტია გვაქვს, რომ დღესაც არ ჩამორჩება ვენახების რაოდენობა 1913 წლის დონეს?

საე. კან(ბ) XVII ურილობაზე საქართველოს მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე ტრაბახობდა – „1938 წლის ჰირველი იანვრისათვის საქართველოში მსხვილფეხა რქიანი ჰირუტევი იყო 1.752.000 სული.“ *

„საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ (ტ. VII) კი გვარწმუნებს – 1941 წლის ჰირველი იანვრისათვის მსხვილფეხა რქოსანი ჰირუტევი იყო 1.607.000 სული (გვ. 788).

კი მაგრამ სამ წელიწადში სად გაქრა 145.000 სული ჰირუტევი? ციფრებით ჟონგლიორობის დროს გაუფანტათ?

ციფრებით ასეთი ჟონგლიორობით უნდათ შეგვაუარონ თვალში ნაცარი. ნამდვილად კი გაზანაჯებულია საქონელიც, ტუეც, სახნავ-სათესიც, წიაღისეულიც. ჰკითხეთ, რომელ სპეციალისტსაც გნებავთ და გიპასუხებთ, რა მძიმე და სავალალო მდგომარეობაშია უველაფერი. ისინი შიშით ხმამაღლა ვერ ბედავენ ლაპარაკს, თორემ ჩუმიდ უველა გაგიზიარებთ უსაზღვრო გულისტკივილს. ამ სერიოზულ და მტკივნეულ საკითხზე ვინ მოგცემს მსჯელობის უფლებას, როცა იმასაც კი გვატყუებენ, რამდენი კაცია საქართველოში სპორტით დაკავებული. ჟურნალისტი ვ.მდივანი წერდა: „ოფიციალური მონაცემებით 1971 წელს საქართველოში იყო 1.170.206 ფისკულტურელი“. გაკვირვებული მდივანი კითხულობდა – „ვინ დაიჯერებს, რომ უოველი მესუთე ადამიანი რესპუბლიკაში, მუშუთა ბავშვების და ღრმა მოხუცების ჩათვლით, სისტემატურად მეცადინეობს სპორტულ სექციაში.“ **

ასე გვატყუებენ და გვაცუცურაკებენ.

ჩვენი ქვეყნის ამ უსაზღვრო ჩამორჩენის მიზეზი „ახლო წარსულის ნეგატიური მოვლენები“ კი არ არის, როგორც ახლა გვიჩიჩინებენ, არამედ რუსეთის „უანგარო დახმარება და ზრუნვა“. საქართველოს ესოდენ დაბეჩავება

*. გაზ. „კომუნისტი“, 1939 წ., 21 მარტი, №65.

გაზ. „კომუნისტი“, 1973 წ., 7 იანვარი, №6.

პირდაპირი შედეგია იმ უზომო ექსპლუატაციისა, რომელსაც რუსეთი გვიწევს. ამ ექსპლუატაციის ხასიათზე კარგად მეტყველებს ერთი ფაქტი:

1976 წლის 3 სექტემბერს ქ. ალმა-ათაში ჩატარდა უაზახეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი.* აქ სიტყვით გამოხსულმა უაზახეთის კპ ცკ-ის მდივანმა კუნაევმა თქვა:

„პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული სამეურნეო ორგანოები, უაზახეთის მთელი მშრომელები ეოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ წელს კარგი მოსავალი მოეწიათ და სამშობლოსათვის რაც შეიძლება მეტი უაზახური პური მიეცათ.“

ამის შედეგად შესაძლებლობა შეიქმნა სახელმწიფოსათვის მიგვეყიდა 16,4 მილიონი ტონა ანუ მილიარდი ფუთი მარცვლეული. უსრუნველგვეყო მეურნეობანი თესლითა და ფურაჟით, ძირითადად დაგვეყარა სესხი“.

კუნაევის ამ სიტყვიდან კარგად ჩანს, რომ წელში გამწედა რან, ცხრაკეცი ტყავი გაუმჟრიათ, რომ როგორმე მილიარდი ფუთი მარცვლეული ჩაებარებინათ. ამისათვის კუნაევი მადლობას მოელოდა, მაგრამ მოტყუვდა. სკკპ ცკ-ის მდივანმა ბრეჟნევმა იმ წუთსავე, იქვე თათბირზე მოითხოვა:

„უაზახეთი წლეულსაც, მეათე ხუთწლეულის პირველ წელს, კახარებს სამშობლოს – სახელმწიფოს მიჰყიდის სულ ცოტა მილიარდ ან მილიონ ფუთ მარცვალს.“

დამატებით ასი მილიონი ფუთი! ასეთი უტიფარი და ურცხვი მოთხოვნა არც ერთ კოლონიზატორს არ წაუყენებია კოლონიისათვის. ამ სიტყვებმა უაზახებს თავზარი დასცა. როცა რეტრანსმულ დარბაზს შეხედა ბრეჟნევმა, გაოგნებულ უაზახებს დაუვირა – ტაშს რატომ არ მიკრავთო (ეს სიტყვები მერე გაზეთში არ ეოფილა დაბეჭდილი). შემინებულმა დარბაზმა მაშინვე ტაში დასცხო.

ასე იმარცვება ვეველა ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკა.

ფორმულა – „სამშობლოს მისცა...“ – ნიშნავს, კომუნისტურ იმპერიას გადაუსადა ბეგარა.

ამ ბეგარის წყალობით, უჩურჩხელოდ და უთათაროდ არის დატოვებული ქართველი ბავშვები. ეს თემურლენგსაც კი არ გაუკეთებია. რა საკარმიდამო ნაკვეთი (რალაც ერთი ციდა მიწის ნაგლეჯი) დღეს ქართველ გლეხს აქვს, რომ იქ მოწეული და მოკრეფილი უურძენი წაართვა? ისე დაიკარგა სირცხვილის გრძობა, რომ გადახიდულ გზებზე დგანან ქართველი მილიციელები (თითოეული მათგანი ერთ ჯერზე კამეჩს შეთქვლეფს) და შეილიშვილებთან მიმაჯალ მოხუცებს კალათებს უჩხრევენ, საცოდავ თითო მტევან უურძენს ართმევენ. არც ერთ თურქს და არც ერთ სპარსელს ეს არ უკადრებია.

თუძვა სხვაგვარად როგორ მოიქცევა ხელისუფლება, რომელსაც ე.წ.

* „კახ...კომუნისტ“, 1976 წ., 4 სექტემბერი, №208.

„დახურული მღაზიები“ აქვს ჰარტიული ელიტისათვის. კომუნისტებმა კარგად იცნან, რომ მათი ხელფასით ადამიანი ვერ იცხოვრებს. ამიტომ არსებობა რომ გაიადვილონ, „დახურული მღაზიები“ შემოიღეს, სადაც „რჩეულ“ ჰარტმუშაკებს შეღავათიან ფასებით შეუძლიათ შეიძინონ ის სურსათი, რასაც ვერც ბაზარში და ვერც სოციალისტურ მღაზიაში ვერ იშოვით. ამას ეძახიან „საყოველთაო თანასწორობის დამყარებას“ და „სოციალისტური მუშენობის გაუგონარ წარმატებას“. იმას ვერ გრძნობენ, რომ „დახურული მღაზიები“ გამათხოვრების ჰირველი და უმტკიცესი საბუთია. სიდუხჭირის და სიღარიბის მეტი რა გაიძულებს „დახურული მღაზიების“ შექმნას?

ანეკდოტური მდგომარეობაა. თუ წელიწადში ერთხელ ორი-სამი საბარგო მანქანით ქალაქში კარტოფილი ან ხახვი შემოიტანეს, ატყდება ერთი აურზაური, დაიწყება რადიო-ტელევიზიის ევირილი, დროშების ფრიალი. ჰრესის ბაქიბუქი. უკვირთ, ეს რას მოვესწარით, ეს რას მივალწიეთ, ერთი ავტომანქანა კარტოფილი შევაგროვეთო, ვითომ ეს მდგომარეობა „სოციალისტური მუშენობის გაუგონარ წარმატებას“ ნიშნავს?

სიონის გლახასავით მთელი წელიწადი ავროვებენ სურსათს, რომ ერთადერთ დღეს, 7 ნოემბერს, მოიტანონ მღაზიაში და, ბრეჟნევის სურათთან ერთად, ვიტრინაში გამოაწეონ. იმას აღარ კითხულობენ, დანარჩენი დღეების განმავლობაში რა ქნას ხალხმა. ალბათ „გაუგონარი წარმატებების“ შესახებ მითები შეთხზას.

რუსული კომუნისტური მითების რიგს ეკუთვნის ავრეთვე სსრკ-ში უფასო მკურნალობის ზღაპარიც. უოველმა მოქალაქემ იცის, რომ საბჭოთა საავადმყოფოში მომაკვდავს ჭიქა წყალს არავინ მიაწვდის, თუ ფული არ გადაიხდა. საომრაციო მაგიდაზე გათანგულ სნეულს ექიმი არც დახედავს, თუ ფული წინასწარ არა აქვს ავადმყოფს გადახდილი. უფასო მკურნალობის ზღაპარი ექიმთა უსაზღვრო თვითნებობის საფუძველი გახდა. ექიმი აკეთებს იმას, რაც უნდა. შეიძლება უკანასკნელი ჰერანგი გააუიღვიროს ავადმყოფს, ოღონდ ჯიბე გაისქელოს. ექიმთა ამ მორალურ გახრწნას ემატება ის, რომ საავადმყოფოს წამლები არ გააჩნიათ. ექიმები თავად ეუბნებიან სნეულებს: ეს წამლები არ გვაქვს, უნდა წახვიდეთ ებრაელთა უბანში და იქ ქორვაჭრებისაგან სწეკულანტურ ფასებით იუიღოთ (ეს იმდენად გავრცელებული ამბავია, რომ მხატვრული ტერატურაშიც კი აისახა. ის. მაგალითად, ნ.დუმბაძის „თეთრი ბაირადები“). ქორვაჭრები კი მამასისხლად ეიდიან უოველ წამალს. უოველი ავადმყოფობა საბჭოთა მოქალაქის ოჯახს დაქცევით ემუქრება, არა იმიტომ, რომ სნეული შეიძლება მოკვდეს, არამედ იმიტომ, რომ ავადმყოფის მკურნალობის ჰერიოდში ჭირისუფალმა ეველაფერი უნდა გაუიღოს, რათა წამლების ღირებულება და ექიმის ჰონორარი გადაიხადოს.

ეს ეველას საკუთარ ზურგზე გაქვთ გადატანილი და იცით, მაგრამ იმას

თუ ხართ მიძვდარი, ასეთ სიტუაციაში რა სიკეთეს უნდა ელოდეს საქართველო?

საქართველოს ეკონომიკა საერთო საკავშირო ეკონომიკის ნაწილია. საქართველოს ეკონომიკა იკვებება იმისდა მიხედვით, რა მდგომარეობაა სსრკ-ში, რა სჭირდება სსრკ-ს.

ახლა საქართველო რუსეთს არც პოლიტიკურად, არც ეკონომიკურად აღარ ანტერესებს. კავკასიის მხრიდან რუსეთს საფრთხე აღარ ემუქრება. საშიშროება ციმბირისა და შუა აზიის მხრიდან არის მოსალოდნელი. ამიტომ მოსკოვის მთელი მატერიალური შესაძლებლობა დღეს ამ მხარეს იხარჯება. ეს მხარე უნდა იქნეს ათვისებული დემოგრაფიულადაც და მეურნეობრივადაც. იმდენი შესაძლებლობა რუსეთს ვინ მისცა, რომ იგი მთელ ციმბირს, შუა აზიას ვაწვდეს და საქართველოსაც მოუაროს. ამიტომ ჩვენი ქვეყანა ღვთის ანაბარა დარჩა. საკუთარი მეურნეობის საკუთარი ჯკუთით მოწეობის უფლება არა ვვაქვს. აუცილებლად რუსის დუდუკზე უნდა ვისტუნოთ.

რაც დრო გავა, რუსეთის უურადლება უფრო მეტად და მეტად მიეჯაჭვება აღმოსავლეთს. ეს რუსეთის ეროვნული ბედით არის განპირობებული. ციმბირის აურაცხელი მოუხმარელი სიმდიდრე ანდამატივით იზიდავს ჩინეთს. თუკი რაიმე გააჩნია რუსეთს, ციმბირის შესანარჩუნებლად უნდა დანიხარჯოს. რალს გაიმეტებს იგი საცოდავი საქართველოსათვის? საკუთარი ინიციატივის უფლებას კი არ მოგცემს რუსეთი, რომ თავისუფლება არ ივრძნო და რაიმე სურვილი არ გაგიჩნდეს. არ მიხვდე, რომ დამოუკიდებელი ეკონომიკური არსებობა შეგიძლია. ასე ხელშეობჭილი, ყოველგვარ საშუალებას მოკლებული საქართველო თანდათან გადაიქცევა მივარდნილ და უდაბურ კუთხედ.

ვერც ნავთობის აღმოჩენა უშველის საქართველოს. მართალია, ირანი და არაბული ქვეყნები ნავთობმა ზღაპრულ სამოთხედ აქცია, მაგრამ ისინი დამოუკიდებელი ქვეყნებია. მათი სიმდიდრე მათვე ხმარდება. საქართველო კი რუსეთის უმა და სიმდიდრეს, რომელსაც ნავთობი მოიტანს, პირწმინდად რუსეთი წაიღებს. ამის მკაფიო მაგალითი აზერბაიჯანია. ბაქოს ნავთობის წყალობით, აზერბაიჯანი დამოუკიდებელი რომ უოფილიყო, მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა იქნებოდა. ახლა ჰკითხეთ აზერბაიჯანელებს, რა რჩებათ მათ ბაქოს ნავთობისაგან და ნათელი ვახდება, რა ბედი ელის ქართულ ნავთობს. რაღა შორს მივიდვართ, განა ჭიათურის მარგანეცი საბოლოოდ არ გააჩანავებს?

ამ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი მხოლოდ დამოუკიდებლობაა. საკუთარ თავს თვითონ უნდა მოუწაროთ. თვითონ უნდა ვუპატრონოთ. უნდა გამოიმუშაოს საქართველოს განვითარების საკუთარი გზები, საკუთარი პროგრამა, საკუთარი სისტემა. უამისოდ ჩვენი გადარჩენა შეუძლებელია.

უჩუქრებო ჩვენს უბედურებას და ვითმენთ. მართალია, ადამიანს ეველათ-

რის მოთმენა, ეველაფერის ატანა შეუძლია და თან ხანგრძლივად, მაგრამ რა არის ამ მოთმინების შედეგი? საზოგადოების, მთელი საზოგადოების სულიერი სიკვდილი. როცა მთელ ხალხს ეველაფერის მიმართ გულგრილი, სულერთია დამოკიდებულება გაუჩნდება, ეს უკვე ქვეყნის დაქცევაა. ახლა მთელ საბჭოთა ხალხს, და მათ შორის ქართველებს, სწორედ ასეთი დამოკიდებულება აქვს უოველი მოვლენისადმი.

ავიღოთ ერთი მაგალითი – არჩევნები. საბჭოთა ამომრჩეველი არც კითხულობს, ვინ არის დეპუტატობის კანდიდატი, ვის ირჩევს. ბრძად აძლევს ხმას. არ აინტერესებს და არ კითხულობს იმიტომ, რომ იცის, დარწმუნებულია, მნიშვნელობა არა აქვს, ვის აირჩევს. იცის, ვინც უნდა აირჩიოს სულ ერთია: იმ დეპუტატს არაფრის უფლება აქვს, არაფრის გაკეთება შეუძლია. დეპუტატი მხოლოდ ტაშის დამკვრელი მანქანაა. სხვა ფუნქცია მას არ გააჩნია. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ შეასრულებს ტაშის დამკვრელი მანქანის როლს? ამიტომ ამომრჩეველიც სრულიად გულგრილია მის მიმართ.

ასევეა პარტიული ორგანოების არჩევნების დროსაც. კრებებზე, კონფერენციებზე, ურილობებზე დასახელებენ ასარჩევ კანდიდატებს. კენჭისყრაში ხშირად 600-700 (ზოგჯერ ბევრად მეტიც) კაცი მონაწილეობს. არჩევნები ჩაივლის ისე, რომ ასარჩევი კანდიდატი არც ერთ შავ კენჭს არ მიიღებს, არავინ არის მისი წინააღმდეგი. განა ეს სრული გულგრილობის დადასტურება არ არის? განა დაცინვა არ არის? ხუთსულიან ოჯახშიც კი ვერ ნახავთ სრულ ერთსულოვნებას. ეველას თავისი პოზიცია აქვს, ეველა თავის სიმშათია-ანტიშათიას ავლენს. კომუნისტების კრებებსა, კონფერენციებსა და ურილობებზე კი უთვალავ ადამიანს, განსხვავებული ეროვნების, სქესის, ასაკის, განათლების, ისეთი ერთსულოვნება ეუფლებათ, რომ ასარჩევი კანდიდატები ერთხმად გადიან. ერთ მოწინააღმდეგესაც ვერ იპოვით. ეს ხომ სრული ინდიფერენტიზმია! ეს ხომ სასაფლაოს ერთსულოვნებაა, ეს ხომ იმის უტყუარი საბუთია, რომ ეველას ეველაფერი ფეხებზე ჰკიდია, არავის არაფერი აინტერესებს და არავის არაფრის იმედი აქვს!

ერთი წუთით დაფიქრდით, განა დასაშვებია, განა წარმოსადგენია, რომ 250-მილიონიან სახელმწიფოში არ არსებობს სოციალისტურისაგან განსხვავებული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, იურიდიული, ფილოსოფიური, ლიტერატურული და ა.შ. შეხედულებანი? ეს ხომ უოვლად წარმოუდგენელია, ეს ხომ ანტიბუნებრივი მოვლენაა, ეს ხომ ეწინააღმდეგება კონების, აზროვნების ეველა კანონს! მაშასადამე, „ერთსულოვნება“ შექმნილია ჰირში ბურთის ჩაჩრის გზით. ასე ხომ ეველა მოაზროვნეს, ხანდაზმული იქნება იგი თუ ახალგაზრდა, ძალდატანებით ვერეკებით საბჭოთა საზოგადოებიდან. ძალად ვხდით დისიდენტებად. მერე ვსჯით, ციხეებსა და საციკეში ვამწვდევთ, სხვაგვარად რატომ აზროვნებო. ეველა უფლებას ვართმევთ

მოაზროვნეებს და ვაძლევთ კრეტილებს. შეძღვე ეს კრეტილები უდიდესი სიამოვნებით და მონდომებით ანადგურებენ მოაზროვნეებს, რადგან კრეტინიზმს სძულს აზროვნება და ჭკუა. ამიტომ არის იგი კრეტინიზმი.

ამ რამდენიმე წლის წინათ კიბერნეტიკა გამოცხადებული იყო ბნელეთის მოციქულების მეცნიერებად, რომელიც თურმე მუშათა კლასის მოსატყუებლად სჭირდება კაპიტალიზმს (იხილეთ თუნდაც *Большая советская энциклопедия*-ს მეორე გამოცემა), მაგრამ მერე კომუნისტებმა გაიგეს, რომ კიბერნეტიკა საჭირო მეცნიერებაა სამხედრო თვალსაზრისით. მაშინ კიბერნეტიკოსებს ამოუღეს ჰირიდან ბურთი. საცოდავი კიბერნეტიკოსები ვათავისუფლდნენ და თვალსაჩინო წარმატებებსაც მიაღწიეს. მაგრამ რა ეშველება იმათ, ვინც სამხედრო მიზნით არ სჭირდება კომუნისტებს? არაფერი. ისინი რკინის სალტეებით არიან შეკრული და ჰირამოკერილი.

კომუნისტებმა ვერ შეძლეს ვერც ქურდობის, ვერც ბოზობის, ვერც კაციცკლის, ვერც მფლანგველობის, ვერც მექრთამეობის, ვერც აფერისტობის, ვერც ბანდიტიზმის ლიკვიდაცია. ერთადერთი რაც შეძლეს, ეს არის აზროვნების ლიკვიდაცია. ამიტომ არაფერს იხე მძიმე ჰირობებში არ ცხოვრობს სსრკ-ში, როგორც მოაზროვნე. რა ქნას ასეთ სიტუაციაში ახალგაზრდა მოაზროვნე ადამიანმა? უნდა დაეშვას მოლიპულ გზაზე: ან გალოთდეს, ან თავი მოიკლას. უნებისყოფონი კლავენ თავიანთ თავში ადამიანურ ღირსებას და ქედღადრეკილნი მუნჯურად, უხმოდ, უსიტყვოდ, მონურად ემსახურებიან კომუნისტებს.

კომუნისტებს ღირსების გრძობა არა აქვთ, თორემ სასაფლაოს ერთსულოვნება თავზარდამცემ მთაბეჭდილებას უნდა ახდენდეს მათზე. ასეთი „ერთსულოვნებით“ ხომ ხალხი სრულ ზიზღს უცხადებს მათ! მართალია, ჯერ ეს ზიზღი ზასიურია, მაგრამ ხომ დადგება დრო, როცა იგი აქტიური ძალა გახდება? მაშინ? სასტიკი და შეუბრალებელი იქნება შურისძიება. სამწუხაროდ, კომუნისტებს ამის შეგნება არ გააჩნიათ. ამიტომაც არ ფიქრობენ საქმის გასწორებაზე. ჰირიქით, ამ „ერთსულოვნებაში“ ხალხის სრულ დამონებას ხედავენ და უხარიათ, ჩვენი შიშით კრინტსაც ვერ სძრავენო. მაშასადამე, სრული და განუყოფელი ბატონები ვართ და რასაც მოვისურვებთ, იმას ვიზამთო. ამით დაბრძავებულნი, ვეღარ ხედავენ, რომ საზოგადოება დაიღუპა. დღეს კომუნისტები მკვდარი საზოგადოების, სასაფლაოს ბატონები არიან. ეს საშიშია, ძალიან საშიში! შურისგება მკვდარმაც იცის. შემზარავია მკვდრის შურისძიება.

სრულმა ზნეობრივმა დაცემამ საქართველო გადააქცია ქურდების, კომბინატორების, გამფლანგველების, მექრთამეების, გამოძმაღველების ვრად. გაკიცხვისა და განკითხვის მაგიერ ასეთი ადამიანების მიმართ გავკვირნდა სიმშათაობა. გაჩნდა ცნება „შროიანი კაცი“. ამით ვკულისხმობთ ყველა ზნედაცემულს და მოწიწებით ვუხრით თავს. ზატიოსნება გახდა დაცინვისა და ცხვირამრე-

ზილი დამოკიდებულების ობიექტი. გავწირეთ თავისთავიც და ვწირავთ შთამომავლობასაც. წუთით არ ვუფიქრდებით, რა საზოგადოებაში ვტოვებთ ჩვენს შვილებს. რატომ გვგონია, რომ ეველა არამწადად გაიზრდება და სიხარულით, კმაყოფილებით მიიღებს ჩვენგან დღეს დამკვიდრებულ უხნეობას? რა გვეშველება მაშინ, თუ ისინი ჰატეოსანი ადამიანები გახდნენ და ჩვენი აშენებული საზოგადოების მთელი საშინელება დაინახეს? უოველი მათგანი ხომ შეაგინებს ჩვენს საფლავებს! ამქვეყნიური ცხოვრება გავატარეთ უხნეო საზოგადოებაში. იმქვეყნიური – შეგინებულ საფლავში? თუ ათეისტები ვართ და ამ წუთისოფლის მოჭმის მეტი არა გვანტერესებს რა? თავს ნუ მოვიტუუებთ. დიდი განკითხვის დღე მოახლოებულია. ღვთის სამართალს ვერავინ გაექცევა. სანამ დროა იფიქრეთ ამაზე!

მართალია, ტოტალური ქურდობა, კომბინატორობა, გამფლანგველობა, გამოძალავებლობა სოციალიზმის უშუალო ნაყოფია, მაგრამ ამით თავს ნუ ვინუგებთ. ეს თავისმართლებად არ გამოგვადგება. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დავინახოთ, რა სოციალური სინამდვილე შეექმნით და ვალდებულნი ვართ ჩვენვე ვიზრუნოთ მის გარდასაქმნელად.

ჭკვიანმა ადამიანებმა მაშინვე დაინახეს და მიხვდნენ, საით მიჰყავდათ კომუნისტებს საზოგადოება, მაგრამ, სამწუხაროდ, გონების ხმას არავინ უგლოური. 1937 წელს წერდა ნ.ბერდიაევი:

„თუ დავუშვებთ, რომ ანტირელიგიური პროპაგანდა საბოლოოდ მოხვობს რუსი ადამიანის სულში ქრისტიანობის კვალს, თუ იგი გაანადგურებს უოველგვარ რელიგიურ გრძობას, მაშინ კომუნისმის განხორციელება გახდება შეუძლებელი, რადგან არავინ მოისურვებს მსხვერპლის გაღებას, არავინ გაიკებს ცხოვრებას, როგორც ზეპიროვნული მიზნის მსახურებას და საბოლოოდ გაიმარჯვებს шкурник-ის ტიპი, რომელიც მხოლოდ საკუთარ ინტერესზე ფიქრობს. ახლა ეს ტიპი უკვე ასრულებს მნიშვნელოვან როლს და მისგან მოდის გაბურჟუაზიულების პროცესი. იღვის თანახმად, კომუნისმს უნდა განეხორციელებინა არამარტო სამართლიანობა, არამედ მშობაც ადამიანთა ურთიერთობაში, ადამიანთა შორის „კომუნიონი“. მაგრამ მიაძიება და სასაცილოა ვიფიქროთ, რომ ადამიანთა მშობა შეიძლება განხორციელდეს გარეგნული, იპულებითი სოციალური მუშტრით, ჩვევის გზით, როგორც ღენინი ამბობდა. ამისათვის საჭიროა ღრმა სულიერი ძალების მოქმედება. მატერიალისტური და ათეისტური კომუნისმი ან მარცხისა და დაღუპვისათვის არის განწირული, ან მექანიზმს მიმსგავსებული საზოგადოების შექმნისათვის, სადაც შეუძლებელი იქნება გაარჩიო ადამიანის სახე.“ *

ბერდიაევის შემზარავი წინასწარმეტყველება აღსრულდა. შექმნილია მექანიზმს მიმსგავსებული საზოგადოება, სადაც „нельзя уже различить

* И.Бердяев. Истоки и смысл русского коммунизма. стр.13

человеческого образа.“

ამიტომ დღეს აღარ გვაქვს უფლება, რომ გულუბრყვილო ბავშვებივით იმედი ვიქონიოთ, რომ რუსული სოციალიზმი გაუმჯობესდება და მდგომარეობა უკეთესისაკენ შეიცვლება.

არ შეიცვლება თუნდაც ამიტომ, რომ სოციალიზმი არ არის რუსული მოვლენა. იგი არ აღმოცენებულა რუსული კულტურის წიაღიდან, როგორც მისი ორგანული ნაწილი, სოციალიზმი ხელოვნურად არის გადმოტანილი რუსეთში. როგორც გულის ტრანსპლანტაციის დროს არსებობს შეუთვისებლობის პრობლემა და ერთი ორგანიზმი არ ითვისებს მეორე ორგანიზმიდან გადმოხერცილ გულს, ასევეა ერის სოციალურ და კულტურულ ბუნებაში. ეს ბუნებაც ვერ ითვისებს უცხო სა და ნაძალადევად გადმოხერცილს. ამიტომ, იყო, რომ, როგორც ჰეტრე I ნერგავდა რუსეთში ევროპეიზმს ცეცხლითა და მახვილით, ასევე ცეცხლითა და მახვილით ამკვიდრებდნენ რუსეთში სოციალიზმს ლენინი და სტალინი. არც ის არის შემთხვევითი, რომ, საუკვო წარმომავლობის ჰეტრე I ერთად, არც ლენინი უოფილა რუსი და არც სტალინი. ლენინი დედით მართლმადიდებლად მონათლული შვედი ებრაელი იყო, მამით კი – უალმუხი, ხოლო სტალინი ვინც იყო ეს ცნობილია. უცხო ბუნების, ცეცხლისა და მახვილის ბრალა ის, რომ ევროპულმა მოძღვრებამ მოგვცა გონჯი და მახინჯი მოვლენა – რუსული სოციალიზმი. კუზიანს სამარე გაასწორებსო, ამბობს ანდასა და ეს ზედგამოჭრილია რუსულ სოციალიზმზე.

რუსული სოციალიზმი არ გაუმჯობესდება კიდევ იმიტომ, რომ თვითონ სკკპ წარმოადგენს ბოროტმოქმედთა კრებულს. ვნახოთ, მართალია თუ არა ეს.

სსრკ-ში არ უოფილა კომუნისტური პარტიის ცკ-ს მდივანი, რომელსაც მისი წინამორბედი მდივანი ბოროტმოქმედად არ გამოეცხადებინოს. სტალინმა თითქმის უველა (იმთ გარდა, ვინც ბუნებრივი სიკვდილი მოასწრო), ვის სახელთანაც დაკავშირებული იყო ოქტომბრის რევოლუცია, ხალხის მტრად გამოაცხადა და დახოცა. ტროცკები, ზინოვიევი, რიკოვი, რადეკები, ბუხარინები, კამენევი, ტუხაჩევსკები და მძანი მათნი ისტორიის ასპარეზიდან წავიდნენ, როგორც მოლაღატენი და მტრები. მათი ხსენებაც არ შეიძლებოდა და, თუ ახსენებდნენ, მხოლოდ ლანძღვა-გინებით. მერე, როცა სტალინი მოკვდა, აღმოჩნდა, რომ ისიც ბოროტმოქმედი უოფილა. მისმა მოწაფეებმა საფლავიდან მოაგდეს და თავს ლაფი დაასხეს. მთელი ყრილობა მიუძღვნეს მისი დანაშაულის მხილვას. ოცზე მეტი წელიწადი სსრკ-ის ჰიმნი არ იძღვრებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ შიგ სტალინი იხსენიებოდა. როგორც იქნა სიტყვები – *партия Ленина, партия Сталина* შეცვალეს *партия Ленина, сила народная* – თი. მკვდრისაც კი იძენად ემინოდათ, რომ ამ ორი სიტყვის რედაქციას 20-ზე

მეტი წელიწადი მოანდომეს.*

მერე 10 წელი სრუმხოვს აქებდნენ და ადიდებდნენ. ჰარტიის სიბრძნეს ეძახდნენ. ბოლოს ისიც გადააგდეს და კლინიკურ გიჟად გამოაცხადეს.

ახლა ბრეჟნევის აღუვლენენ ხოტბას, მაგრამ დარწმუნებული იუავით, როცა ბრეჟნევის მოცილებენ, მასაც ბოროტმოქმედად გამოაცხადებენ. ეს გარდაუვალია, რადგან რუსული კომუნისმის კანონზომიერებაა.

ის, რაც რუსეთში ხდება, ზუსტად მეორდება ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკებში. საქართველოშიც ჰირწმინდად განადგურეს ორახელაშვილები, ელიაშვილები, ღოდოზერძიძეები, კახიანიები, ტოროშელიძეები, ლომინაძეები, მდივნები და მათი ამფსონები. სწორედ მათზე ამბობდა ს.კ. კპ (ბ) XVIII ყრილობაზე საქართველოს კპ ცკ მაშინდელი მდივანი ჩარკვიანი – „ამხანაგ სტალინის ბრძნული მითითებით შეიარაღებულმა საქართველოს ბოლშევიკებმა გამოამქლავნეს და დაუნდობლად განადგურეს ჯაშუშებისა და გამცემლების გველური ბუდეები. ეს დიდი მუშაობა მათ ჩაატარეს დიდი სტალინის ერთგული მოწაფის ამხანაგ ლავრენტი ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს და ამიერკავკასიის ჰარტორგანიზაციებს.“**

გავიდა დრო და „ქართველი ხალხის ერთგული და საამაყო შვილი“ ბერიაც მოკლეს.*** როგორც წესი, ისიც ხალხის მტრად გამოცხადდა.

ბოროტმოქმედის სახელით გაამევეს ჩარკვიანიც და მკვლადმეც. მერე წლების მანძილზე მკვანაძეს უტყაპუნებდნენ „ერთსულოვან“ ტაშს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქვეყნის დამტყვევი უოფილა. მერე შევარდნაძე გამოჩნდა და ახლა მისი სადიდებელი ტაში დავცხეთ. მაგრამ, როცა თანამდებობა აღარ ექნება,

* სტალინისადმი დამოკიდებულება აშკარა დემონსტრაციაა რუსული შოვინისმისა. მიუხედავად იმისა, რომ სტალინი რუსეთის ძალღვივთ ერთგული იყო და, ჰეტრე I კარდა, რუსეთისათვის მისოდენი არც ერთ ხელისუფლებას არ გაუკეთებია, მინც ვერ აიტანეს. არ დანდეს. ცოცხალს რომ ვერა დააკლეს რა, მკვდარზე იძიეს შური. ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ სტალინი რუსი არ იყო. თორემ ე.წ. ჰიროვნების კულტის გარეშე რუსულ სოციალისმს არსებობა არ შეუძლია. ხომ ხედავთ, ბრეჟნევის რა ქება-დიდება გაჩაღებული! სტალინის ბედი იშვიათი გაკვეთილია ვველა ქართველისათვის, ვინც რუსეთს მიჰყიდა სული. დიდმჭრობელი რუსის დაუნდობლობაზე მტკუნელებს ისიც, რომ ქართველ კაცს – ჯავახიშვილს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარეს, – ათქმევინეს, სტალინი მავზოლეუმიდან გამოვასვენოთო. ამით კიდევ ერთხელ დაგვამცირეს და დავუცინეს.

** გაზ. „კომუნისტი“, 1939 წ., 16 მარტი, №61.

*** აშ იბეჭდება რუსული ჟურნალი სახელწოდებით – „Новый журнал“. ამ ჟურნალის 95-ე წიგნში (1969 წლისა) დასტამბულია კროტკოვის „Рассказы о маршале Берия“, სადაც ნაამბობია, როგორ მოკლეს იგი. მოსკოვის ახლოს ბერიას ავარაკს, სრუმხოვისა და მალენკოვის დასტურით, თავს დასხმია მარშალ კონევის ოფიცრობა. ოფიცრებს და ბერიას მცველებს შორის გამართულა სასტაკია ბრძოლა. თავად ბერია ხელეუობარებითა და ორი მაუსერით უკანასკნელ ვახანადე იბრძოდა თორმე ბრძოლის ბედი ჩასაფრებულ სნაიპერს გადაუწვევია: მას შიგ შეუღლი მოურტყაძის ბერიასათვის ტყვია. ბერიას გასამართლებისა და დახურეტის ამბავი მორიგი სიცრუე უოფილა.

გავიკებთ, რომ ისიც დანაშაულს ჩადიოდა. ასეთია კომუნისტური წესი და ადათი. მას ვერაფერს გაექცევა.

ამგვარად, სკკპ-ის ელიტა ბოროტმოქმედთა გუნდია. მადლობა ღმერთს, ეს კომუნისტებისათვის მტრებს არ დაუბრალეებით. თვითონ წერენ და აღიარებენ ამას. ერთმანეთიც თავად გაუყევენ და ამოწევიტეს.

იქნებ რიგითი წევრებია მართალი და პატიოსანი ხალხი? წაიკითხეთ პარტიული გაზეთები და ნახავთ, რომ ქურდების, გამფლანგველების, კომბინატორების, მექრთამეების, გამოძმაღველების, აფერისტების დიდი უმრავლესობა სწორედ პარტიის წევრებია. უპარტიო მეტად იშვიათად თუ ურევია. ისიც იმიტომ, რომ პარტიული ამხანაგის წაქეზებით გარეულა უკეთურ საქმეში.

გამოდის, რომ ბელადებს არც რიგითი წევრები ჩამორჩებიან.

როგორ უნდა დაიჯერო ამ სისხლის სამართლის დამნაშავეთა შემეურემ, რომ ოდესმე რუსული სოციალიზმის საქმე გამოსწორდება და უკეთესად წარიმართება? როგორი ბრიყვი უნდა იყო, ეს რომ იწამო!

იქნებ ვინმე წყაღწაღებული მანაც ეჭიდება ხავსს და ფიქრობს, რომ კომუნისტური პარტიის რიგებში ოდესმე აღიზრდება ჭკვიანი, გონიერი კაცი, იგი დადგება ხელისუფლების სათავეში და წამხდარ საქმეს უშველისო. არც ამის იმედი უნდა ჰქონდეს ვინმეს.

ყოველმა საბჭოთა მოქალაქემ იცის, რომ სსრკ-ში ხელისუფლების სათავეში ე.წ. პარტმუშაკები დგებიან. ეველამ, ვისაც უნდა პოლიტიკური მოღვაწე გახდეს, ჯერ პარტმუშაკის სკოლა უნდა გაიაროს. თუ პარტიის წევრი არ ხარ, კომუნისტები არაფითარ თანამდებობაზე არ დაგნიშნავენ. ივიწეებენ სიბრძნეს – ნიჭს აძლევს ზენა მალლით კაცს და არა პარტიულობა. რაკი პარტიულობა თანამდებობის მიღების პირობად იქცა, სკკპ გაიჭედა თალლითებითა და აფერისტებით. ყოველგვარი გზით მიმვრებიან პარტიაში. ფულითაც კი. მაგალითად, ვაჭრები, ნოქრები, დახლიდარები პარტიის წევრობას ეიდულობენ.

ვინ არის ეს ებადღებული პარტმუშაკი? ის, ვინც ბავშვობიდანვე კომკავშირში დაცუნცულებს და ბაღლობიდანვე ეჩვევა ერთი საფეხურით მაღლა მდგომის ბრმა მორჩილებას, მისთვის გუნდრუკის კმევას, თუთიუუშივით იმის გამეორებას, რასაც უბრძანებენ, და დასმენას. მას ეკრძალება ჰქონდეს საკუთარი აზრი, რადგან ეს მოსალოდნელია დაუპირისპირდეს ზედა საფეხურზე მდგომის აზრს. ეს კი ყოველად გამორიცხულია. მომავალი პარტმუშაკი მხოლოდ მაშინ გაიკვლევს გზას ცკ-სკენ, როცა ჩაკლავს საკუთარ აზრს და უფროსის ყოველ ბრძანებას ბრმად გაიმეორებს და აღასრულებს. მომავალი პარტმუშაკი კომკავშირში უოფნისას საბოლოოდ იფიტება, ყოველივე ცოცხალი კვდება მასში და უკვე სამუდამოდ გამოძმარ-გამომძრალი იწეებს პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეობას. პარტმუშაკი ცკ-ის თანამშრომლად არ ივარჯებს, თუ დაავადებული არ არის ქრონიკული თავის კანტურით. რასაც უფროსი ეტევის, ეველაფერზე დასტურის ნიშნად თავი უნდა დაუკანტუროს.

სახელმწიფო მოღვაწის ანპარესზე გამოსასვლელ ასეთ გზას ვერც ერთი მოაზროვნე და ნიჭიერი ახალგაზრდა ვერ გაუძღვებ (ნიჭიერება უპირველესად თავისუფალ აზროვნებას ეტრფის). ამიტომ ნიჭიერი უოველთვის ტოვებს ამ გზას და სხვა საქმეს ჰკიდებს ხელს. თუ იფიქრა, გავუძღვებო და ბოლომდე დარჩა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი თანდათანობით სულიერად დაცარიელდება და გამოურყვდება, რადგან იძულებულია მორჩილად უცადოს, როდის მიიხრწნება და მოკვდება არსებული ხელისუფალი. ამ მოლოდინში დაკარგავს შემორჩენილ ენერჯიას, ახლის გრძობას, ოდნავ მბუქტავ საღი აზროვნების უნარს. თუ როგორმე პირველი ჰოსტი ერგო, უკვე აღარაფრის თავი აღარ აქვს. ამდენი ტანჯვით ვაბოროტებული ქვეყნის ბედზე კი აღარ ფიქრობს, არამედ შურისძიებაზე – როგორ გადაუხადოს სამაგიერო იმათ, ვინც აწუებინა პირველი ჰოსტისაკენ მიმავალ გზაზე.

ხრუშჩოვს თურმე სტალინი ჭირის დღესავით სძულდა, მაგრამ ითმენდა. წლების მანძილზე ერთგულებას ეფიცებოდა, უკანალს ულოკავდა და თვალეუბში შესციცილებდა. ასე ელოდა თავის საათს, ამდენი მოთმინება და მოლოდინი გენიოსს გამოატყინებდა. რაღას უზამდა ხრუშჩოვს, რომლის გონებრივი ავლა-დიდება ბატის ჭკუას არ აღემატებოდა. ისტორიის ირონიამ ეს კაცი 250-მილიონიანი უზარმაზარი სახელმწიფოს ერთპიროვნული გამკებელი გახადა. რა გააკეთა მერე მან? შურისძიებით სიგიჟემდე მისული ანგრევდა ეველაფერს, რაც კომუნისტური ტოტალური სახელმწიფოს სიმტკიცე იყო. ეგონა, სტალინს სამაგიეროს უუხდოდა და ფარდა ახადა, ნიღაბი ჩამოხსნა კომუნისმს. რუსული სოციალიზმის ნამდვილი სახე დაანახვა მსოფლიოს. ამით მან უნებლიეთ უზარმაზარი სასიკეთო საქმე გააკეთა. ასეთი პარადოქსიც იცის ცხოვრებამ – სიმართლეს გიჟის ენით ლაპარაკობს. როგორც ჩანს, ასე უცნაურად შეღავნდება ისტორიის სიმართლე.

ამა თუ იმ ფორმით ეველა კომუნისტ ხელისუფალს ხრუშჩოვის გზა აქვს გავლილი, გულში დაგუბებული სიმულგილით და შურისგებით. ესეც რუსული სოციალიზმის კანონზომიერებაა.

კომუნისტ ხელისუფალს არა აქვს საშუალება მოისმინოს სიმართლე, ტუუილი სახელმწიფო პრინციპია. მთავრობა და პარტია ატუუებს ხალხს, ხალხი – პარტიას და მთავრობას. უფრო მეტიც, თვითმორტუუებასაც ეწვეიან. კრებებზე, კონფერენციებზე, ჰლენუმებზე, ყრილობებზე ეველა ტუუის. პოსტზე მყოფ ხელისუფალს აქებს და ადიდებს. ემანის გენიოსს და უცდომელს. შეიძლება მხოლოდ მოხსნილი ხელისუფალის კრიტიკა. მართალია, ამას მნიშვნელობა აღარ აქვს, რაკი საქმე უკვე წამხდარია, მაგრამ ეს დემაგოგისათვის არის საჭირო: აქაოდა სიმართლეს ვამბობთ და პრინციპულ ბრძოლას ვეწვიითო. ეს ეშმაკობა ეველამ ისწავლა – დიდმა თუ პატარამ, გამოცდილმა თუ გამოუცდილმა და სუუველა აღვირახსნილი ტუუის.

სიმართლეს ხომ ვერ მოისმენს და ვერ მოისმენს კომუნისტი ხელისუფა-

ლი, ვერც ნიჭიერ თანამშრომელს აირჩევს. ესეც გამორიცხულია, რადგან საქმეში ჰარტმუშაკი ჰირად ინიციატივას ვერ გამოიჩენს. როგორც უკვე ითქვა, უნდა აკეთოს ის, რასაც უბრძანებენ. უნდა თქვას ის, რაც ოფიციალური მოდელით არის გათვალისწინებული. ამიტომ უკვლავ ჰარტმუშაკი ერთმანეთს ჰგავს, ინკუბატორში გამოჩეკილი თეთრი ქათმებივით. მათ ვერ განასხვავებ, ვერ გაარჩევ, ვინ არის უნიჭო და ვინ – ნიჭიერი. ამდენად კომუნისტი ხელისუფალი იძულებულია თანამშრომელი ნაცნობების წრიდან აირჩიოს. ჯერ ერთი, ნაცნობების წრე უოველთვის ვიწროა და მეორეც, სად გინახავთ კაცი, რომელსაც მხოლოდ ნიჭიერი ნაცნობები ჰუადგენ? საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ანჰარეზზე კი ავტორიტეტის და სახელის მოპოვება გამორიცხულია, რაკი არავის აქვს საშუალება დამოუკიდებლად და თავისუფლად იაზროვნოს. ამ მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ უოველი საბჭოთა მოქალაქე გაორებულია. ერთია საბჭოთა მოქალაქე შინ და მეორეა ტრიბუნაზე. შინ იგი წუველა-კრულვას უგზავნის კომუნისტებს, ტრიბუნაზე ასული კი აქებს და ადიდებს. ამ გზით შოულობს ლუკმაპურს. ღირსებადაკარგული, ზნეობადაკარგული თავს იმით იმართლებს, რომ ამტკიცებს – უველა ასე აკეთებს და მე რაღა გამონაკლისი ვარო. როცა ზნეობრივად ასეა ადამიანი გაზრწნილი, რა თანამდებობაზეც უნდა დანიშნო იგი, სულ ერთია, ვერაფერს გზიანს და საქმიანს ვერ გააკეთებს. მისი არც ნდობა შეიძლება და არც პატივისცემა.

ამრიგად, გულუბრველო ოცნება – სკკპ-ში გაიზრდება გონიერი და ნიჭიერი კაცი, მერე ის ხელისუფალი გახდება და ქვეყანას უშველისო – ფუჭია და უნიადგო.

ახლა თუ საბოლოო დასკვნას გავაკეთებთ, გამოდის, რომ

1. გველის გარდაუვალი გარუსება და,
2. გარუსებულებს რუსული სოციალიზმის ჯოჯოხეთურ პირობებში ცხოვრება.

ნუთუ ქართველი ხალხი ორივეზე თანახმაა?

ნუთუ მართალია აკაკის ტკივილით ამონაკვეთი – „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!“

თუ თანახმა არ ხართ, იცოდეთ, ერთადერთი ხსნა დამოუკიდებლობაა.

როცა ქართველ ხალხს მიეცემა ეროვნული ენერჯის სრული და თავისუფალი გამოვლენის საშუალება, ის თვითონ მოძებნის გზას და ფორმას, როგორ სოციალ-პოლიტიკურ სისტემაში იცხოვროს.

ზოგიერთი ქართველი რუსულმა პროპაგანდამ ისე გააბრუა, რომ გულმხურვალედ ამტკიცებს, ურუსეთოდ შიმშილით ამოვწყდებითო.

რუსების მიერ საქართველოს დაპრობამდე ჩვენი ქვეყანა თითქმის სამი ათასი წელიწადი არსებობდა და საკვებად არც რუსული ჰური დასჭირვებია და არც რუსული კარტოფილი. თუძვა ახლა კომუნისტებმა სოფლის მეურნეობას ისე შესანიშნავად მოუარეს, რომ მსოფლიოს ხორბლის ბელელი რუსეთი უპუ-

როდ დატოვეს. იძულებულნი არიან ჰური უცხოეთში იყიდონ, თორემ შიშში-
 ლით დაიხოცებიან. მერედა, თუ საჭირო განდა, რუსეთის შუამავლობის გარეშე.
 საქართველო ვერ იყიდის ჰურს უცხოეთში? ფინეთიც რუსეთის კოლონია იყო.
 ახლა დამოუკიდებელია. მერედა როგორ გკონიათ, ვინ ცხოვრობს უკეთესად
 -- რუსეთს თავდაღწეული ფინეთი თუ რუსეთის ერთგული საქართველო? ვინც,
 თუნდაც ზერელები, იცნობს ფინეთის მდგომარეობას, დაადასტურებს, რომ შე-
 დარებაც წარმოდგენილია, იმდენად უკეთ არის ფინელების საქმე. თუმცა სად
 ფინეთის კლიმატური ზირობები და სად საქართველოსი! საქართველო სამხრე-
 თის ქვეყანა და, წამლად რომ გინდოდეს, უვავილს ვერ იშოვი. ჩრდილოეთში
 მდებარე ჰოლანდია კი უვავილებით განდა უმდიდრესი ქვეყანა. თქვენ წარ-
 მოიდგინეთ, რუსების ზრუნვის გარეშე მოახერხეს ეს ჰოლანდიელებმა. არც
 დანიას და ნორვეგიას სჭირდება რუსეთის მიმობა. ისინიც ურუსეთოდ იქცნენ
 მსოფლიოს უმდიდრეს და უგანათლებულეს ქვეყნებად. არც ნორვეგია, არც
 დანია, არც ფინეთი საქართველოზე მრავალრიცხოვანი არ არის. მამ საქართვე-
 ლოს რა ღმერთი გაუწერება, რუსი გადიას გარეშე ცხოვრება ვერ მოახერხოს?
 ფსიქოლოგიურად წავგახანინეს. გამუდმებული პროპაგანდით ჩავვიტყვეს თავ-
 ში, ურუსეთოდ ვერ იარსებებთო და ბევრმა ეს მიაძიტად დაიჯერა. თუ
 დამოუკიდებლობას ველირსეთ, მაშინ ნახავთ, რა შეუძლია თავისუფალი
 ქართველი კაცის ენერჯიას. ერთ ფაქტს გაგახსენებთ საქართველოს ისტორი-
 იდან. 1122 წელს აიღო დავით აღმაშენებელმა თბილისი და საქართველოს
 რუსული კათავისუფლება დაამთავრა. 1225 წელს თბილისი ხვარაზმელებმა
 დაატყვიეს და თავისუფალი საქართველო დაეცა. სულ 103 წელიწადი იყო
 საქართველო თავის თავის ჰატრონი და ბატონი. ამ 103 წლის მანძილზე აშენ-
 და გელათი, იკორთა, ფიტარეთი, ქვათახევი, ბერთუბანი, ბეთანია, სამთავრო,
 ვარძია, გეგუთი, ეინწვისი, წულრულაშენი, თიღვა, წინარეხი, ტიმოთეს უბანი
 და ... რომელი ერთი ჩამოვთვალო. მოღვაწეობდნენ არსენ იუალთოელი, იო-
 ანე პეტრიწი, შავთელი, ჩახრუსაძე, ბექა და ბეშქენ ოპიზარნი და სხვები. დავი-
 ერა „ვეფხისტყაოსანი“! 175 წელიწადზე მეტია ბატონობს რუსი საქარ-
 თველოში და დაასახელებთ რუსის დანმარებით გაკეთებული თუნდაც ერთი რამ,
 რაც შვიდ საუკუნეს გაუძლებს...

აი, რას ნიშნავს ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

მაგრამ თავის თავის იმედი იმდენად დაჟვარკეთ, რომ ზოგჯერ ვერ მიძხე-
 დარვართ იმ მსხვერპლის ძალას, რაც მეორე მსოფლიო ომის დროს გავიღეთ.
 საბჭოთა პრესის მიერ აღიარებულია, რომ ე.წ. სამამულო ომში „მონაწილე-
 ობა მიიღო ჩვენი რესპუბლიკის 700 ათასამდე წარმომადგენელმა, ე.ი.
 საქართველოს მოსახლეობის მესუთედმა. აქედან თითქმის ნახევარი გმირულად
 დაიღუპა ბრძოლაში.“* გაიარეთ საქართველოს სოფლებსა და დაბებში და ნახ-

* გაზ. „კომუნისტი“, 1971 წ., 21 მარტი, №67

ეთ შინძო-უსვლელთა ძეგლებზე წარწერილი. არსებითად ამოვწვევტილვართ ამ ომში. ვერც კი წარმოიდგენს კაცი, რომ ერთ ციცქნა საქართველოს ასეთი ზვარაკის გაღება შეეძლო: 300 ათასზე მეტი დახოცილა! ახლა ერთი წუთით დავფიქრდეთ და ვიკითხოთ – 1921 წლის თებერვალში რომ 5 ათას ქართველს თავი ვაეწირა, იქნებოდა საჭირო ეს უზარმაზარი მსხვერპლი? ცხადია, არა. არც 1924 წლის აგვისტოს ზოცვა-ჟლეტა იქნებოდა, არც განკულაკების ჰერი-ოდის გადასახლება, არც 1937 წლის დახვრეტები და კატორღა, არც 1949 წელს ვაკვრკავდნენ შუა აზიაში და არც 1956 წლის მარტში შეღებავდა თბილისის ქუჩებს ქართველი ბავშვების სისხლი. მაგრამ, ჩვენდა საფალლოდ, სხვისთვის ვიცით თავის ვაწირვა, საკუთარი ეროვნული ინტერესებისათვის – არა.

1921 წლის თებერვალში მე-11 არმიის დამარცხება არ იყო ძნელი. ჩრდილოეთ კავკასიაში ჟოფნისას ეს არმია არსებითად ბრბოდ იქცა. თავად ს.ორჯონიკიძე ატუობინებდა ლენინს: „მეთერთმეტე არმია აღარ არის. იგი საბოლოოდ გაიხრწნა. მოწინააღმდეგე ქალაქებსა და სტანციებს თითქმის წინააღმდეგობის გაუწვევლად იკავებს. ღამით იდგა საკითხი იმის შესახებ, რომ დავტოვოთ თერგის მთელი ოლქი და წავიდეთ ასტრახანისაკენ. არა გვაქვს უძმარები და ვაზნები. არა გვაქვს ფული.“ * მერე ეს გახრწნილი არმია საქართველოსაკენ შემობრუნდა და სრულიად იოლად მოახერხა მისი დამხობა. რატომ? იმიტომ, რომ მთავრობამ ბრძოლა არ ისურვა. კენერალი მაზნიაშვილი სინანულით წერს მემუარებში, ჟორდანიას მთავრობას უფლება რომ მოეცა, მე-11 არმიას ელვის სისწრაფით გავანადგურებდითო. მიუხედავად მენშევიკობისა, ჩარქისიტ ჟორდანიას მანც უჭირდა და ეძნელებოდა რუს მარქსისტებთან ბრძოლა, რადგან მენშევიკების გაზეთ „ერთობას“ ისევე ამშვენებდა ლოზუნს: „პროლეტარებო ეველა ქვეყნისა შეერთდით!“, როგორც დღეს გაზეთ „კომუნისტს“ ამშვენებს. მე-11 არმიაც ამ შეერთებისათვის მოდიოდა. მენშევიკური ჟურნალი „მომავალი“ (1920 წ. №1) მოითხოვდა, რომ საქართველომ „ვერო-პის მუმათა კლასთან ერთად ხელიხელჩაკიდებულმა გასწიოს თავის საბოლოო მიზნის მისაღწევად – სოციალიზმის დასამუარებლად“. მე-11 არმიაც სოციალიზმის დასამუარებლად მოდიოდა. ასეთი ჰროპაგანდით გაბრუებულმა ქართველმა ერმა არ გასწირა თავი საკუთარი ნაციონალური თავისუფლებისათვის. ამას დაერთო ისიც, რომ არ გვაქვს საკუთარი ძალის რწმენა, არ ვენდობით საკუთარ შესაძლებლობას და გვეკონია, რომ, თუ დიდმჟურობელი რუსის კალთაში არ ვიქნებით ჩავორებული, დავიქცევით და დავიღუპებით.

ერთხელ ერთმა ქართველმა ინტელიგენტმა მითხრა, დამოუკიდებლობა რომ მივიღოთ, სად გვეყოლება ხალხი, რომელიც უმოსკოვოდ შეძლებს ქვეყნის მართვასო. დაავიწყდათ, რომ სამი ათეული წლის მანძილზე მართავდნენ ქართველები მთელ სსრკ (სხვათა შორის, დღევანდელი ვეროკომუნიზმი სხვა

არაფერი თუ არა ბუდუ მდივნის „ნაციონალური უკლონიზმი“).

სავალალო და სამწუხარო ის არის, რომ სტალინმა, ენუქიძემ, ორჯონიკიძემ და ბერიამ თავიანთი პოლიტიკური ნიჭი, ენერჯია, ალლო სსრკ-ს საკეთილდღეოდ დახარჯეს და საკუთარი მამულისაკენ ერთხელაც არ მოიხედეს.

ნუთუ ქართველი ხალხის ეროვნული პოტენცია ამით ამოიწურა და მეტს ვეღარ წარმოშობს იგი დიდი მასშტაბის პოლიტიკოსებს? ნუთუ უველა ნიჭიერი ქართველი პოლიტიკოსი საქართველოს ზურგს შეაქცევს და თავის ნიჭსა და ენერჯიას უცხო ერის სამსახურში დახარჯავს?

ეს არ მჯერა და ვერც ვერასოდეს დავიჯერებ.

ნურავინ იფიქრებს, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მთელი სირთულე და სიმძლე არ გაგვითვალისწინებია. არასოდეს ასეთ მძიმე პირობებში საქართველოს არ უცხოვრია. არასოდეს ასე ძნელი არ უოფილა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა.

მრავალჯერ უცდიათ ქართველთა გაარაბება, გასპარსელება, კათურქება, მაგრამ ქართველმა ხალხმა გაუძლო ყველაფერს. გაუძლო იმიტომ, რომ უოველთვის იუვენ ადამიანები, რომელნიც თავდაუზოგველად ემსახურებოდნენ ერს. ახლა არავინ არის, ვინც თავს გაიმეტებს ერისათვის, გარდა მცირერიცხოვანი ახალგაზრდებისა, რომელნიც მარტოღმარტო არიან შინაური და გარეშე მტრების ზღვაში. იყო ქართული ეკლესია, რომელიც ინახავდა ქართველ ხალხს, ქართულ სულს. დღეს ეკლესია განადგურებულია და რაც ბოგინობს, ისიც სუკ-ის (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი) აგენტების ხელშია.

უცხოვრობთ სრული იზოლაციის პირობებში. პრესა, რადიო, ტელევიზია, წიგნი კომუნისტების ხელშია და ცენზურა ცოცხალ აზრს არ აჭაჭანებს. ერთმანეთს ვერაფერს ვაგებინებთ. თბილისში არ იციან, რას ფიქრობს დანარჩენი საქართველო. რა სურს, საით ილტვის. თბილისს გარეთ საქართველომ არ იცის, რას ფიქრობენ დედაქალაქში, რა სურთ, რისთვის ემზადებიან. ადამიანთა შორის დაკარგულია კონტაქტი. ერთი მიზნისათვის შეკავშირება ურთულესი (თითქმის შეუძლებელი) საქმე გამხდარა.

შიგნით ვერ ვაგებინებთ ერთმანეთს, რა გვინდა და თავდავოხილ ჭურში მსხდომნი დანარჩენ მსოფლიოს როგორღა მივაწვდით ხმას?

ვიცით ყველაფერი ეს, მაგრამ, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გარდა, საქართველოს გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს.

არჩილ ჯორჯაძე წერდა – „დემოკრატიული ავტონომია მეცხრამეტე საუკუნის ისტორიის ნაყოფია“. ეს ნაყოფი ჩვენ ვერ მოვწვევით ვერც მე-19 საუკუნეში და ვერც მე-20 საუკუნის დასაწყისში.

ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა მე-20 საუკუნის მონაპოვარია. ჩვენ ეს ნაყოფიც ვერ მოვწვევით და 1921 წლის თებერვალში ტანჯვით ნაპოვნი თავისუფლება დაგვარგეთ. თუ ამ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედშიც

მსოფლიო საერთო პროცესმა გვერდი აგვიარა, დამოუკიდებლობა ვერ მოვიპოვეთ, საქართველო დაღუპულია სამარადქამოდ. აღარასოდეს დარეკავს მისი თავისუფლების საათი. „თუ ეს წუთი გავუშვით, რა ჰასუსი გავცეთ იმათ, ვინც ჩვენს შეძღვე მოვა! ნუთუ ეს ხალხი დაბადებულია მხოლოდ მონობისათვის, მორჩილებისათვის და იგი უნდა გადაიქცეს „ეთნოკრაფიულ მასალად“, რომლიდანაც ჰირობებისა და მიხედვით, გამოდიან ხან სპარსელები, ხან ოსმალები, ხან რუსები!“ (ზურაბ ავალიშვილი).

დამოუკიდებლობის გარდა, ერის თავისუფლების სხვა ფორმა არასოდეს არსებულა და არც იარსებებს.

ისეთი მიაშიტი ქართველი არ მეგულება, რომელსაც სჯეროდეს საქართველოს სსრ კონსტიტუციის დებულება – „საქართველოს სსრ არის სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო“ (მუხლი 68). რა სუვერენიტეტზე შეიძლება ლაპარაკი, როცა საქართველოს არ ჰქვავს არმია, არა აქვს საელჩოები სხვა ქვეყანაში და არ შეუძლია აწარმოოს უშუალო დიპლომატიური ურთიერთობანი. არა აქვს ეროვნული ვალუტა და ა.შ. თუმცა, ბევრი ლაპარაკი არც არის საჭირო, 69-ე მუხლი იქვეა გაუქმებული 78-ე მუხლით, სადაც წერია – „სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ სუვერენულ უფლებებს იცავს სსრ კავშირი“. რა ვუთხარი იმ სუვერენულ სახელმწიფოს, რომლის სუვერენიტეტს სხვა იცავს! ასეთი აბსურდი კონსტიტუციაში ეწეროს მხოლოდ იმ სახელმწიფოში შეიძლება, სადაც საერთოდ, ძალმოძრეობის გარდა, სხვა უფლება არ არსებობს.

დღეს საქართველოს სხვა ალტერნატივა აღარ აქვს – ან უნდა გარუსდეს, ან დამოუკიდებელი გახდეს. მესამე გზა არ არსებობს.

უნდა თუ არა დამოუკიდებლობა ქართველ ხალხს, ამ კითხვას ვერ უპასუხებს ვერც ერთი პარტია მარტო. მას უნდა უპასუხოთ მთელმა ქართველმა ერმა. ამ კითხვას ვერ უპასუხებს ვერც ერთი პიროვნება მარტო, რარიც სახელმძღვანელო და ავტორიტეტის იყოს იგი. ამ კითხვას უნდა უპასუხოთ მთელმა ქართველმა ხალხმა.

დღეს სიტუვა კუთუნის ქართველ ერს. როგორც იქნება ეს სიტუვა, ისეთივე იქნება საქართველოს ბედიც.

1979 წ.

მს იქნებოდა სამართლიანი ბალანსება

საქართველოს ისტორიაში ორი საბედისწერო თარიღია - 1801 წელი და 1921 წელი. ორივეჯერ ქართველმა ხალხმა არსებითად ნებაუფლობით დათმო ეროვნული თავისუფლება და სხვისი ქვეშევრდომობა ამჯობინა. ორივეჯერ როგორც ერმა, ისე ქვეყნის თავაკაცებმა უსაძველო პოლიტიკური გულუბრველობა გამოამჟღავნა.

დღეს საქართველოში რუსთა ბატონობის მომხრეები დაჟინებით ავრცელებენ აზრს, თითქოს მე-18 საუკუნის ბოლოს ქართველ ხალხს ეროვნული გადაშენება ემუქრებოდა, თუ საქართველო რუსეთის კალთას არ ამოეფარებოდა. ეს მტკნარი სიცრუეა და იმათი მოგონილია, ვისაც სურს ქართველი ერი სამუდამოდ რუსეთის ემა იყოს. თუ მეფის რუსეთის ბატონობის დროს ქართველ და რუს მეცნიერებს იმის უფლება მანიც ჰქონდათ, რომ ობიექტურად შეესწავლათ ისტორიული საბუთები, განეხილათ ისინი და რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის მართალი სურათი დაეხატათ, კომუნისტურმა რუსეთმა ისტორიკოსებს ამის უფლებაც ჩამოართვა. ახლა მხოლოდ იმის თქმაღა შეიძლება, რომ რუსეთმა უანგაროდ* შეიერთა საქართველო და ამით ქართველი ხალხი არა მარტო იხსნა თურქეთისა და სპარსეთისაგან, არამედ ფიზიკურ განადგურებასაც გადაარჩინა. ამ აზრის ქადაგებას რუსეთისათვის მკაფიო იდეოლოგიური მიზანი აქვს: არ გაიღვიძოს ქართველ ერში ეროვნული თავისუფლების აზრმა. კომუნისტური ცენზურის ბრჭყალებში მოქცეულ ქართულ ისტორიულ მეცნიერებას სიმართლე ვერ უთქვამს. დღევანდელი ქართველი ისტორიკოსები ვაივავლანით სტრიქონსა და სტრიქონს შუა თუ გააპარებენ ნახევარ სიმართლეს, თორემ სხვა საშუალება მათ არა აქვთ. ამიტომ, ვისაც სიმართლის შეტეობა სურს, ან უშუალოდ ისტორიულ დოკუმენტებს უნდა მიმართოს, ან იმ მეცნიერთა შრომებს, ვინც ოქტომბრის რევოლუციამდე მოღვაწეობდნენ. როცა ამ მასალას გაეცნობით, დაინახავთ, რომ მე-18

* აქ კომუნისტებისა და ალექსანდრე პირველის მანიფესტის დამოკიდებულება 1801 წელს მომხდარი ფაქტისადმი ერთნაირია.

საუკუნის ბოლოს საქართველოში ვაჭარების უკეთესი მდგომარეობა იყო, ვიდრე ერეკლე მეორისა და სოლომონ ჰირველის გამეფების წინა პერიოდში. მე-18 საუკუნის ჰირველ ნახევარში საქართველოში სრული ანარქია სუფევდა. თურქეთი და სპარსეთი თავისუფლად დაპარპაშებდნენ როგორც ამერეთში, ისე იმერეთში. შინაფეოდალური აშლილობა აჩანავდა ქვეყანას და ანადგურებდა მოსახლეობას. პატრონი და გამკითხავი არსაიდან ჩანდა. მაგრამ ქართველმა ხალხმა მისი ისტორიის ამ უმძიმეს პერიოდს მედგრად გაუმლო და ვაჭარებით წელში გამართული შეხვდა მე-18 საუკუნის დასასრულს. საქართველოს ფეხზე წამოდგომაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით ერეკლე მეორესა და სოლომონ ჰირველს. მათი ენერგიული მოღვაწეობის შედეგად შესუსტდა თურქეთისა და ირანის აგრესია. მოწესრიგდა ქვეყნის საშინაო საქმეები. გაერთიანდა ქართლისა და კახეთის სამეფოები. სიმშვიდემ და წესრიგმა დაისადგურა იმერეთის სამეფოში. აღორძინდა ერთიანობის ეროვნული იდეა. 1773 წელს ერეკლე მეორესა და სოლომონ ჰირველს შორის დაიდო მეგობრობის დადგინებული კონტრაქტი. 1790 წელს დაიწერა ერთობის ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართა. ქართლის, კახეთის, იმერეთის, ოდიშის და გურიის მეფენი და მთავრები ფიცს დებდნენ საუკუნოდ ერთად ეოფილიყენენ და არასოდეს მომხდარიყო მათ შორის შინაგანხეთქილება. ეროვნული ერთიანობის თვალსაზრისით, ეს უდიდესი მიღწევა იყო. თუ ადრე ერთმანეთის მტრობასა და შუღლში ამოხდილობდა სული და გარეშე მტერს საქართველოს დაქვევას უადვილებდნენ, როგორც იქნა მე-18 საუკუნის ბოლოს მიხვდნენ, რომ „... არიან მენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებულნი, აქვსთ მავასხებლობითაცა სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოეწონებთ შეკრულთა ურთიერთთა შორის...“ ეროვნული ერთიანობის შეგნებამ იმ დონეს მიაღწია, რომ 1792 წელს ერეკლე მეორეს ეახლა დასავლეთ საქართველოს დელეგაცია თხოვნით: იმერეთის სამეფო შეიერთეთო.* დადგა საუკუნეებით ნანატრი წუთი – ამერეთი და იმერეთი ერთიანდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, არ გასჭრა არც იმიერ საქართველოს დელეგაციის თხოვნამ, არც ამიერ საქართველოს ბრძენთა მკვერთეჭველეობამ, არც ჯანსაღმა პოლიტიკურმა აზრმა: ერეკლე მეორემ უარი თქვა შეერთებაზე და გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა. აღმაშენებელი გზით მიმავალი საქართველო იმ დღიდან ისევ თავველე დაეშვა უფსკრული საკე.

მე-18 საუკუნის ბოლოს საქართველოს საგარეო მდგომარეობაც უკეთესი იყო. კავკასიაში რუსეთის გავლენის გაძლიერებით შეშინებული თურქეთი და სპარსეთი საქართველოს მიმართ უფრო მეგობრობის მომხრენი იყვნენ, ვიდრე ამჟამად მტრობისა. ორივე მაჰმადიანური ქვეყანა კარგად ხედავდა, თუ ქრისტიანული რუსეთი კავკასიონს გადმოაბიჯებდა, მათი პოლიტიკური და

* ვ. ბერიძე, *საქართველოს ისტორია*, 1978 წ., გვ. 15-17.

სამხედრო ძლიერების აღსასრულიც დადგებოდა.

მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1786 წლის 23 დეკემბერს აღმოსავლეთ საქართველოს ელჩი ჰეტერბურგში გარსევან ჭავჭავაძე რუსეთის იმპერატრიცას ატყობინებდა: ალა-მაჰმად-ხანი ერეკლე მეორეს ემუდარება, ოღონდ რუსეთმა მე დამიჭიროს მხარი და სანაცვლოდ ახერბაიჯანის პროვინციებს დაგითმობო. საქმე ის გახლდათ, რომ ირანში შინაპოლიტიკური არეულობა სუფევდა. ალა-მაჰმად-ხანი ტახტზე მუარად ვერ გრძნობდა თავს. აბარბაცებულ მის ხელისუფლებას დაქცევა ემუქრებოდა. შეშინებული ალა-მაჰმად-ხანი მოკავშირესა და მხარდამჭერს ეძებდა. სპარსეთის შაჰი იძულებული გამხდარა რუსეთისათვის მიემართა. შუამავლად კი ერეკლე მეორე აერჩია. როცა რუსეთის სამეფო კარმა ეს ამბავი შეიტყო, აღტაცებულმა ალა-მაჰმად-ხანს მაშინვე მეგობრობის რწმუნებანი და მადლიერების წერილი აახლა.*

ამ მდგომარეობით თავისუფლად შეეძლოთ ესარგებლათ ქართველ პოლიტიკოსებს, მით უმეტეს, რომ, როგორც ზურაბ ავალიშვილი აღნიშნავს, ალა-მაჰმად-ხანი „делал предложения Ираклию и очень для него выгодные“. მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ ქართველ პოლიტიკოსებს ამ სიტუაციის საქართველოს სასარგებლოდ გამოყენების ნიჭი და ალღო არ აღმოაჩნდათ.

უფრო გვიან კი თურქეთის ხონთქარმა სელიმმა ვიორგი XIII-ს აღუთქვა, თუ საქართველო რუსეთს ჩამოსცილდება, თურქეთის მფარველობას დასჯერდება, დაგიბრუნებთ ახალციხის საფაშოს და სრულიად სამცხეს ისე, როგორც ეს ძველად უოფილაო.** ვერც ეს წინადადება გამოიყენეს. იმის მაგიერ, რომ დიპლომატიური მოქნილობა გამოეჩინათ და საქმე ქართველთა საკეთილდღეოდ წარემართათ, ვიორგი XIII-მ უარი შეუთვალა სულთანს. რა თქმა უნდა, თურქეთის ხონთქარს და სპარსეთის შაჰს ქართველების სიუვარული არ გაღვიძებიათ. ისინი, უბრალოდ, ნათლად ხედავდნენ შექმნილ სიტუაციას და საღად აფასებდნენ ვითარებას. ეძებდნენ მდგომარეობიდან გამოსავალს. დიპლომატიური და პოლიტიკური გამჭრიახობა ითხოვდა ქართველთაგან ხელსაყრელი სიტუაციის გამოყენებას ქვეყნის სასარგებლოდ.

ქართველმა პოლიტიკოსებმა (თუმცა ეს უველახე არ ითქმის) ვერც მაშინდელი დიდი საერთაშორისო სიტუაცია გაითვალისწინეს.

მე-18 საუკუნის ბოლოს ევროპაში საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დანთებული ცეცხლი გიზვიზებს. იმპერიები ირუევან. ეველა საკუთარი ტყავის გადარჩენასე ფიქრობს. ძლევაპოსილი ნაპოლეონი ხან ეგვიპტეშია, ხან იტალიაში, ხან პრუსიაში და ეველას თვალი მას მისჩერებია. არავინ უწეის, რას მოიმოქმედებს ეს კაცი, რომლის წინაშე სახელმწიფოები იმსხვრევა, როგორც თიხის ქოთნები. საერთაშორისო პოლიტიკის წყალი

* Авалов З. Присоединение Грузии к России. 1906 г., стр.153,158

** ჰოსელიანი. ცხოვრება ვიორგი მეცამეტისა. 1978 წ., გვ.116.

ამდგომარეობა და სწორედ ახლათ შესაძლებელი თევის დაჭერა. თურქეთის ურდოებმა ხმელთაშუა ზღვის აუზისკენ არის მიპრობილი. რუსეთი მიჯაჭვულია ცენტრალურ ევროპას. ინგლისი ცდილობს ინდოეთისაკენ მიმავალი გზები გადაეკეტოს. ვისდა სცალია ახლათ საქართველოსათვის. ამ სიტუაციაში ორიენტირების ნაცვლად და დროის შესაფერი პოლიტიკური მოდელის გამოძების მაგიერ, ერთმორწმუნეობის დოგმით დაბრმავებული ქართველი ელჩები პეტერბურგში იმპერატორის კარს ატალახებენ.

ევროპაში მომხდარი ამბებით დაკავებული ალექსანდრე პირველი აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტზე ხელის მოწერას აჭიანურებს.

კარგად არის ცნობილი, რომ ვიოროვი XIII ვარდაიცვალა 1800 წლის 28 დეკემბერს. 1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგში უკვე გამოაქვეყნეს ჰაველი პირველის ხელმოწერილი მანიფესტი აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებისა. მაგრამ, ვიდრე ამ მანიფესტმა საქართველომდე მოაღწია, მდგომარეობა შეიცვალა: 1801 წლის 12 მარტს ჰაველი პირველი დაახრჩვეს. მანიფესტით თბილისისაკენ მომავალი ფელდმარშალი უკან პეტერბურგს მიბრუნდა. შეერთების მანიფესტი ახალ იმპერატორს ალექსანდრე პირველს უნდა დაედასტურებინა. აქ უცნაური ამბავი მოხდა: ალექსანდრე პირველი გაჯიქდა და უარი თქვა მოეწერა ხელი მანიფესტზე. თითქმის რვა თვე მიმდინარეობდა ეს დავა.

ალექსანდრე პირველს უცნაური ზნე სჭირდა: თავი ცოდვილად და დამნაშავედ მიანხდა. რაკი მამის დახრჩობაში მონაწილეობდა, მუდამდღე ცოდვის გამოსყიდვაზე ფიქრობდა და ღმერთს ვევედრებოდა, მომიტყვეო დანაშაული. ათასგვარ რელიგიურ სექტასთან ჰქონდა გაბმული კავშირი და სულის სახსნელ გზას დაემებდა. მანიფესტის ხელმოწერის დროსაც ეს დაიწმინდა: ცოდვას ვერ ჩავიდნ და ღვთით მირონცხებულ დინასტიას სამეფოს ვერ წავართმევო. დაიწყო ჰაველობა. სახელმწიფო საბჭომ საქართველოს საკითხი ორჯერ განიხილა - 1801 წლის 11 და 15 აპრილს. საბჭოს აზრით, აუცილებელი იყო აღმოსავლეთ საქართველოს შეერთება. მაგრამ ალექსანდრე პირველს მომხრეებიც გამოუჩნდნენ: გრაფი ვორონცოვი და გრაფი კოჩუბეი. მათ საგანგებო მოხსენებითი ბარათი წარუდგინეს იმპერატორს. ისინი ამტკიცებდნენ, აღმოსავლეთ საქართველოს შეერთება რუსეთის იმპერიისათვის ხელსაყრელი არ არის არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური თვალსაზრისით. პოლიტიკურად ამ ფაქტმა შეიძლება რუსეთის საგარეო მდგომარეობა გაართულოს, რადგან ეს გააღიზიანებს თურქეთსა და სპარსეთს, მათთან ერთად ინგლისსაც (მაშინ ევროპა აღმოსავლეთ საქართველოს სპარსეთის ნაწილად თვლიდა). ისედაც უაღრესად არეულ საერთაშორისო სიტუაციაში ამგვარი დამბებული და გაღიზიანებული მდგომარეობის შექმნა სრულიადაც არ არისო რუსეთისათვის სასარგებლო. ეკონომიკურად კი რა უნდა მისცესო ჰაწია და ლატაკმა

საქართველომ თავალუწვედენელი ტერიტორიისა და ამოურწყავი რესურსების ჰატრონ რუსეთს? ერთი სიტყვით, ასკენიდენ ვორონცოვი და კოჩუბეი, ჩიტი ბრდღენად არ ღირსო.

ეს გონივრული აზრი მანც არ გაიზიარეს სხვისი მიწა-წყლის მითვისებას დახარბებულმა რუსმა მოხელეებმა. სახელმწიფო საბჭოს 1801 წლის 8 აგვისტოს სსდრომაზე დიდმა უმრავლესობამ ხმა მისცა აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებას. 12 სექტემბერს ალექსანდრე ჰირველმა ხელი მოაწერა შეერთების მანიფესტს, რომელიც დაწერილი იყო ჰლატონ ზუბოვის მიერ.*

ქართველმა დიპლომატებმა არც ალექსანდრე ჰირველის უოყმანი გამოიყენეს. ჰირიქით, გიორგი XIII-ის ელჩებმა უოველი ღონე იხმარეს, რათა იმჰერატორს აზრი შეეცვალა. უკიდურესი დაჰირების, ხეწწნა-მუდარის გზით ცდილობდნენ მიეღწიათ იმისათვის, რომ სახელმწიფო საბჭოს შეერთების გადაწვევტილება მიეღო.

რამია საქმე? რატომ მოხდა ეს? ნუთუ იმდროინდელ საქართველოში არავინ იყო, რომელიც პოლიტიკურ სიტუაციას ალღოს აუღებდა და ეროვნული თავისუფლების დაკარგვის წინააღმდეგ იბრძოლებდა? რა თქმა უნდა, იყვნენ ქართველნიც და არაქართველნიც. ჰლატონ იოსელიანი გვიამბობს, როგორ ემუდარებოდა ჰატრი ნიკოლა (ეროვნებით იტალიელი) გიორგი XIII არ დათანხმებულყო მეფე აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებას.

ჰატრი ნიკოლას უთქვამს: „დამონებული სხვათაგან მეფობა არის უბედური და მარადის სამწუსარო. სხვათაგან დამოკიდებული ქვეყანა იქნება დაცინებული და საიციხველი. უცხო ნათესავი, ჰატრონად ქვეყნისა მოუვანილი, შეექმნება ერსა მტრად და მდევნელად, და მანუხებლად... რუსნი შემოიტანენ ჰირველადვე მძიმესა უღელსა და დასდებენ ქვეყანისა კისერსა...“. როცა იტალიელი მისიონერის ეს სიტყვები ურად არ უღია გიორგი XIII, ჰჯრის მამა ათანასეს ბიბღია მოუტანია და მეფეს წაუკითხა თურმე ისანია წინასწარმეტყველის სიტყვები (თავი მესამე):

„... დროთა ამით უფალი მოუღებს სამკაულთა, და სარკეთა და შემოსავს საგლოველსა სამოსსა; მოხსნის სარტყელთა, მოხდის ქუდთა და ქაღლად სახილველჰყოფს თავისა მათისა თხემთა; გაასწორებს მათ მიწასთან...“.

ეროვნული დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად იღვწოდა მე-18 საუკუნის საქართველოს დიდი სახელმწიფო მოღვაწე სოლომონ ღიონიძე. იგი ჰ. იოსელიანის სიტყვით, „ვითარცა ღომი, გარემოცული მტერთაგან, იბრძოდა ქვეყნისათვის, მეფობის დაუკარგველობისათვის.“ მაგრამ სოლომონ ღიონიძის მოწოდება – „ბატონებო, იყვენით ფხიზლად! ჰვარცმულისა მადღმა,

* ვისაც სურს ღრმად გაეცნოს აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიას, წაიკითხოს ზ. ავალიშვილის წიგნი – Присоединение Грузии к России.

იღუპება ქვეყანა უშველებლად!“ – რჩებოდა ხმად მღალღებლისა უდაბნოსა შინა.

ერთხელ დავით ჩერქეზიშვილს ირონიული, კონიურული და შორს-მჭვრეტელური კითხვაც კი დაუსვამს გიორგი XIII-ისათვის: ბატონო მეფე, კავკასიის კარს რომ აღებ, მოახერხებ მერე მის დანშვასო? ამას გიორგი XIII-მ მიაძიტად უპასუხა თურმე – კარს ქრისტიანობას ვუღებ და თუ საჭირო გახდება, თვით ჯვარცმული დაკეტავსო ამ კარებს.*

მწარედ მოტუედა გიორგი XIII. ჯვარცმულს არ დაუსმავს დარიალის კარი არც ქართველთა და არც ბაგრატიონთა დასაცავად. როგორც ჩანს, გიორგი XIII-მ არ იცოდა, რომ პოლიტიკაში არაფერს ნიშნავს „ერთმორწმუნეობა“, „მართლმადიდებლობა“, „ურწმუნოთა უღელი“, „ქრისტეს მტრებთან ბრძოლა“ და სხვა ამგვარი ჰათეტიკური ცნებანი და საერთოდ, „სხვისი იმედი რას არგებს თავისუფლების მძებნელსა“ (აკაკი წერეთელი).

უცნაური სურათი იხატება ამ სქემატური მიმოხილვითაც კი. იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაცია როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე ხელს უწეობს უფრო ჩვენი ქვეყნის ეროვნული თავისუფლების შენარჩუნებას, ვიდრე დაკარგვას.

არიან ადამიანები, რომლებიც სრულიად მკაფიო ანალიზს უკეთებენ შექმნილ მდგომარეობას და იბრძვიან ეროვნული თავისუფლების შესანარჩუნებლად.**

და მიუხედავად ამისა, მაინც იმარჯვებს შეერთების აზრი.

რატომ? ნუთუ იმდროინდელი აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო კარი იმდენად გულუბრვეილო იყო, რომ ვერ დაინახა რუსეთის ნამდვილი მიზანი საქართველოში? დაუჯერებელია, რადგან ეს მიზანი რუსეთს არასოდეს დაუმაღლავს.

რუსეთი ჯერ კიდევ შორს იყო და იმდროინდელი სიტუაციის მიხედვით არავითარი იმედი არ უნდა ჰქონოდა საქართველოს ხელში საბოლოო ჩაგდებისა, მაგრამ ოცნების მეტი რეალურობისათვის მოსკოვის მეფემ თედორე ივანეს ბებო თავის ტიტულს მიუმატა სიტყვები – „ივერიის ქვეყნისა და ქართველთა მეფეების ხელმწიფე“. ეს მოხდა 1586 წელს. განა ამ ფაქტში მიზანი არ ჩანს?

განა ჰეტრე პირველის მიერ ვახტანგ მეექვსის მოტუეება და ცაცუცურაგება ქართველ მეფეებს არაფერს ეუბნებოდა? განა 1724 წელს ჰეტრე პირველმა არ სცნო კანონიერად თურქთაგან საქართველოს დაპყრობა?

ყოველმა ქართველმა იცის, რა შუაგურულად მიატოვა ერეკლე მეორე რუსის ჯარმა ასპინძაში 1770 წელს. რუსები მიტოვებით არ დაკმაყოფილებულან.

* ზიოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. 1978 წ., გვ.116. 152-53,208.

** ბიუ. სოლომონ დიონიძე. ზიოსელიანი მას „უბრძნეს და ნათლად მხედველს მუოზადისა და მოძაულისა“ უწოდებს („ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“. 1978 წ., გვ.212, 208)

თბილისისაკენ მომავალი გზადაგზა ჭორებს ავრცელებდნენ, ქართველები დამარცხდნენ, ერეკლე მოკლულია და ახლა ვეველამ რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცია უნდა მიიღოსო. განა ამასე უფრო დიდი ვერაგობა შესაძლებელია? მადლობა ღმერთს, იმ ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს და კატორინე მეორის აგენტს გენერალ ტოტლებენს კოვში ნაცარში ჩაუვარდა, მაგრამ ამ ფაქტიდან სწორი დასკვნა არ გაკეთებულა. დღესაც კი საბჭოთა ისტორიკოსები ცდილობენ მოგვატყუონ და ეს მზაკვრული ღალატი მხოლოდ ტოტლებენის თვითნებობას მიაწერონ.

გენერალ ტოტლებენს რუსეთის საიმპერატორო კარისაგან საგანგებო დავალება ჰქონდა მიცემული: ერეკლე მეორისათვის ზურგში ჩაეცა მახვილი. თუ ეს ვერაგობა გასჭრიდა, უმეფოდ დარჩენილ აღმოსავლეთ საქართველოს რუსები „პატრონად“ მოეკვლინებოდნენ და ქვეყანას იოლად ჩაიგდებდნენ ხელში. რაკი ვარაუდმა არ გაუმართლათ, რუსები იძულებულნი გახდნენ აღმოსავლეთ საქართველოდან პირში ჩაღაგამოვლებული განარულიყვნენ.

ტოტლებენი რომ ჰეტერობურგის დავალებით მოქმედებდა, ცხადია, ამას ერეკლე მეორეც მიხვდა. ეს მკაფიოდ ჩანს იმ წერილებში, რომლითაც აღმოსავლეთ საქართველოს პატრონი ჰეტერობურგს ატეობინებდა ტოტლებენის საქციელის შესახებ. თუმცა ერეკლე მეორე პირდაპირ ბრალს არ ღებს ჰეტერობურგს და მანაც ერთგულებას ეფიცება. თან მიაძიტი ბავშვივით იმართლებს თავს – „მე რომ ეს ბრძანება გამეშვა და ქრისტიანების სისხლი დამეღვარა და დამეტუყუებინა (ტოტლებენი - ა.ბ.), – უსვინდისობა მეგონა ჩემგან.“ * და მიუხედავად ამისა, ჰეტერობურგს თავი არ შეუწუხებია დაესაჯა ტოტლებენი ღალატისათვის.

განა ვეველაფერი ეს მკაფიოდ არ მეტყველებს, რომ ტოტლებენს თვითნებურად ნაბიჯიც არ გადაუდგამს და პირნათლად ასრულებდა ჰეტერობურგის დავალებას? ზასუხი თავისთავად ცხადია.

ასეთსავე მზაკვრობას მოგვიანებითაც გაიმეორებენ რუსები. 1783 წელს დადებული ტრაქტატის თანახმად, რუსეთი ვალდებული იყო დახმარებოდა ერეკლე მეორეს გარეშე მტრებთან ბრძოლაში. მაგრამ, როცა აღა-მაჰმად-ხანი შემოესია თბილისს, რუსებს ხელიც არ გაუხმრევიათ და მოხუცი ერეკლე მარტოდ-მარტო შეატოვეს ხელში სპარსელებს. აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი 1795 წლის 12 სექტემბერს ააოხრა, ხოლო გენერალმა გუდოვიჩმა ბრძანება, შემოეყვანა ჯარი აღმოსავლეთ საქართველოში, მხოლოდ პირველ ოქტომბერს მიიღო, როცა უკვე ვეველაფერი წავებული იყო. ვეველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანისათვის გასაკებია, რომ რუსეთი განგებ აუენებდა აღმოსავლეთ საქართველოს მძიმე და გამოუვალ მდგომარეობაში. ქართველთა ხე-

* Грамоты и другие исторические документы, относящиеся к Грузии. т. II. выпуск I. 1898 г., г. Санкт-Петербург, стр. 51

ლისუფლებას იძულებულს ხდიდა მსხველად და გადამრჩენად მხოლოდ რუსეთი მიეჩნია. გაუმართლა კიდევ ამ სერხმა. მთლად დაჩაჩანაკებული და წამსდარი გიორგი მეცამეტე მუსლმოდრეკილი ევედრებოდა რუსეთს, ოღონდ საქართველოს ბატონად გაუხდი და აღარც მეფის ტიტული მიხდა, საქართველოს გამგის სახელიც მეუფაო.*

რუსეთი რომ ურცხვად ატყუებდა საქართველოს, ეს იქიდანაც ჩანდა, რომ გეორგიევსკში დადებული ტრაქტატის არც ერთი პუნქტი არ შეუსრულებია პეტერბურგს. აღმოსავლეთ საქართველოს ხელისუფლებას ეველა იურიდიული უფლება ჰქონდა ეს ტრაქტატი გაეუქმებინა, რამეთუ იგი რეალურად ფარატიანა ქალაქი აღმოჩნდა.**

ისიც მრავლისმეტყველია, რომ ქართველ ხელისუფალთა თხოვნაზე პეტერბურგში დაცინვით ამბობდნენ, ეს ეპისტოლეები იწვევსო „великая докуча“-ს.

და ბოლოს გავიხსენოთ ეკატერინე მეორის კარისკაცის გრაფი ჰანინის ფორმულა – *Душа русская, тело тамошнее* (სული რუსული, სხეული ადგილობრივი), – რაც ასე ნათლად გამოხატავს საქართველოში რუსეთის გაბატონების ერთადერთ და საბოლოო მიზანს და რასაც ასე თანამიმდევრულად ახორციელებს რუსეთი 1801 წლიდან დღემდე. არც ის იქნებოდა ურიგო, დღევანდელ მკითხველს ჰანინის ფორმულისათვის შეეძარებინა რუსი კომუნისტების მრავალჯნის გამეორებული ლოზუნგი – ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური. თუ გავითვალისწინებთ, რომ სიტყვით „სოციალისტური“ შენიღბულია სიტყვა „რუსული“ (რადგან „სოციალისტური“ უფრო იოლად და მარჯვედ ატყუებს გულუბრევილო ადამიანებს), ცხადი უნდა გახდეს, რაოდენ მტკიცედ ეჯაჭვება ერთმანეთს რუსი იმპერატორებისა და რუსი კომუნისტების ეროვნული პოლიტიკა.

რუსეთის ეროვნული პოლიტიკის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა შეერთების ფორმაც. მაგალითად, როცა დიდი ბრიტანეთის სამეფომ ირლანდიის სამეფო შეიერთა, ამ აქტს ასეთი ფორმულირება გაუკეთა – „1801 წლის ჰირველი იანვრიდან დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფოები ერთიანდებიან სახელწოდებით დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის შეერთებული სამეფო.“ *** როგორც ხედავთ დიდ ბრიტანეთს არ წაუშლია ირლანდიის სახელი და არ გაუქრია იგი პოლიტიკური ასპარეზიდან. ჰირიქით, იურიდიული აქტით გამოიხატა მათი თანაბარუფლებიანობა. იმავე 1801 წელს კი რუსეთმა ჰირწ-

* ბოსკელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. 1978 წ., გვ.93-94.

** ის. ზაფალიძეილის დასახელებული წიგნი, სადაც მკაფიოდ წერია, 1783 წლის ტრაქტატი - "в самых главных своих частях оказался сочетанием слов и желаний, не увидевших своего осуществления".

ის. ზაფალიძეილის დასახელებული წიგნი. გვ.188.

მინდად გააუქმა საქართველოს სამეფო, მისი სახელწოდებაც მოსპო და თბილისის და ქუთაისის გუბერნიები უწოდა, რათა ფორმალურადაც არ დარჩენილიყო საქართველოს სახსენებელი. არც ის უნდა დაივიწიოს დღევანდელმა ქართველმა, რომ ირლანდია დიდი ხანია დამოუკიდებელი და თავისუფალია, საქართველო კი დღესაც წელში ოთხადმოკეცილი მიათრევს რუსეთის უკელს.

ასე რომ, ეველაფერი მკაფიო და ნათელი უოფილა. არც რუსეთს დაუმაღლავს რისთვის მოდიოდა საქართველოში და არც ქართველებისათვის უოფილა ეს უცნობი. მაგრამ ქართველები მე-18 საუკუნის ბოლოსაც ისევე იქცეოდნენ, როგორც დღეს ვიქცევით: ვხედავთ რა ხდება ჩვენს თავს და ჩვენს გარშემო, მაგრამ მაინც ვიბრძავეთ და ვიურუებთ თავს.

როგორც დღეს ვუხრით თავს მორჩილად და მდაბლად ეველა ღონისძიებას, მიმართულს ჩვენი ეროვნული არსებობის წინააღმდეგ, ასევე ქედმოდრეკილნი შეეგებნენ მე-18 საუკუნის ბოლოსაც. თითო-ოროლა თავგამეტებულისა და ნათელმხილველის ბრძოლამ კი ნაუოფი ვერ გამოიღო.

ეროვნული თავისთავადობისა და დამოუკიდებლობისათვის ასეთი ნიჰილისტური დამოკიდებულება ქართველ ერში ისტორიულმა სიდუხჭირემ და ავებედითობამ გააჩინა. თვალი გავადევნოთ ჩვენი ეროვნული შეგენების კვდომის ჰროცესს.

1443 წელს გარდაიცვალა ერთობილი საქართველოს უკანასკნელი მეფე ალექსანდრე პირველი. იმ დღიდან უკვე საბოლოოდ დაქუცმაცებულმა საქართველომ 438 წელიწადი იჯახირა, ვიდრე 1801 წელს რუსეთის იმპერიას არ ჩააბარა დაღლილ-დაქანცული სული და სხეული. ამ ოთხი გრძელი საუკუნის მანძილზე თანდათანობით კვდებოდა ქართველთა ეროვნული შეგენბა. საქმე იქამდისაც მივიდა, რომ ქართველებს დაავიწედათ მათი მამულის საერთო ეროვნული სახელი. აბა, დააკვირდით, როგორ აზროვნებენ და წერენ!

„თუ იმერელმან კაცმან მოიუვანოს ტუვე, თუ საქართველოს კაცმან სამოსამსახუროთ, შესანახავად დაიხსნას ...“ *

„ჩვენ, საქართველოს და კახეთის დედოფალთ-დედოფალი და დადიანის ასული დარეჯან ...“ **

„ჩვენ, მეფემან კახეთისამან ირაკლიმ, მემან ღმრთივცხებულის საქართველოს მეფის თეიმურაზისაგან ესე განაჩენი გავარიგეთ...“ ***

„ლეკთა გააოხრეს კახეთი და საქართველო ...“ ****

* „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე“, ტ.1., 1959

.. წ., გვ.82-83.

... იქვე, გვ.89.

.... „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ.11, 1965 წ., გვ.410.

თ.ჟორდანი. ქრონიკები. ტ.3. გვ.89

ვანტანგ ძევექსე რუსეთს წავიდა და „ბევრი ვინმე წარუგუნენ საქართველო-სი და კახეთის დარბაისელნი...“ *

ასეთი ურიცხვი მაგალითის მოტანა შეიძლება და ყველა მათგანი ერთს მოწმობს: ერთობილი ეროვნული სახელი – საქართველო – გაუთანაბრდა ერთ-ერთი პროვინციის სახელს – ქართლს. ეს კი ჩვენი ეროვნული თვითშეგნების ამჟამად დაკნინების ნიშანია. საქართველო დაშლილა არა მარტო პოლიტიკურად, არამედ იდეოლოგიურადაც. მართალია, თითო-ორი მოღვაწეს შერჩენილი ჰქონდა ერთობლიობის გრძნობა და შეგნება (მაგალითად, ვახუშტის თავისი „აღწერით სამეფოსა საქართველოსა“), მაგრამ ეს წვეთი იყო ზღვაში და სათანადო ზეგავლენას ვეღარ ახდენდა.

ასეთი რამ ალბათ არ განუცდია არც ერთ ქვეყანას: იტალიელებისათვის საერთო ეროვნული სახელი არასოდეს გათანაბრებია რომელიმე პროვინციის სახელს. ტოსკანა ეოველთვის იყო ტოსკანა, ლიგურია – ლიგურია, ლომბარდია – ლომბარდია და ა.შ. მათი საერთო სახელი იყო და ისევე რჩებოდა იტალია. თუმცა დაშლილ-დარღვეულა კიდევ, უცხოელების საჭიჯგნ ას-პარეზადაც ქცეულა, ერთმანეთის სისხლიც უხვად უღვრიათ, მაგრამ არასოდეს დაუვიწყებიათ, რომ მათი სამშობლოს საერთო სახელი იტალია იყო. ეროვნული ერთიანობის შეგნება ვერაფერმა ამოძირკვა.

დაშლილ რუსეთშიაც არსებობდა *Новгородская Русь, Киевская Русь, Ростовская Русь*, მაგრამ საერთო ეროვნული სახელი *Русь* ეველგან და ეოველთვის ფიგურირებდა.

ცხადია, ეგ ზომ დაკნინებული ეროვნული შეგნებით ქართველი ხალხი ვერ აღუდგებოდა რუსეთის საქართველოში მოსვლას.

ქართულ პოლიტიკურ-რელიგიურ რუსიზმს კიდევ ერთი გარემოება უწეობდა ხელს.

საუკუნეების მანძილზე საქართველოს ახლო პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან. ბიზანტია აკავშირებდა საქართველოს ევროპულ სამყაროსთან. საქართველო ანტიკურ ეპოქაში ხმელთაშუა ზღვის აუზის კულტურას ეკუთვნოდა. ხმელთაშუა ზღვის კულტურა და სულიერი ცხოვრება იყო ევროპული კულტურისა და სულიერი ცხოვრების საფუძველი. ამიტომ ქართველს არასოდეს უგრძნებია თავი ევროპიდან მოწვევტილად. როცა ძალით უკეტავდნენ ამ გზას, საქართველო ეოველ-ნაირად ცდილობდა გაწვევტილი ურთიერთობის აღდგენას და კავშირის განახლებას. სანამ ბიზანტიის იმპერია არსებობდა, იგი იყო ხიდი, რომლითაც საქართველო ევროპულ სულიერ სამყაროს უკავშირდებოდა. როცა ბიზანტიის იმპერია მოიხსო და მაჰმადიანურმა თურქეთმა საქართველო ევროპას მოს-

წვეიტა, ჩინში მომწვედელი საქართველო აქეთ-იქით აწედებოდა და გასასვლელს ეძებდა. ამ გასასვლელად მან რუსეთი მიიჩნია.

ამ არჩევანში გადამწვეტი როლი ითამაშა ერთმა გარემოებამ. კარგად ცნობილია, რომ საუკუნეების მანძილზე რუსეთი ბიზანტიის მემკვიდრეობას იჩემებდა,* ეველაფერს აკეთებდა ამ მისწრაფების ფაქტად ქცევისათვის. შოა-ქერსა კიდევ ეს: ბიზანტიის დაცემის მერე მართლმადიდებლური ქრისტიანული სამეაროს ცენტრი რუსეთი გახდა. ეს შეიძლო რუსეთმა იმით, რომ რუსულმა ეკლესიამ და ჰოლიტიკურმა აზრმა ბიზანტიის მემკვიდრეობა საერთო-სახალხო რუსულ შეგნებად აქცია. ამის დასადასტურებლად დოკუმენტები არ არის საჭირო, კმარა ანდრეი ბელის სიტყვებიც:

Град первопрестольный - Москва, и мать градов русских есть Киев. Петербург или Санкт-Петербург или Питер (что то же) подлинно принадлежит Российской Империи. А Царьград, Константиноград (или, как говорят, Константинополь) принадлежит по праву наследия (რომანი „პეტერბურგი“). ანდრეი ბელის ამ სიტყვებში მკაფიოდ ჩანს, რისი ჰრეტენზია ჰქონდა რუსეთს. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ რუსეთის ამ ჰრეტენზიას ქართველებიც ცნობდნენ და ადასტურებდნენ კიდევ. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს მეფე ალექსანდრე 1723 წელს იმპერატრიცა ანა იოანეს ასული-სადმი მიწერილ ეპისტოლეში რუსეთს ახალ ბიზანტიად აღიარებდა.** ამ შეგნების შედეგა ქართული კულტურული ცენტრების შექმნა რუსეთში (ისე, როგორც ადრე ბიზანტიაში იყო), რუსულიდან წიგნების თარგმნა (ადრე ბერძნულიდან ითარგმნებოდა), ქართული ბიბლიის შესწორება რუსულის მიხედვით; საერთოდ, საეკლესიო ცხოვრების მოწეობა რუსული ეკლესიის წაბამვით და ამდაგვარები. თუ ადრე ქართველისათვის უმაღლესი ეტალონი ბერძნული იყო, მე-18 საუკუნეში ეს ეტალონი უკვე რუსულია.

რაკი ქართველებიც იზიარებენ რწმენას - რუსეთი ახალი ბიზანტიაა, - მაშინ „მემკვიდრეობით“ რუსეთს მარტო კონსტანტინოპოლი კი არ ეკუთვნოდა, არამედ საქართველოც. სწორედ ამ „მემკვიდრეობის“ თვალთ უყურებს რუსეთი ამიერკავკასიას და, რაც მთავარია, ამას ქართველებიც ეთანხმებიან. ამგვარ სიტუაციაში იკარგება ეროვნული ინტერესი და ჰირველ რიგში დგება რელიგიური. ბატონდება ერთმორწმუნეობის დოგმა.

ერთმორწმუნეობის დოგმის განმტკიცებას ხელს უწეობს ისიც, რომ ბიზანტიის იმპერიის მოსპობის მერე საქართველოს განუწვევებელი ბრძოლა აქვს მხოლოდ მაჰმადიანურ სამეაროსთან, ამის გამო საუკუნეების მანძილზე

* შემთხვევით კი არ გაუხდიათ რუსეთის სახელმწიფო გერბად ორთავიანი არწივი, ორთავიანი არწივი ბიზანტიის გერბი იყო და მიითვისა რუსეთმა. არც ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე მონომაქოსის ქუდი დახურავთ შემთხვევით რუსეთის მეფეებს. ამით ისინი ბიზანტიის უშუალო მემკვიდრეებად აცხადებდნენ თავს.

** საეკლესიო დოგმის დასახელებული წიგნი. გვ.121.

ქართველთა ბრძოლა თანდათანობით იღებს რელიგიურ ხასიათს. რელიგიური ინტერესი ნთქავს ეროვნულ ინტერესს. თურქეთის ან სპარსეთის წინააღმდეგ ხმალშემართულ ქრისტიან ქართველს თავი ქრისტიანობის ქომაგად და დამცველად მიაჩნია. მაჰმადიანი ქართველი კი თავგამეტებული იბრძვის ისლამისათვის. ამ შეგნების წყალობით, პირველი, ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები ვეღარ ჰოულობენ საერთო ენას და მოყვრობის მაგიერ ერთმანეთს მტრობენ; მეორე, რუსეთის იმპერატორებს ქართველები თავს აწონებენ, როგორც ქრისტიანობის გუშაგნი, და გულუბრყვილოდ მიაჩნიათ, რომ რუსეთის მართლმადიდებელი მეფე ქრისტიანობის დამცველ ქართველებს უპატრონოდ არ დატოვებს.

საუკუნეების მანძილზე დაქუცმაცებული საქართველოს ბრძოლა მაჰმადიანური სამეაროს წინააღმდეგ ქართველთა პოლიტიკური მარცხით დამთავრდა. ქართულმა სამეფო-სამთავროებმა თურქეთისა და ირანის პროტექტორატი აღიარეს, რის გამოც ქართველ მეფეს ხან ხანი ეწოდებოდა და ხან ვალი. ხან სუნიტი მაჰმადიანია და ხან შიიტი. თუ აღრე, ქართული სახელმწიფო თვალსაზრისით, ქართველი მეფე ღვთის ნებით იყო ხელმწიფე, მერე, განსაკუთრებით მე-17-18 საუკუნეებში, ქართველი მაჰმადიანური რენეგატების თვალსაზრისით, ქართველი მეფე ტახტზე წის ღვთის ნებით და შაჰის ან ხონთქარის წყალობით. არის დოკუმენტები, სადაც ღმერთი და შაჰი ან სულთანი გათანაბრებულია და ერთად არიან მოხსენიებულნი. ქართველი მეფე უკვე ვეღარ ბედავს თავისთავს ხელმწიფე უწოდოს. ხელმწიფე მისთვის ან ირანის შაჰია, ან თურქეთის სულთანი.

დიდი ხნის განმავლობაში ამკვარმა მდგომარეობამ ქართულ სამეფო კარს დამოუკიდებლობის, თავისთავადობის შეგნება მოუსწო და მისთვის სულერთი გახდა, ვის მფარველობას აღიარებდა. რაკი მთელი სიცოცხლე ესა თუ ის ქრისტიანი ქართველი მეფე მაჰმადიანობას ებრძოდა, განა უკეთესი არ იქნებოდა ქრისტიანი რუსი მეფის პროტექტორატი ელიარებინა და ტახტზე ისპაჰანის ან სტამბოლის წყალობით კი არ დამჯდარიყო, არამედ ჰეტერბურგის და ბუნებრივია, რაკი სხვა გამოსავალი ვერ მოძებნა, ჰეტერბურგი და ქრისტიანი იმპერატორი ამჯობინა მაჰმადიან შაჰსა და სულთანს. თავი მორჩილებით რუსეთის ხელმწიფეს დაუკრა და მისი უხენავსობა აღიარა.

ეროვნული ინტერესი?

სადღა იყო ეს ინტერესი. ზემორე ჩამოთვლილ მიზეზთა გამო იგი უკვე ჩანავლებულიყო და ზევიდან სქელი ნაცარი ეყარა. ამ ნაცრის გაქეჟვას მთელი მე-19 საუკუნე დასჭირდება, მაგრამ ეროვნული ცეცხლის აგიზგიზება მაინც ვერ მოხერხდება. მაქსიმუმი, რასაც მე-19 საუკუნის ქართული პოლიტიკური ზრის მიაღწევს, ეროვნული ავტონომიის მოთხოვნაა რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში (იღია ჭავჭავაძე, არჩილ ჯორჯაძე). მაგრამ ეროვნული ავტონომიის იდეის განვითარება აღარ მოხერხდება, რადგან ამას წინ გადაეღ-

ობება სოციალიზმის იდეა, რომელიც ქართველი მარქსისტების ჰიროთ, ყოველგვარ ეროვნულ უარყოფს. სტალინი, ნ.ჟორდანია, ფ.მახარაძე, ირ.წერეთელი, ალ.წულუკიძე და სხვანი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გამოუცხადებენ ეროვნულ იდეას და „ინტერნაციონალური ძმობის“ ქადაგად დაჯარდებიან. გერმანიას, რუსეთს, საფრანგეთს, იაპონიას, ჩინეთს არ ესირცხვილებათ ეროვნული იდეების პროპაგანდა, დაცვა, პატივისცემა. მხოლოდ ქართველ მარქსისტებს მიაჩნიათ ეს სასირცხვოდ და ჩამორჩენილობად. მაგრამ ვველასე ანეკდოტური ის იყო, რომ, როცა სათანადო პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, დამოუკიდებელი საქართველოს მმართველი პარტია გახდა რსდმპ მენშევიკური ფრთა, ხოლო მთავრობის თავმჯდომარე – ნოე ჟორდანია.* ქართველი მენშევიკები, მთელი მათი მოღვაწეობის მანძილზე, ხელაღებით უარყოფდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, ხოლო ნ.ჟორდანიას მიაჩნდა, რომ ქართველი ხალხის დამოუკიდებელი სახელმწიფო არა მარტო შეუძლებელია, არამედ არც არის საჭირო.** ქართველი მენშევიკები რომ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგნი იყვნენ, ამას ადასტურებს დამოუკიდებელი სომხეთის პრემიერ-მინისტრი ხატისოვიც. თავის „ემშურებში“*** იგი წერს, რომ სომხური პარტია დაშნაკუტური კავკასიისათვის ითხოვდა შვეიცარიის მსგავს ფედერაციას, რადგან ითვალისწინებდაო სომხების გაფანტულობას მთელ კავკასიაში, ქართველი მენშევიკები კი იცავდნენ რუსეთთან სრული ერთიანობის თვალსაზრისს (ხაზი ჩემია – ა.ბ.), რაც შეეხება აზერბაიჯანელებს, მათ მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური იდეალი არ ჰქონიათ.

ისიც გასასხენებელია, რომ 1918 წლის 25 სექტემბერს თეთრგვარდიელ გენერლებს დენიკინს, ალექსევს, შულგინს და სხვებს დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევკენი გვეკეკოარი ბოდის უხდიდა და ახსნა-განმარტებას აძლევდა – რატომ გამოაცხადა საქართველომ დამოუკიდებლობა. მერედა ვის ეძლეოდა ახსნა-განმარტება? გენერლებს, რომელთაც წითელი არმია ჰანღურის ცემით მიერეკებოდა რუსეთიდან.

„უპირველესად ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მივაპერო თქვენი უურადლება

1991 წელს მინაწერი: თურმე ისიც კი არ უცოდნია, რა თანადებობა ეჭირა ნ.ჟორდანიას, სანამ აკაცი რამიშვილმა არ განგვიმარტა. ნოე რამიშვილის ძე გვაუწეებს, რომ 1918-21 წლებში საქართველოში არ უოფილა პრეზიდენტის პოსტი. ნ.ჟორდანია იყო მთავრობის თავმჯდომარე, ანუ პრემიერ-მინისტრი. გაუგებრობა გამოიწვიაო, - დასძენს აკრამიშვილი, - ფრანგული „პრეზიდენტის“ და ქართული „თავმჯდომარის“ აღრევაო (გაზ. „თბილისი“, 1990 წ., 5 ნოემბერი)

მე არ შეუდგები აქ გრძელი ციტატების მოტანას, მაგრამ თუ ვინმეს ეეჭვება ეს, მას ვიხოვ წაიკითხოს ნ.ჟორდანია „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ (გამოცემული ქუთაისში 1908 წ.), ირ.წერეთლის „ისტორიული წერილები“ (ესეც ქუთაისში გამოცემული 1907 წ.). ივ.გომართელის - „ჩემი პასუხი“ (დაბეჭდილი 1913 წ. ნოემბრის გაზ. „თემში“) და სხვანი.

გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1925 წ., 4 იანვარი, №770.

იმ გარემოებას, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 26 მაისს მხოლოდ იმის შემდეგ, რაც საბოლოოდ დაიძალა რუსეთი, როცა მის ტერიტორიაზე შეიქმნა თითქმის 200 დამოუკიდებელი რესპუბლიკა. მხოლოდ მაშინ, როცა საბოლოოდ დაიკარგა იმედი, რომ უახლოეს დროში აღორძინდება რუსეთის ერთიანი ფრონტი. ექვსი თვის ტანჯვის შემდეგ, საგარეო ფრონტზე დამარცხების შედეგად, უველასაგან მიტოვებულმა საქართველომ, ფიზიკური არსებობა რომ შეენარჩუნებინა და თავი გადაერჩინა, იძულებით გადადგა ეს ნაბიჯი.“ *

ხედავთ, როგორი გულიწკვივილი და სინანულია ამ სიტყვებში იმის გამო, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა! ალბათ ამგვარი ეროვნული პოზიციის გამო დასცინოდა აკაკი წერეთელი 1909 წელს ეკვპეტკორს:

ნეტავ, დარჩა ჩვენში კიდევ
იმისთანა ერთი-ორი,
როგორც არის დალოცვილი
ღეშუტატი გეგპეტკორი?
„რას მიქვიან ეროვნება?
სჯობს მოისპოს ნაციაო
და დამარდეს ქვეყნად მხოლოდ
პროლეტარიზაციაო!
პურიშკევიჩ და მარკოვის
მოაზრე და თანასწორი,
ხომ ხედავთ, თუ რა კაცია
ღეშუტატი გეგპეტკორი?
(„ვაშა ღეშუტატს“)

სხვათა შორის, დამოუკიდებელ საქართველოში გაზეთებს ისევე ეწერა ლოზუნგი – „პროლეტარებო უველა ქვეყნისა, შეერთდით!“ – როგორც დღეს აწერია გაზეთ „კომუნისტს“, ხოლო მენშევიკური მთავრობის ოფიციალურ გაზეთ „ერთობა“-ს ამჟღავნებდა წარწერა – „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“. დამოუკიდებელ საქართველოს მართავდა პარტია, რომელიც თავისთავს რუსეთის პარტიად თვლიდა. ამის მერე სრულიად სამართლიანია დასკვნა, რომელიც ზურაბ ავალიშვილმა გააკეთა – „... საქართველოს დემოკრატია 1918-1921 წ. იყო დიქტატურა სოციალ-დემოკრატიისა, ე.ი. მარქსიზმის მემარჯვენე ფრთისა და იგი იყო საქართველოში საბჭოთა დიქტატურის გამარჯვების მომამზადებელი ხანა... როცა 1921 წელს, თებერვალ-მარტის მძიმე დღეებში, საქართველო გააწვინეს მაგიდაზე და გამოცდილმა ქირურგმა – საბჭოთა ხელისუფლებამ – სასტიკი ოპერაცია გაუკეთა, მან იცოდა,

რომ ავადმყოფი გააბრუნა და ოპერაციისათვის უკვე მოამზადა მასზე არა ნაკლებე გამოცდილება, თუმცა არა მასავით გამბედავმა ქართველმა სოციალ-დემოკრატამ.“*

თუ 1801 წელს ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების დამჩლუნგებელი ოპიუმის როლი შეასრულა ერთმორწმუნეობის დოგმამ, 1921 წელს ეს როლი ერთპარტიულობის დოგმამ ითამაშა. ამიტომ იყო, რომ ქართველ ხალხს 1921 წელს ეროვნული დამოუკიდებლობის გამო თავი არ შეუწუხებია. წითელმა არმიამ ისე დაიკავა საქართველო, რომ მას არსებითად არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. მართალია, დიდად ტრაგიკულია, მაგრამ ბრძოლად ვერ ჩაითვლება ის წინააღმდეგობა, რაც კოჭორთან გაუწია წითელ არმიას სტუდენტების და ახალგაზრდა ოფიცრების მცირე ჯგუფმა. ისინი მიწაში ჩაწვენ, როგორც სისხლიანი საუვედური ქართველი ხალხის მიმართ, რომელმაც გულმძვიდად დათმო ეროვნული თავისუფლება. ეს კი მოხდა იმის გამო, რომ ვერც 1918-1921 წლებში მომზადდა ქართველი ხალხის მტკიცე ეროვნული შეგნება.

თუ ეს შეგნება არ გვაქვს, ვერავითარი ხელშეკრულება ვერ დაგიფარავს. 1920 წლის 7 მაისსაც დაიდო ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას შორის, მაგრამ ამას მოსკოვში არავისთვის შეუძლია ხელი დაერღვია იგი და წითელი არმია საქართველოში შემოსულიყო. თუმცა ამ ხელშეკრულების პირველი მუხლი დაღაღებდა:

„გამოდის რა რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მიერ ეველა ერთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლების აღიარებიდან სრულ გამოყოფის უფლებამდე იმ სახელმწიფოებიდან, რომლის შემადგენლობაშიც ეს ერები შედიან, რუსეთი ეოველ პირობების გარეშე სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას (ხაზი ჩემია - ა.ბ.), და თავის ნებით იღებს ხელს ეოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხისა და ქვეყნის მიმართ“.

ამ ხელშეკრულებამაც იმიტომ ვერ დაგიფარა, რომ აქაც სამი ფაქტორი მოქმედებდა, ისევე როგორც 1801 წელს:

1. რუსი შოვინისტები,
2. ქართველი რენეგატები და
3. ეროვნული თვითშეგნების უქონლობა.

თუ 1801 წელს ეროვნული თვითშეგნება შეცვლილი იქნა ერთმორწმუნეობის დოგმით, 1921 წელს ეროვნული თვითშეგნება შეეწირა ერთპარტიულობის დოგმას. ამას პირდაპირ ადასტურებს ლენინის წერილი, რომელიც

*. ავალიშვილი. „საქართველოს დამოუკიდებლობა...“. 1929 წ., კვ. 6, 7.

მან გამოუგზავნა ორჯონიკიძეს 1921 წლის 2 მარტს:

„უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოინახოს მისაღები კომპრომისი ბლოკისათვის ჟორდანისთან ან მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან, რომლებიც ჯერ კიდევ აჯანყებამდე აბსოლუტურად მტრულად არ იყვნენ განწობილი ვარკვეული პირობებით საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების აზრისადმი.“ *

თუ ამ დოკუმენტს დაუუჯერებთ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე არ უოფილა წინააღმდეგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა. ალბათ „თანხმობის“ საფუძველი ერთპარტიულობის დოგმა იყო.

საქართველოში მოსულმა რუსეთმა ბაგრატიონების დინასტიაც ძირფესვიანად ამოძირკვა და მენშევიკებიც. საქართველო დარჩა ისევ რუსეთის უღელქვეშ.

საქართველოს სახელმწიფო ჰქვია და ეროვნული არმია არ ჰქავს. არმია, რომელიც დაიცავს ქართველი ხალხის ღირსებას და თავისუფლებას! ახლა ქართველი ჯარისკაცები, საღღაც ვიეტნამსა და ეთიოპიაში უნდა დაიხოცონ, რადგან რუსეთს მსოფლიოს დაპყრობის ამბიცია აქვს და ეს უნდა ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელების, ლიტველების, ესტონელების, უზბეკების, ტაჯიკების და სხვათა სისხლით მოიპოვოს. ვიცით ეს და ამაზე გული არ გვტკივა, არ ვწუსვართ.

საქართველოს სახელმწიფო ჰქვია და საგარეო საქმეთა სამინისტრო არა აქვს. ის საგარეო საქმეთა სამინისტრო, დღეს რომ გვაქვს, ერის აბუხად ავღუბაა. ვლადიმერაკობ საგარეო საქმეთა სამინისტროზე, რომელიც ქართველი ხალხის ინტერესებისათვის იბრძოლებს, რომელიც ქართველი ხალხის სახელით ილაპარაკებს, საქმეებს ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ წარმართავს. უნდა გვაქონდეს საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელსაც უცხოეთში ელჩები ეწოდება და სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქებში საქართველოს დროშაც იფრიალებს.

საქართველოს სახელმწიფო ჰქვია და იგი არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველებს არავინ თვლის ხალხად, ფრად. საქართველოს არ შეუძლია კაცობრიობის ცხოვრებას თავისი ხმაც შეუერთოს და თავადაც მონაწილეობდეს კაცობრიობის ჭირსა და ღიხინში. მსოფლიოს უველა ქვეყანაში მართლმსაჯულება ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევას სასჯელად თვლის. ჩვენ, მთელ ერს, ჩამორთმეული გვაქვს ეს უფლება და მთელი ერი დასჯილია. რატომ?

საქართველოს სახელმწიფო ჰქვია და არა აქვს ეროვნული ბანკი, ეროვნული ვალუტა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველო ჰგავს უსასლკარო

* ვიქტორი. თხზულებანი. ტ. 32 მე-4 გამ., 1952 წ., გვ. 189-190.

ბოგანოს, რომელსაც სამადლოდ ინახავენ და სუფრაზე მორჩენილ ნამცვეცებს უყრიან. რატომ უნდა იუოს საქართველო რუსეთის ნახუფრალის შემეურე?

საქართველოს ეკონომიკა არ იმართება ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიის, მისი ბუნებრივი მონაცემების, ჩვენი ხალხის მოთხოვნილებების, ხასიათის, ზნე-ჩვეულებებისა და ისტორიული ტრადიციის გათვალისწინებით. იგი იმართება იმის შესაბამისად, რუსებს რა სჭირდებათ.

როცა არ გვავს ეროვნული არმია, არ გაქვს საგარეო საქმეთა სამინისტრო, არ ხარ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, არ გაქვს ეროვნული ბანკი და ეროვნული ვალუტა, ეკონომიკა სხვის ნება-სურვილს ემორჩილება და ამას არ განიცდი, არ სწუხარ, არ გინდა მისი შეცვლა და ამისათვის არ იბრძვი, ამას ჰქვია ეროვნული შეგნების უქონლობა.

ეს ეროვნული შეგნება თუ გაიღვიძებს, ქართველ ხალხს ეველა იურიდიული უფლება აქვს მოითხოვოს დამოუკიდებლობა:

1. 1783 წელს გეორგიევსკში დადებული ტრაქტატი არ ითვალისწინებდა საქართველოს რუსეთთან შეერთებას. პირიქით, რუსეთი ვალდებულია კისრულობდა დაეცვა საქართველო, თუ მის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას ვინმე (ძირითადად იგულისხმებოდა სპარსეთი და თურქეთი) დაემუქრებოდა.

2. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით რუსეთი ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და ეროვნულ თავისუფლებას.

3. სსრკ-ის კონსტიტუციის 72-ე მუხლი ეველა მოკავშირე რესპუბლიკას უტოვებს სსრკ-დან თავისუფალი ვასვლის უფლებას.

და თუ სიცრუე და თვალთმაქცობა არ იყო 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის სიტყვები – „განღვიძებული იმედი თქვენი არ იქნების მოტუეებული ამ გზის არა აღორძინებისათვის ძალთა, არა ნივთათათვის, არა განვრცელებისათვის საზღვართა, და ესრეთ უკვე ვრცელსა ქვეყანასა ზედა იმპერიასა შინა, მივიღებთ ჩვენთვის ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოსა მართებლობისასა, მხოლოდ ჰატივი და კაცობრიობა სდებენ ჩვენზედა საღმრთოსა ვალსა“.

და თუ სიცრუე და თვალთმაქცობა არ იყო, ლენინის ინიციატივით, 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების სიტყვები – რუსეთი „თავისი ნებით იღებს ხელს უოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხისა და ქვეყნის მიმართ“.

და თუ სიცრუე და თვალთმაქცობა არ არის სსრკ-ის კონსტიტუციის 72-ე მუხლი, მაშინ მიეცეს საქართველოს დამოუკიდებლობა ისე, როგორც ამას გაერთიანებული ერების გადაწყვეტილება ითვალისწინებს დეკლარაციის შესახებ.

წაიკითხოთ ქართველმა ხალხმა ეს მიმართვა და ჩატარდეს საერთო-სახ-

აღხო რეფერენდუმი. რეფერენდუმმა ჰასუსი ვასცეს ერთ კითხვას – უჭერს თუ არა მხარს ქართველი ხალხი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

თუ ქართველი ხალხი არ დაუჭერს მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას, დე, იუოს ნება მისი. ნათქვამია, ხმა ღვთისა და ხმა ერისაო. გასაგები განდება, რომ დამოუკიდებლობა მხოლოდ ინტელიგენტთა ერთ ვიწრო ჯგუფს აინტერესებს და, ცხადია, ერის ნების წინაშე მათი დაინტერესება უურადლებამისაქცევი არ იქნება.

თუ ქართველი ხალხი მხარს დაუჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას, მაშინ აღსრულდეს ნება მისი და ქართველ ერს მიეცეს ის უფლება, რისი უფლებაც უოველ ერს აქვს მსოფლიოში. აქაც ხმა ღვთისა და ხმა ერისა.

თუ ეს მოხდება, ეს იქნება ჭეშმარიტი დღესასწაული, რომელიც დაამშვენებს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს და საქმით დაანახვებს ეველას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნამდვილ არსს.

1979 წ., თებერვალი



ლონ ქრისტოწორო ლე კასტელის ნახატების თვალწინაშე

ქრისტოწორო კასტელი 31 წლის ვაჟი იყო, როცა იგი 1628 წელს საქართველოში ჩამოვიდა და 57 წლის ჭარბობა კაცმა დატოვა ჩვენი ქვეყანა. სხვის ქვეყანაში 26 წლის მანძილზე გატარებულ მძიმე ცხოვრებას იგი დაუსწრებელია. თავად გვაუწყებს – „რადგან სრულიად დასწრებული ვიყავი, შევეცადე დავბრუნებულიყავი სამშობლოში“ (გვ. 99) და დაბრუნებულა კიდევ.

ქრისტოწორო კასტელის საქართველოს ცხოვრების არც ერთი მოვლენა არ დარჩენია შეუმჩნეველი და ჩვენი ისტორიისათვის ფასდაუდებელი განძი დაგვიტოვა. როცა კასტელის ჩანახატებსა და ჩანაწერებს ეცნობით ერთ-ერთი უპირველესი გრძობა, რომელიც მაშინვე გაგიჩნდებათ, გახლავთ სინანულის გრძობა: შესწავლილი და დაწერილი არ არის ქართული დიპლომატიის ისტორია.

XVII საუკუნის საქართველოში სამი დიდი სახელმწიფო კაცი მოღვაწეობს:

გიორგი სააკაძე,

ხოსრო-მირზა ბაგრატიონი ანუ როსტომ მეფე

და ლევან მეორე დადიანი.

ქრისტოწორო კასტელიმ დაგვიტოვა სამივე სახელმწიფო მოღვაწის პორტრეტი.

სამივეს ერთი მიზანი ჰქონდა: დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველოს გაერთიანება, მაგრამ ჩვენს მეცნიერებას არ აუხსნია და არ განუმარტავს უმთავრესი: როგორ მოხდა, რომ ამ სამმა კაცმა საერთო ენა ვერ გამოძებნა და ერთი მიზნის მისაღწევად ცალ-ცალკე აწუდებოდნენ ღობე-უორეს. არ აგვიხსნია, რომ ამ ერთიანობას ხელს უშლიდა არა მარტო პოლიტიკური და სოციალური სიტუაცია, არამედ ქართველი კაცის ჰიროფნული და ეროფნული ფსიქოლოგია. სწორედ ეს უკანასკნელი – ქართველი კაცის ჰიროფნული და ეროფნული ფსიქოლოგია – ისტორიული ასპექტით და თვალსაზრისით ეველახე ნაკლებ (თუ სულ არა) გვაქვს შესწავლილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ

ფსიქოლოგიის ასახსნელად არჩილმა და დავით გურამიშვილმა უტყუარი კასადები დაგვიტოვეს.

არჩილი ბრძანებს:

ასრე სჭირს საქართველოსას
დიდებულთ, გინა მცირეთა,
აზვაფდებიან, იტყვიან:
„უჩემოთ ვინ იმღერეთა?“

დავითი დასძენს:

ბევრნი ბევრს რასმე იტყოდენ,
მაგრამ ვინ მოუსმინებდა?
მეფე იყო და ბრძანებდა,
იქმოდა, რასაც ინებდა!

სხვათა შორის, ეს მწარე სიტყვები ვანტანგ მეექვსის მისამართით არის ნათქვამი.

როგორც ხედავთ, პირად პატივმოყვარეობას დაუძლევია საერთო-სახალხო, საერთო-ეროვნული ინტერესი.

კასტელის გიორგი სააკაძის სურათისათვის წაუწერია – „ქართველთა ჯარის სარდალი, არაჩვეულებრივად ძლიერი და უველასზე უფრო მტკიცე კაცი, მრავალ ომში სახელგანთქმული დიდი მოურავი“ (გვ. 81). მუნწი წარწერაა, თუძცა არსებითი ნათქვამია. ჩვენ სხვა გრძნობას აღვიძრავს მისი სურათი, კამეჩის ქედით ღონიერი კისრით და ცეცხლისმფრქვეველი თვალებით. გვანსენდება მარტოფის გმირი, რომელმაც სასიკვდილოდ განწირული აღმოსავლეთ საქართველო ისევ სიცოცხლისკენ შემოაბრუნა და ბასაღეთის სამარცხვინო ომის ინიციატორი, როცა იღვრებოდა ძმების სისხლი დაუნდობლად და გამეტებულად და, რაც მთავარია, მტრის გასახარად. გვანსენდება კაცი, რომელიც შვილს იმეტებდა მამულისათვის, მაგრამ ამასთანავე ხან სპარსეთსა და ხან თურქეთში უაზროდ ფლანგავდა ნიჭს, ჭკუას, ენერჯიას. განუკითხავი ბედისწერის სასწორზე შეგდებული ვაკეკაცი, რომლის სიცოცხლე თურქი ჯალათის ნაჯახმა დააღამა.

პოეტისათვის მეტად საუკრადლებო რამ აქვს ნათქვამი ქრისტოფორო კასტელის გიორგი სააკაძესზე. გიორგი სააკაძე შურიტ აღვსილმა მტრებმა მოწამლესო. „მისი სიკვდილის შემდეგ, – დასძენს კასტელი, – მოწამლული გული მკერდიდან ამოიღეს ადამიანის გულში დასანერგად“ (გვ. 81). მართალია, კასტელის არ სცოდნია ნამდვილად როგორ დაიღუპა დიდი მოურავი, მაგრამ სამაგიეროდ ეს ფრანზა რა მასალაა ლექსისათვის! რა ბედენაა მშრალი სიძარტლე გიორგი სააკაძის მკერდიდან ამოღებულ მოწამლულ გულთან შედარებით?

რატომღაც ხოსრო-მირზა ბაგრატიონის ანუ როსტომ მეფის სურათი უწარწეროდ დაუტოვებია კასტელის. დღეს ვერავინ ახსნის ამას. შემთხვევითია იგი თუ გამიზნული. კათოლიკე ბერს იქნებ არ მოსწონდა გამაჰმადიანებული ქართველი. უჭკვიანესი და უცბიერესი კაცი, რომელმაც 93 წელიწადი იცოცხლა. ამ ხნის მანძილზე სულ ბეწვის სიდზე იარა და ნაბიჯი ერთხელაც არ შეშლია. კაცი, რომლის ჭკუა გაწვდა ისპაჰანის ტარულობას, ირანის უულარაღასობას, ქართლის მეფობას, მაგრამ უკმარი აღმოჩნდა საქართველოს გასაერთიანებლად.

თუ როსტომ მეფის მიმართ ერთგვარი სიმუნწე გამოავლინა კასტელიმ, სამაგიეროდ ლევან დადიანისადმი გამოიჩინა გულუხვობა. მისი რამდენიმე სურათიც დაგვიტოვა და კარგიც გვიამბო და ავიც. კასტელი ასე ახასიათებს ლევან დადიანს: „...კოლხელი მთავარი, ხალხის მმართველი, კეთილი, მზრუნველი, მოსარჩლე, სამართლიანი და გულმოწეაღე. იგი გულუხვად ეხმარებოდა არა მარტო თავის ემებსა და ქვეშევრდომებს, არამედ მეზობელი სამთავროების მცხოვრებთაც.“ (გვ. 43). მაგრამ ამ ჭეშმარიტად ნიჭიერ სახელმწიფო მოღვაწეს უსაშველო ამჟბრტავების ჭია ღრნიდა, რამაც დაუნდობელი და სასტიკი განადა.

ერთიმეორის მიყოლებით უსაშინელესი ამბები დატრიალდა ლევან დადიანის ოჯახში.

ჯერ იყო და ჰირველ ცოლს აფხაზეთის მთავრის სეტემან შარაშიას (შარვაშიძე) ასულს დარეჯანს ცხვირი, ენა და ურრები მოაჭრა და ასე გაუგზავნა უკან მამას. ასე იმიტომ განრისხებულა, რომ ქალისათვის დაუწამებიათ ჰაატა წულუკიას (წულუკიძე) მრუშობსო. ცოლს რომ გაუსწორდა, ჰაატა წულუკია შეიპყრო და სიმონ გურიელს გაუგზავნა ხელფეხშეკრული, ციხეში ჩააღწყო.

აღბათ ჰირველი ცოლის თავიდან მოცილება გაუხარდა კიდევ ლევან დადიანს, რამეთუ სხვა უუვარდა: ღვიძლი ბიძის გიორგი ლიპარტიანის ახალგაზრდა თანამეცხედრე, ესეც დარეჯანი. ლევანმა, როგორც კი გააგდო დასახინრებული დარეჯან შარაშია, მაშინვე წაართვა ბიძას ცოლი. შეურაცხყოფის ელდამ მოჰკლა ლიპარტიანი.

ლევან დადიანის თვითნებობით და თავხედობით თავგაბეზრებულმა გურიის მთავარმა სიმონ გურიელმა, აფხაზეთის მთავარმა სეტემან შარაშიამ და იმერეთის მეფე გიორგიმ ვადაწვევით მისწავით მოკვლათ სამეგრელოს მთავარი. ამ შეთქმულებას ჰაატა წულუკია თავკაცობდა. დაიქირავეს მკვლელი. გალაღებული ლევანი მეორე ქორწილს იხდიდა. საქორწინო სუფრასთან მჯდომს მიეპარა მკვლელი და შუბი ამგერა ზურგში. თითქოს სასიცოცხლო ჰირი აღარ უჩანდა, მაინც გადარჩა. სასიკვდილოდ გამიმეტესო და მთლად გაცოფდა ლევან დადიანი. სიმონ გურიელი შეიპყრო და თვალები დათხარა. ჰაატა წულუკია ქვეშის ღულაში ჩატენა და ისე ააფეთქა. თავზარდაცემულმა იმე-

რეთის მეფე გიორგიმ ერთგულება შეჴფიცა და თავი ამით გადაირჩინა. აფხაზეთის მთავარი კი ისედაც დასჯილი იყო შვილის გაუბედურებით.

ლევანის მეორე ცოლი დარეჯან ჭილაძე კი უავესი და უბოროტესი ქალი გამოდგა. ლევან დადიანისა და დარეჯან შარაშიას ორივე შვილი მოწამლა. თავად ოთხი შვილი ეყოლა, მაგრამ ერთი კუტი დაიბადა და ძაღვ გარდაიცვალა. მეორე დაძვლადცემული იყო. ბოროტებისათვის თუ მიაგო უყენაესმა სამაგიერო.

ამ ამბების წაკითხვის შემდეგ ერთი მიბრძანეთ, რომელი მაკბეტის, რომელი რიხარდის ვნებანი შეედრება ლევან დადიანის ვნებებს? მაგრამ ქართულ მწერლობაში ჯერ არავინ დაინტერესებულა ლევან დადიანის ბედით, ხასიათით, მისწრაფებით, თვისებით. ჯერ მხოლოდ მატინანის ფურცლები ინახავს სამეგრელოს მთავრის ბნელი ვნებებით სავსე ცხოვრებას.

პოლიტიკური თვალსაზრისით თუ შეხედავთ ლევან დადიანის ცხოვრებას, უნდა ითქვას, რომ ჰირად ცხოვრებაში თავსუყელაღებულმა და უხნეო კაცმა სამთავროში სანიმუშო სასჯელმწიფო წესრიგი დაამყარა. თან, რაც მთავარია, მთელი ცხოვრება საერთო ქართული ეროვნული შეგნება ამოძრავებდა. შეიძლება ამ შეგნებაში ჰირადი პატივმოყვარეობის გრძნობაც ერია (მთელი საქართველოს იმპერატორობაზე ოცნებობდაო – ამბობს კასტელი), მაგრამ ამას არა აქვს ახლა არსებითი მნიშვნელობა. არსებითი ის არის, რომ იმიერ და ამიერ საქართველოს ერთიანობაზე ოცნებობდა. ამ მიზნით მიათხოვა მან თავისი ასული ძილიხანი იმერეთის მეფე ბაგრატს და დაი მარიაში ქართლის მეფე როსტომს ანუ ხოსრო-მირზა ბაგრატიონს. ასე დამოუყრდა ორი კაცი – ერთი ამიერ და მეორე იმიერ ქართველი, ერთი პოლიტიკური სიბრძნითა და ცბიერებით სავსე, მეორე – ამოურწყავი ენერგიითა და ვაკუაცობით. არქანჯელო ლამბერტი იუწყება ლევან დადიანის შესახებ – “ეს მთავარი ჩვენს განათლებულ ქვეყანაში რომ აღზრდილიყო და სწავლა-განათლება ჩვენის საუკეთესო მასწავლებლებისაგან მიეღო, ვერც ერთი მთავარი მას ვერ აჯობებდა. უმოდვროდ და უოსტატოდ, მხოლოდ ბუნების მადლით შეუთვისებია მას მარად საქებური ხნე-ჩვეულებანი“. მათ შემაერთებელ ხიდად კი იდგა მე-17 საუკუნის საქართველოს ჰირველი მანდილოხანი მარია დადიანი. ამ ქალს არ აკლდა არაფერი – არც დედაკაცური ხიბლი, არც ჭკუა, არც სათნობა, არც განათლება, არც შეგნება. და ამ სამთა კავშირის მიუხედავად მაინც არ მოხდა უმთავრესი – საქართველოს გაერთიანება. რატომ? ეს კითხვა ბურღავს ტვინს.

რატომ?

აღბათ იბიტომ, რომ 1625 წელს მარაბდაში გიორგი სააკაძე და ხოსრო-მირზა ბაგრატიონი ერთმანეთის მხარდამხარ კი არ იდგნენ, არამედ ჰირისხირ. რასაც ერთი ამქებდა, მეორე ანგრევდა. თუძცა ჰიროვნულად ერთმანეთი უუჯრდათ. გიორგი სააკაძის გამგრიანხმა თვალმა იპოვა ისპაჰანის ქუჩებსა და

მოედნებზე მოლაშლაში ბრბოში უპატრონო და უსახლკარო ხოსრო-მირზა და დიდი პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე გამოიყვანა. როცა ოსმალეთში გიორგი სააკაძის ოჯახი გაანადგურეს, დიდი მოურავის გადარჩენილი შთამომავლობა საქართველოში ხოსრო-მირზა ბაგრატიონმა ანუ როსტომ მეფემ დააბრუნა და მამულებიც უბოძა. ასე ზრუნავდნენ ერთმანეთზე, როცა საქმე ჰინადრულს ეხებოდა. მაგრამ როცა საქვეწო საქმე ითხოვდა ერთიანობას, მაშინ პირისპირ იდგნენ და შეუბრალებლად იმეტებდნენ ერთი-მეორეს. ეველასე სავალალო და ტრაგიკული კი ის არის, რომ გულის მიხანი ერთი ჰქონდათ – საქართველოს ერთიანობა, ოღონდ გზას ირჩევდნენ სხვადასხვაგვარს. გზას, რომელიც მიხანს უფრო აშორებდა, ვიდრე ახლოვებდა.

გაერთიანება არ მოხდა. რატომ?

როცა როსტომ მეფემ ანუ ხოსრო-მირზა ბაგრატიონმა მარიამ დადიანის შერთვა გადაწყვიტა, სამეგრელოს მთავარმა და ქართლის მეფემ საქორწინო შესვედრა ხანისწყელის ხეობაში, ბაღდათთან ახლოს, კაკას ხიდთან (ისტორიული საჩხეიძეო) დათქვეს. ჭკუაში არ დაუჯდათ ეს იმერეთის მეფეს გიორგის და კახთა მეფეს თეიმურაზ პირველს. ასე განაჩინეს: ვიდრე როსტომ მეფე ჩამოვიდოდა, თავს დასხმოდნენ ლევან დადიანს და საქორწინოდ მოსული მყრიონი ერთიანად გაეუქმათ. მაგრამ გიორგი მეფის თანამზრახველთა შორის მოღალატე აღმოჩნდა, იმერთა და კახთა მეფეების მზაკვრული განზრახვა ლევან დადიანს აცნობა. ლევან დადიანი ის კაცი არ იყო, ვინც მზაკვრობას ასე იოლად შეარჩენდა ვინმეს. სასწრაფოდ დაესხა თავს ხანისწყელის ხეობაში დაბანაკებულ გიორგისა და თეიმურაზს. იმერეთის მეფე გიორგი ტყვედ ჩავარდა, თეიმურაზ პირველმა კი გაქცევით უშველა თავს. მათი თანმხლები ლაშქარი კი პირწმინდად გაწევიტა ლევან დადიანმა.

ქრისტოფორო კასტელიმ გიორგი მეფისა და თეიმურაზ პირველის პორტრეტებიც დაკვიტოვა. შესედავ და თვალი ზედ დაგრჩება. მაგრამ რა? ერთმანეთის უზრო ჟღერებაში იხარჯება მათი სულიერი და ხორციელი მშვენეიერება.

ბრძოლა დამთავრებული იყო, როცა როსტომ მეფემ კაკას ხიდთან მოაღწია. ენით უთქმელი და კალმით აუწერელი საქორწინლო ნადიმი ვაიმართა. ილხენდა იმერი და ამიერი საქართველო, მაგრამ არავის განსენებია იქვე ჩახოცილი თანამოძმენი და მათი სისხლით დამბალი მიწა.

გაერთიანება არ მოხდა. რატომ?

არც მარიამ დედოფალი ახსოვს ქართულ მწერლობას. ამ ქალის ბედში, როგორც სარკეში, არეკლილია მე-17 საუკუნის საქართველოს ბედი.

მთელი ცხოვრება გლოვაში გაატარა მარიამ დედოფალმა.

თავდაპირველად იგი სიმონ გურიელს მიათხოვეს. მერე სიმონ გურიელმა უკადრისი იკადრა: ღვიძლი მამა მამია გურიელი მძინარე დაკლა სარეცელში. მამის მოკვლას არ ვაპატიებო, განრისხდა ლევან დადიანი (ქრისტოფორო კას-

ტელი ამბობს – „მშობლის მკვლელობა ხომ უფრო სასტიკია, ვიდრე ძრუ-
შობა“. გურიაში ილანძქრა. სიმონ გურიელი შეიპყრო და თვალები დათხარა.
დაი მარიაში და დისწული, მცირეწლოვანი ოტია გურიელი შინ, ოდიშს წამ-
ოიუვანა.

მეორე ქორწინებით მითხოვდა მარიამ დედოფალი როსტომ მეფეს. მა-
შინ როსტომი სამოცდაათ წელს მიტანებული მოხუცი იყო. აიტანა ახალ-
გაზრდა ქალმა ეს, რამეთუ საქართველოს ინტერესი ითხოვდა ამას. ერთადერ-
თი ნუგეში შვილი იყო ოტია. როსტომ მეფესაც უუვარდა გერი. ღვიძლი შვილი
არ ჰყოვდა როსტომს და მისი მოძავლის იმედი ოტია იყო. მაგრამ სწავგვარად
სჯიდა ბედისწერა: ოტია გურიელი მოულოდნელად გარდაიცვალა. დარჩნენ
უძეოდ როსტომი და მარიამი. მაგრამ ამით არ დამთავრებულა მეფე-დედოფ-
ლის ოჯახური უბედურება. მემკვიდრედ იშვილეს ლუარსაბ ბატონიშვილი.
თურმე არც ლუარსაბს ეწერა დიდი ღღე. როსტომ მეფე „გატეხილი ხიდის“
(აწინდელი წითელი ხიდის) მშენებლობის სანახავად წასულა. თან ახლდნენ
მარიამი და ლუარსაბ. შეუჩნდა შვილობილი მამობილს – სანადიროდ წავა-
ლო ტოლ-მეგობრებთან. გაუშვეს და უკან გულგანგძირული მოასვენეს ლუ-
არსაბ ბატონიშვილი. არავინ უწეის როყო ტყვია მოხვდა ლუარსაბს თუ სა-
განგებოდ ნასროლი. ჭორი დადიოდა, ბადურ სომეხმა და შიომ ქართველმა
მოჰკლესო ლუარსაბ ბატონიშვილი, მაგრამ სიმართლე ვერავინ დაადგინა.

ასე ეწერა მარიამ დედოფალს, მამები არ უნდა გაეხადა.

დადიოდა შავოსანი დედოფალი საქართველოში და ამენებდა დანგრეულ-
სა და იავარქმნილს. ბოლნისის ტაძარი შეაკეთებინა, რუისში ეკლესია განაა-
ხლა, ალავერდი შეამკო, თბილისში დაბლაციხესთან ეკლესია ააგო, სვეტი-
ცხოვლის მორღვეული გუმბათი აღადგინა.

დადიოდა და აწერინებდა წიგნებს. მარიამისეული „ქართლის ცხოვრე-
ბა“ მისი ბრძანებით არის გადაწერილი.

დადიოდა და განიკითხავდა ქვრივ-ობლებს.

შენდებოდა ქრისტიანი საქართველო და მაჰმადიანი როსტომ მეფე
თითქოს ვერაფერს ხედავდა. იჯდა თბილისში ირანის უულარაღასი და ისპაჰა-
ნის ტარულა და, მარიამ დედოფლის ხელით, ამენებდა ქრისტიან საქართველოს.

ბოლოს როსტომ მეფის საათმაც დარეკა და ღრმად მოხუცი 1658 წელს
მიიცვალა იგი. როსტომ მეფე სპარსეთს წაასვენეს და დიდებით დაკრძალეს მაჰ-
აბას ჰირველის გვერდით წმინდა ქალაქ უმში.

ასე წავანან ირანულ მიწაში ერთმანეთის გვერდიგვერდ საქართველოს და-
მაქვევარი და საქართველოს მამენებელი.

თითქოს ქმრის სიკვდილი არ ემაროდა, ახალი დამცირება ელოდა მარი-
ამ დედოფალს. ისპაჰანიდან რაუაში მოვიდა. შაჰი ბრძანებდა: ახალმა მეფემ
ვახტაგ V ანუ სპარსულად შაჰ-ნავაზმა ცოლად შეირთოსო მარიამ დედოფა-

ლი. სპარსელები არას დაგიდევდნენ, რომ ვახტანგ V უკვე ცოლიანი კაცი იყო და როდამ ბარათა-უაფლანიშვილთან 8 შვილი ჰყავდა. ასე ნებავდა ირანელ ხელმწიფეს და ქართველ მეფეს მორჩილად უნდა დაეკრა თავი. სხვა გზა არ იყო.

მესამედ გათხოვდა მარიამ დადიანი.

მაგრამ ლეჩაქვაბასეხებული დედოფალი კიდევ მოესწრება ერთ დიდ ქართულ ზეიმს – 1659 წლის კახეთის აჯანყებას, როცა ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების მეთაურობით ქართველებმა მუსრი გაავლეს სპარსელებს და უცხო ჯილაგისაგან ქვეყანა გაათავისუფლეს.

მაგრამ ქართული ზეიმი უოველთვის გლოვით თავდება და მარიამ დედოფალი კიდევ ერთხელ გაცილებს სპარსეთში ზვარაკად მიმავალ სამ ქართველ წამებულს.

ვისაც მე-17 საუკუნის საქართველოს სიმბოლური წარმოდგენა უნდა, მან მარიამ დედოფალი უნდა გამოაქანდაკოს. იგი განასახიერებს იმდროინდელ საქართველოს სიდიადესაც და სიღუჭირესაც.

და როგორ არ განვიმსჭვალათ ქრისტოფორო კასტელისადმი მადლიერების გრძნობით, როცა მან მარიამ დედოფლის ჰორტრეტიც დაგვიტოვა.

გაერთიანება არ მოხდა. რატომ?

უსაშინელესი სენი – ადამიანთა ვაჭრობა – ღრნიდა საქართველოს ეროვნულ სხეულს. თვალცრემლიანი ჩივის ქრისტოფორო კასტელი: „უგონო ცხოველსაც კი ვერ ბაძავენ: ე.ი. სამეგრელოს, გურიის ქვეყნებში, მერკოლაში, მშობლები შვილებს, შვილები მშობლებს, ძმები დებს არ ინდობენ. სხვა ქალაქებში სხვანაირად ჰყიდიან თურქებზე. მათი ვაჭრობა ჰროვინციაში დიდია“ (გვ. 166). მეორეჯან უმატებს: „იმერეთის, გურიის, აფხაზეთის ჰროვინციებიდან მიჰყავთ ბავშვები და მოედნებზე ჰყიდიან. ეს ამბავი ეველასათვის ცნობილია“ (გვ. 168). დაუსტავს კიდევ ადამიანთ ვაჭრობის თავზარდამცემი სურათები. თავისთავად ხომ სასოწარკვეთილებას მოგვჯრის ქვეყნის ამგვარი დაცემა, მაგრამ უსაშინელესია შეგნების მოწამვლა. უფრო გვიან, საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, ადამიანთ ვაჭრობის წინააღმდეგ თავგამოდებული მებრძოლი სოლომონ ჰირველი მანც ადამიანებს უგზავნიდა საჩუქრად რუსეთის იმპერატრიცას. 1775 წლის 30 მარტს სოლომონ ჰირველის ელჩი დავით კვინიხიმე გრაფ ჰანიხს მოახსენებდა:

იმპერატრიცა კეატერინე მეორეს საჩუქრად მოვართვიო თავად იაშვილის ქალ-ვაჟი.

ცესარევიჩ ჰავლეს – თავად ლოლობერიძის ერთი ვაჟი და ახნაურ ბაქრაძის ერთი ქალი,

ხოლო ჰირადად თქვენ – ერთი ვაჟიო (რატომღაც ამ ბიჭის გვარი არ არის მოხსენიებული).

გიორგი მეცამეტე თურქეთსა და სპარსეთში ადამიანის გაუდიდვას კრძალავდა, მაგრამ დასაშვებად მიაჩნდა საქართველოში და რუსეთში გაუდიდა („... არ მიჰყიდონ თუ არ ქართველთა და დიდი რუსეთის მებატონეთა“...).

იმდენად იყო შეგნება მოწამლული, რომ სოლომონ ჰირველი თან ებრძოდა, დაძნალებებს უსასტიკესი სასჯელით ემუქრებოდა, და თან ამგვარ საჩუქრებს არიგებდა. ანდა გიორგი მეცამეტის საქციელი? განა ამგვარ შეგნებას ახსნა არ უნდა? განა არ უნდა ვიცოდეთ რამ დაბადა იგი ჩვენში? ამის ამოხსნას თანაბარი ერთსულოვნებით უნდა ცდილობდეს მწერლობაც და მეცნიერებაც.

უძმიესი სანახავი იყო ამ ყოფაში ჩავარდნილი ქართველი ხალხის ცხოვრება. უოველი შეგნებული ქართველი მწარედ განიცდიდა ამას და ებრაელ წინასწარმეტყველთაებრ მოსთქვამდა:

„ეჰ, ვუძნერ საქართველოს და გული ცრემლებით მევსება, უწინ დედამიწის სამოთხე რომ იყო, იგი კვნესის ქაოსად გადაქცეულა.

იმ ადამიანებზე ვტირი, რომლებიც ჩემი ქრისტეს დროშისათვის შეუპოვარნი და ძალიან მამაცი მებრძოლნი იყვნენ და ახლა ეშმას მონებენ. საქართველოს იმ მიწას ვტირი, რომელიც მისი ბატკნების მკვებავი, აღთქმული წმინდა ქვეყანა და ქრისტეს მიმბამველი იყო; ახლა კი ტაძრის სამღვარსე ნარ-ეკალი გაზრდილა. იმ ქვეყანას ვტირი, რომლის მცხოვრებლებმა ქვეყნიერება განანათლეს, ახლა კი სიბეცისა და ბნელეთის დასაბამი გამხდარა.

იმ ქვეყანას ვტირი, რომელმაც ანტიკური ბერძნული სიბრძნე წარმოშვა, ახლა კი უვიცობის წუარო გამხდარა, სადაც თავიანთი შემეცნების სიბრძავის გამო, ბევრი სილატაკეში ჩავარდნილა და სადაც ყველა ღმერთი მიტოვებულია“ (გვ. .203).

ასე ივლოვს დაი ქრისტინე თავის მამულს. ეტეობა ამ ქალის ღრმად-მორწმუნეობა იტალიელ მისიონერებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. რადგან კასტელის ბევრჯერ ჰეავს იგი დახატული და თან სურათებს მრავლად ახლავს წარწერებიც. ჩანს, არ უნდოდა იტალიელ ბერს დაეკარგა ამ ქალის ქადაგების არც ერთი სიტყვა, რამეთუ იგი ქართველთა გამოფხისლებების საწინდრად მიაჩნდა.

ისტორიას აქვს აუხსნელი კანონზომიერება. ჩვენ არ შემოგვრჩა არავითარი დოკუმენტი, მაწუწუბელი ჰოეტ სულხან ავთანდილაშვილის, მხატვარი ქალის როდია მიქელაძის, ჰოეტესა ვომინიჯა ბერიძის საქმიანობისა, მაგრამ კასტელიმ დაგვიტოვა მათი სურათები. ისინი უთუოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. სხვანაირად ქრისტოფორო კასტელი ასე გულმოდგინედ და რუდუნებით არ დახატავდა მათ. დრომ დაკარგა მათი ნამოღვაწარი, მაგრამ შეინახა მათი სახეები. ეს არის ალბათ ისტორიის მადლიერება.

იკეცება მატანის ფურცლები. ნახატებით ცოცხლდება მე-17 საუკუნის საქართველო: უოფით, ზნით, ჩვეულებით, ავითა და კარგით, იმდროინდელი ადამიანებით.

ქრისტოფორო კასტელის ალბომს არაერთგზის მიუბრუნდება ქართული მწერლობა და მეცნიერება და არაერთგზის დაგვიდგება თვალწინ იტალიელი ბერი, რომელმაც თავისი 26-წლიანი შრომა დაამთავრა სიტყვებით – „მრავალი წლის განმავლობაში საქართველო ჩემი სატრფო იყო“ (გვ. 223).

ეს დონ ქრისტოფორო დე კასტელიმ საქმით დაამტკიცა.

1979 წ., აპრილი



საქურალეპო ნიხნი

1978 წელს „მერანმა“ ერთი ჰატარა წიგნი გამოცა: ილია ალხაზიშვილის „ჯავახური ლეკენდები“.

ილია ალხაზიშვილი და მისი საქმიანობა დღევანდელი მკითხველისათვის არსებითად უცნობია. არადა, ასეთი უუურადღებობის ღირსი არ არის. ჩვენგან მეტი სითბო, ხსოვნა და სიუვარული უნდა რგებოდა. კლენის ოჯახში დაბადებულმა კაცმა, მამით ობოლმა, უსახსრომ და უქომაგომ მანც მოახერხა ხარკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრება, რუსულის გარდა, ესწავლა ფრანგული, ლათინური, სომხური და თურქული ენები. ერისა და ქვეყნისათვის კალმითა თუ ჰრაქტიკული საქმიანობით ღირსეული სამსახური გაეწია. მარტო ის რად ღირს, რომ ქართველთაგან უპატრონოდ მიტოვებულ ახალქალაქში თითქმის ოთხი ათეული წელიწადი იმსახურა. ქომაგობდა იქ ქართულ ენას, განათლებას, კულტურას. საერთოდ, მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 აწლეულის დასაწყისის ჯავახეთის შესახებ ძვირფასი ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა დაგვიტოვა.

თუცა ამ მიმართულებით სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ილია ალხაზიშვილის ვინაობას კარგად გვაცნობს წიგნს დართული წინასიტყვაობა შოთა შიდიკურისა. რამდენიმე სიტყვას ვიტყვი მხოლოდ თავად წიგნის გამო.

საქართველოში არ არის მეორე კუთხე, რომელსაც იმდენი ჭირ-ვარამი გადაეტანოს, რამდენიც ჯავახეთს გადახდომია. როგორ უკუღმართად ტრიალებდა ისტორიის ჩარხი, ამის ნათელ სურათს იმლევა ილია ალხაზიშვილის ნამბობიც. სოფელ წითელ საუდარში (თურქულად ეიზილ-ქილისა) ალხაზიშვილი სტუმრად მისულა სანდაძეების ოჯახში. ერთი ძმა – ალექსი სანდაძე – სომეხი უოფილა. მეორე ძმა – მოსე სანდაძე – ქართველი. დღევანდელი მკითხველისათვის გასაკებია რამია საქმე, რადგან კარგად იცის ეროვნებასა და სარწმუნოებას შორის განსხვავება. ძმები სანდაძეები კი ამას ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ, რაკი ერთი გრიგორიანული აღმსარებლობის არის, თავი სომხად მიანჩნია. ხოლო მეორე ქართველად თვლის თავს, რაკი მართლმადიდე-

ბელა. ილია ალსანიშვილს უცდია განემარტა ალექსი სანდაძისათვის რჯულისა და ეროვნების განსხვავება, მაგრამ ამოდ. მოვუსმინოთ მათ დიალოგს:

„ – აი მე ახლა გვარ-ტომობით, ეროვნებით ხომ ქართველი ვარ, ხომ ქართველის სისხლი მიდგია?...“

– დიალ, ქართველი ბრძანდები და...

– მოიცა, მოიცა, ალექსი, ხომ ქართველი ვარ ბუნებით, მაგრამ სარწმუნოებით ქრისტეს აღმასრულებელი ვარ ბერძნის კონდაკსე და ამისათვის მართლმადიდებელს მეძახიან.

– ჰოდა, ქართველი ბრძანდებით!

– კარგი და ჰატიოსანი. მე რომ ახლა ქრისტიანული წესი, ვთქვათ, კათოლიკე დოღმატით და მათ ტიბიკონსე ვასრულო, მაშინ ვინ ვიქნები?

– ფრანგი...

– რას ამბობ, კაცო! როგორ თუ ფრანგი? სიტყვა ფრანგი ხალხის სახელია და არა სარწმუნოებისა...“ (გვ.44).

მხელა უცხად, ერთბაშად გადააჯერო ადამიანი, რომელიც საუკუნეებით განმტკიცებულ შეგნებას ემსახურება. ამას ხანგრძლივი შრომა და აღზრდა სჭირდება.

ეროვნული თვალსაზრისით, კარგი დღე არც ჯავახეთში მოსახლე ბერძნებსა და სომხებს დასდგომიათ.

ბერძნული მოსახლეობა სამად გაუოფილა: ერთი ნაწილისათვის დედაენად სომხური გამხდარა, მეორესათვის – თურქული, მხოლოდ მესამესთვისლა დარჩენილა ბერძნული ღვიძლ ენად.

თუ ბარაღელი სომხისათვის დედაენა ქართულია, 1828-30 წლებში აზრდებიდან ჩამოსახლებულისათვის – სომხურია.

ასე არიან ნაწილებად გათიშული ერთი და იმავე ერის შვილები. თითქოს ვიღაცამ თუ რაღაცამ დასწევვლაო, ვინც ჯავახეთის ნაწამებ მიწა-წყალზე დასახლდება, ქართველი იქნება, სომეხი თუ ბერძენი, ეროვნული გზა-კვალი ერევა. მაგრამ ი.ალსანიშვილი მოძავალს მაინც რწმენით უუარებდა და მტკიცედ სჯეროდა: „...განათლება-ცივილიზაციის სხივი დათრგუნავს რელიგიურ ფანატიზმს და სწავლა, მეცნიერება კაცობრიობას ერთი აზრით შეაერთებს, მძობასა და სიევარულს განუმტკიცებს...“ (გვ.41).

ამ ამოცანის ჰრაქტიკული განხორციელება დღესაც მოითხოვს აქტიურ საგანმანათლებლო მუშაობას.

ისტორიულმა უკუღმართობამ ჯავახეთის მოსახლეობა ორად გაჰყო. ერთმა „იერლის“, ანუ ადგილობრივი მკვიდრის, აბორიგენის სახელი მიიღო. მეორემ – „თარაქამას“ ანუ მოსულის, უცხო სი. იერლი ქართველი მაჰმადიანია, თარაქამა კი ოსმალებიდან ჩამოსახლებული თურქული ტომია, ერაფაფახების სახელით ცნობილი. ერთი ჯავახელი ემუდარება ილია ალ-

ხაზიშვილს – „ამ ზემო ქართლში (მესხეთი, ჭავჭავთი, კოლა-არტანის, ოლთისი) მოსახლეობენ ან მკვიდრნი ქართველნი ან განკეპ დასახლებულნი უარაფაფახები (თარაქამები). ნუ დაიჯერებთ, რომ ამ მხარეში ოსმალეთიდან ვინმე გადმოსახლებულიყოს. ვიმეორებ, თარაქამების გარდა, აქ მოსახლე ვინც არის, სულ ქართველობაა, მაგრამ დიდი უძრავლესობა გამაჰმადიანებულა...“ (გვ.151).

ჩვენი ხალხის თავზე დატრიალებული ამ უბედურების ზუსტ ახსნა-განმარტებას იძლევა ავტორი. თუ ერთი მხრით უცხო დამპყრობელი გვაწიოკებდა, მეორე მხრით შინაგამეიდველი ვეჭვრიდა ეელს. მათი ერთობილი მოქმედებით დაიქცა საქართველო. „ახლა როგორ გკონიათ, – დასძენს ი.ალხაზიშვილი, – ვინ გარბოდა სტამბოლს ზონთქართან სხვადასხვა პროექტებით, თუ რა საშუალებით შეიძლება უფრო საჩქაროდ და ადვილად გადაგვარება ქართველობისა? ავტორნი განხლდნენ ქართველთაგანივე, რომელთაც თავის მამა-პაპის რჯული გმეს, მაჰმადიანობა მიიღეს, მაჰმადიანობასთან ჯილდოდ ფაშობა, სანჯახ-ბეგობა, მამულები და სხვა მრავალი პატივი ხორცთა მათთათვის“ (გვ.103).

კიდევ ერთი საფუძველი ჰქონდა ქართველთა ეროვნულ ტრაგედიას – გულგრილობა.

1829-30 წლებში რუსეთის არმიამ ოსმალეთი დაამარცხა. არტანის სანჯაუის სოფ.ველიდან ჭავჭავთში, სოფ. რეხში გამაჰმადიანებული და დედაენა-დაკარგული ქართველობა ჩამოსახლდა. ეიმედებოდათ: დედანამშობლო თავის წიაღში მიგვიღებს და დაკარგულს დაგვიბრუნებსო. მოტუვდნენ. გულგრილობის მეტი არაფერი დახვედრიათ. „რეხელებს რა იმედით მოგიხაროდათ ქართველი მოძმეებისაკენ გადმოსახლება და რა გულგრილობა დაგზვდათ! სა...მო...ცი წე...ლი...წა...დი ცხოვრობთ ჩვენში და ჩვენ სამოცი სიტყვა არ დაგვიხარჯავს თქვენს სასარგებლოდ“ (გვ.112), – ჩივის ი.ალხაზიშვილი.

რა მწარეა ეს სიტყვები, მაგრამ რა მართალი!

რელიგიური ერთიანობის მიუსხედავად, ჭავჭავთის ქართველი მოსახლეობა მანც არ შეერია თურქულს. განსხვავების ნიშნად თავსაბურავი აურჩევიათ (მეტად საგულისხმოა: ქუდი ხომ ღირსების, პატიოსნების, კაცობის სიმბოლოდ აქვს ქართველს მიჩნეული). თურმე იერლი ანუ ქართველი მაჰმადიანი ფაფახს არასდიდებით არ დაიხურავდა. მას სარუხი ესურა და თარაქამას ამით ემიჯნებოდა. უფრო მეტიც: სოფელ ჩაისის ქართველობას, რჯულთან ერთად, ენაც დაუკარგავს, მაგრამ თავის ქრისტიანულ ეკლესიას მანც წმინდად ინახავდა თურმე. ერთ ჩაისელს უთქვამს ილია ალხაზიშვილისთვის: „როცა ვინმე ავად გაგვიხდება, აგრეთვე შობას, აღდგომას, გიორგობას, სანთლებს ჩამოგჭიოთ ხოლმე და იმ წმიდა ჯვარს ვუნთებთ, ვვედრებით“ (გვ.151).

ასე ებრძვის ეროვნული სული უოველივე ნამძალადევეს, დამპყრობლის

მიერ მოტანილს და თოფ-იარაღით თავსმოხვეულს. ებრძვის და იმარჯვებს კიდევ, რამეთუ, მადლობა ღმერთს, ერს არასოდეს დაღვევია მიხეილ მურვანიშვილის მსგავსი უბრალო ადამიანები. „რეხელმა ქართველმა მიხეილ მურვანიშვილმა, რომელიც ახალქალაქში ცხოვრობს, შვილი გორის სასწავლებელში გამოზარდა ქართული ენის გულისათვის, რისთვისაც ხელმოკლე კაცი თვეში ორ თუმანს მეტს იხდიდა ვაჟის სადგურ-საკვებში“ (გვ.101).

მართლაც, ერის ფსიქოლოგიის შეცნობის თვალსაზრისით, ფრიად საინტერესოა როგორ დასძლია ქართველმა ხალხმა რელიგიური ფანატიზმი. ისტორიამ საქართველოს ეროვნული სხეული დაუწია. ჩვენი ხალხის უმრავლესობამ ქრისტიანობა იწამა. შედარებით უფრო მცირე ნაწილმა ისლამი აღიარა. მესამე ნაწილი კი კათოლიციზმს მიემხრო. როგორც ვნახეთ, რჯული და ეროვნება გაიკვივებული იყო. ამდენად ქართველი ხალხი ზნეობრივად და ეროვნულად დაიყო და დანაწილდა. მაგრამ მან მაინც დასძლია რელიგიის მიერ აგებული ზღუდენი. სულიერი ერთიანობაც აღიდგინა და ეროვნულ-ზნეობრივი მთლიანობაც შეინარჩუნა. ეს ურთულესი და უძნელესი პროცესი იყო. სამწუხაროა, რომ იგი ჯერჯერობით შესწავლილი არ გვაქვს. ამ პროცესის შესწავლა თვალნათლივ დაგვანახვებდა იმ ძალას, რომლის წყალობით საქართველომ ისტორიის ეველა შეტევას გაუძლო.

იალსაზიშვილი ბუნებისმეტყველი იყო და ცდილობდა მეცნიერულად აეხსნა მოვლენები. იგი მტრობას, ბრძოლას, ბუნების კანონზომიერებად აღიარებს, მაგრამ მიაჩნია, რომ რაკი ადამიანი გონიერი არსებაა, სწორედ რუასის ძალით უნდა ებრძოლოს ყოველივეს, რაც უარყოფითი მოვლენაა, თუნდაც იგი ბუნების კანონზომიერების რეზულტატი იყოს. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა იალსაზიშვილის საუბარი ერთ ებრაელთან.

„ – როგორც ადამიანებშია, ჭიანჭველებშიც ერთი გვარისა მეორე გვარს ეომებიან. გამარჯვებულნი ანგრევენ, იკლებენ დამარცხებულთა ბინა-ბუდეს, ჭამენ მათ კვერცხებს, ხოლო რაც შეუჭმელი გადაურჩებათ, მიეზიდებიან შინისაკენ და ბუდეში ინახავენ. როცა ამ ნადავლი კვერცხებიდან ჭიანჭველები გამოიჩეკებიან, მონად ხდებიან. ჭიანჭველა-ბატონები ამუშავებენ მონებს ეველა სამძიმო და ეველა საჭირო საქმეში. აგრეთვე მიჰვათ მტერ ჭიანჭველებთან საბრძოლველად. დედალი მონა-ჭიანჭველები ახლად გამოიჩეკილ ბატონიშვილებს უვლიან, მიმად ხდებიან“ (გვ.134).

აქ ბუნებით თანდაყოლილი ინსტინქტი მოქმედებს და არა გონი, რუასი. თუ ადამიანი გონებით ინსტინქტს ვერ აჯობებს, მაშინ რითღა განსხვავდება იგი ჭიანჭველისაგან? მოვა დრო, როცა გონიერება დათრგუნავს უკუნურობას და სიკეთე იხეიმებს. მართალია, ნელა, ტაატით შეუმჩვენვლად, მაგრამ მაინც რუასის გამარჯვების გზით მიდის კაცობრიობა. ამის საბუთად მოაქვს იალსაზიშვილს იმავე ებრაელთა საუბარში იაპონელთა დამოკიდებულება

ტყვეებისადმი: „ესლანდელი ადამიანური წესით, ვიდრე მტერი თოფ-იარაღით გებრძვის, იგი მტერია, ხოლო, როცა ხელიდან იარაღი გაუვარდება, ის მტერი აღარ არის, მხოლოდ ტყვეა და მით უფრო დაჭრილ-დაკოდილ ჯარისკაცს რაღა მტრობა შეუძლია, იმას მოვლა უნდა. ტყვე ოფიცრებს იაპონელები ჯერ ხმაღს ართმევდნენ, ხოლო ვინც პატიოსან სიტყვას მისცემდა, აღარ გეომებთო, იმას ხმაღს ისევ უბრუნებდნენ და რუსეთისაკენ ისტუმრებდნენ. აი ახლა ასეთი დრო დადგა...“ (გვ.134).

შემთხვევითი არ არის, რომ ამკვარად მასლათობს იალხაზიშვილი ჯავახეთის მიწა-წყალზე, რამეთუ საქართველოს ამ კუთხის თავგადასავალი ნათელი სურათია იმის, რა ბოროტება შეუძლია ჩაიდინოს ბნელი ინსტინქტების მონობამ. ამიტომ თელის წიგნის ავტორი აუცილებლობად იმას, რომ განმსჯელმა გონებამ დათრგუნოს რელიგიური, პოლიტიკური, სოციალური, შოვინისტური დოკუმების ფანატიზმი.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ ერთი პატარა ბიბლიოგრაფიული წერილისათვის მეტიმეტი ხომ არ არისო ამდენი ციტატა, მაგრამ ეს სრულიად შეგნებულად გავაკეთე. მინდოდა მკითხველს მკაფიოდ დაენახა როგორი დონის, განათლების, მამულიშვილური შეგნების და რწმენის რიგითი ინტელიგენტები ვკვავდნენ. რა ღრმად უუურებდნენ ისინი სამეაროს კანონზომიერებას და იქიდან გამომდინარე აკეთებდნენ ობიექტურ დასკვნას როგორც პიროვნებაზე, ისე მთელ ერზე.

იალხაზიშვილის ოპტიმიზმის წყარო ბუნებაში არსებული წონასწორობაა და კაცობრიობის მისტიკური ერთიანობის რწმენა. ეს ანიჭებს მას ძალასა და ღონეს.

ნათქვამის დასტურად კიდევ ორიოდ ციტატას მოვიშველიებ.

„ბუნებაში უსარგებლოდ არ იღუპება რა. ვინ უწეის, ჩვენი ზარალი ბუნებისათვის რა დიდი სასარგებლო არის ხოლმე. მართლაც და, წარმოიდგინეთ თუნდა პატარა ფარა ცხვარი, რომელიც ყოველად უზარალოდ მრავლდებოდა. ოცოდ წელიწადში მთელ თრიალეთზე ერთი ფეხის გადადგმა ადგილი აღარ იქნებოდა – სულ ცხვარი დაიჭერდა. ჰოდა, ბუნებაც თავის კანონს ადგია. ცხოველთა შორის თანასწორობა არ უნდა დაირღვეს, ყოველგვარ არსებობას თავისდაკვარი ადგილი და ზომიერება უნდა ეჭიროს ცხოვრების მეჯლისზე“ (გვ.83).

„კაცი კაცის წამალია“. ცხოვრების ასპარეზზე შრომა განაწილებულია. ჩვენ ეველანი ერთმანეთის მსახურნი ვართ: მღვდელი მსახურია ერისა, ერი მსახურია მღვდლისა. ეველანი ერთ აზრს, არსებობის იდეას ვემსახურებით და არსებობის განსუბჯობესებლად ვიბრძვით, ვიღწვით. ხოლო ის, ვინც ყოველად უშრომლად სხვის ოფლსა ჭამს, სხვას იმსახურებს და თვითონ კი სხვას არ ემსახურება, მუქათხორად, პარაზიტად ჩაითვლება“ (გვ.39).

ასე ფიქრობდა, ცხოვრობდა და ემსახურებოდა საზოგადოებას ერთი უბრალო მეთაფთიაქე, რომლის ჰიროვნება და საქმე ნათლად აჩვენებს, რა სულიერ პოტენციას ატარებს უოველი ადამიანი, როცა იგი გარკვეული მიზნით და ამოცანით ერის სამსახურში დგება.

ჩვენ კი გვმართებს იღია აღნაზიშვილის წიგნის დაკვირვებულ წაკითხვა და დაფიქრება.

1979 წ.



მარშან ზაფხულს ჯავახეთი მოვიარე. ვინც ოდნავ მანც იცის საქართველოს ისტორია, ისიც კარგად ეხსომება, რა დიდი როლი შეასრულა ამ კუთხეში ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ აღორძინებაში. მარტო ის რად ღირს, რომ ერთ დროს ჯავახეთი საუფლისწულო მამული იყო. მარტო სიტყვა „საუფლისწულოც“ მკაფიოდ მეტყველებს რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჯავახეთს ისტორიული საქართველოს მესვეურები. სხვანაირად არც შეიძლებოდა. სულ მცირე 2000 წლის მანძილზე მანც ჯავახეთზე გავლით მოდიოდა საქართველოში მოევარეც და მტერიც, სინათლაც და სიბნელეც, კარგიც და ავიც. თუ ჯავახეთი ჰევაოდა, ეს საქართველოს ძლიერებას მოწმობდა. თუ ჯავახეთი ჰარტანდებოდა, ეს საქართველოს უძლურებას ადასტურებდა. ამიტომ იყო იგი განსაკუთრებული ყურადღების საგანი უოველთვის.

დღეს როგორღაა საქმე? სამწუხაროდ და სავალალოდ დღეს ჯავახეთის მიმართ განსაკუთრებული ყურადღებით ვერ დავიკვივხნით. თუნდაც ეს ერთი ფაქტი რად ღირს: თბილისიდან ავტომანქანით ახალქალაქს რომ გაემგზავროთ, აუცილებლად ახალციხის გავლით უნდა წახვიდეთ. შეიძლება ბაკურიანის გავლითაც წასვლა, მაგრამ მანც ახალციხის გავლით სჯობს, რამეთუ გზაა შედარებით უკეთესი. ახლა დააკვირდით ამ ციფრებს: თბილისიდან ახალქალაქამდე ახალციხის გავლით 289 კმ-ია; ბაკურიანის გავლით კი – 248 კმ; ბოგდანოვკა-წალკის გავლით კი – 190 კმ. ხედავთ, რამდენად ახლოა თბილისიდან ახალქალაქი წალკა-ბოგდანოვკის გავლით? მაგრამ ამ გზით თავსეხელაღებული კაცის მეტი არაფერს დადის. აბა, როგორ უნდა იარონ, როცა წალკა-ბოგდანოვკას შორის არსებული 71 კმ-იანი მონაკვეთი გზა კი არა ჯოჯოხეთის შარაა. საკმარისია ამ გზაზე ერთხელ გაიარო კაცმა მანქანით, რომ აღარც კაცი ივარგებს კაცად და ავტომანქანა – ავტომანქანად. კაცს ჭკვიანი მესობელი იმიტომ უყვარს, რომ მისგან კეთილი საქმის სწავლა შეიძლება. აბა, შეადარეთ ბოგდანოვკა-წალკის გზას ლენინაკან-ახალქალაქის გზატკეცილი და მისვდებით, როგორ უნდა გზების მშენებლობა და მოვლა-პატრონობა.

მართალია, ანდასა ამბობს – შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო – მაგრამ ეს სიბრძნე თბილისსა და ახალქალაქს შორის უგზოობას ვერ კაამართლებს. ღრმად ვარ დარწმუნებული, თბილისსა და ახალქალაქს შორის ჰირდაპირი ხეირიანი ვსატყვევლის გაუვანა ბევრად უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე ის ხარჯებია, რაც წლთიწლობით, ახალციხის გავლით, თბილის-ახალქალაქს შორის საქონლის გადატანა-გადმოტანისა და მგზავრობის დროს იკარგება. ბოლოს და ბოლოს ამის შემოწმება იოლად შეიძლება. უოველი სპეციალისტი მოგვეცემს ამის გამო გონივრულ დასკვნას.

ჯავახეთი ეკონომიკურად უმდიდრესი მხარე იყო და არის. ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „ცხოვარნი, მროწლენი და ჯოგნი მრავალნი. თუვხნი მრავალნი. ფრინველნი, რომელნიც მთათა გუარობენ, მრავალნი. თაფლნი მრავალნი“. მეცნიერი მეფისწულის დასკვნას ხალხიც მხარს უჭერს.

მე ჯავახეთს რა მიშავდა,
მთვარე იყო მხესავითა,
კალმახი და ქერის ჰური
წინ მეუარა ბხესავითა.

მეორე ლექსი უმატებს – „შენ მირაშხანა (სოფელი ჯავახეთში – ა.ბ.) ბაღდადო, წალკოტო ვეავილიანო“. 1933 წელს აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილისათვის ერთ ჯავახ ქალს, 70 წლის ლაზრიშვილს უთქვამს – „ჰავა აქ მეტად კარგია, გასაძღისი. ადამიანი აქ ოც-ოცდახუთ წელიწადს მეტსა ცოცხლობს, ვიდრე სხვაგან. ავადმოფობა აქ იშვიათია. კაცი თავის დღით კვდება და ამას რა სჯობს? ჯავახეთი მდიდარია, საქონელი, ჰური უხვი იცის“.

წარსული და აწმყო ერთნაირად ლაპარაკობს ჯავახეთის სიმდიდრეზე. თუ ეველაფერს კარგად ავწონ-დავწონით, ჯავახეთი შეიძლება გავხადოთ მეცხოველეობის ცენტრად საქართველოში, ბაღჩულისა და ბოსტნეულის ბელად. ასე რომ მოხდეს, ჯავახეთმა ჩვენი ავბედითი ისტორიისაგან მიუენებული ჭრილობები უნდა მოიშუშოს. ზემოთ აკად. ნიკო ბერძენიშვილი ვახსენე. 1933 წელს იგი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის მიზნით მოგზაურობდა ჯავახეთში. ნ.ბერძენიშვილს უამრავი ნასოფლარი და ვერანა ადგილი უნახავს – ნავარძიები, შაშაღეთი, გომანერი, საბატე, ხიდიჯვარი, მიძინეთი, კარანთა, ხუნისი, ჭერულა, კალთუბანი, ჭობარეთი, თეთრობი, ზიარეთი, ვარდციხე, ოღისები და მრავალი სხვა. ეს არც არის გასაკვირი. ეველა ისტორიულმა ქარიშხალმა ჯავახეთზე გადაიარა და კვალიც შესაფერი დატოვა. მაგრამ უოფილა დრო, როცა „ჯავახეთის ისტორიულ წარსულში 240–250 ცოცხალი სოფელი მინც ითვლებოდაო“, დასძენს ნ.ბერძენიშვილი. დღეს როგორღაა საქმე? დღეს რამდენი ცოცხალი სოფელია ჯავახეთში? აქ უნდა ვავიხსე-

ნათ. რომ ისტორიული ჯავახეთი დაახლოებით დღევანდელი წალკის, ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონებს მოიცავდა (სხვათა შორის, არ შეიძლება არ შევნიშნო: დიდად სასაცილო ამბავი გვჭირს. ისტორიულად ძვირფასი გეოგრაფიული სახელები – მარტვილი, სენაკი, ხონი და სხვანი შევცვალეთ და ბოგდანოვკას კი ვერ შევედით ვერაფრით. კაციშვილმა არ იცის, ვინ იყო ეს დუხაბორი ბოგდანი, მაგრამ მოწინააღმდეგე კი ვხრით თავს მის წინაშე).* ახლა ავიღოთ წიგნი – „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“ და ჩავისებდეთ შიგ. აღმოჩნდება, რომ ამჟამად ამ რაიონებში 149 სოფელია. ე.ი. 100–110 სოფლით ნაკლები, ვიდრე ისტორიულად ყოფილა.

დღევანდელი საქართველოს უპირველესი ამოცანა ამ ნასახლარების ისევ დახასხებაა, ამ ნასოფლარების ისევ გაცოცხლებაა. ამის ვეველა შესაძლებლობა გვაქვს – პოლიტიკური, კონომიკურიც და კულტურულიც. ოღონდ სურვილია საჭირო. თუცა სურვილიც გამოითქვა, მაგრამ არაფერს მიაქცია ამას უურადლება. 1971 წლის მაისში ქართველ მწერალთა ყრილობა მიმდინარეობდა. ამ ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა პოეტი ფრიდონ ხალვაში. ვიდრე იმას ვიტყოდე, რა თქვა ფრიდონ ხალვაშმა, უნდა გავახსენოთ, რომ 1971 წლის ზამთარში მთიანი აჭარის სოფლებში ტრაგედია დატრიალდა – თოვლის ზვავებმა რამდენიმე სოფელი დამარხა. მთელი საქართველო ივლოვდა მაშინ ამ უბედურებას. ეს გაიხსენა ფრიდონ ხალვაშმა მწერალთა ყრილობაზე და განაცხადა – რაკი მთიანი აჭარის სოფლებში, გეოგრაფიული ვარემოს გამო, მძიმე საცხოვრებელი პირობებია, იქაური მოსახლეობა მესხეთ-ჯავახეთის ნაყოფიერ, მაგრამ დაუსახლებელ ტერიტორიაზე დავასახლოთო. ეს ორმაგი სიკეთე იქნებოდა: ისტორიულ ჭრილობებსაც მოვიშუშებდით და მოსახლეობასაც ცხოვრების უკეთეს პირობებს შევუქმნიდითო. მასსოვს, პოეტის ამ წინადადებას მთელი ყრილობა ტაშის ვრიალით შესვდა, მაგრამ ის ტაში ტაშად დარჩა. იმ დარბაზიდან გასულეებმა ეს ფრიად ვინაობის, მამულიშვილის სიტყვა ერთ ურში შეუშვეს და მეორეში გაუშვეს. ფრიდონ ხალვაშის ეს წინადადება ჩვენს საზოგადოების ფართო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

ჯავახეთის კონომიკური და კულტურული აღორძინება სადღეისო საკითხია და მისი გადადება არ იქნება.

ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენ დავიწყეთ მესხეთ-ჯავახეთის კულტურულ აღორძინებაზე ზრუნვა, როცა ახალციხეში მესხეთის თეატრი გახსენით, მაგრამ ეს კეთილშობილი საქმე მერე აღარ გავაგრძელებთ. ახლა მესხეთის თეატრი, როგორც კულტურის კერა იმ მხარეში, მარტო დმარტოა. თუ მას კულტურის სხვა დაწესებულებანიც გვერდით არ ამოუწყენეთ, მესხეთის თეატრს დაკისრებული მისიის შესრულება გაუჭირდება.

* ზედობა იმერის 1991 წელს უკვე აღდგენილია ისტორიული სახელებიც და ბოგდანოვკასაც ნაოწმება. ეწოდება.

ახალციხის გვერდით ისტორიული ახალქალაქი უოველთვის მნიშვნელოვანი და ღონიერი ცენტრი იყო როგორც ეკონომიკურად, ისე კულტურულად. ახლა მისმა ნახვამ არ შეიძლება გული არ დაგწვიტოთ. ჰირფერობა რა საჭიროა და ახალქალაქი ახლა ერთი ჭუჭყიანი, უკულტურო დაბაა.

ჩვენ გვიყვარს ისტორიული წარსულით ტრაბახი. მაგრამ კვეხნას მაშინ აქვს ფასი, თუ ისტორიის გაკვეთილებს აწმეოს ასაშენებლად ვიყენებთ. ახალქალაქიდან რამდენიმე კილომეტრზე კუმურდოს კათედრალური ტაძრის ნანგრევებია. კუმურდო იმ ტიპისა და იმ მნიშვნელობის ძეგლია, რაც სვეტიცხოველი (ქართლში), ალავერდი (კახეთში), ბაგრატი (იმერეთში), ბედია (აფხაზეთში), ოშკი და ბანა (ტაო-კლარჯეთში). მე საგანგებოდ მივუთითე ტაძრებიც და საქართველოს კუთხეებიც, რომ მჩვენებინა როგორ თანაბრად ნაწილდებოდა ძველ საქართველოში კულტურული ცენტრები. არც ერთი ზემოთ მოხსენიებული ტაძარი არ უოფილა მხოლოდ რელიგიური ცენტრი. ისინი დიდი კულტურული კერები იყვნენ უპირველესად. კუმურდოს არსებობა სვეტიცხოვლის, ბაგრატიის, ალავერდის, ბედიის გვერდით იმის მიმანიშნებელია, რომ ჯავახეთში ისევე ღვივოდა დიდი კულტურული ცხოვრება, როგორც საქართველოს სხვა რაიონებში. ეს ისტორიული ტრადიცია უნდა ვაცოცხლდეს. ახალციხესა და ახალქალაქს უმაღლესი სასწავლებლები სჭირდება. თუ გორსა, თელავსა, ცხინვალსა და სხვაგან არსებობს უმაღლესი სასწავლებლები, ახალქალაქმა ან ახალციხემ რა დააშავა? ვითომ რა მოხდება, რომელიმე თბილისური უმაღლესი სასწავლებელი სამხრეთ საქართველოში რომ გადავიდეს? ხომ არის საქვეყნოდ ცნობილი ესტონური უნივერსიტეტი ჰატარა ტარტუში და არა დედაქალაქ ტალინში. ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ შეიძლება ზოგიერთმა ქუჩაში ქვა მესროლოს – თბილისიდან მიგვერეკებაო. არსად არავის არ მივერეკები. მხოლოდ მინდა დავფიქრდეთ: ვზრუნავთ თუ არა ჩვენ ჩვენი ქვეყნის აღორძინებაზე ისე, როგორც ამას დღევანდელია მოითხოვს?

საერთოდ, საქართველოს თანაბარი კულტურულ-ეკონომიკური განვითარების საკითხი ახლა არ დასმულა ჰირველად. ამასვე პრინციპული საუბარი იყო ჯანსუღ ღვინჯილიას და რევაზ ჯაფარიძის წერილებში (იხ. „ლიტერატურული საქართველოს“ 1973 წლის 21 დეკემბრისა და 1974 წლის 1 თებერვლის ნომრები). მაგრამ ამ წერილებში წამოჭრილ საკითხებს სამართლებრივი დუმილით შევხვდით. უცნაურია, რომელიმე ქართველმა ფეხბურთელმა მეტოქის კარს ბურთი რომ ააცდინოს, მთელი საქართველო შეიძვრის. ატყდება კამათი, დისკუსია, მსჯელობა, პაექრობა – ეს რა გვჭირს, რა გვემართება, როგორ წავხდით, მოწინააღმდეგვის კარში ბურთი ვერ შევადგეთო. ვეველა – მწერალი თუ მეცნიერი, ინჟინერი თუ ექიმი, მუშა თუ ვლენი – ამ საკითხით დაინტერესდება. გაზეთი არ დარჩება არ გამოეხმადუროს და აზრი არ გამოთქვას. მაგრამ ფრიად საჭირობოროტო პრობლემას, რომელიც მთელ ჩვენ ხალხს ეხება, შეიძ-

ლება გულგრილად ავუაროთ ვეგრძლი. ამ გულგრილობის არავითარი ობიექტური მიზეზი არ არსებობს. სამწუხაროდ, იგი ჩვენი სუბიექტური თვისებაა და მას დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ.

ბევრი მოუგვარებელი საკითხი რომ ჩვენი გულგრილობის შედეგია, ამას კარგად ადასტურებს ერთი შემთხვევა.

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოში გერმანელი სტუმრები იყვნენ. მასწავლებელმა სტუმრები საგარეჯოში წაიუვანეს. სტუმრებმა გზად ამდენი ხრიოკი რომ ნახეს, გაიკვირვეს და იკითხეს – რაშია საქმე, ეს მიწები რატომ არ დაგიმუშავებიათო. შეცბუნებულმა მასწავლებელმა თავი იმართლეს – ჩვენ ისტორიულად მტრები გვაოხრებდნენო და ესეც ამ აოხრების ნიშანიაო. უკანასკნელად როდის მოხდა თქვენი აოხრებაო – იკითხეს დაინტერესებულმა სტუმრებმა. 1795 წელს, ალა-მაჰმად-ხანის დროსო – უნასუსეს მტკიცედ მასწავლებელმა. სტუმრებმა გაკვირვებისაგან პირი დააღეს და თქვეს – თქვე კი ხალხო, მას მერე რომ ეოველ ქართველს თითო ხე დაერგო და მოეველო, ახლა ამ ადგილებში უხარმაზარი ორასწლიანი ტყე იშრიალებდაო.

თავის მართლება გვიუვარს, მაგრამ იმას კი აღარ ვუფიქრდებით, არგუმენტი გამოდგება თუ არა თავის განსამართლებლად. მეც ხომ ასე გავამართლე შემოთ ჯავახეთის პარტახი.

საუბარმა გამიტაცა და ძირითად გეზს გადავუსვიე. დაბოლოს ის მინდა ვთქვა, რომ კარგა ხანია დადგა დრო ჯავახეთისაკენ მივიხედოთ. გულგრილობა დაუძლიოთ და სერიოზულად, გულითა და სულით ვუპატრონოთ ამ მხარეს. რა თქმა უნდა, უველაფერი უცებ, ხელის ერთი დაკვრით არ გაკეთდება, მაგრამ საქმე კი ახლავე უნდა დავიწყოთ.

1974 წ., მაისი

სასულიერო პოეზიის სახეები

საუკუნეების მანძილზე იდგა ქართველი კაცი ტაძარში და ვალობდა –

იაკობ კიბედ გიხილა, ხოლო მოსე –
მაუვლად, დანიელ – მთად, კედეონ – საწმისად,
ანგელოზისა მოსლვითა შეცვრეულთა
ცეცხლსა მას შინა ქადაგეს ურმათა, რაჟამს
ხატი ოქროდისა გინებითა კდემულ-უვეს!

მაშინ იოანე შავთელის ეს ჰიმნი უველასათვის ნათელი და მკაფიო იყო. დღევანდელ მკითხველს კი ვერ გაუგია, რატომ იხილეს ღმრთისმშობელი კიბედ, მაუვლად, მთად, საწმისად. არადა, ეს სახეები ჰიმნიდან ჰიმნში მეროდება. რა თქმა უნდა, განმეორება ბუნებრივია, რამეთუ კანონიკურია ტექსტი. უკვე შექმნილია, ჩამოყალიბებულია გარკვეული მოდელი და ავტორს ვერძალება მისი დარღვევა. მართალია, მოდელირება მხატვრულ მრავალფეროვანებას უკარგავს სასულიერო ჰოეზიას, მაგრამ ნიჭიერი ჰიმნოგრაფოსები მაინც ახერხებენ ისე წერას, რომ დღესაც კი ვიზიბლებით. ეს იმიტომ, რომ შეუძლებელია ტემპერამენტის მოდელირება და სხვადასხვაგვარია საგალობელთა ტემპერამენტი. ასევე შეუძლებელია ვნების მოდელირება და მკითხველიც აშკარად გრძნობს ვნებათა ნაირფეროვანებას ჰიმნებში. არც განწყობილების მოდელირება შეიძლება და უოველ ავტორს საკუთარი განწყობილება შემოაქვს ლექსში. ემოციაც არ მორჩილდება მოდელირებას და სხვადასხვაგვარი ემოციით არის დატვირთული ძველი საგალობლებიც.

თუმცა ერთნაირია სახეები და ამდენად ერთნაირია სამეტყველო ენაც, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვადასხვანაირია, მრავალფეროვანია ტემპერამენტი, ვნება, განწყობილება, ემოცია. ამიტომ ვკითხულობთ დღესაც გატაცებით ძველ საგალობლებს. თუ ადრე ისინი მხოლოდ სპეციალისტებისათვის იყო ხელმისაწვდომი, დღეს ფართო მკითხველსაც თავისუფლად შეუძლია წაიკითხოს ძველი ქართული სასულიერო ჰიმნოგრაფიის როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი ნიმუშები. მათი ვაცნობა დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია

გამოცემებით:

წავლე ინგოროვჯა, თხზულებათა კრებული, ტ. III. 1965 წ.

ძლიანირნი. გამოცხა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა. 1917წ.

ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი გამოცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. 1978 წ.

მიხეილ ქავთარია – ძველი ქართული ჰოეზიის ისტორიიდან. XVII-XVIII ს.ს., 1977 წ.

რა თქმა უნდა, არის სხვა გამოცემებიც, მაგრამ საილუსტრაციოდ მოხმობილი მასლა ზემორე მოხსენიებული წიგნებიდან ამოვიღე და, ბუნებრივია, მეც მათ ვასახელებ.

სასულიერო ჰიმნების სიმბოლიკის ამოსაცნობად აუცილებელია გავიხსენოთ ზოგადი რელიგიური კონცეფცია: ღმერთი უველგან და უველაფერში არის, მაგრამ მისი ხილვა არავის ძალუძს. თუძცა თავად მას აქვს უნარი, როცა მოისურვებს, ადამიანს ეჩვენოს. ე.ი. უხილავი ხილული განდეს. ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, უხილავმა ღმერთმა წმ. მარიამის წილში შეისხა ზორცი და, ქრისტეს სახით, ადამიანმა დაინახა უფალი. „რომელმან სიტუვავ განასრქე (= გაასქელე) დაკრვითა ზორცთა მიწისასათ“, მიმართავს დავით აღმაშენებელი ღმრთისმშობელს. რაკი ღმრთისმშობლის მეშვეობით განდა უხილავი ღმერთი ხილული, ამიტომ ძველი აღთქმის უველა სიმბოლო, რომელიც ადამიანის წინაშე ღმრთის გამოცხადებას გვაუწევებს, გულისხმობს წმ. მარიამს. მისი ალგორია.

ახლა კონკრეტულ სახეებს მივაქციოთ უურადლება. ჰიმნებში ღმრთისმშობელი იხსენიება ძაველად – „მაუული მოტეინარეი“.

„მაუული მეზნებარეი ცეცხლითაჲ,

რომელი არა შეიწუებოდა და აწ

გევედრებით:

დაძრიტე, ღმრთისმშობელო,


ალი ცოდვათაჲ, რათა გადიდებდეთ.“ (მლისპირი).

ანდა

„და არა შეიწვა, ვითარ მაუული“ ... (იოვანე მტბევარი).

ცეცხლმოდებული მაუალი, რომელიც არ იწვოდა, გვასხენებს ძველი აღთქმის გამოხვლათა წიგნი (თავი 3, მუხლი 1-22) ნაამბობს.

როცა მოსე თავის სიმამრს იოთორს ემსახურებოდა, ცხვარი წაიყვანა საძოვრად. მივიდა იგი „მთასა მას ღვთისასა ქორებად“ და დაინახა ცეცხლწაკიდებელი მაულის ბუჩქი. მოსე განცვიფრდა. ბუჩქს ცეცხლი ეკიდა, მაგრამ არ იწვოდა. მოსე დაინტერესდა, უნდოდა გაეგო, რა ხდებოდა. იგი ბუჩქისაკენ წავიდა. როცა ღმერთმა დაინახა, რომ მოსე მისკენ მიდიოდა, დაუბნა: მოსე! მოსე! არ მიხვიდე აქ. გაიხადე ხამლი ფენთავან, რამეთუ ადგილი, რომელზეც



დგახარ, წმინდა არის. მე ვარ შენი ღმერთი, ღმერთი აბრაამისა, ისაკისა, იაკობისა. მოსემ ხელეები აიფარა სახესე. მას ეშინოდა, შეეხედა ღმერთისათვის. მაშინ ღმერთმა უთხრა: მე ვნახე ჩემი ხალხის ტანჯვა ეგვიპტეში. გავიგონე მისი ღალადისი. ვიცი მისი სევდა. მოვედი, რომ ვინსნა იგი ეგვიპტელთა ტყვეობიდან. წავიყვანო აღთქმულ ქვეყანაში, სადაც რძე და თაფლი დის. მერე მოსეს დაავალა ებრაელთა ეგვიპტიდან გამოყვანა. მოსემ ჰკითხა ღმერთს, როცა ებრაელები მკითხავენ, რა არისო მისი სახელი, რა ვუპასუხოო. ამაზე ღმერთმა მიუგო: „მე ვარ, რომელი ვარ; რომელი არს, მან მომავლინა მე თქვენდა“. შემდეგ აუხსნა მოსეს როგორ მოქცეულიყო. ებრაელთა თავგაცემათან ერთად წახვალ ეგვიპტის მეფესთან და ეტყვი: ებრაელთა ღმერთმა მოგვიწოდა ჩვენ. გავიძევი უდაბნოში სამი დღით, რათა მსხვერპლი შევწიროთ მას. მართალია, ეგვიპტელთა მეფე უარს ეტყვი, მაგრამ მე განვახვედრებ მას სასწაულით და მეფე იძულებული გახდება გაგიშვას.

ძველი აღთქმის ამ მითის მიხედვით მოდელი ასეთია: ღმერთი → მკვლელობა → ცეცხლი.

ახალი აღთქმის მოდელი კი შემდეგნაირია: ღმერთი → ღმრთისმშობელი → ქრისტე.

როცა ამ მოდელებს ერთმანეთს შევადარებთ, მკაფიოდ დავინახავთ, რომ მკვლელობა ღმრთისმშობლის სიმბოლოა, ხოლო ცეცხლი – ქრისტესი. ამიტომ არის, რომ ღმრთისმშობელს ჰიმნოგრაფოსები ხშირად მიმართავენ – „ცეცხლმან ღმრთეებისამან არა შეწუა საშოჲ შენი, უქორწინებელი დედაო მისა ღმრთისაო“ ... ხოლო ქრისტეს უგალობენ – „შენ, რომელი გამოძინდი ცეცხლად მკვლელობასა შინა“ ..

თავად ღმრთის მკვლელობაში გამოცხადება კი ერის ხსნას (ებრაელთა ეგვიპტის ტყვეობიდან გამოყვანა) გულისხმობს.

ღმრთისმშობელი კიბედაც იხსენიება საგალობლებში.

„... კიბეო ცად აწევენულო, ღმრთისმშობელო მარიაჲ“ (ძღვისპირი).

„კიბედ იაკობისად იწოდე შენ, რომელსა გარდამოხდა დამბადებელი მხსნელად ჩვენდა...“ (ძღვისპირი).

„კიბეო, რომელსა ზედა გარდამოხდა ღმერთი...“ (იოანე მტბევეარი).

ახლა უნდა გავიხსენოთ ძველი აღთქმის დაბადების ანუ შესაქმეს წიგნი (თავი 28. მუხლი 1-22).

ისაკმა მოუხმო შვილს იაკობს და უთხრა: არ შეირთო ცოლად ქანანის ქალთაგან არვინ. წადი შუამდინარეთში, ბათოილის, დედაშენის მამის, სახლში და ცოლად მოიყვანე ლაბანის, დედაშენის ძმის, ასულთაგან ერთ-ერთი. ღმერთი დაგლოცავს შენ და მრავალი ხალხი წარმოიშობა შენგან.

იაკობმა ყურად იღო მამის ნათქვამი და შუამდინარეთში გაემგზავრა. ვხად დადლილი ერთ ადგილას შეჩერდა და ღამის გათევა გადაწვიტა. აიღო ქვა,

დაიდო სასთუმლად და დაიძინა. ესიზმრა იაკობს: დგას კიბე მიწაზე. წვერი მისი ეხება ცას. ღმრთის ანგელოსები აღიან და ჩამოდიან კიბეზე. ღმერთიც კიბეზე იდგა და ამბობდა: მე მოგცემ შენ და შენს შთამომავლობას იმ მიწას, რომელზეც დგახარ. შენი შთამომავლობა იქნება ქვიშასავით მრავალი და დალოცვილი იქნება შენში და შენს თესლში ვეველა ტომი მიწისა. მე შენთან ვარ და დაგიფარავ ვეველგან, სადაც უნდა წახვიდე და დაგაბრუნებ ამ მიწაზე. არ მიგატოვებ მანამ, სანამ არ შეასრულებ იმას, რაც ვითხარი.

იაკობს გაეღვიძა. შეშინდა და თქვა: ეს ადგილი არის სახლი ღმრთისა და ბჭე ზეცისა. აიღო ქვა, თავქვეშ რომ ედვა, დადგა ძეკლად და ზეთი აპკურა. ადგილს კი უწოდა სახლი ღმრთისა. და დადო იაკობმა აღთქმა: თუ ღმერთი იქნება ჩემთან, დამიფარავს ამ გზაზე, რომელსაც ვადგავარ, მომცემს ჰურს საზრდელად და ტალავურს საძოვლად, მაშინ მშვიდობით დავბრუნდები შინ, მაძინების სახლში და „იჟოს უფალი ჩემდა ღმერთად“. ეგოს ეს ქვაც, რომელიც ძეკლად დავდგი, ღმრთის სახლად და რასაც იგი მაჩუქებს, ვეველაფერ იმის მათედ წილს მასვე შევწირავ.

ამ მითში კიბე ღმრთის გამოცხადების, მისი ხილვის საშუალებაა. რადგან ასეა, ბუნებრივია, რომ კიბე ღმრთისმშობლის სიმბოლოა.

„წინასწარმეტყუელნი გამოგსახვიდეს... კიბედ ზეცისად აღმართებულად“ (მღისპირი).

შედარებით იშვიათად, მაგრამ ღმრთისმშობელი საწმისადაც იხსენიება: „გიხაროდეს საწმისო ცუარისა საღმრთოასაო“ (მღისპირი).

საწმისის სიმბოლური აზრის ამოსახსნელად უნდა გავიხსენოთ ძველი აღთქმის მსაჯულთა წიგნი (თავი 6, მუხლი 1-40).

ისრაელის ძენი ისევ ბოროტის ქმნას შეუდგნენ. დასაჯა ისინი ღმერთმა და შვიდი წლით მადიამების ხელში ჩააგდო. მთელი სარჩო-საბადებელი მადიამებსა და აძალეკებს მიჰქონდათ. ისინი, როგორც მუძლი მოედებოდნენ ვეველაფერს და ანადგურებდნენ. ამ მძიმე მდგომარეობაში იუფნენ ებრაელები, როცა გედეონს იოასის ძეს, ეფთრათესთან მუხის ქვეშ, გამოეცხადა უფლის ანგელოსი. ამ დროს გედეონი, მადიამებისგან მალულად, იფქლს ლეწავდა კალოზე და უთხრა მას უფლის ანგელოსმა – ღმერთი შენთან არისო. თუ ღმერთი ჩვენთან არის, რატომ ჩავარდით მაშინ ამ უბედურ დღეში? – გაკვირვებით იკითხა გედეონმა. შემდეგ განაგრძო: ღმერთი იყო ჩვენთან. მან გვისწა ტვევობისგან, მაგრამ ახლა მიგვატოვა და მადიამებს მიგვცა სატანჯველად. ანგელოსმა ანუგემა გედეონი: წადი და იხსენი ისრაელი. ღმერთი გაგ საუნის ამ საქმისათვის. გედეონი განცვიფრდა: როგორ გადავარჩინ ისრაელს. მანასეს შთამომავლობაში ჩემი ტომი ვეველაზე ღარიბია და მეც მაძინების სახლში – ვეველაზე უძცროსი. ღმერთი იქნება შენთან და შენ დაამარცხებ მადიამებს, როგორც ერთ კაცს – ბრძანა ანგელოსმა. მაშინ შელაღადა უფალს გედეონმა:

თუ მადლი მოვისხი შენს თვალში, მოახდინე სასწაული იმის დასტურად, რომ მართლა მელაპარაკებოდი. არ წახვიდე მანამ, სანამ არ შემოგწირავ მსხვერპლს.

უფლის ანგელოსი დარჩა. გედეონი წავიდა, შეამზადა თიკანი და უცნობო ფქვილი ერთი საწაული. დადო ხორცი ლაქანზე, ჩაასხა წვენი ქოთანში და მიართვა მუხის ქვეშ ანგელოსს. უთხრა ანგელოსმა გედეონს: ეველაფერი დააწვეე კლდეზე და წვენიც ახლოს დაასხი. გედეონი მოიქცა ისე, როგორც უბრძანეს. მერე ანგელოსი კვერთხით შეეხო სამსხვერპლოდ მოტანილს. გამოვიდა იქიდან ცვეცხლი და შთანთქა ეველაფერი. ანგელოსი კი გაქრა. მოაწუო გედეონმა იქ ღმერთის საკურთხეველი და უწოდა მშვიდობა უფლისა – იეჰოვა შალომ.

იმ დამით ღმერთმა დაავალა გედეონს: აიუვანე ზვარაკი ერთი მამაშენის ჯოგიდან და მეორე ზვარაკი შვიდი წლისა, დაანგრიე ბაალის საკურთხეველი და მოკაფე სერტეები, რომელიც მის ვარშემოა. დადგი ღმერთის საკურთხეველი მთის თხემზე, შესწირე მეორე ზვარაკი მსხვერპლად და დაწვი მოკაფული სერტეებისაგან დამზადებული შეშით. გედეონი ბრძანებისამებრ მოიქცა.

მეორე დილით მოქალაქეებმა ნახეს დანგრეული საკურთხეველი. ეველა მიხვდა, რომ ეს საქმე გედეონმა ჩაიდინა. უბრძანეს იოასს, მამას გედეონისას – გამოიუვანე შენი შვილი. ამ მკრეხელობისათვის უნდა მოკვდეს იგი. მაშინ მათ უპასუხა იოასმა, მამამ გედეონისამ: თუ ბაალი ღმერთია, თავად დაიცვას თავი. იგი კი, ვინც მის გამოქომაგებას დააპირებს, ამ დილითვე მოკვდება. ხალხი შეშინდა, გაჩუმდა და ხმა აღარ ამოუღია.

ამასობაში მადიამები და ამაღლეკები შეიკრიბენ, მდინარე იორდანე გადმოლახეს და იუზრელის ღელესთან დაბანაკდნენ.

ღმერთის სულმა გააძლიერა გედეონი და შეკრიბა მან აბიეზერის ტომი. კაცები აფრინა და მოუხმო მანასეს, ასერს, ზაბულონს და ნეფთალემს. ისინიც დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ თავიანთი სპით. მაშინ გედეონმა მიმართა უფალს: თუ შენ ჭეშმარიტად ვსურს იხსნა ისრაელი ჩემი ხელით, როგორც შემპირდი, მოახდინე სასწაული. კალოზე დავდებ საწმისს. დილით ირგვლივ მიწა იუოს მშრალი, ხოლო საწმისი – დაცვარული. თუ ასე მოხდება, მაშინ დარწმუნებული ვიქნები, რომ შენ ვსურს იხსნა ისრაელი ჩემი ხელით. მეორე დღეს ადრე ადგა გედეონი. გაწურა საწმისი და ფილი აივსო ცვრის წელით. მიწა კი მშრალი იყო. არ იეპარა ეს გედეონმა და ისევ მიმართა ღმერთს: ნუ გამირისხდები, თუ კიდევ ერთი გამოცდის ჩატარებას მოვინდომებ. გააკეთე ისე, რომ მიწაზე ეველგან იუოს ცვარი, ხოლო საწმისი დარჩეს მშრალი. ეს თხოვნაც შეუსრულა უფალმა გედეონს. იგი დარწმუნდა, რომ ღმერთი ისრაელის მხარეს იყო და მან დაამარცხა მადიამი და ამაღლეკი.

ამ მითშიც სქემა ტრადიციულია: ღმერთი → საწმისი → ცვარი. როცა ისევ გავიხსენებთ ქრისტიანული რელიგიის მოდელს – ღმერთი → ღმერთის-

მშობელი → ქრისტე, მაშინვე გასაგები გახდება, რომ საწმისი წმ. მარიამის სიმბოლოა, ხოლო ცვარი – ქრისტესი. ასევე გადადის ეს სიმბოლოები ჰიმნებში, სადაც ცვარი ლოგოსია ანუ ღმრთის სიტყვა, საწმისი კი მისი ხილვის საშუალება ანუ ღმრთისმშობელი.

მაგრამ ამ არაკ სხვა სიბრძნეც უდევს შინაარსად. თუ სიტყვა საქმით არ დასტურდება, ღმერთსაც არ უნდა ენდოს კაცი. გედეონიც ამიტომ არ ენდობა დაპირებულს. გედეონმა მხოლოდ მაშინ ირწმუნა უფლის სიტყვა, როცა საქმით დაინახა იგი დასაბუთებული. გედეონი ისრაელის ანუ ხალხის ხსნას ვერ მოახერხებდა მარტო დაპირებით (ცარიელი სიტყვით). ამას აუცილებლად სჭირდებოდა საქმე. როცა ჰიმნოგრაფოსი ძველი აღთქმის ამ იგავს იხსენებს საგალო ბელში, იგი ამით უპირველესად სიტყვისა და საქმის ერთიანობისაკენ მოუწოდებს. მხოლოდ ამგვარი ერთიანობით შეუძლია ადამიანს ეზიაროს უზენაესს, რამეთუ „სარწმუნოებაა თქნიერ საქმეთასა მკუდარ არს“ (წმ. იაკობის ეპისტოლე, თავი 2, მუხლი 20).

მაუკლის, კიბის და საწმისის გვერდით ჰიმნებში მკითხველს ხშირად შეხვდება მთა, კლდე.

„ხოლო კლდეც იგი იყო სახეც შენდა ქრისტე“

(ძლისპირი)

„ლოდი საკიდური უხელოდ გამოკეუთა შენგან მთა“

(ძლისპირი)

„კლდისაგან გამოუკვეთელსა გამოხუედ, ქრისტე, რომელი არს დედას ქალწული უქორწინებლისა...“

(ძლისპირი).

მთისა და კლდის სიმბოლიკის გასაგებად ძველი აღთქმის წიგნში დანიელის წინასწარმეტყველება (თავი 2, მუხლი 2-49) უნდა წავიკითხოთ.

ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორმა სიზმარი ნახა. იგი ფრიად შეწუხდა და ძილისშორისის ასახსნელად მოუხმო მსახრვალთა მოგვეს, მეწამლეთ და ქაღდეველებს. მეფემ ბრძანა. ჯერ ის უნდა გამოიცნოთ რა მესიზმრა და მერე ამიხსნათო, რას ნიშნავს ჩემი სიზმარი. გაკვირვებულმა ქაღდეველებმა უპასუხეს: ამას ვერაფერს შესძლებს. შენ უნდა გვითხრა, რა გესიზმრა და მერე ჩვენ ავიხსნითო ძილისშორისის აზრს. ამგვარმა პასუხმა უსაშველოდ გააბრახა ნაბუქოდონოსორი და განკარგულება გასცა, როგორც უმეცარნი, გაეწვევიტათ ეველა ბაბილონელი ბრძენი. ჯარისკაცები ქალაქს მოედევნენ. ეძებდნენ დანიელ წინასწარმეტყველსა და მის ამხანაგებსაც, რომ სხვებთან ერთად, ისინიც დაეხრცათ. მეფის ქონდაქარის არიოქისაგან დანიელმა ეველაფერი შეიტყო და ამხანაგებს – ახანას, მიხაილს და აზარიას – სთხოვა: ვევედროთ ღმერთს დაგვეჩადროსო ამ საქმეში. უფალმა ისმინა მათი და გაუმხილა სიზმრის საიდუმლო. დანიელი ეახლა არიოქს და უთხრა – ნუ გაჟუჯავ ბაბილონელ

ბრძენთ. მიმიყვანე ხელმწიფესთან და მე ავუსხნი სიზმარს. დანიელი ნაბუქოდონოსორს მიჰგვარეს და მოახსენა წინასწარმეტყველმა მეფეს:

„არს ღმერთი ცისა შორის გამოცხადებელი საიდუმლოება“ და მისი წყალობით შევიტყვე, რაც გესიზმრა. ჩვენება, რომელიც შენ ნახე, იყო უსარმაზარი ხატი (კერპი). მას ჰქონდა თავი ოქროსი, მკერდი, ხელები და მკლავნი – ვერცხლისა, მუცელი და თეძოები – რვალისა, ბარკალნი – რკინისა, ხოლო ფეხები, ერთი – რკინისა, მეორე კი – კეცისა (თიხისა). შენ მანამდე ხედავდი მას, სანამ მთას, ხელის დაუხმარებლად, არ მოწუდა ლოდი. დაეცა იგი ხატს. დაფშვნა კეცი (თიხა), რკინა, რვალი, ვერცხლი და ოქროი. უველაფერი მტვრად იქცა. ქარმა გაჰფანტა იგი და აღარაფერი დარჩა მისგან. ლოდი, რომელმაც დაფშვნა ხატი, გადიდდა, გადიდდა და იქცა უსარმაზარ მთად, რომელმაც აავსო ქვეყანა.

ეს იყო სიზმარი. იგი ნიშნავდა:

ხატის (კერპის) ოქროს თავი თავად ნაბუქოდონოსორი იყო, რამეთუ ღმერთმა მიანიჭა მას ხელისუფლება, ძალა და დიდება.

ნაბუქოდონოსორის შემდეგ იქნებოდნენ სხვა სამეფონი, უფრო დაბალხარისხოვანი – ვერცხლისა, რვალისა, რკინისა. მესუთე სამეფო გაიუფოდა ორად – რკინად და თიხად. ამიტომ ერთი იქნებოდა მაგარი, ვითარცა რკინა, მეორე კი – მტვრევადი და ფშვანი, როგორც თიხა.

ღმერთი განადგურებს რკინიან და თიხიან სამეფოს და, რაც მის მერე შეიქმნება, იგი არასოდეს დაინგრევა, რამეთუ იგი განდება ღმერთის სასუფეველი.

„დღეთა შინა მათ მეფესათასა აღადგინოს ღმერთმან ცისამან მეფობა რომელი საუკუნეთადმი არა გახრწნას და მეფობა მისი ერსა და სხუასა არა დაუშთეს და დააწულინეს და განფილწლნეს მეფობანი უოველნი და იგი აღდგეს საუკუნეთადმი“.

მოეწონა მეფეს დანიელის ჰასუსი და იგი დანიშნეს ბაბილონელ ბრძენთა თაკაცად.

დანიელის წინასწარმეტყველების სიმბოლიკა ჯერ კიდევ ჰავლე მოციქულმა განმარტა ჰირველ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ (თავი 10, მუსლი 4): „ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე“. თუ ქრისტე ლოდია, მაშინ მთა, რომელსაც ეს ლოდი გამოეკვეთა, წმ. მარიაშია. ამიტომ მიმართავს ღმრთის-მშობელს ჰიმნოგრაფოსი – „წინასთვე კებადგებდეს, უბიწო. წინასწარმეტყველნი გამოგსახვიდეს ... მთად გამოუკუეთულად...“

საეალობელში ამ სიმბოლოების მოშველიება მიგვანიშნებს აღთქმას, რომელიც კაცობრიობას ჰპირდება მარადიულ და სამართლიან ღმრთის სამეფოს დაარსება-შექმნას.

სხვათა შორის, დანიელის წინასწარმეტყველება დღევანდელი

მდგომარეობის თვალსაზრისითაც არის ფრიად საუზრადღებო.

დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ ვიმსჯელებთ, დანიელი ხუთ ფორმაციას ჩამოთვლის:

ოქროს სამეფო ანუ ჰირველეოფილი თემური წუობილება,
ვერცხლის სამეფო ანუ მონათმფლობელური წუობილება,
რვალის სამეფო ანუ ფეოდალური წუობილება,
რკინის სამეფო ანუ კაპიტალისტური წუობილება

და მესუთე სამეფო რკინისა და თიხისა ანუ დღევანდელი სიტუაცია, როცა ორი ფორმაცია არსებობს ჰარალელურად – კაპიტალისტური და სოციალისტური. დანიელის სიტუაციით თუ ვიტყვით, დღეს კაცობრიობას ორი ფეხი აქვს, ერთი – რკინისა და მეორე – თიხისა ანუ კაპიტალისტური და სოციალისტური. ღმერთი სწორედ ამ ორფეხიან ფორმაციას დაანგრევს და სამუდამოდ დაამკვიდრებს უფლის სასუფეველს.

მომავალი აჩვენებს უწერია თუ არა დანიელის წინასწარმეტყველების ჩემეულ ინტერპრეტაციას ასრულება.

ვინც იცნობს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, თუნდაც ზერელებად, მან უთუოდ იცის როგორც ადამიანის ცოდვით დაცემის (ადამი და ევა), ისე ღმერთის ჯვარცმის (ქრისტე ვოლგოთაზე) ამბავი. საგალობლებში ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ამის გამო ძალიან ხშირად წაიკითხავთ ამგვარ მიმართვებს, ერთი მხრივ, ქრისტესა და, მეორე მხრივ, ღმერთისმომბღლისადმი:

„ურჩებისათვის ადამისისა მოჰკვედ
მეორე ადამ, ქრისტე, ღმერთისა სიტევაო“
(მიქაელ მოდრეკილი).

„რამეთუ დაჰხსნდა ჰირველი იგი წუევა
დედისა ჩვენისა ევასი შენ მიერ
მუცლად ღებთა კრავისა მის ღმერთისათა“
(იოვანე მინჩხი).

„რომელმან ეკე ევას მიუზღე ვალი...“
(ბორენა დედოფალი).

„შენ, რომელი დედა იქმენ ახლისა ადამისა“ (მლისპირი).

„გარდაიცვალა ცთომას და მოკუდა გუელი იგი, მაცთური ადამისი შენ მიერ, მარიამ“ (მლისპირი).

როგორც ვიცით, ძველი აღთქმის დაბადების ანუ შესაქმის წიგნში (თავი 2 და 3) ნაამბობია როგორ შექმნა ღმერთმა ადამი და ევა და დაასახლა ისინი სამოსხეში. ჰირველი ადამიანი უცოდველი, წმიდა და უმწიკველო იყო. იგი ბედნიერად ცხოვრობდა ედემში, რომელიც ღმერთმა უბოძა. ერთადერთი რამ კრძალვებოდა მას: არ უნდა ეჭამა ცნობადის ხის ნაყოფი. მაგრამ გველმა აცდუნა

ევა და ქალმა შეჭამა აკრძალული ნაყოფი. მერე ქმარსაც აჭამა იგი. ამით მათ დარღვიეს ღმერთისადმი მიცემული აღთქმა, რის გამოც სამოთხიდან იქნენ გამოძევებულნი. ამიერიდან ადამს ოფლით მოპოვებული პური უნდა ეჭამა სიკვდილამდე, ხოლო ევა ტკივილითა და საღმობით მობდა შეიღებეს. აკრძალული ნაყოფის ჭამით მათ შეიძინეს გონი (რუსი) და შეიცნეს რა არის კეთილი და რა არის ბოროტი. ცოდნით ადამიანი ემსგავსა ღმერთს.

ამ მითის კითხვისას არ უნდა შევცდეთ და ვიფიქროთ, რომ შესაქმეს ავტორი გვიყვება დედაკაცის მიერ მამაკაცის ცდუნების ამბავს. ასეთი დასკვნის გაკეთება არ იქნებოდა მართალი. მითის აზრობრივი შინაარსის ამოსაცნობად უნდა გავიხსენოთ, რომ ქალის სახელი „ევა“ ძველებრაულად ნიშნავს „ცხოვრებას“. სხვათა შორის, სახელი „ცხოვრება“ წინათ საქართველოშიც იყო გავრცელებული. ამას მატინეც მოწმობს და გვარებიც – ცხოვრებაძე და ცხოვრებაშვილი. ხოლო მამაკაცის სახელი „ადამ“ ქართულად ნიშნავს „კაცს“. „კაც“ – ეს სახელიც პოპულარული იყო ძველად ჩვენში (გავიხსენოთ თუნდაც კვამისახურდიას პერსონაჟი კაც ზვამბაია). როცა ამას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ მკაფიო და გასაგები ვახდებთ, რომ, შესაქმეს მითის თანახმად, ადამიანს აცდუნებს არა ქალი, არამედ ცხოვრება.

ცხოვრებაში ორივე არსებობს – კეთილიც და ბოროტიც. ბოროტი (დაბადების მიხედვით, გველი) უოველთვის მოწადინებულია და ცდილობს აცდუნოს ადამიანი, ააცდინოს იგი კეთილ გზას. როცა კაცს ნებისყოფა და გონიერება არ უოფნის, ბუნებრივად ხდება იგი ცდუნების მსხვერპლი.

ევასა და ადამის ცდუნება სამუდამო დაღად დაესვა კაცობრიობის ცხოვრებას. ქრისტიანული რელიგიის თანახმად, იმ პირველი ცოდვით დაცემის შემდეგ უოველი ადამიანი ცოდვილია საერთოდ. აი, ამ საერთო ცოდვისა და დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით მოავლინა ღმერთმა ძე თვისი, ქრისტე. კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში (თავი XV, მუხლი 22) პავლე მოციქული განმარტავს: „და ვითარცა იგი ადამის გამო უოველნი მოწუდებიან, ევრეთაცა ქრისტეს მიერ უოველნი ცხოველ იქმნენ.“

მაშასადამე, წმ. მარიამმა ევას იმიტომ მიუხლო ვალი, რომ შვა ქრისტე, ვინაც ადამის ცოდვა იტვირთა და გამოისყიდა. ქალის შეცდომა ქალმავე გამოასწორა.

ქრისტე იმიტომ არის მეორე ადამი, რომ ისეთივე წმიდა, უცოდველი და უმანკოა, როგორც იყო ადამი ცოდვით დაცემამდე. ორივე ღმრთის შვილია. და, საერთოდ, ადამიანი მანამ არის ღმრთის შვილი, სანამ უმწიკველო და უცოდველია. თუ იგი ცდუნებას აყვება და ცოდვას ჩაიდენს, უნდა გამოისყიდოს დანაშაული, თუნდაც ამისათვის ჯვარს ეცვას.

ადამის მაცდუნებელი გველი (ბოროტება) იმიტომ მოკვდა, რომ ცოდვის გამოსყიდვის აქტი ქრისტემ პირნათლად შეასრულა. იგი ვერაფერმა ააცდინა

კეთილის გზას და ბოროტების დასასჯელად ჯვარს ეცვა. ჯვარიც ხისა იმიტომ არის, რომ იგი ნაირსახეა ცნობადის ხისა, რომლის ნაყოფმაც ადამი და ევა ცოდვილი გახდა. ქრისტეს ჯვარცმით ცოდვა უბრუნდება იმ ხეს, საიდანაც იგი გამოვიდა. „კაცება, ჰირველ ხისაგან დაცემული, აწ აღდგა ძელისა მის აღმართებითა, რომელსა ზედა ივნო მსხსნელმან ხორცითა“ – ამბობს იოვანე მინჩხი.

ასე მჭიდროდ უკავშირდება ჰიმნოგრაფიული ჰოეზიის სახეები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ჰიმნოგრაფია კანონიკური ჰოეზიაა და ეურდნობა იმ წიგნებს, რომლებშიც ქრისტიანული რელიგიის მოძღვრებაა ჩამოყალიბებული.

მკითხველისათვის ცხადია, რომ ზემორე მოხსენიებული ნიმუშებით არ ამოიწურება პრობლემა. მაგრამ დანარჩენ ზე მომდევნო წერილებში ვისაუბროთ.

1981 წ. თებერვალი



უცნაური ამბავია: რუსული გაზეთები წერენ, წუხან, იბრძვიან. ქართული გაზეთები კი დუმან, ხმას არ იღებენ, არ წუხან, არ იბრძვიან. არადა, პრობლემა უშუალოდ ჩვენ გვეხება. ჩვენი საქმეა, ჩვენი სატკივარია.

გაზეთმა „გუდოკმა“ 1986 წლის 24 ნოემბერს შემოჰკრა გაფრთხილების წერილი. გამოაქვეყნა წერილი „Шпалами по памятникам“. წერილის ავტორი ავსარდაცემული წერს – რა ემუქრება ჩვენი არაგვის ხეობას, ჩეჩენ-ინგუშეთის კულტურის ძეგლებს, თუ განხორციელდება ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობა. აი, მისი სიტყვებიც:

„მართლაც, შეგვიძლია კი წარმოვიდგინოთ, რომ რკინიგზა გაჭყავთ აკროპოლისის გავლით, ანდა კიეებში, დაბას აშენებენ ფერისცვალების ტაძრის გვერდით? ასეთი პროექტების ავტორებს, როგორ მატერიალურ სიკეთესაც უნდა გვპირდებოდნენ ისინი, ვანდალიზმში დასდებდნენ ბრალს“.

თბილისში კი სიამაფით და ოპტიმიზმით მიუხარებიან მისთვის – სადაც არის პროექტს დაუძმთაფრებთ და მერე...

მაგრამ საქმე მთლად სასინარულოდ არ უნდა ჰქონდეთ. 1987 წლის 18 იანვრის „სტროიტელნაია გაზეთა“ სტატიაში – „Пробивной проект“ – ვაბტუობინებს, რომ არათუ მთელი გზის, არამედ გვირაბის მშენებლობას ზუსტად რა თანხა დასჭირდება, ისიც კი არ იცინანო. მოსკოვში, სათანადო უწყებაში, პროექტის განხილვისას, ავტორს უთქვამს – 500 მილიონი მანეთი დაჯდებაო. მერე გაუსწორებია თავისივე ნათქვამი და 80 მილიონი დაუმატებია, სულ 580 მილიონი ეღირებაო. ამის ზასუსად აღმყოფობულ დარბაზს დაუუვირია – ორჯერ მეტი დასჭირდებაო.

ასე „მოძნადებული“ პროექტის განსახილველად წარდგენა შეიძლება? რატომ ჩქარობენ? ვინ მოგვცემს ამის ზასუსს?

„სტროიტელნაია გაზეთაში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორი ასეთ დასკვნას აკეთებს:

„К тому же система спроектирована лишь на основе теоретических

расчетов, без проведения тщательных экспериментальных проверок. А раз так-нет стопроцентной гарантии, что она будет надежной. “

სედავთ, რა სდება!

უკვე თვეები გავიდა ორივე წერილის გამოქვეყნებიდან და ჩვენში სრული დუმილია მათ გარშემო. რატომ არაფერს ამბობენ პროექტის მესვეურები? თუ გაზეთები ტყუილს წერენ, რატომ არ გააბათილებენ მას? თუ ეველაფერი მართალია, რატომ არ ეუბნებიან ქართველ საზოგადოებას – რას აპირებენ? ან ჩვენს მწერალთა საზოგადოებას რად დაუკრეფია გულს ხელი და დუმს?

სულ ახლახან „პრადაში“ (1987 წლის 11 მარტი) ვალენტინ რასპუტინი წერდა: „ისინი, რომლებიც ჩვენს კვალდაკვალ მოვლენ, არ გვაპატიებენ. რუსეთში არ გვაპატიებენ ბაიკალს და ვოლგას, ბელორუსიაში – ჰოლესიეს, სომხეთში – სევანს, უკრაინაში – დნეპრსა და ჩერნობილს, ლატვიაში – დაუგავას...“.

ჩვენ? ნუთუ ჩვენ ეველას ეველაფერს ვაპატიებთ? თუ იმის იმედად ვართ, რომ ჩვენს შემდეგ მოსული ქართველებიც ჩვენებრ უდარდელნი იქნებიან?

1987 წ., მარტი



აზროვნების სტანდარტიზაცია

ერთხელ საქართველოს ტელევიზიით გადაცემა ვნახე: ახალგაზრდა ქალი, რომელსაც უკვე მოესწრო თანამდებობის დაჭერა და ამის გამო გულღვიძლგამოჭმულ ბიუროკრატად გადაქცეულიყო, ესაუბრებოდა ბავშვებს, ასე, მე-9 ან მე-10 კლასის მოსწავლეებს. მათი სჯა-ბაასი იდევალს ეხებოდა. როცა კითხვა დაისვა, – ვინ არისო თქვენი იდეალური, მისაბამი ლიტერატურული გმირი, – გადაცემის მონაწილე ერთ-ერთმა გოგონამ უპასუხა – კორჩაგინიო.

მართალი გითხრათ, პასუხი უაღბად მომეჩვენა.

ვიღრე იმას განვმარტავდე, რატომ, მანამდე უთუოდ უნდა გავახსენოთ, რომ ნიკოლოზ ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ იყო ის წიგნი, რომელსაც ჩემი თაობა გატაცებით კითხულობდა. მისი ავტორიც და პროტაგონისტიც ჩვენს შეგნებაში განასახიერებდნენ თავგანწირვას, უანგარობას და უშურველობას.

მაგრამ დრო მიდის. ცხოვრება იცვლება. იცვლებიან შესედულებანიც. ამ ცვლილებათა კვალი ეველაფერს აჩნდება. მათ შორის, თავგანწირვას, უანგარობას, უშურველობასაც. ამას გათვალისწინება უნდა. თუ არ გავითვალისწინებთ, ეოველთვის მცდარ დასკვნას გავაკეთებთ. ჩემი რეაქციაც ამან გამოიწვია.

უაღბად მომეჩვენა იმიტომ, რომ არასოდეს, არც მაშინ, როცა უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობდი და არც მერე, ემაწვილებთან შესვედრალაპარაკისას, არ გამიგონია ამგვარი პასუხი. უფრო მეტიც: ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა მეტად იშვიათად კითხულობს „როგორ იწრთობოდა ფოლადს“. – კორჩაგინი ჩემი იდეალიაო – ასეთი ან მხოლოდ გასეთებში წამიკითხავს, ან ოდენ ტელეგადაცემებში მომისმენია. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ბავშვები ორპირობას მივაჩვიეთ? გულწრფელ, გულანდილ პირად საუბარში ისინი ერთს ამბობენ, ოფიციალური ტრიბუნდან, პრესაში, ტელეგადაცემებში კი – მეორეს, ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავებულს, მომგებიანს.

აღბათ, არავინ გამომედავება, თუ ვიტყვი, რომ ჩვენს პრესაში, ტელე-რა-

დიოგადაცემებში ვერასოდეს შეხვდებით, მაგალითად, – ჰასუსს, – ჩემი იდეა-
ლია დონ კისოტი, ჰამლეტი, თავადი მიშკინი. რატომ? ნუთუ დრომ ისე
კარდაქნა დღევანდელი მოსარდი თაობის სულიერი სამუარო, რომ მისთვის
დაცინვის ღირსია მიაშიტი, სუფთა, არაპრაქტიკული, ამაღლებული? მე მგო-
ნია, ეს შეუძლებელია. უმაწვილები კი არა (რომლის გული, სული და გონება
გაურუენელია, ცხოვრების ჭეჭეი ჯერ არ მისცხებია), არამედ ხანდაზმულიც
(ყოფიერების უველა ჭირ-ვარამგამოვლილი) არ უუერებს დაცინვით მართალს,
მშვენიერს, ამაღლებულს. დაცინვით გვიუერებენ მაშინ, არ სჯერათ მაშინ, როცა
ტუილი სიმართლედ გვინდა გავასალოთ, დაცემული – ამაღლებულად, მახინ-
ჯი – მშვენიერად.

თუ მართლა გვჯერა, რომ კლასიკური მწერლობის ისეთი პროტაგო-
ნისტები, როგორც არიან დონ კისოტი, ჰამლეტი, თავადი მიშკინი, დღევან-
დელი უმაწვილკაცობის ირონიულ დამოკიდებულებას იწვევს, მაშინ, მით
უბეტეს, ძელია ირწმუნოთ კორჩაგინის იდეალად დასახვა. კორჩაგინის ფანა-
ტიზმი მთლად უცხოა თანამედროვეათვის. რაც ასლა ვთქვი, იმას საეჭვოდ არ
მიიხნევს ის, ვინც დაკვირვებით ადევნებს თვალუერს ცენტრალური ტელევიზი-
ის გადაცემათა ციკლს „მეთორმეტე სართული“.

გამიკვირდა კი იმიტომ, რომ რობოტებისა და ტოტალური ავტომატი-
ზაციის ეპოქაში, მე-20 საუკუნის ბოლოს, უმაწვილი ქალი იდეალად ისახავს
ადამიანს, რომელიც ისტორიული ვითარების გამო, იმულებული იყო მშიერ-
მწუერვალს, ჩაუცმელ-დაუსურავს, ავადმოფს, პრიმიტიული წერაქვითა და
ბართ, ჯოჯოხეთურ პირობებში ეშრომა და ეშენებინა.

თუ გოგონას ნათქვამი გულწრფელი იყო და არა სხვათაგან შთაგონებუ-
ლი და შკვეთილი, მაშინ ჩვენ ამ ნინველი ქალის ცნობიერება დაგვიმახინჯე-
ბია. მომავლის ადამიანის მაგიერ წარსულის ადამიანი გავვიზრდია.

თუ მან არაგულახდილად თქვა ის, რაც დაავადეს და უკარნახეს, მაშინ ჩვენ
მისთვის ტუილი, თვალთმაქცობა, ფარისევლობა გვისწავლებია. ამით მისი
სული კიდევ უფრო დაგვიგონჯებია.

რა თქმა უნდა, ოპონენტი მეტევის, რომ კორჩაგინში სიშიშვლ-სიტიტუ-
დე, შიშილ-წუერვილი, სნეულება და გაჭირება კი არ მოსწონთ, არამედ ენ-
თუზიანში, საქმის ერთგულება, იდეალისათვის თავგამეტებულობა. დაუშვათ
ანეა, მაშინ ის მანც არ უნდა დაგვაუიწედეს, რომ ზოგად, საერთო იდეალებს
ვევლა დრო თავის კონკრეტულ შინაარსს ანიჭებს. დღევანდელი ენთუზიანში,
საქმის ერთგულება, იდეალისათვის თავგამეტებულობა შეუძლებელია ისეთივე
იქოს, როგორი სახითაც 20-იან ან 30-იან წლებში არსებობდა.

დღეს ვაკვაცობაც, ერთგულებაც და სხვა სიქველევ ბევრად უფრო მაღალ-
ეოიკურ დონეს, ბევრად უფრო მდიდარ შინაარსს მოითხოვს, ვიდრე წარსულ-
ში.

იმ კაცს, ვინც ურემოზე ან ეტლში იჯდა, უპასუხისმგებლობის გამო, დიდი-დიდი, ხუთი კაცი დაედუპა. იმ მფრინავს კი, რომელიც თანამედროვე საჰაერო ლაინერს მართავს, რამდენიმე წამში შეუძლია სამასი კაცი გააქროს.

იმას, ვინც ტყეში ნაჯახით შედიოდა, ორი-სამი ხის მოჭრა შეეძლო. ელექტროსერნით შეიარაღებულს კი მთელი ტყის განადგურება ძალუძს.

ხარის გუთნით ვინც ხნავდა, როგორც გულბოროტიც უნდა ეოფილიყო, ერთ დღიურ მიწასზე მეტს ვერ გააფუჭებდა. ტრაქტორისტს კი, თუკი მოინდომებს, ათობითა და ასობით ჰექტარი სახნავ-სათესის სამუდამოდ მოსპობა შეუძლია.

ზარბაზნითა და თოფით შეიარაღებული, გონების დაბნელებისას, ერთ სოფელს ამოჟღერდა და გადაბუკავდა. იმას კი, ვინც თერმობირთვული იარაღის ღილაკთან ზის, სოფლებისა და ქალაქების კი არა, მთელი სახელმწიფოების მიწის ჰირისაგან აღგვა ხელეწიფება.

დღეს ენთუზიაზმსაც, თავგამეტებულებასაც და ერთგულებასაც, თუ იგი არ არის აღჭურვილი ღრმა ცოდნით, გამოცდილებით, ინტელექტუალური ეთიკითა და ვაკუაცობით უფრო ბოროტების მოტანა შეუძლია, ვიდრე სიკეთისა.

აღბათ, ამ წერილის კითხვით თავგაბეზრებული მკითხველი იფიქრებს – ღირდა კი ერთი მე-9 თუ მე-10 კლასის მოწაფის ნათქვამის გამო ამდენი ლაპარაკი? ღირდა და არა მარტო იმისათვის, რაც ზემოთ ითქვა, არამედ იმიტომაც, რომ ამგვარი პასუხი, ნებით თუ უნებლიეთ, ნაყოფია ჩვენი აღზრდის სისტემაში არსებული მანკიერების, რასაც თავისუფლად შეიძლება სახელად დავარქვათ – ტყუილით აზროვნების სტანდარტიზაცია.

განსაკუთრებით საუურადღებო ის არის, რომ ისინი, ვინც დღენიდაც ჩასჩინებენ ბავშვებს, – კორჩაგინი გაიხადეთო იდეალად, – არასოდეს იქცევიან თვითონ იმგვარად, როგორც მოქმედებდა „როგორ იწითობოდა ფოლადის“ ჰერსონაჟი. კორჩაგინი ჰირადი ჯანმრთელობის, სისხლის, თვალისჩინის ფასად აკეთებდა უველაფერს, რაც აუცილებლად მიანჩნდა. იგი ზვარაკია იდეალის სამსახურში დახარჯული. ეს კორჩაგინის ცხოვრების წესის „პროპაგანდისტები“ კი სისხლს, ჯანმრთელობას, თვალისჩინს კი არა, წვეთ ოფლსაც არ გაიმეტებენ იდეალისათვის. მათ საქმეს საკუთარი კეთილდღეობისათვის უნდათ სიტყვა – სხვათა გასაცუცურაკებლად. ისინი ოსტატურად იყენებენ სტანდარტიზებული აზროვნების მანქანას, რათა ტკბილი ცხოვრების არც ერთი სიამე არ მოიკლონ. ეს არ არის მარტო ვარაუდი. ეს ფაქტებით არის დადასტურებული და არა მარტო ჩვენთან, საქართველოში, არამედ სხვაგანაც – ეაზა-სეთი იქნება ეს, უსბეკეთი თუ ეირკიზეთი, უკრაინა თუ მოლდავეთი. ის, რაც ხალხმა ეოველთვის იცოდა, ახლა პრესამაც აღიარა. სამწუხაროდ, დიდი დაგვიანებით. დაგვიანდა კი იმიტომ, რომ სტანდარტიზებულ აზროვნებას არ შეუძ-

ლია სიმართლის თქმა. იგი მითითებას ელის, როცა მიუთითებენ, მაშინაც კი უოქმანობს. ვერ ხვდება: რატომ უნდა დაარღვიოს სტანდარტი, ხმა ამოიღოს, ტუეილი ამხილოს. მართლის თქმა ერთხელ და სამუდამოდ თავშიჩაჭედილ თარგში არ თავსდება. დაგვიანებული მხილება კი, უძრავლესჯერ, უბრალოდ ფაქტის აღნიშვნაა. მას მხელად თუ შეუძლია რაიმეს შეცვლა.

ამ შეურიგებელ წინააღმდეგობას საქმესა და სიტუვას შორის ემაწვილი იმთავითვე ვერ ამჩნევს, მიაძიტობისა და სულიერი სისუფთავის გამო. როცა შეამჩნევს, სასოწარკვეთილებაში ვარდება. თურმე ურცხვად ატუეუბდნენ. ზატოხსანი და მართალი ახალგაზრდები მთელი ცხოვრება გულგატეხილი, რწმენადაკარგული, უნდო და ვსაგამრუდებულნი რჩებიან. ნამირალური მიდრეკილებისანი კი მაშინვე უღებენ ალღოს სინამდვილეს და ცხოვრების მსუეე სუფრას მტკიცედ მიუსხდებიან. იმწამსვე ხვდებიან: ნაირ-ნაირი ჰრივილეგეები რომ მოიხვეჭო, თურმე დიდი ჭკუა არ ეოფილა საჭირო. საკმარისია სტანდარტიზებული აზროვნების ფორმულები წამდაუწუმ იმეორო და ამქვეუნიურ ეველა სიკეთეს ბრინჯივით დაგაურიან თავზე. ამგვარი ვითარება ბადებს უნდობლობასა და ურწმუნობას, მაგრამ სტანდარტიზებულ აზროვნებას ეს არ აწუხებს. ამაზე არ დარდობს. ტუეილის ქადაგებას აგრძელებს და გვიმტკიცებს, ურევი რწმენითა და ნდობით ვართო აღჭურვილი.

საქმე ცუდად არ იქნებოდა, ასე მარტო ჟურნალისტები რომ იქცეოდნენ. ასე წერენ მწერლებიც. ასე ვასწავლით სკოლაში, ასე ვზრდით ოჯახში, ასე ვიქცევით საერთოდ. ისე ვართ გაწვრთნილნი, რომ ეოველი ახალი ხელმძღვანელის ხმის შესაწუბად დაფიქრებაც კი არ გვჭირდება. თვალისდასამხამებაში იმ ტონალობაზე ავლიდინდებით, რა ტონსაც კამერტონი გამოსცემს. რა გვეთქმის, ესეც სტანდარტიზებული აზროვნების შედეგია. სხვანაირად მას არ შეუძლია.

სტანდარტიზებული აზროვნება მანკიერს ხდის ჰიროვნებასაც და საზოგადოებასაც.

ჰიროვნება კარგავს ღირსებას, შემოქმედებითი აზროვნების უნარს. გუშინ ერთს ამბობდა, დღეს მეორეს, ხვად მესამეს იტუვის. არავინ (არც მან თვითონ) იცის, როდის ვინ თქვა მართალი, რომლისთვის შეუძლია თავის დადება.

საზოგადოებას კი აკლდება უნარიანი, ნიჭიერი, ზატოხსანი მოქალაქე, ის ადამიანები, რომელნიც საზოგადოების ბურჯს წარმოადგენენ. მათ ადგილს იკავებენ უღირსნი, რომელთაც ჩირად არ უღირთ ხალხის ბედ-იღბალი.

აზროვნების სტანდარტიზაციის ჰირობებში ვერც ოჯახი, ვერც სკოლა ვერ გაზრდის ღირსეულ ადამიანს. ამას ადასტურებს დღევანდელი მდგომარეობაც. დღეს არ არის ადამიანური საქმიანობის არც ერთი დარგი, სადაც არ ვხვდებოდეთ ამა თუ იმ სახის დანაშაულს. ამ რამდენიმე ხნის წინათ ისევ ტელევიზიით მოწმე ვიუვი, შინაგან საქმეთა მინისტრი როგორ ესაუბრებოდა

ნაირ-ნაირ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს. ეუბნებოდა: ვიცით, დანაშაულს რომ სწადიხართ, დანაშაულის ტექნოლოგიაც შევისწავლეთ, მაგრამ შეუძლებელია ამდენის დაჭერა. დაფიქრდით, ჩვენი გაფრთხილებისაგან რაღაც დასკვნა გააკეთეთო.

ის ადამიანები, ვისაც ასე მიმართავდნენ, მშობლები არიან. განსაჯეთ, როგორი მოსასმენია ეს მათი შეილებებისათვის. ამგვარი გაფრთხილების შემდეგ, ისინი როგორ მალაღ იდებულხენ უნდა ელაპარაკებოდნენ შეილებს, ბავშვები მანც ეჭვის თვალთ შეხედავენ მათ. უნდობლობის გრძობა გაუხრდებათ. ეს კი არღვევს თაობათა შორის აუცილებელ კავშირს.

მაგრამ მარტო გაფრთხილება არ კმარა. ისიც უნდა ვიკითხოთ – რამ მოამრავლა ასე დანაშაული? ნუთუ დანაშაულისადმი ასეთი დაუოკებელი მიდრეკილება გაუხრდა ადამიანს? რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ, დავიბენით: გუშინდელი სიმართლე დღეს აღარ არის სიმართლე. დღევანდელი კი შეიძლება ზვალ აღარ გამოდგეს. სულ რამდენიმე დღის წინათ „პრავდა“ (1987, 16. III. სტატია – „პრავდე ვ ვლასა“) გვაუწყებდა – ესაზ ჰოეტს ოლჯას სულეიმანოვს სასჯელი ელისო. სასჯელის ერთ-ერთი საფუძველი ისიც არის, რომ აღაც მონაწილეობა მიუღია კუნაევის სამოცდაათი წლისთავისადმი მიძღვილი სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღებაში. მაგრამ, მაშინ, როცა კუნაევი კუნაევი იყო, სულეიმანოვი გაუბედავდა უარი ეთქვა ფილმში მონაწილეობაზე? ცხადია, ვერა, რადგან ო.სულეიმანოვი სტანდარტიზებული აზროვნების ტიპური წარმომადგენელია. არსებითად იგი უნდა დაისაჯოს იმისათვის, რომ გუშინდელი სიმართლე დღეს აღარ არის სიმართლე, გუშინდელი კერპი დღეს აღარ არის კერპი. ჩვენ დღეს რუსულ პრესაში („ლიტერატურნაია გაზეტა“, 1987. 18. III. წერილი – „მილოსერდია“) სანიმუშო მაგალითად გვისახელებენ ანა ახმატოვას, მიხეილ ბულგაკოვს, ანდრეი ჰლატონოვსა და სხვებს, რომლებიც არ მოდრკნენ, არ დამორჩილდნენ სტანდარტიზებულ აზროვნებას. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რად დაუჯდა მათ ეს! განა ეველას შეუძლია სულიერი გვირობა? ეს რომ ადვილი იყოს, სულით გვირები ასე ცოტანი არ იქნებოდნენ ამქვეყნად. როცა ამ მაგალითებს ვიხსენებთ, ისიც უნდა გვანსოვდეს, რომ მათ სხვა აღზრდა-განათლება ჰქონდათ მიღებული. მათი სული გამოტყედილი იყო სწორედ არასტანდარტიზებული აზროვნებით.

სტანდარტიზებული აზროვნებით აღზრდილი მიჩვეულია ყოველი განკარგულების უსიტუვოდ, მორჩილად ასრულებას. მაშინაც კი, როცა აშკარა დანაშაულისაკენ უბიძგებენ, წინააღმდეგობას ვერ ბედავენ და დავალებას უხმოდ ასრულებენ. თუმცა ნათლად იცის, რომ არ უნდა შეასრულოს, მაგრამ ხეობრივი სიმტკიცე არ გააჩნია. სტანდარტიზებულმა აზროვნებამ მას მხოლოდ მორჩილება ასწავლა. ამიტომ ისხდნენ ზემორე უკვე ნახსენები ხელმძღვანელები მორჩილად. როგორი მართალიც უნდა ეოფილიყო ის, რასაც მინისტრი

ამბობდა. მაინც შეურაცხყოფელი იყო მათთვის, მაგრამ არც ერთ მათგანს პროტესტი არ განუცხადებია.

ხანდაზმულ ადამიანს ცხოვრება აჩვევს მოთმინებასაც და დამცირების ატანასაც, ანგარიშიანობასაც. ზომავს – როდის რა თქვას, ანგარიშობს – როდის რა გამოადგება. ახალგაზრდისათვის უცხოა, მიუღებელია ამგვარი ანგარიშიანობა. გარკვეულ პერიოდამდე იგი უკომპრომისოა და მტკივნეულად განიცდის უფროსების, „წინდახედულობას“.

შარშან ერთი ამბავი მოხდა. თუ გახსოვთ, გასაფხულზე ბრძოლა გამოუცხადეს ჩაის განუკითხავად გლეჯა-ჩეხას და მკაცრად მოითხოვეს მისი კრეფა ისე, როგორც წესი და რიგია. ამ დროს ერთი კოლმეურნე ქალი შეისწორეს, რომ განკარგულებას არ ასრულებდა, ძველებურად ავრძელებდა ნამკვლებით თუ ბამბუკის დანებით ჩაის ბუჩქის ჰარსვას. არ აპატიეს, კოლმეურნეობიდან გარიცხეს და ის საკარმიდამო ნაკვეთიც ჩამოართვეს, კოლმეურნეს რომ კუთვნივს. ცოტა დრო გავიდა. ჩაის კრეფის სეზონის დამთავრება მოახლოვდა. დაინახეს, რომ ვეკმას ვერ ასრულებდნენ. ვეკმის შეუსრულებლობას კი ვინ აპატიებდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ისევ მოუხმო კოლმეურნეობიდან გარიცხულ ქალს და შეეხვეწა: ოღონდ ვეკმის შესრულებაში გვიშველე და როგორც ვინდა, ისე კრიფეო, კოლმეურნეობაშიც აღვადგენთ და საკარმიდამო ნაკვეთსაც სასწრაფოდ დაგიბრუნებთო. რა თქმა უნდა, ქალი დათანხმდა. დაავლო ხელი ნამკვალსა და ბამბუკის დანას და ჩაის ჰლანტაციაში გავარდა. მე-10 კლასის მოწაფე შვილიშვილმა ითაკილა ბებიას საქციელი და უსაყვედურად დიდებას: სიამაყე და თავმოყვარეობა არ უნდა დაგკეარვას, თავმჯდომარის შემოთავაზებულ წინადადებაზე არ უნდა დათანხმებულყოფიო. ბებიამ დაუეგავა ბადიშხ: რა დროს თავმოყვარეობასა და სიამაყეზეა ლაპარაკი. იცი, რამდენ ფულს გადაკეთებ ამ სეზონში? ფულია მთავარი. ვის სჭირდება სიამაყე და თავმოყვარეობა. ამ ფულით ოჯახიც სულს მოითქვამს და შენც გამოგადგებაო უძალდეს სასწავლებელში შესასვლელად (დიდება, ალბათ, იმ ფულს გულისხმობდა, კონსტიტუციურად დაწესებული უფასო სწავლის დროს მაინც რომ უნდა გადაიხადონ აბიტურიენტებმა). შვილიშვილს გული ატკინა ბებიას სიხარბემ და მეორე დღეს მასწავლებელს ჰკითხა სკოლაში, – მე ვარო მართალი თუ დიდება? მასწავლებელი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. არც ბებიას გამტყუნება უნდოდა მთელი კლასის წინაშე და ვერც ემაწვილს დაუწუნებდა საქციელს. კონკრეტულ პასუხს თავი აარიდა და ზოგად საუბარს შეუდგა: ფულს არაუიფარო მნიშვნელობა არა აქვსო, მთავარია სულიერად იუოსო ადამიანი მდიდარი. ბავშვებმა სიცილი დაიწყეს. უოველმა მათგანმა ჩინებულად იცოდა, რომ სიტყვით, არსად, არც ერთ ქვეყანაში ფულს ისე არ ღანძლავენ, ვმობენ და აკრებენ, როგორც ჩვენში, მაგრამ სინამდვილეში ფულს დახარბებული, მისით გაკეცილებული ადამიანები ახვევათ ირგვლივ. ამიტომ მასწავლებლის გულ-

წრფელობა არ დაიჯერეს და მას უნდობლად შეხედეს.

მასწავლებელი არ დაიბნეოდა და არც მისი კავშირი გაწუდებოდა მოსწავლეებთან, რომ იგი სტანდარტიზებული აზროვნების ტყვე არ უოფილიყო. უნდა გაეებდა და გულახდილად ეთქვა, რაც არის და როგორც არის. მაგრამ ამას ვერ გააკეთებდა, რადგან სკოლის ადმინისტრაცია გაუწურებოდა. სიმართლე რომ ეთქვა, შეიძლება ისიც დაებრალეებინათ – ანტისაბჭოურ პროპაგანდას ეწევიო. განა ცოტა უოფილა შემთხვევა, როცა დემაგოგიაში გაწაფულ ჩინოვნიკებს სიმართლე ანტისაბჭოურ პროპაგანდად გაუსაღებიათ? ასეთი ტყუილით რამდენს მოუთბია ხელი და მალალ სკამზე მოკალათებულა!

ასე შეიკრა მონუსხული წრე ტყუილისა და სტანდარტიზებული აზროვნების. ეს, კაცმა რომ თქვას, ბუნებრივიც არის, რამეთუ აზროვნების სტანდარტიზაცია შეუძლებელია სიმართლით. იგი მხოლოდ ტყუილით არის შესაძლებელი. ოდენ ტყუილია მისი ფუძე და გული.

თუ ჩვენ მართლა სულითა და გულით გვინდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა, არსებითი გარდატეხა, მაშინ უპირველესად და უმთავრესად საჭიროა სტანდარტიზებული აზროვნებისაგან გათავისუფლება ეკელასი – პიროვნების, ოჯახის, სკოლის, მთელი საზოგადოების.

სხვანაირად არაფერი გამოვა.

1987 წ., ივნისი

ყპრალლეა მივამსიოთ

„თბილისი საქართველოს დედაქალაქია, მაგრამ მასში ქართველები არიან არა უმეტეს 30%, ხოლო სომხები არა უმცირეს 35%, შემდეგ მოდიან სხვა ეროვნებანი...“. ეს სიტყვები 1923 წლის აპრილში ითქვა კომპარტიის მეტორმეტე ურილობასე (ინ., „Двенадцатый съезд РКП(Б). Стенографический отчет“, 1968 წ., გვ.489-490).

რა თქმა უნდა, ამის მთქმელმა მცდარი ინფორმაცია გაიმეორა. მაშინ ეს აზრი საზოგადოებაში მტკიცედ ფეხგადმული იყო. რაღა მაშინ, დღესაც არა ერთი და ორი იმეორებს ამას. თუმცა უბრალო ლოგიკა მოითხოვდა დაფიქრებას და დასკვნას: ვანა ოდესმე სადმე კაცობრიობის ისტორიაში არსებობდა რომელიმე დედაქალაქი, სადაც სხვა ერი (თუნდაც უახლოესი მეზობელი, ერთნაირი ჭირ-ვარამის გადამტანი, ისტორიის ერთ უღელში შებმული) მეტი რაოდენობით ცხოვრობდა, ვიდრე ამ ქალაქის ამშენებელი, ბატონ-პატრონი, საუკუნეების მანძილზე სისხლით დამცველი ხალხი? არა მგონია, ვინმემ ამნაირი დედაქალაქის დასახელება შეძლოს. მაშ, თბილისი რა ბედდამწვარი გამოჩველისი იყო. საქმე ის განსაზღვრავს, რომ თბილისი არავითარი გამოჩველისი არ უოფილა. მაგრამ ფართოდ გავრცელებულ მცდარ აზრს თავისი საფუძველი ჰქონდა, ზოგჯერ – საგანგებოდ მოფიქრებული, ზოგჯერ – უმეცრებით გამოვლენილი.

ჯერ ვნახოთ, როგორ მიმდინარეობდა მოსახლეობის აღწერა.

აილეთ 1901 წელს გამოცემული ბროკჰაუსისა და ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონის 33-ე ტომი. გადაფურცლეთ 264-ე გვერდზე და დააკვირდით, როგორ არის დათვლილი თბილისის გუბერნიის მოსახლეობა: რუსები – 4,4%, ბერძნები – 2,7%, ოსები – 8,9%, სომხები – 23,9%, ქართველები – 45,0%, თუშები – 0,7%, ფშავლები – 1,1%, ხევსურები – 0,8%, იმერლები – 1,1%...

როგორც ხედავთ, ტომებად არც რუსები დაუშლიათ, არც სომხები და არც რომელიმე სხვა ხალხი. მარტო ქართველებია წარმოდგენილი დანაკუწებული

სახით. ცხადია, როცა ამგვარად დათვლი და აღწერ მოსახლეობას, ქალაქშიაც ნაკლები გამოვა ქართველობა, სოფელშიაც და, ალბათ, მთელ ქვეყანაშიაც.

რამია საქმე, რატომ დაშალეს ქართველი ხალხი ცალკე ქართველებად და ცალკე ფშავლებად, ხევსურებად, თუშებად, იმერლებად? თავის დროისათვის ბროკჰაუსისა და ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონი ხომ ერთ-ერთი საუკეთესო მაღალმეცნიერული, სანდო ცნობარი იყო? თუკი ბროკჰაუსისა და ეფრონის ლექსიკონიც ასე ცდებოდა, რაღას იზამდა სხვა უფრო ზერეულე და ნაკლებსარწმუნო გამოცემები?

შეცდომას სულ მცირე, სამი მიზეზი მანაც განაპირობებდა.

პირველი ის, რომ ისტორიული უკუდმართობის გამო, ძნელბედობას, ომებსა და გაჭირვებაში ჩვენი ეროვნული ცნობიერება დაქვეითდა-დაკინდა. მოხდა ისე, რომ ჩვენი საერთო ეროვნული ეთნონიმი „ქართველი“ გაუთანაბრდა „ქართლელს“, საქართველოს ერთ-ერთი პროვინციის მკვიდრის სახელს.

ერთი პატარა მაგალითი ამისა.

ვინ არ იცის, რომ გრიგოლ ორბელიანი მონაწილეობდა 1841 წლის გურიის ჯანუის ჩახშობაში. ამის გამო ნიკოლოზ ბარათაშვილი ბიძას წერდა (ესეც კარვად ცნობილია): „ხუმრობა არ არის, რომ ქართველმა კაცმა გურულებს შეაგონოს უოველივე უბედურება, რომელიც შეუდგების აღმფოთებას...“ რა ლაპარაკი, ახსნა-განმარტება უნდა იმას, რომ აქ ნ.ბარათაშვილი „ქართველს“ ხმარობს „ქართლელის“ მნიშვნელობით, როგორც ხალხის მეტყველებაში იყო გავრცელებული. მაგრამ როგორც კი ამ წინადადებას რუსულად ვთარგმნით, ვითარება შეიცვლება. რაკი ბარათაშვილის ტექსტში „ქართველს“ უველა „გრუზინად“ გადაიტანს რუსულად და არა – „კარტალინეც“ – ად. უოველი არაქართველისათვის ბუნებრივად გამოვა, რომ „გრუზინ“ სხვაა და „გურიეც“ – სხვა. ასეთმა დაბნეულობამ დაბადა, ვთქვათ, „გრუზინო-იმერეტინსკაია სინოდალნაია კანტორა“, რაც დოკუმენტურად ამკვიდრებდა ქართველთა ერთიანი ეროვნული ცნობიერების დაშლას.

განა მარტო მაშინ ხდებოდა ასე? სულ ახლახან არ იყო, ჯემალ ჯაუელის ლექსები რომ „თარგმნეს“ აჭარულიდან რუსულად!... მკონი, ორი წელიც არ გასულა მას მერე, რაც კორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა აჭარული ენის შემსწავლელთა მიღება გამოაცხადა... რაღა შორს გავრბივარ, განა ქართული გაზეთები არ წერენ ასე: შეხვედრა მოუწვევს „აჭარელ ჰოეტს ლევან ანანიძეს“, „გულისამაჩუყებელი და სათუთია იმერეთის მშრომელთა სიუვარული თავიანთი დიდი თანამემამულის – დავით კლდიაშვილისადმი“. დავიჯერო, დანარჩენი საქართველოს თანამემამულე არ არის დავით კლდიაშვილი და იგი არ უყვართ?

ნუ ვიფიქრებთ, რომ ესენი უვნებელი შეცდომებია, ისინი ბევრ გაუკებ-

რობას იწვევენ. თავგზას უბნევენ როგორც შინაურს, ისე უცხოს და ბოლოს, უსიამოვნო შედეგს გვაძლევენ.

მეორე მიზეზი კი გახლავთ ზოგიერთი სახელოვანი მეცნიერის „თეორიები“. ამის ერთი ნიმუშიც. 1920 წელს ჰეტროგრაფში ნიკო მარმა წიგნი გამოცდარუსულად: „აკაკასიის მოსახლეობის ტომობრივი შემადგენლობა“. ამ წიგნის მიხედვით ფშაველები, ხევსურები, მოხევეები, გურულები ქართველები არ არიან. ოღონდ ისინი „по языку грузинизованный“, აჭარლები კი არიან „огрузинившиеся мегрелы“. რაც შეეხება ლაზებს, მეგრელებს, სვანებს, ისინი ხომ ნ.მარის სიტყვებით, საერთოდ არ არიან ქართველები. მარის მეცნიერული ავტორიტეტი უზარმაზარი იყო და არის. ბუნებრივია, რომ მისი მცდარი აზრი დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, მაგრამ ასევე დიდად აბნევს და აცდენს ეგვლას.

მესამე და უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ მეფის ხელისუფლება მიზნად ისახავდა იმპერიაში შემაჯავლი არარუსი ხალხების გარუსებას. დაბნეულობა-გურკვევლობის ამ ვითარებას ოსტატურად იყენებდა ცარიზმი და ეოველგვარად ცდილობდა ავტორიტეტული წიგნების საშუალებით მსოფლიო საზოგადოების შეგნებაში მტკიცედ დაეწინაურებინა აზრი: საქართველოს მოსახლეობა სხვადასხვა ტომების უბრალო გროვად და მათ არც გენეტიკური, არც კულტურული, არც სოციალურ-პოლიტიკური, არც ისტორიული ერთიანობა არ აკავშირებთო.

ქართველთა ეროვნული ცნობიერების დაშლას უნებლიეთ ხელს უწყობდა რელიგიაც. სანამ ქართველი ხალხი ერთიანი მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმსარებელი იყო, სარწმუნოება შემაჯავებელ დუღაბს წარმოადგენდა. მაგრამ მას მერე, რაც ერთიანი მართლმადიდებლურ ქრისტიანობას საქართველოში ბზარი გაუჩნდა, რელიგიამ ეროვნული ცნობიერების დამშლელის როლის შესრულება დაიწყო. ვინც საქართველოს ისტორიით ოდნავ მაინც დაინტერესებულა, მან იცის, რომ ჩვენში მართლმადიდებლური ქრისტიანობის გვერდით, თანდათანობით გაჩნდა და მტკიცედ გაიდგა ფესვი როგორც მონოფიზიტურმა, ისე კათოლიკურმა ქრისტიანობამ. ამას დაემატა ისიც, რომ ქართველი ხალხის ერთმა ნაწილმა იმულებით ისლამიც აღიარა. არსებობს ისტორიული განვითარების ეტაპი, როცა ეროვნება და სარწმუნოებრივი აღმსარებლობა გაიგივებულია. ამიტომ, როცა კათოლიკე ქართველს კვითხებოდნენ – ვინ ხარო? იგი უპასუხებდა, ფრანგიო. მონოფიზიტი ქართველი კი ირწმუნებოდა, სომეხი ვარო, რაკი ქრისტიანობის მონოფიზიტური მიმდინარეობა სომხეთშია გავრცელებული. მაჰმადიან ქართველს ხომ რაღა ეოქმოდა. გამაჰმადიანებისას საერთოდ უცვლიდნენ გვარსაც და სახელსაც. ამას წინათ გაზეთში წაუვიკითხე, ერევნის ხანები, რა თქმა უნდა, სპარსელები იყვნენო. არა, ბატონო, არა. ერევნის ხანები ძირითადად გამაჰმადიანებული სომხები

იყვნენ, ისევე, როგორც ახალციხის ფაშები გამაჰმადიანებული ქართველები ბრძანდებოდნენ. სხვათა შორის, ის სარდლებიც, რომელნიც საქართველო-სა და სომხეთში მოუძღოდნენ სპარსთა და თურქთა ლაშქარს, ისლამილებული ქართველები და სომხები გახლდნენ. გული ნუ გვეტკინება. ასე მარტო ჩვენში არ ეოფილა. სხვაგანაც ამგვარად ხდებოდა. ეს დამონებული ხალხების ისტორიული ცხოვრების კანონზომიერებაა. პოლიტიკური ავანტიურისტები უოველთვის ბატონთან გარბიან, რომ მის კარზე, საკუთარი ხალხის სისხლის ხარჯზე, მოწულების ბაღღამიანი ჰური ჭამონ. მაგრამ ხანებს, ფაშებს, სპასალარებს სახელები და გვარები ისე ჰქონდათ შეცვლილი, რომ, საგანგებო შესწავლის თვინიერ, ძნელია მათში ქართველისა თუ სომხის აღმოჩენა. რიგითი მოქალაქენი მით უფრო უარეს დღეში იყვნენ. ამიტომ, მაგალითად, ის მუშტი-დი მირფეტე-ალა, ვისაც, თავის დროზე, დღევანდელი ორჯონიკიძის სახელობის ჰარკის მიწა-წყალი უყიდა, დასადგენია – მართლა ირანელი იყო თუ გამაჰმადიანებული ქართველი?

მეცნრამეტე საუკუნის საქართველო-ს უნივერსალურად განათლებული ჰუმბლციხისტი ნიკო ნიკოლაძე მემუარებში („წარსულიდან“) იხსენებს:

„იმ დროს ქუთაისიდან რუსეთში სავაჭროდ მარტო სამი კაცი დაიარებოდა: გორიდან გადმოასხლებული სომეხი ჰეტრე მღებროვი, აგრეთვე, გორელი ფრანგი გაბრიელ ენდრონიკაშვილი და მამახეძე“.

ჰეტრე მღებრიშვილი სომხად იმიტომ იწოდა, რომ იგი სარწმუნოებით მონოფიზიტია, ხოლო გაბრიელ ენდრონიკაშვილი ფრანგად იმიტომ ითვლება, რომ იგი კათოლიკეა.

ნიკო ნიკოლაძე იმის შესაბამისად წერს, როგორც, სამწუხაროდ, მაშინ იყო მიღებული.

ძველ ქუთაისში ფართოდ იყო გავრცელებული კათოლიკობა. ფაღიაშვილები, ეაუხნიშვილები, მეფისაშვილები, ასლანიშვილები, კოკოჩაშვილები და სხვანი და სხვანი კათოლიკურ ქრისტიანობას აღიარებდნენ. აღწერის დროს, თუ ვეველა ისინი ფრანგებად ჩათვლიდნენ თავს, შეიძლება ეფიქრა კაცს, რომ ქუთაისი დასავლეთ საქართველოში კი არ მდებარეობსო, არამედ შუაგულ საფრანგეთში.

ამის გარდა, ვეველა რელიგიას თავისი ონომასტიკონი აქვს და სარწმუნოების შეცვლის დროს შეიძლება გვარიცა და სახელიც გადაგვისსვაფრონ.

ნიკოლოზ ჰირველის თანამეცხედრეს ჰრუსიელ ჰრინცესას შარლოტეს, როცა იგი მართლმადიდებლად მოინათლა და რუსეთის დედოფალი გახდა, ალექსანდრა ფსოდროვნა უწოდეს.

მეფე ვახტანგ მეხუთეს, როცა ისლამს აღიარებდა, შაჰ-ნავაზი ერქვა, ერკელე ჰირველს – ნაზარალი-ხანი.

აფხაზეთის მთავარი, მაჰმადიანი საფარ-ბეგ შარვაშიძე, როცა ქრისტიანი

განდა, გიორგიდ იწოდა, ჰამუთ-ბეკ შარვაშიძე კი – მიხეილად.

ნიკოლოზ მეორის ასულმა ოლგამ უარი თქვა მისთვის მიწოდებაზე და რუმინეთის მეფის ძეს კარლოსს, რადგან არ ისურვა სარწმუნოებისა და სახელის შეცვლა. ოლგა კარლოსს რომ გაჰყოლოდა ცოლად, იქნებ ის სასარელი ბედი ასცდებოდა, რაც მას და მის ოჯახს ერგო.

ასე მარტო იმპერატორების, მეფეებისა და მთავრების ოჯახებში არ ხდებოდა. ეს რელიგიური წესი და კანონი იყო. მას რიგითი მოქალაქეებიც უსიტუვოდ ემორჩილებოდნენ. ამიტომ რომელიმე ივანე, თუ იგი მონოფიზიტურ ქრისტიანად მონათლვებოდა, შეიძლება ოპანესი გამხდარიყო და პირიქით: თუ რომელიმე ოპანესი დიოფიზიტური ქრისტიანობის წიაღში გადმოვიდა, ივანედ გადაიქცეოდა. რაკი უოველი ეკლესიის ძლიერებას და სიმდიდრეს მრევლის რიცხოვნობა და დიდად განაპირობებდა. ცალკე მღვდელი და ცალკე ტერტერა მოქალაქეთა გადაბირებას უოველნაირი ღონით ცდილობდა. ცხადია, ის იმარჯვებდა, ვინც უფრო ჰკვიანი და ეშმაკი იყო.

თბილისი არა მარტო მრავალეროვნული ქალაქი იყო, არამედ მრავალრელიგიურიც. ჩვენს დედაქალაქში არსებობდა როგორც მართლმადიდებლური, ისე გრიგორიანული და კათოლიკური თემები. ქრისტიანობის ამ სამი შტოს გვერდით იყო მაჰმადიანური და იუდაისტური თემებიც, უფრო ჰატარ-ჰატარად წვრილ-წვრილ სექტებზე რომ არაფერი ვთქვათ.

ეს მრავალეროვნულობა და მრავალრელიგიურობა მარტო იმით არ უოფილა გამოწვეული, რომ თბილისი ნაირ-ნაირი დამპყრობლის ფეხქვეშ გათელილა ხშირად. მრავალეროვნულობა და მრავალრელიგიურობა უფრო იმით იყო განპირობებული, რომ თბილისი იმთავითვე ამიერკავკასიის კულტურულ (ხშირად პოლიტიკურსაც) ცენტრს წარმოადგენდა. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე მას ამ საქმეში ამიერკავკასიაში მეტოქეობას ვერც ერთი ქალაქი ვერ უწევდა. მე-19 საუკუნეში კი იგი კავკასიის სამეფისნაცვლოს კულტურულ-პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი გახდა. ასეთ ქალაქში ბუნებრივად ხდება სხვადასხვა ერისა და სხვადასხვა რელიგიის თავმოყრა.

სამწუხაროდ, თბილისის რელიგიური თემების ისტორია სრულიად შეუსწავლელია. მათი შესწავლა-დამუშავება კი აუცილებელია – ერთი მხრივ, თბილისის სწორი და ობიექტური ისტორიის დასაწერად და, მეორე მხრივ, ქართველი ხალხის სულიერი თვისების გამოსავლენად. თუ ცოდნა არ მატუებს, ქართველ ხალხს არასოდეს გამოუმჯდაუნებია რელიგიური მოუთმენლობა და შუღლი სხვა სარწმუნოების მიმართ. ჩვენში ისტორიამ არ იცის ამ ნიადაგზე ქართველთაგან თბილისის არაქრისტიანი ან ქრისტიანობის განსხვავებული მიმდინარეობის აღმსარებელი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტის შემთხვევა. ეს კი იმას ამტკიცებს, რომ ქართველი ხალხისათვის რელიგიური ეგოიზმიც იხვევს უცხოა, როგორც ეროვნული.

იმასაც უურადლების მიქცევა სჭირდება, რომ მე-19 საუკუნეში, როცა ამი-ერკავკასია რუსეთის იმპერიაში შევიდა, გვარების რუსული ფორმით წერაც დაშვებულა. ვაჟა ირონიულად წერს: „უნდა მოგახსენოთ, რომ მაშინ რაზიკო-ვად ვიწერებოდი და არა რაზიკაშვილად. იქნებ შეურაცხყოფილადაც კი მიმე-ლო, თუ ვინმე რაზიკაშვილს დამიძახებდა, ასე ძვირფასად მიმანხდა ჩემი გვარის დაბოლოება „ოვით“. ეს ხშირად გვახსენებს და ვერ გავრკვეულვართ, რუსუ-ლად გაფორმებული ამა თუ იმ გვარით რა ეროვნების კაცთან ვაქვს საქმე.

ქართველები, სომხები, რუსები, ქრისტიანი ხალხებია და ბუნებრივად გამოყენებული აქვთ ქრისტიანული ონომასტიკონი. მაგალითად, სახელი აბრაამი. აბრაამისაგან წარმოებული გვარები – აბრაამიშვილი (ქართული), აბრაამიან (სომხური), ავრამოვ (რუსული). თუ სამივე გვარს რუსული ფორმით (ავრამოვ) დაწერთ, შეუძლებელი იქნება გაარკვიოთ, რა ეროვნების კაცია ამ გვარის მატარებელი. გარდა ებრაულისა, ასევე დამკვიდრებულია ჩვენში და სომხეთში სპარსული წარმომავლობის სახელებიც, ვთქვათ ზურაბი. არის ქართული გვარი ზურაბაშვილი და არის სომხური გვარი ზურაბიან. რუსული ფორმით, ცხადია, ორივე ზურაბოვი იქნება. მხოლოდ ზურაბოვი-ის მიხედვით ვერაფერს დაადგენს ამა თუ იმ ზიროვნების ეროვნულ ვინაობას.

ისიც კარგად ცნობილია, რომ ქართულშიც და სომხურშიც საკმაო რაოდენობით არის შემოსული სპარსულ-თურქული სიტყვები, განსაკუთრე-ბით ამა თუ იმ პროფესიის აღმნიშვნელი. ავიღოთ, მაგალითად, თურქული თოფი (მეზარბაზნი). თოფისაგან არის წარმომდგარი გვარი თოფიშვილი (ქართული) და თოფიან (სომხური). რუსული ფორმით ორივე ტოფიევი. მეორე ნიმუშიც: ქართულშიც იხმარება სიტყვა, „ხარატი“ (სპარსული წარმო-მავლობისა) და სომხურშიაც. ამ სიტყვის საფუძველზე შექმნილი გვარიც არ-სებობს, ჩვენებურიც (ხარატიშვილი) და სომხურიც (ხარატიან). რუსული ფორმით ორივე ხარატოვია. ტოფიევი თან ხარატოვით მიხვდებით, ვინ სომე-ხია და ვინ ქართველი? ასეთი დამთხვევა ძალიან ბევრია, მსგავსი ისტორიული ცხოვრებით განპირობებული. ამით სარგებლობდნენ ცარისტები და ამღვრეულ წეაღში თევზს იჭერდნენ.

საყოველთაოდ ცნობილ ამბებზე გლახა ჭრიაშვილივით იმიტომ ვავაზრ-ძელე ლაპარაკი, რომ თბილელი მოქალაქეების ვინაობა, რელიგიური და ეროვნული თვალსაზრისით, არავის შეუსწავლია და ბევრი არაფერი ვიცით ამ მხრივ მათზე. ეს კი აუცილებელია, რომ არ შევცდეთ. თბილისის აშენება-გან-ვითარებაში, ქართველთა გარდა, სხვა ხალხებსაც მიუღიათ მონაწილეობა. არათუ უახლოეს მეზობლებს – სომხებსა და აზერბაიჯანელებს, – ერთობ შორეულსაც – გერმანელებს. მე თუ მკითხავთ, საგანგებო შესასწავლია, მაგა-ლითად, მე-19 საუკუნის თბილისის ისტორიაში გერმანელი კოლონისტების როლი. სწორედ იმიტომ შედმიწვებით უნდა ვავერკვეთ ევლაფერში, რომ კვი-

სარს კეისრისა მივცეთ და ღმერთს – ღმრთისა. ამას სამართლიანობა მოითხოვს.

მემუარისტი წერს, რომ 20-იან წლებში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში „ჯერ კიდევ ამკობდნენ ფირნიშებსა და ვიტრინის მინებს ვაჭართა გვარები – ბეზრუჩკო, ოგანჯანოვი, დათებოვი და ხარიშჩა-როვი, სალაჟაია, გენე, მეგველოვი, საგანელოვი, ჰაჯი-რანხმანოვი...“. სულ ცხრა გვარია მოხსენიებული და აქედან ხუთი აშკარად ქართულია: დათებოვი (დათებაშვილი), ხარიშჩა-როვი (ხარისჭირაშვილი), სალაჟაია, მეგველოვი (მეგველაშვილი) და საგანელოვი (საგანელიძე). (ბარნაბა და თალიკო საგანელიძეები მაინც უნდა გვანსოვდეს კლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკრიდან“). გამოვიდა, რომ ცხრა ვაჭრიდან ხუთი ქართველია, ერთი – რუსი (ბეზრუჩკო), ერთი – სომეხი (ოგანჯანოვი), ერთი აზერბაიჯანელი (ჰაჯი-რანხმანოვი), ერთი – უცხოელი (გენე).

ვაჭრობა-მრეწველობის საქმეშიც ქართველობა უმრავლესობაა არა მარტო ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ საერთოდ. სახს ვუსვამ, საერთოდ, ოლონდ მეტი გარჯა, გულმოდგინება (და სიუვარულიც) გვმართებს ჭეშმარიტების დასადგენად.

1987 წ., დეკემბერი

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ საბჭოური მეცნიერება (უფრო სწორად, პროპაგანდისტული ლიტერატურა) ერთ აურზაურს ასტეხს და ცხარე სჯა-ბაასს გაახლეებს იმ პრობლემებზე, რაც კაცობრიობისათვის დიდი ხანია ცნობილია და თავიდან შესწავლა-შემოწმებას არ საჭიროებს. ასეთ ნამძაღვე და საგანგებოდ გამოგონილ „პრობლემათა“ რიცხვს ეკუთვნის „ორი მშობლიური ენის“ საკითხიც. ორენოვნების პრობლემა ყოველთვის იდგა და დგას მრავალეროვან სახელმწიფოში. ჩვენ, ქართველებს, ეს საკითხი მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე გვანწახებდა. ქართულის პარალელურად ჩვენში ყოველთვის იხმარებოდა რომელიმე მრავალრიცხოვანი ხალხის ენა – ბერძნული, სპარსული, არაბული, თურქული, რუსული. ბუნებრივია, რაკი სსრკ მრავალეროვანი სახელმწიფოა, ორენოვნების პრობლემა დღესაც ცოცხალია. ისიც თავისთავად მოხდა, რომ სსრკ-ში გაბატონებული მდგომარეობა რუსულ ენას უჭირავს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს ტრადიციული უპირატესობა რუსული ენისა, რადგანაც სსრკ რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული სახელმწიფოა. მეორეც, იმიტომ, რომ ჯერჯერობით, საბჭოთა ხალხებს შორის რუსები უველაზე მრავალრიცხოვანი ერია და რუსეთიც – ეველაზე მძლავრი და ღონიერი სახელმწიფო. ელემენტარული კანონია ბუნებისა: მძლავრს და ღონიერს უპირატესობა უნდა მიენიჭოს. ამდენად სრულიად არ უნდა გაგვიკვირდეს, როცა არსებობს კატეგორიული მოთხოვნა, რუსული ენა ისწავლეთო. მაგრამ ამ ბუნებრივი მოთხოვნის გვერდით, რა საჭიროა იმის წამდაუწუმ ქადაგება, რომ რუსული მეორე მშობლიურ ენად გამოაცხადეთო? სსრკ-ის რომელმა მოქალაქემ არ იცის დღეს, რომ საკომუნიკაციოდ მას რუსული საჭიროდება. სწავლობს კიდევ იმდენად, რამდენადაც მისთვის აუცილებელია. რუსული ენის ერთგულება უფრო შორსაც მიდის: ბევრი სიამოვნებით ივიწყებს მშობლიურ ენას და რუსულად ტიკტიკს არაფერი ურჩევნია. აღრიცხვა არ მიმდინარეობს და ზუსტ რიცხვს ვერაფერს დაასახელებს, მაგრამ ეველა ნათლად ხედავს, რომ ამ სამოცდაათი წლის მანძილზე უამრავმა არარუსმა დაივიწყა მშობლიური ენა

და რუსულად ამტკვევლდა (ამას თუნდაც რუსულად მწერალი არარუსი ლიტერატორების დიდი რაოდენობა ადასტურებს) მაშინ, როცა არც ერთ რუსს არ დაუვიწყებია მშობლიური ენა და არ ალანჰარაკებულა სსრკ-ში შემავალი რომელიმე ხალხის ენაზე. ჩ.გუსეინოვმაც კი აღიარა, რომ „პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთი ახალი ეროვნული ლიტერატურული ენის დამწეხნი, დროთა განმავლობაში, ხშირად რუსულ ენაზე გადადიან. ასე, მაგალითად, ი.რიტხეუ, რომელმაც თავის დროზე მ.მოლოხოვის „გატეხილი უამირი“ გადათარგმნა ჩუქჩურად, ანდა ვ.სანგი, ნივზური ლიტერატურის ფუძემდებელი, ახლა წერენ თავიანთ მოთხრობებს და რომანებს რუსულად“ („გოპროსი ლიტერატური“, 1987 წ. №9, გვ. 86). დავამატებდი: აფხაზური ლიტერატურული ენის ფუძემდებლის შვილიც გ.კულია რუსულად წერს. სხვანაირად არც შეიძლება. რუსული ენა დიდი ენაა. იგი იოლად ერევა სსრკ-ში მოსახლე სხვა ხალხების ენას. თუ ორივე ენა მეტნაკლებად კარგად იცის ადამიანმა, ბოლოს და ბოლოს, მას თანდათან ავიწყდება საკუთარი, მშობლიური ენა და რუსულზე გადადის.

ერთ ტამარში ორი ღმერთი ვერ დასახლდება. როცა ერთსა და იმავე ქვეყანაში ორი ენა გამოიყენება, ერთი, უფრო ძლიერი (საკამათო არ არის) ჩაგრავეს მეორეს, უფრო სუსტს. ძლიერის მიერ სუსტის ჩაგვრა თავისთავად ხდება. ამას ვერ ავიცდებით. მით უფრო საგრძნობია ეს ჩაგვრა თუ იგი მოთხოვნით, დავალებით, ძალდატანებით ხდება. რომელი ენა აითვისოს, ცხოვრებაში გამოიყენოს, მოიხმაროს, ეს თავად მოქალაქემ უნდა გადაწყვიტოს. უოველ ადამიანს აქვს მშობლიური ენა, რითაც იგი დაკავშირებულია თავის ქვეყანასთან, თავის ხალხთან, თავის კულტურასთან. დამატებით კიდევ რომელი ენა უნდა ისწავლოს და იცოდეს, ეს მისი პირადი საქმეა და თავისუფალი არჩევანით უნდა ხდებოდეს და არა დირექტივებით. არავინ ნერგავდა ძალით შუა საუკუნეების ევროპაში ლათინურს, მაგრამ იგი მანაც ასრულებდა ლინგუა ფრანცა-ს ფუნქციას. ინგლისელები დღეს არ ამალებენ ინდოეთში არავის ინგლისურის სწავლას, მაგრამ იქ მანაც შექსპირის ენაა ურთიერთობისა და სახელმწიფო მართვის ენა. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში აუცილებლობა ითხოვდა ამას და ადამიანებიც ემორჩილებოდნენ მას. სანამ სსრკ იარსებებდა, მანამ რუსული აუცილებელი სახელმწიფო და საკომუნიკაციო ენა იქნება. მართალია, ამ ფუნქციისათვის რუსული ენა ნებაყოფლობით არავის აურჩევია, როგორც ამას პროპაგანდისტები გვარწმუნებენ (ამ საკითხზე რეფერენდუმი როდის ჩატარდა?), მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს, რაკი აუცილებლობა გვთხოვს რუსულის სწავლას. მაშინ რაღა საჭიროა ორეთოვნების ასე გამწარებული ქადაგება? ამ კითხვას იმიტომ ვსვამ, რომ „ორი მშობლიური ენის“ მოქადაგებმა შეუძლებელია არ იცოდნენ, რომ ამის პროპაგანდა უზნეობაც არის და დანაშაულიც. უზნეობა იმდენად, რამდენადაც იგი ტყუილია. „ორი მშობლიური ენა“ არ არსებობს. დანაშაულია იმდენად, რამდენადაც „ორი მშობლიური

ენიდან“, ბოლოს და ბოლოს, ერთ-ერთს ემუქრება სიკვდილი. ცხადია, მოკვდებოდა ის, რომელიც სუსტია. ეველა, ვისაც კი ორენოვნების გამო მსჯელობაში მონაწილეობა მიუღია, ერთხმად აღნიშნავენ, რომ არარუსული ენები სსრკ-ში მძიმე მდგომარეობაშია. მათი გრამატიკული ფორმები მახინჯდება, ლექსიკა დანაგვიანებულია, კარგავენ საუკუნეებით გამოძულებულ ბუნებას და თვისებას, შეზღუდულია მათი გამოყენების ასპარეზი (ამაზე ბევრს ღაპარაკობენ უკრაინელები, ბელორუსები, ეირგიზები. საშუალო სკოლა რაა, ისიც კი მშობლიურ ენაზე თითო-ოროლა აქვთ, თურმე). ესტონურ ჟურნალში გამოქვეყნებული მარტი ჰინტის წერილიც – „ორენოვნების პრობლემა ვარდისფერი სათვალის გარეშე“ – ამას ადასტურებს. სტატია ძალიან უურადსაღებია და, ალბათ, ჩვენი მეცნიერული საზოგადოების ცხოველ გამოხმაურებას გამოიწვევს.

როგორც კარგად ცნობილია, ეველა გამოჩენილი მოაზროვნე წარსულში უარყოფდა „ორი მშობლიური ენის“ შესაძლებლობას. რა თქმა უნდა, ცალკეულ ადამიანებს შეუძლიათ რამდენიმე ენის კარგად ცოდნა. ისინი უოველთვის იწვევდნენ აღტაცებას სწორედ იმიტომ, რომ ენების ცოდნა იშვიათი ნიჭია. ღიანგურად ეს შეუძლებელია. ამიტომ, საიათნოვას მაგალითი, როგორც ამას აზერბაიჯანელი მწერალი ჩ.გუსეინოვი გვაწოდებს, ნიშნად არ გამოდგება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სამ ენაზე წერა ძალიან იშვიათი შემთხვევაა და მას მთელ ერებს ვერ მოვთხოვთ და, მეორეც, იმიტომ, რომ საიათნოვას ქართული მაინცდამაინც სანაქებო ვერ არის. მე არ გამოვდგები იმის მსაჯულად, როგორ წერდა საიათნოვა სომხურად ან აზერბაიჯანულად, მაგრამ რთულზე კი შემიძლია ვთქვა, რომ მეტიმეტად სუსტია მისი ქართული, ასე რომ, სჯობდა ამ ენაზე არ ეწერა. ამიტომ ნუ შევაწუხებთ საიათნოვას ხსოვნას, გაუმართლებლის გასამართლებლად. არც ვნაბოკოვის მაგალითი გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ ორ ენაზე წერა კარგიაო. ვნაბოკოვი აიძულა ცხოვრებამ ასე მოქცეულიყო. უოველთვის სანანებლად ჰქონდა, ორ ენაზე რომ წერდა. ამის ბრალია, რუსულს რომ უსაშველოდ აქებს და ინგლისურს რომ ხშირად გაჰკრავს კრიტიკულ კბილს. ეს რუსული ენის სევდა იყო, რომელიც მას მთელი სიცოცხლე ღრნიდა. ესოდენ დაბეჯითებით რატომ გვინდა ადამიანები ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩავაყენოთ? არც ეს არის დასაფიქრებელი: მწერალი ეკუთვნის იმ ლიტერატურას, რომელ ენაზეც წერს. ეს სანაქრო არ არის. რომელ ლიტერატურას ეკუთვნიან ორენოვანი მწერლები? ამის პასუხი მეტად ძნელია. ვერც ერთ ენაზე ვერ წერენ ისინი ისე, როგორც ეს მწერლობას კადრება. მწერლობა ენათმეოქმედების ურთულესი პროცესია და ნასწავლი ენით ამ საქმის კეთება, ჩემი აზრით, შეუძლებელია. მე სავანგებოდ შევადარე ერთმანეთს ორი რუსული – ბელოვის, ასტაფიევის, რასპუტინისა და გუსეინოვის, რიტხეუს, სანკის (ზოგიერთი სხვისაც, უფრო ცნობილის). გულახდილად უნდა ვითხრათ, რომ მათ შორის უსარმაზარი სხვაობაა (ეველას შეუძლია ეს

შეაძოწმოს). სხვაობაა უპირველესად ენის მუსიკის თვალსაზრისით. თუ რუსი მწერლები ამ მუსიკას მთელი სხეულით გრძნობენ და გადმოსცემენ, ორენოვანი მწერლები მის მიმართ უბრალოდ ერთ არიან. გარდა ამისა, ორენოვანი მწერლებში არ ჩანს ის ცოცხალი მფეთქავი ძარღვი, რითაც ეველა ენა ხიბლავს ადამიანს. არ იგრძნობა ენის ის სურნელი ურომლისოდაც მწერლობა ფუჭი ბრომაა. არ შეიმჩნევა ენის სიღრმის ის წვდომა, რომელიც არამშობლიური ენის ხიბლს დაგვანახებს. ორენოვანი მწერლების თხზულებებში არ არის ის რუსული ენა, რომელსაც ტურგენევა **великий и могучий** უწოდა. ვერც იქნება. მეცნიერებამ უკვე დაამტკიცა რომ ენას დედის წიაღშივე ისისხლხორცებს ადამიანი. ჟურნალში „ნაუკა ი ქიზ“ (1987წ., №6, გვ.156) სტატიაა, სადაც წერია:

„მეცნიერებისა და ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა ჰარიზის სამეცნიერო ცენტრის მკვლევართა ჯგუფმა ამოცანად დაისახა გაეგო – შეუძლია თუ არა ახალშობილს გამოეოს და დაიმასხოვროს მშობლიური ენის დამახასიათებელი თვისებანი. განასხვავოს მშობლიური ენა უცხოურისაგან, როცა ორივე ენაზე ლაპარაკობს, არა დედა, არამედ სხვა ადამიანი.

ქალს, რომელიც მშენივრად ლაპარაკობს ორ ენაზე სთხოვეს, ოთხი დღის ჩვილებისათვის ეამბნა ერთი და იგივე ზღაპარი ჯერ ფრანგულად, მერე რუსულად. ბავშვების რეაქციის განსასახლვრავად გამოიყენეს საწოვარა. მას შიგნით ჰქონდა კონტაქტები, რომელიც იხურებოდა წოვის დროს. უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ მუშუთა ბავშვები რეაგირებენ სასიამოვნო მოვლენაზე ანდა შეგრძნებებზე საწოვარას უფრო ხშირი წუწნით. აღმოჩნდა, რომ ჩვილები, რომელნიც ისმენდნენ ფრანგულ ტექსტს, წოვდნენ ბევრად ინტენსიურად. ენის შეცვლისას წოვის სიხშირე აგრეთვე იზრდებოდა რამდენიმე ხნის მანძილზე. აქ მოქმედებდა სიხლის ფაქტორი. ბავშვები ამჩნევდნენ, რომ ბგერები შეიცვალა. შემდეგ მაჩვენებლები თანაბრდებოდა. იმ ჯგუფში, რომელიც ზღაპარს ფრანგულად ისმენდა, წოვის სიხშირე მეტი იყო.

რას უკავშირდება ამგვარი განსხვავება – იმას, რომ ფრანგულენოვანი მშობლების ბავშვები უპირატესობას ანიჭებენ მშობლიურ ენას, თუ ფრანგული ენის რაიმე თავისებურებას? ვთქვათ, მასში, ვიდრე რუსულში, უფრო მკვეთრად ვლინდება მარცვლებად დაუოფა და ეს, შეიძლება, ბავშვებს მოსწონთ?

მეორე ცდისთვის აიყვანეს ბავშვები, რომელთა მშობლები არც ფრანგულად ლაპარაკობდნენ და არც რუსულად. შედეგი: ეს ბავშვები წოვდნენ საწოვარას ისეთივე სისწრაფით, როგორითაც ფრანგულენოვანები, როცა რუსულად ისმენდნენ ზღაპარს, ანუ განსაკუთრებულ ინტერესს ბგერებისადმი არ აქვიათ. ასე რომ, პირველი ცდის მონაწილე ჩვილებმა ფრანგული ამჟობარეს სწორედ იმიტომ, რომ იგი მათი მშობლიური ენა იყო.

გამოდის, რომ ოთხი დღის მანძილზე ახალშობილმა ადამიანმა მოასწრო გამოეგო და დაემახსოვრებინა ენის აკუსტიკური თავისებურებანი, რომელსაც

მეტყველებენ ირგვლივ მყოფნი. უნარი აქვს განასხვავოს იგი უცხო ენისაგან. ეს მით უფრო საოცარია, რომ ზოგიერთი მოწიფული ადამიანი მხელად ანსხვავებს სმენით მისთვის ორ უცხო ენას“.

ალბერტ შვაიცერი წერდა, ისეთ გარემოებაში გავიზარდე, რომ თანაბრად ვლანჰარაკობდი გერმანულად და ფრანგულად. ვერც კი ვეტყოდითო, რომელი იყო ჩემი მშობლიური ენა. მაგრამ ერთხელ, როცა უკვე ასაკსრულ კაცს გამოვჩირდა და დაუფიქრებლად გერმანულად დავივიერიე, – დედავ, მიშველეო, – ნათლად მივხვდი, რომელიც იყო ჩემი მშობლიური ენა.

ამის მერე, რაღაა გასარკვევი, სამსჯელო, საპროპაგანდო? რაღად ვვჩირდება, „ორი მშობლიური ენის“ აბსურდის პროპაგანდა? ნურავის ეწეინება, თუ ამ ქადაგებაში ზოგიერთის ბნელ ზრახვებს დავინახავთ. ამ ზრახვებზე ფაქტებიც მიუთითებენ.

პირველი: ეველას მოუწოდებენ რუსულს ისე კარგად დაეუფლეთ, რომ ამ ენაზე თავისუფლად შევეძლოთო მწერლობაც კი. ამის გამო აქებენ იმ არარუს მწერლებს, რომელნიც ორ ენაზე წერენ. მაგრამ არც ერთხელ არც ერთი რუსი მწერლისათვის არ მოუთხოვნიათ, რომელიმე არარუსულ ენას ისე დაეუფლეთ, რომ მასზე ლექსების, რომანებისა და პიესების წერა შევეძლოთო. თუკი ორ ენაზე წერა ბედნიერებაა, რატომ იკლებენ ამ ბედნიერებას რუსები? ვთქვათ, სსრკ-ში მოქმედი არარუსული ენა არ მოსწონთ, მაგრამ დავიჯერო – გერმანულად ან ფრანგულად წერაც ეთაკილებათ? მე-19 საუკუნეში რუსი ინტელიგენცია ფრანგულად ლანჰარაკობდა. პუშკინმა, სიკვდილის წინ, უკანასკნელი სიტყვები ფრანგულად წარმოთქვა. რატომ დაივიწყეს რუსეთში ესოდენ გავრცელებული ფრანგული? იმიტომ, რომ მათთვის ეს ეროვნულად შეურაცხყოფელი იყო. სურდათ თუ არ სურდათ, ამით რუსულ ენას ამცირებდნენ. თუკი რუსს აუცილებლად მიაჩნია რუსული ენის ღირსების დაცვა და უარყოფს ფრანგულს, ჩვენ, არარუსებმა, რატომ უნდა შეურაცხყოთ ჩვენი მშობლიური ენა და სხვა ენას მშობლიური დავუძახოთ. რომელი ქალი არ ჩათვლის შეურაცხყოფად და დამცირებად, მისმა შვილმა რომ სხვა ქალს მშობელი უწოდოს? ამას არც ერთი ნორმალური შვილი არ იკადრებს. მშობლიური ენის შეურაცხყოფა რატომღა უნდა ვიკადროთ? სამწუხაროდ, კადრულობენ. აზერბაიჯანელი გუსეინოვი გვიმტკიცებს მირზა ფატალი ახუნდოვზე რომანი რუსულად იმიტომ დავწერე, რომ იგი თბილისში ცხოვრობდა და ქართველებთან, სომხებთან, რუსებთან ურთიერთობა რუსულად უხდებოდაო. ახლა უნდა ვკითხო გუსეინოვის: გვრცენი ევროპაში ცხოვრობდა – ხან ინგლისში, ხან საფრანგეთში და ხან კიდევ სად. ევროპული ენებიც ჩინებულად იცოდა. რა უნდა ქნას რუსმა მწერალმა გვრცენზე რომანის დაწერა რომ მოუნდეს? არსად გვრცენს ევროპაში ადამიანებთან რუსულად ურთიერთობა არ უხდებოდა (რა თქმა უნდა, თუ შემთხვევით რუსს არ შეხვდებოდა). რომელ ენაზე დაწეროს რომანი – ინგლისურად, ფრანგულად,

კერძანულად თუ ვველაზე ერთად? რას არ იტყვის კაცი, ეურით მოთრეული დებულება რომ გაამართლოს.

მეორე: სულ ცოტა ხნის წინათ რუსები ძალიან იცავდნენ რუსული ენის სიწმინდეს. მასსოვს, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ რომ ვმუშაობდი, ერთხელ ფილმი რუსულად გრიბოედოვის თეატრის მსახიობებს ავახმოვანებინეთ. მოსკოვში საშინლად გაგვიბრაზდნენ, თბილისელმა რუსებმა ღირსეული რუსული უკვე აღარ იციან. როგორ გაბედეთ, რომ ფილმი ასახმოვანებლად მათ მიანდეთო. ახლავე ეს ფილმი ხელახლა აახმოვანეთო მოსკოველი მსახიობების დანძარებით. იძულებული გავხდით, ერთხელ გაკეთებული საქმე ხელმეორედ გავკვეთებინა.

ახლა დიდი ტაშისცემით ეგებებიან, გრიბოედოვის თეატრის მსახიობების კი არა, რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრის მსახიობების ახმოვანებულ ფილმს. სულ იმას გაიძახიან – ეს რა რუსული ცცოდნათ ქართველებს, ნეტავ სად ისწავლეთო... აბა, თქვენ იცით, რუსულად რა ხშირ-ხშირად გადაიღებთო ფილმებს.

ისიც მასსოვს, კ.ფედინი როგორ საუვედურობდა საქართველოს მწერალთა კავშირში ქართველ მწერლებს – თბილისელ რუს ლიტერატორებს რატომ ათარგმნინებთო თქვენს წიგნებს. მათ უკვე აღარ იციანო სამწერლო რუსული. თუ გინდათ თქვენს წიგნებს რუს მკითხველთა შორის წარმატება ჰქონდეთ, აუცილებლად რუსეთში მცხოვრებ რუს მწერლებს უნდა ათარგმნინოთო.

ახლა მოგვიწოდებენ – თქვენ თვითონვე წერეთ რუსულად. რუსული ენის ღირსება აღარ აწუხებთ. რატომ? ზასუხი მკითხველისათვის მიმინდვია.

ს. მიხალკოვმა ჭკუაც კი დაგვარია. არარუსები უცხო ენის (იგულისხმება ევროპული და აზიური ენები) შესასწავლად დროს ნუ დაკარგავთ. ეს დრო რუსულის შესწავლას მოანდომეთ. უცხო ენებს ჩვენ, რუსები, ვისწავლით, ვთარგმნით და არარუსებმა ეს თარგმანები იკითხეთო („ლიტერატურნაია გაზეტა“, 1987 წ., 6 მაისი). თურმე უფლებაც არ გვექონია – თავად ავირჩიოთ, რომელი ენა ვისწავლოთ და რომელი – არა.

ესეც საგულისხმოა: ჩ.აიტმატოვს კრიტიკამ ერთხმად უსაუვედურა „გომოში“ ქრისტიანობას რატომ შეეხეო. რომანის ვველაზე სუსტ ნაწილად ის თავი მიიჩნის, რომელიც ქრისტესა და ჰილატეს ურთიერთობას ეხება. თურმე კაცს, რომელსაც მაჰმადიანი წინაპრები ჰყავდა, არ შეეძლო ბოლომდე ჩასწვდომოდა ქრისტიანობის არსს. თურმე უცხო რელიგიის ათვისება ისე ძნელი უოფილა, რომ ჩ.აიტმატოვის ნიჭიერების ადამიანსაც კი შეიძლება საბედისწერო შეკვდომა მოუვიდეს. მაგრამ არავის დაუწუნებია მისი რუსული. ნუთუ უცხო ენის ათვისება უფრო იოლია, ვიდრე უცხო რელიგიის შესწავლა? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ამ შეღავათსაც თავისი მიზანი აქვს.

ერთი კი ნათელი და მკაფიოა: „ორი მშობლიური ენის“ პროპაგანდას

არაფითარი კავშირი არა აქვს მეცნიერებასთან. იგი ანტიმეცნიერულია. ეს პროპაგანდა ემსახურება მხოლოდ პოლიტიკურ მიზანს. ამ მიზანს რაც ეწოდება, ეველამ იცის.

მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ პოლიტიკურადაც „ორი მშობლიური ენის“ პროპაგანდა მიმართულია თავად რუსული ენის წინააღმდეგ. რამდენადაც რუსული მწერლობა და მეცნიერება ივსება არარუსების დაწერილი თხზულებებით, იმდენად კნინდება, მახინჯდება და ჭუჭყიანდება რუსული ენა. იგი უბრალოვდება, მარტივდება, ერთფეროვნდება. ბუძეწიანი გასროლილი სხვეების წინააღმდეგ უკან ბრუნდება და დიდი ხიფათით იმუქრება. როგორც ვიცით, ლათინური ენის გადაგვარებაში და, ბოლოს, ცოცხალი სამოქმედო ასპარეზიდან წასვლაში არსებითი და გადამწევეტი როლი სწორედ იმან შეასრულა, რომ რომის იმპერიაში მოსახლე ერთობ ბევრი „ბარბაროსი“ აღაპარაკდა ამ ენაზე. ორენოვნების თავგამეტებული მოქადაგენი ისტორიის ამ გამოცდილებაზე მაინც უნდა დაფიქრდნენ.

1987 წ.



ორი მიზანი

დღეს ბევრი ღაპარაკია ეკოლოგიაზე. „ეკოლოგია“ – სიტყვაა ახალი, თორემ ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობა უველა დროში აღელვებდათ. ძველად ხატის (ანუ წმინდა, საღმრთო) ტუეების არსებობა სწორედ ბუნების ეკოლოგიურ დაცვას გულისხმობდა. რელიგია ღმერთის სახელით აშინებდა უველა უგნურსა და უჯიშოს – მცენარეს, წყალს, ცხოველს, ჰაერს მორიდებითა და სიუვარულით მოექუცო. ადამიანთა გარკვეულ ნაწილს რომ მარტო სიტუვით გაფრთხილება ჰყოფნიდეს, ჩვენს ბედს ძალღი არ დაჰუეფდა. ისინი უჰენაესის სახელით, მარადიული სასჯელით უნდა შეაძინო, თორემ ამქვეყნად იმღენი დარაფეთა და დუტარია, რომ თავსაც გაიუბედურებს და სხვასაც დაღუჰავს. ასე რომ არ იუოს, არც ძველი გამოცდილება დაგვრჩებოდა უუურადღებოდ და არც ძველ ცოდნას დავივიწუებდით. ბუნებასა და ადამიანს შორის მისტიკური კავშირ-ერთიანობის არსებობა უხსოვარი დროიდან არის ცნობილი. შორეული რომ არ შევაწუხო, მოწმედ ახლობედს მოუუხმობ:

„მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო
უასაკოთ და უსულოთ შორის“

(ნ. ბარათაშვილი).

„რაც კი რამ დაუბადია
უფალს სულიერ-უსულო,
უველასაც თურმე ენა აქვს,
არა უოფილა ურჯულო“.

(ვაჟა-ფშაველა).

ნორმან ღუისი სტატიაში – „ამაზონია – დედამიწის ავადმუოფი ფილტუები“ („ზა რუბუკომ“, 1979 წ., № 29) – გვაუწუებდა: ბრაზილიის მთაწრობას ამაზონიის ტუეში აუკრძალავს ბრაზილიური თხილის – კასტა-

ნეირას მოჭრა, მაგრამ ეს ხეები ნაყოფს მანაც აღარ ისხამდა და ხმებოდა. მეც-ნიერები დაინტერესდნენ, რა ხდებოდა, რა მოუვიდა კასტანეირას? აღმოჩნდა: როცა კასტანეირას გარშემო სხვა ხეები გაკაფეს, გაქრა, თურმე, მწერთა ერთი ჯიში, რომელიც ხეების დამტვერიანებას უწუბდა ხელს და ამით ანაყოფიერებდა მათ. რაკი მწერი გაქრა, კასტანეირას უვავილებიც აღარ დაიმტვერნენ. ამას დაერთო ისიც, რომ სხვა ხეების გაკაფვამ გააქრო მღრღნელებიც. ისინი თხილს ღრღნიდნენ და ხელს უწუბდნენ თესლის გავრცელებას.

ასეა ბუნებაში უველაფერი ერთმანეთზე გადაბმულ-გადაჯატვული. ამავე წერილში ნათქვამია, რომ 0,4 ჰექტარზე მხოლოდ ოთხი ხის მოჭრა შეიძლება. თუ მეტი მოიჭრა, ეკოლოგიური ტრამვის გამო ტყე 20 წლით წვეეტს ზრდას.

ასლა ვნახოთ, რას ამბობდა გიორგი წერეთელი 120 წლის წინათ, 1868 წელს:

„ტყის გაწვეეტას ბუნებაში სხვა და სხვა ცვლილება მოაქვს და წვიმებიც უთანასწოროდ მოჰყავს. ამის გარდა, წვიმები ტყიან ალაგებს სარგებელს აძლევენ და უტყეოს კი აზარალებენ. წვიმის წვეუები, როდესაც ტყეს ეცემიან, ხის ფოთლები იმათ მაშინვე ძირს არ უშვებს, არამედ ნელ-ნელა ხმელი ფოთლებით მოფენილს ალაგ ზედ აწვეუებს; ამის გამო, როცა ტყიან ალაგას წვიმა მოდის – ძირს ერთბაშად არ ეცემა, არამედ ნელ-ნელა ეცემა და ამიტომ მიწის ნიადაგს უდგება შიგ; უტყეო ალაგას კი წვიმა ერთბაშად ეცემა და ველარ ასწრებს ნიადაგში გაჯდომას, ხდება ნიაღვრად, ხეებში გროვდება და მდინარეებში მიდის. ამ გვარის ნიაღვრებს ხასიათად ისიც სჭირს, რომ ზევითა ჰირს ნაყოფიერს მიწას გლეჯს და ჰლექავს მდინარეებში. ამის გარდა, ამგვარ ალაგებში მდინარეების ადიდებაც ხშირად მოხდება ხოლმე და ბევრჯერ ისე ადიდდება, რომ ჰრღენის და აოხრებს თავის ნაყოფიერს ნაპირებს. ამ უბედურს შემთხვევაში დამნაშავე თვით კაცი არის და დაჯერებით უნდა ვსთქვათ, რომ ამგვარი უბედურების აცილება ძალიან შესაძლებელია, და თუ სრულებით აცილება არა – შემცირება კი უეჭველად ადვილია: ამისთვის საჭიროა მხოლოდ ძველი ტყეების გაფრთხილება და ახლის გაშენება“.

როგორც ვხედავთ, ეოველ დროში სცოდნიათ – როგორი ჰარმონია სუფევს ბუნებაში, როგორ ეოფილა უველაფერი ერთმანეთზე დამოკიდებული. მაგრამ „არა იქნ, ცოდნა რას ვარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“.

ჩვენ რომ გ.წერეთლის ძველი გაფრთხილება დავიწუებისათვის არ მივკვცა, არც სვანეთის ტყეებს ვაფიხავდით უკონტროლოდ და უფრო მეტადაც დაუფიქრებოდით – ავკემენებია თუ არა „მსოფლიოში უნიკალური“ ენკურის კაშხალი. როცა ამ ცოტა ხნის წინათ სვანეთში მომხდარი სტიქიური უბედურების მიზეზებს შეისწავლიან, აღმოჩნდება, რომ იგი უშუალოდ უკავშირდება ტყეების გაჩეხვასა და ენკურჰისის მშენებლობასაც. ელექტროენერგია რომ უაღრესად საჭიროა, დღეს ეს აკვნის ბაღღმაც იცის, მაგრამ ცოტა უფრო

მოზრდილებმა ისიც ისწავლეს, რომ ეკოლოგიური ვითარების გაუთვალისწინებლად ამჟამად ერთი ავგურის დადებაც აღარ შეიძლება. სად არის ენჯურზე ელსადგურთა მშენებლობის მიზანშეწონილობის შესახებ ეკოლოგიური დასკვნა? ვინ გვაჩვენებს მას?

დღესავით ნათელია, რომ ადამიანმა ვეულა თავისი საქმიანობა ბუნების კანონს უნდა შეუფარდოს, მიუსადაგოს და ისე მოიქცეს, როგორც სამყაროს ჰარმონია ითხოვს. მაგრამ ადამიანი, თითქოს ბოროტების ვნებამ შეიპყრო, სწორედ იმას აკეთებს, რითაც თავს აფნებს, შეიძლება თავისთავი კატასტროფის წინაშეც დააუვნოს.

მართალია, ახლა ქართული კლასიკური მწერლობის კითხვით თავს აღარ იკლავენ, მაგრამ იქნებ მაინც ახსოვს ვინმეს ეგ.ნინოშვილის „პალიასტომის ტბა“. თუ მოთხრობა გახსოვთ, ის უღრანი ტუეც ცეხსომებათ, რომელშიც ივანე და ნიკო ხეებს ჭრიან. ეს მოთხრობა პირველად 1891 წელს გამოქვეყნდა. ე.ი. საუკუნეც არ არის მის მერე გასული. მაგრამ შეუძლია ვინმეს დღეს გვითხრას – მაინც სად მდებარეობდა ეს ტუე? ისე გავაჩანაგეთ, რომ ნიშანწყალიც არ დარჩენილა მისი.

ლაგოდეხის რაიონს რომ გასცდები და აზერბაიჯანში გადახვალ, ძველი საინგილოს ტერიტორიაზე, შეუძლებელია, თვალი არ მიიზიდოს ბებერმა კაკლის ხეებმა, რომელიც რამდენიმე კილომეტრის მანძილზე მისდევს გზას. კაკლების ეს ხეივანი საქათლის სამხედრო ოლქის უფროსის – გენერალ ვაჩნაძის გაშენებულია, ერთი შესედევით, უცნაური წესით. როცა ოლქში წვრილმან ქურდებს (აი, ისეთს, სოფელში ქათმებს, გოჭებს, სბოებს რომ იპარავენ) დაიტყვრდნენ, გენერალი ებუქრებოდა: ან სატუსალოში ჩავსვამ, ან გზის პირას ათათი კაკალი უნდა დარგო, მოუარო და გაზარდო. შენ თვითონ აირჩიე, რა გირჩევიან – კაკლების დარგვა თუ რუსის როზგო.

ისეთი ბრიუვი ვინ იყო, კაკლების დარგვაზე უარი ეთქვა და შოლტი აერჩია. ასე გაშენდა ულამაზესი ხეივანი. ის კი ვიცის, რომ ამგვარი რამ არც ერთი რაიონის ხელმძღვანელ მუშაკს არ გაუკეთებია, მაგრამ ის მაინტერესებს – აზრად თუ მოსვლიათ?

ჰო, ადამიანს ხე-ტუე სჭირდება და უნდა მოჭრას, მაგრამ ისიც მტკიცედ და ბეჯითად უნდა იცოდეს – რასაც მოკაფავს, ორი იმდენი უნდა გააშენოს. მაშინ ჰქვია მას ქვეყნის პატრონი.

დრო ბუნებაზეც შემოქმედებს და ცვლის მას. ისქანდერ მუნში, ირანელი მემკტიანე, გვიამბობს: როცა შაჰ-აბასის ჯარი თეიმურაზ პირველის ლაშქარს მისდევდა, ქართველთა მეფემ სპარსელებს აღაზანზე გადაასწრო. ქართველებმა უკვლა გეძი და ნავი გადაძალეს. ამის გამო აღაზანზე გადასვლა გაჭირდაო. მაშის ბრძანებით მდინარე მაინც გადალახეს, მაგრამ, როგორც მემკტიანე ხატოჯიანე გვიუკვება, თურმე „ბევრი ცხენი და ჯორი და ურიცხვი აქლემი წულ-

ის გზით არარაობის საძოვრებზე წავიდა“. ე.ი. ალაზანი დამხრჩვალა. არც ისე დიდი ხანია გასული თეიმურაზ ჰირველის ეპოქიდან, მაგრამ დრო-ჟამს ისე დაუპატარავებია ალაზანი, რომ დღეს იგი ცხენებს, ჯორებს და აქლემებს კი არა, ქათამსაც ვერ დაახრჩობს.

რაკი დრო-ჟამი ასეთი უღმობელია, ბუნებას ადამიანი უნდა მიეშველოს, მაგრამ მიშველებას ვინლა ჩივის, როცა უველა ღონეს ვხმარობთ ბუნების დასათრგუნავად. თუძცა, ჩვენ, ქართველებს, ვაჟა-ფშაველა სრულიად სხვა რამეს გვასწავლიდა (დღეს უფრო მნიშვნელოვანი არაფერია, როგორც ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის ვაჟა-ფშაველასეული კონცეფციის მთელი სიგრძე-სიგანითა და სიღრმით წვდომა), მაგრამ ეს არ დავიჯერეთ და სხვას მივანჟართთ უური.

უველა ცნობარში და ლექსიკონში შესვდებით ამგვარ განმარტებას: „უველა საზოგადოების ისტორია, დაწეებული მონათმფლობელობიდან, იუო კლასთა ბრძოლის ისტორია. მარქსიზმ-ლენინიზმმა მოგვცა კლასობრივი ბრძოლის, როგორც ანტაგონისტურ კლასებად გათიშული საზოგადოების მამოძრავებელი ძალის მეცნიერული ახსნა...“ მეც დაახლოებით ასე მასწავლიდნენ. თან უმატებდნენ, რომ კომუნიზმი უკლასო საზოგადოებაა, სადაც აღარ იქნება კლასთა ბრძოლა. ამ ორი დებულების შეპირისპირებისას უოველ კონიერ სტუდენტს ებადებოდა კითხვა – თუ კომუნიზმის დროს კლასობრივი ბრძოლა აღარ იქნება, ხოლო კლასთა ბრძოლა ისტორიის მამოძრავებელია, მაშინ როგორ წარიმართება საქმე კაცობრიობისათვის აღთქმულ იდეალურ საზოგადოებაში? კომუნიზმში საზოგადოება ერთ ადგილს ვაიეინება-ვაქვავდება თუ ვაჩნდება რაიმე სხვა ძალა, რომელიც საზოგადოებას ამოძრავებს? ამ კითხვას ვსვამდით და ჰასუსად გვესმოდა მხოლოდ ერთი: კომუნიზმის დროს საზოგადოების მამოძრავებელი ძალა იქნება ბრძოლა ადამიანსა და ბუნებას შორის. ადამიანმა უნდა დაიმორჩილოს ბუნება და ვაბატონდეს მასზე.

იმას არავინ უფიქრდებოდა, რომ ადამიანი ბუნების შვილია. ხოლო მშობლებისა და შვილების ბრძოლა არასოდეს თავდება რომელიმე მხარის სასიკეთოდ.

ამ იდეით აღზრდილი ადამიანები ქმნიდნენ ციმბირის მდინარეების შემობრუნებისა და მათი კასპიის ზღვაში ჩაშვების პროექტებს. ხომ არ გკონიათ, რომ საფრთხე მარტო ციმბირის მდინარეებს ემუქრებოდა? არა, საქართველოშიც არის დამუშავებული პროექტი დასავლეთ საქართველოს მდინარეების აღმოსავლეთისაკენ შემობრუნებისა, აზერბაიჯანის მოურწყავი ტერიტორიის მოსარწყავად.

ჰალიასტომის ტბის დონის ერთი მეტრით „დაქვეითების“ პროექტიც არსებობს. ტბის დონის ერთი მეტრით დაქვეითების შედეგად მოპოვებული

წული ისევ აზერბაიჯანის მოსარწყვად უნდა გადაიქანოს. (შეიძლება ცოტა სომხეთსაც გაუზიარონ). მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით მარტო პროექტებია. ეტეობა, უფულობის გამო ვერ ახორციელებენ, თორემ გადაითხრებოდა მთელი საქართველო ჰალიასტომის ტბიდან მინგეჩაურის წულსაცვამდე. ჩვენ აღარც საცხოვრებელი დაგვრჩებოდა, აღარც საუანე და აღარც საბოსტნე.

ბუნებასთან ბრძოლის იდეით შთაგონებულმა ადამიანებმა დაღუპეს არალის ზღვა, სევანის ტბა, დაანგრეს შავი ზღვის სანაპირო, სასიფათო განადგეს იგი. მილიარდები უნდა დაიხარჯოს მათ გადასარჩენად და ისიც კი არ ვიცით გადავარჩინთ თუ არა.

რაოდენ უსულგულოა ჩვენი დამოკიდებულება ბუნებისადმი, ამას კარგად ავლენს ერთი ჰატარა ფაქტი: წინათ ჩვენს დაბა-ქალაქებში ქუჩების გასწვრივ რუები და ნაკადულები მიჩუხჩუხებდნენ. 50-იან წლებშიც კი იყო ისინი შემორჩენილი. მერე ერთიანი ფრონტით შევუტეთ ან დავაშრეთ, ან ბეტონის კუბოებში ჩავამწვედიეთ და ზედ ასფალტი დავასხით. ქუჩისპირას მორაკრაკე ნაკადულები თუ რუები, ჯერ ერთი, ძალიან ლამაზი იყო და, მეორეც, დაბა-ქალაქის „ფილტვებს“ წარმოადგენდა, ჰავას არბილებდა. ჰაერს წმენდდა და სვატიან დღეებში ადამიანს სუნთქვას უადვილებდა. რას ვერჩოდით? ვერავინ გიპასუხებთ.

ვევლა ხედავს, რა უსამელოდ და უთავბოლოდ იზრდება თბილისი, მაგრამ ამოდენა ქალაქში აქა-იქ, თითო-ოროლა შადრევანია. არც სკვერებით, ჰარკებითა და ბალებითა ვართ მდიდარი. ამაზე ზრუნვა გადაუდებელია. შეიძლება რამდენიმე სპეციალისტმა იცის, როგორია თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობა (თუმცა ესეც კი მეჭკვება), მაგრამ ფართო საზოგადოებამ სრულიად არაფერი უწეის. არადა, უნდა იცოდეს, ზედმიწევნით უნდა იცოდეს. უცოდინარი კაცი დედაქალაქის ეკოლოგიაზე ვერ იზრუნებს. ასევე არაფერი ვიცით სხვა ქალაქების – ქუთაისის, ბათუმის, თელავის, სოხუმის, გორის... ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

სასუნთქი, საარსებო სივრცე თანდათანობით ქრება. ჩვენს სოფელს დააკვირდით: როგორ სტიქიურად მენდება იგი. არსად ჩანს მოაზროვნე არქიტექტორის ხელი. სახლი სახლზე მიედგა სოფლებში, გაქრა ეზოების ძველი კულტურა. საქართველოში ეზო ეკოლოგიური პრობლემის მოგვარების საშუალება იყო. ეზოში აუცილებელი იყო ჭა, საჩრდილობელი ხე, მოლი, სივრცე-მართალია, ეზოები იმან მოსპო, რომ გლენს მიწა აღარ დაუტოვებს; სახლი სად დადგას, ისიც აღარ იცის. ჩვენმა უგუნურებამ ბევრჯერ მიგვარტყმევინა თავი კედელზე. ბოლოს და ბოლის უნდა მივხვდეთ, რომ აუცილებელია გლენს მიწა დავუბრუნოთ – საეზოედაც და საუან-საბოსტნედაც, თორემ ეკოლოგიური სიდუხჭირე ისეთ დღეში ჩავვაგდებს, თავბედს დაგვაწვევლინებს. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, ადამიანმა სახლი თუ ააშენა, ეველაფერი

მოგვარებული ჰგონია. სამწუხაროდ, ასე არ არის. სოფელში ადამიანი, ცხოველი, ფრინველი, მცენარეული ერთად ცხოვრობს. თითოეულს თავთავისი საარსებო სივრცე სჭირდება. როცა ეზოს მოაასფალტებ, აივანს შუშბანდით ამოაშენებ, სახლს სახლს მიადგამ და კიდევ უზარმაზარ სათბურს დაიდგამ, ამით მარტო ადამიანს კი არ ავდებ გასაჭირში, არამედ ცხოველსაც, ფრინველსაც, მცენარესაც. ისინი მეგობრების ნაცვლად მტრები ხდებიან. ერთმანეთს არსებობაში უშლიან ხელს. ადრე კი ერთურთის ხელისშემწეობნი იყვნენ, მშველენი. ამას მოგვარება უნდა. მისი გონივრული გადაწყვეტა მხოლოდ ტკვიან ხუროთმოძღვარს შეუძლია. ჩვენი სოფლების სტიქიური განაშენიანება უნდა შეწყდეს. მას ჰატრონი უნდა გაუჩნდეს. 21-ე საუკუნე სადაც არის კარს მოგვადგება. ჩვენი სოფელი კი არც ერთი თვალსაზრისით (ცხადია, ეკოლოგიურითაც) მზად არ არის ახალი საუკუნისათვის.

რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ ეკოლოგიური პრობლემების სირთულეზე, მას ვერ მოვუვლით, თუ ჩვენში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა არ წარიმართება საქართველოს ბუნების თავისებურებების გათვალისწინებით. დღეს ასე არ ხდება. არსებითად, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას საქართველოში ისევე ვეწვეით, როგორც ციმბირში ან შუა აზიაში. არ შეიძლება მტკვრის დაგუბება და მისი ვოლკისთვის დამსგავსება. არ შეიძლება არაგვზე ისეთივე წყალსაცავის აშენება, ენისეიზე რომ ააგებენ. მათ სწვადასწვა ხასიათი და ბუნება აქვთ. როგორც ორი ადამიანის ძალდატანებით დამსგავსება დანაშაული, ასევე (შეიძლება მეტიც) დანაშაულია ორი სწვადასწვა ბუნებრივი გარემოს ძალით გაერთიანება. ეოვლ კეოგრაფიულ რეგიონს თავისი განუმეორებელი თავისებურება ახასიათებს. თუ ეს არ გავითვალისწინეთ, დიდ ხიფათში ჩავიგდებთ თავს.

არათუ იმ უკიდევანო ტერიტორიაზე, რომელიც სსრკ-ს უჭირავს, არამედ საქართველოს ერთ ციცქნა მიწა-წყალზეც კუთხეები ძირეულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მეურნეობის სახეობა, რაც კახეთში გამოდგება, რაჭაში არ ივარგებს. რაც აჭარას მოუსდება, ის ხევსურეთში უვარგისი იქნება. ჯავახეთის კარტოფილი სამეგრელოში არ მოვა და სამეგრელოს სიმინდი ჯავახეთში ვერ ივარგებს. ეს ცხადზე ცხადია. ამიტომ საქართველოს ეკონომიურ-სამეურნეო ცხოვრება ჩვენი ბუნების შესაბამისად უნდა მოეწეოს. სამარცხვინოდაც და სასაცილოდაც მიმაჩნია ის, რომ ჩრდილოეთში მდებარე ჰოლანდიის სიმდიდრის ერო-ერთი წყარო მეუვაილეობაა, ხოლო სამხრეთულ (როგორც ხშირად ვიკვეხნით - მსიურ) საქართველოში მეურნეობის ეს სახეობა სავალალო მდგომარეობაშია. მეტალურგიულ მრეწველობას ვებლაუტებთ, თუმცა საამისო არავითარი ნედლეული არ გავაჩნია და ცხრა მთის იქიდან უნდა მოვზიდოთ. კარგად მესმის, ზოსტინდუსტრიულ ეპოქაში ვცხოვრობთ და კაცობრიობას ჩვენც ფეხდაფეხ უნდა მივსდიოთ, მაგრამ ინდუსტრიის ის დარგები გან-

ვაფითაროთ, რაც ჩვენ შეგვიძლია, რაც ჩვენს ბუნებასა და სინამდვილეს შეესაბამება (ნუთუ არაფერი ვაგვანია, რომ ინდუსტრიის ჩვენთვის უფრო შესაფერისი სახეობა ვანვაფითაროთ?!). ამას ეკოლოგიური წონასწორობისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სხვაგან არ ვიცი და ჩვენში, საქართველოში, ეკოლოგიური საფრთხე ძირითადად ორმა ფაქტორმა შექმნა:

პირველი: საქართველოს ბუნების თავისებურების გაუთვალისწინებლობამ. ინდუსტრიის ისეთი სახეობების დანერგვამ, რაც ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული გარემოს ხასიათს არ შეესაბამებოდა და არ შეეფერებოდა. სხვათა მოდელის მიხედვით ეკონომიკური საქმიანობის წარმართვამ...

მეორე: ვაჟა-ფშაველას ანდერძის დავიწყებამ და მცდარმა იდეოლოგიურმა მრწამსმა – თითქოს ადამიანი ბუნებას უნდა ებრძოდეს და იმორჩილებდეს.

სანამ ეს ორი ფაქტორი არ მოიხშობა, ეკოლოგიური საფრთხის თავიდან აცილებაზე ლაპარაკი წულის ნაუვაა. მას რეალური შედეგი არ მოჰყვება.

1988 წ., ოქტომბერი



რას პაპირებში?

1989 წლის 18 მარტს, როცა რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარედ ამირჩიეს, ურილობის დელეგატებმა მომთხოვეს – რამდენიმე სიტყვა მეტყვა ჩემს ჰროგრამაზე: როგორ და რანაირად წარმომიდგენია მომავალი მუშაობა-საქმიანობა. მაშინ ოპერის თეატრში თავშეურილ ხალხს შეეპირდი, წერილობით გამოვაქვეყნებ-მეთქი ჩემს შეხედულებას რუსთაველის საზოგადოების ჰროგრამაზე.

ახლა ამ დაპირებას ვასრულებ.

მართალია, რუსთაველის საზოგადოება შეიქმნა, როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია, მაგრამ ხალხმა მას გაცილებით ფართო მოთხოვნა დაუდგინა. ვრცელი შინაარსი მიანიჭა. ვინ არ მოდის ახლა რუსთაველის საზოგადოებაში და რისთვის არ მოდიან. მოდიან უძინაწელონი და მიწა-წყალს ითხოვენ. მოდიან დაჩაგრულნი და მჩაგვრელთა ალაგმვას ითხოვენ. მოდიან შეურაცხყოფილნი და დამცირებულნი და ღირსების აღდგენა-დაცვას ითხოვენ. მოდიან უსამართლობით გაწამებულნი და სამართალს ითხოვენ. მოდიან საქართველოს ბედ-იღბლით აღელვებულნი და ჩვენი მამულის მოვლა-პატრონობას ითხოვენ. ერთი სიტყვით, არ არის პრობლემა, რომლის გამოც რუსთაველის საზოგადოებას არ მიმართავდეს ხალხი.

რუსთაველის საზოგადოებას არათუ ამ უთვალავი პრობლემის მოგვარება არ ძალუძს, არამედ არ შეუძლია მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემაც კი. დღესდღეობით რუსთაველის საზოგადოებას ამის არც იურიდიული უფლება აქვს და არც მატერიალური ძალ-ღონე შესწევს. ეს ასეა, მაგრამ ხალხს ამის არ სჯერა. ხალხს უნდა, რომ რუსთაველის საზოგადოებამ საქართველოსა და ქართველი ერის პატრონობა ითავოს. თუ რუსთაველის საზოგადოებამ ეს ვერ მოახერხა, მას დაეკარგება ყოველგვარი ავტორიტეტი ხალხის თვალში. დაემსგავსება იმ უფერულ და უღიმღამო საზოგადოებებს, რომელნიც ყოველთვის უხვად არსებობდნენ როგორც საქართველოში, ისე მთელ სსრკ-ში და არაფრის მაქნისნი იყვნენ.

ამიტომ ხალხის მოთხოვნები სამებრ რუსთაველის საზოგადოება უოველ ეროვნულ-საზოგადოებრივ საქმეში უნდა მონაწილეობდეს სრულიად ნათლად და მკაფიოდ გამოხატული პოზიციით.

როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ეს პოზიცია?

კარვად მოგვსენებათ, რუსთაველის საზოგადოებას ეწოდება სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება. ჩემი აზრით, უნდა განვმარტოთ, რა იგულისხმება სიტყვაში – სრულიად.

1903 წელს, როცა არჩილ ჯორჯაძემ განსაზღვრა – რა არის საქართველო, – ამბობდა: ... მომავალი საქართველოს ტერიტორია უნდა იყოს აფხაზეთი, სამურზაყანო, სამეგრელო, სვანეთი, გურია, იმერეთი (რაჭა-ლეჩხუმი-თურთ), ლაზისტანის ნაწილი, ძველი სამცხე-საათაბაგო (აჭარა აქ შედის) და ჯავახეთი, ქართლი, მთიულეთი, ხევი, სომხითი (ანუ დღევანდელი ბოლნის-დმანისის რაიონები), კახეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, საინგილო. ამ განმარტების შესაბამისად, სრულიად საქართველოში იგულისხმება აწინდელი საქართველოს სსრ და ის ტერიტორიაც, რომელიც ამჟამად არ ეკუთვნის ჩვენს ქვეყანას – საინგილო (ახერბაიჯანის სსრ-ში) და ტაო-კლარჯეთი და ლაზეთი (თურქეთში). რუსთაველის საზოგადოების საქმიანობამ შემორე მოსენიებულ ტერიტორია უნდა მოიცვას. ამასთან ერთად, უურადლება არ უნდა მოაკლოს იმ ქართველობასაც, რომელიც სხვადასხვა მიზეზთა გამო საქართველოს გარეთ ცხოვრობს, სპარსეთი (ფერეიდანი) იქნება ეს, ევროპა თუ სსრკ-ის რაგინდარა კუთხე. სხვაგვარად რუსთაველის საზოგადოება ვერ გაამართლებს სახელწოდებას – სრულიად საქართველო...

როგორც სრულიად საქართველოში, ისე მთელ კავკასიაში რუსთაველის საზოგადოება საქმიანობს ხალხთა ძმობის იდეით, რომელიც ჯერ კიდევ XI საუკუნეში ჩამოაყალიბა რუისის ეპისკოპოსმა ლეონტი მროველმა: კავკასიის ხალხებს ერთი წინაპარი ჰყავს. ისინი ძმები არიან. მაგრამ ძმობა მაშინ მოხერხდება, როცა ძმებმა იციან – ვის რა ეკუთვნის და როგორი დამოკიდებულება უნდა იყოს მათ შორის. ძალუძთ ურთიერთპატივისცემა მაშინაც, როცა ერთმანეთს ედავებიან (დევნი: პატივს ვცემთ იმას, ვინც ჩვენც ვცემს პატივს!). ხელეწიფებათ საერთო დასკვნის გამოტანა განსხვავებულ აზრთაგან.

ქართველი ხალხი ეველა დროში და ყოველგვარ პირობებში იბრძოდა ეროვნული თავისუფლებისა და ღირსებისათვის. მე-19 საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ სამი პრინციპი წამოაყენა – ენა, მამული, სარწმუნოება. მე-20 ასწლეულის დასაწყისში არჩილ ჯორჯაძემ კიდევ სამი დაამატა – სახელმწიფოებრიობა, დემოკრატიზმი, ტერიტორია. რუსთაველის საზოგადოება იზიარებს ექვსივეს და უმატებს მეშვიდეს – დამოუკიდებლობა.

როგორც ცნობილია, 1920 წლის 7 მაისს საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც რუსეთმა სცნო საქართვე-

ლოს სრული დამოუკიდებლობა. რუსეთმა უარი თქვა ეოველივე პრეტენზიაზე საქართველოს მიმართ.

ხელშეკრულებაში წერია:

„ემქარება რა რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მიერ აღიარებულ ეველა ხალხის თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებას, დამთავრებული სრული გამოყოფით იმ სახელმწიფოსაგან, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, რუსეთი სცნობს ურესწერვოდ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას და სრული ნებით უარს ამბობს ეველა იმ სუვერენულ უფლებაზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს ქართველი ხალხისა და მისი ტერიტორიის მიმართ“.

1921 წლის თებერვალ-მარტში ეს ხელშეკრულება ვერავულად დაირღვა. საქართველოში შემოიჭრა წითელი არმია და დაიპურო ჩვენი ქვეყანა.

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთს დემოკრატიული საქართველოსათვის ომი არ გამოუცხადებია. ამის საფუძველი მას არ ჰქონია. ომის გამოცხადების დოკუმენტი არ არსებობს.

დემოკრატიული საქართველოს მთავრობას საბჭოთა რუსეთისათვის დახმარება არ უთხოვნია. არც მისი საფუძველი არ არსებობდა. არც დოკუმენტი იპოვება სადმე.

არც საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებულ ქართველ ხალხს უთხოვნია ვინმესთვის დახმარება. არც ამისი ფაქტი და დოკუმენტი არსებობს.

დამოუკიდებელ ქვეყანაში უცხო ჯარის შემოევანა ნიშნავს, ერთი მხრივ, ხელშეკრულების ვერავულად დარღვევას, ხოლო, მეორე მხრივ, აშკარა ანექსიას.

ვინ ჩაიდინა ეს?

თუ ეს ჩაიდინა ავანტიურისტთა ჯგუფმა, საბჭოთა რუსეთის მთავრობის უკითხვად და უნებართვოდ, მაშინ დღევანდელი რუსეთის ზნეობრივი ვალაია ამხილოს ავანტიურისტები, დაგმოს მათი საქციელი, ჰატივი სცეს ლენინის მთავრობის მიერ დადებულ ხელშეკრულებას, ხელი შეუწეოს მის აღდგენას. თუ დღევანდელი რუსეთი იბრძვის სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმნელად, თუ მიმდინარეობს უსამართლოდ და უსაფუძვლოდ რეპრესირებულ ადამიანთა რეაბილიტაცია, მაშინ მით უფრო უნდა მოხდეს უსაფუძვლოდ და უსამართლოდ დასჯილი ერის რეაბილიტაცია. ეს იქნება, ავრეთვე, მომავალი სამართლებრივი სახელმწიფოს სამართლიანი აქტი. მით უმეტეს, რომ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება იურიდიულად დღესაც „ცოცხალია“. იგი არ გაუუქმებია და ბათილად არ გამოუცხადებია არც საქართველოს ჰარლამენტს და არც რუსეთისას. იურიდიულად „ცოცხალი“ დოკუმენტი ფაქტიურად უნდა „გაცოცხლდეს“.

თუ ავანტიურისტთა ჯგუფი არაფერ შუაშია და საქართველოს დაპურობა

1921 წლის თებერვალ-მარტში მოხდა საბჭოთა რუსეთის მთავრობის საიდუმლო ნებართვითა და განკარგულებით, მაშინ აღიარებული უნდა იქნეს, თვით მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით, გაუგონარი ბოროტება: ერთმა დიდმა, სოციალისტურმა სახელმწიფომ დაიპყრო მეორე, ჰატარა სოციალისტური სახელმწიფო. 1918-21 წლებში საქართველო იყო სოციალისტური სახელმწიფო, რომელსაც სოციალისტური მთავრობა ედგა სათავეში (დემოკრატიული საქართველოს ბურჟუაზიულობა დაქირავებული ცრუ პროპაგანდისტებისა და ისტორიკოსების მოგონილია). თუ 1921 წლის თებერვალ-მარტის აქციისათვის ჰასუსისმკვებელია საბჭოთა რუსეთის მთავრობა, მაშინ მხილებულ უნდა იქნეს ლენინიც, როგორც დამპყრობელი და „მშვიდობის დეკრეტიც“, როგორც თვალთმაქცობა და ტყუილი.

ეს საკითხები ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს. ეს უნდა გააკეთოს თავად რუსეთმა, თუ მას სურს სამართლებრივ და ზნეობრივ სახელმწიფოდ გამოიყურებოდეს არა მარტო ქართველი ხალხის თვალში, არამედ მთელი კაცობრიობისა.

რაკი 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, დადებული დემოკრატიულ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის, ქართველ ხალხს ანიჭებს ეველა იმ უფლებას, რაც აქვს ეველა თავისუფალ და დამოუკიდებელ ერს, რუსთაველის საზოგადოება თავის უპირველეს მოვალეობად თვლის იბროძოს და იბროძოს ამ ხელშეკრულების აღდგენა-რეაბილიტაციისათვის, ცხოვრებაში მისი რეალური განხორციელებისათვის.

ყოველი სახელმწიფოსათვის გადამწვევტი და არსებითი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური მმართველობის ფორმასა და ეკონომიკურ სისტემას.

კაცობრიობის ისტორიამ ცხადყო, რომ პოლიტიკური მმართველობის ეველა ფორმას შორის ეველაზე სრულყოფილი მანც დემოკრატიაა. თუცა ისიც უნდა ითქვას, რომ დემოკრატია ოლხოკრატიაში არ უნდა ავირიოთ. ამკვარი აღრევა უაღრესად საშიშია.

რა დასამალია და არც საქართველოს და არც რუსეთს დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამოცდილება არა აქვთ. საქართველომ თავისი ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრებით ისე იცხოვრა, რომ მხოლოდ 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე ეხიარა დემოკრატია. რუსეთში კიდევ უფრო მცირე ხანს იყო დემოკრატია: 1917 წლის თებერვლიდან 1917 წლის ოქტომბრამდე. ცხადია, დროის ამ ჰაწაწინა მონაკვეთში დემოკრატის სწავლა შეუძლებელი იყო. ამიტომ აუცილებელია თავკამეტებული მუშაობა და სწავლა, რომ დემოკრატის გაკვეთილები ავითვისოთ. ევროპული სახელმწიფოების გამოცდილება გამოვიყენოთ. ის ვისწავლოთ, რისი სწავლის საშუალება ჩვენმა ავბედითმა ისტორიამ არ მოგვცა. ამ საქმეში რუსთაველის საზოგადოებამ უპირველესი როლი უნდა შეასრულოს. აქ მე ვკულისხმობ არა

მარტო თეორიულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, არამედ პრაქტიკულ მოღვაწეობასაც.

კერძოდ რას?

მმართველობის დემოკრატიული სისტემა წარმოუდგენელია ოპოზიციური პარტიის თვინიერ. მმართველობის ერთპარტიული სისტემა მხოლოდ დიქტატურაა. ამის გვერდით არსებობს მეორე საშიშროებაც: თუ მმართველობის ერთპარტიულმა სისტემამ დაკარგა ძალაუფლება და დასუსტდა, იგი მექანიკურად გადადის ოლხოკრატიაში, რაც ბევრად უფრო სასიფათოა დიქტატურასზე. თუ დიქტატურის დროს გამოირიცხული არ არის გონიერება, ოლხოკრატიის ქამს იგი სრულებით არ არსებობს. დიქტატორთა შორის უოფილან გონიერი, ჭკვიანი, შორსმჭვრეტელი ადამიანები (ამის საუკეთესო ნიმუშია იულიუს კეისარი), ოლხოკრატიის ბატონობისას კი მხოლოდ უგუნურება მძვინვარებს, რადგან ღიანგვ (მასას) ჭკუა არა აქვს. გონი, ჭკუა მხოლოდ ინდივიდს აქვს. თუ ოლხოკრატიის დროს უფორმო და უსახო მასა ბატონობს, დემოკრატიის ქამს ინდივიდთა კრებული მართავს ქვეყანას. დემოკრატია ათავისუფლებს ინდივიდს როგორც პიროვნებას ავტოკრატიული, ისე ღიანგვის კოლექტიური ძალადობისა და თვითნებობისაგან. მხოლოდ თავისუფალ პიროვნებებს, ურთიერთშეთანხმების გზით, შეუძლიათ ატარონ ქვეყანა გამარჯვებისაკენ.

ყოველგვარი შემოქმედება (და სახელმწიფოს მართვაც შემოქმედებაა) გულისხმობს ორგანიზებას. ღმერთმა სამეარო მაშინ შექმნა, როცა ქაოსისაგან ორგანიზებული სისტემა ჩამოაყალიბა. მწერალი სიტყვების ქაოსისაგან ქმნის ორგანიზებულ სისტემას მხატვრული თხზულების სახით. მუსიკოსი ბგერების ქაოსისაგან ქმნის ორგანიზებულ, ჰარმონიულ სისტემას მუსიკალური ნაწარმოების სახით და ასე შემდეგ. პოლიტიკოსიც მაშინ არის შემოქმედი, როცა ერის დაშლილ-დაფანტულ ფენებს ჩამოაყალიბებს მთლიან, ჰარმონიულ, ორგანიზებულ საზოგადოებად. ამასთანავე, საზოგადოების არც ერთ წევრს არ დაუკარგავს ინდივიდუალობას, დამოუკიდებელ სახეს. სწორედ ინდივიდუალობის, დამოუკიდებელი სახის შესანარჩუნებლად არის აუცილებელი ოპოზიციური პარტია, საერთოდ მრავალპარტიულობა (როცა მრავალპარტიულობაზე ვლახარაკობ, ისიც უნდა ვთქვა, რომ ისეთ მცირერიცხოვან ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ორ-სამ პარტიაზე მეტი არ უნდა იყოს).

მრავალპარტიული სისტემა აძლევს უფლებას და საშუალებას ყოველ პიროვნებას ღიად და თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი, მმართველობის დემოკრატიულ სისტემას კი ამ მრავალგვარი და მრავალფეროვანი აზრისაგან გამოაქვს საერთო დასკვნა, რაც ერის პოლიტიკურ ცხოვრებას ედება საფუძვლად.

რაკი დღევანდელი საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში

არ არსებობს ოპოზიციური პარტია, ეს ფუნქცია რუსთაველის საზოგადოებამ უნდა შეასრულოს. რუსთაველის საზოგადოებას უნდა ჰყავდეს თავისი დეპუტატები საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში. ამ მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში რუსთაველის საზოგადოება მიიღებს რაც შეიძლება აქტიურ მონაწილეობას. ამ დეპუტატებმა უნდა შექმნან უმაღლეს საბჭოში ოპოზიციური ფრთა, რომელიც კონტროლს გაუწევს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას. თორემ ახლა კომპარტია თავად უნიშნავს თავისთავს კონტროლს. რაც, მეტი რომ არ ვთქვა, ერთობ უხერხულ ვითარებას ქმნის. კონტროლიორმა უნდა გააკონტროლოს ის, ვინც ეს კონტროლი დანიშნა. ბუნებრივია, დანიშნული დამნიშნავს ვერაფერს გაუბედავს, რის გამოც კონტროლი ფუნქციას კარგავს და უშედეგოა.

ყოველივე ზემოთქმული ლიტონ სიტუვებად დარჩება, თუ არ შეიქმნა მეარი ეკონომიკური საძირკველი.

მაგრამ, სანამ ამას ვიტყვოდე, როგორ წარმომიდგენია საქართველოს მომავალი ეკონომიკური სისტემა, ერთი ამბავი უნდა გავახსენოთ. როგორც იცით, 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში ანტისოციალისტური აჯანყება მოხდა. ამ ამბოხების აქტიური მონაწილე იყო მწერალი იან ჰროხაჩკა. ამის გამო მას საბჭოური ჰრესა ლანძღავდა და დასცინოდა. იან ჰროხაჩკამ უპასუხა რუს მწერლებს. ნუ გავიკვირდებთ და ეს პასუხი „ლიტერატურნაია გაზეტამ“ დაბეჭდა 1968 წლის 26 იანვისის ნომერში. ჩეხი მწერლის მაშინდელი ნათქვამი დღესაც ფრიად საუბრადღებოა.

მან, თქვა, არც ერთი დოქტრინა არ არის წმიდათაწმიდა. მაშასადამე, არც სოციალისტური ეკონომიკური სისტემაა წმიდათაწმიდა. იგი თავისუფლად შეიძლება ძირფესვიანად შეიცვალოს ახალი სისტემით.

მან თქვა, სოფლის მეურნეობის ამოცანაა ხალხის გამოკვება და არა დოქტრინის გამართლება.

დღეს უველასათვის ნათელი გახდა, რომ სოციალიზმმა ვერ გადაწვეიტა (ვერც გადაწვეეტს) სასურსათო პრობლემა. 70 წლის მანძილზე სოციალიზმის რეალურად არსებობამ ცხადყო, რომ მან ეკონომიკური ბრძოლა კაპიტალიზმთან პირწმინდად წააგო. ეს კი გვავალდებულებს ღრმად დაუფიქრდეთ და სერიოზულად ვეძებოთ ხსნის გზა.

მან თქვა, ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობა უფრო ჰოლანდიურსა და დანიურს უნდა ჰგავდეს, ვიდრე რუსულს.

მართლაც, ჩეხოსლოვაკია იქნება თუ საქართველო, ისე უნდა ცხოვრობდეს, ისე უნდა იუოს მდიდარი, როგორც არიან ფინეთი, დანია, ნორვეგია, შვეიცარია, ჰოლანდია, მაგრამ ასე რომ მოხდეს, საქართველოს (როგორც უველა ხეჯა ქვეუანას) ის ეკონომიკური სისტემა უნდა ჰქონდეს, რაც მას შეეფერება.

მან თქვა, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული

ცხოვრების უნიფიკაცია ეწინააღმდეგება ბუნებას, რომელიც მრავალფეროვანია და არა ერთფეროვანი.

ის, რაც ბუნებას ეწინააღმდეგება, ბოლოს და ბოლოს, მაინც განწირულია. მაშინ რატომღა გვინდა ანტიბუნებრივის ნამძალადევად შენარჩუნება? ნუთუ მხოლოდ იმისათვის, რომ, რაღაც უნდა დაგვიჯდეს, გაუმართლებელი დოქტრინა გაუმართლოთ? არ მოხერხდება ეს და მსხვერპლიც ამაო იქნება! საქართველოს ეოფა ის მსხვერპლი, რაც გაიღო. მეტი საჭირო აღარ არის. ამიტომ საქართველოც ეკონომიკაში იმ გზას უნდა დაადგეს, რასაც მისებრ ჰატარა ქვეყნები – ჰოლანდია, დანია, ნორვეგია, ფინეთი, შვეიცარია – ადგანან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვალიართ კერძო საკუთრების აუცილებლობა. მათ კერძო საკუთრების წყალობით მიაღწიეს გამარჯვებას ეკონომიკაში.

რუსთაველის საზოგადოებას გადაუღებელ და აუცილებელ საქმედ უნდა მიაჩნდეს კერძო საკუთრების აღდგენა.

კარგად მესმის, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს როგორ შეეშინდება იმისა, რაც ახლა ვთქვი. სოციალისტები, ქართველები იქნებიან თუ სხვა ერისანი, ეოველგვარ ბოროტებას კერძო საკუთრებას აბრალებენ. ეს ისე გაუჯდა ხალხს ძვალსა და რბილში, რომ სხვაგვარად ვერცკი წარმოუდგენია. თუძცა ეოველგვარი ბოროტება, რომელიც კერძო საკუთრების დროს არსებობდა, სახელმწიფო საკუთრების ჰირობებშიც დარჩა, თან უფრო გაზრდილი მასშტაბით. ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. შეიცვალა მარტო ის, რომ დოვლათი და ბარაქა გაქრა, ამის დანახვას და გაგებას ღრმა ეკონომიკური ცოდნა არ სჭირდება. შეიარეთ ბაზარში (ბაზარი კაპიტალისტური სექტორია) და ნახავთ, რა სიუხვეა. მერე საბჭოურ მაღაზიებშიაც (ეს სოციალისტური სექტორია) შეიხედეთ და დანახავთ, რა სიცარიელეა. რატომ მოხდა ასე? ამის ახსნა-განმარტება აუცილებელია. ეს საქმეც რუსთაველის საზოგადოებამ უნდა იკისროს.

შეიძლება კერძო საკუთრების აღდგენის აზრმა ქართველობა სხვა მხრივაც შეაშინოს: რა ეშველება იმ მიწა-წყალს, რაც საქართველოში არაქართულ მოსახლეობას უჭირავს? ჰასუხი ერთია: ჩვენ არავის არსად არ მივერეკებით. არავის მშვიდობიან არსებობას არ ვემუქრებით. მაგრამ ვეელას მკაფიოდ და ცხადად ვეუბნებით: საქართველოს სსრ ტერიტორია, მისი მიწისქვეშა და მიწისზედა სიმდიდრით, ეკუთვნის მხოლოდ ქართველ ხალხს და მასზე სხვას არავითარი უფლება არა აქვს.

ქართველი ხალხი ჰატრის სცემს საქართველოში მოსახლე ეოველი არაქართველის ღირსებას, ჰატოხსებას, ქონებას, უნიფათობას, თავისუფლებას, ეროვნულობას, გამოხატულს ენითა და კულტურით. სამაგეროდ ასევე მტკიცედ მოითხოვს ეოველი არაქართველისაგან ქართველი ხალხის სრული უფლებისა და საქართველოს ტერიტორიის ხელუხლებლობის აღიარებას, საქართველოს ისტორიის, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულების, ცხოვრების

წესის, ქართული ენის ჰატივისცემას, გამოვლენილს მისი ცოდნით. კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა ქართულია. მისი ცოდნა უველას უვალემა, ვინც საქართველოში ცხოვრობს და თავს მის მოქალაქედ თვლის. ეს ასეა უველა ქვეყანაში და ამ მხრივ გამოხატვისი საქართველო ვერ იქნება.

რუსთაველის საზოგადოების ერთ-ერთი უპირველესი ვალი ქართული ენის სახელმწიფოებრიობის დაცვაა.

ახლა კი ისევ კერძო საკუთრებას მივუბრუნდეთ.

კერძო საკუთრებამ საუკუნეების მანძილზე ადამიანს შრომა ასწავლა. სახელმწიფო საკუთრებამ კი იგი შრომას გადააჩვია. მიმთვისებელი, გამფლანგველი, კომბინატორი, მაქინატორი და უსაქმური გახდა. კერძო საკუთრების მას ახლა ამის გამოც ეშინია. არ არის დარწმუნებული, შეძლებს თუ ვერა ისევ შრომას.

კერძო საკუთრებამ ადამიანი თავისუფალი გახდა. ვისაც არა აქვს საკუთრება, იგი ვერ იქნება თავისუფალი. თუ ადამიანი თავს ირჩენს დაქირავებული შრომით, იგი დამონებულია. რა მნიშვნელობა აქვს ვინ დაგიქირავა, კერძო ჰირმა თუ სახელმწიფომ. თუძცა ჰაწია განსხვავება არის. კერძო ჰირი შეიძლება იუოს კეთილშობილი და დაქირავებულს ღირსეულად მოექცეს. სახელმწიფო კი არასოდეს უოფილა კეთილშობილი დაქირავებულის მიმართ. სახელმწიფოს დაქირავებული საზოგადოებრივი მანქანის ჭანჭიკად მიაჩნია.

მართალია, კერძო საკუთრება არის საფუძველი ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციისა, მაგრამ ეს ურთიერთობა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის წეალობით, წარსულს ბარდება. ამასთანავე დღევანდელი იურიდიული კანონები, უველა ქვეყანაში, მაქსიმალურად ზღუდავენ ექსპლუატატორთა უფლებებს. მქონებლისა და უქონელის ურთიერთდამოკიდებულება მკაცრი კანონების ჩარჩოებშია მოქცეული. სამწუსაროდ, იურიდიულმა კანონებმა ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხეს უსაკუთრებო, დაქირავებული ადამიანის უფლებათა დაცვა. ამის საბუთად კმარა ის შემზარავი უსამართლობანი, რასაც დღეს საბჭოური ჰრესა ამხელს, და გაუთავებელი ლაჰარაკი სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაზე. თავისთავად რა მრავლისმეტყველი ფაქტია: იმ ქვეყანაში, სადაც კერძო საკუთრებაა, არსებობს სამართლებრივი სახელმწიფო, ხოლო იმ ქვეყანაში, სადაც კერძო საკუთრება არ არის, არ არსებობს სამართლებრივი სახელმწიფო. ეს, ბუნებრივია, სახელმწიფოს სამართლებრივობა გულისხმობს კერძო საკუთრებას, როგორც ჰიროფების თავისუფლების საფუძველს.

რუსთაველის საზოგადოება იცავს კერძო საკუთრების აუცილებლობის ჰირიციზს, რაკი მიაჩნია, რომ უამისოდ არც ჰიროფების თავისუფლება არსებობს და არც სამართლებრივი სახელმწიფო.

აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ცივილიზაცია და კულტურა ნაუოფია

კერძო საკუთრების, შრომისა და რელიგიის. ეს უდავოა და ამდენად, რუსთაველის საზოგადოების დევიზი ესეც არის: კერძო საკუთრება, შრომა, რელიგიურობა, სამართლებრივი სახელმწიფო.

ვერც ერთი სახელმწიფო ვერც ერთ ჰრობლემას ვერ გადაწვევტს, თუ იგი ეკონომიკურად დატაკია.

ჩვენ გვინდა ჩვენი ისტორიული ძეგლები მოვლილი და ნაპატრონები იყოს, მაგრამ ამისათვის ფული და სიმდიდრეა საჭირო.

ჩვენ გვინდა თავიდან ავიციდინოთ ეკოლოგიური საფრთხე, მაგრამ ამისათვის ფული და სიმდიდრეა საჭირო.

ჩვენ გვინდა დემოგრაფიული ჰრობლემა მოგვარებული გვექონდეს, მაგრამ ამისათვის ფული და სიმდიდრეა საჭირო.

ჩვენ გვინდა ჩვენი კულტურა აუვაგებული იყოს, მაგრამ ამისათვის ფული და სიმდიდრეა საჭირო.

ჩვენ გვინდა სავალდებულო სამხედრო ბეგარა არ არსებობდეს და ჩვენი ახალგაზრდები საქართველოში ეწეოდნენ მხედრულ სამსახურს, მაგრამ ამისათვის ფული და სიმდიდრეა საჭირო.

სავალდებულო სამხედრო სამსახურის შეცვლა მხოლოდ დაქირავებული ჯარით შეიძლება. დაქირავებული ჯარის შენახვას ბევრი ფული სჭირდება. დღეს ეველა მდიდარ ქვეყანაში დაქირავებული სამხედრო სამსახურია. ვისაც სურს, თავის ნებით მიდის ჯარში და საკმაოდ მაღალ ხელფასს იღებს. იქიდან შინ წელგამართული ბრუნდება. სავალდებულო სამხედრო ბეგარა მხოლოდ დატაკ ქვეყნებში არსებობს. მართლაც შეუფერებელი და სამარცხვინოა დღევანდელი ცივილიზაციისათვის სავალდებულო სამხედრო სამსახური, მაგრამ სახელმწიფოს სიღარიბეს დაუდგეს თვალეები.

სიტყვამ მოიტანა და იმასაც ვიტყვი, რომ სსრკ-ში დაქირავებული ჯარი უნდა არსებობდეს, თორემ საქვეუროდ, მთელი კაცობრიობის თვალში, თავის მოჭრაა სავალდებულო სამხედრო სამსახურის არსებობა.

რუსთაველის საზოგადოებას მიაჩნია, რომ უოველი ღონის ხმარებით უნდა მოხერხდეს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმება და დაქირავებული არმიის შექმნა.

ეველაზე კეთილშობილი და დიადი იდეაც ფუჭად დაიკარგება, თუ მას გვერდით არ უდგას ფული, რასაც აზრის სინამდვილედ ქცევა შეუძლია. ეს ნათლად დაგვანახა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებამ და საქმიანობამ. ილია მაშინაც ილია იყო, როცა „საქართველოს მოამბე“ დააარსა, მაგრამ ამ ჟურნალმა მხოლოდ რამდენიმე თვე იარსება. იმიტომ, რომ ილია მაშინ ღარიბი კაცი იყო. როცა საადგილმამულო ბანკის მმართველი გახდა, მის ნიჭიერებას არაფერი მომატებია, მაგრამ „ივერიის“ გამოცემა აღარ შეწვევტილა. იმიტომ, რომ ილია ფულიანი კაცი გახდა. რამდენიც უნდა ვეძახოთ ფულს „ევიოთელი ეშმა-

კი“, ამით არაფერი შეიცვლება. მანც ფული იქნება როგორც ჰიროვნების, ისე საზოგადოების კეთილდღეობის წყარო.

ვერც რუსთაველის საზოგადოება მოახერხებს ვერაფერს, თუ მას ფული არ ექნება. უფულოდ იგი მოლაპარაკე საზოგადოებად დარჩება. თუ დღეს ჩვენ რაიმე არ გვჭირდება, ეს სწორედ ცარიელი ლაპარაკია. ჩვენ საქმე გვინდა, რადგან ოდენ მას შეუძლია ჩვენი გადარჩენა.

უსაქმოდ და უფულოდ როგორ ვუშველოთ ნაირ-ნაირი სტიქიური უბედურებით დაზარალებულ საქართველოს?

უსაქმოდ და უფულოდ როგორ დაეხმარებოდნენ დაცარიელებულ რაჭას, ფშავს-ხევსურეთს?

უსაქმოდ და უფულოდ როგორ ავადგენთ სამხრეთ საქართველოს ნასხლარებს, ნასოფლარებს, ნადაბარებს?

უსაქმოდ და უფულოდ როგორ დავხმარებით ჩვენს თანამემამულეებს საინგილოში, ფერეიდანში, თურქეთის საქართველოში?

რუსთაველის საზოგადოების მიზანი ამ პრობლემების მოგვარებაც არის. ამიტომ მის დევიზებს ემატება – საქმე და ფული. ოღონდ ფული, ნაშოფნი ნიჭიერებითა და შრომით.

შეიძლება ვინმემ იკითხოს – მეტი სმეტი ხომ არ უკისრია რუსთაველის საზოგადოებას? ხომ არ არის ამ პრობლემების შეჭიდება მეტი ირობა? ამის ზანუსად უნდა გითხრათ, რომ თუ რუსთაველის საზოგადოებას არ შეეძლება ამგვარი მასშტაბის მუშაობა, მაშინ მის არსებობას აზრი არა აქვს. უსუსურობითა და უმოქმედობით იგი ჩვენს ხალხს გულს გაუტყენს. დღეს ჩვენი ერთ იმედით იმსჭვალება. იგი, ვინც მას გულს აუცრუებს, ჰიროვნება იქნება თუ საზოგადოება, დანაშაულს ჩაიდენს, რასაც არც ხალხი აპატიებს და არც ისტორია.

დღეს ჩვენ იმ გინცის განმტკიცება გვჭირდება, რაც ჩაკვესანსა. ჩვენ გული უნდა მივცეთ გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად, აღთქმულ მიზანს რომ მივაღწიოთ. ასე გვასწავლა რუსთაველმა გამარჯვება.

მართალია, გზადაგზა რუსთაველის საზოგადოებას ხშირად ვახსენებდი, მაგრამ, რაც ცემოთ მოგახსენეთ, ჩემი კერძო შესედულებაა. თუ იგი გაზიარებული იქნება რუსთაველის საზოგადოების წევრების მიერ, მაშინ მიიღებს პროგრამის სახეს და ჩვენს საქმიანობას საფუძვლად დაედება.

1989 წ., ივნისი

1991 წლის 25 აპრილის მინაწერი:

ჩემდა სამწუსაროდ, ეს პროგრამა ვერ განხორციელდა. იგი ჩაიშალა. ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა. ერთ-ერთი, ალბათ, ისიც იყო, რომ მინდოდა რუსთაველის საზოგადოებას ეროვნული მოძრაობის დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის მომრიგებლის როლი შეესრულებინა. ვინც 1989 წლის 4, 5, 6 სექტემბერს რუსთაველის საზოგადოების ყრილობას ესწრებოდა, მას უთუოდ ემახსოვრება, რომ რუსთაველის საზოგადოების მმართველობაში სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები შევიყვანე. ვვარაუდობდი, რომ მუდმივი კონტაქტი, ერთად მუშაობა-საქმიანობა ხელს შეუწყობდა დაახლოებას. მორიგების გზებიც შედარებით იოლად გამოიძებნებოდა. არ გამართლდა ვარაუდი. არ მორიგდნენ დაპირისპირებულნი. პირიქით მოხდა: რუსთაველის საზოგადოებიდან, პროტესტის ნიშნად, ბევრი წავიდა. ამასა და ამასთან როგორ ვიმუშავებო და გამძვინვარებულებმა მიატოვეს საზოგადოება.

მორიგების ცდა გულუბრველო ოცნება აღმოჩნდა, მაგრამ ილია ჭავჭავაძე ბრძანებს:

ნუ, ნუ მაყუდრი, რომ ეოველს ჩვენგანს
ხელსა ვაწვდიდი მეგობრობისას,
რომ უარვეოფდი ჩემთ მოძმეთ შორის
სულის სიმდაბლეს, შხამსა მტრობისას...
მე კაცთ სიკეთის მსურვალე რწმენა
ჭირში თუ ლხინში წინ მიმიძღოდა...
გული თრობილი მის წმინდა მადლით
ჭკუის ცივს თათბირს ეურჩებოდა.
ნუ მეუბნები, რომ იგი იყო
უგუნურობა და ცდომილება,
ოღონდ კვლავ მომე: ის ცდომა მიჯობს,
ვიდრე უცდომო გამოცდილება!

კაცია და გუნებაო, ნათქვამია, მეც ასე მოცნებება: რაზეც ილია ლაპარაკობს ადამიანში იმ რწმენის შენარჩუნება სჯობს ეოველგვარ გამარჯვებას.

როგორც ფართოდ ცნობილია, 1989 წლის 17 აგვისტოს, გაზეთმა „პრავდამ“ რუსულად და „კომუნისტმა“ ქართულად, პროექტის სახით, გამოაქვეყნეს დოკუმენტი სახელწოდებით – „პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში (სკკპ ჰელატფორმა)“.

საკმარისია ამ დოკუმენტის რამდენიმე დებულების განხილვა, რომ ნათელი გახდეს მისი ნამდვილი ღირებულება. მართალია, აღიარებულია, რომ გამოქვეყნებული პროექტის მიზანია „ეროვნული პოლიტიკის რადიკალური განახლება“, მაგრამ, როცა მას ბოლომდე ჩაიკითხავთ, უთუოდ გავანსნებდებით გაოცებული კაცის კითხვა – „ფიცია მწამს, ბოლო მაკვირვებს“.

ეურადღება მივაქციოთ უპირველეს პრობლემას – ერის სუვერენიტეტს. დღეს სსრკ-ში ფართო, მძლავრი ეროვნული მოძრაობა ბალტიისპირეთში, კავკასიაში, მოლდავეთში, ვოლგისპირეთში და... თავად რუსეთში. ამ მოძრაობის საბოლოო მიზანი სრული ეროვნული თავისუფლება-სუვერენიტეტის მოპოვებაა. ცალკეულ ზეპირ თუ წერილობით ჰუბლიკაციებში სკკპ კი აღიარებს, რომ აუცილებელია მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენიტეტის გაფართოება. უსუვერენიტეტოდ შეუძლებელი გახდება ეკონომიკური დამოუკიდებლობის განხორციელება. დიდი მტკიცება-დასაბუთება არ სჭირდება იმას, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობა არ არსებობს პოლიტიკური დამოუკიდებლობის თვინიერ და პირიქით: პოლიტიკური დამოუკიდებლობა არ განხორციელდება, თუ არ გვექნება ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ამიტომ სუვერენიტეტის პრობლემა საფუძველთა საფუძველია სახელმწიფოებრივ-ეროვნული დამოუკიდებლობისა. ახლა ამ კუთხით წავიკითხოთ ის, რაც სკკპ ეროვნული პოლიტიკის ჰელატფორმაში წერია.

„– კავშირს უნდა დაუმკვიდრდეს პოლიტიკური წყობილების საფუძველების დადგენისა და განვითარებისათვის, ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის, საგარეო პოლიტიკის გატარებისათვის, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის, პიროვნების მდგომარეობის, ინტეგრაციული პრო-

ცესების ეფექტიანი გამოყენებისა და ურთიერთდახმარების ორგანიზაციის დარგში საერთო ამოცანების კოორდინაციისა და გადაწყვეტისათვის საჭირო უფლებამოსილებანი. კავშირს უნდა დაუმკვიდრდეს აგრეთვე უფლებამოსილებანი, რომლებიც საჭიროა ქვეყნის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის დინამიკური და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფისათვის“.

თუ განხორციელდება ის, რაც ახლა წავიკითხეთ, მაშინ მოკავშირე რესპუბლიკას არ ექნება ის უფლებაც, რაც მეფის რუსეთში გუბერნიას ჰქონდა. რომელ სუვერენიტეტზე შეგვეძლება მაშინ ლაპარაკი? თუ თვითონ ვერ განსაზღვრავ, როგორი პოლიტიკური წყობილება გსურს, არ გექნება თავდაცვის და უშიშროების საკუთარი საშუალებანი, საგარეო პოლიტიკის გატარების უფლება, თუ საკუთარი შეხედულებისამებრ ვერ გამოიყენებ ეკონომიკას, მეცნიერებას, კულტურას, მაშინ საერთოდ ვინ ხარ ან რა ხარ? არაფერი, მხოლოდ უსარმაზარი უნიტარული სახელმწიფოს შეუმჩნეველი ჭანჭიკი. ამით წართმეულია ეროვნული სულისა და სახის თავისუფალი გამოვლენის ყოველი საშუალება, არაფერი რომ არ ვთქვათ პოლიტიკურ თავისუფლებაზე.

მაგრამ სკკპ ეროვნული პოლიტიკის პლატფორმა ამითაც არ კმაყოფილდება. იგი ამბობს, რომ „პრინციპულად მიუღებელია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დანაწილება ეროვნებათა მიხედვით“.

დებულება ნათელია, მაგრამ რა იქნება მისი შედეგი?

სსრკ-ში ჯერჯერობით ერთადერთი მმართველი პარტიაა კომპარტია. ცხადია, ასეა მოკავშირე რესპუბლიკებშიც. თუ სკკპ არ დაიყოფა ეროვნებათა მიხედვით, მაშინ გამოვა, რომ ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას მართავს პარტია, ამელსაც აქვს რაღაც საერთო საკავშირო ინტერესი და არა აქვს ეროვნული. განვიხილოთ ეს ვითარება კონკრეტული მაგალითის მოშველიებით.

ყარაბაღის გამო ერთმანეთს დაუპირისპირდა სომხეთი და აზერბაიჯანი. სომხეთის კპ იცავს სომეხი ხალხის უფლებას, აზერბაიჯანის კპ კი – აზერბაიჯანელთა. ამ რთულ ვითარებაში არსებული სტატუს კვოს შეცვლა მოსკოვს არ სურს, რადგან მან არ იცის – როგორ გადაწყვიტოს საკითხი. თუ მოსკოვი მხარს დაუჭერს სომხეთს, მაშინ იგი აწყენინებს აზერბაიჯანს. თუ მიემხრობა აზერბაიჯანს, მაშინ სომხეთს დაჩაგრავს. თეორიულად მოსკოვი თანაბრად უნდა იცავდეს სომხეთისა და აზერბაიჯანის პოლიტიკურ-ეროვნულ ღირსება-უფლებას. პრაქტიკულად ეს ვერ გამოვა, რადგან ყარაბაღის პრობლემა უნდა მოგვარდეს. თუ შენარჩუნებული იქნება სტატუს კვო, მაშინ შეილახება სომეხი ხალხის ღირსება, რაკი სომხობა ითხოვს ყარაბაღის სომხეთთან შეერთებას. აღმოჩნდება, რომ აზერბაიჯანის კპ უფრო მტკიცედ დაიცვა აზერბაიჯანელი ხალხის უფლება, ვიდრე სომხეთის კპ – სომეხი ერისა. თუ ყარაბაღი შეუერთდება სომხეთის სსრ, მაშინ კი სომხეთის კპ უფრო ერთგული დამცველი გამოვა სომეხი ხალხის ინტერესისა, ვიდრე აზერბაიჯანის კპ – აზერ-

ბაიჯანელი ერისა.

ამგვარ რთულ (არსებითად ჩიხის) ვითარებაში, ცხადია, ეოველი მოკავშირე რესპუბლიკის კპ თავისი ერის მხარეს უნდა დადგეს. სხვა გზა მას არა აქვს. გამოდის, რომ, გვინდა თუ არ გვინდა, კპ მაინც იყოფა ეროვნულად. ის სხვა საქმეა, როგორ ასრულებს ესა თუ ის კპ ეროვნულ მისიას.

ეროვნულ პრობლემათა გამო დიდი წინააღმდეგობაა უნგრეთსა და რუმინეთს შორის. უნგრელი კომუნისტები იცავენ უნგრეთის ინტერესებს, რუმინელი კომუნისტები – რუმინეთისას. კპ ინტერნაციონალური ხასიათი, ამ შემთხვევაშიც, სრულიად მოჩვენებითია. ძალაუნებურად კპ ეროვნული ხდება.

დავაკვირდეთ კიდევ ერთ გარემოებას. ნორმალურად არსებობს ეველა მოკავშირე რესპუბლიკის კპ, მაგრამ არ არსებობს რუსეთის კპ.* ეველა მოკავშირე რესპუბლიკაში ქვეყნას მართავს კპ. რუსეთში? რუსეთს ჰყავს თავისი მთავრობა. რომელი პარტიის წევრები არიან ისინი, ვინც რუსეთის მთავრობას შეადგენს? რა თქმა უნდა, ეს კითხვები რიტორიკული კითხვებია, რადგან ეველასათვის კარგად ცნობილია, რომელი პარტიის წევრებიც არიან, მაგრამ გაუკებარია ის – სკკპ ეროვნული პოლიტიკის ახალი პლატფორმა დასაშვებად მიიჩნევს თუ არა სკკპ ნომინალურ დაყოფას საქართველოს კპ, უირგიზეთის კპ, ლიტვის კპ და ა.შ.? თუ ნომინალური დაყოფაც გაქრება, მაშინ საერთოდ შეუძლებელი შეიქნება იმის გაგება, კონკრეტულად რომელი ხალხის პარტიაა სკკპ. ეოველთვის ეველამ კარგად იცოდა, რომ ერთიანი საბჭოთა ხალხი არ არსებობდა. მაგრამ ეს დღეს არა მარტო შეუძლებელია გამოვლინდა, არამედ ისიც სრულიად ცხადი ვახდა – როგორი მძაფრი (ხშირად შეურიგებელიც) დაპირისპირებაა მათ შორის. ამ დაპირისპირებას სკკპ ეროვნული პოლიტიკის პროექტი არა მარტო ვერ მოაგვარებს, არამედ კიდევ უფრო დაძაბავს, გაართულებს და გაამძაფრებს.

არ არსებობს ერი (აღბათ ბოშების გარდა), რომელსაც თავისი ისტორიული საცხოვრისი არ ჰქონდეს. ამ ტერიტორიაზე იგი საუკუნეების მანძილზე ცხოვრობს თავის წესით, ზნე-ჩვეულებით, პოლიტიკური და ეკონომიკური გამოცდილებით, რელიგიური რწმენით, კულტურული ეოფით, ზნეობრივ-სამართლებრივი კანონებით, ისტორიული მენსიერებით. ეოველ ერს უნდა მიეცეს სრული, შეუზღუდავი უფლება თავის ისტორიულ საცხოვრისში საკუთარი ცხოვრება მოაწიოს საკუთარი შეხედულებისამებრ.

როგორ უყურებს ერის ამ ძირითად და უმთავრეს უფლებას დღეს სკკპ, სრულებით არ ჩანს 17 აგვისტოს გამოქვეყნებულ დოკუმენტში.

ამრიგად, დებულება – „პრინციპულად მიუღებელია სკკპ დანაწილება ეროვნებათა მიხედვით“ – ცრუ და განუხორციელებელი დებულებაა. ესოდენ გამძაფრებული ეროვნული მოძრაობის ვითარებაში, კპ თუ სურს, არათუ ა-

* პრევიჩებით იგი შეიქნა.

ტორიტეტის, არამედ არსებობის შენარჩუნება, იგი გამოკვეთილად ეროვნული უნდა გახდეს.

მეტი რომ არ ვთქვა, უცნაურია ისიც, რომ სკკპ ეროვნული პოლიტიკის ახალი რეფორმა, რასაც ერთი ხელით აძლევს მოკავშირე რესპუბლიკებს, ართმევს მეორე ხელით.

„მოკავშირე რესპუბლიკას უნდა ჰქონდეს მიწის, მისი წიაღის, ტყის, წყლის და სხვა ბუნებრივი რესურსების ფლობისა და განკარგვის უფლება თავის ტერიტორიაზე. ამავე დროს სსრ კავშირს უნდა დაუშვიდრდეს ის უფლება, რომ განსაზღვროს მათი გამოყენების საერთო-საკავშირო საფუძვლები, მათ შორის საერთო სახელმწიფო, სარესპუბლიკათშორისო ინტერესებისა და ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების ინტერესების გათვალისწინებით“.

აქაც დებულება განვიხილოთ კონკრეტული ნიმუშის მიხედვით.

უაზახეთის სსრ-ში დღეს აკებულა და მოქმედებს თერმობირთვული იარაღის გამოსაცდელი პოლიგონი. უაზახეთის მოსახლეობა იბრძვის იმისათვის, რომ გაუქმდეს ეს პოლიგონი, რადგან იგი ანგრევს და ანადგურებს ქვეყნის ბუნებას, შეუძლებელს ხდის ადამიანთა ცხოვრებას უზარმაზარ ტერიტორიაზე. თეორიულად სემიპალატინსკის პოლიგონი და მისი შემოგარენი ეკუთვნის უაზახეთს, მის ხალხს, მაგრამ პრაქტიკულად მისი მფლობელი და ბატონპატრონია მოსკოვი. თუ მოსკოვიდან არ მიიღო თანხმობა, უაზახეთის ხელისუფლება ვერასოდეს გააუქმებს სემიპალატინსკის პოლიგონს. სანამ მოსკოვს მიაჩნია, რომ სემიპალატინსკის პოლიგონი საჭიროა სსრკ თავდაცვისა და უშიშროებისათვის, მანამ იგი იარსებებს, მიუხედავად იმისა, რას ფიქრობენ უაზახები და რა მოუვა უაზახეთის მიწა-წყალს.

კიდევ ერთი მაგალითი. ტიუმენის ოლქში მიმდინარეობს ნავთობის მოპოვება-დამუშავება. ადგილობრივი მოსახლეობა ჩივის, რომ ეს ანგრევს მათ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეოფასს. მოსახლეობა იძულებულია დატოვოს მამა-პაპის მიწა-წყალი და სხვაგან გადასახლდეს. ტუნდრა-ტყის აბორიგენ მცირერიცხოვან ხალხებს სრული გადაშენება ემუქრება. მათ არ სურთ გავრძელებს ნავთობის მოპოვება-დამუშავება. მაგრამ ვინ უკლებს ეურს! ვის სურვილს, ვის მოთხოვნას ეძლევა ამ ვითარებაში უპირატესობა? მოსკოვისას, რადგან ტიუმენის ოლქის ნავთობი ესაჭიროება სსრკ-ის ერთიან ეკონომიკას. ადგილობრივი აბორიგენი ხალხები შეიძლება შეეწირონ კიდევ მთელი სსრკ-ის საერთო ინტერესს. როგორც ხედავთ, ძლიერის უფლება აბათილებს სუსტის უფლებას მაშინაც კი, როცა ეს უკანასკნელი მართალია.

ეს ურთიერთობა მკაფიოდ ადასტურებს მოკავშირე რესპუბლიკისა თუ აბორიგენი ერის უუფლებობას. იმის მაგიერ, რომ ეს უუფლებობა მოსპოს, სკკპ ეროვნული პოლიტიკის ახალი პლატფორმა მას ამკვიდრებს და ამტკიცებს. სადღაა მოკავშირე რესპუბლიკის ან აბორიგენი მოსახლეობის სუვერე-

ნიტეტი გაფართოება? ჩაიღურის წყალი დალია!

რომ არ გავაგრძელო ახალ-ახალი მასალის მოხმობა, ვფიქრობ, ისედაც შეგვიძლია ორი დასკვნის გაკეთება.

პირველი: სკკპ ეროვნული პოლიტიკის ახალი პლატფორმა სრულიად არ ითვალისწინებს თანამედროვე ეროვნული მოძრაობის მოთხოვნილებებს.

მეორე: სკკპ ეროვნული პოლიტიკის ახალი პლატფორმა ძირითადად ეწინააღმდეგება „პერესტროიკა“-გარდაქმნის უკვე დაწყებულ კურსს.

რაც ვთქვი, ამის დასტურად კიდევ ერთ „დამაკვირვებელ“ დებულებასაც მოვიტან სკკპ ეროვნული პოლიტიკის ახალი პლატფორმიდან.

„განისაზღვროს კანონით პირობები, რომელთა დროს უნდა დაიშალოს და აიკრძალოს ნაციონალისტური ან შოვინისტური ორგანიზაციები და ჯგუფები“.

რას ნიშნავს ეს? იმას ხომ არა, რომ არის პირობები, როცა დასაშვებია არსებობდეს ნაციონალისტური და შოვინისტური ორგანიზაციები და არის პირობები, როცა მათი არსებობა არ შეიძლება? კი, მაგრამ ეროვნულ მოძრაობას ხომ ნაციონალური ჩაგვრა წარმოშობს. იქ, სადაც არ არის ნაციონალური ჩაგვრა, არც ეროვნული მოძრაობაა. მაშასადამე, საჭიროა უბრალო რამ: ეროვნული ჩაგვრის მოსპობა. თუ ასეა, მაშინ რომელ პირობებზეა ლაპარაკი?

ეროვნული ჩაგვრის მოსპობა ერთადერთი გზით შეიძლება: თავისუფალი, დემოკრატიული, ეროვნული სახელმწიფოს შექმნით. მაგრამ ამაზე სკკპ ეროვნული პოლიტიკის ახალი პლატფორმა კრინტს არ ძრავს. ეს კი იმის უტყუარი ნიშანია, რომ სკკპ ცდილობს შეინარჩუნოს ერთიანი, უნიტარული სახელმწიფო სსრკ. ეროვნული მოძრაობა კი ეველეგან, იქნება ეს ბალტიის-პირეთი, კავკასია თუ შუა აზია, სწორედ ამ ერთიანობის, უნიტარულობის წინააღმდეგია. მაშასადამე, სსრკ-ში არსებული ეროვნული მოძრაობის მოგვარებული გადაწყვეტილებანი ახალ პლატფორმაში მოძებნილი არ არის. ამდენად, სკკპ ეროვნული პოლიტიკის ახალი პლატფორმა პირწმინდად უარსაყოფია.

სსრკ-ში სხვადასხვა ისტორიული წარსულის, სხვადასხვა კულტურის, სხვადასხვა რელიგიის, სხვადასხვა ზნე-ჩვეულებების, სხვადასხვა დონის, სხვადასხვა შესაძლებლობის, სხვადასხვა სურვილის ხალხები ცხოვრობენ. მათთვის ისეთი ერთნაირი კოსტიუმის შეკერვა, რომელიც ეველას მოერგება და ეველა კარგად იგრძნობს თავს, შეუძლებელია. ასეთი რამ არსად მომხდარა და არც შეიძლება მოხდეს. ამიტომ ეველა ხალხს თავის ისტორიულ ტერიტორიაზე თავისი ეროვნული ცხოვრების მოწყობის უფლება უნდა მიეცეს. საქართველოც ეროვნული მოწყობის პროგრამა თბილისში უნდა შედგეს და არა მოსკოვში. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს მიმართაც უნდა განხორციელდეს

ის საერთაშორისო კანონი, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო 1965 წლის 21 დეკემბერს.

„უოველ სახელმწიფოს აქვს ხელშეუვალი უფლება აირჩიოს თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სისტემა სხვა რომელიმე სახელმწიფოს მხრივ ამა თუ იმ ფორმით ჩარევის გარეშე“.

სსრკ გაეროს წევრია, მაგრამ იგი უბოდიშოდ არღვევს ზემორე ციტირებულ კანონს 17 აგვისტოს გამოქვეყნებული სკკპ ეროვნული პოლიტიკის ახალი პლატფორმით.

1989 წ., აგვისტო



ლია წერილის პასუხად

კახეთმა „სახალხო განათლება“ (1989 წ., 27 სექტემბერი) გამოაქვეყნა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის თამაზ ჭურაძის ღია წერილი. ამ ბარათის ერთ-ერთი ადრესატი რუსთაველის საზოგადოებაც არის. ამდენად, ვალდებული ვართ ავტორს ვუპასუხოთ და ჩვენი აზრი გავაცნოთ მკითხველ საზოგადოებას ღია წერილში გამოთქმულ მოწოდებაზე.

თ.ჭურაძე შეწუხებულია იმით, რომ „ძალზე განშირდა საავტომობილო კატასტროფების, განზრახ მკვლელობათა და ძალადობის შემთხვევები...“. რამდენადაც ეს წერილი სამართლიანია, იმდენად მიუღებელია ხსნის ის გზა, რომელსაც იგი გვთავაზობს: „წესრიგის დამცველის უურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს არც ერთი ეზო, სადარბაზო, თავურილობა, კონფლიქტი. მსხვილ ქალაქებში და რაიონებში უნდა დაკანონდეს მილიციის მუშაკთა სადღეღამისო მორიგეობა“.

შეხედოთ ამ წინადადებას რამდენიმე კუთხით.

პირველი: სურდა ეს თუ არ სურდა, ნებით იყო თუ უნებლიეთ, თ.ჭურაძემ არსებული ვითარებიდან თავისდაღწევის საშუალებად ტოტალური პოლიციური რეჟიმის შემოღება დაგვისახა.

უკვლას კარგად მოეხსენება, რომ სსრკ-ში უკვე არსებობდა ტოტალური პოლიციური რეჟიმი, რომლის ბადალი, სიმკაცრისა და დაუნდობლობის თვალსაზრისით, კაცობრიობის ისტორიამ არ იცის. ისიც არაუვისთვის არის უცნობი, სად მიიყვანა ამ რეჟიმმა სსრკ.

ვინც მეტნაკლებად იცნობს ტოტალური პოლიციური რეჟიმის ისტორიას, იგი უთუოდ დამეთანხმება, რომ ამგვარ პირობებშიც არ ხერხდება ბოროტების, მანკიერების, დანაშაულის სრული მოსპობა. ტოტალიტარიზმს ეს არ ძალუძს. მაგალითისათვის შორს წასვლა არ მოგვიწევს. საკმარისია თვალდაუვალოდ საქართველოს ისტორიას 1921 წლიდან დღემდე, რომ მკაფიოდ დავინახოთ უდავო ფაქტი: დანაშაულის, მანკიერების, ბოროტების წინააღმდეგ, არც წერას, არც პრაქტიკულ ბრძოლას არ მოუტანია დადებითი შედეგ-

ვი. ამას ადანტურებს ჰრესაც და ისეთი მწერლობაც კი, როგორც იყო პრო-
ლეტლიტერატურა (პროლეტმწერლობა მხატვრულად არის უსუსური, თორემ
სოციალოგიურად და იდეოლოგიურად ფრიად საუსრადღებოა). და აი, ეს
პროლეტმწერლობა, რომელიც მოწოდებული იყო სოციალიზმის სადი-
დებლად, აკვიწრს მანკიერების ეველა სახეობას – ხაზინის მარცვას, მაქინა-
ციას, კომბინაციას, გამომალვას, დასმენას, მკვლელობას, კარიერიზმს, ლო-
თობას და ა.შ. ერთი სიტყვით, ქვეყნის მოუწეობლობას. რა მოუწეობელიც
იყო სოციალიზმი წინათ, ისეთივე დარჩა დღესაც. ასეთივე იქნება მანამ, სანამ
იარსებებს. შევეცდები ვუპასუხო კითხვასაც – რატომ? (ყოველ შემთხვევაში,
მოვლენის ახსნის ჩემულ ვარიანტს ვაგაცნობთ).

არსებობს აზროვნების ნაირ-ნაირი ფორმები და მათ შორის, უტოპიუ-
რიც. სოციალისტური აზროვნებაც უტოპიურს ეკუთვნის. რამდენიც უნდა ვეძა-
ხოთ სოციალიზმს მეცნიერული, სულ ერთია, არსებით და შინაარსით იგი
უტოპიურია. მას სურს შექმნას სინამდვილე, რომელშიც არ იქნება ბოროტება,
დანაშაული, მანკიერება. ყოველი ადამიანი იქნება ბედნიერი, თანასწორი,
თავისუფალი (სხვათა შორის, სოციალიზმის პოპულარობა საქართველოში
სწორედ ამ იდეალმა შექმნა. საუკუნეების მანძილზე დაჩაგრულ და დაბეჩავე-
ბულ ქართველობას იგი ხსნად ეჩვენებოდა). სოციალიზმი ცდილობს თავის
იდეალს მიაღწიოს ეველაფრის უნიფიკაციით, გაერთფეროვნებით, ძალდა-
ტანებით, სისხლისღვრით. ეს კი, როგორც მიზანი და როგორც გზა, ანტი-
ბუნებრივია. ანტიბუნებრივია იმდენად, რამდენადაც არათანასწორობა ბუნების
კანონზომიერებაა. ბუნება თავად აჩენს ნიჭიერსა და უნიჭოს, გონიერსა და
უგუნურს, ლამაზსა და გონჯს, უნარიანსა და უუნაროს, ღონიერსა და უღონოს
და ა.შ. არც ადამიანს და არც რაიმე სოციალურ სინამდვილეს ამ კანონზომი-
ერების შეცვლა არ ძალუძს. ბუნებისათვის ბოროტების არსებობა ისეთივე
აუცილებლობაა, როგორც სიკეთის. მანკიერი იმავე კანონზომიერებით არსე-
ბობს, როგორითაც უბიწო. არსებობა ამ დაპირისპირებულთა გარდაუვალ,
მარადიულ ბრძოლას გულისხმობს. რაც ახლა ვთქვი, ისე ნუ გაიგებთ, თითქოს
ბოროტებას გულხელდაკრეფილმა უნდა ვუყუროთ. არა! უნდა ვებრძოლოთ,
თან მტკიცედ და შეუპოვრად, ოღონდ ილუზიით თავი არ უნდა მოვიტყუოთ,
დედამიწის ზურგზე არ არსებულა რეჟიმი (არც არასოდეს იარსებებს), რომელ-
საც შეეძლება დაამუაროს საზოგადოებრივი წესრიგი, სადაც არ იქნება
ბოროტება. მაგალითად, შვეიცარიაში ან დანიაში სრული წესრიგია, მაგრამ
ბოროტება იქაც საკმარისია. დანაშაულისა და მანკიერების გამოვლენა არცთუ
იშვიათია, რადგან ბოროტების სრული მოსპობა შეუძლებელია, რაკი იგი,
როგორც უკვე ვთქვი, არსებობის ნაწილია. შეიძლება მისი შეზღუდვა-შემცი-
რება. რეალური შესაძლებლობა ეს არის და, ცხადია, მისთვის ბრძოლაც აუცი-
ლებელია. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ბოროტება საზოგადოებრივ წესრიგს

ანარქიით არ ემუქრებოდეს, დაშლის საშიშროებას არ ქმნიდეს, თორემ ბოროტების სრული მოსპობა და ამქვეყნიური სამოთხის აშენება უტოპიაა, ცრუ ოცნებაა, რომელიც, როგორც კი თეორიიდან პრაქტიკაში გადაინაცვლებს, თავად ხდება გაუგონარი ბოროტების საფუძველი.

სოციალისტებმა იცოდნენ, რასაც ელტვოდნენ, იგი ანტიბუნებრივი იყო. ამიტომ მოითხოვდნენ ჯიუტად ბუნების გარდაქმნას, ადამიანის შეცვლას, ეველაფრის გადასხვაფერებას (მარქსი: „ფილოსოფოსები, მხოლოდ, სხვადასხვანაირად განმარტავდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი შეცვლილი იქნეს“). უდრეკად ცდილობდნენ საკუთარი დოქტრინისათვის მოერგოთ სულიერ-უსული. ვერ ვიტყვით, რომ სოციალისტები არ იცნობდნენ ლუდვიგ ფოიერბახის შემოქმედებას, მაგრამ არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ მის უმთავრეს დებულებას: „ღმერთის წინაშე, არაფერია სოფელი და ადამიანი... მას შეუძლია იცოცხლოს უიმათოდ“. სოციალისტების უტოპიამ და უსაზღვრო ამპარტავნებამ (შეუძლიათ სამყაროსა და ადამიანის შეცვლა) გამოიწვია ღმერთის უარყოფაც.

რუსეთის იმპერიაში, ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე, სოციალისტებმა დაინახეს, რომ ანტიბუნებრიობის გამო, მათი ოცნების განხორციელება შეუძლებელია. იდეალის სიცრუის შეგნება-გაცნობიერებამ ისინი დაბოძა და გააბოროტა. იმის მაგიერ, რომ უარყოთ საკუთარი განხორციელებელი ოცნება-გეგმა, დაიწვეს მისი დანგრევა ლიანგური სახელმწიფო ტერორით. ტერორმა, ცხადია, რეალობად ვერ აქცია ის, რისი განხორციელებაც შეუძლებელი იყო. მოიტანა მხოლოდ მსხვერპლი, კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახული. თუ ლიანგური სახელმწიფო ტერორის შედეგად ადამიანთა ერთი ნაწილი დაიღუპა, როგორც უაზრო ზვარაკი, მეორე ნაწილი შეიპყრო სასოწარკვეთილებამ. როცა დიდი ოცნება, დიდი იმედი აღმოჩნდება სიცრუე, ეოველთვის იბადება მასობრივი სასოწარკვეთილება, ხოლო ამას ლოგიკურ შედეგად მოჰყვება სრული ჰასიურობა და ინდიფერენტიზმი. ამიტომ არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ სსრკ-ის საზოგადოება იყო სასოწარკვეთილი, ჰასიური, ინდიფერენტული.

ასე დამთავრდა დიდი ოცნება-უტოპია სრული კრახით.

სოციალიზმმა ვერ გარდაქმნა სამყარო. ვერ შეცვალა ადამიანი. ვერ მოსპო ვერც ერთი ადამიანური და სოციალური მანკიერება (პირიქით, გაამრავლა ისინი). ვერ მიანიჭა პიროვნებას თავისუფლება (პირიქით, სრულიად დაამონა და დააბოძა), ვერ შექმნა კეთილმოკური კეთილდღეობა (პირიქით, ხელგაშვერილი კაპიტალიზმის სთხოვს დახმარება-შველას). ვერ იქცა კაცობრიობის ნათელ მოძავლად.

აი, ამ მარცხის შედეგია დღევანდელი ვითარება, როგორც მთელ სსრკ-ში, ისე, კერძოდ, საქართველოში. ახლა ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად

უნდა ვიძუშაოთ, ვიძროძოთ, ვიბრძოლოთ. თუ არსებულ სიტუაციის მი-
ფესვიანად შეცვლას მოვახერხებთ, მაშინ იმასაც ეშველება, რაც ასე აწუხებს
ამჟამად ქართველობას და, მათ შორის თ.ჭურაძესაც. სხვაგვარად საქმე არ მო-
ვარდება. ვერც თამაზ ჭურაძის კეთილშობილი ფიქრი აღსრულდება: „უნდა
გაუჯანმრთელდეთ, გაუჯანსაღდეთ, გაუპატროსნდეთ, მოვსპოთ კორუპცია, ქურ-
დობა, ძალადობა. მკვლელობა, ქართული მიწების გაუიდვა, კიდევ უფრო
გაუნათლდეთ, გაუმრავლდეთ...“ ამას სათანადო უნებრივ-რელიგიური, სო-
ციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური საფუძველი სჭირდება, რასაც სოციალ-
იზმი არ იძლევა. ეს თვალნათლივ დაადსტურს სოციალიზმის არსებობის
სამოცდაათმა წელიწადმა. ახლა იმედი სოციალიზმთან აღარ უნდა დაკავშირ-
დეს, თუ არ გვინდა, რომ ისევ მოტყუებული დავრჩეთ.

ეს ერთი კუთხეა საკითხისა.

მეორე: თ.ჭურაძის ღია წერილში ჰანიკამ გამოჟონა. „საქართველოს მთელ
ტერიტორიაზე და ეზოებში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებზე, არ და-
ვუშვათ დანაშაული, წესრიგისაკენ, გონიერებისაკენ მოუწოდოთ ყველას“.

ნუთუ ასე საშიშია, თუნდაც მომრავლებული მკვლევები, ნარკომანები,
ავტომობილ-სულელები? კოლუმბიაში ნამდვილი სამოქალაქო ომი მიმ-
დინარეობს ნარკომაფიასა და ხელისუფლებას შორის, მაგრამ არაფინ, არც
მთავრობა, არც ჰრესა, არ მოუწოდებს ერს დადექითო გზებზე, ეზოებში, სა-
ზოგადოების თავშეყრის ადგილებზე... რატომ? იმიტომ, რომ უოველ ქვეყანა-
ში, უოველ დროში წესრიგს ამყარებს ხელისუფლება. ამისათვის ხელისუფლება
ფლობს ინსტრუმენტს. ეს არის მილიცია, პოლიცია, სუკ-ი, ჟანდარმერია,
ჯარი... ეს იმდენად მძლავრი იარაღია უოველი გონიერი ხელისუფლების ხელ-
ში, რომ უოველთვის, ყველა ჰირობებში, შეუძლია ბოროტმოქმედების აღკვე-
თა და მშვიდობიანი მოქალაქის დაცვა. ალბათ, კოლუმბიაში ხელისუფლებას
იმედი აქვს, რომ დაამარცხებს ნარკომაფიას. თუ ამას ვერ მოახერხებს იგი, მა-
შინ მის ადგილს დაიჭერს სხვა ხელისუფლება. ის მოავარებს მდგომარეობას.
ჩვენშიაც ასე უნდა იყოს. ჩვენშიაც, თუ ხელისუფლებას არ ძალუძს საკუთარი
მოქალაქეები დაიცვას ბოროტმოქმედთაგან, მაშინ იგი კეთილსინდისიერად
უნდა მოიქცეს და ადგილი იმას უნდა დაუთმოს, ვისაც ხელეწიფება ქვეყნის პატ-
რონობა. თორემ მთელი ერის მილიცია-პოლიციად გადაქცევა არავითარ
კეთილს არ მოუტანს არც ერთ ქვეყანას.

ჩვენ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა გვინდა. ასეთ სახელმწიფოში
კანონი უნდა წარმართავდეს და აწესრიგებდეს ხალხის ცხოვრებას. კანონი,
რომელიც შემუშავებულია სპეციალისტ-იურისტთა მიერ, მიღებული და დამტ-
კიცებულია საერთო-სახალხო რეფერენდუმის გზით. კანონი, რომლის დაცვა-
შესრულება თანაბრად სავალდებულოა უოველი მოქალაქისათვის, სულერთია,
იქნება იგი მეზოვე თუ პრეზიდენტი. ჩვენ სამართლებრივი სახელმწიფოს შექ-

მისათვის არ უნდა დავიშუროთ ძალ-ღონე, თორემ, საშიშია ისე არ გამოვიდეს, როგორც ანდაზა ამბობს: უძაღლო ქვეყანაში კატას აუფებენო. უოველი ქვეყანა, უოველი სახელმწიფო მაშინ არის მოწესრიგებული და მოწეობილი, როცა უოველი მოქალაქე თავის ზროფისიულ ფუნქციას ჰირნათლად ასრულებს. ქვეყანა მაშინ იღუპება, როცა ფუნქციები უთავბოლოდ აგვერევა. Беда колы пироги начнет печь сапожник... ეტეობა, რუსეთში სშირად აცხოზდენ პიროგებს сапожник-ები და საქართველოში კატა ბვერჯერ ეფუდა ძაღლის მაგიერ. რაკი ხალხმა ეს ანდაზები შეთხზა, გვეოფა ძველი შეცდომების გამოორება! მით უფრო, რომ ქართულ მილიციას შეუძლია თავისი ფუნქციის შესრულება, თუ მას ამის უფლებას მისცემენ. მილიციას იარაღი მაშინ არ უნდა წართვან, როცა მიცემა აუცილებელი. მოქმედება მაშინ არ უნდა აუკრძალონ, როცა უმოქმედობა დანაშაულია. იქ, სადაც ქართული მილიცია უნდა იღვეს, უცხო ძალა არ უნდა დააყენონ.

რა თქმა უნდა, როგორც უოველ სახელმწიფო ინსტიტუტში, მილიციაშიც ბვერია ნაძირალა, მაგრამ ჯანსაღ ნაწილს კარგად ესმის თავისი მოვალეობა. ჩვენმა მილიციამ ეს 9 აწრილს დაამტკიცა, როცა შიშველი ხელებით ებრძოდა თავით ფესამდე შეიარაღებულ ჯალათებს.

არც ჩვენი ხალხი იმსახურებს უნდობლობას. წესრიგის სიუვარული მისი არსების ნაწილია. ამის ნათელი საბუთია თუნდაც ის მრავალათასიანი მიტიჩგები, სადაც წესრიგის დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ ეოფილა. უზარმაზარი მანიფესტაციებისა თუ მიტიჩგების შემდეგ თავად მონაწილეები ასუფთავებენ, ჰგვიან და ალამაზებენ არეპარეს.

ქართველ ხალხს იძენი გასაჭირი გაუვლია წარსულშიაც და აწშეოშიც, რომ მისი ცხოვრების წესს ვერ მოშლის ვერც ნარკოტიკების ვაჭარი, ვერც მკვლელები და ვერც ავტომობილ-ხულიჩნები. კიდევ ვიძეორებ, ცხადია, მათ წინ უნდა აღუდგეთ, მაგრამ ჰანიკურმა შიშმა არ უნდა შეგვიპუროს.

თუ ბოროტმოქმედება მანინც ხდება, ამან გული არ უნდა გაგვიტეხოს და, მით უფრო, осодмилец-ისკენ მოწოდების სურვილი არ უნდა გავვიჩინოს.

Осодмилец-იც უკვე არსებობდა სსრკ-ში. მან ხალხს მხოლოდ დანაშაული ასწავლა. შვილს მშობლები დაასმენინა და მშობლებს – შვილი, დას მმა დააბეზლებინა და მმას – და, ცოლს ქმარი გააუიღინა და ქმარს – ცოლი. ეს მივიღეთ შედეგად, როცა ხალხი მილიციის დამხმარე ორგანიზაციად წარმოვიდგინეთ.

ეს საკითხის მეორე კუთხეა.

მესამე: ღია წერილის ავტორის აზრით, რუსთაველის საზოგადოების და სახალხო ფრონტის „აქტივისტები ჩვენი მილიციის გვერდით უნდა დადგენ და დაიცვან წესრიგი, ადამიანები, ახალგაზრდობა“. მე არ ვიცი, რას ფიქრობს სახალხო ფრონტი, მაგრამ ის კი შემიძლია ვთქვა, რომ ამგვარი საქმიანობა

რუსთაველის საზოგადოებას არ შეეფერება.

საერთოდ, რუსთაველის საზოგადოებას ხალხმა მეტად ნაირ-ნაირი ფუნქცია დააკისრა. იმისდა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როგორ წერილებს იღებს რუსთაველის საზოგადოება და რა თხოვნით მოდიან ჩვენთან ადამიანები, შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუსთაველის საზოგადოება ერთდროულად არის კომპარტიის ცკ, მინისტრთა საბჭო, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, პროკურატურა, სასამართლო, აღმასკომი, რაზინდარა სამინისტრო, კომიტეტი, საავადმყოფო, თავმჯდომარე და კიდევ ვინ მოსთვლის რა...

რა თქმა უნდა, იოლი ვასაგებია, რატომ ხდება ეს. წყალწაღებული კაცი ხავსს ეჭიდებოდაო. უჭირთ ადამიანებს და გამკითხავი და მშველელი არსად არის. მაგრამ უბედურება ის ვასაგებია, რომ რუსთაველის საზოგადოება ვერ განმარტლებს უბედური ადამიანების მიაშიტ და გულუბრუნელო იმედებს. ძალა არ შესწევს და იმიტომ. ერთი უპირველესთაგანი, რაც რუსთაველის საზოგადოებამ (საერთოდ, ეველა საზოგადოებამ, პარტიამ, გაერთიანებამ) უნდა გააკეთოს, ის არის, რომ მან ხალხი არ უნდა მოატყუოს. ის არ უნდა ითავოს, რასაც ვერ გააკეთებს. დამერწმუნეთ, რუსთაველის საზოგადოებაში არავის ეხარება ვისმე დახმარება, შეველა, ზრუნვა, მაგრამ მეტისმეტად შეზღუდულია შესაძლებლობანი. მეტისმეტად ღარიბი ვართ.

მოგესწინებათ, რომ ისტორიულ საორბელო-საბარათიანოში სახლები იყიდება. რუსთაველის საზოგადოებამ, შეძლებისდაგვარად, დაიწყო მათი შესყიდვა და უფასოდ გადაცემა სტიქიით დაზარალებულთა და უსახლკაროდ დარჩენილთათვის. მაგრამ ეველა სახლი რომ შეისყიდოს, ამისათვის სულ ცოტა ოცი მილიონი მანეთი მინც არის საჭირო. მერედა, ვინ მიაშავა რუსთაველის საზოგადოებას ეს თანხა? მივმართავთ სხვადასხვა დაწესებულებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს დახმარებისათვის. ისინიც გვშველიან, ვის რამდენი შეუძლია. ასე ჭაპანწვევით მივიწვევთ წინ. თუ რუსთაველის საზოგადოება მოახერხებს ამ საქმის კეთილად დაგვირგვინებას, ეს იქნება ჩვენი ხალხის დიდი გამარჯვება. მრავალი საუკუნის შედეგ, საქართველოს ისტორიაში, ქვემო ქართლში დემოგრაფიული ვითარება პირველად შეიცვლება ქართველთა სასარგებლოდ.

ისიც ვიცით, რომ რუსთაველის საზოგადოებამ შეიმუშავა საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფცია. კიდევ ბევრი სამუშაო ვასაწევი, რომ კონცეფციამ საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღოს. ხალხის მხარდაჭერაც პპაოვოს და ხელისუფლებისაც. ჩვენმა ხალხმა შედიწვევით უნდა იცოდეს, ეკონომიკაში რას ვაპირებთ და როგორ, რომ მისი ნდობა დავიმსახუროთ.

ეკონომიკური კონცეფციის კვერდით აუცილებლად უნდა არსებობდეს საქართველოს იურიდიული მოწყობის კონცეფცია. ამ მიზნით იწერება

საქართველოს ახალი კონსტიტუციაც. ამასაც ცხარე განხილვა და სჯა-ბასი დასჭირდება.

თუ ქართველი ერი, საერთო-სახალხო რეფერენდუმის გზით, მხარს დაუჭერს რუსთაველის საზოგადოების ეკონომიკურ კონცეფციას და კონსტიტუციას, მაშინ სრული იურიდიული უფლება გვექნება საქართველოს კომპარტიას გულახდილად ვუთხრათ:

უველასე გონივრული, ვაკეცური და კეთილშობილი, რასაც დღეს გააკეთებს კომპარტია, იქნება ის, რომ უოველგვარად ხელი შეუწეოს დღევანდელ ეროვნულ მოძრაობას ჩამოყალიბდეს ნათლად, მკაფიოდ, მტკიცედ უველა იმ კომპონენტით, რაც ქვეყნის მართვა-პატრონობას სჭირდება. მერე კი ნებაყოფლობით დაუთმოს ხელისუფლება ახალგაზრდა საქართველოს ეროვნულ პარტიებს.

ეს მიმართვა ნურავის ეწეინება. იგი განვითარების ბუნებრივმა კანონმა დაბადა. ამქვეყნად უველაფერი იბადება, ვითარდება, ბერდება და კვდება. ბუნების ამ კანონს ვერ გაექცევა ვერც კომპარტია და ვერც მარქსიზმ-ლენინიზმი, როგორც მოძღვრება. რას ვიზამთ, ისინიც დაბერდნენ. მისი შემცველი ახალგაზრდა საქართველოს ეროვნული მოძრაობა ჯან-ლონით ივსება და სრულიად კანონიერად ითხოვს იმას, რაც ეკუთვნის, მშვიდობიანად უნდა მიაღწიოს მემკვიდრეობის მიღებას.

ეს არის რუსთაველის საზოგადოების საქმიანობის მიზანი და სხვა ტვირთს ნულარ ავკიდებთ მას. მით უმეტეს, ნუ დავაკისრებთ მილიციის ქვევან-უოფილების როლს.

უველა ხედავს, რომ დღეს საქართველო გოლგოთის გზით მიდის და მძიმე ჯვარი მიაქვს. აღმართავს ამ ჯვარს საქართველო თავისუფლებისა და გამარჯვების ზეიმის ნიშნად თუ თავად მას გააკრავენ ზედ, როგორც ტარიგს, ეს იმაზეა დამოკიდებული, რა ჭკუით მოიქცევა უოველი ჩვენთაგანი.

1989 წ., ოქტომბერი

ქარბალ ლაშქრობი

წინათაც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: მომხრე ვარ ბრძოლის მშვიდობიანი ფორმებისა და თანდათანობითობის. ახლა მინდა, რამდენადაც შეუძლებ, განვმარტო – რატომ.

შეიძლება ზოგიერთი თავს იკავებდეს და ჰირდაჰირ არ ამბობდეს, მაგრამ უცნობი კი არავისთვის არის, რომ ღვინური სოციალიზმი და საბჭოთა ხელისუფლება ბუნებრივად დაბერდა და კვდება. მისი გადარჩენა არც არაფერს და არც არავის ძალუძს. უველა მარქსი, უველა ღვინი, უველა სტალინი რომ ერთად გააცოცხლოთ, სოციალიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების ხსნის გზას ვერ გამოძებნიან. იმიტომ, რომ ისტორიის ბუნებრივი პროცესის შიქრება ადამიანს არ შეუძლია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას უკვე აღარ შესწევს ძალა, სიკვდილის წინ, კიდევ ერთხელ ჩაიღინოს გამოუსწორებელი ბოროტმოქმედება მით უმეტეს, რომ მას ამის კოლოსალური გამოცდილება აქვს. საუბედუროდ, ბოროტმოქმედების ჩადენის ძალა მას ჯერ კიდევ აქვს. მაგრამ ბრძოლის მშვიდობიანი ფორმებისა და თანდათანობითობის მომხრე მარტო ამის გამოც არა ვარ. საქართველო ბევრს ეცადა, მაგრამ სისხლისღვრა მაინც ვერ აიცდინა (9 აპრილი და აფხაზეთი). როგორც ჩანს, სამწუხაროდ და სავალალოდ, არც მომავალში მოხერხდება ეს, რაკი ამისათვის მარტო ქართველთა კეთილი ნება არ კმარა. ამჯერად სხვა პრობლემა მაფიქრებს და ეს მინდა სწორედ გავიზიაროთ.

სსრკ-ის რღვევის პროცესი ისეთი ელვისებური სისწრაფით მიმდინარეობს, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა შეიძლება უახლოეს ხანებში მივიღოთ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ რღვევის პროცესს წინ არაფერი გადაელობა. მოხდება კი ასე? თუ გავითვალისწინებთ რუსეთის ისტორიას, როგორც ძველს, ისე საბჭოური პერიოდისას, უნდა ვთქვათ, რომ – არა.

ისტორიის გაკვეთილებს თუ მივუვადებთ ეურს, იმკვარ ვითარებაში, როგორიც დღეს სსრკ-შია, ხელისუფლება ჩვეულებრივ ომს იწყებს. ომი მას, ერთი მხრივ, საშინაო საქმეებში მკაცრი რეჟიმის შემოღების საშუალებას

აღვეს და, მეორე მხრივ, ხალხის ეურადლება გადააქვს თავდაცვის მიმართულებით. სხვა პრობლემები, რომელნიც ერს აწუხებენ, გარკვეული დროით გადადებულია. მაგრამ თერმობირთვული იარაღის არსებობის გამო, საგარეო ომი გამოირცხულია. დარჩა ორი სხვა გზა – სამხედრო დიქტატურა და სამოქალაქო ომი (ამის ნიშნები უკვე მკაფიოდ ჩანს – უარაბალი, ფერღანა, აფხაზეთი). ან ერთს უნდა მიმართოს ხელისუფლებამ, ან მეორეს – არსებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურის შენარჩუნება თუ უნდა. ძართალია, ეს დროებითი შენარჩუნება იქნება, მაგრამ მაინც შენარჩუნებაა. ხოლო თუ სურს თავი დააღწიოს ორივე უბედურებას – სამხედრო დიქტატურასა და სამოქალაქო ომს, დაუფიქრებელი უნდა მისცეს დამოუკიდებლობა მოკავშირე რესპუბლიკებს. უველამ თავად გამოკვინოს კრიზისის მოგვარების გზები. უველამ თავად უპატრონოს თავისთავს. ჩემი ღრმა რწმენით, კრიზისისაგან თავის დაღწევის სხვა საშუალება არ არსებობს: ან სამხედრო დიქტატურა, ან სამოქალაქო ომი (რაც უსაშველო მსხვერპლს უკავშირდება), ან სსრკ დაძლია დამოუკიდებელ სახელმწიფოებად (რაც, დასაშვებია მშვიდობიანად მოხდეს). ასე რომ, არჩევანია გასაკეთებელი, თუ გაიმარჯვებს გონიერება, ხალხი არ დაზარალდება, ხოლო თუ უკუნურება იხეიმებს, ხალხი გაიღებს მსხვერპლს, რომლის მოცულობის განსაზღვრა წინასწარ არავის ხელეწიფება.

როგორ უნდა მოვიქცეთ მაშინ, თუ ხელისუფლებამ ორი უკიდურესი გზიდან ერთ-ერთი აირჩია – ან სამხედრო დიქტატურა, ან სამოქალაქო ომი? ამ პრობლემებში როგორ უნდა გაგრძელდეს ეროვნული მოძრაობა? სამწუხაროდ, არ ვიცით, ამ კითხვის პასუხი არ ვვარს. არადა, იგი სასწრაფოდ მოსაძებნია. თუ დაუფიქრებელი არ მოვქმენით, საფრთხეს სრულიად მოუშადებელი შევხვდებით. ამიტომ აუცილებელია, გადაუდებელია ეროვნული მოძრაობის უველა ძალის შეერთება ან ერთად გამოკვინა იმ ძირითადი გზისა, რასაც ჩვენი ხალხი დაადგება. დაძლიალობა, დაქუცმაცებულობა, განხეთქილება ამგვარ ვითარებაში დამღუპველი აღმოჩნდება. ღმერთმა ნუ ქნას, რომ დღევანდელი ეროვნული მოძრაობა უშედეგოდ დამთავრდეს. მაშინ ქართველ ხალხს ისეთი სასოწარკვეთილება, უიმედობა, კაემანი დაუფიქრება, რომელსაც შესაძლებელია თავი ვეღარც კი დააღწიოს. ამიტომ უველაფერი გონიერულად უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეროვნული მოძრაობა გამარჯვებით დაგვირგვინდეს.

ჩვენ მომზადება გვჭირდება იმ წუთისთვისაც, თუ საბჭოთა ხელისუფლება ჭკვიანურ, მშვიდობიან გზას აირჩევს. დამლის სსრკ დღევანდელ პოლიტიკურ სტრუქტურას და დამოუკიდებლობას მიანიჭებს უველა მოკავშირე რესპუბლიკას.

უველა რევოლუცია (ეროვნული იქნება იგი თუ სოციალური, სულერთია), მაშინ იმარჯვებს, როცა ბეარ, უკვე ჩამოყალიბებულ ეკონომიკას უერთნობა.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია ამ ორასი წლის წინათ ტრი-

უმფოთ იმიტომ დამთავრდა და მონაპოვარიც იმიტომ შეინარჩუნა, რომ კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა საფრანგეთში უკვე მტკიცედ ჩამოყალიბებული არსებობდა. მის განვითარებას ზღუდავდა ფეოდალური პოლიტიკური სისტემა. ერთი სიტყვით, ახალი ღვინო ძველ ტიპში აღარ ეტეოდა. კაპიტალისტურმა ეკონომიკურმა სისტემამ დაანგრია საფრანგეთში ფეოდალური პოლიტიკური სისტემა და დარღვეული შესაბამისობა აღადგინა. ასე იყო უფრო ადრეც ნიდერლანდებისა და ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციების დროს. ეს ბუნებრივი პროცესია, ბუნებრივი საზოგადოებრივი კანონებით განპირობებული და ამიტომ რევოლუციის განვითარება-დაგვირგვინებაც ბუნებრივად მიმდინარეობს.

რუსეთში ოქტომბრის რევოლუციამ საზოგადოებრივი განვითარების ბუნებრივობა დაარღვია. ნახევრად ფეოდალურ რუსეთში, სადაც კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა ჩამოყალიბებულ სახეს იღებდა, ბუნებრივი და კანონზომიერი იყო თებერვლის რევოლუცია. თებერვლის რევოლუცია ევრდნობოდა უკვე მეტნაკლებად ჩამოყალიბებულ კაპიტალისტურ ეკონომიკას და ცვლიდა მონარქიულ-ფეოდალურ პოლიტიკურ სისტემას. რუსეთშიც ბუნებრივი შესაბამისობა მუარდებოდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემებს შორის. მაგრამ ეს შესაბამისობა დაანგრია ოქტომბრის გადატრიალებამ. დროებითი მთავრობის სისუსტემ ბოლშევიკებს და მათ მეთაურს ლენინს საშუალება მისცა ხელში ჩაეგდოთ პოლიტიკური ძალაუფლება. მაგრამ ძალაუფლებას ისე დაეუფლნენ, რომ სოციალისტური ეკონომიკური სისტემა რუსეთში თეორიულადაც კი არ არსებობდა. რეალურ არსებობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. არც ლენინმა და არც რომელიმე სხვა ბოლშევიკმა ლიდერმა არ იცოდა, რა არის სოციალისტური ეკონომიკური სისტემა. ამან გამოიწვია ის თავგზაბნეულობა ეკონომიკაში, საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებაში ასე მკაფიოდ რომ ჩანს. ამისავე შედეგია ის ძალადობაც, რასაც ოქტომბრის რევოლუციის პირველივე დღიდან მიმართავდა საბჭოთა ხელისუფლება. როცა ეკონომიკაში არაფერი გამოდიოდა, საბჭოთა ხელისუფლება ამას „მტრებს“ აბრალებდა და დაუსოგავად ქუჩავდა ხალხს. ცხადია, ეკონომიკის განვითარების ბუნებრივ კანონზომიერებას ძალადობით ვერ შეცვლი. ასე აღმოჩნდა სსრკ ეკონომიკური კატასტროფის ზღურბლზე.

რაკი საქართველო სსრკ-ის ნაწილია, მისი ეკონომიკური მდგომარეობაც უმძიმესია. ალბათ, ახლა დედამიწის ზურგზე არ არის მეორე ქვეყანა, რომელიც ეკონომიკურად ისე ჩამორჩენილი იყოს, როგორც საქართველოა.

ამ ვითარებაში ჩვენ უნდა ერთობლივად გავარკვიოთ – რა გზას დავადგეთ ეკონომიკაში.

ნურავის შეეპარება ეჭვი, რომ თუ ქართული ეკონომიკა არ იქნება კონკურენციის უნარის მქონე, თუ ქართული მხეთი არ იქნება კონვერტირებადი, თუ არ გვეცოდინება რა პროდუქტით ვიბრძვით საერთაშორისო ბაზარზე.

საქართველო და მოუკიდებლობა ფუჭი ოცნება აღმოჩნდება.

ფიქრი იმისა, რომ ჯერ დამოუკიდებლობას მოვიპოვებთ და მერე გზად გზა ეკონომიკას მივხედავთო, მწარე შეცდომაა. ამის საშუალებას არც საგარეო მტრები მოგვცემენ და არც შინაური.

ზოლიტიკური გამარჯვება შედარებით იოლია. ურთულესი და უძძიმესია ეკონომიკური.

საქართველო ისტორიული დამარცხებანი იმით კი არ იყო განპირობებული, რომ იგი, სამხედრო თვალსაზრისით, უფრო სუსტი იყო, ვიდრე ირანი ან თურქეთი, არამედ იმით, რომ მუსლიმანური სამეაროს ჰრიმიტიული, ჩამორჩენილი ეკონომიკური სისტემით გარემოცულმა ვერ მოახერხა ეკონომიკური განვითარების ევროპული გზა გაეყო.

ამიტომ დღეს უპირველესი ამოცანაა ქართველმა მეცნიერებმა მომავალი საქართველო ეკონომიკური ცხოვრების თეორიული პრინციპები შეიმუშაონ. მერე კი მათ საფუძველზე ჩვენი ხალხი ისწავლის იმ შრომასა და დისციპლინას, რაც აუცილებელია საერთაშორისო ეკონომიკურ ბრძოლაში განამარჯვებლად (იარაღით დამარცხებულმა იაპონელებმა ეკონომიკით გაიმარჯვეს და მტრები მუსხლებზე დააჩოქეს. ეს ის გაკვეთილია, რომელიც ქართველმა ხალხმა შედმიწევნით უნდა შეისწავლოს).

იმ საფრთხეს, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკე, იმ შემთხვევაში ავიცილნთ, თუ თანდათანობით, მტკიცედ და შეუპოვრად გავეუბით მშვიდობიანი ბრძოლის გზას. ამიტომ ვარ მისი მომხრე.

ნუ გვძლევს სულწასულობა და ნუ დავემსგავსებით იმ ჰატიმარს, რომელიც გათავისუფლებამდე რამდენიმე დღით ადრე გარბის ციხიდან. თურმე ჰატიმარი შედარებით იოლად იტანს რამდენიმე წლის ტუსალობას, მაგრამ მეტრისმეტად უჭირს გაუძლოს იმ რამდენიმე დღეს, რომელიც საბოლოო გათავისუფლებამდე დარჩა. ვეღარ ითმენს და ციხიდან იპარება, რითაც ახალ სასჯელს იმსახურებს და ტევეობას იხანგრძლივებს. ცოტა დრო დარჩა გათავისუფლებამდე. როგორმე აღვიჭურვოთ მოთმინებით და ვძლიოთ სულწასულობას.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ კატეგორიულად ვმსჯელობ და რა უფლება მაქვს ამისა, მე ხომ წინასწარმეტეველი არა ვარ. სულაც არ მინდოდა კატეგორიული ხასიათი ჰქონოდა ჩემს საუბარს. უბრალოდ ვცდილობდი ახარი მოკლედ და მკაფიოდ გამომეთქვა. რაკი დიდი სურვილი მაქვს, რაც მოგახსენეთ, ის ფართო საზოგადოებრივი სჯაბაასის საგანი გახდეს. ეს სჯაბაასი კი აუცილებელია იმისათვის, რომ მოქმედების ძირითადი, არსებითად ეველასათვის მისაღები გზა გამოიძებნოს. საქართველომ აღთქმულ მიზანს, რამდენადაც შესაძლებელია, მცირე მსხვერპლით უნდა მიაღწიოს.

1.

საუბარი სულხან-საბა ორბელიანის ერთი იგავით მინდა დავიწყო. რაკი სულხანზე უკეთ მას ვერ მოგიყვებით, ისე მოგაწვდით, როგორც ავტორმა დაწერა:

ერთი კაცი და ერთი დათვი დამბობილდნენ. აწვია კაცმან მან დათვი იგი, ლხინი აჩვენა, დათვი დაეთხოვა, გამოესალმა. მან კაცმან აკოცა და ცოლსაც აკოცინა დათვისათვის. მას დიაცსა რა დათვის სიმურალე ეცა, განერწევა და თქვა:

– ჰირმურალს სტუმარს ვერ ვეწეობიო!

წავიდა დათვი და მერმე ეს კაცი ეწვია და თან ცული წაიღო – მოის შეშას დააკოდა და წამოვიღებო!

მოვიდა დათვი და რაც მათ ეფერებოდა, იმკვარად იალერსეს. მერმე დათვმან დაუჩინა:

– თაზე ერთი ცული დამკარ და დამკოდეო!

მან კაცმან უარი თქვა. დათვი არ მოეშვა. დაჰკრა ცული და თავი გაუტეხა. დათვი ტეეში წავიდა და კაცი შინ წამოვიდა.

მეორეს თვეს შეიუარნენ. დათვს თავი გამრთელეებოდა. დათვმან უთხრა:

– ძმაო, შენის ცულით დაკოდილი თავი გამიმთელდა და შენის ცოლის ენით დაკოდილი ცული – არაო.

მკითხველი უთუოდ მისვდა, რატომ გავიხსენე ეს არაკი. ნიმუშების მოტანით თავს არ მოგაბეზრებთ, ისედაც ეველას შეუძლია გაიხსენოს ამ ერთი წლის მანძილზე გამოქვეყნებული ჰოლემიკური წერილები. სამწუხაროდ, აზრის სიღრმითა და სიანხლით კი არ ვეჯიბრებოდით ერთმანეთს, არამედ საგანგებოდ შეგროვებული სალანძღავი სიტყვების კორიანტელით. თუ ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ ეთიკური სამეტყველო ენა ვერ გამოიმუშავა, მას დაემუქრება დიდი საფრთხე: საზოგადოების მაღალხნეობრივი ნაწილის უნდობ-

ლობა, რას ვწერთ და როგორ ვწერთ, თანაბრად მნიშვნელოვანია. მათი გა-
ყოფა შეუძლებელია. უმძაფრესი კამათი შეიძლება ისე, რომ არც ერთი მხარე არ
დარჩეს შეურაცხყოფილი. ოღონდ მოპაექრე მხარეთა სიძარბოებს საბუთი, არ-
კუმენტი უნდა ამტკიცებდეს და არა გამიზნულად შერჩეული გულისმომკვე-
ლი სიტყვები. სიძულვილი და მტრობა უველას შეუძლია. ამას ნიჭი არ სჭირ-
დება. სიუვარული კი სულით ამაღლებულთ ხელეწიფებათ. იგი ღვთაებრივ
უნარს ითხოვს.

კარგად მესმის: უმძიმეს და ურთულეს ვითარებაში ვართ. ძარღვები უველას
დაწვევებაზე ვაჰქვს. ჭირს თავშეკავება, მაგრამ სწორედ ამიტომ ვგმობთებს ნე-
ბისყოფის დამაბუა, სიმშვიდის შენარჩუნება, ზნეობრიობის ჰატივისცემა.
ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ ჰიროვნება უნდა აღზარდოს.

ჰიროვნება თავისუფალი, ზნეობრივი, სამართლიანი, მტკიცე, შეუპოვა-
რი, მხატვრული, შემწეა.

ჰიროვნება, რომელიც სხვას არ ითხოვს მსხვერპლად, არამედ თავად არის
მზად იუოს ზვარაკი.

ჰიროვნება, რომელმაც იცის: ადამიანი სუსტი არსებაა. იგი ხშირად ცდუ-
ბა. მას ვაკება, შენდობა და გამოსწორების საშუალების მიცემა სჭირდება.

ჰიროვნება, რომელმაც უწეის, რომ ადამიანის სინდისი თავისუფალია.
რწმენას ძალდაუტანებლად, იმისდა მიხედვით აიჩივს, რასაც გონება და სული
კარნახობს.

ჰიროვნება, ვისაც ძალუძს შარლ მონტესკიეს სიტყვები გაიმეოროს: „თუ
ჩემი აზრი მომიტანს კეთილს მხოლოდ მე და ჩემს ქვეყანას, მაგრამ, ამავე დროს,
აზნებს ევროპასა და ადამიანთა მოდგმას, მაშინ იგი უყოყმანოდ უნდა გამოცხად-
დეს დანაშაულად“. თუმცა ურთიერთგანსაკეები დიალოგი მაშინ შედგება, თუ
მოწინააღმდეგესაც ესმის მონტესკიეს სიტყვების არსი. თუ არ ესმის, მაშინ
ჰიროვნება ისე უნდა მოიქცეს, როგორც წმინდა სახარება ბრძანებს: „ნუ მის-
ცემთ სიწმინდესა ძალდა, ნურცა დაუფნთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორ-
თა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერხითა მათითა და მოიქცნენ და განგხეთქნენ
თქუენ“ (მათე, VII, 6).

ჰიროვნება, ვისაც არასოდეს ავიწყდება: „რაც მტრობას დაუქცევია, სიუ-
ვარულს უმენებია“.

ილია ჭავჭავაძე საშობაო მოთხრობაში „ნიკოლოზ გოსტაშბიშვილი“
გვიამბობს:

ქართველები უიზილბაშებს ებრძვიან. ერთმა მამაცმა უიზილბაშმა რამდენ-
ნიმე ქართველი მეომარი მოკლა. შეძრწუნდა ქართველობა: ნუთუ ამ უიზილბა-
შის მოძრევი ვერ უნდა ვიპოვოთო? ნიკოლოზ გოსტაშბიშვილი მოძებნეს,
ცხარე ბრძოლიდან გამოიხმეს და თავიანთი განსაჭირი შესჩივლეს. აჩვენეს უი-
ზილბაში, რომელიც ბრძოლის ველზე უშიშრად დანაფარდობდა. მეტი რა გზა

იყო, ნიკოლოზი უნდა შებრძოლებოდა მტერს. ახლა ილიას დაუუგდოთ უური:
„გოსტაშაბიშვილი ცხენ-და-ცხენ ეცა, წასწვდა, ერთი-ორი ღონივრად
შეპბურტეა და ცხენიდან მირს დასცა, ასე რომ დაცემულს ფეხზედ ადგომა
გაუძნელდა, ჩამოსტა ცხენიდან გოსტაშაბიშვილი, ააყენა ეიზილბაში ფეხზე
და უთხრა:

– ნუ გეშინია, მე თავს არ მოგჭრი. შენი თავი შენის ვაჟკაცობისათვის მი-
პატიებია. ცოდეა შენი გაფუჭება. წადი და ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცესო.

– მეც სიცოცხლეს თუ ვისგანმე ვიჩუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცი-
განო, – უპასუხა ეიზილბაშმა, სალაში მისცა და წავიდა“.

ასე გვზრდიდა ჩვენ ქართული მწერლობა მტრის ღირსების პატივისცე-
მის გრძნობით. ნუთუ სოციალიზმმა ისე წავგახდინა, რომ მოვერის ღირსებას
ვეღარ ვხედავთ?

იმასაც მოგაკონებთ, რასაც აკაკი წერეთელი გვიყვება „თორნიკე
ერისთავში“, როცა ორბელიმემ აფრანკს ხმალი გადაუმტვრია და შიშით
თავსარდაცემული უცხოელი გახვედა, მაშინ ქართველმა სარდალმა ასე მიმარ-
თა მას:

– ნუ გეშინიან! ხმლიანი უხმლოს
რომ შეგეჭიდო, არ მეკადრება,
მხოლოდ თანსწორის იარაღითა
შენი დაჩაგვრა მე მენატრება!

კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ ამოკითხულ კიდევ
ერთ ეპიზოდს ვაგახსენებთ.

„რუხის ციხესთან ომი უოფილა ოდესღაც. ვაღმა ქართველები მდგარან,
გამოღმა – აფხაზები და თათრები. დიდხანს უტრიალეს თურმე ქართველებმა
რუხის ციხეს. მერე ფალაფურ ბრძოლაზე გადასულან. ქართველებს ვინმე
ხოლოყაშვილი გამოუშვიათ, აფხაზებს – ვიღაც ემხვარი. ხოლოყაშვილი
ჭაღარა კაცი უოფილა, ემხვარი – უწვერული ჭაბუკი.

ემხვარი ეკვეთა პირველი და ხმლის ამოდება მოასწრო.

„– რას უცდი, ჭაბუკო? – შესძახა ხოლოყაშვილმა.

– უფროსისაგან პირველ მოქნევას ველიო.

გადახვევიან ერთმანეთს ორივენი. იმ დღიდან დამეგობრებულან“.

ქართული მწერლობა იმასაც ვგასწავლიდა, რომ ზნეობა, უმცროს-
უფროსის გარჩევა-პატივისცემა ხმაღმემართულსაც უნდა პქონდეს, მით უმეტეს,
კალამმომარჯვებულს.

მართალია, ცხოვრება მორალურ სენტენციებს არ ემორჩილება და თავის
გზით მიდის, მაგრამ ჩვენ მაინც მოვალენი ვართ, რამდენადაც ძალგვიძს,
ზნეობას არ ვუღალატოთ. სოციალიზმი იმანაც დაღუპა, რომ ზნეობრიობას
განუდგა. მისი მომაკვდინებელი განაჩენი მაშინ დაიწერა, როცა შვილი მამას

ვადპკიდა და მამა – შვილს, დამ – ძმას და ძმა – დანს, ქმარი – ცოლს და ცოლი – ქმარს, მეგობარი – მეგობარს და მეზობელი – მეზობელს. ამით სიუვარულის ის ძაფები დაწვეიტა, რომლითაც იყო შეკავშირებული საზოგადოება უოველ დროში.

სოციალიზმის სახით ჩვენ სიძულვილის დიდი სკოლა გავიარეთ. მის წინააღმდეგ ბრძოლა სიუვარულის აღდგენასაც ნიშნავს. ეროვნულმა მოძრაობამ ჩვენს ხალხს დავიწვეებული სიუვარული უნდა დაუბრუნოს. ამას კი ის უნა სჭირდება, რომელიც, სულხან-საბას დათვისა არ იყოს, ადამიანს სა- მუდამოდ არ დაუკოდავს გულს.

2.

„პერესტროიკა“ დამთავრდა.

9 დეკემბერს გორბაჩოვი ბეწვზე გადაურჩა მოხსნას. მართალია, ოფიციალურ პრესას საზოგადოებისათვის არ უცნობებია, რა მოხდა იმ დღეს სკკპ ცკ პლენუმზე, მაგრამ „მოსკოვსკიე ნოვოსტი“-ში (1989 წ., 17 დეკემბერი) დანიელ გრანინმა მინც შეკვატუობინა საქმის ვითარება.

სკკპ ცკ პლენუმზე გორბაჩოვს უტეკდნენ მემარჯვენეებიცა და მემარცხენეებიც.

მემარჯვენეები ბრალად დებენ სოციალიზმის დარღვევას, ქვეყნის ეკონომიკის სრულ მოშლას, ეროვნულ კონფლიქტებს, აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარ პროცესებს, ვარშავის ხელშეკრულების რღვევას.

მემარცხენეები, პირიქით, იმის გამო ამუნათებენ, რომ გაუბედავად იქცევა. გარდაქმნა არ მიმდინარეობს სწრაფად. იგი ჭიანჭურდება. არ ჩანს სსრკ-ში არსებითი ცვლილება. მხოლოდ ლაპარაკია, რასაც, ჟერჯერობით, საქმე არ მოჰყოლია. პალოზე მიბმული ცხენივით პარტია ერთ წრეში ტრიალებს და წინსვლა არაფერს ეტეობა.

ჩინში მომწვედელი გორბაჩოვი იძულებული გამხდარა ეთქვა: თუ უკვე გაწეული საქმიანობა ამგვარად ფასდება, მზად ვარ გადავდგეო. მაშინ უფრო კონიერნი მიმხვდარან, როგორ გაართულებდა საერთაშორისო ვითარებას გორბაჩოვის გადადგომა და მიუციათ გენერალური მდივნისათვის საშუალება თავადვე გამოესწორებინა გაფუჭებული საქმე.

რა მოხდება ამიერიდან მხელად იწინასწარმეტვეელებს კაცი, მაგრამ შექმნილ ვითარებას რომ ხალრმაჟება, დაკვირვება და გათვალისწინება სჭირდება, ეს კი ცხადია. საქართველო არ ცხოვრობს მოწვევტილად არც მოკავშირე რესპუბლიკებისაგან და არც დანარჩენი მსოფლიოსაგან.

ის, რაც აღმოსავლეთ ევროპაში ხდება, საქართველოსათვის შორეული და უცხო არ არის. ამ მოვლენათა შედეგები უშუალოდ უკავშირდება ჩვენი ქვეყნის მომავალს.

როცა მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა, გამარჯვებული მხოლოდ ორი ქვეყანა – აშშ და სსრკ – დარჩა. გამარჯვებულთა მოკავშირეებიც კი, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, დამარცხებული აღმოჩნდნენ. დაიშალა როგორც დიდი ბრიტანეთის, ასევე საფრანგეთის იმპერიები. ორივე ჩვეულებრივი სახელმწიფოების რიგში ჩადგა. ამ ვითარებით კარგად ისარგებლეს აშშ-მა და სსრკ-მა და მთელი მსოფლიო გაიყვეს. ერთ ნახევარში აშშ ბატონობდა, მეორე ნახევარში კი – სსრკ. მათი ნებართვის გარეშე ცაში ფრინველი ვერ გაჭაჭანდებოდა და დედამიწაზე – ჭიანჭველა. ისინი ათეული წლების მანძილზე შეხმატკბილებული მართავდნენ მსოფლიოს. ერთმანეთს კი იმიტომ ღანძლავდნენ და თათხავდნენ, რომ ჰოლიტიკური ბრიყვები კიდევ უფრო მეტად გაეცუცურაკებინათ და გაეპაპულეებინათ. მაგრამ დროთა განმავლობაში სსრკ თანდათან ჩამორჩა ეკონომიკურად. ისედაც ლატაკი და უპოვარი მთლად დაჩაჩანაკდა და ბოგანო გახდა. ამასთან ერთად, ისიც მოხდა, რომ დამარცხებული და განახევრებული გერმანია ფეხზე წამოდგა, გამარჯვებულებს ეკონომიკური კეტი დასცხო თავში და დაარეტიანა. მთლად სასწაული მოახდინა იაპონიამ, ჰატარა კუნძულებზე შეუყუელმა ხალხმა განსაცვიფრებელი ნიჭიერება, საქმიანობა, ძალა და ენერგია გამოავლინა. ლამის მსოფლიოს ეკონომიკურ ბატონ-ჰატრონად იქცა. მეორე მსოფლიო ომის შედეგად დაქვარებული წონასწორობა დაირღვა და ატორტმანდა. ამ ვითარებაში ვველასათვის აშკარა და ნათელი გახდა, რომ კაპიტალიზმთან ეკონომიკურ ბრძოლაში სოციალიზმი დამარცხდა. ვისაც არსებობა და თავის გადარჩენა სწადია, სოციალიზმს უნდა გამოეთხოვოს და ახალ გზას დაადგეს. და აი, უცბად, თვალისდახამხამებაში, აღმოსავლეთ ევროპაში სოციალიზმის ხუსულა დაინგრა. მაგრამ მომაკვდავმა ურჩხულმა კუდი მანაც მოიქნია და რუმიენტში სისხლის ზღვა დააყენა. არა და არა, არ მოდის თავისუფლება უსისხლოდ.

აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარი ცვლილებები ჰირდაჰირ და უშუალოდ უკავშირდება გერმანიის გაერთიანებას. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გერმანიის გაერთიანებას ეწინააღმდეგებოდა როგორც სსრკ, ისე აშშ და მათი სატელიტები. ორივე მხარემ ზედმიწევნით ზუსტად იცოდა, რომ, თუ გერმანია გაერთიანდებოდა, აშშ და სსრკ განუსაზღვრელ ბატონობას ბოლო ეღებოდა. მთელი მსოფლიო ჩიოდა იმის გამო, რომ ვიეტნამი და კორეა ორად იყო გახლეჩილი, მაგრამ გერმანიის გაყოფაზე არავინ წუხდა. გაერთიანებული ვიეტნამი და კორეა მსოფლიო წონასწორობაში ბევრს არაფერს ცვლიდა. ამი-

ტომ ამ საკითხის გარშემო ვიშვიში ნებადართული იყო. გაერთიანებული გერმანია კი აშშ და სსრკ სანატრელ სტატუსს კვოს თავდაუირა აუენებდა. ამიტომ გერმანიის გაერთიანებაზე ლაპარაკს ორივე გერმანულ სახელმწიფოშიც კი კრძალავდნენ. დიდხანს ეჭირათ კბილებით ეს პრობლემა, მაგრამ მინც არაფერი გამოვიდა. დრომ ეველა და ეველაფერი თავის ადგილას დასვა, ბერლინის კედელიც დაინგრა და ბრანდერბურგის კარებიც გაიხსნა. როგორც ჩანს, გერმანიის გაერთიანება უახლოეს ხანებში მოხდება.

მეორე მსოფლიო ომი რომ დამთავრდა, გერმანია დაანაკუწეს.

სსრკ-მა პოლონეთის მიწა-წყალი მიითვისა და კომპენსაციად აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორია უბოძა.

სუდეთი ჩეხოსლოვაკიას აჩუქეს და კარლსბადს კარლოვი ვარი უწოდეს.

აღმოსავლეთ პრუსია რუსეთმა ჩაიჯობა. კანტის მშობლიურ ქალაქს კალონიგზბერგს კალინინგრადი დაარქვეს. იქიდან გერმანელები პირწმინდად გაასახლეს და ქალაქი რუსებით დაასახლეს. მსოფლიოს ერთი უმძვენიერესი ქალაქი დღესაც ნანგრევებში ავდია.

სსრკ-ს მიერ ჩადენილ ამ დანაშაულს აშშ, ინგლისმა და საფრანგეთმა მაშინვე კვირი დაუკრეს. ის დააკანონეს, რის წინააღმდეგაც თავგამოდებით უნდა ებრძოლათ.

გაერთიანებული გერმანია უთუოდ თავისას მოითხოვს. რა უნდა ჰქნან? თუ ეველაფერს დაუბრუნებენ, რაც წართვეს, მაშინ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუსეთის სახლვრები არსებითად უნდა შეიცვალოს. მშვიდობიანად დათანხმდებიან ამას? თუ არ დათანხმდებიან, მაშინ გერმანია, ალბათ, ძალას მიმართავს. ახალი, მესამე მსოფლიო ომი რეალური საფრთხე გახდება.

მართალია, ეს საფრთხე დღევანდელი არ არის, ცოტა მოგვიანებით გაჩნდება, მაგრამ საქართველომ ეს პრესპექტივა უთუოდ უნდა გაითვალისწინოს. ჩვენ ბევრჯერ მივვიღია მონაწილეობა აქლემების ჩხუბში და კოზაკივით გამოგჭელეტილვართ. მომავალში ასე არ უნდა მოხდეს. პირიქით, აქლემების ჩხუბით უნდა ვისარგებლოთ და საუკუნეებით ნანატრი თავისუფლება მოვიპოვოთ.

დღევანდელ ვითარებაში არც აშშ ჰანამაში შეჭრა უსიფათო მოვლენა. ამით აშშ ხომ არ აძლევს სსრკ დასტურს აღმოსავლეთ ევროპაში ჯარისა და იარაღის გამოყენებაზე? მალტაზე ეს შეთანხმება ხომ არ მომხდარა?

ეველაფერი ეს შეიძლება ეჭვიანი კაცის ფიქრებად მოგეჩვენოთ, მაგრამ პოლიტიკა ეჭვისა და ვარიანტების გათვლის თვინიერ არ არსებობს. ოღონდ ეს კია, ეჭვის მონა არ უნდა გახდე, თორემ საკუთარი გამოჩანჯონის მსხვერპლად იქცევი.

ფრიად საუურადღებო და დამაფიქრებელი მოვლენა იყო 1989 წელს აფხაზეთა და ოსთა გამოსვლა ქართველთა წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ეველამ კარგად იცის, და მათ შორის მეც, რომ ეველა აფხაზი და ოსი არ მტრობს ქართველს. ერთგულიც ბევრია. მაგრამ ჩვენ ის უნდა გაფარკვიოთ, ორგულობა რამ გამოიწვია. არის ჩოჩქოლი, ბუზღუნი, უკმაყოფილება: რატომ არ არის დაწერილი ისტორიული გამოკვლევანი, წიგნები, რომელნიც ხალხს გააგებინებდა – რა როგორ იყო, რა როგორ მოხდა. ცხადია, ამგვარი წიგნები საჭიროა და აუცილებელი, მაგრამ მათი არსებობა კონფლიქტს მანაც ვერ აგვაცდენდა. საქმე ის განლაგეთ, რომ ახლა, როცა სსრკ ინგრევა, ეველა ეძებს გადარჩენის გზასა და მომავალი ცხოვრების ფორმას. ბუნებრივია, ეძებენ აფხაზებიც და ოსებიც. მათ წინაშე მარტივი ამოცანა დგას: ვილაცას უნდა მიემხრონ და ვილაცასთან ერთად უნდა იუვენენ. მათ არ სწამთ, რომ დამოუკიდებელი არსებობა შეუძლებათ. ამიტომ მფარველი უნდა აირჩიონ. ეს მფარველი შექმნილ ვითარებაში ან ქართველი უნდა იყოს, ან – რუსი. ისინი ადარებენ, სწონიან, ირჩევენ – ვინ სჯობს, ქართველი თუ რუსი? და სრულიად მკაფიო დასკვნას აკეთებენ – უკეთესია რუსთან ეოფნა. რუსეთი დიდია, ღონიერი, მას ვერავინ დაჩაგრავს, ვერ მოფრევა. საქართველო ჰატარაა, უძღურია. კაცმა არ იცის, მოიპოვებს თუ ვერა დამოუკიდებლობას. თუ მოიპოვებს, შეინარჩუნებს თუ ვერა. რატომ ვეძმით საეჭვოსა და საორჭოფოს? ის არ სჯობს, იმას ვუერთგულოთ, იმას ვედგეთ გვერდით, ვინც ძლიერია, ვისაც არავისი ეშინია? მით უფრო, რომ აფხაზიცა და ოსიც კარგა ხანია გადასახლდნენ რუსულენოვან სამეაროში და არსებითად რუსი ერის ნაწილი განდნენ.

დააკვირდით, ქართველებს ერთგულობენ და საქართველოს იცავენ ის აფხაზები და ოსები, რომელნიც ქართულ ენას ფლობენ, ე.ი. ქართული კულტურული სამეაროს წევრები არიან. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ეველა დროში, ეველა ხალხის შემკავშირებელი დედაბი ენა იყო და არის, სანამ აფხაზისა და ოსისათვის ქართული ენა იყო მწიგნობრობის, სახელმწიფოს, რელიგიის ენა, ისინიც ქართული ეროვნული სამეაროს ნაწილად თვლიდნენ თავს. როგორც კი ქართული რუსულმა შეცვალა და მწიგნობრობის, სახელმწიფოს, რელიგიის ენად აფხაზისა და ოსისათვის რუსული განდა, ისინი რუსულ ეროვნულ სამეაროში გადასახლდნენ და ქართული არათუ დაივიწყეს, მტრადაც მოეკიდნენ.

ქართული ენა აღარ არის აფხაზისა და ოსისათვის განათლების, კულტურის, რელიგიის, სახელმწიფოს ენა. ქართული შეცვალა რუსულმა, რასაც მოჰყვა აფხაზისა და ოსის ეთნიკური გაუცხოება. ახლა ეს გაუცხოებული ადამიანები მტრობენ საქართველოს. სიტყვა „მტერი“ მოულოდნელად არ წამომ-

ცდენია. აფხაზთა და ოსთა გარუსებული ნაწილი მტერია ქართველი ხალხის. არ არის საჭირო ვაუთავებელი ლაპარაკი ძმობაზე, მეგობრობაზე, წარსულ კეთილ ურთიერთობაზე. ამას დღეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. განა ცოტა უოფილა შემთხვევა, როცა ადამიანები სიუვარულით დაქორწინებულან, მაგრამ გასულა ხანი და ერთმანეთის დაუძინებელი მტრები გამხდარან? ასე მარტო ჰიროვნებებს შორის არ ხდება. ასე ერებს შორისაც ხდება.

მტრები ვართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთო ენის გამოძებნა არ შეიძლებოდეს. ჭკუა მტერსაც უნდა ეყოს. ის გზები უნდა მოიძებნოს, რაც ერთად ცხოვრების საშუალებას მოგვცემს. რადგან სხვა გამოსავალი ჩვენ (ქართველებს, აფხაზებს, ოსებს) არა გვაქვს.

ის ქართველიც უსაშველოდ გულუბრველოა და მიაძიტი და ის აფხაზიც, ვინც ფიქრობს, რომ აფხაზეთი შეიძლება გადაიუვანონ რუსეთის ფედერაციაში. რად სჭირდება ეს რუსეთს? დღესდღეობით განა მთელი საქართველო რუსეთის ნაწილი არ არის? ეს ხომ იგივეა, კაცს ერთ ჯიბეში ასი მანეთი ედოს, მეორე იმ ას მანეთს ათი მანეთი მოაკლოს და მეორე ჯიბეში ჩაიდოს. თან ის მეორე ჯიბე ფულით ჰქონდეს გამოტენილი. შიგ ნაირ-ნაირი ჩუვაში, უაღმუხნი, მორდვა, ბაშკირი, თათარი, კომი, უდმურტი და ა.შ. ხალხი ეწეოს! რუსეთს აფხაზთა ჰოზიცია საქართველოში სჭირდება, თორემ თავად რუსეთში მათი არსებობა კაციძვილს არ გაახსენდება ისევე, როგორც არ ახსოვთ აფხაზებს ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი ხალხების არსებობა.

აფხაზთა ოპოზიციით რუსეთი ქართველთა ეროვნულ მოძრაობას აფერხებს, აბრკოლებს, წინააღმდეგობას უქმნის. ჩვენ, როგორც ემოციური ხალხი, თან საუკუნეების მანძილზე დაჩაგრული და დაბეჩავებული, ანკესზე უცბად ვეგებით და დაუოვნებელი რეაქციას ვიძლევი. უურადლება ძირეული საგნიდან უმნიშვნელოზე გადავვაქვს. ეს ეროვნული მოძრაობის შეფერხებას იწვევს. რუსეთსაც, მოცემულ დროში, მიზანი მიღწეული აქვს.

ქართველმა უნდა იცოდეს, რომ იგი აფხაზეთიდან აფხაზებს ვერ განდევნის.

აფხაზებმაც უნდა იცოდეს, რომ იგი აფხაზეთიდან ქართველებს ვერ გამოადევნებს.

აფხაზეთში ქართველობა და აფხაზობა ერთად ცხოვრობდნენ იმ დღიდან, რაც მიწის ეს მონაკვეთი გაჩნდა და არსებობა დაიწყო. ასე იქნება მომავალშიც.

რაკი ღმერთმა ერთად ცხოვრება დაგვიწესა, როგორადაც უნდა გვძულდეს ერთმანეთი, ამ ერთად ცხოვრების ფორმები და საშუალებანი უნდა მოვძებნოთ. ამის ძებნაში უნდა დავხარჯოთ ჭკუა და გონება.

დღეს იქნება თუ სვალ, საქართველო დამოუკიდებელი გახდება. ჩვენც რომ არ მოვიზიდოთ ეს, მაინც ასე იქნება. ეს ისტორიული პროცესის გარდაუვალი შედეგია. ამიტომ ქართველობა კარგად უნდა იყოს ამ დღისათვის მომზადე-

ბული. აფხაზებიც უნდა მოემზადონ. ენერგია და ჭკუა იმ ფორმების მოსაძებნად უნდა გამოიყენონ, როგორც მათ დამოუკიდებელ საქართველოში სურთ არსებობა. მართალია, ზოგიერთი ისტორიკოსისაგან მოტყუებული აფხაზები დღეს აგინებენ და ლანძღავენ დემოკრატიული საქართველოს მთავრობას (1918-1921 წწ.), მაგრამ ნუ დაავიწყდებათ, რომ სწორედ ამ მთავრობამ მიანიჭა მათ ავტონომიურობის უფლება (იხ. „საქართველოს კონსტიტუციის პროექტი“, 1920 წ., მუხლი 120). უმადურობა არ არის კარგი თვისება. არც ჭკუის ნიშანია.

ის, რაც დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციაში წერია, მკაფიოდ და ნათლად მოწმობს იმას, რომ ქართველობა არასოდეს უოფილა რომელიმე ხალხის თავისუფლების წინააღმდეგი. ეს ასე იყო და ასეა დღესაც. ასე იქნება მომავალშიც. ამიტომ ქართველი არც აფხაზის თავისუფლებას ებრძვის. ოღონდ გასარკვევია ერთი რამ – რისთვის იბრძვის აფხაზი?

თუ რუსი-აფხაზი ებრძვის ქართველ-აფხაზს და მთელ საქართველოს იმისათვის, რომ არ დაირღვეს სსრკ-ის მთლიანობა, არ გახდეს საქართველო დამოუკიდებელი, მაშინ ქართველობას სრული უფლება აქვს ჩათვალოს რუსი-აფხაზები მტრებად და მოექცეს მათ ისე, როგორც ამას დუშმანი იმსახურებს.

თუ აფხაზი ამბობს – არც საქართველო, არც რუსეთი, არც თურქეთი და იბრძვის თავისუფალი აფხაზური სახელმწიფოს შესაქმნელად, მაშინ ჩვენ ამას დიდი გულითხეობით და თანაგრძნობით უნდა მოვუვიდოთ. უოველ ხალხს აქვს უფლება ითხოვდეს თავისუფლებას. როგორ და რანაირად უნდა შეიქმნას თავისუფალი აფხაზური სახელმწიფო, ეს სხვა საკითხია. ამას მოფიქრება, სჯაბაასი, გადაწყვეტა სჭირდება. ხომ არსებობს ჰაწია სახელმწიფოები – ლისტენ-შტაინი, სან-მარინო, ანდორა და სხვანი. ამგვარი ავტონომიური მმართველობა საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოს არაფრით ემუქრება და არც ქართველი-აფხაზების უფლებებს ზღუდავს.

მაგრამ, როგორც ითქვა, ეს პრობლემები გასარკვევია, რაკი აფხაზთა დღევანდელ გამოსვლებს მოსკოვის მიერ ინსპირირებული აგენტურის შინაარსი აქვს. ქართველთა დამოუკიდებლობაც ისეთია, როგორც აგენტურას შეეფერება.

დაახლოებით იგივე ითქმის ოსებზეც, მაგრამ არის სპეციფიკური განსხვავებაც.

რა სპეციფიკურობას ვგულისხმობ?

სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდე, უნდა გავიხსენოთ ის, რომ ვერც სსრკ-ის კონსტიტუციაში და ვერც საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში ვერ იპოვით განმარტებას – როდის, როგორ, რა პირობით, რა უფლებით შეიძლება მიიღოს ამა თუ იმ ხალხმა ავტონომიურობა. ეველა საბჭოური ავტონომია შექმნილია სსრკ-ის იმდროინდელ მმართველთა გუნება-განწყობილების შესაბა-

მისად. რა თქმა უნდა, ამ გუნება-განწყობილებას საფუძვლად პოლიტიკური მიზანი ედო: სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკებში – სხვადასხვა. საქართველოში, მაგალითად, ავტონომიებს დაუოფნებულნი მოქმედების ბოძის ფუნქცია უნდა შეესრულებინა. შეასრულა კიდევ. იმ დროს აფეთქდა, როცა ეს მოსკოვს სჭირდებოდა.

ამიტომ რა კანონის, რა წესის შესაბამისად მიიღეს ოსებმა საქართველოში ავტონომიური ოლქის სტატუსი, ამას ვერაფერს ვეტყვით.

ოსები საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა არ არის, ისინი ჩამოსახლებული ხალხია. რა დროიდან, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ჩამოსახლებულ ხალხს თავისი პოლიტიკურ-იურიდიული უფლებები აქვს. მიუხედავად იმისა, დიდი ხნის წინათ ჩამოსახლდნენ ისინი, თუ ცოტასი. მაგრამ აქვთ კი ოსებს ავტონომიური ოლქის სტატუსის უფლება? ზასუსის მიუკიბ-მოუკიბავად შეიძლება ითქვას, რომ – არა. ვეულა დროში და ვეულა ქვეყანაში, წინათაც და ახლაც, ავტონომია ეძლევა იმ ხალხს, რომელიც მოცემული ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობაა, მაგრამ, ისტორიული ჰერიპეტების შედეგად, სხვა უფრო მრავალრიცხოვანი სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. როცა ესპანეთის ერთიანი სახელმწიფო უაღიბდებოდა, ბასკეთი მის შემადგენლობაში შევიდა. რაკი ბასკები ბასკეთის მოცემული ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობაა, მათ სრული უფლება აქვთ ავტონომიისა. მაგრამ ესპანეთში მოსახლეებრაელობას მისი არამკვიდრობის გამო, ავტონომიის უფლება არა აქვს. თუმცა ებრაელებმა ესპანეთის ისტორიულ-კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულეს.

რაკი ოსები შიდა ქართლის მკვიდრი მოსახლეობა არ არის, მათთვის ამ ტერიტორიაზე ავტონომიური ოლქის სტატუსის მინიჭება ქართველი ხალხის სუვერენული უფლების სრული დარღვევაა. ოსებისათვის ავტონომიის მინიჭება იურიდიულად განსაკუთრებით საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის დაკანონება. სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს ისეთივე ოკუპაციაა, როგორც რუსეთის მიერ აღმოსავლეთ ჰრუსიისა და კაონისბერგის დაპყრობა-მითვისება.

ეს არის ის სპეციფიკურობა, რომელიც განსათვალისწინებელია ოსთა პრობლემის გადაწყვეტისას. მამ რისი უფლება აქვთ ოსებს? მათ აქვთ კულტურული ავტონომიის უფლება. მათ აქვთ უფლება დაიცვან ოსური ენა, ოსური მწიგნობრობა, ოსური სკოლა, ოსური წმენ-ჩვეულება, ოსური ხალხური სიმღერა-ცეკვა და ა.შ. ამ უფლების ხელმეუხებლობის გარანტიას მათ საქართველოს კონსტიტუცია უნდა აძლევდეს.

ამიტომ ავტონომიური რესპუბლიკის მოთხოვნა ოსთაგან არა მარტო უკანონობაა, არამედ თავსედობაც.

ასევე უკანონობაა, უფრო მეტიც, – საქართველოს ტერიტორიის

მითვისების ცდა, – ჩრდილოეთ ოსეთთან შიდა ქართლის (ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“) მცურების მოთხოვნა. ერთიანი, კავკასიის ქედზე ხურჯინივით გადაკიდებული ოსეთი (როგორც ოს ჰოეტებს უუვართ ამის თქმა) არასოდეს არსებულა და არც იარსებებს, რაკი ანტიბუნებრივი მოვლენაა. ჩრდილოეთით კავკასიონი საქართველოს ბუნებრივი საზღვარია. რაც მის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს, ქართველი ხალხის საკუთრებაა.

ქართველი ხალხი არასოდეს ეოფილა წინააღმდეგი ოსური ეროვნული სახელმწიფოს შექმნისა და არც არასოდეს იქნება (პირიქით, რამდენადაც შეუძლია, დაეხმარება კიდევ), მაგრამ იქ, ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ამის ისტორიული და ნაციონალური უფლება აქვთ ოსებს. რაც შეეხება შიდა ქართლს, იგი საქართველოს გულია და მის დათმობას ქართველები არ აპირებენ. ჩვენ ისედაც დიდი ტერიტორია დაგვარგეთ და სასჯელად ესეც გვეუფა.

5.

1989 წელს ცხარე სჯა-ბაასი იყო გამართული სამხრეთ საქართველოდან გასახლებული თურქების ბედის გამოც.

ამთავითვე უნდა მოგახსენოთ, რომ 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში მეც იმათ შორის ვიყავი, ვინც გასახლებულთა დაბრუნებას ითხოვდა. ვიყავი იმიტომ, რომ მჯეროდა იმ ისტორიკოსების, რომელნიც გვარწმუნებდნენ, რომ სამხრეთ საქართველოდან გასახლებული თურქების ძირითადი ნაწილი ქართველები არიან, ოღონდ გამაჰმადიანებულიო. ზოგიერთი მათგანი ეროვნებასა და სარწმუნოებას ერთმანეთისაგან ვერ არჩევს და ამიტომ თავს თურქად თვლისო.

მერე პრობლემა თავად შევისწავლე და სრულიად სხვა სურათი აღმოვაჩინე. ჯერ ერთი, გასახლებულთა დიდი უმრავლესობა ეროვნებითაც და სარწმუნოებითაც თურქია და, მეორეც, ის მცირე ნაწილიც, რომელიც წარმომავლობით შეიძლება ქართველი იყოს, სარწმუნოებითა და ეროვნული ცნობიერებით თურქია.

და მაინც, არც მაჰმადიანობისა და არც თურქობის გამო, მათი უკან დაბრუნების წინააღმდეგი არ ვიქნებოდით, ან კი როგორ ვიქნებოდით, როცა ქართველი ხალხის ერთი ნაწილი მაჰმადიანობის აღმსარებელია – აჭარლები, ინგილოები, ფერეიდნელები, ისტორიული ტაო-კლარჯეთის მოსახლეობა. ეს ერთი. მეორეც, პირადად მე ისლამი ისეთივე სწეობრივ და პატივსაცემ რელიგიად მიმაჩნია, როგორც ქრისტიანობა. ოღონდ ის კი უნდა აღვნიშნო, რომ მაჰმადიანობა ქართველის ბუნება-თვისებას არ მოერგო. მაჰმადიანობამ არაბეთში უზარმაზარი კულტურა შექმნა. ასევე სპარსეთში, თუმცა იქ იგი მიტანილი და ძალით გავრცელებული რელიგია იყო. მართალია, ირანის უკანასკნე-

ლი მაჰი თვლიდა, რომ სპარსეთი მაჰმადიანობამ ჩამოარჩინაო, მაგრამ ფაქტია: მაჰმადიანური ირანული კულტურა მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა. სამხრეთ ესპანეთშიც ისლამმა უმაღლესი კულტურული მემკვიდრეობა დატოვა. მხოლოდ საქართველოში არ მომხდარა ასე. თუმცა მაჰმადიანობამ ვრცელი ტერიტორია მოიცვა ჩვენში: ტაო-კლარჯეთი, აჭარა, მესხეთ-ჯავახეთი, საინგილო (ანუ ჰერეთი), აფხაზეთი. ეს ტერიტორია სწორედ ის არის, სადაც ქართული ქრისტიანული კულტურა ჰევაოდა. მაგრამ ამ ვრცელ ტერიტორიაზე, აქტიურად შემოქმედ ხალხში (ამ ხალხმა მოკვცა კრიგოლ ხანძთელი, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელეები, ბექა და ბექუქენ ოპიზრები, შოთა რუსთაველი, აბუსერიძე ტბელი და სხვანი) ისლამს არაფერი შეუქმნია რამდენიმე საუკუნის მანძილზე. ქართული ისლამური კულტურა არ არსებობს. ამის ახსნა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ მაჰმადიანობა და ქართული ეროვნული ბუნება-თვისება ერთმანეთს ვერ მოერგო, ვერ შეეთვისა. ალბათ, არსებობს კანონზომიერება: ესა თუ ის რელიგია მაშინ უწეობს ხელს ეროვნული კულტურის აღორძინება-აყვავებას, თუ ნაციონალური ბუნება-თვისებისა და რელიგიის ხასიათის შეთვისება-შეკრება შესაძლებელია.

არც თურქობის გამო ებრძვის ვინმე სამხრეთ საქართველოდან გასახლება-ბულებს. შეიძლება მეძლება, მაგრამ მე არ ვიცი ქართული ხალხური ლექსი ანტითურქული მინაარსისა. ლექსი, მიმართული თურქის წინააღმდეგ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყნობიერად ჩვენი ერთი უოველთვის განასხვავებდა ხალხს და მთავრობას. სულთანატი მას თურქ ხალხად არასოდეს მიუჩნევია. თუკი XVII-XVIII საუკუნეებში გაწამებულ ქართველობას, თუნდაც ქვეყნობიერად, ასეთი მაღალი ეროვნული შეგნება ჰქონდა, დღეს რატომ უნდა დავიწყებოდა იგი? არც დავიწყებია. მაგრამ საქმე ის განხლავთ, რომ ისინი, ვინც სამხრეთ საქართველოდან გასახლებულ თურქებს თავაკაცობენ, არიან საქართველოსა და ქართველი ხალხის მტრები, ჰანთურქიზმის იდეის ფანატიკურად ერთგულნი. ეს თავაკაცები უბრალო ხალხი არ არის. მათ ისტორიაც ჩინებულად იციან (სამწუხაროდ, ბევრად უკეთ, ვიდრე ჩვენ), სამხრეთ საქართველოში დღეს არსებული ვითარებაც და ისიც – რატომ უნდათ დაბრუნება და რა მიზნით (რა მიზნები აქვთ სსრკ-ში მოსახლე თურქებს, ეს სრულიად დაუფარავად, მკაფიოდ და ნათლად გამოთქვა აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის წარმომადგენელმა. ვისაც ეს ანტიერესებს, შეუძლია წაიკითხოს 1989 წლის 23 დეკემბრის გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებული საუბარი – „კავკასია (ცეცხლში)“. ამ თავაკაცებისა სწამთ სამხრეთ საქართველოდან გასახლებულ თურქებს. ენდობიან მათ. ამიტომ ჰანთურქიზმის იდეა მარტო მეთაურებს შორის კი არ ტრიალებს, არამედ მთელ ხალხში. ჰანთურქიზმი საერთო-სახალხო იდეაა და ამდენად დიდი ძალის მქონე. რა შეგვიძლია ჩვენ დაუპირისპიროთ ჰანთურქიზმს? არაფერი. ოდესღაც ქართველებს ჰქონდათ მესიანიტური იდეა, რომელითაც იგი ებრძო-

და მოზღვავებულ მტერს. დღეს ასეთი იდეა არა გვაქვს. ამიტომ ჰანთურქიზმის იდეით მოსული ხალხი უდიდეს და უძლიერეს საფრთხეს წარმოადგენს ჩვენთვის. მით უფრო, რომ გვიტყევენ სხვადასხვა მხრიდან. გვაბრალევენ იმას, რაც ჩვენს ხალხს არასოდეს ჩაუდენია. თუნდაც „ლიტერატურნაია გაზეტას“ 27 დეკემბრის (1989 წ.) ნომერი ნახეთ. სტატიაში – „როგორ ვიპოვოთ გამო-სავალი?“ – ქართველ ხალხს იმას სწამებენ, რასაც ჩვეულებრივ ნაციზმს სდებდნენ ბრალად. რამ გამოიწვია ეს საყოველთაო სიძულვილი ქართველი ხალხის მიმართ? კარგად ორგანიზებულმა პროპაგანდამ. ცარიზმის დროს, რაც კატკოვმა და K⁰ ვერ მოახერხეს, დღეს ის შეძლეს სოციალისტური რუსეთის ქურნალისტებმა: შექმნეს ქართველი ერის იმიჯი – „პატარა იმპერია“, ჰაწია-ჰაწია ერების მღვანელი, მზავრელი, ნაციონალისტი (ამ სიტყვის ნაციონალური გაგებით). ამ იმიჯის შესაქმნელად გამოიყენეს აფხაზები, ოსები, გასახლებუ-ლი თურქები. რუსული საბჭოური პროპაგანდის მიხედვით, ვითარება ასეთია: ერთი მხრივ არიან მცირერიცხოვანი აფხაზები და ოსები, რომელთაც, თურმე, ოთხი მილიონი ქართველი ემუქრება ასიმილაციით და, მეორე მხრივ, თურქები, რომელნიც უსამართლოდ აპყარეს და გადაასახლეს. ახლა კი უარს ეუბნებიან შინ დაბრუნებაზე.

არავის აინტერესებს, არავის სვამს კითხვას: თუ ქართველები ასეთი საშინელი ხალხია, როგორღა მოახერხეს დამწერლობისა და მწიგნობრობის უქონელმა აფხაზებმა და ოსებმა, საუკუნეების მანძილზე, ენის, ზნე-ჩვეულებე-ბის, ეროვნული სახის შენარჩუნება? ისინი ხომ მუდამ საქართველოს სამეფოს საზღვრებში ცხოვრობდნენ? რატომ არ გააქართველა ისინი ქართულმა სამე-ფო კარმა და ქართულმა ეკლესიამ? თურქისაგან საქართველოს ბოროტების მეტი არაფერი ახსოვს, მაგრამ ქართველთაგან აწიოკებული თურქები ისტო-რიამ არ იცის. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ პროპაგანდის ამოცანა სიმართ-ლის გარკვევა კი არ არის, არამედ – პოლიტიკური დავალების ასრულება. პოლიტიკური დავალება კი ითხოვს: ქართული ეროვნული მოძრაობა უნდა ჩაიშალოს. ეს უნდა მოხდეს არა გარედან – ძალდატანებით და იარაღის გამო-ყენებით, არამედ – შიგნიდან, აფხაზთა, ოსთა და სამხრეთ საქართველოდან გასახლებულ თურქთა მოშველიებით. საჭიროა აფხაზთა, ოსთა, თურქთა ამოძრავება და მეორე პროპაგანდისტული მანქანის ამუშავება, რის შედეგადაც დაიხატება სურათი: ქართველი კი არ არის საკუთარი მიწა-წყალზე დაჩაგრუ-ლი და უფულებო, არამედ თავად იცა სხვათა, უფრო მცირეთა და უღონოთა, შემავიწროებელი, მზავრელი და მეუღლეელი.

ეს სცენარი ძველია და, საჭიროებისდა მიხედვით, შეიძლება ავტომა-ტურადაც ამოქმედდეს. სხვათა შორის, ზუსტად ასე ებრძოდნენ დემოკრატიულ საქართველოსაც.

კარგად ცნობილია აფხაზეთის აჯანყება 1918 წლის აპრილ-მაისში. რას

ისახვდა იგი მიზნად? საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას არა მარტო აფხაზეთში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში. ეს იყო ამბოხება, რომელიც მოეწეო რუსი ბოლშევიკების დავალებით. რუს ბოლშევიკებს ჩინებულად ჰქონდათ დამუშავებული დაპრობის ელემენტარული გეგმა: დაიქირავენდნენ ადგილობრივი ბოლშევიკებს. მოაწობდნენ აჯანყებას. მერე შემოდირდა წითელი არმია „დასახმარებლად“, ცხადია, ადგილობრივი ბოლშევიკების მოწვევით. ასევე უნდა მომხდარიყო 1918 წლის აპრილ-მაისში აფხაზეთშიც. მაგრამ მაშინ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, წითელ არმიას თავად უჭირდა ჩრდილოეთ კავკასიაში. დენიკინის მოხალისეთა ჯარი უტევდა და ბოლშევიკებს ასტრახანისაკენ მიერეკებოდა. რაკი დამხმარე არ აღმოჩნდათ, აჯანყება დამარცხდა.

აფხაზი პროპაგანდისტები ტუეილად წამებენ ცილს დემოკრატიულ საქართველოს მთავრობას ამ აჯანყების ჩაქრობაში. ამბოხება არსებითად 1918 წლის 17 მაისს დამთავრდა, როცა სოხუმი ამიერკავკასიის სეიმის ჯარებმა დაიკავეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა კი 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა. მაგრამ აფხაზ პროპაგანდისტებს რას ვერჩით, როცა ქართველი ისტორიკოსებიც ამტკიცებდნენ – ამიერკავკასიის სეიმმა აჯანყების ჩასაქრობად ჯარი ქართველი მენშევიკების წაქეზებით წარგზავნა.

მეორე ფაქტიც გავისხენოთ. 1919 წელს საქართველოსა და თურქეთს შორის ომი იყო (ასე წერია ისტორიულ ნარკვევებში და მხატვრულ თხზულებებშიც). მაგრამ ეს მართალი არ არის. მაშინ თურქეთს საქართველოსთან საომრად არ უცალა. იგი პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა. მისი იმპერია დაიშალა. თურქეთის იმპერიის ქვეყნები ანტანტის სახელმწიფოებმა გაინაწილეს და ამასვე უპირებდნენ თავად თურქეთსაც. ცენტრალურ ანატოლიაში ბერძენთა ჯარი შეიჭრა. თურქეთის არსებობა ბეწვზე ეკიდა. ამ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას საქართველოსთან ომი როგორღა შეეძლო? მაშ ვინ ებრძოდა საქართველოს? ებრძოდა ხელოვნურად შექმნილი „სახელმწიფო“, რომელსაც სახელად „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის ტერიტორია“ ერქვა. ამ სახელმწიფოს ცენტრი უარსი განლდათ. იგი შედგებოდა იმ ტერიტორიისაგან, რომელიც ისტორიულად ქართველთა და სომეხთა მიწა-წყალს წარმოადგენდა. ძირითადი მოსახლეობაც გამაჰმადიანებული ქართველები, სომეხები და თურქები იყვნენ. სწორედ „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის ტერიტორია“ დაესხა თავს მაშინ საქართველოსა და სომეხებს, როცა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები დაიკავეს, ორივეს მმართველად სარჯარ-ბეგი ქობლანელი დანიშნეს. ეს სარჯარ-ბეგი ჯაყელთა საგვარეულოს შთამომავალი განლდათ. შავი დღე დააუენეს მაშინ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების მოსახლეობას „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის ტერიტორიის“ ჯარებმა. მაგრამ მალე ქართულმა არმიამ შემოსული მტერი დამარცხა და განდევნა.

ვინ შექმნა ეს ხელოვნური „სახელმწიფო“? დღემდე გვეუბნებოდნენ, რომ

ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების ხელშეწყობით ჩამოყალიბდაო. მადლობა ღმერთს, ახლა მართლის თქმა დაიწყო. ბოლოს და ბოლოს, უეჭველად იტყვიან, რომ „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის ტერიტორია“ მოსკოველი ბოლშევიკების დახმარებით შეიქმნა. იარაღსაც იქიდან იღებდნენ. მას ორ ამოცანას უსახავდნენ:

პირველი, „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის ტერიტორიას“ დესტაბილური ვითარება უნდა შეექმნა დამოუკიდებელ საქართველოში. გათვალისწინებული იყო ქართველთა ტრადიციული შიში თურქეთის მიმართ. ნაფარუდევრი იყო, რომ დამფრთხალი საქართველო იმულებული შეიქნებოდა ისევ რუსეთისათვის ეთხოვა შეველა და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საკითხიც საბოლოოდ გადაწყდებოდა.

მეორე, „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის ტერიტორია“ უნდა გამხდარიყო ზღაპრადარმი ბოლშევიკური რუსეთისათვის თურქეთში ანტანტის ქვეყნების წინააღმდეგ. მაგრამ ქემაღ ათათურქის მიერ მოწოდებული რევოლუციის გამარჯვებამ ვითარება შეცვალა. გამოგონილი „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის ტერიტორია“ საჭირო აღარ დარჩა. იგი საპნის ბუშტივით გაქრა. ქემაღისტური თურქეთი მაშინვე ბოლშევიკური რუსეთის მოკავშირე გახდა.

მაგრამ „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის ტერიტორიამ“ თავისი ამოცანა საქართველოს მიმართ მაინც შეასრულა. საქართველოს არამყარი დამოუკიდებლობა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

მერე ამ ამბებს ოსთა აჯანყება მოჰყვა 1920 წელს. ესეც რუსი ბოლშევიკების დავალებით მოეწყო. აქაც ძველი ჩანაფიქრი უნდა განხორციელებულიყო. აჯანყებულების „დასახმარებლად“ წითელი არმია უნდა მოეწვიათ. მიზნები ამბოხებულებს არ დაუმაღავთ. ღენინს დეჰეშით ატეობინებდნენ:

„სამხრეთ ოსეთის მშრომელები ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე აშკარა ბრძოლას აწარმოებენ მენშევიკური საქართველოს მთავრობასთან. მენშევიკური საქართველოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთი არანოდეს არ შესულა და არც შედის. სთვლის რა თავის თავს საბჭოთა რუსეთის განუყოფელ ნაწილად“ (ციტირებულია ს.ბერიძის წიგნიდან „1917-1921 წლები საქართველოში“, 1941 წ., გვ. 247).

მაგრამ ბოლშევიკთა განზრახვა ვერც ამჯერად განხორციელდა. დემოკრატიული საქართველოს მთავრობამ მოახერხა წესრიგის აღდგენა.

უოველივე შემოთქმულიდან გამოძინარე დასკვნა ის ვახლავთ, რომ დემოკრატიული საქართველოს დესტაბილიზაციისათვის და დასამხობად ბოლშევიკები სამ ფაქტორს იყენებენ – აფხაზებს, ოსებს და სამხრეთ საქართველოში მოსახლე თურქებს.

თუ ეს არ გავითვალისწინეთ, შეიძლება საბედისწერო შეცდომა მოკვივიდეს.

ისიც კარგად უნდა გვანსოვდეს, რომ კონფლიქტი – ქართველი და აფხაზი, ქართველი და ოსი, ქართველი და გასახლებული თურქი – მანამ იარსებებენ, სანამ ქართული ეროვნული მოძრაობა ან არ გაიმარჯვებს, ან არ დამარცხდება.

თუ ქართული ეროვნული მოძრაობა გაიმარჯვებს, მაშინ იგი თავად მოავგარებს ამ კონფლიქტს. ჩვენ არავის თავისუფლების წინააღმდეგი არა ვართ. არავის დათრგუნვა მიზნად არა გვაქვს. ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რას ნიშნავს ჩავკრა, რას ნიშნავს არათავისუფლება. იგი ვერ იქნება და არც არის ვისმე (ვინც უნდა იუოს იგი) დაჩავკრის და დამონების მომხრე. როცა მე-4 საუკუნის ჰირველ ნახევარში ქართველი ხალხი ქრისტიანად მოინათლა, მან ამით აღიარა ჰრინციპი – არ არის ელინი და ბარბაროსი. ამ ჰრინციპის საფუძველზე შექმნა ლეონტი მროველმა, მე-11 საუკუნეში, კავკასიის ხალხთა ძმობის იდეა. ქართველი ხალხი ამ იდეის ერთგული იყო, არის და იქნება. ამიტომ, თუ აფხაზები და ოსები თავიანთი ეროვნული ინტერესების დასაცავად იბრძვიან, მაშინ ისინი ჩვენთან ერთად უნდა ეძებდნენ ხსნის გზას. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ისინი სხვათა დავალებას ასრულებენ, რითაც უპირველესად საკუთარ ხალხს უმზადებენ შავ ბედისწერას.

თუ ქართული ეროვნული მოძრაობა დამარცხდება, მაშინ ქართველთა წინააღმდეგ აფხაზური და ოსური ოპოზიცია საჭირო აღარ იქნება. მათ თავში ჩააფარებენ, უკან სოროში შერეკავენ და ხმას გააკმენდინებენ. ისე დაემართებათ, როგორც „არსენას ლექსშია“ ნათქვამი:

ფარსადანს ასე ეკონა, – ჩინს მომცემენ ტემლაკებსა,
იმდენი მამა უცხონდა, რამდენიც იმას მისცესა,
ერთი ოთხიოდ ჰანლური ამოჰკრეს და გააგდესა.

დარჩება უმიზნოდ და უაზროდ დაღვრილი უდანაშაულო სისხლი, რომლის გამო ზნეობრივ ჰასუსხისმკებლობას ვერ აიცდენს ვერც აფხაზი, ვერც ოსი და ვერც ქართველი.

კიდევ უფრო დიდი ოდენობით უაზრო და უმიზნო სისხლის დაღვრის საშიშროების გამო არ გვინდა სამხრეთ საქართველოდან გასახლებული თურქების დაბრუნება. სისხლს ჩვენ კი არ დაუღვრით, ჰანთურქიზმი დაღვრის და ჩვენ მას ვერ ავიცდებით. თურქები ჯიჰადით გვემუქრებიან. ისინი ერთ უბედურ დღეს ამას განახორციელებენ. ამის უტყუარი საბუთია ის, რაც აზერბაიჯანში ხდება დღეს. უსაშველოდ გულუბრველო უნდა იუოს კაცი, რომელიც ფიქრობს, რომ ჰანთურქიზმის გააქტიურება ღოკალური მოვლენაა და მას ტოტალური ხანიათი არა აქვს. ჰანთურქიზმის მიზნების განხორციელებაში სამხრეთ საქართველოდან გასახლებულ თურქებს თავისი მისია აკისრიათ. აქედან მომდინარეობს მათი მტკიცე მოთხოვნა: თურქული ენა, თურქული სკოლა, თურქული

ავტონომია სამხრეთ საქართველოში კომპაქტურად დასახლებული თურქები-სათვის.

ანტიქართული ჯაჭვი იკვრება: ავტონომისტი აფხაზი, ავტონომისტი ოსი, ავტონომისტი თურქი, რომელთა საერთო ხელმძღვანელი და წარმართველია რუსეთი. ეს საქართველოს თავისუფლებას სიკვდილით ემუქრება. ჩვენ დიდი პოლიტიკური გამჭრიახობა, გონიერება, სიმტკიცე, წინდახედულობა, გაბედულება, კონსტრუქციული აზროვნება გვმართებს, ბრძოლა რომ არ წაყავათ.

6.

რუს მათემატიკოს იგორ შაფარევიჩის წიგნი გამოუცია – „რუსოფობია“. თავად წიგნი არ წამიკითხავს, მაგრამ „ფრანგურტერ ალღეგემანე ცაიტუნგში“ (1939 წ., 23 დეკემბერი) გამოქვეყნებული ანდრეი სინიავსკის რეცენზიის მიხედვით, იგორ შაფარევიჩი იმეორებს, თურმე, გერმანული ნაციზმის თეორიას ჰიტლერიდან როზენბერგამდე. მათემატიკოსს რუსოფობიის მედროშეებად გამოუცხადებია მწერლები კორეაინი, ამაღრიკი, გროსმანი, ილფი და ჰეტროფი, ბაბელი, კინორეიისორი ტარკოვსკი, მსახიობები გალიჩი და ვისოცკი.

უცნაურია, თუ ჩამოთვლილი ჰირები რუსოფობები არიან, მაშინ რუსოფილები ვინაა? მხოლოდ რასპუტინი, ბელოვი და ასტაფიევი? მაგრამ მათ ჰებნას თავი დაფანებოთ და თავად რუსოფობიას შევეხოთ.

ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა სრულებით არ ნიშნავს რუსოფობიას. არაფინ აიგივებს რუს ხალხს რუსეთის მთავრობის პოლიტიკასთან. სულ ერთია, ეს მთავრობა სოციალისტური იქნება თუ ცარისტული. არც რუსულ კულტურას აიგივებს ვინმე რუსეთის მთავრობის პოლიტიკასთან. ჰუშკინი ჰუშკინია და იგი არაფის ეშლება ნიკოლოზ ჰირველში, ჩეხოვი ჩეხოვია და იგი არაფის ეშლება სტალინში, ბლოკი ბლოკია და იგი არაფის ეშლება ლენინში, ცვეტაევა ცვეტაევაა და იგი არაფის ეშლება ხრუშჩოვში. მაგრამ ჩვენ, ქართველები ვიქნებით თუ სხვანი, თავისუფლება გვინდა. თავისუფალი ურთიერთობა გვსურს რუს ხალხთან და რუსულ კულტურასთან. ჩვენ გვინდა რუსულ ენას ჩვენი ნებით ვსწავლობდეთ, მალდაუტანებლად, ისე, როგორც ინგლისურს, ფრანგულს ან გერმანულს და არა ჯოხითა და დასჯის მუქარით. ჩვენ გვინდა ჩვენს ბედს თბილისში ვწვევტდეთ და არა მოსკოვში, წუალობის მოლოდინში კრემლის კარებთან ატუზული. ჩვენ გვინდა ისევე თავისუფლად და სრულუფლებიანად ვისხედეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, როგორც რუსეთი ზის. ამა თუ იმ საკითხის გადაწვევტისას ხმას ჩვენი სინდისის თანახმად ვამლევდეთ და არა კრემლის შიშით. ერთი სიტყვით, ჩვენ გვინდა

კვჭონდეს უველა ის უფლება, რაც დღეს აქვს კაცობრიობის უოველ თავისუფალ წევრს.

ნურავინ შეეცდება ჩვენი ეს სურვილი რუსოფობიად გაასაღოს. ამას არც ერთი ჭკუათმოფული კაცი არ დაიჯერებს. მაგრამ იმასაც გულისხმობდა ვამბობთ, რომ სსრკ, როგორც ერთიანი, უნიტარული სახელმწიფო, დრომოჭმული, ანაქრონისტული პოლიტიკური ერთეულია. მისი დაშლა თავისუფალ ეროვნულ სახელმწიფოებად გარდაუვალია. რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესია. ზოგიერთი მრამდიტი უცხოელი, რომელსაც ინიზინჩი არ ეუურება იმისა, რაც სსრკ-ში ხდება, გაკვირვებული კითხულობს: მთელი მსოფლიო ერთიანობისაკენ მიისწრაფვის, თქვენ კი დაშლა გინდათო. ჩვენ თავისუფლება და ეროვნული სახელმწიფოს შექმნა გვინდა. ხოლო მერე თავისუფალი ხალხი გადაწვევტს – როგორი ერთიანობა შეიქმნას. იქნებ უოფილმა მოკავშირე რესპუბლიკებმა იმ ტიპის ერთიანობა შექმნან, როგორიც არის ევროპის სახელმწიფოთა თანამეგობრობა. ანდა სხვანაირი, სრულიად ახალი წეს-წყობა. ამას დრო აჩვენებს.

ჩვენ მკაფიოდ ვხედავთ, საით მიდის კაცობრიობა. იმან, რაც ახლა უნდა ვთქვა, შეიძლება გაკვირვება გამოიწვიოს და ზოგიერთმა საერთოდ არც კი დაიჯეროს, მაგრამ მაინც ვიტყვი.

კაცობრიობა ეროვნულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების გზით ერთიან, საერთო, მსოფლიო ოჯახს ჰქმნის. 21-ე საუკუნეში დედამიწის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი კოსმოსში გადასახლდება. იაპონელებმა უკვე დაიწვეს მთვარის დაპროექტება ადამიანის საცხოვრებლად. მთვარეზე პირველი ხუთი ადამიანი ამ საქმეს უკვე 90-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწვეს („იზვესტია“, 1990 წ., 5 იანვარი). იაპონელებს სხვებიც მიბაძავენ და დაიწება მთვარის საცხოვრებლად ათვისება. როგორც XIV-XV საუკუნეები იყო დედამიწაზე დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ასწლეულები, ასევე იქნება 21-ე ასწლეული დიდ კოსმოსურ აღმოჩენათა დასაწყისი.

მართალია, ბევრი უარყოფს სიცოცხლეს რომელიმე სხვა პლანეტაზე, მაგრამ უოვლად წარმოუდგენელია ამ უკიდუგანო სამეაროში, დედამიწის გარდა, სხვაგან არსად ცხოვრობდნენ გონიერი არსებანი. 21-ე საუკუნეში კაცობრიობას მათთან შეხვედრა მოუწევს. ნუ გავიკვირდებთ და ამის უშუალო საბუთია „მფრინავი თუფშები“ და ის გაუთავებელი სჯაბასი, რასაც ისინი იწვევენ. იმას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ისინი მართლა არსებობენ თუ არა, ანდა ვინმემ ნახა თუ არა რომელიმე „თუფშული“. მთავარია ის, რომ კაცობრიობა რაღაც უცნობ მოვლენაზე აღაპარაკდა. რაც დრო გადის, ლაპარაკი უფრო და უფრო იზრდება. ახლა თბილისის ქუჩებშიც შეხვდებით უამრავ პირდაბრენილ ადამიანს, რომელიც გაოგნებული მისჩერებია მთაწმინდის თავზე რაღაც ჯერცხლისფრად მოციმციმე სხეულს.

«ას ნიშნავს ყოველივე ეს? ადამიანის ცნობიერება ემზადება უცნაურთან და მოულოდნელთან შესახვედრად. ეს შეხვედრა რომ მოუმზადებლად მოხდეს, გამოიწვევს გონების ღიანგურ შერყევას ადამიანთა შორის. ამიტომ მას წინასწარ შეჩვევა სჭირდება.

აბა, დააკვირდით, როგორ ემზადებოდა ადამიანი კასაფრენად. ჯერ მითები (მაგალითად, დედალუსის) და ზღაპრები (მფრინავი ხალიჩა) შექმნა. მერე ცალკეული აპარატები გაკეთდა. მართალია, ისინი ვერ ფრინავდნენ, მაგრამ ადამიანს უნერგავდნენ გაფრენის შესაძლებლობას. მერე ტექნიკურად გახდა შესაძლებელი ფრენა (თვითმფრინავი). ახლა კოსმოსური ხომალდები სერავენ ლაჟვარდს. ასე თანდათან შეეჩვია ადამიანი ფრენის შესაძლებლობას. დღეს იგი ჩვეულებრივი ამბავია და აღარავის აკვირვებს.

ისეთი გონებაფხიზელი, გაბედული, მრავლისმცოდნე და მრავლისმხილველი კაცი, როგორიც მარკო პოლო იყო, თავის მოგზაურობათა წიგნში ძაღლისთავიან ადამიანებზე გვიამბობს. რა, მან არ იცოდა, რომ ასეთი ადამიანები არ არსებობდნენ? რა თქმა უნდა იცოდა, მაგრამ იმდროინდელი საზოგადოების მომზადება იყო საჭირო იმ დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა შესახვედრად, რომელიც ძველი სამეაროს ადამიანებს ელოდა. წინასწარ არავინ უწყოდა, რას შეხვედებოდნენ და ადამიანის გონება ეველადფრისათვის უნდა ყოფილიყო მზად.

როგორც მარკო პოლოს არ უნახავს ძაღლისთავიანი ადამიანები, ისე არავინ შეხვედრია „თუფშელს“, მაგრამ ეს არ არის არსებითი. არსებითია ის, რომ ზოგიერთი ადამიანის ცნობიერებაში არსებობს ეს შეხვედრა. როგორც ითქვა, ამით ემზადება დღეს კაცობრიობა უცხოპლანეტეონთან ურთიერთობისათვის.

ის, რაც დღეს ცნობიერებაში არსებობს, 21-ე საუკუნეში რეალობა იქნება. ამ რეალობას იმპერიები არ შეეფერება. მას თავისუფალი ერების საკაცობრიო ოჯახი შეესაბამება. ეროვნულად, პოლიტიკურად, სოციალურად თავისუფალი დედამიწა უნდა შეეგებოს კოსმოსიდან მოსულ, უცნობი ცივილიზაციის წარმომადგენელს. კოსმოსშიც თავისუფალი მიწიონები უნდა დასახლდნენ.

7.

ამ ერთი წლის მანძილზე ეროვნული მოძრაობის დიპაზონი ძალიან გაფართოვდა: მონარქისტული პარტიით დაწყებული, დამთავრებული ეროვნული კომუნისტური აღიანსით. აღმოჩნდა, რომ საქართველოში არიან მომხრეები სოციალიზმის, მონარქიზმის, თეოდემოკრატიის, დემოკრატიის და ა.შ. (შექმნილია ორგანიზაცია „სტალინიც“). მაგრამ, ჯერჯერობით გაურკვეველია – პოლიტიკური მმართველობის სხვადასხვა სისტემათა შორის რომელია ის.

რასაც უველა ჰარტია აღიარებს, ჰარტის სცემს? მისაღებად მიაჩნია მომავალი საქართველო სათვის?

აშშ-ში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, უფრო ჰატარა ქვეყნებშიც – დანიაში, ნორვეგიაში, ჰოლანდიაში – არსებობს აზრის თავისუფლებაც, მრავალ-ჰარტიულობაც, ნაირ-ნაირი მოძღვრებაც, მაგრამ, ამასთან ერთად, არსებობს პოლიტიკური მმართველობის სისტემაც, რომელიც უოველი ჰარტიისათვის ხელშეუხებელია. ამ სისტემის განმტკიცებას, სტაბილურობას ემსახურება როგორც ერთი, ისე ჰარტიული ორგანიზაციები.

ჩვენ უნდა გავარკვიოთ – რომელია ის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური სისტემა, რომელსაც ვაღიარებთ უველასე მისაღებად (თუ უველა არა, უმრავლესობა მაინც).

თუ ეს საკითხი ნათლად არ გავარკვიეთ, ისედაც დაბნეულ ხალხს, კიდევ უფრო მეტად ავურევთ გზა-კვალს.

გარდა ამისა, გამოსაძებნია (როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად) ის ჰლატფორმა, რომლის საშუალებითაც უნდა მოხდეს ეროვნული მოძრაობის გაერთიანება. გაერთიანება რომ აუცილებელია, ეს სადავო არ უნდა იყოს. რაკი ჩვენ გამოვაცხადეთ ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, ბუნებრივია, ვიმოყვებით საომარ ვითარებაში. საომარი ვითარების დროს კი ძალაუფლებამ უნდა მოი-უაროს თავი რომელიმე ერთი პოლიტიკური ძალის ხელში. იმ ძალისა, რომელსაც მთელი ერთი უცხადებს ნდობას. ეს არ არის დემოკრატიის საწინააღმ-დეგო მოვლენა. ეს არის აუცილებლობა, გამოწვეული ვითარებით. ასე ხდება საომარი სიტუაციის დროს, უველა დემოკრატიულ ქვეყანაში. ასე იყო მორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ში, როცა ხალხმა ნდობა გამოუცხადა რუსველტ-სა და მის ჰარტიას.

ერთიანი ჰლატფორმის თვინიერ ეროვნული მოძრაობა დაიქსაქსება და ძალას დაკარგავს. ამის მკაფიო ნიშნები დღეს უკვე ჩანს.

როცა გაერთიანებულ ჰლატფორმაზე ვლაჰარაკობთ, მარტო პოლი-ტიკურ სისტემას არ ვგულისხმობთ, ეკონომიკურსაც.

დღეს სშირად გაიგონებთ: სოციალიზმი არის ის, რაც შვეციაშია და არა ის, რაც სსრკ-შია.

რაც შვეციაშია, ის იმდენად განსხვავდება იმისაგან, რაც სსრკ-შია, რომ შეუძლებელია მათ ერთი ცნებით ვისხენიებდეთ. უოველ ცნებას მაშინ აქვს მნიშ-ვნელობა, თუ იგი ზუსტად არის ჩამოყალიბებული და განსაზღვრული. თუ ცნებას უსაშველოდ გავაფართოვებთ ან უსაშველოდ დავავიწროვებთ, იგი დაკარგავს მნიშვნელობას. მისი გამოყენებაც შეუძლებელი ვახდება. სრულიად სამართლიანად წერდა ამას წინათ გახეთი „დი ცაიტში“ (1989 წ., 1 დეკემბერი) გოდო მანი (თომას მანის ვაჟი, ისტორიკოსი და მწერალი): დღეს ჩვენ ვსარგე-ბლობთ იმ ტერმინებით და ცნებებით, რომელნიც მე-19 საუკუნის პირველ ნა-

სვეარში შემოიღეს. ისინი დღევანდელ ვითარებას ველარ ასახავენ და დაბნეულობას იწვევენ. მაგალითიც მოჰყავდა. ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის ედვარდ ბენეშის პარტიასაც ნაციონალ-სოციალისტური ერქვაო და ჰიტლერის პარტიასაც. თუ ბენეშის პარტია მართლაც დემოკრატიული და ჰუმანისტური იყო, ჰიტლერის პარტია, რაც ვახლდათ, ვეელას ჩინებულად მოეხსენება. ამიტომ ცნების შინაარსის დაზუსტებას გადაწვევტი მნიშვნელობა აქვს. ის, რაც შეეცაშია, დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში იწოდება სახელით „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ (გერმანულად „სოციალემარკტვირტმაფტ“).

ცხადია, სოციალურ საბაზრო მეურნეობას არავითარი კავშირი არ აქვს მარქსისტული ან ლენინური გაგების სოციალიზმთან.

ეს ერთი. მეორეც: მე-20 საუკუნეში სოციალიზმის თეორიამ სამი ურჩხული წარმოშვა – რუსული ბოლშევიზმი, იტალიური ფაშიზმი და გერმანული ნაციზმი (ტროცკიზმი, მათიზმი, ფალანგიზმი, ჰოლპოტიზმი და სხვა ამგვარი „იხმები“ ამ სამი ურჩხულის ბარტყებია). ისტორიული გამოცდილებით ვიცით, რომ იტალიაში და გერმანიაში ფაშიზმი და ნაციზმი მეორე მსოფლიო ომში დამარცხებამ კი არ ამოძირკვა, არამედ ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის დამკვიდრებამ. პოლიტიკაში ეს სისტემა იყო მრავალპარტიული დემოკრატია, ეკონომიკაში – სოციალური საბაზრო მეურნეობა (ომში დამარცხება რომ არაფერ შუაში იყო, ეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მაგალითზე გამოჩნდა. იქ ნაციზმი ბოლშევიზმმა შეცვალა და ხალხი ბევრად უარეს მდგომარეობაში ჩავარდა, ვიდრე ჰიტლერის დროს იყო).

თუ სსრკ-ის ხალხებს მართლა უნდათ ბოლშევიზმისაგან (საერთოდ სოციალიზმისაგან) თავიდანსნა, მაშინ ჩვენც იმავე გზას უნდა დავადგეთ, რასაც იტალია და გერმანია – მრავალპარტიულ დემოკრატას და სოციალურ საბაზრო მეურნეობას. ველო-სიპედი უკვე გამოგონილია და ახლის გამოგონებაზე ფიქრი დროის უაზრო ხარჯვაა. ოღონდ მრავალპარტიული დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა და სოციალური საბაზრო მეურნეობა ზედმიწევნით უნდა შევისწავლოთ და საქართველოს პირობების შესაბამისად გამოვიყენოთ. ამის დრო და საშუალება გვაქვს. მოგვწონს თუ არა ეს, გვინდა თუ არა, ნათლად გამოიკვეთა, რომ საქართველო უცბად და ერთბაშად ვერ გათავისუფლდება და დამოუკიდებლობას ვერ მიიღებს. ეს პროცესი თანდათანობით და ეტაპობრივად მოხდება.

8.

მძიმე იყო 1989 წელი ქართველი ხალხისათვის.

აპრილის ტრაგედია, სისხლისღვრა აფხაზეთსა და შიდა ქართლში, მსხვერპლიანი სტიქიური უბედურებანი აჭარასა და სხვაგან.

თუ არ ვტყუვდებით და საგანგებოდ მოწუობილი არ იყო, საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპნენ ეროვნული მოძრაობის გამოჩენილი და ფართო საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებად ცნობილი მსახურნი ს.ა. დამია, ირ. დოლიძე, მ. კოსტავა, ზ. ჭავჭავაძე, დ. ჭოლაძე, თ. ჩხეიძე, მართალია, შემთხვევით გადაარჩა, მაგრამ უმძიმესი სულიერი ტრამვა მიიღო. მოკლეს ვ. ვეკუა.

გავაკეთეთ ის, რომ მოვხსენით ორჯონიკიძის ძეგლი, რამდენიმე დაბა-ქალაქს დაუბრუნეთ ისტორიული სახელები, სტიქიით დაზარალებულთათვის შევისუიღეთ სახლები საორბელო-საბარათიანოში.

პოლიტიკურად, სოციალურად, ეკონომიკურად არაფერი შეცვლილა. პოლიტიკურად კომპარტია, მოსკოვთან შეხმატკბილებულად, ისევ ისე განაგებს ქვეყანას (თუ იმას გამგებლობა ჰქვია, რაც საქართველოში ხდება). სოციალურად არ შემცირებულა უსახლკართთა და მშიერ-მწუხურვალთა რიცხვი. გაიზარდა ნარკომანია, პროსტიტუცია, მკვლევლობანი. ეკონომიკურად მძვინვარებს კლექტოკრატია. თუ წინათ ერთ მანეთს იპარავდნენ, ახლა ას მანეთს იჭიბავენ.

როგორც ხედავთ დიდია მსხვერპლი, შედეგი ... თავად განსაჯეთ.

ემოციურმა პატრიოტიზმმა თავისი ვალი ჰირნათლად მოიხადა. გამოაღვიძა და გამოაფხიზლა ქართველი ხალხი, მიზანი დაუსახა. აღთქმული მიზნისაკენ კი ჩვენი ერი რაციონალურმა პატრიოტიზმმა უნდა ატაროს.

1989-90 წ., დეკემბერ-იანვარი

ჩვენ არ წავალთ მოსკოვში

მკითხველი მიხვდა, ალბათ, რომ სათაურად დასმული სიტყვები ჰერიფრანკის ცნობილი გამოთქმისა „ჩვენ არ წავალთ კანოსაში“. თუმცა, ისიც შეიძლება ეველამ არ იცოდეს, რას ნიშნავს ეს და ამდენად ჰატარა განმარტება საჭირო.

შუა საუკუნეებში გერმანიაშიც ისე იყო, როგორც სხვაგან. ერთმანეთს მტრობდნენ საერო და სასულიერო ხელისუფალნი. მუდმივი შუღლი იყო მეფესა და ფეოდალებს შორის. ორ დუშმანს შუა (ერთ მხარეს – ეკლესია, მეორე მხარეს – ფეოდალები) მოქცეულ მეფეს, დრო და ჯამის შესაფერად, ხან ერთი უნდა აერჩია მოკავშირედ, ხან – მეორე. ასეც იქცეოდნენ. ეკლესიის საშუალებით ფეოდალებს ავიწროებდნენ. ფეოდალების მეოხებით ეკლესიას ბოჭავდნენ. წონასწორობა იმისდა მიხედვით იცვლებოდა, მეფეს როგორი ხასიათი ჰქონდა. მშვიდნი და ჭკუადაძვდარნი ინარჩუნებდნენ შედარებით წყნარ ურთიერთობას. ჭირვეულნი და ძალაუფლებისმოკვარულნი გამუდმებულ ჭიდილში იყვნენ.

1075 წელს ჰაინრიხ მეოთხემ (1050-1106 წწ.) მილანოში მთავარეპისკოპოსი, ხოლო სპოლეტოსა და ფერმოში ეპისკოპოსები დანიშნა. ამან რომის ჰაპი გრიგოლ მეშვიდე ძალიან გააბრაზა – უჩემოდ როგორ გაბედაო. მაგრამ ამჯერად მეფის თავსედობა მოითმინა და ურთიერთობა აღარ გაამწვავა. ჰაინრიხმა ჰაპის სიჩუმე სისუსტედ მიიჩნია. თავს გავიდა. 1076 წელს, ვორმსში, გერმანელ მთავართა კრებაზე, გრიგოლ მეშვიდე ჰაპის ტახტიდან გადაყენებულად გამოაცხადა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. ვაცეცხლებულმა გრიგოლ მეშვიდემ ჰაინრიხს მეოთხე შეაჩვენა, ეკლესიიდან მოკვეთა და მისი ქვეშევრდომები მეფის ერთგულების ფიცისაგან გაათავისუფლა. იცოცხლეთ, ახლა კი შეშინდა მეფე. იფიქრა – ჰაპის წვევლას ფეოდალები ჩემს წინააღმდეგ გამოიყენებენო, ტახტი და ქვეყანა თავზე დამექცევაო – და 1077 წელს თავსენაცარდაყრილი ეახლა გრიგოლ მეშვიდეს კანოსაში (ჰაპების რეზიდენციაა ალპებში) ჰატეების სათხოვნელად. ჰაინრიხი შეიწყალეს, მაგრამ შერცხვენილი და დამცირებული დაბრუნდა სამშობლოში.

ამის მეორე რვა საუკუნე გავიდა, როცა „რკინის კანცლერმა“, ოტო ბის-
მარკმა, 1872 წლის 14 მარტს გერმანელ ერს გამოუცხადა: „ჩვენ არ წავაღლთ
კანონსაში“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ იმ დღიდან გერმანია აღარავის უსენაე-
სობას არ ცნობდა. იგი იყო თავისუფალი და თავისთავადი.

შორს არ არის ის დღე, როცა ქართველმა ხელისუფალმაც უნდა თქვას:
ჩვენ არ წავაღლთ მოსკოვში. მაგრამ ამ ქადილის ძალა ისევე უნდა შეგწვედეს,
როგორც ოტო ბისმარკს. ამისათვის შექმნილ ვითარებას ფსინხლად უნდა შევხე-
დეთ. უველაფერი ზუსტად გავთვალეთ. ის წინააღმდეგობები ნათლად გავი-
თვალისწინოთ, რაც თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე გადაგვედობება. მარ-
თალია, შეცდომისაგან კაცი არასოდეს არის დაზღვეული, მაგრამ ჩვენ ჩვენი
ხელი საქმეს არ უნდა დავაკლოთ.

სსრკ, როგორც ერთიანი, უნიტარული სახელმწიფო ირღვევა. ეს აღარ
არის საუკვო. ამას არა მარტო ლიტვის გადაწვევტილება ადასტურებს, არამედ
საერთო მდგომარეობა-განწყობილებაც. ლიტვას მისი მეზობელი ლატვია და
ესტონეთი მიჰყუებიან. მეორე მოლდავეთი და საქართველო გაიკაფავს ვზას და
ასე სხვებიც თანდათანობით. მართალია, ხელისუფლება ებლაუჭება სსრკ-ის
შენარჩუნებას და ნაირ-ნაირი ახალი კანონებით ცდილობს პროცესის შეჩერე-
ბას, მაგრამ ეს მომაკვდავის უკანასკნელი გაბრძოლებაა. თუმაცა ეს იმას
სრულებით არ ნიშნავს, რომ სსრკ სიკვდილს გულმშვიდად შეეგება. უფრო
ის არის მოსალოდნელი, რომ უკანასკნელი გაბრძოლება იქნება სასტიკი და
დაუნდობელი. ხელისუფლების მზაკვრობას თავი რომ დავანებოთ, ცალკეულ,
თავსხეულადებულ, გონებაშერეულ ტიპსაც კი შეუძლია უბედურების დატრი-
ალება. კარგად იცით, სსრკ ტერიტორია დაფარულია ატომური ელსადგურე-
ბით, თერმობირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური იარაღის ქარხნებითა და საწ-
ყობებით. საკმარისია რომელიმე მათგანის აფეთქება და რა მოჰყვება ამას, რეი
ბრედბერიც ვერ წარმოიდგენს. უველაფერი როგორც ხალხის, ისე მთავრობის
კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. ორივე მხარემ თანაბრად უნდა გაიგოს
დღევანდელი ისტორიული პროცესის მოთხოვნილება: ყოველი ხალხი თავი-
სუფალი და დამოუკიდებელი უნდა იყოს. ამ პროცესის ხელის შემლა დამარცხე-
ბისათვის არის განწირული. ამიტომ მას ხელი უნდა შეუწყო და წინ არ გადა-
ედობო. ხელის შემლა პროცესს ვერ შეაჩერებს, მსხვერპლს კი გამოიწვევს. ამის
სრული გაცნობიერება აუცილებელია ხალხისათვისაც და ხელისუფლები-
სთვისაც.

დავაკვირდეთ საქართველოს კონკრეტულ მაგალითს.

დაიძალა საქართველოს კომკავშირი. ამან ქართველი ახალგაზრდობის
სიხარული გამოიწვია. მაგრამ როგორ შესვდება მას არაქართველი ემაწვილკა-
ცობა? აფხაზები, ოსები, რუსები უუჭველია რუსეთის კომკავშირს შეუერთდე-
ბიან. ცხადია, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ, ჩემი აზრით,

დღესაც დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ეს ასე მოხდება. აზერბაიჯანელები და სომხები, ალბათ, ამჯობინებენ აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპაუზირს შეუერთდნენ. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ მათაც რუსეთის კომპაუზირი აირჩიონ. ამ საქმეში მეტად აქტიურად ჩაერევიან მოსკოვის ემისრებიც.

მაშასადამე, ეროვნული ნიშნის მიხედვით, საქართველოს ახალგაზრდობა გაიყოფა.

უახლოეს ხანებში საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობა ჩატარდება. თუ საერთო ტენდენციას გავითვალისწინებთ, მაშინ საქართველოს კომპარტია გამოეყოფა სკკპ-ს. თუ ასე მოხდება, არც აქ არის არაფერი საეჭვო, რომ აფსაზთა და ოსთა პარტიული ორგანიზაციები დარჩებიან სკკპ-ში და არა საქართველოს კომპარტიაში. რას იზამენ აზერბაიჯანელები, რუსები, სომხები? უფრო ის არის სავარაუდებელი, რომ ისინიც სკკპ-ში ეოფნას ამჯობინებენ.

მაშასადამე, პარტიული და ეროვნული ნიშნით, საქართველოს მოსახლეობას გაუოფა ელის.

თუმცა რა დასამალია და ქართველობა უკვე გაუოფილია. ქართული ეროვნული მოძრაობის პარტიებისა და ორგანიზაციების გვერდით უკვე არსებობს სოციალ-დემოკრატიული პარტია, ორგანიზაცია „სტალინი“, იქმნება (თუ უკვე ჩამოყალიბებული არ არის) ლენინურ-სტალინური ბოლშევიკური პარტია (1936 წლის კონსტიტუციის ჰლატფორმასე).

ეველაფერი ეს უთუოდ და უთუმცაოდ მეტეველებს ეროვნული მოძრაობის ეველა ორგანიზაციისა და პარტიის გაერთიანების აუცილებლობას, ერთიანი, ეველასათვის სავალდებულო, ეროვნული პოლიტიკის ჩამოყალიბების გარდაუვალობას.

1989 წლის ცნობების მიხედვით, საქართველოში სულ 5 მილიონ 400841 კაცი ცხოვრობს. აქედან ქართველი 3 მილიონ 787393 ადამიანია (გაზ. „კომუნისტი“, 1990 წ., 24 მარტი). დანარჩენ ერთ მილიონ 613248 არაქართველს მკაფიოდ, გასაგებად, დამაჯერებლად უნდა ვუთხრათ: ქართული ეროვნული მოძრაობა არ ემუქრება არც ერთი არაქართველის ეროვნულ უფლებას, ღირსებას, თავისუფლებას. დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოში მათ ექნებათ ეველა ის უფლება, რაც ქართველ მოქალაქეს. ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდა ეროვნული დისკრიმინაციის პირობებში. მან კარგად იცის, რას ნიშნავს ეს. ამიტომ იგი არასოდეს გაიმეტებს სხვას ჩავვრისა და დამცირებისათვის.

თამარის სამეფოში მთელი ამიერკავკასია და ნაწილობრივ ჩრდილო კავკასიაც იყო გაერთიანებული. რამდენადაც ვიცი, არც ერთ იმდროინდელ მემატთანეს (არც ქართველს და არც სომეხს, არც არაბსა და არც სპარსელს) არ დაუჩივლია. არ დაუწერია და უთქვამს – საქართველოში რელიგიურად ან

ეროვნულად რომელიმე სალხი იჩაგრებოდაო. თუკი XII საუკუნეში მოვძებნეთ თანაცხოვრების ფორმა და ენა, მე-20 საუკუნის ბოლოს რა ღმერთი უნდა გავვიწყერეს, რომ ეს ვერ მოვასწერსო?

დღევანდელ ვითარებაში გადაუდებლად მოსაგვარებელია პრობლემა: საქართველოს არაქართულმა მოსახლეობამ მხარი დაუჭიროს ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ეს იმ შემთხვევაში განდება შესაძლებელი, თუ აზერბაიჯანელებს, აფხაზებს, ბერძნებს, ოსებს, რუსებს, სომხებს, ქურთებს და სხვებს ეცოდინებათ, როგორია ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაციონალური პოლიტიკა. დეკლარაციის სახით, დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს ეროვნული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, შემუშავებული ვეელა ქართული პარტიისა და ორგანიზაციის მიერ. მიეცეს სათანადო ახსნა-განმარტება, მოვისმინოთ არაქართული მოსახლეობის აზრი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ მკაფიოდ და უტყუარად – ვის უჭერს მხარს საქართველოს არაქართული მოსახლეობა, ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას თუ მის მოწინააღმდეგე ძალებს.

ამის გარკვევა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, როგორ იქნება დამოუკიდებელი საქართველო მოწუობილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ეკონომიკური თვალსაზრისით.

საქართველო ადმინისტრაციულად, მისი ისტორიული პროვინციების მიხედვით, ოლქებად უნდა დაიყოს (ქართლის, კახეთის, გურიის, სამეგრელოს და ა.შ. ოლქები). როცა რუსთაველის საზოგადოების რეგიონალური ორგანიზაციების ამგვარი დაუოფა მოვინდომეთ, ამან სერიოზული წინააღმდეგობა გამოიწვია. კუთხურ განკერძოებულობას შეუწუბსო ხელს – შეეშინდათ. ეს მე საურადღებო არგუმენტად არ მიმაჩნია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ, თუ ჩვენ მე-20 საუკუნის ბოლოს ერთიანი ეროვნული ცნობიერება არ გვაქვს, მაშინ დაღუპულია ჩვენი საქმე და ეს არის. მეორეც იმიტომ, რომ თანამედროვე ეკონომიკური სისტემა ამ განკერძოებულობის არავითარ საშუალებას არ იძლევა. პირიქით, ერთიანობას მოითხოვს. ამის ჩინებული მაგალითი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაა. იქაც ისტორიული პროვინციების მიხედვით არის ადმინისტრაციულად ქვეყანა დაყოფილი. ჩვენ შეგვიძლია ამ გამოცდილების შესწავლა და გამოყენება (ამგვარი აზრი ირ.შენგელაიასაც აქვს გამოთქმული).

უოველ ადმინისტრაციულ ერთეულს დიდი თვითმმართველური უფლებები უნდა მიეცეს. ისინი არ უნდა იყვნენ მთლიანად საქართველოს მთავრობაზე დამოკიდებული. საქართველო წარმომიდგენია რესპუბლიკად, რომელსაც პრეზიდენტი მართავს. ჩემი ვარაუდით, საქართველოს პრეზიდენტს ისეთივე უფლებები უნდა ჰქონდეს, რაც საფრანგეთის პრეზიდენტს აქვს. აქ საფრანგეთის გამოცდილება შეიძლება გავვეზიარებინა.

იმ ოლქებში, სადაც ქართული მოსახლეობის გვერდით ცხოვრობს არაქართულიც, არაქართულ მოსახლეობას უნდა მიენიჭოს სრული ეროვნული თვითმმართველობის უფლება.

რა პრინციპით და კანონებით მოქმედებს ეროვნული თვითმმართველობა, ეს უნდა შემუშავდეს ქართული ეროვნული მოძრაობისა და არაქართული მოსახლეობის წარმომადგენელთა ერთობლივი შეთანხმებით.

საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული პრინციპის სასწრაფო დამუშავება იმიტომაც მიძახნია აუცილებლად, რომ ამჟამად მოსკოვში, ამ კუთხით როგორც მთელ სსრკ, ისე მოკავშირე რესპუბლიკების მოწყობის ნაირნაირი ვარიანტები მუშავდება. მაგალითად, ვინმე ბოლტენკოვა, მოსკოვში, სულ ახლახან გამოცემულ წიგნში – „Межнациональные отношения в перспективе“ – გვიმტკიცებს, მოკავშირე რესპუბლიკების სტატუსი საერთოდ არ უნდა არსებობდესო. ვთქვათ, ამიერკავკასიაში აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი კი არ უნდა იყვნენ, როგორც სახელმწიფო ერთეულები, არამედ ამიერკავკასიას უნდა ერქვას Закавказский край, სადაც ეველა მოსახლე ერს თანაბარი სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-კულტურული უფლებანი ექნებათ. ასევე ბალტიისპირეთში ესტონეთი, ლატვია, ლიტვა კი არ უნდა ფიგურირებდნენ, არამედ მათი საერთო სახელი Прибалтийский край. როცა ეველა ეროვნული სახელმწიფოებრიობა მოიშლება, მაშინ ეროვნული შუღლიც აღარ იქნებაო, – გვარწმუნებს ბოლტენკოვა.

არც ის უნდა დაგვაფიქვდეს, რომ თავად კრემლში კარგა ხანია გაცხოველებული საუბარია საბჭოური ფედერაციის ახლებურ ფორმასე, ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებასე. ამ ბოლო დროს განსაკუთრებით დაჩქარდა ამ კანონების შემუშავება-განხილვა. მართალია, ეს კანონპროექტი ჯერ საბოლოოდ მიღებულ-დამტკიცებული არ არის, მაგრამ სრულიად დაბეჯითებით წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ იგი უნდა უარეოს.

რატომ?

კანონპროექტი ითვალისწინებს საერთო-სახალხო რეფერენდუმის ჩატარებას. რეფერენდუმმა უნდა გადაწყვიტოს, სურს თუ არა ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკას სსრკ-დან გასვლა. თუ რეფერენდუმი დაადასტურებს გასვლის სურვილს, მერე იგი უნდა განიხილოს სსრკ-ის სახალხო დემუტატთა ურილობამ. ურილობა უფლებამოსილია დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს სახალხო რეფერენდუმის გადაწყვეტილებას. თუ ურილობა დაეთანხმა სახალხო რეფერენდუმის გადაწყვეტილებას, მოკავშირე რესპუბლიკა გავა სსრკ-დან. თუ არ დაეთანხმება, ვერ გავა.

რა გამოდის? მთელი ერის სურვილსა და გადაწყვეტილებასე მალდა დგას ურილობის თანხმობა ან ართანხმობა. ქართველი ან რომელიმე სხვა ხალხის მისწრაფება თავისუფლებისაკენ შეუძლია ჩაკლას ეროვნულად ჭრელი შემად-

გენლობის ერთობაში. ქართველი ხალხი კი არ არის გადაწყვეტილი თავისი ბედის, არამედ რომელიმე ჩუვაშის ან უდმურტის ხმა. ისევე, როგორც რომელიმე ქართველი დეპუტატის ხმას შეუძლია დააბრკოლოს იმავე ჩუვაშის და უდმურტის თავისუფლების საქმე.

მეორე, რასაც კანონპროექტი ითხოვს, გასვლათ ის, რომ ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკის ავტონომიურ ერთეულებს უფლება ექნებათ თავად გადაწყვიტონ სად დარჩნენ – იმ რესპუბლიკაში, რომელიც სსრკ-დან გადის თუ სსრკ-ში. ე.ი. ავტონომიური ერთეულები ცალკე ატარებენ რეფერენდუმს და არა მოკავშირე რესპუბლიკის მთელ მოსახლეობასთან ერთად.

გარეგნულად ეს ისე გამოიყურება, თითქოს ერთა თანასწორუფლებიანობას ითვალისწინებდეს. ნამდვილად კი მოკავშირე რესპუბლიკის ძირეულ მოსახლეობას უფლება ართმევს. საქართველოს ბედის გადაწყვეტა ქართველ ხალხზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ აფხაზეთის ასსრ-ისა და სამხრეთ ოსეთის აო-ზე. თუ ქართველი ხალხი მოისურვებს სსრკ-დან გასვლას, ხოლო აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის აო სსრკ-ში დარჩენას, საქართველო კარგავს ამ მიწა-წყალს.

ამას ემატება ისიც, რომ ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკაში კომპაქტურად დასახლებულ სხვადასხვა ხალხს შეუძლია გამოხატოს თავისი ნება და სცნოს ან არა მიზანშეწონილად მოკავშირე რესპუბლიკის გასვლა სსრკ-დან.

შენს ერთადერთ საცხოვრისში, შენს ისტორიულ სამშობლოში რომ ვეველა უფლებას ჩამოგართმევენ, ეს თურმე ხალხთა თანასწორუფლებიანობა უოფილა.

საინტერესოა, რას იტყობენ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ავტორები, მათთვის ვინმეს რომ შეეთავაზებინა კანონი, რომლის თანახმად სახლის უიდვა-გაუიდვა პატრონის უფლება კი არ არისო, არამედ მდგმურის. ამაშიც თანასწორუფლებიანობას დაინახავდნენ?

გულუარებში ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება უნიფიცირებული არ იქნება. იგი მოკავშირეობის ზრობლებას დიფერენცირებულად მიუდგება. ვეველა მოკავშირე რესპუბლიკას უფლება მიენიჭება საკუთარი შეხედულებისამებრ დადოს ახალი ხელშეკრულება. ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა. არაფერი ამგვარი კანონპროექტში არ არის.

ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებაც მორიგი ტყუილი გამოდგა.

საგანგებოდ შექმნილი ვეველა ბარიერის გადასალახავად უნდა გამოინახოს სათანადო ხერხები და საშუალებანი. იურიდიული ბარიერის გადამლახავი ხერხიც იურიდიული უნდა იყოს. ეკონომიკური ბარიერის დამძლველი ხერხიც ეკონომიკური უნდა იყოს. თქმა არ უნდა, როგორც კი დამოუკიდებლობას გამოავცხადებთ, მაშინვე ეკონომიკურ ბლოკადას მოგვიწუებენ. ამას ლიტვის მაგალითიც მოწმობს. როგორ გავუძლოთ ბლოკადას? ეს ზრობლებმა უკვე

უნდა მუშავდებოდეს. თან ერთი კი არა, რამდენიმე ვარიანტი უნდა გვქონდეს, მანეერირება რომ შეგვეძლოს.

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა უაღრესად მძიმეა. თუ შევადარებთ მას ფინეთის ან ნორვეგიის ეკონომიკას, დავინახავთ განსხვავების თვალუწვდენელ უფსკრულს. სანამ საქართველო სსრკ-შია, ჩვენ ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების არავითარი იმედი არ უნდა გვქონდეს. პირიქით, უფრო უარესად იქნება საქმე. რამდენადაც შეიძლება, ჩქარა უნდა დავაღწიოთ თავი საბჭოთა ეკონომიკის ჩიხს, ვადარჩენა თუ გვინდა. მართალია, თავდაპირველად ძალიან ვაგვიჭირდება, მაგრამ იგი უნდა დავძლიოთ, რომ ფეხზე დავდგეთ და ჭეშმარიტი ეკონომიკური სისტემა დავაფუძნოთ. აუცილებელია, ჩვენმა ეკონომისტებმა ქართველ ხალხს დღევანდელი საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის უტყუარი სურათი დაუხატონ. ჯერ კიდევ კარგად არ ვიცით, რა დღეში ვართ. ჯერ კიდევ ილუზიებს ვებღაუჭებით, რაკი სუფრაზე არც შემწვარი გოჭი მოგვკვლება, არც საცივი და არც ხაჭაპურები. ღვთის მადლით, საქართველო ისეთი ქვეყანაა, რომ კაცი ეკალათიც შეინახავს თავს და ჭინჭრის საჭამადითაც. მაგრამ რუსთაველის ქვეყანას არ ეკადრება მსოფლიოს ორღობეში ეგდოს უპატრონოდ. მდიდარ და განათლებულ კაცობრიობას, სიონის გლახასავით, კუდში მისჩანჩალებდეს.

არსებული ეკონომიკური სიდუხჭირიდან თავდახსნის ერთი გზა გვაქვს – თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიღებისთანავე ეკონომიკური ვითარება უკეთესისაკენ შეიცვლება. შეცვლას დროც დასჭირდება, დისციპლინაც, თავდადებული შრომაც, მაგრამ რაც მთავარია, დასჭირდება მკაფიოდ ჩამოყალიბებული და გაანზრებული ეკონომიკური სისტემა. როცა ველოსიპედი გამოგონებულა, მე არ ვარ ახლის გამოგონების მომხრე. ამას ქართულად ტვინის-ჭეღეტა ჰქვია. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია გავეცნოთ ფინურ, დანიურ, ნორვეგიულ, ჰოლანდიურ ეკონომიკურ სისტემას. ავირჩიოთ, რომელიც უფრო გამოადგება ჩვენს ქვეყანას და საქმეს შევებათ. დღეს ფართო ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ ჩვენს ხალხს ჩამოთვლილი ქვეყნების ეკონომიკაზე, რომ ჭურში არ ვისხდეთ ახლის მოლოდინში. ახალგაზრდა, ნიჭიერი ეკონომისტები გავზაფხინოთ იმ ქვეყნებში, რომ თავის თვალთ ნახონ, რა ხდება, თავის ეურით გაიგონ, რას ამბობენ, რაზე მსჯელობენ, თავადაც შეისწავლონ და ჩვენც გვასწავლონ – როგორ მოვიქცეთ, როგორ ავაშენოთ მომავალი საქართველო.

მაგრამ სანამ ევროპაში განსწავლული ეკონომისტები დაგვიბრუნდებიან, გაკადნიერდები და ამ მიმართულებით რამდენიმე სიტუვას ვიტყვი.

მეყოველთვის ვიუავი კერძო საკუთრების მომხრე და ასეთივე დავრჩი. მაგრამ ისიც ვიცი, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს კერძო საკუთრების ეშინია.

ერთნი დამფრთხალნი არიან იმით, რომ კომუნისტების ხანგრძლივმა პროპაგანდამ ხალხს კერძო საკუთრება რაღაც სისხლისმწოველ ურჩხულად წარმოუდგინა. მეორენი დაშინებულნი არიან იმით, რომ თანამედროვე კერძო საკუთრებაზე აკებული მეურნეობის ჩვენ არაფერი გვესმის. სომ არ მოხდება ისე, რომ უკან, სოლომონ ისაკიჩი მეჯღანუაშვილის ეპოქაში, დავბრუნდებით და მაშინ მთლად დავიღუპებით. დამერწმუნეთ, არც ერთია საშიში და არც მეორე. არც სისხლს გამოავწოვთ ვინმეს და არც უკან დავბრუნდებით.

თუ ჩვენ კოლექტივიზმში გვიყვარს და მისგან ვერაფრით ვავთავისუფლებულავართ, მაშინ შეიძლება ისე მოვქცევულიყავით, როგორც იანონელები. იქური მუშები კაპიტალისტისაგან ქარხანას ეიდულობენ. ერთად მართავენ და მოგებას თანაბრად ინაწილებენ. ასე უოველ ქარხანასა, ფაბრიკასა თუ კოლმეურნეობაში შეიძლება დაწესდეს თვითმმართველობა.

თუ ამგვარი კოლექტივიზმიც არ გვაკმაყოფილებს, მაშინ სოფლის მმართველობას უფლებამოსილება მივცეთ, რომ მიწები გლეხებს მუდმივ მფლობელობაში გაუნაწილდეს. მისცეს მათ თავისუფალი ინდივიდუალური შრომის საშუალება. ფაბრიკა-ქარხანა კი იმ მრეწველს მივანდოთ, ვისიც სწამთ მუშებს, როგორც საქმის კაცისა. მერე, თანდათან, ამ მრეწველისაგან თანამედროვე კაპიტალისტი ჩამოუალიბდება და ჰირველის ჰატრონალიზმს დააფუძნებს. ან თავად უკეთესიც შეიძლება მოიგონოს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მშრომელს, მუშა იქნება იგი, გლეხი თუ ინტელიგენტი, მისი ნაშრომით მიღებული შემოსავალი მასვე დარჩეს და სხვამ არ მიითვისოს. უოველი მშრომელი თავისი წლიური შემოსავლის 10% მეტს გადასახადის სახით, სახელმწიფოს არ უნდა აძლევდეს. 90% უკლებლივ უნდა რჩებოდეს იმას, ვინც შრომობს.

როცა მოქალაქე მდიდარია, ქვეყანაც მდიდარია. როცა სახელმწიფოა მდიდარი (ან ცდილობს იეოს მდიდარი), მაშინ ქვეყანა ღატაკია. მოქმედებს თივისა და ავი ძაღლის „პრინციპი“. არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს. სახელმწიფო ბიუროკრატიაში ანშობს ჰიროვნების ინიციატივას, ენთუზიაზმს, ენერჯიას. ჰიროვნება ხდება ჰასიური, უქნარა, გულგრილი, ჰიროვნებამ კონომიკურ საქმიანობაში შეუზღუდავად უნდა შეძლოს ნიჭის გამოვლენა, როგორც ჰირადი, ისე საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის.

რა თქმა უნდა, თუ გასაგებად ვთქვი და ფართო საზოგადოება ჩემს წინადადებას მისაღებად მიიჩნევს, მაშინ მას დეტალური დამუშავება დასჭირდება, რაც სამართლის, კონომიკისა და სოფლის მეურნეობის და მრეწველობის სპეციალისტებთან ერთად უნდა მოხდეს. თუ არ მოეწონებათ, მაშინ სხვა ვარიანტები უნდა შემუშავდეს. მთავარი და არსებითი აქ ის არის, რომ დაუოვნება არ შეიძლება. თუნდაც თეორიულად, ნათლად უნდა გვეჩონდეს წარმოდგენილი – როგორი კონომიკის დამკვიდრება გვინდა. თუ ჩვენი კონომიკა ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებულების საურდენი არ იქნება, ქართველი ხალხის თავისუ-



ფლებას დიდი სიფათი დაემუქრება.

თავისუფლების შენობას ორივე ბოძი თანაბრად სჭირდება – ჰოლიტიკურიც და ეკონომიკურიც.

ნურავის გაუკვირდება და ნურც შეეშინდება, თუ აღმშენებლობის გზაზე ბევრ ქვას და ღორღს დაგვახვედრებენ, ბევრ თხრილსა და ორძოს, ბევრ ყორესა და ღობეს. ეს ჩვეულებრივი ამბავია. მტერი თავისას ეცდება. მთავარია და არსებითი, ერთმანეთს არ შევეშალოთ ხელი. შინაურმა განხეთქილებამ არ გვძლიოს. ამიტომ არის ერთიანობა საჭირო. სტრატეგიული მიზანი რომ ერთი გვაქვს, ეს არავის გაუხდია სადაჟოდ. მაგრამ ტაქტიკური გზების გამო კი ხშირად არის ცხარე სჯაბაასი. ზოგჯერ შეურიკებელიც. თითქოს ესეც ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ მანც არის რაღაც დამაფიქრებელი. ქაჯეთის ციხის ასაღებად მიმავალ ტარიელს, ავთანდილს და ფრიდონს შორის თათბირი აუცილებელია, მაგრამ განხეთქილებისაგან ღმერთმა დაგვიფაროს. ნესტანის გათავისუფლება მაშინ შეიძლება, თუ ისინი ერთად შეუტყვევენ სხვადასხვა მხრიდან. ტაქტიკა მრავალფეროვანი უნდა იყოს, ოღონდ ერთად შეთანხმებული. ტაქტიკის ერთფეროვნება სისუსტის ნიშანია. შეუთანხმებლობა კი შიშის გამოძწევია. ამ შიშმა, სამწუხაროდ, აქა-იქ თავი უკვე იჩინა. ალბათ, არც ეს უნდა იყოს მოულოდნელი. სსრკ-ის მოქალაქისათვის შიში ბუნებრივი თვისებაა, გამოძულებული 70 წლის მანძილზე. მაგრამ გულდასაწყვეტია ის, რომ ზოგიერთს შიში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ გაუჩნდა. ეს შეიძლება, ერთი მხრივ, მოუძნადებლობის ბრალიც იყოს, ხოლო, მეორე მხრივ, მტრული ძალების ჩუმი ჰროპაგანდისა.

გესსომებთ, აღ.კრიბოედიოვის კომედიამი „ვაი ჭკუისაგან“ ჩაცკის საქციელით შეწუხებული ფამუსოვი შემფოთებული კითხულობს – что станет говорить княгиня Мария Алексеевна.

70 წლის მანძილზე დამფრთხალი საბჭოელი მოქალაქენი წამდაუწუმ კითხულობენ – რას იტყვია კნიაგინია მარია ალექსეევნა, ანუ კომპარტი. ახლა კომპარტიის აღარავის ეშინია. ხალხი შიშისაგან თავისუფლდება, მაგრამ ბნელ ძალებს არ მოსწონთ ეს. ისევე ისე უნდათ, იყოს ხალხი შიშით თავზარდაცემული. ამიტომ ახლა კნიაგინია მარია ალექსეევნას როლში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოყვანა სურთ. უნდათ, რომ დამფრთხალი ადამიანები კითხულობდნენ: რას იტყვის კნიაგინია მარია ალექსეევნა. ანუ ეროვნული მოძრაობა.

თავისუფლება მაშინ არის თავისუფლება, როცა არანაირი შიში აღარ არსებობს. როცა მის მაგიერ ადამიანს ამოძრავებს მორიდება, მოკრძალება. ნატივისცემა.

როცა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იქნება ერთიანი და მთლიანი სტრატეგიული მიზნითაც და ტაქტიკური ვზითაც.

როცა შემუშავებული გვექნება თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში ეროვნული პოლიტიკის პროგრამა.

როცა უოველი მოქალაქისათვის ცხადი და ნათელი იქნება მომავალი საქართველოს ეკონომიკური სისტემა.

როცა კრემლის იურიდიულ მზაკვრობას დაუუპირისპირებთ საკაცობრიო, ჰუმანისტური, სამართლებრივი პრინციპებით გამართულ კანონებს.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ამაყად და რწმენით შეეძლება განაცხადოს – ჩვენ არ წავალთ მოსკოვში.

1990 წ., მარტი



1990 წლის 19 მარტს გაზეთ „თბილისში“ წაფიქრებულ ინფორმაცია „ახალი სახელები“, მასში ბევრი სასინარულო ცნობაა, მაგრამ ზოგიერთი დამაფიქრებელიც არის. ვთქვათ, გერცენის ქუჩის სახელის შეცვლა. ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ობსკურანტიზმის წვეთი არ უნდა გაერიოს. ამდენად, ვერ ვიქნები რუსული კულტურის წარმომადგენელთა სახელების შეცვლის მომხრე, ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ებრძვის რუსულ იმპერიალიზმს და არა – რუსულ კულტურას. გერცენი იქნება თუ ბელინსკი, ტოლსტოი თუ ლერმონტოვი, პუშკინი თუ ბლოკი – რუსული კულტურაა და არა – რუსული იმპერიალიზმი. არც ილიას, არც აკაკის, არც იაკობ გოგებაშვილს, არც არჩილ ჯორჯაძეს სიტყვა არ დასცდენიათ რუსული კულტურის საწინააღმდეგოდ, თუმცა მთელი ცხოვრება რუსული იმპერიალიზმს ებრძოდნენ. დღევანდელ ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ის დიდსულოვნება და სიბრძნე უნდა ახასიათებდეს, რაც ჩვენს თერგდალეულებს. თავისუფალი საქართველოს მოქალაქეებს რუსული კულტურა ისევე სჭირდებათ, როგორც ევროპული, როგორც სპარსული, ინდური თუ ჩინური კულტურები. ჩვენ თავისუფლება იმიტომ გვინდა, რომ სინათლეს გავუხსნათ გზა, ღირსების პატივისცემა ვიცოდეთ.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ ამასაც ვიტყვი: არც კოტე მარჯანიშვილისა და ანდრია რაზმაძის დაპირისპირება მიმაჩნია შესაძლებლად. უოველ მოღვაწეს თავის ბედი და ღვაწლი აქვს ერის ისტორიაში. ისიც ამ ბედისა და ღვაწლის მიხედვით უნდა განვსაჯოთ, დაპირისპირება უოველთვის შეცდომის წყაროა და არა სიძარტლის. როცა ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატი“ დაიდგა, ვალერიან გუნიამ უთხრა – შენ შენი „ღალატი“ შენი ღალატი გამოისყიდეთ. ნუთუ, კ.მარჯანიშვილმა მთელი ახალი ქართული თეატრის შექმნით, მსახიობთა მთელი ჰლეადის (თანაც რა ჰლეადის!...) აღწრდით ვერ გამოისყიდა ის, რომ ქართულად მეტყველება უჭირდა?

კოტე მარჯანიშვილის რუსულად მეტყველება ჩვენი ბედუკუდმართი ისტორიის ბრალი იყო, რისი მსხვერპლიც არა ერთი და ორი ჩინებული ქართველი გამხდარა. ადამიანთა ტრაგედია მათ ნაკლად არ უნდა მივიჩნიოთ. ჩვენი ვალა ტრაგედიის საფუძვლის მოსპობა და არა მსხვერპლის განკიცხვა. თუ კოტე მარჯანიშვილს განვიკითხავთ, მთელ ახალ ქართულ თეატრსაც განვიკითხავთ. როგორც მე-19 საუკუნის დიდი რუსული პროზა გამოვიდა გოგოლის „შინელიდან“, ასევე აღმოცენდა ახალი ქართული თეატრი კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობიდან. ეს ფაქტია და ამას ვერავინ შეარყევს. ქართული თეატრი ქართული სულიერი კულტურის ნაწილია. ჩვენი სული დამახინჯდება, სრულყოფილი არ იქნება, თუ კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებას უარყოფთ, თუ სანდრო ანბექელი (ისიც უფრო სძირად რუსულად მეტყველებდა) შემოქმედებას უარყოფთ.

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ქართული სულის აღორძინების საფუძველი უნდა გახდეს. მან ის საქართველო უნდა შექმნას, სადაც ქართველი იძულებული არ იქნება მშობლიური ენა დაავიწყდეს, ხოლო იმ ქართველს (მით უმეტეს, ღვაწლმოსილს და დამსახურებულს) ხელი არ ჰკრას, ვისაც, ბედისწერის უსამართლობის გამო, უცხო ენაზე მეტყველება უკეთ შეუძლია, ვიდრე ქართულად.

ქართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ქართველი კაცი უოველნაირი შიშისაგან უნდა იხსნას და განადოს თავისუფალი, მათ შორის დაუვედრებისა და დამუნათების შიშისაგანაც.

თუ რამოდენა ტრაგედიაა ადამიანისათვის მშობლიური ენის დავიწყება, ეს შთაბეჭდავად ჩანს იმ მდგომარეობიდან, რაშიც სიკვდილის წინ ვარლამ ჩერქეზიშვილი ჩავარდნილა და რამაც მიხეილ ჯავახიშვილს „მიწის უივილი“ დააწერინა. ამ მოურჩეველ ტკივილს ნუ გამოვიყენებთ ადამიანის ღირსების დასამცირებლად.

20-იან წლებში პროლეტარული კულტურის წარმომადგენლები საქარია ფალიაშვილს ებრძოდნენ. აკრიტიკებდნენ, გმობდნენ, ბურჟუაზიული მუსიკის გამაზრცელებლად ნათლავდნენ. პროლეტკულტელებს პროფესიონალი მუსიკოსები არ ჰუვადათ. ამიტომ მათი კრიტიკა დილექტანტურ, სერეფლე ხასიათს ატარებდა. ამას თავადაც გრძნობდნენ და იმ კაცს ეძებდნენ, ვინც პროფესიულად მაღალ დონეზე შესძლებდა ზ.ფალიაშვილის გაკრიტიკებას. ვიქტორ დოლიძეს დაავალეს, თურმე – პროლეტკულტელთა კრებაზე გამოსულიყო და ზ.ფალიაშვილი დაეკმო. ვიქტორი დათანხმებულა, მაგრამ კრებაზე ფრიად მოკლე სიტყვა უთქვამს:

– მე არ ვიცი საქარია ფალიაშვილი ბურჟუაზიული კომპოზიტორია თუ არა, მაგრამ ის კი ზედმიწევნით ვიცი, რომ თქვენ, ეველას, მისი „თავო ჩემოთი“ გაგასვენებნო.

არც მე ვიცი, რამდენად მართალია ეს გადმოცემა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ
მასში დიდი სიბრძნეა და მისი დავიწყება არ ეგების. სხვისა რა მოგასხენოთ,
მაგრამ ჰირადად მე დაუმსახურებელ პატივად ჩავთვლიდი, თუ უკანასკნელ გზა-
ზე ლიანა ისაკაძის დაკრული „თავო ჩემო“ გამაყვებდა.

1990 წ., მარტი



პრობლემატიკა

ეტეობა, როცა დიქტატურა ინგრევს, ჰარტიათა სიმრავლე ბუნებრივია. ასე მოხდა აღმოსავლეთ ევროპაშიც (ე.წ. სოციალისტურ ქვეყნებში). აღმოჩნდა, რომ სულიერი შიშხილი ხორციელსა ჰგავს. დამშეული ადამიანი რომ მივარდება საზრდელს და ჰგონია ვერაფერი დააპურებს და დარწმუნებს, ასევე ეჩვენებათ პოლიტიკურ თავისუფლებას დანატრებულებსაც. ისინიც ფიქრობენ, თუ უთვალავ ჰარტიასა და ორგანიზაციას შექმნიან, ამით უკეთ გამოავლენენ თავისუფლების წყურვილს. ეს სახადია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მალე გაიფიქრებს. უველაფერი ზომიერ კალაპოტში ჩადგება. იმდენი დარჩება, რამდენიც აუცილებელია. დრო და ისტორია თავად მოაგვარებს ამას.

რაკი დრო ვახსენე, ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩვენ მისი დაკარგვის უფლება არ გვაქვს. უოველი წუთი უნდა გამოვიყენოთ. ბევრი პრობლემა მანამ უნდა მოგავარდეთ, სანამ დამოუკიდებლობა-თავისუფლებას მოვიპოვებდეთ, მანამ უნდა გადავწყვიტოთ, თუნდაც თეორიულად. თუ პრაქტიკულადაც მოვასწერსებდით, ამას ხომ არაფერი აჯობებდა. იმას, რასაც დღეს ეშველება, დღესვე უნდა ვუშველოთ, თორემ დამოუკიდებელი საქართველო პრობლემების ზღვაში აღმოჩნდება, რაც ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე რომელიმე საგარეო თავდასხმა.

ერთი შესედეით, შეიძლება უბრალო, ერთი უმაღლესი სასწავლებლის საჭირობოროტო პრობლემად ჩავთვალოთ ის, რაც დღეს სამედიცინო ინსტიტუტში ხდება. მაგრამ ასე სრულიად არ არის. ეს მთელი საქართველოს პრობლემაა, რადგან დგას სამედიცინო ინსტიტუტის უოფნა-არეოფნის საკითხი, რაც უშუალოდ უკავშირდება საგანმანათლებლო და ეკონომიკური სისტემების მოშლილობას.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა მიღება იმისდა მიხედვით კი არ იგეგმებოდა, რამდენი სპეციალისტი სჭირდებოდა ჩვენს პატარა ქვეყანას, არამედ იმის შესაბამისად, სსრკ რას მოითხოვდა. ამიტომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები გაჭედილი იყო სტუდენტებით. აქედან ორი უბედურება გვჭირდა და გვჭირს: ან უმაღლეს სასწავლებელდამთავრებული ახალ-

გაზრდა, ჯანღონით სავსე ქალ-ვაჟები საქართველოს გარეთ იგზავნებოდა, რის გამოც მათი უძრავლესობა რუსდებოდა და მშობლიურ ნიადაგს სწელებოდა, ანდა საქართველოში რჩებოდა და არსებითად უმუშევარი ხდებოდა, რაკი ჭარბი სპეციალისტების დასაქმება არ შეგვეძლო. უმუშევრად ეოფნა მარტო კონომიკური თვალსაზრისით არ არის საშიში. კიდევ უფრო სახიფათოა ფსიქოლოგიური კუთხით. ადამიანს ერღვევა ფსიქიკური სისაღე, სიმშვიდე და სიმტკიცე. ამის შედეგაც მივიღეთ. თუ ოდესმე ვინმე შეისწავლის ჩვენი ახალ-გაზრდობის ფსიქიკურ მდგომარეობას, უაღრესად სავალალო სურათს მიიღებს. ამაში კი დანაშაული იმ სინამდვილეს მიუძღვის, რომელშიც იგი ცხოვრობს.

სამედიცინო ინსტიტუტში შექმნილ მდგომარეობას მხოლოდ ახალი, მეორე ინსტიტუტის შექმნა მოაწესრიგებს. სხვა არაფერი. მაგრამ ამის თქმას იოლი, თორემ მისი გაკეთება წარმოუდგენლად მნელია. მით უფრო, ახლანდელ ვითარებაში. ვთქვათ, წელეზე ფეხი დავიდგით და მეორე სამედიცინო ინსტიტუტი დააარსეთ. რა მოხდება? წელს უმაღლეს სასწავლებელში შესული უმაწვილი სწავლას რომ გაასრულებს, საქართველო უკვე დამოუკიდებელი იქნება (არ გეხუმრებით. სრულიად სერიოზულად ვამბობ. ამჟამინდელ ელვის სისწრაფით მიმავალ ისტორიულ პროცესს სხვა ბოლო არა აქვს). მერედა, ამდენი ექიმი დამოუკიდებელ საქართველოს რაში დასჭირდება? უმუშევარ ექიმთა არმია გვეუოდება. მერე როგორ ვუპატრონოთ მათ? ასე მოვექცით ჩინში. ასე ვერ ვპოულობთ ჰასუსს. ასე აღმოჩნდა თითქოს ლოკალური, სამედიცინო ინსტიტუტის პრობლემა მთელი საქართველოს, მთელი ქართველი ხალხის პრობლემად.

აღარ არსებობს ცალკეული, ლოკალური საკითხები. ეველათფერი ერთმანეთსეა გადაჯაჭვული და საერთო ქართულ ხასიათს ატარებს. ამიტომ გვეჭირდება ვითარების მკაფიო გააზრება, დროის ხასიათის ამოცნობა.

ეველა ხედავს, რომ ახლა არეული დროა. მალე სსრკ-ს ქაოსი დაეუფლებს. ქაოსიდან ის გამოვა გამარჯვებული, ვინც ზუსტი გეზი და მოქმედების გეგმა შეიმუშავა. ამიტომ ბევრი საკითხი ღიად უნდა დავსვათ, ვიმსჯელოთ და მოქმედების ერთიანი გზა გამოვებნოთ.

ბევრჯერ მითქვამს და, ვლახა ჭრიაშვილივით, კიდევ ერთხელ გავიმეორებ: დღესდღეობით სსრკ-ში ძალაუფლებას იყოფს სამი პოლიტიკური ძალა - პარტოკრატია, ბიუროკრატია, კლემპტოკრატია.

დღევანდელ ვითარებაში, მათი მდგომარეობა სხვადასხვანაირია.

პარტოკრატია უკვე ირღვევა და მალე შეწვევს არსებობას. ეს რომ ვინმეს ერთი წლის წინათ ვთქვა, ხალხი სიცილით დაიხოცებოდა. ქვეყანა შერეულად ჩავთვლიდა. დღეს კი რღვევის კონკრეტული ნიშანი მკაფიოდ ჩანს.

მოსკოვის საქალაქო საბჭოში უკვე ოთხი ბლოკია - „დემოკრატიული

რუსეთი“, „მოსკოვი“, „დამოუკიდებელი დემოკრატები“ და „მამული“.

რუსეთში ოფიციალურად შეიქმნა პარტიები - რუსეთის რესპუბლიკური სახალხო პარტია, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, რუსეთის ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობა. სანამ ეს წერილი დაიბეჭდება, ღმერთმა უწეის, კიდევ რამდენი პარტია გამოჩნდება ასპარეზზე.

თავად სკკპ-ში გაჩნდა ფრაქციები - დემოკრატიული და მარქსისტული ჰლატფორმები. მათ შორის დამაბული ურთიერთობაა, რაც ნათლად გამოჩნდა 1990 წლის 11 აპრილს გამოქვეყნებულ მიმართვაში - „სკკპ ცკ-ის ღია წერილი ქვეყნის კომუნისტებს“. განხეთქილების ჭია ხრავს კომპარტიას.

გარდაუვალია კონფლიქტი, ერთი მხრივ, სსრკ-ის პრეზიდენტსა და სსრკ-ის უზენაეს საბჭოსა და, მეორე მხრივ, რსფსრ-ის პრეზიდენტსა და რსფსრ-ის უზენაეს საბჭოს შორის. ამის საბუთი არა მარტო ის მითქმა-მოთქმაა, რომელსაც მოსკოვში ვაიკონებს კაცი, არამედ რსფსრ-ის უზენაესი საბჭოს შემაღვენლობაც.

ამ გარდაუვალ კონფლიქტს მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თუ სსრკ-ის პრეზიდენტმა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლიტვას ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადეს, მოსკოვის საბჭოს ახლადარჩეულ დეპუტატთა ერთმა ნაწილმა მხარი დაუჭირა ლიტვის დამოუკიდებლობის აღდგენას და მიულოცა ლიტველებს ეს სასიხარულო ფაქტი („მოსკოვსკაია პრავდა“, 1990 წ., 15 აპრილი).

უველაფერი ეს იმის მოწმობაა, რომ კომპარტიის რღვევა აღარ შეჩერდება. აღარც მრავალპარტიულობის შეზღუდვა მოხერხდება და მისი ჩარჩოში ჩასება.

მართალია, სახელმწიფო გადატრიალება ჯერჯერობით გამორიცხული არ არის, მაგრამ ნაკლებ მოსალოდნელია, რაკი კომპარტიის რღვევა და სსრკ-ის დამლა ისტორიის და დროის განაჩენია.

ამ სიტუაციით ჩვენც უნდა ვისარკებლოთ, მაგრამ როგორ?

ვინ არ იცის, რომ ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ორი გზა არსებობს: პირველი, იარაღითა და ბრძოლით, რასაც ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე ეწეოდა და, მეორე, კონსტიტუციური საშუალებებით, მშვიდობიანად, თანდათანობით, რომლის გამოცდილება, სამწუხაროდ, საქართველოს არ გააჩნია.

ისიც გასაკებია, რომ ბრძოლისა და იარაღის გზას შეიძლება მიმართონ მრავალრიცხოვანმა ერებმა, რომელთაც ეოველნაირი ძალა შესწევთ დამარცხონ დამპყრობელნი. არც მსხვერპლის გაღება მოუტანთ მომაკვდინებელ ზიანს. ინდოელებს შეეძლოთ ინგლისელების იარაღით დამარცხება, რაკი უზომოდ ბევრნი არიან. რა რაოდენობის მოსახლეობაც მთელ დიდ ბრიტანეთშია (55 მილიონი), იმ რაოდენობის ინდოელი მეომარი რომ დახოცილი-

ყო თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ინდოეთს (700 მილიონი) ეს არც დაეტუბოდა. ისევ უთვალავი დარჩებოდა. მაინც არ აირჩიეს ომის გზა. მაინც ბრძოლის მშვიდობიანი ფორმა ამჯობინეს.

ქართველები ომისა და იარაღით ბრძოლის გზას რომ ვერ დავადგვებით, ეს არავისათვის არის სადავო და არც არავინ მოითხოვს ამას. რუსეთისა და საქართველოს სამხედრო ძალთა შეფარდება მეტისმეტად არათანაბარია და ბრძოლის შედეგი წინასწარ არის გადაწყვეტილი.

ზირადად ჩემთვის კიდევ ორი მიზეზი არსებობს, რის გამოც უფრო მისაღებად მიმანჩნია მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლა.

ისტორიის გამოცდილება გვასწავლის, რომ ყოველ სახალხო მოძრაობას (ეროვნული იქნება იგი, პოლიტიკური თუ სოციალური) ყოველთვის ღიანგურად ეტმასნებიან შემთხვევითი ადამიანები. მათ ოსტატურად იყენებს მტერი, იოლად მართავს და მოძრაობას მომაკვდინებელ დარტყმას აუენებს. გამარჯვება თუ გინდა, ეს შემთხვევითი ადამიანები უნდა ჩამოიცილო. იწყება შინაბრძოლა. თუ, ერთი მხრივ, ეს შინაბრძოლა შეიძლება დამარცხების საწინდარი ვახდეს, მეორე მხრივ, გარდაუვალია ძმათა შორის სისხლისღვრა. ამ სისხლისღვრის მსხვერპლი კი, როგორც წესი, უდანაშაულო ადამიანები ხდებიან. ამის გამო მოძრაობა სწრაფად ღირებულებას კარგავს.

მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის დროს კი შემთხვევით ადამიანთა ღიანგური მოხლეჩაება არ ხდება. თითო-ოროლა თუ შემოძვრება. მათ კი მოძრაობის არც პოლიტიკური შედეგის შეფერხება შეუძლიათ და არც სწრაფი სახის შებლაღვა. რაკი მცირერიცხოვანი არიან, ჩამოცილებაც ადვილად ხერხდება.

ეს ერთი. მეორეც: ამასაც ისტორია ადასტურებს. გამარჯვებისათვის ერთად, მხარდამხარ მებრძოლნი, ძლევის შემდეგ, ერთმანეთს გადაეკიდებიან და უმოწყალოდ ეუკავენ ურთიერთს. როგორც შორეული წარსულის, ისე უახლოესი ისტორიიდან ამის უამრავი არგუმენტის მოხმობა შეიძლება. ეს პოლიტიკური ბრძოლის სამწუნარო კანონზომიერებაა. მისგან თავის დაღწევა ძალიან იშვიათი მოვლენაა.

ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ ისიც უნდა მოახერხოს, რომ როგორმე პოლიტიკური ბრძოლის ამ სასარელ თვისებას გვერდი აუაროს. ისე მოვიქცეთ, როგორც ავთანდილი ფიქრობს: „მას უმასა ხრმალი არა ვჰკრა, არც მისი დავისობინო“.

ვითარებისათვის ალღოს აღების უნარი (ავთანდილის ნიჭიერებით) დღეს მეტისმეტად გვეჭირდება. კაციშვილი ვერ იწინასწარმეტველებს, მდგომარეობა უახლოეს ხანებში როგორ და რა მიმართულებით შეიცვლება. თუ ორი ძალა - სსრკ-ის უსენაესი საბჭო და რსფსრ-ის უსენაესი საბჭო ერთმანეთს მართლა დაეჯახა, მაშინ საქართველომ ისეთი გზა უნდა აირჩიოს, რომ შუაში არ ვაიჭ-

ულიტოს, გაფაციცებით აღევნოს თვალი ძალთა თანაფარდობის შეცვლას და ამით ისარგებლოს. თუ ორი საბჭოს ურთიერთობა შედარებით მშვიდობიანად წარიმართა, მაშინ სხვა პოზიციის გამოანხვავებარტებს. ამიტომ დღეს დაბეჯითებით არ უნდა ვამტკიცოთ არც არჩევნებში არმონაწილეობა და არც მონაწილეობა. ეველაფერს უახლოეს მომავალში შექმნილი სიტუაცია გვიკარნახებს.

ამჯერად კი, არსებული ვითარების კათვალისწინებით, ოცნება შეგვიძლია. ისიც უნდა დავამატო, რომ ეს ოცნება რეალობას მოკლებული არ არის.

კომუნისტურმა ხელისუფლებამ, ნებით თუ უნებლიეთ, დაუშვა მრავალპარტიული არჩევნები. მიამიტი არავინ არის და ეველას ესმის, რომ კომპარტია ეველა ღონეს იხმარს ხელიდან არ გაუშვას მმართველობის ბერკეტები. მაგრამ, რაკი მრავალპარტიული არჩევნები ნებადართულია, ეროვნულ მოძრაობას შეუძლია ვითარება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ეველაფერი იმაზეა დამოკიდებული - ვინ ვის აჯობებს ტკუით: ეროვნული მოძრაობა თუ საბჭოური ხელისუფლება. დღეს ეროვნულ მოძრაობას აქვს მეტი ტკუაც და მეტი ძალაც. კომუნისტურმა ხელისუფლებამ დაკარგა ხალხის ნდობა. მის კანდიდატებს ერი მხარს არ დაუჭერს. ჩემი ღრმა რწმენით, ეროვნულ მოძრაობას გამარჯვება გარანტირებული აქვს, თუ იგი ოქტომბერ-ნოემბერში დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს. მაგრამ საგანგებოდ და დაკვირვებით შესწავლილი კანდიდატებით და არა ისე, როგორც 25 მარტს ვაპირებდით, როცა დასახელებულ კანდიდატთა დიდი უმრავლესობა არავითარ ნდობას არ იმსახურებდა. ისეთი ჰიროვნებანი უნდა შეირჩეს, ვისზეც თამამად ვიტყვი: „კაცი იყო საქმისადა შესაფერი, შესატყვისი“.

თუ მომეტებულ ფანტაზიორობად არ ჩამითვლით, მაშინ ვიტყვდი, რომ არჩევნებში ეროვნული მოძრაობის კანდიდატების გამარჯვება ნიშნავს საქართველოს უზენაესი საბჭოს გადასვლას ეროვნული მოძრაობის ხელში, ანუ, არსებითად, ხელისუფლების შეცვლას კონსტიტუციური გზით.

ამდს მერე არჩეული უნდა იქნეს საქართველოს პრეზიდენტი საუოველთაო, ჰირდაპირი და ფარული კენჭისყრით. ესეც კონსტიტუციურია.

დღეს მოქმედი კონსტიტუციით, უზენაესი საბჭოს უფლებამოსილებაა მთავრობის დანიშვნა. მაშასადამე, მთავრობაც ისეთივე იქნება, როგორიც ეროვნულ მოძრაობას სურს.

როგორც უნდა მოინდომოს, მოსკოვი ვერაფერს დააკლებს ვერც უზენაეს საბჭოს, ვერც მთავრობას, ვერც პრეზიდენტს, რაკი სახელმწიფო მმართველობის ორივე ინსტიტუტი და პრეზიდენტი არჩეულია კონსტიტუციურად, ხალხის მხარდაჭერით და ნებით.

როგორც უზენაესი საბჭო, ისე პრეზიდენტი და მთავრობა აღჭურვილი იქნებიან ეველა კონსტიტუციური უფლებით. მათ ეველა გადაწვეტილებას,

ბუნებრივია, ექნება კანონის ძალა, იურიდიული სიმყარე და სიმტკიცე.

მაგრამ, ისევ უნდა გავიმეორო, ამას მივალწევთ მხოლოდ ეროვნული მოძრაობის ერთიანობისა და ერთსულოვნების შემთხვევაში. აუცილებელია ერის მომზადება არჩევნებისათვის. თუ არ გვექნება ერთიანი ჰოზიცია, სხვადასხვა აზრით, სხვადასხვა შეხედულებით ხალხს დავაბნევთ, გზა-კვალს ავურევთ, რითაც დაუყოვნებლივ ისარკებლებს მოწინააღმდეგე, ვითარებას თავის სასარკებლოდ შემოატრიალებს.

ჩვენ არ ვართ მიჩვეული არც დემოკრატიულ მმართველობას და არც დემოკრატიულ აზროვნებას. მოგესსენებათ, დემოკრატია არა მარტო პოლიტიკური მმართველობის ფორმაა, არამედ აზროვნებისაც. დემოკრატიული აზროვნება ადამიანის ბუნებრივი თვისება უნდა იყოს. მმართველობის დემოკრატიული ფორმის შემოღება შედარებით ადვილია. გაცილებით ძნელია და რთული დემოკრატიული აზროვნების გამოქმნა. თუ დემოკრატიული აზროვნება არ გამოქმნავდა, არაფერი მნიშვნელობა ექნება პოლიტიკური მმართველობის დემოკრატიული ფორმის შემოღებას. დემოკრატიული აზროვნების თვინიერ პოლიტიკური მმართველობის დემოკრატიული ფორმა მაშინვე გადაიზრდება დიქტატურაში.

მომავალი დიქტატურის გამოცნობა იოლად შეიძლება მისი სამეტყველო ერთ. ამის ნიმუშად ლენინი გამოდგება. სტატიაში – „პროლეტარული რევოლუცია და რენევატი კაუცკი“ – იგი გერმანელ სოციალ-დემოკრატს ლანძღავს სიტყვებით – გამოჩინებული, ლაქია, სულელი, უცუნური, ჰარლამენტური კრეტინი, კაბინეტური რეგვენი, არამზადა, ბინძური, გონებაჩლუნგი ჰედანტი, დაქორავებული მჯღაბნელი, ევეჩი, თაღლითი, ებედი, რენევატი, წყლისმნაყავი, მოლაუბე, იუღუშკა კაუცკი, გამოაჩინა ვირის ყურები და ა.შ. საერთოდ, ლენინის უუვარდა ადამიანის დამამცირებელი სიტყვების დახვავება. კაუცკი გამოჩინდა არ ეოფილა.

ამ სიტყვებს ამჯერად ნუ მიაპურობთ ურადლებას ზნეობრივი კუთხით, დააკვირდით მხოლოდ აზროვნების ხასიათის მხრივ. ადამიანი, რომელიც ამგვარი სიტყვიერი მასალებით აზროვნებს, შეუძლებელია ატარებდეს დემოკრატიის რაიმე თვისებას. იგი დიქტატორია სულით სორცამდე. როგორც კი ასეთი კაცი ძალაუფლებას ჩაიგდებს ხელში, სისხლის ტბებს დააუყენებს. ეს დაადასტურა ლენინის პოლიტიკურმა საქმიანობამ.

უბრალო, მარტივი წესია: მეტოქის დებულების უარყოფას არგუმენტები სჭირდება და არა მისი პიროვნების ლანძღვა-თრევა. როცა ადამიანის პიროვნულად დამამცირებელ სიტყვებს მივმართავთ, ეს არა მარტო საბუთების სიმწირეს მოწმობს, არამედ დემოკრატიული აზროვნების უქონლობასაც.

ამაზე ურადლებას იმიტომ ვამახვილებ, რომ დემოკრატიული აზროვნების უქონლობას სხვადასხვაგვარი სახიფათო შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

პირველი: ეროვნულ მოძრაობას შეუძალოს ხელი ერთიანი პოზიციის შექმნაში. ეროვნული მოძრაობის სხვადასხვა მიმართულება შეურიგებლად დაუპირისპიროს ერთმანეთს. ეს კი სრულიად არასასურველი მოვლენაა დღესაც და მომავალშიც.

მორე: მოწინააღმდეგეს მისცეს საშუალება სახელი გაუტეხოს დემოკრატიას. შეაშინოს ხალხი: ხედავთ, დემოკრატიას ახლავს ქაოსი, ურთიერთდაუნდობლობა, უწყსრიგობა (სამწუხაროდ, ამგვარი მითქმა-მოთქმა უკვე გაისმის). ცხადია, ეს სიმართლე არ არის, მაგრამ მოუხადებელი საზოგადოება მოსალოდნელია იოლად წამოგვოს ანკეისზე.

მესამე: დასაშვებია, დემოკრატიული აზროვნების უქონლობამ დამოუკიდებელ საქართველოში საფუძველი ჩაუყაროს დიქტატურის დამყარებას. რამდენადაც ადამიანი გამოუცდელია, დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებას მიუჩვეული, იმდენად მეტად ეშინია მას დემოკრატიული აზროვნების. დიქტატურა უოველთვის სარგებლობს ამით. წესრიგის სახელით ადამიანს მონობის მძიმე უღელს ადგამს (სსრკ-ის მოქალაქეებს ნიმუშისათვის შორს წასვლა არ სჭირდებოდა).

ჩვენ მოწმე ვართ, რომ სოციალიზმი დამარცხდა პოლიტიკურად და ეკონომიკურად. იგი უნდა დამარცხდეს, როგორც აზროვნების დიქტატორული ფორმაც. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიული აზროვნებით.

დემოკრატიული აზროვნება ჩვენ ვკჭირდება ბიუროკრატიის მოსაშლელადაც. თუ პარტოკრატიას საძირკველი გაუბზარა და ატორიტმანდა, ბიუროკრატია ჯერ მუარად ვრძობს თავს. ბიუროკრატამ იცის, მისი სრული მოშლა შეუძლებელია, რაკი სახელმწიფო არსებობს. ამიტომ შეუპოვრად იბრძოლებს თავის გადასარჩინად.

სახელმწიფოს, როგორც ხალხის პოლიტიკური მოწეობის ფორმას, ბევრი მტერი ჰყავდა. ისინი (მათ შორის კომუნისტებიც) ვკჭირდებოდნენ მის გაუქმებას, მაგრამ არ მოხერხდა ეს. ვერ მოიძებნა ხალხის ორგანიზებული ერთიანობის უკეთესი ფორმა. ალბათ, ვერც მომავალში გამოინახება. ცრუ დაპირებებს სჯობს ვადიაროთ სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობა. რაკი ასეა, ბიუროკრატიაც უნდა ავიტანოთ. მაგრამ რამდენადაც შესაძლებელია, უნდა შევამციროთ. ამას კი ადმინისტრაციული მმართველობის ძირეული რეფორმა სჭირდება.

ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც საქართველოა, ამჟამად დაუოფილია 69 რაიონად. თითოეულ რაიონში ხელისუფლების ორი ინსტიტუტია – რაიკომი და აღმასკომი – ურიცხვი თანამშრომლებით. ამას მივუძატოთ რესპუბლიკის სათავეში მდგომი კომპარტიის ცკ-ის, მინისტრთა საბჭოს და უხენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მოსამსახურენი და შევკვებლება წარმოვიდგინოთ, ბიუროკრატთა რა თავზარდამცემი რაოდენობა ფუნქციონირებს.

პირველი, რაც გადაუდებლად უნდა გაკეთდეს, განსაკუთრებით კომპარტიის ცკ-ისა და რაიკომების სრული გაუქმება. მით უმეტეს, მრავალპარტიულობის სისტემაში მათ საქმე აღარ რჩება.

მეორე, საქართველო ადმინისტრაციულად უნდა დაიყოს ისტორიული კუთხეების შესაბამისად. თუ ასე გადაკეთებთ, 14 ადმინისტრაციული ერთეული გამოგვივა: აფხაზეთი, აჭარა, გურია, თუშეთი, იმერეთი, კახეთი (ქიზიეთურთ), მთიულეთ-გუდამაყარი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო, სამცხე (მესხეთ-ჯავახეთი), სვანეთი (ქვემო და ზემო), ფშავ-ხევსურეთი, ქართლი, ხევი. რა თქმა უნდა, ამგვარ ადმინისტრაციულ დაყოფას დამუშავება-დაზუსტება უნდა. ჩემთვის გარკვეული და ნათელი ის არის, რომ საქართველოსათვის სრულიად საკმარისია 15 (ჰა და ჰა 20) ადმინისტრაციული ერთეული.

როგორც მოზაიკაში ეველა კენჭს თავისი ფერი აქვს, მაგრამ ერთად შეწეობილ-შეფარებული ქმნიან საერთო სურათს, ასეა საქართველოც. ეველა კუთხე ისტორიულად ჩამოყალიბებული თავისთავადი სახის მატარებელია, მაგრამ ერთად იმ ერთიან ქვეყანას ქმნიან, რომელსაც საქართველო ეწოდება. გურიაში ისე არ ცხოვრობენ, არ მღერიან, არ აცვიათ, როგორც ხევსურეთში, სამეგრელო არ ჰგავს ჯავახეთს და აჭარა – ხევს... იმერულ ხალხურ სიმღერას თავისი განუმეორებელი ემში აქვს და კახურს – თავისი... ერთ ციცქნა ტერიტორიაზე არსებული ეს მრავალფეროვანება უტყუარი საბუთია ქართველი ხალხის სიმდიდრისა და ნიჭიერების. დამოუკიდებელმა საქართველომ ეველადფერ ამას უნდა მოუაროს, უნატრონოს, ვაამრავალფეროვნოს, ვაამეაროს.

ისტორიული კუთხეების მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფა ეკონომიკურადაც მნიშვნელოვანი იქნება. ეველა ჩვენს კუთხეშია მეურნეობის თავისებური სახეობები. თუშურ ეველს, თუშეთის გარდა, ვერსად ამზადებენ. თუ მის წარმოებას, ტექნიკური თვალსაზრისით, დღევანდელ დონეზე დავაუყენებთ, თუშეთიც დიდ ეკონომიკურ სარგებელს ნახავდა და მთელი საქართველოც. საერთაშორისო ბაზარზეც ჩინებულ ეველს ვავიტანდით.

დიდი ჭკუა არ სჭირდება იმის მიხედვრას, რომ ბევრი ეველი რომ აწარმოო, ბევრი ცხვარიც უნდა გვავდეს. ბევრი ცხვარი რომ შეინახო, კარგი საძოვრებიც უნდა გქონდეს. ერთი სიტყვით, თუშეთი საქართველოს უნდა ეხმარებოდეს და მთელი საქართველო - თუშეთს. ასე ეჯავჯება ერთმანეთს ჩვენი კუთხური და ეროვნული კეთილდღეობა.

იყო დრო, როცა რაჭაში დიდებულ ლორს ამზადებდნენ. ამ ლორის წარმოება როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრისათვის ჩვენი მომავლის ერთი უმთავრესი ამოცანაა. მაგრამ ლორი თავისით არ კეთდება. მას ადამიანის ხელი სჭირდება. ეს ადამიანები კი რაჭაში უნდა ცხოვრობდნენ. მარტო ლაპარაკით არც რაჭაში დაბრუნდება ვინმე და არც ხევსურეთში. დაბრუნდებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ თავისუფალი მეურნეობის საშუალებას მივცემთ და დიდი

ხნით გავათავისუფლებთ უოველგვარი გადასახადისაგან.

უველაზე დიდი და მნიშვნელოვანი გადასახადი, რომელსაც უოველი მოქალაქე იღებს თავისი ქვეყნისათვის, ეს განსაკუთრებით აწეობილი მეურნეობა. უველა ღრომი ასე იყო და, მით უმეტეს, ასეა ახლა: უოველი ადამიანი ორი მიზნით შრომობს - თავის შესახად და მოკებისათვის. ადამიანმა ქვეცნობიერად იცის: სიმდიდრე არა მარტო კეთილდღეობაა, არამედ შთამომავლობის უნიფათო არსებობის გარანტიაც. შთამომავლობას რომ უნიფათო არსებობის გარანტია შეუქმნას, ადამიანმა შრომით უნდა მოიგოს და სიმდიდრე დაავროვოს. ოღონდ ამის საშუალება უნდა მისცე. არ უნდა შეზღუდო და შებოჭო იგი. შრომის ხალისი არ წაართვა. როცა ქართველ კაცს თავისუფალი შრომის იმედი დაუბრუნდება, იგი რაჭაშიც დაბრუნდება და ხვესურეთშიც, უდაბნოსაც აითვისებს და ურწუავსაც. ეს კი ჩვენი ეკონომიკის სიმუარე-სიმტკიცის საფუძველი იქნება.

ისტორიულად ქართული კულტურული ცენტრები თბილისში არ უოფილა თავმოყრილი. არავის გაუგონია თბილისის აკადემია, მაგრამ უველამ იცის კოლხეთის, გელათის, იუალთოს აკადემიები. ქვეყანა კულტურული თვალსაზრისით, თანაბრად უნდა იყოს განვითარებული. ამის საშუალებასაც იძლევა ადმინისტრაციულად საქართველოს ისტორიული კუთხეების მიხედვით დაუოფა. მე ასე მეოცნებება: დამოუკიდებელ საქართველოში ამა თუ იმ კუთხეს, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულს, მისი წლიური ეკონომიკურ-ფინანსური შემოსავლის 90 პროცენტი უნდა რჩებოდეს და საერთო რესპუბლიკურ ბიუჯეტში მხოლოდ 10 პროცენტი შეჭქონდეს (როგორც ამ, ისე სხვა შემთხვევაში ვხემძღვანელობთ პრინციპით: მცირე გადასახადი მწარმოებელს ააქტიურებს, დიდი გადასახადი ჰირიქით - აპასიურებს). ეს კუთხეებს საშუალებას მისცემს თავიანთ კეთილმოწეობაზე იფიქრონ და გააკეთონ კიდევ. მართალია, ოცნებამ შორს გაიყოლა, მაგრამ ღრმად მჯერა, რომ დამოუკიდებელ საქართველოში პროვინციების ცენტრები კულტურულ-ეკონომიკურად თბილისს არაფრით უნდა ჩამორჩებოდნენ. სხვაგვარად ღონიერი საქართველო არ შეიქმნება.

საქართველოს მოსახლეობა ეროვნულად ჰრედი რომ არ იყოს, ადმინისტრაციულად მისი მოწეობა მხელი არ იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ვაღდებულები ვართ არაქართული მოსახლეობის ინტერესიც გავითვალისწინოთ.

საქართველოში მოსახლე რუსებთან დამოკიდებულება მთელ რუსეთთან ურთიერთობასაც გულისხმობს.

საქართველოში მოსახლე სომხებთან დამოკიდებულება მთელ სომხეთთან ურთიერთობასაც გულისხმობს.

საქართველოში მოსახლე აზერბაიჯანელებთან დამოკიდებულება მთელ აზერბაიჯანთან ურთიერთობასაც გულისხმობს.

და ასე შემდეგ.

თითოეულ ხალხთან ურთიერთობას ცალ-ცალკე და დიფერენციულად უნდა მოვუქმებნოთ გადაწყვეტა. მათთან ურთიერთობის მოგვარება უამრავი სპეციფიკური ნიშან-თვისების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

ამჯერად აფხაზებთან ურთიერთდამოკიდებულების მომწესრიგებელ ჩემულ ვარაუდს გავაცნობთ. მინდა იგი ჰაექრობის, დავის საგანი განდეს როგორც ქართველთა, ისე აფხაზთა მხრიდან. იქნება ამ სჯა-ბაასში ორივე მხარისათვის მისაღებ გადაწყვეტას მივაგნოთ.

ჩვენ – აფხაზებს და ქართველებს – ღმერთმა ერთ სახლში ცხოვრება დაგვაკისრა. ასე იყო ისტორიულად, ასეა დღესაც. ამიტომ ეს სახლი ისე უნდა მოვაწყოთ, რომ არც ერთი მხარე დარჩეს უმაყოფილო და არც – მეორე.

აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობის მომგვარებელ გზად ეროვნული თვითმმართველობა მესახება.

რას ვვულისხმობ ეროვნული თვითმმართველობაში და როგორ წარმო-მიდგენია იგი?

დღევანდელი აფხაზეთის ასსრ-ის უველა ის დასახლებული ჰუნქტი (სოფელი, დაბა, ქალაქი), სადაც აფხაზობა კომპაქტურად სახლობს, შედის აფხაზთა ეროვნული თვითმმართველობაში და შეადგენს მის ტერიტორიას. ეს დასახლებული ჰუნქტები აღრიცხული იქნება საერთაშორისო კომისიის მიერ (ერთმანეთს რომ ვენდობოდეთ, ამის გაკეთება შინაურ კომისიასაც შეეძლო) და შევა იმ ხელშეკრულებაში, რომელიც დაიდება საქართველოს მთავრობასა და აფხაზთა თვითმმართველობას შორის.

აფხაზთა ეროვნული თვითმმართველობა დამოუკიდებელია, არ ექვემდებარება საქართველოს მთავრობას და იმართება საკუთარი კონსტიტუციის მიხედვით. ოღონდ აფხაზთა თვითმმართველობის კონსტიტუცია შეთანხმებულა საქართველოს ჰარლამენტთან ისევე, როგორც საქართველოს კონსტიტუცია უნდა შეუთანხმდეს აფხაზთა თვითმმართველობას. ეს აუცილებელია ეოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

დღევანდელი აფხაზეთის ასსრ-ის ქართული მოსახლეობა ექვემდებარება მხოლოდ საქართველოს მთავრობას. მასზე არ ვრცელდება აფხაზთა ეროვნული თვითმმართველობის იურისდიქცია.

ცალკეული აფხაზური ოჯახები, რომელნიც აღმოჩნდებიან ქართველებით დასახლებულ დაბა-სოფლებში, სურვილისამებრ, უფლება-მოხილნი არიან გადასახლდნენ აფხაზთა თვითმმართველობის ტერიტორიაზე. ასევე აფხაზთა თვითმმართველობის ტერიტორიაზე მოსახლე ცალკეულ ქართულ ოჯახებს, შეხედულებისამებრ, შეუძლიათ დაბრუნდნენ ქართველებით დასახლებულ დაბა-სოფლებში.

დღევანდელი აფხაზეთის ასსრ-ის არააფხაზ და არაქართველ (რუსები,

სომხები, ბერძნები და სხვანი) კომპაქტურ მოსახლეობას მიენიჭება უფლება, საერთო-სახალხო რეფერენდუმის გზით, აირჩიოს ვის დაექვემდებარონ – აფხაზთა ეროვნულ თვითმმართველობას თუ საქართველოს მთავრობას. ეს არჩევანიც გაფორმებულია სათანადო დოკუმენტით და ფიქსირებულია კონსტიტუციაში.

რაკი აფხაზთა და ქართველთა შორის ისტორიულად და ტერიტორიულად არსებობენ ნათესაურ-ოჯახური კავშირები, უოფისა და წინაწილებათა მსგავსება, აფხაზთა თვითმმართველობის ტერიტორია არ არის გამოყოფილი საქართველოს ტერიტორიისაგან საზღვრით და მიმოსვლა-კავშირი თავისუფალია.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზთა თვითმმართველობა დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეულია, აფხაზი მოქალაქე საქართველოში სარკებლობს ეველა იმ უფლებით, რითაც ქართველი მოქალაქე.

საქართველოს რესპუბლიკა კონსტიტუციურად იცავს აფხაზთა მოქალაქეობრივ უფლებებს, აფხაზთა ეროვნული თვითმმართველობა – ქართველთა მოქალაქეობრივ უფლებებს.

ამავე წესით უნდა შემუშავდეს ქალაქ სოხუმის სტატუსიც. ისე, გული რომ გულობდეს და შევთანხმდებოდეთ, ამის გაკეთება დღესაც შეიძლება. არ არის აუცილებელი დამოუკიდებლობის ცდა და ლოდინი.

თუმცა ეველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ვინ და როგორ შეხვდება ჩემს წინადადებას. ამას კი მომავალი დაგვანახვებს. ესა თუ ის დასაზუსტებელი საკითხიც კამათის დროს დადგინდება.

ახლა კი კლექტოკრატიას მივუბრუნდეთ.

ეველაზე ძნელი, როგორც უკვე ვთქვი, კლექტოკრატიასთან ბრძოლაა. მას ხელში ეკონომიკა უჭირავს, ის ეკონომიკა, რომელიც არსებობის საფუძველია.

თუ ჰარტოკრატია და ბიუროკრატია უუნარობისა და უმეცრების გამო მოშალა ეკონომიკა, კლექტოკრატია ამას შეგნებულად და გამიზნულად აკეთებს. სადაც ეკონომიკა აწეობილია, იქ კლექტოკრატია ვერ იარსებებს. კლექტოკრატია იქ ჰარაშაშებს, სადაც ეკონომიკა მორღვეულია და ძალიან ჰარტრონს ვერ ცნობს.

კლექტოკრატია იმითაც არის ღონიერი, რომ კლექტოკრატთა შორის ბევრია ბიზნესმენის ნიჭით დაჯილდოებული. ისინი სოციალიზმმა გახადა კლექტოკრატად, რადგან ტალანტის გამოვლენის საშუალება წაართვა. ჰორტონციური ზუბალაშვილები, სარაჯიშვილები, ხოშტარიები ქურდებად აქცია. ეს დანაშაული სოციალიზმს ბუმერანგივით შემოუბრუნდა: კლექტოკრატია იგი ეკონომიკურად მოშალა და დაარღვია.

კლექტოკრატის დამლევა მხოლოდ ნამდვილი ეკონომიკური სისტემის

შექმნით შეიძლება. ის რეფორმები, რომელსაც დღეს საბჭოური ხელისუფლება მიმართავს, არაერთარ შედეგს არ მოგვცემს. ახლანდელ რეფორმებს მიზნად მანც სოციალიზმის გადარჩენა აქვს. არადა, თუ ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლა გვინდა, ეკონომიკის სოციალისტური სისტემა ძირფესვიანად უნდა მოისპოს. უნდა დამკვიდრდეს ის, რასაც საბჭოური პროპაგანდა – კაპიტალისტურ ეკონომიკურ სისტემას უწოდებს, ხოლო დასავლეთში ჰქვია სოციალური საბაზრო მეურნეობა.

როგორც არასპეციალისტს, არაეკონომისტს სრული უფლება გაქვთ არ დამიჯეროთ. ამიტომ მოუსმინეთ კაცს, რომელიც საბჭოურ ეკონომიკასაც კარგად იცნობს, რაკი სსრკ-ის ყოფილი მოქალაქეა, და დასავლურსაც, რაკი ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს.

„ბაზარი კერძო საკუთრების თვინიერ არ მუშაობს. ნორმალური ეკონომიკა კერძომწარმოებლურია“.

„ისევ ვრწმუნდები: რეფორმის გარშემო მიდის დისკუსია, რეფორმა კი არ ხდება“.

„ეველაზე ცუდი, რაც ამ ცხრა თვის მანძილზე (ცხრა თვის წინათ ყოფილა სსრკ-ში – ა.ბ.) მოხდა, ის არის, რომ არაფერი არ მოხდა“.

„მას (დეფიციტს – ა.ბ.) მოერევა არა შინაგან საქმეთა სამინისტრო, არამედ მესაკუთრენი, რომელნიც ბაზარზე ერთმანეთს კონკურენციას გაუწევენ და ამომირკვავენ უკმარისობას.“

„ვერცერთი, ეველაზე უტიფარი მაფიაც ვერ მოახერხებს ჯიბეში ჩაიდოს იმდენი, რამდენსაც მარცვავეს ყოველწლიურად არანორმალური ეკონომიკა“.

„სიტუების ომი არ დამთავრებულა. ისევ ძველებურად ეკონომიკური პოლიტიკა ლეგენდების ხელშია: ქვეყანა მზად არ არისო ბაზრისათვის. ხალხი ვერ გაიგებსო. ეველაზე საშიში ის არის, რომ ერთმანეთს არწმუნებთ – თუ გლეხებს მიწას მიეცემთო, არ აიღებენ, არ იყიდიანო. მიეცით!“

ამას ამბობს იგორ ბირმანი, ვისთანაც საუბარი დაბეჭდილია „მოსკოვსკიე ნოვოსტიში“ (1990 წ., №15).

არც საკუთრების, არც მიწის და არც სხვა ამგვარი კანონები, რომელიც სსრკ-ის უხენაესმა საბჭომ მიიღო, არაერთარ დადებით შედეგს არ გამოიღებს. ჩვენ ეს კანონები გვერდზე უნდა გადავდოთ და ახალი შევქმნათ. სრულიად მკაფიოდ, მკვეთრად და მიუკიბ-მოუკიბავად უნდა ითქვას –

საკუთრების რომელ ფორმას ვაღიარებთ,

რა უფლება აქვს გლეხს, ანუ ვინ არის მიწის ჰატრონი – გლეხი თუ სახელმწიფო,

რა უფლება აქვს მუშას, ანუ ვინ არის ფაბრიკა-ქარხნების ჰატრონი – მუშა თუ სახელმწიფო,

ვის ეკუთვნის ინტელექტუალური შრომის ნაყოფი...

ჩემი ფიქრით, ამ საკითხების მოგვარებისას უნდა ვხელმძღვანელობდეთ ჰრინციპით: მწარმოებელი უნდა იუოს გამსაღებელიც და მოგებაც მწარმოებელს უნდა ეკუთვნოდეს.

ვეელაფერი ეს აღიარებული უნდა იქნეს კონსტიტუციურად და მისი შეცვლა-გაუქმების უფლება არაფის მიეცეს.

რას ნიშნავს ეკონომიკური ძლიერება, ეს ვეელამ ჩინებულად იცის, მაგრამ ერთ მაგალითს მაინც გავახსენებთ.

გერმანიას დღესაც ოკუპირებული ქვეყნის სტატუსი აქვს. ორივე გერმანიაში, გფრ-შიც და გდრ-შიც, დვას საოკუპაციო ჯარი (სსრკ-ის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და სხვათა), რომლის საერთო რაოდენობა 814.400 კაცია („ლიტერატურნაია ვაზეტა“, 1990 წ., №14). მაგრამ გფრ-მ ეკონომიკურად მაინც დაამარცხა ოკუპანტები და არსებითად დაიქვემდებარა.

ჯერ, ალბათ, თითო-ოროლა ჰოლიტიკოსმა თუ იცის, რამდენ მილიარდ მარკად იუიდა გფრ-მ გდრ. მაღე ესეც ცნობილი ვახდება. კიდევ ერთხელ გამოვლინდება გფრ-ს ფინანსურ-ეკონომიკური ძალმოსილება. მაგრამ ერთი წუთით დავანებოთ ამას თავი და მეორე ფაქტს მივაქციოთ უურადლება: გფრ სსრკ-ის ტერიტორიაზე ქმნის დიდ სამეურნეო და კულტურულ ზონას. ამ ზონაში ის გერმანელები დასახლდებიან, რომელნიც ამქამად საბჭოეთის სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ და გერმანული ავტონომიისათვის იბრძვიან. მათი ამოცანაა გააჯანსაღონ დასწეულებული საბჭოური ეკონომიკა და სსრკ-ის ბანკებს მისცენ ვალუტა („მოსკოვსკიე ნოვოსტი“, 1990 წ., №14).

და იცით მერე სად იქნება ეს სამეურნეო და კულტურული ზონა? აღმოსავლეთ ჰრუსიაში, რომელიც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მითთვისა სსრკ-მა და კალინინგრადის ოლქი დაარქვა. ისიც ცხადია, საბოლოოდ რა მოჰყვება ამას: კალინინგრადს დაუბრუნდება ძველი ნამდვილი სახელი კაონისბერგი, ხოლო ისევე გერმანელებით დასახლებულ აღმოსავლეთ ჰრუსიას შეიერთებს გაერთიანებული გერმანია.

იარაღით დამარცხებულიმა გერმანიამ ეკონომიკის საშუალებით ასე დასცა ძირს სსრკ. თუ გამარჯვებისათვის სსრკ-მა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე გაიღო, დღეგანდელმა გერმანიამ გამარჯვება მოიპოვა უსისხლოდ, ფულით. ერთი ადამიანიც არ შეუწირავს მსხვერპლად. თან ეკონომიკით მოპოვებული გამარჯვება არ არის ისე ფეემერული, როგორც იარაღით მიღწეული.

აი, ეს არის ეკონომიკური ძლიერება.

კარგად ვიცის, ამას რომ მიადწიო, გერმანულ შრომისმოყვარეობასთან ერთად, აუცილებელია გუავდეს ლუდვიგ ერჰარდიც. მაგრამ სხვა გზა არ არის: სანამ ქართველი ლუდვიგ ერჰარდი გამოჩნდებოდეს, ჩვენმა ეკონომისტებმა შეუძლებელი უნდა შეძლონ და დამოუკიდებელი საქართველოს განვითარების ის ეკონომიკური მორელი შექმნან, რომელიც ქართველ ხალხს საშუალებას

მისცემს დაახლოვს შინაური თუ გარეშე მტერი.

როცა ეკონომიკაზე ვლანაზარაკობთ, არც ფული უნდა დაგვაფიწედეს. მართალია, ფული უველანს უვეარს, მაგრამ არა მკონია ვველა დაკვირვებით კითხულობდეს, რა აწერია ამ სანუკვარს ბანკნოტს:

“Банковские билеты обеспечиваются золотом, драгоценными металлами и прочими активами государственного банка”.

ვიცით კი ჩვენ ამჟამად, რა რაოდენობის ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტია საქართველოს ბანკებში შენახული?

რუსთაველის საზოგადოების გაკვირვებას სახლვარი არ ჰქონდა, როცა შეიტყო, რომ საქართველოს ლომბარდებში დაგირავებული განმეული, თუ ჰატრონმა ვერ გამოისყიდა, მაშინვე მოსკოვში იგზავნება (ამ რამდენიმე დღის წინათ ტელევიზიით გვანუგემეს, რომ ამიერიდან აღარაფერი გაიგზავნებოდა მოსკოვში. ღმერთმა ჰქნას!). თუკი ლომბარდში დაგირავებული იგზავნება, ვინ დატოვებს ბანკში ოქრო-ვერცხლსა და თვალ-მარგალიტს?

როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა, თბილისის ბანკები გატენილი იყო ოქრო-ვერცხლითა და თვალ-მარგალიტით. მაშინ ქართველმა თავადზნაურობამაც დიდძალი განმი მიართვა თავისუფალი ქვეყნის მთავრობას. როგორი იყო დემოკრატიული საქართველოს ფული, კარგად ჩანს იულიუს ბრაუნტალის ცნობიდან.

1922 წელს ბოლშევიკებმა ქინაქინა არ იყიდეს სახლვარვართ. საქართველოში მაღარია გამმვინვარდა. ხალხი ბუხებოვით იხოცებოდა. მაშინ საერთაშორისო პროფკავშირებმა გამოუწოდა ქართველ ერს დახმარების ხელი. ავსტრიელმა იულიუს ბრაუნტალმა საქართველოში ქინაქინა ჩამოიტანა. 1922 წლის 30 მარტიდან 22 აპრილამდე დარჩა ჩვენთან სტუმრად. შინდაბრუნებულმა წიგნი დაწერა: „კომუნიზმიდან იმპერიალიზმისაკენ. ბოლშევიკური საქართველო სურათები“.

ამ წიგნში იგი წერს, რომ 1921 წლის იანვარში ერთი ფუნტი ინგლისური სტერლინგი 18.000 ქართულ მანეთს უდრიდა. როცა თებერვალ-მარტში ბოლშევიკებმა საქართველო დაიპყრეს, ქართული მანეთის კურსი ერთბაშად დაეცა. 1922 წლის 15 აპრილს ერთი ფუნტი სტერლინგი უკვე 1.800.000 მანეთის ტოლი იყო. მიუხედავად ამგვარი დაცემისა, ქართული მანეთი მაინც სჯობდა რუსულ რუბლს: იმავე პერიოდში 1000 რუსული რუბლი უდრიდა 125 ქართულ მანეთს.

ახლა როგორ იქნება ქართული მანეთის საქმე? შეგვეძლება ჩვენს ფულს დავაწეროთ: განაღდებული იქნება საქართველოს ბანკის ოქროთი, ძვირფასი ლითონებით და სხვა აქტივით? ამის ჰასუსი ჩვენმა ფინანსისტებმა უნდა მოგვცენ. თორემ სომხედავთ, მოსკოვი კაპიკ-კაპიკ ითვლის სსრკ-ის რამდენი ვალი მართებს ლიტვას. იმაზე კი კრინტს არ მრავს, ლიტვა როგორ ვაძარცვეს.

როცა საქართველოსაც გამოუცხადებენ, ამდენი და ამდენი ვალი

გმართვებთო სსრკ-ის, მაშინ ჩვენც მზად უნდა ვიყოთ ვუპასუხოთ: რაც 1801 წლიდან დღემდე საქართველოდან წაგილიათ, ის დაგვიბრუნეთ და დანარჩენზე მერე ვიმასლაათოთო.

მაგრამ ასე რომ ვუპასუხოთ, გამოანგარიშებული უნდა გვქონდეს – რა ღირებულების განძია წაღებული. იცის კი ეს ვინმემ? ვაი, რომ არა.

ბევრი საქმეა საკეთებელი უაღრესად მნიშვნელოვანი და არსებითი.

რაც ზემოთ მოგახსენეთ, იმით, ჩემი აზრით, მოქმედების შემდეგი გეგმა ისახება:

პირველი: არჩევნების გზით უზენაესი საბჭოსა და მთავრობის გადასვლა ეროვნული მოძრაობის ხელში.

მეორე: პრეზიდენტის არჩევა.

მესამე: ახალი კონსტიტუციის მიღება და მისი პრინციპებით რეფორმების ჩატარება, ჯერ ადმინისტრაციულის და მერე ეკონომიკურის.

მეოთხე: სსრკ-დან გამოსვლა და დამოუკიდებლობის აღდგენა.

აღბათ, სულწასულებს მოეჩვენებათ, რომ ამის განხორციელებას ძალიან დიდი დრო დასჭირდება. ჯერ ერთი, კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ რამდენად ვიჩქარებთ, იმდენად დავიგვიანებთ (აკი ამბობს ანდაზა – მოჩქარეს მოუგვიანდესო) და, მეორეც, თუ ეროვნული მოძრაობა გაერთიანებული მიზანსწრაფულად იძრომებს, წარმოდგენილი გეგმის განხორციელებას არ სჭირდება დიდი დრო. ამ საქმეში უველაფერს განსაზღვრავს ჭკუა და ერთიანობა.

1990 წ., აპრილი

სტალინის ლიბანიზაცია

ვინც მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებას თვალუწვს ადევნებს, მან კარგად იცის – რა უბედურება ტრიალებს ლიბანში. ჯერ იყო და, ქრისტიანი და მუსლიმანი ლიბანელები წაიკიდნენ. დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა გააჩაღეს. მერე მუსლიმანი ლიბანელები გაიუფნენ სექტებად და ჯგუფებად. ამათაც მუსრი გაავლეს ერთმანეთს. მაჰმადიანებზე ნაკლები რითი ვართო, იფიქრეს ქრისტიანმა ლიბანელებმა და ისინიც გაითიშნენ. დაიწვეს ერთმანეთის დაუზოგავი ქუქვა. ლიბანში ისე აირ-დაირია ცხოვრება, რომ ძალდი ჰატრონს ვეღარ სცნობს.

სიტყვით ვეველა თავგადაღებული ამტკიცებს, ლიბანის კეთილდღეობისათვის ვიბრძვითო. საქმით კი მსოფლიოს ერთი უმდიდრესი და უღამაჴესი ქვეყანა მისი შვილების დაუნდობლობამ, შულღმა და მტრობამ მიწასთან გაასწორა.

ამ განურჩეველ მტრობას, ერთმანეთის სიძულვილს, საერთო ეროვნულ შეუთანხმებლობას რუსმა ემიგრანტმა მწერალმა ვლადიმერ მაქსიმოვმა ცნობიერების ლიბანიზაცია უწოდა.

მართალია, ჯერჯერობით ცნობიერების ლიბანიზაციას ქართველობა ტოტალურად არ შეუპერია, მაგრამ ქართული ეროვნული მოძრაობის გათიშვის სახიფათო ნიშნები კი აშკარად ჩანს. საბუთად საემარისია ის, რაც ჰრესამი გამოქვეყნდა.* გამოქვეყნებული დოკუმენტები მოწმობენ ხიფათს, რომელიც ქართულ ეროვნულ მოძრაობას დაემუქრა. მალე და იოლად ავიცილებთ თუ არა ხიფათს, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. ჯერ კი აუცილებელია ქართველი ხალხი ვიხსნათ გათიშულობისაგან. ბევრი მტკიცება და საბუთი არ სჭირდება იმას, რომ თუ ეროვნული მოძრაობა ორად გაიყო, გაიყოფა ქართველი ხალხიც. ერის ერთი ნაწილი მხარს დაუჭერს ეროვნული მოძრაობის ერთ ფრთას, მეორე ნაწილი – მეორე ფრთას. მტერიც ამას ელოდება მოუთმენლად. მოხდება ის, რაც ასე მწარედ გამოიტერა მე-18 საუკუნეში დავით

იხ. 1990 წლის 17 მაისის „ახალგაზრდა ივრელი“, 15, 18, 19 მაისის „ობილი“.

ვით მამალი სხვის მამალსა
დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს,
დაქოჩროს და დაეკიდოს,
რა ორნივე დაღალულნი
მღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს,—
ეგრეთ ქართლი და კახეთი
დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!

ნუთუ მე-18 საუკუნის შემდგომ ჩვენ არაფერი გვისწავლია!

შეიძლება მკითხველმა იკითხოს— რატომ შეგვაშფოთა პარტიულმა დავა-
კამათმა, თუნდაც განხეთქილებამ? ეს სომ ჩვეულებრივი ამბავია დემოკრატი-
ულ ქვეყნებში? მართალია, მაგრამ საქართველოსა და რომელიმე ევროპულ
დემოკრატიულ ქვეყანას შორის ძირეული განსხვავებაა.

ავიღოთ რომელიც გნებავთ პატარა ევროპული ქვეყანა — შვეიცარია,
ჰოლანდია, დანია, ნორვეგია და სხვანი. ეს ქვეყნები თავისუფალი ქვეყნებია.
მათ არ სჭირდებათ თავისუფლებისათვის ბრძოლა. მათი სახელმწიფოებრივი
სტრუქტურა დიდი ხანია ჩამოყალიბებულია. მუარია. არაფერი ემუქრება
დაშლით. ეროვნულად ერთგვაროვანია. თუ ასე არ არის, ვთქვათ, შვეიცარიაში,
სამაგიეროდ ეროვნული თანხმობა მიღწეულია. განხეთქილება არ ემუქრება. ამ
ქვეყნებში პარტიული ბრძოლა ცალკეული პრობლემების უკუთ მოგვარები-
სათვის მიმდინარეობს. იქ ბრძოლა მტკიცე კონსტიტუციური კანონების ჩარ-
ჩობი ხდება. ხალხს შეეძინა აქვს დემოკრატიული ცხოვრების დიდი
გამოცდილება. იცის, როგორ დაიჭიროს თავი პარტიული შეხლა-შემოსლის
დროს. ამდენად პარტიული ბრძოლა არავითარ საფრთხეს არ შეიცავს.

ძირეულად სხვა ვითარებაა საქართველოში. ჯერ ერთი, საქართველო
იბრძვის თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის; მეორეც, საქართვე-
ლო იღვწის არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სინამდ-
ვილის ძირფესვიანი შეცვლისათვის; მესამეც, საქართველოში პარტიული
ბრძოლა მიმდინარეობს არა კონსტიტუციური კანონიერების ფარგლებში,
არამედ საერთოდ კონსტიტუციის უქონლობის პირობებში (დღეს არსებული
კონსტიტუცია მიჩნეულია უაღბად. მას არავინ ემორჩილება); მეოთხეც, ქართ-
ველ ხალხს დემოკრატიული ცხოვრების არავითარი გამოცდილება არა აქვს.
იოლად შეიძლება მისი დაბნევა.

ეს არსებითი განსხვავება სრულიად სხვადასხვა შინაარსს აძლევს პარტი-
ულ ბრძოლას საქართველოში და ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში.

ეველა დემოკრატიულ ქვეყანაში, როცა საომარი ვითარება იქმნება, ევე-
ლიანირი პარტიული ბრძოლა წყდება. მმართველ პარტიას ოპოზიციური პარ-

ტიები სოლიდარობას უცხადებენ. ეველა ერთად იღვწის სამშობლოს დასაცავად და გადასარჩენად. ჰარტიული ბრძოლა ახლდება ომის დამთავრების შემდეგ.

საქართველოს ორი ომი აქვს ამჟამად: ეროვნული თავისუფლებისათვის და სოციალიზმისაგან თავდასნისათვის.

1977 წელს „იმა-პრესის“ მიერ გამოცემულ წიგნში „Социализм как явление мировой истории“, იგორ შაფარევიჩის ასეთი დასკვნა გამოაქვს: „Смерть человечества является не только мыслимым результатом торжества социализма – она составляет цель социализма“ (გვ. 365), მოაქვს კიდევ ამის დამამტკიცებელი საბუთები. თუმცა რაღა საჭიროა დოკუმენტების მოხმობა!.. თავად სსრკ მოწმობს შაფარევიჩის დასკვნის უტყუარობას.

ჩვენს ბედს ძალდი არ დაჰეფდა, ეროვნული თავისუფლების მოპოვება და სოციალიზმისაგან თავდასნა ერთდროულად რომ მოხდებოდეს. მაგრამ ასე არ იქნება. ეროვნულ თავისუფლებას უფრო ადრე მოვიპოვებთ, ვიდრე სოციალიზმისაგან ვისნით თავს. ამას ადასტურებს სოციალ-დემოკრატიული ჰარტიის ხელმეორედ დაბადება, ორგანიზაცია „სტალინის“ შექმნა და ა.შ. გამოდის, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ეტრფიალებიან სოციალიზმს. ახალი სოციალ-დემოკრატიული ჰარტია დამოუკიდებლობის მომხრეა, მაგრამ სოციალისტურ იდეალებს ვერ ელევა. მაშასადამე, ეს ჰარტია დამოუკიდებლობის აღდგენის მერეც გააგრძელებს ბრძოლას სოციალიზმის დასამკვიდრებლად. ამიტომ დღეს ვერვინ იტყვის ზუსტად – რამდენ ხანს იქნება დაკიდული საქართველოს თავზე სოციალისტური გადაშენების დამოკლეს მახვილი.

მართალია, ქართველი ხალხი ეროვნულ-კანმათავისუფლებელი ბრძოლისაკენ შემობრუნდა, მისი იწამა და დაიჯერა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეროვნული ერთიანობა მიღწეულია. ერთიანობას კარგადიდი მანძილი გვაშორებს.

ერთიანობა მაშინ იქნებოდა მიღწეული, საქართველოს კვ რომ ფიქრობდეს ჩემი უავლი გავიდა, ისტორიის ასპარეზიდან უნდა წავიდე, ადგილი ეროვნულ ძალებს უნდა დაუთმოო. მაგრამ იგი ასე არ ფიქრობს. ეს ნათლად გამოჩნდა იმ მასალებში, რომელიც საქართველოს კვ 28-ე ყრილობის წინ დაისტამბა და თავად ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვებშიც. პირიქით, კომპარტია ეძებს კანახლების გზებს, განმტკიცების საშუალებებსა და ხერხებს. ცდილობს ხელისუფლების ძეარად შენარჩუნებას.

ერთიანობა მაშინ იქნებოდა მიღწეული, საქართველოს კომკავშირიც რომ აპირებდეს არსებობის შეწყვეტას. მაგრამ ასე არ არის: ისიც გადარჩენისათვის იბრძვის და მომხრეებსაც ჰოულობს.

ერთიანობა მაშინ იქნებოდა მიღწეული, სოციალ-დემოკრატიული ჰარტიის აღდგენის აზრი და სურვილი რომ არ გაჩენილიყო. რაკი სოციალ-

დემოკრატიული ჰარტია შეიქმნა, ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ ქართველობის ვარკვეული ნაწილი სოციალიზმის ერთგულია. ძნელად თუ იტყვის მასზე უარს.

ერთიანობა მაშინ იქნებოდა მიღწეული, საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა საქართველოს არაქართულ მოსახლეობასაც რომ სურდეს. ფაქტებმა და მოვლენებმა, ჩვენში უკანასკნელ ხანებში მომხდარმა, დაგვანახვეს, რომ არაქართული მოსახლეობა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგია.

ერთ უბედურ დღეს კომპარტიას, კომკავშირს, სოციალ-დემოკრტიას, არაქართულ მოსახლეობას შეუძლია გაერთიანდეს და, ინტერნაციონალიზმის სახელით, ეროვნულ მოძრაობას მასვილი ჩასცეს ზურგში. ინტერნაციონალიზმის იდეა (კომუნისტური გაგებით) ჯერ დამლეული არ არის. ბევრს ისევ მიაძიტად ჰგონია, რომ ნაციონალიზმი ინტერნაციონალიზმის მტერია. ვერ მიმხვდარა, რომ ინტერნაციონალიზმის საფუძველი ნაციონალიზმია. „ვისაც არ უყვარს მშობელი დედა, ის მის მაგიერ ვის შეიყვარებს?“ (აკაკი).

აღბათ, ეველა ძალიან დააღონა გახეთ „კომუნისტში“ (1990წ., 24 მაისი) გამოქვეყნებულმა ცნობამ, რომ სახალხო ფრონტს მიტმასნებულმა ზოგიერთმა პირმა სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. ისინი დაპატიმრებული არიან. ინვალიდთა ასოციაციამაც დაიჩივლა: დამნაშავენი თურმე მისი სახელითაც მოქმედებენ. როგორც ჩანს, კლექტოკრატია მოძვრება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. თუ ეს სასწრაფოდ და მტკიცედ არ აღიკვეთა, კლექტოკრატია ეროვნულ მოძრაობასაც ისევე გამოხრავს, როგორც კომპარტია გამოხრა.

ეროვნული მოძრაობის წევობრივ სახეს ფრიად აკინებებს უკვე მოდად შემოსული საქციელი – „კარის აჭედვა“. „კარის აჭედვა“, როგორც რუსები იტყვიან, самосуд-ია (აღბათ, საქართველოში არ უოფილა самосуд-ის ფაქტები, რაკი ამ ცნების აღმნიშვნელი სიტყვა არ გვაქვს და რუსულის კალკს – თვითგასამართლება – ვიყენებთ). თვითგასამართლება სამართლებრივი ცნობიერების ეველაზე დაბალი, პირველყოფილი საფეხურია. ეველა სამართლებრივ სახელმწიფოში იგი დამობილია, მისი ჩამდენი სასტიკად ისჯება. განსოვთ, აღბათ, იტალიაში მარქსისტულმა „წითელმა ბრიგადებმა“ უოფილი პრემიერ-მინისტრი ალდო მორო მოიპარეს და მოკლეს. მაშინ აშშ-ს პრეზიდენტმა კარტერმა იტალიის მთავრობას სამძიმარი გამოუცხადა. სამძიმარში იგი იტალიის მთავრობას თხოვდა: მწუსარებამ სამართლებრივი დემოკრატია და წონასწორობა არ დაგარღვევინოთ. დამნაშავეთა მიმართ შურისგების გრძნობა არ გაუიჩნდეთ, ისინი კანონის სრული დაცვით გაასამართლეთო. მართლაც, როგორი მძიმე დამნაშავეც უნდა იყოს კაცი, სამართლებრივ სახელმწიფოში იგი კანონის სრული დაცვით უნდა გაასამართლდეს. სადაც კანონიერება ირღვე-

ვა, იქ განუკითხაობა ისადგურებს.

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი საქართველოს სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაა. ამ პრინციპს ეროვნული მოძრაობა დღესაც ურევად უნდა იცავდეს. მისი ეველა პროტესტი სამართლებრივ ხასიათს უნდა ატარებდეს. თორემ ავმა ზნემ შეჩვევა იცის. დამოუკიდებელ საქართველოშიც შეიძლება ფეხი მოიკიდოს *самосуд*-მა. ეს კი დამოუკიდებლობას გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს. ამიტომ თვითგანსამართლების უოველგვარი გამოვლენა უნდა აღიკვეთოს. უნდა გამოუმავდეს ეროვნული მოძრაობის ქმედების სამართლებრივი პრინციპები. თვითნებობამ და თვითგანსამართლებამ არ უნდა შეებლალოს ეროვნული მოძრაობის ზნეობრივი სახე. ამისათვის კი აუცილებელია ერთიანობა.

თუ ადამიანი მოწინებით არ მოეპურო გმირულ და ვაჟკაცურ საქციელს, მაშინ ისიც შეიძლება გაუფასურდეს. როცა ახალგაზრდობამ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შიმშილობა გამოაცხადა, ეს იუო ამაღლებული აქტი, რომელმაც ქართველი ხალხი გამოაღვიძა და ბრძოლისათვის განაწყო. მას დაფასება უნდა. მოკრძალებული დამოკიდებულება სჭირდება. თუ სხვაგვარად მოვიქცით, შიმშილობის აქტს კომედიის საგნად ვაფხდით. ამის საშიშროება გამოჩნდა. ახლა საქმე ისე წავიდა, რომ წამდაუნუმ ესა თუ ის პიროვნება მიზეზით თუ უმიზეზოდ, შიმშილობას აცხადებს. დაწესებულებაში აწეწინებს დირექტორი თანამშრომელს, მაშინვე განაწეწინებული შიმშილობას იწეებს. არ მოეწონა მუშას ხელფასი, შიმშილობას მიმართავს. წაიჩხუბებს თუ არა კოლმეურნეობის თავმჯდომარე და კოლმეურნე, შიმშილობაც მაშინვე ჩაერევა საქმეში. არ ჩარიცხავენ აბიტურიენტს უმაღლეს სასწავლებელში და შიმშილობაც მოხმობილია, როგორც ხსნის საშუალება. მოწაფეს ვაკვეთილის არცოდნისათვის მასწავლებელმა ორიანი რომ დაუწეროს, ოროსანი მაშინვე შიმშილობას წამოიწეებს. მალე, ალბათ, ბერბიჭებიც და შინაბერებიც შიმშილობას მოიშველიებენ დასაქორწინებლად და გასათხოვებლად.

ჩვენ თვითონვე ნუ ვაფხდით გმირულსა და ამაღლებულს საქილიკო საგნად.

ეს ვითარება იმითაც შეიძლება იუოს გამოწვეული, რომ ეველა საკუთარი გუნება-განწოობილების მიხედვით იქცევა. არ არის შემუშავებული მოქმედების ერთიანი გეგმა. უფრო მეტიც, დღეს ეროვნულ მოძრაობას არა მარტო ერთიანი ხელმძღვანელობა სჭირდება, არამედ მოქმედების მკაფიოდ ჩამოყალიბებული კანონებიც. ეს კანონები იმდენად ზუსტად უნდა იუოს შემუშავებული, რომ მასში მკაფიოდ აირეკლოს დამოუკიდებელი საქართველოს სამართლებრივი სახე.

ჯერჯერობით ეს სამართლებრივი სახე არ ჩანს. ალბათ, ვერ ვხედავთ იმიტომ, რომ არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი, საერთო-ქართული კონცეფცია ეროვნული მოძრაობისა, მისი იდეოლოგიური საფუძველი.

ჩვენ ვიცით მიზანი – დამოუკიდებელი საქართველო. მაგრამ ისიც სომ ცხადია, რომ დამოუკიდებლობა კონცეფცია არ არის. დამოუკიდებლობა ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური არსებობის ფორმაა. დამოუკიდებელია, მაგალითად ორივე – მონარქისტული შვეიცარია და მუსლიმანური რესპუბლიკა ირანიც, მაგრამ რამოდენა სხვაობაა მათ შორის. შვეიცარიაში მონარქიაა, მაგრამ ეს ქვეყანა დემოკრატიის ნიმუშია მთელი მსოფლიოსათვის. გაკოტრებული სოციალიზმის დამცველები იმასაც კი ჩაკვირდებიან – სოციალიზმი სწორედ ის არის, რაც შვეიცარიაშია. ირანი რესპუბლიკაა, მაგრამ შემწარავი დიქტატურა მძვინვარებს, პიროვნების თავისუფლებას მონობის მძიმე უღელი ადგას.

თუ დამოუკიდებლობას ნათელი შინაარსი არ მივცით, ისე იგი ცარიელ ცნებად დარჩება.

გლენობამ და მუშებმა უნდა იცოდნენ – რას ჰპირდება მათ დამოუკიდებელი საქართველო. როგორ იქნება მოწყობილი მათი ცხოვრება. რა უფლებამოვალეობანი ექნებათ მათ. როგორ, რა კანონებით იქნება გარანტირებული მათი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა. ვინ და რა დაიცავს მათ თავისუფალ შრომას.

ინტელიგენციამ უნდა იცოდეს – რამდენად შეუძლებელია და თავისუფალი იქნება ინტელექტუალური შრომა. ვისი კუთვნილება იქნება ინტელექტუალური შრომის ნაყოფი.

საქართველოს არაქართულმა მოსახლეობამ უნდა იცოდეს – როგორ მოგვარდება ეროვნული საკითხი. ემუქრება თუ არა რაიმე საფრთხე მათ ეროვნულ მე-ს.

ეროვნულ პრობლემას უზუსტესი დამუშავება-გადაწყვეტა სჭირდება, თორემ შეიძლება ისეთ უხერხულ ვითარებაში აღმოჩნდეთ, როგორც სულ ახლახან ეროვნულ ყრილობაზე. როცა „აიდვილარას“ წარმომადგენელმა განაცხადა: აფხაზ ხალხს ის სურს, რაც ქართველ ხალხს – დამოუკიდებლობაო. ყრილობამ მქუხარე ტაში დასცხაო. ვერ მივხვდით იმას, რაც იმ ჭკვიანმა კაცმა ქვეტექსტით გვითხრა: თქვენ, ქართველებს, დამოუკიდებლობა გინდათ, ე.ი. რუსეთის წასვლა საქართველოდან. ჩვენ, აფხაზებსაც, დამოუკიდებლობა გვინდაო, ე.ი. საქართველოს წასვლა აფხაზეთიდან.

მერედა, ამას დაუკარით ტაში?

ეს იბიტომ ხდება, რომ არ ვმოქმედებთ დამუშავებულ-დაზუსტებული კონცეფციით, იდეით. არ ვიცით ამ იდეისა და კონცეფციისადმი სხვათა დამოკიდებულება. ეს იდეა-კონცეფცია ეროვნულ მოძრაობას ერთიანი და განუყოფელი უნდა ჰქონდეს. მისი გამოუმუშავებაც მაშინ შეიძლება, როცა ქართული ეროვნული მოძრაობა შეკრულ-შეერთებული და ურღვევი იქნება.

ეროვნული მოძრაობის ერთიანი იდეა-კონცეფცია მარტო საშინაო პოლიტიკისათვის არ გეჭირდება. იგი გეჭირდება საგარეო პოლიტიკი-

სთვისაც. კაცობრიობამ უნდა იცოდეს, ქართული ეროვნული მოძრაობა რას წარმოადგენს, რა იდეალები ამოძრავებს მას, რა სულიერი მრწამსით სურს საქართველოს შევიდეს კაცობრიობის თანაჯარსკვლავედში. კაცობრიობამ თვალნათლივ უნდა დაინახოს, რომ მოდის ახალი ქვეყანა, რომელსაც მოაქვს ავთანდილის თავდადება მოკვასისათვის, ჰაჯი-უსუბის პასუხისმგებლობა, მინდიას სიუვარული სამუაროსადმი. ამის გაცნობიერება თავად ჩვენც გვმართებს. თუნდაც იმიტომ, რომ, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა აღსდგება, მაშინვე სამოთხეში არ აღმოჩნდებით. დიდი და მძიმე გასაჭირი გვექნება გადასალახავი, დიდი სირთულეები დასაძლევია, მწვავე საკითხები მოსაგვარებელი. მაგრამ მაშინ ცნობიერების ღიბანიზაციამ რომ არ შეგვიპყროს, ყოველმა ქართველმა ის უნდა უთხრას თავისთავს და სხვასაც, რაც ხვეისბერმა ონისეს: „ – განსოვდეს ვისი გორისა ხარ და კაცი კი ტანჯვისათვის არის გაჩენილი“.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს ანდერძი დაივიწყოს ქართველმა, თუნდაც სიუვარულის დიდი გრძნობის გამო.

1990 წ., მაისი



(თქვენ მკითხეთ – რატომ ვთქვი უარი რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარეობაზე. ჩემი ეს წერილი ამ კითხვის ზასუსი იქნება).

რუსთაველის საზოგადოებას აკითხავენ მშობლები, რომელთაც მძიმედ დაავადებული ბავშვები ჰყავთ. ითხოვენ უცხოეთში სამკურნალოდ გაგზავნას და, ცხადია, ამისათვის ვალუტას. რუსთაველის საზოგადოებას დახმარების აღმოჩენა არ შეუძლია: იგი ვერავის გაგზავნის უცხოეთში სამკურნალოდ და ვერც ვალუტით მოამარაგებს ვისმეს. დიდი-დიდი, რაც შეიძლება რუსთაველის საზოგადოებამ გააკეთოს, ეს განსაკუთრებით ის, რომ სხვადასხვა ინსტანციაში კარდაკარ იმათხოვროს და უამრავი მთხოვნელიდან რომელიმე ერთს ჰაწია დახმარება აღმოუჩინოს. მაგრამ ეს არ არის ჰრობლემის გადაწყვეტა. რა დააშავეს იმ სწეულმა ბავშვებმა, რომელთაც ვერ ვუშველეთ? რა დააშავეს იმ ბავშვების გამწარებულმა მშობლებმა?

ჰრობლემა მაშინ იქნება გადაწყვეტილი, როცა ქართველები თუ საქართველოს არაქართული მოსახლეობა უცხოეთში კი არ დაიწეებენ შვედის ძებნას, არამედ საქართველოში იქნება ისეთი სამედიცინო მომსახურება, რომ არავის არსად წასვლა არ დასჭირდება. ჰირიქით, აქეთ ჩამოვლენ უცხოელები.

რუსთაველის საზოგადოებას აკითხავენ ის ემაწვილები, რომელთაც უჭირთ საბჭოთა არმიაში სამსახური. საბჭოთა არმიაში სამსახური გადაიქცა კატორღად. ამ კატორღაში, მშვიდობიან დროს, იღუპებიან სულითა და ხორციით საღი ახალგაზრდები. მოაქვთ და მოაქვთ საქართველოში (სხვა რესპუბლიკებშიც) კუბოები. მართალი არიან ისინი, ვისაც არ სურთ საბჭოთა არმიაში სამსახური. ეს ემაწვილები არ გაურბიან საერთოდ არმიაში სამსახურს, მაგრამ მათ სურთ იმსახურონ ქართულ ეროვნულ ჯარში. აქაც მართაღნი არიან ისინი. საქართველოს უნდა ჰყავდეს საკუთარი ეროვნული არმია. მაგრამ ვერც ამ ემაწვილებს ეხმარება არსებითად რუსთაველის საზოგადოება. დიდი-დიდი რის გაკეთებაც აქ შეუძლია რუსთაველის საზოგადოებას, ეს განსაკუთრებით ის, რომ

მრავალთაგან რომელიმე ერთი დავისხნათ საბჭოთა არმიის სასახურისაგან. მაგრამ ეს არ არის პრობლემის მოგვარება: რა დააშავეს სხვებმა? რატომ უნდა გავაგზავნოთ ისინი კატორღაში?

პრობლემა მაშინ იქნება მოგვარებული, როცა შეიქმნება ქართული ეროვნული არმია. ქართველი ახალგაზრდები იმსახურებენ ამ არმიისაში.

რუსთაველის საზოგადოებას აკითხავენ ქართველ პატიმართა ჭირისუფლები. უთვალავი ადამიანი იხდის სასჯელს უდანაშაულოდ. ამას სამართალ-დამცველი ორგანიზაციები კი აღიარებენ. უდანაშაულონი ითხოვენ სამართალს, ვერც აქ გავაწვევთ ვერაფერი. ჰა და ჰა, თუ შევედით რომელიმე ერთი უდანაშაულოს გათავისუფლება. მაგრამ არც ეს არის პრობლემის გადაწყვეტა. რა დააშავეს სხვა უდანაშაულოებმა, რომელთა დაცვას არ ხერხდება; პრობლემა მაშინ იქნება გადაწყვეტილი, როცა საქართველოში იარსებებს ისეთი სამართალი, რომელიც ციხეში არ ჩასვამს უდანაშაულოს.

რუსთაველის საზოგადოებას აკითხავენ უსახლკარონი და ითხოვენ ბინას. რუსთაველის საზოგადოებას არ შეუძლია მათი დაეკუთვნოთ. დიდი-დიდი, რასაც რუსთაველის საზოგადოება მოახერხებს, ეს განხვავთ ის, რომ მუხლებში ჩაუვარდეს აღმასკომებს და როგორმე ერთი ბინა იშოვოს. ერთ უსახლკაროს თავშესაფარი მისცეს (ზოგჯერ მოძხდარა კიდევ ასეთი რამ). მაგრამ ეს არ არის პრობლემის მოგვარება. რა ვუყოთ უთვალავ უსახლკაროს? მათ ოჯახებს? პრობლემა მაშინ იქნება მოგვარებული, როცა ეოველ მოქალაქეს ექნება საშუალება ბინის ეიდვისა. როცა ისინი არ იწინწალებენ აღმასკომების კარდაკარ „უფასო“ ბინის მისაღებად.

ასე უსასრულოდ შეიძლება პრობლემათა ჩამოთვლა. მაგრამ აზრის საილუსტრაციოდ რაც ვთქვი, ისიც საკმარისია. დასკვნა კი ის იქნება, რომ რუსთაველის საზოგადოებას არ ძალუძს იმ მტკივნეულ პრობლემათა მოგვარება, რომელიც ჩვენს ხალხს აწუხებს დღეს. ამ პრობლემათა ზღვაში რუსთაველის საზოგადოება თავად ფართხალებს უძწეოდ. არ მინდა ვიყო საფუძველი ცრუ იმედის შექმნისა, ამიტომ ვთქვი უარი რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარეობაზე. თუ არ შემიძლია გაჭირვებულის შველა, ის ხომ შემიძლია ვუთხრა: უძლური ვარ და ნუ იქნები ჩემს იმედად.

ეს ურთულესი პრობლემები მაშინ მოგვარდება, თუ ძირფესვიანად შეიცვლება არსებული სინამდვილე, ანუ საქართველო გახდება დამოუკიდებელი. მაგრამ შექმნილია ურთულესი ვითარება. დიდი ხანია უკვე ხალხს არ სჯერა ოფიციალური ხელისუფლების. არავითარი იმედი იმისა, რომ ოფიციალური ხელისუფლება რაიმეს შეცვლის – აღარ არსებობს. მაგრამ ხალხს უიმედოდ ცხოვრება არ შეუძლია. ხალხი ეძებს იმედს. ამ იმედად აკიაფდა ეროვნული მოძრაობა. 9 აპრილის სისხლიან დღემდე ეროვნულმა მოძრაობამ მედგრად იარა წინ. ამის შემდეგ მდგომარეობა ერთბაშად შეიცვალა. გამოყენებული იქნა

მზაკერული ხერხი; არ გაუწიონ არავითარი წინააღმდეგობა ეროვნულ მოძრაობას.

მიტინგის მოწეობა გნებავთ? მოაწვევთ სადაც გინდათ, როგორც გინდათ, რამდენ ხანსაც გინდათ.

გაზეთში დაბეჭდვა გსურთ? დაბეჭდეთ, რომელ გაზეთში გნებავთ, რაც გნებავთ. თქვით ყველაფერი, რასაც ფიქრობთ. დასტამბვაში ხელს არაფერს შეგიშლით.

საკუთარი გაზეთის გამოცემის სურვილი გაქვთ? გამოეცით რამდენი და როგორი გაზეთიც გსურთ.

ტელევიზიით გამოსვლაზე ოცნებობთ? მიზრძანდით ტელევიზიაში, გამოდით, ილაპარაკეთ რაც გინდათ, როგორც გინდათ, რამდენ ხანსაც გინდათ. იდავეთ, იკამათეთ. ტელევიზიის კარი დიახ თქვენთვის.

შემიშობის გამოცხადებას აპირებთ? თქვენი ნებაა, იშემიშლეთ რამდენიც გსურთ. ვინ გაბედავს წინააღმდეგობას. ჰირიქით, ხელისუფლება უოველნაირად დაგესმარებათ. ოღონდ თქვენ იშემიშლეთ და ჩვენ მუდამ თქვენს გვერდით ვიქნებით.

ერთმანეთს გინდათ ესროლოთ? ესროლეთ. სრული თავისუფლება მოგვინიჭებია, მილიცია ახლო-მანლო არ გაიჭაჭანებს. თქვენს საქმეში არ ჩაერევა. უბატონოდ ხმას არ გავცემთ.

არჩევნების ჩატარება არ გინდათ? ვინ გაბედავს წინ აღუდგეს თქვენს ნებას. ახლავე დანიშნული არჩევნები გაუქმდება.

ამ ვერაგული გეგმის ავტორმა ჩინებულად იცის, რომ კომპარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას მანამ არაფერი საფრთხე ემოუქრება, სანამ საბჭოთა არმია ერთგულია როგორც კომპარტიის, ისე საბჭოური ხელისუფლების, ჯერჯერობით არმია ერთგულია არსებული სინამდვილის, ამიტომ არ არის საშიში ეროვნული მოძრაობა. იგი შეიძლება თავისუფლად მოქმედებდეს. თუ ლაპარაკს რეალური შედეგი არ მოჰყვება, ხალხი დაიღლებს, ცარიელი ლაპარაკის მოსმენა მოსწყინდება. გული გაუტედება, იმედი დაეკარგება. ეროვნულ მოძრაობას ზურგს შეატყვევს. მაშინ ისევ გამოჩნდებიან ასპარეზზე კომუნისტები და იტყვიან: შეჩვეული ჯირი გერჩიოთ შეუჩვეველ ღვინს.

დაბეჩავებულ და სასოწარკვეთილ ხალხს ისევ კომპარტია წაიფანს საითაც უნდა.

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების სრული ინერტულობა ამ გეგმის შედეგია.

დააკვირდით: საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ აღიარა საქართველოს დამპრობა 1921 წლის თებერვალში, მაგრამ შედეგად ამას არაფერი მოჰყოლია. ყველაფერი ისევ ისე ძველებურად არის.

საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ გააუქმა 1922 წლის შემდეგ დადებუ-

ლი ხელშეკრულებანი, მაგრამ ამას შედეგად არაფერი მოჰყოლია. ეველაფერი ისევ ისე ძველებურად არის.

უსუნაური სიტუაციაა: თითქოს წინააღმდეგობას არავინ წევს, მაგრამ არც არაფერი იცვლება. ეროვნულმა მოძრაობამ წრეში დაიწყო ტრიალი. ჩინში მოექცა. ასეთ ვითარებაში ჩნდება ეველაზე დიდი საშიშროება: ეროვნული მოძრაობის გათიშვა, შინაბრძოლა. მსაკვრული გეგმის ავტორი ამასაც ითვალისწინებდა.

სამწუხაროდ, ქართული ეროვნული მოძრაობის გათიშვა და შინაბრძოლა რეალურ საფრთხედ იქცა.

ამ დროს (ჩემი აზრით, რა თქმა უნდა) ადამიანი არცერთ ორგანიზაციას, არც ერთ პარტიას, არც ერთ დაჯგუფებას არ უნდა ეკუთვნოდეს. იგი თავისუფალი უნდა იყოს მიკერძოებულობისაგან. მისი ნათქვამი უნდა განიხილებოდეს როგორც სუბიექტური აზრი, რომელიც ეველას თანაბრად ეხება. იგი არ იქნება დაცვა ან მხარდაჭერა ამა თუ იმ ორგანიზაციის, პარტიის, დაჯგუფების. ამ მიზეზითაც ვთქვი უარი რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარეობაზე. მინდა ვიყო თავისუფალი ყოველგვარი დაჯგუფებისაგან, პარტიულობისაგან, მიკერძოებულობისაგან. დღეს შეველა სჭირდება არა რომელიმე პარტიას, არა რომელიმე ორგანიზაციას, არა რომელიმე დაჯგუფებას, არამედ საქართველოს, ქართველ ხალხს.

ცხადია, არავინ დამიჯერებს, თორემ ჩემი ფიქრით, უნდა დაიშალოს დღეს არსებული ეველა ორგანიზაცია, ეველა პარტია, ეველა დაჯგუფება და შეიქმნას ერთი ახალი, უპარტიო გაერთიანება – ვთქვათ საქართველოს აღორძინების მოძრაობა, სადაც უნდა მოიყაროს თავი ეველამ, ვისაც საქართველოს ბედი აწუხებს, განურჩევლად პარტიულობისა, რელიგიისა, ეროვნებისა და ა.შ.

არც არავის შეძინება მინდა და არც წინასწარმეტყველის როლის თამაში, მაგრამ ის კი ხმამაღლა უნდა ვთქვა, რომ თუ ქართული ეროვნული მოძრაობა გაითიშა, გაიყო, მას გამარჯვება არ უწერია. ეს საექვო არავისათვის არ უნდა იყოს. ქართულ ეროვნულ მოძრაობას გამარჯვება შეუძლია ერთადერთ შემთხვევაში: თუ იგი იქნება ერთიანი, მთლიანი და მონოლითური.

ქართველი ხალხი თავისი გრძელი ისტორიის მანძილზე ბევრჯერ დამარცხებულა, ბევრჯერ გასტენია გული, მაგრამ ყოველთვის მოუკრებია ძალა, თანდათან წამომდგარა ფეხზე და იმედით ავსებულა. მაგრამ დღევანდელი დამარცხება ასეთი არ იქნება. მოდის ოცდამეერთე საუკუნე. ამ საუკუნეს ეროვნული პრობლემებისათვის აღარ ეცლება. ოცდამეერთე საუკუნე იქნება კაცობრიობის სხვა ჰლანტიკებზე განსახლების საუკუნე. იგი იქნება ტოტალური ეკოლოგიური, დემოგრაფიული, გენეტიკური, ეკონომიკური და ა.შ. პრობლემების საუკუნე. აშშ-ის ჰრესა უკვე დღეს ბალტიისპირელებისა თუ ჩვენს მოთხოვნებს დაცინვით უწოდებს არა ეროვნულს, არამედ ტომობრივს. რაღა იქნე-

ბა ოცდამეერთე საუკუნეში? ამიტომ ჩვენ ჩვენი ბედის გადასაწვევტად მოზომილი გვაქვს ის ათწლეული, რაც მე-20 საუკუნის დასასრულამდე დარჩენილი. ამ ჰეროდში უნდა შევძლოთ უველაფრის მოგვარება, რაც ჩვენს ეროვნულ ბედთან არის დაკავშირებული. ამიტომ გვჭირდება ჩვენ ერთიანობა და მოქმედების ერთიანი გეგმა. ეს გეგმა უახლოეს ხანებში უნდა შემუშავდეს მკაფიოდ და დეტალურად. უოველი კაცი (ქართველი იქნება იგი, თუ არაქართველი), ვინც ამ გეგმას გაეცნობა, ნათლად უნდა შეეძლოს დაინახოს – როგორ იქნება მოწეობილი თავისუფალი დამოუკიდებელი საქართველო. უნდა დაიწეროს ქართული ოცნების წიგნი. ეგებ იგი ეროვნული მოძრაობის ერთიანობის საფუძვლად გამოდგეს. და თუ მაინც, ჩვენი განხეთქილებისა და შეუთანხმებლობის გამო, ქართული ეროვნული მოძრაობა დამარცხდება, ამ წიგნის მიხედვით მომავალ თაობებს იმის თქმა მაინც უნდა შეეძლოს, რომ მე-20 საუკუნის დასასრულს საქართველოში იუვენ ადამიანები, ვისაც კეთილი და დიდი ოცნება ამოძრავებდათ, მაგრამ, საუბედუროდ, ბედისწერამ წაართვა უნარი ერთმანეთისათვის თანხმობისა და თანამშრომლობის ხელი გაეწოდებინათ.

მე მინდა ამ წიგნის დაწერაში მონაწილეობა მივიღო. ამას დრო და თავისუფლება სჭირდება. კიდევ ამიტომ ვთქვი უარი რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარეობაზე.

ღრმა ჰატევისცემით
აკაკი ბაქრაძე

1990 წ., 26 მაისი

მველი ანეკდოტია, 30-იანი წლებისა, იმ ხანის, 1936 წლის კონსტიტუციის პროექტი რომ გამოქვეყნდა.

ლაზრენტი ბერიასთან თურმე ერთი ხანდაზმული ქართველი იურისტი მისულა. იმ კაცს საქართველოში კარგად იცნობდნენ. ბერიაც უურადლებით შეხვედრია. უკითხავს: რამ შეგაწუხათ, ცკ-ში მოსვლით რად გარჯილხართო. იურისტს უპასუხებია: კონსტიტუციის ახლახან გამოქვეყნებულ პროექტში, იურიდიული თვალსაზრისით, უხეში შეცდომებია. ამ საკითხზე მინდა სტალინს ვესაუბრო, იქნებ მასთან შეხვედრა მომიხერხოთო.

დაფაცურებულა ლაზრენტი ჰავლოვიჩი. სტალინისათვის დაურეკავს. იურისტის თხოვნა გადაუცია. სტალინისაგან პასუხად მიუღია: ვადაყვით ჩემს მველ ნაცნობს, თუ იგი ფიქრობს, რომ მე კონსტიტუციის მიხედვით ვაპირებ სსრკ-ის მართვას, ბრიუვი უოფილა და რა აზრი აქვს ბრიუვთან საუბარს? თუ მან იცის, რომ მე კონსტიტუციის მიხედვით არ ვაპირებ სსრკ-ის მართვას, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს, რა წერია კონსტიტუციაში და როგორ?

ეს მველი ანეკდოტი იმიტომ გავისხენე, რომ მინდა ვიკითხო – დღეს კი იმართება სსრკ კონსტიტუციის შესაბამისად?

სსრკ-ის კონსტიტუციაში წერია, რომ სსრკ-ის პრეზიდენტი არჩეულ უნდა იქნეს საერთო-სახალხო, ფარული და პირდაპირი კენჭისყრით. მიუხედავად ამისა, კონსტიტუციის დარღვევით, სსრკ-ის პრეზიდენტი აირჩია სსრკ-ის სახალხო დემუტატთა ყრილობამ.

სსრკ-ის კონსტიტუცია კრძალავს თანამდებობათა შეთავსებას. მიუხედავად ამისა, სკკპ-ის 28-ე ყრილობამ დაუშვა შეთავსება. გორბახოვი არის პრეზიდენტიც და გენერალური მდივანიც.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ არსებითად არაფერი იცვლება, ოღონდ გაუთავებელი ღაპარაკით გვაყრიან თვალში ნაცარს? ჩემი აზრით, ნიშნავს. როცა ორი უხენაესი ორგანო – სსრკ-ის სახალხო დემუტატთა და სკკპ-ის ყრილობები გააპაშულებენ კონსტიტუციას, სსრკ-ის რიგით მოქალაქეს რისი

იმედი უნდა ჰქონდეს? არაფრის. მტკიცედ კი უნდა ახსოვდეს, რომ ასეთ სახელმწიფოში არასოდეს არაფერი მოგვარდება. უველაფერი ძველებურად გავრძელდება.

ცხოვრება რომ ძველებური წესით გრძელდება, ეს სკკპ-ის 28-ე ურილობამაც დაადასტურა.

შეიძლება ვალიზიანებულმა მკითხველმა იკითხოოს კიდევ: ნუთუ ამდენი ლაპარაკი სრულიად არაფერს მოასწავებსო? ამ კითხვას შევეცდები ვუპასუხო კომპარტიის ორი ურილობის – მეათე და ოცდამეორვის – შედარებით.

კომპარტიის ისტორიკოსების მიერ მეათე ურილობა (1921 წლის 8-16 მარტი) მიჩნეულია ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (რუსული აბრევიატურით НЭП რომ ეწოდება) შემომღებად.

28-ე ურილობამ კი დალოცა და აკურთხა რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ნეპის ძალიან გვიან დაბადებულ ძმად.

მეათე ურილობამ პარტიული ბიუროკრატის წინააღმდეგ ვაილაშქრა. ცხადად ჩანდა, რომ კომუნისტებმა ძალაუფლება მთლიანად მიითვისეს. საბჭოები უფუნქციო ორგანოდ გადააქციეს, ამიტომ ვადმოისროლა ხალხმა ლოზუნგი: „საბჭოები, მაგრამ უკომუნისტებოდ!“ მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ ეს ცარიელი ლაპარაკი იყო.

28-ე ურილობამაც გამოუცხადა ბრძოლა პარტიულ ბიუროკრატისს. აქაც იცავდნენ საბჭოებს. მოითხოვდნენ დაბრუნებოდა მათ ძალაუფლება. ესწნათ საბჭოები პარტიული აპარატის კლანჭებიდან. მომავალი აჩვენებს ესეც ცარიელი ლაპარაკი იყო თუ არა.

მეათე ურილობაზეც იუვენ ოპოზიციური დაჯგუფებანი: ტროცკი-ბუნარინის ფრაქცია, „მუშათა ოპოზიცია“ (შლიაპნიკოვის მეთაურობით), ე.წ. „დეცისტების“ (დეცენტრალიზაციის მომხრეები, ოსინსკის ლიდერობით) პლატფორმა. ამ ოპოზიციას უპირისპირდებოდა ლენინ-ზინოვიევი-სტალინის ჯგუფი.

ოპოზიცია მედგრად აკრიტიკებდა ლენინს, მის პოლიტიკას. იგი ნაირ-ნაირ შეხედულებებს გამოთქვამდა ურილობაზე. ცდილობდა პარტიის გადახალისებას. ლენინი ეპაექრებოდა ოპოზიციას იმ მასალის მოშველიებით, რომლითაც ზინოვიევი-სტალინი ამარაგებდნენ. ლენინს ისე მიჰყავდა ურილობა, რომ იგი ამტკიცებდა სწორედ იმას, რასაც ზინოვიევი-სტალინის პროგრამა ითვალისწინებდა, ანუ იმას, რაც ლენინს უნდოდა, რადგან სწორედ ვლადიმერ ულიანოვი იყო ამ ჯგუფის თავადაც. თუმცა ლენინი ზოგჯერ იზიარებდა ოპოზიციის შენიშვნებს, მოქნილად შეჰქონდა შესწორებები ზინოვიევი-სტალინის მომხადებულ ტექსტში.

28-ე ურილობაზეც იყო ოპოზიცია: მარქსისტული და დემოკრატიული

ზღაპრული ფორმები, ლიგანოვის ჯგუფი და სხვანი. ამათ უპირისპირდებოდა გორბახოვ-იაკოვლევი-შევარდნაძის ფრაქცია.

ამჯერადაც მკაცრად აკრიტიკებდნენ გორბახოვს, მის პოლიტიკას. ამჯერადაც გამოთქვამდნენ ნაირ-ნაირ შეხედულებებს. ცდილობდნენ პარტიის გადახალისებას. გორბახოვიც ეკამათებოდა ოპოზიციას იმ მასალის მოშველიებით, რითაც იაკოვლევი-შევარდნაძე ამარაგებდნენ. გორბახოვსაც ისე მიჰყავდა ყრილობა, რომ იგი ამტკიცებდა სწორედ იმას, რასაც იაკოვლევი-შევარდნაძის პროგრამა გულისხმობდა, ანუ იმას, რაც გორბახოვს უნდოდა, რაკი სწორედ იგია ამ ჯგუფის ხელმძღვანელი. გორბახოვიც იზიარებდა ზოგჯერ ოპოზიციის შენიშვნებს. მასაც მოქნილად შეჰქონდა ისინი იაკოვლევი-შევარდნაძის მომზადებულ ტექსტში.

მეათე ყრილობამ კომპარტიის ცკ-დან ბევრი ძველი წევრი გაამეფა და ახლით შეავსო იგი (ვოროშილოვი, ფრუნზე, მოლოტოვი, ორჯონიკიძე და სხვანი. შემდგომ თავგამეტებული სტალინისტები).

28-ე ყრილობამაც კომპარტიის ცკ-ის ძველი წევრები ახლით შეცვალა. ცხადია, გორბახოვ-იაკოვლევი-შევარდნაძის მომხრეებით.

როგორც ხედავთ, 28-ე ყრილობის სცენარი ზუსტად არის კადმოწერილი მეათე ყრილობის სცენარიდან. მაგრამ დღეს ჩვენთვის ეველაზე საინტერესო და დამაფიქრებელია ის, რომ სწორედ კომპარტიის მეათე ყრილობამ ჩაუყარა საფუძველი სახელმწიფოსა და პარტიის მმართველობის იმ სისტემას, რომელსაც დღეს „ზილით“ უწოდებენ ადმინისტრაციულ-მბრძანებელურს.

ერთი კითხვა: რაკი მეათე და ოცდამეორე ყრილობები ტუშპის ცალევიით ჰგვანან ერთმანეთს, ზომ არ დაედო დღეს ფუნდამენტი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ახალ ფორმას?

მეორე კითხვა: მეათე ყრილობის შემდეგ ღენინი მალე ვარდაიცვალა. ამბობენ, მოწაფისა და თანამებრძოლის ხელშეწობითაცო. რა მოუვა გორბახოვს უახლოეს წლებში?

მესამე კითხვა: რამ გამოიწვია ამ ორი ყრილობის ასეთი მსგავსება? თუ პირველი ორი კითხვის პასუხისაგან თავი შევიკავე, მესამეს შემოდლა ბევრითად ვუპასუხო: მაშინაც და ახლაც კომპარტიის წინაშე დასმული ამოცანის ერთნაირობამ.

როგორც დღეს, ისე მაშინ კომპარტიის წინაშე უმძიმესი ეკონომიკური და ეროვნული პრობლემები წამოიჭრა.

ბოლშევიკების მიერ შემოღებულმა სამხედრო კომუნისტმა და პროდუქციის განაწილების წესმა რუსეთი უსაშინელეს ვითარებაში ჩააგდო. ცხოვრება აუტანელი გახდა. მოთმინების ფიალა აივსო. დაიწყო კრონშტადტელი მეხლავაურების აჯანყება, ტამბოვის გუბერნიის გლეხების ამბოხება. დრტვინავდა პეტროგრადის მუშათა კლასი. სადაც იყო მთელი რუსეთი იარაღს მოჰკიდებდა

ხელს. დაამზობდა კომუნისტთა ბატონობას. სანამ ისევ ქვეყნიდან მოხდებოდა ახალი რევოლუცია, ლენინსა და მის ჰარტიას უნდა დაესწრო: ზევიდან განეხორციელებინა ცვლილებანი. ასეც მოხდა. ნეჰის შემოღებით ეკონომიკაში ვითარება განმუხტეს. საზოგადოება დაშოშმინდა. მოსალოდნელი კრიკალი თავიდან აიცილეს.

დღესაც ურთულესი ეკონომიკური სიტუაციაა. თუ დაუყოვნებლივ არ შეიცვალა რაღაც, მოსალოდნელია მთელი ხალხის ამბოხება (მეშახტეთა გაფიცვები ამის ჰირველი სიგნალია). ამიტომ აუცილებელია ცვლილებები ზევიდან. ხალხს ახალი იმედი უნდა გაუჩნდეს. ამით დამშვიდდეს. თუ ეს იმედი 20-იან წლებში ნეჰი იყო, ახლა – რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკაა.

მაგრამ როგორც კი ნეჰი ვაძლიერდა, აშკარა გახდა, რომ იგი ძალე მოსპობდა სოციალიზმს. რა გამოდიოდა, ნუთუ ზღვა სისხლი სოციალიზმი-სათვის იმიტომ დაიღვარა, რომ იგი ნეჰს გაენადგურებინა? კომპარტიამ აღარ დაახანა, ნეჰი გააუქმა. სოციალიზმის ძაღდატანებით განხორციელებას შეუდგა. რაც ამას მოჰყვა, ვეუღასათვის კარვად ცნობილია.

რა მოხდება ახლა? თუ საბაზრო ეკონომიკას ფრთები თავისუფლად გააშლევინეს, იგი საბოლოოდ აღგვის ჰირისავან მიწისა სოციალიზმს. ამის გამო კომუნისტები არც აწირებენ საბაზრო ეკონომიკის თავის ნებაზე მიშვებას. ამიტომ დარჩვეს რეგულირებადი. მართვის ბერკეტი ისევ კომპარტიას უნდა ეჭიროს. ეს კი იმის უტყუარი ნიშანია, რომ საბაზრო ეკონომიკა ხორცს ვერ შეისხამს. ერთდროულად საბაზრო ეკონომიკის შექმნის ცდა და კომუნისტური ზედამხედველობის განხორციელება ისეთ ქაოსს შექმნის სსრკ-ის ეკონომიკაში, რომ ძაღლი ჰატრონს ვერ იცნობს. მაშინ მეტნაკლებად წონასწორობა რომ შეინარჩუნონ, სსრკ-ში ისევ დადგება სისხლიანი დიქტატურის აუცილებლობა. არ გაძინებთ და გუულს არ გიტყნთ. უბრალოდ რეალური ვითარებისათვის გამზადდებთ.

ეკონომიკურ პრობლემას ემატება ეროვნული საკითხიც.

როცა რუსეთში თებერვლის რევოლუცია მოხდა, იმპერიის დაპურობილ ხალხებს თავისუფლების იმედი გაუჩნდათ. ამ იმედს ხელს უწყობდა ბოლშევიკების ძველი პროპაგანდაც ერთა თვითგამორკვევის შესახებ. მაგრამ ძაღვი აღმოჩნდა, რომ არავითარი ერთა თვითგამორკვევა ბოლშევიკების მიხანი არ უოფილა. 20-იან წლებში სახუმარო ლექსიც გამოჩნდა:

ერების თვითგამორკვევა ღოზუნგად ჰქონდათ ქცეული,
უოველი ერი მოთხარეს, ვინც ნახეს გამორკვეული!

(არ ვიცი ვინ არის ლექსის ავტორი. დიდი ხნის წინათ ჰოეტმა დავით გაჩეილაძემ მითხრა – თავუნასიაო. შაღვა შარაშიძის ფსევდონიმა).

ბოლშევიკების უწირველესი ამოცანა იყო რუსეთის იმპერიის მთლიანობის გადაჩინა. შეძლეს კიდევ ეს სსრკ-ის შექმნით. დღეს, ხშირად, გაბრაზებულ

კულზე, სსრკ-ის რუსეთის მოღერნიხებულ იმპერიას და სხვა ამგვარ სახელებს ვუწოდებთ. მაგრამ სსრკ არ არის იმპერია. იგი ბევრად უფრო რთო მოვლენაა. იმპერია რომ უოფილიყო, რა გვიტირდა, როცა გაერომ დეკლარაციის გადაწვეტილება მიიღო, გასათავისუფლებელ ქვეყანათა სიაში საქართველოც მოხვდებოდა. ახლა კარგა ხნის თავისუფალი ქვეყანა იქნებოდა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი არც ერთ სამართლებრივ ნორმაში არ თავსდება – არც კოლონიურში და არც თავისუფალში. ამიტომ ავგარა ვერდი დეკლარაციის პროცესმა.

სსრკ-ის შემადგენლობაში დე-ფაქტოდ მბრძანებელი რუსეთი დე-იურედ დაჩაგრულად გამოიუწრება. მაგალითად: უკრაინა და ბელორუსია გაეროს წევრები არიან, რუსეთი – არა. ეველა მოკავშირე რესპუბლიკას აქვს საკუთარი ჰიმინი, რუსეთს – არა (ამიტომ აღვარღვარებს რუსეთი დღეს კურცხლებს: სხვებზე მეტად დაბეჩავებული მე ვარო).

ამგვარი კაზუსების დასახელება ბლომად შეიძლება. ასეთი თვალთმაქცური სისტემა იმიტომ იყო შექმნილი, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს სამართლებრივი უფლება და საშუალება არ ჰქონოდათ თავისუფლების მოპოვებისა. ძალითა და იარაღით კი რუსეთს ვერც ერთი ვერ დაამარცხებდა. ამით გარანტირებული იყო სსრკ-ის მთლიანობა და უნიტარულობა.

მაგრამ მარადიული არაფერია. სსრკ-ის ერთიანობაც შეირყა. რეალურად გაჩნდა სსრკ-ის დაშლის საშიშროება. ამ ვითარებაში, თუ თავისუფლებისმოყვარე ერების მიზანია სსრკ-ის დარღვევა და დამოუკიდებლობის მოპოვება, კომპარტიის ამოცანაა შეუნარჩუნოს რუსეთს საუკუნეების მანძილზე დაწერობილი ქვეყნები, სულერთია რა სახელით იქნება ეს – სსრკ-სა თუ სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირის. აქ კი ერთმანეთს დაუპირისპირდა და დაეჯახა ორი ინტერესი – ერისა და პარტიისა. 1921 წელს პრობლემა პარტიის სასარგებლოდ გადაწდა. როგორ მოხდება დღეს? ამის მკაფიო და გარკვეული პასუხი უკვე მოგვცა გორბაჩოვმა („პრავდა“, 1990 წ., 26 ივნისი):

„Я – за единую КПСС, я против федерализации...“

„Она (პარტია – ა.ბ.) не уходит ни из одной сферы жизни общества“.

„Я – за авангардный тип партии, не за парламентский“.

ამ გამონათქვამებიდან თავისუფლად შეიძლება რამდენიმე დასკვნის გაკეთება:

1. რუსეთის კვ შექმნა, ანდა მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების გამოყოფა, ფორმალური ხასიათის მატარებელი იქნება. სკკპ-ის ერთიანობა და მთლიანობა არ დაირღვევა.

2. არ მოხდება სსრკ-ის დეიდოლოგიზაცია.

3. არც მრავალპარტიულობას ექნება დემოკრატიული ხასიათი. დაუშვებენ მხოლოდ ისეთი პარტიების არსებობას, რომელნიც სკკპ-ის ურმობრილი

უმები იქნებიან. სხვაგვარად – იარსებებს ისეთი სისტემა, როგორც აღმოსავლეთ ევროპაში იყო უკანასკნელ დრომდე: თან არსებობდა მრავალი ჰარტია, თან ნოლი მნიშვნელობა ჰქონდა მათ უოფნას.

4. სსრკ-ის უნიტარულობა და მთლიანობა ხელშეუხებელი დარჩება, ოღონდ გარკვეული გამონაკლისი დაიშვება.

რა გამონაკლისია ეს?

უთუოდ გასსოვთ, ამ ცოტა ხნის წინათ, გორბაჩოვი უაღრესად კმაყოფილი დაბრუნდა აშშ-დან. ერთ-ერთ ინტერვიუში ისიც კი თქვა: ახლანდელი ჩვენი (აშშ-ისა და სსრკ-ის) შეთანხმება ისეთივე მნიშვნელობის მქონეა, როგორც ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნა იუოო. რა მოხდა ორი ჰრეზიდენტის შეთანხმებისას ისეთი, რომ ეს ათქმევინა გორბაჩოვს? სამწუხაროდ, მოლაპარაკების დროს შექმნილ დოკუმენტებს არ ვიცნობთ. ჭირს საიდუმლოდ ამოცნობა. მაგრამ, თუ ბოლო დროს მომხდარ ამბებს გავითვალისწინებთ, შეიძლება ვარაუდის გამოთქმა.

გაიუიდა ვდრ. დაითმო აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნები და ბალტიისპირეთი. ხვალ იაპონიას დაუბრუნებენ წართმეულ ტერიტორიას. ხომ არ ნიშნავს ეველაფერი ეს იმას, რომ, თუ სსრკ დარჩება 1939 წლის საზღვრებში, უარს იტყვის სტალინის მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს დაპყრობილ ქვეყნებსა და ტერიტორიასზე, აღარავინ ჩაერევა მის საშინაო საქმეებში არასდროს? შეიძლება მშვიდად გაატაროს როგორსაც მოისურვებს, ისეთი საშინაო პოლიტიკა. მართალია, საბუთი არ მაქვს, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ბუშსა და გორბაჩოვს შორის ამგვარი შეთანხმება მოხდა.

სჭირდება თუ არა სსრკ-ს ამგვარი შეთანხმება და მოქმედების თავისუფლება? სჭირდება და მეფე როგორ! ერებისა და ენების შერწყმის თეორია, მრავალეროვანი და მრავალენოვანი სსრკ-ისაგან ერთეროვანი და ერთენოვანი რუსეთის ჩამოყალიბების იდეა სკკპ-ს არ დავიწყებია. მხოლოდ დროებით შეწუდა მასზე აქტიური ლაპარაკი. ამ მიზნის განსახორციელებლად სსრკ-ს გულმშვიდად შეუძლია დათმოს ის, რასაც შეელება. ამით რუსეთის ინტერესი ოდნავადაც არ შეილახება.

რა თქმა უნდა, რაც ვთქვი, დასაშვებია უსაფუძვლო ვარაუდი იუოს, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, ნათქვამია. ჩვენც ფრთხილად უნდა ვიყოთ და ეველაფერს, რაც ჩვენს გარშემო ხდება, ფხიზლად ვადევნოთ თვალ-ყური.

დავუშვათ, ბუშისა და გორბაჩოვის წლევეანდელი შეთანხმება სსრკ-თვის ხელსაწყოელი იყო, აშშ-მა ამით რა მოიგო?

ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, მეორე მსოფლიო ომის წინანდელ ისტორიას ზერეფედ მაინც უნდა გადავაფიქროთ თვალნი.

ათიანი წლების დასასრულს რუსეთში რევოლუცია მოხდა და ძალაუფლება ხელში ბოლშევიკებმა ჩაიკვდეს.

20-იან წლებში იტალიაში ქვეყნის სამმართველო აპარატს ფაშისტები დაეუფლნენ.

30-იან წლებში კი ნაცისტები ხდებიან ქვეყნის ბატონ-პატრონი გერმანიაში.

იმთავითვე დასავლეთის დემოკრატიულ სამყაროს პოლიტოლოგია და პრესა ბოლშევიზმს, ფაშიზმსა და ნაციზმს ერთმანეთთან აკავშირებდა. მათ შორის დიდ განსხვავებას ვერ ხედავდა. ამის საბუთად, იმდროინდელ დასავლურ პრესას რომ თავი დაჟანებოთ, 1990 წელს „ვოპროსი ფილოსოფიის“ მეხუთე წიგნში გამოქვეყნებული ლევ ტროცკის სტატიაც – „იმათი მორალი და ჩვენნი“ – კმარა.

თავდაპირველად ბოლშევიზმის უფრო ემინოდათ, ვიდრე ფაშიზმისა და ნაციზმის. მართალიც იყვნენ. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ფაშიზმსა და ნაციზმს ისეთი მძლავრი პარტიები არა ჰყოლიათ, როგორც კომუნისტებს. სანიმუშოდ დავასახელოთ თუნდაც საფრანგეთის და იტალიის კომპარტიები. მაგრამ, როცა ნაციზმმა და ბოლშევიზმმა ერთმანეთს სამკვიდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადეს, აშშ და დიდი ბრიტანეთი სსრკ-ის მხარეს აღმოჩნდნენ. ის ჩერჩილი, რომელიც ბოლშევიზმის დაუძინებელ მტრად ითვლებოდა, სტალინის მეგობარი გახდა. სსრკ-მა, აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა შეერთებული ძალით დაამარცხეს გერმანია.

თუ აშშ-თვის და დიდი ბრიტანეთისათვის კომუნისტური სსრკ და ნაცი-სტური გერმანია ერთნაირი ბოროტება იყო, მაშინ რატომ ამჯობინეს სსრკ-ის მოკავშირეობა? რა თქმა უნდა, ამ საქმეში გადაწყვეტი როლი არ შეუსრულებია იმას, რომ გერმანია უფრო ადრე დაესხა თავს დიდ ბრიტანეთს, ვიდრე სსრკ-ს. ძაღლის თავი სხვაგან იყო დამარხული. წინასწარ უნდა განეჭვრიტათ – რა მოჰქვებოდა სსრკ-ის გამარჯვებას, რა – გერმანიისას.

თუ გერმანია გაიმარჯვებდა, სსრკ-ის უსაზღვრო ბუნებრივ სიმდიდრეს დაეუფლებოდა გერმანული შრომისმოყვარეობა, წესრიგი, გააზრებული საქმიანობა. ეს გერმანიას ეკონომიკურად უძლიერეს სახელმწიფოს გახდიდა. იგი მართლაც მსოფლიოს მბრძანებელი შეიქმნებოდა. თუ სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, გერმანიის დამარცხება კიდევ შესაძლებელი იყო, ეკონომიკურად ძლევა მოსილი ნაციისტური რაიხის დაძლევა შეუძლებელი გახდებოდა. გერმანული შრომისმოყვარეობის ძალა არც აშშ-თვის იყო უცნობი, არც ბრიტანეთისათვის და არც სსრკ-თვის.

თუ სსრკ გაიმარჯვებდა, ეკონომიკურად არაფერი შეიცვლებოდა. სსრკ როგორი მათხოვარი და ღატაკიც იყო, ისეთივე დარჩებოდა. ნივთიერი ვაძლიერების მაგიერ კიდევ უფრო დაჩაჩანაკდებოდა. ამიტომ ომში მისი გამარჯვება დასავლეთის დემოკრატიული სამყაროსათვის დიდ საშიშროებას არ წარმოადგენდა.

ამ შედეგის წინასწარი გამოთვლა არც აშშ-ის დიპლომატიისათვის იყო მნიშვნელოვანი და არც დიდი ბრიტანეთის. ამას ისტორიის მთელი გამოცდილება ამტკიცებდა.

უველა იმ ქვეყანაში, რომელიც სსრკ-ში შედიოდა, და, რაც მთავარია, რუსეთში, ფოკალიზაციის ჩამორჩენილი და გამყარებული იყო, კაპიტალიზმი და სოციალიზმიც. ჰეტრე პირველისა და ეკატერინე მეორის თავგამებულ საქმიანობის მიუხედავად, რუსეთი არ დაემსგავსა ევროპას. შინაარსი ვერ შეიცვალა. ვერც საკანგებოდ მოწვეულმა იტალიელებმა, ფრანგებმა და გერმანელებმა უშველეს. ცოტად თუ ბევრად რუსეთის სახელმწიფოს ფასადის მოლაპარაკება შეძლეს, გული კი ისევ ისე ბიზანტიურ-მონღოლური დარჩა, ანუ პრიმიტიული და ჩამორჩენილი, რაც უმნიშვნელოვანესი და გადაწყვეტილი იყო, რუსეთში შრომის კულტურა ვერ აითვისეს.

დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის დიპლომატიის დასკვნა მართალი გამოდგა: ომში გერმანია დამარცხდა, სსრკ-მა გაიმარჯვა. მაგრამ სსრკ-მა ამ გამარჯვებით ვერაფერი მოიგო. ეკონომიკურად იგი თანდათანობით კიდევ უფრო დატაკდებოდა. იქცეოდა და ინგრეოდა აღმოსავლეთ ევროპაც, სადაც სსრკ-მა ფეხი მოიკიდა. დასავლეთ ევროპა კი თანდათანობით დგებოდა ფეხზე და მტკიცდებოდა ეკონომიკურად. მარშალის კეკამ დიდად შეუწყო ხელი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ევროპის განახლებას. ამას მოჰყვა გფრ-ში ადენაუერისა და ერჰარდის ეკონომიკური პოლიტიკა. ომში განადგურებული გერმანია ისეთი ეკონომიკური ძალა ხდებოდა, რომ აშშ-აც შიშითა და მორიდებით უუბრუნებდა.

თუ დასავლურ დემოკრატიულ სამყაროში ეკონომიკური აღორძინება მიმდინარეობდა, სსრკ-ში და სოციალისტურ სამყაროში ეკონომიკური კრახი გარდაუვალი ხდებოდა.

მართალია, სამხედრო-პოლიტიკური წინასწორობა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა, ჯერ კიდევ არსებობდა, მაგრამ ცხადად ჩანდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს იგი დაიშლებოდა. სსრკ და აშშ ჯერ კიდევ თანაბრად იყოფდნენ მსოფლიოს. თერმობირთვული იარაღით უველას თავსარს სცემდნენ. მაგრამ ეკონომიკური ბასარიც უფრო და უფრო ფართოვდებოდა. პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ საბოლოოდ ჩასცა მახვილი საბჭოურ ეკონომიკას, როცა სსრკ აშშ-მა კოსმოსის გამოკვლევისა და ათვისების შეჯიბრში გამოიწვია. მეტისმეტად უთანაბრო იყო ეს შეჯიბრი. ძალაგამოლენული და ქანცვაწვეტილი სსრკ ძირს დაეარცხა. 1985 წელს, თავი რომ გადაერჩინა, „პერესტროიკა“ გამოაცხადა. ასე გამართლდა ნახევარი საუკუნის შემდეგ ჩერჩილ-რუსველტის პოლიტიკური ჩანაფიქრი და განზრახვა. დღესაც ამ ნაცად ეკონომიკურ გზას მიჰყვება ევროპა-ამერიკის პოლიტიკა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დროინდელმა ისტორიამ კაცობრიობას

ნათლად, უყოყმანოდ და უკამათოდ დაანახვა, რომ ეკონომიკა ტროას ის ცხენია, რომლის საშუალებით ვველა ციხე-სიმაგრეები შეხვალ. თერმობირთვული იარაღი ეკონომიკის წინაშე უძლური აღმოჩნდა. ნაირ-ნაირი თერმო, ქიმიურ, ბიოლოგიური იარაღით კბილებამდე აღჭურვილი სსრკ მზად არის ვველას სთხოვოს დახმარება, ვინც კი მშველელ ხელს გაუწვდის.

ეკონომიკურ ძალთა თანაფარდობის შეცვლამ მსოფლიოს სამხედრო-პოლიტიკური წონასწორობაც დაარღვია. იქმნება ახალი წონასწორობა.

მსოფლიო ისტორიის მსვლელობის დღევანდელ ტენდენციას თუ გავითვალისწინებთ, ეს წონასწორობა დაახლოებით შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

ევროპა გათავისუფლდა კომუნიზმის მუქარისაგან. იგი მალე ერთიანი, მთლიანი და ღონიერი იქნება ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც.

ამერიკის კონტინენტაც აიცილა კომუნიზმის საფრთხე. მოსკოვის აკენტები, – ორტეკა ნიკარაგუაში და ნორიეგა ჰანამაში, – დამხობილი არიან. მალე კუბამიც კასტროს რეჟიმს ბოლო მოეღება. ამასთან ერთად, აშშ-ის გვერდით, საერთაშორისო პოლიტიკასა და ეკონომიკაში გადამწვევტ როლს შეასრულებენ არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა.

აფრიკის კონტინენტიდანაც, უახლოეს ხანებში, საბოლოოდ გამოაძევენ სსრკ-ს. აფრიკაც ევროპა-ამერიკის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურული განვითარების გზას დაადგება.

თუ ევროპაში, ამერიკასა და აფრიკაში მკაფიოდ იკვეთება მშვიდობიანი და ჰარმონიული აღორძინების გზა, აზიაში ისევ რჩება ურთულესი ვითარება. აზიაში ერთმანეთის გვერდით არსებობს სამი ეკონომიკურად ჩამორჩენილი სახელმწიფო-გიგანტი – ინდოეთი, სსრკ, ჩინეთი. გარდა ეკონომიკური სიდუსტორიისა, სამივეს ღრღნის შიგნიდან ეროვნული და რელიგიური კონფლიქტები. მოსაგვარებელია არა მარტო შინაური ურთიერთობები, არამედ საგარეოც: – როგორ აეწეობა ურთიერთდამოკიდებულება შედარებით პატარა, მაგრამ ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყნებთან (სამხრეთ კორეა, ტაივანი და სხვანი)? როგორ დასრულდება მაჰმადიანური ბუმი? განსაკუთრებით ისლამური რევოლუციის კუთხით. ამიტომ აზიის მომავალი ჯერ-ჯერობით ბურუსით მოსილად მქეზნება.

აღბათ, მკითხველი გაიკვირვებს, რომ რუსეთი აზიას მივათვალე, ხოლო იაპონია საერთოდ არ ვახსენე. საქმე ის გახლავთ, რომ, როცა საკაცობრიო წონასწორობის ჯგუფებს ჩემებურად ვალაგებდი, უპირველესად ვითვალისწინებდი კულტურის ხასიათს.

ხასიათის მიხედვით ევროპული კულტურა ძირეულად განსხვავდება აზიური კულტურისაგან. რა თქმა უნდა, უაღრესად ძნელია საერთო ნიშნის გამოძებნა ისეთი თავისთავადი და განსხვავებული კულტურებისა, როგორც არაბუ-

ლი, ინდური, ხპარსული, ჩინური კულტურებია. მაგრამ არის ერთი საერთო ნიშანი, რომელიც, ერთი მხრივ, მათ ანათესავებს და მეორე მხრივ, განასხვავებს ევროპული კულტურისაგან. თუ ევროპული კულტურა თანაბარი ძალითა და თანაბარი ჰარმონიით გულისხმობს ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ განვითარებას, აზიური კულტურა ჩაეკტილია მხოლოდ ჰუმანიტარულ სფეროში. დღევანდელი სამეცნიერო-ტექნიკური ცივილიზაციის აღორძინებაში აზიური კულტურის წვლილი ან ძალიან მცირეა, ან საერთოდ არ არსებობს. ევროპული კულტურა თეორიულიც არის და პრაქტიკულიც. აზიური არსებითად მხოლოდ თეორიულია. ევროპისათვის თანაბრად საუურად-ღებოა (მნიშვნელოვანიც) „ფაუსტის“ დაწერაც, შიდაწვის ძრავის გამოგონე-ბაც და მიზიდულობის კანონის აღმოჩენაც. ამ თვისების გამო ევროპული კულ-ტურა უდიდეს კავლენას ახდენს საზოგადოების ნივთიერ უოფიერებაზე. ვერც რელიგია, ვერც ფილოსოფია, ვერც ლიტერატურა და ვერც რომელიმე სხვა მოძღვრებანი ვერ ცვლიან ადამიანის ნივთიერი უოფიერების პირობებს. ისინი ამდიდრებენ და ამდიდრებენ ადამიანის სულს, მაგრამ ვერაფერს ეუბნებიან მის ხორცს. არადა, ეველა დროში, ეველა ეპოქაში კაცობრიობის ძირეულ უძრავ-ლესობას ხორცის კეთილდღეობა იზიდავს და არა – სულის. ბევრი ეცადა კა-ცობრიობის უკეთესი ნაწილი გაქცეოდა სულისა და ხორცისადმი ამკვარ დამოკიდებულებას, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. ვერც მოძავალში მოახერხებს. ხორცი თავისას ითხოვს. იგი უნდა დაკმაუფილდეს. მეტ-ნაკლებად ამას მეც-ნიერულ-ტექნიკური კულტურა ახერხებს. იგი ქმნის იმ საშუალებებს, რომლ-ითაც კაცობრიობის ნივთიერი უოფიერება უძობესდება. მართალია, ეკოლოგიური კუთხით ბევრს ვაკრიტიკებთ მეცნიერულ-ტექნიკურ ცივილი-ზაციას, მაგრამ ისიც ცხადია, რომ დღევანდელ ეკოლოგიურ პრობლემებს ისევ მეცნიერება და ტექნიკა თუ მოავარებს, თორემ კულტურის სხვა დარგები მას ვერას უშველიან. კაცობრიობა არასოდეს იტყვის უარს არც თანამედროვე ფაბ-რიკა-ქარხნებზე, არც თანამედროვე ტრანსპორტზე და არც თანამედროვე ცხოვ-რების წესზე. პირიქით, იგი კიდევ უფრო განვითარდება და კიდევ უფრო საუო-ველთაო გახდება. ამ პირობებში ხსნის გზა მანც მეცნიერებამ და ტექნიკამ უნდა გამოძებნოს.

დღეადიწის ეველა კუთხეში ადამიანთა ნივთიერი უოფიერება იქ გაუმ-ჯობესდა, სადაც საზოგადოებამ ევროპული კულტურა აითვისა და გაითავისა. ამის ნათელი მაგალითია იაპონია. მან უკვე მე-19 საუკუნეში დაიწყო ევროპუ-ლი კულტურის ათვისება და გათავისება. დღეს ეს პროცესი დასრულდა. ამი-ტომ, კულტურული თვალსაზრისით, იაპონია ევროპაა, თუმცა მან საკუთარიც მტკიცედ შეინარჩუნა. იაპონელი ერის ნიჭიერებამ იმ ზომიერებას მიაგნო, რომელიც არც საკუთარ სახეს გაკარგვინებს და არც ხელს გიშლის აითვისო-სხვისი საუკეთესოც. ამდენად უფიქრობ, რომ დღევანდელი იაპონიის სულიერი

თუ ნივთიერი უოფიერება ევროპულია, მიუხედავად იმისა, რომ იგი გეოგრაფიულად აზიის ნაწილია.

ზირიქით მოხდა რუსეთში. გეოგრაფიულად იგი ევროპაში მდებარეობს, მაგრამ კულტურულად ვერ შეძლო ევროპის წიაღში შესვლა, თუმცა ბევრს ეცადა.

საერთოდ, კულტურული ევროპა და გეოგრაფიული ევროპა ერთი და იგივე არ არის. ისინი ერთმანეთს არ ფარავენ. გეოგრაფიულ ევროპაში ბევრი ისეთი ხალხი ცხოვრობს, რომელთაც ევროპულ კულტურასთან არავითარი კავშირი არა აქვთ (ყალმუსები, ჩუვაშები, მორდვა, კოძი და სხვანი). ევროპული კულტურა არის ის, რაც რომანული და გერმანული მოდემის ხალხებმა შექმნეს.

რუსეთის კულტურას ევროპული ხასიათი და თვისება არა აქვს. რუსმა შეიძლება უზარმაზარი ენერჯია დახარჯოს, ნიჭი გამოავლინოს, მაგრამ ზარბაზანი-მეფე შექმნას, რომელიც არ ისვრის. მეფე-ზარი ჩამოასხას, რომელიც არ რეკავს. რუსულ კულტურაში არის ერთი მეტად სავალალო თვისება – ნიჭისა და ენერჯიის ამბო ხარჯვა. ეს თვისება უოვლად უცხო და მიუღებელია ევროპული კულტურისათვის. რაკი ეს თვისება ვერ მოიცვლია რუსულმა კულტურამ, ვერც ევროპული კულტურის ათვისება და გათავისება მოახერხა. ამის ბრალია, რომ ქვეყანა, რომელიც კოსმოსში დაფრინავს, ფანქარს ვერ ამზადებს. ქვეყანა, რომელსაც თერმობირთვული იარაღის ქარხნები აქვს, უსაზნოდ არის დარჩენილი. ქვეყანა, რომელიც უდიდეს ბუნებრივ სიმდიდრეს ფლობს, მშიერ-მწუვურვალი კვდება (რაკი ჩვენ ბედმა რუსეთთან ხანგრძლივი ცხოვრება გვარგუნა, ამ გაკვეთილს ქართველი ხალხი ღრმად უნდა ჩაუკვირდეს).

რა რეფორმაც უნდა ჩატარდეს რუსეთში, რა რევოლუციაც უნდა მოხდეს, მანამ არაფერი ეშველება მას, სანამ არ შეიცვლება კულტურის თვისება-ხასიათი. როგორც ჩანს, ეს ცვლილება ურთულესი საქმეა, რაკი ამის ცდა რუსეთში ჯერჯერობით უოველთვის მარცხით დამთავრდა. ამიტომ მივათვალე რუსეთი აზიაში.

ამ კრძელი ღაპარაკით თავი იმიტომ შეკაწიენთ, რომ მეთქვა: ქართველმა ხალხმაც უნდა განსაზღვროს თავისი კულტურის თვისება-ხასიათი. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, გეოგრაფიულად რას მიაკუთვნებენ საქართველოს – აზიასა თუ ევროპას. მნიშვნელობა აქვს და გადამწვევტიც იმას – როგორ ავითვისებთ და გავითავისებთ ჩვენ ევროპულ კულტურას. ამ მხრივ, უპირველესად, გარდატეხა ჩვენს ცნობიერებაში უნდა მოხდეს და, რაც აუცილებელია, დაუოვნებლად.

ღამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოს ფართო საერთაშორისო ურთიერთობანი დასჭირდება. ამ ურთიერთობისას ქართველი იმ მდგომარეობაში არ უნდა აღმოჩნდეს, როგორმაც არიან იმერელი ბიჭები, სომეხი ვაჭრების ოჯახში, გიორგი ერისთავისა და აექსენტი ცაგარელის კომედიებში. ამის სა-

მიშროება მანამ იარსებებს, სანამ ევროპული წესით შრომას არ ვისწავლით. ერთხელ დავით სარაჯიშვილს უთქვამს ნოე ჟორდანიასთვის: „ქართველები რევოლუციის გვარდიად განდნენ... მაგრამ რევოლუციით ხალხი ვერ იცხოვრებს. ცხოვრებისათვის შრომა საჭირო. შრომა კი არ ვიცით და არც გვინდა ვიცოდეთ.“ * მხოლოდ შრომით შეიძლება საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობისა და ცოდნის შეცვლა. თუმცა ჰარალელურად არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სხვა პრობლემებიც ძალე უნდა მოგვარდეს.

მაგალითად:

ჩვენ იმდემ წარსულის წყალობით, საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. თუ გვინდა, რომ საქართველო მშვიდობიანად ცხოვრობდეს (რაც უპირველესი პირობაა ეკონომიკური აღორძინების), ჩვენ ევროპული შემწენარებლობა გვჭირდება. ურთიერთობა – ქართველი-აზერბაიჯანელი, ქართველი-აფხაზი, ქართველი-ოსი, ქართველი-სომეხი და ა.შ. – ვერ მოგვარდება შემწენარებლობის თვინიერ. მაგრამ შემწენარებელი მარტო ქართველი კი არ უნდა იყოს, არამედ ეველა ის ხალხი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს. შემწენარებლობა საქართველოს მოსახლეობის საერთო თვისება უნდა განდეს. ამისათვის მარტო ლაპარაკი არ კმარა. მას სამართლებრივი საფუძველი სჭირდება. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენ ის კანონი არ შეგვიშუშავებია, რომელიც ამის გარანტიას მოგვცემს.

დღეს საქართველოში ბევრი სხვადასხვა მიმართულების რელიგიური ჯგუფი არსებობს. კარგად ცნობილია, რომ მათი ურთიერთობა მტრულია. ეს კი ეიკუმენიზმის ეპოქისათვის ეოვლად შეუფერებელია. რელიგიური ფანატიზმის გაცოცხლება უკიდურესი ჩამორჩენილობის საბუთია. ადამიანის სინდისის თავისუფალია. მან თავად უნდა აირჩიოს – რომელი რელიგიური მოძღვრება აღიაროს. თუ სურს, სრული უფლება აქვს, ათეისტიც იყოს. ეს შეხედულება ლიტონ სიტუებად დარჩება, თუ იგი კანონით არ იქნება დაცული. თუ რელიგიური შემწენარებლობა არ იქცევა სამართლებრივ შეგნებად.

საქართველოში უკვე ანგლოტის საგანი განდა პოლიტიკური პარტიების სიმრავლე. პოლიტიკური პარტიის არსებობა დამოუკიდებელი, თავისთავადი პოლიტიკური კონცეფციის არსებობასაც გულისხმობს. მთელი დედამიწის ზურგზე არ იპოვება იმდენი პოლიტიკური კონცეფცია, რამდენი პარტიაც საქართველოშია. საინტერესოა, რა ძალა ამრავლებს ჩვენში პარტიებს სოკოებივით? ალბერტ აინშტაინი აშშ-ში რომ ჩავიდა პირველად, ჟურნალისტები მიეხიზნენ. ნაირ-ნაირ კითხვებს უსვამდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ისიც ჰკითხა: თქვენი აზრების ჩასაწერად ბლოკნოტს იუენებთ თუ რვეულს? აინშტაინს გაუჩინა თურმე და უპასუხა: არც ერთს და არც მეორეს, რადგან აზრი ძალიან

* „რელიგიური დავით სარაჯიშვილის სახსოვრად“, გვ. 62-63.

იშვიათად მოძღვისო თავში. ჩვენ კი ისე ხომ არ გვემართება, როგორც ცნობილ ანგედოტშია? კაცნი თურმე გარეგნობით ღენინს ჰგავდა. მისებრ მელოტი და ჩია ტანის უოფილა. ბლანჟეც უტარებია. სადაც ჯერ არს, იქ არ მოსწონებიათ ამ კაცის მსგავსება ღენინთან. გამოუძახიათ და მოუთხოვიათ: რაკი სიქანლეს ვერას ვუშველით, არც შენი ტანის აურა მოხერხდება, წვერი მანც უნდა გაიპარსო. შეწუხებულა ფრად ხატად ღენინსად შექმნილი და ამოუოხრებია: წვერს კი გავიპარსავ, მაგრამ იდეგებ რა ვუყო?

ურადღებას და ჰატივისცემას მხოლოდ ის ჰარტია შეიძლება იმსახურებდეს, რომლის პოლიტიკური აზროვნება 21-ე საუკუნის მოთხოვნებს ითვალისწინებს. წინასწარ ჰკრეტს, როგორ განვითარდება მსოფლიოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ცხოვრება. თუ ასე არ იქნება, პოლიტიკური ჰარტიების სიმრავლე კინკლაობისა და ურთიერთ ღანძღვანების მეტს არაფერს მოიტანს. ჩვენ ხომ არც ჰარტიული შემწენარებლობის ტრადიცია გვაქვს. ამასაც სწავლა უნდა, სწავლას კი – დრო.

ცხადია, მრავალჰარტიული დემოკრატია უთვალავი და უანგარიშო ჰარტიის არსებობას არ გულისხმობს. თუ კონსტიტუციურად არ განისაზღვრა, რამდენი ჰარტიაა დასაშვები საქართველოში, რა ვალდებულებას კისრულობენ ისინი ქვეყნის წინაშე, ურთიერთდამოკიდებულების რა ზნეობრივ პრინციპს აღიარებენ, – პოლიტიკური ქაოსი გარდაუვალი ვახდება. პოლიტიკური ქაოსის შედეგი კი, როგორც წესი, სისხლისღვრაა.

ჩვენ დღეს სასწრაფოდ გვეჭირდება ეროვნული, რელიგიური, ჰარტიული შემწენარებლობის კანონები. თუ ეს დაუყოვნებლივ არ ვაკაკეთებთ, ქვეყანა თავზე ჩამოგვექცევა. ეს საქართველოს უზენაესი საბჭოს და ეროვნული მოძრაობის ერთობლივი საქმიანობის გადაუდებელი ამოცანაა.

იურიდიული მოწესრიგებულობა აუცილებელია ეკონომიკური მოწესრიგებულობისათვის და პირიქით: ეკონომიკური მოწესრიგებულობა აუცილებელია იურიდიული მოწესრიგებულობისათვის. საქართველომ არ უნდა დაუშვას არც ეკონომიკური ქაოსი და არც იურიდიული, თუ მას სურს არა მარტო დამოუკიდებლობის მოპოვება, არამედ მისი შენარჩუნება და ევროპული კულტურის წიაღში შესვლა.

ის გეოგრაფიული გარემო, რომელშიც საქართველო მდებარეობს, უოველთვის იყო და დარჩება დიდი პოლიტიკის ცენტრში. ჩვენი ძველი მტრები და უახლოესი მეზობლები – ირანი და არაბეთი – ნავთობით არიან დაურსული. ნავთობი კი რა როლს ასრულებს საკაცობრიო ეკონომიკაში, კარგად მოგეხსენებათ. ის აგრესია, რომელიც სულ ახლახან მოხდა კუვეიტში, მარტო ერანის თავხედობით არ უნდა იყოს გამოწვეული. მის უკან უფრო დიდი ეხანდები უნდა იმალებოდნენ. ამას წინათ „კომსოპოლსკაია პრავდამ“ (1990 წ., 3 ივლისი) ერთი ინტერვიუ გადმოგვჭდა, რომელიც ბანისადრს მიუცია რომე-

ლიდაც ალჟირული გაზეთისათვის.

როცა ირანში შაჰის რეჟიმი დაემხო და ძალაუფლება აიატოლა ჰომეინიმ ჩაიგდო ხელში, ბანისადრი ირანის ჰირველ ჰრეზიდენტად დანიშნეს. დიდხანს არ უოფილა ამ თანამდებობაზე. როგორც კი დარწმუნდა, რომ მარტო აიატოლა ჰომეინი კი არ იყო შემლილი, არამედ მთელი სპარსეთი, ჰრეზიდენტობაც მიატოვა და ირანიც. თვითმფრინვაში ჩაჯდა და ევროპაში გაიქცა. ახლა საფრანგეთში ცხოვრობს და, როგორც ჩანს, აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას აღარ უნდა ეწეოდეს. მაგრამ, როგორც ირანის დღევანდელი ვითარების ჩინებულ მცოდნეს, ხანდახან ესაუბრებიან და ჭკუას ეკითხებიან.

„კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ბანისადრი ჰირდაჰირ ამბობს: ირანი უოველთვის იყო და დარჩაო აშშ-ის და სსრკ-ის ქიშპობის საგნად. ხოლო, რასაც ამის მერე დასმენს ირანის უოფილი ჰრეზიდენტი, იმას იმ ენაზე გაგაცნობთ, რომელზეც წავიკითხე: „Недавно американцы заявили, что больше не будут защищать Иран против возможного нападения со стороны СССР“. და ეს განაცხადეს ამერიკელებმა ბუშისა და გორბაჩოვის შეხვედრის შემდეგ. ამის წავითხვისთანავე გამიელვა თავში – ხომ არ გაიცვალა აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური სახელმწიფოები ირანში? ხომ არ არის ირანი აღმოსავლეთ ევროპის კომპენსაცია? მერე ორი საიდუმლო შინაარსის მატარებელი ფაქტიც გამახსენდა.

აღბათ, გეხსომებათ, აზერბაიჯანელებმა სსრკ-ისა და ირანის საზღვარი რომ დაარბიეს. ამ დარბევაში მათთვის ხელი არავის შეუშლია. სასაზღვრო ჯარები ამას გულგრილად შეჰყურებდნენ. აზერბაიჯანელებისათვის უბატონოდ ხმა არ გაუციათ. მოგვიანებით სსრკ-ის უზენაესი საბჭოს მესამე სესიაზე სომეხი დეპუტატები კატეგორიულად ითხოვდნენ ამ ანტისახელმწიფოებრივი საქციელისათვის დაესაჯათ აზერბაიჯანელები, მაგრამ მათ მოთხოვნას არავინ მიაქცია უურადღება. ერთ უურში შეუშვეს და მეორეში გაუშვეს.

რატომ ანატოეს აზერბაიჯანელებს ეს დანაშაული?

ისიც არ დაგავიწეებოდათ, წლეულს, იანვარში, საბჭოთა არმიამ ბაქოში ხალხი რომ გაუჟა. ბუნებრივია, ამან უკიდურესად აღაშფოთა აზერბაიჯანელი საზოგადოება. სსრკ-ის უზენაეს საბჭოს მესამე სესიაზე აზერბაიჯანელი დეპუტატი ქალები მამებით შემოსილი შემოვიდნენ. მამაკაცებსაც გლოვის ნიშნად შავი ლენტები ჰქონდათ მკერდზე მიკრული. არააზერბაიჯანელ დეპუტატებს ორი აღბომი დაურიგეს, შემზარავი ფოტოებით სავსე. მათი ჰროტესტი მიცვალებულის შეცხადებას ჰგავდა. ეველა ერთად ჰკიოდა აზერბაიჯანულად და რუსულად: Убийцы, кровопийцы, людоеды!... მერე ეველამ ერთად მიატოვა სესია და ორი დღე არც ერთი აზერბაიჯანელი აღარ გამოჩენილა. მესამე დღეს აზერბაიჯანელი დეპუტატები ფესაკრეფით შემოვიდნენ დარბაშში, გატრუნული დასხდნენ და კრინტი აღარ დაუძრავთ. აღარც მამები ეცვათ და

აღარც შავი ლენტები ჩანდა სადმე. ისე წყნარად იუვენენ, თითქოს ჯარმა ბაქოში ტყვიები კი არა, ვარდები ისროლა.

ტვინს მიბურღავდა ფიქრი: რას დაჰპირდა მოსკოვი აზერბაიჯანელებს ისეთს, რომ ეს გამძვინვარებული ხალხი ბატკანივით მშვიდი გახდება?

ბანისადრის ინტერვიუმ თითქოს საიდუმლოს გასაღები მაპოვნინა.

თუ სსრკ ირანის ჩაუღაპვას აპირებს (რაც რუსეთის უძველესი ოცნებაა), მაშინ, ცხადია, რომ სსრკ-ისა და ირანის საზღვრის დარბევვა მოსკოვის მითითებით მოხდა. ამიტომაც არაფერს დანსაჯა. ეს ერთი. მეორეც, თუ ირანს სსრკ დაეპატრონება, მაშინ საბჭოთა აზერბაიჯანი და ირანის აზერბაიჯანი შეერთდება. ეს დიდ აზერბაიჯანულ სახელმწიფოს ქმნის. ამისათვის შეიძლება მოსკოვს ანატიო ბაქოში დაღვრილი სისხლი. გასაკები ხდება აზერბაიჯანელი დეპუტატების გაჩუქებაც.

თუ დიდი აზერბაიჯანი შეიქმნება, მაშინ იგი, ალბათ, იოლად დათმობს პატარა უარაბალს. ამით აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტიც მოგვარდება.

რალაც ამგვარი ჰერსპექტივა რომ ისახება, ამას ერაყის მიერ კუვეიტის დაპერობაც ადასტურებს.

აშშ-ს ჯარი შეჰყავს საუდის არაბეთში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, პირველად, სსრკ და აშშ ერთად გმობენ სამხედრო აგრესიას.

სსრკ-ის სამხრეთ საზღვართან ომის ახალი კერა გაჩნდა. აგრესორიც უნდა დაისაჯოს და სსრკ-ის სამხრეთ საზღვრის მშვიდობიანობაც გარანტირებული უნდა იქნეს. ამ მიზნით ირანში საბჭოთა ჯარების შეყვანა სრულებით არ არის მოულოდნელი. მით უმეტეს, რომ ირანსა და ერაყს სულ ახლახან ჰქონდათ რვაწლიანი ომი. ერაყის განადგურებით ირანი ნაწყენი არ დარჩება.

ისევე მოხდება გავლენის სფეროთა განაწილება: ერაყი (უსადამ-ჰუსეინოვ), კუვეიტი, საუდის არაბეთი აშშ-ის ფრთებქვეშ. ირანი სსრკ-ის „მფარველობაში“. არაბული ნავთობი აშშ-ს, სპარსული ნავთობი სსრკ-ს.

ამგვარი პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებებია მოსალოდნელი საქართველოში მეზობლად. რამდენად იქნება მხად ამისათვის დამოუკიდებელი საქართველო? ეს ჩვენი დღევანდელი ზრუნვის საგანი უნდა გახდეს. ჩვენც ჩვენი ტროას ცხენი უნდა გვეუადეს კაძლიერებულ მეზობლებთან ურთიერთობისათვის, თორემ ისტორიულ მშობაზე ცარიელი მასლაათი ვერას გვიშველის. მით უფრო, რომ საქართველო ჯერჯერობით უმოკავშირეოდ არის დარჩენილი. ამას უცხოური ჰრესაც აღნიშნავს. ამ ცოტა ხნის წინათ, „ნიუდროიხე ცაიტუნგი“ (1990 წ., №126) წერდა: „ელენ კარერ დ'ანკოსი უთითებს ლიტველების თავისებურებას ბალტიისპირეთში. კათოლიკობა აერთიანებს ხალხს უფრო მტკიცედ, ვიდრე პროტესტანტობა ან მართლმადიდებლობა. დაბადებით ქართველ ქალს მიაჩნია, რომ დამოუკიდებლობისაკენ ქართველთა მისწრაფე-

ბას მცირე შანსი აქვს. აზერბაიჯანელები იმედით უუურებენ ირანს, ბალტიის-
პირელები – სკანდინავიას, სომხებს აქვთ თავიანთი დიასპორა. ქართველები
მარტონი არიან. ერთხელ ხელიდან გაშვებული კავკასიის ფედერაციის შანსი
აღარ მობრუნდება“.

ქართველი ხალხის პოლიტიკურმა გონიერებამ ეს უიმედობა უნდა გაა-
ბათილოს.

1990 წ., ივლისი



მე არ ვარ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი და არც სიტყვით გამოსვლას ვაპირებდი, მაგრამ მოულოდნელად შექმნილმა ვითარებამ მაიძულა მოგახსენოთ ჩემი აზრი.

ისტორიის მატარებელი მიქრის. ამ მატარებელში საქართველო არ ზის. ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის ვაკე სალში დარჩა ცარიელ ჩემოდანზე ჩამომჯდარი. ახლა საქართველომ თავქუდმოკლეჯილმა უნდა ირბინოს, შეუძლებელი უნდა შესძლოს, რომ როგორმე ისტორიის მატარებლის უკანასკნელ ვაკონს მანც შეახტეს.

საქართველოს ამ მდგომარეობის გამო ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა მომავალ ახალ უზენაეს საბჭოს. ახალი უზენაესი საბჭო ვერ დაეშვება ვერც წინამორბედ უზენაეს საბჭოებს და ვერც მომდევნოებს. ვერ დაეშვება იმიტომ, რომ რაც ახალმა უზენაესმა საბჭომ უნდა გადაწვევით, ამას წინამორბედი საბჭოები ვერ გადაწვევებდა. ხოლო, თუ ახალი უზენაესი საბჭო თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებს, მომდევნო საბჭოებს მისი გადაწვევა უკვე აღარ დასჭირდება.

ახალმა უზენაესმა საბჭომ არა მარტო ახალი კანონები უნდა მიიღოს და დაამტკიცოს, არამედ ოთხი დიდი საქმეც უნდა გააკეთოს.

პირველი: საფუძველი ჩაუყაროს საქართველოს სამართლებრივ სახელმწიფოს. ქართველ ხალხს, მიუხედავად გრძელი ისტორიული გზის გავლისა, არასოდეს უცხოვრია სამართლებრივ სახელმწიფოში. ბედის უკუღმართობამ წაგვართვა ჩვენ სამუალებს ისტორიული განვითარების ბუნებრივი გზა გავკვეთლო. ქართული სამართლებრივი აზროვნების ჩამორჩენილობა დიდად შეგვიძლის ხელს ახალი სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაში, მაგრამ წელეებზე ფეხი უნდა დავიდგათ, წინააღმდეგობა დავძლიოთ.

მეორე: სწორედ ახალი უზენაესი საბჭო უნდა განდეს ერთგვარი სკოლა, რომელიც ქართველ ხალხს ასწავლის სამართლებრივ აზროვნებასაც და სამართლებრივ სახელმწიფოში ცხოვრებასაც. მართალია, ეს უცბად და ერთბა-

* სიტყვა წარმოთქმულია 18 აგვისტოს საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიაზე. 1990 წ.

მად არ მოხდება, მაგრამ საფუძვლის ჩაურა კი შეგვეძლება.

მესამე: ახალმა უზენაესმა საბჭომ უნდა აღზარდოს ქართველი პროფესიონალი პოლიტიკოსები. ეს აუცილებელია ეოველი ქვეყნის ნორმალური პოლიტიკური ცხოვრებისათვის. როცა პროფესიულ პოლიტიკაზე ვლანარაკობთ, სრულებით არ ვგულისხმობთ მხოლოდ ინტელიგენციას. პროფესიონალი პოლიტიკოსი თანაბრად შეიძლება გახდეს გლეხიც, მუშაც, ინტელიგენტიც. პროფესიონალიზმი ნიჭის თვისებაა და არა სოციალური უპირატესობის ნიშანი. ავგუსტ ბებელი მუშა იყო, მაგრამ გერმანიის პარლამენტს აზანზარებდა.

მეოთხე: ახალმა უზენაესმა საბჭომ უნდა გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

ამ რთულ პრობლემებს მომავალი უზენაესი საბჭო მაშინ გადაწყვეტს, თუ არჩევნებს მთელი გულისყურით მოვეკიდებით და ღირსეულ დემუტატებს ავირჩევთ. როცა საქართველოში შექმნილ ვითარებას ვითვალისწინებ, აუცილებლად მიმაჩნია არჩევნებისათვის საერთაშორისო ზედამხედველების მოწვევა. ეს მარტო ჩემი აზრი არ არის. ასე სხვებიც ფიქრობენ. მსოფლიო საარჩევნო პრაქტიკისათვის უცხო არ არის საერთაშორისო ზედამხედველობის გამოყენება. სულ ახლახან ნიკარაგუაში არჩევნები უცხოელთა მეთვალყურეობით ჩატარდა, მაგრამ უცხოელი მეთვალყურეების მოწვევისას ისე აღარ უნდა მოგვივიდეს, როგორც ერთხელ უკვე დაგვემართა.

როცა 1918 წელს საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დიპლომატიას (არც აშშ იყო წინააღმდეგი) დიდი სომხეთის შექმნის იდეა გაუჩნდა. დიდ სომხეთს მაჰმადიანურ სამეაროში ის როლი უნდა შეესრულებინა, რასაც დღეს ისრაელი თამაშობს. რა თქმა უნდა, ამ აზრმა სომხეთი დიდად გაასწრა. ეს მათი მრავალსაუკუნოვანი ოცნება იყო. მაშინ სომხეთის მთავრობამ ერთა ლიგას დიდი სომხეთის რუკა წარუდგინა. ამ რუკაზე სომხეთის ჩრდილოეთი საზღვარი მცხეთასთან გადიოდა, სამხრეთის – ხმელთაშუა ზღვასთან, აღმოსავლეთისა – კასპიის ზღვას ემიჯნებოდა, ხოლო დასავლეთისა – შავ ზღვას. სომხეთის მადამ თურქების დიდი აღშფოთება გამოიწვია. ერთა ლიგამ ამიერკავკასიაში საკითხის შესასწავლად კომისია გამოგზავნა. კომისიამ დაწვრილებით შეისწავლა ამიერკავკასია და ერთა ლიგას უზარმაზარი ორტომიანი დასკვნა წარუდგინა. ამ დასკვნაში საქართველო ორადორი ფრანზით არის მოხსენიებული: ულამაზესი ხალხია და აწუბენ მსოფლიოში საუკეთესო ბანკეტებს.

ახალმა საერთაშორისო კომისიამ ისიც უნდა აღნიშნოს, რომ ქართველები ულამაზესი ხალხია, მაგრამ ისიც უნდა დასძინოს, რომ საქართველო თავისუფლების ღირსია. თავისუფლების ღირსი კი ის ხალხია, ვინც იცის თავისუფლების ფასი და მისი მოპოვებაც თავად, სხვათა დაუხმარებლად, შეუძლია.

1990 წ., აგვისტო

ისტორიამ ბანქორება იმის

კომუნისტური პარტიის დაშლა და გაუქმება თავად სტალინმა იწინასწარმეტყველა. „ლენინიზმის საკითხებში“. იგი ამბობს: „...კლასების მოსპობის შემდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის კვდომის შემდეგ, უნდა განიცადოს კვდომა პარტიამაც“ (1935 წლის გამოცემა, ვვ.88).

ახლა ისიც გავიხსენოთ, რა არის ნათქვამი 1977 წლის 7 ოქტომბერს მიღებულ კონსტიტუციაში და დასკვნა მერე გავაკეთოთ.

კონსტიტუციის პრეამბულაში განცხადებულია: პროლეტარიატის დიქტატურამ შეასრულა თავისი ამოცანა. საბჭოთა სახელმწიფო გახდა საერთო-სახალხო.

კონსტიტუციის მე-19 მუხლი კი გვაუწყებს, რომ სსრკ-ის სოციალური საფუძველია მუშების, გლეხების, ინტელიგენციის ურდვევი კავშირი.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ კლასებს შორის წინააღმდეგობა აღარ არის და უკლასო საზოგადოების საძირკველიც ჩაურილია.

ამის შემდეგ, თუ სტალინის აზრს გავიზიარებთ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ კომუნისტური პარტიის ბუნებრივი კვდომის ეპოქაც მოსულა. ეს რომ ასეა და აღარაფერია საეჭვო, ამის მოწმეა მთელი სსრკ-ის მოსახლეობა, პარტიულიცა და უპარტიოც.

რა თქმა უნდა, სტალინი იმ კვდომას არ გულისხმობდა, რასაც მე, მაგრამ ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. მთავარია ფაქტი.

წარმოქმნილი ვითარება ბუნებრივად სვამს კითხვას – რომელი პარტია შეცვლის კომპარტიას? ამ კითხვას პასუხი სჭირდება არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ მთელი სსრკ-ის. ალბათ, მართალი ვიქნებოდით თუ ვიტყოდით, რომ კომპარტიის შეცვლას ვერ შეძლებს დღეს არსებული ვერც ერთი პარტია ცალ-ცალკე.

საქართველოში (როგორც ჩანს, სხვაგანაც) ამის გაკეთება შეუძლია ეროვნულ მოძრაობას, ოღონდ არა დაქსაქსულს, არამედ ერთიანს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეროვნული მოძრაობა კათიშულია და ვერავინ იწინასწარ-

მეტყველებს გამოთვლიანდება თუ არა იგი. რაოდენ საშიშია და სასიფათოა ეროვნული მოძრაობის გათიშულობა, კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახა სომხეთის მაგალითმა.

ჩვენი ისტორიული მეზობელი და ბედით თანაზიარი ქვეყანა უსაშინელეს მდგომარეობაში ჩავარდა. საუბედუროდ, განმეორდა ის, რაც არაერთხელ მომხდარა როგორც სომხეთის, ისე საქართველოს ისტორიაში. ნაციონალური მოძრაობის ორი ფრთა – სრულიად სომეხთა ეროვნული მოძრაობა და სომხური ეროვნული არმია – ერთმანეთს დაუპირისპირდა და დაეჯახა. სომხეთის ახალი უზენაესი საბჭო და მისი თავმჯდომარე გამოუვალ ვითარებაში აღმოჩნდნენ. სომხეთში არ იყო ძალა, რომელიც დააწინაურებდა, დაამშვიდებდა მოქიშვე მხარეებს. თუ შექმნილი მდგომარეობა არ დაშოშმინდებოდა, ძმათაშვილები ომი გაანადგურებდა სომხეთს. რაკი საკუთარი ძალა არ ეყოფოდათ, მშველელად ისევ უცხო, ვარედანმოწვეულ ძალას მოუხმეს. სომხეთში საგანგებო წესები გამოცხადდა. წესრიგის დამცველად საბჭოთა არმია ჩადგა. როცა დაუნდობელი საბჭოთა არმია დაინახეს, იცოცხლეთ, მაშინ სომეხთა ეროვნულმა არმიამ უღონოდ ჩაქინდრა თავი და დანებდა. რატომ მანამდე არ ევოთ ამის ჭკუა? უაზროა ამ კითხვის დასმა. საქმე წამხდარია და გვიანლაა თითხე კბენანი. სომეხთა ეროვნული არმიის თავკაცი რაზმიკ ვასილიანი და მისი ექვსი თანამებრძოლი დაპატიმრებული არიან.

ლეონ ტერ-ჰეტროსიანიისათვის და ახალი უზენაესი საბჭოსათვის ადვილი იყო საბჭოთა არმიის მოხმობა, მაგრამ მისი უკან გაწვევა? დატოვებს კი იოლად საბჭოთა არმია სომხეთის ტერიტორიას? შეიძლება ზოგიერთმა მიამიტად იკითხო: მერე რა – სომხეთში ხომ ისედაც იდგა საბჭოთა არმია. რა შეიცვალა? არსებითი და გადამწვეტი რამ. საბჭოთა არმიის მიწვევით სომხეთის დღევანდელმა ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ, უცხო ძალის თვინიერ, იგი უძღურია დაამუაროს წესრიგი ქვეყანაში. ეს კი ეროვნული მოძრაობისადმი უნდობლობას თესავს ხალხის თვალში. უფრო მეტიც, თუ ლ. ტერ-ჰეტროსიანი დროულად ვერ გაიუვანს საბჭოთა არმიას სომხეთიდან, უნდოდა თუ არ უნდოდა ეს მას, აღმოჩნდება მოლაღატის როლში. აი, ასეთი ჩინი შექმნა სიმულვილმა, დაუნდობლობამ და შეუთანხმებლობამ. დააყენა ეროვნული მოძრაობა ამკარა კრახის წინაშე.

სომხეთის გაკვეთილი ზედმიწევნით უნდა ავითვისოთ, რადგან ზუსტად იგივეს განმეორებაა მოსალოდნელი საქართველოში. ამას არა მარტო ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, არამედ დღევანდელი ვითარებაც. ერთი წუთით თავი დავანებოთ იმას, რომ ეროვნული მოძრაობა ჩვენშიც გათიშულია. უურადლება მივაქციოთ მეორე მხარეს: სულ მოკლე ხანში საქართველოში მოხდება ორი პოლიტიკური ინსტიტუტის არჩევა – ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოსი. რა ურთიერთმიმართება და დამოკიდებულება იქნება მათ

შორის? ჰარმონიულად გაინაწილებენ ფუნქციებს თუ ერთმანეთს კრიჭაში ჩაუდგებიან?

ეს მაინც საერთო, ზოგადი ხასიათის კითხვებია. საინტერესოა უფრო კონკრეტულნი.

უხენაესი საბჭო, როგორც მოგეხსენებათ, კანონმდებელი ხელისუფლებაა. მან უნდა აირჩიოს თუ დანიშნოს აღმასრულებელი ხელისუფლება, ანუ მთავრობა. თუ ეველათფერი ბუნებრივად წარიმართება, ასეც მოხდება: ახალი უხენაესი საბჭო ჩამოაყალიბებს ახალ მთავრობას.

აპირებს თუ არა ეროვნული კონგრესი, არჩევის შემდეგ, ხელისუფლების ამგვარი ინსტიტუტის შექმნას, როგორც არის მთავრობა? თუ არ აპირებს, მაშინ ვინ ან რა იქნება ის, რომელიც პრაქტიკულად განახორციელებს ეროვნული კონგრესის გადაწყვეტილებებს?

რაკი ბევრჯერ მითქვამს, მკითხველმა ალბათ იცის, რომ მომხრე ვარ პრეზიდენტის მმართველობის შემოღების. წამით დავუშვათ, რომ მომავალმა უხენაესმა საბჭომ გაიზიარა ეს აზრი. მაშინ უნდა მოხდეს ალტერნატიული საერთო-სახალხო, ფარული და პირდაპირი კენჭისყრით საქართველოს პრეზიდენტის არჩევა. ამ პრეზიდენტს მაშინ ექნება რეალური ძალა, თუ ეროვნული კონგრესიც დაუჭერს მხარს, უხენაეს საბჭოსთან ერთად. მიანჩია თუ არა ეროვნულ კონგრესს მიზანშეწონილად პრეზიდენტის მმართველობის შემოღება? ეკულება თუ არა მას დღეს საქართველოში კაცი, რომელსაც თანახმად დაუჭერდა მხარს უხენაესი საბჭოც და ეროვნული კონგრესიც?

ეველა ნათლად ხედავს, რა ეკონომიკური ვითარებაა მთელ სსრკ-ში. ბენზინი, თუთუნი, ჰური თანდათანობით ქრება. მოვლენათა ლოკიკის თანახმად, მდგომარეობა უფრო და უფრო გაუარესდება. ეს არ არის მარტო ეკონომიკის მოშლის შედეგი. ეს შეგნებული და მომხადებული საბოტაჟია. კლექტოკრატია უკვე წაუჭირა ეელში ხელი როგორც კომპარტიას, ისე საბჭოთა მთავრობას. სადაც არის დაახრჩობს კიდევ. კლექტოკრატის გამარჯვებას სრული ქაოსი მოჰყვება. ეს თვისებაა კლექტოკრატისა და იმიტომ. ამდგურულ წყალში თევზს ადვილად იჭერენ. ვითარების მოგვარება მეტნაკლებად მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ეროვნული მოძრაობა მოერევა კლექტოკრატიას. ჯერხანობით საქმე სანუკემოდ ვერ არის. ამას წინათ გორში, იქაურ საზოგადოებასთან შესვედრისას, ერთი ასეთი შეკითხვაც დამისვეს:

„თქვენ მიერ „მამულში“ გამოქვეყნებულ ჰუმლიკაციაში გამოთქმული იყო ასეთი აზრი: საჭიროა გამოეყენებული იქნეს ფულიანი პიროვნებები, ე.წ. „საქმოსნები“, ვინაიდან უფულო და გულში მუშტის მობაგუნე პატრიოტები ვერაფერს შესძენენ ეროვნულ მოძრაობას.

დღესდღეობით ე.წ. „საქმოსნები“ ეროვნულ მოძრაობაში ღრმად ჩაუყურეუმაღავდნენ და თვით ეს მოძრაობაც აქციეს მაფიის ერთ-ერთ „კლანად“

(როგორც უკვე პრესაშიც აღინიშნა, ბოლშევიკების სახით მოვლენილი ბნელი ძალები, მოგონილი გახდა დღევანდელ ფსევდო-ეროვნულ მოღვაწეებთან). ეს განსაკუთრებით იგრძნობა გორში.

გთხოვთ გვიპასუხოთ, რა გზას დავადგეთ ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ეროვნულ მოძრაობას ამოფარებული „მოღვაწეები“ ერისა და ქართველობის სახელით მრავალ სისამაგლესა და უკანონობას სწადიან.

თქვენ იმიტომ მოგმართავთ, რომ მაშინდელი თქვენ მიერ აღნიშნული გზა რეალურად და სწორად მომეჩვენა და რა მივიღეთ!“

მართალია შეკითხვის ავტორი. თავს ვერაფრით ვიმართლებ. მოვტუვდი. კლემენტოკრატიამ ხნე არ გამოიცვალა. ეს კი მომაკვდინებელი საფრთხით ემუქრება ეროვნულ მოძრაობას.

ახალი უზენაესი საბჭოს ერთი უპირველესი ამოცანა იქნება იმ კანონების შექმნა, რომელიც სრული ეკონომიკური რეფორმების ჩატარების საშუალებას მისცემს საქართველოს. თუ ვერ ჩატარდება სრული ეკონომიკური რეფორმა, დამარცხდება ვეველა: კომპარტიაც, საბჭოთა ხელისუფლებაც და ეროვნული მოძრაობაც. ძალა აქვს მხოლოდ იმას, ვინც ეკონომიკას ფლობს. ქვეყნის განახლება და განთავისუფლება შეუძლია იმას, ვინც ეკონომიკას მოუწლის და უპატრონებს. ეკონომიკის მოვლა-პატრონობას არა მარტო ახალი ეკონომიკური იდეა სჭირდება, არამედ სრული წესრიგიც და თავდადებული შრომაც.

კარგად ვიცი, რომ ამქვეყნად სამოთხის დამყარება არ შეიძლება. არც უნდა დაპირდე ეს ხალხს. ისეთი ეკონომიკური მდგომარეობის მიღწევა კი, როგორც არის ფინეთში, დანიაში, ნორვეგიაში, ქართველ ხალხს თავისუფლად შეუძლია. ჩვენც ჩვენებრ პატარა ქვეყნების ეკონომიკური მოდელი უნდა ავითვისოთ და საქართველოს ჰირობების შესაბამისად განვანოვოთ.

ეკონომიკური რეფორმის მკაფიო გეგმა, წესრიგი და შრომა იხსნის საქართველოს მთავრობის ეკონომიკური კატასტროფისაგან. ეს საქმე კი ახალმა უზენაესმა საბჭომ და ახალმა მთავრობამ უნდა მოაგვაროს. რა პოზიციას დაიჭერს ამ საქმეში ეროვნული კონგრესი? ამოუდგება იგი მხარში ახალ უზენაეს საბჭოსა და მთავრობას თუ მოშლილ ეკონომიკურ ვითარებას გამოიყენებს თავის სასარგებლოდ? თუ ამ საქმეში ეროვნული კონგრესი არ იქნება უზენაესი საბჭოს მოკავშირე, თავად როგორ აპირებს ეკონომიკური კრიზისის შევლას? რა გეგმა აქვს? მით უფრო საინტერესოა ეს, რომ, რამდენადაც ვიცი, ზოგიერთ მეცნიერს, რომელიც ეროვნული კონგრესისათვის იღვწის, ბევრი საუჭრადღებო მოსაზრება აქვს ეკონომიკური მიმართულებით.

ეკონომიკურთან ერთად ადმინისტრაციული რეფორმაც აუცილებელია. უხარმახარი ბიუროკრატია ბოჭავს და ხელ-ფეხს უკრავს ერის საქმიანობის ვეველა დარკს. ბიუროკრატია მაქსიმალურად უნდა შემცირდეს. ვასუშტი ბა-

ტონიშვილს რამდენი გერბიც აქვს დასატულ-წარმოდგენილი, სწორედ იმდენივე ადმინისტრაციულ ერთეულად უნდა დაიყოს საქართველო, რამდენადაც შესაძლებელია მცირერიცხოვანი სამმართველო აპარატით. ახალმა უხენაესმა საბჭომ ეს პრობლემაც უნდა მოაგვაროს. უნდა შეიქმნას პროვინციის, ქალაქის, სოფლის მმართველობის სახე და კანონები. მე თუ მკითხავს ვინმე, უნდა აღდგეს ძველი ქართული სამოხელეო ტერმინები – ერისთავი (პროვინციისა), მოურავი (ქალაქისა), მამასახლისი (სოფლისა). ეს ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, მაგრამ ეს არ არის არსებითი. არსებითია ის, რომ მოსაგვარებელია ადმინისტრაციული რეფორმა. ამ სახით იქნება თუ რომელიმე სხვა ფორმით.

რას ფიქრობს ამ საკითხებზე ეროვნული კონგრესი და როგორ წარმოუდგენია პრობლემის გადაჭრა?

განათლების საკითხი? რად უნდა იმას მტკიცება, რომ ქართული განათლების სისტემა სრულიად მოშლილია. როგორ დავაღწიოთ თავი ამ მდგომარეობას? განა რაიმეს შეცვლის ის, რომ საშუალო სკოლას ლიცეუმი ვუწოდოთ, კოლეჯი თუ გიმნაზია? სახელის შეცვლა რას იძლევა თუ არსი არ გამოიცვალა? სად არის ახალი პროგრამა, ახალი სახელმძღვანელო, ახალი მასწავლებელი? არც ერთ პარტიას (ყოველ შემთხვევაში პრესაში ეს არ გამოჩენილა) არ შეუშუშავებია რაიმე პროექტი ჩვენი განათლების საშველად. უჩვეულოა და არავის მიაჩნია სადავოდ, რომ ქალაქებს – ახალქალაქს, ახალციხეს, ბათუმს, გორს, ზუგდიდს, თელავს, ოზურგეთს, რუსთავს, სოხუმს, ფოთს, ქუთაისს – სჭირდება სრულყოფილი დიდი უმაღლესი სასწავლებლები. მაგრამ არა თბილისში არსებული სასწავლებლების ფილიალი ან ანალოგი. თუ დკლდიაშვილის პერსონაჟების კუდაბზიკობა არ მოვიძალეთ, ჩვენს განათლებას საერთოდ მოუვლებთ ბოლოს. ჩვენ არ გვაქვს იმის ძალა, პოტენცია, რომ უნივერსიტეტები არსებობდეს – ახალციხეში, ბათუმში, თბილისში, სოხუმში, ქუთაისში. ნუ მოვიტყუებთ თავს. შეიძლება ჩაიცვა ფენსაცემელი, რომელიც არ არის შეკერილი საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, მაგრამ შეუძლებელია მიიღო განათლება, რომელიც ვერ პასუხობს საერთაშორისო მოთხოვნილებას. ჩამორჩენილ განათლებას გაუნათლებლობა სჯობს. იმის შესაბამისად უნდა მოვიქცეთ, რაც ჩვენს ძალას შეესაბამება და რაც განათლების აღორძინებაში დაგვეხმარება. ამიტომ დავსვი საკითხი თბილისიდან დიდი უმაღლესი სასწავლებლების გატანისა ზემოთ ჩამოთვლილ ქალაქებში. რა თქმა უნდა, ეს ძნელი და რთული საქმეა. ამას სჭირდება დრო, ფული და, რაც მთავარია, ცნობიერების მომზადება. მაგრამ საქმის ზუსტად გააზრება და დწეება დღესაც შეიძლება.

ახალმა უხენაესმა საბჭომ განათლების პრობლემების გადაწვევტას საფუძველი მანაც უნდა ჩაუყაროს, თუ საბოლოოდ ვერ მოაგვარებს.

ამ მიმართულებით როგორია ეროვნული კონგრესის აზრი? რა გზები

აქვს დასახული?

თუ საქართველოში სტაბილური ვითარება არ იქნება, ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარებას კი არა, მათზე მუშაობის დაწყებასაც ვერ მოვახერხებთ. არადა, მათი გადაწყვეტის თვინიერ კოლონიური არსებობაც კი შეუძლებელია, არათუ თავისუფლება-დამოუკიდებლობა. დღეს ვაფიცვა, შიმშილობა, პიკეტირება, მიტინგი იმისდა მიხედვით ხდება, ვის, როდის და როგორ მოესურვება. არავითარი კანონი მას არ აწესრიგებს. ეველა დემოკრატიულ ქვეყანაში ამგვარი აქციები მკაცრ კანონს ემორჩილება. ახალმა უზენაესმა საბჭოამცუნდა შეიმუშაოს ეს კანონები, საერთაშორისო დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად. თავისუფალია ის პიროვნება, ის ორგანიზაცია-პარტია, ის ქვეყანა, ვისაც თავისთავის მართვა შეუძლია. ვისაც თავისთავის მართვა არ შეუძლია, იგი ქაოსის მსხვერპლია. მოგეხსენებათ, მითოსის თანახმად, სამეარო მამინ ჩამოუალიბდა, როცა ღმერთმა ქაოსისაგან წესრიგი შექმნა.

როგორმე უნდა მოხერხდეს, რომ ერთიანი ძალისხმევით ეველა პრობლემის გადაწყვეტის გზები დაისახოს. მით უფრო, რომ სულ უახლოეს დღეებში, ალბათ, სსრკ-ის მთავრობა შეიცვლება. უკვე გამოვლინდა ორი დაჯგუფება: ელცინ-გორბაჩოვი-მატალინის ეკონომიკური პროექტით და რიკოვ-აბალკინის ეკონომიკური პროექტით. საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ ამ ბრძოლაში დასამარცხებლად განწირულია რიკოვ-აბალკინის პროექტი. კაციშვილმა არ იცის ჯერ, როგორი იქნება ახალი მთავრობა. წინასწარ კი იმის თქმა შეიძლება, რომ ახალი მთავრობა იქნება დიქტატორული. ნ სექტემბერს, ტელევიზიაში საუბრისას, გორბაჩოვმა განაცხადა, რომ მატალინის ეკონომიკური პროექტის განხორციელება მამინ შეიძლება, თუ სსრკ ერთიანი, მტკიცე და განუყოფელი დარჩება. ცალ-ცალკე დამოუკიდებელი რესპუბლიკები, მატალინის პროექტით, ეკონომიკას ვერ მოაწესრიგებენო. ამ ინტერვიუში მან იმ მოჩვენებით სუვერენიტეტსაც კი გადაუსვა ხაზი, რის დაპირებასაც ადრე იძლეოდა. უეჭველი განდა, რომ შეიმუშავეს ახალი ეკონომიკური ჯაჭვი, რომლის გაწვევტა, ავტორების სურვილით ველარ უნდა მოხერხდეს. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა უფრო და უფრო რთულდება. შემოდგომის ბუხი მწარედ იკბინება.

რა უნდა ჰქნას ამ ვითარებაში უზენაესმა საბჭომ - დაუფინებლივ უნდა შეიმუშაოს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაცია, თუ ჯერ ის პრობლემები, რაზეც ზემოთ იყო საუბარი, მეტ-ნაკლებად მოავგაროს და მერე სათანადოდ მომზადებულმა გამოაცხადოს დამოუკიდებლობა?

მე რომ მომზადებისა და თანდათანობის მომხრე ვარ, უცნობი არ არის. ბეჯრჯერ მითქვამს, თუძცა არ ვიცი ვინ ემხრობა და ვინ არა ამ ახრს. ურიგო არ იქნებოდა, თუ წინასწარჩვენო პერიოდში, როგორც უზენაესი საბჭოს, ისე ყოფნული კონგრესის მომავალი წევრები ამ საკითხის გამო თავიანთ ახრს

გამოთქვამდნენ. საერთოდ, დიდად მადლიერი და მოხარული ვიქნებოდი, თუ ეროვნული კონგრესის და უზენაესი საბჭოს მომხრეთაგან ვინმე გამოეხმაურებოდა ჩემს კითხვებს და უფრო ნათელს განხიდა ვითარებას. რამდენადაც შეშემლო, პრობლემების რიგიც ჩამოვთვალე და ჩემი დამოკიდებულებაც გამოვხატე – რა უნდა გაკეთდეს. სხვათა აზრი კიდევ უფრო მკაფიოს განხდის როგორი ურთიერთობა შეიძლება ჩამოვარდეს უზენაეს საბჭოს და ეროვნულ კონგრესს შორის.

რა დასამალია და დიდი საშიშროება არსებობს მათი დაპირისპირებისა. ამას გვიდანტურებს, სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიის გამოცდილებაც, ქართველი კაცის ხასიათიც და ახლახან სომხეთში მომხდარი უბედურებაც, როცა ეროვნული მოძრაობის ერთმა ფრთამ გაანადგურა მეორე. ღმერთმა ჰქნას, რომ ჩემი ეჭვი სრულიად უსაფუძვლო გამოდგეს, მაგრამ ერთ ამბავს მაინც ვაგახსენებთ.

გივი ამილახვრისა და შანშე ქსნის-ერისთავის მტრობა ვერაფერმა მოშალა. ბოლოს, სპარსელების მოშველიებით, გივიმ შანშე გაანადგურა. სპარსელებმა ქსნის-ერისთავი სპარსეთში წაიუვანეს და თვალები დასთხარეს.

გივი ამილახვარმა სპარსელები კი დაპატიჟა, მაგრამ მერე თავად ველარ გაუძლო მათ თვითნებობას და აუჯანყდა. მედგრად იბრძოლა, სპარსელებმა მაინც დაამარცხეს. გაბაწრული სპარსეთში გაავზავნეს.

აღდგომა დღეს, საქართველო-სპარსეთის საზღვარზე, შინ მომავალმა უსინათლო შანშე ქსნის-ერისთავმა ცხენების თქარათქური ვაიგონა. იკითხა: რა ხდებაო. მოახსენეს: თქვენს უბოროტეს მტერს, გივი ამილახვარს, სპარსეთში მიათრევენო. მაშინ თვალდათხრილმა ეს უთხრა თვალდასათხრელად მიმავალს: შენც წახდი და მეც წამახდინე, ქრისტე აღსდგა, გიხაროდესო!...

– ჭეშმარიტადო! – იბღავლა გივი ამილახვარმა. დაუძინებელი მტრები ერთმანეთს გადაეხვივნენ. ორივე მწარედ ატირდა.*

როცა მოსკოვს თვალდასათხრელად მიმავალნი დარიალის ხეობაში შეხვდებიან რუსთა სატახტოდან მომავალ თვალდათხრილებს, შერიგება მეტისმეტად გვიან იქნება. ველარც „ქრისტე აღსდგას“ შემახილი უშველის საქმეს.

1990 წ., სექტემბერი

* როგორც ჩანს, ეს თქმულება სხვადასხვა ვარიანტით არის ჩვენში გავრცელებული. მაკალითად, აკაკი წერეთლის მოთხრობაში მოქმედი ჰინნი არიან როსტომ რაჭის-ერისთავი და ჯაფარა ჯაფარიძე (იხ. აკაკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIV).

ნაჰკილბელო ნაჰკილა, ორივეს თაჰი ნასწყვიტა

აკაკი წერეთელს ევროპაში უოფნისას, ქენევის ტბის ჰირად, შილიონის ციხე-დარბაზი დაუთვალეირებია. ვიდს ბევრი რამ უამბნია საუურადლებო და საკულისხმო, მაგრამ ერთს განსაკუთრებით დაუფიქრებია ჰოეტი, კერძოდ ციხე-დარბაზის დილეგში მომხდარს. აკაკი გვიყვება:

„ამ საკანში იყო დამწვედუელი ერთად ოთხი ძმა. მტერმა ისინი იქ ჩამწვედია და მათ უპატრონოდ დარჩენილ სამკვიდროს დაეპატრონა. ეს ოთხი ძმა იმდენ ხანს იყო დამწვედუელი ამ საკანში, რომ სუეველას ერთად, რომ თვეში თითო ქვა გამოეღოთ კედლიდან, გაარღვევდნენ ციხეს, გავიდოდნენ, ჩაჯდებოდნენ ნავში და გაიპარებოდნენ, მაგრამ ერთმანეთში ჩხუბს უნდებოდნენ და ისე ჩაბერდნენ და ჩაკვდნენ, რომ თავისუფლებას ვერ ეღირსნენ, ერთმანეთის ხელის შემძლეღნი! უფროსი იმ აზრისა იყო, რომ ჯერ როგორმე გამოსულიყვნენ ციხიდან, თავი გაეთავისუფლებინათ და მერე ეფიქრათ თავის მამულსე. თავისუფლება ჰირველი ბიჯია ჩვენი მოქმედებისა და ჯერ იმაზე უნდა ვიფიქროთო! უნცროსები არ უჯერებდნენ: მარტო მაგაზე ფიქრი არ კმარაო! ჩვენ იმაზე უნდა ვიფიქროთ, თუ როგორი წეს-რიგი უნდა შემოვიღოთ ჩვენ ადგილმამულშიო. ერთს ერთი უნდოდა, მეორეს – მეორე, მესამეს – მესამე... მოსდიოდათ ერთმანეთში შფოთი და ერთმანეთის ხელის შემძლეღები საკანში ჩაკვდნენო!“

სსრკ-ში დემოკრატიზაციის მცდელობის სრული მარცხი არც მოულოდნელია და არც არაკანონზომიერი. ეს ასე უნდა მომხდარიყო. ისტორიის გამოცდილება უთუოდ და უთუძცაოდ ადასტურებს ერთ ურევე კანონს: სადაც ეკონომიკა მოწესრიგებული, აწუობილი და ღონიერი არ არის, იქ დემოკრატია ვერ იბოგინებს. ისტორიამ იცის მაგალითები, როცა ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანაში დიქტატურა გაბატონებულა, მაგრამ არ იცის საპირისპირო ნიმუში: ეკონომიკამორღვეულ ქვეყანაში დემოკრატიის არსებობა. ეს არ მომხდარა არსად, არც ერთ ქვეყანაში, არასოდეს. ამგვარი კანონზომიერება შედეგია იმი-სა, რომ ვერც ერთი საზოგადოება ვერ იარსებებს წესრიგის თვინიერ. წესრიგს

კი ამყარებს ან საათივით აწეობილი ეკონომიკა, ან შეიარაღებული ძალა. განსხვავება ის არის, რომ აწეობილი ეკონომიკა ამყარებს მუდმივ წესრიგს (კლასიკური მაგალითია აშშ), ხოლო შეიარაღებული ძალა – მოჩვენებითსა და ხანმოკლეს (კლასიკური ნიმუშია სსრკ). თუ ქვეყანას ეკონომიკაც მოშლილი აქვს და არც შეიარაღებული ძალა ჰყავს, იგი არსებითად განწირულია.

1985 წლის შემდგომმა პერიოდმა ცხადყო, რომ სსრკ-ში ეკონომიკა არ მოწესრიგდება. პირიქით, დაშლისა და ქაოსის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება და აჩქარდება. დაიწყო სსრკ-ის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს რღვევა: გამოღვიძებულმა ერებმა ეროვნული სახელმწიფოების შექმნისათვის ბრძოლა გააჩაღეს. მეტროპოლისი სკილასა და ქარიბდას შორის აღმოჩნდა:

როგორ მოაწესრიგონ მოშლილი ეკონომიკა

და

როგორ გადაარჩინონ სსრკ, როგორც ერთიანი, უნიტარული სახელმწიფო.

თუ ეკონომიკური ვითარების გამო სასწორებლად მეტროპოლისმა ჯერ-ჯერობით ვერაფერი იღონა და მოშლის პროცესი ელვის სისწრაფით ვითარდება, სსრკ-ის რღვევის შესაჩერებლად მიმართა ხერხს, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ არასტაბილურობის სტაბილურობა.

უკვე სამი წელიწადია მიმდინარეობს ბრძოლა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ყარაბაღის გამო. უთვალავი უბედურება მოჰყვა ამას, როგორც თავად ყარაბაღში, ისე აზერბაიჯანსა და სომხეთში. იწერება და იცემა ბაქოში, ერევანში, მოსკოვში ბრძანებულებანი, განკარგულებანი, გადაწყვეტილებანი. მყარდება საგანგებო წესები. დაიღალნენ და დაიქანცნენ აზერბაიჯანელი და სომხი დეპუტატები მოსკოვში დავით, კამათით, პაექრობით, ლანძღვა-გინებით. ცვლილებებებით კი არაფერი იცვლება.

მოლდავეთში არასტაბილურობა შექმნა გავაუხებისა და დნესტრისპირელი რუსების „რესპუბლიკათა“ გამოცხადებამ. ჰაწაწინა მოლდავეთი სამად გაიყო. მის მიწა-წყალზე ჰატრონის პრეტენზია განაცხადეს სიზნებად მიღებულმა უცხო-ტომელებმა. მოლდავეთშიაც ატედა დავიდარაბა ამ მოვლენების გარშემო. მეტროპოლისის სხვადასხვა დაწესებულებებს მიმართეს საშველად. იქიდანაც მოვიდა განკარგულება: მოლდავეთის ტერიტორიის ხელუფალ არ შეიძლებაო, მაგრამ ყველაფერი ისევ ისე უცვლელი დარჩა. არც გავაუხები ისევე უკან, არც დნესტრისპირელი რუსები.

ბალტიისპირეთში ეროვნულ მოძრაობას ე.წ. „სსსის კომიტეტები“ დაუპირისპირეს. ჯერ ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის კომპარტიები გაჰყვეს ორად. მერე იმ კომუნისტებს, მეტროპოლისის ერთგული რომ დარჩა, „სსსის კომიტეტები“ შეაქმნევინეს, არაადგილობრივი მოსახლეობის გაერთიანებებს („ინტერფრონტების“ სახით) ჩაუყენეს სათავეში. როცა დაპირისპირება უკი-

დურესად დაიძაბა, ვილნიუსში საბჭოთა არმია შეიჭრა. ჩვეულებებისამებრ ხალხი მიუუქმო-უქუა და გაჩერდა. არ გაამარჯვებინა არც ეროვნულ ძალებს და არც „ხსნის კომიტეტებს“. მდგომარეობა ძველებურად არასტაბილური დატოვა. ნუ ვიქნებით მიაშიტი და ნუ ვიფიქრებთ, რომ საბჭოთა არმიას მსოფლიო სა-ზოგადოებრივი პროტესტის შექმნდა და დამსჯელი ექსპედიცია შეაჩერა. არა, საბჭოთა არმია მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს ანგარიშს არ უწევს. ეს ნათლად დაადანტურა იმან, რაც ლატვიაში მოხდა. ლიტვის სისხლისღვრით გამოწვეული აღშფოთება დამოშმინებული არც იყო, რიგაში რომ შეცვივდნენ და ახალი ხოცვა-ჟლეტა მოაწვეეს.

ისე, როგორც ჩვენ 1989 წლის აპრილში, ხოლო აზერბაიჯანელებს 1990 წლის იანვარში, 1991 წლის პირველსავე თვეს ლიტველებსა და ლატვიელებს საბჭოთა არმიამ შეახსენა – ჩვენ ჯერ კიდევ აქა ვართ და როცა მოგვესურვილება, ისევ მოვალთო. ასეთია მეტროპოლისის ცინიზმი.

საქართველოში ვითარების დესტაბილიზაციისათვის ეთნოკრიზისები გამოიყენეს. ამას წინათ, ერთმა ჟურნალისტმა შიდა ქართლში შექმნილ ვითარებას „ქართული ოლსტერი“ უწოდა. ზუსტი შედარებაა. როგორც ოლსტერი-სა და უარაბალის პრობლემა არ გადაიჭრება წლების მანძილზე, ისევე არ მო-წესრიგდება დიდხანს ოსთა საკითხიც. თუმცა გამორიცხული არ არის მდგომარეობის სიმწვავე დროდადრო დაცხრეს და მერე ისევ აბრიალდეს ცეცხლი. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, მეტროპოლისში რა გუნება-განწყობილება ექნებათ. როგორც მოსკოველი საქმეში ჩახედული ადამიანები ამბობენ, მეტროპოლისში მზაკვრული გეგმა აქვთ შედგენილი: ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიებში შექმნილია რაზმები, რომელნიც საქართველოში შემოიჭრებიან ოსთა დასახმარებლად მაშინ, როცა ამას მიზანშეწონილად დაინახავენ. მართალია, რაც ვთქვი იმის საბუთსა და დოკუმენტს ვერ წარმოვადგენ, მაგრამ მისი უკულებელოფა მაინც არ იქნება გონივრული. რა თქმა უნდა, იმიერკავკასიაში ქართველთა მეგობრებიც მრავლად არიან, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამგვარი რაზმების შედგენაც მეტროპოლისის ადვილად შეუძლია. ვერაგობა ყოველი მხრიდან არის მოსალოდნელი. ამიტომ ჩვენ დიდი სიფხიზლე და შორს-მჭვრეტელობა გვმართებს.

არც სპანნიკოდ და ისტერიის გასამართავად ვამბობ ამას. უბრალოდ, რაკი ბრძოლაში ვართ ჩაბმული, ვითარების გართულების ეველა შესაძლებელი და მოსალოდნელი ვარიანტი უნდა გავითვალისწინოთ.

არსად, არც ერთ ქვეყანაში მეტროპოლისს არ ეშინია ამა თუ იმ მცირე რეგიონში შექმნილი დესტაბილიზაციისა.

კათოლიკე და პროტესტანტი ირლანდიელების ბრძოლა დიდი ბრიტანეთის ძლიერებას არაფრით ემუქრება. დიდი ბრიტანეთი დიდ ბრიტანეთად რჩება. ერთმანეთს წაკიდებული ირლანდიელები კი უმოწეალოდ იხოცებიან.

არც სსრკ-ის ძლიერებას ემუქრება რითიმე სომეხთა და აზერბაიჯანელთა ფანატიკური შუღლი. როგორც უნდათ, ისე გადავლათ მათ მუსრი ერთმანეთს, ამისათვის მოსკოვი არ შეწყნდება და არ აქვითინდება. არც ქართველთა და ოსთა მტრობის გამო აუჩქროლდება გული. შიდა ქართლში დაღვრილი სისხლი ჩვენთვისა და ოსებისათვის არის თავსარდამცემი უბედურება, თორემ კრემლში სიცლიადაც არ ჰყოფნით ეს. მეტროპოლისი მაშინ შემფოთდებოდა, საქართველოში მდგომარეობის დესტაბილიზაცია სსრკ-ის სიძლიერეს რომ ემუქრებოდა. ზირიქით, ამიერკავკასიაში, ბალტიისპირეთში, მოლდავიაში არასტაბილურობის სტაბილურობა საუკეთესო იარაღია მეტროპოლისის ხელში ეროვნული მოძრაობის დასათრგუნავად.

ყარაბაღის პრობლემა ბორკილად ადევს აზერბაიჯანისა და სომხეთის ეროვნულ მოძრაობას. სამწუხაროდ, ასეთი პრობლემა წესრიგდება მხოლოდ ომით. თუ სომხეთი ომში დაამარცხებს აზერბაიჯანს, ყარაბაღიც მას დარჩება. თუ აზერბაიჯანი მოიკებს ომს, ყარაბაღიც მისი საკუთრება გახდება. მაგრამ ომის წარმოება არც ერთს შეუძლია და არც მეორეს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს ჯარი არ ჰყავს და მეორეც იმიტომ, რომ მეტროპოლისი, თავისი საბჭოთა არმიით, ომს სომხეთ-აზერბაიჯანს შორის არ დაუშვებს. ცხადია, არც ყარაბაღის საკითხს მოავგარებს. ყარაბაღი მანამ იქნება აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელ-ფეხზე ბორკილად, სანამ სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხი არ დაიღლებს-დაიქნცება და სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდება.

ხალხის სასოწარკვეთილება ბოლშევიკებისათვის ეოველთვის იყო მმართველობის ერთ-ერთი ხერხი. როცა მტუენსა და მართალს განუკითხავად იტყვრდნენ და სჯიდნენ, ამით ხალხს სასოწარკვეთილებაში აგდებდნენ. სულერთია, სსრკ-ში სამართალს ვერ იპოვიო, – ასკენიდა ხალხი და ეველაფერზე ხელჩაქნეული მორჩილად ემსახურებოდა საბჭოთა ხელისუფლებას. თორემ თავადაც კარგად იცოდნენ, რომ ელინისტი გრიგოლ წერეთელი, ჰოეტი ტიციან ტაბიძე, მუსიკოსი ევკენი მიქელაძე თუ სხვანი – უფრო ცნობილნი თუ უცნობნი – ბოლშევიკების ხელისუფლების დამხობას არ აპირებდნენ. სასოწარკვეთილება ეველაზე ევექტური ხერხია ხალხის მორჩილებაში სამეოფად.

ასეა: დღესაც ხალხის სასოწარკვეთილებაში ჩაგდებას აპირებს მეტროპოლისი. არასტაბილურობის სტაბილურობა კი ამის მისაღწევად ხინებული საშუალებაა. 1990 წლის 11 მარტს გამოაცხადა ლიტვამ სსრკ-დან გასვლა, მაგრამ წინ ნაბიჯი ვეღარ გადადგა. უცხოეთმაც არ გაუწოდა დახმარების ხელი. გაუთავებელ მოლოდინში ხალხის მოთმინება გაიბზარა, ამით მაშინვე ისარგებლეს მეტროპოლისში და ლიტვის მოსახლეობა ორად გახლიჩეს.

ეს გაკვეთილი უნდა გავითვალისწინოთ. უფრო მტკიცე მოთმინებითა და

გამძლეობით უნდა აღვიჭურვოთ.

ვერც მოლდავეთი მოაწესრიგებს საკუთარი ძალებით გავაუხებისა და დნესტრისპირელი რუსების პრობლემას. არც მოლდავეთს ჰქავს არმია. გავაუხებისა და დნესტრისპირელი რუსების საკითხი მაშინ გადაწყდება, როცა მეტროპოლისი „დაეხმარება“ მოლდაველებს. „დახმარებით“ კი მაშინ „დაეხმარება“, როცა მოლდავეთი მეტროპოლისის ერთგულებას შეფიცავს.

რად ბევრი გავაგრძელო: რაც მინდა ვთქვა, განსაკუთრებით. თავისუფლება-დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ეველა ერს მოუძებნა მეტროპოლისმა ბორკილი. ქართველებისათვის ამჯერად ამ ბორკილად ოსთა საკითხი აღმოჩნდა. თუ დასჭირდა, ხვალ ოსებს ჩვენში მოსახლე აზერბაიჯანელებს, აფხაზებს, სომხებს მიაშველებს. იმათ შორისაც გამოძებნის იმ ნაწილს, რომელსაც მიიმხრობს. ოსი ხალხის დიდი ნაწილი საქართველოს ერთგულია, მაგრამ ისინიც არსებობენ, ვინც ორგულობა ამჯობინა. ასევე შეიძლება მოხდეს აზერბაიჯანელთა, აფხაზთა, სომეხთა შორისაც. მათი უმეტესობა საქართველოს ერთგული დარჩება, მაგრამ ორგულების დაქირავებაც არ გაჭირდება. დესტაბილიზაციისათვის კი ესეც საკმარისი იქნება. ბორკილად ესეც გამოდგება.

აი, აქ გამახსენდა სწორედ აკაკის ჰაწია წერილი.

ჩვენ, ეველანი – კავკასიელები ვიქნებით თუ ბალტიისპირელები, შუა-აზიელები თუ იტილ-ურალის ხალხები – ერთ საპრობლემაში ვსხედვართ. ეველა ერთად უნდა ვფიქრობდეთ მის დანგრევას, ცალ-ცალკე ძნელი იქნება ამის გაკეთება. ერთად კი – შედარებით იოლი. ამიტომ დადგა დრო სსრკ-ში ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ერების ერთიანობის ცენტრის შექმნისა.

ლიტვასა და ლატვიაში მომხდარმა ამბებმა ეველასათვის ნათელიყო, რომ კომუნისტები არც ხელისუფლების დათმობას აპირებენ და არც სსრკ-ის დაშლას. თუმცა ისტორიის განახენი გარდაუვალია: სსრკ დაირღვევა და კომუნისტებიც ხელისუფლებას გამოეთხოვებიან, მაგრამ როგორ? ცხადი გახდა, რომ სისხლიანი ბრძოლით. ორი გზა გამოიკვეთა: ან დიქტატურის მთელი ძალით განახლება, ან დიდი სამოქალაქო ომი (ჰატარა უკვე მიმდინარეობს). როგორც მშინვარე დიქტატურის, ისე დიდი სამოქალაქო ომის რეალურობა იმითაც არის გაპრობებული, რომ პრინციპულად დაუპირისპირდა ერთმანეთს მეტროპოლისი და რუსეთი. რა თქმა უნდა, ეს დაპირისპირება იმით არ არის გამოწვეული, რომ რუსეთს ბალტიისპირეთის ან ამიერკავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობა-თავისუფლება უნდა. დაპირისპირება წარმოშვა რუსეთის იმიჯზე ზრუნვამ, როგორ გამოიყურება რუსეთი კაცობრიობის თვალში? რუსეთის აზრითაც და მეტროპოლისის აზრითაც ლიტვა უნდა დარჩეს სსრკ-ის შემადგენლობაში, მაგრამ როგორი საშუალებით? რუსეთის „დემოკრატია“ ფიქრობს: ეს უნდა მოხდეს ისე, რომ წმინდა რუსეთს (Святая Русь) ჩირქი არ მიუჯახოს. მეტროპოლისი კი არც ერთ საშუალებას არ თაკილობს.

ახლა მე-20 საუკუნის უკანასკნელი ათწლეულია. ეს არ არის კავკასიის ომების დრო, როცა იმიერკავკასიის ჰაწია ხალხების თავისუფლება უხეში სამხედრო ძალით ითრგუნებოდა. ახლა ცივილიზებული ხერხებია საჭირო. ახლა ჰუმანიზმის დროა აუცილებელი. უველაფერი კაცთმოუვარეობის სახელით უნდა ხდებოდეს. ამაზე კი მეტროპოლისი არ ზრუნავს. ისევ ძველებურ გზას ადგას. იგი უნდა შეიცვალოს ახალი სისტემით. და „დემოკრატიული“ რუსეთი დაეჯახას მეტროპოლისს.

მშვიდობიანი გზით აღარც მეტროპოლისი დათმობს ძალაუფლებას და აღარც „დემოკრატიული“ რუსეთი. ამიტომ უკეთეს შემთხვევაში (თუ შეიძლება ამას უკეთესი ერქვას) მშინვარე დიქტატურას მიმართავენ, უარეს შემთხვევაში – დიდ სამოქალაქო ომს.

სსრკ-ში სამოქალაქო ომის მიმართ გულგრილი ვერ დარჩება დანარჩენი მსოფლიო. სსრკ-ში სამოქალაქო ომი მთელ კაცობრიობას ემუქრება კატასტროფით. კაცობრიობა არ იცის, სამოქალაქო ომის დროს, ვის ხელში აღმოჩნდება სსრკ-ში დაგროვებული თერმობირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური იარაღი, მისი მწარმოებელი ფაბრიკა-ქარხნები, ატომური ელექტროსადგურები. რომელი შემლილი დაუფლება ამას უველაფერს, როგორ და რისთვის გამოიყენებს. ამ ტოტალური საფრთხის გამო უფრო საფიქრებელია, რომ უცხოეთი შეეცდება მხარი დაუჭიროს მეტროპოლისს, გორბაჩოვის ან მისი შემცვლელის ხელისუფლების სახით. ამ ვითარებაში სსრკ-ში თავისუფლება-დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერები ოდენ საკუთარი ძალების ამარა ჩნებიან. ამიტომაც არის აუცილებელი სხვადასხვა (ბალტიისპირეთი, კავკასია და ა.შ.) ეროვნული ძალების ერთიანობა.

უველა დროსა და უველა ბრძოლას დროისა და ბრძოლის შესაფერისი იარაღი და ხერხი სჭირდება. თავისუფლებისმოუვარე ერების ნიჭსა და გონიერებაზეა დამოკიდებული – როგორ გამოძებნიან ისინი დღევანდლობის შესაფერის იარაღსა და ხერხს.

1991წ., იანვარი

საილუმო ბამქლანკნკუნი

ის ვარაუდები, რაც მოვლენათა ლოგიკური ანალიზის შედეგად გამოთქვა აბდურაჰმან ავტორხანოვმა („Загадка смерти Сталина“), არსებითად დოკუმენტურად დადასტურდა სულ ახლახან. ჟურნალმა – „Известия ЦК КПСС“ – 1991 წლის ჰირველსა და მეორე წიგნში გამოაქვეყნა 1953 წლის ივლისის ჰლენუმიის სტენოგრაფიული ანგარიში. ამ ანგარიშის ცალკეული ნაწივეტები „იხვესტიაშიც“ (1991 წ., 4-5 იანვარი), „გლასნოსტშიაც“ (1991 წ., №1 და №2) დაიბეჭდა. შეიძლება სხვაგანაც, მაგრამ ამას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა.

აღბათ მკითხველმა იცის, რომ ეს ჰლენუმი ლავრენტი ბერიას განადგურების გამო შეიკრება. მაშინ საზოგადოებამ მხოლოდ ის შეიტყო, რაც ოფიციალურ სამთავრობო უწვევაში იყო ნათქვამი. ეს განცხადება კი იმ დროისათვის დამახასიათებელი სტანდარტული იარღიეებით იყო სავსე, საიდანაც ვერავინ ვერავითარ დასკვნას ვერ გააკეთებდა – რა მოხდა და როგორ. მხოლოდ ერთი იყო ცხადი: კრემლში ხელისუფლებისათვის დაუნდობელი ომი მშენვარებდა და ამ ბრძოლაში ლ.ბერია დამარცხდა. იმხანად ეს ეველას უკვირდა (ზოგიერთს ვერც კი დაეჯერებინა), რადგან ლ.ბერია უძლეველ კაცად იყო მიჩნეული. მაგრამ ფაქტს სად დაემაღებოდი: კაცი, რომლის სახელის სხენებაც საკმარისი იყო, რომ სსრკ-ის ყოველ მოქალაქეს შიშით გული წასვლოდა, თვალის დახამხამებაში გაქრა.

ერთი სურათი მახსენდება: უნივერსიტეტში, მუშებს ბერიას მარმარილო ს ბიუსტისათვის თოკი ჩაებათ და რახარუხით კიბეებზე მოათრევენ. მდუმარე ხალხი გაოგნებული მისჩერებოდა ამ სანახაობას. ამ დროს ვილაცამ ცრემლიანი ხმით დაივირა: – არა უშავს, არა უშავს... ის ისევე დაბრუნდება. წინასწარმეტვეველური აღმოჩნდა ეს წამომახილი. მართლაც დაბრუნდა. გორბახოვის ის „ჰერესტროიკა“, რაზეც ამდენი ლაპარაკია დღეს, თურმე ლავრენტი ბერიას შესედულებებით ყოფილა ნაკეები. არ გჯერათ? დაკვირვებით წაიკითხეთ 1953 წლის ივლისის ჰლენუმიის სტენოგრაფიული ანგარიში და მკაფიოდ დაინახავთ.

„ჰერესტროიკის“ დიპლომატიის შედეგად ზომ გაერთიანდა დღეს ორი

კერძო სახელმწიფო – გფრ და გდრ. უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყვით, ლიბერალურ-დემოკრატიულმა გფრ-მ შეიერთა ავტორიტარულ-დიქტატორული გდრ. კერძანის ამგვარ ნიადაგზე გაერთიანების გეგმა ლ.ბერიას ჰქონია. უსმინეთ მოლოტოვის: ბერია „заговорил о том, что нечего заниматься строительством социализма в Восточной Германии, что достаточно и того, чтобы Западная и Восточная Германия объединились, как буржуазное миролюбивое государство“.

ეს ერთი. მეორეც:

40-იანი წლების მეორე ნახევარში სსრკ და იუგოსლავია დაუძინებელი მტრები იყვნენ ერთმანეთის. ორივე ქვეყანაში პროპაგანდისტული აპარატი შეუსვენებელი მუშაობდა და აუაღიბებდა კაცობრიობის მტრის იმიჯს. სსრკ-ში ეს მტერი იუგოსლავია იყო, ხოლო იუგოსლავიაში – სსრკ. იქამად სსრკ-ში დიდი უზრადლებით სარგებლობდა ორესტ მალცევის რომანი – „იუგოსლავიის ტრაგედია“. საკმარისია წაიკითხოთ იგი, რომ ცხადად წარმოიდგინოთ, რა ისტერია იყო გამართული სსრკ-ში იუგოსლავიის წინააღმდეგ. იუგოსლავიასა და სსრკ-ს შორის ურთიერთობის შეცვლა ლ.ბერიას სტალინის სიკვდილისთანავე მოუხდომებია. ბერია და მისი მეგობრებიო, წუწუნებს ჰლენშუმზე მოლოტოვი, – „стоят за необходимостью коренного пересмотра и улучшение взаимоотношений обеих сторон“.

მალე ვითარება ისე წარიმართა, როგორც ლ.ბერია ითხოვდა: უკვე 50-იან წლებში სსრკ და იუგოსლავია შერიგდნენ. ისევე მეგობრები გახდნენ. დღეს კი იუგოსლავიის კავშირი ისევე ირღვევა ეროვნულ სახელმწიფოებად, როგორც სსრკ.

ეს მეორე. მესამეც:

სსრკ-ში პროვინების კულტის მხილება-დაგმობა ლ.ბერიას მოუთხოვია. „Он оскорблял, изображал Сталина самыми неприятными, оскорбительными словами ... Сталин постепенно стал сходить со страниц печати“, – ჩივის კავანოვიჩი.

ვისთვის არის უცნობი, რომ ლ.ბერიას ეს მოთხოვნაც მალე განხორციელდა. 50-იან წლებშივე დაიწყო სტალინის მხილება და დღესაც აქტიურად მიმდინარეობს. ეს ამჟამინდელი იდეოლოგიური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებაა. ესეც ხერხია. იგი ორ ილუზიას ქმნის – სიტყვის თავისუფლებისა და პოლიტიკური გარდაქმნისას.

ისე კი ამჟამად ეტეობათ, სტალინით ძალიან იყვნენ დაბოლმდინი. თითქოს იცავენ მას ბერიას აუცილობისაგან, მაგრამ თავადაც არ აკლებენ ღანძლვა-თათხვას. გამოქვეყნებულ სტენოგრაფიულ ანგარიშში ისეთი სიძულვილის ატმოსფეროა გაბატონებული, რომ მართალი უნდა იყოს ა. ავტორხანოვის ვარაუდი – სტალინი არ გარდაცვლილა თავის დღით, არამედ მოკლულია „ერთგული თანამებრძოლების“ მიერ.

აქ ესეც უნდა გავიხსენო: როცა კომპარტიის მე-20 კრილობაზე სრუშ-ხოვმა წაიკითხა მოხსენება, რომელიც სტალინი იყო გაკრიტიკებული, მაშინვე გაფრცხლდა ხმები, რომ ეს მოხსენება ბერიას ეკუთვნოდა, რომლითაც იგი მე-19 პარტიული კრილობაზე აპირებდა გამოსვლას. მაშინ სურვილი ჰქონდათ, მაგრამ ვაბედულება არ ეყოთ. ბებერი ბელადი მაინც თავზარს სცემდა მათ. უფრო ხელსაყრელი ჯამის მოცდა ამჯობინეს.

ეს მესამე. მეოთხეც:

უნგრელი კომუნისტების თავკაცს მათიას რაკოშის უკითხავს ბერია-სათვის – რა საკითხები უნდა გადაწვეიტოს კომპარტიის ცკ-მა და რა – მინისტრთა საბჭომ? სრუშოვს თუ დაუუჯერებთ, ბერიას უპასუხებია: „Пусть Совмиш всё решает, а ЦК пусть занимается кадрами и пропагандой“. გაკვირვებული სრუშოვი დასძინს – ეს ის არ არის, რასაც ლენინი და სტალინი გვასწავლიდნენო. მართალია, არ არის. სამაგიეროდ არის ის, რაც დღეს ხდება.

როგორც ჩანს, ბერიას კომპარტიის ძალაუფლების შესუღუდაც ჰქონდა აზრად: „начал он атаку на партию с атаки на Сталина“.

ეს მეოთხე. მესუთეც:

დღევანდელი მკითხველი შეიძლება განცვიფრდეს კიდევ: როგორ – ის ბერია, რომლის ინსტრუქციებს დღესაც იუენებენ სუკ-ში, ლაპარაკობს იმავე სუკ-ის წინააღმდეგ?! როგორ – ის ბერია, რომლის სახელს უკავშირდება სურიცხვი უდანაშაულოს დასჯა-წამება, ამხელს უსამართლო და უსაბუთო რეპრესიებს?! როგორ – ის ბერია, რომელიც ყოველი ეროვნულის მტრად ითვლებოდა, კობს რუსიფიკაციას ლიტვასა და დასავლეთ უკრაინაში?! როგორ – საქართველოში 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი აქტიური ლიკვი-დატორი წუხს ეროვნული ბრძოლის ჩახშობის გამო?! ამას ვერ მიმხვდარა უკრაინის კმ მაშინდელი ცკ-ის მდივანი კირიჩენკო და გამოუყენებული კითხუ-ლობს – „В записке Берия непонятно почему фигурируют такие термины: „западноукраинская интеллигенция“, „западноукраинские кадры“, „руссаки“, „русификация...“ როგორადაც უნდა განვცვიფრდეთ, ასეა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბერია ებრძვის საბჭოთა ხელისუფლებასა და კომპარ-ტიას. არა. უბრალოდ, როგორც მოქნილი ჭკუის პატრონი, კარგად ხედავს, რომ თუ რაღაც არსებითად არ შეიცვალა, სსრკ-ს ელის გარდაუვალი კრახი. უკვე 30 წელიწადია ბატონობს სოციალიზმის იდეა. ისტორია კი გვასწავ-ლის: ყოველ 25-30 წელიწადში უნდა განახლდეს ყოველი მოძღვრება. თუ ასე არ მოხდა, ყველაზე მომხიბლავი მოძღვრებაც უნუკემოდ ბერდება და ბერწი ხდება. ერესი, ანუ განსხვავებული აზრი-შესუღულება, ქრისტაიანული რელიგი-ის დიდ საკაცობრიო ასპარეზზე გამოსვლისთანავე გაჩნდა. ასე იყო სხვა რე-ლიგიების ისტორიაშიც. ყოველი მოძღვრება მაშინ ცოცხლობს, როცა ერესი – დისიდენტობა არსებობს. საკმარისია ერესის სიკვდილი, რომ მოძღვრებაც

მთლიანად გასევედეს, სიცოცხლის უნარი დაკარგოს და მერე მოკვდეს კიდევ. უველა რელიგიური მოძღვრება საუკუნეების მანძილზე იმიტომ არსებობს, რომ ერესი არ მოუსწავს, თუმიცა კი ებრძვის მას. ამ ბრძოლაშია სწორედ ხანგრძლივი სიცოცხლის საფუძველიც. კაპიტალიზმიც იმიტომ არსებობს (უფრო მეტიც, სულ წინ მიდის), რომ ოპოზიციური აზრი არ გაუნადგურებია. სოციალიზმიც ცოცხალი იყო, როცა ლენინის გვერდით ჰლესანოვიც არსებობდა, ტროცკის გვერდით – მარტოვი, სტალინის გვერდით – ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი. მაგრამ დრომ და ისტორიამ გასხვავა სოციალიზმის ხე. მარტო ზროდა დარჩა. 1953 წელს სოციალიზმის ხეს უკვე ჰქონდა დაწეებული განძობა. ბერიას ამ ხის განედლება უნდოდა და არა მისი მოჭრა. ამდენად ნუ გავვიკვირდება, თუ 1953 წლის ივლისის ჰლენუმის მასალებში ბევრს ისეთს რასმეს ვნახავთ, რასაც ტრაფარეტული ლოგიკით ბერიასავან არ მოველით.

ბერიას თურმე მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა, ანუ, გორბაჩოვის ტერმინით რომ ვთქვათ, სუვერენიტეტის გაფართოებაც უნდოდა. ისეთი წვრილმანიც კი გაუთვალისწინებია, როგორც არის ეროვნული ორდენების შემოღება. „Берия вносит предложение о том, чтобы установить две группы орденов: первая группа – ордена союзные, вторая группа республиканские; затем установить ордена великих людей национальных республик“ (იუსუზოვი).

ეს მესუთე. მეექვსეც:

პოლიტიკური რეფორმა არაფერ შედეგს არ მოგვცემს, თუ მას ეკონომიკური რეფორმაც არ მოჰყვა. ეს კანონზომიერება აიძულებდა მაშინაც და ახლაც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოშლას. მაგრამ 1953 წელს ამის მოთხოვნა გაუკონარ დანაშაულად ითვლებოდა, რაკი სოციალიზმის დამსობის ტოლფარდი იყო. დღეს გავონებით ამის გავონებას უძლებენ, მაგრამ განხორციელებით კი მის განხორციელებას ვერ ბედავენ. არადა, აუცილებელია სამეურნეო სისტემის ძირფესვიანად შეცვლა.

უველასე დიდ დანაშაულად ბერიას სწორედ ის ჩათვალა, რომ კოლექტიური მეურნეობების სიკეთეში ეჭვი შეეპარა. როგორც მაშინ, ისე დღესაც ნათლად არ ჩანს, რით აპირებდნენ მეურნეობის სოციალისტური სისტემის შეცვლას. მართალია, დღეს წამდაწუმ ახსენებენ საბაზრო ეკონომიკას, მაგრამ ზუსტად არაფერ უწეის, რა იგულისხმება ამ ცნებაში. თუ მასში იმას გულისხმობენ. რაც აშშ-ში, გერმანიაში, იაპონიაში თუ სხვა განვითარებულ ქვეყნებშია, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ შეცდომა აუო. მაგრამ რა ვუყოთ იმ ურევე კანონს, რომ ისტორია მუდამ წინ მიდის და უკან არასოდეს ბრუნდება? თუ ცნებაში – საბაზრო ეკონომიკა – რაღაც ახალი, დღემდე უცნობი აზრი დევს, მაშინ ეს უნდა გავვიმარტონ მკაფიოდ და დაწვრილებით. არც ეს განმარტება ჩანს სადმე. საბჭოთა საზოგადოება ჩაჩმა მოექცა. 1953 წელს ეს ჩიხი იმით გაარღვიეს, რომ ბერია განადგურეს და კომუნისტები ისევ უკან გაჰყენენ სოციალიზმის ჩოჩილა ურემს. დღეს ეს ურემსაც

დამტკრეულია და აღარსად მიდის. თვალსაწიერზე კი მოჩანს კაცობრიობის ისტორიაში ჯერაც გაუგონარი რამ: ქვეყნის, ხალხის ისტორიის უკან დაბრუნება. ალბათ ამ სამარცხვინო შეკრძნების შედეგი იყო მაშინდელიცა და ახლანდელი გადაწვეტილებაც – არ გამოეტანათ დღესასწაულებზე „ბელადების“ ჰორტრეტები. რატომ უნდა ეცქირო ხალხს იმათთვის, ვინც ჩამორჩენილობის უფსკრულში გადაუძახა მრავალეროვან უზარმაზარ ქვეყანას? ეს უკვე მეშვიდე თანდამთხვევა.

რა დასკვნის უფლებას გვაძლევს ჩვენ 1953 წლის ივლისის ჰლენუმის გამოქვეყნებული მასალები?

1980-იანი წლების მეორე ნახევარში წამოწეებული „პერესტროიკა“ აშკარად გამოზრდილია ლავრენტი ბერიას შეხედულებებით. ამდენად, შეუძლებელია იყოს მასში რაიმე დემოკრატიული.

თუ 50-იან წლების დასაწყისში ლ.ბერიას რეფორმებს დასაშვებია მართლაც მოეტანა რაიმე დადებითი შედეგი, შეუძლებელია 80-იანი წლების მეორე ნახევარში ან 90-იანი წლების დასაწყისში მას მოჰყვეს ჰოზიტური რეზულტატი.

პიროვნულად ხომ არ ერგება გორბაჩოვსაც ის ბედი, რაც ბერიას?

ეველაფერი ეს საინტერესოა ისტორიის მსვლელობის თვალსაზრისით, რამეთუ ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებას ისევე ზუსტი კანონები წარმართავენ, როგორც ბუნებისას.

1991 წ., თებერვალი

აღზარდა და ხველი

1991 წლის 19-21 აგვისტოს, მართალია, იანაევისა და K⁰ ჯანეი მარცხით დამთავრდა, მაგრამ სსრკ-ში სახელმწიფო გადატრიალება მაინც მოხდა. იგი მოაწყო ელცინმა და K⁰.

1985 წლიდან მოვლენები ნელ-ნელა ისე წარიმართა, რომ სსრკ-ის რღვევა-დაშლა გარდაუვალი გახდა. ამის შეკუება, როგორც რუსი პოლიტიკოსები-სათვის, ისე მთლიანად რუსი ხალხისათვის, უაღრესად ძნელი იყო. ხუმრობა არ გახლავთ: თავზე ემხობოდათ ის სახელმწიფო, რომლის შექმნისათვის რუსეთმა მთელი ეროვნული ენერჯია დახარჯა, ივანე მესამით მოუოლებული ბოლშევიკებით დამთავრებული. „პერესტროიკის“ მოღვაწეებს კი სსრკ-ის შელაშაშება-შეკეთება უნდოდათ და არა – დანგრევა. მათი მიზანი დრომოჭმული სახელმწიფოს გადარჩენა იყო. მაგრამ ისტორიამ და დრომ ინებეს, რომ ისინი სსრკ-ის დაშლის სტიმულატორები ეოფილიყვნენ. ეს რომ ცხადად დაინახეს, შეძრწუნდნენ. დაიწყო გადარჩენის გზების გამალებული ძებნა. ორი ჯგუფი გაჩნდა. ერთი ფიქრობდა – შეენარჩუნებინათ სსრკ ძველი კომუნისტური წესით – მუქარით, ძალით, ჯარის გამოყენებით (ამ ჯგუფში აღმოჩნდა იანაევი და K⁰). მეორე კი სსრკ-ის ხსნის ახალ საშუალებებს ეძებდა. კერძოდ: სსრკ-ის გადარჩენისათვის შეიძლება გაიწიროს სკკპ ისე, როგორც 1917 წელს გაიწირა მონარქია. დასაშვებია, დათმოს ზოგიერთი რესპუბლიკაც ისე, როგორც 1917 წელს დათმო პოლონეთი და ფინეთი. თან ეს დათობა სსრკ-ის ძლიერებას ოდნავადაც არ დაეტოვება. თუ სსრკ-ს ჩამოსცილდება, ვთქვათ, ბალტიისპირეთი, მოლდავეთი, საქართველო, ამით არც პოლიტიკურად, არც ეკონომიკურად, არც სამხედრო თვალსაზრისით, არაფერი შეიცვლება. სსრკ როგორც იყო, ისევე ისე შესახელმწიფო დარჩება. კაცობრიობის თვალში კი შეიძენს დემოკრატიული ერების უფლების პატივისმცემელი ქვეყნის სახელს. ეს კი უმნიშვნელოვანესი საქმეა. მაშინ გარანტირებულია უცხოეთის ეკონომიკური დახმარება, ურომლისოდაც სსრკ-ის დაქცეული ეკონომიკა ფეხზე ვერ წამოდგება (ამ ჯგუფს ეკუთვნოდა ელცინი და K⁰).

ამ ორი ჯგუფიდან რომელსაც უნდა გაემარჯვა, გორბაჩოვი მინც პრეზიდენტად რჩებოდა. მსოფლიო გორბაჩოვის თვლის სსრკ-ში სკკპ-ის დიქტატურის დემოკრატიით შემცვლელად, აღმოსავლეთ ევროპის განმათავისუფლებლად, შეიარაღების და სამხედრო დაძაბულობის შემახსუტებლად, მუხჯი საბჭოთა ხალხის ამლანარაკებლად. ასეთი კაცი ორივე ჯგუფს სჭირდებოდა. გორბაჩოვის პრეზიდენტად დატოვებით, ორივე ჯგუფი როგორც სსრკ-ის მოსახლეობას, ისე დანარჩენ კაცობრიობას ეუბნებოდა: ჩვენ ძირეული რეფორმების ხელისშემძლევლები მოვიცილეთ, თორემ 1985 წელს დაწეებული კურსი არ იცვლება. პირიქით, კიდევ უფრო ღრმავდება. ელცინი და K⁰ ასეც ლანარაკობენ: იანაევისა და K⁰ განადგურებით დემოკრატია და რეფორმები გადავარჩინეთო.

ორი ჯგუფის დაპირისპირებამ, როგორც ჩანს, აგვისტოში კულმინაციას მიაღწია. საქმე მოსწრებაზე იყო. იანაევი და K⁰ მანეის მოედანზე გამოვარდა. გამოვარდნით კი გამოვარდა, მაგრამ სრულიად მოუმსადებელი აღმოჩნდა. თვალის დახამხამებაში შემდეგ მათი განადგურება.

ელცინსა და K⁰ დიდი მუშაობა გაუწევიათ გამარჯვებისათვის. შეუქმნიათ მარჯაფი ხელისუფლება. თუ იანაევი და K⁰ არ დამარცხდებოდა, მაშინ ელცინის მარჯაფი ხელისუფლება სვერდლოვსკში გადადიოდა და წინააღმდეგობას ავრძელებდა. ე. ი. იწეებოდა სამოქალაქო ომი.

გადაუბირებით სუკ-ის დივიზიები, რომელთაც არ შეასრულეს კრუჩკოვის განკარგულება.

დაუქირავებით უცხოელი აგენტები, რომლებიც რეგულარულად აწვდიდნენ ინფორმაციას რსფსრ-ის ხელისუფლებას იანაევისა და K⁰ საქმიანობაზე.

ერთი სიტყვით, საფუძვლიანად მომსადებულმა ელცინმა და K⁰ განადგურა იანაევი და K⁰. სსრკ-ში ელცინი გახდა ძალაუფლების სრული მფლობელი. უხელისუფლებოდ დარჩენილი გორბაჩოვი კი დემოკრატიულობის ნიღბად აიფარა.

მიუხედავად 19-21 აგვისტოს გამარჯვებისა, ელცინი და K⁰ მინც ჩიხურ ვითარებაში მოექცა.

რა მივიღეთ 19-21 აგვისტოს გადატრიალების შედეგად?

პირველი, დაემხო სკკპ-ის ბატონობა. თავად პარტია კი განადგურდა.

მეორე, დაიძალა სსრკ. ბალტიისპირეთის დამოუკიდებლობა და თავისუფლება უკვე აღიარებულია. სულ ძალე საქართველოსა და სხვა ეოფილი მოკავშირე რესპუბლიკების დამოუკიდებლობასაც სცნობს მსოფლიო.

მესამე, დაიწყო თვითონ რსფსრ-ს რღვევაც. ამის სიგნალი ჩეჩნეთმა მოგვცა. ამ რამდენიმე ხნის წინათ, ჩეჩენი ხალხის დამფუძნებელმა საერთო ეროვნულმა კონგრესმა, ჩეჩნეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ზაწია ჩეჩნეთის მაგალითს, უეჭველია, უახლოეს ხანში მიბაძავენ თათრეთი,

ჩუვაშეთი, ბაშკირეთი და სხვანი. მართალია, 25 აგვისტოს, უოფილი სსრკ-ის უოფილ უზენაესი საბჭოს სესიაზე ხაზბულატოვი იმუქრებოდა – რსფსრ-ის უოფილმა ავტონომიებმა დამოუკიდებლობაზე კრინტი არ დასძრანო. მთავარ-ია **единство и неделимость**. მაგრამ თავისუფლებამოწუწრებულ ერებს ახლა, ხაზბულატოვის კი არა, მამალი მგლის არ ეშინიათ. მართალია ისიც, რომ რსფსრ-ის უოფილი ავტონომიების მეთაურებმა (გარდა თათრეთისა) რუსეთს ერთგულება გამოუცხადეს, მაგრამ ეს დროებითი თვალთმაქცობაა. მისი დაჯერება მიაძიტობა იქნებოდა. განა უკრაინისა და ეახახეთის თავკაცები სულ ორიოდ თვის წინ არ გვარწმუნებდნენ – სსრკ არ უნდა დაიშალოსო? დღეს კი ორივე დამოუკიდებლობას აცხადებს.

ასე რომ, რსფსრ-ის **единство**-მ და **неделимость**-მა ჩაიღურის წყალი დალია.

თუ 1917 წელს რუსეთის **единство**-სა და **неделимость**-ის დუღაბი სოციალიზმი გახდა, 1991 წელს დემოკრატია უნდა ეკისრა შემაკავშირებლის როლი. ამიტომ სკკპ-ის დაშობა გარდაუვალი იყო. მოხდა კიდევ ეს. მაგრამ არ მოელოდნენ, იგი ელვის სისწრაფით თუ გამოიწვევდა სსრკ-ის რღვევა-დაშლას. არც სურდათ ეს. ამის უტუწური საბუთია ის, რომ, როგორც კი გაიგეს, უკრაინამ დამოუკიდებლობა გამოაცხადაო, რუსეთის ვიცე-პრეზიდენტი რუცკოი, სობხაკი და სხვანი თავქუდმოგლეჯილნი გაცვივდნენ კიევიში. კიევიში მოლაპარაკება დამთავრებული არ იყო, ეახახეთმაც ისურვა დამოუკიდებლობის გამოცხადება. ახლა აღმა-ათაში გავარდა რუცკოი.

თუ ლიტვის ან საქართველოს დამოუკიდებლობას მშვიდად ეარშიებოდა ელცინი, უკრაინის და ეახახეთის დამოუკიდებლობის სურვილმა თავხარი დასცა. თუ მთელი ბალტიისპირეთის ან მთელი ამიერკავკასიის გასვლა სსრკ-ს დაშლით არ ემუქრება, უკრაინის და ეახახეთის გასვლა გარდაუვალი კატასტროფაა. სსრკ-ის არსებობა სამ ვეშაზე დგას – რუსეთი, უკრაინა, ეახახეთი. საკმარისია ერთ-ერთის რეალური გასვლა, რომ სსრკ ერთხელ და სამუდამოდ დაეშოს. ამ საშიშროებამ გამოიწვია ელცინისა და K⁰ უსაშველო აწრიალება.

ამ საფრთხეს ახალიც დაემატა: თავად რსფსრ-ის დაშლა. ეს სსრკ-ის რღვევის პროცესის ბუნებრივი გავრძელებაა. თუ ლიტვას, ლატვიას, ესტონეთს აქვთ უფლება დამოუკიდებელი და თავისუფალი იყვნენ, რატომ არ გააჩნიათ იგივე უფლება თათრებს, ბაშკირებს, ჩუვაშებს? რა თქმა უნდა, სრული უფლება აქვთ: ისინი მონღოლთა დიდი სახელმწიფოს ოქროს ურდოს მემკვიდრენი არიან. ჰეავთ მრავალრიცხოვანი მოსახლეობა. მათი ტერიტორია მდიდარია წიაღისეულითაც, ხე-ტყითაც, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებითაც. მათი კულტურა ეკუთვნის ისლამურ კულტურას და არა – სლავურ-ქრისტიანულს.

თუკი ჰაწია ჩეჩნეთი შეიძლება იუოს დამოუკიდებელი, რატომ უნდა მოაკლდნენ თავისუფლების სიკეთეს უდმურტები ან იაკუტები?

თავისუფლება და დამოუკიდებლობა ის უფლებებაა, რომლითაც თანაბრად უნდა სარგებლობდეს ეველა ხალხი დედამიწის ზურგზე.

თუ რუსი პოლიტიკოსები დათანხმდებიან სსრკ-ში და რსფსრ-ში შემავალი ერების დამოუკიდებლობას, ეს პროცესი თავად რუსეთს გადააქცევს ერთ უბრალო, რიგით სახელმწიფოდ. რსფსრ-ის დაშლის მერე, მსოფლიოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო ცხოვრებაში, რუსეთს არ ექნება უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე, ვთქვათ, პოლონეთს აქვს. თერმობირთვული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური იარაღით აღჭურვილი კოსმოსური ტექნიკის მფლობელი ზესახელმწიფოდან სრულიად უმნიშვნელო ქვეყანად დაქვეითება ელის რუსეთს. რომელი რუსი პოლიტიკოსი გაბედავს ითავოს ამ პროცესის წინამძღოლობა? ცხადია, ვერც ერთი. ამიტომ დაეძებს ელცინი და K⁰ სსრკ-ის გადარჩენის გზებს გამწარებული.

19-21 აგვისტოს ჯანეის შემდეგ წარმოქმნილმა ვითარებამ ორგვარი საშიშროება გააჩინა.

პირველი: არ მოგვატყუოს მოსკოვში ცრუ დემოკრატიის გამარჯვებამ. ეს საფრთხე რეალურია. ხომ სჯეროდათ ქართველ მეფეებს, რომ ქრისტიანული რუსეთი არ დაჩაგრავს ქრისტიანულ საქართველოს? ხომ სჯეროდათ ქართველ სოციალისტებს, რომ სოციალისტური რუსეთი არ დაჩაგრავს სოციალისტურ საქართველოს? ხომ შეიძლება დემოკრატმა ქართველებმა დაიჯერონ, რომ დემოკრატიული რუსეთი არ დაჩაგრავს დემოკრატიულ საქართველოს? რატომ არის ეს გამორიცხული? სამწუხაროდ, არ არის გამორიცხული. ამიტომ ასი თვალი უნდა ვიქონიოთ და ასი ეური უნდა გამოვისხათ, რომ რუსეთის ცრუ-დემოკრატიის ტკბილმა სიტყვამ ანკესზე არ წამოგვაგოს.

მეორე: როცა რუსი პოლიტიკოსები დარწმუნდებიან, რომ სსრკ-სა და რსფსრ-ს დაღუპვისაგან ვერაფერი იხსნის, არ მიმართონ სისხლიან ძალადობას. ამის ნიშნები გამოჩნდა და შიში მოსკოვში უკვე გამოითქვა.

ეს ნიშნებია:

ისევ რუსეთის განსაკუთრებული როლის პროპაგანდა. 22 აგვისტოს, მოსკოვში, მიტინგზე, რომელსაც უთვალავი ხალხი ესწრებოდა, მველებურად, წამდაუნწმ გაისმოდა *Россия спасла Союз... Россия спасла мир...* ეს პროპაგანდა დღესაც გრძელდება პრესაში, რადიო-ტელევიზიაში, სსრკ-ის და რსფსრ-ის უზენაესი საბჭოს სხდომაზე. რუსეთის განსაკუთრებულობის ქადაგებას უოველთვის მიჰყავდა ქვეყანა დიქტატურამდე.

ელცინის კერპად გადაქცევის მცდელობა. ამასაც ენერგიულად ცდილობენ პრესა, რადიო-ტელევიზია, სსრკ-ის და რსფსრ-ის უზენაესი საბჭოები. პიროვნების გაკერპებასაც, როგორც წესი, დიქტატურამდე მიჰყავართ.

სსრკ-ის პროკურატურის ფუნქციების გადაცემა რსფსრ-ის პროკურატურისათვის.

სსრკ-ის უზენაესი საბჭოს მიერ ძალაუფლების დაკარგვა. მისი გადაცემა რსფსრ-ის უზენაესი საბჭოსათვის.

არ შეცვლილა რსფსრ-ის სახელი, მაგრამ გამოიცვალა დროშა. ახლა რუსეთის იმპერიის სამფეოვანი ალამია რსფსრ-ის დროშა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთი აღარც საბჭოურია, აღარც ფედერაციული და აღარც სოციალისტური. მაშინ რა იგი? რა პოლიტიკურ სისტემაში ცხოვრობენ არარუსი ხალხები რუსეთში? ეს ჯერჯერობით გაურკვეველია. მოელან, რომ მალე გამოიცვლება გერბიც. ვარაუდობენ, რომ იგი იქნება ისევ ორთავიანი არწივი, ოღონდ უგვირგვინოდ. ორთავიანი არწივი რუსეთის იმპერიის გერბი იყო. იგი მაშინ გაჩნდა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, როცა რუსეთმა ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრეობა იკისრა. ფრინველს ორი თავი იმიტომ ჰქონდა, რომ ერთით ევროპის ფლობის პრეტენზიას აცხადებდა, მეორეთი – აზიის. ე.ი. დიდ-იმპრობელურ იდეალს გამოხატავდა.

როგორც ცენტრალური, ისე რუსეთის ტელევიზია ხშირად გადასცემს რელიგიურ ცერემონიალებს, მაგრამ უოველთვის რუსული მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიისას. რსფსრ-ში კი მილიონობით ცხოვრობენ ისლამისა და ბუდიზმის აღმსარებლებიც. მაგრამ ტელევიზია მაჰმადიანისა და ბუდისტის სულიერ მოთხოვნილებას არასოდეს ითვალისწინებს. ქვეყანაში, სადაც რელიგია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, ეს მოქალაქეების აშკარა რელიგიური დისკრიმინაციაა. ძნელი დასაჯერებელია დემოკრატიზმი იმ ხელისუფლებისა, რომელიც ასე ეჭვობა თავის მოქალაქეებს.

ეველა ეს ნიშანი, იმასთან ერთად, რომ ელცინი და K⁰ სსრკ-ის (მით უმეტეს, რსფსრ-ის) მთლიანობისა და ერთიანობის მომხრეა, ქმნის სერიოზულ საფრთხეს. დღეს ეველა ტკუათმოფელისათვის ცხადია, რომ სსრკ-ის და რსფსრ-ის ერთიანობა-მთლიანობის შენარჩუნება შეუძლებელია. ამის ცდას უთუოდ მოჰყვება სისხლიანი შედეგი. მაგრამ როგორ შეთანხმდებიან ერთიანობა-მთლიანობის შენარჩუნების სურვილი და მისი განხორციელების შეუძლებლობა. რამდენადაც ჩქარა მიხვდებიან გორბაჩოვი, ელცინი, ეველა ეს – სილაყვი, პოპოვი, სობჩაკი და სხვანი, რომ გარდაუვალია დაშლა, იმდენად შესაძლებელია მშვიდობიანი დასასრული. რამდენად გვიან დაწესდებიან, იმდენად იზრდება სამოქალაქო ომის საშიშროება.

გამოიკვეთა ალტერნატივა: ან სამოქალაქო ომი, ან სრული რღვევა-დაშლა. რუსეთისათვის ერთიც სრულ კატასტროფას ნიშნავს და მეორეც. ამიტომ, ჩემი ვარაუდით, რუსი პოლიტიკოსები შეეცდებიან მოძებნონ მესამე გზა: რსფსრ-ის მთლიანობა რომ მაინც გადაარჩინონ, ეველა ეოფილი მოკავშირე რესპუბლიკის დამოუკიდებლობას დათანხმდებიან და სცნობენ. ოღონდ ერთი პირობით: დამოუკიდებლობის მიღების მერე ეველამ ხელი მოაწეროს ახალ გაერთიანებას, ანუ ისეთი სახელმწიფოს შექმნას, რომელსაც ეახსეთის პრე-

ზიდენტმა ნაზარბაევმა უწოდა Союз Свободных Суверенных Республик, ანუ ახალი СССР.

წუალწაღებული სახეს ეკიდებოდაო. პრობლემის ამგვარი გადაჭრა კიდევ ტოვებს იმედს შეინარჩუნონ რუსეთის იმპერიის თუნდაც მოჩვენებითი მთლიანობა (ხომ დაუბუღდა დიდი ბრიტანეთი ერთა თანამეგობრობას ინგლისის იმპერიის სანაცვლოდ!). ამ იმედს ჩაებლაუჭა დიდი მთავარი ვლადიმირი: Все те республики, которые сейчас стремятся отделиться, будут в итоге обращаться к ней (რუსეთის – ა.ბ.), потому что они веками жили на одной земле („იზვესტია“, 31. VIII. 1991).

აღდგომა და სჯალეო. ვნახოთ.

1991 წ., სექტემბერი



ეროვნული თანხმობის პოპრობა

სამოქალაქო ომი საქართველოში უკვე მიმდინარეობს, ოღონდ ჯერჯერობით არასისხლისმღვრელი. ის, რასაც ტელევიზიით გადასცემენ, გაზეთებში ბეჭდავენ, მიტინგებზე ამბობენ, არ არის აზრთა ურთიერთ გაცვლა-გამოცვლა, დაუა, კამათი. ეს ომია, ოღონდ, როგორც ითქვა, სიტუიერი და არასისხლისმღვრელი. ქართველი ხალხის გონიერებაზე, თავდაჭერილობაზე, სიმშვიდეზეა დამოკიდებული გადაიტყვევა თუ არა სიტუიერი ომი სისხლისმღვრელ ომად. დღეს ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ უკვე აღარ კმარა ამა თუ იმ ბანაკის წარმომადგენელთა გონიერება. საჭიროა და აუცილებელი მთელი ერის სიბრძნე.

ვეელა ხალხისათვის სამოქალაქო ომი გაუგონარი, ენით აუწერიელი უბედურებაა, განსაკუთრებით ქართველი ერისათვის.

ჯერ ერთი, თუ საქართველოს ისტორიას გავისხენებთ, კარგად დავინახავთ, რა შეუბრალებელი ქუევა ვიცით ჩვენ ერთმანეთის. არ იქნება შეწალება არც ბავშვის, არც ქალის, არც მოხუცის.

მეორეც, საქართველოში სამოქალაქო ომით ხელს მოითბობენ ჩვენში კომპაქტურად დასახლებული არაქართველები და სამუდამოდ წაგვართმევენ მიწა-წყალს.

მესამეც, ქართველთა შორის სისხლიანი შუღლით ეოველთვის სარგებლობდა მესამე ძალა და საქართველოს იპურობდა. თუ სამოქალაქო ომი ატედა, ახლაც გამოჩნდება ეს მესამე ძალა. მშვიდობისა და წესრიგის დამყარების სახელით იგი მონობის ახალ უღელს დაგვადგამს.

თუ ჭკუა არ გვეყო და სამოქალაქო ომი მანც ატედა, ეოველი ქართველი დარწმუნებული უნდა იეოს, რომ ეს იქნება ქართველი ხალხის არსებობის დასასრული.

დააკვირდით საქართველოში და ეოფილ სსრკ-ში არსებულ ვითარებას და ეველაფერს ნათლად დაინახავთ.

საქართველოში უმძიმესი კრიზისული მდგომარეობაა. ეველგან და ევე-

ლაფერში – პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ ურთიერთობაში, კულტურაში. კარზეა მომდგარი შიმშილობა. მოუგვარებელია ეთნოკონფლიქტი შიდა ქართლში. აფხაზეთი ამოსაფრქვევად გამზადებულ ვულკანს ჰგავს. ამოფრქვევა დღე-დღეზეა მოსალოდნელი. არც აჭარაშია სიმშვიდე. გაურკვეველია ეროვნული გვარდიის გარშემო შექმნილი სიტუაცია. მოუწესრიგებელია სამხრეთ საქართველოდან გასასვლელი თურქების პრობლემა.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ეოფილ სსრკ-ში. ხუნუღასავით დაინგრა მსოფლიოსათვის თავზარდამცემი სახელმწიფო. უპატრონოდ დარჩა თხემით ტერფამდე თერმობირთვული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური იარაღით აღჭურვილი უზარმაზარი არმია, რომელმაც აღარ იცის, ვის დაემორჩილოს – არარსებული სსრკ-ის არარსებულ ხელისუფლებას, რსფსრ-ის მთავრობას, თუ ეოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მმართველობებს? არავინ უწეის, რას მოიმოქმედებს ეს არმია. განა დასაჯერებელია, რომ არ გამოჩნდება ან კომუნისტური დენიკინი, ან კომუნისტური კოლჩაკი, ან კომუნისტური ფრანკელი? ეს ყველაზე დუხჭირ გონებასაც კი შეუძლია წარმოიდგინოს, რით ემუქრება კაცობრიობას თერმობირთვული-სამოქალაქო ომი სსრკ-ში.

სამკედრო-სასიცოცხლოდ არიან გადაკიდებული ჩვენი მეზობლები – სომხეთი და აზერბაიჯანი. სომხეთ-აზერბაიჯანის ომი გარდაუვალია. არავინ უწეის, რამდენ ხანს გაგრძელდება იგი. არც ერთ მხარეს არა აქვს ის ძალა, რომ ერთმანეთი უცბად დაამარცხონ. ეს ხანგრძლივი დაუნდობელი სოცვა-ქლეტა, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, საქართველოს ტერიტორიაზეც გადმოვა, რადგან ჩვენში აზერბაიჯანელებიც და სომხებიც მრავლად ცხოვრობენ. რაკი საქართველოს არ ჰგავს რეგულარული არმია, არ იქნება წესრიგის დამყარების შესაძლებლობა მოშულარ აზერბაიჯანელთა და სომეხთა შორის. ბრძოლისუნარიანი, კარგად შეიარაღებული არმიის შექმნას კი წლები სჭირდება. თათარიანხად ეს არ მოხერხდება.

დღეს შექმნილ ვითარებაში არსებობს ხსნის ერთადერთი გზა – პარტიკულ საფუძვლებზე ეროვნული თანხმობის დროებითი მთავრობის შექმნა. კონფრონტაციის გზა საქართველოს არეოფნის უფსკრულში მიაქანებს.

ეს კარგად უნდა გააცნობიეროს ეველა ქართველმა ცალ-ცალკე და მთელმა ერთად.

1991 წ., სექტემბერი

მორიგება

დღეს საქართველოში რომ უმძიმესი ვითარებაა, ამას ახსნა-განმარტება უკვე აღარ სჭირდება. ამას მთელი ჩვენი ხალხი ხედავს და დიდად არის ამით შეწუხებული. ამ რამდენიმე დღის წინათ, გახეთ „საქართველოში“ (1991 წ., №17) ზაწია ინტერვიუ გამოვაქვეყნე, სადაც ვთქვი – „დღეს შექმნილ ვითარებაში არსებობს ხსნის ერთადერთი გზა – ჰარიტეტულ საფუძველზე ეროვნული თანხმობის დროებითი მთავრობის შექმნა. კონფრონტაციის გზა საქართველოს არყოფნის უფსკრულში მიაქანებს“. რა თქმა უნდა, ეურადლება ამას არც ერთმა მხარემ არ მიაქცია. მართალია, რაც ეს ვთქვი, მას მერე რამდენიმე დღე გავიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე ესეც მოძველებულია. იგი აღარ გამოდგება. დრო წავიდა, მოლაპარაკების იმედი თანდათან ქრება. რჩება საშიში ალტერნატივა: ან ჰრეზიდენტი უნდა გადადგეს, ან ძალით დათრგუნოს ოპოზიციური მოძრაობა. როგორც ერთი, ისე მეორე დიდი საფრთხით იმუქრება.

მე თუ მკითხავს კაცი, ვიტყვი, რომ ოპოზიციური მოძრაობის ჩახშობა უკვე ვეღარ მოხერხდება. ამ ცდას დიდი წინააღმდეგობა მოჰყვება. იგი მძაფრ და ხანგრძლივ სამოქალაქო ომში გადაიზრდება. სამოქალაქო ომით იმუქრება ჰრეზიდენტის გადადგომაც. მას არა მარტო მოწინააღმდეგეები ჰყავს, არამედ მომხრეებიც, ძალიან მრავალადაც. თუ ჰრეზიდენტი გადადგება, მაშინ მისი მომხრეების მოძრაობა დაიწეება. არც დამაბულობის შენელება მოხდება და არც ვითარების განმუხტვა. ასე რომ, მოვექვეცით ჩიხურ მდგომარეობაში.

თუ ძალიან დიდი მოთმინება, შორსმჭვრეტელობა, ჭკუა არ გამოვიჩინეთ, თუ არ დავმაბეთ ჩვენი სულიერი და გონებრივი შესაძლებლობანი, ჩიხურ მდგომარეობას თავს ვერ დავაღწევთ.

ახლანდელი კონკრეტული კრიზისი – ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირება – და საერთო მძიმე მდგომარეობა გამოიწვია, უმთავრესი ჰრობლემის მოუწესრიგებლობამ. ამ ჰრობლემის მოუწესრიგებლობა ეველაფერს თავდაუირა დააყენებს და შეიძლება ჩვენი ეროვნული კატასტროფა გამოიწვიოს. ეს ჰრობლემა გახლავთ ეკონომიკური ჰრობლემა.

ეკონომიკური პრობლემის მოგვარების რაიმე ვაზა, თუნდაც ნიშანი, ჯერ-ჯერობით არ ჩანს. სრულიად გაურკვეველი მდგომარეობაა. არ ვიცით, როგორ გავაუმჯობესოთ ეკონომიკური მდგომარეობა, რა ვაზა დავადგეთ. ამას ერთვის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხები, მაგალითად, ეთნიკური. მოსალოდნელია ეთნიკური კონფლიქტები კიდევ უფრო გაღრმავდეს და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იჩინოს მწვავედ თავი. ეთნოკონფლიქტებს უნდა მივაკუთვნოთ სამხრეთ საქართველოდან გასახლებული თურქების პრობლემაც.

პრობლემების ზღვაში ჩავიმირეთ, მაგრამ, როგორ გადაწყვიტოთ ისინი არ ვიცით. მათ მოსაგვარებლად მზად არ ვართ. ამ ვითარებაში ის პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ამჟამად საქართველოში მძვინვარებს, ძალიან მძიმე შედეგს მოიტანს, როგორც ცალკეული პიროვნებისათვის, ისე მთელი ერისათვის. ამიტომ ვფიქრობ, რომ ორივე მხარეს უნდა ეუოს გამჭრიახობაც, მოთმინებაც, თავდაპირველობაც, ჭკუაც, რომ დაიწიონ დიალოგი. ამ დიალოგის გზით გამოიძებნოს ის საფუძველი, რაც კონფლიქტის გადაწყვეტაში დაგვეხმარება. მართალია, პირადად მე სკეპტიკურად ვუყურებ ამას, რადგან თანდათანობით ვრწმუნდები, რომ მორიგების გზები, შეთანხმების გზები დაიკარგა. არც ერთ მხარეს მორიგების სურვილი არა აქვს. ამიტომ, რასაც ვამბობ, ის მხოლოდ კეთილი სურვილი შეიძლება იყოს, ფიქრი იყოს, რომელსაც რეალური განხორციელება არ უწყია. უფრო მოსალოდნელი ის არის, რომ ჩვენ მივესიოთ ერთმანეთს და ხოცვა-ჟლეტა გავაჩალოთ. რა მწარეც უნდა იყოს ამის თქმა, მაინც უნდა ითქვას. ჩვენმა ხალხმა კარგად უნდა გააცნობიეროს, კარგად უნდა წარმოიდგინოს, რა დიდი საფრთხე ემუქრება მას.

ამ ვითარებაში პოლიტიკური სიბრძნე, ეველა კეთილი თვისების გამოჩენა უპირველესად და უმთავრესად ხელისუფლებას, კონკრეტულად პრეზიდენტს მოეთხოვება. არსებობს ერთი, ასე ვთქვათ, კანონი თუ წესი, ფორმულა, რომლის თანახმად, ეველა კრიზისულ სიტუაციაში, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში შეიქმნება, დამნაშავე ვოველთვის ხელისუფლებაა. კრიზისის იწვევს ხელისუფლების შეცდომები, მისი უუნარობა მართოს ქვეყანა, თავიდან აიცილოს ვართულებანი, რაც ახლავს საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ა.შ. ცხოვრებას. ამიტომ, დღეს საქართველოში არსებული საზოგადოებრივი კრიზისის მოგვარებაში უპირველესი როლი თავად ხელისუფლებამ უნდა შეასრულოს. მან უნდა მისცეს ხალხს საშუალება აქტიური მონაწილეობა მიიღოს კრიზისის მოწესრიგებაში, რომ როგორმე ეველაფერი შედარებით მშვიდობიანად დამთავრდეს. მაგრამ ჩვენ თავს კიდევ ერთი უბედურება დაგვატყდა. ისიც უშლის ხელს კრიზისის მოგვარებას. ეს განსაკუთრებით ინფორმაციის ცალმხრივობაა. ხალხი ინფორმირებული არ არის. ქართველმა ხალხმა სამოკვდაათი წელიწადი იცხოვრა ისე, რომ ობიექტური ინფორმაცია არ მიუღია. ხალხი იყო პროპაგანდის გავლენის ქვეშ. ეს ვაზა დღესაც არ უარყვავით. პირიქით, გავალრმავეთ იგი. მე მიმაჩნია, რომ რასაც დღეს ტელევიზია აკეთებს,

ეს არის გამოუსწორებელი დანაშაული. ტელევიზია აზრცვლევებს ცრუ ცილის-მწამებლურ „ინფორმაციას“. ისედაც დაბნეულ ხალხს კიდევ უფრო მეტად უბნევს ზნა-კვალს. თუ ტელევიზიამ თავისი საქმიანობა არ შეცვალა, იგი იქნება როგორც ბოროტმოქმედი, დამნაშავე ქართველი ხალხის წინაშე. უნდა შეწყდეს ტელევიზიის საშუალებით ხალხის გაღიზიანების პროცესი, თორემ ეს გამოიწვევს კატასტროფას. ახლა ამოცანა ის არის, რომ ხალხი დავამშვიდოთ. მას უნდა მიეცეს ახსნა-განმარტება -- რა ხდება და რატომ. მერე კი მშვიდობიან ატმოსფეროში მოიძებნოს კრიზისის მოძგვარებელი გზები. რამდენადაც გაძლიერდება ისტერია, იმდენად უარეს მდგომარეობაში ჩავვარდებით. ბოლოს კი ეველაფერი დამთავრდება საშინელი სისხლისღვრით. ამიტომ ინფორმაციები უნდა იყოს ფართო და მრავალმხრივი, მშვიდი, რამდენადაც შესაძლებელია, ობიექტური, დასაბუთებული. ხალხმა თავად უნდა მოახერხოს ვითარებაში გარკვევა, რომ ბოლოს მონაწილეობა მიიღოს კრიზისის მოგვარებაში.

ეს ერთი. მეორე, რომელიც ძალიან ართულებს მდგომარეობას და ძალიან გვიშლის ხელს კრიზისის მოგვარებაში, გახლავთ ის, რომ, როგორც ჩანს, ჩვენ გადავეჩვიეთ აზროვნებას. რა თქმა უნდა, სამოცდაათმა წელიწადმა ძლიერი გავლენა მოახდინა ჩვენს გონებაზე. ამ გავლენისაგან თავის დაღწევა უცბად არ მოხერხდება და მას წლები დასჭირდება, მაგრამ გონების გათავისუფლებაზე ზრუნვა ახლავე უნდა დავიწყოთ. ნახეთ, რა იბეჭდება ჩვენს პრესაში, რა წიგნები გამოდის (თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა). რა დონეა აზროვნების, როგორ წაღვეა ეველაფერი უშვარი ლანძღვა-გინების ღვართქაფმა. როცა ამას ეველაფერს აწონ-დაწონით, ერთ დასკვნას გააკეთებთ -- ჩვენ დავანებეთ საერთოდ აზროვნებას თავი. ეს კი ძალიან სასიყატოა.

ეველა საქმეს აზროვნება სჭირდება, რადგან აზროვნების თვინიერ არ არსებობს შემოქმედება. თუ ადამიანი აზროვნებს, იგი თავის საქმეს შემოქმედებითად უდგება. შემოქმედებითი დამოკიდებულება სჭირდება ეველაფერს -- დაწეებულს მეეხოვის საქმიანობიდან, დამთავრებულს მეცნიერებისა და ზოლიტიკის უძალღესი სფეროებით. რამდენად თავისუფლად იაზროვნებს ადამიანი, იმდენად მეტი გონიერიული აზრი დაიბადება, რაც დაეხმარება არსებული მდგომარეობის გამოსწორებას.

როცა მდგომარეობის გამოსწორება ვახსენებ, არ ვგულისხმობდი მარტო ამჟამინდელ კრიზისს, არამედ ვგულისხმობდი ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ, ზნეობრივ კრიზისს, საერთოდ ეოველგვარ კრიზისს, რომელიც ჩვენ თავს დაგვატყდა დღეს. თუ თანდათანობით არ შევეჩვიეთ აზროვნებას, თუ აზროვნება არ გავათავისუფლეთ, ვერაფრის გაკეთებას ვერ მოვახერხებთ. დავადგებით ზნეობრივი, გონებრივი, შემოქმედებითი დაქვეითების გზას, დაენიების გზას. ამით ეველა ერთად ჩავიდინთ დანაშაულს ჩვენი ხალხის მიმართ. თუ ხალხის აზროვნება ვერ გავათავისუფლეთ, ვერ გავათავისუფლებთ მას შემოქმედებისათვის. სოლო, თუ შემოქმედებით არ იცხოვრებს ხალხი, იგი

ვერც კრიზისებს მოაგვარებს და ვერც მომავალს ააშენებს.

დღევანდელი ხელისუფლებისა და ოპოზიციის ბრძოლა შესაძლებელია მშვიდობიანი გზით წარიმართოს, თუ ერთმანეთს დაველაპარაკებთ, როგორც მოაზროვნე ადამიანები და არა როგორც ისტერიკაში ჩავარდნილი შეშლილენი, სწავგვარად სამოქალაქო ომამდე მივალთ.

სამოქალაქო ომი კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გავწირავთ ჩვენს ერს დასადუ-
ნავად. არაფერი ისე საშინელი არ არის, როგორც სამოქალაქო ომი. დღეს კი
ისეთი ვითარებაა, რომ წუთი წუთზეა მოსალოდნელი სამოქალაქო ომის დაწ-
ეება. საკმარისია ერთი პატარა შეცდომა, რომ ხოცვა-ჟლეტა გაჩაღდეს. ამ
სიტუაციაში ისტერია არ არის საჭირო. არც იმ ადამიანების გამოუვანაა
ტელევიზიით საჭირო, ვისაც მდგომარეობის სირთულე არ ესმის და ისტერი-
ულად გაჰკვივან უოველგვარ სიბრიყვეს. ახპარეხი იმ ადამიანებს უნდა დაეთ-
მთ, ვისაც შეუძლია მშვიდად იმსჯელოს, ეველადფერი სწორად აწონ-და-
წონოს, ვინც სიძულვილით კი არ ხელმძღვანელობს, არამედ პრაქტიკული
გონებით, ვისაც ვითარების შესაბამისი გონივრული დასკვნის გაკეთება შეუძ-
ლია. თუ ასეთ ადამიანებს არ მიეცათ საშუალება საზოგადოებასთან საუბრისა,
მაშინ ისტერიას ვერაფრით დავაცხრობთ. ისტერიას კი უოველთვის ცუდი,
კატასტროფული შედეგი მოაქვს.

მართალია, კრიზისის მოსაგვარებლად კონკრეტულად მეც ვერაფერს
გთავაზობთ, რადგან მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. როგორც წე-
დან მოგახსენეთ, რამდენიმე დღის წინანდელი ჩემი წინადადება უკვე მოძველდა.
მოსალოდნელია, რომ ახლა ნათქვამი რაიმე კონკრეტული წინადადებაც უკვე
ერთი ან ორი საათის შემდეგ აღარ ვარგოდეს. ამიტომ ეველა გონიერ, ჭკუა-
დამჯდარ კაცს უური უნდა მიუუკდოთ, რომ მრავალი მოსაზრება დაავაროვოთ.
მათ შორის რომელიმე შეიძლება კრიზისის მოსაგვარებლად რეალურად
გამოდგეს.

ჩვენ ეველამ კარგად ვიცით, რომ დღევანდელი კრიზისი ხელისუფლების
სერიოზული შეცდომების შედეგია. ცხადია, ამ შეცდომების განწორება უცბად
არ მოხერხდება. რაკი შეცდომები ხდებოდა გარკვეული დროის მანძილზე, ბუ-
ნებრივია, მის გამოსწორებასაც დრო უნდა.

ახალი ხელისუფლება ცოტა ხანია რაც არსებობს. ერთი თვის შემდეგ
მეუსრულდება არსებობის ერთი წელიწადი. საზოგადოება იმას არ ითხოვს,
რომ ამ ერთ წელიწადში რაღაც განსაკუთრებული ცვლილებანი მოეხდინათ.
იმ მდგომარეობიდან გამოსვლა, რომელშიც საქართველო სამოცდაათი წლის
მანძილზე ჩავარდა, ერთსა და ორ წელიწადში არ მოხერხდება. ეს ეველა ჭკუათ-
მოფეველ ადამიანს ესმის. საქართველოს მდგომარეობის გამოსწორებას ათეუ-
ლი წლები დასჭირდება, შეიძლება საუკუნეც. დროს გარდა, დასჭირდება დიდი
შრომა, გონიერება, სიბრძნე. ჩვენ რომ დანარჩენ მსოფლიოს, დანარჩენ კაცობ-
რიობას გაუუთანბრდეთ, ამისათვის სასწაულის მოხდენა დაგვჭირდება. ამი-

ტომ თუ საზოგადოება რაიმეს ითხოვს, ითხოვს ერთს – ეველა მიმართულებით საქმის სერიოზულად დაწეებას. ითხოვს იმის დანახვას, რომ გზას სწორი მიმართულებით დავადექით. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩვენ შვიდი ათეული წელიწადი ვიუავით ტოტალიტარული რეჟიმის ჰირობებში, რამაც ჩვენ უსაშველოდ ჩამოგვარჩინა. ამ ჩამორჩენის გამოსწორება არ მოხერხდება ტოტალიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი ხერხებით. ჩამორჩენის გამოსწორება შეიძლება მოხერხდეს აზროვნების კათავისუფლებით, თავისუფლების კონსტიტუციური ფორმებით, კანონების ფორმებით. ჰრესის, ტელერადიოს საშუალებით უნდა გაგვეხსნა გზა თავისუფალი არსებობისაკენ. იმედი უნდა მიგვეცა, რომ მათ არაფერი ეშუქრებათ. მაგრამ მოხდა ისე, რომ დღეს საქართველოს მოქალაქეები ისევე არიან შეპრობილი არსებობის შიშით, როგორც კომუნისტური რეჟიმის დროს იყვნენ. არსებობის შიშით შეპრობილი ადამიანისაგან არ არის მოსალოდნელი გონივრული ნაბიჯი. იგი დამფრთხალ ცხოველს ჰგავს და საით გაიქცევა, კაცმა არ იცის.

არსებობის შიში და გულის გატეხა სულ უბრალო რამემ გამოიწვია. სამოცდაათი წლის მანძილზე, ზოგჯერ ძალუღად და ზოგჯერ აშკარად, სულ იმაზე ვწუწუნებდით, რომ კომუნისტური უზენაესი საბჭო ხელის აწევით ხმის მიმცემი მანქანაა, მეტი არაფერია. 1990 წლის 28 ოქტომბერს კომუნისტური უზენაესი საბჭო შეიცვალა ახლით, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ეს ახალიც ხელის აწევით ხმის მიმცემი აღმოჩნდა. მან ვერ შეძლო ჩაენერგა რწმენა, რომ ქართველმა ხალხმა მიაღწია იურიდიულ, კონსტიტუციურ თავისუფლებას, რომ ნიადაგი მომზადდა თავისუფალი აზროვნებისათვის, სიტყვისათვის, რომ დაცულია კანონის უზენაესობა, რომ კანონით მინიჭებული უფლება-მოვალეობა არაფრით იქნება შესლუდულ-გაუქმებული. ამით თავად უზენაესი საბჭო მოიკებდა, რადგან არ მოაკლდებოდა ცოცხალი აზრის ნაკადი. აზრთა სხვადასხვაობა, რა თქმა უნდა, არგუმენტირებული, დასაბუთებული აზრთა სხვადასხვაობა, ხალხს საშუალებას მისცემდა დაენახა, რომ თავისუფალი ცხოვრებისაკენ ნაბიჯი გადავდგით. შიშიც თანდათან გაქრებოდა და რწმენაც განმტკიცდებოდა. მაგრამ ამის უნარი ახალ უზენაეს საბჭოს არ აღმოაჩნდა.

ზოგჯერ ტელევიზიის საშუალებით, ზოგჯერ მითქმა-მოთქმით და ჭორით, ზოგჯერ ამა თუ იმ დეპუტატის გამოტანილი ამბით ვიცით, რა მესლამემოხლანა, რა დავა და ბრძოლანა უზენაეს საბჭოში, მაგრამ ეს არ იძლევა ვითარებაზე სწორ წარმოდგენას, სიმართლე სრულად არ ვიცით. ხალხს თუ გულანხდილად, სიმართლე არ ვუთხარით, საქმე სასიკეთოდ არ წავა. მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად დაიმაბება.

ვერც მთავრობამ მოახერხა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. სიტყვიერი დაპირება არ კმარა. ხალხმა მკაფიოდ უნდა დაინახოს დღეს თუ ეს ვაკეთდა, ხვალ სხვა ვაკეთდება, ზევ – კიდევ სხვა და ა.შ. მდგომარეობის სირთულე მოითხოვს სწრაფ აზროვნებასაც და სწრაფ ქმედებასაც. ცხადია, ეს იმას არ ნიშ-

ნავს, რომ განუხრებლად, აუწონ-დაუწონავად, დარეკიანებულად ვიმოქმედოთ, მაგრამ მოქმედება, კონკრეტული და მკაფიო, აუცილებელია.

წინათაც მითქვამს, იცის ეს ჩვენმა საზოგადოებამ, და ახლაც ვიმეორებ: კომუნისტური რეჟიმის დროს ძალაუფლება სამ ძალას ჰქონდა გაყოფილი — პარტოკრატის, ბიუროკრატის და კლექტოკრატის. პარტოკრატია დაემხო, მთელ სსრკ-ში დაემხო, მაგრამ ბიუროკრატია და კლექტოკრატია ისევ ძველებურად პარპაშებს. დღევანდელი კრიზისიც ბიუროკრატისა და კლექტოკრატის პარპაშმა გამოიწვია. ხალხი ამას ხედავს. შეიძლება ეველას ეს გაცნობიერებული არა აქვს, მაგრამ ინსტინქტით გრძნობს. ამიტომ ახლა უმთავრესი ამოცანა ბიუროკრატისა და კლექტოკრატის დამხობაა. მათი განადგურებაა. ამ მხრივ ჯერჯერობით, საიმედო პირი არაფერს უჩანს. პირიქით, თუ ჩანს რაიმე, ჩანს ის, რომ ბიუროკრატიაც და კლექტოკრატიაც თავს არსენინად გრძნობს, მუარად გრძნობს. თავიანთ სურვილებსაც გვეარნახობენ და ახორციელებენ კიდევ. ამიტომ ახლა მთელი ძალისხმევა იქითკენ უნდა წარმართოს, რომ ისინი (ბიუროკრატია და კლექტოკრატია) მოვიცილოთ. ამ გზით უნდა შევძლოთ იმ წინააღმდეგობათა დაძლევა, რომელიც იწვევს იმგვარ კრიზისებს, რაც დღეს ვვაქვს. მართალია, ლაპარაკი ძალიან გამივრძობდა, მაგრამ ეს პრობლემათა სიმრავლის ბრალია. მარტო ერთი პრობლემის მოგვარებით საქმეს არ ეშველება. ეველა პრობლემა, რომელიც დღეს ვაწუხებს, ერთიანად უნდა მოწესრიგდეს. თუ ასე არ მოხდა, ვერ გადავწყვეტთ საქართველოს მომავლის ბედსაც.

დიდ შეცდომას დაუშვებდით, თუ ვიფიქრებდით, რომ დღევანდელი კრიზისი გამოწვეულია ორი ძალის ბრძოლით ხელისუფლებისათვის. ერთია ის ძალა, რომელსაც ძალაუფლება უკვე აქვს და მეორეა ის ძალა, რომელიც მიიღტვის ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. შეიძლება ასეთი ვინმეც ურევია ამ ბრძოლაში, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ ეს არის ბრძოლა საქართველოს მომავლისათვის. აქ უფრო ღრმა ფესვებია, ვიდრე ეს ჩვენ ერთი შეხედვით წარმოგვიდგენია. ბრძოლის არსი არ უნდა გავამარტივოთ. მაშინ ვერავითარ დადებით გადაწყვეტილებას ვერ მივიღებთ. კონფლიქტს ვერ მოვაგვარებთ. დღევანდელი კრიზისის არსში ღრმად უნდა ჩავიხედოთ. უნდა ვაღიაროთ, რომ ბრძოლა მიმდინარეობს საქართველოს მომავლისათვის. მაშინ, რაკი ორივე მხარეს ერთი მიზანი აქვს, შესაძლებელი გახდება დიალოგი. თუ ის ვიფიქრეთ, რომ ერთმანეთისათვის ძალადი სკამის წართმევა უნდათ, მაშინ დიალოგი არ ჩატარდება. პრობლემა გადაწყდება ძალდომობით. ის ვაიმარჯვებს, ვისაც მეტი ძალა აღმოაჩნდება.

თუ დიალოგი შედგება და ამ საუბრის შედეგად მიღებული იქნება გადაწყვეტილება პრეზიდენტის გადადგომისა, იგი უნდა გადადგეს. ეს მისი გადაწყვეტილებაა იქნება. ეს იმ საქმის გავრძელებაა იქნება, რასაც ემსახურებოდა მთელი ცხოვრება. ეს არ იქნება მისი დამარცხება. ეს იქნება პოლიტიკური ნაბიჯი. პოლიტიკოსმა, თუ იგი მართლა პოლიტიკოსია, უნდა იცოდეს —

როდის იაროს წინ, როდის დაიხიოს უკან, როდის გამოვიდეს ანჰარესზე და როდის გავიდეს იქიდან. გადადგომა პოლიტიკური ცხოვრების ჩვეულებრივი შემადგენელი ნაწილია. დღეს გადადგები, ზვალ ისევ დაბრუნდები. ხურავინ დაინახავს ამაში რალაც განსაკუთრებულ მოვლენას. ევროპელი პოლიტიკოსები, ზოგიერთი მაინც, ბევრჯერ გადამდგარან და ბევრჯერ უკან დაბრუნებულან, რადგან გადადგომა, როგორც ითქვა, პოლიტიკური თამაშის ერთ-ერთი ხერხია.

ხურც იმას იფიქრებს ვინმე, რომ მე ან ერთ მხარეზე ვდგავარ, ან მეორეზე. ან ერთს ვუჭერ მხარს, ან მეორეს. მე მესამე ქართული ძალის შექმნის მომხრე ვარ. იმ მესამე ქართული ძალისა, რომელიც ორივე მხარეზე მაღლა დადგება, რომელსაც მეტი მოთმინების უნარი აღმოაჩნდება, მეტი სიბრძნე, მეტი გამჭრიახობა, მომავლის ხედვის უკეთესი ნიჭიც. იმ მესამე ძალას ვემხრობი, რომელიც შეძლებს დაპირისპირებულთა მორიგებას. ჰიროფუნლად როგორც უნდა გვპუღდეს ერთმანეთი, მაინც მტკიცედ უნდა ვიცოდეთ ის, რომ ჩვენ ვეუღლას ერთი ამოცანა გვაკისრია -- საქართველოს გადარჩენა. ეს იმ დაჯგუფებათა გადარჩენასაც გულისხმობს, რომელიც დღეს ერთმანეთს უპირისპირდება. ჩვენ ვეუღლანი საქართველოს შვილები ვართ. ჩვენ ვეუღლას შეგვიძლია მისთვის სიკეთის გაკეთება იმ ნიჭის შესაბამისად, რითაც ღმერთმა დაგვაჯილდოვა.

თუ მე მესამე ქართული ძალა არ აღმოჩნდა, თუ მისი ანჰარეზე გამოვეანა ვერ შევძელით, მაშინ მოხდება ისეთი კატასტროფა, რომლის მსგავსი საქართველოს ისტორიამ შეიძლება არც იცოდეს. ამ კატასტროფისათვის ჰასუნს ჩვენ ვეუღლანი თანაბრად ვაგებთ, გაუთავალისწინებლად იმისა, ვინ ვის მხარეს იდგას ან, საერთოდ, მონაწილეობდა თუ არა კონფლიქტში.

დღეს ადამიანები ერთმანეთს ხმლით, მშვილდ-ისრით და კეცით არ ებრძვიან. ებრძვიან საშინელი, ტოტალურად გამანადგურებელი იარაღით. მართალია, ეს საშინელი იარაღი ქართველებს არ გვაქვს, მაგრამ აქვს უცხო ძალას. ამ უცხო სეუძლია იფიქროს: ამ ჭირვეული ქართველების მოსვენება-დამშვიდებას საშველი არ დაადგა. გაუთავებლად ერთმანეთს ჭამენ. მოდით საერთოდ ვააქროთ ისინი და დაგვაუარონ ეუშბარები. ამისათვის ჰასუნს მათ არავინ მოსთხოვს. ამგვარი კატასტროფები მომხდარა კაცობრიობის ისტორიაში და ჰასუნს არავის არავისთვის მოუთხოვნია.

ამ დიდი საფრთხე-საშიშროების გამო მიმაჩნია, რომ ვუჭირდება მესამე ქართული ძალა, რომელიც კონფლიქტში ჩაბმულ ორივე მხარეზე ამაღლდება. მაღალი პოზიციიდან დახედავს ვითარებას და შესთავაზებს როგორც ერთს, ისე მეორე მხარეს ვეუღლასათვის მისაღებ გადაწვევებებს.

ვეუღლა სხვა ვზა, ჩემი აზრით (ღმერთმა ჰქნას, რომ მე ვცდებოდე), მიდის სისხლიანი მმათამკვლელი კატასტროფისაკენ. ეს კი ქართველ ხალხს უფსურულში მიაქანებს.

სულ უფრო და უფრო ღრმავდება და ფართოვდება ქაოსი იმ სასეღმწი-
ფოში, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ სსრკ ერქვა.

ფაქტობრივად სსრკ დაიშალა, მაგრამ იურიდიულად ჯერ არ მომხდარა
ამის აღიარება და გაფორმება.

ახლა რსფსრ-ის რღვევაც დაიწყო. ამას ჩეჩნეთის საქციელი ადასტურებს
და ის ბრძოლა, თათრეთში რომ მიმდინარეობს. თათრეთის ეროვნული
დამოუკიდებლობის ჰარტიამ („იტტიფაკ“) სრულიად აშკარად გამოაცხადა –
„თათრებს ეკუთვნითო სიმბირსკის, სარატოვის, სამარის, ასტრახანის, ორენ-
ბურგის მიწები, უფის ველები, მთელი ურალისპირეთი, ციმბირის თათრები.“*

მალე ბაშკირების, ჩუვაშების და სხვათა ასეთივე ვრცელი მოთხოვნებიც
გამოვლინდება.

ბელორუსიამ და უკრაინამ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, რაღა რჩება
ისტორიული რუსეთისაგან? ხომ არ დადგა ის ეპოქა, რომელიც ანდრეი ბე-
ლიმ გამოიგლოვა?

**Туда, где смертей и болезней
Лихая прошла колея,
Исчезни в пространстве, исчезни,
Россия, Россия моя.**

რა თქმა უნდა, რუსეთი არ გაქრება, მაგრამ ის კი ცხადია, რომ როცა
რსფსრ დაიშლება, რუსეთი არსებითად დარჩება იმ ტერიტორიის ფარგლებში,
რომელიც მას მონღოლთა შემოსევამდე ეჭირა. ისიც უდავოა: ცოცხალი თა-
ვით რუსეთი ამას ვერ შეეგუება, ეველა ღონეს იხმარს, გადარჩენის გზები რომ
გამონახოს.

რსფსრ-ის რღვევის ჰარალელურად მეორე პროცესიც გამოიკვეთა: სსრკ-
ში შემაჯავალი მაჰმადიანური ქვეყნების გაერთიანების მცდელობა. ბუნებრივად
ებადება კაცს კითხვა: სსრკ-ის ტერიტორიაზე ხომ არ შეიქმნება დიდი ისლამ-

* გაზ. „იზვესტია“, 1991 წ., 26 ნოემბერი

მური სახელმწიფო, რაღაც „ოქროს ურდოს“ მსგავსი? აღორძინებული ისლამური ფუნდამენტალიზმის საფუძველზე ამ სახელმწიფოში შესაძლებელია გაერთიანდნენ უირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ეაზახეთი, აზერბაიჯანი, ვოლგისპირეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის მაჰმადიანი ხალხები. თუ ევკლადფერ იმას გავითვალისწინებთ, რაც დღეს ხდება, ამგვარი ვარაუდი სრულიად არ გახლავთ უნიადგო. შემთხვევითი ხომ არ არის ეს ფაქტები? როგორც კი ელცინი საგანგებო წესებით დაეშუქრა ჩინეთს, ნახარბაევმა მაშინვე გაამხნევა დუდაევი: განსაცდელის ქამს ეაზახეთი მარტო არ დატოვებსო ჩინენ მძებს. ჩინებს იმედი უნდა ჰქონდეთო ეაზახეთის ეოველნაირი დანმარებისა.* არც რასობრივად და არც ეროვნულად ჩინები და ეაზახები მძები არ არიან. მათ მძობა მხოლოდ სარწმუნოებრივად აქვთ. ვერც არაბები ჩათვლებიან ჩინების ნათესავებად, მაგრამ კრიზისის დღეებში, გროზნოში, მწვანე დროშების გვერდით, ლოზუნგიც ფრიალებდა – „სადამ ჰუსეინი ისლამის ლომია“. ერაყელი ლიდერი რელიგიური ერთობის გამო გახდა ჩინეთის კერპიც. აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობის გამოცხადება ძლივს მოასწრო, რომ მაშინვე მიიღეს იგი საერთაშორისო ორგანიზაციაში – ისლამური კონფედერაცია.

ეს წვრილმანი ნათლად მეტეველებს ერთს – მაჰმადიანურ თანხმობას.

როცა სსრკ-ში ცხადად და ნათლად გამოიკვეთა მაჰმადიანური თანხმობისა და სლავური დაშლილობის სურათი, სასწრაფოდ და მოულოდნელად მოხდა სამი სლავური ქვეყნის – ბელორუსიის, რუსეთის და უკრაინის – გაერთიანება. არა მარტო ჰრეზიდენტებმა მოაწერეს უცბად ხელი ერთობის ხელშეკრულებას, არამედ სამივე ქვეყნის უზენაესმა საბჭოებმა თვალისდახამხამებაში მოაწვეეს რატიფიკაციაც.

რას ნიშნავს ეს? რა მიზანს ისახავს დიდი, მცირე და თეთრი რუსეთის ერთობა?

მაშინვე უეჭველი იყო, რომ ბელოვეესკაია ჰუმანში შექმნილ „სოდრუესტვოს“ ერთი მიზანი ჰქონდა: სსრკ-ის ახალი ფორმით გადარჩენა, ანუ რუსეთის სახელმწიფოს იმპერიული მთლიანობის შენარჩუნება.

ეს აშხაბადში შეკრებილმა ეაზახებმა და შუა აზიის ქვეყნებმაც (თურქმენეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ეირგიზეთი) დადასტურეს. მათ უთუოდ და უთუძვოდ განაცხადეს სურვილი სლავურ აღიანსში შესვლისა. ბეიკერთან საუბრის შემდეგ ელცინმა დაიკვეხნა: უკვე დეკემბერში „სოდრუესტვოს“ ათი წვერი ეუოლებო. ალბათ, დამატებით მოლდავეთსა და სომხეთს გულისხმობდა. როგორც იცით, სომხეთის ხელისუფლება იმთავითვე დადებითად გამოეხმაურა ბელორუსია-რუსეთ-უკრაინის გადაწვევტილებას.

სამთა ხელშეკრულებისადმი სომხეთის დადებითი განწუობილება გასაკვირი არ არის. ეარაბადის გამო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ომი

* გახ. „კომსომოლსკაია პრავდა“, 1991 წ., 16 ნოემბერი

გარდაუვალია, ამ ომში სომხეთს მოკავშირე სჭირდება, თორემ იგი მარტო აღ-
მოჩნდება არა მხოლოდ აზერბაიჯანის ჰირისპირ, არამედ თურქეთ-სპარსეთ-
აზერბაიჯანის წინააღმდეგ. თუ სომხეთი „სოდრუქესტვოში“ შევა, მაშინ უარა-
ბალი მისია. მით უმეტეს, რომ როგორც კი სომხურმა მოსახლეობამ ხმა მისცა
უარბაღის დამოუკიდებლობას, სტეფანაკერტიდან მაშინვე აფრინეს თხოვნა
სლავეთში – „სოდრუქესტვოში“ მიგვიღეთო.

სამთა აღიანსში შესვლისათვის სომხეთი ჯილდოდ უარბაღს მიიღებს.
აზერბაიჯანი? ან უარბაღს ჰკარგავს, ან ისიც „სოდრუქესტვოს“ წევრი ხდება.
არჩევანი აზერბაიჯანელმა ხალხმა უნდა გააკეთოს. თუ აზერბაიჯანმაც „სო-
დრუქესტვოში“ შესვლა გადაწყვიტა, მაშინ უარბაღი ისევ რჩება განხეთქილე-
ბის ვაშლად, რომელსაც რუსეთი გამოიუწებს როგორც სომხეთის, ისე აზერ-
ბაიჯანის „სოდრუქესტვოში“ დასაბმელად. ეს კი სასიფათოა. რატომ?

იმიტომ, რომ „სოდრუქესტვოში“ შესული ვერც ერთი ქვეყანა რეალუ-
რად დამოუკიდებელი ვეღარ იქნება.

ღავაკვირდეთ:
„სოდრუქესტვოს“ მესვეურნი აღიარებენ: 1) ერთიანი ეკონომიკური
სივრცის, 2) ერთიანი ვალუტის, 3) ერთიანი საგარეო პოლიტიკის, 4) ერთიანი
თავდაცვის აუცილებლობას.

ერთიანი ეკონომიკური სივრცე ღია საზღვარსა და საბაჟოების უქონლო-
ბას ითხოვს, ერთიან გზებს, მიმოსვლის საშუალებებს, ერთიან ფოსტა-
ტელეკომუნიკაციებს და ა.შ.

„სოდრუქესტვოს“, ბაბილონის გოდოლს რომ არ დაემსგავსოს, ერ-
თიანი ენაც სჭირდება. ეს ენა კი ისევ რუსული იქნება. მაშასადამე. რუსულის
ცოდნა კვლავ აუცილებლობად რჩება და არა ნებაყოფლობითობად.

მტკნარი სიცრუეა „სოდრუქესტვოს“ ცენტრად მინსკის გამოცხადებაც.
როგორც კი „სოდრუქესტვო“ საბოლოო სახეს მიიღებს, მის დედაქალაქად
ან ისევ მოსკოვი იქნება ცნობილი, ან ჰეტერბურგი.

ერთი სიტყვით, ნელ-ნელა კვლავ უნიტარული სახელმწიფო ჩამოყალიბ-
დება.

შეიძლება ვინმემ იკითხოს: ევროპის სახელმწიფოთა ერთიანი კავშირიც
ხომ იქნებაო? იქაც ხომ დამოუკიდებელი ქვეყნები შედიანო? თუ, ეროვნული
თვალსაზრისით, ერთიანი ევროპული სახელმწიფო საშიშროებას არ წარმოად-
გენს მასში შემავალი ქვეყნებისათვის, დაახლოებით იმავე პრინციპით შექმნი-
ლი სლავური „სოდრუქესტვო“ რატომ არის სასიფათო?

ვინ თქვა, რომ არ არისო ეროვნულად სასიფათო ერთიანი ევროპული
სახელმწიფო? დიდი მსჯელობაა ამის გარშემო ამჟამად უცხოურ პრესაში. აღი-
არებენ ისინი გარკვეულ საშიშროებას. გერმანიას ბრალს სდებენ, ჰაბსბურგთა
რაიხის აღდგენა უნდაო. დიდი ბრიტანეთიც ამიტომ ითრევს ფეხს. არ მიაჩნია

მინცდამინც სასინარულოდ ევროპის შეერთებულ შტატებში ეოფნა. ალბათ, დღეს არ დაიჯერებენ იმას, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ, ვინც 20-25 წლის შექმნა ნახავს ევროპას, იგი უთუოდ გაიხსენებს ჩემს ნათქვამს: თუ გაერთიანებული ევროპული სახელმწიფო შეიქმნა – თანდათანობით მოხდება მისი გერმანიზაცია. მიუსხედავად იმისა, რომ ერთიან ევროპულ სახელმწიფოში ისეთი გიგანტებიც იქნებიან, როგორც საფრანგეთი და იტალია, ჰირველობა მინც გერმანიას დარჩება. ვერც საფრანგეთი და ვერც იტალია (არაფერს ვამბობ უფრო ჰატარებზე) ვერ გაუძლებენ გერმანიის ეკონომიკურ სიძლიერეს. ეოველი ქვეყნის ბედს კი ეკონომიკური ძალმოსილება წვეეტს. ასე იყო ეოველთვის. მით უფრო ასეა დღეს. წავიდა იარალით ბრძოლის დრო-ქამი. ხმლების ჩახახუნისა და ზარბახუნების ქუსილის ნაცვლად ფულების ტეციცინ-ტეციინი ისმის. ლელოც მისია, ვისაც ფულით გამოტენილი ხაზინა აქვს. ამ მხრივ ევროპაში გერმანიას ბადალი არა ჰეავს. განმეორდება ისტორია. ჩამოეალიბდება რაღაც ახალი „წმინდა რომის გერმანელი ხალხის საღრმთო იმპერიის“ მსგავსი სახელმწიფო. არც სტრასბურგი და, მით უმეტეს, არც მასტრიხტი არ იქნება ამ სახელმწიფოს დედაქალაქი. ამ ფუნქციას, ალბათ, ბერლინი შეასრულებს. ამაზე უკვეა ლაპარაკი.

და მინც, ევროპის სახელმწიფოები, დიდნიცა და მცირენიც, თანახმა არიან ერთიანი ევროპული სახელმწიფოს შექმნისა. ისინი თმობენ თავიანთ დამოუკიდებლობის ნაწილს, პოლიტიკურ-ეკონომიკური ერთიანობის სახელით. დათმობაზე წასვლას კი ეკონომიკური აღორძინება აიძულებთ. დღეს ევროპული ქვეყნების ეკონომიკამ განვითარების ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ ვერაფრით ვეღარ დაეტევა ერთი ქვეყნის საზღვარში. იგი უნდა ვაფართოვდეს, გაიძალოს. სხვა გზა არ არის. წინათ, როცა ეკონომიკა ასე განვითარდებოდა, დაჰეობითი ომები იწეებოდა. ომით ეძებდნენ საკუთარი საქონლის ბაზარს. ვენეციის ან კენუსის სავაჭრო რესპუბლიკებს სად არ ჰქონდათ დაჰეობილი ტერიტორიები! ინდუსტრიული ინგლისის კოლონიები რომელ კონტინენტზე არ იყო მოფენილი!.. უკვე მე-19 საუკუნეში აღორძინებული იანპონიის ეკონომიკა აზიის ქვეყნებში ეძებდა საარსებო სივრცეს. ჰატარა ჰოლანდიაც და ბელგიაც თვალუწვდენელ მიწა-წეალს ითვისებდა აფრიკაში თუ ინდონეზიის კუნძულებზე. ახლა, თერმობირთვული იარალის ეპოქაში, ომები უადრესად სახიფათოა. თერმობირთვული ომი ეკონომიკის განვითარებას კი არ შეუწეობს ხელს, ჰირიქით, სულ დაანგრევეს და მოსპობს. ამიტომ ეკონომიკისათვის საარსებო სივრცე თანხმობითა და ურთიერთკავშირით უნდა მოიპოვო. გაჩნდა ვაერთიანების ტენდენცია. ამის შედეგია ერთიანი ევროპული სახელმწიფოც.

ძირეული და არსებითი განსხვავებაა ორ „სოდრუქესტვოს“ შორის.

ევროპაში იქმნება თავისუფალი, დამოუკიდებელი ქვეყნების ნებაეოფლობითი კავშირი, რომელიც ბუნებრივი შედეგია ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ-

ეკონომიკური განვითარებისა.

რუსეთს სურს შექმნას ეოფილი კოლონიების „სოდრუექსტვო“, მაშინ, როცა სსრკ-ში შემავალი ქვეყნების ბუნებრივი, თავისუფალი განვითარება არ მომხდარა, როცა ამ ქვეყნებს არავითარი გამოცდილება არა აქვს არც პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და არც თავისუფლებისა.

ევროპაში „სოდრუექსტვო“ იქმნება, როგორც შედეგი ევროპის ქვეყნების ეკონომიკური აღორძინებისა.

რუსეთს სურს შექმნას „სოდრუექსტვო“, როგორც ეკონომიკური ქაოსისაგან გადარჩენის საშუალება.

თუ ევროპის „სოდრუექსტვოს“ ეველა ქვეყნის ეკონომიკა და სახელმწიფოს პოლიტიკური სტრუქტურა აწეობილია საათივით, ეოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკა და პოლიტიკური სტრუქტურა მოშლილია ძირფესვიანად.

თუ ევროპის „სოდრუექსტვო“ ეერდნობა კერძო საკუთრების ფორმას, როგორც წმიდათაწმიდას და ხელშეუხებელს, იმ „სოდრუექსტვოში“ კი, რომელსაც რუსეთი ქმნის, საერთოდ არ არის ჯერჯერობით დადგენილი საკუთრების ფორმა.

სადაც ერთხელ და სამუდამოდ არ არის განსაზღვრული საკუთრების ფორმა, იმ ქვეყანაში არავითარი ეკონომიკის მოწესრიგება არ მოხერხდება.

ევროპაში სხვადასხვა სახელმწიფოთა და ერთა თავისუფალი ურთიერთ-თანამშრომლობის საუკუნოვანი გამოცდილება არსებობს. ამ გამოცდილების საუკეთესო მაგალითია შვეიცარია, სადაც სხვადასხვა ერთა ჰარმონიულმა კავშირ-თანარსებობამ შვიდას წელიწადს გაუძლო და დღესაც მისაბამია. ხოლო სხვადასხვა ხალხთა როგორი თანამშრომლობა არსებობდა სსრკ-ში, ამას ნათლად გვიჩვენებს ის სისხლიანი ეთნოკონფლიქტები, რომელიც დღეს სსრკ-ის თითქმის ეველა კუთხეშია გაჩაღებული.

საერთოდ, ეველა მრავალეროვნული გაერთიანება მალე იშლება, თუ ეკონომიკის ან იდეოლოგიის დუღაბით არ არის ჩაკირული, ოღონდ ეკონომიკის დუღაბი ბევრად უფრო გამძლეა, ვიდრე იდეოლოგიისა. ახალ სლავეურ „სოდრუექსტვოს“ არც ეკონომიკა ედება საფუძვლად და არც იდეოლოგია. ეკონომიკა სრულიად მოშლილია. იდეოლოგია აღარ არსებობს, არც ძველი და არც ახალი. ერთიანი ევროპის დუღაბი კი მალე განვითარებული ეკონომიკაა.

ის, რაც ზემოთ ვთქვი, ერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს: ევროპის ქვეყნების „სოდრუექსტვო“, როგორც ბუნებრივი განვითარების ნაყოფი, სიცოცხლისუნარიანია. ხოლო რუსეთის მიერ შექმნილი „სოდრუექსტვო“, როგორც სსრკ-ის გადარჩენის ხელოვნურმა და ნამძლადევმა ცდამ, ეეწვობ, რომ არსებობა შეძლოს.

ამიტომ, ჩემი აზრით, საქართველო „სოდრუქესტვოში“ არ უნდა შევიდეს. ამის თქმა ადვილი, თორემ განხორციელება არ იქნება იოლი. უნდა ვიცოდეთ, რომ დიდი ძალდატანება მოხდება არა მარტო რუსეთის, არამედ უცხოეთის მხრიდანაც. ბუიკერის არაორაზროვანი მინიშნება, რომ აშშ ცნობს დამოუკიდებლობას იმ ქვეყნებისას, რომელნიც „სოდრუქესტვოში“ შევლენო, „ზრდილობიანი“ ძალდატანების ჰირდაჰირი საბუთია. ესეც გასაკებია. დიდ შვიდეულს სანავარდოდ უძღური და ღატაკი დიდი ქვეყანა ურჩევნია, ვიდრე ჰატარ-ჰატარა სახელმწიფოების ძიძაობა.

წინასწარ შეიძლება ითქვას, ძალდატანების რა ფორმები იქნება გამოყენებული. უპირველესად ეკონომიკური ბლოკადა. მერე ამას მოჰყვება ეთნოკრიზისების გამწვავება. უარაბაღმა უკვე მიგვანიშნა, რა მოვლენა განმეორდება საქართველოში.

გამოიტანენ არა მარტო ჩრდილოეთ ოსეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გაერთიანების გადაწვევტილებას, არამედ მოხდება ერთიანი ოსეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებაც. აირჩევენ ამ ოსეთის ჰრეზიდენტს. მერე კი „დამოუკიდებელი“ ოსეთი, უარაბაღით, შეიტანს თხოვნას „სოდრუქესტვოში“ მიგვიღეთო.

ასე მოხდება აფხაზეთშიაც. იქაც აირჩევენ ჰრეზიდენტს. იქაც გამოაცხადებენ დამოუკიდებლობას. აფხაზეთიც ითხოვს „სოდრუქესტვოში“ მიღებას.

თუ საქართველო შევა „სოდრუქესტვოში“, ოსეთსაც და აფხაზეთსაც ჩააჩუმებენ და საქართველოს საზღვრები ხელუხლებელი დარჩება.

თუ საქართველო არ შევა „სოდრუქესტვოში“, მაშინ „დამოუკიდებელ“ ოსეთსა და აფხაზეთს შეიუვანენ.

გათამაშდება სამხრეთ საქართველოდან გასახლებული თურქების ჰრობლემაც. დღევანდელ ვითარებაში, როცა ქრისტიანული სომხეთ-საქართველოს გარშემო ისევ იკვრება მაჰმადიანური რკალი (ირან-თურქეთი – სამხრეთით, აზერბაიჯანი – აღმოსავლეთით, იმიერკავკასიის მაჰმადიანი ხალხები – ჩრდილოეთით), გასახლებული თურქების ჰრობლემა ღრმა გააზრებასა და გადაწვევტას ითხოვს. ის კეთილი განწყობილება, რომელიც ამჟამად საქართველოსა და ჩვენს მაჰმადიან მეზობლებს შორის არსებობს, გასახლებული თურქების საკითხმა არ უნდა გააფუჭოს.

ასე რომ, დიდი განსაცდელი მოგველის. მაგრამ საქართველომ ეველაფერს უნდა გაუძლოს. ამ გაძლებას უნდა ემსახუროს საქართველოს მოსახლეობის ერთიანი ძალისა და გონისხმევა. სხვა ვა, სხვა ხსნა არ კვაქვს.

რაც ვთქვი, იმას ნურავინ აღიქვამს შეშინებად. მიმდინარეობს დიდი ბრძოლა თავისუფლებისათვის. ეველაფერს ცხადად და რეალურად უნდა შევხედოთ. ილუზიებით თავის მოტყუება შეიძლება მარცხი მოიტანოს. ამიტომ განსაცდელს თვალეში უნდა შევხედოთ. ფსიხელი და საღი გონებით ვიბრძოლოთ.

ნურც იმას იფიქრებს ვინმე, რომ საქართველოს იზოლაციის მომხრე ვარ. ღმერთმა დამიფაროს ამ უგუნურებისაგან. ჰირიქით, ის მინდა – საქართველოს უველა ქვეყანასთან, ცხადია, მათ შორის, რუსეთთანაც, მჭიდრო და მრავალ-მხრივი კავშირები ჰქონდეს. კარჩაკეტილი ცხოვრება ერისა და ქვეყნის დაღუპვას ნიშნავს, მით უმეტეს, კარს მომდგარ ოცდამეერთე საუკუნეში, როცა თავისუფალ სახელმწიფოთა დიდი კულტურულ-ეკონომიკური გაერთიანებები შეიქმნება:

ინგლისურენოვანი – დიდი ბრიტანეთი, აშშ, კანადა, ავსტრალია და სხვანი.

ესპანურენოვანი – ესპანეთი, იბერო-ამერიკა (მექსიკა, არგენტინა და სხვანი).

ჰორტუგალიურენოვანი – ჰორტუგალია, ანგოლა, ბრაზილია.

არაბულენოვანი – ერთიანი მაღრიბი და მაშრიყი.

ამათ გვერდით იარსებებენ ისეთი კოლოსები, როგორც არიან ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია.

ეს დღევანდელი კულტურულ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციას და მის მიხედრას წინასწარმეტყველის ნიჭი არ სჭირდება. საქართველოს სამომავლო პოლიტიკაც ამ ტენდენციის გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს. ეს ცხადია, ოღონდ ერთი რამ მაშინებს: ისე არ მოგვატეუონ, როგორც 1922 წელს, როცა სსრკ შეიქმნა.

1991 წ., დეკემბერი

სისხლიანი ანეკლოტი

1990 წლის ოქტომბრის არჩევნები რომ ახლოვდებოდა, რამდენიმე ხნით ადრე, 17 აგვისტოს, რუსთაველის საზოგადოებამ გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა მიმართვა. ქართველ საზოგადოებას შემდეგ ვთავაზობდით.

„ახლადარჩეულმა უჩენაესმა საბჭომ

1. უნდა შექმნას ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც გამოაქვეყნდება საერთო-სახალხო განხილვისათვის. შემდეგ კონსტიტუციის საბოლოოდ დამუშავებული პროექტი მიღებული იქნება საერთო-სახალხო რეფერენდუმის გზით.

2. უნდა შეიმუშაოს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების, უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის კანონი. დაინიშნოს მისი არჩევნები ალტერნატიულ საფუძველზე, პირდაპირი, ფარული და საერთო-სახალხო წესით.

3. უნდა შექმნას ეროვნული, რელიგიური, პარტიული შემწუნარებლობის კანონები. განსაზღვროს ქართველი და არაქართველი მოსახლეობის ურთიერთდამოკიდებულების გარანტიები.

4. ახალი კონსტიტუციის შესაბამისად უნდა ჩატაროს ჯერ ადმინისტრაციული რეფორმები და შემდეგ - ეკონომიკური.

5. უნდა შექმნას ეროვნული შეიარაღებული ძალები, რომლის შექმნაშიც თანაბრად მიიღებს მონაწილეობას საქართველოს ყოველი მოქალაქე.

6. რუსეთთან და ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკებთან ურთიერთდამოკიდებულებანი განახორციელოს 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

7. ზემოთ ხსენებული პროცესების დამთავრების შემდეგ გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა“.

როგორც ხედავთ, რუსთაველის საზოგადოება იმთავითვე თავისუფლების თანდათანობით მოპოვების მომხრე იყო. მაგრამ მაშინ ამ გეგმას არავინ მიაქცია ყურადღება. გულგრილად აუარეს ჯვერდი. საერთოდ, ქართველმა ხალხმა და ეროვნულმა მოძრაობამ თანდათანობითი განვითარების, ევოლუციის

გზა არ გაიზიარეს. თანდათანობით განვითარებისადმი ქართველი ხალხის უარყოფითი დამოკიდებულება მოულოდნელი არ ყოფილა. იგი მკაფიოდ გამოვლინდა ჯერ კიდევ 1989 წლის 11 ნოემბერს თბილისის უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე (ამის შესახებ ინფორმაცია შეკიბლიათ ნახოთ 1989 წლის 14 ნოემბრის გაზეთ „თბილისში“).

რატომ იყო თანდათანობითობის მომხრე რუსთაველის საზოგადოება? იმიტომ, რომ ამ ხილულ სამყაროში ეველადფერი დიადი, ამაღლებული და მშვენიერი თანდათანობით იქმნება.

დედის წიაღში ჩასახული ბავშვი თანდათანობით იზრდება. მას ვერც ვერაფერი დააჩქარებს და ვერც ვერაფერი შეანელებს. თუ ვინმე უგუნური ამას მოიწადინებს, იგი მოსპობს ახალ სიცოცხლეს. მეტს ვერაფერს მოახერხებს.

უნა თანდათანობით აღმოცენდება მიწიდან. თანდათანობით იზრდება და მწიფდება. არც ამის აჩქარება და დაუოვნება მოხერხდება. უცბად მხოლოდ მისი განადგურება შეიძლება.

ხეხილიც, როცა აუვავდება და მოისხამს, თანდათანობით ამწიფებს ნაყოფს. ამ პროცესსაც ვერაფერს ააჩქარებს და დაუოვნებს. უცბად და ერთბაშად კი ხეხილის აჭრა-აჩეხვა შეიძლება.

ძველი ლათინური ანდაზა გვასწავლის – რომი უცბად არ ამენებულაო (მერე რუსებმა ისესხეს და ამბობენ – მოსკოვი ერთ დღეში არ ამენებულაო). სამი ათასი წელიწადი შენდებოდა მარადიული ქალაქი. მისი დანგრევა კი თერობირთვული იარაღით რამდენიმე წუთში შეიძლება. ასეთია კანონზომიერება: უცბად მხოლოდ ბოროტი კეთდება. კეთილი თანდათანობით იქმნება. უცბად და ერთბაშად მიწისძვრა შეიძლება მოხდეს, ვულკანის ამოფრქვევა, ზვავების მოვარდნა, ერთი სიტყვით ის, რასაც ნგრევა შეუძლია და არა შენება.

თავისუფალი საქართველო მხოლოდ თანდათან შეიძლება ამენდეს. ამ ზოგადი კანონზომიერების გარდა, საქართველოში თავისუფლების თანდათანობით დამკვიდრება კიდევ რამდენიმე კონკრეტული მიზეზითაც იყო აუცილებელი.

ჯერ ერთი, თეორიულად, ახალი კონსტიტუციის საშუალებით, როგორც უცხოთათვის, ისე საქართველოს მთელი მოსახლეობისათვის ნათელი და მკაფიო უნდა გაგვეჩადა – როგორი და რა ხასიათის სახელმწიფო იქმნებოდა, ვის რა უფლება ეძლეოდა და რა მოვალეობა ეკისრებოდა. უცხოეთში, დღეს, საქართველოს გარშემო ბევრი მითქმა-მოთქმაა, ბევრი გაუგებრობაა. ეველადფერი ამის ჰასუსი თავად კონსტიტუცია იქნებოდა.

რაკი სხვადასხვა ხალხთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხები წინასწარ იქნებოდა განსაზღვრულ-შეთანხმებული, კონსტიტუციით გარანტირებული, შეიძლებოდა არ მომხდარიყო უთანხმოება ქართველთა და არაქართველთა შორის. თავი დაგვეღწია სისხლიანი ეთნოკონფლიქტებისათვის.

მეორეც: ახლით იყო შესაცვლელი მმართველობის სტრუქტურა. ძველი, კომუნისტური სტრუქტურა არა მარტო აღარ გამოდგებოდა, არამედ ხელის-მემშლელი, დამაბრკოლებელი იქნებოდა. მმართველობის ახალ სტრუქტურას სერიოზული, ღრმა, დაწვრილებით დამუშავება სჭირდებოდა. ეს არ გაკეთდა. ამიტომ, როცა ხელისუფლება შეიცვალა, მმართველობაში სიახლე არ დამკვიდრებულა. უბრალოდ ნაცნობმა სახელმა – რაიკომის მდივანი – ადგილი დაუთმო უცხოურ სახელს – ჰრეფექტი. ჰრეფექტი გაერთიანდა რაიკომის მდივნისა და აღმასკომის თავმჯდომარის პოსტები და კიდევ უფრო მოუქნელი ბიუროკრატიული აპარატი შეიქმნა. ვეელგან და ვველაფერში ისევ ძველი სტრუქტურა დარჩა. ამან განვითარების პროცესი შებოჭა და ერთ ადგილას გაეინა. ცხადია, ეს არ მოხდებოდა, რომ განვითარების პროცესს თანდათანობით მიუყოლოდით და ცვლილება მოგვეხდინა, თითქოს უცბად, ერთბაშად მონდომეს განახლება და ნამდვილად კი საქმე ადგილიდან არ დაძრულა. ვერც დაიმგრებოდა. მმართველობის სტრუქტურის შეცვლა ხანგრძლივი პროცესია და თანდათანობით უნდა განხორციელდეს. თან ვველაფერი წინასწარ უნდა იყოს დამუშავებული. არც დამუშავებული უოფილა და არც თანდათანობის გზას დასდგომიან.

მესამეც: დრო და თანდათანობითობა ვველაზე მეტად ეკონომიკური რეფორმის ჩატარებას სჭირდებოდა. უოფილ სსრკ-ში საერთოდ, და კერძოდ საქართველოში, ეკონომიკური რეფორმის მოხდენა ურთულესი და უძნელესი საქმეა, რადგან ვველაფერი ძირფესვიანად არის შესაცვლელი. სოციალისტურმა ეკონომიკურმა სისტემამ რომ არ გაამართლა, ეს სადავო და საკამათო აღარ არის. ეს ვველაზე გონებადუხჭირ ადამიანისთვისაც კი ცხადია. სოციალისტური ეკონომიკური დამარცხება კი იმას ნიშნავს, რომ დამარცხდა საკუთრების საზოგადოებრივი, სახელმწიფო ფორმაც. მამსადამე, შესაცვლელია საკუთრების ფორმა. სახელმწიფო საკუთრების მაგიერ ისევ უნდა შემოვიღოთ კერძო საკუთრება. მასზე დაჯდნობით უნდა შეიქმნას სრულიად ახალი ეკონომიკური სისტემა. ამას დროც უნდა, მოთმინებაც, თანდათანობითობაც, ღრმა ცოდნაც და ბეჯითი საქმიანობაც. ეს პროცესი ხანგრძლივია. უცბად და ერთბაშად იგი ვერ გატარდება. ვინც ამის გაკეთებას უცბად და ერთბაშად მონდომებს, იგი ქვეყანას დაღუჭავს.

მეოთხეც: როცა ქვეყნის ცხოვრებაში ცვლილება, ევოლუციის გზით, თანდათანობით ხორციელდება, ქაოსი, ხოცვა-ჟლეტა, ნგრევა-აწიოკება მას არ ახლავს. მაგრამ, თუ ცვლილება, რევოლუციის გზით, უცბად, ერთბაშად მონდომეს, მამინ ქაოსიც გარდაუვალია, ხოცვა-ჟლეტაც, ნგრევა-აწიოკებაც. ამას ისტორიის გამოცდილება უტყუარად ადასტურებს.

ეს იმიტომ ხდება, რომ ევოლუციის დროს ე.წ. მანიპულირებადი მედიუმი, ანუ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც იოლად ემორჩილება ფსიქიკურ ინდუქციას, წუნარად, ჩუმიად არის და საქმეში არ ერევა. რევოლუციის დროს კი

პირიქით: მანიპულირებადი მედიუმი უაღრესად აქტიური ხდება და წარმართ-
ველ ძალად იქცევა.

1989 წლის 18 აგვისტოს „ლიტერატურულ საქართველოში“ ირინე მე-
ლიქიძევილი გვაფრთხილებდა:

„კოლექტიური ცნობიერება ვალვიძება არ არის. ეს არის გაცილებით
უფრო ღრმა ძილი, ვიდრე ფიზიოლოგიური. ეს არის ჰიპნოზური ძილი,
როდესაც ჰიპნოტიზიორი მედიუმს აკეთებინებს იმას..., რაც მას სურს. ძირი-
თადად ასეთია მიტინგური ცნობიერება“.

...

„ერი, რომლის ძირითად მასას მანიპულირებადი მედიუმები შეადგენენ,
ძნელად თუ მიაღწევს თავის-უფლებას. იგი მისცემს თავის ლიდერებს შესაძლებ-
ლობას, კატასტროფამდე მიიყვანოს ის“.

არის ერთი საშინელი წყევლა: შენი არ იცოდე და სხვისი არ გავეკონოსო.
არაფინ მიუგდო უური ამ გაფრთხილებას და აგვისტა კიდევ ირინე მელი-
ქიძევილის წინასწარმეტყველება. აგვისტა იმიტომ, რომ ქვეყნის ბედი მანიპუ-
ლირებადი მედიუმის ხელში აღმოჩნდა. ეს იმის ბრალიც იყო, რომ ქართველ
ხალხს ჯერ კიდევ ბოლომდე არ ჰქონდა მოცილებული ბოლშევიზმის ბანგი.
ეს იმითაც გამოვლინდა, რომ საქართველოს მართვა ბოლშევიკური ხერხებით
ადვილად გაგრძელდა.

დააკვირდით:

ბოლშევიკებმა კერძთაყვანისმცემლობა განაახლეს და დანერგეს (ლენინი
მაზოლექუმში და თაყვანისმცემელთა უგრძესი რიგები. ბელადიდა მწერლო-
ბასა და ხელოვნებაში). 28 ოქტომბრის ხელისუფლებაც ცდილობდა მის აღდ-
გენას.

ბოლშევიკები მანიპულირებად მედიუმს ამხედრებდნენ საზოგადოების
უკეთესი ნაწილის წინააღმდეგ. ცილისწამებით, ჭორით, ლანძლვა-გინებით
სახელს უტყუებდნენ მათთვის არასასურველ მოღვაწეებს. ანადგურებდნენ მათ
ხეობრივად და ფიზიკურად. ამის მაგალითები უხვად შეგიძლიათ იხილოთ
1921-53 წლების ჰრესაში. 28 ოქტომბრის ხელისუფლებაც მანიპულირებადი
მედიუმის საშუალებით ებრძოდა დღევანდელი ქართული საზოგადოების მის-
გან ათვალწუნებულ ნაწილს. მოუწოდებდა მისი დამცირების, შეურაცხუფისა
და განადგურებისკენაც კი. ამ მასალით სახსეა 1991 წლის ოფიციალური ჰრესა,
რადიო-ტელევიზია, არაფერი რომ არ ვთქვათ ხელისუფლების მიტინგებსზე.

ბოლშევიკები კოლექტიურ ცნობიერებას ამხედრებდნენ ინდივიდუ-
ალური ცნობიერების წინააღმდეგ. ამით აკინებდნენ ჰიროფნებას და აბა-
ტონებდნენ ლიანგს. ეს მარადიული მონობის საფუძველს ქმნიდა. ჰიროფნება
რომ მუდმივად დაშინებული და მორჩილი უოფილიყო, უწოდებდნენ „ხალხის
მტერს“, „იშვიალღისმის აკენტს“, „მაჟნებელს“ და ა.შ. ზუსტად ასე იქცეო-

და 28 ოქტომბრის ხელისუფლებაც. ისიც კოლექტიურ ცნობიერებას უპირისპირებდა ინდივიდუალურ ცნობიერებას. „ერის მოღალატის“, „კრემლის აგენტის“, „სუკ-ის ჯაშუშის“ იარღიით აშინებდა და აფრთხობდა ოპოზიციას. ცდილობდა მის წელში გატეხას და დაქვემდებარებას.

ბოლშევიკები ებრძოდნენ წარსულის კულტურულ დანატოვარს. ანგრევდნენ ეკლესიებს. გმობდნენ და ანქიქებდნენ კლასიკურ მწერლობასა და ხელოვნებას. ამ საქმეშიც ბაძავდა 28 ოქტომბრის ხელისუფლება ბოლშევიკებს. 28 ოქტომბრის ხელისუფლების აქტივისტები მიტინგებზე ითხოვდნენ წიგნების დაწვას, ფილმების განადგურებას. მერე ამ მოწოდების პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგნენ. დაღწევს იაკობ ნიკოლაძის ჰორელიეფები. დაწვეს სოფელ ობუჯში – ნიკოლოზ შენგელაიას, თბილისში – ვასტანგ კოტეტიშვილის სახლ-მუზეუმები.* შეიარაღებული კონფლიქტის დროს გადაიბუგა და მოისპო ხელოვნების ისტორიის შენობა, მხატვრის სახლი, პირველი საშუალო სკოლა ...

ბოლშევიკები საინფორმაციო საშუალებებს იყენებდნენ ადამიანის გონების დასაბნელებლად და არა – გასანათლებლად. ესეც ათვისა 28 ოქტომბრის ხელისუფლებამ. ოფიციალურ პრესაში, რადიო-ტელევიზიაში ფართო ადგილი დაიჭირა სიცრუემ, ცილისწამებამ, ჭორმა, ორპირობამ, თვალთმაქცობამ.

მეტაც შეიძლება ითქვას, მაგრამ, რაც გითხარით, ისიც საკმარისად მიმაჩნია დასკვნისათვის: 1990 წლის ოქტომბერში საქართველოში ინტერნაციონალური ბოლშევიზმი შეიცვალა ნაციონალური ბოლშევიზმით (ბოლშევიზმი არ არის მსოფლმხედველობა. იგი მართვის მეთოდია. უოველ პოლიტიკურ პარტიას შეუძლია გამოიყენოს). ამან გამოიწვია 1991 წლის დეკემბრის კატასტროფა.

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რომ ევოლუციონის, თანდათანობითობის გზას დასდგომოდა, იგი ძმათა სისხლით არ შეიღებებოდა. ბუნებრივი განვითარების პროცესს გაჰყვებოდა. თავისუფლება, რომელიც ღმერთმა გვიბოძა, უცრემლოდ და უსისხლოდ დამკვიდრდებოდა საქართველოში. მაგრამ, სულწასულობის გამო, ქართველმა ხალხმა უარყო თანდათანობითობის გზა. უცბად და ერთბაშად მოინდომა იმის მიღება, რის მოპოვებასაც დიდი მოთმინება, სიმშვიდე, წესრიგი, შრომა, სიუვარული და გონიერება სჭირდება. ეველაფერს თავისი მომწიფების ვადა აქვს. ახლადდაფეხმძიმებულ ქალს რომ დაუყოვნებლივ მოსთხოვოთ ბავშვის დაბადება და ცხრა თვე არ აცალოთ, მკვდარი ნაყოფის მეტს რას მიიღებთ?

* 1993 წლის 31 ივლისის მინაწერი: ბოროტმოქმედება გადაძვებია. მიხვევა იცის და ბუმბლანკივით უკან ბრუნდება. ბოროტმოქმედებას მიჩვეულმა ადამიანებმა ერთი ბოროტება არ იკმარეს. მეორეც მიაყოლეს. კვამსახურდიას სახლ-მუზეუმშიც გადაწვეს.

თავისუფლება უსისხლოდ და თანდათანობით რომ მოდიოდა, ეს დრომ უტყუარად დაადასტურა. იმ ბელორუსიამ, იმ თურქმენეთმა (თუ გნებავთ, სხვებმაც), რომელთაც თავისუფლებისათვის ეურიც არ გაუბარტყუნებიათ, ეველაფერი მუქთად, ხონხაზე დადებული მიიღეს. სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება ესტონეთმა და ლატვიამ ისე მოიპოვა, რომ „ჰუგანიც“ არ გაუსროლიათ.

ასე იმიტომ მოხდა, რომ კომუნისტები არავის დაუმარცხებია. მათ თავად გამოიჭრეს ყელი და არსებობა თვითმკვლევლობით დაამთავრეს. ეს იყო კომუნისტური მოძღვრებისა და კომუნისტური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის ბუნებრივი შინაგანი რღვევა-გახსრწნის შედეგი.

სოციალიზმის რუსულ მოდელს არსებობა მხოლოდ სახელმწიფო ტერორიზმის ვითარებაში შეეძლო, რასაც ბოლშევიკები ახორციელებდნენ. მისი არსებობის საფუძველს ორი ფაქტორი ქმნიდა. ერთი მხრივ, სოციალიზმის უტოპიური იდეებით მოტყუებული და გაოგნებული ხალხი და, მეორე მხრივ, სახელმწიფო ტერორიზმით დანერგილი საყოველთაო შიში.

ჩადენილი ცოდვა, ბოლოსა და ბოლოს, დამნაშავეს ააღმარაგებს. აიძულებს თვითმხილებასა და მონანიებას. ბოლშევიკებსაც, ბუნებრივია, ასე დაემართათ. სტალინის სიკვდილის შემდეგ მათ თვითმხილება და მონანიება დაიწესეს. ეგონათ, ერთ კაცს ვაკრიტიკებთო და მთელ სისტემას ახადეს ფარდა. როცა ტყუილის ფარდა ჩამოვარდა, სოციალიზმის არსიც გამოჩნდა. ნელ-ნელა და თანდათანობით დაიწყო ხალხის გამოფხიზლება. სოციალიზმი აღარ იყო ბანკი, რომელსაც ადამიანები საღათას ძილში ჰჭავდა. დისიდენტური მოძრაობაც გაჩნდა. სახელმწიფო ტერორი მართალია კიდევ არსებობდა, მაგრამ უკვე დაუძლურებული, კბილებჩაცვიფნული და მიხრწნილ-დაბერებული.

ასე ნაბიჯ-ნაბიჯ და ტაატით მოვიდა 1985 წელი, როცა ხელისუფლება გორბაჩოვსა და მის კომანდას გადაეცა. მათ დაინახეს, როგორ იყო სოციალიზმი და სსრკ შიგნიდან გამოჭმულ-გამოხრული. ცოტაც და ქვეყანა თავზე დაეშობოდათ. ლიბერალიზაციის გზით გორბაჩოვმა და მისმა კომანდამ სსრკ-ის გადარჩენა მოინდომეს. შემოიღეს „ჰერესტროიკა“, „გლასნოსტი“, „ნოვოე მიშლენიე“. ამით, ნებით თუ უნებლიეთ, სოციალიზმისა და სსრკ-ის რღვევა-დაშლა დაიქარეს. არ გაითვალისწინეს ლენინის გაფრთხილება: „При советской политической системе дать свободу слова и печати – значит покончить жизнь самоубийством.“ *

გორბაჩოვის ცდა ეხსნა სსრკ, იმთავითვე განწირული იყო. განა დასწეულად მკელი ბალახის ჭამით განიკურნება? თუ მოარჩენს, ისევ ხორციის ჭამა, მაგრამ კბილები რომ აღარ აქვს! სსრკ-ს სახელმწიფო ტერორის გასაახლებლად ძალა აღარ შესწევდა. აღარც ხალხს სჯეროდა სოციალიზმისა.

* „დღიურატიურნიი გაზეტა“, 1991 წ., №50.



ლიბერალიზაცია კი, ანუ „პერესტროიკა“, „გლასნოსტი“ და „ნოვოე მიშლენიე“, საბოლოოდ უღებდა ბოლოს სოციალიზმსაც და სსრკ-საც. ეს ეკვლასათვის ცხადად ჩანდა, ვისაც ისტორიული პროცესის არსი ესმის.

ამ ვითარებაში ორი რამ იყო აუცილებელი: ეროვნული მოძრაობის ერთიანობა-მთლიანობა და ისტორიული პროცესის თანდათანობით მიუღწევა, მის კვლადკვალ სიარული. არც ერთი მოხდა და არც მეორე. ეროვნული მოძრაობაც გაიხლიჩა და თანდათანობაც უარყოფილი იქნა. გათიშვა-გახლეჩისა და თანდათანობის უარყოფის შედეგი მთელმა საქართველომ თვალნათლივ იხილა 1991 წლის დეკემბრის ბოლო დეკადაში. მაგრამ, რაც მოხდა, მოხდა. გვიანდლა თითხე კებენანი.

ამ რამდენიმე წლის წინათ ტელევიზიამ გაგვაცნო ესტონელი ჟურნალისტის ურმას ოტის საუბარი ერთ ესტონელ პოლიტიკურ მოღვაწესთან (სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს). ეს კაცი პოლიტიკური მოღვაწე, პარლამენტის წევრი ყოფილა სსრკ-ის მიერ ესტონეთის დაპყრობამდეც. პარტიულობით კომუნისტს აქტიურად უბრძოლია ესტონეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. მოსკოვს მისი ღვაწლი იმით დაუფასებია, რომ დაუპატიმრებიათ და ციმბირში გადაუსახლებიათ დიდი ხნით. სასჯელი მოუხდია. ესტონეთში დაბრუნებულა. ისევ პოლიტიკური საქმიანობა დაუწეია. მინისტრიც გამხდარა და სოციალისტური ესტონეთის მსახურიც. ეს კაცი ურმას ოტს თავის თავგადანსავალს უამბობდა. ირონიით, იუმორით გაჟღერთილი საუბარი იყო. დასასრულს ურმას ოტმა ჰკითხა:

– მწერლისაგან წიგნები რჩება, მხატვრისაგან – სურათები, ინჟინრისაგან – აშენებული სახლები, გაუვანილი გზები, აგრონომისაგან – ხეხილის ბაღები, ვენახები... პოლიტიკოსის საქმიანობისაგან რა რჩება?

მოხუცმა პოლიტიკოსმა გაიცინა და უპასუხა: – ანეკდოტი.

1992 წ., იანვარი

ყველაჟერს უკლი უნდა

ისტორიას თვალს თუ გადავაულებთ, დავინახავთ, რომ ყოველ საუკუნეს თავისი ძირითადი შინაარსი აქვს. იგი წითელ ხაზად გასდევს მთელ ეპოქას. მაგალითად, იყო გეოგრაფიულ აღმოჩენათა საუკუნე, როცა ესპანელები, ინგლისელები, პორტუგალიელები თუ სხვანი ახალ-ახალ უცხო ხალხებსა და ქვეყნებს აგნებდნენ და კაცობრიობის თვალსაწიერს აფართოებდნენ. იყო კოლონიურ იმპერიათა შექმნის საუკუნე. ესპანელები, ინგლისელები, რუსები, ფრანგები, რიცხოვრივად უფრო მცირენიც - პორტუგალიელები, ბელგიელები, ჰოლანდიელები - აუალიბებდნენ თავიანთ უზარმაზარ იმპერიებს.

მე-20 საუკუნე კი დეკოლონიზაციის ეპოქაა. ეროვნული სახელმწიფოების შექმნაა მისი ძირითადი შინაარსი.

პირველი მსოფლიო ომის შედეგად დაიშალა ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, თურქეთის იმპერიები. მეორე მსოფლიო ომმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის იმპერიებს. კოლონიები დაკარგეს ჰატარებმაც - პორტუგალიამ, ბელგიამ, ჰოლანდიამ. ცხადად ჩანდა, რომ დეკოლონიზაციის ეპოქა ხელუხლებელს არ დატოვებდა რუსეთის იმპერიასაც. უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მარტივი ლოგიკა ითხოვდა მისვედრას, რომ ვერც სსრკ გადაურჩებოდა დეკოლონიზაციას, ანუ ისიც დაიშლებოდა ეროვნულ სახელმწიფოებად. ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში ისტორიული პროცესი ისეთივე სიზუსტითა და კანონზომიერებით მიმდინარეობს, როგორითაც ბუნების პროცესები. დაწეებული პროცესი აუცილებლად უნდა დამთავრდეს. იგი შუაგ ხაზე ვერ შეჩერდება. როდესაც დედამიწის წიაღში უულკანური ენერჯის დაგროვება იწყება, ის გარდაუვალად უნდა ამოიფრქვეს. მას ვერაფერი გადაელობება წინ. როდესაც მსოფლიოში დეკოლონიზაციის პროცესი დაიწყო, ეს იმას ნიშნავდა, რომ ადრე თუ გვიან, იგი სრულად უნდა დამთავრებულიყო. დეკოლონიზაციის ციკლის დასრულება კი სსრკ-ის დაშლასაც უთუოდ გულისხმობდა.

ტრაგიკული უმეცრების გამო ეპოქის ძირითადი შინაარსი ვერ ამოვიცა-

ნით. ბოლშევიზმის მმართველობამ ისეთი შიში და ძრწოლა დაწერა, რომ ვე-
ლარ დაჯიჯერეთ სსრკ-ის ბუნებრივი დაქცევა.

ვერც მეორე დიდი ისტორიული პროცესის შედეგი განვჭვრიტეთ. მეორე
მსოფლიო ომი რომ დამთავრდა, კაცობრიობა აშშ-მა და სსრკ-მა გაიყვეს. ან-
ტიგერმანული კოალიციის კიდევ ორ მონაწილეს – დიდ ბრიტანეთსა და საფ-
რანგეთს – არაფერი ერგო. პირიქით, რაც ჰქონდათ ისიც დაკარგეს. აშშ და სსრკ
გახდნენ მსოფლიოს ბატონ-პატრონები, მაღა ჭამაში მოდიხარ და არც აშშ-მა
იკმარა ის, რაც მიიღო და არც – სსრკ-მა. ორივემ ჰირველობა მოინდომა და
ერთმანეთს წაუკიდნენ. რაკი ცხელ ომში გამარჯვების იმედი არც ერთს არ ჰქონ-
და, ცივი ომი გააჩნდეს. ათეული წლები გაგრძელდა ეს ომი. მართალია, მას
ცივი ერქვა, მაგრამ ცეცხლიც ბევრჯერ ანთო და სისხლიც უხვად დაღვარა:
კორეისა და ვიეტნამის ომები; ბერლინის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის ამბოხე-
ბების ჩახშობა; ბრძოლები ეთიოპიასა და ანგოლაში; ტერორიზმი, რომელიც
მოსკოვის შეკვეთით ხორციელდებოდა. ასე მიმდინარეობდა ცივი ომი 1985
წლამდე, როცა სსრკ-ში „ჰერესტროიკად“ წოდებული პროცესი დაიწყო.

ომი ომია, ცხელი იქნება იგი თუ ცივი, და რომელიღაცა მხარემ უნდა
გაიმარჯვოს. აქ უამბი, საჭადრაკო ტერმინს თუ გამოვიყენებთ, გამორიცხულია.
შეიძლება თუ არა წინასწარ გამოცნობა იმისა – ვინ გაიმარჯვებდა აშშ-სა
და სსრკ-ის ცივ ომში? რა თქმა უნდა, შეიძლება – აშშ. ამის საბუთად მარტო
ისიც კმარა, რომ დროთა განმავლობაში აშშ-ის მხარეს აღმოჩნდნენ ვე-
ლასე მდიდარი, ძლიერი და განვითარებული ქვეყნები – დიდი ბრიტანეთი, ვფრ,
იაპონია, იტალია, კანადა, საფრანგეთი. ამით ავსტრალიას, არგენტინას, ბრა-
ზილიას თუ მივუმატებთ, ცხადი ვახდება, რა უძლეველმა ძალამ მოიყარა ერ-
თად თავი. მართალია, სსრკ-ის გვერდით ჩინეთი იდგა, მაგრამ იგი გუდამძიერი
და უღონო კოლოსი იყო. მას ცივ ომში არსებითი როლის შესრულება არ
შეეძლო. ეველა კუთხით – ჰოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამ-
ხედრო, კულტურული – უპირატესობა აშშ-სა და მის ბანაკს ჰქონდა. ჭკვიანი,
გამჭრიახი, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსისათვის ცივი ომის შედეგი ნათე-
ლი იყო. სამწუხაროდ, ჩვენ იგი წინასწარ ვერ ამოვიცანით.

უკვე მოსწენიებული ორი მსოფლიო ისტორიული პროცესის გვერდით
მესამეც მიმდინარეობდა – ეკონომიკური შეჯიბრი.

თავის უძლეველობაში დარწმუნებულმა სოციალიზმმა, როგორც კი
რუსეთში გაიმარჯვა, მაშინვე გამოუსცადა ეკონომიკური შეჯიბრი კაპიტა-
ლიზმს. მეორე მსოფლიო ომის წინ მთელ სსრკ-ში წამდაუწუმ იხმოდა ლა-
ზუნგი – დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს! მეორე
მსოფლიო ომში გამარჯვებამ ხომ სულ თავბრუ დაახვია სსრკ-ს. დამარცხდა
გერმანია, იტალია, იაპონია. მართალია დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი გა-
მარჯვებულთა რიცხვში ითვლებოდნენ, მაგრამ ვაი ამ გამარჯვებას – იმპერა-

ბიც თავზე დაემხოთ და ეკონომიკურადაც გაძვალტყავებული აღმოჩნდნენ. მრავალრიცხოვანი კომუნისტური ჰარტიები მთელ მსოფლიოში მძვინვარებდნენ. სოციალიზმის საბოლოოდ გამარჯვებას თითქოს წინ, აშშ-ის მეტი, აღარაფერი ედგა. ძველი ლოზუნგიც ახლით შეიცვალა: დავეწიოთ და გავუსწროთ აშშ! მაგრამ იმას, რასაც პოლიტიკური აზრი ვერ ჰვრეტდა, კარგად ხედავდნენ ენაკვინწარი ადამიანები. მაშინვე გაფრცხლდა ანეკდოტი:

ებრაელი იხვეწნებოდა – დავეწიოთ აშშ-ს, მაგრამ ნუ გავასწრებთო. – რატომ ნუ გავასწრებთო, – ჰკითხეს. უპასუხა: უკანალზე შარვალი მაქვს გამოხეული, აშშ-ელები დაინახავენ და ამ პატიოსან კაცს თავი მომეჭრებო.

საბედისწერო შეცდომა ის იყო, რომ სსრკ-ში პოლიტიკურმა აზრმა უმთავრესი ვერ დაინახა – უკანალზე გამოხეული შარვალი, ანუ სრული ეკონომიკური სიდუხჭირე. სამაგიეროდ, იგი ნათლად შეამჩნია აშშ-ის ჰრესიდენტმა კენედიმ. მან არა თუ მიიღო სსრკ-ის მიერ გამოცხადებული ეკონომიკური შეჯიბრი, არამედ თავისი ვარიანტიც შესთავაზა: ერთმანეთს ბომბებს ნუ დაუშენთ. კოსმოსის ათვისებაში გავუჯიბროთო. სსრკ-მა გამოწვევა მიიღო და ერთხანს აუბა მხარი სსრკ-მა აშშ-ს, მაგრამ მალე გამოელა ძალა და 80-იანი წლების ბოლოს არსებობა სრული კრახით დაამთავრა.

დიდი მნიშვნელობისა იყო ჩინეთისათვის ბრძოლაც. მეორე მსოფლიო ომი დამთავრებული არც იყო, რომ ანტიგერმანულ და ანტიიაპონურ კოალიციას ბზარი გაუჩნდა. ეს ბზარი ჩინეთის პრობლემაში წარმოშვა. ვის დარჩებოდა ჩინეთი – აშშ-ს თუ სსრკ-ს? ამ ქიშში სსრკ-მა იმარჯვა და აშშ ჰირში ჩალაგამოვლებული დატოვა. ჩინეთში კომუნისტური რეჟიმი დამუარდა. იგი სოციალიზმის ბანაკს შეუერთდა.

ამ დამარცხებას კაპიტალისტური სამყარო ვერ შეურიგდებოდა. „ევითელი საფრთხე“ დღეს გაჩენილი შიში არ არის. იგი დიდი ხანია არსებობს. სოციალისტური იდეით შედღაბებული სსრკ და ჩინეთი ისეთი ძალა იყო, რომ წინ ველარაფერი დაუდგებოდა. კაპიტალისტური სამყაროს წინაშე გადაუდებელი ამოცანა დაისვა: უნდა დაერღვია სსრკ-ისა და ჩინეთის ერთიანობა. მოახერხა კიდევ ეს. სსრკ და ჩინეთი მტრად მოეკიდნენ ერთმანეთს. სასაზღვრო შეტაკებით ერთმანეთს კბილიც კი მოუსინჯეს. მართალია, ეს ვარკვეულად აშშ-ის გამარჯვება იყო, მაგრამ უკმარი. დღევანდელი მტრები შესაძლებელი იყო ხვალ ისევ მეგობრები გამხდარიყვნენ. ამიტომ სსრკ-ში და ჩინეთში სოციალიზმი უნდა მოემძლათ. უპირველესად ეს სსრკ-ში უნდა მომხდარიყო. თუ სსრკ, ან მის ადგილას წარმოშობილი სახელმწიფო, შეუერთდებოდა აშშ-სა და მის ბანაკს, „ევითელი საფრთხის“ წინაშე ევროპულ ცივილიზაციას, რუსეთის სახით, დიდი დამცავი კედელი გაუჩნდებოდა. რუსეთმა ეს როლი ერთხელ უკვე შეასრულა, როცა XIII საუკუნეში მონღოლთა ძლევამოსილ ლაშქარს გადაეღობა და ევროპაში არ შეუშვა. „ევითელი საფრთხე“ ისევ არსებობს და არც რუსეთის

როლი გაუქმებულა. ამ როლს საიმედოდ რუსეთი მაშინ შეასრულებს, თუ იგი მუარად განდება კაპიტალისტური სამუაროს ნაწილი. ამ მიმართულებით ევრო-პულ-ამერიკულმა დიპლომატიამ იმდენი იმუშავა, რომ სსრკ-იც დაშალა და სოციალიზმის ლიბოც მოარღვია.

სსრკ-ის დაშლას მისი სახელმწიფოებრივი ხასიათიც განაპირობებდა. კაცობრიობის ისტორიაში იმთავითვე ორგვარი იმპერიები არსებობდნენ: ერთნი, შექმნილნი მთელი ხალხის ძალისა და გონისსმევეით და მეორენი, შექმნილნი პიროვნების ძალისა და გონისსმევეით. მთელი ხალხის ძალისა და გონისსმევეით შეიქმნა, მაგალითად, რომის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის იმპერიები. პიროვნების ძალისა და გონისსმევეით შეიქმნა, მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელი, კარლოს დიდის, ნაპოლეონის იმპერიები. დროთა განმავლობაში ერთიც იშლება და მეორეც. განსხვავება ის არის, რომ პიროვნების მიერ შექმნილი იმპერია არსებობდა ირლვევა შემქმნელის სიკვდილისთანავე. ალექსანდრე მაკედონელის იმპერია დაიშალა როგორც კი დიდი მხედართმთავარი გარდაიცვალა. ნაპოლეონსაც წმ.ელენეს კუნძულზე გაჭევა მისი სახელმწიფო. ხალხის მიერ შექმნილი იმპერიები კი უფრო ხანგრძლივად არსებობენ. მაგალითად, რომის იმპერიამ ათასი წელიწადი იარსება.

რუსეთის იმპერია 1917 წლის რევოლუციების შედეგად დაიშალა. მომდევნო წლებში მისი მოდერნიზაცია არ მომხდარა, როგორც ამას წამდაუწუმ გავიმახოდით. შეიქმნა ახალი, რუსეთის ეროვნული იმპერიის ხანგრევებზე აშენდა პიროვნული (ლენინ-სტალინის) იმპერია – სსრკ. სსრკ-ში თავად რუსეთს ისევე უჭირდა, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს. ასე იყო მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს „უფროსი ძმა“ ერქვა, რუსული ენა პრივილეგიებით სარგებლობდა, ჭკუის საკითხავადაც მოსკოვში დაგვარბენებდნენ. რუსეთს რომ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსზე არახაკლებად ევლეფდნენ, ეს დღეს მკაფიოდ ჩანს.

სსრკ ბევრად ვრცელ ტერიტორიას ფლობდა და ბევრად მრავალრიცხოვან ხალხს მბრძანებლობდა, ვიდრე რუსეთის იმპერია. სსრკ-ის ეურმოჭრილი ემები იუენენ ევროპისა და აზიის ბევრი ქვეყანა. ამერიკისა და აფრიკის კონტინენტის საქმეებშიც აფათურებდა ხელებს სსრკ.

სსრკ-ის გარეგნულ სიძლიერეში დიდი შინაგანი სისუსტე იმალებოდა. ერთსა და იმავე სისტემაში შეუძლებელი იყო დიდხანს დარჩენილიუენენ ისეთი ძირეულად განსხვავებული ქვეყნები, როგორიც მაგალითად, უნგრეთი და ვიეტნამია. ეს შინაგანი წინააღმდეგობა, ადრე თუ გვიან, სსრკ-ს გამოლღნიდა და დაშლიდა. სსრკ-ს ის დაემართებოდა, რაც ეველა პიროვნული იმპერიის ხეიდრი იყო. არსებობდა, სსრკ-ის დაშლა მაშინ დაიწყო, როცა მისი შემქმნელი სტალინი გარდაიცვალა. მაგრამ ეს ვერ გავაცნობიერეთ და კრძალვითა და თრთოლვით შევეურებდით სახელმწიფოთა უზარმაზარ სისტემას, გაშლილს ევროპის

შუაგულიდან წუნარ ოკეანემდე, ციმბირიდან მაღალიზიამდე. ისე დაგვემართა, როგორც ანდაზაშია ნათქვამი: შეშინებული ძაღლი სამ წელიწადს ჯირკს უეფდაო.

დღეს ვხედავთ, რომ მსოფლიო ისტორიული პროცესის ხუთივე ნაკადი (დეკოლონიზაცია, ცივი ომი, ეკონომიკური შეჯიბრი, ბრძოლა ჩინეთისათვის, ჰიროშინის იმპერიის სიძაბუნე) თურმე ერთ გარდაუვალ შედეგში იყრიდა თავს – სსრკ-ისა და სოციალიზმის დაშლა-რღვევაში. ქართულ პოლიტიკურ აზრს ხსენებული პოლიტიკური პროცესების მდინარება რომ თავის დროზე შეემჩნინა და შედეგი განეჭვრიტა, ჩვენ ბევრ საბედისწერო შეცდომას გავუქცევოდით, მსხვერპლიც ნაკლები იქნებოდა და თავისუფლება-დამოუკიდებლობას დღეს საფუძვლიანად მომზადებული შევხვდებოდით. არ დაგვარგავდით იმ დროს, რაც თავისუფლება-დამოუკიდებლობის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო საფუძვლების მომზადებას სჭირდებოდა. მაგრამ უძწეონი აღმოჩნდით. ისტორიის მსვლელობას ალღო ვერ ავუღეთ. ვერც მომზადება მოვასწარით. თავი მხოლოდ იმით შეგვიძლია ვინუგეშოთ, რომ ეს ვერც სსრკ-ში მოსახლე სხვა ხალხებმა მოახერხეს. ისინიც პოლიტიკურად და ეკონომიკურად სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდნენ სსრკ-ის ნანგრევებში.

მართალია, ამ საკითხებზე ღაპარაკი ამჟამად ძალიან დაგვიანებულია, მაგრამ თუ გავისხენე მხოლოდ იმიტომ, რომ მეთქვა – თუ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები საქართველოს (ეველა მოკავშირე რესპუბლიკის) სასარგებლო იყო პოლიტიკურად, ეკონომიკურად საშიში და სახიფათო აღმოჩნდა. ამ პროცესებმა ძირფესვიანად დაანგრის ბველი ეკონომიკური სისტემა, მაგრამ ჯერჯერობით საფუძველი ვერ ჩაუყარეს ახალს. ახლა ამოცანა ის გახლავთ, რომ როგორმე ეკონომიკური პროცესი ვმართოთ და ახალი, ანუ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური სისტემა ავაშენოთ.

პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება არ ნიშნავს ქართული სახელმწიფოს აშენებას. ქართული თავისუფალი სახელმწიფო მაშინ აიგება, როცა ეკონომიკური პრობლემები მოგვარდება. უოველგვარი თავისუფლება, მძლავრი ეკონომიკის თვინიერ, სიცრუეა, თავისთავის მოტყუებაა. ქართველ ხალხსაც უმთავრესი და ურთულესი ბრძოლა წინ აქვს: ბრძოლა ეკონომიკური მოწეოზისათვის. ამ ბრძოლას ვერც მიტინგებით, ვერც დემონსტრაციებით, ვერც მანიფესტაციებით, ვერც გაფიცვებით და ვერც შიმშილობების გამოცხადებით, ვერც დაუმორჩილებლობით ვერ მოვიგებთ. ჰირიქით, გამოუვალ და სასტიკ ეკონომიკურ ქაოსში ჩავეარდებით, რასაც შეიძლება თავი ვეღარც დავალწიოთ.

ეკონომიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის მოგება ერთადერთი გზით შეიძლება: თავდადებული შრომით, რკინის დისციპლინით და მოთმინებით. სხვა საშუალება ეკონომიკური კრიზისის მოგვარებისა კაცობრიობის ისტორიამ

არ იცის.

ქოხი რომ ქოხია, იმის აშენებასაც სჭირდება ჭკუა, ფული და დრო, რაღა ითქმის სახელმწიფოს მშენებლობაზე? ღმერთმა ნუ ქნას, რომ ისე დაგვემართოს, როგორც ერთ ძველ ანეკდოტშია.

კოლმეურნეობაში კრება მოიწვიეს. თავმჯდომარემ შეკრებილ ხალხს მოახსენა: ზემდგომმა ორგანოებმა ამოცანა დაგვისახეს – ან უნდა ავაშენოთ ბოსელი, ან – კომუნიზმი. ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, რომლის მშენებლობას შევუდგეთო.

წამოდგა ხანდაზმული გლეხი და სიტყვა ითხოვა.

– ბოსელი რომ ავაშენოთ, – თქვა მან, – ამისათვის საჭიროა ფიცარი, აგური, კირი, უავარი, კრამიტი, ისლი. ესენი ჩვენ არც ერთი არ გვაქვს. არც ის ხუროები გვეყავს, ვინც იცის ბოსლის აშენება. ფულზეც ქესატად ვართ. კომუნიზმის აშენებას არაფერი ეს არ სჭირდება. ამიტომ უფრო გონივრული იქნება, ბოსლის აშენებას თავს თუ დავანებებთ და კომუნიზმის მშენებლობას შევუდგებოთ.

ღმერთმა აგვაძოროს ეს საფრთხე. მაგრამ სულხან-საბა ორბელიანი ბრძანებს: ღმერთი იმას არ შველის, ვინც ხელს არ ანძრევსო. დღევანდელ ვითარებაში ხელის განძრევა მარტო თოხის მოქნევას ან ტრაქტორის მართვას არ ნიშნავს. იგი უპირველესად გულისხმობს ნათლად და დეტალურად გააზრებულ ეკონომიკურ პროგრამას.

ამ ცოტა ხნის წინათ ტელევიზიით გამოსვლისას ვთქვი: ჩვენ დღეს სოლომონ ისაკიჩი მეჯღანუაშვილის მდგომარეობაში ვართ-მეთქი. ეს სიტყვები ზოგიერთს საწყენად დაურჩა თურმე: მეჯღანუაშვილს შეგვადარაო. ჯერ ერთი, სოლომონ ისაკიჩთან შედარება რატომ არის საწყენი? მეორეც: მერწმუნეთ, ფიქრდაც არ გამივლია ვისიმე გულისტკენა. უბრალოდ, ვითარება მინდოდა წარმომედგინა. ისე, გულახდილი თუ ვიქნებით, უფრო მართალი იქნებოდა მეთქვა: ბევრად უარეს მდგომარეობაში ვართ, ვიდრე ლავრენტი არდაზიანის პერსონაჟი იყო.

დააკვირდით:

სოლომონ ისაკიჩის დროს ძეარი ეკონომიკური სისტემა არსებობდა. იგი ნელა, მაგრამ ბუნებრივი და სწორი მიმართულებით ვითარდებოდა. დღეს არავითარი ეკონომიკური სისტემა არ არსებობს. ძველი, სოციალისტური დაინგრა, ხოლო ახალი, სოციალური საბაზრო ეკონომიკა, ჯერ არ შექმნილა. ამას დიდი დრო უნდა.

სოლომონ მეჯღანუაშვილი საკუთარი უნარის წყალობით გამდიდრდა. დახმარება არავისთვის უთხოვია. დადიოდა ბაზარში, ვარიებს ეიდულობდა, ოდნავ უმატებდა ფასს და ისევ ეიდდა. მოგებულ გროშებს ერთმანეთს აწყებდა. ასე თანდათანობით აგროვებდა სიმდიდრეს.

ერთი სიტყვით, მუარ ეკონომიკურ ვითარებაში მოქმედებდნენ მწარმოებელი (გლეხი, რომლისგანაც სოლომონი ვარაუბს უიღულობდა) – შუამავალი (სოლომონ ისაკიჩი) – და მომხმარებელი (იგი, ვინც სოლომონისგან იძენდა ქათმებს). კარვად მოგვსენებათ, ამ კომპონენტების (მუარი ეკონომიკური ვითარება, მწარმოებელი, შუამავალი, მომხმარებელი) თვინიერ წარმოუდგენელია სოციალური საბაზრო ეკონომიკა.

ეკონომიკური სისტემა რომ არ არსებობს, ეს უკვე ვთქვით. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ არც მწარმოებელია. შეიხედეთ დღეს სოკოებივით მომრავლებულ საკომისიო მაღაზიებში და თქვით: იპოვით კი თუნდაც ერთ ნივთს, რომელიც საქართველოშია დამზადებული? ეველაფერი უცხოეთიდან არის შემოტანილი ნაირ-ნაირი ვსებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამეულს (მწარმოებელი-შუამავალი-მომხმარებელი) აკლია საძირკველი – მწარმოებელი. ამის გამო შუამავალი და მომხმარებელიც ჰაერშია გამოკიდებული. ესენი არა თუ ეკონომიკას ვერ შექმნიან, მათი არსებობაც დიდად საუკუოა, იმიტომ, რომ მარტივი კანონზომიერება გვასწავლის: თუ არ იქნება მწარმოებელი, არ იქნება ეკონომიკაც.

მართალია, ერთი ჰიროფების – სოლომონ ისაკიჩი მეჯღანუაშვილის – გასამდიდრებლად, როგორც მწარმოებელი, ვარაუბის გამოიღველიც კმაროდა, მაგრამ საქართველოს ეროვნული დოვლათის შესაქმნელად მწარმოებელთა მთელი კლასის შექმნა აუცილებელია. როგორ შექმნათ მწარმოებელთა კლასი? აი, თავსატეხი კითხვა.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად, რა თქმა უნდა, პრივატიზაცია აუცილებელია. ხელისუფლებაც სწორად მოიქცა, როცა პრივატიზაცია წამოიწყო, მაგრამ როგორი გეგმით განვსჯორციელოთ იგი?

თუ გვინდა სოციალურ საბაზრო ეკონომიკას მუარი საძირკველი ჩაეყაროს, კერძო მფლობელს უნდა მიეცეს არა მარტო ჰაწია სადალაქო, არამედ ისეთი უზარმაზარი სამრეწველო ობიექტიც, როგორიც არის, ვთქვათ, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

ის ობიექტები, რაც სადალაქოს რიგში დგას, პირობითად მცირე პრივატიზაციას მივაკუთვნოთ. ის, რაც მეტალურგიული ქარხნის რიგში დგას, – დიდ პრივატიზაციას. მათდამი დამოკიდებულებაში არსებითი სხვაობაა. თუ მცირე პრივატიზაციის ობიექტები შეიძლება უფასოდაც გაიცეს (მაგალითად, მივცეთ ტაქსის მძღოლებს ავტომობილები. რატომ ვაუოვნებთ?), დიდი პრივატიზაციის ობიექტები აუცილებლად უნდა გაიყიდოს. ვერც ერთი სახელმწიფო, ეველანე მდიდარიც კი, კერძო მესაკუთრეს უფასოდ ვერ გადასცემს ისეთ ქარხნებს, როგორიც არის ქუთაისის საავტომობილო, თბილისის საავიაციო ან ელმავალმშენებელი, ფოთის გემთმშენებელი, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი და სხვანი მისთანანი. მით უმეტეს, ამას ვერ იზამს საქართველო. მაშინ ისედაც

ღარიბი ქვეყანა მთლად გაღატაკდება. მაგრამ არც გაუიდვის დაუფლება შეიძლება. ამან გამოიწვია აზრი, რომ დიდი პრივატიზაცია უფრო ადრე უნდა მოხდეს, ვიდრე მცირე, ან უკიდურეს შემთხვევაში პარალელურად მანც.

რატომ? ვეცდები დავასაბუთო.

ვისაც გლესებთან უსაუბრია, იგი უთუოდ დამეთანხმება, რომ გლესობა ერთგვარად დააფრთხო მიწის პრივატიზაციამ. არა იმის გამო, რომ მათ არ სურთ მიწის კერძო მფლობელნი იყვნენ. არა, ისინი შეაშინა იმან, რომ არ იშოვება არც თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო იარაღები, არც სასუქები, არც შხამქიმიკატები. გლესი დაჭკვდა: ვაითუ, მიწას ვერ მოუვაროო და უფრო წაგებულნი დაფრთხო. ვერ გაამტყუნებ. გლესკაცი ანგარიშიანია და ფრთხილი. ხელი-სუფლებას კი, უფულობის გამო, ჯერჯერობით არა აქვს საშუალება გლესობა მოამარაგოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის აუცილებელი საჭურველით.

თუ დიდი პრივატიზაციის ობიექტებს თავისუფლად გავეიდრით, მათ უმჭველად ბევრი შეიძლება გამოუჩნდებოდეს. სახელმწიფო ხაზინაში დიდძალი ფული შევიდოდა. ეს, ერთი მხრივ, ხელისუფლებას მისცემდა საშუალებას მეტნაკლებად მოეკარებინა ბევრი მტკიცეული საკითხი, ხოლო, მეორე მხრივ, მოქალაქეებს არ გაუუქმდებოდათ ის ფული, რაც ოჯახებში აქვთ შენახული. თუ შენახული ფული არ დაინარჯა ქვეყნის სასარგებლოდ, იგი სულ მოკლე ხანში მაკულატურად გადაიქცევა. პატრონებს მისი შხალერად გამოეყენება მოუწევთ. აუცილებლობა მოითხოვს და მალე საქართველოს საკუთარი ფული ექნება. გულითაც რომ მოინდომოს, ხელისუფლება ახალ ქართულ ფულს, დიდი რაოდენობით, ვერ გადაცვლის შინაგროვილ ძველ საბჭოურ ფულში. ამგვარი გადაცვლა ახალ ქართულ ფულს გააუფასურებს, ბოზად გადააქცევს. გადაცვლა მოხდება გარკვეული ოდენობით და ისიც იმ თანხისა, რომელიც ბანკებშია შეტანილი და შენახული.

ეს ერთი. მეორეც:

თუ დიდი პრივატიზაცია დაიგვიანებს, მცირე პრივატიზაცია სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს. დიდი პრივატიზაციის ობიექტები, როგორც კომუნისტური რეჟიმის დროს, ისე დღესაც, არ იქნებიან მომგებიანი. მოგვსენებათ, მაშინ (კომუნისტური რეჟიმის დროს) დიდი სამრეწველო ობიექტების უძრავლესობა გეგმას ვერ ასრულებდა და წაგებით მუშაობდა. მათ დანაკარგს, რისი ვაივაგლახით, ანაზღაურებდნენ იმ მოგებით, რასაც სოფლის მეურნეობა (ჩაი და ვენახი) იძლეოდა. თუ დიდი სამრეწველო ობიექტები, თუნდაც ერთხანს, ისევ სახელმწიფო საკუთრებად დარჩა, განმეორდება ძველი უთავბოლოება. ამას კი შეუძლია გამოიწვიოს ეკონომიკური კატასტროფა. ვერავითარი სოფლის მეურნეობა, ვერც კერძომესაკუთრული და ვერც საკოლმეურნეო, ვერ გაუძლებს დიდი სამრეწველო ობიექტების ზარალიან საქმიანობას. ზარალიან საქმი-

ანობას ვინდა ჩივის, როცა დღეს ეს სამრეწველო ობიექტები არსებითად გაჩერებულია.

ამას წინათ ვაზეთ „მანსში“ (1992 წ., №3) რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი გურამ ქაშაკაშვილი ჩიოდა: „მარშან 400 ათასი ტონის ნაცვლად 250 ათასი ტონა ჯართი მივიღეთ, წლეულს კი რაღაც 100 ათასი ტონა თუ შეგროვდება“. ვისაც საქართველოს ჩაის ჰლანტაციებში, ვენახებში, ველ-მინდვრებში უვლია, დამეთანხმება, რომ ეველაფერი ჯართით არის გავესებულ-გადატენილი. რას არ ნახავთ – მიტოვებულ ტრაქტორებს, მსუბუქი თუ სატვირთო ავტომანქანების მარებს, კაბინებს, ფერსოებს, დანგრეული ნაგებობების რკინის კონსტრუქციებს, სხვადასხვა ზომის მიღებს... ერთი სიტყვით, მთელი საქართველო ჯართად არის ქცეული. ოღონდ არ არის ადამიანი, ვინც ამას შეაგროვებს და სადაც ჯერ არს, იქ მიიტანს. ეველაფერი რომ შეგროვდეს, რაც ჩვენს ვენახებში, ხეხილის ბაღებში, ჩაის ჰლანტაციებში, ველ-მინდვრებში ურია, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, თუ მეტი არა, ერთი ათეული წლით მაინც იქნება უსრუნველყოფილი ჯართით. ალანის ველიდან რომ მოვევით და შავი ზღვისპირაში ვიაროთ, ამ ჯართის შეგროვებას სულ მცირე ორი წელიწადი მაინც დასჭირდება. ესეც იმ შემთხვევაში, შემგროვებელთა საგანგებო რაზმი თუ იმუშავებს და იქნება ფულიც და ტრანსპორტიც.

რამდენი განკარგულებაც უნდა გასცეს ხელისუფლებამ, ამ საქმეს მაინც არავინ ვაკეთებს. გამკეთებელი არავინ არის და იმიტომ. საქმეც მაშინ ვაკეთდება და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ბადალი სამრეწველო ობიექტებიც მომკვებანად მაშინ ამუშავდება, ისინი კერძო მფლობელის ხელში თუ აღმოჩნდებიან. სოციალისმმა ნათლად დაამტკიცა, რომ სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრეს, ეკონომიკის მართვა არ შეუძლია. კაპიტალისმმა კი დავარწმუნა, რომ ჰიროფენას, როგორც მესაკუთრეს, დიდი წარმატებით ხელეწიფება ეკონომიკის მართვა. ამიტომ დიდი ჰრივატიზაციის დაუფნება მომაკვდინებელია. უნდა ვიმოქმედოთ სწრაფად. რა თქმა უნდა, იმას არ ვამბობ, რომ ჩვენი მოქმედება ჰგავდეს თავრეტდასხმული კაცის საქციელს. მაგრამ ჩინებულად გაწვრთნილი სპორტსმენის სისწრაფე და სიზუსტე კი აუცილებლად გჭირდება.

ადამიანის ბუნებაც გასათვალისწინებელი განლაფთ. დიდი სამრეწველო ობიექტების (მათ უოფილ საბჭოთა მეურნეობებსაც მივათვლი) ხელმძღვანელებმაც და თანამშრომლებმაც კარგად იციან, რომ, ადრე იქნება თუ ვვიან, ამ ქარხნების, ფაბრიკების, მეურნეობების ჰრივატიზაცია მოხდება. ამიტომ მათ აღარავინ უვლის, ჰატრონობს (ცალკეული გამონაკლისი ვითარებას არ ცვლის). ჰირიქით: მიმდინარეობს ამ ობიექტების მარცვა-გლეჯა, გაჩანაგება. ის, რაც ეველასია, არავისი არ არის და ვინც რასაც მოასწრებს, ის მიაქვს სახლში. სანამ ისინი საბოლოოდ არ გაჰარტახებულა, ჩავაბაროთ ჰატრონს, ანუ გავეიდოთ.

ვინ იყიდის?

იქნებ თავად ქარხნის კოლექტივმა იყიდოს, იქნებ საგანგებოდ შექმნილმა კომპანიამ. არც იმის უნდა შეგვეშინდეს, რომ უცხოელმა კაპიტალისტებმა შეიძინოს. ბათუმში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის საქმიანობის მომკებიანად წასამართავად როტშილდი ნიკო ნიკოლაძემ მოიწვია. ამით საქართველოს არაფერი წაუგია. ერთხანს ჭიათურის მარგანეცს ჰარმინი ფლობდა. ამ კაცს არაფერი გაუფუჭებია იქ. ჰირიქით, ბევრი კარგი გააკეთა. უცხოეთშიც მიმართავენ ამგვარი გაუიღვის ჰრაქტიკას. აზიის ოთხი ეკონომიკური ვეფხვი – სამხრეთ კორეა, ტაივანი, სინგაპური, ჰონკონგი – ამ გზით გახდა მდიდარი და გადადილვამებული. კონტინენტური მილიარდიანი ჩინეთი შიმშილით რომ სულს ღაფავდა, მისი ჰაწია ნაწილი ტაივანი დოვლათში იხრჩობოდა. ტაივანელები მარტივად მოიქცნენ: რისი მოვლა-ჰატრონობაც არ შეეძლოთ, ის უცხოელებს მიჰყიდეს. უცხოელებმა (კერძოდ, იაპონელებმა) თავადაც ისარგებლეს და ტაივანელებსაც უშველეს. ამ გზას ადგას დღეს ტაილანდიც, მალაიზიაც, ინდონეზიაც. 1990 წელს ტაილანდში იაპონელები თურმე ყოველ ორდღენახევარში ერთ ფაბრიკას ხსნიდნენ („ზარუბეკომ“, 1992 წ., №7). ამ ოპერაციას „შტორმი“ ეწოდებოდა. ამ საქმიანობით ტაილანდი დიდად მოგებული დარჩა. სადაც არის იმ ოთხ ეკონომიკურ ვეფხვს დაეწევა და გვერდით ამოუდგება. საქართველოსაც იმგვარი შტორმი სჭირდება.

თუ ხალხმრავალ და დიდ ინდონეზიას არ ეთაკილება სხვისი დახმარება, ჩვენ რატომ უნდა გვერცხვინებოდეს? ნუ გავდებთ კუდს უავარსე დავით კლდიაშვილის ჰერსონაჟებივით. ისიც ნუ დაგვავიწუდება, რომ „როდესაც ქვეყანაში დამკვიდრებულია კერძო საკუთრების ინსტიტუტი, თანამედროვე გაგებით, და როდესაც უკვე საზოგადოება დინამიკური ცხოვრებით ცხოვრობს, მაშინ უველაფერი მობილურია. მაშინ იმოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ ერთი კანონი. ეს არის ეკონომიკური აქტიურობის კანონი. ჩვენმა წარსულმა გვიჩვენა XX საუკუნის 10-იან წლებში, როდესაც ქართველი კლესის სამეურნეო აქტიურობა გაღვივებულ იქნა, მან შეაწიწროვა არა მარტო კავკასიელი თუ მეზობელი არაქართველი ეროვნების წარმომადგენელი, არამედ ვერმანელებიც კი“ (მის. ნაწილი, კ.ზ. „ფავორიტი“, 1992 წ., 2. IV). ამდენად, უცხო საშიში არ არის.

მაგრამ ეს მომავალში იქნება. დღეს კი გვიჭირს. კატასტროფულად გვიჭირს. ადამიანები თვეობით ვერ იღებენ ხელფასებს, ჰენსიებსაც კი. ელვის სისწრაფით იხრდება ეველაფრის ფასები. არაფერს უწეის, როდის შეჩერდება ეს ზრდა. ჯამაგირების მატება კი ტაატით მიმდინარეობს. თუმცა ვერც ერთი ხელისუფლება ვერ მისცემს მოქალაქეს, დღევანდელ ეკონომიკურ ვითარებაში, იმ ხელფასს, რაც შეუჩერებელი მზარდ ფასებს განვადება. ხშირად გაიკონკრეტო ჩივილს – რუსეთში ცხრაასი მანეთი გახდა საშუალო ხელფასი, ჩვენ კი ხუთას მანეთს გვპირდებიანო. მართალია, ცხრაასი ხუთასს სჯობს, მაგრამ ახლანდელ

ფასებთან შედარებით ისიც გროშია. ჩვენი უბედურება ისიც არის, რომ რუსეთს საკუთარი ზარაფხანა აქვს, ჩვენ კი – არა. ბეჭდავს და ბეჭდავს ქალაქის ფულს და ნაცარივით აურის თვალში რუსეთის მოქალაქეებს. ჩვენ ეს ნაცარიც არ გავაჩნია. ქართული ფული უცხოეთში უნდა დაიბეჭდოს და ამაშიც მამასისხლს ითხოვენ.

უველაფერს ფული უნდა, ფულის დაბეჭდვასაც კი.

შეიძლება პროფესიით ეკონომისტს და ფინანსისტს ჩემი მსჯელობა სასაცდლოდ მოეჩვენოს, მაგრამ ის ხომ უველასათვის ცხადია, რომ სპეციალისტთა მკაფიო პასუხი სჭირდება კითხვას – რა გზით დავაღწიოთ თავი მძიმე ეკონომიკურ კრიზისს, რა ვადაა ამისათვის საჭირო, რამდენი ფული და როგორ ვიშოვოთ იგი?

ეკონომიკური რეფორმის გამარჯვებაზე და მოკიდებული საქართველოს ბედი. თუ ეკონომიკური რეფორმა დამარცხდა, საქართველო განწირულია. ეს უოველმა მოქალაქემ ღრმად უნდა გააცნობიეროს, თორემ ქართველმა, შიმშილის შიშით, შეიძლება ეროვნული თავისუფლების იდეაც კი შეიძულოს. ეს კი სრული კრახი იქნება.

როცა ამ ორი-სამი წლის წინათ ვიხვეწებოდი – პოლიტიკური ციებ-ციხელება ცოტათი დავიცხროთ, ეკონომიკის პრობლემებზე ვიფიქროთ, მასზე ვიზრუნოთ, მას მივხედოთ, რომ დამოუკიდებლობას, ეკონომიკური თავალ-საზრისით, მოუმზადებელი არ შევხვდეთ-მეთქი, კარგად მასსოვს ირონიული სახეები და პათეტიკური შემახილები – ოღონდ დამოუკიდებლობა მოვიპოვოთ და ბალახს შევჭამთ.

დღეს კი არავის სურს ბალახის ჭამა.

1992 წ., მაისი

ხეივანიანი ურჩხული

ქართული ეროვნული მოძრაობა დამარცხდა. ეს სიტყვები შეიძლება ზოგიერთს გაუკვირდეს: – როგორ? საქართველოს დამოუკიდებლობა ბევრმა სახელმწიფომ სცნო. ჩვენი ქვეყანა გაეროს წევრი გახდა. რა დამარცხებაზეა ლაპარაკი? ეველათფერი ეს მართალია, მაგრამ მოვლენები, რომელთა მხილველი და მოწმე მთელი საქართველოა, მამლევს უფლებას ვთქვა ეს მწარე სიტყვები.

ეროვნულმა მოძრაობამ ხუთთავიანი ურჩხული გააღვიძა. მისი მოკვლა ან დაშოშმინება კი ჯერჯერობით ვერ შეძლო. არც ის ვიცით, როდის მოახერხებს ამას. ურჩხულის ხუთივე თავი კი ცეცხლს აფრქვევს და შთანთქმით გვემუქრება – შინააშლილობა, ჩრდილოკავკასიელთა ინტერვენცია, სომალისაცია, ეკონომიკური ქაოსი, დაბნეულობა. იმის მაგიერ, რომ თავები მოგვეკვეთა, როცა ურჩხული თვლემდა, გამოფხიზლება ვაცალეთ და უმძიმეს ბრძოლაში ჩავებით. არადა, თანდათანობით რომ მიველოდით ეროვნული თავისუფლების გზას, ხუთივე თავს ისე წააფლიდით, ურჩხული გაღვიძებასაც ვერ მოასწრებდა. მაგრამ სხვა გეზი ავირჩიეთ და ახლა ვიმკით მის ნაუოფს.

შინააშლილობა: ქართველებს დღეს ხელში იარაღი გვიჭირავს. ერთმანეთს ვესვრით. ერთმანეთი გვძულს და სასიკვდილოდ გვემეტება.

მოულოდნელი იყო ეს შინააშლილობა თუ კანონზომიერად მოხდა იგი? ვიქნებოდით ან მეტი სმეტად მიაძიტები, ან მეტი სმეტად თვალთმაქცნი, თუ ვიტყოდით არ მოველოდით იმ ეროვნულ უბედურებას, რაც სამოქალაქო ომით გამოიხატა. იგი ბუნებრივი შედეგია ეროვნული მოძრაობის გათიშვისა და ურთიერთდაპირისპირების. საქართველო ვერ გაექცეოდა იმ მარტივ წესს, რაც ეველა ქვეყანაში, ეველა ხალხში და ეველა დროში მოქმედებს: თუ გაითიშება ამა თუ იმ მოძრაობის ხელმძღვანელობა, განიხლიჩება მთელი საზოგადოებაც, მთელი ერიც. რა დღესაც ეროვნული ფორუმი გაიუო, იმ დღიდანვე უდავო იუო და უეტველი, რომ ქართველი ხალხი ურთიერთდაპირისპირებას და ზოცვა-ქლეთას ველარ გადაურჩებოდა.

ეროვნული ფორუმის დაშლის შედეგად საქართველოში სამი პოლიტიკური ძალა გაჩნდა: კომპარტია და ეროვნული მოძრაობის გაყოფილი და დაპირისპირებული ორი ბანაკი. კომპარტია გაიტრუნა, აღარ აქტიურობდა. პოლიტიკური ბრძოლის ცენტრში ორ ბანაკად გათიშული ეროვნული მოძრაობა აღმოჩნდა. წამოვიდა პრესაში მტრობის, სიძულვილის, ცილისწამების, ლანძღვა-გინების ღვართქაფი. გუშინდელი თანამებრძოლნი ერთმანეთს აღარ ინდობდნენ. მიწასთან ასწორებდნენ.

კიდევ უფრო ვართუღდა მდგომარეობა 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ. 28 ოქტომბრის ხელისუფლებამ თავის ტუუპის ცალთან საერთო ენა ვერ გამოძენა. მორიგება-შეთანხმების ვსეები ვერ გამოჩანა. თავის თავს კი მომაკვდინებელი განაჩენი მაშინ გამოუტანა, როცა ორივე შეიარაღებული ძალა მოიმდურა, ჯერ „მხედრონი“ და მერე ეროვნული გვარდია.

არ არსებობს ხელისუფლება, რომელსაც მტერი არ ჰყავს. არც არასოდეს იარსებებს. ხელისუფლების ნიჭიერებაც და ძალაც მაშინ ვლინდება, როცა იგი ახერხებს რეშმანთან სასუბარს და, ვითარების გათვალისწინებით, მეგობრობასაც კი. ძნელი წარმოსადგენია უფრო დაუძინებელი მტრები, ვიდრე სტალინი და ჩერჩილი იუვენენ, მაგრამ გერმანიის წინააღმდეგ მანც გამოძებნეს ერთიანი სამოკავშირეო პოლიტიკის საფუძველი. ისინი მაშინაც მტრებად დარჩნენ, როცა ანტიგერმანულ კოალიციაში ერთმანეთის გვერდიგვერდ იხსდნენ, მაგრამ, რაკი ორივე ღმერთს პოლიტიკოსის ნიჭით დაეჯილდოებინა, ისიც იცოდნენ – მთელ მსოფლიოს მეგობრებად როგორ ჩვენებოდნენ. ეს პოლიტიკური ისტორიის ბრძნული გაკვეთილია, მაგრამ მის ათვისებას ჭკუა სჭირდება. სამწუსაროდ, ჭკუის შექენა შეუძლებელია. იმ ჰატარს კოლოფში, თავის ქალას რომ ეძახიან, ღმერთმა რაც ჩადო, ჩადო. ვერც ვერაფერს მიუმატებ და ვერც ვერაფერს მოაკლებ.

ჩრდილოკავკასიელთა ინტერვენცია: მაშინაც საბედისწერო შეცდომა დავუშვით, როცა აფხაზთა და ოსთა ანტიქართული ამბოხებანი ეთნოკონფლიქტებად მოვნათლეთ. იმთავითვე უნდა მივმხვდარიყავით, რომ ეს იყო ჩრდილოკავკასიელთა ინტერვენციის სიგნალი, რაც მერე ფართო მასშტაბს მიიღებდა.

რატომ ვამბობ ამას?

ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩრდილოკავკასიელთა ინტერვენცია ჩვეულებრივი ამბავია საქართველოს გრძელ ისტორიაში.

გაიხსენეთ ვანტანგ კორკასალის ბრძოლა ოსთა წინააღმდეგ, როცა ისინი დარიალის ხეობით მოძვრებოდნენ და საქართველოს მთიანეთს აწიოკებდნენ.

გიორგი ბრწყინვალემ მონღოლები უფრო იოლად განდევნა საქართველოდან, ვიდრე ოსები შიდა ქართლიდან. თავგანწირული ბრძოლა

დასჭირდა ამას.

1918-21 წლებშიც გვიმუხთლეს ოსებმაც და აფხაზებმაც. მათ აჯანყებანი მოაწვეეს და ბოლშევიკურ რუსეთს ეპატიებოდნენ საქართველოში.

ამასწინათ, ერთმა ძალადი თანამდებობის ოსმა გაიხსენა: ქართველებსა და ოსებს დინასტიური მოუფრობაც გვაკავშირებსო. მართალია ეს, მაგრამ უფილი დინასტიური მოუფრობა მეგობრობის გარანტია არ არის. არ არსებობს უფრო დიდი დინასტიური მოუფრობა გერმანელებსა და რუსებს რომ აკავშირებთ, მაგრამ არც არავის უუყუაუთ ერთმანეთი ისე დაუზოგავად, როგორც რუსებსა და გერმანელებს.

ლექიანობაც მოვიგონოთ. სპარსეთისა და თურქეთის მუდმივ შემოსევებს არ გაუპარტახებია და დაუქცევია ისე საქართველო, როგორც ეს ლექიანობამ გააკეთა.

სტამბოლის, ალექსანდრიის თუ დამასკოს მონათა ბაზრებზე გაუიდულ ქართველთა ნახევარზე მეტი ჩრდილოკავკასიელთა მოპარულ-მოტაცებული ადამიანები იუვნენ.

ისტორიამ ჩრდილოკავკასიელის ცნობიერებაში საქართველო დაამკვიდრა საალაფო და საქურღალ ადგილად. ისიც სამარცხვად მოემუხრება ჩვენსკენ, როგორც კი ამის საშუალება მიეცემათ. ამას არა მარტო ძველი ისტორია გვიდასტურებს, არამედ ახალიც. 1918 წელს მაიკოპში აფხაზი ბოლშევიკი რუსებსა და ჩრდილოკავკასიელებს ეხვეწებოდა: აფხაზეთში უამრავი ხილია, სურსათ-სანოვავე. ამას უველაფერს თქვენ მოგცემთ, ოღონდ დაგვეხმარეთ და ქართველები გაგვაურევინეთო (ჯ. გამახარია—, „ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან“, 1991 წ., გვ. 59-60). დღესაც ხომ ქართველთა სახლებსა და კარ-მიდამოს ჰპირდებიან ჩრდილოკავკასიიდან გამოგზავნილ აფხაკებს?

მეორეც იმიტომ, რომ არსებობს ისტორიული სამშობლოს ნოსტალგია, ისტორიული სამშობლოს ანდაპატი, რომელიც გიზიდავს. ჩვენში ხიზნად-მოსულ აფხაზსაც და ოსსაც ქვეცნობიერად ეძახის ჩრდილოკავკასიური ისტორიული სამშობლო. ისინიც ბუნებრივად მიილტვიან მისკენ. მაგრამ არც ის მიწა-წყალი ეთმობათ, რომელიც მათ უკანონოდ და უსაფუძვლოდ მიითვისეს. ალაფით, ანუ ქართული ტერიტორიით, უნდათ მინ დაბრუნება. ეს უოველი მარბიელი ტომის თვისებაა.

მესამეც იმიტომ, რომ დამარცხებულის ბოღმა და სიძულვილი მოერკება საქართველოსაკენ ჩრდილოკავკასიელებს.

ოღესლაც დღევანდელი სამხრეთ რუსეთის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე სხვადასხვა მრავალრიცხოვანი ხალხები ცხოვრობდნენ: ალანები, ჰაჭანები, სკვითები, ეიფალები, ხაზარები. ჩრდილოკავკასიელები მათი შობამა-მავალნი არიან. რუსთა გაძლიერების შემდეგ, ის ძველი ხალხები თანდათან გაქრნენ ისტორიის ანპარეზიდან. მათი მემკვიდრეები კი ჩრდილოკავკასიიდან

კალთებზე აღმოჩნდნენ მიჭყლეტილი, მათ სრულიად ბუნებრივად გაუჩნდათ დამარცხებულის ბოღმა და სიძულვილი. ეს ბოღმა და სიძულვილი უნდა ამოიფრქვას, თორემ გაგუდავს, დაახრჩობს მის მატარებელს. სულ ერთია ეს მატარებელი ცალკეული ჰიროვნება იქნება თუ მთელი ერი. რუსთა წინააღმდეგ ვერ ამოიფრქვევა ვერც ბოღმა და ვერც სიძულვილი. რუსეთი ძლიერია და თუ რაიმე გაუბედა, გამძვინვარებული ერთხელ და სამუდამოდ მოსწაობს ჩრდილოკავკასიელებს. ამიტომ უფრო გონივრულია რუსეთს ელაქუცო, ხოლო ბოღმა და სიძულვილი ქართველებს გადაანთხო. საქართველო სუსტი და უძლურია დღეს. მის წინააღმდეგ ბრძოლა – მანიცდამანიც სასიფათო არ არის. შეიძლება კიდევ მოიგო რაღაც. ბუნებაშიც ასეა: როცა ღვარცოფი მოედინება, ჯებირს იქ არღვევს, სადაც იგი სუსტია.

სამხედრო ან პოლიტიკური კუთხით შედარებით იოლად შეიძლება აფხაზთა, ოსთა და ჩრდილოკავკასიელთა დამარცხება, მაგრამ რა მოერევა მათ გულში აბობოქრებულ სიძულვილსა და ბოღმას?

ვაჟა-ფშაველასაც ეშინოდა ამ ბოღმა-სიძულვილის. სტუმარ-მასწინძლობის წესით ეიმედებოდა მისი დათრგუნვა.

ვაჟაკობისას ამბობენ,
ერთ-ერთის დანდობისას,
სტუმარ-მასწინძლის წესზედა
ცნობის და დაძმობისასა.

საუბედუროდ, ბოღმა-სიძულვილის მორევა არც სტუმარ-მასწინძლობის წესით შეიძლება და არც კავკასიური ქოხით თუ ფაცხით.

რა დიდი ლილარიც უნდა გვქონდეს, კავკასიური ფაცხის შექმნა შეუძლებელია. თავისი ნებით, საკუთარი სურვილით სომეხი და აზერბაიჯანელი ერთ სახელში არასოდეს იცხოვრებს. იმდენად მძლავრია ერთმანეთისადმი სიძულვილი, რომ მის დაძლევას ვერც ერთი მოახერხებს და ვერც მეორე. დავანებოთ თავი ამიერკავკასიას. ჩრდილოკავკასიელებს კი შეუძლიათ ერთ სახელმწიფოდ ცხოვრება? ოფიციალური ისტორიის მონაცემებით ჩრდილოკავკასიაში სამი მოდემის ხალხი ცხოვრობს: კავკასიური (ჩერქეზები, ანუ ადიღეუბარდოელები, ჩეჩენ-ინგუშები), თურქული (ყარაჩაელები-ბალყარელები) და ირანული (ოსები). დაღესტნელებს ქართველები ვარწმუნებთ კავკასიელები ხართო, თორემ თავად თავიანთ თავს ხაზარების შთამომავლად თვლიან. თუ ასეა, ისინიც თურქული მოდემისანი უოფილან, რაკი ხაზარები თურქული ჯიშის ხალხი იყვნენ.

ჩრდილოკავკასიელ ხალხთა ენებიც სწვადანსვა ენობრივ ოჯახებს ეკუთვნიან.

არც ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ცხოვრობენ ისინი ერთად. ერთი ხალხი – ადიღეულები, ებარდოელები, ჩერქეზები

– სამად არის გაუოფილი და სამ ადმინისტრაციულ ერთეულში ცხოვრობენ. ადიდელები ცალკე, თავისიანებს მოწვევითი და რუსებით ვარშემორტეპული. მათ საერთო სახლვარი არც უარხაი-ჩერქესებთან აქვთ და არც უბარდობალებურებთან. ჩერქესები უარხაილებთან ერთად ცხოვრობენ ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში. მათ ერთმანეთი სძულთ და იმ დღეზე ოცნებობენ, როდესაც გაიურებიან. ასეთსავე დღეში არიან უბარდობელები და ბალებურელები. ისინიც ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში ცხოვრობენ და მათაც ერთმანეთი სძულთ. ბალებურელებს უარხაილებთან შეერთება უნდათ, ხოლო უბარდობელებს – ადიდე-ჩერქესებთან. ეს შეერთება უსისხლოდ არ მოხდება.

ოსებიც და ჩერქენ-ინგუშებიც ძალიან იღვესავენ კბილებს ერთმანეთზე. არც მათი ურთიერთობა დამთავრდება მშვიდობიანად.

ერთადერთი, რაც ჩრდილოკავკასიელებს საერთო აქვთ, რელიგიაა – ისლამი. მაგრამ ერთიანი სახელმწიფოს შესაქმნელად, თუნდაც კონფედერაციული ტიპისა, მარტო რელიგია არ კმარა. ერთიანობას ერთი ენაც სჭირდება და ისტორიულ-კულტურული ტრადიციაც. ჩრდილოკავკასიელების ურთიერთ-მაკავშირებელი ენა ამჟამად რუსულია. ჯერჯერობით სხვა ენას რუსულის შეცვლა არ შეუძლია. წარმოიდგინეთ რა სუბურთი იქნება ჩრდილოკავკასიელის თავში, როცა იგი სკოლაში რუსულად ისწავლის (თუ სახელმწიფოს ენა რუსული იქნება, განათლების ენადაც რუსული დარჩება) და მეჩეთში არაბულად ილოცებს (მუსლიმანობის ოფიციალური ენა არაბულია).

ასე რომ, ჩრდილოკავკასიური ერთიანი სახელმწიფო ან კავკასიური ქოხი შეიძლება ტკბილი ოცნებაა, მაგრამ უოვლად უნადავო.

ისიც ვასათვალისწინებელი განლაგა, რომ სამუაროში უოველ არსებას არსებობის საკუთარი ფორმა აქვს. სხვისი ფორმით ვერ იარსებებს. ისე იც ვერ იცხოვრებს, როგორც ქათამი ცხოვრობს. ვერც თხა იცხოვრებს ისე, როგორც ირემი ცხოვრობს. მგელიც ვერ მოახერხებს ისე ცხოვრებას, როგორც ძაღლი ცხოვრობს. ხალხებიც ასეა. ეველას არსებობის თავისი ფორმა აქვს. რამდენი ძაღლი და ღონე დახარჯეს ბოლშევიკებმა, რომ ბოშებს ერთ ადგილას ეცხოვრათ და ხეტიალისათვის თავი დაენებებინათ. არაფერი გამოვიდა. მოხეტიალე ცხოვრება ბოშების არსებობის ფორმა. ისინი ამას არ დათმობენ.

ჩრდილოკავკასიელებსაც არსებობის თავისი ფორმა აქვთ. მათ არასოდეს უცხოვრიათ ერთ სახელმწიფოდ და ვერც მომავალში იცხოვრებენ. ეს ეწინააღმდეგება მათი არსებობის წესს.

ქართველები, ცხადია, უნდა ვეცადოთ, რომ ჩრდილოკავკასიელებთან ნორმალური მეზობლური ურთიერთობა გვქონდეს. მაგრამ თავი ცრუ იმედით არ უნდა მოვიტეუოთ. ისინი ჩვენ არ შეკვიპუარებენ. მშურად არ მოგვექცევიან. პოლიტიკაში ერთი ურუევი კანონი არსებობს: უუვართ ის, ვისიც ეშინიათ. თუ

ჩრდილოკავკასიელებს, აფხაზებს, ოსებს ქართული სახელმწიფოს შიში არ ექნათ, მაშინ ისინი ჩვენს რბევა-აწიოკებას არ შეწყვეტენ. მათი ქართველთადმი სიმულვილი ქართველთადმი შიშმა უნდა დათრგუნოს. მოგვწონს თუ არ მოგვწონს ეს, ასეა. ამ კანონზომიერებას ვერსად გავექცევით.

მეოთხეც იმიტომ, რომ ომი, რომელიც ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა შორის დაიწყო, არ არის მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის. იგი ნაწილია მომავალი დიდი საერთაშორისო კონფლიქტისა, რომელიც მზადდება ქრისტიანობასა და მაჰმადიანობას შორის.

დააკვირდით: იუგოსლავიაში ქრისტიანი და მუსლიმანი მოსახლეობა ეომება ერთმანეთს; სომხეთ-აზერბაიჯანში ქრისტიანები და მუსლიმანები ებრძვიან ერთმანეთს; ტაჯიკეთში მაჰმადიანი ფუნდამენტალისტები იბრძვიან ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად; ქართველებს, როგორც ქრისტიანებს, ჩრდილოკავკასიელი მუსლიმანები ეომებიან.

თუ დამარცხდება საქართველო და სომხეთი, მაშინ მოხდება უოფილი სსრკ-ის მუსლიმანური ნაწილისა (ჩრდილოკავკასია, აზერბაიჯანი, ვოლგის-პირეთი, შუა აზია-ყაზახეთი) და დანარჩენი მაჰმადიანური სამეაროს (თურქეთი, ირანი, ავღანისტანი, არაბული სახელმწიფოები, პაკისტანი) გაერთიანება. ქრისტიანული ევროპა და რუსეთი აღმოჩნდება უზარმაზარი მუსლიმანური ოკეანის პირისპირ. რა შედეგი მოჰყვება ამ ორი ბანაკის ომს, უოველი ჭკუათმეოფელი კაცისათვის იოლი წარმოსადგენია.

არ უნდა მოვტუვდეთ, უნდა მივხვდეთ: აფხაზეთში ქართველები და აფხაზები არ ებრძვიან ერთმანეთს. აფხაზეთში ქრისტიანები და მაჰმადიანები ებრძვიან ერთმანეთს (შემთხვევით არ გამაგრებულან ისინი გუდაუთის რაიონში, სადაც მაჰმადიანი აფხაზობა ცხოვრობს. შემთხვევით არ არიან ჩრდილოკავკასიელი მოთარეშეები მწვანე ჭინჭებით თავწაკრულნი. შემთხვევით არ დამრწიან ჩრდილოკავკასიელი და აფხაზი ემისრები თურქეთში). ეს მცირე რეპეტიციაა, ისე როგორც იუგოსლავიაში და სომხეთ-აზერბაიჯანში მიმდინარე ომი, მომავალი დიდი მსოფლიო საგრობისა. ამიტომ, ვისაც სურს, გზა გადაულობოს არნახულ და არგაგონილ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტას, გულისეურით უნდა მოეკიდოს აფხაზეთის მოვლენებს და მისი არსი ამოიცნოს. როგორც უოველთვის. ამ ომითაც საქართველო ქრისტიანულ სამეაროს იცავს.

სომადიზაცია: აღმოსავლეთ აფრიკაში ინდოეთის ოკეანის ნაპირად, ეთიოპიისა და კენიის მეზობლად მდებარეობს ქვეყანა, რომელსაც რუსეთში ეძახიან სომადი-ს, ხოლო ევროპა-აფრიკაში – სომადია-ს.

ამ რამდენიმე ხნის წინათ დიდი უბედურება დატრიალდა სომადიაში. ხალხმა საკუთარი ქვეყნის მარცვა-გლეჯას მოჰკიდა ხელი. იპარავდნენ ეველაფერს, რაც ხელთ მოხვდებოდათ. ისარგებლეს ხელისუფლების სისუსტით და პირწმინდად გაქურდეს რკინიგზები, ავტოვაგზლები, ფოსტა-ტელეგრაფე-

ბი, ფაბრიკები, ქარხნები, სკოლები, საავადმყოფოები, საწარმო-დაწესებულებები. არც კერძო ჰირი დაინდეს და არც სახელმწიფო. ეველაფერს ეზიდებოდნენ შინ და მერე კონტრაბანდულად მეზობელ ქვეყნებში გაჰქონდათ.

ეველაფერი მოიშალა სომალიაში. ველარ მკზავრობდნენ სოფლიდან სოფლად, ქალაქიდან – ქალაქად. აღარ იყო ვზა. აღარ იყო ტრანსპორტი. სნეულს აღარ შეეძლო სასწრაფო დახმარების გამოძახება. აღარ მუშაობდნენ ტელეფონები. აფთიაქებში აღარ იმოვებოდა წამლები. მალაზიაში აღარ იყიდებოდა საქონელი. ველარ მუშაობდნენ ფაბრიკა-ქარხნები. ველარ უეურებდნენ ტელეკადაცემებს, კინოფილმებს. ელექტროენერჯიის უქონლობის გამო შეუძლებელი გახდა ტელევიზიისა და კინოთეატრების საქმიანობა. კულტურულ ცხოვრებას ვინღა ჩივის. აღარ ცხვებოდა ჰური. აღარ მზადდებოდა სურსათ-სანოვარე. დაინგრა სოფლის მეურნეობა, მრეწველობა.

სომალიაში ტოტალური შიმშილობა დაიწყო. სოფლებში, დაბებსა და ქალაქებში, მოედნებსა და ქუჩებში ევარა შიმშილით დახოცილი ადამიანები. ჭირისუფალნიც კი არსად ხანდნენ, რომ მიწისათვის მიკბარებინათ გვამები. თაკარა მზის ქვეშ იხრწნებოდნენ ისინი. მთელ სომალიას ეზიდემიები მოედო. ვინც შიმშილს გადაურჩა იმას სნეულება უღებდა ბოლოს.

კაცობრიობა შეაძრწუნა სომალიის უბედურებამ. სხვადასხვა მხრიდან უწევტ ნაკადად დაიძრა სომალიისაკენ ჰუმანური დახმარება. ველარაფერმა უმველა. სომალიის ტრაგედია კრძელდება: ქაოსი, შიმშილი, ეზიდემია მუსრავს სომალიელებს. არავინ უწეის, მოხერხდება თუ არა ამ ჰროცესის შეჩერება.

საქართველოს ლიბანჩიზაცია უკვე მოხდა. ახლა სომალიზაციაც ემუქრება მას. საქართველოს მოსახლეობაც მარცვავს თავის თავს. განუკითხავად იზარავენ ეველაფერს – ნემსით დაწეებული ადამიანით დამთავრებული. გაზეთი „ჰორიზონტი“ (1992 წ., 18 სექტემბერი) გაოცებული სვამს კითხვას – „რძედმდე უნდა ვძარცვოთ საკუთარი თავი დოლარისათვის?“ ამ კითხვას ერთი ზასუსხი აქვს: მანამ, სანამ სომალიის დღეში არ ჩავვარდებით. ასეთია ამ ავადმყოფობის თვისება და იმიტომ. მისი შეჩერება მხოლოდ ძლიერ ხელისუფლებას შეუძლია. მან უნდა აღკვეთოს იგი. თუ ხელისუფლება ვერ შეჩერებს სომალიზაციას, მაშინ საქართველოს მომავალი მავ ბურუსში იქნება გახვეული. ვერც ერთი ქვეყნა დედამიწის ზურგზე ვერ გაუძლებს ერთდროულად ლიბანჩიზაციასა და სომალიზაციას.

ეკონომიკური ქაოსი: არჩევნები დამთავრდა, ეოველ გონიერ ადამიანს მაშინვე ეცა თვალში ერთი რამ: კომუნისტებმა უბრძოლველად დათმეს ხელისუფლება. რატომ? ნაირ-ნაირი ვარაუდი გამოითქვა. ერთი მათგანი გაზეთ „სარანგშიც“ (1992 წ., №9) დაიბეჭდა:

„როცა არჩევნები (ლახარაკია 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებზე – ა.ბ.) შეჯამდა და „მრგვალმა მაგიდამ“ ასეთ წარმატებას მიაღწია, სულ

ფიქრობდი, რომ ეს იყო მაშინდელი ხელისუფლების წინასწარგანზრახული სვლა. მან დაუშვა პრინციპი: „გიჟი მიუშვი ნებასა...“ რატომ? „მრგალი მაგიდის“ სიებში უმრავლესობა გაუნათლებელი და არაპროფესიონალი ვადიოდა. როგორც ეველა სტიქიურ მოძრაობაში, აქაც ბევრი იყო მიტმასნილი. ეს ძალიან ძალე გაირკვა და დამტკიცდა“.

შეიძლება ეს დაკვირვება მართალიც იყოს, მაგრამ არსებითი და მნიშვნელოვანი მაინც სხვა მგონია. კერძოდ, ეკონომიკური ვითარება. 1990 წლისათვის საქართველოს ეკონომიკა უკვე მთლიანად განადგურებული იყო. მისი აღდგენა და ფეხზე დაყენება კომუნისტურ ხელისუფლებას აღარ შეეძლო. სულ ცოტაც და კომუნისტური რეჟიმი სოციალისტური ეკონომიკის ნანგრევებში აღმოჩნდებოდა გასრესილი და გაცატკვერებული. ასე რომ არ მომხდარიყო, კომუნისტებს ძალაუფლება უნდა დაეთმოთ. ქართული ეკონომიკის ძირფესვიანად დამწალი შენობა სხვისთვის გადაელოცათ. მარტივად იანგარიშეს: როცა ეკონომიკური კატასტროფის შედეგი ეველასათვის ცხადი გახდებოდა, ხალხის ლიანგი, გულუბრველობის გამო, ნამდვილ დამნაშავეს კი არ დასდებდა ბრალს, არამედ უდანაშაულოს, მაგრამ ძალაუფლების მჭერობელს. ასეც მოხდა: ის ეკონომიკური სიდუხჭირე, რაც დღეს საქართველოში მძინვარებს, კომუნისტურ რეჟიმს კი არ ბრალდება, არამედ ეროვნულ მოძრაობას.

ვაჩეთი „თბილისი“ (1992 წ. 4 სექტემბერი) ოხუნჯობდა:

„--ამბერკია, კომუნისტებმა რა დაგიშავეს ასე რომ ლანძღავ?!

– ამაზე მეტი რა უნდა დაეშავებინათ, თურმე კომუნიზმში ვიყავით და მაგენი გვიძალავდნენ“.

ნათქვამია: საჯავახოური ხუმრობა ნახევარი მართალიაო.

სოციალისტური ეკონომიკა ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა. არც 28 ოქტომბრის და არც 6 იანვრის ხელისუფლებას მისი უცბად შეცვლა ახალი ეკონომიკური სისტემით არ შეეძლო. ეს შეცვლა დიდ დროსაც ითხოვს, მოთმინებასაც და გამოცდილება-ცოდნასაც. რაც მთავარია, თანდათანობითობას და ნაბიჯ-ნაბიჯ სიარულს წინ. მაგრამ ეს არ ხერხდება. მას ხელს უშლის და უოველგვარად აბრკოლებს კომუნისტური რეჟიმის დროს ჩამოყალიბებული კლენტოკრატია. კომუნისტურმა კლენტოკრატამ ოსტატურად მოახერხა შეზარულიყო და მოკალათებულიყო როგორც 28 ოქტომბრის, ისე 6 იანვრის ხელისუფლებაში. რაკი ეკონომიკური საქმიანობის სადავეები ისევ ხელთ იკეთო, ცხადია, თავისუფალი ეკონომიკური ბაზრის ჩამოყალიბებას ეველა საშუალებებითა და ხერხით წინ ეღობება. ძველი, სოციალისტური ეკონომიკა აღარ არსებობს. ახალი, კაპიტალისტური კი ვერ ეალიბდება. საქართველოს ეკონომიკა ერთ ადგილას აბუქსავდა და მისი სრული რღვევა მიმდინარეობს. თუ დაუფუქრებთ ვახეთ „ზიუდდოიჩე ცაიტუნგს“ (1992 წ., 6 ივლისი), 1991 წლის მანძილზე, უოფილი სსრკ-ის მოკავშირე რესპუბლიკებიდან ეველასე

მეტად საქართველოში დაცემულა ეკონომიკა – 25%-ით. ამავე პერიოდში, თურქმენეთში ეკონომიკა დაქვეითებულა მხოლოდ 0,6%-ით. უმძიმეს და ურთულეს ვითარებაში მყოფ სომხეთში კი – 11,8%-ით. ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ხომ მრავალგზის უარესია.

როცა ვერც 28 ოქტომბრისა და ვერც 6 იანვრის ხელისუფლებამ საქართველოში ეკონომიკური ქაოსის დამშვიდება ვერ მოახერხა, საქართველოს ყოფილი კომპარტია, ახალი სახელით – საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია – აქტიურად გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. კომპარტია ემპაკურად მოიქცა. ჯერ მან ქვეყნის პატრონის მძიმე ტვირთი მოიცილა. ეკონომიკურად გაცემტვერებული საქართველო მოხერხებულად შეაჩეხა ხელში 28 ოქტომბრის ხელისუფლებას, მერე კი იმ წუთს დაუცადა, როცა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მოლოდინით დაღლილი ხალხი აბუსღუნდებოდა. როგორც კი ხალხში მღელვარება და დრტვინვა დაიწყო, საქართველოს მშრომელთა სოციალისტურმა პარტიამ მოქმედების სტრატეგიული კურსი გამოაქვეყნა (გაზ. „სოციალისტი“, 1992 წ., 8 სექტემბერი), სადაც ნათქვამია:

„კერძო საკუთრება, პრივატიზაცია და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა ერთად აღებული მშრომელი საზოგადოებისათვის ბოროტების თაიგულია. ესაა უმუშევრობა, ინფლაცია, სიღატაკე, ექსპლუატაცია, მონობა, ეჩაღობა, ძარცვა-გლეჯა, მკვლელობა და მრავალი სხვა უსამართლობა და უკუღმართობა. თუკი მშრომელი საზოგადოება მობილიზებული არ იქნება თავისი სისხლ-ხორცეული ინტერესების დასაცავად, იგი უსათუოდ ახალ (მონურ) სისტემაში ჩავარდება“.

სსრკ-ში სოციალისტურ-კომუნისტური ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა არავის დაუმარცხებია. მან თავად მოუღო თავისთავს ბოლო. იგი შიგნიდან გამოიხრა და ფუტურო ხის დარად თავად წაიქცა. სოციალისტურ-კომუნისტური ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა დაიღუპა იმიტომ, რომ არ აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი. ვერ აჯობა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას. მასთან ბრძოლა პირწმინდად წააგო და შერცხვენილი გაეცალა ისტორიის ასპარეზს.

დღეს ეველამ იცის, რა მოხიბლავს ხალხს. იცის საქართველოს მშრომელთა სოციალისტურმა პარტიამაც. მის სტრატეგიულ კურსში ისე პარ-მონიულად არის ჩართული ვაჟას ციტატები, რომ ლამის წამოიძახო: მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინ-ვაჟა-ფშაველა! არადა, ის პარტია, რომლის მეკვიდრეც საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტიაა, ვაჟა-ფშაველას მაინცდამაინც არ წუალობდა. ჩამორჩენილ კაცად და თემის პრიმიტიული ყოფის მომღერლად მიანჩნდა იგი. ასე დაახასიათა ვაჟა საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა 1951 წლის 10 იანვარს. ეს არ ყოფილა მისი პირადი აზრი.

ამას იგი ვერ გაბედავდა, მოკარნახე კრემლში რომ არ ჰყოლოდა. მაგრამ იცვლება დრო და იცვლებიან ჰარტიული შესვლულებანი.

დავიბენით. ჩინში მოვექცეთ. ჯერ იყო და ურები გამოვუჭედეთ ხალხს სოციალიზმის ქება-დიდებათ. მერე, როცა სოციალიზმი დამარცხდა, სოციალური საბაზრო ეკონომიკის სოტბას მივუავით ხელი: თუ გვიშველის, ეს გვიშველისო. ახლა ისევ სოციალიზმისაკენ გვინდა მიბრუნება? მეტად სასიფათოა ეს, უმთავრესად, ორი მიზეზით.

პირველი: ისუდაც ორად გახლენილ ერს ისევ გათიშავს, ამჯერად კლასობრივ ნიადაგზე.

მეორე: ეკონომიკურ ქაოსს, მოწესრიგების ნაცვლად, კიდევ უფრო გააღრმავებს და გააძმაფრებს.

სსრკ-ში დიდხანს (თითქმის 60-იანი წლების ჩათვლით) გავრცელებული იყო ერთი ჩვეულება: თავის გამოჩენის მიზნით, რაიკომის მდივანს ან სტადიონი უნდა აეგო, ან თეატრის შენობა.

ღანიბნებოდა ერთი რაიკომის მდივანი და იგი იწუებდა, ვთქვათ, სტადიონის მშენებლობას. მალე მოხსნიდნენ. მეორეს განაწესებდნენ. ეს მეორე აჩერებდა სტადიონის მშენებლობას და შეუდგებოდა თეატრისას. ამას რომ გააძვევებდნენ, მესამე მოდიოდა. იგი წვეუტდა თეატრის მშენებლობას და აგრძელებდა სტადიონისას. მესამეს მეოთხე სცვლიდა. რა თქმა უნდა, ეს მეოთხე ამჯობინებდა თეატრის აგებას და უარს ამბობდა სტადიონზე. ასე დაუსრულებლად: რაიკომის მდივნები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. არც თეატრი შენდებოდა და არც სტადიონი.

რალაც ამდაგვარი დაემართება საქართველოს, თუ არ მოხდა საკუთრების ძირეული ფორმის არჩევა, რომელსაც დაეფუძნება ჩვენი ეკონომიკა: თორემ შეიძლება ერთ არჩევნებში იმ ჰარტიამ გაიმარჯვოს, რომელიც კერძო საკუთრების მომხრეა. იგი დაიწუებს პრივატიზაციას. მაგრამ სანამ მას დამთავრებს, მეორე არჩევნების დროც მოვა. ამ არჩევნებში, მოსალოდნელია, იმ ჰარტიამ გაიმარჯვოს, რომელიც სახელმწიფო საკუთრებას ამჯობინებს. იგი შეწვევტს პრივატიზაციას და შეუდგება კოლექტივიზაციას. და ასე, საკუთრების ფორმის გარშემო გაიმართება ჰინგ-ჰონგის თამაში, რაც საქართველოს ბოლოს მოუღებს.

ვევლა ნორმალურ ქვეყანაში, ერთხელ და სამუდამოდ არჩეულია საკუთრების ფორმა. მას უფროხილდება, ჰატის სცემს და იცავს ერიც, ჰარტიეიც და ხელისუფლებაც. წამდაწუმ საკუთრების ფორმის ცვლა იწვევს ეკონომიკური სისტემის მუდმივ ცვალებადობასაც. ეს ძირფესვიანად შლის ეკონომიკას და ღუპავს ქვეყანას. ეკონომიკური სისტემის ხასიათსა და ბუნებას განსაზღვრავს საკუთრების ფორმა. თუ გვინდა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, ანუ კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა, მაშინ კერძო საკუთრება უნდა დავამ-

კვიდროთ. თუ ისევ სოციალისტური ეკონომიკური სისტემა გვირჩევენია, მაშინ კოლექტიური საკუთრება უნდა განვამტკიცოთ. არჩევანი ხალხმა უნდა გააკეთოს და არა ამა თუ იმ პარტიამ. მაგრამ ჩვენ თვითმხილველნი და მოწმენი ვართ სოციალისტების საბოლოო დამარცხებისა კაპიტალიზმთან ბრძოლაში. ეს ისტორიის მკაცრი გაკვეთილია. მეორედ აღარ უნდა მოვტუვდეთ.

დაბნეულობა: საქართველოში რომ დიდი დაბნეულობაა, ამას უტყუარად მოწმობს 47 პარტიის მონაწილეობა 11 ოქტომბრის არჩევნებში. გიგანტურ აშშ-ში ორი პარტია იბრძვის ხელისუფლებისათვის. ერთ ციციქნა საქართველოში – 47. დიდ ბრიტანეთშიც არსებითად ორი პარტიაა – კონსერვატორული და ლეიბორისტული, – რომელიც ერთმანეთს ეცილება ხელისუფლებას და ქვეყნის პატრონის პრეტენზია აქვს. პაწაწინა საქართველოში კი – 47. ეველაფერი ეს კომედიის საგანი იქნებოდა, მის უკან ქართველთა დაფანტულობის დიდი საფრთხე რომ არ იმალებოდეს.

ყოველი პარტიის არსებობა რაღაც გამორჩეული, ორიგინალური პოლიტიკური კონცეფციის არსებობას გულისხმობს. თუ საკუთარი კონცეფცია არა აქვს, ესა თუ ის პარტია დამოუკიდებლად რატომ უნდა არსებობდეს? მაგრამ 47 პოლიტიკური კონცეფცია კაცობრიობის გაჩენის დღიდან დღემდე არ დაითვლება და საქართველოში როგორღა ჩამოყალიბდებოდა? არა. პარტიათა სიმრავლე პოლიტიკური აზრის მრავალფეროვნებას სრულებითაც არ მეტყველებს. იგი ერთ ცუდ რასმეს გვეუბნება: მიზნისათვის ერთად შეკრება და ერთად ბრძოლა უჭირს ქართველს. იმ კრიზისულ ვითარებაში, როცა ერთ ერთ მუშტად უნდა იუოს შეკრული, ფეტივის მარცვლებივით მიმოფანტული პარტიები ახნევენ ხალხს, ორიენტაციას უკარგავს. მით უფრო, რომ სხვადასხვა პარტიათა ტელეგამოსვლებმა თუ პრესაში დაბეჭდილმა პროგრამებმა ცხადად გამოავლინეს – რაოდენ უმწეოა ჩვენში პოლიტიკური აზრი. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ვერც ერთმა პარტიამ ვერ მოახერხა კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტული გეგმა წარმოეგდინა. ეველა გამოსვლა თუ განცხადება ზოგადი დეკლარაციის ხასიათს ატარებს.

ყოველმა ადამიანმა იცის, რომ ომს მშვიდობა სჯობს, მაგრამ როგორ დავამყაროთ იგი, რა გზით, რა საშუალებით?

ყოველმა ადამიანმა იცის, რომ ცარიელ მალაჩიებს სურსათ-სანოვავით გამძვინვარებული დუქნები სჯობს, მაგრამ როგორ გავავსოთ ისინი პროდუქტებით, რა გზით, რა საშუალებით?

კონკრეტულ ვითარებაში კონკრეტული ქმედების გეგმის მოფიქრებაა ძნელი, თორემ ზოგადი დებულებანი მზამზარეულად აწევიან.

დაბნეულობის შედეგია ის, რომ ბარე ორი წელიწადია, რაც საქართველოში კომუნისტური რეჟიმი დაეცა და ჯერ არ დაგვიდგენია - მმართველობის როგორი სისტემა უნდა არსებობდეს საქართველოში.

უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე (მომავალშიც ასე იქნება) ევე-
ლა ქვეყანაში არჩეულ პოლიტიკური მმართველობის სისტემას ეველა პარტია
აღიარებს და პატივს სცემს. ახალი არჩევნების დროს არ ითხოვს მის შეცვლას
და ახლის დამკვიდრებას. აშშ-ში ორივე პარტია, რესპუბლიკურიც და დემოკრა-
ტიულიც, აღიარებს და იცავს არსებულ პოლიტიკური მმართველობის სისტე-
მას. ოღონდ ზრუნავს მისი გაუმჯობესებისა და გაუკეთესებისათვის. ასე იქცევა
ეველა, თუ, რა თქმა უნდა, რომელსავე პარტიას, რევოლუციური ვხვით, არსე-
ბული ხელისუფლების დამხობა არა აქვს უზურში. რამდენადაც ვიცო, 47 პარტი-
იდან არც ერთი არ არის რევოლუციებისა და სისხლისღვრის მომხრე. ეველა
პოლიტიკური ბრძოლის პარლამენტურ წესს ამჯობინებს.

ასევე დახეულობის შედეგია ისიც, რომ ჯერ ვერ დავადგინეთ კონსტი-
ტუციურად – საკუთრების რომელ ფორმას ვემხრობით და როგორი
ეკონომიკური სისტემის შემოღებას ვაპირებთ. თუცა ამაზე უკვე ვისაუბრეთ
ზემოთ და სიტუვის გაგრძელება აღარ ღირს. ის კი აუცილებლად უნდა ითქვას,
რომ დღეს ქართველს არც ერთი წუთის დაკარგვის უფლება არა აქვს. ყოველი
წუთი ჩვენთვის წელიწადის ტოლფასია. დრო მაქსიმალურად უნდა იქნეს
გამოყენებული, თორემ იგი საქართველოს წინააღმდეგ ამოქმედდება.

ეველა ჩამოთვლილი საკითხისა და სხვა კიდევ ბევრის გადაჭრა-მოგვარე-
ბა მომავალ პარლამენტს მოუწევს.

თუ ადრე ეველას სოციალიზმ-კომუნიზმი ეკერა პირზე, ახლა დემოკრა-
ტია აკერია. დემოკრატია თავისთავად მანაცა არ არის. იგი კარგიც შეიძლება
იყოს და ცუდიც, ღონიერიც და უძლურიც, ქვეყნის პატრონიც და ქვეყნის და-
მაქცევარიც. ეველაფერი იმაზეა დამოკიდებული – რა გეგმით მოქმედებს
დემოკრატია და როგორი ადამიანები ახორციელებენ მას. პოლიტიკაშიც ისეა,
როგორც ხელოვნებაში. საქმეს აკეთებს არა მხოლოდ რა და როგორ, არამედ –
ვინ. ვინ გვეუბლება პარლამენტში, ვინ შექმნის ძლიერ, ღონიერ, მტკიცე, საქმი-
ან ხელისუფლებას. აი, პრობლემა.

როგორც უდაბნოში მწუვრვალს წყალი, ისე სჭირდება ახლა საქართვე-
ლოს ძლიერი, გონიერი, მორსმჭვრეტელი ხელისუფლება. მხოლოდ ასეთ
ხელისუფლებას შეუძლია დაამარცხოს ხუთთავიანი ურჩხული, რომელიც დღეს
ებრძვის საქართველოს. ან საქართველო დაამარცხებს ხუთთავიან ურჩხულს,
ან ხუთთავიანი ურჩხული მოსპობს საქართველოს.

სხვა არჩევანი არ არის.

1992 წ., სექტემბერი.

პრესაში თუ კულტურებში დიდი დავაა გამოწვეული სამანეთო ზონისადმი დამოკიდებულებით. ერთნი აუცილებლად მიიჩნევენ სამანეთო ზონაში დარჩენას და საქართველოს ეკონომიკური ხსნის სხვა გზას ვერ ხედავენ. მეორენი თვლიან, რომ სამანეთო ზონაში დარჩენის უკან გაუგონარი მზაკვრობა იმალება, მიმართული საქართველოს წინააღმდეგ. ამ შესლა-შემოხლაში უმთავრესი კი გვაფიქვამს: თუ დაუფიქრებელივ არ ჩატარდა ძირეული ეკონომიკური რეფორმა, ვერც სამანეთო ზონაში დარჩენა გვიშველის და ვერც ამ ზონიდან გამოსვლა, სრული ეკონომიკური კატასტროფა კარდაუვალი ვახდება.

აღბათ, არავის ეეჭვება, რომ დღევანდელ საქართველოს, მისი ეკონომიკით, არც ამერიკული დოლარის ზონაში მიიღებს ვინმე, არც გერმანული მარკის, არც ფრანგული ფრანკის და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც თურქული ლირისა. როცა რუსეთი ეკონომიკურ რეფორმას განახორციელებს, სამანეთო ზონიდანაც გამოგვაძევებენ.

ეკონომიკური გადარჩენა თუ გვინდა, სოციალური საბაზრო მეურნეობა უნდა დავამკვიდროთ. სხვა გზა არ არის. სოციალისტურმა ეკონომიკამ რა დღეში ჩაგვყარა, ეველა ნათლად ხედავს. მხოლოდ იმ ადამიანს, ვინც სრულ ჭკუაზე ვერ არის, შეუძლია იფიქროს სოციალისტური ეკონომიკის განახლებაზე და მის იმედად იცხოვროს.

სოციალურ საბაზრო მეურნეობაზე კარგა ხანია ვლაპარაკობთ (საუბედუროდ, მხოლოდ ვლაპარაკობთ), მაგრამ რეალური შედეგი არ ჩანს.

წინ მიდევს ჩემისთანა დილექტანტებისათვის დაწერილი წიგნი – „სოციალური საბაზრო მეურნეობა დიაგრამებში“ („Soziale Marktwirtschaft im Schaubild“). ამ წიგნში სხარტად და მკაფიოდ განმარტებულია – რა არის საჭირო სოციალური საბაზრო მეურნეობის ჩამოსაყალიბებლად.

კერძო საკუთრება, საემისიო ბანკის ავტონომია, სტაბილური ფული, მოწესრიგებული (საბაზრო მეურნეობის შესაფერისი) საკონკურენციო ჰოლიტიკა, თავისუფალი ფასწარმოება, თავისუფალი ხელფასი, თავისუფალი

გეოგრაფიკის (ბიზნესის) უფლებები, თავისუფალი სამუშაო პირობები, სახელმწიფო სამეურნეო პოლიტიკის განსაზღვრა.

რათქმაუნდა, იმ ეკონომიკურ ქაოსს, განუკითხაობას, თავაშვებულობას, რომელიც საქართველოში (საერთოდ მთელ ყოფილ სსრკ-ში) სუფევს, არაფერი აქვს საერთო სოციალურ საბაზრო მეურნეობასთან. ზემორემოხსენიებულ წიგნში წამდარწმუნებ იხმარება ცნება Ordnung – წესრიგი. მართლაც, სოციალური საბაზრო მეურნეობა მკაცრად და ზუსტად, საათივით აწეობილი მეურნეობაა, სადაც დაუშვებელია იოტისოდენა უწესრიგობაც კი.

კონსტიტუციის მიხედვით (მუხლი მე-20), გერმანია, გარდა იმისა, რომ არის დემოკრატიული სახელმწიფო, არის აგრეთვე სოციალური სახელმწიფო (საქართველოს მომავალ კონსტიტუციაში ჩვენი ქვეყანა მკაფიოდ უნდა განისაზღვროს როგორც დემოკრატიული და სოციალური სახელმწიფო. არ შეგუძლიან: სოციალისტური სხვა და სოციალური სულ სხვა). რაკი გერმანია სოციალური სახელმწიფოა, ბუნებრივია, ხელისუფლება კისრულობს მოსახლეობის სოციალურ დაცვას. ამ მიზნით კონსტიტუციურად, სახელმწიფოს ვვალდება მოსახლეობის სოციალური დაზღვევა და საბაზრო მეურნეობაში საზოგადოების ეველა ფენის სოციალური წილობრივი მონაწილეობის უზრუნველყოფა.

სამწუხაროდ, სოციალური საბაზრო მეურნეობის კომპონენტების დასამკვიდრებლად, ჯერჯერობით, წინ ნაბიჯი არ გადაკვიდგამს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მესამე წელიწადი დაიწყო, რაც საქართველოში კომუნისტური რეჟიმი დაემხო. ჩვენ ზოზინისა და მოლოდინის უფლება არ გვაქვს, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ საქართველოს უკვე წაუჭირა თოკი ეელში. ამიტომ ძირეული ეკონომიკური რეფორმა სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს, გადაუდებლად და დაუოვნებლივ.

მართალია, ძალიან მძიმე იქნება ძირეული ეკონომიკური რეფორმის ჩატარება, მაგრამ, გადარჩენა თუ გვინდა, ეველაფერს უნდა გავუძლოთ. რეფორმას ბევრი რამ შეუძლის ხელს, განსაკუთრებით კი ორი ფაქტორი – კომუნისტური რეჟიმის მიერ დატოვებული კლექტორატია და ის ვითარება, რომ საქართველოს ხელისუფლების ძალაუფლება დღეს ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არ ვრცელდება. და მაინც, ამ მძიმე სიტუაციის მიუხედავად, ძირეული ეკონომიკური რეფორმა უნდა დავიწყოთ.

თუ ძირეული ეკონომიკური რეფორმა ვერ ჩავატარეთ, არა მარტო ვერ შევცვლით საერთო ეკონომიკურ ვითარებას საქართველოში, არამედ ვერ მოვაგვარებთ სრულიად კონკრეტულ პრობლემებსაც.

მაგალითად,

ვერ მოვიგებთ ომს, არა მარტო იმას, რომელიც დღეს მიმდინარეობს აფხაზეთსა და ცხინვალის ოლქში, არამედ იმასაც, რომელიც ახლო მომავალში გვემუქრება. ვერ ადვადგენთ ომით დაქცეულსა და განადგურებულს. ვერ

დავაპურებთ, ვერ ჩავაცმევთ და დავახურავთ, ვერ დავასახლებთ უამრავ უსახლ-
კაროს, რომელიც შინა აშლილობისა და ომის შედეგად დაგვრჩა.

ვერ შევანერებთ ემიგრაციას. საქართველოს ეკონომიკური სიღატაკის
შედეგად ჩვენი ქვეყნიდან გაიქცევიან არა მარტო არაქართველები, არამედ
ქართველებიც. საქართველოს დატოვებენ ნიჭიერი და სახელმწიფოებრივი მეც-
ნიერები, ხელოვნების წარმომადგენლები, სპორტსმენები. მათ ვეელა ქვეყანა
გაუღებს კარს და ისინიც იმ ადგილს მიაშურებენ, სადაც უკეთესი საცხოვრებე-
ლი პირობები ექნებათ. ვაზეთი „რეზონანსი“ (1992 წ., 1 დეკემბერი) უკვე წერ-
და: „არც ერთ ბიზნესმენს არ სურს სამშობლოში დარჩენა“. ნურავის გავამ-
ტუენებთ. მე-20 საუკუნე მთავრდება. 21-ე იწყება. მსოფლიოში თითქმის აღარ
დარჩა ღარიბ-ღატაკი ქვეყანა, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა. დოვ-
ლათი დულს და გადადულს დაწინაურებულ ქვეყნებში. ამ პირობებში ძალიან
ძნელია გაუძლოს ცდუნებას ადამიანმა. საქართველოს ბევრი გასაჭირი გადაუ-
ტანია, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო. მოსახლეობის უმრავლესობას წარმოდ-
გენა არ ჰქონდა, როგორ ცხოვრობდა ადამიანი ახლობელ თუ შორეულ ქვეყ-
ნებში. რაკი უკეთესი არ ენახა და არ გაეგონა, გასაჭირსაც მოთმინებით იტანდა.
დღეს კი, პრესის, რადიო-ტელევიზიის წყალობით (არც მისვლა-მოსვლა
ჭირს), ვეელამ იცის – ვინ სად როგორ ცხოვრობს. სხვისი გადადილვაძებუ-
ლი ცხოვრების შემუხურეს გაუჭირდება, მეტად გაუჭირდება საკუთარი სიღუხ-
ჭირის გაძლება. ასე რომ იქნება, ამას უტყუარად ადასტურებს ქართველთა
საქციელი თურქეთში.

სულხან-საბას ერთი იგავი უნდა გავახსენოთ, რომელიც ეკონომიკური
მოშლილობის ვითარებაში მეტად დამაფიქრებლად ჟღერს.

„ერთს მთაში ერთი მომცრო, წვიმის მდგარი გუბე დარჩომილიყო. მივი-
და ერთი იხვი, ჩაჯდა და იყოფებოდა. ერთი მუვარი დაემობილა იხვსა და ერ-
თად იყვნენ და, რაც გაეწუბოდა, შეექცეოდინა.

რა მზე გაცხარდა და საფხულმან სიცხე მოუმატა, წყალმან კლება შექმნა.
იხვმა უთხრა მუვარს:

– მოდი, ადგილი ვიცვალოთო!

მუვარმან უთხრა:

– შენ აქა-იქ თრევას ჩვეულხარ, მე სამკვიდროს ვერ დავუტყვებო!

იხვი გაფრინდა, სადაც დიდი წყალი იყო, იქ მივიდა. მუვარმა სამკვიდრო
არ გაუშვა.

ცოტა ხანს უკან იხვმან თქვა:

– წავალ, ჩემს ძმობილს ვნახავ, რასა იქნსო?

მოვიდა, ნახა, გუბე გამხმარიყო, მუვარი მომკვდარიყო. უთხრა:

– ძმობილო, მაგისტანას სამკვიდროს სიყვარულს ჩემეულად სიარული
სჯობნებიაო“.

თუ საქართველოდან ჭკუა და ნიჭიერება წავიდა, ადვილი წარმოხადგენია, რა დღეშიც ჩავარდება ჩვენი ქვეყანა.

არც ქართველი გასათხოვარი ქალები დადგებიან შინ. ისინიც უცხოელებს გაჰყვებიან ცოლად და უცხოეთში გაიკრიფებიან. ასეთი რამ ერთხელ უკვე მოხდა საქართველოში, როცა მე-19 საუკუნის დასაწყისში ქართველი არისტოკრატი ქალები ლიანგურად თხოვდებოდნენ რუსებზე. მაშინ თათქმის არ ეოფილა ქართული არისტოკრატიული ოჯახი, რომელსაც რუსი სიძე არ ჰყოლოდა, მაგრამ არისტოკრატია ერის უმცირესი ნაწილია და ქართველი ხალხის დემოგრაფიულ ბედ-იღბალზე ამ საქციელს საბედისწერო კვალი არ დაუტოვებია. დღეს ამას ვველა გააკეთებს, სულ ერთია ვლენის ქალი იქნება, მუშისა თუ ინტელიგენტის. ახლა ვველას მდიდრული ცხოვრება უნდა. სილატაკეს არავინ უაბუღდება. ეს დღევანდელი ბუნებრივი მოთხოვნაა.

თუ ეს მოხდა, დემოგრაფიულ კატასტროფას აი, მაშინ, ნამდვილად ვერ გადავურჩებით.

ერთი სიტყვით, რა უბედურებით არ იმუქრება ეკონომიკის მოშლა.

რამდენიც უნდა ვიზოზინოთ, რამდენიც უნდა ვიუოუძანოთ, რამდენიც უნდა ვიტრილოთ ერთ წრეში ჰალოზე დაბმული ცხენივით, ძირეული ეკონომიკური რეფორმის ჩატარება მაინც მოგვიწევს. ოღონდ დავაგვიანებთ და კიდევ უფრო მძიმე განსაცდელში ჩავიკვებთ თავს.

ამჯერად მაინც ნუ ჩავიდნთ საბედისწერო შეცდომას და ძირეულ ეკონომიკურ რეფორმას ნუ დავაყოვნებთ.

1993 წ., იანვარი

კრიზისული აღმშენებელი

საქართველოში უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბდა კრიზისული ადამიანის ტიპი. ეს არც მოულოდნელია და არც გასაკვირი. როცა ქვეყანაში ქაოსია, შინაშლილობაა, ეკონომიკა მირფესვიანად მოშლილია, ნაირ-ნაირი ჯურის ავანსაკები დაუსჯელად დაპარპაშებენ, არ არსებობს მტკიცე ხელისუფლება და ეველაფერს თავაშვებულობა დაუფლებია, კრიზისული ადამიანის ტიპი ძალიან ადვილად უაღიბდება.

ამ ვითარებას იმასაც თუ დაუმატებთ, რომ საქართველო სასტიკად დამარცხდა (რუსეთმა წაგლიჯა შიდა ქართლი და აფხაზეთი), მაშინ კრიზისული ადამიანის ტიპის ჩამოყალიბება მოვლენათა განვითარების ბუნებრივ შედეგად უნდა ჩავთვალოთ, ოღონდ უაღრესად სასიყატო და საშიშ მოვლენად.

დღეს საქართველოს მოძავალს ისეთი დიდი განსაცდელით არაფერი ემუქრება, როგორც კრიზისული ადამიანი. მისი მართვა იოლად შეიძლება, საითაც გინდა, იქით უბიძგებ, რასაც გინდა, იმას ჩაადენინებ. იგი თინას ჰკავს. როგორც თინისაგან გამოძერწავ იმას, რასაც მოისურვებ, ასევე კრიზისულ ადამიანს რაზეც გინდა, იმაზე დაითანხმებ. მას ნებისყოფა წართმეული აქვს. არსებობის შიშით შეპურობილი თანახმაა ეველაფრისა, ოღონდ გადარჩეს.

დღევანდელ საქართველოში კრიზისულ ადამიანს საზოგადოების ეველაფერში, ეველა ჯგუფში შეხვდებით. განსხვავება არ არის მუშა იგი თუ გლეხი, მეცნიერი თუ ხელოვანი, სახელმწიფო მოხელე თუ საქმის კაცი. ეველა ჩვენთაგანში კრიზისული ადამიანის ცნობიერებამ გაიდგა ფესვი. იმის მაგიერ, რომ კრიზისული ადამიანის ტიპს, მის ცნობიერებას ებრძოდეს ჩვენი მეცნიერება, ჩვენი ხელოვნება-ლიტერატურა, ჩვენი პროპაგანდა, ჰირიქით, ეველა საშუალებით ამკვიდრებს მას. ვის, თუ არა ჩვენს მეცნიერებს, შეუძლიათ აუხსნას ქართველ ხალხს, რომ საქართველოს არ სჭირს არაფერი ისეთი, რომ ეკონომიკურად თავის თავი ვერ შეინახოს და სხვის სამადლოდ იცხოვროს. საქართველოს 69 ათას ხუთასი კვ.მ. ტერიტორია უჭირავს (რა თქმა უნდა, დღეს წართმეული შიდა ქართლისა და აფხაზეთის ჩათვლით) და 5 მილიონზე მეტი

კაცი ცხოვრობს. ჰოლანდია კი 36 ათას ცხრაას კვ.მ. ტერიტორიას ფლობს და 15 მილიონი მოსახლეობა ჰყავს. საქართველოს და ჰოლანდიის კლიმატური პირობების შედარება სომ შეუძლებელია და შეუძლებელი. საქართველოში სომ ბევრად უკეთესი კლიმატური ვითარებაა! ჰოლანდია მსოფლიოს ერთი უმდიდრესი ქვეყანაა და ეკონომიკური კეთილდღეობით – სანიმუშო, საქართველო კი – ღატაკი და საცოდავი. თუკი საქართველოზე თითქმის ორჯერ ნაკლები ტერიტორიის მქონე ჰოლანდიას შეუძლია გამოკვებოს და გადადილღვაშებული აცხოვროს საქართველოზე სამჯერ მეტი მოსახლეობა, ჩვენ ქვეყანას რა ისეთი ჭირი შეეყარა, რომ ეს ვერ მოახერხოს? კრიზისული ადამიანის ცნობიერება უშლის ამას ხელს და იგი უნდა დაიძლიოს.

მართალია, დაბალია ჩვენში შრომის კულტურა და იგი ჰოლანდიელისას ვერ შეედრება, მაგრამ ამის აღზრდა შეიძლება. ამის სწავლა შეიძლება. მაგრამ, ის კი არ უნდა უჩიხინო, რომ თუ რუსეთმა გამძმარი პურის უუა არ გამოვიკვზა, შიძველით მოკვდებით, არამედ იმაში უნდა დაარწმუნო, რომ ჩვენი მიწა-წყლის პატრონს თავის თავის შენახვაც შეუძლია და სხვა დამშეული ქვეყნების დახმარებაც. ჩვენი მეცნიერების ამოცანა ის კი არ არის, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლას დაუჭიროს მხარი და ტაშისცემით ხელისკულები დაიხეთქოს, არამედ ჩვენს ხალხს ასწავლოს როგორ მოაწეოს და ააწეოს სოფლის მეურნეობა და მრეწველობა.

ბევრი იმას იმიზეზებს, რომ საქართველოში, ერთი მხრივ, შინააშლილობაა და, მეორე მხრივ, რუსეთი თავს დაგვესხა და ჩვენი ღვიძლი მიწა-წყალი წაგვართვა, ქართული მოსახლეობა აპყარა და საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად აქცია. ამ უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებს მოვლა-პატრონობა უნდა და ეველა გასაჭირს ერთად ვერ გავუძელით. მართალია ეველაფერი ეს. მაგრამ იმას თუ გავისხენებთ, რა ვითარებაში ჩამოაყალიბა ისრაელმა თავისი სახელმწიფო, შეიძლება მხეობა დაგვიბრუნდეს. 1948 წლის მაისში გამოცხადდა ისრაელის დამოუკიდებლობა. მას მერე ებრძვის ისრაელი გარშემორტყმულ არაბულ ზღვას. იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ უზარმაზარ არაბულ სამყაროს სსრკ ეხმარებოდა (ახლა რუსეთი აგრძელებს ამას). ამარაგებდა იარაღით, უგზავნიდა სამხედრო ინსტრუქტორებს, ხელს უშლიდა სხვა სახელმწიფოებს დახმარებოდნენ ისრაელს. ასე, რომ ისრაელი არა მარტო არაბულ ქვეყნებს ებრძოდა, არამედ სსრკ-საც. მიუხედავად ამისა, უძლიერესი არმიაც შექმნა, სამხედრო მრეწველობაც (თერმობირთვული იარაღის დამზადებაც კი შეუძლია) და ქვეყანაც ააყვავა ეკონომიკურად. არც შინ უოფილა ისრაელი მოსვენებული. თუ საქართველოში შინააშლილობაა, ისრაელში პალესტინელი არაბები არ ასვენებდნენ ქვეყანას. ტერიტორიები, დივიდონები, მშვიდობიან მოქალაქეთა რბევა-აწიოკება, არაფერი დაკლებია ისრაელს აკერ ორმოცდახუთი წლის მანძილზე. მაგრამ ვერაფერმა გატყნა ებრაელი ხალხის

სული. დაცემის ნაცვლად იგი ძლიერდება და ძლიერდება. იმდენად ძლიერი გახდა, რომ შეუპოვარი ჰალესტინელი არაბები მასთან მორიგებას დაუბუღდნენ. თავს იმით ნუ ვიმართლებთ, რომ ისრაელს მთელ მსოფლიოში გაფანტული მდიდარი ებრაელები ეხმარებოდნენ. დახმარება კარგია, მაგრამ ვერაუთარი დახმარება ვერ უშველიდა ისრაელს, თავად მის მოსახლეობას რომ არ გამოეჩინა შეურდველი ვაჟკაცობა და შრომისმოყვარეობა. უცხოეთში მოსახლე ებრაელებს კი არ უჭირავთ იარაღი ხელში, არამედ ისრაელელ ჯაბუკებს და ქალიშვილებს. უცხოეთში მოსახლე ებრაელი კი არ ებრძვის უდაბნოს, არამედ ისრაელელი მშრომელი კაცი. მტკაველ-მტკაველ ართმევს იგი ხორშაკ და ხრიოკ უდაბნოს მიწის ნაჭერს, რომ ბაღნარად აქციოს. უცხოეთში მოსახლე ებრაელები კი არ მუშაობენ ფაბრიკა-ქარხნებში, არამედ ისრაელის მოქალაქეები. ისინი ქმნიან ჰროდუქციას, რომელსაც მოაქვს სვაფი და ბარაქა ქვეყანაში.

ისრაელის ტერიტორია სულ 20 ათას 700 კვ.მ. (ე.ი. საქართველოს ტერიტორიაზე სამჯერ ნაკლები). მოსახლეობა კი სამ მილიონს ოდნავ აღემატება და ამ ჰაწია ქვეყანამ თვალუწვდენელი არაბული სამეაროს შეტევასაც გაუძლო და სსრკ-ის (რუსეთის) მხავერობას, ვერაგობას და ხრიკებსაც. ეს მოახერხა ისრაელმა იმიტომ, რომ ებრაელ ხალხს საკუთარი თავის იმედი ჰქონდა, საკუთარი ეროვნული ენერჯის რწმენა ამოქმედება.

საქართველომაც საკუთარი თავის იმედით და რწმენით უნდა იცხოვროს, იშრომოს და იბრძოლოს. ჩვენმა მწერლობა-ხელოვნებამ ეს იმედი და რწმენა უნდა აღზარდოს ქართველი ხალხის სულში. მან ერთსულოვნად კვერი არ უნდა დაუკრას საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლას. თუ ქართული მწერლობა-ხელოვნება დაეთანხმება საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლას, მაშინ იგი კიდევ უფრო მეტად დაამკვიდრებს ჩვენში კრიზისული ადამიანის ტიპსა და ცნობიერებას. ეს კი ხელს შეუწეობს საქართველოს დაღუპვას. ჩვენს მწერლობა-ხელოვნებაში დღეს ის ვაჟკაციური, შეუპოვარი, მედვარი სული უნდა ტრიალებდეს, რაც თუნდაც 1941-45 წლებში ტრიალებდა. დასაშვებია გაჭირვებულ და ხელმოკლე საქართველოს ფილმების გადაღება ან წარმოდგენის დადგმა არ შეუძლოს დღეს, მაგრამ ლექსის დაწერას და სიმღერის შეთხზვას კი რა თავი უტკივა? ამას ქაღალდის ნაგლეჯი, ფანქრის ნატეხი და გაუტყეული სული უნდა. მაგრამ ხელოვნება-მწერლობაში კრიზისული ადამიანის გამარჯვებამ წავგართვა „არაგუული ლამქრულისა“ და „მუმლი მუხასას“ შემქმნელთა გულადობა, მათი მხნეობა, ჯირის გამღება და მტრის დამარცხების უნარი.

დღეს საკითხი უბრალოდ არ დგას – შევა თუ არა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში. დღეს დგას ჰრობლემა – იარსებებს საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო თუ არა. იარსებებს ქართველი ხალხი, როგორც თავისუფალი ერი თუ არა. იქნება ქართველი

ხალხი ერი თუ დარჩება ეთნოგრაფიულ მასალად, როგორც ზურაბ ავალიშვილი ამბობდა, და მისგან დრო და ჟამის შესაფერისად ჩამოყალიბდება ხან სპარსელი, ხან თურქი და ხან რუსი.

კრიზისული ცნობიერების ადამიანები საქართველოს ვერ გადაარჩენენ. დღეს საქართველოს ეველა საქმეში – სახელმწიფო მმართველობაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, მწერლობაში, სკოლაში თუ უმაღლეს სასწავლებელში – ის ადამიანები სჭირდება, ვისაც დამლეული აქვს კრიზისული ცნობიერება ან შეუძლია დამლიოს იგი.

ფრიდრიხ ნიცშეს ზარატუსტრა ქადაგებდა: ჩემი მოძღვრება ის არის, რომ, ვისაც ფრენის სწავლა სურს, ჰირველად მან დგომა, ცოცვა, სიარული, სირბილი, ცეკვა უნდა ისწავლოს. არ შეიძლება უცბად ფრენის სწავლა... თუ თქვენ გინდათ მაღლა ახვიდეთ, ისარგებლეთ საკუთარი ფეხებით. ნუ მისცემთ უფლებას გატარონ. ნუ დასხდებით სხვების მხრებსა და თავებს.

1993 წ., იანვარი



უკან ლასახევი გზები ჩახერბეთ!

„ღღეს საქართველოს ჭირნი მოადგეს“

როცა დრო ამღვრეულია და ქაოსი სუფევს, ძალაუფლების ხელში ჩაგდება ადვილია. როგორი გზითაც გნებავთ, იმ გზით მოიპოვებთ მას – არჩევნების, გადატრიალების თუ აჯანყების გზით, ოღონდ, რაღაც ძალა კი უნდა გიჭერდეს მხარს. თუმცა, სულერთია რისია ეს ძალა – იღვის, ხალხის მხარდაჭერის, არმიისა თუ საწამლავის.

მაგრამ ქვეყნის ასაშენებლად, საზოგადოების მოსაწყობად სრულიად უკმარია შიშველი ძალა. მშენებლობისათვის, მოწობისათვის, ძალასთან ერთად, აუცილებელია ნიჭი, ჭკუა, გამჭრიახობა, ორგანიზებულობა, მუყაითობა, ენერჯია, წესრიგი, სიუვარული, ერთი სიტყვით, ყველა კეთილი თვისება, რაც კი ადამიანს ღმერთმა უბოძა.

ეს სირთულე რომ დაინახეს საქართველოში ფეტვის მარცვლებივით მიმოხეულმა ჰარტიებმა, დაიბნენ. ვერაფერი შესთავაზეს ხალხს კონკრეტულად ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო სისტემების მოსაწყობად. აღმშენებლობითი საქმიანობა ჰარტიულ-პოლიტიკური კინკლაობით შეცვალეს. საზოგადოების უურადღება ამ მიმართულებით წარმართეს. აღმოჩნდა, რომ ჰარტიულ-პოლიტიკური კინკლაობისადმი ხალხს ისეთი დამოკიდებულება აქვს, როგორიც სეირისადმი. ორივე მხარე ერთობა – ხალხიცა და ჰარტიებიც. შეიძლება გართობა მათ სრულებითაც არ სურთ, მაგრამ ასე გამოვიდა თავისთავად. ვერც იმას ვუწევთ ანგარიშს, რომ ეს გართობა-სეირი საქართველოს, მოსალოდნელია, არსებობის ფასად დაუჯდეს.

ღღეს ვინაც უნდა ჰკითხოთ, ყველა გიპასუხებთ – უძძიმესი და ურთულესი ვითარებაა საქართველოში. მაგრამ არავის შესაბამისი დასკვნა არ გამოაქვს, არავინ იქცევა შესაფერისად. ქართველის ენერჯია იხარჯება კინკლაობაში, ლანძღვა-გინებაში, მტრობასა და სიძულვილში.

ყველა ერთსა და იმავეს ლაპარაკობს – უნდა გავერთიანდეთ, ერთიანობაა

ქართველი ხალხის ძალა. მაგრამ კეთებით, ყველა საწინააღმდეგოსა და საპირისპიროს ვაკეთებთ. საცალფეხო ხიდზე შესვედრილ ორ ჯიუტ თხსნავით არავინ არაფრის დათმობას არ აპირებს, არავინ ეძებს ვითარებიდან გამოსავალ ვშებს. თუ იმ თხებივით მდინარეში გადავცვივდით, ნურავინ იფიქრებს, რომ იქიდან გამოვცურავთ. ხიფათის მდინარე ძალიან დიდია და მისი გადალახვის ძალა საქართველოს არა აქვს. მთავარი და არსებითია ხიდიდან არ გადავვარდეთ.

ქართველთა დაშლილობა და დაფანტულობა ტრადიციულია. მიხეილ ჯავახიშვილი „ჯაფოს სიზნებში“ წერდა: „ორიათასი წელიწადი მაინც იქნება, რაც ამერეთ-იმერეთი ერთ ნაჭერ მიწაზე ვსცხოვრობთ. ერთად კი, ერთიან სახელმწიფოებრივ და ეროვნულ შენობაში ორასი წელიწადიც არ გვიცხოვრნია... მუდამ ცალ-ცალკე ვიღუპებოდით და ცალ-ცალკე ვშენდებოდით. საქართველო ეოველთვის ორპირი ან სამპირი იყო. ერთი რომ აღმოსავლეთისკენ ჰქონდა მიღრეცილი, მეორე დასავლეთისკენ იხედებოდა, მესამე კი ან სამხრეთისკენ ჰქონდა მიბრუნებული ან ჩრდილოეთისკენ. ეროვნული ნების-ყოფაც და ენერგიაც ასე დაკვეფანტა“.

დღესაც ასეა.

ეს იცის რუსეთმა და კარგადაც იყენებს მას. ბარე ორი საუკუნეა, რაც რუსეთი ბატონობს საქართველოში და შედმიწევნით აქვს შესწავლილი ჩვენი ხალხი როგორც ფსიქოლოგიური მოვლენა. ყველა ნორმალურ და აწეობილ სახელმწიფოში საგანგებო ინსტიტუტები სწავლობენ საკუთარი ერისა და მეზობელი (მით უმეტეს დაპურობილი) ხალხების ბუნება-ფსიქოლოგიას. ეს აუცილებელია სახელმწიფოს ეფექტიანი მართვისათვის. ბუნებრივია, რომ რუსეთიც მუშაობდა ამ მიმართულებით და ზუსტად იცის, სად, რომელ ჭრილობაზე უნდა დააყაროს საქართველოს მარილი, სასურველი შედეგი რომ მიიღოს.

ახლა ბევრს ეძინა – რუსეთმა მესამედ არ დაგვიპუროსო. არა, მას რომ კვლავ სურდეს საქართველოს დაპურობა, ვერავინ შეუშლიდა ამაში ხელს. ჯარიც ეყოფოდა, იარაღიც, ფულიცა და თავხედობაც. რუსეთს უფრო მზაკვრული მიზანი აქვს: საქართველოს დაშლა-დანაკუწება. ეს შურისგებაც არის. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ, თუ რუსეთის ფედერაცია დაიშლება, საქართველოც დაიშალოს. თუ რუსეთი ნგრევის უფსკრულში მიექანება, საქართველოც თან ჩაიყოლოს. ყველა ბოროტმოქმედი ასე ფიქრობს – არც მე, არც შენ. მეორეც იმიტომ, რომ, როცა რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინა, ჩვენი ქვეყანა იყო დაშლილ-დანაკუწებული სამეფო-სამთავროებად. ახად თუ კარგად, საქართველოს გაერთიანება რუსეთის იარაღით მოხდა. **Я тебя породил, я тебя и убью!** – ეუბნება ტარას ბუღბა ანდრის (გოგოლი), მე გაგაერთიანე, მევე დაგშლი! – გვეუბნება რუსეთი და ყველაფერს აკეთებს ამისათვის. ვუწეობთ ჩვენ ხელს

რუსეთს ჩვენსავე დამლა-დანაკუწებაში? – უოველნაირად.

ამ სასტიკ ომში ქართველობა გაიმარჯვებს მხოლოდ მაშინ, თუ იქნება ერთად. იგი კი დაშლილია პარტიებად, ოპოზიციებად, საზოგადოებებად, ორგანიზაციებად, მხარეებად, რავინდარა ჯგუფებად. ვკორტნით და ვმიძვნით ერთმანეთს იმ არწივზე უფრო დაუნდობლად, სვესმა რომ მიუგ საუნა პრომეთეს.

ამ სასტიკ ომში ქართველობა გაიმარჯვებს მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოში იქნება წესრიგი. ჩვენში კი უოველგვარი ბოროტება მძვინვარებს – ძველელობანი, ეახლობა, ძარცვა-გლეჯა, ქურდობა, სპეკულაცია, პროსტიტუცია, ნარკომანია... გონი ისე აურია ვეელას, რომ ქართველობა თავის თავს ჰარავს და უცხოეთში მიაქვს საქართველოს სიმიდირე. ის, რაც საქართველოში ხდება არ არის ძარტო კრიმინოკენური მოვლენა. ეს პოლიტიკური აქციაა, მიმართული საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების წინააღმდეგ.

ამ სასტიკ ომში ქართველობა გაიმარჯვებს მხოლოდ მაშინ, თუ იძრომებს ქვეენის ეკონომიკის ასაღორძინებლად. ჯერჯერობით, ამ მიზნით თავს მიანიცდამანიც არ ვიწუხებთ. ველით ვიდაცას, ვინც უახლესი ტექნიკის სასოფლო-სამეურნეო იარაღით აღკვეწურავს, ნაირ-ნაირი სასუქებით მოკვამარავებს, ჩვენს სახნავ-სათესს, ბაღ-ვენახს, ბაღია-ბოსტანს დაამუშავებს და სანადიმოდ გამლილ სუფრაზე მიგვიწვევს. უნდა დავიმასსოვროთ: საქართველოს პატრონი, თავის თავის პატრონი თავად ქართველი ხალხია. მან უნდა მოუაროს და გადაწვეიტოს ჩვენი ქვეენის ბედ-იღბალი.

საქართველოს პატრონობას მაშინ მოვასერებთ, თუ ვენდობით ერთმანეთს, მაგრამ ჩვენდა სავალალოდ, უნდობლობა ძვალსა და რბილში გვაქვს გამჯდარი. ავირჩიეთ 28 ოქტომბრის ხელისუფლება, არ ვენდეთ. ავირჩიეთ 11 ოქტომბრის ხელისუფლება, არ ვენდობით. რა გარანტია არსებობს იმისა, რომ ვენდობით იმას, რომელსაც მომავალში ავირჩევთ? – არავითარი. უფრო სარწმუნო ის არის, რომ არც იმას ვენდობით. ეს უნდობლობაა სწორედ ქართველთა უღონობისა და უძღურობის საფუძველი. პოლიტიკა ნდობაა. ვერცერთი ხელისუფლება ვერ შესძლებს ქვეენის მოვლა-პატრონობას, თუ არ ენდობიან. ნდობა არ ნიშნავს არც სიერუეს, არც სიბრძავეს, არც სიმუნჯეს, არც მონობასა და მორჩილებას. ნდობა ნიშნავს ურთიერთგაგების სურვილს, მშიდობიან, აზრიან ღრმა სჯა-ბაასს, ერთიანი ძალით ქვეენის გადარჩეის გზის ძებნას, სიმუღვილის უქონლობას. იმ პარლამენტარიზმს ნიშნავს, როცა სხვადასხვა შესედულების ადამიანებს ერთმანეთისა ეუწრებათ და საერთო დასკვნის გამოტანა შეუძლიათ.

თუ ურთიერთნდობას ვერ მივაღწიეთ, ჩვენი ქვეენა დაიშლება, დანაკუწდება. ეს კი უფრო დიდი უბედურებაა, ვიდრე დაპრობა. დაპრობილი იყო საქართველო მე-19 საუკუნეში, მაგრამ ეკონომიკური, კულტურულ-საცან-

მანათლებლო გამარჯვებები მანაც მოვიპოვეთ. რამდენი დიდებული ადამიანი მოღვაწეობდა. რამდენ საშვილიშვილო საქმეს ჩაეუარა საძირკველი. დაქუცმაცებული ქვეყანა, უძწეო და სუსტი, შინაური და გარეშე მტრის სათარეშო ახპარეხია. ნებით თუ უნებლიეთ, ძალითა თუ შემთხვევით უკეთესნი შვილნი ქვეყნისა სამშობლოს ტოვებენ (ვანტანგ VI და დავით გურამიშვილის მაგალითიც კმარა). ქვეყანა ეკონომიკური სიდუხჭირის, უმეცრების წუვდიადში იძირება. ამიტომ სურს რუსეთს ჩვენი დაშლა-დანაკუწება და არა – დაპურობა. ამ უსასტიკესი შურისძიების წუურვილში დიდ როლს ასრულებს ისიც, რომ რუსეთის ზეიმპერიის ანუ სსრ კავშირის აკვანს ქართველი არწევდა და მისი კუბოს თავიც ქართველს ეჭირა.

უთვალავი ჭირვარამი დაგვატედა თავს, მაგრამ უნდა გავუძლოთ. დიდგორში, როცა ქართველთა მცირერიცხოვანი ჯარი მუსლიმანური კოალიციის უხარმაზარი არმიის ჰირისპირ იდგა, დავით აღმაშენებელმა უბრძანა სპას: უკან დასახევი გზები ჩახერკეთ! ჩვენ დღეს ან გავიმარჯვებთ, ან სამუდამოდ ჩავწევებით დიდგორის მიწაში.

დღეს საქართველოს, მისი მოსახლეობის, ქართველია იგი თუ არაქართველი, ლოზუნგი უნდა იყოს – უკან დასახევი გზები ჩახერკეთ!

1993 წ., მარტი



საბი შესაღმა

სულ ორი წელიწადი და რვა თვე გავიდა, რაც საქართველოში კომუნისტური რეჟიმი დაეცა და ძალაუფლება ეროვნული მოძრაობის ხელში გადავიდა. მართალია, დრო ძალიან მცირეა, მაგრამ ამ პერიოდში მომხდარი მოვლენებია მეტად დამაფიქრებელი. იმ შეცდომების შედეგად, რაც ეროვნულმა მოძრაობამ დაუშვა, საქართველო სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ვაუსწოროთ თვალი სინამდვილეს და ვაღიაროთ.

ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურად დაიქცა, დაქცევის პროცესის შეჩერება არ ხერხდება. პირიქით: ეკონომიკური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. როდის შეწყდება ეს პროცესი და როდის დაიწყება ვითარების გაუმჯობესება, — ამას ვერავინ იტყვის. საქართველო, როგორც ერთიანი ქვეყანა და ერთიანი ეროვნული სხეული, დაიშალა. შინაშლილობა გრძელდება, თბილისის ხელისუფლების იურისდიქცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არ ვრცელდება. ჩვენი მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი (ცხინვალის ოლქი, ვაგრის ზონა) ოკუპირებულია. ვაი, რომ ოკუპირებული ტერიტორიის დასაბრუნებლად დიდი სისხლისღვრა მოგვიწევს.

მთელ ქვეყანაში უსაშინლესი კრიმინოგენური ვითარებაა. ნაირ-ნაირი ჯურის ავაზაკები უმოწყალოდ მარცვავენ საქართველოს. ხალხი ზნეობრივად დაკნინდა, ეკონომიკურად გადატაცდა. კულტურული ცხოვრება ჩაკვდა.

მეტს აღარ გავაგრძელებ. რაც ვთქვი, ისიც საკმარისია. მაგრამ კითხვა კი უნდა დაისვას: რამ გამოიწვია ეროვნული მოძრაობის მარცხი? მართალია, ბერს სწყინს, ბრაზობს კიდევ, როცა ვამბობ — ეროვნული მოძრაობა დამარცხდა-მეთქი, — მაგრამ იმას, რა მდგომარეობაშიც დღეს საქართველოა, თუ დამარცხება არ ჰქვია, მაშინ დამარცხებაა რაღა? თუ საქმე ისეა, როგორც ჩვენი გამოჩენილი მსახიობი პიერ კობახიძე ხუმრობდა: მარჯანიძეილის თეატრში ჩაფარდნას არაფერს ეძახიან, თუ სცენის იატაკი არ ჩატედა და მსახიობები სარდაფში არ ჩაცვივდნენო.

დაგვიანებული თითზე კბენანი, მართალია, წარსულს ვერ უშველის, მაგრამ მომავლისათვის იქნებ მაინც გვასწავლოს ჭკუა.

უპირველესი, რამაც ეროვნული მოძრაობის დამარცხება გამოიწვია, იყო ის, რომ იგი გაითიშა და გაიყო. დაიწყო არა საქართველოს სსრისათვის ბრძოლა, არამედ ხელისუფლებისათვის. ეს რომ დიდი ხიფათით იმუქრებოდა, ამის მიხედრას არც ნიჭიერება სჭირდებოდა და არც წინასწარმეტყველების უნარი. ამას ისტორიის მარტივი გამოცდილება გვასწავლიდა. თავდაპირველად ეველა რევოლუცია უსისხლოდ ხდება. სამოქალაქო ომი და სოცვა-ელექტა მერე იწეება, როცა ძველი თანამებრძოლები ხელისუფლებას, როგორც ნადავლს, ვერ იყოფენ და ერთმანეთს მიესვენებან. ისტორიის ეს კანონზომიერება უთუოდ და უთუძცაოდ მოითხოვდა ეროვნული მოძრაობის ძალების ერთიანობას. სხვაგვარად საქართველოშიც განმეორდებოდა ის უბედურება, რასაც შინააშლილობა ჰქვია. განმეორდა კიდევც.

ეროვნული მოძრაობის ერთიანობა-მთლიანობის აუცილებლობას მაშინ როგორც ვაფიგებდით, როცა დღესაც, მწარე ვაკვეთილის შუქდევ, არ ვკეისმის ეს. ისევ დაფანტულ-დაქსაქსული ვართ. ისევ გრძელდება პარტიული კინკლაობა, ხელისუფლებისათვის ბრძოლა. ისევ იარაღით ვუპირისპირდებით ერთმანეთს. ისევ ვერ გავაცნობიერებთ იმ დიდ კატასტროფას, რაც საქართველოს ელის, თუ ვერ მოვძებნეთ საერთო ენა.

როგორც უნდა ვკუძულდეს ერთმანეთი, როგორც უნდა ვიყოთ მტრობითა და ბოღმით ვაკუდული ერთმანეთის მიმართ, ჩვენ მანც უნდა გავერთიანდეთ. სხვა გზა სსრისა არ არის და იმიტომ.

მეორე, რამაც ეროვნული მოძრაობის დამარცხება გამოიწვია, ვახლავთ ის, რომ იმთავითვე სათანადო ეურადლება არ მიექცა ეკონომიკას. მწარე შეცდომა იყო აღიარება პრინციპისა – ჯერ პოლიტიკა, მერე ეკონომიკა. სამწუხაროდ, ეროვნული მოძრაობა ხელისუფლებას იმდენად დახარბებული აღმოჩნდა, რომ ვერც კი მიხვდა: ეკონომიკის უკულებელყოფით საკუთარ ძალაუფლებას რომ გამოუთხარა ძირი.

მართალია, დროდადრო კომუნისტური რეჟიმის დამსობამდე, ეროვნული მოძრაობის ესა თუ ის წარმომადგენელი ან ჯგუფი აქვეყნებდა ეკონომიკურ პროგრამებს, მაგრამ ისინი უტეუარად მხოლოდ ერთ რამეს მოწმობდნენ და ადასტურებდნენ – ქართული ეკონომიკური ახრის მოუშადებლობას რეფორმისათვის. აგრეთვე, იმას, რომ საქართველოს არ ჰევადა ეკონომისტთა რაზმი, რომელსაც შეეძლო ურთულესი ვითარებისათვის თავის გართმევა და ქვეყნის ეკონომიკური პატრონობა.

რაც ვთქვი, ნურავის ეწეინება. ეს დასკვნა უდავო ვახდა საქართველოს დღევანდელმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ. თუ ქართული პოლიტიკური და ეკონომიკური ახრის უსუსურობას, აბა, სხვას რას დავაბრალოთ ის, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებიდან დღემდე, საქართველოს ეკონომიკა ისევ იმ კლექტოკრატიის ხელშია, ვის ხელშიც იყო კომუნისტური რეჟიმის დროს. თუ ვერ მოხერხდა კლექტოკრატიის გაძევა ეკონომიკის ახარეზიდან,

ხურავის ექნება იმედი იმისა, რომ საქართველო თავს დააღწევს ეკონომიკურ ქაოსს.

ჯერ ერთი, კლექტოკრატია ვერ შექმნის სოციალურ საბაზრო ეკონომიკას და, მეორეც, ქაოსი და ამღვრეული წყალი კლექტოკრატიისათვის ხელსაწყოელია. მოგეხსენებათ, ამღვრეულ წყალში თევზს ადვილად იჭერენ.

საქართველოში, საერთოდ უველა იმ ქვეყანაში, რომლებიც სსრკ-ში შედიოდნენ, ეკონომიკური რეფორმის ჩატარება უხველესი და ურთულესი საქმეა. დღეს ხშირად გაიგონებთ, საქართველოს ლუდვიგ ერჰარდი სჭირდებაო. უბედურება ის არის, რომ გერმანული ეკონომიკური სასწავლის შემოქმედსაც გაუჭირდებოდა დღევანდელ საქართველოში. ლუდვიგ ერჰარდის გერმანიაში არც საკუთრების ფორმა იყო შესაცვლელი, არც ახალი ეკონომიკური სისტემა იყო შესაქმნელი და არც გერმანიის ბურჟუაზია იყო განადგურებული. საქართველოში კი საკუთრების ფორმაც შესაცვლელია (სახელმწიფო საკუთრების მაგიერ კერძო უნდა შემოვიღოთ), ახალი ეკონომიკური სისტემაც შესაქმნელია (სოციალისტური ეკონომიკის ნაცვლად სოციალური საბაზრო ეკონომიკა უნდა დავამკვიდროთ) და ქართული ბურჟუაზიაც ჩამოსაყალიბებელია.

დღემიწის ზურგზე არსად მომხდარა ის, რაც ეოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე მოხდა. ერთი საუკუნის მანძილზე ორჯერ ჰირწმინდად დაიძალა ეკონომიკური სისტემა. პირველად 1917 წლის შემდეგ, როცა კაპიტალისტური სისტემა დაანგრის და ახლის, სოციალისტური ეკონომიკური სისტემის ამენება დაიწყო. მეორედ 90-იანი წლების დასაწყისში, როცა სოციალისტური ეკონომიკური სისტემა დაინგრა და ისევ კაპიტალისტური, ანუ სოციალური საბაზრო ეკონომიკური სისტემის ამენებას ცდილობენ.

ორჯერ, ერთ საუკუნეში, ასეთ ეკონომიკურ კატასტროფას ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაუძლებს.

გერმანიაში არც ეკონომიკური ცნობიერების შეცვლა იყო საჭირო. საქართველოში კი აუცილებელია მისი შეცვლა. ნაცვლად სოციალისტური ეკონომიკური ცნობიერებისა უნდა ჩამოყალიბდეს სოციალური საბაზრო ეკონომიკის ცნობიერება.

ყოველი ჭკუათმყოფელი ადამიანისათვის ნათელი და გასაგებია, რა დიდ შრომას, რა მტკიცე წესრიგს, რა რკინის ნებისყოფას, რა ქვის მოთმინებას და რა ხანგრძლივ დროს მოითხოვს იმის გაკეთება, რაც ჩამოვთვალე. ამას ისიც ემატება, რომ ხალხის ფართო ლიანგს არ ესმის – რა ხდება საქართველოში. ჯერ იყო და ათეული წლების მანძილზე ჩაფიჩინებდით ხალხს, ვარწმუნებდით: რაც ამქვეყნად უბედურებაა, ეველაფერი კერძო საკუთრების ბრალია. ბურჟუაზიისა და კაპიტალისტების გაუძმძღრობის შედეგია ის, რომ მშრომელი ადამიანი დაჩაგრულია, ღარიბ-ღატაკია, უქონელი და უპოვარია. სოციალისმშია კაცობრიობის ერთადერთი ხსნა. იგი დაამკვიდრებს სამართლიანობას ამქვეყნად. იგი ვადააქცევს ყოველი ადამიანის ცხოვრებას სამოთხედ. სოცია-

ლიზმის დროს მუშაკაცს პირის დაღების მეტი არაფერი დასჭირდება, ერობიანი ხინკლები თავისით ჩაუცვივო შიგ.

ახლა მოვდექით და ვქადაგებთ: სოციალიზმმა არ გაამართლა, მოტყუებულ-გაცდუნურაკებულ დაფრჩით. თავის გადარჩენა თუ გვინდა, ისევ უკან კაპიტალიზმში უნდა დავბრუნდეთ. სოციალური საბაზრო ეკონომიკა უნდა ავაშენოთ, თუ გვინდა შიმშილით არ გავწუდეთო. მშრომელი ადამიანი გაოგნებული დგას და ვერ გარკვეულა: რა საჭირო იყო რევოლუციები, სისხლის წარღვნა, ნგრევა-აწიოკება, საკუთრების ჩამორთმევა, განკულაკება, კოლექტივიზაცია და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი უბედურება, რაც სსრკ-ში ადამიანმა გადაიტანა, თუ, ბოლოს და ბოლოს, ეველაფერი უარსაყოფი აღმოჩნდებოდა? დღეს დიდი საგანმანათლებლო მუშაობაა ჩასატარებელი იმისათვის, რომ ხალხს ახსნა-განმარტება მივცეთ – რა პროცესი მიმდინარეობს საქართველოში ამჟამად. ვავაგებინოთ, რომ ქართველი ხალხიც, ეველა იმ ხალხთან ერთად, ვინც სსრკ-ში ცხოვრობდა, ვახდა მსხვერპლი კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარი უტოპიური ექსპერიმენტისა. ამ ახსნა-განმარტებამ ხალხი გაოგნებისაგან უნდა გამოიყვანოს. მაშინ იგი, გამოფხიზლებული, ნელ-ნელა დაიწეებს შემოქმედებით საქმიანობას.

ხალხს ისიც აბნევს, რომ ჰრეფექტი იქნება, გამგებელი, თუ სხვა რამ სახელის მატარებელი ადმინისტრატორი, ისეთივე მუვლეფელი და მმარცველია როგორც რაიკომის მდივანი იყო. რაიკომის მდივანს დანაშაულისათვის ხანდახან მაინც სჯიდნენ, ან ჰარტიდან გარიცხავდნენ, ან მოხსნიდნენ, ზოგჯერ დაიჭერდნენ კიდევ. ახლა არავის სჯიან. სრული განუკითხაობაა. დანაშაულისათვის დასჯილი ჰრეფექტი, გამგებელი ან სხვა ხელისუფალი ისეთივე ძნელი სანაოვნელია, როგორც თეთრი ევაგი.

მეცნიერი, ხელოვანი, მწერალი, ჟურნალისტი, ვინც გუშინ კომუნიზმის მეხოტბე და მქადაგებელი იყო, დღეს საბაზრო ეკონომიკას ადიდებს, კაპიტალიზმს გუნდრუკს უამევეს და დიდსა და ჰატარას არწმუნებს – ჩემი დღე და მოსწრება საბჭოთა ხელისუფლებას ვებრძოდით. დაბნეული ხალხი ვერ გარკვეულა – როდის ამბობდნენ ისინი მართალს, მაშინ თუ ახლა.

ეს ქაოსი იმიტომაც დაეუფლა ეველაფერს, რომ ეროვნულმა მოძრაობამ თანდათანობითობის გზა უარყო. ერთბაშად და უცბად მოინდომა ეველაფრის გაკეთება. ეს ეროვნული მოძრაობის მესამე მწარე შეცდომა იყო.

უცბად და ერთბაშად მარტო დანგრევა შეიძლება. აშენება არა. ეს დღეს უკვე ეველასათვის ცხადია. ორი წლისა და რვა თვის მანძილზე ვერც ეკონომიკური რეფორმა ჩავატარეთ, ვერც ადმინისტრაციული, ვერც სასამართლო და ვერც საგანმანათლებლო. ვერც მძლავრი არმია შეექმენით და ვერც ახალი ტიპის ჰოლიცია ჩამოვაჯალიბეთ. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ასეთ საქმიანობას ათეული წლები სჭირდება. არსად, არც ერთ ქვეყანაში, არასოდეს არ მომხდარა ეს უცბად და ერთბაშად. ამასაც უნდა ახსნა-განმარტება. სასოგადოებისათვის

კასაგები ერთ მიწოდება.

სულწასულობისა და აჩქარებულობის გამო კიდევ უფრო მეტად დავიკვირანეთ, კიდევ უფრო მეტად ჩამოვრჩით. ამან უნდა გამოგვაფხიხლოს და ახლა მაინც მკაფიოდ განვსაზღვროთ – რას ვაკეთებთ და როგორ. არ შეიძლება ვეწავლა საქმის ერთდროულად კეთება. სახელმწიფოც ისე შენდება, როგორც სახლი. როგორც უნდა უჭირდეს კაცს უბინაობა, იგი სახლის მშენებლობის კანონზომიერებას ვერ დაარღვევს. თუ დაარღვევს, თავად დარჩება უსახლკაროდ.

რაკი ჩვენ სრულიად ახალი სახელმწიფოს აშენება გვინდა, რაკი სრულიად ახალი წესწესობილების დამკვიდრება გვსურს, თანდათანობით მშენებლობის ზუსტი გეგმაც უნდა შევიმუშაოთ.

ამ გეგმის სქემა ამგვარად წარმომიდგენია:

ჯერ უნდა დაიწეროს კონსტიტუცია და, რამდენადაც შესაძლებელია, მალე საქართველოს მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რა ტიპის და როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ.

შემდეგ, კონსტიტუციის საფუძველზე, ჩატარდეს ძირეული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რეფორმა მკაფიოდ განსაზღვრულ დროში.

ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ რეფორმას უნდა მოჰყვეს სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების რეფორმა. როგორც სასამართლოს, ისე ადმინისტრაციულ ორგანოებს ძირფესვიანი შეცვლა სჭირდება. მილიციისათვის მარტო პოლიციის დარქმევა არ კმარა. შესაცვლელია დღევანდელი პოლიციის მთელი სტრუქტურა და, რაც მთავარია, იქ მომსახურე პერსონალიც – გენერალიტეტის, ოფიცრებისა და რიგითების – ფსიქიკა. ეს დიდი და მძიმე სამუშაოა, მაგრამ აუცილებელი.

როცა საქართველოში იარსებებს მყარი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, თავისი მტკიცე ხელმძღვანელობით, თავისი უფლება-მოვალეობებით, იქნება სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოები, აღჭურვილი თანამედროვე კანონებით, შესაძლებელი გახდება რეალური ეკონომიკური რეფორმების ჩატარება. ის, რაც დღეს ხდება საქართველოში, ეკონომიკური რეფორმა არ არის. ეს არის უნიადაგო მცდელობა ჰიბრიდის შექმნისა – არც სოციალისტური ეკონომიკა და არც სოციალური საბაზრო ეკონომიკა, რაღაც საშუალო, რომელშიც ერთის ელემენტიც იქნება და მეორისაც. სხვაგვარად დღეს ვერც იქნება, რადგან ძალიან მძლავრია კლემენტოკრატია. იგი ხელისუფლებას სრული ეკონომიკური რეფორმის ჩატარების საშუალებას არ მისცემს.

ეკონომიკური რეფორმის ჩატარებას დაცვა ესაჭიროება. ამ დაცვისათვის არის აუცილებელი სასამართლოს, პოლიციის, ადგილობრივი ადმინისტრაციის რეფორმა წინ უსწრებდეს ეკონომიკურ რეფორმას.

ახალ ეკონომიკას ახალი დაცვა უნდა. ძველი ახალს ვერ დაიცავს.

თუ ერთმანეთს ხელს არ შევუძლით, რაც ზემოთ ვთქვი, იმის გაკეთება სამ

წელიწადში შეიძლება. მუშაობა უნდა იყოს შეთანხმებული და ერთიანი.

მართალია, საქართველოში უმძიმესი ვითარებაა, ცალკერძო ომია და ცალკერძო ქვეყანა სავსეა ქურდ-ბაცაცებით, ავაზაკებით, უჩინებოთა და მტაცებლებით, მაგრამ ხალხს ვერაფერი დაამარცხებს, თუ ამ ხალხმა იცის, რას აკეთებს. თუ სჯერა, რომ ხელისუფლება პატიოსნად ემსახურება ქვეყნის კეთილდღეობას. გამარჯვებისათვის კიდევ ერთი რამ არის აუცილებელი – სიძულვილის შეცვლა სიყვარულით.

ყოველი რევოლუციის მამოძრავებელი ძალა სიძულვილია!

ინგლისის რევოლუციას ამოძრავებდა ის სიძულვილი, რომელიც ინგლისელ ხალხსა და ბურჟუაზიას ჰქონდა მონარქიისა და არისტოკრატის მიმართ.

საფრანგეთის რევოლუციას ამოძრავებდა ფრანგი ხალხისა და ბურჟუაზიის სიძულვილი მონარქიისა და არისტოკრატის მიმართ.

რუსეთის რევოლუციასაც ამოძრავებდა რუსი ხალხის სიძულვილი ცარისტული რეჟიმისა და მემამულურ-თავადანაწარული სისტემის მიმართ.

ქართულ ეროვნულ მოძრაობას ამოძრავებდა ქართველი ხალხის სიძულვილი კომუნისტური რეჟიმისა და რუსეთის იმპერიის მიმართ.

მაგრამ სიძულვილი მხოლოდ ანგრევს და არ აშენებს.

ყოველ რევოლუციას ხალხი დიდი იმედით შეჰყურებს, ჰგონია, რომ რაკი რევოლუცია მოხდება, ჯოჯოხეთი სამოთხით შეიცვლება. მაგრამ ასე არ ხდება. ანატოლ ფრანსის სარკასტულ ნათქვამს თუ გამოვიყენებთ, რევოლუცია მხოლოდ შუშებს ამტვრევს და მეშუშეებს ამდიდრებს. ყოველი რევოლუციის შემდეგ, ხალხი მოტყუებული და გაცდუნებული რჩება. როცა ხალხი ამას გააცნობიერებს, იგი სასოწარკვეთილებაში ვარდება, გული უტყდება და ჰასიური ხდება. ასე რომ არ მოხდეს, აუცილებელია სიძულვილის შეცვლა სიყვარულით. სიყვარული ისევ უბრუნებს ხალხს იმედს და შემოქმედებითი შრომის უნარს.

ქართველი ხალხიც იმედის თვალთ უყურებდა ეროვნულ მოძრაობას. მას უკავშირებდა არა მარტო ეროვნულ-სახელმწიფოებრივ განახლებას, არამედ ეკონომიკურ-სოციალურ კეთილდღეობასაც. მაგრამ, ეროვნული მოძრაობის შეცდომების გამო, იმედი გამტყუნდა, იმედს განახლებებს, ხალხს აქტიურს გახდის, შემოქმედებით შრომას ააღორძინებს სიყვარულის დაბრუნება, სიძულვილის უარყოფა.

თუ ეროვნული მოძრაობა დაივიწყებს ურთიერთმტრობასა და შუღლს, გაერთიანდება, სიყვარულით შეკავშირდება, იგი დაშვებულ შეცდომებსაც გამოასწორებს, ხალხს იმედით ღლავსებს და საქართველოც თავს დააღწევს უთვალავ ჭირ-ვარამს.

საქართველოს ისტორიაში მეორედ ხდება ჩვენი ქვეყნის კატასტროფული დამარცხება. პირველად მაშინ, როცა ის ტერიტორია დაკარგა, რომელიც ამჟამად „თურქეთის საქართველოდ“ იწოდება და მეორედ ახლად, როცა რუსეთმა აფხაზეთი მოკლიჯა საქართველოს. პირველ დამარცხებას, ავად თუ კარგად, საქართველომ გაუძლო. გაუძლებს კი მეორეს? ეს კითხვა უველა გონიერ ადამიანს აწამებს დღეს საქართველოში. ამ კითხვას მეტნაკლებად დამაჯერებელი პასუხი რომ გავცეთ, ჩვენი დამარცხების მიზეზები უნდა გავარკვიოთ.

პირველი: საქართველო ორ დაპირისპირებულ მტრულ ბანაკად არის გახლეჩილი. ომში გამარჯვებისათვის უოველ ქვეყანას ერთიანობა სჭირდება. გაუოფილი ქვეყანა გამარჯვებას ვერ მოახერხებს. იგი ერთმანეთთან ქიშხსა და მტრობას ვაცილებით მეტ დროს უთმობს, ვიდრე საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლას. როგორ გაიმარჯვებს ქვეყანა, როცა მისი ერთი ნაწილი სისხლს ღვრის და მეორე ნაწილს დუშმანის ეველა წარმატება გულს უხარებს. მტერი სოფელსა თუ ქალაქს რომ წაგართმევს, სიხარულის ეიჟინას დასცემს და ქუდს ჭერში ისვრის. ასეთ ვითარებაში საქართველოსთან ერთი ბეწო ქვეყანა კი არა, მილიარდიანი ჩინეთი ვერ გაიმარჯვებს.

თუ საქართველოს გამთლიანება არ მოხერხდა, თუ ერთმანეთს მორიგების ხელი არ გავუწოდეთ, საქართველოს რღვევა გაგრძელდება. ეს კი ქვეყანას სრულ დაქცევამდე მიიყვანს. ამ უმწარესმა დამარცხებამ ჭკუა უნდა გვასწავლოს. თუ ახლაც ვერ მივხვდით, რაოდენ სახიფათოა ქვეყნის გახლეჩა, მაშინ ჩვენი საშველი აღარ უოფილა და ეკ არის.

მეორე: თავისთავის მოტეუება. ჩვენ ზედმიწევნით ზუსტად ვიცოდით, რომ რუსეთი გვეომებოდა. ეს ომი დიდი ხანია დაიწყო, 1801 წელს. მას მერე ომი სხვადასხვა სახით, სხვადასხვა ფორმით ვლინდება, მაგრამ შინაარსი უოველთვის ერთი აქვს: საქართველოს დახოქება, მისი წელში გატეხა და დამორჩილება. ამისათვის მოსკოვმა დიდი მუშაობა გასწია, დიდძალი ფული დახარჯა. აფხაზეთა ერთი ნაწილი გადაიბირა. საქართველოს დაუპირისპირა. მერე ეს და-

პირისპირება ოსტატურად გამოიყენა. დაპირისპირების გამოვლენა, დროდადრო, უკვე 1921 წლიდან ხდებოდა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელ მანძილზე აფხაზთა ერთი ნაწილის ჭირვეულობა რუსეთის სიგნალები იყო: გაბედავს საქართველო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, მოისურვებს რუსეთის ტყვეობიდან გაქცევას, მაშინვე წაყართმევეთ აფხაზეთს. თუ საქართველოს აფხაზეთის თუნდაც ფორმალური შენარჩუნება უნდა, იუოს ჩუმად, გატრუნული და კრინტი არ დასძრას. საქართველო არ შეეპუა რუსეთს და თავისუფლება-დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დაიწყო. როგორც კი რუსეთმა ეს დაინახა, მაშინვე ჩართო წინასწარმომხადებელი ბერკეტები – ჯერ ოსები, მერე აფხაზები. დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი აფხაზეთში, მაგრამ არ ითქვა – ეს რუსეთ-საქართველოს ომი. ოფიციალური დოკუმენტები, პრესა, ტელე-რადიო შეხმატკბილებულად აფხაზთა სეპარატიზმის წინააღმდეგ აღაპარაკდა. რუსეთს თუ ახსენებდნენ, მორიდებით. თითქოს რაღაც რეაქციული ნაწილი ეხმარებოდა აფხაზებს, თორემ კეთილი რუსეთი ამ ომის რაც შეიძლება მალე დამთავრებით არის დაინტერესებული. თითქოს ორი რუსეთი არსებობს – ერთი კეთილი და მეორე ბოროტი. აფხაზებს ბოროტი რუსეთი ეხმარება, თორემ კეთილ რუსეთს საქართველოს სიუვარული ბურთივით აქვს ეელში გაჩრილი. მთელი წელიწადი, 1992 წლის 14 აგვისტოდან დღემდე, ამას ვამტკიცებთ. ახლა კი, როცა დავმარცხდით და სამარცხვინო შეთანხმებაზე ხელი მოვაწერეთ (შეთანხმების ხელმოწერილი ტექსტი დაბეჭდილია 1993 წლის 29 ივლისის „საქართველოს რესპუბლიკაში“ და „სეობოდნაია გრუზიაში“), ეველა ერთხმად აღაპარაკდა, ხელისუფლებაც კი: რუსეთს ომს როგორ მოვუკებთ? შეთანხმება აუცილებელია, რომ საქართველო სისხლით არ დაიცალოს.

როგორ? ვინ არ იცოდა 1992 წლის 14 აგვისტოს, როცა ომი დაიწყო, რომ რუსეთი გვეომებოდა? ეველამ იცოდა. ვინც იტყვის, არ ვიცოდით, არ გვეგონა რუსეთი თუ გვეომებოდაო, იგი არა მარტო ცრუშენტელებაა, არამედ უნამუსოც. რა, 14 აგვისტოს არ ვიცოდით, რომ საქართველო რუსეთს ვერ დაამარცხებს ომში? ვიცოდით. ჩინებულად ვიცოდით. მაშინ რატომ გაწველეთ მთელი წელიწადი ომი? რატომ გავიღეთ უსარმაზარი მსხვერპლი? როგორც კი სოხუმში პირველი ტყვია გავარდა, გვეთქვა მაშინვე – რუსეთმა ომი დაგვიწყო, ამ ომში ჩვენ ვერ გავიმარჯვებთ, უსარმაზარ მსხვერპლს სამარცხვინო ზავი სჯობს, სხვა გამოსავალი უდონო და უძლურ საქართველოს არა აქვსო.

თუ ომი ქართველთა სამარცხვინო დამარცხებით დამთავრდებოდა, განა არ სჯობდა ეს მაშინვე გვეთქვა და მსხვერპლი არ გაგველო. რატომ არ ვთქვით? იმიტომ, რომ ეველაფერს ზერელედ ვუუბრებთ, ეველაფერი კართობა და თამაში გვეგონია.

ერთი გვპირდებოდა: ახალ წელს გაგრაში შევხვდებითო. მტერი შეხვდა

ახალ წელს ისე, როგორც ჩვენ გავრამი შევხვდით.

მეორე ულტიმატუმს აუენებდა. იკვეხნიდა: საქართველო-რუსეთის საზღვრამდე სულ მარშით გავალთო. მტერს გადავთვლავთ და სულ ნაცარტუტად ვაქცევთო – ამის მაგიერ კაპიტულაციას მოვანწერთ ხელი.

მესამე ბაქიბუქობდა: სოხუმში მტერი ცხვირს ვერ შემოუოფს. მისი დაცვა გარანტირებულია და ქალაქს არავითარი საფრთხე არ ემუქრებაო. ახლა ვამტკიცებთ: შეთანხმება რომ არ დავდოთ, სოხუმს ვერ დავიცავთ, ტყვია-წამალი არ გვაქვს, ჯარისკაცები არ გვყავს. მტერი ქალაქს აიღებს და გაუგონარ უბედურებას დაატრიალებსო.

ახლაც ვიტყუებთ თავს. საქართველოსათვის სასარგებლო შეთანხმება დავდეთო.

როგორ შეიძლება საქართველოს სასარგებლო იყოს შეთანხმება, რომელშიც არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი, რომ აფხაზეთი საქართველოს მიწა-წყალია, რომ საქართველოს ტერიტორია ხელუხლებელია და მისი მთლიანობა დაცული უნდა იყოს?

როგორ შეიძლება საქართველოსათვის სასარგებლო იყოს შეთანხმება, რომელიც უფლებას ანიჭებს გუდაუთის ხროვას დაბრუნდეს სოხუმში, როგორც კანონიერი ხელისუფლება? როგორც უნდა გპულდეს გუდაუთის ხროვა, უპრინციპობას ვერ დააბრალებ. იგი თავის პრინციპს მტკიცედ იცავს: საქართველო სხვაა და აფხაზეთი – სხვა. ეს ორი სხვადასხვა სახელმწიფოა და მათ შორის დამოკიდებულება უნდა იყოს ისეთი, როგორიც არის ორ სხვადასხვა სახელმწიფოს შორის. ამ პრინციპის დამცველი „კანონიერი ხელისუფლება“ სოხუმში დაბრუნდა და ეს საქართველოსათვის სასარგებლოა?

როგორ შეიძლება საქართველოსათვის სასარგებლო იყოს შეთანხმება, რომელიც აფხაზეთს საქართველოს თანაბარ იურიდიულ სუბიექტად მიიჩნევს და არა საქართველოს ნაწილად? ეს ხომ არსებითად აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფას ნიშნავს? სრულიად სამართლიანად ამბობს აპოლონ სილაგაძე („საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წ., 27 ივლისი): ამ ომის მანძილზე აფხაზეთმა მიაღწიეს იმას, რომ მთელ მსოფლიოს გააგებინეს – „აფხაზეთი, ეს არის ტერიტორია, რომელიც აფხაზეთს ეკუთვნით, რომელიც შედის საქართველოს შემადგენლობაში, რომ აფხაზეთს თავიანთი ტერიტორიით წასვლა უნდათ, მაგრამ საქართველო არ თმობს“. ე.ი. საქართველო დამპყრობელია და აფხაზეთს თავისუფლების მოპოვების საშუალებას არ აძლევს. ვისაც ისტორიული დოკუმენტის კითხვა შეუძლია, იგი დავკეთანხმება, რომ სოჭში ხელმოწერილი შეთანხმება ამ ანტიქართულ აზრს ადასტურებს. ეს არის საქართველოსათვის სასარგებლო?

რატომ ვეწვეით თვითმოტყუებას? ამით ხომ მტერი რჩება გამარჯვებული და არა ჩვენ? ნუთუ ქართველი იმდენად უგუნურია, რომ ვერ ხვდება - თავისთავის

მოტყუება მტრის წისქვილზე წყლის დასხმა?

მესამე: პროპაგანდა მტრის სასარგებლოდ. რაც მსოფლიოში ომები ჩატარებულა, უძველესი დროიდან დღემდე, იმის მსგავსი მაგალითი არ არსებობს, რაც საქართველოში ხდებოდა. ვებრძოდით რუსეთს და ქართული პრესა, ტელე-რადიო, ხელისუფლებაც კი, გულმხურვალედ ეწეოდა რუსეთის უძლეველობის პროპაგანდას. რა არ იწერებოდა ქართულ პრესაში, რას არ ამბობდნენ ტელე-რადიოში, რას არ ქადაგებდნენ ჩვენი მინისტრები და პარლამენტარები.

რუსეთს აქვს ლაბორატორიები (მათ შორის, აფხაზეთშიც), რომელთაც შეუძლიათ ხელოვნურად გამოიწვიოს მიწისძვრები, ქარიშხლები, წყალდიდობები, ვულკანის ამოფრქვევა და რაგინდარა სტიქიური უბედურებები. ურუსეთოდ საქართველოს ეკონომიკა ვერ გამოცოცხლდება, თუ რუსეთთან ეკონომიკური კავშირები არ აღვადგინეთ, შიმშილით სიკვდილი გველის, თუ რუსეთთან ხელშეკრულება არ დავდეთ, საქართველოს ვერაფერი გადაარჩენს.

ასე იქმნებოდა მტრის უძლეველობის ხატი.

ამის სანაცვლოდ ქართული მას-მედია ამაგებდა ქართულ არმიას. ვინ არ იყვნენ ქართველი ჯარისკაცები - ქურდები, ეჩალები, მძარცველები, ჯალათები, ლოთები, უდისციპლინოები, მატყუარები და ვინ მოთვლის კიდევ რა. მართალია, დამარცხების სუნი რომ გვეცა, იცოცხლეთ, მერე კი დავიწუთ ჩვენი მეომრების ქება, მაგრამ რაღა დროს იყო. მტერი უკვე კისერზე გუჟავდა მომხდარი და როგორც უნდოდა ისე დაგვაჭენებდა.

კაცობრიობის ისტორიამ არ იცის ქვეყანა, რომელსაც მტრის ქება-დიდებათ, საკუთარი არმიის ლანძღვა-გინებით და უძლეულების ქადაგებით დაუმარცხებინოს დუშმანი.

მეოთხე: საქართველოში ვერ შეიქმნა ომის ფსიქოლოგიური განწყობილება. მთელ საქართველოში ისეთი ატმოსფერო სუფევდა, თითქოს აფხაზეთი აფრიკაში იყო და არა ჩვენში. მართალია, ვევიროდით - სამამულე ომი გვაქვსო, მაგრამ ეს ლიტონ მოწოდებად რჩებოდა. არავინ ეურადღებას არ აქცევდა. როცა მცირერიცხოვანი თავგამეტებული და თავგანწირული ადამიანები საქართველოს მთლიანობასა და ღირსებას იცავდნენ, დანარჩენ საქართველოს გულამოსკვნილი მოუწოდებდა რეკლამები ნაირ-ნაირ ქვეყნებში, ნაირ-ნაირ ქალაქებში წაბრძანდითო დასასვენებლად, დროის სატარებლად, სასპეკულაციოდ, საქართველოს ქონების უცხოეთში გასანიაველად...

პრესაში არ გამოქვეყნებულა არც ერთი მაგალითი იმისა, რომ ვინმე დასჯილია ლაჩრობისა და დესერტირობისათვის, საბოტაჟისათვის.

არც ერთი ქრხანა არ ამუშავებულა ომის ვითარების შესაბამისად, არც ერთი დირექტორი და მინისტრი არ მოხსნილა იმისათვის, რომ იგი ვერ ჩუმაობდა და ფრონტს მხარს ვერ უბამდა.

არც ერთ სასოფლო-სამეურნეო ობიექტს არ უმუშავია საგანგებოდ ფრონტისათვის, რომ ჯარისკაცებს სასმელ-საჭმელი არ მოჰკლებოდა.

იყო ვიშვიში იმის გამო, რომ ხალხის მიერ შეგროვებული და ფრონტზე გაგზავნილი ამხანაურები გზაში იმარცვებოდა და ქურდ-ბაცაცები ითვისებდნენ.

მწერლობა, ხელოვნება, მეცნიერება არ უნერგავდა მხნეობას მეომრებს, არ ვმობდა ლაჩრობას, სიმხდალეს, ქალაჩუნობას, ღესერტირობას.

ახლაც, დამარცხების მერეც, გრძელდება ლაჩრობისა და ქალაჩუნობის აპოლოგია, ვაჟკაცობისა და გმირობის გმობა. რუსთაველის აფორიზმიც აღარ მოსწონთ – „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“ იმის მაგიერ რომ ხალხი გაამხნევონ, სიმტკიცე, მომავალი გამარჯვების იმედი ჩაუნერგონ, მიმდინარეობს დამარცხების ფსიქოლოგიის პროპაგანდა. თურქეთში მშვიდობა სჯობს. აი, რა ბრძნული აღმოჩენა გააკეთა საქართველოს ხელისუფლებამ. იყო ერთი ბელადი, რომელსაც ხალხის გაპამულება უყვარდა და ზოგჯერ ასეთ სენტენციებს წამოიხროდა - იქნება მოსავალი, იქნება ჰური. არ იქნება მოსავალი, არ იქნება ჰური. ხალხი ხელეებს იხეთქავდა ტაშის ცემით, ეს რა გაუგონარი სიბრძნე გავიგონეთო. რით არის უკეთესი „აფორიზმი“ – ომს მშვიდობა სჯობს – „აფორიზმზე“ – იქნება მოსავალი, იქნება ჰური?

საქართველოში არ დადის ჭკუათმყოფელი კაცი, რომელსაც მშვიდობა არ ერჩიოს ომს. არ სძულდეს ხოცვა-ჟლეტა, სისხლისღვრა და ყველა უბედურება, რაც ომს ახლავს, მაგრამ კითხვა ისმის - როგორ, რის ხარჯზე მოვიპოვეთ მშვიდობა? ან მოვიპოვეთ კი მშვიდობა? ვინ არის იმის გარანტი, რომ გამარჯვებით თავბრუდამხვეული გურაუთის ხროვა ქართულ მოსახლეობას არ ამოწვევტს, ლტოლვილად და უსახლკაროდ არ აქცევს? რუსეთი და გაერო ამის გარანტი ნამდვილად არ არის. ამაში ეჭვი ნურავის შეეპარება. საქართველოს მშვიდობიანი ცხოვრების გარანტი ქართველი ხალხი უნდა იყოს, ქართული არმია უნდა იყოს. ნუ შევქმნით იმ მდგომარეობას, რასაც დავით გურამიშვილი ხატავდა „დადედლებულნი შიშთაგან აღარ ვარგოდნენ მამლად“.

დღევანდელ საქართველოში არ არის (შეიძლება არც მომავალ საქართველოში იყოს) ვაჟა-ფშაველასე უფრო დიდი ჰუმანისტი, კაცთმოყვარე და მშვიდობის მეტრეფე. უნივერსალური სიუვარულის იდეისა და მინდიას ავტორმა დიდებულად იცოდა – რა უბედურებაც არის ომი. მაგრამ არსებობს ომზე უფრო დიდი უბედურება – ღირსების დაკარგვა. ამიტომ წერდა „ფშაველი ჯარისკაცის წერილში“:

მშვიდობით! დაჰკრეს სავეირსა,
კვლავ მუძახიან ბრძოლაზე;
საჩხუბრად, სისხლის საღვრელად,
თოფის, ზარბაზნის სროლაზე.
მხნედ მივალ, ვერვინ დაგცინებს
ლაჩარის შვილის უოლაზე.

ეს ლექსი ჰირველი მსოფლიო ომის დროს არის დაწერილი. მაშინ ქართველი სხვისი მიწა-წყლის დასაცავად იბრძოდა. ახლა საკუთარს იცავს.

მესუთე: ზურგში ვერ აღიკვეთა დანაშაულებანი – მკვლელობა, მარცვა-კლევა, ქურდობა, სპეკულაცია, სახელწიფო ქონების მითვისება და სხვანი. თუ რომელიმე უწყებას აღრიცხული აქვს ის მკვლელობანი, რაც 1992 წლის 14 აგვისტოდან დღემდე მოხდა, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ავაზაკთა და მკვლელთა ხელით ზურგში მეტი ადამიანი დაიღუპა, ვიდრე ფრონტზე.

მექვესე: გულაუთის ზროვამ გამოძებნა მოკავშირენი, ჩვენ - ვერა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთს დამხმარე არ სჭირდებოდა, რაკი რუსეთი ომობდა აფხაზეთის ნიღბით, მათ მაინც მოძებნეს (უფრო სწორად: რუსეთმა დაუქირავა) მოკავშირეები ჩრდილოეთ-კავკასიელთა, სომეხთა, კახათა თუ სხვათა სახით. ეს საჭირო იყო მსოფლიო თვალში ქართველთა მიერ დაჩაგრული აფხაზეთის სახის, ანუ, როგორც დღეს ამბობენ, იმიჯის შესაქმნელად.

შექმლო თუ არა საქართველოს მოკავშირის ჰოვანა? ვფიქრობთ, რომ შექმლო.

ჩვენც უნდა შეგვექმნა „როქის სპა“ (დაქირავებული არმია), როგორც ეს დავით აღმაშენებელმა გააკეთა თავის დროს. დაქირავებული არმიის შესანახად ფული სად გვექონდაო, - იკითხავს მკითხველი. როცა იმ ფულის რაოდენობა გამოქვეყნდება, რაც საქართველოს ბანკებიდან გაიტანეს სხვადასხვა ფირმებმა თუ ჰირებმა და ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ ფინანსა ჰურიც არ შემოუტანიათ, მაშინ უველა ცხადად დანახავს, როგორი დაქირავებული არმიის შექმნა შეგვეძლო ჩვენ. ამ არმიაში დიდი სიამოვნებით იმსახურებდნენ უკრაინელებიც, თავად რუსებიც და სხვებიც. როცა რუსეთს ჰირისპირ დაუდგებოდნენ პროფესიონალი რუსი, უკრაინელი თუ სხვა მეომრები, იმასაც ვნახავდით, როგორი გუნება-განწყობილება შეიქმნებოდა მოსკოვში. როგორ დაიწყებდნენ მაშინ თბილისში ლაპარაკს რუსეთის ემისრები.

სავალალოდ, საქართველოს საბედისწერო განსაცდელის ჟამს, ჩვენს ქვეყანაში უხვად აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც საკუთარი ჯიბის გასქელება ამჯობინეს სამშობლოს ბედ-იღბალს.

თუ გვინდა საქართველოს რღვევა-დაშლა შევაჩეროთ, დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ იმ მიზეზთა ლიკვიდაცია, რაც ზემოთ ჩამოვთვალე. განსლექილი ერთი უნდა გამთლიანდეს. ხალხი ერთი მიზნით – საქართველოს გადარჩენი: მიზნით – დაირაზმოს. წესრიგი და დისციპლინა აღუადგინოთ. არ აუყვეთ ჰანიკასა და ისტერიას. სასოწარკვეთილებებში არ ჩაუვარდეთ. სიმტკიცე, მხნეობა, ვაჟაკობა, ქედუდრეკელობა აღუზარდოთ ერის სულში. შევწვევით ლაჩრობისა და ქალაჩურობის აპოლოგია. საქმეს მოვკიდოთ ხელი. თავაულებელი, მკლავებდაკაპნიებული შრომით გამოვაცოცხლოთ ჩვენი ჩანავლული კოანობიკა. მთელ მსოფლიოს დაფანახოთ, რომ ჩვენ მშრომელი და გპირი ერთი

ვართ და არა ქურდების, ავაზაკების, მძარცველების, სპეკულანტებისა და ლაჩრებისა.

ქართველ ხალხს შეუძლია ამის გაკეთება და, ცისქვეშეთში არსებობა თუ სურს, უნდა გააკეთოს კიდევ დღესვე, თორემ სვალ გვიან იქნება.

1993წ., ივლისი

1995 წლის 8 მარტის მინაწერი: სრულიად მართალია ალექსანდრე ონიანი, როცა ამბობს, რომ ეთნონიმ აფსუა-ს ქართულად შესატყვისება აფსარი და არა აფხაზი („საქართველოს რესპუბლიკა“, 1994 წ., 19 მაისი). აფხაზი ქართული ტომის სახელია. აფსუა//აფსარი კი – ჩრდილოეთ კავკასიიდან არის მოსული და საქართველოში შემოხიზნული. აფხაზი რომ ძირეული ქართული ტომის სახელია, ამას, გარდა მატეანისა, უტყუარად ადასტურებს ქართველ მეფეთა ტიტულიც – „მეფე აფხაზთა და ქართველთა“ ... დედაძინის ზურგზე ჯერ არ არსებულა მონარქი, რომელიც თავის ტიტულს უცხო ტომის სახელით იწეებდეს. ამის მაგალითს ვერავენ მოიტანს, აფსუა-ისტორიკოსებიც კი.

მაგრამ დავაგვიანეთ, ძალიან დავაგვიანეთ ჭეშმარიტების დადგენა. კაცობრიობას მტკიცედ ჩაუჭედეთ ტვინში, რომ აფსუას აფხაზი ჰქვია. ამას უკვე ვერარა ძალა ამოაგდებს მათი ცნობიერებიდან და აფსუას შესატყვისად დაამკვიდრებს აფსარს. ამდენად, ისევ ძველებურად ვწერ აფხაზს. არ მინდა ისედაც თავზადაკარგული მკითხველი სულ მთლად დაიბნეს.

მხილველ ბამარჯვება

არც აქამდე იყო რაიმე საეჭვო, მაგრამ დღეის ამას იქით, ვეელაზე ურწმუნო თომამაც უნდა დაიჯეროს, რომ ცხინვალის ოლქსა და აფხაზეთში მიმდინარე ომი მოწეობილია რუსეთის მიერ. ამის გაცნობიერებამ ქართველებში შიში, სასოწარკვეთილება და ისტერია არ უნდა გამოიწვიოს. თუ ხალხი ერთ მუშტად არის შეკრული, ვეელაზე მცირერიცხოვანი ერიც კი მოახერხებს უძლიერესი მტრის დამარცხებას. ამის მაგალითი კაცობრიობის ისტორიაში რამდენიც ვნებავთ იმდენია.

ახლა ჩვენში ხშირად გაიგონებთ – ვეელა ომი, ბოლოს და ბოლოს, სამშვიდობო მოლაპარაკებით მთავრდებაო. ამდენად, სამშვიდობო მოლაპარაკებაზე უნდა ვიზრუნოთო. მართალია, მაგრამ ომი სამშვიდობო მოლაპარაკებით მთავრდება იმის მერე, როცა ერთ-ერთი მხარე დამარცხდება. მეორე მსოფლიო ომიც სამშვიდობო მოლაპარაკებით დამთავრდა, მაგრამ იმის შემდგომ, რაც გერმანია და იაპონია დამარცხდნენ. საქართველო-რუსეთის ომიც სამშვიდობო მოლაპარაკებით დამთავრდება, მაგრამ იმის მერე, როცა ერთ-ერთი მხარე ომს წააგებს.

ამ ომში ქართველმა ხალხმა საქართველოს დამარცხება არამც და არამც არ უნდა დაუშვას. ეს არ იქნება ჩვენი უბრალო დაჯახბნა. ეს იქნება საქართველოს, როგორც სახელმწიფოს მოსწობა და ქართველი ხალხის, როგორც ერის გადაშენების დასაწყისი. უნდა ვიცოდეთ, რომ რუსეთი დღეს არ აპირებს საქართველოს დაპრობას ისე, როგორც ეს გააკეთა მან 1801 და 1921 წლებში. მას უფრო მზაკერული და ვერაგული მიზანი აქვს: დაშალოს, დააქუცმაცოს, დაანაწილოს საქართველო. ჩააგდოს იმ დღეში, როგორშიაც იყო მე-18 საუკუნეში, ანუ მანამდე, სანამ რუსეთის მმართველობა დამკვიდრდებოდა ჩვენში. ამას რუსეთი შურიხმების მიხნით აკეთებს.

რუსეთი გაბოროტებულია, ჯერ ერთი, იმით, რომ დაეძალა უსარმაზარი იმპერია, რომელსაც იგი ვერასოდეს აღადგენს. შესახელმწიფოდან გადაიქცა ჩვეულებრივ რიგით ქვეყნად.

მეორეც იმიტომ, რამდენიც უნდა ეცადოს რუსეთი გადარჩენას, მისი სახელმწიფოს რღვევა მანაც გავრცელდება. რუსეთის ფედერაციაც ისევე დაიშლება, როგორც დაიშალა სსრკ.

მესამეც იმიტომ, რომ მოსკოვმა ზედმიწევნით იცის: თუ საქართველო იქნება ეკონომიკურად და პოლიტიკურად აღორძინებული, სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი, რუსეთი ვერასგზით ვერ შეინარჩუნებს კავკასიას, ვერც ამიერს და ვერც იმიერს.

მეოთხეც იმიტომ, რომ რუსეთს – ბატონს – არ სურს ემას – საქართველოს – ანატოიოს თავისუფლებისმოყვარეობა, დამოუკიდებლობის სურვილი. მოკვხსენებათ, უოველი ბატონი თმა-წვერს იგლეჯს, ემა თუ გაექცა.

ამიტომ საქართველო უნდა დაისაჯოს. იგი უნდა დაიშალოს, გადატაცდეს, დაუძლურდეს. ეს რომ მოხდეს, რუსეთმა ეველა საშუალებას უნდა მიმართოს – ომს, ეკონომიკურ დივერსიას, ნარკოტიკების შემოზიდვას, ქურდ-ბაცაცების, ეახლების, ავაზაკების თოფ-იარაღით მომარაგებას, ერთმანეთს წაკიდებული პოლიტიკური ორგანიზაციების მალულად დაფინანსებას, დესტაბილიზაციას, საბოტაჟს, ცილისწამებას, ჭორების გავრცელებას, ერთი სიტყვით, ზნედაცემულობას და სისამაკლეს.

ეს ახალი არ გახლავთ. ამ გზებს, მეთოდებს, საშუალებებს რუსეთი უკვე მე-18 საუკუნიდან ამუშავებს. მარტო ის რად ღირს, რომ ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა 1795 წელს რუსეთის მიერ იყო დაფინანსებული. თუმცა ახლა ასეთი შორეული ისტორიული ექსკურსის დრო და ადგილი არ არის. არც 1921 წლის შემდეგ დავიწყებია რუსეთს ძველი მრავალნაცადი ხერხი და ილეთი. რამდენჯერ თქმულა და ისევე გავიმეორებ: 20-იან წლებში აფხაზეთის ა(ა) და სამხრეთ ოსეთის ა(ა) იმიტომ შეიქმნა, რომ მაშინვე აფეთქებულიყო, როგორც კი საქართველო დამოუკიდებლობას მოიწადინებდა და აკი აფეთქდა კიდევ.

ვინც ფიქრობს, რომ სამხრეთ ოსეთის ა(ა) რომ არ გაეუქმებინათ, შიდა ქართლში ომი არ დაიწებოდა, იგი, უფრო მწარედ რომ არ ვთქვა, მიაძიტა და პოლიტიკის ინჩიბინჩი არ ეუყრება.

ვისაც ჰკონია, რომ აფხაზეთში ომი არ დაიწებოდა, ქართული ჯარის გადაადგილება რომ არ მომხდარიყო, ისიც გულუბრვეილოა და პოლიტიკის უმეცარი.

ომი, როგორც უკვე ითქვა, ჯერ კიდევ 1921 წელს იყო დაგეგმილი და ეველა ვითარებაში დაიწებოდა, რაკი საქართველო რუსეთს ჩამოსცილდა და დამოუკიდებელი გახდა.

გაუპატიურებული ქალის მოთმინებით რომ შეხვედროდა საქართველო მურაცხოფას, დამცირებას და დანავარს, როგორც შიდა ქართლის, ისე აფხაზეთის ომი მანაც დაიწებოდა, რადგან ეს რუსეთისათვის აუცილებელი იყო საქართველოს ასაწიოკებლად.

ეს ვეკლადფერი კარგად და ნათლად უნდა გავაცნობიეროთ, ავწონ-დავწონოთ და ისე მოვიქცეთ, როგორც დრო-ქამს შევეფერება. ვითარება კი ქართველებისაგან ომის მოკებას მოითხოვს. მაგრამ ომს მარტო ჯარისკაცები არ იკებენ. ომს მთელი ერი იკებს, ერთი მიზნით, ერთი ნებით შეერთებული და შეკავშირებული.

ვინც დღეს იპარავს, შარავსაზე ეაჩაღობს, მოსახლეობას მარცვავს, მარტო სისხლის სამართლის დამნაშავე არ არის. იგი ქვეყნის ძლიერებას ძირს უთხრის და ისე უნდა დაისაჯოს, როგორც ამას ომის კანონი მოითხოვს.

ვინც დღეს პარტიულ-პოლიტიკურ კინკლაობისაკენ მოუწოდებს, განხეთქილებას და შუღლს თესავს, უბრალო ბრიყვი არ არის. იგი, ნებით თუ უნებლიეთ, ქვეყნის ძლიერებას ძირს უთხრის და ისე უნდა დაისაჯოს, როგორც ამას ომის კანონი მოითხოვს.

ვინც დღეს არ შრომობს, მოვალეობას პირნათლად არ ასრულებს, საბოტაჟს ეწევა, შრომარობს*, ჯიბეს ისქელებს, მაქინატორობს, თაღლითობს და უაღთაბანდობს, მარტო არამზადა და სინდის-ნამუსგარეცხილი არ არის. იგი ქვეყნის ძლიერებას ძირს უთხრის და ისე უნდა დაისაჯოს, როგორც ამას ომის კანონი მოითხოვს.

ახლა საქართველოს ერთიანობა, დისციპლინა, წესრიგი და თავდადება სჭირდება. ამას მარტო ხელისუფლება ვერ მოახერხებს. ეს მთელი ქართველი ერის სულის მოთხოვნილებაა და შეგნებად უნდა იქცეს. თუ ამას მივალწევთ, რუსეთი კი არა, ვერარა ძალა ვერ დაგვამარცხებს. თუ ჩვენ გავაგრძელებთ ჩვეული ლაზღანდარობა, ჩიტირეკიაობა, შარახვეტიაობა, სუფრულ-თამადური ბლოყინსიტყვაობა, მაშინ უძძიმესი მომავალი გველის.

მხოლოდ გამარჯვება!

1993 წ., ივლისი

* შრომარობს - პეკუღანტი

მე-20 საუკუნის დასასრული საქართველოსათვის აღმოჩნდა უაღრესად ტრაგიკული. რუსეთმა თავისი ბოროტი ზრახვა განახორციელა: საქართველოს წაგლიჯა აფხაზეთი და შიდა ქართლის ნაწილი (ყოფილი „სამხრეთ ოსეთის“ აო).

ყოველ კონიერ ადამიანს, ყოველ კონიერ ერს დამარცხება დიდ გაკვეთილს აძლევს. ჩვენც მივიღეთ ეს გაკვეთილი. ახლა უველაფერი იმაზეა დამოკიდებული რამდენად ღრმად, კონივრულად, აზრინანად ავითვისებთ ამ გაკვეთილს, რომ მომავალში ნაკლებად შევცდეთ.

სამი დასკვნა ახლავე შეიძლება გავაკეთოთ:

1. პოლიტიკაში არ არსებობს კეთილი და ბოროტი რუსეთი. რუსეთი ერთია და იგი, პოლიტიკური თვალსაზრისით, არასოდეს იქნება საქართველოს მეგობარი. იგი იყო, არის და დარჩება საქართველოს მტერი. ბავშვურ ილუზიებს ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვით. პოლიტიკურ მოვლენებს რეალურად და ფხიზელი თვალთ შევხედოთ. სულერთია, ვინ მართავს რუსეთს რუსი – ივანე მრისხანე თუ თათარი ბორის გოდუნოვი, გერმანელი კატერინე მუორე თუ ქართველი სტალინი. ისინი რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს ემსახურებიან. იმისდა მიხედვით იქცევიან, რას კარნახობს მათ რუსეთის სახელმწიფოებრივი მისწრაფება. ამიტომ მიაშიტი იმედი, რომ „კეთილი“ ელცინი საქართველოს მეგობრობს, ხოლო „ბოროტი“ საზბულატოვი მტრობს, ჩვენ უბედურების მეტს არაფერს მოგვიტანს. ელცინი და საზბულატოვი ერთმანეთს ხელისუფლებისათვის ებრძვიან, თორემ საქართველოს მიმართ მათი დამოკიდებულება ერთნაირია – მტრული. როცა ამას, აფხაზეთის დაკარგვით გამოფხიზლებულნი, გავაცნობიერებთ, ალბათ, პოლიტიკაში უფრო სწორ გზას ავირჩევთ.

2. არა მარტო დღევანდელმა ვითარებამ, არამედ წარსულმაც უტეუარად დაგვარწმუნა, რომ საქართველოს რეალურ დახმარებას უცხოეთი, იქნება იგი ევროპა-ამერიკა თუ ასია, არ გაუწევს. არც გავვიწიეს – არც მე-18 საუკუნის

ბოლოს, არც 20-იანი წლების დასაწყისში და არც დღეს. მათი დახმარება კაცთ-
მოყვარულ ხასიათს არ გასცილებია. ეს მოულოდნელი არ უნდა ვკვივხვოს.
საქართველოს გულისათვის რუსეთს არაფერ აწეწინებს. რუსეთი დიდია,
ძლიერია, მდიდარია. დანარჩენი მსოფლიო იძულებულია მას, მის ინტერესებს
მორიდებით მოეპყრას. ეს გაკვეთილიც უნდა დავიმასსოვროთ, რომ მომავალ-
ში არაფერი შეგვეშალოს.

არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც ევროპული დიპლომატია დიდ
ურადლებას აქცევს, ხოლო ქართული მას საერთოდ არ ითვალისწინებს. ეს
გახლავთ ის, რომ ევროპა რუსეთს უუურებს როგორც დამცავ კედელს აღმო-
სავლეთიდან მომავალი საფრთხის წინააღმდეგ. უკვე დიდი ხანია, რაც ევრო-
პულ პოლიტიკას აწუხებს ჩინური ექსპანსიის საშიშროება. ჩინეთის მოსახ-
ლეობა ისე იზრდება, რომ, ერთ ბედნიერ თუ უბედურ დღეს, იგი ვერ დაეტყვა იმ
გეოგრაფიულ სივრცეში, რომელშიც ცხოვრობს და გადმოიღვრება. როგორც
ერთ ჭიქაში ვერ მოთავსდება ერთი სათლი წყალი და გადმოდინდება, ასევე
მოუვა ჩინეთის მოსახლეობასაც. რა მშვიდობიანი ვაწყობილებაც უნდა
ჰქონდეს ჩინელს, ობიექტური ვითარება მაინც იძულებულს გახდის ეძებოს
ახალი საცხოვრისი, ახალი სივრცე არსებობისათვის. კონფუციუსს აქვს ნათქ-
ვაში – „ოღესმე, ომებისა და იარაღის თვინიერ, მთელი მსოფლიო იქნება ჩი-
ნური“. კონფუციუსი კი ძველი წელთაღრიცხვით 551-479 წლებში ცხოვრობ-
და. ხედავთ, როდიდან მოდის ჩინური საფრთხე? ევროპისათვის ერთადერთი
კედელი, რომელიც შეიძლება ამ ტალღას გადაელობოს, რუსეთია. მხოლოდ
ციმბირის თვალუწვდენელ, ცარიელ ტერიტორიას შეუძლია აითვისოს და
დააწინაროს ხალხის ეს ზღვა. ამიტომ ევროპისათვის დაუშვებელია სუსტი,
უძლური და ბეჩავი რუსეთის არსებობა. ევროპას, ცხადია, არ უნდა რუსეთის
ძლიერება მას ემუქრებოდეს, მაგრამ ძალიან სურს რუსეთის ძლიერება მას
იცავდეს აზიიდან წამოსული დიდი საფრთხისაგან. ამ ვითარებაში ევროპის
დამოკიდებულება რუსეთთან გაორებულია. ეს გაორება ქართულმა დიპლომა-
ტიამ კარგად უნდა გაითვალისწინოს. საქართველომ ზუსტად უნდა იცოდეს –
როდის დაეხმარება მას ევროპა-ამერიკა და როდის – არა.

3. საქართველომ თავისთავს, ქართველმა ხალხმა თავისთავს საკუთარი
ძალით უნდა უპატრონოს. ეს პროტენცია საქართველოს აქვს. ამას ჩვენი ისტო-
რია თვალნათლივ ადასტურებს. აღარც რომის იმპერია არსებობს და აღარც
ბიზანტიის, აღარც არაბთა ხალიფატი და აღარც ოსმალთა სულთანატი, აღარც
მონღოლთა უღუსი და აღარც სპარსელოთა შაჰინშატი. საქართველო კი არსე-
ბობს, იბრძვის, ქმნის. იგი გაუძლებს რუსეთის იმპერიის უკანასკნელ დღეებ-
საც. გაუძლებს იმ შემთხვევაში თუ არ დაადგება ბაბიას დიპლომატიის ჯხას.

ანდაზა ქართული: დათვი რომ მოგერიოს, ბაბაია დაუძახეო. არ უნდა
იქოს ეს ანდაზა ძველი. უოველ შემთხვევაში იმდროინდელი, როცა ჩვენში ლაჩ-

რობა არ უოფილა პატივცემული. ანდაზა, ალბათ, მაშინ გაჩნდა, როცა საქართველოში ლაჩრობა კეთილგონიერებად მოინათლა. როცა საქართველო დაგლახდა და ბაბაიას ძეხნა დაიწყო. („ბაბა“ თურქულად „მამას“ ნიშნავს. ამ მნიშვნელობით იხმარება იგი დღესაც საქართველოს ზოგიერთ კუთხეში). რამდენიც უნდა ვეძახოთ ჩვენს მტერს ბაბა, არ გახდება იგი მოკვარე და არ გვიპატრონებს მამასავით.

გიორგი ბრწყინვალის საქართველო რომ დაეცა, იმის მერე ვის არ ვეძახეთ ბაბაია – სპარსეთს, თურქეთს, რუსეთს, არ გამოვიდა არაფერი. მტერი მტრად დარჩა.

ჩვენ საცოდავ ძეგლებს ეგონათ, რუსეთს ბაბაიას თუ დაუძახებდნენ, ეშველებოდათ მათაც და საქართველოსაც. მოტუეუდნენ. ბაბაიამ საქართველოც შეჭამა და მათი დინასტიაც. ბაგრატიონთა გვარი სამად დაჰყო – გრუზინსკად, მუხრანსკად და იმერეტინსკად – და საერთოდ გააქრო ისტორიის ასპარეზიდან.

ქართველ სოციალ-დემოკრატებსაც (სულერთია, მენშევიკი იყო იგი თუ ბოლშევიკი) ეგონათ, სოციალ-დემოკრატიულ, ანუ კომუნისტურ რუსეთს ბაბაიას თუ დაუძახებთ, გვეშველებაო, მაგრამ ისინიც მოტუეუდნენ. ზოგს უცხოეთში ამოხდა სული, ზოგს – ციმბირში და ზოგიც საკუთარ კარიერას ემსხვერმლა. საქართველო კი მონის უღელდადგმული დარჩა.

არც დღეს გვიშველის ბაბაიას დიპლომატია. არ მოუტანს იგი საქართველოს კეთილს. დათვი დათვია და ბაბაიას მახილით თვისებას არ გამოიცვლის.

უნდა გითხრათ ისიც, რომ ჩვენდა სავალალოდ, საქართველოს უბედურება არ თავდება რუსეთის მიერ აფხაზეთის წაგლეჯით. საქართველო სამოქალაქო ომის ჰირისპირ დგას. გაცილებით უფრო დიდი და მასშტაბური სამოქალაქო ომის ჰირისპირ, ვიდრე იყო ის, რაც 1991 წლის დეკემბრის ბოლოს მოხდა თბილისში. ქართულმა პოლიტიკურმა აზრმა არ უნდა დაუშვას ეს საბედისწერო შეცდომა. არ უნდა მისცეს რუსეთს საშუალება ჩვენი შინაშლილობა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, უნდა გამოჩახოს გზები და საშუალებანი მშვიდობიანად მოგვარდეს კონფლიქტი. იმედი მაქვს დაპირისპირებულ ორივე მხარეს ეყოფა სიბრძნე და გონიერება არ დაუშვას საქართველოში ახალი სისხლისღვრა, რაც მთავარია რუსეთს არ გაუსხნას ხელ-ფეხი მოქმედებისათვის. თორემ რუსეთი ოსტატურად გამოიყენებს შინაშლილობას საქართველოში. მისი მძლავრი პროპაგანდისტული აპარატი მთელი მსოფლიოს თვალში შექმნის სურათს: საქართველოში ურუსეთოდ მშვიდობა არ დამუარდება. ერთმანეთს მტრულად გადაკიდებული ქართველები თავს არ დაანებებენ სისხლისღვრას, ზოცვა-ჟღერტას, ნგრევა-აწიოკებას. თავად ქართველებიც უნდა დაეცვათ მოსპობისაგან და მათი მესობლებიც. ამის გაკეთება მხოლოდ რუსეთს შეუძლია, რამეთუ კარგად იცნობს კავკასიას, დიდხანს არსებობდა იქ რუსული მმართველობა.

გაეროსაგან რუსეთი გამოითხოვს საქართველოში წესრიგის დამაყარებლის მანდატს და მიიღებს კიდევც. რუსეთი მესამედ მოაწუბებს საქართველოს ოკუპაციას, ოღონდ ამჟამად გაეროს ეკიდით. მე ეს უკვე ვთქვი ერთხელ და ახლაც ვიძეორებ: თუ მორიგება ვერ მოვახერხეთ, თუ საერთო ენა ვერ გამოვძებნეთ, სამოქალაქო ომი საქართველოში, შინააშლილობა ჩვენში დამთავრდება საქართველოს ახალი ოკუპაციით რუსეთის მიერ. თუ დაიჯერებთ ხომ კარგი და თუ არა, რას ვიხამ – თავს ზევით ძალა არ არის.

მართალია, დღეს საქართველოში გაუსამღლისი ვითარებაა, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მდგომარეობიდან ხსნის გზა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლას. ამგვარი ფიქრი, ამგვარი მსჯელობა მწარე შეცდომაა.

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლა სულ მცირე სამი მიზეზით დაუშვებელია.

1. თუ ვინმე იძეორავნებს, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლით, რუსეთი საქართველოს დაუბრუნებს აფხაზეთს და შიდა ქართლს (ყოფილ „სამხრეთ ოსეთის“ აო-ს), ან თავს იტყუებს, ან სხვის მოტყუებას ცდილობს. მას მერე, რაც მე-19 საუკუნის 60-იან წლებში რუსეთმა გააუქმა აფხაზეთის სამთავრო, მოახდინა მისი ოკუპაცია, იგი (რუსეთი) თანამიმდევრულად ერეკებოდა ამ ტერიტორიიდან აფხაზეთსაც (მაჭაჯირობა) და ქართველებსაც. დაცარიელებულ ტერიტორიაზე გეგმაზომიერად ასახლებდა რუსებს (ძირითადად კაზაკებს), სომხებს, ნაწილობრივ ჩრდილოკავკასიელებს და სხვა ხალხებს. რუსულმა საიდუმლო პროპაგანდამ 1921 წლიდან საგანგებოდ დაიწყო აფხაზეთში ქართველთა მიმართ ფანატიკური სიძულვილის დანერგვა და მიაღწია კიდევ ამას. ეს შეაფიოდ გამოძეილანდა ამ ომშიაც, როცა გუდაუთის ზროვა დაუნდობლად გაუსწორდა ქართულ მშვიდობიან მოსახლეობას. ამოწევიტა იგი და ოკუპირებულ აფხაზეთში მოახდინა დექართველიზაცია. ამით რუსეთმა აფხაზეთის მითვისების მრავალწლიანი ოცნება აისრულა. იგი აფხაზეთს ნებეოფლობით არასოდეს დააბრუნებს. არც გადარჩენილი აფხაზები დათანხმდებიან ამას. ისინი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ იმისათვის, რომ ქართველი აღარ დაბრუნდეს საკუთარ მიწა-წეალზე. ჩვენ აფხაზეთისა და შიდა ქართლის დაბრუნება მხოლოდ ომით შეევიძლია. ამიტომ დღეს საქართველომ ეველა ძალა უნდა იხმაროს მძლავრი არმიის (ისეთი როგორიც ჰეავს ისრაელს) შესაქმნელად.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესვლით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების ვარაუდი ზღაპარია. მოწიფულ ადამიანებს ზღაპრების დაჯერება არ შეეფერებათ.

2. ფუჭია იმის ფიქრიც, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლით საქართველოში ეკონომიკური ვითარება გამოსწორდება.

თავად რუსეთში აბრევიატურა **СНГ** იმიფრება **Содружество нищих и голодных**. თავად მათხოვრები და მშიფრები ჩვენ როგორღა დაგვეხმარებინან? ეს სუპრობით. უფრო სერიოზულად, სოციალისტური ეკონომიკური სისტემა რუსეთშიც და სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებშიც ისევე დაინგრა, როგორც საქართველოში. ახალი – სოციალური საბაზრო-ეკონომიკური სისტემა – რუსეთშიაც და სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებშიც ისევე არ ჩამოყალიბებულა, როგორც საქართველოში. მაშასადამე, ეკონომიკა რუსეთშიაც და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც ისევე მოშლილია, როგორც საქართველოში. ერთი ძირფესვიანად მოშლილი ეკონომიკა მეორე ძირფესვიანად მოშლილ ეკონომიკას როგორღა დაეხმარება? ისე გამოვიდა როგორც ანდაზამია ნათქვამი – მკვდარი მკვდარს აეკიდა, სამარის კარს მიმიფუნაეო.

სსრკ ერთიანი სახელმწიფო იუო, ერთიანი ეკონომიკური სისტემით. სახელმწიფოს ხელში თავმოყრილი ქვეყნის მთელი დოვლათი გარკვეული წესით ნაწილდებოდა. ცოტა იუო თუ ბევრი, რაც გერგებოდა, იმას აუცილებლად მიიღებდი. ეს ეკონომიკა დღევანდელი გაჭირვების ფონზე ჩანს აწუბილი, თორემ სიდუხჭირე და ხელმოკლეობა მაშინაც ძალიან გვაწუხებდა. ალბათ, ბევრს ემასხოვრება 70-იან წლებში გავრცელებული ანეკდოტი.

ცენტრალური ტელევიზიის დიქტორი აცხადებს: მრავალრიცხოვან მუერებელთა თხოვნით, იმის გასაკებად თუ რა არის ეველი, დღეს ტელევიზიით ნაჩვენები იქნება მისი ერთი ნაჭერი.

იმკამად ჰრესას, რადიო-ტელევიზიას ჰირში ბურთი ჰქონდა ჩაჩრილი და საზოგადოებრივ აზრსა და სიმართლეს ანეკდოტი ამბობდა.

იმავე 70-იან წლებში, ძალიან რომ გავვიჭირდა, ხელინუფლებს საზრდელს დაწესებულებებში არიკებდა ნორმირებული წესით. ამის გამო ფუნავორიაც დაიწერა:

ქართველებს ტ...ში შიმშილით
რომ არ გაუჩნდეს ობიო,
მთავრობამ ჩამოგვირიგა
ორ-ორი კილო ლობიო.

და რაც მთავარია და არსებითი, სსრკ ეკონომიკური კატასტროფის ჰირის-ჰირ რომ იღვა, ამას კომუნისტური ჰარტიაც ხედავდა. იგი ციებ-ცხელებით შეჰრობილის ენერგიით ემებდა ვადარჩენის ვხეხს. ამ ვხის მიებას ორი ჟრილობა მიეძღვნა – 25-ე (1976 წ.) და 26-ე (1981 წ.). სასურსათო პროგრამაც შემუშავდა, რომელსაც თითქოს 1990 წლისათვის ვითარება უნდა შეეცვალა და ვაძვალტევავებული სსრკ ვადაერჩინა. არაფერი გამოვიდა. სსრკ ეკონომიკურად იმდენად იუო ვამოფიტულ-ვამოხრული, რომ 1990 წლისათვის, ვადარჩენის მაგიერ, დაიქვა. იგი ნაწილ-ნაწილ დაიძალა და სკაპ-მაც ჰირი მოგჭამათ.

დღევანდელი ეკონომიკური სიდუხჭირე როგორც საქართველოში, ისე

ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე ამ ისტორიული პროცესის პირდაპირი და უშუალო შედეგია. მაშინ რომელი ეკონომიკური კავშირის აღდგენაზე ლაპარაკობს 11 ოქტომბრის ხელისუფლება? იმ ეკონომიკური კავშირის აღდგენაზე, რომელმაც სსრკ დააქცია?

თუ იმასაც გავვცნობით, რაც საქართველოს კპ-ის 27-ე ურილობაზე ითქვა, იმჟამინდელი ეკონომიკური ვითარების სურათი მეტნაკლებად სრული განდება (ეს მასალა დაბეჭდილია 1986 წლის 28, 29, 30, 31 იანვრის გაზეთ „კომუნისტში“).

ვილამვილი (უმალესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე): „ბევრი მათგანი, ვინც მოწოდებულია აღკვეთდეს უწესრიგობას, თვითონ არის დასაჯერი“.

ვაბუნი (თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი): „დედაქალაქში არსებითად არ არის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების არც ერთი სანიმუშო, უოველმხრივ აღჭურვილი დაწესებულება, იქნება ეს საავადმყოფო თუ პოლიკლინიკა“.

მოსამვილი (საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე): „არ იყო გამოყენებული საერთოდ და სხვა მიზნებს მოხმარდა (ანუ მოიპარეს-ა.ბ.) თითქმის 70 მილიონი მანეთი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობისათვის გათვალისწინებული ფონდებიდან“.

ასათიანი (კულტურის მინისტრი): „1500-ზე მეტი კულტურის დაწესებულება დაქირავებულ მუშაკებსა და სრულიად შეუფერებელ პირობებშია“.

კუნჭულია (ოზურგეთის რაიკომის მდივანი): „ათეული წლების მანძილზე ჩანს ბუჩქები საზოგადოებრივ მეურნეობათა ჰლანტაციების სამას ჰექტარზე არ განახლებულა და საჭიროებს ამოძირკვას. 700 ჰექტარზე კი გვამლევს მხოლოდ 2-3 ტონა საშუალო ჰექტობრივ მოსავალს. რამდენიმე წლის შემდეგ უვარგისი განდება კიდევ ასობით ჰექტარი ჰლანტაცია“.

ბედინვიშვილი („კომუნისტის“ რედაქტორი): „საქართველოში ოცდაათიათას კურდღელზე ოთხმოცი ათასი მონადირე მოდის, ანუ უფრო მეტი ვიდრე უნგრეთში, ავსტრიაში და ჩეხოსლოვაკიაში ერთად აღებული“.

ლორთქიფანიძე (კომკავშირის ცკ-ის მდივანი): „რესპუბლიკაში შვიდი ათასი ტრაქტორი საერთოდ ვერ მუშაობს, ანდა მუშაობს მინიმალური დატვირთვით.“

„... თბილისის სილიკატური მასალების ქარხნის საამქროებში არ არის განათება, არ მუშაობს ვენტილაცია, საშხაპები. აგერ უკვე მრავალი წელია ქარხანაში არ არის კლუბი, სპორტული მოედნები. ანდა ვის მოეწონება დანჯღრეული ავეჯი, ჩამსხვრეული მინები, ჭუჭყიანი კედლები კავშირგაბმულობის, საავტომობილო ტრანსპორტის, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების საერთო საცხოვრებლებში. ასეთივე მდგომარეობაშია

ვაკის სტრუქტურაზე“.

ანდრიაძე (ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის კვანძის ჰარტკომი): „სამგზავრო ვაგონების 70 პროცენტი მორალურად მოძველდა, მათ ვედარც კაპიტალური შეკეთება შეუძლია.“

უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ჩვენს რკინიგზას არც ერთი ელექტრომატარებელი არ მიუღია. რკინიგზიდან გარბიან მუშებიც“.

საჯაია (საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე): „ჩვენი, როგორც ერის, გადარჩენის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, ვფიქრობ, ისიც იყო, რომ მიუხედავად იმდენი ძალადობისა, განუკითხველობისა და ღალატისა, რაც ბედა და უბედობამ გვარგუნა, თავისი მიწა-წყლიდან არაფერს ვაქცეულა. დღეს კი ფულისათვის, სამოვრისათვის ისე იოლად ტოვებენ ოჯახს, რომ ბევრი არც კი ბრუნდება უკან“.

ციტირების გაგრძელება აღარც ღირს. ისედაც ჭკუათმოფეხლისათვის ეველაფერი ცხადია.

თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა სსრკ-ის აღდგენის ცდაა, მაშინ საქართველოს არც პოლიტიკური თავისუფლება ექნება, არც ეკონომიკური და არც ეროვნული. ქონებრივი კეთილდღეობის თვალსაზრისით კი ისევ გაძვალტუავებული დარჩება.

თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა – სურვილია ეოფილ სსრკ-ში შემავალ ქვეყნებს ჰქონდეთ ისეთი ურთიერთდამოკიდებულება, როგორიც ევროპულ თანამეგობრობას აქვს, მაშინ ამას ეკონომიკური განვითარების იმ დონეზე ეოფნა სჭირდება, როგორიც, ვთქვათ, გერმანიაშია, ანდა დანიაში. მაგრამ გერმანიას ან დანიას ამ დონისათვის უცხად და ერთბაშად არ მიუღწევიათ. იგი არის მათი ხანგრძლივი ისტორიული განვითარების ბუნებრივი შედეგი. ეს შედეგი რომ მიიღოს, საქართველოსაც და რუსეთსაც საუკუნე მანაც სჭირდება. ასე, რომ თავის მოტყუება იქნებოდა თუ ვიფიქრებდით, რომ რუსეთში ვინმე ცდილობს ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის მსგავსი რამ შექმნას. უდავოა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა არის სსრკ-ის, ანუ რუსეთის იმპერიის აღდგენის უდღეური ცდა.

3. უკანასკნელი ჩუთი წლის მანძილზე ქართველმა ხალხმა თავკამეტებული იბრძოლა რუსეთისაგან თავდასახსნელად. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში საქართველოს მოსახლეობამ ერთსულაოვნად ხმა მისცა ჩვენი ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობას. წელიწადზე მეტია რუსეთი გამოუცხადებელ ომს აწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ. წავლიჯა აფხაზეთი და შიდა ქართლი. გაუგონარი მხეცობით განადგურა ქართული მოსახლეობა აფხაზეთის ოკუპირებულ ნაწილში. ეოველივე ამის შემდეგ რა იურიდიული, რა ზნეობრივი უფლებით მოითხოვს საქართველოს მინისტრთა კაბინეტი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლას? თან ეოვლად უსუსურ არგუმენ-

ტებს იშველიებენ. თურმე ამა თუ იმ დარგის ხელმძღვანელმა საქმეს თავი ვერ გაართვა. ეს კი იმის ბრალი ეოფილა, რომ რუსეთთან გაწვევტილია ეკონომიკური კავშირი. ის, ვინც ასე მიაბიტურად მსჯელობს, ცხადია, დღევანდელ ვითარებაში მინისტრად ვერ გამოდგება.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ისინი, ვისაც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლა ეოცნებება და სხვა გზა ვერ მოუძებნია საქართველოს ეკონომიკის გასაჯანსაღებლად, არც მთავრობაში უნდა იუვნენ და არც ჰარლამენტში. თავის მართლება იმით, რომ უველას აქვს უფლება საკუთარი განსხვავებული აზრი ჰქონდეს, ამ შემთხვევაში არ გამოდგება. ეს არ არის განსხვავებული აზრი. ეს არის მცდელობა საქართველოს პოლიტიკური მიზნისა და კურსის შეცვლისა. საქართველო დღეს მიდის დამოუკიდებლობის გზით. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლა კი არის ისევ რუსეთის უღელქვეშ დაბრუნება. ასეთი ცვლილებების მოთხოვნას განსხვავებული აზრი კი არ ჰქვია, არამედ სრულიად სხვა სახელი.

1993წ., სექტემბერი



არც ერთი ეოფილი მოკავშირე რესპუბლიკა ისე მწარედ არ დამარცხებულა, როგორც საქართველო. მართალია, ომია მოლდავეთშიც, ტაჯიკეთშიც, ჩვენი მეზობლები სომხეთიცა და აზერბაიჯანიც დიდი ხანია სისხლს ღვრიან, მაგრამ საქართველო მაინც განსაკუთრებულ ვითარებაში აღმოჩნდა. ჩვენში შუღლმა და მტრობამ სამი მიმართულება მიიღო. დაპირისპირებულია ქართველი და ქართველი, ქართველი და აფხაზი, ქართველი და ოსი. ამის უკან რუსეთი დგას და ეშმაკურად წარმართავს პროცესს. უახლოეს ხანებში კიდევ ვის ჩარევენ კონფლიქტში ძნელი მისახვედრი არ არის. ამას დაემატა ეკონომიკური ქაოსი, უსამველოდ რთული კრიმინოგენური სიტუაცია და ზნეობრივი გახრწნა.

შექმნილმა გარემოებამ ქართველთა რწმენა და ნებისყოფა გაბზარა. ისევ წამოჭეოთ თავი ნიჭილიზმმა. ისევ გაჩნდა ეჭვი – შესძლებს კი საქართველო დამოუკიდებელ არსებობას?

მოულოდნელი არ განლავთ ეს უიმედობა და სკეპტიციზმი. საქართველოს ისტორიაც უწყობს ამას ხელს. არგონავტების ლაშქრობიდან მოყოლებული დღემდე ტანჯვა-წვალებით, ვაი-ვაგლახით, ჭაჩანწვევებით გამოვიარეთ სისხლითა და ვარაშით სასუკე ზა. რა არ მომხდარა და რისი მოწმე არ ეოფილა ჩვენი ხალხი: დაპურობა, რბევა-აწიოკება, აურა-გადასახლება, ადამიანით ვაჭრობა, გაუიდვა-ღალატი, ერთი სიტყვით, ეველა ბოროტმოქმედება, რაც კი ადამიანს ხელეწიფება. ვინ არ გარეულა ჩვენს უბედურებაში, მტერი თუ მოყვარე, გარეშე თუ შინაური, მომხდური თუ დამხდური, გადამთიელი თუ კარის მეზობელი.

ამ მწარე ისტორიამ წელში გატეხა უნებისყოფო და სუსტი ფსიქიკის ადამიანები. წარმოშვა ლუარსაბ თათქარიძეები, თეიმურაზ ხვეისთავეები, კვაჭი კვაჭანტირაძეები, ევარუვარე თუთაბერები ... ნებით თუ უნებლიეთ, შეგნებით თუ შეუგნებლად ისინი უნდობლობას თესავენ ჩვენი ეროვნული ენერჯის მიმართ, სკეპტიციზმს, ნიჭილიზმს ავრცელებენ, სიხარულს სწობენ.

დღეს გულგატეხილი ადამიანებისაგან სძირად გაიკონებთ კითხვას – თუ ასეთები ვიყავით, როგორ გადავრჩით, როგორ მოვადწიეთ დღემდე? კი, მაგრამ, რა ხდება საქართველოში ისეთი, რაც სხვა ქვეყანაში არ მომხდარა? რა

თვისება გამოავლინა ქართველმა კაცმა ისეთი, რაც სხვა ერის ადამიანს არ გამოუვლენია?

მართალია, დიდი უბედურება დაგვატყდა თავს, წონასწორობა დაგვარგეთ, ერთმანეთს მივესიეთ და სოციალ-ქლეტა ავტყეხეთ, მაგრამ მიეროხანში სად არ მომხდარა ეს? ოცდაათიან წლებში ესპანეთის სამოქალაქო ომი გაციხსნეთ. რა დაუნდობლად ყუყეს მაშინ ესპანელებმა ერთმანეთი! სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაკიდებული ორი ძალა – კომუნისტები და ფალანგისტები - ერთნაირად ებრძოდნენ მოაზროვნე ესპანეთს. ფალანგისტებიც ისევე გაჰვიროდნენ – *Abajo la inteligencia!* (ძირს ინტელიგენცია!), როგორც კომუნისტები. ბუნებრივი იყო ეს. ლიანგს აზროვნება არ შეუძლია და ისე არაფრის ეშინია, როგორც აზროვნების, როგორც მოაზროვნე პიროვნების. ეს შიში და სიძულვილი ლიანგის საერთო, ინტერნაციონალური სენია და არაფერ შუაშია არც ეროვნება, არც პარტიულობა, არც კლასობრიობა. ასე იყო უოველთვის. მოიგონეთ 1918-22 წლებში სამოქალაქო ომი რუსეთში, ანდა 1789-94 წლების სამოქალაქო ომი საფრანგეთში, ინგლისში, 1642-49 წლებში, იგივე სამოქალაქო ომი. ამ ომებშიც არავის გაურჩევია მტეუანი და მართალი, დიდი და ჰატარა, ქალი და ვაჟი, ახნაური და უახნო, უველას თანაბრად მუსრავდა უკუნურების მასვილი.

მართალია, ზნეობრივად დავეციეთ, მოვეასის სიუვარული დავივიწიეთ, ჰრესის საშუალებით ერთმანეთის ლანძღვა-გინება გავაჩაღეთ, სიძულვილი დავთესეთ, მაგრამ, საუბედუროდ უველგან ასე სდებოდა, კულტურისა და ცივილიზაციის კლასიკურ ქვეყნებშიც კი. ვინც ოდნავ მაინც იცნობს 1789-94 წლების ფრანგულ ჰრესას, დამეთანხმება: ის, რაც დღეს ქართულ ჰრესაში იბეჭდება, ჩვილი ბავშვის ტიკტიკს ჰგავს იმასთან შედარებით, რაც მაშინ ფრანგულ ჰრესაში ისტამბებოდა. აი, ურცხვობის, ცილისწამებისა და სიძულვილის ნიმუშები! შეიძლება ვინმემ თქვას: მას მერე დიდი დრო გავიდა და დღევანდელობას აღარ შეეფერება ის, რაც ჩვენს ჰრესაში ქვეყნდებაო. უნდა დავეთანხმო იმას, ვინც ამას იტყვის, მაგრამ დრო არაფერს ცვლის ადამიანის ზნეობრივ სამეაროში. ამის საბუთია ის, რასაც იტალიური ჰრესა ბეჭდავდა ფაშიზმის ბატონობის დროს. მიუხედავად იმისა, რომ იტალიელებს ნიკოლო მაკიაველისაგან ანდერძად ჰქონდათ დატოვებული – „რასაც გავურბივარ, ეს საგინებელ-საღანძღავი სიტყვებია, რადგან ნაამბობის ღირსება და ჭეშმარიტება მათგან არაფერს იღებს“, – მაგრამ მის გასახსენებლად თავი არ შეუწუხებიათ. მიეროხანი იდგა და იმიტომ.

ვერის ჰარკში წიგნები დახიესო, ერთი ვაი-ვიში ავტყეხეთ. განა გოეთეს, ჰეგელის, ბეთჰოვენის სამშობლოში წიგნები არ დაწვეს ნაციზმის ჰარჰამის დროს? დაწვეს და მერე როგორ? წვადნენ და მერე ვის - გერმანელი ხალხის სახელსა და დიდებას. რას იხამთ.

ვეელა ხალხის ისტორიაშია ლიანგური გონდაბნელების ეპოქები. განა

მარტო წარსულსა და აწშეოშია ასე. ეს მომავალშიც ბევრჯერ მოხდება, რამეთუ ბოროტება ადამიანის თვისებაა. მე-20 საუკუნის დიდი ესპანელი მოაზროვნე სოსე ორტეგა-ი-გასეტი ამუნათებდა ფრანგებს – ჩვენ ვეველას გვინდა, რომ ადამიანი იუოს კარგი, თქვენი რუსო კი თელიდა, რომ ადამიანი თავისთავად, ბუნებრივად კეთილია. ამან დაგვიმახინჯა ევროპის ისტორია მთელი საუკუნენახევრის მანძილზე. ეს ისტორია შეიძლება იყოს უფილიყო დიდებული. უსასრულო ტანჯვა, უსარმაზარი კატასტროფები (არა მარტო ის, რაც უკვე მოხდა, არამედ ისიც, რაც მომავალში მოხდება) დასჭირდა იმ მარტივი ჭეშმარიტების ისე აღმოჩენას, რაც კარგად ცნობილი იყო წინამორბედი საუკუნეებისათვის: ადამიანი სხვა არაფერია, თუ არა ავი ცხოველი („თარგმანის სილატაკე და ბრწინვალეა“). როცა ამ ავ ცხოველს აუშვებ, იგი ანგრევს და ანადგურებს ეველაფერს. ამიტომ არის აუცილებელი განუწყვეტელი და მუდმივი ზრუნვა ადამიანში კეთილის აღსაზრდელად და ბოროტების დასათრგუნად. გულით მინდოდა ქართული ეროვნული მოძრაობა არ გამხდარიყო ლიანგის შურისძიების მსხვერპლი, მაგრამ ჩემი სურვილი მიაძიებური გამოდგა. პოლიტიკური ბრძოლის კანონზომიერებამ მაინც თავისი გაიტანა. ურთიერთელეტა ვერ ავიცდინეთ.

მართალია, მარცვა-გლეჯას, ქურდობა-ავაზაკობასაც მივევით ხელი, მაგრამ გამოხატვისი არც ამ საქმეში ვართ. მარცვა-გლეჯა, ქურდობა-ავაზაკობა ის იკითხეთ, რაც რუსეთში, უკრაინასა და შუა აზიის ქვეყნებში ხდება. ასეა ეოველთვის. ეს კანონზომიერებაა, როცა ერთი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური სისტემა დაინგრევა და მეორე (ახალი) ჯერ კიდევ არ არის ამენებული.

მოკლედ, ქართველ კაცს არაფერი გაუკეთებია ისეთი, რაც სხვა ერის ადამიანს არ ჩაუდენია. საქართველოში არაფერი მომხდარა ისეთი, რაც სხვა ქვეყანაში (ეველასე უფრო ცივილიზებულშიც კი) არ მომხდარა. მალვა ნუცუბიძემ თქვა ერთხელ ლექციაზე: ევროპას არ აქვს უფლება დაიკვეხნოს თავის კულტუროსნობით დანარჩენი კაცობრიობის წინაშე, სანამ მის პასპორტში ბართლომეს ღამე სწერიაო. ქართველიც ადამიანია და, ნებით თუ უნებლიეთ, სნადის ბოროტებას. თუ ჩვენ ეს გვამინებს, გულს გვიტეხს და სასოწარკვეთილებაში გვაგდებს, ეს იმიტომ, რომ ჩვენი წარმოდგენა ქართველ კაცზე, საერთოდ, ქართველ ხალხზე, ტუილზე, სიცრუეზე, გამოგონილ განსაკუთრებულობაზე ავაშენეთ. როცა ჩვენ მივხვდებით, დავიჯერებთ, რომ ქართველიც ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანია, როგორც ეველა სხვა ქვეყნის შვილი, რომ ქართველისთვისაც არაფერი ადამიანური, არც კარგი და არც ავი, უცხო არ არის, მაშინ საქართველოში მომხდარ ეველა მოვლენას ფსიხელი გონებით, გამჭირახი თვალთ და გაგებით შევხვდებით. არც უსაფუძვლო სასოწარკვეთილება დაგვეუფლება და არც უსაფუძვლო აღტაცებას მივეცემით. ტუილსა და სიცრუეზე ერისა და ქვეყნის მომავალი ვერ აშენდება. იგი სიძარტლესა და ობიექ-

ტურობას უნდა დაეფუძნოს. სიმართლე და ობიექტურობა კი ის ვახლავთ, რომ ჩვენ ლუარსაბ თათქარიძის გარდა, ამირანიც გვეყავს, თეიმურაზ სვეისთავის გარდა – ავთანდილიც, კვაჭი კვაჭანტირაძისა და ვვარუაჩი თუთაბერიც გარდა – მინდიაც. ქართველის სულში ამ ორი საწყისის ბრძოლაა. ჩვენ დღემდე იმიტომ მოვედით და მომავალშიც იმიტომ ვიქნებით, რომ ამ ბრძოლაში უოველთვის ამირანის, ავთანდილის, მინდიას საწყისი იმარჯვებდა.

ამირანის, ავთანდილის, მინდიას სამეაროში ეროვნულიც არის და ზოგადკაცობრიულიც. ისინი უერთმანეთოდ არ არსებობენ. უველაფერი, რაც ქართულ შემოქმედებით ნიჭს შეუქმნია ადამიანური საქმიანობის უოველ დარგში, ერთდროულად ეკუთვნის საქართველოსაც და დანარჩენ მსოფლიოსაც, ისევე, როგორც სხვა ხალხების ნაღვაწი და ნამუშავევი გვეკუთვნის ჩვენც. მსოფლიო, კაცობრიობა ერთიანია და ქართველობაც მისი განუყოფელი ნაწილია. ოღონდ ჩვენ ჩვენი სახე გვაქვს, ჩვენი სულიერი სამეარო და ჩვენი ჯიშო. ამით ვართ საინტერესო. ამის დაკარგვა არ გვინდა. დაკარგვა მარტო ჩვენს გადაშენებას კი არ გამოიწვევს, არამედ კაცობრიობის გაღარიბებასაც. მის მოზაიკურ მშვენიერებას ერთი ფერი მოაკლდება. ტუის მშვენიერებას დიდი მუსაც სჭირდება და ჰაწია იაც. თუ რომელიმე გაქრა, მშვენიერების ჰარმონია დაირღვევა. როცა ნიჰილისტურად ვუუერებთ ეროვნულს, გვინდა თუ არ გვინდა, ნიჰილისტური დამოკიდებულება გვინდება კაცობრიულისადმისაც. ეს კი ადამიანის სულს არღვევს და შლის მას.

თქმა არ უნდა, ეროვნულისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება საშიშია. მან შეიძლება კვანტის როლი შეასრულოს. ფინიშისაკენ მიმქროლავ სპრინტერს ავისმოსურნემ რომ კვანტი დაუდოს, მას არა მარტო სპორტსმენის წაქცევა შეუძლია, არამედ საერთოდ მისი დაღუპვაც. თავისუფლება-დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ საქართველოს კვანტი არ უნდა დაუდოს ჩვენმა სულმოკლეობამ, უნებისყოფობამ, ფსიქიკურმა სისუსტემ.

ეროვნულისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, როგორც უკვე ვთქვი, შედეგია სწორედ სულმოკლეობის, უნებისყოფობისა და ფსიქიკის სისუსტის. ამ თვისებებს უნდა მოვერიოთ, ისინი უნდა დავძლიოთ. მაშინ ჩვენს სულში დასადგურებული ნიჰილიზმიც გაქრება და საქართველოს მომავალსაც ნათლად დავინახავთ.

ნურც იმას ვიფიქრებთ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობის პროცესი იქნება ადვილი. არა, ეს იქნება მძიმე, ძნელი, მსხვერპლიანი და ტკივილიანი გზა. ჩვენში არსებობს სურამის ციხის ლეგენდა. თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ძლიერების კედელი არ აშენდება, თუ დუღაბში სისხლი არ ურევია.

ამილახვრის მიხედვით პარლამენტის

იმხანად, როცა ეროვნული აღტკინება მთელ საქართველოს მოედო, წამდაუწუმ გაისმოდა და უველას პირზე კეერა – ენა, მამული, სარწმუნოება. მაგრამ პოსტკომუნისტური პერიოდის გავლილმა სამმა წელიწადმა ნათლად აჩვენა, რომ ვერც ენას მოუვარეთ და ვუპატრონეთ და ვერც მამულსა და სარწმუნოებას. ნუ დავაბრალებთ ამას მხოლოდ ჩვენი მტრების მზაკვრობას. თავად ჩვენც ვერ გამოვიჩინეთ ის ნიჭიერება, გამჭრიახობა, შორსმჭვრეტელობა, პოლიტიკური ადლო, ენერჯია, რაც დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყნის აშენებას სჭირდება. რაც მთავარია, ვერ მოვერით და ვერ გავუძკლავდით ჩვენს სულიერ სამეაროში დასადგურებულ სარვეშებს, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ვერ დავძლიეთ ჩვენი ეროვნული ენერჯიისადმი რწმენის უქონლობა, ვერ მოვიცილეთ ფუქსავატური და ქარაფშუტული დამოკიდებულება მოვლენებისადმი, ვერა და ვერ მოვახერხეთ გაერთიანება. სულწასულობა, მოუთმენლობა, ზერელობა უფრო მეტად და ხშირად გამოვაფლანეთ, ვიდრე მოთმინება, სიმტკიცე, თავდაჭერილობა, ძალა, ენერჯია, მიზნისაკენ უდრეკი სწრაფვა. ამან განაპირობა ჩვენი დამარცხება.

ქართველი ხალხის დღევანდელი მდგომარეობა საცოდაობის გრძობით ავსებს ადამიანს. არა მარტო იმიტომ, რომ დამარცხებულია, არამედ უფრო იმიტომ, რომ სრულიად მოუშადებელი აღმოჩნდა დამოუკიდებელი და თავისუფალი ცხოვრებისათვის. ახლა დაბნეული და დარეტიანებული იქით-აქით ღობე-ფორეს აწელება. ეს არ იყო მოულოდნელი. ქართველი ხალხი დამოუკიდებელი, თავისუფალი ცხოვრებისათვის არავის მოუშადებია. ჩვენ დამოუკიდებლობა ორი საუკუნის წინათ კი არ დავეარკეთ, როგორც ამას ახლა წამდაუწუმ გავუვირივართ, არამედ ბევრად უფრო ადრე. თემურლენგის შემოსევებმა საბოლოოდ დაანგრია ქართული სახელმწიფო, ხოლო 1555 წლის ირან-ოსმალეთის ხელშეკრულებამ აღმოსავლეთ საქართველო ირანის პრო-

* გამოთქმას – „ამილახვრის მიხედვით პარლამენტის“ – თელო სასოკია ასე განმარტავს: წინდაუხედავად, დაუფიქრებლად იქცევი, წააკებ, იზარალებ, სიფრთხილე გმართებს.

ვინციად აქცია, დასავლეთ საქართველო კი - ოსმალეთისა.

საქართველო კოლონიურ მდგომარეობაში სულ ცოტა 1555 წლიდან მანც იმყოფება. ერი, რომელიც ოთხ საუკუნეზე მეტია, რაც დაპურობილია ხან ირანის, ხან თურქეთის, ხან რუსეთის მიერ, უცბად როგორ მოახერხებს დამოუკიდებელი, თავისუფალი ქვეყნის აშენებას? ამას ხანგრძლივი და სისტემატური მომზადება სჭირდება. რაც მთავარია, აუცილებელია ერის სული-ერ სამუაროში საკუთარი თავისადმი რწმენის აღზრდა. თუ ქართველ ხალხში ეს რწმენა არ აღიზარდა, ვერც ერთი ხელისუფლება ვერ შეძლებს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. დამოუკიდებლობას ერი იცავს, ერი ინარჩუნებს, ერი პატრონობს, მაგრამ ის ერი, რომელსაც სწამს და სჯერა საკუთარი სახელმწიფოებრივი ენერჯისა. ამ რწმენას ვერც სუფრაზე წარმოთქმული სადღეგრძელოებით აღზრდი, ვერც ქუჩაში აკრეფილი ზღაპრებით და ვერც შემლილთა ოცობედ და „თეორიებით“. მის აღზრდას ხანგრძლივი, ღრმად გააზრებული, უტყუარად არგუმენტირებული საგანმანათლებლო მუშაობა სჭირდება.

არ არსებობს დედამიწის ზურგზე ხალხი, რარიც მცირერიცხოვანიც უნდა იყოს იგი, რომელსაც დამოუკიდებელი არსებობა არ შეეძლოს, თუ ეს მას მართლა სურს. მაშინაც კი, როცა მისი მეზობელი რუსეთია. მაგრამ ქარაქუცულად არ უნდა იქცეოდეს. ერთ დღეს რომ დამოუკიდებლობის მომხრეა, მეორე დღეს არ უნდა ამტკიცებდეს, რუსეთს თუ კალთაში არ ჩავუკორდით, არაფერი გვეშველება. ძალიან გულუბრველო უნდა იყოს ეველა, ვინც ფიქრობდა, რომ რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას ხელს არ შეუშლიდა, არ შეეცდებოდა ჩვენი ქვეყნის ასევე დამონებას. არა მარტო საქართველოს, არამედ ეველა ეოფილი მოკავშირე რესპუბლიკის ისევე დაქვემდებარებას. ამისათვის საკმარისი იყო ორი ხერხის გამოყენება: 1. სსრკ თავად მოსკოვს დაეშალა და 2. დაენგრია ეველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკა.

რუსეთს უკვე ჰქონდა გამოცდილება იმპერიის გადარჩენისა. როცა 1917 წლის თებერვალსა და ოქტომბრის რევოლუციების შედეგად რეალური გახდა რუსეთის იმპერიის დანგრევა, მაშინ რუსულმა პოლიტიკურმა აზრმა მონარქია გასწირა. ეროვნული თვითგამორკვევის (ზოგიერთი ამჯობინებს ტერმინს - თვითდადგინება) სახელით რუსეთმა გარკვეული დათმობანიც დაუშვა. პოლიტიკურ-ადმინისტრაციული თვალსაზრისით, რუსეთის იმპერია ეროვნულ ნიადაგზე მოეწყო. აღმოცენდნენ მოკავშირე რესპუბლიკები, ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები და ა.შ. ამით რუსეთის იმპერიის კოლონიურ ხალხებს კოჭი გაუკორეს. დროებით მანც მიაუწეს ეროვნული თავისუფლებისაკენ მათი მისწრაფება. რუსეთის იმპერიამ სახელიც გამოიცვალა (ნაწილობრივ შინაარსიც) და სსრკ დაირქვა. რუსეთის იმპერია არა მარტო გადარჩა, არამედ კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა და შესახელმწიფოდ შეიქმნა. თითქოს რუსეთის იმპერიას ხიფათი აღარ ემუქრებოდა, მაგრამ სოციალისტურმა ეკონომიკამ უღალატა. სოციალიზმმა ვერ გაუძლო კაპიტალიზმის

კონკურენციას ეკონომიკაში. სოციალიზმის ეკონომიკურმა კრახმა ისევ წარმოშვა სსრკ-ის, ანუ რუსეთის კომუნისტური იმპერიის დაშლის აუცილებლობა. ეს საფრთხე 80-იანი წლების მეორე ნახევარში ნათლად დაინახა გორბაჩოვმა და K^o. ისინი ავხნიანი სენით შეჭურობილი ადამიანების ენერგიით შეუდგნენ სსრკ-ის გადარჩენასე ზრუნვას, მაგრამ უშედეგოდ. დამანგრეველ ეკონომიკურ კრიზალს ახალი ქარიშხალი მიემატა – ეროვნული მოძრაობა. ეროვნულმა მოძრაობამ ბალტიისპირეთში, ამიერკავკასიაში, მოლდავეთში, ჩეჩნეთში, თათრეთში სსრკ-ის ბასტიონი შეაჯანჯარა. უკვე ცხადი გახდა, რომ სსრკ-ის გადარჩენა აღარ შეიძლებოდა.

რუსეთის პოლიტიკურმა აზრმა რუსეთის დიდი სახელმწიფოს ხსნის გზის გაცხოველებული ძებნა დაიწყო. თუ 1917 წლის მონარქიისა და მეფის ოჯახის განწირვამ რუსეთის იმპერია გადაარჩინა, ხომ არ გადაარჩენს მას ისევ კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების განწირვა? ვითარების ანალიზმა დადებითი პასუხი მისცა. მაშინ გათამაშდა 1991 წლის აგვისტოს ჯანყი.

უველაფერი, რაც 1991 წლის აგვისტოში მოხდა, სპექტაკლი იყო, წინასწარ მოფიქრებული და დადგმული. როლებიც განაწილებული. ერთნი დროებით ციხეში უნდა წასულიყვნენ (დააკვირდით: ჯანყის ერთ-ერთი მეთაური ანატოლი ლუკიანოვი დღეს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატია), ხოლო მეორენი გამარჯვებულის პოზით გაჯგიმულიყვნენ. ეს ნუ გაგიკვირდებათ, დედამიწაზე არ არის მეორე ხალხი, რომელიც თავის იმპერიული სახელმწიფოს მთლიანობაზე ისე ერთსულოვნად ზრუნავდეს, როგორც რუსი ხალხი. ამ საქმეში ერთიანია იმპერატორი და მეუზოვე, არისტოკრატი და პროლეტარი, სწავლული და მოხანდე*, მონაზონი და კახა, დემოკრატია და მონარქისტი, ასაკიანი და უსაკო, დედაკაცი და მამაკაცი. გაიხსენეთ თავწაკლული მონარქისტი, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გააფთრებული მებრძოლი ვასილ შულგინი. როცა სსრკ-ში მან რუსეთის ზეიმპერია დაინახა, სტალინისა და ბოლშევიკების ქება დაიწყო. ისიც თქვა: მე რუსეთის იმპერიის გადარჩენა მინდოდა. ვირწმუნე, რომ იგი გადარჩენილია. იმას კი მნიშვნელობა არა აქვს, რა ფერის იქნება ეს იმპერია, თეთრი თუ წითელი.

აგვისტოს ჯანყს კომპარტიის გაუქმება და სსრკ-ის დაშლის გამოცხადება მოჰყვა. უცბად, თვალისდახამხამებაში საველე ელცინი ჰავლე ელცინი გახდა, საველე კრაფჩუკი - ჰავლე კრაფჩუკი, საველე შუშკევიჩი - ჰავლე შუშკევიჩი, საველე ნაზარბაევი - ჰავლე ნაზარბაევი, საველე ქარიძოვი - ჰავლე ქარიძოვი, საველე ნიაზოვი - ჰავლე ნიაზოვი და ასე შემდეგ. კაცობრიობის ისტორიამ არ იცის ამდენი საველეს ერთბაშად ჰავლედ გახდომა. მაგრამ ეს აუცილებელი იყო პრინციპის განსახორციელებლად - ჯერ დავიშალოთ და მერე ისევ გავერთიანდეთ. იმის ქადაგებაც დაიწყო: ეკონომიკურად ცალ-ცალკე ვერც ერთი რესპუბლიკა ვერ გადარჩებაო. თუ გადავრჩებით მხოლოდ ერთად. საკითხავია: თუკი

* უსწავლელი, წერა-კითხვის უცოდინარი (მაღვა დაღიანი)

ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიები გადარჩნენ ცალ-ცალკე, ვითომ რუსეთის კოლონიები რატომ ვერ გადარჩებოდნენ ცალ-ცალკე? პირიქით, თუ გადარჩენა გვინდა საკუთარი ძეგრი ეკონომიკა უნდა შევქმნათ. უოველ დამოუკიდებელ სახელმწიფოს თავისი ეკონომიკა აქვს. სხვაგვარად ეკონომიკური კოლონია გავსდებით ამა თუ იმ მდიდარი სახელმწიფოსი.

ბოლშევიკ-კომუნისტებმა, მართალია, სსრკ ადმინისტრაციულად ეროვნული ნიშნით დაჰყვეს, მაგრამ ეკონომიკურად სიამის ტყუპებივით მი-
აწებეს ერთმანეთს. არ არსებობდა არც ერთი მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკა დამოუკიდებლად. არსებობდა მხოლოდ სსრკ-ის ერთიანი ეკონომიკა. ვერც ერთი საწარმო ვერც ერთ რესპუბლიკაში დამოუკიდებლად ვერ იარსებებდა. ეს საგანგებოდ გააკეთეს კომუნისტებმა. თუ ვინიცობაა რომელიმე რესპუბლიკა დამოუკიდებლობას მოიწადინებდა, მას მაშინვე დაახრჩობდნენ ეკონომიკურად. დღევანდელიობამ მკაფიოდ დაგვანახა, რომ ასეც მოხდა. უველა უოფილ მოკავშირე რესპუბლიკაში, სსრკ-ის დაშლის შემდეგ, ეკონომიკა პირ-
წმინდად დაინგრა, რუსეთშიაც კი.

რისთვის მჭირდება ეს კრძელი საუბარი და რისთვის შეგაწეინეთ თავი? თუ ჩვენ ზუსტად არ ავსხენით და არ გავიანზრეთ – რა მოხდა სსრკ-ში და რატომ ჩავარდა საქართველო ასეთ უკიდურეს გასაჭირში, არა მარტო მდგომარეობას ვერ გამოვასწორებთ, არამედ მთლად დავაქცევთ ჩვენს ქვეყანას. ამაზე მეტი რაღა უნდა დავაქციოთო, – იკითხავს გაოცებული მკითხველი. ჯერ კიდევ დარჩა დასაქცევი და იმასაც ბოლოს მოვუღებთ.

ის ეკონომიკური უმძიმესი ვითარება, რაც დღეს საქართველოშია (და საერთოდ უველა უოფილ მოკავშირე რესპუბლიკაში), არ არის ეროვნული მოძრაობის ბრალი. ეს გახლავთ ბუნებრივი შედეგი სოციალისტური ეკონომიკისა. ძველი კომუნისტური ხელისუფლებაც რომ დარჩენილიყო საქართველოში და 28 ოქტომბრის არჩევნებში ეროვნულ მოძრაობას არ გაემარჯვა, ეკონომიკური თვალსაზრისით, დღეს საქართველოში მანც ასეთი ეკონომიკური ვითარება იქნებოდა; უახახეთშიაც სახემეცვლილი ძველი კომუნისტური ხელისუფლება, უკრანიაშიაც, უსბეკეთშიაც, მაგრამ ისეთივე ეკონომიკური სიდუხჭირვა, როგორც საქართველოში. ეკონომიკური დაქცევის აღსანიშნავად ახალი ცნებაც კი გაჩნდა – უკრანიაშიცაა.

როგორც გულგამომშალ, ფულურო ხეს გარეგნულად ვერ შეამჩნევს კაცი, რომ იგი მალე წაიქცევა, ასევე ვერ ხედავდა ობივატელის გონება 80-იანი წლების ბოლოს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას. სამწუხაროდ, ბევრს დღესაც ვერ გაუგია ეს. კომუნისტებმა კი ჩინებულად იცოდნენ, რაც მოხდებოდა. ამიტომ შეაჩქეს ხელში ეკონომიკურად დაქცეული საქართველო 28 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებულ ეროვნულ მოძრაობას. ამიტომ დათმეს ხელისუფლება მშვიდად და უბრძოლველად. ეროვნული მოძრაობის საბედისწერო შეცდომა კი ის გახლავთ, რომ სულწასულობისა და სინარბის გამო,

მაშინვე სტაცა ხელი ქუჩაში უპატრონოდ დაგდებულ ხელისუფლებას. არ მიაქცია უურადლება იმას, რომ დაქცეულ ეკონომიკას ვერ უშველიდა და ეველათფერი ეროვნულ მოძრაობას დაბრალდებოდა. ასეც მოხდა. ეროვნული მოძრაობა სოციალისტური ეკონომიკის ნანგრევების ქვეშ მოჰკვა. ობივატელიც აწუწუნდა: ეროვნულ-გამანადგურებელი მოძრაობა ყოფილა და არა ეროვნულ-განმათავისუფლებელი... დანაგრევის ქვეყანა... თურმე კომუნისტების ხელში რა კარგად ვცხოვრობდით... ეს ვიშვიში გასაკვირი არ არის. ობივატელი უკუა მხოლოდ შედეგს ხედავს. მიზეზის ამოცნობა არ შეუძლია.

ხალხს ნათლად უნდა აუფხსნათ, რომ საქართველოს ეკონომიკური კატასტროფა სოციალიზმის შედეგია და არა ეროვნული მოძრაობისა. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმისათვის, რომ გავიგოთ წარსულში რა მოხდა, არამედ უფრო მეტად იმისათვის, რომ მომავალში არ დავეშვათ ახალი საბედისწერო შეცდომა.

შექმნილი ეკონომიკური სიდუსჭირით დღეს ბევრი სარგებლობს როგორც ხელისუფლებაში, ისე ხელისუფლების გარეთ. ზოგი შეგნებულად, ზოგიც შეუგნებლად. ისინი ჩაჯვჩინებენ – საქართველოს ეკონომიკას არაფერი ეშველება რუსეთის დაუხმარებლად. თუ არ აღდგა ძველი ეკონომიკური კავშირები, ვერ შევძლებთ ვერც მრეწველობისა და ვერც სოფლის მეურნეობის აღორძინებას. ეს ქადაგება ორმხრივ არის მიუღებელი. პირველი ის, რომ იგი ქართველს არასრულყოფილების განცდას უღვივებს და მეორე ის, რომ ტყუილია. ისე, როგორც დანიას, ნორვეგიას, ფინეთს, ჰოლანდიას საქართველოსაც შეუძლია ურუსეთოდ მძლავრი ეკონომიკის შექმნა. მაგრამ, როცა კომპარტიამ ეროვნულ მოძრაობას სოციალისტური ეკონომიკით მირგამოთხრილი საქართველო გადააბარა, თავში მზაკვრული აზრი უტრიალებდა: ეკონომიკურად დაქცეულ საქართველოს ეროვნული მოძრაობა უცბად ფეხზე ვერ წამოაყენებს. შიშვლით, სიცვიით, უსახლკარობით, ჩაუცმელ-დაუხურავობით განამებულ ადამიანებს ეროვნული თავისუფლების იდეა შესძულდებათ. მაშინ ისევ შევაპარებთ კომუნისმის რესტავრაციის იდეას. ნაწილობრივ უკვე მოახერხა ეს დღეს კომპარტიამ.

დავსვათ კითხვა: რომელ ეკონომიკურ კავშირებზეა ლაპარაკი? საქართველოს რუსეთთან ეკონომიკური კუთხით ის კავშირი ჰქონდა, რაც სოციალისტური ეკონომიკური სისტემით იყო გათვალისწინებული. რა, ისევ სოციალისტური ეკონომიკის აღდგენა გვინდა? აკი სოციალური საბაზრო ეკონომიკა უნდა ავაშენოთ! თუ სოციალურ საბაზრო ეკონომიკას ვაშენებთ, მაშინ საქართველოს რუსეთთან კავშირი არ სჭირდება, რადგან სოციალური საბაზრო ეკონომიკა არც რუსეთში არსებობს. არც ის იცის, როგორ ააშენოს. ამისი არც გამოცდილება აქვს და არც სპეციალისტები ჰყავს. ამას ნათლად ადასტურებს ის უამრავი ეკონომიკური პროგრამა, რომელსაც რუსი ეკონომისტები ადგენენ, მაგრამ არც ერთმა არ ივარგა. ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის უმეცარმა რუსეთმა რა მოკავშირეობა უნდა გაუწიოს საქართველოს? ჩვენ მოკავშირედ ისეთი ქვეყანა გვინდა, სადაც სოციალური საბაზრო ეკონომიკა კლასიკური ფორმით არის ჩამოყალიბებული. მხოლოდ მას შეუძლია გვასწავლოს კიდევ და დაგვეხმაროს კიდევ.

ეროვნულ მოძრაობას როგორც საქართველოში, ისე სხვაგან შემუშავებული რომ ჰქონოდა სოციალისტური ეკონომიკიდან კაპიტალისტური ეკონომიკაზე თანდათანობითი გადასვლის მრავალწლიანი პროგრამა-გეგმა, მაშინ, რა თქმა უნდა, სხვა გზით ვივლიდით და სიფათსაც შედარებით ნაკლებად გადავეურებოდით. სამწუხაროდ, ამგვარი პროგრამა-გეგმა არც ჩვენ და არც სხვებს არ აღმოგვაჩნდა. ეს შეცდომა იყო და მისი აღიარება იმდენად თუ გამოგვადგება, რომ იგი აღარ გავიმეოროთ.

ახლა სოციალისტური ეკონომიკა უველგან მთელ ეოფილ სსრკ-ში დანგრეულია. რაც მოკვდა, მოკვდა. მას ვერაფერს ვაპყრობს. ამ ვითარებაში რა სჯობს საქართველოსათვის ის, რომ სოციალისტური ეკონომიკის ნანგრევების შეკონსტრუქცია დაიწყო თუ სოციალისტური ეკონომიკის ნაგვისაგან სამშენებლო მოედანი გაწმინდოს და გაასუფთაოს და ცარიელ ადგილას სრულიად ახალი ეკონომიკის მშენებლობა დაიწყო? თუ ვინმე დამიჯერებს, უმჯობესი ის ვახლავთ, რომ ნაგვისაგან სამშენებლო მოედანი გაწმინდოს და სრულიად ახალი ეკონომიკის მშენებლობა დაიწყო. მართალია, ეს ძნელი საქმეა. დიდი დრო, მოთმინება, შრომისმოყვარეობა, ხელუბრაკაპიტალიზებული მუშაობა სჭირდება, მაგრამ აუცილებელია და უნდა გავაკეთოთ. იმისათვის ვიშრომით, რომ სრულიად ახალი ეკონომიკა ჩამოვაყალიბოთ, დროისა და ენერჯის შესაფერისი, ჩვენი ქვეყნის ბუნებიდან გამოდინარე. გულახდილად რომ ვითხრათ, ამას დღევანდელი ხელისუფლება ვერ შესძლებს. მას სხვა შესუფლებებისა და რწმენის ხალხი სჭირდება. შესაცვლელია ხელისუფლების ხასიათიც. დღეს საქართველოში არ არსებობს არავითარი პირობები დემოკრატიული წესწყობილების დასამყარებლად. დემოკრატიული წესწყობილება რომ დამყარდეს, სულ ცოტა სამი აუცილებელი პირობა მაინც უნდა არსებობდეს: აწყობილი ეკონომიკა, კანონები და ხალხის მხრით კანონის პატივისცემა. ახლა საქართველოში არც ერთია, არც მეორე და არც მესამე. ჩვენს ვითარებაში დემოკრატიაზე ლაპარაკი თავის მოტეუებაა. საქართველოს მტკიცე ხელისუფლება სჭირდება. ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ვინმე ველურ დიქტატორას მოითხოვს. არავითარი დიქტატორი არ ეოფილა გენერალი პინოჩეტი. დიქტატორი ძალაუფლებას არჩვენების გზით არ უთმობს სამოქალაქო ხელისუფლებას. მან უბრალოდ მტკიცე ხელისუფლება შექმნა და ჩილე დალუპავს გადაარჩინა. ამგვარ სიმტკიცეზე ლაპარაკი. თორემ დღეს საქართველოში ეოველგვარი ჯურის ავაზაკთაგან ხელისუფლება აბუხად არის ავდებული. აბუხად ავდებულია ხელისუფლებამ ქვეყანას როგორ უნდა უპატრონოს?

ეკონომიკის გარდა, იმპერიის აღსადგენად რუსეთს სხვა პოლიტიკური

ხრიკებიც ჰქონდა მომზადებული ეთნოკონფლიქტების სახელწოდებით. მოლ-დავეთში შინააშლილობა უნდა გამოეწვია დნესტრისპირეთის ჭარბ რუსულ მოსახლეობას. სომხეთი და აზერბაიჯანი ყარაბაღის გამო უნდა დასჯახებოდნენ ერთმანეთს. უკრაინისათვის უირომსა და დონუცკის ოლქს უნდა ჩაერთვებოდა აზერბაიჯანი, საქართველოსათვის – აფხაზეთს და ოსებს.

რუსეთს უკვე ჰქონდა გამოცდილება აფხაზეთისა და ოსების გამოყენებისა. 1918-21 წლებშიც დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ ისინი აჯანყდნენ. მაშინ ამან რუსეთისათვის დადებითი შედეგი გამოიღო. წითელ არმიას გაუადვილა საქართველოს დაპყრობა. რაკი წარსულის გაკვეთილებმა ჰკუთვნებდა ვერ გვასწავლა, კომუნისტური რუსეთის მსგავსად, „დემოკრატიულმა“ რუსეთმაც აფხაზეთი და ოსები აუშხედრა დღევანდელ საქართველოს. ჩვენც ამ პროვოკაციის ანკესს დაუფიქრებლად მაშინვე წამოვევით და უმწარესი დამარცხება ვიწვინეთ.

რა თქმა უნდა, ეოვლად უკანონო და უსამართლო ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი უნდა გაუქმებულიყო. მაგრამ გაუქმების გადაწყვეტილება მაშინ უნდა მიეღო ხელისუფლებას, როცა ქართული ჯარი მზად იქნებოდა მისი გადაწყვეტილების დასაცავად და განსახორციელებლად. ჩვენ კი გადაწყვეტილება მაშინ მივიღეთ, როცა ჯარი არ გვყავდა. ცუდად შეიარაღებული, უდისციპლინო, დაცლკევებული რაზმების ამარა ვიყავით. ცხინვალში აჯანყებული ოსების წინააღმდეგ, ტაშის ვრიალით, რუსი გენერალი გავაცილეთ, საქართველოს მიწა-წყალს დაიცავსო, თუმცა კარვად ვიცოდით, ოსთა აჯანყებას რუსეთი რომ აწყობდა.

ერთხელ ხომ შევცდით. მეორედაც დაუშვით იგი 1992 წლის აგვისტოში, როცა აფხაზეთში ქართული ჯარის გადაადგილება დაიწყო. აფხაზეთმა მაშინვე ისარგებლეს ამით. ომი გააჩაღეს ქართველთა წინააღმდეგ. არც ამ ომისათვის აღმოვჩნდით მომზადებული. მომზადებული კი არა და კომედის თამაში დავიწყეთ. ჯერ იყო და ქართველთა სისხლით გაუმძღარ მტერს ძმობას ვეფიცებოდით. ისინი არ ინდობდნენ ჩვენს ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს. უწვავდნენ სახლ-კარს, აუბატურებდნენ, აწამებდნენ და ქლექტდნენ. ჩვენ კი ისევ კომუნისტურად თვალთვამქცობდით. ორი ხალხის მრავალსაუკუნოვან ძმობასა და მეგობრობაზე ვლავებოდით. მერე იყო და თბილისელი ბერიკაცები დაირაზმდნენ და აფხაზეთს გაემგზავრნენ – ომში ჩვენი შვილები არ უნდა დაიხოცნონ, მათი სიცოცხლე უნდა გადავარჩინოთ და ჩვენ ვიბრძოლებითო. ომი გართობა არ არის. ომი უმძიმესი სისხლიანი საქმიანობაა. მოსაკებად მას ახალგაზრდული ენერჯია და ძალა სჭირდება. ეველა ქვეყანაში უუვართ მამებს შვილები. ჯერ არ გაჩენილა ამქვეყნად მამა, რომელსაც შვილის სიკვდილი უნდოდეს, მაგრამ ომში მანაც ახალგაზრდები მიდიან. იმათ აქვთ ომის მომკები ძალა და ენერჯია და იმიტომ. ომის ტრაგიკული აუცილებლობაა ეს და, საუბედუროდ, ვერსად გაუქცევი. ჩავიდნენ ჩვენი ბერიკაცები, სო სუძში, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს. რამ-

დენივე კაცი მაშინვე დაიღუპა. სხვები კი უკან გამოიქცნენ. მერე ამას „ქალთა ლაშქრობა“ მივაუოლეთ. ერთი დეპუტატი მანდილოსანი პათეტიკურად გვარწმუნებდა – „ჩვენ ჩავდგებით შუაში, ერთმანეთს ტყვია რომ არ ესროლონ“ („ოქროს არწივი“, 1993 წ., 23 სექტემბერი). შუაში ჩადგომა კი არა და, ფრონტის სასამდე არც მიუღწევიათ, ისე გამოიპარნენ შინ. ომი ასეთი „არტიტობით“ არ მოიგება. „არტიტობით“ თავს ვიძახსარავებთ, მსოფლიოს თვალში სასაცილო ვხდებით. თან ტრაგიკული შედეგი ახლავს მას – საქართველოს მიწა-წყლის დაკარგვა, ქართველთა რბევა-აწიოკება, სისხლი და სიკვდილი.

არაფერს ვამბობ იმაზე, რა სამარცხვინოდ ვიქცეოდით ომის დროს. როცა ქართველთა ერთი ნაწილი (მცირე) სასიკვდილოდ სწირავდა თავს მამულის ვადასარჩენად, მეორე ნაწილი (უმრავლესობა) სხვადასხვა ქვეყანაში დაწოწილობდა სასწვეულანტოდ. ნაირ-ნაირი ავაზაკების ბანდებმა, რომელთაც ფუნებზე ეკიდა სამშობლოს ბედი და იღბალი, ხომ მთელი საქართველო წაღვეს.

რატომღაც ძალიან გვიყვარს თავის სასაცილო მდგომარეობაში ჩავდებამ. ერთი კაციც არ არის დღეს ჩვენში, რომელმაც არ იცოდეს, რომ რუსეთის ხელისუფლებამ წააქეხა, იარაღითა და ფულით აღჭურვა აფხაზების, სომეხთა და ჩრდილოკავკასიელთა ბრბოები და საქართველოს მიუსია (როცა გაუჭირდებოდათ, უშუალოდაც მონაწილეობდა ომში რუსეთის არმია). მეტი რაღა ვინდათ. სახელმწიფო უშიშროების მინისტრმაც კი აღიარა: აფხაზებს ჰუაუდათო მოკავშირე რუსეთის სახით („ქართველი ერი“, 1994 წ., №2). აფხაზებმა, სომეხებმა და ჩრდილოკავკასიელებმა ზუსტად შეასრულეს რუსეთის დაზალება. აწიოკეს, დაარბიეს, გადაწვეს აფხაზეთი. ქართული მოსახლეობა ამოწვეიტეს. ვინც ვადარჩა მშობლიური მიწა-წყლიდან გამოაძვეეს. ასეთი ველურობა და მხეცობა მეოცე საუკუნეში მეორედ ხდება. მეტი მაგალითი ისტორიამ არ იცის, თუძა მეოცე საუკუნეს არც ომები აკლდა და არც რევოლუციები. ჰირველად ასეთი გაუგონარი დანაშაული მაშინ მოხდა, როცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აღმოსავლეთ ჰრუსიაში, სილესიაში, სუდეტში გერმანელი მოსახლეობა (თერთმეტი მილიონი კაცი) აჭარეს მამა-პაპეული მიწა-წყლიდან და ნაწილი გაასახლეს და ნაწილი გაწვეიტეს. გერმანელთა ადგილას კი რუსები, ჩეხები და პოლონელები დაასახლეს. მეორედ ახლა ხდება, როცა აფხაზეთში ქართული მოსახლეობა გაანადგურეს და იქ, ჩვენს მიწა-წყალზე, რუსებს, სომეხებსა და ჩრდილოკავკასიელებს ასახლებენ. ორივე ბოროტების ჩამდენი რუსეთი იყო. ამის მერე ისევ რუსეთს შეეცდინებთ თვალებში: თუ გვიშველის, ისევ ის გვიშველისო. რატომ ვიბითურებთ ასე თავს? რისი იმედით დავდივართ ეწევაში? როდის და სად მომხდარა გამარჯვებულს დამარცხებულის სასარგებლოდ ნაბიჯი ვადადგას? რაივე დაეთმოს? ნუ ვიტყუებთ თავს, ნუ ვატყუებთ ხალხს, ნუ ვაბიჯავთ ეწევაში წყალს. მთელი ეწერია, დრო, ფინანსურ-ქონებრივი შესაძლებლობა მოვანძაროთ არმიის შექმნა-ჩამოყალიბებას. არმიისა და იარაღის

სამუშაოებით უნდა დავამარცხოთ მტერი, განვდევნოთ იგი ჩვენი მამულიდან და დავიბრუნოთ აფხაზეთი და ცხინვალის ოლქი. სხვა გზა არ არსებობს.

ქენჯაში წყლისსაყუა არ გვეყო, მერე ქვიჯაშიც ჩავასხით წყალი და ფილ-თაქვა დავცხეთ. გადმართეთ მოლაპარაკება აფხაზეთის სტატუსზე. ნუთუ მთლად დავკარგეთ ლოკიკური აზროვნების უნარი?

თუ ჩვენ დავმარცხდით და საბოლოოდ დავკარგეთ აფხაზეთი, მაშინ გამარ-ჯვებული აფხაზები რატომ დათანხმდებიან დამარცხებული ქართველების შე-თავაზებულ სტატუსს? აფხაზები ხომ თავიანთ გამარჯვებას ისე გამოიყენებენ, როგორც მათ სურთ.

თუ ჩვენ გავიმარჯვებთ და აფხაზეთს დავიბრუნებთ, რატომ უნდა მივანი-ჭოთ დამარცხებულ მტერს რაიმე სტატუსი? მტერს აქვს ერთი სტატუსი – მტერი. აფხაზებიც სხვა სტატუსს არ იმსახურებენ. „ვისაც ჩვენ არ ვებრალდებით ჩვენ შევიბრალდით რისადა? სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა“ (ვაჟა-ფშაველა). ვაჟაზე დიდი ჰუმანიტი დღევანდელ საქართველოში არ ცხოვრობს. ამიტომ დავანებოთ თავი ქალაჩურ კაცთმოყვარეობას. დამარ-ცხებულისა და ჰანღურამოკრულის ჰუმანიზმი ისეთივე თვალთმაქცობაა, როგორც ცვედანის აღმოფოთება დონ-ჟუანის საქციელით.

საერთოდ, თუ დამოუკიდებელი ქვეყნის ამენება გვინდა, კომუნისტური რეჟიმის დანატოვარი ავტონომიები უნდა გაუქმდეს. მადლობა ღმერთს, კარ-გად გამოჩნდა რა უბედურებაც დაგვატეხა თავს ამ ავტონომიებმა.

თუ საქართველო მართლა იქნება დამოუკიდებელი და თავისუფალი, მა-შინ ჩვენი ქვეყნის უოველ მოქალაქეს, განურჩევლად რასისა, ეროვნებისა, რე-ლიგიური რწმენისა, ექნება თანაბარი უფლება ეველა საქმეში. რაღა საჭიროა ავტონომია? ერთადერთი ფორმა ავტონომიისა, რომელიც დასაშვებად შეიძ-ლება მივიჩნიოთ, ეს არის კულტურული ავტონომია. სხვა უოველგვარი ავ-ტონომია საქართველოსათვის მიუღებელია. სხვათა შორის, სერგეი მახრაისაც, დღეს რუსეთში საკმაოდ ჰოპულარულ პოლიტიკოსს, ასევე მიაჩნია: რუსეთშიც კულტურული ავტონომიებია დასაშვები და სხვაგვარი ავტონომიე-ბი უნდა მოიძალოს. ისიც თვლის, რომ პოლიტიკურმა ავტონომიებმა რუსეთს ცხოვრება გაურთულეს („მოსკოვსკიე ნოვოსტი“, 1994 წ., №5). თუკი დიდი რუსეთი ოცნებობს, ცდილობს პოლიტიკური ავტონომიების გაუქმებაზე, პა-ტარა საქართველომ რატომ არ უნდა გააკეთოს ეს? ეველაფერში ჭკუას რუსეთს ვეკითხებით და რატომ მაინცდამაინც ავტონომიების საკითხში გვინდა რუსეთს არ წავუბამოთ?

თუ რუსეთს მტკიცე, ერთიანი სახელმწიფოს და მძლავრი არმიის შექმნაში წავუბამავთ, აქ მართლაც შეუძლია მას მაგალითის მოძცემის როლის შესრულე-ბა. დახმარებას კი მისგან ნუ ველოთ. სხვა ჩვენ არ დავვეხმარება. ჩვენ თავს ჩვენვე უნდა ვუშველოთ. მშველელი კი არმიაა. მთელმა საქართველომ უნდა ირწმუნოს მარტივი ჭეშმარიტება – საქართველო გადარჩება, თუ ქართული არმია შეიქმნე-

ბა. თუ ქართული არმია ვერ (ან არ) შეიქმნება, საქართველო დაღუპულია. დაღუპვაში მარტო იმას არ ვკულისხმობ, რომ ვერ დავიბრუნებთ მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიას – აფხაზეთსა და ცხინვალის ოლქს. ცნებას „დაღუპვას“ ვაყენებთ ფართო მნიშვნელობით ვიყენებ იმდენად, რამდენადაც არმიის შექმნა-ჩამოყალიბება მარტო შეიარაღებული ჯარისკაცის უოლას არ გულისხმობს.

არმიის შექმნა ნიშნავს ინდუსტრიის აღორძინებას, არ არსებობს არმია, რომელსაც არა აქვს საკუთარი მძლავრი სამხედრო მრეწველობა. ნასესხები და ნაუიდი იარაღით ომს ვერ მოიგებ. აუცილებელია სამხედრო ინდუსტრიის შექმნა. ეს კი თავისთავად გულისხმობს მრეწველობის საერთო განახლებას.

არმიის შექმნა ნიშნავს სოფლის მეურნეობის აღორძინებას. არმიას კვება სჭირდება. იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საზრდელით, ჩაცმა-დახურვით, ბინით.

არმიის შექმნა ნიშნავს დისციპლინის დამყარებას. თუ ქვეყანაში არ არის დისციპლინა, წესრიგი, ვერც არმიაში იქნება იგი. თუ არმიაში დამყარდება წესრიგი და დისციპლინა, იგი დამყარდება მთელ ქვეყანაშიც. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იარსებებს უწესრიგოდ და უდისციპლინოდ. წესრიგისა და დისციპლინის გარანტია კი უნდა იყოს არმია და პოლიცია. მაგრამ ის არმია და ის პოლიცია, რომელიც თავად არის წესრიგის, დისციპლინის, უანგარობის, თავდადების, ერთგულების, ქვეყნის სიუვარულის ეტალონი.

ასეთი ამოცანა გვიდგას წინ და ამ დროს ხელისუფლება თავდაცვის სამინისტროს ხარჯებს უძვირებს. რა შეიძლება ვუწოდოთ ამას? ალბათ, უკუნურება.

ვის წინააღმდეგ და სად არ უბრძოლია ქართველ ჯარისკაცს. იგი მდგარა ჰირინჰირ რომაელისა თუ ბიზანტიელის, არაბისა თუ მონღოლის, თურქისა თუ სპარსის და თავი არასოდეს შეურცხვენია. ჰირველ და მეორე მსოფლიო ომების დროს ქართველი ჯარისკაცები და ოფიცრები როგორც თანაბარი თანაბარს, ისე ებრძოდნენ მთელს ქვეყნიერებაზე სახელგანთქმულ გერმანულ არმიას. ნუთუ ჩვენს საქმე ისე წახდა, ისე დაფინანსდებოდა, რომ ოსებისა და აფხაზების ბრბოებმა დაგვამარცხეს? ეს იმის ბრალა, რომ დაბნეული, დაფანტული, დაცალკევებული ვიყავით. ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ქართველი ხალხის ერთ მუშტად შეკვრა.

დღეს საქართველოს სჭირდება ხელისუფლება, რომელიც ჩვენს ხალხს ჩაუნჩრგავს მხნეობას, სიმტკიცეს, გამარჯვების ურევ რწმენას. წაიყვანს კიდევ ამ გზით.

მოუძნადებლობას, ბედოვლათობას გათიშულობაც დაემატა. გათიშულობა იმთავითვე დაებედა ეროვნულ მოძრაობას. იღია ჭაჭაყავამის საზოგადოება მტკიცედ ჩამოყალიბებული არც იყო, რომ გაითიშა. იქიდან მოყოლებული გათიშვა-გაყოფა მეტჯერ მოხდა, ვიდრე გაერთიანება-შეკავშირება.

დღესაც გრძელდება ეს, მიუხედავად იმისა, რომ 1988 წლის ნოემბრიდან აქამომდე დამარცხება ბევრად მეტი ვიწვნით, ვიდრე გამარჯვება. გასეთმა „პრინციპი“ (1994 წ., №2) საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების, ორგანიზაციებისა და კავშირების სია გამოაქვეყნა. მათი რაოდენობა 64 ყოფილა. თავისთავად ეს რიცხვი უკვე ანეკდოტურ მდგომარეობაში გვაყენებს. ამ პარტიების დიდ უმრავლესობას არც ძალა აქვს, არც ავტორიტეტი, არც გავლენა და მათ მეთაურებსაც არაფერი იცნობს. საქმის გაკეთება მათ არ შეუძლიათ. ხელისშემშლელი კი ემარჯვებათ. ამასვე უარესი ის გახლავთ, რომ მათი არსებობა ჩვენს დაფანტულობა-დაშლილობას ადასტურებს. იმაში გვარწმუნებს, რომ გაერთიანება არ შეგვიძლია. მიზნისათვის ერთად ბრძოლა და შრომა არ გვეხერხება. ამ მდგომარეობით მტერი ოსტატურად სარგებლობს. 64 პარტიის, ორგანიზაციისა თუ კავშირის არსებობა არც დემოკრატიაზე მეტყველებს. იგი მხოლოდ ქაოსის არსებობას მოწმობს. ამ პოლიტიკურ ქაოსს საქართველო ვერასოდეს დააღწევს თავს, თუ პოლიტიკური პარტიების რაოდენობა კანონით მკვეთრად არ შეიზღუდა. სამ პარტიაზე მეტი საქართველოს არამც და არამც არ სჭირდება. ეს კონსტიტუციურად უნდა დადგინდეს. ისეთი შეზღუდვები უნდა დაწესდეს, რომ პარტიები სოკოებივით არ მრავლდებოდეს. არც ორას და სამასკაციანი პარლამენტი სჭირდება საქართველოს. 50-60 დეპუტატი სრულიად საკმარისია. ცოტა პარტია და ცოტა დეპუტატი ცოტა ლაუბობაა. ბევრი პარტია და ბევრი დეპუტატი ბევრი ლაუბობაა. ქვეყნის გადარჩენას კი საქმე და შრომა სჭირდება. ამიტომ პარტიების რაოდენობა პრინციპული საკითხია. არსებითად დამოუკიდებლობის უოფნა-არუოფნის საკითხია.

დაფანტული და დაშლილი ხალხი დამოუკიდებელ, თავისუფალ სახელმწიფოს ვერ ააშენებს. ერთიანობა-მთლიანობა საქართველოსათვის უოველთვის უმთავრესი პრობლემა იყო. დღესაც ასეა. ქართული ცნობიერება, ქართული შეგნება ერთიანობა-მთლიანობის იდეით თუ არ განიმსჭვალა და გაიჟღინთა მამულს ვერ მოვუვლით, ვერ ვუპატრონებთ. ამ მიმართულებითაც დიდი აღმზრდელობითი სამუშაოა გასაკეთებელი.

ჩვენ არა მარტო ეკონომიკის აღორძინება, დამნაშავეობის მოსწობა, არმიის შექმნა და კიდევ უამრავი პრობლემის მოგვარება ვგჭირდება, არამედ იმ მანიკიერებათა ამოძირკვაც, რომელიც ჩვენს სულსა და მენტალიტეტში ისტორიულმა უიღბლობამ და სიდუსჭირემ ჩათესლა. უოველივე მანიკიერებას ფხიზელი თვალთ უნდა ვუეურებდეთ და ცეცხლითა და მხვილით უნდა ვებრძოდეთ. თუ ჩვენ კვაჭი კვაჭანტირაძისა და თეიმურაზ ხვეისთავის თვისებები სამუდამოდ არ მოვიცილეთ და ამირანის, ავთანდილის, ოთარაანთ ქვრივის, მინდიას თვისებები არ ავალორძინეთ, დამოუკიდებელ საქართველოს ხომ ვერ ავაშენებთ და ვერ ავაშენებთ. საერთოდ ჩვენი, როგორც ერის, არსებობაც კი შეიძლება საეჭვო გახდეს.

მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე ბორჯავდა საქართველო. ხან აჯანყებუ-
ბით, ხან შეთქმულებით, ხან ერთგულების გამოცხადებით ცდილობდა რუსე-
თის კოლონიური უღლის შემსუბუქებას. ამოდ. რუსეთს მტკიცე ხელით ეპყრს
კოლონიები და სრულებით არ ფიქრობდა რაიმე შეღავათის მიცემას მათთვის.
რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა ძნელი იყო არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენს
ჩრდილო მეზობელი დიადი და ძლიერი სახელმწიფო იყო, არამედ იმიტომაც,
რომ საქართველოს დამოუკიდებლობა დიდი ხნის დაკარგული ჰქონდა და მკა-
ფიოდ არ იკვეთებოდა, რა გზას დასდგომოდა.

1555 წლიდან საქართველო აღარც იურიდიულად და აღარც ფაქტობრი-
ვად დამოუკიდებელი აღარ უოფილა. 1555 წელს ირანსა და თურქეთს შორის
დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად საქართველო შუა გაიყო.
აღმოსავლეთ საქართველო ირანს ერგო, დასავლეთ საქართველო – თურქეთს.
ქართველ მეფეებს, სულერთია იმიერ საქართველოსი იქნებოდა თუ ამიერ
საქართველოსი, თურქეთის სულთნები და ირანის შაჰები ისევე ნიშნავდნენ,
როგორც მოსკოვი ნიშნავდა საქართველოს კპ ცკ-ის მდივნებს კომუნისტური
რეჟიმის დროს.

ირან-თურქეთისაგან საქართველოს გათავისუფლებისათვის ბრძოლაში
ეველაზე დიდ შედეგს ერეკლე მეორემ და სოლომონ ჰირველმა მიაღწიეს. მათ
ძალიან შეამცირეს ირან-თურქეთის გავლენა, შეზღუდეს მათი ბატონობა, მაგ-
რამ სრული გათავისუფლება მაინც ვერ მოახერხეს. ისინი ისევე დარჩნენ ვასალე-
ბად: ერეკლე მეორე – ირანისა, სოლომონ ჰირველი – თურქეთისა. ასეთ ვი-
თარებაში ქართველი მეფეების წინ ალტერნატივა ამგვარად იდგა: საქართვე-
ლო ქრისტიანული ქვეყანაა, მაგრამ იგი ვასალია ისლამური ირან-თურქეთი-
სა. ამ ვასალობისაგან სრულიად თავის დაღწევას ვერ ახერხებს. ამიტომ რა
სჯობს – დარჩეს ქრისტიანული საქართველო ისლამური ირან-თურქეთის
ვასალი თუ გახდეს ქრისტიანული რუსეთის ვასალი? ქართველმა მეფეებმა ამ-
ჯობინეს ქრისტიანული რუსეთის ვასალობა. ამდენად, 1801 წელს საქართვე-

ლოს დამოუკიდებლობის (რაც არ ჰქონია) დაკარგვა კი არ უნდოდა, არამედ ბატონის, სიუზერენის გამოცვლა. მაგრამ ქართული სამეფო კარის პოლიტიკა მოტყუებული აღმოჩნდა. რუსეთი ბევრად უფრო სასტიკი დამპყრობელი გამოდგა, ვიდრე ირან-თურქეთი. რუსეთმა მოსპო საქართველო, როგორც სამეფო, როგორც სახელმწიფო. გაანადგურა ქართული სამეფო დინასტია. ქართული ეკლესიიდან განდევნა ქართული ენა და რუსული დაამკვიდრა. ეს არ გაუკეთებიათ არც მონღოლებს, არც სპარსელებს, არც თურქებს. ისინი იძითაც კმაყოფილნი იყვნენ, რომ საქართველო მათი ვასალი იყო.

შეიძლება მკითხველმა გაიკვიროს – რა შუაშია ეს ისტორიული ექსკურსი და არჩილ ჯორჯაძე? რაც მოგახსენეთ, ის თუ არ გავითვალისწინეთ, ვერ ავხსნით, რატომ იყვნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და არჩილ ჯორჯაძე საქართველოს ავტონომიის მომხრე რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებში და არ მოითხოვდნენ მეტს – საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას. არჩილ ჯორჯაძის აზრით საქართველო უნდა ეოფილიყო ერთიანი, განუყოფელი, დემოკრატიული, ავტონომიური რესპუბლიკა, დაკავშირებული რუსეთის იმპერიაში შემაჯალ სხვა ხალხებთან ფედერაციული წესით.

თერგდალეულებსა და არჩილ ჯორჯაძეს ავტონომიის საფეხურის გავლა აუცილებლად მიაჩნდათ ორი მიზეზით.

პირველი: საქართველოს სახელმწიფო აღარ არსებობდა. არ ჰყავდა ჯარი და პოლიცია. არ არსებობდა არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა. მმართველობის სისტემაში ძირითადად რუსი მოხელეები მუშაობდნენ. საჭირო იყო უმაღლესი სასწავლებელი, თუნდაც ერთი, რომელიც აღზრდიდა კადრებს სამეურნეო საქმიანობის უველა დარგისათვის. საქართველოს ეკონომიკა იყო ღარიბ-ღატაკი. ამ ვითარებაში სახელმწიფო სისტემა რომ ჩამოეყალიბებინათ და აემუშებინათ, აუცილებელი გახლდათ წესრიგი და დრო. ქაოსში ვერ მოხერხდებოდა ახალი ქართული სახელმწიფოს შექმნა. წესრიგის შენარჩუნება და ქაოსის თავიდან აცილება შეიძლებოდა მხოლოდ რუსეთის საშუალებით.

მეორე: თუ საქართველო მაშინვე დაადგებოდა სრული გამოყოფის, ანუ სეპარატიზმის გზას, ამას რუსეთი არ აპატიებდა. არჩილ ჯორჯაძემ ჩინებულად იცოდა, რას ნიშნავს რუსეთის სადამსჯელო ექსპედიციები. ამის უამრავი მაგალითი არსებობდა მე-19 საუკუნეში. როგორც სხვა ქართველი მოღვაწეები, არჩილ ჯორჯაძემც იცნობდა იმ გეგმებს, რომელსაც მე-19 საუკუნეში, დრო და დრო, ამუშავებდა რუსეთის ხელისუფლება – ქართველთა საერთოდ აერა კავკასიიდან და ციმბირში გადასახლება. ამ საფრთხის გამო ილია ჭავჭავაძემც აფრთხილებდა ქართველ პოლიტიკოსებს და გიორგი წერეთელიც. სიფრთხილე იყო საჭირო და ბეწვის ხიდზე გავლა. არჩილ ჯორჯაძე იმასაც ითვალისწინებდა, რომ რუსეთის სახელმწიფოს ახლებური მოწყობა ანტიერესებდათ იმპერიაში შემაჯალ სხვა ხალხებსაც და გარკვეულ ნაწილს თავად რუსი

პოლიტიკოსებისა ც. თუ საქართველო სეპარატიზმის გზას დაადგებოდა, მას მხარს არ დაუჭერდნენ არც იმპერიის სხვა ხალხები და არც (მით უმეტეს) რუსი პოლიტიკოსები. ფედერალიზმის იდეა კი მათთვის არც უცხო იყო და არც მიუღებელი. იმასაც თუ მივაქცევთ ურადლებას, რომ არსებითად ფედერალიზმის იდეას შეიცავდა 1783 წელს დადებული ტრაქტატიც, თერგდალეულებიც ავტონომიის ანუ ფედერალიზმის პრინციპის მომხრენი იყვნენ, მაშინ ცხადი ხდება, რომ სოციალ-ფედერალისტური პარტია საერთოდ და კერძოდ არჩილ ჯორჯაძე მემკვიდრეობით აგრძელებდა ქართული პოლიტიკური აზრის მიერ არჩეულ გზას.

ერთი სიტყვით, ავტონომიას უნდა აღედგინა რუსეთის მიერ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობა, ჩამოყალიბებინა სახელმწიფო სტრუქტურები, შეექმნა ჯარი და პოლიცია, აეღორძინებინა ეკონომიკა, სწავლა-განათლება, კულტურა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ეზრუნა და ებრძოლა საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის.

ამიტომ იყო არჩილ ჯორჯაძის ტრიადის ერთი წევრი ავტონომიის მოთხოვნა, ანუ რუსეთის სახელმწიფოს მოწეობა ფედერალიზმის პრინციპით.

მეორე წევრი ტრიადისა იყო სოციალიზმი. მაგრამ არჩილ ჯორჯაძის სოციალიზმს არაფერი აქვს საერთო ქართველი სოციალ-დემოკრატების სოციალიზმთან. განსხვავება ამ ორ სოციალიზმს შორის ზუსტად ამოიცნო მიხაკო წერეთელმა და აღნიშნა კიდევ. მარქსისტული სოციალიზმი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-20 ანწლეულის დასაწყისში უძლიერესი მოძღვრება იყო. იგი მთელ მსოფლიოს მოედო და, ცხადია, საქართველოშიც მძლავრად მოიკიდა ფეხი. მაგრამ, როგორც სამართლიანად ამბობს მ. წერეთელი, „თავისი კლასთა ბრძოლისა და კოსმოპოლიტური იდეებით იგი დამღუპველი იყო ერთა... ერთი აქ მეორე ხარისხის მნიშვნელობის მოვლენად სჩანდა, გარდამავლადაც კი... ჯერ განხორციელდეს სოციალიზმი და მერე ეველა პრობლემა კარგად გადაწყდება, ეროვნულიცაო!“ ამ აზრს დაუპირისპირდა სწორედ არჩილ ჯორჯაძე. მან უარყო კლასობრივი ბრძოლის გზით ამქვეყნიური სამოთხის დამყარების ოცნება. წამოაყენა „საერთო ნიადაგის“ თეორია. აქაც იგი თერგდალეულთა გზას აგრძელებდა. არჩილ ჯორჯაძეს წარმოუდგენლად მიანხნდა ქართველი ხალხის კლასობრივი თვალსაზრისით დანაკუწება. მისი აზრით, ქართველი ხალხი ერთიანი იყო და სოციალური თანასწორობის იდეებს ეველასათვის თანაბრად უნდა მოეტანა კეთილი. კლასობრივი ბრძოლა ისედაც მცირერიცხოვან ქართველ ხალხს გადაშენებით დაემუქრებოდა, სისხლით მორწყავდა საქართველოს. ბოროტს დაამკვიდრებდა.

საქართველოში ის ვითარება არ იყო, რაც რუსეთში. ქართული არისტოკრატია 1861 წლის საგლეხო რეფორმის შედეგად, არსებითად დაიშალა (ეს ქართულ მწერლობაში კარგად აისახა, მაგალითად, დავით კლდიაშვილთან).

მან დაკარგა ერის მეთაურის ფუნქცია, რაც ფეოდალურ საქართველოში ჰქონდა. კლასობრივი კუთხით ვალატაკებული ქართული არისტოკრატია არავითარ მალას აღარ წარმოადგენდა. ქართული ბურჟუაზია კი ჯერ ჩამოყალიბებული არ იყო. თითო-ოროლა ქართველი კაპიტალისტი, რა თქმა უნდა, კლასობრივ მალად ვერ ჩაითვლებოდა. ამ მხრივ რუსეთში სრულიად სხვა სიტუაცია იყო. იქ არც არისტოკრატია ვალატაკებულა და დაშლილა და ბურჟუაზიაც, ქართულთან შედარებით, ღონივრად იდგა ფესზე. სამწუხაროდ, საქართველოში ერის მეთაური, წინამძღოლი კლასი, საზოგადოებრივი ფენა არ არსებობდა. ამ მდგომარეობაში მყოფი ერის წიაღში თუ კლასობრივი ბრძოლა ვაჩაღდებოდა, უეჭველად, ეს მთელ ხალხს კატასტროფას უქადდა.

ქართველ ხალხს წინამძღოლი კლასი რომ ჰყოლოდა, არჩილ ჯორჯაძეს აუცილებლად მიაჩნდა ქართული ბურჟუაზიის ჩამოყალიბება. ამის გამო მას ქართველი სოციალ-დემოკრატებისაგან კრიტიკაც ბევრი მოუსმენია და დაცინვაც. მაგრამ არჩილ ჯორჯაძე რომ მართალი იყო, ეს მერე ისტორიამ დაადასტურა. 1918-21 წლებშიც საქართველოს დამოუკიდებლობა იმიტომ დამარცხდა, რომ ქართველ ხალხს მეთაური კლასი არ ჰყავდა. დღესაც ქართული ეროვნული მოძრაობის დამარცხებაც ამით არის გამოწვეული. თუ ერს სოციალურ-პოლიტიკურ ბრძოლაში გამარჯვება სურს, მას აუცილებლად უნდა ჰყავდეს მეთაური, წინამძღოლი საზოგადოებრივი ფენა, კლასი, რომელსაც ძალუძს ქვეყნის ჰატრონობა. ცალკეულ ჰიროვნებას, თუ გნებავთ ჰარტიასაც, ამ ფუნქციის შესრულება არ შეუძლია. ჰიროვნება ანდა ჰარტია კლასს ვერ შეცვლის. ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხება როგორც 1921 წელს, ისე დღეს, ამის ნათელი ნიმუშია.

სოციალური თანასწორობის (აქედან სოციალიზმის) იდეა არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკური ნაფიქრისა და ნააზრევის ძირითადი შინაარსია. მაგრამ სოციალიზმი ქართველი ხალხის ეოფნა-არეოფნას არ უნდა დამუქრებოდა. სოციალიზმი ქართველი ხალხის თავისუფლების დასამკვიდრებლად და არა ქართველი ხალხი სოციალიზმის მასალად – ეს არის არჩილ ჯორჯაძის მოღვაწეობის მიმართულება. იმიტომ ვახდა მისი ტრადის მესამე ნაწილად ეროვნულობა, ანუ ნაციონალიზმი.

მე-20 საუკუნის ჰირველ მეოთხედში საქართველო ინტერნაციონალიზმისა და ნაციონალიზმის მძაფრი ბრძოლის ასპარეზი იყო. ქართული სოციალ-დემოკრატია ინტერნაციონალიზმს ემხრობოდა და ქართველი ხალხის ეროვნული ბედ-იღბალი არ აღეგულებდა. სოციალ-დემოკრატის როგორც ბოლშევიკურ, ისე მენშევიკურ ფრთას მტკიცედ სჯეროდა, რომ თუ სოციალიზმი გაიმარჯვებდა, იგი მსოფლიო მუშათა კლასს, და მათ შორის ქართველ მუშასა და ვლეხს, ერთხელ და სამუდამოდ მოუტანდა ბედნიერებას. ხოლო არისტოკრატია და ბურჟუაზია, კლასობრივი ბრძოლის თანახმად, საერთოდ უნდა

წასულიყვნენ ისტორიის ასპარეზიდან. სოციალ-დემოკრატიის აზრით, მათ ისტორიამ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა და ამ სასჯელისაგან მათ ვერაფერი იხსნიდა. ქართული სოციალ-ფედერალისტური პარტია და მისი მეთაური არჩილ ჯორჯაძე საპირისპიროდ ფიქრობდნენ. ინტერნაციონალიზმისაკენ ნაციონალიზმის გზით უნდა ვიაროთ (არ.ჯორჯაძის ვრცელი ნარკვევის – „სამშობლო და მამულიშვილობა“ – მეხუთე თავი ასეთ სათაურსაც ატარებს). თუ არ იქნებიან ნაციები, აღარც ინტერნაციონალიზმი იქნება. ერს არჩილ ჯორჯაძისათვის სოციალისტური და ჰუმანური ღირებულება ჰქონდა. ჟან ჟორესის მსგავსად ისიც ფიქრობდა, რომ ერები სოციალისტურ საზოგადოებაშიც იარსებებდნენ. ამის სიმართლეც დაადასტურა ისტორიამ. მაგრამ საქართველოში, ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში, ინტერნაციონალური სოციალიზმისა და ნაციონალური სოციალიზმის დავა-კამათი ინტერნაციონალური სოციალიზმის გამარჯვებით დამთავრდა. ქართველი ხალხი ინტერნაციონალური სოციალიზმის გზას გაჰყვა, ჯერ მენშევიკურს, მერე ბოლშევიკურს.

1994 წ., მაისი



ლილი ბაკვითილი

როცა მფრინავი საღარა ლევან ორბელს შეატყობინებს – საქართველოში აჯანყება მზადდება, იგი მალე დაიწეება, ქართველთა ამბოხებას მიჰყვება სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიის ინსურექცია, ევროპაც მხარში ამოგვიდგება და მთელი კავკასიიდან რუსეთს გადაძევებთო – ავის მოლოდინით შეძრწუნებული ლევან ორბელი თავში შემოიკრავს ხელს და სასოწარკვეთილი წამოიძახებს – შემლილობაა, სიციყეა, არავინ აჯანყდება – არც სომხეთი, არც აზერბაიჯანი, არც ამიერკავკასია, არც ევროპა დაგვეხმარება, უმოკავშირეოდ, უამხანაგოდ და უძეგობროდ დარჩენილი საქართველო მარტოღმარტო ჩაუვარდება ხელში გაცოფებულ რუსეთს და მიწასთან გაასწორებენო (გრიგოლ რობაქიძე – „გრაალის მცველნი“).

1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში იმთავითვე ორგვარი დამოკიდებულება რომ არსებობდა, ამას ამბოხების ერთ-ერთი მეთაური და უშუალო მონაწილე შალვა ამირეჯიბიც ადასტურებს („სამშობლო“, 1929 წ., №2; ჰარიზი). ერთნი მომხრენი ყოფილან აჯანყებისა და მეორენი – წინააღმდეგნი. ყოველ საქმეში გათიშულობა, როგორც ჩანს, საქართველოს ბედისწერაა. მაგრამ არსებითი, გადაძვევები ის იყო, რომ აჯანყება სტიქიურ ხასიათს ატარებდა, მიუსხედავად იმისა, რომ ამბოხების მეთაურობას ჰარიტეტული კომიტეტი კისრულობდა და იჩემებდა. მართალია შალვა ამირეჯიბი, როცა ამბობს, – „შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ აგვისტოს აჯანყება ვინმემ გადაწვევია, ან მისი თავიდან აცილება ვისმეს შეეძლო და არ ინდომა“ („სამშობლო“, 1929 წ., №2). ისტორიაში ხშირად ხდება, რომ ერის გულში დაგროვებული ვარამი ვულკანივით ამოხეთქავს. ამ პროცესის არც მართვა შეუძლია ვინმეს და არც შეჩერება. იგი თავისით ჩერდება: როცა ათეული წლობით დაგროვებული ბოღმა და სიძულვილი ამოიფრქვევა, ხალხის გული ამ ტვირთისაგან თავისუფლდება, წუნარდება და მშვიდდება. ამგვარი მოვლენა არა ერთი და ორი ყოფილა საქართველოს ისტორიაში. მაგრამ ისიც დასამახსოვრებელია, რომ აჯანყებას, თუნდაც დამარცხებულს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, როგორც ამას ამბობს 1924 წლის ამბოხების ერთ-ერთი მონაწილე. დამარ-

ცნობული აჯანყება გამარჯვებულზე არანაკლებ გამოხატავს ერის თვისებასა და სულისკვეთებას. გამონაკლისი არც 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაა.

პარტიულ კომიტეტში, რომელსაც აჯანყების მეთაურობა ევალებოდა, ხუთი პარტიის წარმომადგენლები შედიოდნენ. ეს პარტიებია – სოციალ-დემოკრატიული, ანუ მენშევიკური, ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალ-ფედერალისტური, სოციალ-რევოლუციური, ანუ ესერული და „სხიველები“ („სხიველები“ იგივე სოციალ-დემოკრატები იყვნენ, ოღონდ თანამომხმეთაგან მცირე იდუარი დავის გამო გამოყოფილნი. „სხიველები“ კი იმიტომ ერქვათ, რომ ჟურნალ „სხივის“ გარშემო იყვნენ თავმოყრილნი).

მოვალეობით აჯანყების მეთაურობა პარტიულ კომიტეტს კი ევალებოდა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ამ მოვალეობას იგი თავს ვერ ართმევდა. ამას, ჯერ ერთი, ის ადასტურებს, რომ პარტიული კომიტეტის წევრები წამდაუწყებლად იცვლებოდნენ და, მეორეც, მის განკარგულებებს, მითითებებს თუ ბრძანებებს მაინცდამაინც ერთგულად არ ასრულებდნენ. ვის როგორ უნდოდა, ისე იქცეოდა. მარტო ის რად ღირს, რომ როცა აჯანყების წამი დადგა, სოციალ-ფედერალისტურმა პარტიამ, მზად არ ვართო და ამბოხებაში მონაწილეობაზე უარი თქვა (სოლომონ ზაღდასტანიშვილი – „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“, 1989 წ., თბილისი, გვ. 34-35).

პარტიულ კომიტეტს ერთი ბურჟი მაშინ გამოეცალა, როცა იგი ვეულაზე მეტად იყო საჭირო.

მეთაური იმას ჰქვია, ვისაც დაწევბაც შეუძლია და დაწებულის შეჩერებაც, თუ ამას აუცილებლობა მოითხოვს. ის მეთაურად ვერ ჩაითვლება, ვისაც ლიანგის სტიქიონი ფართხალ-ფართხალით მიათრევს.

მაშინდელი ვითარება დღევანდელს სხვა ნიშნებითაც ჰგავდა.

მაშინაც, როგორც დღეს, ეველას მოღალატეს ეძახდნენ, მიუხედავად იმისა, ჰქონდათ თუ არა ამის საბუთი. კონკრეტული მაგალითი: გენერალ გერმანე ღლონტს მოღალატეობა დასწამეს. ღალატი დასწამეს კაცს, რომელსაც ბოლშევიკ-კომუნისტებმა წამებით ამოხადეს სული, მაგრამ ვერცერთი შეთქმულის გვარი ვერ წამოაცდევინეს. ასეთი მაგალითი ერთი და ორი არ ეოფილა. უსაბუთო ცილისწამებანი, რაც შიშისა და დაბნეულობის შედეგი იყო, ქართულ საზოგადოებას შლიდნენ და ანგრევდნენ.

მაშინაც, როგორც დღეს, არ იცოდნენ, ვის რა საქმეს ავალებდნენ. სოლომონ ზაღდასტანიშვილის მოწმობით, დამოუკიდებლობის კომიტეტმა გურიამი აჯანყების მოსამზადებლად გაგზავნა კაცი, რომელიც საერთოდ წინააღმდეგი იყო აჯანყებისა.

მაშინაც, როგორც დღეს, დაპირება და მოტეუება დიდად არ აწუხებდათ და არ ადარდებდათ. აჯანყების წინ ქაქუცა ჩოლოყაშვილი დაარწმუნეს, ექვსასი კაცით მოვალთ და გვერდით დაგიდგებითო. ექვსასის მაგიერ ასორმოცი კაცი მოვიდა. დანარჩენი შინ დარჩენილა. საოჯახო საქმე გვაქვს მოსაგვარებელიო.

მაშინაც, როგორც დღეს, განკარგულების შესრულება და ვადის დაცვა აუცილებელ ზირობად არ მიაჩნდათ. დათქმულ 29 აგვისტოს ნაცვლად ჭიათურაში აჯანყება 28 აგვისტოს დაიწყო. ამ საქციელმა ბოლშევიკ-კომუნისტების წისქვილზე დასხსა წყალი და აჯანყებულები დასამარცხებლად საბოლოოდ გასწირა.

მაშინაც, როგორც დღეს, ბევრი ავლენდა წინდაუსედაობას და ბედოვლათობას. აჯანყების სამეთაუროდ ევროპიდან გამოკვანთილ „მრავალნაცვად ბელადებს“ ბენია ჩხიკვიძიელს, ნოე ხომერიკს, ვალიკო ჯუღელს და სხვებს 25 წლის ბიჭი, მაშინ საქართველოს საგანგებო კომისიის (ԿԿ) უფროსის მოადგილე, ლავრენტი ბერია ბატის ჭკუებივით იჭერდა და ციხეში ურიდა.

ვალიკო ჯუღელი ციხეში მიხვდა, რომ აჯანყება განწირული იყო. მეთაურთა უმრავლესობა საპრობილეში იჯდა. იმათი ასავალ-დასავალიც ზედმიწევნით ზუსტად იცოდა საგანგებო კომისიამ, ვინც ჯერ კიდევ არ იყო დაპატიმრებული. რისლა იმედი უნდა ჰქონოდათ აჯანყებულებს? მაშინ ვ.ჯუღელმა გადაწყვიტა ეხსნა ხალხი უმოწყალო ხოცვა-ჟლეტისაგან. მან წერილით მიმართა საქართველოს საგანგებო კომისიის მაშინდელ უფროსს ეკვანტალიანს. დავრწმუნდი, რომ აჯანყება გარდაუვალი დამარცხების წინ დგას, – წერდა ვ.ჯუღელი. – მეთაურები, თითქმის ეველანი, დაპატიმრებულია. საგანგებო კომისიის აგენტებმა ეველაფერი იციან. ისინი შეკვანთილია აჯანყებულთა რაზმებში. ასეთ ვითარებაში ამბოხება გადაიქცევა დაუნდობელ ხოცვა-ჟლეტად. ეს განსაცდელი ხალხს უნდა ავაცვილოთ. ამიტომ, გთხოვთ, გამათავისუფლოთ სამი დღით. მე შევძლებ აჯანყებულთა დარწმუნებას და ამბოხება აღარ მოხდება. თუ თქვენ გემინათ იმისა, რომ მე ვისარგებლებ შემთხვევით და გავიქცევი, მაშინ დამალევიანთ შხაში, რომელიც მხოლოდ სამ დღეს მაცოცხლებს. სამი დღე მეყოფა აჯანყებულთა სანახავად და დასარწმუნებლად.

მეღია იმის თქმა, დაუჯერებდნენ თუ არა აჯანყებულები საგანგებო კომისიის ჯურღმულებიდან „განთავისუფლებულ“ კაცს. ალბათ, უფრო არა, მაგრამ ვალიკო ჯუღელი ბოლშევიკ-კომუნისტებმა არც ციხიდან გაუშვეს და არც საწამლავი მისცეს. მისი წერილები კი, დაწერილი 12 აგვისტოსა და 24 აგვისტოს, გასეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა მხოლოდ 29 აგვისტოს, როცა აჯანყება უკვე დაწყებული იყო და წერილების დაბეჭდვას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

ბოლშევიკ-კომუნისტებმა ეს განკებ გააკეთეს. მათ უნდოდათ არა აჯანყების თავიდან აცილება, არამედ მისი პროვოცირება. ამბოხებით ბოლშევიკ-კომუნისტებს საბაბი ეძლეოდათ ქართველი ხალხი სისხლში ჩაეხრჩოთ. დაცინვით ამბობდა კიდევ სერგო ორჯონიკიძე – „აჯანყების“ გამიწვევით იმულებული გაგვხადეს ოდნავ გაკვეწმინდა ჩვენი თოფები“ („მენშევიკების ავანტიურა საქართველოში“, თბილისი 1924 წ., გვ. 15).

გაუგონარი სისასტიკით გაუსწორდნენ ბოლშევიკ-კომუნისტები არა მარტო აჯანყებულებს, არამედ მთელ ქართველ ხალხს. განურჩევლად სოციალ-

ნენ ბავშვსა თუ მოხუცს, ქალსა თუ ვაჟს, მუშასა თუ გლეხს, არისტოკრატსა თუ ბურჟუაზიას, ცალ-ცალკე თუ ჯგუფ-ჯგუფად. ამოწვევტილია უამრავი ოჯახი, სადაც არცერთი სული არ გადარჩენილა ცოცხალი.

„უკეთესია რამდენიმე ათეული მენშევიკის, ნაციონალ-დემოკრატის მსხვერპლი, ვიდრე მუშისა და გლეხის ერთი წვეთი სისხლი“, – თვალთმაქცობდა მუშების წინაშე ს.ორჯონიკიძე („მენშევიკების ავანტიურა საქართველოში“, ვვ. ნ). იგი ურცხვად ტყუოდა: არც მუშების დანდობა უოფილა და არც გლეხების, რადგან ისინიც აქტიურად მონაწილეობდნენ ამბოხებაში.

ამ ამბების მერე, ცოტა ხანი რომ გაივლის, 20-იან წლების ქართული ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, პროზაიკოსი მიხეილ ჯავახიშვილი დაწერს – „საზარელ არს ყივილი განგების ეთიკისა! დიდი არს ძალა ბედი-მღვერისა!“ სერგო ორჯონიკიძესაც დაეწია ბედი-მღვვარი. 1924 წლის აჯანყებიდან 13 წელიც არ იყო გასული, რომ იგი სისხლში მოცურავე იპოვეს საკუთარ ბინაში. დღესაც არავინ იცის ზუსტად – თავი მოიკლა თუ მიკვსავნილმა მკვლელმა გააგორა.

1924 წლის აგვისტოს აჯანყება არ უოფილა ქართველი არისტოკრატისა და ბურჟუაზიის აჯანყება ქართველი გლეხებისა და მუშების წინააღმდეგ, როგორც ვერწმუნებდნენ კომუნისტი ისტორიკოსები.

1924 წლის აგვისტოს აჯანყება იყო, ერთიანი ქართველი ხალხის, მისი გაუტეხელი სულის აჯანყება რუსეთის კომუნისტური იმპერიისა და მათი ქართველი დამქაშების წინააღმდეგ.

1925 წლის 31 ივლისს, კომუნისტურ სასამართლოში, აჯანყების ერთ-ერთმა მეთაურმა, 37 წლის ვეჟილმა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრმა იასონ ჯავახიშვილმა ასე დაამთავრა თავისი სიტყვა:

„ჩვენ ვიბრძოდით დამოუკიდებლობისათვის. აჯანყება წავაგეთ და ისინი, ვინც ამ აჯანყებას ვმესვეურობდით, წავალთ გოლგოთაზე“.

და წავიდნენ კიდევ.

დამარცხებული არ ეთქმის იმას, ვისაც გული არ გასტეხია, ვინც სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილა, რადგან დღეს დამარცხებული ხვალ შეიძლება გამარჯვებული გახდეს. მთავარია და არსებითი სულიერი მხნეობისა და სიმტკიცის შენარჩუნება. ამ მხრივ ჩვენთვის 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას გაკვეთილის მნიშვნელობა აქვს ორივე თვალსაზრისით – როგორც პოლიტიკური მიაძიტობის, ისე სულიერი მხნეობის თვალსაზრისით. ჩვენ უნდა გაუთავისუფლდეთ პოლიტიკური მიაძიტობისაგან და შევინარჩუნოთ სულიერი მხნეობა, სიმტკიცე და ვაჟკაცობა.

თუ დღევანდელი დამარცხების შემდეგაც მოვასწერხებთ ჩვენი ხალხის დადებითი თვისებების შენარჩუნებას, მაშინ უეჭველად და უთუოდ ავაშენებთ დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოს.

1994 წ., სექტემბერი

ღამეღევეჯული ქართული

ერის ცხოვრება, მისი დიდება,
მის ისტორია დაცულ არს ენით...
კრიგოლ ორბელიანი

რეჟისორი ვასტანგ ტაბლიაშვილი „დიდოსტატის მარჯვენის“ გადასაღებად ემზადებოდა. კონსტანტინე გამსახურდია ხშირად სტუმრობდა კინოსტუდიაში. ღელავდა. მისი რომანის ეკრანიზაცია ჰირველად ხდებოდა. უველაფერი აინტერესებდა, რაც მომავალ ფილმს ენებოდა. რაკი კონსტანტინე გამსახურდიას თვალი შეაჩვიეს, კინოსტუდიის თანამშრომელი ერთი მხატვარი მოვიდა ჩემთან და დანხარება მთხოვა: „დიდოსტატის მარჯვენის“ ილუსტრაციები მაქვს გაკეთებული. მინდა მწერალს ვაჩვენო. მიშუამდგომლე, იქნებ კონსტანტინემ მიმიღოს, ჩემი ნახატები ნახოს და თავისი აზრი გამიზიაროსო.

ეს ძნელი საქმე არ იყო. შუამდგომლობა აღვუთქვი. მალე კონსტანტინე გამსახურდიამ მხატვარს ჰაქმანი დაუნიშნა. მხატვარიც ეწვია შინ მწერალს. კოლხური კოშკიდან მობრუნებული მხატვარი სასცენარო განუოფილებაში ჩემთან რომ შემოვიდა, კაცის ფერი არ ედო. გაოცებული მივაჩერდი. სული რომ მოითქვა, ამოღერდა – სახლიდან გამომაგდოო. გავიფიქრე: ვთქვათ, ილუსტრაციები არ მოეწონა, დაიწუნებდა და ამით დამთავრდებოდა უველაფერი. სახლიდან რატომ გამოაგდებდა? ცნობისმოყვარეობით შეპრობილმა ვკითხე – ისეთი რა ჰქენი, რომ სახლიდან გამოგაგდო?

მიპასუხა: არაფერი. სურათებს ცალ-ცალკე ვაწვდიდი, ვეუბნებოდი, რომელი ილუსტრაცია რომანის რომელ ეპიზოდს გამოხატავდა. ის სურათი რომ ვაჩვენე, სადაც შორენას ირმის გაქცევა მქონდა დახატული, ვუთხარი – ეს შორენას პროხა-ირმის გაქცევაა-მეთქი. ეს რომ გაიგონა, უცბად იყვირა – რაო რა თქვი, პროხა-ირემიო?! აქედან გაეთრიე, შენი ფეხი არ ვნახო ჩემ სახლშიო. სურათები სახეში მომაყარა. სულ კინწისკვრით გამომაგდო გარეთ.

ქართველი მწერლის უურს უფრო გულსატკენი რა უნდა მოესმინა? ქართველი მხატვარი, რომელიც „დიდოსტატის მარჯვენას“ ასურათებს, ფურ-

ირმის მაგიერ ამბობს ძროხა-ირემს. შეუძლებელია ამ კაცს ეს რომანი ქართულად წაეკითხა და „ძროხა-ირემი“ ეთქვა. აშკარაა, რომანის რუსული თარგმანი ჰქონდა წაკითხული და ისიც მაშინ, როცა მისი ეკრანიზაცია გადაწედა.

აღბათ კ.გამსახურდია მთლად სასოწარკვეთილებაში ჩაყარდებოდა, რომ მოესმინა 1994 წლის 31 აგვისტოს ქართველმა ტელეჟურნალისტმა როგორ ვვაუწეა – ზოოპარკში ვილაც ბოროტმოქმედმა მამალი ირმები დახოცაო.

ესეც ასე: ქართველი მხატვარი ფურირმის მაგიერ „ძროხა-ირემს“ ამბობს, ქართველი ტელეჟურნალისტი – ხარირმის ნაცვლად „მამალ ირემს“.

ეს კიდევ არაფერი. თქვენ ქართველი გლეხის გაოცება უნდა წარმოიდგინოთ, როცა წაიკითხავს – „ე ვიტამინი ეხმარება ხარებს ძროხების უკეთ განაყოფიერებაში“ („დვრიტა“, 1994 წ., 2 თებერვალი). დღემდე გლეხმა იცოდა, რომ ხარი დაკოდელი ცხოველია და მას განაყოფიერების უნარი წართმეული აქვს. ფურებს ანაყოფიერებენ ბულები. ქართველი ჟურნალისტი, როგორც ჩანს, ხარსა და ბუღას ერთმანეთისაგან ვერ არჩევს. აბა, ბიჭი ხარ და შეაბი ბუღა უღელში! ხარს იმიტომ აბამენ ადვილად უღელში, რომ მოკლებულია სწორედ სექსუალურ ენერჯიას.

საერთოდ, ქაოსი დაეუფლა არა მარტო საქართველოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ ცხოვრებას, არამედ ქართველის ცნობიერებასაც. სხვაგვარად როგორ შეიძლება ქართველმა ჟურნალისტმა ჯავახეთის ნაცვლად საჯავახო დაწეროს? „...საქართველოს შეიძლება ეარაბახის (უნდა იყოს ეარაბალი. ეარაბახი შეცდომაა – ა.ბ.) მსგავსი პრობლემა შეექმნას საჯავახოში“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1994 წ., 9 მარტი). ჯავახეთი მთელი პროვინციაა საქართველოსი, საჯავახო კი სოფელია გური-იმერეთის მიჯნაზე.

ანდა, შეიძლება ქართველს მდინარე თერგის სახელი დაავიწედეს? „თერგი ჰობის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან“. გრიგოლ ორბელიანის ეს სტრიქონი ხომ ქართველის ცნობიერებაში ყოველთვის ცოცხალია?! სამწუხაროდ, არ ყოფილა ასე, რაკი შესაძლებელია ქართულ გაზეთში დაიბეჭდოს: „მდინარე თერგის ხიდზე მდებარე საპატროლო პოსტზე მოხდა თავდასხმა“ („რეზონანსი“, 1994 წ., 17-18 დეკემბერი). ეს „თერგი“ რუსული Терек-ია და ქართული თერგი. K-ს ნაცვლად ქ-ანი იმიტომ გაჩნდა, რომ ახლა დიდ მოღაბია უცხო სიტუებში K-ს მაგიერ ქ-ანის წერა და წარმოთქმა. ამით უცხო ენების „ღრმა ცოდნას“ ამჟღავნებენ. ეს იმის მსგავსია, რუსული T-ს მაგიერ ქართველი რუსეთუბები წ-არს რომ წარმოთქვამდნენ. Тетя-ს მაგიერ „წიოწიას“ ამბობდნენ და Татьяна-ს ნაცვლად „წაწიანას“.

საუბედუროდ, ჩვენ ვველანი, ნებით თუ უნებლიეთ, წერისას და მეტყველებისას ვუშვებთ შეცდომებს. ამას თავისი საფუძველი აქვს. ქართული ენა ვველა ეპოქაში განიცდიდა დიდი ენების გავლენას – ბერძნულის, არაბულის, სპარსულის. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული დღემდე რუსული ენის წიხის ქვეშ ცხოვრობს. ამ ვითარების გამო ქართველის ცნობიერებაში ადრე

შეუძინევლად იპარებოდა და მკვიდრდებოდა ბერძნულ-სპარსულის კალკები, ახლა კი – რუსულისა.

დღეს დიდი თუ პატარა, სწავლული თუ უმეცარი, ქრნალისტიკა თუ ქუნა, რადიო-ტელევიზია თუ პარლამენტი წამდაუწუმ გაიძახის „მიზერული“. არა-და, ეველა რუსულ-ქართულ ლექსიკონში განმარტებულია: **Мизерный** – 1. ბე-ჩავი, უბადრუკი, საცოდავი; 2. მცირე, კნინი.

ქართული მეტყველებიდან გავდევნეთ ორი მშვენიერი ზმნა – ითავა, იკისრა – და დავამკვიდრეთ უოვლად გონჯი „თავის-თავზე აიღო“ (**взять, брать на себя**). იმის მაგიერ, რომ ვთქვათ, ჰასუსისმგებლობა იკისრა, ითავა, გავიძა-ხით – ჰასუსისმგებლობა თავისთავზე აიღო.

არც რუსული **налицо**-ს კალკს ეშველა რამე. შედეგი „სახეზეა“ – გვეუბ-ნებიან და სჯერათ, რომ უხადო ქართულით გვესაუბრებიან. იმას უკვე ვეღარ ვხვდებით, რომ ქართულად, „სახეზეა“ სრული უაზრობაა. შედეგი თვალწინ გვაქვს, რომ თქვა, გაკვირვებული შემოგხედავენ, იმდენად „მძობლიური“ განდა ქართველისათვის რუსული „სახეზეა“.

ქართველ პოლიციელს, პროკურორს, მოსამართლეს ვერ დაარწმუნებ, რომ – რუსული **изъятие оружия** არ შეიძლება ქართულად „იარაღის ამოღე-ბად“ ითარგმნოს. მათთვის ეს დამკვიდრებული ტერმინია. უურადლებას არ აქცევენ იმას, რომ „იარაღის ამოღება“ ქართულად სხვა რამეს ნიშნავს. ოდეს-ღაც, როცა ქართველმა ქართული იცოდა, „იარაღის ამოღება“ ნიშნავდა საბ-როლველად მოძსადებას.

ვთქვათ, ქართველი იტუოდა – რევოლვერი ამოიღოო – ე.ი. ვიღაცას დაე-მუქრა, სასროლად მოემზადა. **Изъятие оружия**, კი ქართულად იარაღის ჩა-მორთმევაა.

ასევეა „ცეცხლის გახსნაც“ (**открытие огня**). რასაც რუსი **открытие огня**-ს უწოდებს, იმას ქართულად „სროლის ატეხა“ ჰქვია. ასეც უნდა ვამბობდეთ.

ხშირად ერთს ვამბობთ და მეორეს ვკულისხმობთ. პრესით, რადიო-ტელევიზიით, ოფიციალური განცხადებებით გვანუკებენ – კრიმინოგენური ვითარება გაუმჯობესდა, ანდა კრიმინოგენური ვითარება გაჯანსაღდა. ამით უნდათ ვვითხნან, რომ კრიმინოგენურ ვითარებას თანდათანობით ვძლევთ, თან-დათანობით ვამარცხებთ. გვეუბნებიან კი სულ სხვას, სწორედ იმის საწინააღმ-დეგოს, რაც სურდათ ვთქვათ. მაგალითად, ვამბობთ – ავადმყოფი გაჯანსაღდა, ანდა ავადმყოფის მდგომარეობა გაუმჯობესდა. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ სნეუ-ლი მორჩენის გზას დაადგა. დასძლია სენი. მაშასადამე, თქმა – კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესება ან გაჯანსაღება – ნიშნავს არა დამნაშავეობის დაძ-ლევა-დამარცხებას, არამედ, ჰირიქით, მის გაძლიერებას, მის გაღონიერებას. გამოდის, რომ ეველაფერი თავდაუირო გვაქვს დაუენებული.

არც ასე წერა და ლაპარაკი შეიძლება: „ვალენისის მეკარემ ბრწეინვალე ნახტომში მოიგერია ბურთი“ („დრონი“, 1994 წ., 21 მაისი). განა ამ სტრიქო-

ნის დამწერი იტყვის – ძალიან ჯოხში მოიგერიათ? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ „ნახტომში მოიგერია“ რუსულის კალკია (отбить мяч в прыжке) და ისიც დაუფიქრებლად იმეორებს.

მაგალითების მოხმობა მეტად აღარ არის საჭირო. მსგავს ნიმუშებს რამდენიც გნებავთ, იმდენს ნახავთ ჩვენს ჰრესაში, რადიო-ტელევიზიაში, წიგნებში, ზეპირ მეტყველებაში. კარგად მესმის, რომ ამ სიმანხინჯეთა განდევნა ქართული ენიდან უკვე შეუძლებელია, იმდენად მუარად დამკვიდრდნენ ისინი ჩვენს ცნობიერებაში. ამ წერილს იმის იმედით ვწერ, რომ იქნებ ახალი შეცდომები არ დავუშვათ, ახალი სიგონჯენი არ დავამკვიდროთ. შეიძლება რუსული жезл გახსოვდეს და ქართული კვერთხი არა? 1994 წლის 28 დეკემბრის „მაცნეში“ ტელეჟურნალისტმა ვკითხრა – ჰოლიციას ექსლი ეჭირა და მოძრაობას არეგულირებდაო. ანდა ეს „არეგულირებდა“ სჯობს ქართულ „აწესრიგებდას“? საერთოდ, უცნაური რამ ხდება: უკვე დიდი ხნის წინათ დადგენილ და დაზუსტებულ ცნებებს და ტერმინებს სცვლიან რუსულით, თან ძალიან ხშირად იმ ფორმით, რაც რუსულიც არ არის. ქუჩაშია გაგონილი. მაგალითად, არ შეიძლება ვწერთ და ვთქვათ „აფიორა“ („დრონი, 1994წ., №1. „კავკასიონი“, 1994 წ. №3). არადა, ასე ამბობენ ჰარლამენტში, ტელერადიოში, ასე ბეჭდავენ გაზეთები. აფერა იტალიური სიტყვაა და უნდა ითქვას ისევე, როგორც წერია – აფერა. რუსული ენის ეველა ორთოგრაფიული ლექსიკონი საგანგებოდ მიუთითებს არ თქვათ афёра, თქვითო афера, რადგან მასველი სწორედ ე-ს მოუდის. „აფიორა“ არც იტალიურია, არც რუსული და არც ქართული. „აფიორა“ ქუჩის მეტყველებაა. ასევე უსწოროდ ვამბობთ „რეკეტორი“. უნდა ითქვას „რეკეტერი“ (Reketeer). ასე წარმოთქვამენ მას ინგლისურად მეტყველნი. სწორედ მეტყველი რუსებიც ასე ამბობენ. „რეკეტორი“ ქუჩის მეტყველებაა ისევე, როგორც „აფიორა“. არც მაროდირის ვამბობთ სწორად. მაროდირი ივია, ვინც ბრძოლის ველზე დახოცილებს მარცვავს. მართალია, მმარცველია ისიც, ვინც ბინებს, დაწესებულებს, ხაზინას ქურდავს და იპარავს, მაგრამ მათ მაროდირი არ ეთქმის. ეს სიტყვა აღნიშნავს მმარცველობის გარკვეულ სახეობას. სწორი მეტყველება იმას ნიშნავს, რომ სიტყვები ზუსტად შინაარსისა და დანიშნულების მიხედვით უნდა იხმარებოდეს. სხვაგვარად არა მარტო ენას დაჰამანხინჯებთ, არამედ აზრსაც გაუგებარს გაუხდით. არ იქნა და არ დაადგა საშველი, ერთმანეთისაგან ვერ განვასხვავებთ ორი ცნება – ენერჯიაშემცველი და ენერგომატარებელი. ლექსიკონებში ზუსტად არის განმარტებული – რას ნიშნავს ერთი და რას ნიშნავს მეორე. სამწუხაროდ, მეტყველებისას (ხშირად დაწერილობაც) ეს ცნებები ერთმანეთშია არეული. იქ, სადაც ენერჯიაშემცველი უნდა ვთქვათ, ვამბობთ ენერგომატარებელს. განსაკუთრებით ამ ცნებებს ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებენ ხელისუფლების წარმომადგენლები. არადა, ზოგიერთი მათგანი ტექნიკური დარგის სპეციალისტია და ეს არ უნდა ეშლებოდეს. არც ვანდალიზმს ადგას კარგი დღე ქართულ მეტყველებაში. აქამდე ვან-

დალიზში ეწოდებოდა ბოროტმოქმედების სრულიად კონკრეტულ სახეობას – ხელოვნების ძეგლების განადგურებას. ვანდალიზმი იყო, მაგალითად, ეოფილი „იმელის“ შენობის ფასადზე იაკობ ნიკოლაძის ბარელიეფების განადგურება. თუ პროპაგანდისტული კუთხით არ მოგვწონდა ეს ბარელიეფები, ისინი უნდა მოგვეხსნა და მუზეუმში შევკვენახა, როგორც ხელოვნების ნიმუში და ისტორიული დოკუმენტი, მაგრამ ეს სხვა საკითხია და ისევ ენას მივუბრუნდეთ.

აქტს, რომელზეც „თბილისი“ (1994წ., 24 იანვარი) ლაპარაკობს, შეიძლება უწოდოთ მსეცური, ველური, რაც გნებავთ, მაგრამ „ვანდალურს“ ვერ დავარქმევთ. „საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი ახლახან ვაკეში რა უღმერთოდ ჩახოცეს ამ ორგანიზაციის შექმნის უშუალო ინიციატორები, მაგრამ ამ ამჟამად ვანდალურ აქტს წინ უსწრებდა რამდენიმე მხედრიონელის გატაცება და წამება“.

როგორც ითქვა, ვანდალიზმი სრულიად კონკრეტული ცნებაა და მისი შეუფერებლად გამოყენება ჩვენი განათლების სასარგებლოდ არ ლაპარაკობს. იმის მაგიერ, რომ ახალი ცნებები და ტერმინები დავადგინოთ, რაკი დრომ მოიტანა ეს, იმასაც კი აღარ ვხმარობთ სწორად და მართებულად, რაც დიდხანია დადგენილია და დაწესებული.

სხვაგვარად უუარებენ ენის მოვლა-პატრონობის საქმეს ჩვენი ძეგობელი სომხები. ისინი იმ ცნებებსა და ტერმინებსაც კი უძებნიან სომხურ ვარიანტებს, რომელნიც მთელ მსოფლიოშია გავრცელებული და თითქმის ყველა ენა იყენებს. მაგალითად, სომხურად უნივერსიტეტს „ჰამალსარან“-ს უწოდებენ, ტელეფონს-„ჰერახოს“-ს, ტელეპატიას – „ჰერაზგაიუოიუნ“-ს, სინთეზს – „ჰამდრუთიუნ“-ს, კრიზისს – „ჰგნაჰამ“-ს, კრიტიკას – „ჰინდატუთიუნ“-ს, რეკლამას – „ჰელაშრჰუმ“-ს და ა.შ. მართალია, სომხური ენის თვისებაა ეს, იოლად შექმნას ახალი ტერმინები და ცნებები, მაგრამ მონდომებაც მეტი აქვთ და დედაენის პატივისცემაც. ჩვენ კი იმის მეტი ვერაფერი მოვახერხეთ, რომ პოდპოლკოვნიკს დავარქვით ვიცე-პოლკოვნიკი. სასაცილო ვითარებაში აღმოვჩნდით: თუ რუსული ტერმინი არ გვინდა, მაშინ სრულიად ახალი სიტყვა უნდა გამოგვეგონა. თორემ თუ რუსულ პოლკოვნიკს ვხმარობთ, პოდპოლკოვნიკმა რა დააშავა? „პოდ“ ვითომ ისეთი საშინელებაა, რომ უთუოდ უნდა შეგვეცვალა და უოვლად სასაცილო ვიცე-პოლკოვნიკი დაგვეკანონებინა?

თუ მართლა გვინდა ქართული ენის პატივისცემა, მაშინ უნდა შეიცვალოს არა მარტო „პოდ“, არამედ სერჟანტიც, ლეიტენანტიც, მაიორიც, პოლკოვნიკიც და გენერალიც. ხომ გამოიძებნა რუსული старшина-ს მოხდენილი ქართული შესატყვისი ზემდევი. ასე გამოიძებნება სხვებიც, თუ მოვისურვებთ. ჩვენ ამ მხრივ ფართო შესაძლებლობა გვაქვს.

ძველი გამოცდილებაც არ უნდა დაგვავიწყდეს: დემოკრატიული საქართველოს არსებობის დროს და 20-იან წლებში, ჩინებული ტერმინოლოგიით გამოიდრდა ქართული ენა (ვგულისხმობ სპორტულ ტერმინებსა და სხვადასხვა

სამეცნიერო დარგების ცნებებს). მაგრამ მაშინ ეს საქმე ხელისუფლების ზრუნვის საგანი იყო. დღეს? დღეს კი ჩვენი დედაენა უპატრონოდ არის მიტოვებული. ეს ძალიან სასიყატოა. ახლო მომავალში ქართულს, რუსულთან ერთად დიდი ევროპული ენებიც – ვერმანული, ესპანური, ინგლისური, ფრანგული – შეუტევს. შეუტია კიდევ. სადაც რუსული წარწერები მოვხსენით, იქ ინგლისური წამოვასკუპეთ. ჰო, გასაგებია, არის დაწესებულებები, რომელსაც მრავალენოვანი წარწერა უნდა ჰქონდეს, მაგალითად, აფთიაქი, სასწრაფო დახმარება და აშხაინი. მაგრამ რად უნდა ჰოლიციის უოველ ავტომანქანას ინგლისური წარწერები? ანდა ჰოლიციელის ქურთუკს ზურგზე ინგლისური ჰოლიციე? რა, საქართველოში ინგლისურენოვანი ტურისტები ბუხებივით გვახვევიან თავს თუ ინგლისელები ცხოვრობენ ჩვენს მეზობლად? წინათ ტელეფონ-ავტომატი, როცა ვკეუბნებოდა თქვენი ტელეფონი დაზიანებულიაო, ამას რუსულადაც იმეორებდა, ახლა ინგლისურად გვაფრთხილებს. ვისთვის არის ეს? დუქან-კიოსკებს, სადაც თითო-ოროლა კოლოფი სიგარეტი, თითო ქილა ფანტა ან ლუდია გასაყიდად გამოტანილი, დიდის ამბით აწერია shop. ეველაფერი ეს ჩვენი კოლონიური აზროვნების შედეგია. კოლონიური აზროვნება ძალიან გამძლეა. მისი დამლევა იოლად არ ხერხდება. თუ რუსი არ გვეუბლება ბატონად, ვილაც სხვა ზომ უნდა იეოს?! ბატონის ამორჩევაზე თუ მიდგა საქმე, მაშინ აშშ-ს რა ან ვინ სჯობს – დიდია, მდიდარია, ძლიერია და „ჩავერთეთ“ ცივილიზაციის ფერხულში. ავავეთ საქართველო, არის თუ არა საჭირო, ინგლისური წარწერებითა და სახელწოდებებით. მონა მონაა, სულერთია რომელი ქვეყნის მონა ხარ – რუსეთისა თუ აშშ-ისა.

ვისაც ვაგება უნდა, ვაიგებს, რასაც ვამბობ. თორემ ძალიან კარგად ვიცი, რომ, რაკი კომუნისტური საზღოობილე დაინგრა და თავისუფალი მისვლა-მოსვლის, თავისუფალი ურთიერთობისა და სწავლა-განათლების, თავისუფალი ვაჭრობის საშუალება გაჩნდა, ქართველს აუცილებლად დასჭირდება სხვადასხვა ენის (განსაკუთრებით ევროპულის) ნორმალური ცოდნა. ეს ეველასათვის აუცილებელი გახდება, სულერთია გლეხი იქნება იგი, მუშა თუ ინტელიგენტი. უცხოელი რძლებიც მრავლად გვეუბლება და უცხოელი სიძეებიც. გამოცდილებით ვიცი, რომ ისინი ქართულს ნაკლებად ისწავლიან (ასეთი თითო-ოროლა თუ აღმოჩნდება, მისი მადლობელიც უნდა ვიეოთ). ისევ ჩვენ მოგვიწევს მათ ენაზე მეტეველება. ამ ვითარებაში ქართულს მტკიცე პატრონი სჭირდება. ეს პატრონი სკოლაც უნდა იეოს, უმაღლესი სასწავლებელიც, მწერლობაც, მეცნიერებაც, ხელისუფლებაც და მთელი ქართველი საზოგადოებაც. ქუჩა რომ ქუჩაა, ისიც ჩინებული ქართულით უნდა მეტეველებდეს. მართალია, ქუჩას თავის მეტეველებას ვერავინ გადააჩვევს, მაგრამ იგი ქართული ენის საფუძველზე უნდა ეალიბდებოდეს და არა რუსულის ან რომელიმე სხვა ენის გაველით. მოსკოვის ქუჩებიც თავისი ენით მეტეველებს, ლონდონისაც და

პარიზისაც, მაგრამ ეს რუსულია, ინგლისურია, ფრანგულია და არა უცხო ენიდან ათვისებული დომხალი, როგორც თბილისში ხდება ეს.

ამ რამდენიმე წლის წინათ ერთი ანკედოტური შემთხვევა მოხდა. თბილისში ერთი ახალგაზრდა ქართველი ემიგრანტი ქალი ჩამოვიდა. პაწია გოგო და ბიჭიც ჩამოიყვანა. ეს ქალი პარიზში იყო დაბადებული და გაზრდილი, მაგრამ ქართულად ჩინებულად მეტყველებდა. მარტო დედა კი არა, ბავშვებიც გამართულად ლაპარაკობდნენ ქართულად.

ბუნებრივია, ემიგრანტის ბავშვები მთელი დღე ეზოში, თბილისელ თანატოლებთან თამაშობდნენ. ერთხელ, ეზოდან დაბრუნებული პატარები დედას მისცვივდნენ და „სპიჩკა“ მოგვეცითო, თხოვეს. დედამ გაუსწორა: „სპიჩკა“ კი არა, ქართულად ასანთი უნდა თქვათო. ბავშვები სიცილით დაიხოცნენ და დედას ნიშნის მოგებით უთხრეს – როგორ, ეზოში ყველა „სპიჩკას“ ამბობს და შენ უკეთესი ქართული იცი, ვიდრე თბილისელებმაო?

რასაც პაწია გაფრანკებული ქართველები ვერ მიხვდნენ, იმას ჩვენ ხომ უნდა მივხვდეთ და ჩაწვდეთ. ხომ უნდა დავინახოთ, როგორ ირღვევა და იშლება ქართული ენის ბუნება, რაც დიდი დაენინებით ემუქრება ჩვენს დედაენას.

კულდასაწვევტია ამის თქმა, მაგრამ სიმართლეა: ისეთი უდიერი დამოკიდებულება ქართული ენისადმი, როგორიც დღეს არის, არც მე-19 საუკუნეში უოფილა და არც კომუნისტური რეჟიმის დროს. ცუდად მუშაობდა თუ კარგად, კომუნისტური რეჟიმის დროს არსებობდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია. რეგულარულად ისტამბებოდა და გამოდიოდა კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“. ახლა აღარც კომისია არსებობს და აღარც კრებული იბეჭდება. მართალია, ცალკეული მეცნიერები აქვეყნებენ წერილებს დამცრობილი და დაბეჩავებული ქართული ენის დასაცავად, მაგრამ რა, შეუარე კედელს ცერცვი, უურს არავინ იბერტეავს. გრძელდება ქართული ენის უსაშველო დამახინჯება.

აუცილებელია, გადაუდებელია როგორც თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის აღდგენა, ისე კრებულის – „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ – გამოცემის განახლება. ეს კრებული წელიწადში ორჯერ მანაც უნდა გამოდიოდეს. მასში აღინუსხება ყველა შეცდომა, რასაც დაუშვებს პრესა, რადიო-ტელევიზია, სახელმწიფო დაწესებულებები, პარლამენტი. აღინიშნება და მიეთითება წერისა და მეტყველების მართებული ფორმები.

თუ ქართული ენის დასაცავად არ დაწესდა მკაცრი სახელმწიფო მეთვალყურეობა, ჩვენი დედაენა, უახლოეს ხანებში, ისე დანაგვიანდება, რომ მერე ჰერკულესიც ვერ გაწმენდს მას.

მამულუქური ცნობიერება

ჯერ ჰატარა განმარტება: კარგა ხნის წინათ, კინორეჟისორმა დავით რონდელმა კონდრატე თათარაშვილის—უიარაღოს მოთხრობის „მამულუკის“ მიხედვით გადაიღო ფილმი. მაშინ არაბული ენის მცოდნეებმა დავით რონდელს ურჩიეს ფილმისათვის დაერქმია „მამლუქი“ და არა „მამულუკი“. „მამლუქი“ ამ არაბული სიტყვის უფრო სწორი გამოთქმაა, ვიდრე „მამულუკი“. ასეც უწოდეს ფილმს — „მამლუქი“. იქამადაც და ახლაც არ ვიზიარებ ამ დამოკიდებულებას. „მამულუკი“ ქართულ მეტყველებაში კონდრატე თათარაშვილის მოთხრობის გამოქვეყნების შემდეგ დაბეჭდილ და პოპულარული გახდა. ჩემი აზრით, ქართულ მეტყველებაში „მამულუკი“ იმ ფორმითა და სახით უნდა დარჩეს, რა ფორმითა და სახით შემოვიდა. ამიტომ დავარქვი ჩემს სტატიას „მამულუკური ცნობიერება“ და არა „მამლუქური“...

ახლა უფრო არსებითზე გადავიდეთ. რას ვგულისხმობ ცნებაში „მამულუკური ცნობიერება“?

1798 წელს რევოლუციური საფრანგეთის ლაშქარი, ნაპოლეონის სარდლობით, ეგვიპტეში შევიდა. საომარი მოქმედების დაწყების წინ მომავალმა იმპერატორმა პროკლამაციით მიმართა ეგვიპტელებს: „...დიდზე დიდი ხანია, რაც კავკასიაში და საქართველოში ნაუიდი მონების ხროვა მსოფლიოს უმშვენიერეს კუთხეს მტარვალურად სტანჯავს“ („წუაროთმცოდნეობა“. ტ. III, გვ. 313). ჩანს, ფრანგთა მხედართმთავარს ცოტათი მანც ეშინოდა კავკასიელი და ქართველი „მონების ხროვის“, რაკი ადგილობრივ არაბ მოსახლეობას მხარდაჭერას ეხვეწებოდა. მართლაც საარაკო ვაჟკაცობა გამოიჩინეს მამულუკებმა. იმდროინდელი მსოფლიოს უპირველესმა მეომრებმა, ფრანგებმა, ვერ გატყვეს მათი წინააღმდეგობა.

სწორედ იმ დროს, როცა გაუიდული ქართველი ბიჭები სხვის ქვეყანაში მეომრულ სასწაულებს ახდენდნენ, აღმოსავლეთ საქართველოს უკანასკნელ მუფეს გიორგი მეცამეტეს პირადი დაცვისათვის 1200 ლეკი ჰუავდა დაქირავებული (პ. იოსელიანი — „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, 1978 წ., გვ. 196).

საქართველოს ისტორიაში ამ ეველასე საწყალ და საცოდავ მეფეს, მიუხედავად სიღარიბისა, იმდენი ფული მანც ჰქონდა, რომ ათასორასი კაცის დაქირავება შეეძლო და თან თითოეულისათვის თვეში ოცდაათი მანეთი მიეცა. კითხვა გაკინდება: თუკი დაქირავება შეეძლო, რაღა ლეკს ქირაობდა და არა ქართველს? და ისიც იმ დროსა და ვითარებაში, როცა „ლეკისა“ და „ლეკიანობის“ ხსენებაც კი შიშის ზარს სცემდა უოველ ქართველს. როგორ უნდა ვუპასუხოთ ამ კითხვას? ალბათ, ერთადერთი პასუხი არსებობს: გიორგი მეცამეტე ვერ ენდობოდა ქართველებს. არ შეასრულებდნენ ისინი დაკისრებულ მოვალეობას, ითაღლითებდნენ. ლეკი კი, თუნდაც ქირის ხათრით ერთგული იქნება. დალატი არ არის (ან ნაკლებ არის) მისგან მოსალოდნელი. აბა სხვაგვარად როგორ ახსნით ამ ფაქტს – მეფე ლეკს ქირაობს და ქართველს არა?

დიდად სამწუხაროა, მაგრამ ასეა: ეგვიპტეში ქართველი თავკამოღებული იბრძვის ქვეყნის დასაცავად, საქართველოში კი საკუთარი მეფის დაცვის სამსახურს გაურბის (ნუ ვიტყვით იმას, რომ მამელ უკები ჰირწმინდად გათურქებული იყვნენ. უმრავლესობას კარგად ახსოვდა – ვინ იყო და საიდან. ზოგიერთი მაღალი თანამდებობის ქართველი მამელუკი სამსახურსაც კი სთავაზობდა ქართველ მეფეებს).

როგორც უნდა გაგვიკვირდეს, ქართველთა ჯარში სამსახური, ჩანს, უოველთვის თავსატეხი პრობლემა იყო. 1101-1118 წლებში დავით აღმაშენებელმა დიდი ომები გადაიხადა. ეველა ბრძოლა მოიგო. თითქოს მეფეს სხვისი დახმარება უკვე აღარ სჭირდებოდა, მაგრამ 1118 წელს იგი მანც გადაწვევტს ეიფხალთა საქართველოში ჩამოსახლებას და როქის სპის შექმნას. გააკეთა კიდევ ასე. რატომ დასჭირდა დავითს ეიფხალთა ჩამოსახლება? ნაირ-ნაირი ვარაუდი აქვთ ისტორიკოსებს ამის გამო გამოთქმული, მაგრამ დამაჯერებელი არც ერთია. ამიტომ კიდევ ერთი ვარაუდის გამოთქმით არაფერი დამავდება: არც დავით აღმაშენებელს მიაჩნია ქართველი მუდმივი სამხედრო სამსახურისათვის ვარგისად. როგორც საწყალი და საცოდავი გიორგი მეცამეტე ვერ დაეურდნობა ქართველებს, ასევე ვერ დაეურდნობა მხოლოდ ქართველებს უოველად ძლიერი, ბრძენი ხელმწიფე და დაუმარცხებელი მხედართმთავარი დავით აღმაშენებელი.

დააკვირდით პარადოქსს:

ლეკებს ებრძვიან და თავდაცვისათვის ლეკებს ქირაობენ.

თურქ-სელჩუკებს ებრძვიან და თავდაცვისათვის თურქული მოდგმის ხალხს, ეიფხალებს, ქირაობენ.

ქართული ძალისადმი დამოკიდებულების ერთნაირობაა დამაფიქრებელი, თორემ შედეგის სხვადასხვაობა ეველასათვის კარგად არის ცნობილი: დავითმა უცხო მოიყვანა და დიდი საქართველოს სამსახურში ჩააყენა. გიორგიმ უცხო მოიყვანა და საქართველო მტერს მისცა. ქართველი რომ სამხედრო სამსახურს არიდებდა თავს, ამას გიორგი ბრწვინვალის სამართალიც მოწმობს.

„სამხედრო სამსახურს გაურბოდნენ არა მარტო ერთეულები, არამედ სპირად მთელი სოფლები და თემები“, – წერს ისიდორე დოლიძე ნარკვევში „გიორგი ბრწყინვალის სამართალი“ (1957 წ., გვ. 16). მეფე იმათთვის, ვინც ლაშქრად არ გავიდოდა, საგანგებო სასჯელს აწესებს.

„რომელიც ქუეყანა და თემი აწვივნეს ბრძანებითა ერისთავმან და კანძგუბელმან და ჟამიერად არ გამოვიდნენ, – ქუეყანამან თუ სოფელმან და ანუ ერთმან კაცმან და რაზომცალა კაცმან დააკლოს ლაშქრობა, ერთ წელიწადს არ შეენდოს და მამული დაეჭიროს სასეფოდ, და თუითონ ხარი წაეკვაროს სასეფოდ...“ (გვ. 111.).

მეტად დამაფიქრებელ ამბავს გვიყვება მეფე-პოეტი არჩილი. მარაბდის ომის დაწყების წინ ქართველი სარდლების თათბირი გამართულა. ქართველები ტახახმელას მდგარან, სპარსელები – მარაბდის ველზე. გიორგი სააკაძეს და ბაადურ ციციშვილს უთქვამთ: დაუყოვნებლივ ბრძოლის დაწყება არ ივარგებს. ვაკეში, გაშლილ მინდორში, ისიც ჰაზანაქება სიცხეში ჩვენ სპარსელებს ვერ ვაჯობებთ, დავმარცხდებით. უკეთესია დავიცადოთ, მტერი სიმაგრეში შემოვიტყუოთ, ხევ-ხუვებში სპარსელთა ლაშქარი ვერ გაიშლება და ადვილად გაუშქლავდებითო. სხვები – ბარათა ბარათაშვილი, ძმები თეიმურაზ და ქაიხოსრო მუსხანბატონები, იესე ქსნის ერისთავი, მანუჩარ ათაბაგი და მესხნი დარბაისელნი, კახელი დიდებულები ომის დაუყოვნებლივ დაწყებისა და მარაბდის მინდორზე ბრძოლის მომხრე უოფილან. და იცით რა იყო ომის დაუყოვნებელი დაწყების მომხრეთა ძირითადი არგუმენტი, გარდა ჩვეულებრივი ქართული უოფლოჩინობისა – „ორჯერ გალახულს თათრებსა საომრად ვინ შეუღონდა?“ ის, რომ ჯარი, ბარათა ბარათაშვილის სიტყვით, დაიფანტება, მოემრება წავლენ-წამოვლენ და ომს ველარ შევძლებთო.

„შეერილის საქართველოსა უოვნა არს არ სამართალი, აქა-იქ დაგვეფანტვიან“. უქვეს: „ამან თქვა მართალი“.

და მართლაც, ომი დაუყოვნებლივ იმის შიშით დაუწყოთ – ჯარი არ დაგვეფანტოსო, რადგან მებრძოლთა ერთი ნაწილი ბრძოლის ველს გასცლია.

„ამ რჩევასჯედ ბარათიანთ, წასვლის ეჭვი შეკვივიდა, არ ჭორად თქვეს ეს ამბავი, მედასტურე მოგვივიდა, თქვენ თუ: „ღვთის მადლს ამ ჯარშივა არამც ეს ხმა გაგვივიდა, ამად გვიჯობს ადრე შებმა თუ ესენი წავვივიდა“.

ადრე ამგვარ საქციელს ფეოდალურ თვითნებობას ვაბრალებდით. ახლა უკვე ცხადი ხდება, რომ ფეოდალური თვითნებობა არაფერ შუაშია. ეს საერთო ქართული თვისებაა. ამ თვითნებობისაგან გლეხიცა და მუშაც ისევე არ არის თავისუფალი, როგორც ფეოდალი.

სადღა იუვნენ ფეოდალები 1921 წლის მარტის პირველ რიცხვებში სოფელ

ოსიანურთან, ქართლში, როცა იგივე ვამეორდა, რაც მარაბდაში მოხდა 1624 წელს? მარტის იმ დღეს ქართულმა ჯარმა შემოსეული წითელი არმია დაამარცხა. მეორე დღეს უკვე გადამწვევტი, გამანადგურებელი დარტყმისათვის ემზადებოდა ქართული სარდლობა. როცა დილით გენერლები ფრონტის ხაზს ათვალეობდნენ, თავზარდამცემი სურათი წარმოუდგათ თვალწინ. მენშევიკურ-კომუნისტურ გვარდიას ფრონტი მიეტოვებინა, ფლანგები გაემიშვლებინა და ახლო-მახლო სოფლებში მიმაღულიყო (მენშევიკურ-კომუნისტური გვარდია ხომ ძირითადად მუშებისა და გლეხებისაგან შედგებოდა!) ბრძოლის ვაგრძელება აღარ შეიძლებოდა. ქართულმა ჯარმა ისევ უკან დახევა დაიწყო, ხოლო ბოლშევიკურ-კომუნისტურმა წითელმა არმიამ, უკვე გათამამებულმა, შეტევა გააგრძელა.

უცნაურია: თუ ქართული არისტოკრატია ტრადიციულად მეომრობით იკვებნიდა და თავი მოსწონდა, თავად ჩვენი ხალხი სამხედრო სამსახურის დიდი მოყვარული, როგორც ჩანს, არასოდეს ეოფილა. უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყვოდი – გუნება-განწყობილების მიხედვით ეპურობოდა სამხედრო სამსახურს. თუ გუნება-განწყობილება ჰქონდა, იომებდა და მერე როგორ – სანიმუშოდ. არ ჰქონდა, დაიხურავდა ქუდს თავზე, ბრძოლის ველს მიატოვებდა და შინ წავიდოდა, ან საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად, ან მოსალხენად. მაგრამ იგი ასე იქცეოდა მაშინ, როცა საკუთარ, ქართულ არმიაში მსახურობდა. თუ უცხო ქვეყანაში მოღვაწეობდა, იგი ერთგულების, დისციპლინის, თავდადების ნიმუში იყო. ასე, ალბათ, იმიტომ ხდებოდა, რომ საქართველოს ქართველი არ უუურებდა (დღესაც არ უუურებს) როგორც სახელმწიფოს, რომელსაც თავისი მიზანი და მისია აქვს. იგი საქართველოს ეოველთვის რომელიმე დიდი სახელმწიფოს ნაწილად თვლიდა. სახელმწიფო ბიზანტია იყო, ხოლო საქართველო მისი ნაწილი. სახელმწიფო სპარსეთი იყო, ხოლო საქართველო მისი ნაწილი. სახელმწიფო თურქეთი იყო, ხოლო საქართველო მისი ნაწილი. სახელმწიფო რუსეთი იყო, ხოლო საქართველო მისი ნაწილი. ეს ცნობიერება მკაფიო ფორმულით ჩამოაყალიბა დიმიტრი უიფიანმა: „მე რუსი ვარ ჩემი სამსახურით, ლუკმა ჰურით, რომელსაც ვსჭამ და ჩემის აზრის მიმართულებით. მე ქართველი ვარ კვარტომობით და მოძმეთა ერთ“.

საუკუნეების მანძილზე ამ ფორმულაში არაფერი იცვლებოდა, ვარდა ბატონი ერის სახელისა. რუსის მაგიერ ხან ბერძენი ეწერა, ხან არაბი, ხან სპარსელი და ხან თურქი.

რა თქმა უნდა, მე საერთო განწყობილებაზე მოგახსენებთ, თორემ ძალიან კარგად ვიცი ცალკეული ჰიროფნებანი, ვნებათ მე-19 საუკუნეში და ვნებათ უფრო ადრე, როგორ იბრძოდნენ საქართველოს ღირსებისათვის, მისი თავისუფლებისათვის.

ემსახურო სხვას და ან არ იფიქრო, ან ნაკლებ იფიქრო საკუთარ სამშობ-

ლო ხე – გახლავთ სწორედ მამულუკური ცნობიერება. ფართო მნიშვნელობით, მამულუკური ცნობიერება რომ ჰქონდეს ადამიანს, აუცილებელი არ არის იგი მოპარული ან გაუიდრული იყოს. ნაპოლეონს ეგვიპტელი მამულუკები სძულდა, მაგრამ სრულებით არ უფიქრია, რომ თავადაც მამულუკი იყო, ოღონდ ფრანგების მამულუკი და თან ნებაყოფლობითი. კორსიკელმა კაცმა, სისხლით, ფინით, ისტორიით იტალიელმა საფრანგეთის სახელმწიფო დიდებას შესწირა თავი. მამულუკურ ცნობიერებას, ატარებდნენ ახალციხის ფაშებიც, ეროვნებით ქართველები, მაგრამ გამუსლიმებული და თურქეთის თავგადადებული მსახურები. ასევე მამულუკური ცნობიერება ჰქონდათ მე-19 საუკუნეში რუსეთის არმიის ქართველ გენერლებსა და ოფიცრებს (თუ მამულუკური ცნობიერება არა, როგორ შეიძლება 1832 წლის შეთქმულების თითქმის ყველა მონაწილე რუსეთის ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარიყო?). მამულუკური ცნობიერება ჰქონდათ ქართველ ბოლშევიკ-კომუნისტებსაც... შეუძლებელია პოლიტიკის ანპარეზზე ადამიანმა უფრო დიდ გამარჯვებას მიაღწიოს, ვიდრე სტალინმა, მაგრამ ისიც მამულუკი იყო. ამას დღევანდელ რუსეთში მისადმი დამოკიდებულებაც ადასტურებს. კარგად მახსოვს, როგორ აკრძალეს დავით რონდელის ფილმის ჩვენება სსრკ-ის იმ ქალაქებში, სადაც ეგვიპტის საკონსულოები იყო: ეგვიპტის პრეზიდენტი ნასერი უარყოფითად აფასებს მამულუკების საქმიანობას და ვაითუ ეწეინოს ამ ქართული ფილმის ჩვენებაო. ნასერისაგან დაწუნებული მამულუკები კი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ ეგვიპტისათვის. ასევე არ დაემართა სტალინს?

დღეს, ჩვენ მამულუკური ცნობიერება გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ მტრის მიერ ოკუპირებულ ქართულ ტერიტორიას – აფხაზეთსა და შიდა ქართლს – მშვიდობიანი გზით დაგვიბრუნებენ. ქვეცნობიერად ჩვენ თავს ისევ რუსეთის ნაწილად ვთვლით და გვიკვირს – საქართველო თავად რუსეთის სახელწიფოს ნაწილია და რატომ წაართმევს მას რუსეთი ან აფხაზეთს, ან შიდა ქართლს? ეს დროებითი გაუგებრობაა. დღეს იქნება თუ ხვალ ლანკარზე დადებულს მოგვართმევენ აფხაზეთსაც და შიდა ქართლსაც.

ჩვენ ადვილად ვეგუებით ჩვენი ტერიტორიის დაკარგვას, როცა ის მიწა-წყალი წაგვართვებს, რომელიც ამჟამად „თურქეთის საქართველოდ“ იწოდება, ჩვენში გოდება არ ატეხილა. აბა, ნახეთ, ბიბლიაში, როგორ გოდებენ ებრაელები წინასწარმეტყველები ისრაელის უოველი დამარცხების გამო. მაშინდელ ქართულ ლიტერატურაში? არც ფერეიდანში გადასახლებულ ქართველთა მოთქმა ისმის ჩვენს ისტორიულ თუ სიტუვაკასმულ მწერლობაში. დღეს „თურქეთის საქართველო“ იმდენად გვანსნდება, რამდენადაც იქ კიდევ არის შემორჩენილი ქართული სასულიერო ხუროთმოძღვრების ნიმუშები და მათი დათვალიერება, უკეთეს შემთხვევაში, შესწავლა გვანტერესებს. მაგრამ „თურქეთის საქართველო“ რომ ჩვენი დანგრეული სახელმწიფოს ნაწილია, მისი სისხ-

ლი და ხორცი, ნაკლებად გვიბურღავს ტვინს. ერთადერთხელ ჩვენს მეცნიერებასა და მწერლობაში დიდი ფორიაქი მაშინ ატყდა, როცა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულმა სტალინმა თურქეთს დაპრობილი ქართული და სომხური ტერიტორიის გამო პრეტენზია წაუყენა. როცა იგი გარდაიცვალა, გვიბრძანეს – ხმა გაკმინდეთო – და ჩვენც გაჩუმდით. მეტი რა ჩარა იყო.

ასევე იოლად შევეგუებით ჩვენ შიდა ქართლისა და აფხაზეთის წართმევასაც. ნახეთ, დღეს განუთების კორიანტელის ეპოქაში, არც ერთი განუთი, გარდა „კავკასიონის“ (თუმცა შიდა ქართლი იმასაც ავიწყდება), არ ისტამბუბა მოწოდებით – განსოვდეთ აფხაზეთი! განსოვდეთ შიდა ქართლი! მტრის მიერ დაპრობილი ტერიტორიის გამო ჩვენში განუწყვეტელი გმინვა უნდა ისმოდეს, თორემ სიმშვიდე და მოლოდინი შეგუების საფუძველია.

მამულუკური ცნობიერების შედეგია ისიც, ქართველი მეცნიერები, ხელოვანნი, სპორტსმენები უცხოეთში რომ იხიზნებიან. შეიძლება მკითხველმა გაიოცოს: ასეთი ამბები უცხოეთშიაც ხდება. იქაც ფულისა და კეთილდღეობის გამო ერთი ქვეყნიდან მეორეში სახლდებიან ადამიანები. მართალია ეს, მაგრამ იქ, უცხოეთში, არა მარტო მიდიან, არამედ მოდიან კიდევ. მაგალითად, თუ ჰოლანდიელი სპორტსმენი (თუ ვნებავთ მეცნიერი ან ხელოვანი) გერმანიაში, იტალიაში ან სხვაგან გაიყიდება, ჰოლანდიაც ვიდულობს სხვა ქვეყნებში იმ სპორტსმენებს, ხელოვანთ თუ მეცნიერებს, რომელნიც სჭირდება. საქართველო უიდის, მაგრამ ვერავის ვიდულობს. ჩვენი ნიჭი სხვაგან მიდის, მაგრამ ჩვენში არავის ნიჭი არ მოდის. არსებითად ისევე ხდება, როგორც ძველად: საქართველოში მოპარული და გაყიდული ადამიანები უცხო ქვეყნების სამხედრო ძლიერების საფუძველს ქმნიდნენ, ჩვენ კი თავდაცვისათვის ხალხი აღარ გვეოფნიდა, აღარ გვეავდა.

ცოცხალია და განსახორციელებელი ილია ჭავჭავაძის არა მარტო პირველი დევიზი – ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუთვნოდესო, – არამედ მეორეც – „შენ რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ოსმალეთსა?“ (მკვლევარები ამბობენ, რომ ხელნაწერში „ოსმალეთის“ ნაცვლად „ჩრდილოეთსა“ ეწერა, ხოლო ლექსს „იანიჩარის“ მაგიერ „კანზოიელი“ ერქვაო. მაგრამ ამას ახლა მნიშვნელობა ნაკლებ აქვს. აზრი ისედაც ცხადია და ნათელი).

მე-20 საუკუნის დამთავრებამდე ძალიან მცირე დრო დარჩა. ამ დროში უნდა გადაწყდეს საბოლოოდ: მარადიულად დარჩება საქართველო სხვა სახელმწიფოებისათვის მამულუკების მიმწოდებელ ქვეყნად თუ, ბოლოსა და ბოლოს, იგი მართლაც იქნება თავისი ბედის გამგებელი.

საქართველოს ენა?

ახლახან სხვადასხვა დაწესებულებას დაურიგდა დოკუმენტი სახელწოდებით – „საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის რეპულება“. ვინ არის ამ რეპულების ავტორი მითითებული არ არის. მაგრამ ამ რამდენიმე ხნის წინათ, ქართული ენის სახელმწიფო პალატის შესახებ მესაუბრა ლევან ღვინჯილია. არც მის საუბარში და არც იმ დოკუმენტში, რომელიც მან გამაცნო, არ იყონახსენები არავითარი „საქართველოს ენა“. იგი ლაპარაკობდა უკიდურეს გასაჭირში ჩავარდნილი ქართული ენის მოვლა-პატრონობაზე. უცბად დოკუმენტში, რომელიც სახელმწიფო კანცელარიის სახელით ურიკდება დაწესებულებებს აზრისა და შენიშვნების გამოსათქმელად, გაჩნდა უცნაური ცნება – „საქართველოს ენა“. ჯერ იყო და ქართველმა კომუნისტებმა დაამკვიდრეს ცნებები – საქართველოს ქალი (ქართველი ქალის ნაცვლად), საქართველოს კომუნისტი (ქართველი კომუნისტის მაგიერ) და ასე შემდეგ. მერე საქართველოს ახალ კონსტიტუციაში ქართველი ხალხის ნაცვლად ჩაიწერა – საქართველოს ხალხი. ამას ახლა მიემატა საქართველოს ენაც.

შეიძლება რეპულების ავტორმა (თუ ავტორებმა) მითხრას, რომ ენის სახელმწიფო პალატა საქართველოსი და არა ენაო. მაშინ უნდა ვუპასუხო: ჯერ ერთი, იურიდიული დოკუმენტი, საერთოდ, და მით უმეტეს სახელმწიფო მნიშვნელობის, ისე არ უნდა იწერებოდეს, რომ ყოველ მოქალაქეს შეეძლოს უური ისე გამოაბას, როგორც მოესურვება. მეორეც: საქართველოს ენა რომ ორასროგანი ცნებაა, ეს რეპულების ტექსტიდანაც მკაფიოდ ჩანს.

დააკვირდით: „მუხლი 1. საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა არის სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვის მაკონტროლებელი უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე“.

რატომ არ წერია – რომელია ეს სახელმწიფო ენა? რატომ არის დაპირისპირებული სახელმწიფო ენა და ქართული სალიტერატურო ენა? განა ქართული სალიტერატურო ენა არა არის სახელმწიფო ენა? თუ სახელმწიფო ენაში

რომელიმე სხვა ენა იკულისხმება? რატომ არ არის ეს მუხლი ჩამოყალიბებული, ვთქვათ, თუნდაც ასე:

„ქართული ენის სახელმწიფო პალატა არის მაკონტროლებელი უმაღლესი ორგანო, იგი ემსახურება ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირების დაცვას და ქართული ენის სალიტერატურო ნორმების მოვლა-პატრონობას. ქართული ენის სახელმწიფო პალატა ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის წინაშე“.

არც მეორე მუხლია ნათელი.

„საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა არსებული კანონმდებლობის საფუძველზე ამუშავებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფო ენის (აფხაზეთის ტერიტორიაზე, აგრეთვე აფხაზურის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრი ეროვნული უმცირესობის კონსტიტუციური სტატუსის მქონე ენის) განვითარებას, საქართველოს ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის მშობლიური ენების შენარჩუნებას. მათი ინტერესების დაცვას“.

აქაც მცდელობაა მიველაქუცოთ ცალკეოდნად აფხაზურ ენას და ცალკეოდნად საქართველოში მოსახლე სხვა ხალხების ენებს. რა იმაში მიუღებელი, რომ ქართული სახელმწიფო იცავდეს ქართულ ენას? ასეა მთელ მსოფლიოში. ნორვეგია იცავს ნორვეგიულ ენას, ფინეთი – ფინურს, დანია – დანიურს, პოლანდია – პოლანდიურს და ასე შემდეგ. აღარაფერს ვამბობ დიდ სახელმწიფოებზე. ნორვეგიის მოქალაქე არანორვეგიელებისათვის სავალდებულოა ნორვეგიული ენის ცოდნა. დანიის მოქალაქე არადანიელებისათვის სავალდებულოა დანიურის ცოდნა და ასე შემდეგ. საქართველოშიც, თუ იგი სახელმწიფოა, დამოუკიდებელი და თავისუფალი, ქართული ენის ცოდნა სავალდებულო უნდა იყოს ყოველი არაქართველისათვის, ვინც საქართველოს მოქალაქეა. სულ ერთია ეს მოქალაქე რუსია, აზერბაიჯანელია, სომეხი, აფხაზი, ოსი თუ რომელიმე სხვა ერის შვილი. თუ რუსეთის მოქალაქე ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, უზბეკი, ტაჯიკი, გერმანელი, ინგლისელი, ფრანგი და ასე შემდეგ სწავლობს რუსულს და იცის ისევე კარგად, როგორც მშობლიური ენა, საქართველოში რატომ უნდა ხდებოდეს სხვაგვარად? სხვათა შორის, როცა საქართველო სამეფო იყო, როცა მეფე ჰყავდა და სამეფო კარი ჰქონდა, სწორედ ასე გახლდათ. ყოველმა არაქართველმა, ვინც საქართველოს სამეფოს მოქალაქე იყო, ჩინებულად იცოდა ქართული. უფრო მეტიც: კავკასიაში მე-19 საუკუნის ბოლომდე ქართული ენა ასრულებდა ლინგვა – ფრანკას ფუნქციას. ამის დამდასტურებელი საბუთი ერთხელ უკვე მოვიტანე და ახლა აღარ გავიმეორებ.

არაფინ არის იმის მომხრე, რომ საქართველოში ვინმე ან რაიმე დაინაგროს, მაგრამ არც ის ვარგა, ცენტრადის მონაზონს რომ დავემსგავსოთ. მოგეს-

სენებათ, ჩვენში ამბობენ – ეველას სატირალს ცენტერამის მონაზონი ტიროდაო... ნუ ვიტყვებთ სხვის სატირალს. მით უფრო, რომ ცენტერამის მონაზონმა იცოდა – ვინ ეტირა და როგორ. როცა მას ალიხანოვ-აჟარსკის დამსჯელი რაზმის იმ ჯარისკაცის დატირება დაავალეს, რომელიც აჯანყებულ გლეხებთან ბრძოლის დროს მოკლეს, ცენტერამის მონაზონმა მოთქმით გააბათურძე – ძმაო რუსო, ივან რუსო, ვით გიტყვო, რომ არ მსურსო.

ნუ მოვიკლავთ თავს რუსულის, სომხურის, აზერბაიჯანულის და სხვა ენების პატრონობით. უავს მათ პატრონი და ჩინებულადაც უვლიან თავიანთ ენებს. არც აფხაზურს სჭირდება ქართველების ქომაგობა. მათ შესაძური ერთიანობით და სიმტკიცით დაიცვეს ის მიზანი, რაც ჰქონდათ დასახული. აფხაზები კი არ არიან გაძევებული ღვიძლი ქართული მიწა-წყელიდან, არამედ ქართველობაა აურილი და უსახლკაროდ დატოვებული. ჩვენ ვართ დამარცხებული, განდევნილი და დამცირებული. სასაცილოდ ხომ არ ვინდით თავს, როცა გამარჯვებულ აფხაზებს პანდურამოკრული ქართველობა ჰპირდება აფხაზური ენის მოვლა-პატრონობას?

ამდენად უმჯობესი იქნებოდა მეორე მუხლი ასე ჩამოყალიბებულიყო:

„ქართული ენის სახელმწიფო პალატა მოქმედი კანონების საფუძველზე ამუშავებს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

ქართული ენის სახელმწიფო პალატის მოვალეობაა:

1. დაიცვას ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსი

ა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (მტრის მიერ ოკუპირებული მიწა-წყელის ჩათვლით – აფხაზეთი, ცხინვალის ოლქი);

ბ) ეველა სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყების (ორგანოს), დაწესებულების, ორგანიზაციის, იურიდიული პირის საქმიანობაში;

გ) საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული, მაგრამ საქართველოს იურისდიქციაში მყოფი უწყებების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, იურიდიული პირის საქმიანობაში;

2. დაიცვას ქართული ენა, როგორც ქართული მოსახლეობის მშობლიური ენა, საინგილოში (აზერბაიჯანი), ფერეიდანში (ირანი), ტაო-კლარჯეთში (თურქეთი);

3. თვალყური ადევნოს, რომ არ იქნეს შებღალული ქართული ენის სალიტერატურო ნორმები. ეოველწლიურად გამოცეცს კრებული, სადაც იქნება აღნუსხული პარლამენტში, პრესაში, რადიო-ტელევიზიაში, სახელმწიფო დოკუმენტებში, ქართული ენის სალიტერატურო ნორმების დარღვევების შემთხვევები და მითითებული იქნება სწორი ფორმები;

4. დაწესოს ჯარიმები იმ სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყების (ორგანოების), დაწესებულებების, ორგანიზაციების, იურიდიულ პირთა მი-

მართ, რომელნიც სისტემატურად უდიერად ეპურობიან ქართული ენის სალიტერატურო ნორმებს და არღვევენ მათ.

5. უურადლებითა და ჰასუსისმკებლობით მოეპურას საქართველოს ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის ენებს, მათი შენარჩუნებისა და დაცვის საქმეს“.

რაკი საქართველოში კომპაქტურად მოსახლე არაქართველები ისევე და იმავე უფლებებით არიან საქართველოს მოქალაქეები, როგორც ქართველები, ისინი ვალდებულად უნდა რაცხდნენ თავს მშობლიურ ენასავით კარგად ფლობდნენ ქართულს. მაშინ შეეძლებათ მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქართველოს სახელმწიფოს ცხოვრებაში. არაქართული მოსახლეობის მიერ ქართული ენის შესწავლის საქმის რეალურად განხორციელებაში ძირითადი როლი განათლების სამინისტროს გვერდით, ქართული ენის სახელმწიფო ჰალატამ უნდა შეასრულოს. გარკვეული დროის მანძილზე ეს მისი ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა უნდა იყოს.

1996 წ., მაისი



შერი-ლარიქანი

სახელით – ვარდისფერი – მას მარტო იტალიელი ბერი დონ ქრისტოფორო დე კასტელი იხსენიებს. ქართული მატრიანეები და დოკუმენტები ნესტან-დარეჯანს ან უბრალოდ დარეჯანს უწოდებენ. ეტყობა, ვარდისფერი საშინაო, სააღმოსავლეთო სახელი იყო. დედოფალს ოფიციალური საბუთები ვერ უბედავენ ვარდისფერობით ხსენებას.

დარეჯან-ვარდისფერი შვილი იყო ქართლის მეფის ლუარსაბ მეორე წამებულიის დის ხორეშანისა (დოკუმენტებში წერია – ხვარაშან) და კახეთის მეფის თეიმურაზ პირველისა.

1612 წელს შეურთავს ხორეშანი თეიმურაზს. ეს ქალი კახეთის მეფის მეორე ცოლი იყო. პირველი ცოლი ანა გურიელი უოფილა. მემატრიანე ფარსადან გორგიჯანიძე დიდად აქებს გურიის მთავრის ასულს.

„ნამეტნავად მღრთის მოშიშარი უოფილა, მლოცავი, სამართლიანი და გლახაკთა და ქვრივ-ობოლთ მიცემით შემწუნარებელი და მერჯულეთა და თავად-აზნაურთა პატივისმცემელი. ტანად კარგი და მშვენიერი, სახით ტურფა და ლაბაზი, ზნესაქციელი კარგი. საქმით სათუთი და წმიდა, საღდართა და მონასტერთ ამშენებელი და მრავლის შემწირავი. ბერთა და მოძღვართა და მღვდელთა მიმცემი, მრავალთ მომთმენი, არ გაჯაფრებული, ეველას ძმა-შვილურად მიმპურობელი, დედათ დედურად გამწეო, დედამთილს მორჩილი და ნამეტნავად მოშიშარი და ქმრის მოუვარული უოფილა.“

არც მეფე არჩილი იძურებს საქებად სიტყვებს ანა გურიელის მიმართ:

„ეს სოფელი ველარ შეიქს სხვას მისებრივ სულიერსა...“

„...პირად-ბოლი, ბაგე-მოწი, თვალეზია გიშრის სოტბა.

ხმა – ბულბული, საფირონი მაქრისაგან უფრო მოტკბა.

მე არ მითქვამს ნათალი, ბრმენთა უხამს იქ შემოკრბა.“

პირველი ქორწინება სულ სამ წელიწადს გაგრძელდებოდა. 1607 წელს, როცა მათი ჯვარისწერა მოხდა, თეიმურაზი 16 წლის იყო. ზოგიერთის სი-

ტუვით, უძაწვილ მეფე-დედოფალს სამი თვე გაუტარებიათ ნადიმსა და ლხინში. ზოგიერთისა კი – ორმოცი დღე: „მუნ ორმოც დღემდის ზედა-ზედა სმა, ლხინი, არ მოსვენება, ბურთობა, უბახის სროლა, ვის რა ახპარეხს ენება“ (არჩილი), მაგრამ ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩენილა. 1610 წელს ანა გურიელი ვარდაიცვალა. მან ორი შვილი დაუტოვა ობლად თეიმურაზს – ლევანი და ალექსანდრე. დედის სიკვდილის შემდგომ ათი წელიც არ იქნება გასული, რომ ამ ბიჭებს საშინელი უბედურება დაატყდებოდა თავს. ირანის ხელმწიფის შაჰ-აბას ჰირველის განკარგულებით მათ დაასაჭურისებენ. უძცროსი ალექსანდრე ტანჯვა-გვემას ვერ გაუძლებს და ჯაღათებს ხელში შემოაკვდებათ. უფროსი, ლევანი, კი შეიშლება. როგორც ჩანს, გონარეულ ლევანს დიდ ხანს უცოცხლია. კათალიკოსი ანტონ ჰირველი ბრძანებს: დედაჩემს ახსოვდამო მოხუცი ლევანი.

თავდაპირველად ქართული ეკლესია წინააღმდეგი უოფილათეიმურაზისა და ხორეშანის ქორწინებისა. ამის საფუძველი ის გახლდათ, რომ ისინი სისხლით ნათესავეები იყვნენ.

ქართლის მეფის სიმონ ჰირველის თანამეცხედრე ნესტან-დარეჯან (ამ ეპოქაში ქართულ სამეფო ოჯახებში ხშირია სახელი ნესტან-დარეჯან) კახეთის მეფის ლევანის ქალი იყო. ნესტან-დარეჯან ხორეშანის დიდება იყო, ხოლო მისი შმა, კახეთის მეფე ალექსანდრე – თეიმურაზის შაჰა. ასე რომ, თეიმურაზი და დარეჯანი და-ძმის შვილიშვილები იყვნენ. ქართული საერო და საეკლესიო სამართალი ასე ახლო ჩათესავეების ჯვარისწერას კრძალავდა. მაგრამ ქართულმა ეკლესიამ დათმო და მათი ქორწინება მანც მოხდა. რატომ დათმო? ნაირ-ნაირ ვერსიებს გვიყვებიან.

ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით: ამ ქორწინებით საქრისტიანო (ესე იგი ქართლი და კახეთი) გაერთიანდებო და რჯულის კაცებმა ნება დართეს.

ვასუშტი ბატონიშვილი კი ამბობს: ეს ქორწინება შაჰ-აბასის ბრძანებით მოხდაო. შაჰი თეიმურაზს საიდუმლოდ ეტუოდა: „შეირთვე და ლუარსაბ მეფისა და იქმენ ქუისლ ჩემდა და მოევარე მისი, რათა არღარა იყოს თქვენ შორის შური“.

ლუარსაბ წამებულის მეორე დაი ლელა, ანუ ელენე (მუსლიმოებაში ფათ-მან სულთან-ბეგუმი) მართლაც ესვა ცოლად შაჰ-აბასს ჰირველს. შეიძლება იფიქრეს: ქვისლობამ დროებით მანც ჩამოაგდოსო მშვიდობა ირანის ხელმწიფესა და კახეთის მეფეს შორის. თუძცა, თუ ვასუშტის ვერწმუნებით, შაჰი სხვა რასმეს ურჩევს თეიმურაზს. როცა სიძე-ცოლისშმა გახდებით, მენ და ლუარსაბ აღარ წაეკიდებითო ერთმანეთს.

ზოლიტიკაში ეველას თავისი დიღბანდი აქვს. ეველა თავის სასარკებლოდ ცდილობს წუთისოფლის დოლაბის დატრიალებას.

სულ სხვაა ის, რასაც იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი გვატუობინებს: ხორეშანი უტურფესი ქალი უოფილა. ძალიან მოსწონდა თურ-

მე იგი შაჰ-აბასს. მისი ცოლად შერთვა ეწადა. თეიმურაზს უკრძალავდა ხორე-შანზე ქორწინებას. თეიმურაზი არ შეეპუა შაჰს და ხორეშანი მაინც შეირთო. სწორედ ამის გამო გადაეკიდაო შაჰ-აბასი თეიმურაზ ჰირველს სამეკედრო-სასიცოცხლოდ.

არქანჯელო ლამბერტი არ უნდა ცდებოდეს. მის ვერსიას კვერს უკრავს კასტელიც: „...თეიმურაზის მეუღლე, ვველაზე ულამაზესი არსება, რომლის სიმშვენიერე განდა სამეფოს დაქვევის მიზეზი, ისე, რომ შეიძლება ჰირდაჰირითქვას, იგი იყო ახალი ელენე ქვეყანაზე“. ერთგვარად ქართველი მწერლებიც ადასტურებენ ლამბერტისა და კასტელის ნათქვამს.

არჩილ მეფე:

„ჩემი არის თეიმურაზ ძველთაგანვე სისხლის მსმელი,
ჰაჰა მისმა ქალი მამცა, რად წამართვა, რად მეო მელი?“

ბესარიონ კათალიკოსი: შაჰ-აბასმა არ იკმარაო, რომ ლუარსაბის ერთი დაი ცოლად ჰყავდა და „შემდგომად მცირედისა მეორისაცა დისა მისისა ხელყო მოთხოვნად, რომელსა ეწოდა ხუარანშა, იგიცა ცოლად, რომელი-ესე სასმენელადცა უცხო იყო ქრისტიანთა შორის... ხოლო ამან სანატრელმან (ლუარსაბმა – ა.ბ.) ესევეთარი უჯერო ესე საქმე სმენადცა არა თავს-იდვა, არამედ მეესეულად ემზახა კახთა მეფესა თეიმურაზს და მიათხოვა იგი ცოლად“.

ერთსა და იმავე ცნობას გვაწვდიან კათალიკოსი ანტონ ჰირველი და იოანე ბატონიშვილი:

შაჰ-აბასს უკითხავს ერთხელ გიორგი სააკაძისათვის – თუ გურჯისტანში ვინმე კაცს ცოლს წაართმევს, თქვენი რჯული როგორ დასჯისო მას. გიორგი სააკაძეს უპასუხებია – ასეთი კაცი უნდა მოიკლას, მისი მამული უნდა მოოხრდეს, საცხოვრებელი აკლებული და იავარუოფილი უნდა იქნესო. ჰასუსით კმაყოფილ შაჰს უთქვამს – სამართლიანად სჯი, თეიმურაზ მეფემ წამკვარაო ჩემი დანიშნული ლუარსაბ მეფის დაი...

ამკარაა, შაჰ-აბასს ჰირველს თვალი ეჭირა ხორეშანზე. ეიმედებოდა, რომ ამ ქალითაც დაამშვენიებდა მის ჰარემს. რა არის აქ მოულოდნელი და გასაკვირი? თუკი ირანის ხელმწიფის ურმობრილ ემას, გამუსლიმებულ ქართველს, იმამ-ეულიხან უნდილაძეს ორმოცდაათი ცოლი ჰყავდა, თან ვველა ქართველი, თავად შაჰს რა ძალა დაუშლიდა ორი დაი შეერთო? ვინ დაძრახავდა, ვინ გაამტეუნებდა?

შაჰ-აბასს ჰირველს უკვე ჰყავდა ოთხი ქართველი ქალი ცოლად:

თამარ ამილახვარი, დაი ანდუეაფარ ამილახვრისა,

ფახრიმ-ჯან-ბეგუმი, დაი მეფე სიმონისა,

ელენე, დაი თეიმურაზ ჰირველისა და – ლელა, დაი ლუარსაბ მეორისა.

ამათ მეხუთე ხორეშანიც რომ დამატებოდა, რა შეიცვლებოდა? მაგრამ ხორეშანი გადარჩა. მას არ გაუხიარებია ის მწარე ხვედრი, რაც მის დას ერგო.

სორეშანი სომ უოფილა და უოფილა მომაჯადოებელი მშვენიერების ქალი, გარეგნობით არც თეიმურაზი ჩამორჩებოდა თურმე.

რუსი ელჩები მოხიბლულან თეიმურაზის სორციელი სილაშაზით. დიდი, ცისფერი თვალები ჰქონია. წაბლისფერი თმა და წვერ-ულვაში უმშვენებდა სახეს. მაღალი უოფილა, თხელი და გამხდარი. თუმცა ქონი როგორ მოეკიდებოდა. მთელი ცხოვრება ცხენზე იყო ამხედრებული და ხმაღს იქნევდა, ან ომობდა, ან ნადირობდა. როცა იბულებით შინ იჯდა უმოქმედოდ, ლექსებს წერდა. თან ღმერთს ჰატეებას ევედრებოდა.

„ღმერთო, ნუ მიწეენ ამ ცუდსა ლაუბსა, მიღმოდებასა,
ვეღარ გაუძელ შვიდ ზაფხულ მოწეენით ცუდად გდებასა“.

ისე კი, ჰოეტი რომ იყო, ძალიან მოსწონდა. რუსთველს ეჯიბრებოდა. სწუინდა, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს რომ ამღვედნენ უპირატესობას. არც მაღაჟდა ამას.

„ლექსი ჩემი სჯობს კვარად და ტკბილად სასმენლად უურისა,
მანც რუსთველსა აქებენ, მე იმან გამაგულისა“.

მარტო თვითონ არ იყო თავის ჰოეზიაზე მაღალი აზრის. სხვებიც უდასტურებდნენ.

„ქართველთ ენითა მელექსე ვერ ედარების ამ ორსა.
რუსთველსა, ენა რიტორსა, მეფეს – ალვისა ნამორსა“ (არჩილი).

ულაშაზესი მშობლების შვილი თავადაც მომხიბვლელი ქალი უოფილა ფერი-დარეჯან. ორჯერ ჰუავს იგი დახატული დონ ქრისტოფორო დე კასტელს – ერთხელ მარტო, მეორედ შიმუნვარებით გარემოცული. ორივე სურათიდან გიცქერით პირმშვენიერი დედოფალი, რომელმაც იცის თავისი ქალური ხიბლის ჯადო.

მეფე და ჰოეტი მამაც ვერ მაღაჟს ღვიძლი შვილის გარეგნობით მოგვრილ აღტაცებას.

„სიმენლე შავთა წამწამთა, სისხო, სიხშირე თმისანი,
ვთქვი: მისი შუქი მზეს მატობს წითლითა ათათ მისანი...“

...

მელნისა ტბისა მორეუსა უშვერის მიჯრა წამისი...

ვარდისა ბაღსა ელვა კრთის, ზედან ციალი წარბისი...

...

თეთრსა ბროლისა ფიქალსა ინდოთა რაზმი უშენდა;

მელნის ტბისაგან ლახვარსა მჭვრეტელთა ისრად უშენდა“.

პირველად ფერი-დარეჯან ზურაბ არაგვის-ერისთავს მიათხოვეს. ეს ქორწინება პოლიტიკური გარიგების შედეგი იყო.

დედას, დედოფალ სორემანს არ უნდოდა, რომ შვილი ზურაბ არაგვის-ერისთავის ცოლი გამხდარიყო. მას არ უყვარდა ეს თავხედი, თავნება და უოუო-ნი ერისთავი. ქართლის აოხრებასაც ზურაბ არაგვის-ერისთავს აბრალვებდა კახეთის დედოფალი. ზურაბი ღრმოდ, გულბოროტად, შურისმძებელი კაცი იყო.

როცა მამამისი ნუგზარ არაგვის-ერისთავი გარდაიცვალა, საერისთავო უფროს ძმას ბაადურს ერგო. ზურაბმა მანამ არ მოისვენა, სანამ ძმა არ ჩამოაგდო და საერისთავოს არ დაეუფლა. ამ საქმეში ზურაბს ირანის შაჰი და ქართლის მეფე სიმონი დახმარებია. ლტოლვილმა ბაადურმა თავი საჩინოს შეაფარა. აქ ახალი უბედურება დაატყდა თავს. ბაადურის ცოლს ვინმე სასვერულ ჩიჯავაძე ეტრფივალა. ქალმა და მისმა საყვარელმა პირი შეკრეს. ჩუმად მოკლეს ბაადური და იქორწინეს კიდევ. ეს რომ ზურაბმა შეიტყო, გადაირია, ძმა როგორ მომიკლესო (თითქოს სულ ცოტა ხნის წინათ, თავად მას არ წაერთმია ბაადურისათვის საერისთავო და ლტოლვილად არ ექცია იგი). სასვერულ ჩიჯავაძეს თავს დაესხა და სულ ნაკუწ-ნაკუწ დაჩეხა.

არც უმცროს ძმას გიორგის უუფრებდა ნდობის თვალთ ზურაბი. სულ ეშინოდა – არ წამართვასო საერისთავო. ამით ენატანიები და მახეზღარები სარკებლობდნენ. ძმებს შორის მტრობას თესავდნენ. საკუთარ ეჭვსა და სსვების ბოროტ ენას ზურაბმა ვერ გაუძლო, ძმა დაიჭირა. თვალეები დათხარა.

როცა ზურაბ არაგვის-ერისთავი ამქვეყნად აღარ იქნება, ხალხი იტყვის: ზურაბ ერისთავის დროსო, სისხლის წვიმების დროსაო.

ასეთი კაცი, ბუნებრივია, დედოფალ სორემანს თვალში არ მოსდოდა. მაგრამ ჰოლიტიკური ვითარება ითხოვდა კახეთის მეფისა და არაგვის-ერისთავის დამოუფრებას. ასე თუ მოხდებოდა, თეიმურაზს მეტი შანსი ჰქონდა ქართლის პატრონიც გამხდარიყო.

ზურაბ არაგვის-ერისთავის პირველი ცოლი სპარსეთში დაიღუპა. სამწუხაროდ, ქართული მატრიანე არ იხსენიებს ამ უბედურ ქალის სახელს. როცა შაჰ-აბასმა ქართლის დასარბევად ლაშქარი გამოგზავნა, მძევლად – ჰაატა სააკაძესთან ერთად, ზურაბის თანამეცხედრეც დაიტოვა. ზურაბი ჰაატას ბიძა იყო, დედის ძმა. ბიცოლა და მულისშვილი ერთად შეეწირენ, 1623 წელს, მარტყოფში სპარსელების ჯარის ამოწვევტას და ქართველთა გამარჯვებას.

„დიდმოურავიანში“, იოსებ ტფილელის პირით, გიორგი სააკაძე გოდებს:

„ქართლისათვის რა მე დავსთმე, როგორ ტურფა, სასურველი, ჩემთვის ვარდი მაისისა, აღარვინ ჰყავს მას იქ მძველი, წასვლის ღონე არსით ჰქონდა, ბევრი ჰყვანდა ჯამუმ-მცველი, იქ ჰაატა დამიკარგავს, აქ არა მეავს გამკითხველი! მან ცოლი დასთმო, ჩაიგდო სირცხვილად სრულად არათა! ვჰკადრე: „უკეთესს შეირთავ მენთვის მწვე გასახარათა.

ხმალსა და სახელს აქ ჰპოვებ, კვლავ მზე მოგვინო დარადა. —
ლუარსაბ მეფის დის შერთვა, შენტვის არს ეს საკმარათა!“

მეფე არჩილიც ამასვე ამბობს:

„ცოლს უკეთესსა გიშოვნი ბატონიშვილსა ლელასა“.

თუ იოსებ ტფილელი და არჩილი იმ ქალს, რომელიც ზურაბ არაგვის-
ერისთავს ცოლად შეჰპირდნენ, ლუარსაბ მეფის დად მიიჩნევენ, ვახუშტი
თვლის, რომ იგი ბაგრატ ქართლის მეფის და იყო. მართლაც, როგორც ლუ-
არსაბ მეორის, ისე ბაგრატ მეშვიდის დას ლელა ერქვა. აკადემიკოსი კორნელი
კეკელიძე ფიქრობს, რომ ვახუშტი ცდება და მართლს იოსებ ტფილელი, არ-
ჩილ მეფე და ბერი ეგნატაშვილი ამბობენ. კახეთის მმართველის ფეიქარ-ხანის
ცოლი ლელა ბატონიშვილი იყო, და ლუარსაბ მეორისა და არა ბაგრატ მეშ-
ვიდისა. ეს ის ლელა ბატონიშვილია, რომელიც შაჰ-აბას ჰირველის ცოლი
იყო. მაგრამ მას მერე, რაც ირანის მბრძანებლის განკარგულებით, 1622 წელს,
შირაზის ციხეში ლუარსაბ მეორე მშვილდის საბლით დაახრჩვეს, შაჰი ველარ
ენდობოდა ლელა ბატონიშვილს. ეშინოდა, ძმის მოკვლისთვის შური არ იძი-
ოს, ღამით, სარეცელში, სატვერით მუცელი არ გამოძიფატროსო. კ. კეკელიძეს
დასაშვებად მიანდა, რომ შაჰმა ლელა ბატონიშვილი კახეთის მმართველს
ფეიქარ-ხანს „აჩუქა“. ასეთი „ჩუქება“ ირანის სამეფო კარზე ჩვეულებრივი ამ-
ბავი იყო. „დასაჩუქრებული“ თავს დიდად ბედნიერად გრძნობდა. შაჰის მოწ-
ვალებით კმაყოფილებით იყო სავსე. რა თქმა უნდა, ქალს არაფერი ეკითხებოდა,
მოსწონდა თუ არა ნივთად რომ აქციეს.

ფეიქარ-ხანის თანამეცხედრე ლელა ბატონიშვილი ლუარსაბ მეორის და
იყო თუ ბაგრატ მეშვიდისა, ზუსტად უკვე ველარ დადგინდება, ისტორიულ დო-
კუმენტთა უკმარობის გამო, მაგრამ ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.
მთავარი ის არის, რომ მარტყოფში გამარჯვებული ქართველები ფეიქარ-ხანს
დადევნებით კი დაედევენ, მაგრამ ვერ დაეწინენ, ლელა ბატონიშვილი ვერ
წაართვეს. ხანი მდევრებს გაუსხლტა და ლელაც თან წაიყვანა.

მაშინ დაიბადა აზრი ზურაბ არაგვის-ერისთავისათვის თეიმურაზ ჰირვე-
ლის ასული ფერი-დარეჯან მიეთხოვებინათ, როგორც ვახუშტი ამბობს, „სათ-
ნოჩენითა მოურავისათა“.

იქორწინეს. თეიმურაზ ჰირველის პოლიტიკური ზრახვა თითქოს ას-
რულდა. მაგრამ არაგვის ერისთავი ზურაბ სრულებით არ აპირებდა ვინმესათვის
ჰირველობა დაეთმო. ვისიმე მორჩილი ეოფილიყო. თუ ადრე მხარდამხარ
იბრძოდნენ, მარტყოფში გამარჯვების შემდეგ, სიმესა და ცოლისმძას, გიორგი
სააკაძესა და ზურაბ არაგვის-ერისთავს შორის მტრობა-შუღლი თანდათან
იზრდებოდა. სულ უფრო და უფრო საბედისწერო ხასიათს იძენდა.

მარტყოფში გამარჯვებამ გიორგი სააკაძე ქართლში ჰირველი კაცი გახა-

და. „ვინცა ვინ დიდი კაცნი იუხენ ქართლისანი დიდს მოურავს ქეშიკში უწვე-
ბოდნენ და ემურად მონებდნენ მას“ (ბერი ეგნატაშვილი).

ეს არაფრად ეჭაშნიკებოდა ზურაბ არაგვის-ერისთავს. სრულებით არ
უჯდებოდა ჭკუაში. „განდიდნა ზურაბ ერისთავი და არღარა უდებდა მოურავსა
თავსა და სიმეცა იყო ბატონის თეიმურაზისა, ამისთვინცა დიდობდა“ (ბერი
ეგნატაშვილი).

მტრობის პატარა გუნდამ იგორა, იგორა და უსარმაზარ ზევაუდ იქცა. 1626
წელს, ბაზალეთში, დუშეთის ახლოს, ორად გაუოფილი საქართველო ერთმან-
ეთს დაეჯახა.

ერთ მხარეს იუხენ გიორგი სააკაძე, ქაიხოსრო მუხრანბატონი და სამუხ-
რანო. მათ შემწეობას უწევდნენ ლიხთ-იმერეთის მეფე გიორგი და ახალციხის
ფაშა, საფარ ჯაყელი.

მეორე მხრიდან იდგნენ თეიმურაზ პირველი, ზურაბ არაგვის-ერისთავი
და საამილახვრო.

ბრძოლა იყო სასტიკი და დაუნდობელი. დაუჭრელი არავინ დარჩენილა.
დაიჭრნენ თეიმურაზ პირველიც, მოურავიც, არაგვის ერისთავიც (ვასუშტი).
გამარჯვება თეიმურაზსა და მის რაზმს დარჩა. დამარცხდა გიორგი სააკაძე და
მისი გუნდი.

„ბაზალეთის ომი მოჰხდა, მეფეს მიხვდა გამარჯვება,
იმათ დიდი განხარება, ჩვენ ჭმუნვა და ბევრი ვება“
/იოსებ ტფილელი/

დიდი მოურავი და ქაიხოსრო მუხრანბატონი ჯერ ახალციხეში გაიქცნენ
და მერე ოსმალეთში გადაიხვეწნენ.

რასაც მოელოდა თეიმურაზი, ის ვერ მიიღო. ახლა ქართლის ბატონ-
პატრონი ზურაბ არაგვის-ერისთავი გახდა. სპარსელების მიერ ქართლში მეფედ
დანიშნული სიმონ მეორე ქართველებს არ უეჯარდათ ისევე, როგორც მამამისი
ბაგრატ მეშვიდე და პაპამისი დავით მეთერთმეტე. ქართლის მეფეების ეს შტო
გამუსლიმებული იყო. ისინი ირანისა თუ თურქეთის ხელისუფლების განკარ-
გულებებს მუხჯად ასრულებდნენ. არც დავით მეთერთმეტე ჰგავდა თავის ძმას
სიმონ პირველს და არც ბაგრატ მეშვიდე ბიძის შვილიშვილს ლუარსაბ მეორეს.
თუ სიმონ პირველი და ლუარსაბ მეორე ქართველობისა და ქრისტიანობის
თავშეწირული ადამიანები იუხენ, ბაგრატ მეშვიდეს და სიმონ მეორეს არც ქრის-
ტიანობის ბედი აწუხებდათ და არც ქართველობის. მათთვის მთავარი ტახტი
იყო. ოღონდ ტახტი არავის წაერთმია და სხვას არას დაგიდევდნენ. თუმცა და-
ვითმა მერე პოლიტიკას თავი მიანება. სტამბულს თავმეფარებული სპარსულ-
თურქული მედიცინის შესწავლას შეუდგა. საყოველთაოდ ცნობილი სააქიმო-
წიგნი „იადიჯარ დაუდი“ დაწერა. თუ პოლიტიკაში მხოლოდ ავი ჰქნა (ვასუშ-
ტი: დავით „იყო კაცი ხორცთმოეჯარე, მეძავ-განმცხრომელ და იქმნა გამცემელ

ქვეყნისა...“), სამაგიეროდ, ქართული მედიცინის ისტორიაში უკვდავი კვალი გააგლო.

სიმონ მეორეს ტფილისის ციხე-სიმაგრედან გამოსვლა ეშინოდა. სპარსელებით გარშემორტყმული სულ იქ იჯდა. რაკი ზურაბ არაგვის-ერისთავი დაეხმარა ქართლის ტახტის მოპოვებაში, „სიმონ მეორე მამასა ეძახდა ზურაბს და იყო მისი მორჩილი და არას იქმოდა მის კარდაუვალს“ (ბერი ეგნატაშვილი). ეს ძალიან მოსწონდა ზურაბს. დიდად კმაყოფილი იყო. მას თავისი დილბანდი ჰქონდა: „ბატონი თეიმურაზ კახეთსა ზედან უფლობედეს და სვიმონ მეფე ქართლსა ზედა და თვითონ ორთავე ზედა კადრებდეს და ვერარს მოქმედებენ თვინიერ მისსა“ (ბერი ეგნატაშვილი).

თეიმურაზი ხედავდა სიმონს ზრახვებს. მაგრამ ამჟამად ბრძოლა ზურაბის წინააღმდეგ ძნელი იყო. თეიმურაზ თავს იკატუნებდა. როგორც სიმამრი ამუნათებდა არაგვის ერისთავს: ჩემი სიძე ხარ და სიმონ მეფეს კი ერთგულობო: „შეუკვანებულ არს განწირვად სიმონსაგან სიმამრისა“...

არ ვიცით, რამ შეაცვლევინა ზურაბს აზრი – ამგვარმა საუვედურებმა, თუ ფერი-დარეჯნის ზემოქმედებამ, მაგრამ ფაქტი კი ის გახლავთ, რომ არაგვის ერისთავმა მისთვის საბედისწერო შეცდომა დაუშვა. ამილახვრის მამულში, ცხვილთის ციხეში, ზურაბი მეფის საწოლში შეიპარა, მძინარე სიმონ მეფე მოკლა და მოჭრილი თავი სიმამრს თეიმურაზ ჰირველს გაუგზავნა. თეიმურაზის ოცნება ასრულდა: ქართლიცა და კახეთიც მისი საპატრონო იყო. ღიხთ-ამერეთი განუყოფლად ეჭირა ხელში. მაგრამ ერთი ეჭვი მაინც უღრღნიდა ტვინს: იყო კი სანდო ზურაბ არაგვის-ერისთავი?

ამ კაცმა უფროს ძმას საერისთავო წაართვა. უძცროს ძმას თვალები ამოთხარა.

სიძეს, დის ქმარს, გიორგი სააკაძეს უორგულა და უძტრო.

ეურმოჭრილ ეძასავით მორჩილი სიმონ მეფე გაიმეტა და საწოლში დაკლა.

იქნება კი იგი თეიმურაზის ბოლომდე ერთგული? მერე რა, რომ სიძეა. ძმები და და არ დაინდო და სიმამრს რატომ არ გასწირავს?

თეიმურაზმა მტკიცე დასკვნა გააკეთა: მშვიდად მაშინ იქნება, როცა ზურაბ არაგვის-ერისთავს იმქვეყნად გაისტუმრებს.

საფურცლემი სუფრას უსხედან სიძე-სიმამრი. ნადიმობენ. არ ელის ზურაბ არაგვის-ერისთავი ორგულობას. არ იცის, რომ მისი ამქვეყნად ეოფნის წუთები დათვლილია. თეიმურაზის კაცები კი მზად არიან. მეფის პაწია ნიშანიც და უთვალავ ბრძოლებს გადარჩენილი ერისთავის უსარმაზარი სხეული დაკეპილი ხორცის გროვად იქცევა.

უსახელო ქრონიკიორი დაწერს: „ქკს: ტიზ: ბატონმა თეიმურაზ ზურაბ ერისთავი მოკლა“, ხოლო გაოცებული ბერი ეგნატაშვილი იტყვის – „არა

რედა სიუჟარულსა სიძისასა და არც ქურობასა ასულისა თუისისსა დარეჯანისასა“.

თუ არჩილ მეფეს დაუჟჯერებთ, თეიმურაზ ჰირველს მწარედ უნანია თავისი საქციელი.

„რადგან ეს ვიცი, რად ავჭევე ენას ავისა მბობელსა, ლბილისა გამსაღებელსა, ფოლადის დამდინობელსა, უცებთა შეუტეობარსა, ბრძენთაცა ძლივ საცნობელსა, ეელშიგან წამჭირებელსა, საბელსა დამარჩობელსა?“

რას მიშველა, ვინანი და ღმერთს ვეაჯი მოტევებას, მაგრამ ძნელად გაემღების უმის ჰატრონზედ ახვავებას, ორივ ერთად შემეუარა, ამაღ ვერ ვიქ ჯავრთა ყსებას, ავი ენა, იგ ამაუი, ასრე შემეიქს, მე დავესებას“.

თეიმურაზმა სანდო კაცები დუშეთს გაუზავნა. დაქვრივებული ასული ფერი-დარეჯან ჩამოაუვანინა. იგი ღიბთ-იმერეთის მეფის გიორგის ძეს ალექსანდრეს მიათხოვა. ჯვრისწერა სოფელ ქინძარის ჰატარა ეკლესიაში მოხდა.

არაგვის ერისთავის ქვრივი ქუთაისში ღიბთ-იმერეთის დედოფლად ჩავიდა. ფერი-დარეჯანს დედოფლობაში არასოდეს დავიწეებია, არაგვის ერისთავის ქვრივი რომ იყო. მიცემისა და მიღების, წყალობისა და შერისხვის სიგელს ხელს რომ აწერდა, „ჩვენ ღიბთ-იმერეთისა, ოცნეთისა და დუაღეთისა, სვანეთისა და ეაბარდოსა, ჯიქეთისა და აფხაზეთისა, დიდის ოდიშისა და გურიისა და სრულიად საქართველოს მპურობელ მქონებელმან დედოფალთ-დედოფალმან ნესტან-დარეჯან...“, ზოგჯერ დაამატებდა – „არაგვის ერისთავის ქვრივმან...“

რად სჭირდებოდა ღიბთიმიერი საქართველოს ჰატრონს თავისი ქვრივობის გახსენება? ძნელია ჰასუსხის ვაცემა. იქნებ მის ქალურ გულს არასოდეს დავიწეებია ვერაგულად მოკლული ქმარი?

არც ქუთაისში ჰქონია მშვიდი ცხოვრება ფერი-დარეჯანს. დასავლეთ საქართველოშიც ერთმანეთს წაკიდებული მეფე-მთავრების შუღლი არ მთავრდებოდა. ოცდაერთი წელიწადი იმეფა ალექსანდრე მესამემ (1639–1660 წ.წ.), ფერი-დარეჯანის თანამეცხედრემ, და მთელი ცხოვრება შინააშლილობებსა და შინაომებში გაატარა. განსაკუთრებით ავიწროებდა ალექსანდრე მეფეს სამეგრელოს მთავარი ლევან მეორე დადიანი. ლევან დადიანი ნიჭიერი პოლიტიკოსი, გულადი მეომარი და გამოცდილი სარდალი იყო. უჭირდა ალექსანდრე მეფეს მასთან ბრძოლა. იყო ქუთაისში ჩაკეტილი და შიშით ვარეთ ვერ ჰყოფდა ცხვირს. მეფის წინააღმდეგ ლევან დადიანს გაბოროტებით აქეზებდა ჰატარა წულუკიძე. იგი კუტი იყო და თიკუნად „წუწკს“ ემხდნენ. უბედურება ის გახლ-

დათ, რომ მარტო ხორციელად არ უოფილა ხეიბარი, სულიერადაც ხეიბარი იყო. „წუწკ“ ლევან დადიანზე რატომღაც დიდი გავლენა ჰქონდა. ცოლ-შვილიც ჰაატა წულუკიძის დასმენით დახოცა სამეგრელოს მთავარმა. ჩააცვიდა, ცოლი ორგულობსო, და იმდენი უჩინა, სანამ გამძვინვარებულმა ლევანმა თანამეცხედრეცა და შვილებიც ზარბაზანში არ ჩატენა და არ გაისროლა.

მეფე-მთავართა შორის ისედაც დაძაბულ ურთიერთობას კიდევ უფრო მეტად წამლავდა ჰაატა წულუკიძე.

ალექსანდრეს სასარგებლოდ ნაწილობრივ მაშინ შეიცვალა ვითარება, როცა მეფის ძმა მამუკა ბატონიშვილი დაუაყვაცდა. მემატანე ნიკო დადიანის სიტყვით, მამუკა უოფილა „ფრიად საქებელი, კისკასი და მარჯვედ მქცევი მხედრობასა შინა“. იგი არ ეშუებოდა ლევან დადიანს და ამარცხებდა კიდევ ზოგჯერ. მაგრამ ერთხელ ბედმა უმტუნა. ლევან დადიანის ლაშქარი თავს დაესხა ალექსანდრე მეფეს. როგორც უოველთვის მეფე ქუთაისში ჩაიკეტა. ბრძოლას არ აპირებდა. მამუკა კი პირიქით მოიქცა. ლაშქარი შეკრიბა და თავდაძსმელს შეეგება. ალექსანდრე ისე იყო შემინებული, რომ განკარგულება გასცა – მამუკასათვის არ მიეცათ მისი საომარი ცხენი. ბატონიშვილი იმ ცხენს მოახტა, რომელიც სახელდახელოდ მოუგვანეს და ბრძოლად გაემართა. უკუაქცია კიდევ ლევან დადიანის კაცები, მაგრამ მოულოდნელად ომში გამოუცდელი ცხენი წაიქცა. როცა ლევან დადიანის მოლაშქრეებმა დაცემული მამუკა ბატონიშვილი დაინახეს, უკან შემობრუნდნენ და ალექსანდრე მეფის ძმა დაატყვევეს. ლევანს მიჰკვარეს. მთავარმა დიდად გაიხარა. ეველაზე შეუპოვარი მოწინააღმდეგე დატყერილი ჰყავდა.

იმჟამად ქუთაისში სიძესთან სტუმრობდა თეიმურაზ პირველი. ლევან დადიანი თეიმურაზის მამიდაშვილი იყო. ერთმანეთი გულწრფელად უყვარდათ. ერთად იყვნენ ბავშვობაში გაზრდილნი, ალექსანდრეს ჰაპის სახლში, გრემში. მამუკას დასნის მიზნით თეიმურაზი ლევან დადიანს ესტუმრა. ლევანი ქართლ-კახეთის მეფესა და ბიძაშვილს გულლიად და ხელგაშლილი შეეგება. დიდი ნადიმი გაიმართა და მეტად მოილხინეს. თეიმურაზმა ლევანს მამუკა ბატონიშვილის განთავისუფლება სთხოვა. თავდაპირველად ლევანი არ იყო წინააღმდეგი. აპირებდა კიდევ თხოვნის შესრულებას, მაგრამ საქმეში ისევ „წუწკი“ ჩაერია. – არ ჰქნა, არ გაათავისუფლო მამუკა ბატონიშვილი, თორემ შინდაბრუნებული ისევ შეკრებს ჯარს და სისხლს გაგიშრობსო, – დაშინა ლევან დადიანი. ისევ დაუჯერა ლევანმა ჰაატა წულუკიძეს. გაწბილებული კამოისტუმრა ქუთაისში თეიმურაზ პირველი.

მამუკა ბატონიშვილს კი თვალები დასთხარა და დილეკში ჩაკეტა, სადაც ვარდაიცვალა კიდევ. ქრისტოფორო კასტელის ჰეავს დახატული თვალებდამწვარი მამუკა ბატონიშვილი, უსაინოეის ვაჟკაცი. „ესე ჰქმნა ლეონ დადიანმა საწინელი უოველთავან და უჯერო და არა შესაშვენ კონიერთა“, – გულდაწ-

ვეტილი წერს ნიკო დადიანი.

1657 წელს გარდაიცვალა ლევან დადიანი. მას შემკვიდრე არ დარჩენია, სამთავრო რომ ჩაებარებინა. როგორც ითქვა, ცოლ-შვილი თავად ამოწვეიტა. მეტი გზა არ იყო: სამეგრელოს მთავრად ლევანის ძმა ლიპარიტ დაჯდა.


ლევან დადიანი მოკვდაო, — გადარიცა სიხარულით ალექსანდრე მეფე. ახლა კი ვიერიო ჯავრს და ლიპარიტ დადიანს მიუსტა. აათხრა სადადიანო, დიდძალი ალაფი იშოვა, უამრავი ტყვე წამოასხა, ლიპარიტს სამთავრო წაართვა და სანდო კაცს მამია დადიანის ძეს ვამეყს მისცა.

ჩამოგდებული მთავარი ლიპარიტ დადიანი ახალციხეში გაიქცა. როსტომ ფაშასა და როსტომ ქართლის მეფეს ევედრა — ჯარი მომეცით, ალექსანდრე მეფეს სამაგიერო რომ გადაუხადო. მისცეს ჯარი. ლიპარიტ დადიანს ქაიხოსრო გურიელიც მიემხრო. კიდევ ორმა თავადმა ჭილაძემ და მიქელაძემ დაუჭირა მხარი ლიპარიტს. ბანძამი შეება ერთმანეთს ორი ქართული ლაშქარი — ალექსანდრე მეფისა და დადიან-გურიელისა.

ოტია მიქელაძეს სძულდა მეფე ალექსანდრე და ბრძოლის წინ შეუთვალა — „მაცნობე სვალისა კურტაკი და ცხენი შენი, არ თუ ხარ ჯაბან, და მეც ვაცადუნო შუბის წუერი ჩემი სათუალესა ზარადისა შენისასა“. ალექსანდრე მეფე რისკის კაცი არ იყო. სიფრთხილეს თავი არ სტკივავა, იფიქრა და ლევან აბაშიძეს ჩააცვა თავისი ჯაჭვ-მუხარადი, თავის ცხენზე შესვა და ბრძოლის ველზე გაისტუმრა. ლევან აბაშიძე ოტია მიქელაძის სიძე იყო. ასული მისი ესვა ცოლად. მოტყუვდა სიმაძრი. მეფის ცხენზე მჯდომი, მეფისავე საომარ ტანსაცმელში გამოწვობილი ლევან აბაშიძე მიქელაძეს ალექსანდრე მეფე ეგონა. ეძვერა შუბით მიქელაძე აბაშიძეს. კეფა გაუხვრიტა და ტვინი გადმოანთხვეინა. მეფე მოკვალაო, განარებულმა მიქელაძემ დასძახა: „მე ვარ ოტიაო“. მომაკვდავმა ლევან აბაშიძემ ძლივს ამოიღულღულა — „რას ეტყვი ასულსა შენსა, უკეთუ შენ ხარ ოტია“. თავზარდაცემული მიქელაძე მიხვდა საბედისწერო შეცდომას, მაგრამ უკვე გვიანდა იყო. გამარჯვებული მეფე ალექსანდრე უმოწყალოდ მუსრაჯდა ლიპარიტ დადიანისა და ქაიხოსრო გურიელის მეომრებს. არავის უშვებდა ცოცხალს.

დამარცხებულმა ლიპარიტ დადიანმა და ქაიხოსრო გურიელმა სტამბულში მოკურცხლეს. ლიპარიტ დადიანი სტამბულში მოკვდა, ხოლო ქაიხოსრო გურიელი ოსმალეთის ხონთქარმა ისევ დააბრუნა საქართველოში გურიის მთავრად. არ ეჭანნიკა ეს ალექსანდრე მეფეს. ოსმალეთის სულთანს ვერაფერი გაუბედა, მაგრამ ქაიხოსრო გურიელს მკვლელი ვინმე მაჭუტაძე მიუგზავნა. ჰირნათლად შესწრულა მაჭუტაძემ მეფის დავალებას: ქაიხოსრო გურიელი წუთისოფელს გამოასალმა.

იყო ასე გაუთავებელი მტრობა და შუღლი. მოედინებოდა სისხლის დეპარტაჟი. იხეროდ და ნადგურდებოდა ქვეყანა. ჩვენ არ ვიცით რამდენად აქ



ტიურად მონაწილეობდა ამ საქმეებში ფერი-დარეჯან. მატანე დუმს. მაგრამ ის, რაც ალექსანდრე მეფის სიკვდილის შემდეგ მოხდა, გვაფიქრებინებს, რომ თეიმურაზ ჰირველის ასული არ იქნებოდა გულხელდაკრეფილი მოწმე მიმდინარე მოვლენებისა.

1660 წელს მიაბარა სული უფალს ალექსანდრე მეფემ. ვინ უნდა დაესვათ მეფედ დასავლეთ საქართველოს ტახტზე? ოცდაათი წელიწადი ეწოდნენ ცოლ-ქმრობის უღელს ალექსანდრე და ფერი-დარეჯან, მაგრამ მათ შვილი არ ჰყავდათ. ჩანს, უნაყოფო ქალი იყო ფერი-დარეჯან. არც ზურაბ არაგვის-ერისთავის ხელში შესძენია მას შვილი. როცა გარდაუვალად დადგა ტახტის მემკვიდრის საკითხი, მაშინ ქუთაისში, სამეფო კარზე, გაახსენდათ, რომ ალექსანდრე მეფეს ჰყავდა შვილი ბაგრატი. იგი ოსურკეთში, გურიის მთავრის ოჯახში ცხოვრობდა.

ალექსანდრე მეფის ჰირველი ცოლი გურიის მთავრის მამია გურიელის ასული იყო. ორი წელიწადი გავრძელებულა მათი ცოლ-ქმრობა. ორი წლის მერე, ალექსანდრე მეფეს მსტოვრებმა ამბავი მოუტანეს – დედოფალი ქუთათელ ვაჭარს უვარობსო. არ ანატია მეფემ დედოფალს ვაჭარში ვაცვლა. მამია გურიელის ასული სასახლიდან გააძვეეს. უკან, გურიაში, მამის ოჯახში დააბრუნეს. შვილიც თან წაიყვანა მაშინ გაძვევებულმა დედოფალმა. სანამ ალექსანდრე ცოცხალი იყო, არავის ვახსენებია ბაგრატის არსებობა. მით უფრო, რომ ამასობაში გურიელების ოჯახში შემწარავი ამბები დატრიალდა. მამია გურიელი შვილმა სიმონ გურიელმა მოკლა და მთავრის ტახტს დაუფლა. სიმონ გურიელი, ლევან დადიანის სიმე იყო, დის მარიამის ქმარი. მამა როგორ მოკლაო, – იუკადრისა ლევან დადიანმა სიმონ გურიელის საქციელი. ლაშქარი შეკრიბა და გურიას თავს დაესხა. ლანჩხუთში შეებნენ ერთმანეთს სიმე-ცოლისძმა. სიმონ გურიელი დამარცხდა. იგი დაიჭირეს. თვალები დათხარეს. ცოლი მარიამი წაართვეს და სამეგრელოში დააბრუნეს. გურიის მთავრად კი ქაიხოსრო გურიელი დასვეს (ის ქაიხოსრო, მერე მაჭუტაძეს რომ მოაკვლევინა ალექსანდრე მეფემ). ამ ამბების მოწმე და თვითმხილველი იყო ბაგრატი.

ფერი-დარეჯანს წინააღმდეგობა არ გაუწევია, როცა ქუთაისში სამეფო კარმა მეფედ ბაგრატი ისურვა. ჰირიქით, გერი გულთბილად მიიღო. ტახტი დაულოცა. ბაგრატი სიმედაც ვახსადა. ძმისწული, დავითის ასული ქეთევანი შერთო ცოლად. ექვსი თვე სიამ-ტკბილობით ცხოვრობდნენ დედინაცვალი და გერი. გარედან ისე ჩანდა, რომ მათ ურთიერთობას არაფერი ეშუქებოდა. საქმე მერე აირ-დაირია. უბედურების გამოძწვევი მიზეზი არ ვიცით (აღბათ, ენატანიებმა და მახეზღრებმა აქაც შეასრულეს თავისი როლი). ვიცით მხოლოდ ფაქტი: ფერი-დარეჯანმა ბაგრატი ტახტიდან ჩამოაგდო, დააბრმავა და ვაძვეა. თავი მეფედ გამოაცხადა. ქმრად ვახტანგ ჭუჭუნაიშვილი დაისვა. მეფეთა ნათესავი იყოო, ეს ვახტანგი, გვატუობინებს მემატანე. ეტუობა, ბიჭად ბიჭი მომ-

ხიბლავი იყო ჭუჭუნაიშვილი ვახტანგ, რაკი უკვე ასაკიანი დედოფალი ეგ ზომ ძლიერ ეტრფიალა.

არ მოეწონა სამეფო კარს დედოფლის თვითნებობა. განსაკუთრებით ჭუჭუნაიშვილის „მეფობა“ აღიზიანებდათ მათ. სანდო კაცები გავსაფხვან ასალციხეში, ასლან-ფაშასთან. დიდი მექრთამე იყო ასლან-ფაშა ჯაყელი. გამუსლიმებულ ქართველს არც საქართველოს დარდი ჰკლავდა და არც ოსმალეთის. იმას მიემხრობოდა, ვინც მეტ ფულს ჩაუჩნდიალებდა ჯიბეში. პირამდე სავსე ქისები ჩაუტანეს ასლანს ქუთაისიდან ასალციხეში. მარტო ჯარი კი არ გამოატანა ქუთათელ სტუმრებს, თავადაც გამოჰყვა. ასლან-ფაშამ ფერი-დარეჯან და ვახტანგ ჭუჭუნაიშვილი შეიპყრო. ოლთისში გავსაფხან ტყვეებად. ქუთაისში კი ისევ უსინათლო ბავრატე გაამეფა.

არც ტყვეობაში მოისვენა ფერი-დარეჯანმა. თავად გადაწვევითა მოექრთამა ასლან-ფაშა. ათასი მარჩილი შეაძლია. სიამოვნებით აიღო ეს ფული ასლანმა. კეხი შეაბრუნა და ახლა დარეჯან დედოფალს მიემხრო. უსინათლო ბავრატე ისევ დაამხეს და ისევ ფერი-დარეჯან და ვახტანგ ჭუჭუნაიშვილი გაამეფეს.

ნებიერად მეფობდა ფერი-დარეჯან. მაგრამ დასავლელ ქართველ ფეოდალებს გულ-მუცელს უძღვრევდა ჭუჭუნაიშვილის „მეფობა“. ვველა ვველა და ეს აუტანელი იყო. მაშინ პირი შეკრეს და დედოფალს მკვლელი მიუგზავნეს.

ასლგათენებული იყო. დედოფალი დარეჯან სარკის წინ იდგა. უკვე სიბერეშეპარებულ სახეს აკვირდებოდა. ფერ-უძარილით ცდილობდა დროის ნაკვალევს წაშლას. მკვლელი ფეხაკრეფით შეიპარა დედოფლის ოთახში. ქურდულად, უკნიდან დასცა შუბი. გული და მარცხენა მუშუ გაუგლიჯა. ფერი-დარეჯან უხმოდ ჩაიკეცა და გათავდა.

ვახუშტი ამბობს – მკვლელი ხოსია ლაშხიშვილი იყო. ნიკო დადიანი კი მკვლელად სენია ჩხეიძეს ასახელებს.

გამძვინვარებულმა სასახლის კაცებმა ვახტანგ ჭუჭუნაიშვილი შეიპყრეს, ეზოში გამოათრეს და საკალანდო ღორივით დაკლეს.

1996 წ., ივნისი

მიამბობა

ქართული პოლიტიკური აზროვნება ძალიან გულუბრევილოა. ამას წინათ გაზეთ „ასავალ-დასავალში“ (1996 წელი, №4) ვახტანგ გოგუაძის მონოლოგი წავიკითხე. იგი გულდაწვეტილი ამბობს:

„ჩვენ ერთმორწმუნე ერები ვართ, რომელთა შორის განხეთქილებებისათვის მილიარდები დაიხარჯა. ვინც რუსეთი და საქართველო გადაამტერა, ის მტერია რუსეთისა და საქართველოსი“.

ამ ორ წინადადებაში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს საქართველო და რუსეთი ორი თანაბარი სამხედრო, პოლიტიკურ-ეკონომიკური ძლიერების სახელმწიფო იყოს და მსოფლიოს აინტერესებდეს მათი დაპირისპირება-გადამტერება. საქართველო რომელი ჩინეთია, ან გერმანია, ან დიდი ბრიტანეთი, რომ ვინმემ მილიარდები დახარჯოს რუსეთ-საქართველოს წაკიდებისათვის? განა რუსეთ-საქართველოს დაპირისპირებით მსოფლიო ძალთა განლაგებაში რაიმე შეიცვლება? არსებული წონასწორობა დაირღვევა? ისე ხომ არ გვემართება, როგორც ბუაჟისა და ხარის იგავ-არაკშია? მილიარდებს იქ ხარჯავენ, სადაც მსოფლიო ბალანსის შეცვლაა შესაძლებელი. სხვაგვარად ერთ ვროშსაც არაფინ გადააგდებს.

თუ საქართველოს თავისუფლება-დამოუკიდებლობა უნდა, რუსეთს უნდა დაუპირისპირდეს. საქართველოს დამპყრობელი რუსეთია და საქართველო სწორედ მისგან უნდა გათავისუფლდეს. საქართველო-რუსეთის გადამტერება ბუნებრივად გამოდინარეობს იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო თუ რომელიმე სხვა სურვილებიდან, რომელიც ჩვენს ხალხსა და ჩვენს ქვეყანას აქვს. კეთილმეზობლური ურთიერთდამოკიდებულება სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე სახელმწიფოს, ჩვენი ახლო მეზობლები იქნებიან თუ შორეული ქვეყნები, ურმოჭრილი ემა გავხდეთ. კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვს რუსეთსა და ფინეთს, მაგრამ ფინეთი არც „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ წევრია და არც მისი პრეზიდენტი დარბის წამდაუწუმ მოსკოვში. არც რუსის ჯარი დგას ფინეთში და არც რუსეთის სამხედრო ბაზები

არსებობს იქ. რუსეთის დღევანდელმა დაბდურმა ხელისუფლებამ კი არა, სტალინმაც ვერ მოახერხა ფინეთი რუსეთის მსახური გაესადა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ფინურმა პოლიტიკურმა აზრმა, ფინელმა ხალხმა იცოდა – რა სურდა: რუსეთის ბატონობისაგან გათავისუფლება ერთხელ და სამუდამოდ. ამ მიზანს ემსახურებოდა ფინეთში ეველა, განურჩევლად პოლიტიკური მიმართულებისა. სამწუხაროდ, საქართველოში ასე არ არის. ჩვენ თან გვინდა დამოუკიდებლობა – თავისუფლება და თან გვინდა რუსეთის უმობაც. ხან იმას ვამტკიცებთ, რომ უნდა გავთავისუფლდეთო რუსეთის ბატონობისაგან და ხან იმის დასაბუთებასაც ვცდილობთ – ურუსეთოდ საქართველო ვერ იარსებებსო. ერთ ქვეყანას არ შეიძლება ორი სხვადასხვა მიზანი ჰქონდეს. ქვეყანა ან თავისუფალი უნდა იყოს, ან მონა. თავისუფლება და მონობა ერთდროულად წარმოუდგენელი რამ გახლავთ. კაცობრიობის ისტორიამ არ იცის მონობისა და თავისუფლების შეხმატკობილება. ქართული პოლიტიკური აზრის უბედურება ის არის, რომ, მას ძერე, რაც საქართველოში კომუნისტური რეჟიმი დაეცა, ტაქტიკურ გზებს კი არ ცვლის, არამედ სტრატეგიულ მიზანს. სტრატეგიული მიზნის წარამარა ცვლამ ქართველი ხალხი უკიდურესად დააბნია და საქართველოს დამოუკიდებლობა-თავისუფლება ჩიხში მოამწვევდა.

საქართველოსთვის, როგორც პატარა და უმწეო ქვეყნისთვის, გადამწვევტი და არსებითი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ ორიენტაციას. ორიენტაციის პრობლემა აქტუალური იყო მაშინაც, როცა ფარტაქე და აიეტი ეკამათებოდნენ ერთმანეთს, და აქტუალურია დღესაც. მაშინაც იდგა საკითხი – რომი თუ სპარსეთი, ანუ აღმოსავლეთი თუ დასავლეთი. დღესაც დგას საკითხი – რუსეთი თუ ევროპა-ამერიკა, ანუ ისევ აღმოსავლეთი თუ დასავლეთი. ასე დგას ეს საკითხი საუკუნეების მანძილზე. თუ ჩვენ საბოლოო არჩევანი ვერ გავაკეთეთ და ხან ერთ მხარეს მივაწედით და ხან – მეორეს, მაშინ საქართველოს ბედ-იღბალი საბედისწერო ხიფათის ჰირდაპირ აღმოჩნდება. საბოლოო არჩევანის თვინი-ერ ჩვენ ჩვენს ქვეყანას ხიფათისაგან ვერ გადავარჩინთ.

ორიენტაციის განსაზღვრა მოკავშირის მოძებნას ნიშნავს: ვინ არის საქართველოს მოკავშირე თავისუფლება-დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში? ამ საქმეში რომ რუსეთი არ გამოგვადგება მოკავშირედ, ეს სადავო და საკამათო არ არის. როგორც უნდა იყოს რუსეთის ხელისუფლება, მონარქიული, კომუნისტური, დემოკრატიული, თეოკრატიული თუ რომელიმე სხვა, იგი არასოდეს დათანხმდება ნებაყოფლობით რუსეთის დიდი იმპერიული სახელმწიფოს დაშლას. რუსეთის ეველა და ეველანაირი ხელისუფლება იბრძოლებს რუსეთის დიდი იმპერიული სახელმწიფოს შესანარჩუნებლად. ეს ჩეჩნეთის ომ-მაც ცხადად დაადასტურა. რაც ვთქვი, ისეთივე მარტივი აზრია, როგორც ერთს მივუბატოთ ერთი უდრის ორს. ამდენად, არც მსჯელობის საგანია იგი, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, თურმე ამაზეც შეიძლება ვიპაქროთ.

თავისუფლება-დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაიმარჯვებს მოკავშირის დაუსმარებლად. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში დღევანდელი ამერიკის შეერთებული შტატების ომს ბრიტანეთის კოლონიალიზმის წინააღმდეგ დიდი დასმარება გაუწია საფრანგეთმა. საფრანგეთი შეელოდა აჯანყებულებს ნიუთირადაც, ფულითაც და მეომარი ძალითაც (საბუთად მარტო გენერალ ლაფაიეტის საქმიანობაც კმარა). მე-19 საუკუნეში არც იტალიას უბრძოლია დამოუკიდებლობისათვის უმოკავშირედ. ავსტრია-უნგრეთის იმპერიის წინააღმდეგ მას საფრანგეთიც უწვდიდა ხელს, დიდი ბრიტანეთიცა და რუსეთიც. ასე ხდებოდა მე-20 საუკუნეშიც. ვერავითარი ისრაელის სახელმწიფო ვერ შეიქმნებოდა სსრკ-ს რომ არ მოენდომებინა სულითა და გულით (ის სხვა პრობლემაა, მეორე ისრაელი სსრკ-ს რომ განუღება და აშშ-ს მიემხრო). მართალია, ამ მოკავშირეებს მარტო თავისუფლების იდეალი არ ამოძრავებდათ, საკუთარი ანგარიშიც ჰქონდათ, მაგრამ მთავარი და არსებითი ის იყო, რომ მათ დასმარებას კარგად იყენებდა დამოუკიდებლობა-თავისუფლებისათვის მებრძოლი ქვეყანა.

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უმთავრესი შეცდომა ისიც გახლდათ, რომ მას მოკავშირე არ უძებნია, როცა მოქმედება დაიწყო. რომელი სახელმწიფო შეიძლებოდა ამოდგომოდა საქართველოს კვერდით? ცხადი ერთი იყო. ირან-თურქეთი ამისათვის არ გამოდგებოდა. არც ერთს შესწევს ძალა და არც მეორეს (ჯერ-ჯერობით მაინც) რუსეთის უნებური რამ მოიმოქმედოს. ორივე თვალში შესციცინებს რუსეთს – არა ეწეინოს რაო. იყო კი ევროპა-ამერიკა სისხლ-ხორცეულად დაინტერესებული საქართველოს დამოუკიდებლობა-თავისუფლებით? ამის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ გაგვაჩნდა, ისე ვუვიროდით – ნატოს ჯარები მოვიდნენ და დაგვიცვანო. მიაპიტმა და გულუბრუვილო „პოლიტიკოსებმა“ არ ვიცოდით, რომ ნატოს ჯარი ასე უთავოდ არსად მიდი-მოდის. პოლიტიკაში ყოველთვის უზარმაზარი ანგარიში არსებობს. თუ ამ ანგარიშში რამე ადგილი არ გიჭირავს, ისე დასახმარებლად ეურს არავინ გააბარტუნებს. ამის ჰირდაპირი საბუთია ამერიკა-ბრიტანეთის სურვილი ჰირველი მსოფლიო ომის შემდეგ, შეექმნათ დიდი სომხეთის სახელმწიფო. მათ უნდოდათ დიდი სომხეთის სახელმწიფო გაეხდათ ბრიტანულ-ამერიკული კოლონიალიზმის საურდენად წინა აზიაში. მაგრამ, როგორც კი ეს გეგმა ჩაეშალათ, არც ამერიკის შეერთებულ შტატებს და არც დიდ ბრიტანეთს სომხეთის ბედით თავი არ შეუწუხებიათ. ისინი, ვინც დიდი სომხეთის შექმნაზე ოცნებობდნენ, სრულიად გულგრილი დარჩნენ, როცა სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო ბოლშევიკურ-კომუნისტური რუსეთის არმიამ დაიპყრო 1920 წელს.

ჩინძი სწორედ იმიტომ ვართ მომწვევებული, რომ, ერთი მხრივ, ვერ გავვირკვევია – რამდენად რეალურად აინტერესებს ევროპა-ამერიკას საქართვე-

ლოს დამოუკიდებლობა-თავისუფლება და, მეორე მხრივ, ისევ რუსეთს ვებღაუჭებით – თუ გვიშველის, ეს გვიშველისო. სანამ ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში ეს ქაოსია, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა (სოციალურიც, ეკონომიკურიც, კულტურულიც) სავალალო იქნება.

მოკავშირის ძეხვის დროს გადაშვევტი მნიშვნელობა აქვს რელიგიურ ორიენტაციას. ვანტანგი განარებულა იმით, რომ ქართველები და რუსები მართლმადიდებელი ქრისტიანი ხალხები არიან. რა თქმა უნდა, მას პიროვნულად სრული უფლება აქვს ეთაყვანოს ქრისტიანული მოძღვრების მართლმადიდებლურ მიმართულებას, მაგრამ, როგორც პოლიტიკოსი, ღრმად უნდა დაფიქრდეს – რა დიდი და მძიმე ბორკილია, პოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველოსათვის ერთმორწმუნეობის დოგმა. საუკუნეების მანძილზე ქართული სამეფო კარიც ერთმორწმუნეობის იდეით იყო შთაგონებული. ამიტომ ევედრებოდა რუსეთს მფარველობას და დაცვას. მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგა, ერთმორწმუნეობის იდეა არ გამართლდა. არც არაბებს, არც სპარსელებს, არც თურქებს ქართული ეკლესია არ გაუუქმებიათ. პირიქით, ხშირად პატრიარქის ცეცხლით ვაპრობოდნენ, საქართველოს პატრიარქები სპარსეთის შაჰისაგან ხელფასსაც იღებდნენ. მაგალითად, კათალიკოს ანტონ პირველს ათასი თუმანი ჰქონდა დანიშნული ნადირშაჰისაგან. (იხ. „საღვთისმეტყველო კრებული“, 1991 წ., №1, გვ. 53). თუ ისლამური ხელისუფლება ასე ექცეოდა ქართულ ეკლესიას, ერთმორწმუნე რუსეთმა იგი გააუქმა. ქართული ეკლესიის ავტოკეფალია უარევეს, ქართული წირვა-ლოცვა რუსულით შეცვალეს, კათალიკოსატის მაგიერ ეგზარქატი დაამკვიდრეს. ეს გააკეთეს სწორედ ერთმორწმუნეობის დოგმის მოშველიებით. – თუ შენც მართლმადიდებელი ხარ და მეც, რაღად გინდა ან ავტოკეფალია, ან ქართული წირვა-ლოცვა, ან კათალიკოსატი. ვიყოთ ერთიანი რუსული ეკლესიის კალთას შეფარებულიო, – გვითხრეს და საქმეც მოათავეს. ასე რომ, ერთმორწმუნეობის იდეის წყალობით საქართველო რუსეთის უღელქვეშ აღმოჩნდა სახელმწიფოებრივადც და ეკლესიურადც. ეს პრობლემის ერთი მხარეა. არის მეორეც. ვისთვის არის უცნობი, რომ გარკვეული დროის მანძილზე გაიგივებული იყო ეროვნება და სარწმუნეობა. თუ ქართველი მონოფიზიტურ ქრისტიანობას აღიარებდა, სომხად ითვლებოდა. ანდა, თუ ქართველი კათალიკოსი მისდევდა, ფრანგად იწოდებოდა. მუსლიმი ქართველი ხომ თათარი იყო და თათარი. ასე იყო შებრუნებითაც: თუ სომეხი, აზერბაიჯანელი ან რომელიმე სხვა ერის კაცი მართლმადიდებლურ ქრისტიანობას მიიღებდა, ის თავადაც ქართველობდა და ქართველებიც ასე თვლიდნენ. ეს პრიმიტიული შეგნება დღესაც ცოცხალია. დღესაც ბევრი ასე ფიქრობს. ამან გამოიწვია ის, რომ ქართველს (უძრავლესობას მაინც) სჯერა – მართლმადიდებელი რუსი მისი ძმა, მეგობარი და მშველელია. ხოლო რუსი დარწმუნებულია: რაკი ქართველიც მართლმადიდებელია, მაშასადამე, ისიც, რუსია. ამიტომ

უკვირთ რუსებს გულწრფელად – რატომ უნდა საქართველოს რუსეთის სახელმწიფოდან გასვლა და დამოუკიდებლობა-თავისუფლების მოპოვება.

არასოდეს დამავიწყდება ერთი შემთხვევა. როცა სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ლიტველებმა, ლატვიელებმა, ესტონელებმა მოითხოვეს რიბენტროპ-მოლოტოვის ჰაქტის ბათილად ცნობა და იმისი აღიარება, რომ სსრკ-მა ბალტიისპირეთი ძალით დაიპყრო, ეს რუს დეპუტატებს არც ვაჰკვირვებიათ და არც უცხოდ მიუღიათ. უბრალოდ, ცოტა აბუსტუნდნენ და შეეჩვიენ იმ აზრს, რომ ბალტიისპირელები არაფერს დათმობდნენ. მაგრამ მერე, როცა ქართულმა დეპუტატებმა ანალოგიური საკითხი დასვა და მოითხოვა 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს ანექსიის აღიარება რუსეთის ბოლშევიკურ-კომუნისტური ხელისუფლების მიერ, ამან რუსი დეპუტატების გულწრფელი გაკვირვება-გაოცნება გამოიწვია. ისინი მოდიოდნენ ქართველ დეპუტატებთან და ალალი გაოცებით ეკითხებოდნენ (მაგალითად, ბორის ვასილევი რეზო თაბუკაშვილს, კირილე ლაფროვი თემურ ჩხეიძეს და ა.შ.) – რა ხდება გაგვაგებინეთ, ნუთუ თქვენ, ქართველებსაც არ გინდათ ჩვენთან ყოფნა? ჩვენ ხომ ერთი ხალხი ვართ, ერთი მართლმადიდებელი ხალხი! ის გასაკებია, რომ კათოლიკურ-პროტესტანტულ ბალტიისპირეთს არ უნდა რუსეთის სახელმწიფოში ყოფნა, მაგრამ თქვენ? საქართველო ხომ მართლმადიდებელია და გაურბის მართლმადიდებელ რუსეთს?

ისინი ხაზს უსვამდნენ სწორედ იმას, რომ ორივე ხალხი მართლმადიდებელია და როგორ შეიძლება მათი დაშორება. მეორე დღეს კრემლის ყრილობათა დარბაზის ბოლო სართულის ფოიეში კედლებზე გაკრული იყო ქართველი მეფე-მთავრების უთვალავი წერილი რუსეთის მეფეებისადმი. ამ წერილებში, როგორც მოგეხსენებათ, ქართველი მეფე-მთავრები რუსეთის მეფეებსა და იმპერატორებს მფარველობასა და შველას ევედრებიან სწორედ ერთმორწმუნეობის საფუძველზე.

ასე რომ, ერთმორწმუნეობის დოგმა ურთულესი პრობლემაა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თუ ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში ერთმორწმუნეობის დოგმა არ წაიშალა, საქართველო რუსეთის ბატონობას თავს ვერ დააღწევს.

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგად საქართველოში პოლიტიკური რეჟიმი შეიცვალა. მას მერე თითქმის ექვსი წელიწადი გავიდა და აღმოჩნდა, რომ არჩევანი ვერ გავაკეთეთ. არ ვიცით, რა გვინდა.

თუ ჩვენ მართლა გვინდა დამოუკიდებლობა-თავისუფლება, მაშინ ვერაზულ-ამერიკული ორიენტაციის გზას უნდა დავადგეთ მტკიცედ და განუხრევლად. პოლიტიკურ ორიენტაციასთან ერთად რელიგიური ორიენტაციაც უნდა შეიცვალოს. თუ არ გვინდა საქართველო რელიგიურადაც დაიშალოს, ეკლესიის რეფორმაც ისევე აუცილებელია, როგორც ეველა სხვა რეფორმა. სხვაგვარად

რეალური დამოუკიდებლობა-თავისუფლების მოპოვება შეუძლებელია.

თუ ჩვენ ისევ რუსეთი მიგვაჩნია საქართველოს მძად, მეგობრად და მშველელად, მაშინ ამდენი რატომ ვიფაფხურეთ, ამდენი სისხლი რატომ დავღვარეთ, თითქმის ნახევარი საქართველო რატომ მივეცით მტერს და, საერთოდ, რა ვაკეთეთ?

ეს ტრაგიკული ვითარება ქართული პოლიტიკური აზრის გულუბრყვილობამ და უმწიფრობამ შექმნა. თუ ცალკეულ პირს პოლიტიკური უმწიფრობა და გულუბრყვილობა შეიძლება, ასე თუ ისე, ეპატოს, მთელ ერს ეს არც ეპატობა და არც შეეფერება.

1996 წ., ივლისი



მცნეპათა რლჳჳჳ

მსოფლიოში, როგორც ეოველთვის, დღესაც ნაირ-ნაირი ჰროცესი მიმდინარეობს. ერთი მათგანი ტრადიციული ზნეობრივი კატეგორიების რღვევაც განსლავთ. ირღვევა ეველა მცნება, რასაც დიდი რელიგიები ქადაგებდნენ საუკუნეების მანძილზე. ირღვევა სრულიად შეგნებულად და ცნობიერად. არა კაც ჰკლავ, დღადებს მცნება და დაუზოგავად ვეუქავთ ერთმანეთს. მარტო ომებს, რევოლუციებს, ტერორიზმს არ ვგულისხმობ, არამედ ინდივიდუალურ მკვლელობებსაც, შეკვეთით მკვლელობებსაც. მსოფლიოს ეველა ქვეუნაში მთელი ინსტიტუტები ჩამოეალიბდა ქილერების, ანუ დაქირავებული მკვლელებისა. არც ის, ვინც ქილერის ჰროფესია აირჩია, არც ის, ვინც მას ქირაობს, არ განიცდის სინდისის ქენჯნას, რომ ადამიანი უნდა მოკლას. მათთვის, მკვლელისა და დამქირავებლისათვის, არავითარი ძალა, არავითარი ღირებულება არა აქვს მცნებას – არა კაც ჰკლავ.

ეველა დროში, ეველა ეზოქაში ხდებოდა ჩუმი მკვლელობა, მიკ ზავნილი მკვლელის გამოეენება. ადამიანი ეოველთვის ადამიანი იყო და ვერ ერეოდა თავის სისუსტეს, აწამებდა შურისძიების გრძობა, უნდოდა მეტოქის გვიდან ჩამოცილება, ილტვოდა სხვისი ქონების, სხვისი ცოლის დასაუფლებლად. მაგრამ არც ის ავიწყდებოდა, რომ ეს დანაშაულია, ფიქრობდა ცოდვის გამოსეიდვაზე, ცდილობდა დაეძალა უღირსი საქციელი, საზოგადოების თვალში ზნეობრივი ადამიანის როლი ეთამაშა. სულში უტრიალებდა და აწამებდა შეგონება – არა კაც ჰკლავ. ახლა ასე აღარ არის. ახლა კაცის მოკვლა ცივი განსჯის საგანია, ფულის კეთების საშუალებაა. არ მოგწონს ვინმე, გავალიზიანა, გავაბრანა, ხელი შეგიძალა ამ ვინმემ, წადი, მოურიგდი ქილერს, გადაიხადე ფული და საქმეც მოგვარებულია. არასასურველი ჰიროვნება გავორებულია. ქილერსაც მშვიდად სძინავს შინ, ცოლ-შვილში და მის დამქირავებელსაც. რამდენადაც ძალაღია ქილერის ჰროფესიული დონე, იმდენად სანაქებო კაცია იგი. თავადაც ეამაება. უფრო ძვირადაც აფასებს თავის ხელობას. ინახავს თავს ამ გზით, აცხოვრებს ცოლ-შვილს, ეხმარება მშობლებს და სრულებით არ რცხვენია, რომ სხვისი სისხლით, სძირად, უძრავლესჯერ, სრულიად უცნობი ადამი-

ანის მოკვლით არის ნაშოვნის ეს ფული. ქილეობაც პროფესიაა ისევე, როგორც სხვა პროფესიები. რით არის ნაკლები ადვოკატის, პროკურორის, მოსამართლის პროფესიაზე? გნებავთ ექიმის, აგრონომის, ინჟინრის პროფესიაზე? რატომ უნდა ერცხვინებოდეს ქილეოს? თავადაც მშვიდად არის და საზოგადოებას შეეჩვია ქილეობის არსებობას. უფრო მეტიც, აუცილებლადაც მიანჩნია. ქილეო დღევანდელი ცხოვრების, დღევანდელი სინამდვილის ორგანული ნაწილი გახდა. არა იმრუშო, ჩავჭინინებს მცნება. მაგრამ შედეგი? პროსტიტუციაც ისევე აღარ არის სამარცხვინო, როგორც ქილეობა. როსკიპები ღიად, აშკარად, პრესის, ტელევიზიის საშუალებით პროპაგანდას უწევენ თავიანთ პროფესიას. სარფიან, შემოსავლიან ხელობად თვლიან მას. კახასს შეუძლია დღეს თავადაც მდიდრულად იცხოვროს, ოჯახიც უზრუნველყოს და სახელმწიფოსაც კაიძალი თანხა მისცეს. ერთხელ ერთი ჰოლანდიელი როსკიპის გამოსვლას ვუსმინე ტელევიზიით. იგი ამბობდა, რომ სრულებით არ უყურებს თავის საქმიანობას, როგორც სამარცხვინოს. პირიქით, დიდად კმაყოფილია, აქვს კარგი შემოსავალი, არაფერი აკლია, საზრდელიც უხვად აქვს, ჩასაცმელიც და დასახურავიც. ცხოვრობს მდიდრულად საუკეთესო ბინაში. შვილს ასწავლის აშშ-ის ერთ-ერთ მსოფლიოში ცნობილ სასწავლებელში. რაკი ფული აქვს, ეველა, ახლობელი თუ შორეული, პატივისცემითა და კრძალვით ეპრობა. არასოდეს მოპურობია ქმარი ისე თავაზიანად და მორიდებით, როგორც კლიენტები ეპრობიან. კლიენტებს შორის ჰყავს ერთი, სხვებისგან გამოჩეული. მასთან სულიერი მეგობრობაც აკავშირებს. ის დღეები, როცა ისინი ხვდებიან, უბედნიერესია მის ცხოვრებაში. ქმარს დიდი ხანია გაეუარა, მაგრამ ხელმეორე გათხოვებას არ აპირებს. იცით რატომ? აღარ უნდა თავი დაიმციროს ვისმეს ცოლობით. ამბობდა, რომ იცის ინგლისური, ფრანგული, უკუარს კითხვა, მუსიკა, ზეპურ საზოგადოებაში ტრიალი. მასთანაც კარგად გრძობენ სხვები თავს და დიდად ემადლიერებიან. კი მაგრამ მცნება – არა იმრუშო?! ამ ჰოლანდიელი როსკიპისათვის მას არც ფასი ჰქონდა და არც ღირებულება. მაგრამ, რაც მთავარია, მცნებას მნიშვნელობა ჰქონდა დაკარგული იმ საზოგადოებისათვისაც, რომელიც მას უსმენდა.

არა ცილი სწამოა, – ამბობს მცნება. მაგრამ იწერება, იბეჭდება, ქვეყნდება უაძრავი წერილი, სტატია, წიგნიც კი, რომელიც ცილს სწამებს მოყვასს. ავტორმა იცის, რომ ცილისმწამებელია. არც ერიდება ამას და არც ეშინია, თავს მშვიდად გრძობს იმიტომ, რომ რამდენად ურცხვი იქნება ცილისწამება, რამდენად უტიფარი, რამდენად დაუნდობელი, იმდენად ბევრი მკითხველი ეუოლეება, იმდენად ხელიხელსაგომანები გახდება მისი წერილი, სტატია, წიგნი, – იმდენად მეტ ხმაურს გამოიწვევს, იმდენად მეტ ჰონორარს მისცემენ, იმდენად პოპულარული გახდება თავად, როგორც ავტორი. მოედინება სიცრუის, ტყუილის, ცილისწამების ღვართქაფი გაზეთებით, ტელერადიოთი, წიგნებით და იბეჭდება, სივდება ავტორთა ჯიბეები ფულით. დაწერე „მერანი,, და გადაიხიე

მერე თავზე. ვინაა მისი წამკითხავი, ვის რად სჭირდება?! მაგრამ, აბა, შეატყობინე საზოგადოებას, რომ მერლინ მონროს ნიფსავი დარჩა ჰრეზიდენტ კენედის საწოლში და ნახავთ, რა მოხდება, – ჰირსედორბლმორეული ბრბო მიესჯება ეურნალ-გაზეთებს, წიგნებს; გაიყიდება უთვალავი ტირაჟით, აჩხრიალდება, ატკაცუნდება ფულები გამოძცემელთა და ავტორთა ხელში.

სულ ახლახან მას-მედიამ გვაუწყა, როგორი პროვოკაცია მოუწევს ჰრინცესა დაიანას (დიდი ბრიტანეთი). მოუძებნიათ მისი ორეული. ვიდეოზე გადაუღიათ ორეულისა და მისი საუვარლის ინტიმური ურთიერთობა. მერე ეს სურათები ჰრესისა და ტელევიზიის საშუალებით საზოგადოებაში გაუვრცელებიათ, ვითომც ვიდეოზე აღბეჭდილი ქალი ჰრინცესა დაიანაა. მართალია, ძალიან ძალე დაუდგენიათ ვიდეოფირის სიუალებე, მაგრამ ლიანგმა ხომ მოასწრო, თუნდაც მცირე ხნით, სინარულით აჭელოპინება? ჰრინცესა დაიანას საკუთარი ცოდვებიც ეუოფა და რაღა საჭიროა პროვოკაცია და ცილისწამება? დაიანა ჰრინცესაა, მამასადამე, მისი ცხოვრება ბრბოს ენახება. საერთოდ, ლიანგს აქვს დიდი მოთხოვნილება ცხვირი ჩაჭეოს სხვის ცხოვრებაში. დიდ მოთხოვნილებას კი უოველთვის ბეერი ფული ახლავს. ცილისწამებაც ფულის კეთების საშუალება გახდა. რაკი ასეა, ხეობრივ მცნებას – არა ცილი სწამო – ვინღა დაგიდევს. ნიმუშების მოხმობას აღარ გაუავრძელებ. ასე ირღვევა მეტნაკლებად ეველა ხეობრივი მცნება. ფულმა დაამარცხა ისინი. ეოველ დროში ეთაუვანებოდნენ ფულს, მაგრამ ფულის დიქტატურა მე-20 საუკუნეში დამეარდა საუოველთაოდ. მოძაველში ფულის დიქტატურა არ შესუსტდება. კიდევ უფრო მძლავრი გახდება. რატომ გახდება უფრო მძლავრი?

ვერცერთმა ხეობრივმა მცნებამ უსახლკაროს ვერ მისცა სახლ-კარი;

ვერცერთმა ხეობრივმა მცნებამ მშიერი ვერ დააპურა;

ვერცერთმა ხეობრივმა მცნებამ უდანაშაულოდ დასჯილი ვერ იხსნა;

ვერცერთმა ხეობრივმა მცნებამ ფულიანი მოძალადისაგან ვერ დაიფარა

უფულო მსხვერპლი;

ვერცერთმა ხეობრივმა მცნებამ ვერ მოსპო უთანასწორობა, ჩავრეველფა, მარცვა-გლეჯა.

ვინც ფული იმოვნა, იმან ეველა პრობლემა მოაგვარა: სახლ-კარიც აიშენა, მამღრისად ჭამა და სვა, სასჯელიც აიცდინა, მოძალადესაც საკადრისი პასუხი გასცა, საზოგადოებრივი იერარქიის მწვერვალზეც მოექცა, დაჩაგრულის ნაცვლად მჩავგრელი გახდა. ფულის ძალა და ეოვლისმემძლეობა იწამა. დღევანდელი კაცობრიობის ძირითადი და მთავარი მამოძრავებელი ლოზუნგი გახდა – to make money – გააკეთე ფული. რით იხსნას ადამიანმა თავი ფულის დიქტატურისაგან? მას შეუძლია დაამხოს ჰიროფების დიქტატურა, კლასის დიქტატურა, იდეის დიქტატურა, რავინდარა დიქტატურა, მაგრამ რა უოოს ფულის დიქტატურას? ადამიანს მოსწონს ფულის დიქტატურა და როგორ ებრძოლოს მას, რაც მოსწონს? საუკუნეების მანძილზე ვმობდა ფულს რელი-

გაცა, მწერლობა-ხელოვნებაც ამაგებდა მას, ემძაკის კვერთხს ემახდა, სატანად ნათლავდა, მაგრამ ვერაფერი დააკლო. დღეს რელიგიის წარმომადგენლებიც, მწერალნიცა და ხელოვანნიც ისევე ეტრფიან ფულს, როგორც თავის დროზე ვობსეკი ეტრფოდა, ანდა ჩვენი სოლომონ ისაკიჩ მუკლანუაშვილი. ახლა სულიერ მოძღვარსაც, მწერალსაც, ხელოვანსაც ისევე უნდა სრა-სასახლეები ჰქონდეს (აქვთ კიდევ, რა თქმა უნდა, უცხოეთში და არა გამფალტეავებულ საქართველოში), ისევე მდიდრულად ეცვას და ეხუროს (აცვია და ახურავს კიდევ), ისევე არ აკლდეს ჩიტის რძე (არც აკლია) მის მაგიდას, როგორც რომელიმე ბურჟუას აქვს ეოველივე ეს, იმ ბურჟუას, ვინც თუნდაც გასულ საუკუნეში ლიტერატურა-ხელოვნების დაცინვის საგანი იყო. მაგრამ უფულოდ ეს შეუძლებელია და ისინიც, ვინც ადრე თავგამეტებული ებრძოდა ფულს, დამორჩილდა მას, მისი მსახური გახდა.

ქრისტიანობა გვაფრთხილებდა: „უადვილეს არს აქლემი განსლვად ხურელსა ნემსისასა, ვიდრე მდიდარი შესლვად სასუფეველსა ცათასა (მათე, XIX 24)“, მაგრამ ამანაც ვერ შეაჩერა ადამიანთა ფულისაკენ ლტოლვა. იმის ნაცვლად, რომ სახარების მცნებას გაჰყოლოდა, იმ გზების ძებნა დაიწყო, რომელიც სასჯელს ააცდენდა და purgatorio – სალხინებელი, განსაწმენდელი მოიგონა. სიმდიდრით ცოდვილი ეკლესიას ფულს გადაუხდიდა, ინდულგენციას იუიდა. ამის წვალობით სალხინებელში მოხვდებოდა. იქ განიწმინდებოდა და მერე სამოთხეში წაბრძანდებოდა. ამით ეკლესიამ ფული დააგროვა და უთვალავი სიმდიდრე შეიძინა. რას მოიგონებს დღევანდელი კაცობრიობა, რით უშველის თავს? ჯერჯერობით არავინ უწეის. ერთი კი ცხადია, კაცობრიობამ ზნეობრივი ჩიხს როგორმე თავი უნდა დააღწიოს. მაგრამ როგორ? რა შეიძლება ითქვას უფრო ღრმა, უფრო მაღალი, უფრო სხარტი და აზრით სავსე, ვიდრე – არა კაც ჰკლა, არა იმრუშო, არა იქურდო, არა ცილი სწამო და ა.შ.? თუკი ეს კლასიკური ზნეობრივი მცნებანი ასე უძოწუალოდ ირღვევა, რა შეაჩერებს ამ ჰროცესს?

ეს ჰრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის და, საერთოდ, ეკლესია იმ ქვეყნისათვის, რომლებიც სსრ კავშირში შედიოდნენ. ამ ქვეყნებში ფულის დიქტატურა ახლა მუარდება. მათი მომავლისათვის გადამწვევტი მნიშვნელობა ექნება როგორი სახით დამკვიდრდება იგი. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ სოციალისტური საშუალოდან გადავდივართ სოციალური საბაზრო ეკონომიკის, ანუ ძველებურად თუ ვიტყვით, კაპიტალისტურ საშუაროში. თავის დროზე სოციალიზმმა სამკვიდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა ფულის დიქტატურას. სცადა იგი იღეის დიქტატურით შეეცვალა. მცირე დროის მანძილზე თითქოს ეს მოახერხა კიდევ. სოციალიზმის ფანატიკოსთა ნახევრად მშობრივი, ჩაუცქველ-დაუხურავი, უბინაო რაზმები თავგანწირული შრომობდნენ „ნათელი მომავლის“ იმედით. მათთვის ფულს არ ჰქონდა ის სიბლი, რაც დღევანდელი თაობისათვის აქვს. „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ არც მხო-

ლოდ ჰროზაგანდისტული წიგნია და არც ოდენ მწერლის ფანტაზიის ნაყოფი. იგი სინამდვილეა, ოღონდ სოციალიზმის ფანატიკოსთა ცხოვრების სინამდვილე. როგორც ჰირველქრისტიანები მიდიოდნენ გულმძვირად საწამებლად, ასევე ჰავლე კორჩაგინები სწირავდნენ ეველაფერს, საკუთარ სიცოცხლესაც კი, სოციალიზმს. მაგრამ ამისაგან არაფერი გამოვიდა, გარდა უაზროდ დასარჯული სიცოცხლისა. ნიკოლოზ ოსტროვსკის მოდგმას სხვა თაობა მოჰყვა, რომლისათვისაც სოციალიზმის იდეა მხოლოდღა ნიღაბი იყო. ამ ნიღბით ისინი ქურდობდნენ და სახელმწიფო ხაზინას მარცვავენ. ფულმა მანც მოახერხა ადამიანთა ხელში ჩაგდება, მათი დამორჩილება. სსრ კავშირში სოციალიზმს ნიღაბი მაშინ კი არ გამოეცალა, როცა 80-იანი წლების მეორე ნახევარში საჯაროობა და გარდაქმნა შემოიღეს, არამედ უკვე 50-იან წლებში, როცა ჰარვა-ქურდობა, მექრთამეობა, თაღლითობა სსრ კავშირში საუოველთაო და გავრცელებული სენი გახდა, როცა ადამიანები ეველაფერს კადრულობდნენ იმისათვის, რომ ფული და სიმდიდრე მოეხვეჭათ. 50-იანი წლებიდან მოყოლებული, სოციალიზმის ფანატიკოსები თანდათანობით იცვლებოდნენ ფულის ფანატიკოსებად. ისინი ოთხი ათეული წლის მანძილზე უთხრიდნენ ძირს სოციალიზმს. ამ ჰროცესის შედეგად 90-იანი წლების დასაწყისში საძირკველგამოცლილი სოციალიზმი დაემხო. სოციალიზმის და ფულის ბრძოლაც ფულის გამარჯვებით დამთავრდა.

რთა შეცდომაც სოციალიზმს მოუვიდა, იგივე შეცდომა მოსდის დღეს ისლამურ ფუნდამენტალიზმს.

ისლამური ფუნდამენტალიზმის ფანატიკოსებიც ცდილობენ დაამარცხონ ფულის დიქტატურა. ირანში შემთხვევით არ სძულთ თავდავიწყებით აშშ. ირანელთა თვალში აშშ ფულის დიქტატურის კლასიკური ქვეყანაა. ისინი ფიქრობენ, თუ აშშ-ს გაუმკლავდებიან, ამით ფულის დიქტატურასაც მოიცლილებენ. ეს შეცდომაა, რომელიც, ადრე თუ გვიან, ეველასათვის ნათელი გახდება. დღევანდელი ადამიანი, სულერთია ირანში ცხოვრობს იგი, თუ დედამიწის რომელიმე სხვა კუთხეში, არასდროებით არ იტყვის უარს იმ კეთილდღეობაზე, რაც ფულსა და სიმდიდრეს მოაქვს. ამიტომ ისლამური ფუნდამენტალიზმის ფანატიკოსებს იგივე დღე დაადგებათ, რაც სოციალიზმის ფანატიკოსებს დაადგათ.

ეველაფერი ეს გასათვალისწინებელია, რადგან ახლა საქართველო ალტერნატივის წინ დგას – ბრძად მიიღოს და დაამკვიდროს ფულის დიქტატურა ეველა მისი დადებითი და უარყოფითი თვისებით თუ შეეცადოს სრულიად ახალი გზა მოძებნოს? მე, სამწუხაროდ, თავად არ ვიცი ჰასუსი იმ კითხვისა, რომელიც დავსვი. ვიცი მხოლოდ ის, რომ ფულის უაფლისშემძლეობის ლიტონ უარყოფას არავითარი შედეგი არ მოაქვს. აქ ბეწვის ხიდია გასაჯლედი. ალბათ, მომავალი აჩვენებს, მცნებათა რღვევის ეპოქაში, შესძლებს თუ ვერა საქართველო ამ ბეწვის ხიდის გავლას.

მშვილობით, აფხაზეთო!

თბილისში, ხალხშიც და ხელისუფლებაშიც, ჩოჩქოლია: ნოემბერში აფხაზეთში უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ჩაატრებენ. ამით საბოლოოდ, იურიდიულად დადასტურდება ის, რაც ფაქტობრივად უკვე არსებობს. ძირეული ქართული მიწა-წყლის – აფხაზეთის – საქართველოდან მოწვევტა, მისი წართმევა.

შეუძლის ხელს ვინმე ან რამე აფხაზეთში არჩევნების ჩატარებას?

ზანუსი მოკლე და მკაფიო შეიძლება იყოს – ვერაფერი და ვერაფერ შეაჩერებს აფხაზეთში არჩევნების ჩატარებას. ჩაატარებენ სრულიად მშვიდად და მიიღებენ ზუსტად იმ შედეგს, რაც სჭირდებათ.

საქართველოს ხელისუფლება უძღურია რაიმე იღონოს ამ მიმართულებით. მისი არავის ემინია აფხაზეთში და არც არავინ უკდება უფროს. რამდენი პროტესტიც უნდა იმდენი განაცხადოს საქართველოს პრეზიდენტმა, ანდა პარლამენტმა, იგი დარჩება ოდენ უძღურის ფაფხურად და სხვა შნიშვნელობა მას არ ექნება.

რუსეთი კი, ბუნებრივია, ამ საქმეში აფხაზეთის დღევანდელი ფაქტობრივი ხელისუფლების მხარეს დაიჭერს, რაკი რუსეთ-საქართველოს ომში აფხაზეთისათვის საქართველო დამარცხდა და რუსეთმა აფხაზეთი მიითვისა. ისიც ცხადია, და ეს არავის უნდა ეგჭვებოდეს, რომ არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის იურიდიულ გამტკიცებას რუსეთი უოველგვარად შეუწეობს ხელს. რუსეთი ჩამოაყალიბებს აფხაზეთს ცალკე სახელმწიფოებრივ ერთეულად, მერე კი თავად აფხაზეთი, რეფერენდუმის გზით, გადაწვევტს შეუერთდეს თუ არა რუსეთს.

აფხაზეთის ცალკე სახელმწიფოებრივ ერთეულად ჩამოაყალიბება უადრესად ხელსაწყოელია თურქეთისთვისაც და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისთვისაც. აფხაზეთის დაკარგვით საქართველო, როგორც სახელმწიფო, ძალიან სუსტდება. ჯერ ერთი, საქართველოსავით პატარა ქვეყნისათვის იმოდენა ტერიტორიის დაკარგვა, რამოდენაც აფხაზეთს უჭირავს, საბედისწეროა პოლიტიკურადაც, ეკონომიკურადაც, სამხედრო კუთხითაც. მეორეც, აფხაზე-

თი მაგალითი სდება იმათთვის, ვისაც ენატრება საქართველოს წაგლიჯოს შიდა ქართლის დიდი ნაწილი (რუსი და ქართველი კომუნისტების მიერ „სამხრეთ ოსეთად“ მონათლული), ჯავახეთი და სხვა ტერიტორია. ამით არსებითად საქართველოს მიწა-წყალი ნახევრდება. ამ სუსტსა და საცოდავ ქვეყანას, როგორც უნდათ, ისე აბურთავებენ. არა მარტო რუსეთი, არამედ თურქეთიცა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიც.

ვერც გაეროს განცხადებანი გვიშველიან ჩვენ. ჯერ ერთი, გაეროს მთელი ისტორიის მანძილზე არავის უნახავს მისი გაკეთებული საქმე და მისგან მოგვარებული კონფლიქტი. გაერო მუქთახორა დიპლომატიების სალაუბოა და არავინ, მით უმეტეს გამარჯვებული, მას ანგარიშს არ უწევს. მეორეც, გაერო არასოდეს ჩაიდენს რუსეთის უნებურ საქციელს. გაერო თუ დღემდე არსებობს, არსებობს აშშ-ის და რუსეთის (წინათ სსრკ-ის) ხარჯით. საკმარისია ან აშშ-მა, ან რუსეთმა არ გადაიხადოს ფული, რასაც გაეროს აძლევენ, ეს საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაცია მაშინვე შეწყვეტს არსებობას. თუ განსოვთ, რეიგანის პრეზიდენტობის დროს აშშ-მა დააპირა გაეროდან გასვლა და შიშით კინაღამ გულები დაუსკდათ გაეროს ჩინოფნიკებს, ანუ მენაკიანებს, როგორც თეიმურაზ ბატონიშვილი იტყოდა. რა დღესაც აშშ გავიდოდა გაეროდან, იმ დღესვე დაღაფავდა იგი სულს. ასევე დაემართება გაეროს, რუსეთი თუ დატოვებს მას. რუსეთზე ასე მიჯაჭვული გაერო როგორ გაბედავს გააკეთოს ის, რაც რუსეთს არ უნდა? რუსეთის სურვილია აფხაზეთი არ იყოს საქართველოს ნაწილი. იგი მოწადინებულია აფხაზეთი „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოდ ჩამოაყალიბოს. მაშასადამე, გაეროს ლილარიც ეს არის: ამას დაუჭერს იგი მხარს. ტყუილად გვაქვს ჩვენ, თუნდაც ცარიელი სიტყვით, მისი ქომავობის იმედი. ეს ედუარდ ბრუნერის ნათქვამსაც დაადასტურა. მართალია, მერე გვანუგეშეს – ბრუნერს ეს არ უთქვამს, რუსულმა გაზეთმა მოიგონაო, მაგრამ ამით ვინ მოტყუვდება, მეტიმეტად გულუბრევლო ადამიანების გარდა?

ბრუნერმა თქვა ის, რაც თქვა. რუსულ გაზეთს არაფერი მოუგონია. ასეთი ჰქონდა გაეროს დიპლომატს დავალება და იმიტომ. თუცა, არსებითი და გადაწყვეტი მანც სხვა რამ არის. არსებითი და გადაწყვეტი ის ვახლავთ, რომ აფხაზეთმა გაიმარჯვეს, ქართველები კი დამარცხდნენ. გამარჯვებული კი გააკეთებს იმას, რაც სურს. ამაში მას ხელს ვერავინ შეუშლის. იმიტომ, რომ გამარჯვებულსა. დამარცხებულის სასარგებლოდ გამარჯვებულს არავინ დასჯის. აფხაზეთმა ომი მოიგეს და სრულიადაც არ აღელებოთ, რას იტყვიან თბილისში თუ მოსკოვში, ანკარასა თუ ნიუ-იორკში. ისინი თავიანთ საქმეს ისე გააკეთებენ, როგორც მოისურვებენ. ასე, რომ, უახლოეს ხანებში, უოფილ საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე ჯუჯა სახელმწიფო შეიქმნება ლილიპუტი პრეზიდენტებით. განმათავისუფლებლებიც ძრავლად იქნებიან – ვლადისლავ კანმათავისუფლებელი, ლუდვიგ კანმათავისუფლებელი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

კარგად ვიცი, რაც ვთქვი, მეტი სმეტად მწარეა და გულსატკეპნი, მაგრამ სიმართლისათვის თვალის გასწორებაც სომ აუცილებელია? სანამდე უნდა მოვიტეუოთ თავი? სანამდე ვიცხოვროთ ილუზიით? სომ დავინახეთ, რომ აფხაზეთის მშვიდობიანი დაბრუნების პოლიტიკამ სრული კრახი განიცადა (თუ მაინც ვერ ვხედავთ)? ჯარი ჩვენ არ გვყავს და ძალა ჩვენ არ შეგვწევს, ომით დავიბრუნოთ აფხაზეთი. მაშინ რაღა დაგვრჩენია, სიმართლის აღიარების გარდა? იქნებ მწარე სიმართლემ მაინც აგვიხილოს თვალი და ცხადად დავინახოთ ის უფსკრული, რომელშიც ჩავვარდით.

ნუგეშად რაღა დაგვრჩენია? ბუნებაში არსებობს მუდმივი მონაცვლეობის კანონი: დღეს ღამე ცვლის, ღამეს – დღე. გაზაფხულს ზაფხული მოყვება, ზაფხულს – შემოდგომა. შემოდგომას – ზამთარი, ზამთარს – ისევ გაზაფხული. ასეა დაუსრულებლად. ხე, რომელსაც ზამთარში ფოთოლი ჩამოსცვივა, გაზაფხულზე ისევ შეიმოსება. ისევ ჩამოსცვივა და ისევ შეიმოსება. საქართველოს ისტორიამაც იცის მუდმივი მონაცვლეობის კანონი. საქართველოც ნაკუნდებოდა და ისევ ერთიანდებოდა. ერთიანდებოდა და ისევ ნაკუნდებოდა. ახლა საქართველოს დანაკუნების ეპოქაა. საქართველოს გაერთიანების დროც მოვა. ამას სხვა თაობა გააკეთებს. ჩვენზე ბევრად ღირსეული და ვაჟკაცური. ჩვენ კი შერცხვენილი და თავლაფდასხმული წავალთ ისტორიის ასწარეზიდან.

1996 წ., ნოემბერი

ისტორიის მოპარვა

„დამოუკიდებელი“ აფხაზეთის ხელისუფლებას ლეონ მეორის ორდენი დაუწესებია. დაუჯილდოებია კიდევ ამ ორდენით ზოგიერთი, ვინც მეტად გულმოდგინედ იბრძოდა საქართველოს დამლისათვის. ისე კი, დიდი მასხარა ვინმეა ისტორია: იმათ, ვინც საქართველოს დანგრევისათვის თავს არ ზოგავდა, აჯილდოებენ იმ კაცის ორდენით, ვინც არაბთა შემოსევის შედეგად დაქცეულ საქართველოს ხელახალ აღორძინება-გაერთიანებას შეაღწია მთელი ცხოვრება. მაინც ვინ იყო ლეონ მეორე და რა ვიცით მასზე?

ერთადერთი წყარო მისი საქმიანობის გასაცნობად „ქართლის ცხოვრება“ . სხვა მატრიანე არ არსებობს. თუმცა, მაინცდამაინც სიტყვაუხვი არც ქართველი ჟამთააღმწერელია. „მატიანე ქართლისაი“ რამდენიმე სტრიქონით კმაყოფილდება.

„ხოლო რაჟამს მოუძღურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, მძისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკუიროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაუდგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლისამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ და შემდგომად ამისსა ჯუანშერცა მიიცვალა“.

რაკი ლეონ მეორე ლეონ ჰირველის მძისწულია, ცოტა რამ ლეონ ჰირველზეც ვთქვათ.

ლეონ ჰირველი აფხაზეთის მმართველად ბიზანტიელებს დაუსვამთ. „ერისთავი კეისრისა“ – უწოდებს მას მემატრიანე ჯუანშერი. კეისრის ერისთავს უჭირავს ტერიტორია კლისურას (ანუ დღევანდელი კელასურის) ჩრდილოეთით მდინარემდე დიდისა ხაზარეთისა.

(„ქართლის ცხოვრებაში“ ორი ჰიდრონიმია მოხსენიებული – მდინარე დიდისა ხაზარეთისა და მდინარე მცირისა ხაზარეთისა. ჩვენ არ ვიცით, რომელ მდინარეებს ერქვათ ეს სახელები. არის გამოთქმული სხვადასხვა ვარაუდი, მაგრამ უტყუარი და დამაჯერებელი არც ერთია. უეჭველი მხოლოდ ის არის, რომ

ორივე მდინარე დიდი ხაზარეთისა ც და მცირე ხაზარეთისა ც ჩრდილოეთ კავკასიაშია).

იმჟამად, როცა აფხაზეთის ერისთავად ლეონ ჰირველი დასვეს, ტერიტორია კელასურიდან დიდი ხაზარეთის მდინარემდე ბიზანტიის ხელშია. ეს ტერიტორია „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ხშირად არის სადავო საქართველოსა და ბიზანტიას შორის. ამ მიწა-წყლის ფლობა ბიზანტიას სჭირდება იმიტომ, რომ ჩრდილოეთ კავკასია ზედამხედველობის ქვეშ ჰქავდეს და არც ხაზარებს მისცეს შავ ზღვაზე ნავარდის საშუალება. მართალია, ტერიტორია ბიზანტიას უჭირავს, ერისთავსაც კეისარი სვამს, მაგრამ ბიზანტიელებმა იცინან, რომ ეს მიწა-წყალი ქართულია, საქართველოს ნაწილია. ისინი ლეონ ჰირველს აფრთხილებენ – „კეთილად ჰატივსცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა“. ეს მარტო კეთილმეზობლური ურთიერთობის სურვილით არ თქმულა. იგი აღიარებდა იმისა, რომ ბიზანტიას დროებით უჭირავს ტერიტორია კელასურიდან (კელასურიდან) დიდი ხაზარეთის მდინარემდე.

მაშინ საქართველოს დიდი გასაჭირი ადგა. არაბთა შემოსევებმა გააპარტახეს საქართველო, აღმოსავლეთიც და დასავლეთიც. მურვან-ურუმ სოხუმი, ანუ ცხუმი, მოაოხრა. ვერავინ გაუწია წინააღმდეგობა. მისი ჯარი უძრავლესი ყოფილა „ჭალაკთა ეკრისათა“. მაგრამ ურუმ სოხუმს იქით წასვლა ვეღარ გაბედა. მაშინ ბიზანტიას უნდა შეებოდა უშუალოდ. როგორც ჩანს, იმხანად ბიზანტიასთან ომი ამ რეგიონში არაბთა გეგმაში არ შედიოდა.

რაკი საქართველოს ეს ნაწილი ბიზანტიელების მიერ არის დაცული, ქართლის მეფეები მირ და არჩილ იქ არიან თავმეფარებულნი. სამივე ერთად, ქართლის მეფენი მირ და არჩილ, აფხაზეთის ერისთავი ლეონ, ელჩს ავსაფნიან ბიზანტიის იმპერატორთან. აუწყებენ ეველაფერს. შემწეობას ითხოვენ. მაგრამ ბიზანტიის კეისარს იმჟამად სხვა არაფერი ძალუძს, გარდა სიტყვიერი ნუგეშისცემისა და მომავლის იმედით გამხსნევებისა.

ფრიად მნიშვნელოვანია ის, რასაც ამის მერე გვიყვება ჯუანშერი.

ქართლის მეფე მირი გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მძას, არჩილს, ანდერძი დაუტოვა: არ მუავს შემკვიდრედ ვაჟი. მუავს შვიდი ასული. გაათხოვე ისინი. „განუყვენ მათ ქუეყანანი ქართლისანი: ნახევარი შენ და ნახევარი მათ. ხოლო საუხუცესოდ რომელ მქონდა, მომიცია შენდა და კქონდეს საუხუცესოდ: ეგრისი, სუანეთი, თაკურთი, არგუეთი და გურია“.

დააკვირდით გულისუურით ამ სტრიქონებს. ქართლი ერთი ქვეყანა არ არის. ბევრია – „ქუეყანანი ქართლისანი“. არც მარტო აღმოსავლეთ საქართველოა ქართლი. „ქუეყანანი ქართლისანის“ ცნებაში ისევე შედის ეგრისი, სუანეთი, თაკურთი, არგუეთი და გურია, როგორც თავად ქართლი (ერთი პროვინციის მნიშვნელობით). „ქუეყანანი ქართლისანი“, ანუ მარტივად ქართლი, ფართო შინაარსის ცნებაა. იგი აღნიშნავს იმასაც, რასაც დღეს დასავლეთ

საქართველოს ვუწოდებთ და იმასაც, რასაც აღმოსავლეთ საქართველო ჰქვია. აფხაზეთიც „ქუეუანანი ქართლისანიში“ შედის. ამას მალე დავინახავთ.

არჩილი მძის ანდერძის შესაბამისად მოიქცა.

მირის ერთი ასული გუარამ კუროპალატის შვილს მიათხოვა. გუარამ კუროპალატი კლარჯეთისა და ჯავახეთის მფლობელია.

მეორე ასული იმ ჰიტიახშს გააყოლა ცოლად, რომელიც თრიალეთის, ტაშირის, აბოცის პატრონი იყო.

მესამე ასული ნერსეს ნერსესიანს მისცა. ეს ნერსესი ვახტანგ გორგასლის ნათესავი უოფილა.

მეოთხე ასული ადარნასე ადარნასიანმა შეირთო.

მირის მესამე და მეოთხე ასულს არჩილმა ზენა სოფელი, ანუ ქართლი გაუყო. აქ უკვე ვიწრო მნიშვნელობით იხმარება ქართლი. მას მეორე სახელიც ჰქონია – ზენა სოფელი.

მირის მეხუთე ასული ვარზმან ერისთავის თანამეცხედრე გახდა. მას ერგო ტერიტორია კოტმანიდან ქურდისხევამდე. მეექვსე ასულზე კი ჯუანშერ ჯუანშერიანმა იქორწინა. მას წილად ხვდა ჯუარი, ხერკი, უოველი მთიულეთი, მანგლისის ხევი და ტფილისი.

როგორც ხედავთ, მთელი საქართველო განაწილდა არჩილსა და მირის ქალიშვილებს შორის. მაგრამ მეშვიდე ასულს რაღა ერგო? იგი ვის მიათხოვა ბიძამ?

მირ მეფის მეშვიდე ასული გურანდუხტ სწორედ იმ ლეონს გააყოლა ცოლად, რომელიც ბიზანტიის კეისარმა აფხაზეთის ერისთავად დასვა. მართალია, აფხაზეთს დროებით ბიზანტია ფლობს, მაგრამ იგიც „ქუეუანანი ქართლისანიში“ შედის და ისევე ექვემდებარება მირის ანდერძს, როგორც საქართველოს სხვა ნაწილები.

იცით, რა უთხრა მეფე არჩილს ლეონ ჰირველმა აფხაზთა ერისთავმა, როცა გურანდუხტ მირის ასულს ირთავდა? მართალია, კეისარმა შემკვედრეობით მომცა ტერიტორია კელასურიდან დიდი ხაზარეთის მდინარემდე, მაგრამ „არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენადვე იუოს“. ხოლო „შემრთე მეცა მონათა შენთა თანა, რომელნი ესე დღეს ღირს ვუენ შვილად და მძად შენდა“ (ხაზი ჩემია - ა.ბ.) როგორც ხედავთ, ლეონ ჰირველი აფხაზთა ერისთავი საქართველოს ნაწილად თვლის ტერიტორიას კელასურიდან დიდი ხაზარეთის მდინარემდე. თავისთავს კი საქართველოს სამეფო კარის ქვეშევრდომად.

მეფე არჩილს დიდად გახარებია ლეონის სიტყვები და ორივეს საშინელი ფიცი და აღთქმა დაუდევიათ. „არა იუოს მტრობა შორის მათსა, არამედ ერჩიდეს (=ემორჩილებოდეს) ლეონ არჩილს უოველთა დღეთა მისთა“. ეს სიტყვები არ განსლავთ удобная дипломатическая форма, როგორც ამას წერს ზურაბ ანჩაბაძე („Из истории средневековой Абхазии“). ისინი ერთგულების დადას-

ტურებაა.

არსებობს რაიმე ცნობა ჯუანშერის საწინააღმდეგო, დამადასტურებელი იმისა, რომ ქართველი მემბტიანი მართალს არ ამბობს? სრულებით არაფერი, ვიძიებ: სრულებით არაფერი, არც ბიზანტიურ წყაროებში, არც სომხურში, არც სხვაგან სადმე. აფსუა-ხალხს კი მატინე არა აქვს. მან წერა-კითხვა გუშინ ისწავლა. აფსუა ენაზე პირველი თხზულების დამწერი ჩვენი თანამედროვე იყო. აგერ ახლა, 1960 წელს, გარდაიცვალა. ჩვენ კი ათასი წლის წინანდელ ამბებზე ვსაუბრობთ.

ჯუანშერი კიდევ იმიტომ არის სანდო და შეგვიძლია დაუჯეროთ, რომ იგი პირადად მოწმეა და მონაწილე იმ ამბებისა, რასაც ვგაუწევებს. იგი მემბტიანეც იყო და დიდი სახელმწიფო მოხელეც. ჯუანშერი მეფე მირის მეექვსე ასულის ქმარია და ქვისლი ლეონ პირველისა. რა უფლებით შეიძლება ასეთ კაცს უნდობლობა გამოუცხადოთ?

იმით, რაც ჯუანშერმა დაწერა, სრულიად მკაფიოდ ჩანს შემდეგი:

1. არაბთა შემოსევის შედეგად, ქვეყანაში უძიმესი ვითარებაა, მაგრამ არც ქართველი ხალხი და არც სამეფო კარი ერთიან ეროვნულ შეგნებას არ კარგავს. პირიქით, კიდევ უფრო მძაფრდება იგი.

2. სამეფო კარი ვეელა ღონეს ხმარობს, რაც კი შესაძლებელია, მთელი ქართული ტერიტორია სამეფო კარის ზედამხედველობის ქვეშ იყოს (მირის ქალიშვილებს შორის ტერიტორიის განაწილება).

3. აფხაზთა ერისთავი, რომელიც იმხანად, ბიზანტიის ქვეშევრდომია, ქართული სამეფო კარის პოლიტიკას უწეობს ხელს და მას ემორჩილება.

4. ტერიტორია კელასურიდან დიდი ხაზარეთის მდინარემდე საქართველოს ნაწილია, ისიც „ქუეყანანი ქართლისანიში“ შედის. მართალია, დროებით ბიზანტიის მფლობელობაშია, მაგრამ არც ბერძნები უარყოფენ იმას, რომ ეს მიწა-წყალი ქართულია.

ამ შეგნებითა და მიმართულებით მოღვაწეობს ლეონ მეორეც.

თუ ვიცით მისი ვინაობა დედის მხრით (ხაზართა მეფის შვილიშვილია), არ ვიცით მისი წარმომავლობა მამის ხაზით, გარდა იმისა, რომ ლეონ პირველის ძმის ძეა. ლეონის ვინაობაზე არის სხვადასხვა აზრი გამოთქმული, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი უცდომელი და სარწმუნო. მაგრამ ამას არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა. მთავარია ის, რომ ლეონ მეორე დასავლურ ქართულ სახელმწიფოს ააღორძინებს. მემბტიანის სიტყვით, როგორც კი ბერძნები დასუსტდნენ, ამით მაშინვე ისარგებლა მან და ბიზანტიის ქვეშევრდომობას თავი დააღწია. დედით ხაზარი არც ხაზართა სამეფოს მიმხრობია. გამოყენებით კი გამოიყენა ხაზართა ძალა, დედის ნათესავეები. საკუთრივ ქართული სახელმწიფო ჩამოაყალიბა. როგორც ქართულ საისტორიო მეცნიერებაში უთუოდ და უთუძვარად დადგენილია, ლეონ მეორის აფხაზთა სამეფო, ანუ დასავლეთ საქართვე-

ლოს სამეფო, მოიცავდა, დღევანდელი ჰროვინციების მიხედვით თუ ვიტყვით, საკუთრივ აფხაზეთს, სამურზაყანოს, სამეგრელოს, სვანეთს, რაჭა-ლეჩხუმს, იმერეთს, გურიას, აჭარასა (ზოგიერთი იმასაც კი ფიქრობს, რომ მაშინდელ დასავლეთ საქართველოს სამეფოში ლაზეთიც შედიოდაო, მაგრამ ეს საკამათოა). დედაქალაქი კი ქუთაისი იყო. ეს კი იმას ადასტურებს, რომ ლეონ მეორე ერთ, ცნობიერებით, შეგნებით, მოღვაწეობით ქართველი იყო. თან თავდადებული და თავგანწირული ქართველი.

არც აფხაზეთა მეფის გვირგვინი დაუდგამს მას თვითნებობით. როცა ლეონ ჰირველს მეფე მირის ასული გურანდუხტი მიათხოვეს, გვირგვინიც გადასცეს. „მაშინ მისცა ლეონს ცოლად მძისწული მისი გურანდუხტ და გურიგუნი იგი, რომელი ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირისათუის“ (იმ ეპოქაში სამეფო ინსიგნიებს ქართველი მეფეები ბიზანტიის იმპერატორისაგან იღებდნენ). მაშასადამე, ლეონ მეორემ სამეფო გვირგვინი, ანუ მეფე მირის გვირგვინი, დაიდგა, როგორც ქართლის მეფის მეკვიდრემ.

გვირგვინის გადაცემაც იმას ადასტურებს, რომ ტერიტორია კელასურიდან დიდი ხანგრძლივად მდინარემდე ქართულია. მისი მმართველიც პოლიტიკურად ქართველია. სხვანაირად, უცხო ქვეყნის მმართველს არჩილი საქართველოს მეფის გვირგვინს არ გადასცემდა, ის არჩილ მეფე, რომელიც გარდა მეფობისა, ქართული ეკლესიის მიერ წმინდა მოწამედ არის შერაცხული.

დასავლეთ საქართველოს მფლობელიც იმის მერე ვახდა, რაც არჩილ მეფის შვილები იოვანე და ჯუანშერი იმ სოფლად განვიდნენ. „მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ და შემდგომად ამისა ჯუანშერცა მიიცვალა“. როცა არჩილი მოკვდა, მისი ორი ვაჟიდან ერთი, იოვანე, ეგრისს წავიდა და იქ ხელისუფლობდა, ხოლო მეორე, ჯუანშერ, ქართლ-კახეთში დარჩა და აქ მეფობდა. ასე რომ, არჩილის შვილები მთელ საქართველოს ფლობდნენ, ერთი აღმოსავლეთს, მეორე დასავლეთს. იოვანეს სიკვდილის მერე ერვო დასავლეთ საქართველო ლეონ მეორეს.

ლეონ მეორე ეველა წესისა და კანონის დაცვით იღებს დასავლეთ საქართველოსაც და სამეფო გვირგვინსაც. იგი მეფე არჩილის დასტურით არის ხოსროიანთა დინასტიის ქართული სამეფო კარის კანონიერი მეკვიდრე. არჩილი არ შემდგარა. მისმა გამჭრიახოვამ და წინასწარჭკვეტამ (მეფის გვირგვინი რომ გადასცა ლეონ ჰირველს) გაამართლა. ლეონ ჰირველი და, მით უფრო, ლეონ მეორე ჭკვიანი და გონიერი სახელმწიფო მოღვაწეები აღმოჩნდნენ. ლეონ მეორემ მძლავრი დასავლურ ქართული სახელმწიფოც ჩამოაყალიბა და მომავალში საქართველოს სამეფოს ხელახალ გაერთიანებასაც ჩაუყარა საფუძველი. დავითისა და თამარის დიდი საქართველო ლეონ მეორის ღვაწლითაც იკვებება.

შერედა, დიდი უსამართლობა, შეურაცხყოფა, თავხედობა არ არის ის, რომ ლეონ მეორის ორდენით საქართველოს მტრებს აჯილდოებენ? რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ამან არ უნდა გაგვაკვიროს. ვისაც სხვისი მიწა-წყლის მოპარვა სურს, იმას არც ისტორიის მოპარვა შერცხვება. რუსეთი კი ერთ რამეს ნუ დაივიწყებს: ბიზანტიასაც სურდა აფხაზეთის მითვისება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. პირიქით: აფხაზეთი გახდა საქართველოს ხელახალი აღორძინების მოთავე. არც რუსეთს გამოუვა რამე. ისტორიულად რუსეთი ბიზანტიის შემკვიდრედ თვლიდა თავს და ამბობდა ამით. ბიზანტიის იმპერია უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს. ხომ არ აჯობებდა რუსეთის ხელისუფლებას ამ საბედისწერო დასასრულზე ეფიქრა და თავი დაენებებინა სხვისი ტერიტორიის მითვისებისათვის?

1997 წ., იანვარი



მასალური აზროვნება

უკანასკნელი ათიოდე წლის მანძილზე საქართველოში დიდი მოვლენები მოხდა. ამ მოვლენებს დადებითი შედეგებიც მოჰყვა და უარყოფითიც. ამჯერად დადებით მხარეზე არაფერს ვიტყვი. უურადლებას მხოლოდ უარყოფითზე გავამახვილებ, რადგან მის აღმოფხვრაზე იქნება დამოკიდებული საქართველოს ბედ-იღბალი მომავალში.

ახლა ამ მოვლენათა ბევრი მონაწილე და მოწმე წერს და ლაპარაკობს – რა როგორ ხდებოდა, რატომ და რისთვის. ვეძებთ მტუუნსა და მართალს. უდავოა, მტუუნისა და მართლის დადგენა საჭიროა, მაგრამ, ჩემი აზრით, უფრო მნიშვნელოვანი იმის მიგნებაა – ქართველის სულიერი წიბის რა მანკიერი თვისება იწვევს საქართველოს ჰერმანენტულ დამარცხებას.

ჩვენ თვალწინ მოხდა, ჩვენ ვივაჟით უშუალო მოწმე იმისა, რომ ჩვენზე გაცილებით მცირერიცხოვანმა ხალხმა – ჩინებმა – ბრძოლით, იარაღით როგორ დაამარცხა რუსეთი და ჩინეთიდან განდევნა. რატომ ვერ შევძელით ჩვენ ის, რაც ჩინებმა შესძლეს? როგორ გვაჯობა მტერმა, წაგვართვა აფხაზეთი და შიდა ქართლი? ჩვენ ხომ უკვე 1921 წლიდან ვიცოდით, რომ, თუ საქართველო დამოუკიდებლობას დააპირებდა, რუსეთი მაშინვე წაგვკლევდა აფხაზეთსა და შიდა ქართლს? ამას, დოკუმენტების კარდა, ის მუქარაც ადასტურებს, რომლითაც ლევ ტროცკი საქართველოს უქნევდა თითო 20-იან წლებში – თუ საქართველოს დატოვება დაგვჭირდა, კარებს ისე გავიჯახუნებთ, ქვა ქვაზე აღარ დარჩებაო („ქართული აზრი“, 1971 წ. №87). ეს მუქარა რუსეთმა, აკად. სახაროვის პირით, 80-იანი წლების ბოლოსაც გაიმეორა, საქართველო მცირე იმპერიას და იგი უნდა დაიშალოსო. ვიცოდით ეველათფერი ეს და მაინც თავდაცვა ვერ მოვახერხეთ. რატომ?

მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელში“ გენერალი და ჰოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს ეუბნება:

„– ხელი აიღეთ. შესაძლებელია რუსები გავრეკოთ, მაგრამ ვერ შევიძაგრებთ და ისევ შემოვლენ, ისევ ჩვენს თავადებს მოისყიდინ. ჩვენსავე მ-

მულებს დაურიგებენ და ჩვენზევე ხელით დაგვიმოძრაილებენ. ეს აჯანყება უკანასკნელი გაფრთხილება იქნება ჩამოსწორების ხალხისა“.

როცა მიხეილ ჯავახიშვილი წერდა – „ჩვენზევე ხელით დაგვიმოძრაილებენო“, – მარტო იმას არ გულისხმობდა, რაც განათლებით, ისტორიის შესწავლით იცოდა, არამედ იმასაც, რისი მომსწრეც და მხილველიც თავად იყო. 1921 წლის თებერვალ-მარტოში, როცა რუსეთმა საქართველო ხელმოკრედ დაიპყრო, კარგად მოგეხსენებათ, ოკუპანტი წითელი არმიის არა მარტო მეთაურთა შორის იყვნენ ქართველები მრავლად, არამედ ჯარისკაცთა შორისაც. ისევე მოხდა, როგორც წარსულში ხდებოდა. საქართველოს დასარბევად და ასაწიოკებლად გამოგზავნილ სპარსეთისა და თურქეთის ჯარს უძრავლესჯერ გამაჰმადიანებული ქართველები და სომხები სარდლობდნენ. ისლამშილებულ ბატონებს არც მათი უძებნი ჩამორჩებოდნენ და თავგამეტებული იქნევდნენ ხმლებს ნახევარმთვარისა და მწვანე დროშის გასამარჯვებლად. ეს გაუოფა, ნაწილი აქეთ და ნაწილი იქით, საქართველოს გრძელ ისტორიას წითელ ხაზად გასდევს. იგი, ალბათ, იმის ბრალია, რომ თავისუფლებას სარგებლიანობის არშინით ვზომავდით. იმავე „არსენა მარაბდელში“ ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში სტუმრად თავშეყრილ ქართველ თავადაზნაურობას ჰლატონ იოსელიანი უმტკიცებს: „ზოგი ეშმაკისკენ იყო, ზოგიც – ღვთისკენო. რუსმა ლეკი და თათარი მოგვაშორა, რჯული შეგვანახვინა, იმერეთ-ამერეთი გააერთიანა, ევროპული განათლება მოგვიტანა და კანონი დაადგინა. ახლა ბრძანეთ, რა უფრო მეტია, წავება თუ მოგება?“ ამის საწინააღმდეგო ჰასუსი არავის აღმოაჩნდა იქ მეოფთავან, ალექსანდრე ორბელიანსაც კი, ვისაც ეველაზე გამოკვეთილი ანტირუსული პოზიცია ეჭირა. თუ თავისუფლება აბსოლუტურ ღირებულებად არ მიგაჩნია და მას წავება-მოგების, სარგებლიანობის კუთხით უუურებ, მაშინ, ცხადია, ჰლატონ იოსელიანს ვერ შეედავები.

იმ შეხედულებას, რაც რომანში ჰლატონ იოსელიანის ჰირით ითქვა, წარსულშიც მრავლად ჰყავდა მომხრე და არც დღეს აკლია. ამას ამჟამინდელ ჰრესაში გამოქვეყნებული წერილებიც ადასტურებენ და რუსეთში გახიზნული მოქალაქეებიც, სულერთია, იქნებიან ისინი გემფეტმახერები, ხელოვნების კულტის მსახურნი თუ ნაირ-ნაირ უწყება-დაწესებულებებში შემძვრალ-შეპარული ჩინოვნიკები. როგორც კვაჭი კვაჭანტირაძეს უუვარდა „საქმის გაიმასქნება“, ისინიც წარმატებით „აიმასქნებენ საქმეს“. კვაჭის ანდერძსაც წამდაუწუმ იმეორებენ – „რას ჩააცივდით ერთ მტკაველ საქართველოს, ერთ მუჭა ხალხს!.. გადაჰხედეთ დიდ რუსეთს, მსოფლიოს მეექვსედია, ორას მილიონამდე ხალხი ჰყავს! თუ შნო, უნარი და ხალისი გაქვთ, ფრთები გაშალეთ და ამ უღვევლ სივრცეში ინავარდეთ“.

კვაჭი კვაჭანტირაძე ქართულ ნიჰილიზმს კარიკატურული ფორმით გამოხატავს. ქართული ნიჰილიზმი მარტო კარიკატურის საგანი რომ იყოს,

მაშინ იგი შედარებით ადვილი დასაძლევია იქნებოდა. ჩვენდა სავალალოდ, მას მუარი და გრძელი ფესვები აქვს და, ამასთან ერთად, ჩვენი ვასალური აზროვნების ნაყოფია. ცნება – ვასალური აზროვნება – მარტო იმ პერიოდში ჩამოყალიბებულ აზროვნებას არ გულისხმობს, როცა ქართულმა სამეფო კარმა მფარველისა და თავშესაფრის ძებნა დაიწყო, არამედ ბევრად უფრო ადრინდელსაც. სამკაღლითოდ „ქართლის ცხოვრებას“ მოვიშველიებ. განსაკუთრებით მის იმ ნაწილს, რომლის ავტორად ლეონტი მროველი ითვლება.

„ქართლის ცხოვრება“ ოფიციალური წიგნია. იგი საქართველოს სამეფო კარის იდეოლოგიას გამოხატავს. მაგრამ ბევრჯერ ისეთ მოსაზრებას შეხვდებით, რომელსაც ჰირადად მე ახსნას ვერ ვუძებნი. ვერც ჩვენს მეცნიერ-ისტორიკოსთა ნაშრომებში იზოფონით მეტნაკლებად დამაჯერებელ განმარტებას. ამიტომ ვფიქრობ, რომ ისინი წარმოქმნილნი არიან ვასალური აზროვნების ნიადაგზე. კერძოდ რას ვგულისხმობ?

ვევლას კარგად მოეხსენება, რომ მემატიანე ლეონტი მროველი კავკასიის ხალხებს მძებად მიიჩნევს და მათ მამამთავრად თარგამოსს თვლის. ვევლა კავკასიელი ხალხი ამ თარგამოსის შვილია. მძებს შორის უფროსი ჰაოსია, ანუ სომეხთა თავურწინაპარი. ვევლა მძა გმირია, მაგრამ „ჰაოს უმეტეს გმირი იყო უოველთასა“. ამის მერე იწეება ჰაოსის უნაპირო ქება-დიდება.

„ამათ შუიდათავე გმირთა ზედა იყო განმგებელ და უფალი ჰაოსს“.

„ჰაოს ჰყო თავი თვისი მეფედ მძათა თუისთა ზედა“.

„იუენეს მორჩილ ჰაოსისა“.

ჰაოსმა ასწავლა მძებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. მას ეკუთვნის, მან შთააგონა ვევლას ის დევიზი, რომელსაც ხშირად იმეორებენ ქართულ პოეზიაში.

„აწ შეწეწენითა დამბადებლისათა ვიუენეთ არავის მონა და არავის ვმსახუროთ თუინიერ ღმრთისა დამბადებლისა“.

რას ნიშნავს ეს? რატომ აქვს ქართულმატიანეში ასეთი უპირატესობა მინიჭებული სომეხ ხალხს? ეს სომ მარტო კეთილმეზობლური ურთიერთობის გამომხატველი არ არის. ცხადია, მას უფრო ღრმა შინაარსი აქვს. მაგრამ რა? როგორც გითხარით, მე ვერ ვუძებნი მას სხვა საფუძველს, გარდა ვასალური აზროვნებისა.

ლეონტი მროველი აგრძელებს და გვეუბნება – „აქამოდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს“.

რას ნიშნავს „აქამოდის“? მანამდე, სანამ ნაბუქოდონოსორ მეფე იერუსალიმს ააოხრებდა, ლტოლვილი ებრაელები მცხეთაში მოვიდოდნენ და მცხეთის მამასახლისი მათ ზანავში დასახლებდა. ეს ამბავი კი ძველი წელთაღრიცხვით 605–562 წლებში უნდა მომხდარიყო. რაკი, მეცნიერთა ვარაუდით, სწორედ ამ ხანებში მეფობდა ნაბუქოდონოსორ მეორე, რომელმაც წარტყვევნა

იერუსალიმი და დაატყვევნა ებრაელები. მაშასადამე, ამ დიდი მოვლენის შემდეგ დაუწვიათ ქართველებს ქართულად მეტყველება, თორემ მანამდე თურმე სომხურად ლაპარაკობდნენ. „...ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტყვეს ენა სომხური. და ამით ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული“.

რასაც ქართველი მემატიანე ამბობს, ის მეცნიერული თვალსაზრისით სრული გაუკებრობაა, უფრო მკაცრი სიტყვა რომ არ ვიხმარო. კაცობრიობის ისტორიამ არ იცის, რომ ხალხს ჯერ ერთ ენაზე ელაპარაკოს და მერე მეორე ენაზე ამეტყველებულიყოს. ისტორიამ იცის, რამდენიც გნებავთ, ხალხისა და ენის გაქრობა-მოსპობა, ხალხის სრული ასიმილაცია, მაგრამ ენის გამოცვლისა – არა. შეიძლება ენა განვითარდეს და ამის გამო ნაწილობრივ სახეც იცვალოს. მაგალითად, ძველი ბერძნული და ახალი ბერძნული. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და საფუძვლიანადაც, მაგრამ ორივე ბერძნული ენაა, თავისი ბუნებით, არსით, თვისებით. სომხური და ქართული ენები სწორედ თავისი ბუნებით, არსითა და თვისებით განსხვავდება ერთმანეთისაგან, თორემ ლექსიკურ მარაგში როგორც ერთ, ისე მეორე ენაში უამრავ ბერძნულ, არაბულ, სპარსულ სიტყვას იპოვნით. ეს ბუნებრივი ამბავია. ენები ერთმანეთზე გავლენას ახდენენ. სიტყვები მოკ საურობენ ენიდან ენაში. რამდენი ფრანგული და გერმანული სიტყვაა რუსულში, მაგრამ რუსული რუსულია, ფრანგული ფრანგულია, გერმანული გერმანულია, რადგან ბუნება, არსი და თვისება მათი განსხვავებულია.

ისტორიას რომ იხსენებ, ბუნებრივად გაწვალეებს კითხვა – რაღა მარტო საქართველოში მოხდა ის, რაც არსად მომხდარა? რაღა მარტო ქართველ ხალხს მოუვიდა ის, რაც არც ერთ სხვა ხალხს არ მოსვლია? რატომ წერს ასეთ გაუკებრობას ქართველი მემატიანე? ეს კითხვები მხოლოდ ისტორიული კვლევის საგანი არ არის. ისინი ოდენ ისტორიკოსს ან ენათმეცნიერს არ უნდა აწუხებდნენ. ეს ეველას უნდა აფიქრებდეს. ამაში ქართული ცნობიერების ხარვეზი, ნაკლი მოჩანს და იმიტომ. თუ ამ ძველთაძველ კითხვებზე ჰასუსს ვიპოვნით, შეიძლება დღევანდელი მოვლენებიც უფრო ზუსტად ამოვხსნათ. ისტორიის ჯაჭვი არ წედება. განსაკუთრებით მაშინ, თუ ისტორიულ ჰროცესს ერის თვისება-ხასიათის კუთხით ვუყურებთ. ქართველი თავისი ბუნება-თვისებით, ხასიათით ისეთივეა, როგორიც წარსულში იყო. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ეს წარსული ძალიან შორეულია, თუ შედარებით ახლობელი.

არც ის უნდა იფიქროს მკითხველმა, რომ ეს ძველი ჰრობლემა და ახლა მისი გახსენება არ ღირს. არ არის იგი ძველი ჰრობლემა, თუნდაც იმიტომ, რომ „ქართლის ცხოვრება“ მარად ცოცხალი წიგნია. მას ქართველთა მოდგმის ეველა თაობა კითხულობს და არაერთგზის. იგი ქართველთა არსებობის განუყოფელი ნაწილია. აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი ამბობდა, რომ ქართუ-

ლი კულტურა სამ დიდ ბოძს ეწოდება – „ბიბლიას“, „ქართლის ცხოვრებას“ და „ვეფხისტყაოსანს“. თითოეული მათგანი გამოხატავს იდეოლოგიას, ტრადიციას, კულტურას. ასეთი უკვდავი და მარადიული წიგნი არა მარტო გამოხატავს ერის შესვრულებებს, არამედ ვეღა ეპოქისა და თაობის ადამიანებზე ასდენს გავლენას. ამიტომ აუცილებლად უნდა ამოიხსნას – რატომ არის გაქდენთილი „ქართლის ცხოვრება“ ვასალური აზროვნებით. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერც ქართულმა მეცნიერებამ და ვერც ქართულმა მწერლობამ ეს ვერ მოახერხა. მართალია, არის ჰეროდოტი, როცა საქართველო, ქართველი ხალხი იმარჯვებს და ვასალური აზროვნება თითქოს დავიწყებას ეძლევა, მაგრამ ეს ძალიან მცირე ხანს გრძელდება. არსებითად ერთი საუკუნე, დავით აღმაშენებლის მეფობით დაწესებული ლაშა-გიორგის ზეობით დამთავრებული. მონღოლთაგან დამარცხებულ საქართველოში ისევ აღორძინდა ვასალური აზროვნება და დღესაც არ დამთავრებულა.

ერთი შესვრვით ადვილად გასაგებია რატომ არის ჩვენში ფეხმოკიდებული ვასალური აზროვნება. საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქართველ ხალხს როგორც ქვეშევრდომს, უფრო დიდხანს უცხოვრია, ვიდრე თავისუფალსა და დამოუკიდებელს. რომაელები, ბიზანტიელები, სპარსელები, არაბები, მონღოლები, თურქები, რუსები მონაცვლეობით ბატონობდნენ ჩვენში. თითქმის უწყვეტია ამ ბატონობის ჯაჭვი. ასეთ ვითარებაში ბუნებრივად ეალიბდებოდა ვასალური აზროვნება. მაგრამ ასეთ ვითარებაში სხვა რამეც იბადება – ოცნება თავისუფლებაზე, ლტოლვა თავისუფლება-დამოუკიდებლობისაკენ. დაიბადა კიდევ, მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, თავისუფლების იდეა სომეხთა თურწინაპარმა ჰაოსმა გამოთქვა და არა ქართველთა თურწინაპარმა ქართლოსმა. რა, უცხომ, სხვამ გვასწავლა თავისუფლების ფასი? რატომ ამბობს ამას ქართული კარის იდეოლოგიური წიგნი? ეს არის დამაფიქრებელი. ეს არის თავსატეხი კითხვა.

თუ თავისუფლება ჩვენი შინაგანი სულიერი მოთხვნილება არ ეოფილა, თუ იგი სხვამ შთავინერგა გარედან, მაშინ გასაგებია რატომ ვმარცხდებით ჰერმანენტულად. გასაგებია, რატომ გვიყვარს სილაჩრის კეთილგონიერებად გასაღება.

მე-20 საუკუნის დასასრულს ქართველმა ხალხმა გამანადგურებელი დამარცხება განიცადა. საქართველოს რუსეთმა წართვა აფხაზეთი და შიდა ქართლის დიდი ნაწილი. ეს დამარცხება უფრო დიდა, ვიდრე თურქთაგან სამხრეთ საქართველოს მიტაცება. როცა ამ დამარცხებაზე ვლანარაკობთ, ეოველთვის ცალკეულ ჰირებს ვადანაშაულებთ. ამა თუ იმ ჰირის უპასუხისმკებლო მოქმედება-საქციელს ვაბრალებთ. იმას კი არ ვალიარებთ, რომ ამ დამარცხებაში ვეღა ვართ დამნაშავე.

აბა, დააკვირდით:

ფაქტია, რომ რუსეთი დაგვესხა თავს. ჩვენ ეს არ ვაღიარეთ. რუსეთ-საქართველოს ომი აფხაზეთისათვის მოწინააღმდეგეთ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტად. ამით მოვლენას ნამდვილი შინაარსი გამოვაცხადეთ. საერთაშორისო საზოგადოების თვალში რუსეთი უღანაშულოდ წარმოვადგინეთ. აგრესორს მშვიდობის მომტანის ფუნქცია დავაკისრეთ.

ეს დამოკიდებულება ჩვენი ვასალური აზროვნების ჰირდაჰირი ნაყოფი იყო.

ფაქტია, რომ არსებობდნენ ედ. შევარდნაძის მომხრეები და ზ. გამსახურდიას მომხრეები. ისინი ებრძოდნენ ერთმანეთს. ამით საქართველოს ერთიანი ძალა სუსტდებოდა, დაბუნდებოდა. არ ვმოქმედებდით ჰრინციპით: ჯერ მომხდურნი მტერი დავამარცხოთ ერთიანი ძალით და მერე გავარკვიოთ ურთიერთდამოკიდებულება. ვმოქმედებდით ჰრინციპით: ვისარკებლოთ მტრების შემოსევით და ერთმანეთს ანგარიში გავუსწოროთ.

ფაქტია, რომ საქართველოში არ აღმოჩნდა ძალა, რომელიც მოახერხებდა სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ბანაკების თუნდაც დროებით მორიგებას.

ფაქტია, რაკი საბედისწერო განსაცდელის ჰირისპირ ვერ გავერთიანდით, ერთიანი ძალით ვერ შევებრძოლეთ მტერს, შინაგანი მტრობა-შუღლით გათიშულნი იოლად გავხდით მტრის მსხვერპლი.

ესეც ჩვენი ვასალური აზროვნების შედეგია.

მართალია, ხელისუფლებას ევალება ქვეყნისა და ხალხის დაცვა, მაგრამ ხალხსაც ეკისრება თავისთავისა და მამულის ჰატრონობა. როცა ქვეყანა მარცხდება და მისი ტერიტორიის დაპურობა ხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ვერც ხელისუფლებამ შესრულა თავისი მოვალეობა და ვერც ხალხმა.

ამდენად ეველა დაძნაძვე ვართ. ეს უნდა ვაღიაროთ, თუ გვინდა, რომ მომავალში მაინც მოვირეცხოთ დამარცხების სირცხვილი. მაგრამ ამას ვერ მოვახერხებთ, თუ ვასალური აზროვნებისგან არ გავთავისუფლდით.

მარბან, 27 სექტემბერს ტელეჟურნალისტი ქუჩაში გამვლელ-გამომვლელ ახალგაზრდებს ეკითხებოდა - 27 სექტემბერს საქართველოს ისტორიის რა მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდაო. ახალგაზრდები მხრებს იჩინავდნენ და დაბნეული ჰასუხობდნენ - არ ვიცითო. ზოგიერთი აბუხადაც იგდებდა ჟურნალისტს და ეუბნებოდა - არ ვიცდი და არც მაინტერესებსო.

ქვეყანა ამა თუ იმ ჰირის (თუნდაც უმაღლესი ხელისუფალის) უჰასუხის-მკებლობის, უუნარობის, უმღურობის გამო კი არ მარცხდება, არამედ მისი მოქალაქეების ღიანგური გუღგრილობის შედეგად. ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ არსებობენ ცალკეული ადამიანები, რომელნიც დაუფიქრებლად წირავენ მამულს სიცოცხლეს. რა თქმა უნდა, არსებობენ. ისინი იყვნენ და არიან დღესაც. ეს აფხაზეთისათვის რუსეთ-საქართველოს ომშიც მკაფიოდ გამოჩნდა. მაგრამ

ცალკეული არ კმარა. არის დრო, როცა ერთ ერთ მუშტად უნდა იყოს შეკრული. ერთი და ბერი, მოხუცი და ახალგაზრდა, ქალი და ვაჟი ერთ ფიქრს უნდა ფიქრობდეს და ერთ საქმეს აკეთებდეს. სხვაგვარად იგი გამარჯვებას ვერ მოიპოვებს.

როცა საკუთარი სამშობლოს ბედ-იღბლის მიმართ მოქალაქე საერთოდ გულგრილია, მაშინ მას, ცხადია, სრულებით არ აწუხებს – იცის თუ არა თავდაცვის მინისტრმა ქართული. ამას მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. გინდ იცოდეს, გინდ არა. ეს გულცივი, სულერთია დამოკიდებულება ვასალური აზროვნებისაგან მომდინარეობს. იმასაც კი არავინ აქცევს ყურადღებას, რა სასაცილო მდგომარეობაში ვვარდებით. საქართველოს მოქალაქე ვერ განდები, თუ ქართული ენა არ იცი, მაგრამ თავდაცვის მინისტრი კი შეიძლება იყო.

ერთი ამბავი მახსენდება. 60-იანი წლების დასაწყისში მწერალთა და ხელოვანთა დიდი კრება ჩატარა საქართველოს კომპარტიის ცე-მა. მოხსენებით თავად ვასილ მუჟანაძე გამოვიდა. ამ კრებაზე სიტყვა კონსტანტინე გამსახურდიამაც თქვა. როცა 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, – ამბობდა მწერალი – და საქართველოს სათავეში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღზრდილი პოლიტიკოსები ჩაუდგნენ, ხოლო ქართული არმიის მეთაურად რუსეთის არმიის ქართველი ოფიცრები და გენერლები მოიწვიეს, მე საჯაროდ განვაცხადე – ვისაც რუსულ სკოლაში უსწავლია, ის რუსს თოფს ვერ ესვრის-მეთქი. აკი ვერც ესროლეს.

მაქსიმალისტური განცხადებაა, მაგრამ არსით მართალი. მაშინაც და დღესაც ვითარება გვაიძულებს, რუსეთის არმიის ქართველ ოფიცრებსა და გენერლებს ჩავაბაროთ ქართული არმიის ბედი. სხვაგან აღზრდილი სამხედრო პირები არ გვევს და იმიტომ. მაგრამ ერთ რამეს აუცილებლად უნდა ვითვალისწინებდეთ. ქართული არმია დღეს უაღიბდება. იგი ქართული სახელმწიფო ცნობიერებით, აზროვნებით, იდეოლოგიით უნდა ჩამოყალიბდეს. ამას ცნობიერებით რუსი გენერალი ვერ გააკეთებს. არა იმიტომ, რომ არ უნდა, არამედ იმიტომ, რომ არ შეუძლია. ცნობიერება ხელწამოსაკრავი საქმე არ არის. წარმოუდგენელია კაცმა იგი თვალის დახმამებაში სხვაგვარი განხადოს. შეიძლება საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ჰაოსივით თქვას – ვიყენეთ არავისა მონა და არავის ვმსახუროთ – მაგრამ ამას რუსეთის პოზიციიდან იტყვის და არა რუსეთის საწინააღმდეგოდ, ისევე, როგორც ჰაოსი თავისუფლებისაგან სომხეთის პოზიციიდან მოუწოდებდა და არა საქართველოს.

ჩვენ კი დღეს ის არმია გვჭირდება, ვისაც რუსეთის არმიასთან შეეძლება ბრძოლა. საშიშროება რუსეთის მხრიდან არ გამქრალა. 24 თებერვლის ტელერადიო კორპორაციის მოსკოვის ბიუროს მიერ მომზადებული გადაცემა აჩვენებს. ტელეჟურნალისტს გიორგი მერკვილიშვილს ეუბნებოდა ტვინ-დასეტყვილი ჟირინოვსკი: საქართველოს დანაკუწება ჯერ არ დამთავრებულა. აჭარას თურქეთი წაიღებსო, ჯავახეთს – სომხეთი, აზერბაიჯანელებით დასახ-

ლებულ ტერიტორიას – აზერბაიჯანი. ქუთაისიც კი არ შეგრჩებათ. იგი სამეგრელოს სახელმწიფოში შევაო. შევარდნაძე თბილისის კომუნდანტი დარჩებაო. ეს სასაცილოდ ვარეგნულად ჟღერს, თორემ შიგნით დიდ ხიფათს შეიცავს. ჟირინოვსკი მარტო იმას კი არ ამბობს, რასაც თავად ოცნებობს, არამედ რუსეთის ხელისუფლების გეგმასა და მიზანს ამჟღავნებს. ხომ აგვიხდა ანდრია სახაროვის „წინასწარმეტყველება“, ასევე აგვიხდება დედით რუსისა და მამით იურისტის „წინასწარმეტყველება“, თუ ჭკუით არ მოვიქცევით.

ასეთ ვითარებაში არაფრით არ შეიძლება ვასაღური აზროვნება.

საქართველო ბევრჯერ უოფილა მძიმე განსაცდელში, მაგრამ ასე თუ ისე თავი დაუღწევია. მაგრამ ეს ცრუ იმედის უფლებას არ გვაძლევს. ახლა სრულიად სხვა დროა. ძველად დამპყრობელი პრიმიტიული იარაღით – ხმლით, ისრით, შუბით მოდიოდა. დღეს მოდის არა მარტო უნივერსალური იარაღით, არამედ უნივერსალური კულტურული საშუალებებითაც, რადიო, ტელევიზია, პრესა. უცხოური უნივერსალური კულტურის შემოტევას ვასაღური აზროვნებით ვერ გაუძლებ. მართალია, უცხოურის დაფასება უნდა იცოდეთ, მაგრამ საკუთარი ღირსება არ უნდა დაკარგო. უცხოური უნდა ისწავლო, მაგრამ არა საკუთარი ღირსების უარყოფის ხარჯზე.

1921 წელსაც და 90-იან წლებშიც საქართველოს დამოუკიდებლობათვის უფლებას სამი დაუძინებელი მტერი ჰყავდა – რუსეთის იმპერია, კომუნისტური რეჟიმი და ვასაღური აზროვნება. მაგრამ განსხვავებაც არის. თუ 20-იან წლებში სამივე მტერი – რუსეთის იმპერიაც, კომუნისტური რეჟიმიც და ვასაღური აზროვნებაც – უძლიერესი იყო, 90-იან წლებში ძველი ძალმოსილებით მხოლოდ ვასაღური აზროვნება არსებობს. დანარჩენი ორი – რუსეთის იმპერია და კომუნისტური რეჟიმი – კაპიტალისტური სამყაროს პოლიტიკის შედეგად უკვე ძირგამოთხრილია. კაპიტალისტურმა სამყარომ რუსეთის იმპერიასა და კომუნისტურ რეჟიმს მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენა, დაშალა და დაანგრია. მიუხედავად ამ ვითარებისა, საქართველო მაინც დამარცხდა. ეს კი ძირითადად ჩვენი ვასაღური აზროვნების ბრალი იყო.

ახლა უმთავრესი ამოცანა ვასაღური აზროვნებისაგან განთავისუფლებაა. იგი ხელ-ფეხს გვიკრავს, სასოწარკვეთილებაში გვაგდებს, გვაიძულებს სხვის იმედად ვიყოთ, საკუთრის არ გვჯეროდეს. თუ ვასაღურ აზროვნებას თავს დაუაღწევთ, მაშინ ჩვენ თავს დატეხილი პრობლემების მოგვარება შესაძლებელი გახდება – მსხვილმანისაც და წვრილმანისაც.

1997 წ., მარტი

ლილი საშრომხე

რუსეთ-ბელორუსიის „სოიუსის“ შექმნით რუსეთის იმპერიის აღდგენა დაიწყო. ეს სრულიად ცხადი და ნათელია ეველასათვის, ვინც განკეპს არ იბრძავეს თვალებს და არ იურუებს თავს (რა გამოვა აქედან, ეს სხვა საკითხია). მალე ეველა უოფილ მოკავშირე რესპუბლიკას აიძულებენ შეუერთდეს ამ „კავშირს“.

მინსკში მომხდარმა მოვლენებმა ნათელყო, რომ რუსეთ-ბელორუსიის კავშირის შესანარჩუნებლად არ დაიშურებენ არც მათრახებს, არც კეტებს და არც ტუფებს.

უოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ერთადერთი ქვეყანა უკრაინაა, რომელსაც შეუძლია არსებითი წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთის ამ ძალადობას. იგი დიდი და მძლავრი სახელმწიფოა. არმიაც ძლიერი ჰქავს (თითქმის ნახევარი საბჭოთა არმიისა მას დარჩა). სამხედრო მრეწველობაც აქვს. მას თავის გადარჩენის უნარიც შესწევს და სხვასაც შეუძლია დაეხმაროს, მაგრამ ერთი ეჭვი ღრღნის გონებას: ჰანსლავისტური ძმობის სახელით ხომ არ დათმობს უკრაინა დამოუკიდებლობა-თავისუფლებას? დღეს ძნელია ამის ჰასუხი. ვნახოთ რას იტუვის უახლოესი მომავალი.

რუსეთ-ბელორუსიის „სოიუსი“ მეტისმეტად ართულებს საქართველოს ბედ-იღბალს. რეალური საფრთხე არსებობს იმისა, რომ ხელისუფლებამ ვამალეებული ჰროზაგანდა დაიწყო: არიქა, შეუერთდეთ რუსეთ-ბელორუსიის კავშირს, მაშინ აფხაზეთისა და შიდა ქართლის დაბრუნებას წინ აღდარაფერი აღუდგებაო. მტკნარი სიცრუე იქნება ეს. თუმცა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი კი შეიძლება გააბრიუვოს. გაიხსენეთ: „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“ იმ დაპირებით შეგვათრიეს, რომ აფხაზეთსა და შიდა ქართლს დაგვიბრუნებენო. შესვლით კი შევედით, მაგრამ დაბრუნებით არაფერი დაუბრუნებიათ. გაცუსტურაკებულნი დაფრჩით. ხელში ხვიმტი შეგვრჩა. როგორც იყო წართმეული აფხაზეთი და შიდა ქართლი, ისევე დარჩა.

მიაქციეთ უურადლება იმას, რომ ახალ „კავშირს“ რუსეთი იმ ჰრინციპით

არ ააგებს, როგორითაც სსრკ იყო ამყენებული. მოგვსენებთ, სსრკ ფედერაცი-
ული სახელმწიფო იყო, მაგრამ ფედერაციის ერთეულებს სხვადასხვა, არათანა-
ბარი სტატუსი ჰქონდათ. მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი უფრო მაღალ
საფეხურს წარმოადგენდა, ვიდრე ავტონომიური რესპუბლიკისა. ავტონომი-
ური ოლქის სტატუსი კი უფრო დაბალი იყო, ვიდრე ავტონომიური რესპუბ-
ლიკისა და ა.შ. ახალ „კავშირში“, რომელსაც ფუძე რუსეთ-ბელორუსიის
„სოიუზით“ ჩაეყარა, ფედერალური ერთეულები დიფერენცირებული არ
იქნებიან. ეველას თანაბარი სტატუსი ექნება. ამას იქიდან ვასკვნი, რომ, ჯერ
ერთი, სსრკ-ის დროინდელ სახელმწიფო სტრუქტურას არაფრით არ გაიმეო-
რებენ და, მეორეც, ამგვარი ფედერალური სახელმწიფოს შექმნას ჯერ კიდევ ან-
დრია სახაროვი სთავაზობდა მიხეილ გორბაჩოვს. აპირებდა კიდევ გორბა-
ჩოვი მის განხორციელებას, მაგრამ ვერ მოასწრო ჰირადი მტრობის გამო (გახ-
სოვთ, ალბათ, გორბაჩოვმა ელცინი მოსკოვის ქალაქკომის მდივნის ჰოს-
ტიდან გააგდო), ელცინმა უმუხთლა გორბაჩოვს. კვანტი დაუდო და ტანსტიდან
ჩამოაგდო. ბელორუსიაში, ბელოვეჟსკაია ჰუშჩაში რუსეთის, უკრაინის და ბე-
ლორუსიის ბელადებმა სსრკ-ის დაშლის კომედია გაითამაშეს. იქვე საიდუმ-
ლო ფიცის დადეს: ისევ აღედგინათ რუსეთის იმპერია. ახლა უკვე საქმით შეუდგნენ
ფიცის განხორციელებას. ტყუილად ხომ არ არიან სიხარულით აჭყელოპინე-
ბულნი მამალი კომუნისტები: ზუგანოვი, სელენოვი, პრიმაკოვი – ისევ
„სოიუზში“ ვცხოვრობთ.

ფედერაციის ერთეულების სტატუსის გათანაბრება ახალი „კავშირის“
დულაბად უნდა გამოიყენონ.

თუ აფხაზეთი ახალ „კავშირში“ ისეთივე სტატუსით შევა, როგორითაც
საქართველო, მაშინ აფხაზეთი ვეღარ იქნება საქართველოს ნაწილი. იგი ცალკე
ფედერალური ერთეული გახდება. მოსკოვის მაღლიერი აფხაზეთი საქართვე-
ლოს არც ერთ წინადადებას არ დათანხმდება.

სტატუსების გათანაბრების შემთხვევაში ჩრდილოეთ ოსეთი ცალკე არ
გახდება ახალი „კავშირის“ წევრი. მან უნდა მიიერთოს „სამხრეთ ოსეთიც“ და
ერთიანი სახელით – ალანია – შევიდეს ახალ „კავშირში“. ამ გაერთიანებით,
ანუ ქართული მიწა-წყლის მითვისებით, კმაყოფილი ალანია სამუდამოდ რუსე-
თის უურმოჭრილი ემა გახდება. საქართველოს „მეკობარი“ ოსები მაღლის
ეფუდაც არ ჩათვლიან ჩვენს წუწუნს საქართველოს ტერიტორიულ
მთლიანობაზე.

უნდა თუ არ უნდა ეს, აჭარაც, რაკი ავტონომიური რესპუბლიკაა, ისეთ-
სავე ვითარებაში აღმოჩნდება, როგორშიც აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“.
აჭარამ ან უარი უნდა თქვას ავტონომიურობაზე და, როგორც საქართველოს
ღვიძლი ნაწილი, შევიდეს რუსეთ-ბელორუსიის „სოიუზში“, ან ცალკე –
სხვებთან გათანაბრებული ახალი სტატუსით. რას აირჩევს აჭარა, მაშინ გამოჩნ-
დება, როცა რეალურად დადგება ახალ „კავშირთან“ შეერთების პრობლემა. ეს

ზრობლება რომ უახლოეს ხანებში დადგება, ამაში შეიძლება ის კაცი დაეჭვდეს, ვინც ან უსამუელოდ მიაძიტია, ან უნუგეშოდ აბუეტტი, ან თვალთმაქცია, რომელსაც ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა ეოცნებება.

ასეთი ხიფათი შეუქმნა საქართველოს რუსეთ-ბელორუსიის „სოიუსის“ ჩამოყალიბებამ. რა მოხდება, თუ საქართველო გაჯიუტდა და არ შეუერთდა ახალ „კავშირს“? მაშინ დაიწყება იმ გვეგის განხორციელება, რომელიც აქვს რუსეთის ხელისუფლებას საქართველოს მიმართ. ეს გვეგა კარგადაა ცნობილი საზოგადოებისათვის. დაშინების მიზნით იგი „ნეზავისიმაია გაზეტამ“ დაბეჭდა და ქართულად გამოაქვეყნა „საქართველოს რესპუბლიკამ“ (1997 წლის 27 მარტი):

„... აფხაზეთის ბლოკადის მოხსნა, ხოლო შემდეგ მისი ეკონომიკური აღორძინების ღონისძიებანი საშუალებას მოგვცემს გავაერთიანოთ მთელი არაფაინახური ჩრდილოეთ კავკასია რუსეთის პოლიტიკის მიზნების გარშემო საქართველოს ხარჯზე. ხელი შევუწყოთ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთს შორის ურთიერთობის გამტკიცებას. წავაქეზოთ სეპარატისტული ტენდენციები აჭარაში. გარდა ამისა, შესაძლოა ვაგრძობინოთ ერევანს, რომ თუ საქართველო განაგრძობს ანტირუსეთულ გეზს, სომხეთი შეძლებს დე-ფაქტო შეიერთოს რეგიონი, რომელიც ცნობილია სომხურად „ჯავახქ“ -ის და ქართულად „ჯავახეთის“ სახელწოდებით“.

უფრო მკაფიოდ და ნათლად როგორღა უნდა ითქვას რუსეთის მიზნებსა და გეგმებსე საქართველოს მიმართ?

ხედავთ, რა რთული ვითარება შეიქმნა და როგორ ჩიხში მოექცა საქართველო? შეუერთდება თუ არ შეუერთდება ახალ „კავშირს“, ტერიტორიას მანც წაართმევენ.

დასაშვებია, მკითხველმა იკითხოს – თუ საქართველოს ასეთი გარდაუვალი უბედურება ელის, როგორ უნდა მოიქცეს იგი? ამ კითხვის ნაჩქარევ-ნაუსებათვეი პასუხი არ ივარგებს. იგი მშვიდად, დაფიქრებით, მტკიცე ნებით უნდა მოიძებნოს, მაგრამ ერთი რამ უკვე ცხადია: ტერიტორიის დროებითი დაკარგვის შიშმა (ისედაც ხომ წართმეულა) საქართველო არ უნდა დააბნიოს, უკზოუკვლოდ ბორიალი არ უნდა დაიწეოს (უკზოუკვლო ბორიალმა და სულწასულობამ სანამდე მიგვიყვანა, დღეს ხომ ნათლად ჩანს). საქართველო არამც და არამც არ უნდა შეუერთდეს რუსეთ-ბელორუსიის „სოიუსს“, თორემ მესამედ შეიძლება გაიჭედიტოს რუსეთის იმპერიის ნახვრევებეკვემ.

ზემთ სიტევა – დროებითი – შემთხვევით არ მიხმარია. ახალი მცდელობა რუსეთის იმპერიის აღდგენისა რუსეთისათვის და იმათთვის, ვინც მას შეუერთდება, სრული კატასტროფით დამთავრდება. ამას ნურავინ ჩათვლის წინასწარმეტეველებად. ტუეილად ნუ დაიწყებს კბილების კრეჭას. ეს მარტივი შედეგია ისტორიის მსვლელობისა. კოლონიალიზმის ისტორია მე-20 საუკუ-

ნეში დამთავრდა. ოცდამეერთე საუკუნე სულ სხვა მოვლენების საუკუნე იქნება. თუ ოცდამეერთე საუკუნეში რუსეთი შევა, როგორც კოლონიურ-იმპერიული სახელმწიფო, იგი ისევ გადაუხვევს კაცობრიობის განვითარების გზატკეცილს და უსარმაზარ უფსკრულში გადაიჩენება, საიდანაც ამოსვლა შეუძლებელი იქნება.

რუსეთმა ერთხელ უკვე გადაუხვია კაცობრიობის განვითარების ძირითად გზას 1917 წლის ოქტომბერში. უთავბოლოდ იხეტიალა სოციალიზმის ორ-ლობეში მანამ, სანამ სამარცხვინოდ არ დაირღვა და არ დაიშალა. თავის თავსაც და სხვასაც განუზომელი და აუწონელი უბედურებანი მოუტანა. ბევრად უფრო უარესი შედეგი ექნება რუსეთის იმპერიის აღდგენის ახალ მცდელობას. რუსეთის ცარისტული იმპერია ძალადობას, იარაღს, ჯარს ეწოდებოდა.

რუსეთის კომუნისტურ იმპერიას სამიერკვლად სამხედრო ძალაც ედო და იდეოლოგიაც – სოციალიზმი და ათეიზმი.

დღევანდელ რუსეთს არა აქვს არავითარი იდეოლოგია. სამხედრო თვალსაზრისითაც უძლური აღმოჩნდა. ეს ცხადლივ დამტკიცა ავღანეთმა და ჩეჩნეთმა. ორივეგან დამარცხდა. იძულებული გახდა კუდამოძულებული დაბრუნებულყო შინ. რუსეთის თერმობირთვული იარაღი მოუვლევლობისა და უპატრონობისაგან ისე დაიქანკა და დაობდა, რომ „ზედ მუკუსალი დაადო, მინც არ გავარდებო“.

დაიშალა და დაირღვა რუსეთის ცარისტული იმპერია.

დაიშალა და დაირღვა რუსეთის კომუნისტური იმპერია.

თუ რუსეთის ორი იმპერია, რომელთაც ძალაც ჰქონდათ და იდეოლოგიაც, დაიშალა და დაირღვა, რაღა მოუვა ახალ იმპერიას, რომელსაც არც ძალა აქვს და არც იდეოლოგია? ცხადია, მისი ხანმოკლე არსებობა გარდაუვალი კატასტროფით დამთავრდება.

რუსეთის იმპერიის ახალი აღდგენის მცდელობა, ერთი მხრივ, გაუგონარი უკუნურებაა და, მეორე მხრივ, დიდი უბედურებით იმუქრება.

საქართველო, რამდენადაც შესაძლებელია, შორს უნდა იდგეს ამ უკუნურებისა და უბედურებისაგან.

1997 წ., აპრილი

რომ არ ამოშრამს ხალხში ნალჴელი...

(ნაწევები გამოსაცემი წიგნიდან „გადარჩენა“)

ასეთი ბედი ერგო: როცა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აზვირთდებოდა, ალექსანდრე ბატონიშვილის სახელიც გაცოცხლდებოდა და მისი სურათიც მაშინვე გამოჩნდებოდა. მაგრამ საკმარისი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩაფერფვლა-ჩანახლება, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის სახელიც და ხსოვნაც დავიწყებას მისცემოდა.

ასლაც, 80-იანი წლების ბოლოსაც ასე მოხდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველსავე მიტინგზე გამოიტანეს ალექსანდრე ბატონიშვილის პორტრეტი. მართალია, თითო-ოროლა მომიტინგემ თუ იცოდა, ვინ იყო ეს გრძელწვერიანი, წოწოლაქუდიანი კაცი, რომელიც გარეგნობით უფრო სპარსელს ჰგავდა, ვიდრე ქართველს, მაგრამ გუჴმანით ყველა მიხვდა, რომ ამ უცნობ ადამიანს მთელი ცხოვრება რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჰქონდა დახარჯული.

ერეკლე მეორის შვილებსა და ბადიშებს შორის, სოლომონ მეორესთან ერთად, ალექსანდრე ბატონიშვილი იყო იგი, ვინც არაფრით არ შეეკუა საქართველოს სამეფოს გაუქმებას. მანამდე ებრძოდა რუსეთს, სანამ პირში სული ედგა. სადაც რუსეთის წინააღმდეგ თოფი გავარდებოდა, ქართველი ბატონიშვილიც იქ იყო. სადაც კი ქართველობა რუსთა წინააღმდეგ აჯანყდებოდა, მთიულეთში იქნებოდა ეს თუ კახეთსა და იმერეთში, ყველგან მას ეპატოქებოდნენ მეფედ. ალექსანდრეც იქით მიემურებოდა დაუყოვნებლივ. ერთადერთ ვნებას, რუსეთის დამარცხების ვნებას ჰგავდა შეპურობილი. აღარ ახსოვდა აღარაფერი, არც ოჯახი, არც და-ძმანი, არც ნათესავ-ახლობლები. შინ თუ გარეთ, ყველგან, – ქართლ-კახეთსა თუ ჩიჩნეთ-დაღესტანში, უარაბაღსა თუ სპარსეთში – მოკავშირესა და თანამდგომს დაეძებდა. ჰოულობდა კიდევ. ჯარსაც აუალიბებდა, მაგრამ, ვერა და ვერა, რუსეთის დამარცხება ვერ შესძლო. ყველა ბრძოლა უნუკე-შოდ წაავო. თავისას კი მანაც არ იძლიდა. ჯიუტად სჯეროდა, რომ, სპარსეთის

დახმარებით, რუსეთს საქართველოდან განდევნიდა, სამეფოს აღადგენდა და მამა-პაპეულ ტახტს დაიბრუნებდა.

უკვე ხანდაშემული კაცი იყო, ორმოცდაათი წლისა, ოჯახს რომ მოეკიდა. ცოლად სომეხი ვაჭრის სააკ ალამალიანის თექვსმეტი წლის ასული მარიამი შეირთო. მარტო ქალის მომაჯადოებელი სილამაზე არ ეოფილა ალექსანდრე ბატონიშვილის არჩევანის საფუძველი. ამ ქორწინებას პოლიტიკური სარჩულიც ედო: ქართველთა და სომეხთა გაერთიანება რუსეთის წინააღმდეგ.

ალექსანდრეს სულ ძალე მოუხდა ემაწვილი თანამეცხედრის დატოვება. ერთხელ და სამუდამოდ ამორჩეული მიზანი და ბრძოლის ველი უხმობდა. ქმარს მონატრებული მარიამ ალამალიანი შინ რომ ცრემლად იღვრებოდა, მისი სიბერეშეპარული, მაგრამ მოუდრეკელი ქმარი ომში უწეალოდ ანთხევდა სისხლს. არც თავს იზოგავდა და არც სხვას უფრთხილდებოდა. სომეხი ვაჭრის ასული მთელი სულითა და გულით ეხმარებოდა უიღბლო ქართველ უფლისწულს. ფული იყო საჭირო, ფულს შოულობდა, იარაღის უიღვა იყო საჭირო, იარაღს უიღულობდა, მეომრების დაქირავება იყო საჭირო, მეომრებს ქირაობდა. ისიც ისეთივე უტეხი ნების პატრონი აღმოჩნდა, როგორცაც მისი ქმარი იყო. მაშინაც კი არ დაუკარგავს რწმენა, როცა ქართველი რუსეთუძემების გაუიღული, რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორის ტყვე და მძევალი აღმოჩნდა, შვილთან ერთად. ურყევად სჯეროდა, რომ თბილისში აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა დედოფლად დაბრუნდებოდა.

უღმობელი დრო ზანტად მიედინებოდა. სიბერით ჯანგატეხილი ალექსანდრე მარტომარტო დარჩა. ეველა შემოეცალა. მე-19 საუკუნის ორმოცდანი წლების დასაწყისში თეირანის ქუჩებში ხშირად შეხვდებოდით თურმე უსახლკარო, ღარიბ-ღატაკ, მშიერ-მწუწურვალ ბერიკაცს, რომელსაც, რაც ებადა, ერთი მიზნისათვის შეეწირა, მაგრამ ამაოდ. ძველებური ცეცხლი მხოლოდღა თვალებში შერჩებოდა, ისიც მაშინ, როცა შვილს ახსენებდა. შვილი, რომელიც პაპის სახელს – ერეკლეს – ატარებდა, რუსეთში ეგულებოდა. იმედოვნებდა: იქნებ მისი დაწეებული საქმე ერეკლე მცირეს გაეგრძელებინა. ესეც ფუჭი ოცნება იყო. ერეკლე ალექსანდრეს ძე ბუნებით მშვიდი და წყნარი კაცი აღმოჩნდა, რუსეთის იმპერატორის ერთგული. იგი ადვილად შეეთვისა რუსი გენერლის მუნდირს. იშვიათად თუ მოაგონდებოდა რომ მისი წინაპრები საქართველოს მეფენი იყვნენ.

ცრუ ოცნება კვებავდა ალექსანდრე ბატონიშვილის სულს მანამ, სანამ უფალმა არ მიიხმო და მისი ნატანჯ-ნაგვემი სხეული თეირანში სომხური ეკლესიის ეზომ არ მიიბარა.

მართალია, ალექსანდრე ბატონიშვილმა რუსეთის დამარცხება ვერ მოახერხა, მაგრამ ის კი შესძლო ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სიმბოლო გამხდარიყო.

როგორც ახლა, მაშინაც უპირველესად ეს კაცი გაახსენდათ, როცა 1921

წლის თებერვალ-მარტში დამოუკიდებელი საქართველო დამარცხდა და ისევ რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა.

ამ გახსენებას მკაფიო მიზანი-ანგი ჰქონდა: თავისუფლება- დამოუკიდებლობის იდეის გადარჩენა.

ვითარება საქართველოში მეტად რთული გახდა. ეროვნულ საკითხზე ღია, გულახდილი საუბარი აიკრძალა. კომუნისტური პარტია და პროლეტარიატი მსოფლიო რევოლუციასზე ოცნებობდნენ. დედამიწის ზურგზე კაპიტალიზმი უველგან უნდა დაემხოს და სოციალიზმი დამეარდეს. როცა ასეთი მისწრაფება ბატონობს, ეროვნულ პრობლემაზე ზრუნვა-ფიქრი არა მარტო ჩამორჩენილობად მიიჩნიათ, არამედ – დანაშაულადაც.

არც შეიარაღებული ბრძოლით გამოდის რამე. ეველა შეთქმულება გამქლავებულია. ეველა ამბოხი სისხლში ჩახრჩობილი. ვერც 1924 წლის აკვისტოს აჯანყებამ გამოიღო დადებითი ნაყოფი. ისიც დამარცხდა. ეველა, ვინც ეროვნულ მოძრაობას თავკაცობდა, დაპატიმრებულია, გადასახლებულია, დახვრეტილია. ეველა ექვმიტანილი განწირულია. არავინ დაემებს, მართლა ჩაიდინა დანაშაული თუ არა. საყოველთაო შიშმა და განუკითხაობამ უნდა დაისადგუროს. შიშით გონდაკარგული ადამიანების მართვა იოლია. საითაც გინდა, იქით გარეკავ. რაც გინდა, იმას დაგიჯერებს. რასაც მოისურვებ, იმას გააკეთებინებ. ამგვარ სიტუაციაში სიტუვა ღირებულებასა და მნიშვნელობას კარგავს. მას აღარ ძალუძს ადამიანთა დარაზმვა და წარმართვა. ეოველნაირ სიტუვას გულგრილად და დუმილით ხვდება ხალხი. მაგრამ აუცილებელია დამოუკიდებლობა-თავისუფლების იდეის გადარჩენა, შთამომავლობისათვის შენახვა, ანუ საჭიროა მზის სხივებში დამწვარი ჩიტის ლეკენდის არსებობა, – როგორც თქვა ეს სასამართლო პროცესზე 1924 წლის აკვისტოს აჯანყების ერთ-ერთმა მეთაურმა იასონ ჯავახიშვილმა.

„ჩვენ ვიბრძოდით დამოუკიდებლობისათვის, აჯანყება წავაკეთე და ისინი, ვინც ამ აჯანყებას ვმესვეურობდით, წავალთ გოლგოთაზე.“

მაგონდება ერთი არაბული ლეკენდა: მზემ აღარ გამოანათა და დაიკარგა. სიბნელეს ვერ შეეგუა ერთი ჩიტი, რომელმაც მიზნად დაისახა ქვენიერებისათვის მზე დაებრუნებინა. ამ მიზნით მან დაიწყო ფრენა სულ ზევით და ზევით და მიაგნო მზეს. აღარ მახსოვს, მისცა თუ არა ჩიტმა მზე ქვენიერებას... თვითონ ჩიტი კი დაიღუპა. ის დაიწვა მზის სხივებში“.

დამოუკიდებლობა-თავისუფლების იდეის გადარჩენის და შენახვის მიზნით შემოვიდა 20-იანი წლების ქართულ მწერლობაში ალექსანდრე ბატონიშვილის სახე. ეს ამჟამად და ღიად თქვა ტიცთან ტაბიძემ.

„მე მრჩება მხოლოდ ერთი ანდერძი,
რომ არ ამოშრეს ხალხში ნაღველი
ბატონიშვილის ალექსანდრესი“.

ვასილ ბარნოვიც იმისათვის წერს ჰატარა მოთხრობას „ისკანდერი“, „რომ არ ამოშრეს ხალხში ნაღველი ბატონიშვილის ალექსანდრესი“.

მოთხრობის შინაარსი ასეთია: მამა-შვილს — ერეკლე მეორესა და ალექსანდრე ბატონიშვილს შორის კონფლიქტია. აღმოსავლეთ საქართველოს მეფეს დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლები ეწვივნენ. მათ დიდი მისია აქვთ. უნდა სთხოვონ ერეკლე მეორეს საქართველო გააერთიანოს, ორივე ნაწილის მეფე გახდეს. ერეკლე მეორე უარს ამბობს: „მე უკვე მოვიწვიე რუსი საქართველოს მფარველად. ჩემი სიკელი ხელში აქვთ. ნაწილი ჯარისა კიდევ გადმოვიდა საზღვარს და სიტყვის შეცვლა შეუძლებელია. ისიც მეტი მომივიდა, კრება გავმართე და უსაბამო თქმები მოვისმინე“.

დასავლელ ქართველთა დელეგაცია გაწვილებული გაბრუნდა უკან. ბატონიშვილი ალექსანდრე აღაშფოთა მამის საქციელმა. იგი გაერთიანების გულმხურვალე მომხრე იყო. დედოფალმა დარეჯანმა ვერ შეარიგა წაკიდებული მამა-შვილი. ალექსანდრემ სამეფო კარი მიატოვა და სპარსეთში გადაიხვეწა. აქ ლტოლვილი ბატონიშვილი სპას უერის თავს. იგი ბრუნდება სამშობლოში. აღაზნის ჰირას, ნიახურასთან, უერთდება ჩრდილოკავკასიელთა ჯარს, რომელსაც ავარიელი ომარი და ჩერქეზი უცი მეთაურობენ. ქართულ-ჩერქეზულ-ავარიულ-უარაბაღულმა ჯრელმა ჯარმა ბრძოლა უნდა გაუმართოს და დამარცხოს რუს-ქართველთა ერთიანი არმია.

ნიახურასთან ბრძოლაში ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი მომხრეები დამარცხდნენ, გაიმარჯვა რუს-ქართველთა ჯარმა. ბრძოლაწაგებული უფლისწული უკან გაბრუნდა სპარსეთში.

მოთხრობა მთავრდება: ალექსანდრე ცოლ-შვილს ისტუმრებს საქართველოში. „ — მე რომ აღარ ვიქნები, აქ ცხოვრება არ იქნება შენთვის სიხარული. წადი სამშობლოში, აღსარდე შვილნი ერის სამსახურად“, — ეუბნება იგი უკანასკნელად ცოლს.

ეს ეპიზოდი ისტორიულად არ არის მართალი. ნიახურას ბრძოლის დროს, 1800 წლის ნოემბერში, და მერეც, ბარე ოცი წლის მანძილზე, ალექსანდრეს არ ჰყოლია ცოლ-შვილი. არც მოთხრობაა მხატვრულად მძლავრი. სუსტია, მაგრამ, როგორც ფაქტს, ის მნიშვნელობა აქვს, რომ მასში ერთი მოტივია, რომელიც მაშინაც მნიშვნელოვანი და არსებითი იყო და დღესაც: თავისუფლება-დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გამუდმებით უნდა მიმდინარეობდეს, ოღონდ, ვითარებისდა შესაბამისად, ხან იარაღით და ხან შრომით. როცა „ისკანდერი“ იწერებოდა, საქართველო დამარცხებული ქვეყანა იყო. ჩვენი საზოგადოების გონიერ და მოაზროვნე ნაწილში სასოწარკვეთილებასა და უიმედობას მუარად ჰქონდა ფესვი გადგმული. დამარცხებამ სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩაგუდოს. სწორედ დამარცხებულ ქვეყანას სჭირდება სულიერი მხურვა და სიმტკიცე. თუ იარაღით ბრძოლაში დამარცხდი, შრომით უნდა ეომო ძტერს. შრომით უნდა აჯობო და მოუგო. შრომით მოპოვებული გამარჯვება

ბეგრად უფრო მნიშვნელოვანი და არსებითია. ამის უტყუარი საბუთი გერმანია და იაპონიაა. ბრძოლაში გამარჯვებული სსრკ აღარ არსებობს. შრომით გამარჯვებული გერმანია და იაპონია კი მსოფლიოს უმდიდრესი და უძლიერესი სახელმწიფოებია.

ნიახურას ბრძოლა ვასილ ბარნოვის ეურადღეობას კიდევ იმით იპყრობს, რომ აქ ერთად იუვენ და ერთად იბრძოდნენ ქართველები, ჩერქეზები, ავარი-ელები, ებარდოელები. რუსეთის წინააღმდეგ ომში კავკასია ერთად უნდა იყოს. ეს აზრი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მომდინარეობს, როცა ილია ჭავჭავაძემ „ქართველის დედაში“ წარმოთქვა – „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს, კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, და ევ ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლებას!“.

დაახლოებით ასეთივე აზრია გატარებული იოსებ მჭედლიშვილის ჰიესაში – „აღექსანდრე ბატონიშვილი“. მართალია, არც ეს ჰიესაა მხატვრულად სანაქებო, მაგრამ ისიც ნათლად გამოხატავს 20-იანი წლების ქართული საზოგადოების იმ ნაწილის განწყობილებას, ვინც ვერა და ვერ ურიგდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა-თავისუფლების დაკარგვას.

თუ ერთი მხრით, 20-იანი და ოცდაათიანი წლების ქართულ მწერლობას აღექსანდრე ბატონიშვილი საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომის სიმბოლოდ მიაჩნდა, მეორე მხრით, ერეკლე მეორის ძის საშუალებით, საქართველოსათვის ბრძოლად იაზრებდა ჩეჩენთ-დაღესტნის მრავალწლიან მეღვარ და შეუპოვარ საგრობას რუსეთის იმპერიასთან.

მიხეილ ჯავახიშვილი აცოცხლებს იმ გადმოცემას, რომელიც წერილობით ჰირველად აღექსანდრე ფრონელის (ეიფშიძე) 1914 წელს გამოცემულ წიგნში – „მთის არწივი შამილი“ – გამოჩნდა.

„გადაჭრით და კატეგორიულად ძნელია იმის დამტკიცება, რომ შამილი შვილია ბატონიშვილ აღექსანდრესი, მაგრამ თანახმად ეველა იმისა, რაც ამ ისტორიულ ამბავში ნათქვამია, ძრიელი საბუთი გვეძლევა ვსთქვათ, რომ იმამი დაღესტნისა, მთის არწივი შამილ იყო შვილი მამით ბატონიშვილ აღექსანდრესი“.

ამ ცნობას, შეიძლება სხვასაც, ეწოდება ალბათ მიხეილ ჯავახიშვილი, როცა „არსენა მარაბდელში“ წერს:

„აღექსანდრე მუდამ გულის-ფანცქალით ადევნებდა თვალუურს თავის ნაჩუმარ შვილს შამილს და ღრმად სწამდა, რომ ეს ნაიბი ოდესმე უკუაღებდა ძალიან შორს წამოსულ რუსებს, მაგრამ მამა-შვილობის ამბავს არასოდეს არ ამხელდა და მხოლოდ გულში იგონებდა ხოლმე, რომ დაღესტანში უოფნის დროს 1796 წელს მას ლეკის ერთი ქვრივი მოეწონა, რომელმაც ცხრა თვის შემდეგ რუსებს უმკაცრესი მტერი გაუჩინა“ (ასე მიხეილ ჯავახიშვილის სიცოცხლეში გამოცემულ „არსენა მარაბდელში“ წერია. თორემ „არსენა მარაბდელის“ მწერლის სიკვდილის შემდეგ დროინდელ გამოცემებში ეს სტრიქონი-

ბი ამოღებულა).

ალექსანდრე ბატონიშვილი და შამილი არა მარტო აზრითა და მიზნით დაუნათესავდნენ ერთმანეთს, არამედ სისხლითაც. ჩვენს სიტყვიერებაში ისინი დაწვეილდნენ.

„რაც დასტიროდა მტკვარს ალექსანდრე
და მთებს შამილის სულის მშფოთვარე“
(ტიციან ტაბიძე)

მერე დამოკიდებლობა მათდამი თანდათანობით იცვლება. ალექსანდრე ბატონიშვილი ნელნელა ჩრდილში დგება, ხოლო შამილი თაყვანისცემის შარავანდედით იმოსება. იგი თავისუფლებისათვის მომავალი ბრძოლის სიმბოლო და ოცნება ხდება.

„მოხუცი ლეკი ჩონგურზე მღერის,
ქონს მუდროება ეხვევა ღამის,
მღერის სევდით და ბავშვივით ელის,
– სიზმარში მანც შეხვდება შამილს.
ბინდივით ახსოვს განგაში მთისა,
ძველი დროშების ქღერა და ფერი,
დაავდებს ჩონგურს და ფოლადს ხმლისას
ფხას გაუსინჯავს შემხმარი ცერით.
სდუმს და ჩონგურში ჩასმული ჩონჩხი
დაშნის სადავეს კანკალით არეუვს
და თავდახრილი იკონებს ოხვრით
თეთრი იმამის დაფრენილ ბარტყებს“
(ილო მოსაშვილი – „მოხუცი მჩონგურე“)

გრიგოლ რომაქიმე ჩეჩნეთ-დაღესტნის თავკაცს ჰათეტიკური ესეი – „იმამ შამილ“ – მიუძღვნა, აკაკი გაწერელიამ კი მოთხრობების მთელი ციკლი, რომელსაც საბოლოოდ რომანის სახე უნდა მიეღო. მისეილ ჯავახიშვილიც ემზადებოდა თურმე დაწერა რომანი შამილზე.

ორივე მწერალი – გრიგოლ რომაქიმეც და აკაკი გაწერელიაც – შამილს, სწორუპოვარ ვაჟაკად, ბრძენ ადამიანად, რწმენის, საქმის და სიტუვის კაცად მიიჩნევს.

რაკი შამილის ჰეროიკებისადმი დამოკიდებულება შეიცვალა, ბუნებრივია, უნდა გადასხვაფერებულყო დამოკიდებულებაც რუსეთის წინააღმდეგ ჩეჩენ-დაღესტნელთა მთელი ომისადმიც.

ჯერ კვტი გაჩნდა: ქართველებს უნდა ეომათ თუ არა რუსეთის სასარგებლოდ ჩეჩნეთ-დაღესტნის წინააღმდეგ? დემა შენგელაიას ჰერსონაჟს თენგიზ დარბაშიას („ეზავათი“), რუსეთის არმიის ქართველ ოფიცერს, ფიქრი უბურ-

ღავეს ტვინს: „კანა იმის მამას არ ამოხდა სული სიმბირსკის გადასახლებაში 1832 წლის შეთქმულებისათვის? ახლა ამ კაცის შვილი და სელიმბეკ ცადასტას მძაღნაფიცო მტრებს ამოუდგა ვვერდით და ჩრდილოეთის თეთრი ხელმწიფის, „კულტურის“ და მამულის სახელით ებრძვის უსწორო ომში იმ ხალხს, რომელიც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავს თავის მარჩენალ უნებს, საძოვრებს, თავისუფლებას და თოხუმის ადათს.

იქნებ ვაჟეაცობა არ შესწევს, ეშინია და იმიტომ? მაშ რა ძალაა ის ძალა, რომელმაც იგი აქ, ამ ლუსკუშეთში მოიყვანა სიკვდილთან და სინდისთან სათამაშოდ?“.

როგორც ხედავთ, ეს ფიქრი და ეჭვი სრულებით არ ჰგავს მე-19 საუკუნის ზირველი ნახევრის ქართველი ოფიცრებისა და გენერლების დამოკიდებულებას კავკასიის დიდი ომისადმი. მათ მტკიცედ და ურევად სჯეროდათ, რომ საქართველოს სისხლს იღებდნენ. წმიდა შურისკების აქტს ახორციელებდნენ. გრიგოლ ორბელიანი წამდაუწუმ იმეორებს წერილებში: „მე ისინი (შამილის მეომრები – ა.ბ.) დათვისავით ვაღრიალე და კახეთის სისხლი ავიღე“ (წერილი უაფლან ორბელიანს); „ჩვენი სისხლი ავიღე შამილის კისრიდან“ (წერილი ბარბაღე საგინაშვილს); „ეს სულ საქართველოს სისხლის ღაღადისია“ (წერილი ილია ორბელიანს). თენგიზ დარბაშია გრიგოლ ორბელიანის ეპოქის კაცია, მაგრამ უკვე მეოცე საუკუნის 20-იანი და 30-იანი წლების თვალთ დანახული. ამდენად, მისი ფიქრი და ტკივილი სრულიად სხვაგვარია.

თუ დემნა შენგელაია აუჭვებს თავის ჰერსონაჟს და სამართლიანობა-უსამართლობაზე აფიქრებს, მიხეილ ჯავახიშვილი დაცინვით უუბრებს კავკასიის დიდ ომში ქართველთა მონაწილეობას რუსეთის მხარეს.

„შამილი დიდ ძალაში შესულიყო და სანადირო მხეცად გადაქცეულიყო. მისი დაჭერა ისეთივე ემირობად იყო მიჩნეული, როგორც ერთ დროს ნაპოლეონის განდევნა იყო მოსკოვიდან. ამიტომ ეველა მას დანდევდა. გაზაფხულზე დაღესტანში გარბოდა და ზამთრის ჰირას ხელცარიელი მორბოდა. წარჩინება და ფული მანაც მოჰქონდათ და გაუთავებელი მოელოდნენ ახალ გაზაფხულს, რათა ხელახლა ენადირათ, ახალახალი სოფლები დაეწვათ, ისევ უამრავი სისხლი დაეთხინათ, ქვრივ-ობოლი მოემრავლებინათ, ცრემლის გუბებზე დაეყენებინათ და თან ისევ წვევლა-კრულვა, ისევ ორდენები და ისევ ფული წამოელოთ“ („არსენა მარაბდელი“).

კიდევ უფრო მკაცრი იყო ტიცინ ტაბიძის შეფასება. იგი არ დააკაუოფილა არც დაუჭვებამ და არც დაცინვამ. ქართველი გენერლებისა და ოფიცრების საქციელი კავკასიის ომში მან ღაღატად მონათლა.

„არ მინდა ვიყო მე ჰოეტი, სისხლით დამთვრალი,
და ამ ღამიდან დაწვებული დღე რაც კი ვადის,
მე ვწერ ჰოემას: რომ წარხოცოს თქვენი ღაღატი...“

რა თქმა უნდა, ეს ღალატით არ უოფილა. ჰოეტი მეტი სმეტად აჭარბებდა. იგი იყო დიდი დროის მანძილზე ქართველის გულში დაგროვილი ბოლშისა და ვარამის ამონთხევა. საუკუნეების მანძილზე აჩანაგებდა საქართველოს ჩრდილოკავკასიის მთიელთა დაუნდობელი შემოსევები. მარცვა-გლეჯა, რბევა-აწიოკება, ჰარვა-ქურდობა, ადამიანთა მოტაცება-დატყვევება, ადამიანთ ვაჭრობა ახლდა მათ თარეშს. ამან დააჩინა და დაგლახა საქართველო ჰოლი-ტიკურადაც, სოციალ-ეკონომიკურადაც, დემოგრაფიულადაც. საქართველოში ჩრდილოკავკასიელთა აულაგმავმა ჰარზაშმა გაცილებით საბედისწერო ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყნას, ვიდრე სპარსეთისა და თურქეთის დაპურობებმა. კარგა სამი საუკუნის მანძილზე ჩვენში არ არსებობდა უფრო თავზარდამცემი სიტუვა, ვიდრე „ლეკიანობა“ იყო.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ ოფიცერთა და კენერალთა გულში ეს ვარამი და ბოლმა ბობოქრობდა. ქართული სული მისი მტანჯველი გავლენისაგან რომ განთავისუფლებულიყო, ბოლმა-ვარამს გამოსავალი უნდა ეპოვნა. უნდა გადმოღვრილიყო. სხვაგვარად ქართული ცნობიერების განთავისუფლება, დამშვიდება ვერ მოხერხდებოდა. განსჯასა და სწორი დასკვნის გაკეთებას მშვიდი გონება სჭირდება და არა აფორიაქებული გრძობა. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ასეც მოხდა. გულიდან ბაღდაძეში გადმოინთხა და ბოლმა-ვარამისაგან განთავისუფლებულ ქართველს მშვიდი განსჯის, აწონ-დაწონვისა და დასკვნის საშუალება მიეცა. კავკასიის ომისადმი დამოკიდებულება უკვე მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შეიცვალა, საწყენად დაგვრჩებოდაო, - წერდა ჰლატონ იოსელიანი, - „შთამომავლობისა და ისტორიისათვის თუ არ მოუფერიდითო თავს დაღესტნის თავისუფლებისათვის მებრძოლ დიდ სახელებს... სასურველი იქნებოდაო კავკასიის ილიადასათვის სათანადო ჰატივი მიგვეგო“.

ჰოსელიანის სიტყვები ჩვენთ-დაღესტნის ბრძოლისადმი ქართველთა დამოკიდებულების სრულ შეცვლას მოასწავებდა. ეს ცხადად და მკაფიოდ გამოჩნდა ალექსანდრე ეახბეგის შემოქმედებაში. ალ.ეახბეგთან შამილი უკვე გმირია იმ ოცნებისა, რომელსაც თავისუფლება-დამოუკიდებლობა ჰქვია.

„ეს გახლდათ შამილი, იმამი ჩვენთისა და დაღესტნისა, რისხვის შემერეული მტერთა, ერთგული და თავდადებული თავის მოძმეთა და მამულისათვის!“

იმისი დამშვიდებული სახე, გონივრული და გამოცდილი გამოჭვრეტა აშკარად ამტკიცებდა ჯეჟას, ვაჟა-ფშაველას და სიამაყეს, თხელი ტუჩები - გრძობას და რამდენიმე ხაზი პირისახეზე - ხასიათის სიმტკიცეს („იმამის მკვლეელი“). ამ კაცის გვერდით იდგა ხალხი, რომელიც ეველასა და ეველანაყერზე მძლავრ თავისუფლებას აუჩუბდა.

„უნდა მოსულიყო სხვა ხალხი, შემოეტანა სხვა ჩვეულება, სხვა წესები, - ვინ იცის, როგორი განსაჭირი იქ მცხოვრებელთათვის, - გაბატონებულიყო სხვა გეარტომის ხალხი და ჩვენთში ჩამოვარდნილიყო უსამართლობა, ძალა,

გაუპატიურება ქალთა და რძალები... მერე სულ მუდამ სხვა კაცის მბრძანებლობის ქვეშ უოფნა, იმის წინ ქედის დრეკა და სამსახური!... მერე ეს სხვანი ვინ იყვნენ? – გაიურები!... არა, ჩეჩნელები სიკვდილს ირჩევენ იმათ ხელში ჩაცვიფნას!... ასე ჰფიქრობდა, ასე ამბობდა ეველა ჩეჩენი და ასეცა ჰქონდა გადაწყვეტილი...“ („მამის მკვლელი“).

მკაფიოდ და ნათლად ჩანს, რომ მე-19 საუკუნეში გამოკვეთილად ორგვარი დამოკიდებულება არსებობდა საქართველოში კავკასიის დიდი ომის მიმართ. ერთი, გამოთქმული გრიგოლ ორბელიანის ჰირით და მეორე, გამოთქმული ალექსანდრე ეაზბეგის ჰირით. მე-20 საუკუნის ჰირველი ნახევრის ქართულმა მწერლობამ ალექსანდრე ეაზბეგის დამოკიდებულება გაიზიარა და კიდევ უფრო გააღრმავა იგი. ჩეჩენ-დაღესტნელთა ომი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ არა მარტო თანაგრძნობის, პატივისცემის, თანადგომის საგანი გახდა, არამედ გააზრებული იქნა, როგორც ბრძოლა საქართველოსათვის. თუ გაიმარჯვებდნენ ჩრდილოკავკასიელები, გაიმარჯვებდნენ ქართველებიც. თუ დამარცხდებოდნენ ჩრდილოკავკასიელები, დამარცხდებოდნენ ქართველებიც.

ჩეჩენთ-დაღესტანში მომხდარი მოვლენებისადმი დამოკიდებულების ამგვარ რადიკალურ შეცვლას ორი საფუძველი ჰქონდა.

ერთი ის, რომ ქართველი საზოგადოების შეგნებული და გონიერი ნაწილი ინანიებდა წარსულში დაშვებულ შეცდომას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მონანიებას მაშინ შეიძლება მოჰყვეს შედეგი შუღლში მონაწილე ორივე მხარე თუ ინანიებს. ცალმხრივ მონანიებას შედეგი არ მოაქვს. ქართული მხარე ინანიებდა, მაგრამ ჩრდილოკავკასიელთა მხრიდან არავითარი პასუხი არ ჩანდა. მათ არ გასჩენიათ სინანული და სინდისის ქეჩხა იმის გამო, რომ საუკუნეების მანძილზე აჩანაკებდნენ საქართველოს. არ გაუაზრებიათ ის, რომ მე-19 საუკუნის ჰირველი ნახევრის ქართველი ოფიცრებისა და გენერლების საქციელი ამ დაუნდობელი მტრობით იყო განპირობებული. ქართული მხარე ჩრდილოკავკასიელთა ამ მონანიებას დღესაც ელის.

მეორეც ის, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტის დამარცხების შემდეგ, აუცილებელი იყო ხელახალი ბრძოლისაკენ მოწოდებაც და მომზადებაც. ამ მიზნით იყენებდა 20-იანი და 30-იანი წლების ქართული მწერლობა ალექსანდრე ბატონიშვილისა და შამილის ცხოვრება-საქმიანობას. ისინი კავკასიაში ანტირუსული მოძრაობის რელიეფურად გამოკვეთილი ფიგურები იყვნენ. თუმცა ორივე დამარცხებული.

1997 წ., ივნისი

თუ ქართული ენისადმი ის დამოკიდებულება გაგრძელდა, რაც დღეს არის, მაღე იგი ჰატუა-ენად გადაიქცევა. როცა ჰარლამენტის სხდომებს უსმენ, ჰრე-სას კითხულობ, რადიო-ტელევიზიას უურს უგდებ, მე-19 საუკუნის ჰირველი ნახევარი გახსენდება, ის დრო, როცა გიორგი ერისთავის ქართულ-რუსულ-სომხური სიტყვებით აჭრელებული ჰიესები იწერებოდა და ანტონ ფურცელაძე „ჰამლეტს“ ასე თარგმნიდა - „კაროლო, მერსავეცო, დამიბრუნე მამაჩემი“. მაშინ ლიანგი ამგვარად მეტყველებდა. სოფრომ მგალობლიშვილი 1860-იანი წლების სასწავლებელს აღწერს და ამბობს: „უნდა მოგახსენოთ, რომ იმ დროს, რომელსაც ჩვენი ამბავი შეეხება, არც შეგირდებმა და არც ხალხმა არ იცოდა ქართულად სასწავლებელში საჭირო ტერმინების ხმარება და ამიტომ სულ ასე ხმარობდნენ: „სმოტრიტელი“, „ინსპექტორი“, „უჩიტელი“, „უჩენიკი“ და სხვანი. მასწავლებელი რომ კეთქვათ, ჰირს დაალებდა ვეულა, ეს რა უცნაური სიტყვა მოუგონიაო („წარსულიდან“). ლიტერატურული ენა მაღიან რომ არ დამორებოდა ლიანგის სასაუბრო ენას, ჰირდაჰირ, მექანიკურად გადაჰქონდათ მწერლობა-ეურნალისტიკაში ის, რაც ქუჩაში ესმოდათ, ამ დამოკიდებულებამ ქართული ენა ავგიოსის თავლას დაამსგავსა. მისი გაწმენდა თერგდალეულთა თაობამ იკისრა. იღია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა და სხვებმა ქართული ენის განახლება-აღორძინების საქმეს დიდი ამაგი დასდეს. აცოცხლებდნენ ვითარების გამო მივიწვებულ ქართულ სიტყვებს, ქართული ენის დიალექტებიდან შემოჰქონდათ იდიომები და ცნებები, ადგენდნენ ახალ ტერმინებს. ქართულ ენას უბრუნებოდა განათლებისა და კულტურის ენის ფუნქცია. მომდევნო თაობამ კიდევ უფრო დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. თამაში ერობრივი ჰოლიტიკის წყალობით მიხეილ ჯავახიშვილმა, კონსტანტინე გამ-სახურდიამ, დემან შენგელაიამ, ლევან გოთუამ, გიორგი ლეონიძემ და სხვებმა უსაზღვროდ გაამდიდრეს ქართული ენის ლექსიკა. მე-20 საუკუნის ჰირველი ნახევრის ქართულმა მეცნიერებმა შექმნეს და ჩამოაუალიბეს მეცნიერების სხვა-დასხვა დარგის ტერმინოლოგია. ეს იყო გიგანტური შრომა. თუ მე-19 საუკუნე-

ში თითქმის არ არსებობდა სამეცნიერო ტერმინოლოგია, მე-20 საუკუნეში ამ მხრივ ქართული ენა გაუთანაბრდა დიდ ევროპულ ენებს. ამ მიმართულებით ქართველი მეცნიერების ღვაწლი საწინააღმდეგოა. მისი დავიწყება არაფრით არ შეიძლება. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებას დიდი ბიძგი მისცა ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ და საქართველოს დამოუკიდებლობამ 1918-21 წლებში. მერე, ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმის დროს, ქართული ენის მოვლა-პატრონობა დამოუკიდებლობა-თავისუფლებისათვის ბრძოლას ნიშნავდა. ქართული ენა ჩვენი მწერლობისა და მეცნიერების მუდმივი და შეუწყველელი ზრუნვის საგანი იყო. ასე გრძელდებოდა აკერ აქამდე, 80-იანი წლების ბოლომდე. მერე რატომღაც ვითარება მკვეთრად შეიცვალა. ნებით თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად ზურგი შეაქცევეს იმ დედოგზას, რომელსაც თერგდალეულები დაადგინეს და მომდევნო თაობები მიჰყვებოდნენ. ჰარლამენტმა, ჟურნალ-გაზეთებმა, რადიო-ტელევიზიამ ყველამ ერთად იხუვლა და გიორგი ერისთავს მიაშურა. მაშინდებური აჭრელებული ქართულის დამკვიდრებას შეუდგა. ამის დამადასტურებლად ნიმუშების მოხმობა არც არის საჭირო, იმდენად ხშირად გვესმის ბარბარიზმებით დამძიმებული ქართული. განსაკუთრებით შავად წავიდა საქმე მას მერე, რაც ქართულ ტელეეკრანს უცხოური (უმეტეს წილად აშშ-დან) კინო-ტელე-ნესვი მოასკდა. ერთხანს (და ახლაც) ძირითადად რუსულად ახმოვანებულს ვკითხულობდნენ, როგორც კომუნისტური რეჟიმის დროს იყო ეს. შემდგომ, ალბათ, იფიქრეს, დამოუკიდებელ ქვეყანაში ცოტა უხერხულია გამუდმებით უცხო ენაზე (ქართველისათვის რუსულიც ისეთივე უცხო ენაა, როგორც ვთქვით, ინგლისური) ფილმების ჩვენება და ქართულადც დაიწიეს ახმოვანება (დაიხ, ახმოვანება და არა განმოვანება, როგორც ეს, სამწუხაროდ, დამკვიდრებულია. ქართულად ვამბობთ, ამეტყველდა და არა გამეტყველდა, ალანპარაკდა და არა გალანპარაკდა). აი, აქ კი საძინელ დღეში ჩავცვივდით. წამოვიდა, მაგრამ რა წამოვიდა – ჩიქორთული ქართული. ჰო, რა თქმა უნდა, მსახიობი ბუნებრივი სამეტყველო ენით უნდა გველაპარაკებოდეს ეკრანიდან. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ, რაც ქუჩაში დაგონჯებული ქართული გვეუწრება, ეკრანიდანაც ისეთივე ქართული გვესმოდეს. ნუთუ ადამიანმა, რომელმაც თარგმანს მოჰკიდა ხელი, ერთმანეთისაგან ვერ უნდა გაარჩიოს „მიტოვება“ და „დატოვება“? ქართულად ახმოვანებულ ერთ ფილმში ფრიად დარბაისელი ქალი სტუმრებს ეუბნება - მაპატიეთ, ცოტა ხნით უნდა მივატოვოთ. რა ვქნა, უნდა დავიწყო მტკიცება, რომ ყოველი ადამიანი, ვინც ოდნავ მაინც იცის ქართული ენა, იტყუა - მაპატიეთ, ცოტა ხნით უნდა დავტოვოთო. ამ ორ სიტყვას შორის არა მარტო შინაარსობრივი სხვაობაა, არამედ - ზნეობრივიც. „მიტოვება“ სხვა ზნეობრივ მდგომარეობას გამოხატავს და „დატოვება“ - სხვას. მეორე ფილმში ერთი გაბრაზებული კაცი მეორეს ეძუქრება - კისერს მოგიტყუებო.

მოგიტყვავ, – ვამიგონია. წამიკითხავს კიდევ. კისერს მოგიტყვებს, – ესეც ვამიგონია, წამიკითხავს კიდევ. მაგრამ „კისერს მოგიტყვავ“ აქამდე არც ვამიგონია, არც წამიკითხავს. დარწმუნებული ვარ, მთელი ქართული მწერლობა მე-5 საუკუნიდან დღემდე რომ გადაიკითხოთ, გულმოდგინედ და დაკვირვებით, ვერ იპოვით – „კისერს მოგიტყვავ“.

ერთი მანდილოსანი შინაგან საქმეთა მინისტრის ერთ-ერთ მოადგილეს კარგი ქართულით მეტყველებისათვის ძალიან ემადლიერება. „მე კი ერთხელ კიდევ მინდაო, – წერს ეს მანდილოსანი, – საჯაროდ მოვუსხადო მადლობა ბატონ გურამს კარგი ქართულისათვის“. იმას რა სჯობს, თუ მინისტრი ან მისი მოადგილე კარგი ქართულით ლაპარაკობს, მაგრამ ვითომ „მადლობა მოვუსხადო“ ჩინებული ქართულია? კი, ბატონო, „ბოდში მოვუსხადო“ – შეიძლება. მადლობა გადავუსხადოც“ – შეიძლება, მაგრამ – „მადლობა მოვუსხადო“ არამც და არამც. ჩემი თუ არა გჯერათ, ჰკითხეთ, წარსულისა და აწმყოს მწერლებსა და მეცნიერებს და ზასუხს მიიღებთ. საუბედუროდ „მადლობა მოვუსხადო“, წამდაუწუმ გვესმის ჰარლამენტშიც და რადიო-ტელევიზიაშიც.

ახემებულ-აკვიატებულმა სიტყვებმა ხომ საჭლა წაიღეს. ზოგიერთს ვაგახსენებთ.

დაფიქსირება. ამ სიტყვამ ვანდენა აღნიშნავს, ჩაწერაც, განსაზღვრაც, დადგენაც, დამაგრებაც. მარტო დაფიქსირება ხდება. ეველაფერს მხოლოდ და მხოლოდ აფიქსირებენ. სულ მალე აღარავინ იტყვის დედამ შვილს მიუალერსა. იტყვიან დედამ შვილის აღერსი დააფიქსირა. ვერც ასეთ ფრაზას გაიგონებთ – ბიჭმა გოგოს სიუვარული აუხსნა. იტყვიან ბიჭმა და გოგამ სიუვარული დააფიქსირეს. უთუოდ დაგწუნებენ ქართულს, თუ თქვი – ქუჩაში კაცი კაცს მიესალმა. აუცილებლად უნდა ითქვას – მისალმება დააფიქსირეს.

დაფიქსირებას გვერდით უდგას დარეგულირება. ვაი შენი ბრალი, თუ წამოგცდა – კონფლიქტი მოწესრიგდა, ანდა მოგვარდა. დიდ ჩამორჩენილობად ჩაგეთვლება, რაკი ახლა საერთოდ ეველაფერის დარეგულირება მიმდინარეობს. მოწესრიგება, მოგვარება დევნილი სიტყვებია. დარეგულირებასა და დაფიქსირებას ფესდაფეს მისდევს ფუნქციობაც. ოღონდ ჯერ ვერ დადგინდა, როგორ ვწეროთ და ვთქვათ – ფუნქციობს თუ ფუნქციონირებს. ერთი გასეთი წერს: „უაზბეკი არ ფუნქციონირებს საკოლმეურნეო ბაზარი“. მეორე კი გვატყობინებს: „ირაკლი გამრეკელის სახლ-მუზეუმი არ ფუნქციობს“. ვავებდავ და მორიდებით ვიკითხავ: ბაზარი არ მუშაობს ანდა სახლ-მუზეუმი არ მუშაობს – რომ დაწეროთ, დიდი დანაშაული იქნება? მკითხველი ვერ გაიგებს, რას ვამბობთ?

ჩვეულებრივ, უცხო სიტყვებს მაშინ უნდა მივმართოთ, როცა ქართულად არ გვაქვს მათი ბადალი. სხვა დროს ეს საჭირო არ არის. უფრო მეტიც: გარკვეულწილად დანაშაულიც განხლავთ, რადგან უცხო სიტყვებით მშობლი-

ურ ენას ვანავკიანებთ და ვაკინებთ. დაკინება-დამცილება, აბა, რა ჯანდაბაა, როცა წამდაუწუმ გესმის რუსული კალკებით დამახინჯებული ქართული: „შესაბამისობაში მოყვანა“, „დისკუსიაში შესვლა“, „წინააღმდეგობაში მოსვლა“, „კონფლიქტში შესვლა“ ... დაუსრულებლად შედიან და გამოდიან, შედიან და გამოდიან.

შეიძლება მკითხველმა მისაყვედუროს კონკრეტულად რატომ არ ვუთითებ დამკონჯებლებს. რა მითითებაა საჭირო, აიღეთ ხელში რომელი გაზეთიც გნებავთ, სულ ხუთი წუთი უსმინეთ რადიო-ტელევიზიას, ჰარლამენტის სსდომას და არ მოგაკლდებათ არც დარეკულირება, არც დაფიქსირება, არც ფუნქციობა, არც შესვლა-გამოსვლა დისკუსიაში, კონფლიქტში, წინააღმდეგობაში, ამგვარები და ამისთანანი.

დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს მშენებლობა ქართული ენის მშენებლობას, მის გაძლიერებასაც ნიშნავს. ისტორიულად ქართული ენა დიდად დააზარალა დიდი ენების შემოტევამ. მტრების მიერ საქართველოს დაპყრობა მარტო პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო ან რომელიმე სხვა თვალსაზრისით კი არ ხდებოდა, არამედ ენობრივადაც. ქართული ენა საუკუნეების მანძილზე იჩავრებოდა ბერძნულის, არაბულის, სპარსულის, თურქულის, რუსულის გავლენით. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განთავისუფლება ენობრივი ჩავკრისგან განთავისუფლებასაც უნდა გულისხმობდეს. ამ მხრივ კი მეტი სმეტად მძიმე ვითარებაა. ჯერ რუსული ენის გავლენისაგან არ განთავისუფლებულვართ და ინგლისურმა შემოგვიტია. არის თუ არა საჭირო, მთელი საქართველო ინგლისური წარწერებით არის აჭრელებული. ქართული წარწერა ან საერთოდ არ არის, ან საცოდავად არის კუთხეში მიჭეულეტილი. გასაგებია, მოდის აუოლა გვიყვარს და, რაკი დღეს ინგლისური მოდაა, სხვებს რატომ უნდა ჩამოვრჩეთ. მით უფრო, რომ ზერელე, გარეგნულ მიბამვაში ტოლი არ გვეყავს.

ბაღდათში დაბადებული და გაზრდილი ვლადიმერ მათაკოვსკი ხუმრობდა თურმე: ქუთაისში ქართულად ასე ლაპარაკობენო – უკლავოში ზაბოაჩიკი პოლსაპოძეებს აპაჩინკებს. ალბათ, სულ მალე ეს რუსულ-ქართული ამგვარად შეიცვლება ინგლისურ-ქართულით: კორნერში შუმიკარი ლაუშუსებს არეპარინგებს. როცა ეს მოხდება, უეჭველად დავადგებით ევროპული ცივილიზაციის გზას. ჩვენს ბედსაც ძალიან არ დაჰეფეს.

კოლონიალიზმისაგან განთავისუფლება იმით გამოვსატეთ, რომ რუსული წარწერები ინგლისურით შევცვალოთ. წინათ გვებსე, ფირნიშებსე ამა თუ იმ რაიონის დასახელება ქართულ-რუსულად ეწერა. ახლა, რუსულის მაგიერ, ინგლისური გამოჩნდა, მაგრამ ის კი ვერ დაგვიდგენია „რაიონის“ შესატყვისად district ვიხმართ თუ region. თუ ქრელი district -ია, თერჯოლა region-ია, რა ჰქნან უცხოელებმა, როგორ გაარკვიონ – საქართველო აღმინისტრაციულად

district -ებდა არის დაუოფილი თუ region-ებდა? შევუთანხმდეთ მაინც ერთმანეთს, როგორ ვწეროთ.

თბილისში, რესპუბლიკის მოედნის ქვეშ, ერთი გაპრიალეზულ-გაწკრივალეზული მაღაზიაა. ჰატრონს ,,ვიტა დოლჩე“ (ტკბილი ცხოვრება) დაურქმევია. ოქროსფერი ასოებიც მიუკრავს კედელზე. ქართულად კი უწერია სწორად, მაგრამ როცა უცხოურადაც მოუსურვებია აბრის ვაკეთება, აქ კი, როგორც ძველ თბილისში იტუოდნენ, იაღლიში მოსვლია. დაუწერია vita dolce ეს არც ინგლისურია და არც იტალიური. იტალიური არ არის იმიტომ, რომ თუ C-ს H მოსდევს, CH (ჩინად) აღარ წაიკითხება. ,,დოლჩეს“ მაგიერ გამოვა ,,დოლკე“. ,,დოლკე“ კი არაფერს ნიშნავს. ინგლისური კი არ არის იმიტომ, რომ ამ მუარ იტალიურ თქმას ინგლისელებიც, ყველა ევროპულ ენაზეც ისე წერენ, როგორც იტალიელები. ამიტომ უნდა ეოფილიყო vita dolce, უაკაოდ თუ უეიოდ (H). იმ ინგლისურენოვან წარწერებში, რომლითაც საქართველო დღეს მოფენილია, ამგვარი და უარესი შეცდომა უთვალავია. თუ ინგლისური უსომოდ და უსაზღვროდ შეგვიუვარდა, ჰატრივი მაინც ვცეთ. შეცდომებით ნუ ავაჭრელებთ. იმავე ინგლისელს თავს მასხარად ნუ ავაგდებინებთ. ბარემ აქვე ვიტყვი იმასაც, რომ არათუ უცხოური ასოების სახელები არ ვიცით, ქართულიც დაგვავიწედა. ამასწინათ ერთი დეპუტატი გამოდიოდა ტელევიზიით. როგორც ჩანს, არ უნდოდა რუსული აბრევიატურა CHG გამოეყენებინა. სულ დესეთე-ს გაიბახოდა. დესეთე-ს თქმა არ შეიძლება. ქართულ ასოებს თავისი სახელები აქვს. დ ქართულად დონია, ს - სანი, თ - თანი. დესეთე-ს თქმა უფრო დიდი შეცდომაა, ვიდრე CHG -სი. CHG უცხოური მაინც არის, დესეთე კი არც ქართულია და არც უცხოური. თუძცა დესეთეს რაღას ფიივი, როცა რამდენჯერაც გინდათ, იძენჯერ გაიგონებთ - დუ, სუ, თუ. ეს ხომ საერთოდ აღარაფერს ჰგავს. ქართული აბრევიატურების შექმნა გადაუდებელი ამოცანაა. ოლონდ უნდა შეიქმნას ქართული ენის ბუნებისა და კანონის შესაბამისად და არა მექანიკურად, უცხოურის მიბაძვით. ხომ გავაკეთეთ მშვენიერი აბრევიატურა - გაერო, სსვებსაც გავაკეთებთ, ოლონდ უნდა მოვინდომოთ. აი, საქმის კეთების მონდომება და სურვილი კი ნაკლებად გვაქვს. ჩვენი ყველა უბედურების სათავე აქ არის.

რაც მოგახსენეთ, ის წვრილმანი არ ვახლავთ. უდიერი დამოკიდებულება ქართულს ჰატუა-ენად გადაქცევით ემუქრება. თუ ქართული ჰატუა-ენად გადაიქცევა, მაშინ ვერავითარი ქართული სახელმწიფო ვერ აშენდება. ეს ისეთივე მარტივი ჭეშმარიტებაა, როგორიც ორჯერ ორი ოთხია. არა და საფრთხე-სამიშროება დიდია. თითქოს საქართველო რუსეთის პოლიტიკური კოლონია აღარ არის, მაგრამ სულიერი კოლონიალიზმისგან ჯერ არ გავთავისუფლებულვართ. სულიერად ჯერ ისევ რუსეთს შევცდინებთ თვალეში. ამ სულიერ ძინობას დაემატა ინგლისურენოვანი სამუაროთი მოჯადოებაც. აშშ-ით ისე ვართ მოხიბლული, რომ საღი განსჯის უნარიც კი დაგვეკარგა. თუ მტკიცე

ენობრივი პოლიტიკა არ გამოქმნავდა, რომელსაც ხალხიც და ხელისუფლებაც განუხრელად დაიცავს, საეჭვოა, ქართულმა ენამ გაუძლოს ამ ორი კოლოსის შემოტევას, ისიც დღევანდელ ვითარებაში, როცა ჰრესა, რადიო-ტელევიზია, წიგნი, სკოლა და უმაღლესი სასწავლებლები უცხოურისაკენ ანდამატივით იზიდავს ქართველობას. შეიძლება ჩვენ ახლა ჯარითა და იარაღით არავინ გვემუქრება, მაგრამ გვემუქრებიან კულტურით, ენით, წიგნით. ეს კი ბევრად უფრო სასიფათო მუქარაა, თუ სათანადოდ არ ხარ მომზადებული, ვიდრე არმიებით მუქარა. პრობლემა მარტო ცალკეულ პირთა საზრუნავი არ არის. იგი მთელი ხელისუფლების უპირველესი საზრუნავია.

1997 წ., ოქტომბერი



საღ არის საშველი?

(პასუხი ირ. წერეთლის მიმართვაზე)

ირაკლი ბატონო!

უპირველესად დიდი მადლობა გახსენებისათვის.

რა თქმა უნდა, მიმართვის იდეა – ეროვნულ-პატრიოტული ძალების გაერთიანება – კეთილშობილურიც არის, აუცილებელიც და გადაუდებელიც, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი განხორციელებისა არ მჯერა. შეიძლება მე ვცდები (ღმერთმა ჰქნას, რომ ასე იყო!), მაგრამ ამ სკეპტიკურ დამოკიდებულებას საქართველოს მთელი ისტორია ადასტურებს. წარსულშიც ასე იყო და ახლაც ასე მოხდა. 80-იანი წლების ბოლოს არსებული ერთიანობა სულ მალე დაიშალა და დანაკუწდა. მისი ნასახიც აღარ დარჩა. ჩანს, დაშლა-დანაკუწება, დაპირისპირება ქართული ჯიშის თვისებაა. ჯიში კი ძალიან მუარია და თითქმის არ იცვლება.

დაუუშვათ, არ ვარ მართალი და ამას მწარე გულისტკივილი მაღაპარაკებს. მაშინ მკაფიოდ უნდა გამოვსატოთ, რა იდეის, რა აზრის, რა ლოზუნგის გარშემო შეიძლება მოხდეს გაერთიანება? მარტო იმის თქმა, რომ დღევანდელი ხელისუფლება უვარგისია, ქვეყნას ვერ უპატრონა და კატასტროფამდე მიიყვანა, საკმარისი არ არის. ეს ეველასათვის ნათელია და გასაგები, მაგრამ სად არის საშველი? მარტო ეროვნულ-პატრიოტული ძალების ერთობა საქართველოს ვერ გადაარჩენს, თუ მკაფიოდ არ ჩამოყალიბდა პროგრამა:

1. როგორ აიწუოს ეკონომიკა. ეკონომიკის მხრივ საქართველოში დღეს ეველაფერი მოშლილია. აღარც სოციალისტური ეკონომიკაა, აღარც კაპიტალისტური და აღარც სოციალური საბაზრო. ქვეყანა გაღატაკებულია და დაქცევის პირად მისული.

2. როგორ დავაბრუნოთ მტრის მიერ ოკუპირებული ტერიტორია, როგორ დავაბრუნოთ მინ უთვალავი დევნილ-ლტოლვილი.

3. როგორ მოეწუოს საქართველო პოლიტიკურ-ადმინისტრაციული კუთხით ისე, რომ არც ქართველი ხალხი და სარულდეს და არც ასერბაიჯან-

ელები, არც აფხაზები, არც ოსები, არც სომხები და არც სხვანი, ვინც საქართველოში ცხოვრობს, მტრად არ მოვიკიდოთ. ამ პრობლემის მოგუგარებლობამ საბედისწერო როლი შეასრულა დღევანდელ საქართველოს ისტორიაში.

თუ ამ სამ საკითხს დამაჯერებელი, კონკრეტული, პრაქტიკულად განხორციელებადი ზასუსი არ გაცვა, ქართველი ხალხი ისევ მოტყუებული დარჩება და ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა, ისედაც აბუხად ავდებული და გაბითურებული, სამუდამოდ დაიძარცება.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც დღევანდელ ვითარებაში გადაძვევები მნიშვნელობა აქვს. გარეშე ძალამ (ეკულისხმობ როგორც რუსეთს, ისე თურქეთსა და ევროპა-ამერიკას) საქართველოში ორი პოლიტიკური ძალა შექმნა – შევარდნაძის დაჯგუფება და აბაშიძის დაჯგუფება. მომავალ არჩევნებში ამ ორ დაჯგუფებას შორის გაიმართება ბრძოლა. გარეშე, უცხო ძალის მხარდაჭერა მათ აქვთ. იმისდა შესაბამისად, გარეშე, უცხო ძალა ვის ჩათვლის უფრო მისაღებად, ის გაიმარჯვებს მომავალ არჩევნებში. მესამე დაჯგუფება, თუნდაც იგი ეროვნულ-პატრიოტული გაერთიანება იყოს, ამ ორი დაჯგუფების ბრძოლაში ვერ ჩაერევა. ამის უფლებას არ მისცემენ და არც ნივთიერ-ფულადი სახსრები ექნება.

ამიტომ მოსამეზბნია და დასადგენი, რომელი უცხო, გარეშე ძალა ამოუდგება მხარში და დაეხმარება ეროვნულ-პატრიოტულ გაერთიანებას? დამერწმუნეთ, ამას არც რუსეთი გააკეთებს, არც თურქეთი და არც ევროპა-ამერიკა. სამივე სათვის უფრო ხელსაყრელია შევარდნაძის დაჯგუფებაც და აბაშიძის დაჯგუფებაც. ორივე დაჯგუფება უფრო გამოცდილი ჰყავს და ნდობითაც უფრო ენდობიან. გარეშე, უცხო ძალის დაუხმარებლად გამარჯვება შეუძლებელი იქნება. ამას ადასტურებს მსოფლიო ისტორიის გამოცდილებაც და საქართველოს უახლესი ისტორიაც. კაცობრიობის ისტორიაში არცერთ მოძრაობას არც პოლიტიკურს, არც სოციალურს, არც რელიგიურს, არც ეროვნულს და არც სხვას არასოდეს გაუმარჯვია გარედან დახმარების გარეშე. ეროვნულ-პატრიოტულ გაერთიანობას ვინ დაეხმარება გარედან?

ისიც გულანდლიად უნდა გითხრათ, რომ ჰირადად მე პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობას არ მივიღებ. არჩევნებში ორჯერ დავმარცხდი და ეს სრულიად საკმარისია დასკვნის გასაკეთებლად: ქართველ ხალხს არ მოეწონა, არ მიიღო ის ვაა, რაც მე მიზანშეუწონილად და აუცილებლად მიმაჩნდა. რუსები ამბობენ – *Насильно мил не будешь*. ამიტომ ხალხს თავი არ უნდა მოაბეზრო. არც მე მინდა, აბეზარი ბუზივით ვინმე შევაწუხო, მით უფრო, მთელი ხალხი.

პატივისცემით აკაკი ბაქრაძე

1998 წ. 7 სექტემბერი

ორიენტაცია

საქართველო ჰატარა და სუსტი ქვეყანაა, მაგრამ ბედმა ინება და იმთავითვე უსარმაზარ იმპერიებს მეზობლობა – რომი, ბიზანტია, სპარსეთი, არაბეთი, თურქეთი, რუსეთი. თავი რომ გადაერჩინა და არსებობა შეენარჩუნებინა, ან ერთ ძლიერ სახელმწიფოს უნდა მიტმასნებოდა, ან მეორეს. ასეც ხდებოდა. ამიტომ ორიენტაციის საკითხს უოფნა-არუოფნის მნიშვნელობა ჰქონდა. ორიენტაციის პრობლემას ეს მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. მართალია, სამხედრო-პოლიტიკური კოლონიალიზმის ეპოქა დამთავრდა, სამხედრო ძალით აღარავინ დაგიაპრობს, რომ შეეხვეწო კიდევ. ეს ეკონომიკურად წამგებიანია და იმიტომ. მაგრამ ისევ არსებობს, და საკმაოდ მტკიცედაც, ეკონომიკური კოლონიალიზმი. კოლონიალიზმის ეს სახეობა კი ბევრად უფრო საშიში და სახიფათოა, ვიდრე სამხედრო-პოლიტიკური. ეკონომიკურ კოლონიალიზმს თან ახლავს სულიერი კოლონიალიზმი, რაც ეკონომიკურად დაპრობილ ხალხს არსებითად სპობს.

საუბედუროდ და სავაულოდ, საქართველო უკვე დაადგა ეკონომიკური კოლონიალიზმის გზას. რით ცხოვრობს დღეს ჩვენი ქვეყანა? გაუიდვით და სესხებით.

საქართველო უიდის ეველაფერს – „თელასს“, საბაჟოს, საზღვაო სანაოსნოს, ფაბრიკებს, ქარხნებს, ჰესებს. რაც ჯერ კიდევ გაუუიდავია, გაუიდვის რიგში დგას. ეს არა მარტო ეკონომიკურად აჩანაგებს საქართველოს, არამედ ზნეობრივად ც აკინებს ქართველს, არასრულფასოვნების კომპლექსს უჩენს. უუიდით არა მარტო იმიტომ, რომ ეკონომიკურად ხელმოკლედ ვართ, არამედ იმიტომაც, რომ საქმეს თავი ვერ გავართვით.

თურმე „თელასი“ იმიტომ გაუიდულა, რომ ქართველმა სპეციალისტებმა ვერ უპატრონეს, ვერ მოუარეს.

თურმე საბაჟოც იმიტომ გაუიდულა, რომ საქართველოში არ აღმოჩნდა რამდენიმე კაცი, რომელიც არ იქურდებდა, არ მოიპარავდა, საქმეს პატიოსნად გაუძღვებოდა.

თურმე საზღვაო სანაოსნოც იმიტომ გაიყიდა, რომ იქაური მუშაკებიც შავსა და ბნელ საქმეს სჩადიდნენ და ქვეყანას აზარალებდნენ და ძარცვავდნენ. ვალები დაედოთ და გაუიღვის გარდა, სხვა ვა ვერ გამოინახა.

ამგვარ ვიშვიძს ხშირად გაიგონებთ რადიო-ტელევიზიით, წაიკითხავთ ჰრესაში.

თუ მართლა ასეა და ქართველი უუნარობას ავლენს საქვეწო საქმეების მოვლა-პატრონობაში, მაშინ დაუყოვნებლივ და უსწრაფესად ჰრეზიდენტის პოსტი, ჰარლამენტი და მთავრობა უნდა გაიყიდოს. ეს ხელისუფლებამ ვერ დაადგა თავი ვერაფერს და საქართველო კატასტროფის პირისპირ დააყენა. დღეს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სხეულს კიბოსავით ჭამს კორუფცია, ძირადრობა ანუ სპეკულაცია, კონტრაბანდა, ძარცვა-გლეჯა, თაღლითობა-მაჩინაცია, განუკითხაობა. ამ ვითარების შექმნა მარტო ცალკეულ პირთა დანაშაული არ არის. იგი უმთავრესად და უპირველესად ხელისუფლების დანაშაულია. ხელისუფლების მოვალეობაა, მისი ამოცანაა აღკვეთოს, მოსწავს ზემორე ჩამოთვლილი უკეთურობანი. თუ ამას ვერ ახერხებს, მაშასადამე, უნათო და უუნაროა.

გაუიღვით კი ვუიღით, მაგრამ ვინ დაუბრუნებს საქართველოს ამ ქონებას? ჯერ ერთი, რომელი ჭკუათმეოფელი უცხოელი იტყვის უარს უზარმაზარ შემოსავალზე, რასაც იგი იხვეჭს გაუიღული ობიექტის საძუალებით და მეორეც, თუ გაუიღვა მოისურვა, მუქთად, ჩაღის ფასად ნაუიღს მამა-სისხლად დააფასებს. სად ექნება გაძვალტყავებულ საქართველოს ამის შესაძლებლობა?

ანდა ვალებს როდის და როგორ გადაიხდის? სიხარულის დიდი ჭელო-პინი ატედება, როცა ესა თუ ის მდიდარი ქვეყანა ფულს გვასესხებს. ისეთი შობეჭდილება იქნება, თითქოს ეს ვალები ვასსატუმრებელი არ იყოს. თითქოს ამის გამო მოძავალ თაობებს ზურგზე ტყავი არ გაძვრება.

გაუიღვაც დასაშვებია და სესხებაც, მაგრამ გააჩნია რა ზომით და რას მოვანხმარეთ ის თანხა, რაც ვისესხეთ. ოჯახშიაც ხდება ასე: როცა ფანიას უჭირს, რაიმე ძვირფას ნივთს გაუიღის. მაგრამ, ვინც ჭკვიანია, ამ ფულს ოჯახის ფეხზე წამოდგომას მოახმარს. ზოგჯერ იმდენად გონივრულად, რომ იმ ნივთსაც კი დაიბრუნებს, რაც გაუიღა. უჭკუო კი გაუიღვით ნაშოვნ ფულს გაფლანგავს, გაანიაფებს. მერე იძულებული ხდება მეორე ნივთიც გაუიღოს და მანამ აჩანაგებს ეველაფერს, სანამ უსახლკაროდ არ დარჩება. სესხებაც ასეა: ჭკვიანმა თუ ისესხა, ფანიას გადაარჩინს, უპატრონებს. უჭკუოს კი მთელი ქონება ვალის გადასახდელად შემოადნება ხელში. ასე რომ, გაუიღვისა და სესხების შედეგი ვადამწვეტად და არსებითად დამოკიდებულია გონიერებასა და უგუნურებაზე, ჭკუასა და უჭკუობაზე.

უბედურება ის ვახლავთ, რომ საქართველოში ვაჩაღებულ ტოტალურ გაუიღვასა და სესხებაში ჯერჯერობით ვერ ვხედავთ ჭკუასა და გონიერებას. საზოგადოებამ, მთელმა ხალხმა არ იცის, რას ხმარდება გაუიღვით ან სესხებით

შემოსული თანხა. ამასვე მას-მეღია დუმს და არაფერს გვაუწყებს. თუმცა უამისო-
დაც ნათელია ვეველაფერი. საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგო-
მარეობა უტყუარად, უთუოდ და უთუმცაოდ აღსტურებს, რომ გაუიღვითა და
სესხებით შემოსული ფული ქვეყნის კეთილდღეობის საქმეს არ ემსახურება და
ცალკეული პირების უძირო ჯიბეში იერის თავს.

ამ ვითარებამ ხალხს თავზარი დასცა, იმედი წაართვა. წელკავიანივით
გააშემა და სასოწარკვეთილებამში ჩააგდო. ეჭვი გააჩინა: შეუძლია კი საქართვე-
ლოს თავისთავს უპატრონოს, თუ ისევ გამდელი და ძიძაა საჭირო? ვინ უნდა
იუოს ეს ძიძა თუ გამდელი, ისევ რუსეთი თუ სხვა? ძრავლად გამოჩნდნენ ახალი
რუსეთუმეები, რუსისტები და ერთხმად დასტყვეს: საქართველოს ხსნა არ არის
რუსეთის იქით.

გამოჩნდა, რომ დღეს ბევრი რუსეთს ისეთივე თვალთ უყურებს, როგორი-
თაც მე-18 საუკუნის ქართველები უმზერდნენ. მაშინ რუსეთი აღმაავალი გზით
მიმავალი ქვეყანა იყო, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისითაც და
ეკონომიკური კუთხითაც. სპარსეთ-თურქეთი კი – დაღმართში მიექანებოდა.
ერთიცა და მეორეც ჩამორჩენილი, კაცობრიობის კუდში მოჩანჩალე ქვეყნები
იყვნენ. სპარსეთი და თურქეთი აქტიური ისტორიის ასპარეზიდან მიდიოდნენ,
რუსეთი კი მოდიოდა. ამასთან ერთად, ქრისტიანული საქართველოს თვალში
რუსეთს კიდევ ერთი უპირატესობა ჰქონდა – ისიც ქრისტიანული ქვეყანა იყო,
განსხვავებით ისლამური სპარსეთ-თურქეთისაგან. ქართველებისათვის ეს არ-
სებითი და გადამწვეტი ხასიათის უპირატესობა იყო. ასე რომ, მაშინ, ორიენ-
ტაციის თვალსაზრისით, ქართული სამეფოს კარი საღად მსჯელობდა.

დღეს სრულიად სხვა ვითარებაა. ჯერ ერთი, რუსეთის დიდ იმპერიას ეავ-
ლი გაუვიდა. ეველა იმპერიის არსებობას თავისი ვადა აქვს. როცა იგი ვაივ-
ლის, იმპერიის ნგრევას ვერაფერი შეაჩერებს. ეველა აღექსანდრე მაკედონელს,
ეველა ჩინგიზ-ხანს, ეველა პეტრე პირველს, ეველა ნაპოლეონს, ეველა სტა-
ლინს თავი ერთად რომ მოუყარონ, რუსეთის ეავლგასული იმპერიის ნგრევას
ვერ შეაჩერებს. რა უნდა გააწეონ საცოდავმა და სნეულმა ელცინმა და ძისმა დამ-
ქაშებმა? ცხადია, არაფერი. რუსეთის იმპერიის ეავლიც ისევე გავიდა, როგორც,
ვთქვათ, ესპანეთის ანდა ინგლისის. ესპანელებიც იკვეხნიდნენ ერთ დროს, რომ
მათ იმპერიაში მზე არასოდეს ჩადიოდა. ინგლისელებსაც ასე მიაჩნდათ. მაგრამ
დღეს ერთიც და მეორეც რიგითი სახელმწიფოებია. მართალია, კეთილმოწ-
ეობილი, მდიდარი, განათლებული, კულტურული, მაგრამ კაცობრიობის ბე-
დის გადაწვევებში იმ როლს აღარ ასრულებენ, რასაც კარლოს მეხუთის დროს
ესპანეთი, ანდა ინგლისი დედოფალ ვიქტორიას ხანაში.

გამოდის, რომ მე-18 საუკუნის ბოლოს ქართველი პოლიტიკოსები
უფრო კანთიელად ხედავდნენ მომავალს, ვიდრე დღევანდელი რუსისტები.

დღეს რუსეთს საფიქრალი და საზრუნავი თავისთავი აქვს. თუ იგი მანაც
ეხლა უჭება ბველ იმპერიას, ეს უჭკუობის უტყუარი დასტურია და მეტი არაფერი.

ახლა რუსეთს ის პოლიტიკოსი სჭირდება, რომელიც მიხვდება, რომ უმჯობესია, უკეთესია, უფრო ბრძნულია იმპერიასე ოცნებას თავი დაანებოს, ეროვნულ რუსულ სახელმწიფოსე იფიქროს და იგი ჩამოაყალიბოს. რაც შეიძლება მალე გაათავისუფლოს ჩრდილოკავკასიელები, ელმუხები, ჩუვაშები, ბაშკირები, თათრები, ციმბირის ხალხები და მთელი ძაღლონე, ჭკუა და გონიერება ეროვნული რუსული სახელმწიფოს მოწეობასე დახარჯოს. რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან ასეც მოხდება, რადგან სხვა გზა რუსეთისათვის აღარ არსებობს.

ეროვნული რუსული სახელმწიფო საქართველო-სათვის შეიძლება იქონიეს კეთილი მესობელი და, ალბათ, იქნება კიდევ, მაგრამ იგი მფარველობას და, მით უმეტეს, მბრძანებლობას ვეღარ შესძლებს. ვერც „უფროსი ძმის“ სახელით დაგვემუქრება.

ქართველები კი უნდა მიხვდეთ იმას, რომ რუსეთი, როგორც ორიენტაცია, აღარ არსებობს. რუსეთი, როგორც ორიენტაცია, ისტორიას ჩაბარდა ერთხელ და სამუდამოდ.

ცხადი და ნათელია, რომ ოცდამეერთე საუკუნეში პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სამხედრო ძალთა თანაფარდობა ისეთი არ იქნება, როგორც მეოცე ასწლეულში იყო. თუ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში კაცობრიობის მბრძანებლები აშშ და სსრკ იუენენ, ოცდამეერთე ასწლეულში ასპარეზზე ისეთი გიგანტები გამოვლენ, როგორც არიან ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია. არც არგენტინის, მექსიკის, ინდონეზიის, არაბთა გაერთიანებული სახელმწიფოს დაფიქრება შეიძლება. თუ ნახევარსაუკუნოვან ცივ ომში აშშ-მა სსრკ დაამარცხა და ნაცისტურად აქცია, ოცდამეერთე საუკუნეში აშშ-ს იგივე ბედი ელის, რაც მეოცე ასწლეულის ბოლოს სსრკ-ს, ანუ რუსეთის იმპერიას ერგო. ამის გავრუნებაზე ჭკუაშეკრეჭილები სიცილით დაიხოცებიან – აშშ-ს რა დაანგრევსო, მაგრამ მათი ხითხით-კისკისი არაფერს შეცვლის. ისტორიის პროცესი თავისას გააკეთებს. ამას არავინ გაქცევია და ვერც აშშ გაექცევა. აშშ ახლა ძლიერების მწვერვალზეა. მსოფლიოს ერთპიროვნული მბრძანებელ-განმკარგულებელია. ამას იქით, ზევით, აღარ არის გზა. ამას იქით მხოლოდ თავდადმართი იწეება. აშშ ამ თავდადმართში უნდა დაეშვას. ასე რომ, ოცდამეერთე საუკუნეში არც აშშ იარსებებს, როგორც ორიენტაცია. მით უფრო, რომ აშშ-მ სრულიად დაკარგა სულიერება და მთლიანად ფულის მონად იქცა. ამას საბუთი და მტკიცება არ სჭირდება. ეს იმ კინო-კუნძმაც კაფიოდ ჩანს, დღე და ღამე, განუწვევტლად, საქართველოს ტელევიზია რომ უჩვენებს. ფულისათვის მამა შვილს არ ინდობს და შვილი – მამას, ძმა – დას და დაი – ძმას, ქმარი – ცოლს და ცოლი – ქმარს. ფულისათვის შვილი მზად არის დედას შეუგორდეს ლოკინში და დაი – ძმას. ბიძაშვილ-დეიდაშვილ-მამიდაშვილობასე ლაპარაკი ხომ შედმეტია. აქ ისეა ერთმანეთში ეველაფერი ახელილ-ალუფხული, რომ მორიდების, პატივისცემის, ურთიერთდაფასების ეველა ზღვარი წაშლილ-გადაკლე-

სილია.

რაც ითქვა, იმის მიხედვით დასკვნის გამოტანა მხელი არ უნდა იყოს: არც რუსეთი და არც აშშ. ამჟამად ერთადერთი ვაზა – ვაზა ევროპისაკენ. შეიძლება დაისვას კითხვა: კი, მაგრამ, აშშ და მთელი ამერიკაც – ანგლოსაქსურიც და ლათინურიც – ევროპის შვილია და რუსეთიც ევროპის ნაწილია, რომელ განსაკუთრებულ ევროპას გულისხმობთ? მართალია, აშშ-ც ევროპის შვილია, რუსეთიც ევროპის ნაწილია, მაგრამ ის, რასაც ევროპული კულტურა, ევროპული ცივილიზაცია ჰქვია, შექმნილია რომანული და გერმანული მოდგმის ხალხების მიერ.

სწორედ რომანული და გერმანული მოდგმის ხალხების კულტურასა და ცივილიზაციას ვგულისხმობ.

გვკონებ, საკამათო არ უნდა იყოს, რომ კაცობრიობა – ჰოლიტიკურად, ეკონომიკურად, იურიდიულ-სოციალურად, უოფის კუთხითაც კი – ვითარდებოდა და ვითარდება იმ პრინციპებისა და წესების შესაბამისად, რაც ევროპამ შექმნა და ჩამოაყალიბა. ისეთი დიდი წარსულის, კულტურისა და ცივილიზაციის მქონე ხალხებიც კი, როგორც არიან ინდოელები, ჩინელები, იაპონელები (სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ), თავიანთ ცხოვრებას, ეველა თვალსაზრისით, აწუბენ ევროპული ცხოვრების წესის შესაბამისად.

საქართველოც ამ გზით უნდა წავიდეს.

პირობითად შეიძლება აზროვნება ორ სახეობად წარმოვიდგინოთ – რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნება და მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნება. რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნების კუთხით აზია (ჩინეთი, ინდოეთი, სპარსეთი, არაბეთი, ძველი ისრაელი), თუ არ სჯობნის, არაფრით ჩამოუვარდება ევროპას. მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკურ აზროვნებაში ძირითადად ევროპელებმა გამოიჩინეს თავი. აზიამ მას მხარი თანაბრად ვერ აუბა. ამ მიმართულებით ჩამორჩა. კაცობრიობა კი სწორედ მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების წყალობით განვითარდა და დღევანდელ დონეს მიაღწია. თერმობირთვული ენერჯია, კოსმოსური ტექნიკა, ელექტრონიკა და ა.შ. მეცნიერულ-ტექნიკურმა აზროვნებამ მისცა კაცობრიობას.

ევროპამ მოახერხა აზროვნების ორივე სახეობის მეტნაკლებად ჰარმონიული შეერთება. კაცობრიობის მომავალიც ამას გულისხმობს. იგი ვერ იტყვის უარს ვერც რელიგიურ-ფილოსოფიურ აზროვნებაზე და ვერც მეცნიერულ-ტექნიკურ აზროვნებაზე. კაცობრიობას ორივე სჭირდება და ამიტომ წინ მათი ერთიანობის გზით ივლის.

საქართველოც ამ გზით უნდა წავიდეს.

ქართველი რუსისტებიც კი, მე-19 საუკუნეშიც და მე-20 ასწლეულშიაც, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას იმით ამართლებდნენ, რომ, რაც უნდა იყოს, აზიური ჩინიდან გვისხნა და ევროპასთან დაგვაკავშიროს. დღეს მეგზური და დამძმარე საჭირო აღარ არის. საქართველო იმთავითვე იყო დაკავშირებუ-

ლი ძველ საბერძნეთთან და იტალიასთან. ამას უდავოდ მოწმობს თუნდაც არ-
გონაზტების მითი. დღევანდელი ევროპის კულტურა-ცივილიზაციის საძირკვე-
ლი ანტიკური საბერძნეთ-იტალია და კათოლიკურ-პროტესტანტული ქრის-
ტიანობაა.

საქართველო ევროპას ანტიკურობითაც ემოჯერება და ქრისტიანობითაც.
მართალია, ზოგიერთი მართლმადიდებელი ჩოხას იხევეს და წვერს იგ-
ლევს, კათოლიკობა-პროტესტანტიზმი არ გამაგონოთო, მაგრამ ეს ბნელი
ფანატიზმია, რომელსაც გონებადანშულობა, კარჩაკეტილობა და გაქვავებუ-
ლობა მოაქვს. ამ თვისებებით ვერცერთი ქვეყანა ვერ ივლის წინ. რელიგიურ
ორიენტაციაზე ლაპარაკი არავითარ რწმენის გამოცვლას არ გულისხმობს,
როგორც ამას ზოგიერთი გუშინდელი ათეისტი, დღევანდელი მართლმადიდე-
ბელი და ხვალისდელი მუსლიმი გაჰკივის. საუბარია რელიგიურ პოლიტიკა-
ზე. როგორც უოველ პოლიტიკას, რელიგიურ პოლიტიკასაც გონებაგახსნი-
ლობის სინათლე უნდა წარმართავდეს და არა ბნელი ფანატიზმი. თუ ქართულ
ეკლესიას სურს გადამწვევტი როლი შეასრულოს მომავალი საქართველოს
მშენებლობაში, მან ის გზა და საშუალება უნდა მოძებნოს, რომელიც ქრის-
ტიანობის ორივე ფრთას – მართლმადიდებელურსა და კათოლიკურს – მოარი-
კებს. მათ ჰარმონიულ თანაარსებობას შესაძლებელს გახდის. საქართველოს
ევროპასთან მარტო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი არ სჭირდება.
სულიერი კავშირიც აუცილებელია.

საქართველოც ამ გზით უნდა წავიდეს. მაგრამ არა ბრმად, არა ისე,
როგორც უსინათლო მიდის საღდაც ჯოხის კაკუნით და ვერც კი ხედავს – საით.

რა თქმა უნდა, ეველგან და ეველაფერში ორი მხარეა. ცხადია, ასეა ევრო-
პაშიც.

პოლანდიაშიც უმანბახების დემონსტრაცია-მიტინგებსაც აწუბობენ და მათ
უფლებებსაც იცავენ, მაგრამ ეს ჰატარა, საქართველოზე ორჯერ მცირე ტერი-
ტორიის ქვეყანა (41.864 კვ.კმ.) ახერხებს 15 მილიონიანი მოსახლეობა ისე
გამოკვებოს, რომ ჩიტის რმეც კი არავის აკლდეს.

იტალიაში მაფია დაძრწის, მაგრამ იგი უბრწუინვალესი მხატვრობის,
არქიტექტურის, მუსიკის და, ერთი სიტყვით, დიდი სულიერების ქვეყანაა.

გერმანიაში ტვინდასეტყვილ ჰიტლერს „ჰაილ-ჰაილის“ ბლავილით
მისდევდნენ, მაგრამ გერმანელებმა ისიც თვალნათლივ აჩვენეს – როგორ არ
უნდა გატედეს ხალხი წელში, არ წახდეს, ნებისყოფა არ დაკარგოს და როგორ
ააძენოს უძლიერესი, უძიდრესი, სათივით აწუბობილი ქვეყანა, მიუხედავად
ორ მსოფლიო ომში დამარცხებისა.

რალა ბევრი ვაფავრძელო, ისედაც ვასაგებია, რას ვამბობ. ქართველის
ჭკუა-გონებაზეა დამოკიდებული, რას აირჩევს.

1989 წლის ზაფხულში, როგორც კარგად ცნობილია, აფსუაებმა აფხაზეთში მორიგი ჰროფოკაცია მოაწვეეს. მაშინ, 15 ივლისს, ქუთაისში სოხუმიდან ჩამოსულ რამდენიმე კაცს შევხვდი. იმათ აფხაზეთში შექმნილი ვითარება გამაცნეს. ის წერილიც წამაკითხეს, რომელიც ქართულ მოსახლეობას მოსკოვში გაეგზავნა, სკკპ ცკ-ში. წერილი იწუებოდა სიტყვებით – „ჩვენ, აფხაზეთში მცხოვრები ქართველები“... ჰირველი სტრიქონის წაკითხვისთანავე ვუთხარი: ამ წერილით აფსუაების წისქვილზე ასხამთ წყალს და საქმე უკვე წაგებულად გვაქვს-მეთქი. რატომო?! – გაიკვირვეს. მაშინაც მოვახსენე იმათ ჩემი აზრი და ახლაც იგივე უნდა გავიმეორო. ვუბნებოდი: როცა თქვენ წერთ – ჩვენ, აფხაზეთში მცხოვრები ქართველებო, – ამით უკვე ადასტურებთ, რომ აფხაზეთი საქართველო არ არის და თქვენ სხვაგან ცხოვრობთ. რაკი თქვენ თქვენს თავს „აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს“ უწოდებთ. ამით იმას უკრავთ კვერს, რასაც აფხაზები გაიძახიან – აფხაზეთში ქართველები ლავრენტი ბერიამ ჩამოასახლა, თორემ მანამდე იქ ისინი არ ცხოვრობდნენო. აბა, მითხარით, განა ვინმე დაწერს ჩვენ კახეთში მცხოვრები ქართველები, ან ჩვენ რაჭაში მცხოვრები ქართველები? ზომ თავისთავად იგულისხმება, რომ კახეთში, რაჭაშიც და სხვაგანაც – საქართველოს კუთხეებში, ქართველები ცხოვრობენ... ასევე აფხაზეთშიც. აფხაზეთში, როგორც საქართველოს ძირეულ ჰროვინციაში, უსსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ქართველები. თქვენ საკუთარ ღვიძლ მიწა-წყალზე ცხოვრობთ. აფსუაები კი არ არიან აფხაზები, არამედ თქვენ ხართ აფხაზები, ამდენად, თქვენი წერილები უნდა იწუებოდეს – ჩვენ აფხაზები... და ასე შემდეგ. საშინლად იუკადრისეს ჩემი სიტყვები. ქვა აავადეს და თავი შეუშვირეს: არამც და არამც ეროვნებას არ გამოვიცვლითო. დიპლომატიური მოსაზრებითაც კი არ გავაკეთებთო ამას.

ვერაფრით დაუშვტკიცე, რომ ეს ეროვნების გამოცვლას, ან რაღაც ამდაგვარს არ ნიშნავდა. ვცდილობდი, დამესაბუთებინა, რომ ეველა ერი სხვადასხვა ტომისაგან შედგება. ქართველი ერიც ასეა. ქართველი ხალხი შედგება ტომე-

ბისაგან – აფხაზები, აჭარლები, გურულები, თუშები, იმერლები, კახელები, კლარჯები, ლაზები, ლეჩხუმლები, მეგრელები, მესხები, მოხვევები, რაჭველები, სვანები, ტაოზები, ფშაველები, ქართლელები, სევსურები, ჯავახები, ჰერეზი, ანუ დღევანდელი ინგილოები. აფხაზები ქართველი ერის ძირითადი ნაწილია და მათი საცხოვრისი – აფხაზეთი – საქართველოს დვიძლი ტერიტორიაა, ამდენად, თქვენ ტომობრივად აფხაზები ხართ, მაგრამ ეროვნულად – ქართველები, ისევე, როგორც ფშაველები ტომობრივად ფშაველები არიან, მაგრამ ეროვნულად ქართველები. გურულები ტომობრივად გურულები არიან, მაგრამ ეროვნულად – ქართველები, მეგრელები ტომობრივად მეგრელები არიან, მაგრამ ეროვნულად – ქართველები... ამგვარად, თუ თქვენ იტყვით, რომ ტომობრივად აფხაზები ხართ, ხოლო ეროვნულად – ქართველები, ეს სრულებით არ ნიშნავს ეროვნების გამოცვლას, სხვა ერის წიაღში გადასვლას.

არ გაჭრა მაშინ ჩემმა მტკიცებამ, ვერც ბავარიის მეფის ლუდვიგ ჰირველის სიტყვების – „ჩვენ გვინდა გერმანელები ვიყოთ და ბავარიელებად დავრჩეთ“ – მოხმობამ უშველა საქმეს. კატეგორიულად უარი განაცხადეს თავის თავი ტომობრივად აფხაზებად ეცნოთ. ჩემთვის სრულიად ცხადი გახდა, რომ რუსეთის პროპაგანდას თავისი საქმე კარვად გაეკეთებინა: ქართველის ცნობიერებაში მტკიცედ ჩაენერგა, რომ აფხაზები ეროვნულად ქართველები არ არიან. ისინი სხვა ხალხია, სხვა ერია და აფხაზეთი საქართველოს ნაწილი არ არის. ისიც ნათელი გახდა, რომ ქართული ცნობიერება მოწამლული იყო, ქართული შეგნება დარღვეული და ბრძოლა აფხაზეთისათვის საქართველოს უკვე წაგებულ იქნა. ამ ბრძოლაში ვადამწვევები ძალა ცნობიერება და შეგნება იყო. მაგრამ ორივე საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული. მაშასადამე, ბრძოლაც წაგებით მთავრდებოდა.

ეს ძველი ამბავი იმიტომ გავიხსენებ, რომ დღესაც არ გვაქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული, რა თვალსაზრისით, რა კუთხით უნდა წარმართოს ბრძოლა აფხაზეთის დასაბრუნებლად. ეს იმდენად არის აუცილებელი, რამდენადაც აუცილებელია ქართული ეროვნული ცნობიერება-შეგნების მთლიანობის აღდგენა. საქართველოს არა მარტო ტერიტორიის ერთიანობა-მთლიანობის აღდგენა სჭირდება, არამედ ქართული ეროვნული ცნობიერება-შეგნების მთლიანობისაც. ამიტომაც არის საჭირო ისტორიის მოშველიებაც. მართალია, ბევრი ამბობს, მნიშვნელობა არა აქვს იმას, რა იყო წარსულში, არსებითია ის, რა არის დღეს, მაგრამ საქმე ის არის, რომ დღესაც ის არის, რაც წარსულში იყო. აფხაზები ეროვნულად ქართველები იყვნენ და არიან. აფხაზეთი ქართული მიწა-წყალი იყო და არის.

ვევლას ჩინებულად მოეხსენება, რომ ძველი ბერძნები და რომაელები საქართველოს მოსახლეობას ორ დიდ ეთნიკურ გაერთიანებად წარმოიგებინებენ. დასავლურ ქართულს უწოდებდნენ კოლხებსა და კოლხიდას, აღმო-

სავლურ ქართულს – იბერებს და იბერიას. ეს შეხედულება არც ბიზანტიურ ეპოქაში შეცვლილა.

ტომთა დღევანდელ სახელებს თუ მოვიშველიებთ, კოლხები არიან აფხაზები, აჭარლები, გურულები, იმერლები, ლაზები, ლეჩხუმლები, მეგრელები, რაჭველები, სვანები. ანტიკურ ეპოქაში მათი საერთო სახელია კოლხი, ხოლო მათ საცხოვრისს კოლხეთი ეწოდება (მკითხველი მიხვდება, რომ არ ვიზიარებ ქართულ საისტორიო მეცნიერებაში გავრცელებულ უოვლად მცდარ შეხედულებას, თითქოს იბერიულენოვანი მოსახლეობა მოგვიანებით შევიდა კოლხეთის ტერიტორიაზე. კოლხები და იბერები დასავლეთ საქართველოში აიეტის დროსაც ერთად ცხოვრობდნენ. აქ, ახლა ამასვე ვრცელი საუბრის დრო და ადგილი არ არის).

ისიც უველამ კარგად იცის, რომ კოლხეთის სახელმწიფო ისტორიის სწვადასხვა მონაკვეთში სწვადასხვა სახელით მოიხსენიება – ლაზიკა, ეგრისი, აფხაზეთი. ეს ხდება იმის შესაბამისად, როდის, რომელი კოლხური ტომი უფრო აქტიურად მოღვაწეობს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ასპარეზზე. როცა ლაზები აქტიურობენ, მთელ დასავლეთ საქართველოს ლაზიკად უხმობენ, როცა მეგრელები – დასავლეთ საქართველო ეგრისია, ხოლო როცა აფხაზები, მაშინ იმიერ-საქართველოს აფხაზეთი ჰქვია. ესეც იმის საბუთია, რომ აფხაზეთი საქართველოა და აფხაზები ქართველები არიან.

უფრო მეტიც, ირანულ-არაბულ საისტორიო წყაროებშიც და სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში აფხაზეთი მთელი საქართველოა, დასავლეთიც და აღმოსავლეთიც, ხოლო აფხაზი ქართველის შესატყვისია, მისი ბადალი ეთნონიმი. ესეც კარგად ცნობილია, მაგრამ ორიოდ საბუთს მაინც გავახსენებთ.

როცა ნიზამიმ (1141-1209 წწ.) „ხოსროვი და შირინი“ დაწერა, პოემით ტოდრულ-მაჰი აღტაცებული დარჩენილა. მაჰს პოეტისათვის სოფელი ჰამდუნისანი უჩუქებია. ნიზამის სოფელი არ მოსწონებია, უკმაყოფილებაც გამოუხატავს.

„სოფელი, მაგრამ, რა სოფელი, ვიწრო ხევია,
სიგრძე-სიგანით ფარსანგრზე ვერ მიუღწევია.
უშემოსავლო და ხარჯიც კი ბევრია მისი.
თანაც აბნაზთა სანახევრო ეოფილა ისიც“.

უჭკველია, რომ ამ „აფხაზში“ სოხუმის ოლქში მოსახლე აფხაზები არ იკულისხმებიან. განჯის სახანო კახეთ-ჭერეთს ესაზღვრებოდა. ნიზამიც იქაურ ქართველებს უწოდებს აფხაზებს.

საუანი შირვანელი (1121-1199 წწ.) კი ამბობს: „აფხაზეთში დავესახლე და ქართულად ვლაპარაკობ...“

ასე მარტო მაშინ არ ეოფილა. მერეც ასე იყო. სრულიად სომეხთა კათალიკოსი სიმონ ერევნელი (XVII ს) წერს: „ბაშჩუხნი აპაზთა (აბაზთა) ქვეუ-

ნით არიან“ და განმარტავს, რომ „აპაზთა ქვეყანა“ „ქუთაისად წოდებული უსაბას (ანუ დაბას)“ ნიშნავსო. ამასვე ადასტურებს სომეხთა მეორე კათალიკოსი ლუკაც (1780-1800 წწ.): „სოლომონ მეფე აფხაზეთისა, რომელსაც იმერეთს და ბაშიაჩუსს უწოდებენ“.

აფხაზი რომ აფსუა-ენაზე მოლაპარაკე ხალხი არ არის, ეს „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორმაც კარგად იცის. იგი წერს – სახელი ლაშა „განმანათლებლად სოფლისა ითარკმნაო აფსართა ენითა“. აღექსანდრე ონიანმა უდავოდ გაარკვია, რას ნიშნავს აქ ეთნონიმი „აფსარი“ (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1994 წ. 19 მაისი).

„ისტორიანისა და აზმანის“ ავტორს არ შეიძლება შეშლოდა რამე, მან ზედმიწევნით ზუსტად იცის თამარის ტიტული – მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა. მაშასადამე, „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორისათვის აფხაზი სხვაა და აფსარი სხვა. ამას ისიც უნდა დაუუმატო, რომ დედამიწის ზურგზე არც ერთი მეფის ტიტული არ იწეება სხვა, უცხო, ხალხის სახელით. უველა მეფის ტიტული იწეება მოცემული სახელმწიფოს ძირეული ხალხის სახელით. ამის საწინააღმდეგო მაგალითს ვერც ერთი ისტორიკოსი ვერ მოიუყანს.

აფხაზებით იმიტომ იწეება ქართველ მეფეთა ტიტული, რომ „აფხაზი“ ძირეული ქართული ტომის სახელია. ქართველი მეფე ვერ იქნებოდა გამონაკლისი. თავის ტიტულს ვერ დაიწეებდა უცხო ხალხის სახელით.

იმასაც თუ არ დავივიწყებთ, რომ ქართულ ეკლესიაში „აფხაზეთის კათალიკოსის“ თანამდებობაც არსებობდა, კიდევ ერთ საბუთს ვიშოვნიდით აფხაზის ქართველობის სასარგებლოდ. აფხაზეთის კათალიკოსს საუკუნეების მანძილზე ჰქონდა რეზიდენცია და ტახტი ბიჭვინთაში. აფხაზეთის კათალიკოსი იქ იჯდა, სადაც მრევლი ქართული იყო და ეკლესიისა და ხალხის სამეტყველო ენაც ქართული. სხვაგვარად წარმოუდგენელია ქართველი კათალიკოსის უოფნა ბიჭვინთაში.

რაც ზემოთ ითქვა იქიდან გამომდინარე ვასკვნი:

1. „აფხაზი“ და „აფსუა“ ერთი და იმავე ეთნონის სახელი არ არის. აფხაზი ქართველია. აფსუა კი ადიღეურ-ჩერქეზული მოდგმის ხალხია. აფხაზები აფხაზეთის აბორიგენი მოსახლეობაა. ამიტომაც ჰქვია საქართველოს ამ პროვინციას აფხაზეთი. აფსუა დროთა განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ხალხია ისევე, როგორც ოსები ჩამოვიდნენ იმიერ-კავკასიიდან შიდა ქართლში. ეს საქართველოს ბედდამწვარი ისტორიის ჩვეულებრივი პროცესია.

2. უგუნურობის, უდარდელობის, ზერელობის გამო ქართველებს საბედისწერო მცდელობა მოგვივიდა, როცა რუსული პროპაგანდის ანკესს წამოვეკეთ და უცხო ხალხს – აფსუას – აფხაზი შევარქვით და საკუთარი მიწა-წყალი

დავუთმეთ. ახლა აფსუა ამით სარგებლობს: ეთნონიმსაც გვართმევს, მიწა-წყალსაც და საკუთარ სახლ-კარიდან გვერეკება. დღეს აფხაზეთიდან გამოდევნილი არიან აფხაზები, ამიტომ ლოზუნგი უნდა იყოს: დავაბრუნოთ აფხაზეთში აფხაზები! ეველა დოკუმენტიც, სამართლებრივი თუ პოლიტიკური, ამ თვალსაზრისით უნდა დაიწეროს.

3. 1992-93 წლების ომი არ იყო და არ არის აფხაზთა და ქართველთა კონფლიქტი. ეს იყო და არის რუსეთ-საქართველოს ომი აფხაზეთისათვის. ამ ომში რუსეთმა დაამარცხა საქართველო და დაიპყრო აფხაზეთი. ამიტომ ეოვლად დაუშვებელია და შეუძლებელი, რუსეთის არმია წარმოვიდგინოთ სამშვიდობო ძალებად. ეს არის დამპყრობელთა ჯარი და მოთხოვნაც შესაბამისი უნდა იყოს: რუსეთის არმიამ, როგორც დამპყრობელმა, დატოვოს საქართველოს ტერიტორია – აფხაზეთი.

რაც მოგასხენეთ, ამას ერთი მიზნით ვწერ, თუ სხვა თვალსაზრისზე დავდგებით, აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ. რა საფუძველზე უნდა მოვითხოვოთ აფხაზეთის დაბრუნება, თუ აფხაზებს ქართველებად არ მივიჩნევთ და აფხაზეთს საქართველოს ნაწილად? სად უნდა დავაბრუნოთ დევნილები, უცხო ქვეყანაში, თუ ჩვენსავე საკუთარ მიწა-წყალზე? დღევანდელ საქართველოს ხელისუფლებას ეს საკითხი გარკვეული არა აქვს. ვერც აქტიურ პოლიტიკას მიმართავს. აფსუაებთან კუდის ქიცინი და „ძმობაზე“ ფარისევლური ლაპარაკი კი არაერთარ ნაყოფს არ გამოიღებს. ნურც იმის იმედი ექნება ვინმეს, რომ ქართველების სიუკარულით ნატო ბომბებს დააერის სოხუმს. თუ ჩვენ, ქართველებმა, თვითონ არ გადავწყვიტეთ ჩვენი პრობლემა, არავინ დაგვეხმარება, უურსაც არავინ გააბარტყუნებს ქართველთა სასარგებლოდ. განვლილმა დრომ თვალნათლივ დაადასტურა ეს.

ამას ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს ეველა, ვისაც გულწრფელად სურს სამართლიანობა – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა-ერთიანობის აღდგენა, დევნილთა დაბრუნება აფხაზეთში.

1999 წ., ივლისი

საპარამბო ქართული კოლიტიკური აზრის
ისტორიის შესახებ

(ერთი თავი გამოსაცემი წიგნიდან)

ზირველთქმა

1991 წლის დეკემბერი ილეოდა. რუსთაველის გამზირზე ქართველები ერთმანეთს ქუჩავდნენ. კონფლიქტის მონაწილეებს ვარდა, ეს არავის აწუხებდა. მოსახლეობის უმრავლესობა, არათუ დიდუბეში ან საბურთალოზე, არამედ კრიბოედოვის ქუჩაზე, გულკრილად უუროებდა ამას. ეს იყო სროლის ხმა აღიზიანებდათ. გულში ორივე მხარეს ავინებდნენ და ის დღე ენატრებოდათ, როცა ეს კოშმარი დამთავრდებოდა.

იმ შემხარავ დღეებში, 26 დეკემბერს, მწერალი რევაზ ინანიშვილი ვარდა-იცვალა. ომია თუ მშვიდობა, მიცვალებულს განატოოსნება უნდა. მისი ნათესავ-ახლობლები ჰანაშვიდზე ვიკრიბებოდით. აქ კარგა ხნის უნახავ ძველ მეგობარს მაგალი თოდუას შევხვდი. მაშინ იგი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორად მუშაობდა. საუბარში მითხრა: მართალია, ქვეუანა იქცევა, მაგრამ იქნებ ჩვენთან, უნივერსიტეტში, ლექციები წაიკითხოო. თემაც დამიხსუსტა: მთელი საქართველო პოლიტიკით შეიშალა და კარგი იქნება ახალგაზრდობას ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიას თუ გააცნობთო. შორეული მიზანი უნივერსიტეტში პოლიტოლოგიის კათედრის შექმნა იყო. მაშინ, რა თქმა უნდა, არ ვიცოდით, რომ პოლიტოლოგია საქართველოს სენივით მოედებოდა და უოველი მეორე ქართველი პოლიტოლოგი განდებოდა. პოლიტოლოგები ისე დაცვივდებოდნენ, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორები ივენენ კომუნისტური რეჟიმის დროს.

ეს წინადადება მომეწონა. დაუთანხმდი. უძნელეს ჰირობებში გვიხდებოდა იმას რექტორობა, მე – ლექციების კითხვა (რა თქმა უნდა, სხვასაც). სასტუმროს ჰაწაწინა ოთახში ვიუავით შეუყუელი. შემოდგომაზე და გაზაფხულზე კიდევ რა უშავდა. ბუნებრივი სითბო და სინათლე გვშველოდა. ზამთარი იყო

საშინელებს. ციოდა. ბნელოდა. სშირად გვპიოდა. ქუთათური გულუხვობა თუ წამოკვეპველებოდა. ამა თუ იმ ოჯახში დაგვპატიყებდნენ და სულს მოვითქვამდით. სტუდენტებიც ჩვენსავე დღეში იყვნენ. გაუინულ-გათოშილნი ისხდნენ ლექციებსზე. ალბათ, ბევრჯერ მშიერიც. ქვეყანა თავდაყირა იდგა და სწავლა-განათლება ვის ვპიტნავებოდა. უნივერსიტეტი მაინც ცოცხლობდა და ცხოვრობდა. ავბედით დრო-ჟამს უმკლავდებოდა.

ამ წიგნში ის წერია, რაზეც მაშინ ქუთაისის უნივერსიტეტში ვესაუბრებოდი.

ლექცია პირველი

გულახდილად რომ ვითხრათ, არც კი ვიცი, რა დავარქვა იმ საუბრებს, რომელიც ჩვენ გვექნება. ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიას ვერ ვუწოდებთ. ეს მეტიმსეტი თავხედობა იქნებოდა. იგი ჯერჯერობით შესწავლილი არ არის და მწუბორი სახით ჩამოყალიბებული, შეუსწავლელობას თავისი საფუძველი აქვს. უპირველესად ის, რომ ქართულად არავის დაუწერია ისეთი პოლიტიკური ტრაქტატები, როგორც ვახლავთ, მაგალითად, პლატონის „სახელმწიფო“ ანდა არისტოტელეს „პოლიტიკა“, უფრო გვიანდელი დანტე ალიგიერის „მონარქია“, ნიკოლო მაკიაველის სახელგანთქმული „მთავარი“. არაფერი რომ არ ვთქვა ჟან-ჟაკ რუსოს „საზოგადოებრივ ხელშეკრულებასა“ და მონტესკიეს „კანონთა გონზე“. კიდევ ბევრი სხვა ამდაგვარი თხზულება გაახსენებდა კაცს, რომლითაც ცნობილია საკაცობრიო პოლიტიკური აზროვნება.

პირველი აშკარად გამოკვეთილი პოლიტიკური მოაზროვნე საქართველოში მხოლოდ მე-18 საუკუნეში გამოჩნდება – ალექსანდრე ამილახვარი. მანამდე კი ოდენ „ქართლის ცხოვრების“ ამარად ვართ დარჩენილი და იქიდან უნდა ამოკერიფოთ ჩვენთვის საყურადღებო ცნობები. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური კონცეფციის თვალსაზრისით, არც „ქართლის ცხოვრება“ შესწავლილი, მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნზე ცოტა არ დაწერილა. ბევრი ქართველი თუ არაქართველი მეცნიერი შეხებია მას და თავისი აზრი გამოუთქვამს.

მართალია, ამა თუ იმ პოლიტიკურ პრობლემაზე ცალკეული წიგნებიც შექმნილა, ესა თუ ის საყურადღებო აზრიც გამოთქმულა, მაგრამ მე მოგახსენებთ ქართული პოლიტიკური აზროვნების საერთო სურათზე, მის მთლიანობაზე და თანამიმდევრულ გადმოცემაზე, რასაც შეემლო მსმენელისა თუ მკითხველისათვის მისი მეტნაკლებად სრული სურათი შეექმნა. ამ საქმეში ნამდვილად მოვიკოჭლებთ. ალბათ, ხარვეზი მომავალში შეივსება. ამის იმედი უნდა ვიქონიოთ. ჩვენი საუბრების მიზანიც ის არის, რომ ამ მიმართულებით ახალგაზრდობა დაფანტურესოთ, ამოცანად დაუესახოთ დღევანდელი ნაკლის გამოწერება. ამის გაკეთება აუცილებელია, თუ მართლა გვინდა ახალი,

თავისუფალი და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აშენება.

რაკი ასეთი ვითარება გვაქვს, შევთანხმდეთ და ჩემს ლექციებს ვუწოდოთ – საუბრები ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიის შესახებ.

საუბრები – ასეთი მარტივი სახელი ჰირადად ჩემთვისაც ხელსაყრელია. ხელსაყრელია იმდენად, რამდენადაც სამუალებას მაძლევს, არცთუ იშვიათად, ვარაუდები გამოვთქვა, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. საერთოდ უნდა გითხრათ, რომ სტუდენტობასთან ვარაუდების ენაზე საუბარი მიზანშეწონილად მიმაჩნია. ლექტორი არ უნდა დაკმაყოფილდეს მარტო იმის გადაცემით, რაც უკვე დადგენილია, უდავოა და უკამათო, არამედ ისიც უნდა გააცნოს ახალგაზრდობას, რაც ჯერჯერობით დაუდგენელია, სადავოა და საკამათო. ვინ იცის, სწორედ იმ უმაწვილმა, ვაჟმა თუ ქალმა, რომელიც დღეს სტუდენტის მერხზე ზის, ამოიცნოს და ამოხსნას ის საიდუმლო, რაიც მის მასწავლებლებს ვერ მიუგნიათ. ამასთანავე, ვარაუდი სტუდენტის გონებას აფხიზლებს. ფიქრისაკენ მოუწოდებს. ინტერესს უჩენს – მოძებნოს ვარაუდის დამადასტურებელი ან უარყოფელი საბუთები, არგუმენტები. არც ის გახლავთ გამორიცხული, რომ ვარაუდის წყალობით ლექტორსა და სტუდენტს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ჰაქრობა გაიმართოს, რაც ორივე მხარეს ტვინის გაჩარხვაში დაეხმარება. ეს კი უაღრესად სასურველი პროცესია, რადგან სწავლების უმთავრეს ამოცანად სწორედ ტვინის გაჩარხვა უნდა ჩავთვალოთ.

ვევლათფერი, რაზეც საუბარი გვექნება, უნდა განვსაჯოთ თავისუფალი, საღი, ფხიზელი გონების ძალით, წინასწარვე აკებული აზრისა თუ დოკმის თვინიერ. თუ ასე მოვიქცევით, შევძლებთ თანდათანობით მივუახლოვდეთ სიმართლეს. მაგრამ რა არის სიმართლე? ზასუსხი მეტიმეტად ძნელია. იმისათვის, რომ ამ კითხვას ზასუსხი მივცე, დიდი ესპანელი მოაზროვნე ხოზე ორტეგა-ი-გასეტი (1883-1955წწ.) უნდა მოვიშველიო. იგი ამბობს: ცნება „თანამედროვეობა“, ანუ „დღევანდელიობა“, ანუ „აწმყო“ სამი თაობისაგან შედგება – ახალგაზრდები, მოწიფულნი, მოხუცები. ისინი ერთ დროში ცხოვრობენ, ერთდროულად მოქმედებენ, ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე. მაგალითად, ვლადიმერ პეტროვი – 1929 წელი. რა თქმა უნდა, ერთსა და იმავე დროს ვკულისხმობთ, მაგრამ ეს 1929 წელი სხვადასხვაგვარად ესმის ახალგაზრდას, მოწიფულს, მოხუცს. სხვადასხვანაირია სამივეს დამოკიდებულება ამ 1929 წლისადმი. მაგრამ არსებობს ისიც, რაც სამივე თაობას ერთნაირად ესმის. აი ის, რაც სამივე თაობას ერთნაირად ესმის, რაც მათთვის სადავო არ არის, არის სიმართლე. სიმართლე კი არის არსებობის საფუძველი. ასე ფიქრობს ესპანელი ფილოსოფოსი („რატომ მივედით ისევ ფილოსოფიასთან?“). თუ ამ აზრს გადავრძობებთ, შეგვიძლია ვთქვათ: ამ სიმართლის წყალობით არ ირღვევა დროთა და თაობათა კავშირი, რაც ასე მწარედ აწუხებდა ზრინც ჰამლეტს. მისი მეთხებით ჰარმონიულად მიედინება დრო წინ და ზდება თაობათა ცვლა. მაგრამ იმისათვის,

რომ დროის დინება არ შეჩერდეს, აუცილებელია შესვრულებათა სხვადასხვაობაც. ეს არის ძრავა, რომელიც წარმართავს წინსვლას, თორემ თანამედროვენი, თანაკბილანი, თანაქალაქელნი რომ უოფილიყვნენ, ისტორია განგრდებოდა, მოძრაობას შეწყვეტდა. ეს კი, გასაგებია, რასაც გამოიწვევდა – კაცობრიობის სიკვდილს. თქვენ შეიძლება არ დამეთანხმოთ, არ გაიზიაროთ ჩემი შესვრულება ან მე არ დაგეთანხმოთ თქვენ, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ვერ გავაკუთებთ დასკვნას, ვერ ჩამოვაუადლებებთ აზრს, რომელიც ორივე მხარისათვის იქნება სიძარტლე. თუ ახალგაზრდა თაობა ფიქრობს, რომ არაფერი აქვს საერთო წინამორბედ თაობასთან ანდა ხანდაზმულთა თაობას მიანინა, რომ კავშირი არა აქვს მოძავალ თაობასთან, იწყება მოუგვარებელი კრიზისი, რომელიც იწვევს საზოგადოების დაშლას. საზოგადოების დაშლა კი კატასტროფას ნიშნავს. მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ ხდება. ეველა კრიზისულ ვითარებაში მოიქებება ის სიძარტლე, რომელიც ეველა თაობისათვის საერთოა, რომელსაც შეუძლია გადაარჩინოს დარღვევისაგან დროთა კავშირი, თაობათა ურთიერთდამოკიდებულება და საზოგადოების ერთიანობა. ჩვენ ამას ცხადად დავინახავთ, როცა თვალს გავადევნებთ საქართველოს ისტორიას საერთოდ და, კერძოდ, ქართული პოლიტიკური აზრის დინებას.

ჩვენ უნდა შევეცადოთ ქართული პოლიტიკური აზრის დინება განვიხილოთ ევროპული პოლიტიკური აზრის დინების ფონზე. რატომ მაინცდამაინც ევროპული პოლიტიკური აზრის დინების ფონზე და არა, ვთქვათ, აზიური პოლიტიკური აზრისა? აქ მინდა თქვენი ურადლება მივაპურო ორ გარემოებას, რომელნიც, ჩემი ფიქრით, არსებობით მნიშვნელობისა გასლავთ.

ჯერ ერთი: დღეს ეველასათვის უეჭველი და ცხადია, რომ კაცობრიობა – პოლიტიკურად, ეკონომიკურად, იურიდიულ-სოციალურად, ეოფის კუთხითაც კი, – ვითარდება იმ პრინციპებისა და წესების შესაბამისად, რაც ევროპამ შექმნა და ჩამოაუადლება. ისიც მინდა გითხრათ, რომ როცა „ევროპას“ ვამბობ, ვგულისხმობ რომანულ-გერმანული მოდგმის ხალხების შექმნილ კულტურას, თორემ გეოგრაფიულ ევროპაში ეალმუხებიც ცხოვრობენ, ჩუვანებიც, კომიცა და კიდევ რამდენი ვინმე, რომელთაც ევროპულ კულტურასთან არაფერი აქვთ საერთო. ისეთი დიდი წარსულისა და კულტურის მქონე ხალხებიც კი, როგორიც არიან ინდოელები, ჩინელები, იაპონელები, თავიანთ ცხოვრებას ეველა თვალსაზრისით – პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, იურიდიული და ა.შ. – აწუობენ ევროპული ცხოვრების წესის შესაბამისად. ცხადია, აღარაფერს ვამბობ აფრიკის ხალხებზე. მაშასადამე, ძირითადად და არსებითად კაცობრიობის ცხოვრება ვითარდება იმ ფორმებისა და წესების შესაბამისად, რაც ევროპულმა, ანუ რომანულ-გერმანული მოდგმის ხალხების კულტურამ შეიქმნა. ამიტომ ჩვენც ევროპული პოლიტიკური აზრის დინების ფონზე უნდა განვიხილოთ ქართული პოლიტიკური აზრის აუ-კარგი.

მეორეც: ჰირობითად შესაძლებელია აზროვნება ორ სახეობად დაყოფა: ჰირველი – რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნება და მეორე – მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნება. ამის შესაბამისად არსებობასაც ორი ფორმა შეიძლება ჰქონდეს – *vita cantemplativa* (ჭვრეტით ცხოვრება) და *vita aetixce* (ქმედითი ცხოვრება), როგორც ფილოსოფოსები ამბობენ.

ორივე ფორმა აზროვნებისა და არსებობისა ჰარმონიულად ევროპულმა კულტურამ შეაერთა და თანამედროვე ცივილიზაცია შექმნა.

რელიგიურ-ფილოსოფიური თვალსაზრისით, აზიური კულტურა არაფრით ჩამოუვარდება ევროპულს. ზოგჯერ აღემატება კიდევც. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ვველა მსოფლიო რელიგია აზიაში შეიქმნა – ბუდიზმი, ქრისტიანობა, ისლამი და სხვანიც შედარებით ნაკლებად გავრცელებული სარწმუნოებანი. უდიდესი და უღრმესი არიან არაბული, სპარსული, ინდური, ჩინური ფილოსოფიური მოძღვრებანი, ლიტერატურულ-მხატვრული ქმნილებანი. მაგრამ ძალიან მცირეა აზიის ხალხების როლი და ადგილი მეცნიერულ-ტექნიკურ აზროვნებაში. მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნება არსებითად ნაყოფიან ევროპული კულტურისა. აზროვნების ამ მიმართულების თითქმის ვველა უდიდესი წარმომადგენელი, ყოველ შემთხვევაში, მათი გადამწვევები უძრავლესობა, რომანულ-გერმანული მოდგმის ხალხების შვილია.

კაცობრიობის განვითარება და წინსვლა კი ხდება მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების საფუძველზე და არა რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნების საფუძველზე.

აბა, მიაქციეთ ყურადღება!

იყო დრო, როცა ადამიანი არაფერს ფლობდა. საკუთარი ძაღლიც, ქვის და ჯოხის იმედად იყო. ფეხით, ცხენით, ურმით დადიოდა. ახლა იგი ნაირნაირი ხელსაწყო-იარაღის მფლობელია. თვითმფრინავებით, ჯარანებით, კოსმოსური ხომალდებით დაფრინავს. ტელეფონით ლაპარაკობს, რადიოს უსმენს, ტელევიზორს უყურებს. სულ მალე მზის სისტემაში არსებული სხვა პლანეტების დასახელებას დაიწყებს. უსაზღვროდ და უსაშველოდ გაფართოვდება მისი თვალსაწიერი.

ამ გამოგნებულ წინსვლას ადამიანმა მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების წყალობა-საშუალებით მიაღწია.

მომაჯადოებელია, მომხიბლავია, მიმზიდველია რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნება. უმაღლეს სულიერ სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს მასთან კონტაქტი, მაგრამ მას კაცობრიობის წინსვლაში არსებითი როლი არ შეუსრულებია.

ვინ მოთვლის რამდენი საუკუნეა ქადაგებს რელიგია – არა კაც ჰკლავს, მაგრამ ადამიანი მინც ჰკლავს მეორე ადამიანს. უფრო უარესიც: ომებისა და რევოლუციების სახით გაუგონარ სასაკლაოებს აწეობს.

ვინ მოთვლის რამდენი საუკუნეა გვესმის – არა იქურდო, მაგრამ ადამიანი მინც იპარავს. რაც დრო გადის, ქურდობის მასშტაბები იზრდება და იზრდება. არავითარი ჰირო არ უნახს იმას, რომ ოდესმე ჰარვა-მარცვა მოიკლებს და შექცირდება.

ვინ მოთვლის რამდენი საუკუნეა ჩავჭიჩინებს რელიგია – არა იმრუშო, მაგრამ ადამიანი არა მარტო აგრძელებს მრუშობას, არამედ პროსტიტუცია შემოსავლიან პროფესიად გამოაცხადა. მისი აღარ ერცხვინება და არც დასაგმობ საქმიანობად მიაჩნია.

უძველესი დროიდან რელიგია მომაკვდინებელ ცოდვად თვლიდა სომურ კარუნსილებს. თავკამეტებული ებრძოდა მას, მაგრამ ვერაფერს გახდა. დღეს მთელ მსოფლიოში, ევლეგან, ღიად და აშკარად ლაპარაკობენ ჰომოსექსუალისტთა უფლებების დასაცავად. რელიგიაც ეკუება და ეთვისება მათ.

ამაზე რომ ვსაუბრობთ, ჰეტერ ალტენბერგის ნათქვამიც მახსენდება:

„ჰერცოგმა ლაროშფუკომ იმდენი აფორიზმი დაწერა, გულწრფელად გული მწუდება, რატომ მე არ მომივიდა ისინი აზრად, მაგრამ რადგან ისინი სამი საუკუნის განმავლობაში ვერავის ვერაფერში გამოადგა, ამიტომ მიხარია, რომ მე არ გამიწევია ეს უმაღური შრომა“.

ერთი სიტყვით, ადამიანის ბუნება ვერაფერმა შეცვალა. რაც ეოველთვის იყო, ის დარჩა და დროთა განმავლობაში, რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნების ზემოქმედებით მისი სრულყოფა არ მოხდა.

სხვა კუთხითაც შევკვილია შევხედოთ რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნებას. ვერც იქ დავინახავთ წინსვლას; ცვლილებას არსებითსა და მნიშვნელოვანს.

იცით, რომ ქრისტიანული მოძღვრება ღმერთს წარმოადგენს სამპიროვან ერთარსებად. ისლამისათვის ეს გაუგებარიც არის და მიუღებელიც. საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობს ამ საკითხზე მათ შორის დავა-კამათი, მაგრამ ევლაფერი საწეის წერტილზე დარჩა. ქრისტიანებს ძველებურად სჯერათ ღმერთის სამსახოვანება და მუსლიმებს ისევე არ სწამთ ამისი. ჰაქრობა ისევე გაგრძელდება, ისევე დაიწერება უამრავი წიგნი, მაგრამ ვითარება არ შეიცვლება. არც ქრისტიანები დაუჯერებენ მუსლიმებს და არც მუსლიმები – ქრისტიანებს.

ანდა მეორე მაგალითი გავიხსენოთ. ებრაელებს არ სჯერათ, რომ ქრისტიკ მესია იყო. რატომ? იმიტომ, რომ ძველი აღთქმის წიგნების მიხედვით, მესია ის შეიძლება იყოს, ვისი მოვლინების შემდეგ დედამიწის ზურგზე ევლა ბოროტება მოიხატება. უბოროტებო სამუარო ჩამოყალიბდება. ქრისტეს მოვლინების შემდეგ ასე არ მომხდარა. როგორც მის მოსვლამდე სუფევდა ბოროტება ამ სოფლად, ასევე სუფევს იგი ქრისტეს მოსვლის შემდეგაც. ამიტომ ებრაელები იხოს არ მიიჩნევენ მესიად. რა თქმა უნდა, ამას ქრისტიანები არ

იზიარებენ და მკაცრად ეკამათებიან იუდაისტებს. ეს სიტუვისკებაც ასეული წლების მანძილზე მომდინარეობს, მაგრამ შედეგი არ ახლავს. არც იუდაისტები იცვლიან აზრს და არც ქრისტიანები.

ამგვარი უშედეგო დავა-კამათის, ჰაექრობის, დისკუსიის უთვალავი და აურაცხელი ნიმუში შეიძლება მოვიხმოთ, მაგრამ არავითარი აუცილებლობა არ არსებობს ამისა. ისედაც ცხადი და გასაგებია თქვენთვის, რასაც ვამბობთ.

ძველ ბაბილონიასა და ეგვიპტეს ათასმდე წელიწადი გვაშორებს, მეტი კი არა. ამ ხნის მანძილზე გაიარა კაცობრიობამ გზა ზიქურატებითა და ჰირამიდებით დაწეებული და ელექტრონიკითა და კოსმოსური ტექნიკით დამთავრებული. და, როგორც უკვე ითქვა, ამ გზის გავლა სწორედ მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების შედეგად მოხერხდა. თორემ სულიერი თვალსაზრისით, რა საკითხებიც აწამებდა „გილგამეშინის“ ავტორს, დღესაც იგივენი აწვალავენ. ამ ხნის მანძილზე ადამიანის სულიერი არსი არ შეცვლილა. ან იმდენად მცირედ შეიცვალა, რომ უოფიერებაზე ზეგავლენა არ მოუხდენია. ისიც საკითხავია, ეს სულიერი არსი რა მიმართულებით შეიცვალა უკეთესობისაკენ თუ უარესობისაკენ? უფრო მაღალ ხნობრივ იდეალს ვეზიარეთ თუ, საერთოდ, ხნობრიობას ეჭვის თვალთ შევხედეთ. ჰასუსნი უაღრესად ძნელია. ცხადი მხოლოდ ის არის, რომ ცივილიზაცია, რომელიც ცალმხრივი დაჩა, გავრცელების ვიწრო არეალს ვერ გასცდა. ის ცივილიზაცია კი, რომელმაც მოახერხა ჰარმონიულად შეერთებინა აზროვნების ორივე სახეობა – რელიგიური ფილოსოფიური და მეცნიერულ-ტექნიკური – მსოფლიოს დაეუფლა. ევროპულ ცივილიზაციაში აზროვნების ორივე სახეობა თანაბარი ძალით არსებობს, აზიურში კი არა. აზიურში ამკარად უფრო მძლავრია რელიგიური ფილოსოფიური აზროვნება, ვიდრე მეცნიერულ-ტექნიკური. ამ კუთხით აზია დღეს ცდილობს გაუთანაბრდეს ევროპას. მაგრამ უკვე დაგვიანებულია. როგორც უნდა განვითარდეს ინდური, ჩინური, იაპონური ცივილიზაცია, იგი თავს ვეღარ დააღწევს ცივილიზაციის იმ ფორმას, რომელიც ევროპამ შექმნა. ავტომობილებიც, რკინიგზებიც, თვითმფრინავებიც, რაკეტებიც, კოსმოსური ტექნიკა საერთოდ, რობოტებიც, ტელევიზორებიც, ტელეფონებიც და ასე დაუსრულებლად, ევროპული ცივილიზაციის ნაყოფია. კაცობრიობა ამ ცივილიზაციაზე უარს ვეღარც იტყვის და აღარც იტყვის. ჰირიქით, უფრო სრულყოფილს და მრავალმხრივს განდის მას, თუნდაც იმიტომ, რომ კაცობრიობის უახლოესი მიზანი და ამოცანაა სხვა პლანეტებზე მოგზაურობაც და დასახლება. ამას კი ვერ განახორციელებს მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების თვინიერ. თუ კაცობრიობა შვიდი-რვა ათასი წლის მანძილზე ზიქურატებიდან და ჰირამიდებიდან ელექტრონიკამდე და კოსმოსურ ტექნიკამდე მივიდა, წარმოიდგინეთ რა უსაზღვრო თვალსაწიერი იხსნება მის წინ მომავალში. ამ უსაზღვროების გზა ევროპულმა ცივილიზაციამ გახსნა. იმიტომ მოგახსენებდით.

რომ ქართული პოლიტიკური აზრის განვითარება ევროპული პოლიტიკური აზრის განვითარების ფონზე უნდა განვიხილოთ-მეთქი. მაშინ ჩვენ მკაფიოდ დავინახავთ, როდის იარა საქართველომ დანარჩენი კაცობრიობის კვალდაკვალ, როდის ჩამორჩა მას, როდის ამოვარდა კალაპოტიდან და ისტორიის ორღობეში ჩარჩა.

საქართველო უძველესი ქვეყანაა და მკვიდრი ნაწილია იმ სამყაროსი, რომელსაც უსსოვარ დროში ხმელთაშუა ზღვის აუზი, ეგვიპტე, შუამდინარეთი და ირანი შეადგენდა. ეს ცხადად და მკაფიოდ ჩანს ძველბერძნულ მითებში, კანსაკუთრებით არგონავტების თქმულებაში.

საქართველოს ისტორიის დაწვებას არგონავტების მითით რატომღაც ქართული საისტორიო მეცნიერება გაურბის, თავს არიდებს. ალბათ, ეს იმის ბრალია, რომ, ასეა თუ ისე, ისტორია სიმართლის აღწერად მიიჩნევა. მითი კი ვაგონილ, არარეალურ ამბავს გვიუკვება. მაგრამ მთლად ასე არ უნდა იყოს. მით უფრო მას შერე, რაც ჰაინრიხის შლიმანის არქეოლოგიურმა ძიებებმა ტროას არსებობა დაადასტურა. ბერძენთა და ტროელთა ომიც ნამდვილად მომხდარა და არც „ილიადა“ და „ოდისეა“ მხოლოდ თქმულება. ისინი ისტორიკოსსაც გამოადგებიან ეპოქის სურათის წარმოსადგენად. ჩანს, ასევე უნდა შევხედოთ არგონავტების მითსაც, მათ ლაშქრობას კოლხეთში და ოქროს საწმისის მოტაცებას.

სამწუხაროდ, ქართულ არქეოლოგიას არასოდეს ჰქონია ფულადი შესაძლებლობა, არგონავტთა ნაკვალევი აქტიურად და მასშტაბურად ეძებნა. ქართული არქეოლოგია ღარიბი იყო, ნივთიურად ხელმოკლე. იმ გროშებით უნდა დაკმაყოფიებულიყო, რასაც ხელისუფლება გაიმეტებდა. თორემ ჰაინრიხის შლიმანივით მდიდარი კაცი, ვინც მთელ თავის ქონებას არგონავტთა ლაშქრობის ძიებას შესწირავდა, ისეთსავე გამოგნებულ შედეგს მიიღებდა, რაც გერმანელ ვაჭარსა და არქეოლოგს ერგო. შეიძლება უფრო მეტსაც. არც ეს განსლავთ გამორიცხული. მე მჯერა, რომ როცა არქეოლოგია ძირფესვიანად შეისწავლის მითს, აიეტის კოლხეთი ისეთივე რეალურ-ისტორიული განხდება, როგორიც განხდა ჰრიამოსის დროს.

არგონავტების თქმულება საქართველოს ჰრეისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი წყაროა. მასში ამკარად და გამოკვეთილად ჩანს ორი სამყაროს – ელინური და დასავლურქართულის, ანუ კოლხურის – დაპირისპირება. ამ დაპირისპირებაში კოლხური სამყარო არაფრით ჩამოუვარდება ბერძნულს. ჰირიქით, სჯობნის კიდევ.

ჩაუჯდრმავედეთ იმას, რაც წერია აპოლონიოს როდოსელის პოემაში.

ოლიმპოს ღმერთები ჰერა და ათენა იაზონისა და მისი ამხანაგების მხარეს არიან. მაგრამ ორივე ქალღმერთს ეშინია: არგონავტები ვერ მოახერხებენ კოლხების დამარცხებას. ამიტომ აუცილებელია, რაღაც მხაკვრული ხერხის,

ფანდის გამოყენება. მაშინ ჰერამ და ათენამ გადაწყვიტეს დახმარებისათვის აფროდიტესათვის მიემართათ. თუ სიუვარულის ქალღმერთი და მისი ძე ეროსი კოლხთა მეფის ასულს მედეას იაზონისადმი სიუვარულით გამსჭვალავდა, მაშინ არგონავტთა საქმე კეთილად წარიმართებოდა. მედეას დახმარებით იაზონი ოქროს საწმისს მოიპოვებდა.

რას ვერ გააკეთებდა იაზონი მედეას დაუხმარებლად?

აიეტის დაფალება ასეთია: იაზონმა ცეცხლისმფრქვეველი ხარები სპილენძის უღელში და რვალის გუთანში უნდა შეაბას, ოთხი დღიური მიწა მოხნას და ურჩხულის კბილები დათესოს. დათესილი კბილებიდან ბუმბურაზები აღმოცენდებოდნენ. ისინიც უნდა დაეხოცა იაზონს, თორემ შავი დღე დაადგებოდა. ამას, ცხადია, იაზონი ვერ შეძლებდა, მედეა რომ არ დახმარებოდა. აიეტის ასულმა ასწავლა ბერძენს, რა უნდა გაეკეთებინა კოლხთა მეფის დაფალების შესასრულებლად.

მედეას რჩევით, იაზონი შუალამედე არ დაიძინებდა. ნაშუალამევეს გამოვიდოდა გარეთ. წულის ნაკადში განიბანებოდა. შავი მოსასხამით შეიმოსებოდა. მარტოდმარტო, არავის რომ არ დაენახა, ორმოს ამოთხრიდა. ცხვარს დაკლავდა. არ დაჭრიდა. მთლიანად დაწავდა ორმოს ფსკერზე დანთებულ ცეცხლში. ჰეკატეს შეევედრებოდა. თაფლის ზედაშეს წაუქცევდა. ლოცვით მოალებობდა ქალღმერთის გულს, მერე უკანმოუხედავად მოსცილდებოდა სამსხვერპლო კოცონს. თუ უკან მოიხედავდა, ვველაფერი წუალში ჩაიურებოდა. თავადაც დაიღუპებოდა და სხვებსაც დაღუპავდა. გათენებისას კი ტანს, თხემით ტერფამდე, იმ ჯადოსნური წამლით დაიზელდა, მედეამ რომ მისცა. არც ფარ-შუბ-ხმალის გაპოხვა უნდა დავიწყებოდა მედეას წამლით. ამით იაზონი ასკვეც ძალას შეიძენდა. ღმერთებსაც რომ შებრძოლებოდა, ვერაფერს ვერაფერს დააკლებდა.

მედეას მიერ ასე დარიგებულ-განსწავლულმა იაზონმა შეძლო აიეტის დაფალების შესრულება.

კიდევ ერთი დაბრკოლება უნდა გადაეულახა იაზონს ოქროს საწმისის ხელში ჩასაგდებად.

ოქროს საწმისს უზარმაზარი ურჩხული დარაჯობდა. თუ საწმისის მოტაცებას მოისურვებდა, ის ურჩხული უნდა მოეკლა. არ იყო იაზონი ის კაცი, ვინც ამას შეძლებდა. აქაც მედეამ უშველა. სიუვარულით გონდაკარგულმა ქალმა ურჩხული დაამინა. მძინარე ურჩხულს იოლად აუარა გვერდი იაზონმა და ოქროს საწმისი მოიპარა.

რაც გაიმბეთ და რაც, აღბათ, თქვენც იცოდით, ორ რამეს მოწმობს:

პირველი – კოლხეთი ბევრად ძლიერია ელადიდან მოსულ გმირებსზე. ვერც ერთი არგონავტი ვერ შეძლებს იმას, რასაც სულ ადვილად აკეთებს აიეტის. თავად აპოლონიოსს როდოსელი ამბობს, მხოლოდ ჰერკულესს შეეძლო კოლხთა მეფესთან ბრძოლა. მაგრამ იგი გზაში დარჩა და კოლხეთში აღარ ჩა-

მოჭეოლია ბერძნებს.

მეორე – კოლხეთი მაშინ დამარცხდება, თუ მის სახელმწიფო საიდუმლოს გასცემენ. მედევამ, მართალია სიუვარულით დაბანგულმა, მაგრამ მანც გასცა მამისა და კოლხთა სამეფოს საიდუმლო ძალა. ამით, სურდა მას ეს თუ არ სურდა, საკუთარი „მე“ უფრო მალლა დააყენა, ვიდრე ქვეყნის და სამშობლოს ინტერესი. საიდუმლო მტერს გაუმხილა, კოლხეთი იაზონმა კი არ დაამარცხა, არამედ მედევამ. ოქროს საწმისი იაზონმა კი არ მოიპარა, არამედ მედევამ. თუ ბერძნებს კოლხთა მეფის ასული არ დაეხმარებოდა, იაზონი სამარცხვინოდ დამარცხებოდა. ამას, როგორც უკვე ითქვა, ქალღმერთები ჰერა და ათენაც აღიარებენ.

მაგრამ მედევა თავის ოჯახს, ქვეყანასა და ხალხს არ განდგომია ანგარების მიზნით. იაზონი მას იმაზე მეტს ვერაფერს მისცემდა, რაც უკვე ჰქონდა.

არც ძალაუფლების სიუვარულით ჩაუდენია ეს მედეას. იგი მეფის ასული იყო და განსაღებოფლებლად მას იაზონი არ სჭირდებოდა. უიაზონოდაც იოლად დაუფლებოდა რომელიმე იმდროინდელი ქვეყნის ტახტს.

არც ვისიმე მტრობისათვის ჩაუდენია ეს მედეას. იგი არ მტრობდა არც მამას, არც ძმას, არც დას. იგი ჯადოქარი იყო და საკუთარი უნართა და ნიჭით ბევრად აღემატებოდა სხვებს. ამდენად, არც შური ამომძავებდა მას.

ვევლაფერი მედევამ ჩაიდინა სიუვარულის სახელით. მას უგონოდ შეუევარდა [თუ აფროდიტემ და ეროსმა შეაუვარეს] არგონავტი. და მიუხედავად ამისა, ცხადად ჩანს, რომ მედეას ჰიროფნული, ანუ ქალური სიუვარული მამაკაცისადმი სჯობნის სიუვარულს ოჯახისადმი, ქვეყნისადმი, ხალხისადმი, და საერთოდ, სამშობლოსადმი. ერთი სიტყვით, მედევამ „მე“ უფრო ძლიერია, ვიდრე „ჩვენ“. უკვე ამ უძველეს მითში მკაფიოდ ჩანს ქართველთა ხასიათის ერთი უმთავრესი ნიშან-თვისება: ქართველს „მე“ ურჩევნია „ჩვენს“-ს. ეს თვისება ქართულ ენაში ნათლად ვლინდება. ქართველი არასოდეს არ იტყვის – ის და მე, შენ და მე. ეოველთვის ამბობს: მე და ის, მე და შენ. „მე“ ეოველთვის წინ დგას.

მედევა ეოველთვის „მე“-ს სახელით მოქმედებს. მერე, როცა ელადში დასახლდა, იაზონის ხელში შვილებიც შეეძინა, და თითქოს მისი ცხოვრება კალაპოტში ჩადგა, მან თავზარდამცემი საქციელი ჩაიდინა. ეს საქციელი იმდენად შექამრწუნებელია, რომ დღეს ზოგიერთ სწავლულს ეს დაუჯერებლად მიანჩნია და ამტკიცებს – კოლხი ქალი ამას არ იზამდა, ცილი დასწამეს და შვილების დახოცვა დააბრალესო. მაგრამ, რამდენიც უნდა ვეცადოთ, მედეას გამართლებას ვეღარ მოვახერხებთ. რაც კალმით დაწერილა, იმას ნაჯახითაც ვეღარ ამოგვეთავთ. დაწერილია კი ეს:

იაზონს სხვა ქალი შეუევარდა – კორინთოს მეფის კრეონტის ასული ვალავადე. იგივე კრეუსა. მან გადაწვიტა: მედეას გაუროდა და ვალავადე შეერთო ცოლად. კოლხმა ცოლმა ქმრის დალატი ვერ აიტანა. შურისძიების ცეცხლით

ანთო. ის არ იკმაბრა, რომ რაეიფს მოწამლული ტანსაცმელი გაუგზავნა და მოაკვდინა, შვილებიც დახოცა ქმრის გასამწარებლად. კი მაგრამ, თავდაც ხომ გამწარდებოდა, თავდაც დაიტანჯებოდა შვილების სიკვდილით? რა თქმა უნდა, მაგრამ მედეასათვის ეველაფერზე მთავარია შურისძიება. მისი უკიდურესად ამპარტავანი და პარტიკომოყვარე „მე“ სამაგიეროს გადახდას ითხოვს. სხვა აღარაფერი ახსოვს.

ვიდრე იმას მოკახსენებდეთ, ასე დაწვრილებით რატომ გიყვებით მედეაზე, კიდევ ერთი მსატკრული თხსულება უნდა გავისხენო, კერძოდ დავით კლდისაშვილის „თავადი პეტრე“. ეს პაწია მოთხრობაა, მაგრამ ქართული ხასიათის შესაცნობად ფრიად მნიშვნელოვანი.

რომელიღაც ქართველ მეფესთან სტუმრად ეოფილა ორი თავადი – მანუჩარი და სვიმონი. მეფეს ორივე ჰევარებია და დიდად განარებია მათი სტუმრობა. იყო ერთი მოლხენა, მასლათი, სმენა და გაცონება. განსაკუთრებით სვიმონი ენაწულიანობდა თურმე. ევებოდა თავის გმირულ თავგადასავალს. საფუძველიც ჰქონია კვეხნის. იგი გულადი მეომარი და ომებში დიდად გამოცდილი ვაჟკაცი ეოფილა. მანუჩარი ამ მხრივ არ გამოირჩეოდა, მაგრამ თავმოყვარეობა და პარტიკომოყვარეობა არ აკლდა. ერთხელ, როცა სვიმონი მეფეს უამბობდა, როგორ დასცა მტერს თავზარი, შემუსრა და გაანადგურა, მანუჩარს უნებურმა დამცინაუმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე. სვიმონს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია. მეფისათვის მიუმართავს: „რა ვუყოთ, ბატონო, ვისაც ვაჟკაცობისა არა სცნია-რა, სხვისიც ძნელად დაეჯერება... ეპატრება, ბატონო!“ და სვიმონს ხმამაღლა გაუცინია. ეკალივით შეერტო მანუჩარს გულში ეს სიტყვები. ბოლმით აივსო და შინდაბრუნებული დღედაღამ იმასე ფიქრობდა, რით მიესლო სამაგიერო სვიმონისათვის. როგორ ამოეყარა გულისჯავრი.

ხანი გამოხდა. მანუჩარმა შეიტყო, რომ მეზობელ მონასტერში სვიმონის ვაჟი იზრდებოდა ბერებთან. დაუჩემებია ჩემი მეგობრის შვილი მასტუმრეთ. სათანადოდ უნდა ვსცე პარტიკო. ბიჭი მანუჩართან მოუყვანიათ. მეორე დღეს სვიმონმა მანუჩარისგან „ძღვენი“ მიიღო. ეუთში რაღაც „საჩუქარი“ იღო. სვიმონს განარებია „ძღვენი“. ეუთი გაუსხნია და რას ხედავს: მისი ვაჟის მოჭრილი თავი დევს შიგ. სვიმონის მთელი სახლობა აღუღდა ამ საცოდობით. დაუყოვნებლივ შეიკრიბა ჯარი და სვიმონი თავს დაესხა მანუჩარის მამულს. მოსრა ეველაფერი. მიწასთან გაასწორა მანუჩარის ავლადიდება. ქვა ქვაზე არ დატოვა მისი სასახლისაგან. დედაბუდიანად ამოწვეიტა მისი ოჯახი. სიკვდილის წინ მანუჩარმა მანც მოასწრო წამომახება: – „ხომ გაგამწარე!.. სიკვდილამდის გაგამწარე!.. სიცოცხლე აღარ მენანება!..“

ხომ გაგამწარე!.. ეს არის მანუჩარის მამომრავებელი მუსტი. თვითონაც დაიღუპა, ოჯახიც დაღუპა, სახლ-კარიც მოუსპეს, მაგრამ სვიმონიც ხომ გაამწარა – შვილი მოუკლა. ეველაფერი დაღუპა იმისათვის, რომ უკანასკნელად

მანც ეთქვა – ხომ გაგამწარე.

ორივეს – მედას და მანუხარს ერთი დევიზი აქვთ – ხომ გაგამწარე. თვითონაც გამწარდებიან, მაგრამ მთავარი და არსებითია სხვების გამწარება.

დავით კლდიაშვილის მოთხრობაში ამბავს თავადი ჰეტრე ჰევება, ცნობილი საზოგადო მოღვაწე. საინტერესო და საუურადღებოა მისი დასკვნა:

„მაპატიეთ გულახდილობა და მოგახსენებთ, გულში ნურაფერს ჩამარჩინთ, გულს ნუ მატკენთ, თორემ სადაც მომიხერხდება, რითაც მომიხერხდება, როცა აზრათაც შეიძლება არ გექნეთ, მაშინ ვიური ჩემი გულის ჯავრს; ამოვიური ჩემს გულის ჯავრს უსათაოდ, თუნდაც რომ ეს სიცოცხლის ფასად დამიჯდეს! რა ვქნა... რომ არ მინდოდეს, ასე უნდა ვქნა, რადგან ასე გჭრევეია ძველთაგან. მოგესწებათ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო...“

მაშასადამე, თავადი ჰეტრე იწონებს მანუხარის საქციელს. თავადაც ისე მოიქცევა, თუ დასჭირდა, როგორც მანუხარი მოიქცა. ბუნებრივია, იგი მედას საქციელსაც მოიწონებდა, რაკი თავადი ჰეტრეც მომხრეა დევიზის – ხომ გაგამწარე. ხედავთ, რა უსარმაზარი დროა გასული მედუდან თავად ჰეტრემდე, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ქართველის ბუნებაში, ხასიათში, თვისებაში არაფერი შეცვლილა. დევიზი – ხომ გაგამწარე – დევიზად დარჩა.

შეიძლება გაგინდეთ კითხვა – ჩვენ პოლიტიკაზე, პოლიტიკურ აზრზე უნდა ვისაუბროთ და რა საჭიროა მითოლოგიურ-ლიტერატურული ჰერსონაჟების გახსენება და მოშველიება? ჯერ ერთი, მითოლოგიურ-ლიტერატურულ ჰერსონაჟებში ნათლად და მკაფიოდ ჩანს არა მარტო ამა თუ იმ ჰერსონაჟების ხასიათი, ბუნება, თვისება, არამედ მთელი ხალხისა, მთელი ერისა. მეორეც, „ხომ გაგამწარე“ „გამოვლენილია ავადმყოფურად გაზვიადებული „მე“. ავადმყოფურად გაზვიადებული „მე“ კი ძალიან საშიში მოვლენაა პოლიტიკაში. ამას საქართველოს ისტორია ცხადად ადასტურებს.

ბაგრატიონთა სამეფო სახლს დიდი ხნის მანძილზე ებრძოდა ბაღვივაშთა ფეოდალური გვარი. ამ გვარის წარმომადგენლებმა არც დავით აღმაშენებელი მოასვენეს. მეფე იძულებული გახდა ბაღვივაშები საქართველოდან განედევნა, როცა ერისთავი რატი გარდაიცვალა, მატინეში ჩაიწერა: „მოკვდა რატი ძე ლიპარიტიანი... ესრეთ დასრულდა სახელი ბაღვივაშთა, სახელი გამამწარებელთა“.

დააკვირდით: სახელი გამამწარებელთა. ქვეყნის სასარგებლო პოლიტიკური მიზანი მათ არ ამოძრავებდათ. ბაღვივაშების ავადმყოფურად პატივმოყვარე „მე“ იბრძვის იმისათვის, რომ ტოლი არ დაუკდონ ბაგრატიონებს. არც ძალაუფლებით, არც სახელით, არც ავტორიტეტით არ იყონ მათზე ნაკლები. რა მოეუება ამ გაუთავებელ ქიშქს, მათ ნაკლებად დარდებთ. მთავარია „მე“ და თუ „მე“ ვერ დაკმაყოფილდა გაუთავებელი ხრიკებით, ინტრიგებით, მტრობით, მოწინააღმდეგის გამწარება, როგორც სხვა შემთხვევაში, ისე ახლაც ამას

შეიძლება მთელი გვარის დაღუპვა მოჰყვეს, მაგრამ ესეც არაფერია. მოწინააღმდეგეს ხომ გაამწარებენ.

მამა მამა არ დაინდო. სვიმონ ჰირველს, ქართლის მეფეს (1558-1600 წწ.), ეომება მამა დავითი, მუსლიმობის გამო დაუთხანად წოდებული. ვერ მიაღწია საწადელს დავითმა. ვერ განადგურა მამა. იძულებული გახდა თურქეთში გადახვეწილიყო და სული სტამბოლში დაეღია. „მე“ აწამებდა, თორემ დავითი უნიჭო არ ყოფილა. სტამბოლში ეოფნისას მედიცინა შეისწავლა. უნიკალური სამედიცინო წიგნი „იადიგარ დაუდი“ დაკვიტოვა. ქართული მედიცინის ისტორიაში წარუშლელი კვალი გაავლო, მაგრამ რა გინდა რა – სანამ საქართველოში იყო, არც თვითონ მოისვენა, არც მამა მოასვენა და არც ქვეყანა. მის გამო არც ნგრევა-აწიოკება დაჰკლებია ჩვენს სამშობლოს და არც სისხლის ღვართქაფი. არ სჭირდება საქართველოს ძმების მტრობა-შუღლი. ჰირიქით, აუცილებელი მათი ერთად ყოფნაა, მხარდამხარ ბრძოლა მტრის წინააღმდეგ, თურქეთი იქნება იგი თუ სპარსეთი, მაგრამ უსაშველო „მე“ ჭამს ეველაფერს. დავითმა, ამ ნიჭიერმა კაცმა, თავი გამამწარებელთა სიაში ჩაიწერა იმის გამო, რომ ავადმყოფურად გაზვიადებულ „მე“-ს ვერ მოერია.

ვერაფერმა ვერ დააშოშმინა და დააწენარა აბდულა-ბეგი, ვახტანგ მეექვსის მძისწული, მეფე იესეს ძე. სისხლი გაუშრო ერეკლე მეორეს. თავკამეტებული ებრძოდა. არა იმიტომ, რომ ქვეყანა გავაერთიანოთ, გავამდიეროთ, ფეხზე დავაყენოთ, არამედ იმიტომ, რომ ქართლს დაპატრონებოდა. სულ იმას გაიძახოდა: ქართლი ჩემია, ერეკლემ კახეთი იკმაროსო. თითქოს საქართველო მრავალთახიანი ბინა იყო და ერთმანეთს შორის უნდა გაეუოთ.

უთვალავი ასეთი მაგალითის მოხმობა შეიძლება, მაგრამ რაც გავიხსენეთ, ისიც საკმარისია. გასაკებია, რისი თქმაც მსურს: ქართული პოლიტიკური აზრი მჭლეა. უფრო საპირადოს დაკმაყოფილებას გულისხმობს, ვიდრე – საქვეყნოს, სახალხოს. მართალია, ამას ზოგჯერ, ცალკეულ შემთხვევებში, ცალკეული ჰირების ფართო საერთოეროვნული აზრი უპირისპირდება, მაგრამ კამარჯვებას ვერ ახერხებს. თუ გაიმარჯვებს, ძალიან ხანმოკლე ვადით. ეს, როგორც ვნახეთ, მითოლოგიაშიც ჩანს, სიტყვაკაზმულ ლიტერატურაშიც და ისტორიულ ფაქტებშიც. სწორედ ამგვარმა მოვლენებმა აიძულა ალექსანდრე ფრონელი ეთქვა ის, რასაც ახლა წავიკითხავთ 1907 წელს დასტამბული წიგნიდან „ამბოხება კახეთისა (1812 წ.)“.

„ქართველი კაცის უპირობა, მეზობლური შური და მტრობა, განკერძოებით მოქმედება და მამლაყინწობა, ვინაითგან დარწმუნებულია, რომ მხოლოდ იგია რჩეული და ქვეყნის მსხნელად მოვლენილი, რომ მის თავსა და ტვიშია მოთავსებული ქვეყნის სიბრძნე, რომ იგია ერთად ერთი დიდებული სარდალი და მძლეუთა მძლე, რომ მარტოოდენ მისი აზრია მართალი და უცდომელი, ხომ კარგად მოგეხსენებათ. ეს ისტორიული სენი ქართველი კაცის ძვალსა და სისხ-

ლში ღრმად ვამჯდარი და ჩაკირული, დღესაც ხომ თვალსაჩინო მოვლენაა ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში... დიდი კულტურული და შეგნებული შრომაა საჭირო ამ ისტორიული მხარის ძირიან-ფესვიანად ამოსაგდებად, თორემ რა უნია, ვეთაუვათ, ზიზილ-პიპილა ფრანგებში ძმობა-ერთობაზე ურმათა და ნორჩთა ასპილპილებლად და გადასარევად“.

ამ ტკივილს, რაც ალექსანდრე ფრონელის სიტყვებშია, მეტნაკლებად უველა ქართველი მოაზროვნე გამოხატავს, მაგრამ ცვლილებით არაფერი იცვლება. უველა თაობა იმეორებს ერთსა და იმავე შეცდომას, ავლენს ერთსა და იმავე თვისება-ხასიათს. ეს თვისება-ხასიათი, ეს შეცდომა ბოჭავს ქართულ პოლიტიკურ აზრს, ასუსტებს მას, რაც ხშირად საფუძველია საქართველოს მარცხისა.

ავადმოფურად გაზვიადებული „მე“ პოლიტიკაში ბადებს ან დიქტატურას, დესპოტიას, ან ქაოსს.

თუ ავადმოფურად გაზვიადებული „მე“-თი დაავადებული პოლიტიკოსი ძლიერი ნებისყოფისა და ენერჯის პატრონია, იგი იმორჩილებს სხვებს, იმონებს და ატარებს თავისი ნება-სურვილის მიხედვით. მოწინააღმდეგეებს და დაუმორჩილებელთ სპობს, ანადგურებს. ამდენად ამეარებს დიქტატურას, დესპოტიას. სანამ ცოცხალია, ეს დიქტატურა-დესპოტიაც არსებობს. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, აზრთა სხვადასხვაობა, აზრთა მრავალფეროვანება გამოირიცხულია.

თუ ავადმოფურად გაზვიადებული „მე“-თი დაავადებულ პოლიტიკოსთა შორის არააინ არის ძლიერი ნებისყოფისა და ენერჯის პატრონი, მაშინ იწუება ქაოსი. ისინი ერთმანეთის დამორჩილებასა და განადგურებას ვერ ასერხებენ. არც შეთანხმება შეუძლიათ, რადგან უველა ავადმოფური „მე“ თავისას გაიძახის, მხოლოდ თავისი შეხედულება მიაჩნია ერთადერთ მართალ შეხედულებად და ვერ იტანს სხვის აზრს. ეს უამრავი ავადმოფური „მე“ ქმნის უთავლაჲ პაწია-პაწია ჯგუფს, რომელსაც პარტიას არქმევენ და იწუება უთავბოლო, დაუსრულებელი პოლიტიკური ლაუბობა, რომელსაც არაფერი მოაქვს, ქვეუნის დაქცევის გარდა. ასეთ ვითარებაში არსებობს უამრავი პარტია, მაგრამ ქვეუნა უპატრონოა, რაკი ამ უანგარიშო პარტიიდან არც ერთს არ გააჩნია რეალური ძალა. არ ფლობს უნარს მართოს ქვეუნა, მოუაროს მას, იზრუნოს მასზე.

ისე, რომ როგორც ერთი (დიქტატურა-დესპოტია), ისე მეორე (ქაოსი) საბოლოოდ ერთ შედეგს იძლევა – ქვეუნის დანგრევა-გაჩანაგებას. ამ მდგომარეობას რომ თავი დააღწიო, აუცილებელია გონიერება. მაგრამ გონიერების თვალსაზრისითაც საქმე სასიფათოდ გვაქვს და გვექონდა წინათაც – აქაც ერთი ძველი მითოლოგიური გადმოცემა უნდა გავახსნოთ.

საქართველოში არ მეუკლება კაცი, ვინც არ იცოდეს ამირანის თხზულება, მისი მოჯაჭვის ამბავი. მოჯაჭვული ამირანი ცდილობს გაგლიჯოს ჯაჭვი,

განთავისუფლდეს. რატომღაც ამირანის განთავისუფლება არ სურთ მჭედლებს. უოველ წითელ ჰარასკეეს მჭედლები უროს ურტეაშენ გრდემლს. ამით ამირანის თითქმის გაგლეჯილი ჯაჭვი ისევ მრთელდება და ისიც მიჯაჭვული რჩება. ამის გარდა, სხვა ვარიანტიც არსებობს, კერძოდ ერთი: ჯაჭვი, რომლითაც ამირანია დაბმული, კლდეში ჰალოთია დამაგრებული. მთელი წელიწადი ცდილობს ამირანი ამოაძროს ჰალო. თითქოს ამირანი ახერხებს მიაღწიოს საწადელს. სადაც არის ჰალო ამოვარდება კლდიდან. მაგრამ მოფრინდება ჰატარა ჩიტო. იგი დააჯდება ჰალოს. გაბრაზებული ამირანი იღებს უროს და ურტეაშს ჰალოს ჩიტის მოსაკლავად. ჩიტო, რა თქმა უნდა, გაფრინდება. ამირანი უროს დარტყმით ისევ უკან აჭედებს თითქმის ამოძრობილ ჰალოს. ამდენადვე თავად იჯაჭვავს თავს.

არ ვიცი, ვერ აგისნით, რატომ არის ამ ვარიანტში ესოდენ უგუნურ არსებად გამოყვანილი ამირანი. რად უნდა ჩიტის მოსაცლილებლად ამირანს უროს დარტყმა ჰალოზე? მაგრამ, რაც გიამბეუთ, ის ვარიანტი ჩაწერილია, დაბეჭდილია, გამოქვეყნებულია. შეგიძლიათ, ამირანის თხზულებათა ვარიანტებს გაეცნოთ მიხედვით ჩიქოვანის წიგნში „მიჯაჭვული ამირანი“.

1999 წ.

სარჩევი

ქართველთა ნაციონალური აღორძინების იდეა	
გაერთიანების ახალი საფუძველი უნდა გახდეს	3
თათბირები საქართველოს კპ ცკ-ში	9
საქართველო ვკუთვნის ქართველ ხალხს... ..	17
აფხაზთა საკითხი	21
რა ელის საქართველოს?	40
ეს იქნებოდა სამართლიანი გადაწყვეტა	73
ღონ ქრისტოფორო დე კასტელის ნახატების თვალღერებისას	91
საუბრაღებო წიგნი	100
ჯავახეთო, ჯავახეთო	106
სახულიერო პოეზიის სახეები	111
ჩვენ?	121
აზროვნების სტანდარტიზაცია	123
უბრაღება მიუაქციოთ	130
ბუმერანგი	137
ორი მიზეზი	144
რას ვაპირებთ?	151
ფიცის მწამს, ბოლო მაკვირებს	162
ღია წერილის პასუხად	168
კარგად დაფიქრდით	175
1989 წელი	179
ჩვენ არ წავალთ მოსკოვში	201
ობსკურანტიზმის წვეთიც არ უნდა გაერიოს	211
ერთიანი გეგმით	214
ცნობიერების დიბანიზაცია	229
ღია წერილი გაზეთ „თბილისის“ რედაქტორს	236
ჭკვიანი პოლიტიკოსები ტროას ცხენში სხდებიან	241
ისტორიის მატარებელი მიჭქრის	257
ისტორიამ განმეორება იცის	259
წამკიდებელი წაჭკიდო ორივეს თავი წასწვეიტე	266
საიდუმლო გამჭაფანებულია	272

აღდგომა და ხვალეო	277
ეროვნული თანხმობის მთავრობა	283
მორიგება	285
ხაფანგი	292
სისხლიანი ანეკდოტი	299
ეველაფერს ფული უნდა	306
სუთთავიანი ურჩსული	317
დაუყოვნებლივ	329
კრიზისული ადამიანი	333
უკან დასახევი გზები ჩახერგეთ!	337
სამი შეცდომა	341
ხვალ გვიან იქნება	347
მხოლოდ გამარჯვება	354
ბაბაიას დიპლომატია	357
ნიჭილი ზმის კვანტი	365
ამილანხვრიანში გადასწვდება	369
არჩილ ჯორჯაძის ტრიადა	380
დიდი გაკვეთილი	385
დამკლვევებული ქართული	389
მამულუკური ცნობიერება	396
საქართველოს ენა?	402
ფერი-ღარეჯან	406
მიამიტობა	419
მცნებათა რღვევა	425
მშვიდობით, აფხაზეთო!	430
ისტორიის მოპარვა	433
ვასალური აზროვნება	439
დიდი საფრთხე	447
რომ არ ამოშრეს ხალხში ნაღველი... ..	451
ო, ენავ ჩემო	460
სად არის საშველი?	466
ორიენტაცია	468
დავაბრუნოთ აფხაზები აფხაზეთში	474
საუბრები ქართული ჰოლიტიკური აზრის ისტორიის შესახებ	479

ფასი 2 ლარი